ეინ რენდი

ჩვენ, ცოცხლები

აინ რენდი

ჩვენ ცოცხლები

მთარგმნელები:

ზაზა ჭილაძე, გრიგოლ ჭუმბურიძე

ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა 1905 წლის 2 თებერვალს (ძვ. სტ. 20 იანვარი) სანკტ-პეტერბურგში.

მისი ნამდვილი სახელია ალისა როზენბაუმი.

რენდის ოჯახი წარმატებული და შეძლებული გახლდათ. მამა, ზინოვი როზენბაუმი პროფესიით ფარმაცევტი და მსხვილი აფთიაქის მფლობელი იყო სანკტ-პეტერბურგის ცენტრში; დედა – ჰანა კაპლანი კი სტომატოლოგ-ტექნიკოსი.

სამი ქალიშვილიდან უფროსი, აინ რენდი წერა-კითხვას 4 წლის ასაკში დაეუფლა, ხოლო ცხრა წლისამ მწერლობა გადაწყვიტა და მოთხრობების წერა დაიწყო.

1917 წლის რევოლუციებისა და ბოლშევიკების მიერ როზენბაუმების ქონების კონფისკაციის შემდეგ, ოჯახი ყირიმის ნახევარკუნძულზე გადასახლდა და გაჭირვებაში ცხოვრობდა. რენდმა სკოლა ქ. ევპატორიაში დაამთავრა. 1921 წელს სწავლა პეტროგრადის (ყოფილი სანკტ-პეტერბურგის) უნივერსიტეტში განაგრძო სპეციალობით „სოციალური პედაგოგიკა". ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო დამთავრებამდე ერთი წლით ადრე გარიცხეს, თუმცა 1924 წელს მან მაინც შეძლო უნივერსიტეტის დამთავრება, რის შემდეგ ერთი წელი კინოსცენარების წერაში ივარჯიშებდა ხელს, უკვე ლენინგრადის სახელმწიფო ტექნიკუმში.

1925 წელს, საგამომცემლო სერიაში „პოპულარული კინო-ბიბლიოთეკა" დაიბეჭდა მისი პუბლიცისტური წერილი „პოლა ნეგრი", რომელიც ამერიკული მუნჯი კინოს პოლონური წარმომავლობის ვარსკვლავს მიეძღვნა.

1925 წელს იგი ახერხებს მიიღოს სასწავლო ვიზა შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად, 1926 წელს კი რიგის და ბერლინის გავლით ჩავიდა ჩიკაგოში. მისი ოჯახი საბჭოთა კავშირში დარჩა,

მშობლები მეორე მსოფლიო ომის დროს, ლენინგრადის ბლოკადაში მოხვდნენ და დაიღუპნენ, ხოლო დები გარდაცვალებამდე ლენინგრადში ცხოვრობდნენ.

მისი სიტყვებით, სწავლის პერიოდში არისტოტელესა და პლატონის იდეების წინააღმდეგობრიობამ და შემდეგ უკვე ფრიდრიხ ნიცშეს იდეების გავლენამ განსაზღვრა შემდგომში მისი თვითმყოფადი ღირებულებათა სისტემა. მწერლებიდან უპირატესობას ანიჭებდა ვიქტორ ჰიუგოს, ფიოდორ დოსტოევსკის, ედმონ როსტანს და ფრიდრიხ შილერს.

1927 წლიდან ჰოლივუდში კინო-სცენარისტობას მიჰყო ხელი, გაიცნო გავლენიანი მსახიობი, დირექტორი და პროდიუსერი სესილ დე მილი და ფილმ „მეფეთა მეფის" გადამღებ ჯგუფს შეუერთდა. გადაღებებზე მსახიობი ფრენკ ო' კონორი გაიცნო და მოგვიანებით, 1929 წელს, მას მისთხოვდა კიდეც.

სტუდია რომელთანაც ის თანამშრომლობდა, მალევე გაკოტრდა და შემდეგი 2 წელი მუშაობდა ოფიციანტად, ყიდდა საგაზეთო გამოწერების კუპონებს, მუშაობდა კოსტიუმერად „RKO Pictures"-ში და ამავდროულად, თავისუფალ დროს საკუთარ სამწერლობო ხელოვნებას ხვეწდა.

1930 წელს კი დაიწყო მუშაობა პირველ რომანზე „ჩვენ, ცოცხლები", რომელიც მისი იდეების, შემდგომ „ობიექტივიზმის ფილოსოფიის საფუძვლების" პირველ მანიფესტაციად იქცა. ნაშრომი, რამდენიმე უარის შემდეგ. მხოლოდ 1936 წელს დაიბეჭდა, სწორედ მაშინ აირჩია მან ლიტერატურულ ფსევდონიმად საკუთარი საწერი მანქანის ბრენდის სახელი „რენდი" (ayn rænd).

ანტიკომუნისტური და, ზოგადად, ანტიკოლექტივისტური განწყობით გამსჭვალული ეს რომანი 3000 ეგზემპლიარად დასტამბა გამომცემლობამ „Macmillan Publishers". რენდის ჰონორარმა სულ რაღაც 100 აშშ დოლარი შეადგინა. 1959 წელს, მცირედი შესწორებე-

ბით ხელმეორედ გამოსულმა ამავე რომანმა კი უდიდესი ყურადღება მიიპყრო და სამ მილიონამდე წიგნი გაიყიდა.

1931 წლის 13 მარტს აინ რენდმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

1932 წელს, საბჭოურ მოტივებზე დაწერილი რომანტიკული ტრილერის საკუთარი სცენარი, „წითელი პაიკები" Universal Studio-ს, მიყიდა იმ პერიოდისთვის საკმაოდ დიდ თანხად, 1500 აშშ დოლარად, რამაც საშუალება მისცა მწერლობისთვის უფრო მეტი დრო დაეთმო.

მალევე მან ანიმაციური ფილმის სცენარი, „პენტჰაუზის ლეგენდა" დაასრულა, ხოლო 1934 წლის ბოლოს, მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში გადასახლდა რომ მის საფუძველზე და განახლებული სახელწოდებით – „16 იანვრის ღამე" – ფილმი გადაეღო.

1937 წელს რომანი „ჩვენ, ცოცხლები" დიდ ბრიტანეთშიც გამოიცა, ხოლო 1939 წელს მის საფუძველზე აინ რენდმა პიესაც დაწერა, რომელიც დღემდე იდგმება მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე.

იმავე 1937 წელს მან გამოსცა ნოველა „ჰიმნი", სადაც პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის პრობლემა წამოსწია. 1943 წელს გამოდის მისი რომანი „წყაროსთავი", ხოლო მისი ყველაზე მეტად აღიარებული რომანი „ატლანტმა მხრები გაშალა", რომელზეც ის თითქმის 10 წელი მუშაობდა, 1957 წელს გამოიცა.

1950 წელს მან გაიცნო ნათანიელ ბრენდანი (ნამდვილი სახელი – ნათან ბლუმენთალი) და მისი მეუღლე ბარბარა, ვისთან ერთადაც ჩამოაყალიბა ჯგუფი სახელწოდებით კოლექტივი, ანუ კლასი 1943 (რომან „წყაროსთავის" გამოცემის თარიღის მიხედვით), რომლის წევრებიც აირ რენდთან იკრიბებოდნენ და სხვადასხვა ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხზე მსჯელობდნენ. მათ შორის იყვნენ ალან გრინსპენი, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი 1987-2006 წწ-ში, შემდგომში სახელგანთქმული ეკონომისტები მარი როთბარდი და ჯორჯ რეისმანი, ორ-

მოცდაათიანი წლების ბოლოდან ის მთლიანად საკუთარი ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბებით დაკავდა და საკუთარი მოსაზრებები სტატიებისა და კრებულების ფორმით ჩამოაყალიბა.

1958 წელს შექმნილი ნათანიელ ბრენდენის ინსტიტუტი აინ რენდის იდეებს საჯარო ლექციების, მხატვრული და ფილოსოფიური ნაწერების გაყიდვების ორგანიზებით გავრცელებას იწყებს.

ლექციებსა თუ ნარკვევებში, ისევე, როგორც მის მხატვრულ ნოველებში გადმოცემულმა ე. წ. „ობიექტივიზმის" ფილოსოფიამ, რომელიც მისი აზრით, არისტოტელეს, თომა აქვინელის, სპინოზას, ჯონ ლოკისა და კლასიკური ლიბერალიზმის პოლიტეკონომიურ ტრადიციებს აგრძელებდა, უდიდესი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის შუა პერიოდის ამერიკულ საზოგადოებაზე: ხშირად ამბობენ, რომ მის გარეშე აშშ შესაძლოა ისეთივე წითელი ყოფილიყო, როგორც იმდროინდელი ევროპა.

1962 წლიდან გამოდის „ობიექტივისტის მაცნე", სადაც თავად რენდისა და მისი თანამოაზრეების მოსაზრებები იბეჭდება და ვრცელდება. 1961 წელს იბეჭდება წიგნი „ახალი ინტელექტუალებისთვის", 1966 წელს კი „კაპიტალიზმი – უცნობი იდეალი", რომელშიც მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ნარკვევებია თავმოყრილი.

1969 წელს რენდი გამოსცემს „რომანტიკულ მანიფესტს", რომელიც აერთიანებს ესეებს ხელოვნების მნიშვნელობაზე და აგრეთვე, ადრეული ესეების კრებულს სახელწოდებით „აინ რენდის წერილები".

– 1979 წელს მან ლეონარდ პეიკოფთან ერთად გამოსცა ესეების კრებული, რომლის მიზანი ობიექტივიზმის ფილოსოფიის განმარტება იყო.

– საკუთარ შემოქმედებაში რენდი აქტიურად უპირისპირდებოდა კოლექტივიზმსა და კომუნიზმს, ეკონომიკურ ინტერვენციონიზმსა და პოლიტიკურ იმპერიალიზმს, უარყოფდა ყოველგვარ რელიგიასა

და ფემინიზმს, კატეგორიულად გმობდა რასიზმს, უაღრესად კრიტიკული იყო ჰომოსექსუალიზმის კულტურულ ნორმად დამკვიდრების... ამავდროულად, იცავდა ინდივიდუალიზმს, რაციონალურ ეგოიზმს, კაპიტალიზმსა და გონების, ანუ ადამიანის შესაძლებლობების უზენაესობას. თავისთავს მიიჩნევდა „რომანტიკულ რაციონალისტად" და ადამიანის პირად უფლებებს და ინტერესებს საზოგადოებრივ უფლებებსა და ინტერესებზე მაღლა აყენებდა.

მისი ფილოსოფია, რომელიც ადამიანის მოქმედების ეგოისტურ საწყისებს ეფუძნება, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

– მოუხმე გონებას და არა ვნებებს, ემოციებს, ან რწმენას;

– იშრომე მიზნის მისაღწევად და სრულყავი შრომის ნაყოფიერება; – მოიპოვე და შეინარჩუნე თავმოყვარეობა;

– ესწრაფე საკუთარ ბედნიერებას, როგორც უმაღლეს მორალურ ამოცანას;

– მოიპოვე კეთილდღეობა სხვების თვითმყოფადობის აღიარებით, მათთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გზების ძიებით;

– შეუძლებელია მიირთვათ ნამცხვარი და ის ხელუხებელი დაგრჩეთ. მისი ნაშრომების საერთო ტირაჟმა ოცდაათ მილიონს გადააჭარბა და მათდამი ინტერესი დღემდე არ ნელდება აინ რენდს საქართველოშიც მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს. გამომცემლობა „არეტეს" თაოსნობით 2011 წელს ქართულად გამოიცა „წყაროსთავი", ხოლო 2016 წელს – „ატლანტმა მხრები გაშალა". აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის ცნობით, „ატლანტმა მხრები გაშალა" მიეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნად წიგნებს და იმ ნაწარმოებებს, რომლებმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონიეს ადამიანების აზროვნებაზე. მისი მოსაზრებების წინააღმდეგობრიობისა და მრავალმხრივი კრიტიკის (მათ შორის, სხვადასხვა ავტორიტეტული ლიბერთარიანელი მკვლევარის მხრიდან) და აგრეთვე, მისი პიროვნების და ყოფის თავისებურებების მიუხედავად, აინ რენდი სიცოცხლეშივე იქცა

საკულტო ფიგურად – პიროვნებად, რომელმაც თავისი სიტყვით თუ პირადი მაგალითით და არა ძალით და კანონის მოხმობით იქონია გავლენა მილიონობით ადამიანზე და მათ სოციალურ ყოფაზე.

ის გარდაიცვალა 1982 წლის 6 მარტს, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ვალჰალაში, „ატლანტმა მხრები გაშალას" სატელევიზიო დადგმის სცენარზე მუშაობისას და დატოვა მიმდევართა და თაყვანისმცემელთა უდიდესი არმია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. დღეს მისი სახელობის გაერთიანებები თითქმის ყოველ ამერიკულ უნივერსიტეტშია, ხოლო მის მემკვიდრეობას რამდენიმე კვლევითი ცენტრი (მაგ.,. „აინ რენდის ინსტიტუტი", „აინ რენდის საზოგადოება", „ობიექტივიზმის ცენტრი", „ატლანტის საზოგადოება", „ობიექტივისტთა კლუბების ასოციაცია" და სხვ.) სწავლობს და ავრცელებს, რადგან მის მიერ ნაწარმოებებში დასმული კითხვები ჯერ კიდევ საჭიროებს პასუხს.

მოამზადეს პაატა შეშელიძემ და გიორგი ჩიქოვანმა

ავტორის წინათქმა

მას შემდეგ, რაც 1936 წელს პირველად გამოქვეყნდა, ეს რომანი ხელახლა მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გადავიკითხე თავიდან ბოლომდე და გამოგიტყდებით, არც კი მოველოდი თუ ასეთ სიამაყეს ვიგრძნობდი.

– ძალიან ბევრი მწერალი აცხადებს – ვერასოდეს მოვახერხე სრულად იმის გამოხატვა, რაც მსურდა და ჩემი ნამუშევარიც მხოლოდ ჩანაფიქრთან მიახლოებული ასლიაო. მე პირადად, ასეთ შეხედულებას არასოდეს ვიზიარებდი და ჩემი აზრით, მსგავსი განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისატევებელი, თუ ამას ვინმე დამწყები კალმოსანი ამბობს. ეს იმიტომ, რომ ამა თუ იმ „ნიჭით" იმთავითვე არავინ იბადება და შესაბამისად, ნებისმიერი უნარი დროს მოაქვს. მწერლებად არ იბადებიან, მწერლებად ყალიბდებიან. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, მწერალი თავადვე აყალიბებს საკუთარ თავს. „ჩვენ, ცოცხლები" – ჩემი პირველი რომანი – სწორედ ის წიგნია, რომელიც მაფიქრებინებდა, რომ ავტორის შესაძლებლობები ვერ პასუხობდა მისსავე მიზანს და ვერც სათქმელი ეთქვა ისე კარგად, როგორც ეს მას ეწადა. ახლა კი, წიგნის გადაკითხვის შემდეგ, გაოცებულმა აღმოვაჩინე, თურმე რა კარგად მითქვამს ყველაფერი...

„ჩვენ, ცოცხლები" არაა რომანი საბჭოთა რუსეთზე. ესაა წიგნი ადამიანისა და სახელმწიფოს დაპირისპირებაზე, მისი მთავარი თემა კი ადამიანის სიცოცხლის უზენაესობაა. ოღონდ ეს არა მისტიკური გაგებით, არამედ უზენაესობის, როგორც უმთავრესი ფასეულობის მნიშვნელობით. ჩემი ასეთი მიდგომის არსი რომანის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის, ირინას სიტყვებშია გაჟღერებული – იმ ახალგაზრდა ქალის, რომელიც ციმბირში გადაასახლეს და იცის, რომ იქიდან ვეღარასოდეს დაბრუნდება: „მხოლოდ ერთი რამის გა-

გება მინდა, მაგრამ არა მგონია, ვინმეს ამის ახსნა შეეძლოს... ადამიანს სიცოცხლე გეძლევა, შენც იწყებ ამ სიცოცხლეს, გრძნობ რომ ის რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანია, გამორჩეული, იმდენად მშვენიერი, მართლაც წმინდა განძი გგონია... ახლა კი ამ სიცოცხლეს წერტილი დაესვა და ამ ამბავს არავისთვის არაფერი შეუცვლია. გულგრილნი კი არ დარჩნენ ამის მიმართ – უბრალოდ, ვერ ხვდებიან, ვერ აცნობიერებენ, ვერ გაუგიათ, რა ფასი ადევს ამ ჩემს საგანძურს! არადა, მაინც მართებთ რაღაცის გაგება. თვითონაც არ მესმის ბოლომდე, მაგრამ არის რაღაც, რაც ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავიგოთ. ოღონდ რა არის ეს? რა ჰქვია სახელად? "

იმ დროს, ამ კითხვის პასუხი ირინაზე ბევრად უკეთესად არც თვითონ მე ვიცოდი. მხოლოდ იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლისადმი ამგვარი მიდგომა ყველას ერთნაირად უნდა გაგვეზიარებინა, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ამას მხოლოდ ადამიანთა შორის უკეთესზე უკეთესნი თუ ახერხებენ და შედეგად, ის უსაშველო ბოროტება ჩნდება, რომლისთვის სახელი ჯერაც ვერ დაგვირქმევია. მე ისიც ვიცოდი, რომ სწორედ აქედან იღებს სათავეს ნებისმიერი დიქტატურა, ყველა კოლექტივისტური თეორია და ყოველგვარი ადამიანური ბოროტება; პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხები კი უბრალოდ, ამ ძირეული პრინციპის თანამდევი შედეგებია. იმხანად, დიქტატურისა და კოლექტივიზმის ნებისმიერ ქომაგს ეჭვით და ზიზღითაც კი ვუცქერდი: ვერაფრით გამეგო, როგორ უნდა გაპირუტყვებულიყო ესა თუ ის ადამიანი იმდენად, სხვათა სიცოცხლის განკარგვის უფლებაზე განეცხადებინა პრეტენზია; ან ისე როგორ უნდა დაეკარგა ამა თუ იმ ადამიანს საკუთარი თავის პატივისცემა, ვინმესთვის საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება რომ გადაელოცა. ზიზღი დღესაც არ გამნელებია, თუმცა ნებისმიერი ეჭვი უკვალოდ გამიქრა, რადგან პასუხს უკვე მივაგენი...

ოღონდ ირინას შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს მხოლოდ იმ რომანზე მუშაობისას მივაგენი, რომელსაც „ატლასმა მხრები გაშალა"

დავარქვი. ამ წიგნში შევეცადე ამეხსნა, რა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მნიშვნელობის მატარებელია ის ხალხი, ვინც საკუთარ სიცოცხლეს მთავარ ღირებულებად აღიარებს – იმათგან განსხვავებით, ვინც ასე არ იქცევა. ვაჩვენე, რომ სწორედ პირველნი წარმოადგენენ კაცობრიობის უმთავრეს მამოძრავებელ ძალას, მეორენი კი, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, მკვლელები არიან და ცდილობენ კიდეც, უკვე არამარტო ამგვარი თვალსაზრისით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც ასეთებად იქცნენ. ამ რომანში შევეცადე ამეხსნა, რატომ ესწრაფვის ადამიანთა ერთი ნაწილი სიცოცხლის დამკვიდრებას, მერისთვის კი სწორედაც რომ მოკვდინების სურვილია მთავარი მამოძრავებელი ძალა. რაც შეეხება რომანს „ჩვენ, ცოცხლები", იქ მხოლოდ ამ ფაქტის კონსატატაციით შემოვიფარგლე.

– თანამედროვე ეპოქის სწრაფი ეპისთემოლოგიური დაკნინების პირობებში, როცა ადამიანები ქვის ჯუნგლების ცხოველთა დონემდე არიან დაყვანილნი, აბსტრაგირების უნარი დაკარგული აქვთ და თან მუდმივად ჩასჩურჩულებენ – ხეებს უნდა უყუროთ, მაგრამ ტყეს ვერ უნდა ხედავდეთო – ვალდებულად ვთვლი თავს, ჩემი მკითხველი ასეთი სიტყვებით გავაფრთხილო: ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც გეტყვით რომ „ჩვენ, ცოცხლები" ვითომდა უკვე დრომოჭმული, ანდა თანამედროვეობასთან შეუსაბამო წიგნია, რადგან XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა რუსეთის ვითარებას ასახავსო. მსგავსი მოსაზრებებით ნაწარმოების კრიტიკა მხოლოდ ნატურალისტური სკოლის მწერლებთან მიმართებაში თუა უპრიანი და თავისთავად, იმათ თვალსაზრისს გამოხატავს, ვინც ლიტერატურაში სხვა არანაირი სკოლის არსებობას არ აღიარებს, განსხვავებასაც კი ვერ ხედავს მხატვრულ ნაწარმოებსა და საგაზეთო პუბლიკაციას შორის.

ნატურალისტური სკოლა სტატისტიკურ მონაცემებს აღნუსხავს ფასეულობათა მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოში: მისთვის მთავარია იმ-

წუთიერი, ფოტოგრაფიული, ჟურნალისტური წვრილმანების აღნუსხვა ამა თუ იმ ქვეყანაში, მხარეში, ქალაქსა თუ სოფლის ორღობეში, ამა თუ იმ ათწლეულში, ამა თუ იმ წელიწადს, თვესა თუ სულაც, წამს. ამ შემთხვევაში, ამოსავალი ისაა თუ რა მოიმოქმედა ხალხმა და არა ის, რა ამჯობინა ან რა უნდა აერჩია იმავე ხალხს სამოქმედოდ – აი, ეს მიდგომა კი უკვე მწერლობის რომანტიკული სკოლისთვისაა დამახასიათებელი, რომლისთვისაც უპირველესი ამოსავალი სწორედ ადამიანური ღირებულებებია და შესაბამისად, ყოველივე ის, რაც არსებითი და საყოველთაოა ადამიანურ ქმედებაში – ანუ, არასტატისტიკური და არაშემთხვევითი. ნატურალისტური სკოლა ადამიანის მიერ შემთხვევით გაკეთებულ არჩევანს ასახავს, რომანტიკული სკოლა კი იმ არჩევანთა ერთობლიობის შესაძლებლობებს, რასაც ადამიანმა უნდა მისდიოს და მას ამის ძალაც შესწევს. მე საკუთარ თავს „რომანტიკოს რეალისტად" მივიჩნევ, ოღონდ მაინც ერთგვარად გამორჩეულად ზოგადი რომანტიკული ტრადიციის ფონზე, რადგან ის ღირებულებები, რაც ჩემთვის უმთავრესია, მაინც ამქვეყნიურსა და ამწუთიერს ეხმიანება.

„ჩვენ, ცოცხლები არ არის წიგნი 1925 წლის დროინდელ საბჭოთა რუსეთზე. ესაა ამბავი დიქტატურაზე, ნებისმიერ დიქტატურაზე, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ქვეყანაში – იქნება ეს საბჭოთა რუსეთი, ნაცისტური გერმანია თუ სოციალისტური ამერიკა, რისი თავიდან აცილებაც ეგებ, ამ რომანის მეშვეობითაც მოხერხდეს. ესაა წიგნი იმაზე, რას უშვება ადამიანებს სასტიკი ძალა, როგორ ანადგურებს ეს ძალა მათ შორის ყველაზე უკეთესებს და ეს ერთნაირად შეიძლება მოხდეს 1925 წელსაც, 1955 წელსაც და 1975-შიც. თან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა ერქმევა სახელად საიდუმლო პოლიციას, შვრიის შეჭამანდს დასჯერდებიან ადამიანები თუ ხმელა პურს, მიწურებში იცხოვრებენ თუ მრავალსართულიან სახლებში, წითელი პერანგები ეცმებათ მმართველებს თუ – ყავისფერი, ქვეყნის მთავარი ყასაბი ვინმე კამბოჯელ მჩხიბავს მიეგებება პირზე

კოცნით თუ მისთვის სულაც უცნობ ამერიკელ მუსიკოს-შემსრულებელს.

როცა თორმეტი წლის ასაკში, სწორედ რუსეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე, პირველად მოვკარი ყური კომუნისტურ მოწოდებას იმის თაობაზე, რომ ადამიანი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ უნდა არსებობდეს, მაშინვე მივხვდი, რა ბოროტება იმალებოდა ამ არსებით პრინციპში; მივხვდი, რომ მისი ცხოვრებაში დანერგვა ბოროტების მეტს ვერაფერს მოიტანდა, თუნდაც საპირისპიროდ გამიზნული ყველა მეთოდის, დაპირებებისა თუ გატარებული პოლიტიკის მიუხედავად. სწორედ ამის გამო დავუპირისპირდი კომუნიზმს მაშინ, და დღესაც იგივე რჩება ჩემი დაპირისპირების მიზეზად.

– მართალი გითხრათ, ხანდახან ჯერ ისევ მიკვირს, რამდენ ზრდასრულ ამერიკელს არ ესმის ისე მკაფიოდ კომუნიზმთან ბრძოლის აუცილებლობა, როგორც მე ეს უკვე 12 წლის ასაკში მესმოდა. მათ კვლავაც სჯერათ, რომ ბოროტება მხოლოდ კომუნისტური მეთოდებია, კომუნისტური იდეალები კი – კეთილშობილი. სხვათა შორის, კომუნიზმის მიერ 1917 წლიდან მოპოვებული ყველა გამარჯვება სწორედ ჯერ ისევ თავისუფალ ადამიანთა შორის გავრცელებული ამგვარი შეხედულების ბრალიცაა.

იმათ გასაგონად კი, ვისაც სურს იცოდეს, არსებითად შეიცვალა თუ არა საბჭოთა რუსეთში ადამიანთა ყოფა 1925 წლის შემდეგ, მოკრძალებულად ვიტყოდი – ცოტა უფრო გულდასმით გადახედეთ გაზეთებს და უთუოდ შეამჩნევთ, რომ ჯერ ერთი, მუდამ მატულობდა ისეთი პუბლიკაციების რიცხვი, სადაც ლაპარაკი იყო საბჭოთა კავშირში კეთილდღეობის ზრდაზე სამრეწველო წარმატებებზე, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებასა და ხელისუფლების ძლევამოსილებაზე; რაც შეეხება ნებისმიერი განსხვავებული შინაარსის მასალას, ეს უკვე ცრურწმენებით შეპყრობილი რეაქციონერების სიცრუედ ინათლებოდა. ხუთიოდე წლის შემდეგ კი უთუოდ იმასაც წაიკითხავთ, რა საშინელი ვითარება სუფევდა საბჭოთა კავშირში

ხუთი წლის წინ – თითქმის ისეთივე, როგორსაც „ცრურწმენებით შეპყრობილი რეაქციონერები" ხატავდნენ თავის დროზე, მაგრამ იქვე ეწერება, რომ ყველა ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია და საბჭოთა კავშირიც ამქვეყნიური სამოთხეა – ბედნიერების, კეთილდღეობის, წინსვლისა და ძლევამოსილების განსახიერება. კიდევ ასე, ხუთიოდე წლის შემდგე პერიოდში, უთუოდ გადააწყდებით მასალას იმის შესახებ, რომ ტროცკიმ ან ზინოვიევმა, ან კამენევმა, ან ლიტვინოვმა, ან ე. წ. „კულაკებმა" (ანდა სულაც, უცხოელმა იმპერიალისტებმა) სავალალო მდგომარეობაში ჩააგდეს ქვეყანა ხუთი წლის წინ, მაგრამ დღეს, სტალინმა მათი ვერაგობა აღკვეთა და საბჭოთა რუსეთმაც ბევრად გაუსწრო წინ ლპობად დასავლეთს კეთილდღეობის, წინსვლის, აღმშენებლობისა და სხვა მსგავს მიღწევათა თვალსაზრისითო. კიდევ ხუთი წელი და გაზეთებში იბეჭდება – სტალინი ურჩხული იყო, სწორედ მან შეაფერხა საბჭოეთის განვითარება, მაგრამ დღევანდელ დღეს, ქვეყანა მაინც საყოველთაო ბედნიერების, აყვავების, შემოქმედებითი თავისუფლების, საუკეთესო განათლებისა და დანარჩენ სამყაროსთან სამეცნიერო უპირატესობის ცოცხა-ლი მაგალითიაო. მაინც, რამდენი ასეთი ხუთწლედია საჭირო, სანამ თვალი აგეხილებათ? ოღონდ ეს უკვე თქვენსავე ინტელექტუალურ პატიოსნებასა და გამკლავების უნარზეა დამოკიდებული. ერთი ეგაა, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირს დღეს უკვე ატომური ბომბიც მოეპოვება? წაიკითხეთ იმ მეცნიერთა სასამართლო პროცესების ანგარიშები, რომლებიც საბჭოთა ჯაშუშები აღმოჩნდნენ ინგლისში, კანადასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში! ან როგორ ავხსნათ ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ამბავი? სხვათა შორის, იმავე რომანში, „ატლასმა მხრები გაშალა", ე. წ. X-პროექტის შესახებაცაა მოთხრობილი...

თავისუფლებისა და დიქტატურის დაპირისპირების თემაზე ტომების დაწერა შეიძლება და უკვე ბევრი დაიწერა კიდეც. ოღონდ სა-

ბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც ერთ მარტივ შეკითხვამდე დაიყვანება: რამდენად ზნეობრივია, როცა ადამიანებს სამსხვერპლო ცხოველებად აღიქვამენ და მათ უხეში ფიზიკური ძალის მეშვეობით მართავენ? თუკი მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაგიჭირდებათ, „ჩვენ, ცოცხლები" სწორედ პასუხის პოვნაში დაგეხმარებათ.

* * *

რამდენიმე სიტყვა იმ მკითხველთა გასაგონად, ვინც ჩემი პიროვნებითაა დაინტერესებული: მინდა განვაცხადო, რომ რომანი „ჩვენ, ცოცხლები" ყველაზე მეტად ავტობიოგრაფიულია ჩემს ნაწერთა შირის. მართალია, ეს არაა ავტობიოგრაფია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც შეიძლება ასეთად ჩაითვალოს ინტელექტუალური თვალსაზრისით.

სიუჟეტი მოგონილია, მაგრამ ფონი – არა. როგორც რომანტიკული სკოლის წარმომადგენელი მწერალი, არასოდეს დავისახავდი მიზნად „ცხოვრებისეული" ამბის ასახვას, რაც თავისთავად, მაიძულებდა შემოქმედებითი წერის ყველაზე მნიშვნელოვან და თან, ყველაზე რთულ ნაწილს გავქცეოდი – კერძოდ, ქარგის აგებას. ესეც არ იყოს, მსგავსი მიდგომა უკიდურესად – მოსაწყენიც იქნებოდა. ჩემი გადასახედიდან, კარგი ავტობიოგრაფია სწორედ იმგვარი უნდა იყოს, როგორც ლუის სალივანმა დაასათაურა საკუთარი ცხოვრების ამბავი: „იდეის ავტობიოგრაფია". სწორედ ამგვარი გაგებით შეიძლება ჩაითვალოს ეს რომანი ჩემს ავტობიოგრაფიად, მისი მთავარი გმირი კირა კი – ჩემს განსახიერებად. მე რუსეთში დავიბადე, განათლება საბჭოთა პირობებში მივიღე, საკუთარი თვალით ვნახე ის ყოფა, რაც წიგნშია აღწერილი. ოღონდ კირას ცხოვრების ცალკეული მოვლენები მე არ გადამხდენია თავს; მისგან განსხვავებით, მე ინჟინრობას კი არა, ისტორიას ვსწავლობდი. არც ხიდების მშენებლობაზე მიოცნებია ოდესმე – ყოველთვის მწერლობა მინდოდა. კირა

არც გარეგნულად მგავს და არც მისი ოჯახი გავს ჩემსას. კიდევ ვიმეორებ: მე და კირას ერთნაირი ცხოვრებით არ გვიცხოვრია, თუმცა ჩვენი იდეები, რწმენა და ფასეულობები მაშინაც და ახლაც სრულად ემთხვევა ერთმანეთს.

აინ რენდი ნიუ-იორკი,
ოქტომბერი, 1958

წინასიტყვაობა

როგორც თავად აინ რენდი ამბობს ავტორისეულ წინათქმაში: „ჩვენ, ცოცხლები" არაა რომანი საბჭოთა რუსეთზე, რაც თავის მხრივ, მხოლოდ ამბის ქარგად გამოვიყენე..." და მართლაც, რომანში განვითარებული მოვლენები, პერსონაჟებიცა და სიუჟეტის ზოგადი განვითარებაც არა ისტორიასთან ამ ყველაფრის მიმართებითაა შერჩეული, არამედ – ფილოსოფიასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წიგნის სათქმელი საყოველთაო მნიშვნელობისაა. სათქმელი კი ტოტალიტარიზმის ბოროტებას ეხება, უსამართლობის იმ გამოვლინებებს, რამაც ნებისმიერ დროში და ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება იჩინოს თავი.

ტოტალიტარიზმს ორი ძირეული მოსაზრება კვებავს: ადამიანის მიერ გონის უარყოფა რწმენის სასარგებლოდ, და კერძო ინტერესის დათმობა – თვითშეწირვის მოთხოვნის სასარგებლოდ. თუკი ეს საზოგადოების ფილოსოფიურ თანხმობას მოიტანს, მაშინ უკვე ძალზე სწრაფად ჩნდება და აღზევდება კიდეც ყოვლისშემძლე წინამძღოლი, სწორედ ის განუსაზღვრავს კიდეც დანარჩენებს რწმენისა და თავგანწირვის საერთო გზას. მერე უკვე ვერავინ და ვეღარაფერი უწევს წინააღმდეგობას მის ნებას – ვერც აზრით და ვერც ფასეულობათა განუხრელი ერთგულებით, რადგან ერთიცა და მეორეც უსარგებლო, ზედმეტ ბარგად იქცევა. საბოლოო შედეგი კი თავისუფალი აზრის ამოშანთვა, საყოველთაო შიმშილი და სისხლის ტბორებია.

ძველი ბერძნების მიერ გონის, ამქვეყნიური ბედნიერებისა და (შედარებითი) თავისუფლების ცნებების დამკვიდრების წყალობით, ზემომოტანილი მიზეზ-შედეგობრიობა საუკუნეთა მანძილზე უცნობი რჩებოდა დასავლეთისათვის. მერე ქრისტიანობა გავრცელდა, რამაც ადამიანებს რწმენითა და თავგანწირვით ცხოვრება დაუსახა

მიზნად. ჯერ კიდევ მარტივი ტექნოლოგიების გამო, საბოლოო შედეგამდე მისვლა დროში გაიწელა, თუმცა მყისიერმა ზეგავლენამ მაინც საკმაოდ სწრაფად იჩინა თავი: კერძოდ, „შეუმცდარი" პაპის ინსტიტუტის, მკაცრ დოგმებში მოქცეული ცხოვრებისა და ინკვიზიციისათვის მიუღებელი ნებისმიერი აზრის დევნის სახით.

ევროპის პირველი ქრისტიანი მღვდელმთავარნი დასავლეთში ტოტალიტარიზმის პირველ დამამკვიდრებლებადაც იქცნენ; სწორედ მათ აღმოაჩინეს ახალი ყაიდის სახელმწიფოს ძირეული არსი და განსახილველ შესაძლებლობადაც შესთავაზეს მომავალ თაობებს.

– მერე, როგორც იქნა, ჯერ აღორძინების ხანა დაიწყო, შემდეგ – დასავლეთის ხანგრძლივი ბრძოლა განმანათლებლობისათვის, რაც კვლავ გონებისა და ბედნიერების ძიების უპირატესობას აღიარებდა და ქრისტიანობას აბუჩად იგდებდა. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე თავისუფალი სახელმწიფოს, ამერიკის შექმნა. თუმცა, ხსენებული გეზი აღარ გაგრძელებულა, რადგან XIX საუკუნის ინტელექტუალებმა, კანტის მიმდევრებმა ახლა უკვე განმანათლებლობის იდეები უარჰყვეს – არა-გონისა და არა-პირადულობის ახალი ფორმების სასარგებლოდ. სულ რამდენიმე თაობის განმავლობაში, ამან თავისი შედეგი მოიტანა: ტოტალიტარიზმის ათასი ჯურის მოსურნე ერთბაშად აღზევდა და მართალია, ყველა ერთნაირად დებდა თავს სეკულარულობასა თუ მეცნიერულობაზე, ნებსით თუ უნებლიედ, მაინც ყველანი იმ ძველი, შუასაუკუნეობრივი მოდელის ფარგლებში ექცეოდნენ.

– ტოტალიტარული სახელმწიფოები ბევრი თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა მათი ბუნება და მიზანი საერთოა. მაინც, რა განსხვავებაა მათ შორის, ან რა მნიშვნელობა აქვს მსხვერპლისთვის, შეუმცდარი წინამძღოლი თავის გზავნილს ზებუნებრივ წარმომავლობას მიაწერს თუ – შეუქცევადი დიალექტიკით გაუმაგრებს მხარს? ქრისტეს სხეულისთვის თავის შეწირვას ითხოვს თუ – პროლეტარიატის „წმინდა" საქმისათვის? რა მნიშვნელობა

აქვს, ადამიანებს ხელაპყრობილ ლოცვას აიძულებენ თუ – ფეხაწყობით წინ და უკან სიარულს? რა განსხვავებაა სიკვდილის მთესველ ჯარს შავი მაზარა აცვია თუ – წითელი ფარაჯა? შერისხულებს დანებით უფატრავენ მუცლებს ესპანეთში თუ – გულაგში თოშავენ და აშიმშილებენ? ამგვარი სახელმწიფოები ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან კიდეც, ოღონდ ეს ტაქტიკის შედეგია და არა – არსებითი განსხვავების.

ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი მაგალითი კი ისაა, თუ რა ბედი ეწია „ჩვენ, ცოცხლებს" მუსოლინის მმართველობის პირობებში: II მსოფლიო ომის დროს, ერთ-ერთმა იტალიურმა კინოკომპანიამ თვითნებურად, აინ რენდის ნებართვის გარეშე განახორციელა ამ რომანის ეკრანიზაცია. წიგნის მოცულობიდან გამომდინარე, ნაშრომი საბოლოოდ, 1942 წელს, ორ ფილმად გამოვიდა ეკრანებზე – „ჩვენ, ცოცხლები" და „მშვიდობით, კირა! " თითოეულ მათგანს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. კმაყოფილი დარჩა იტალიის ფაშისტური ხელისუფლებაც, რომელმაც ამ ფილმებში კომუნიზმის მძაფრი კრიტიკა დაინახა. თუმცა, უბრალო მაყურებელს თავიდანვე არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, რომ ფილმი იმდენადვე იყო ანტიფაშისტური, რამდენადაც – ანტიკომუნისტური. მაყურებელი მშვენივრად ჩასწვდა მწერლის უფრო ფართო, სიღრმისეულ ჩანაფიქრს და ეკრანზე ნანახიც მუსოლინის მმართველობის პირობებში იტალიელი ხალხის ჩაგვრისადმი ერთგვარ პროტესტად აღიქვა; მერე კი ფილმების სათაურებიც თავისებურად გადააკეთა და მალე ერთს იხსენიებდნენ როგორც „ჩვენ, მკვდრები" და მეორეს – „მშვიდობით, ლირა! " რაც მუსოლინის ეკონიმიკური პოლიტიკის შედეგად, იტალიური ვალუტის მდგომარეობას აქილიკებდა. ფილმების: ეკრანზე გამოსვლიდან ხუთი თვის შემდეგ, ხელისუფლებაც მიხვდა იმას, რაც უკვე ყველამ მშვენივრად იცოდა და ორივე ფილმი აკრძალა. მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ წიგნი „ჩვენ, ცოცხლები" მხოლოდ საბჭოთა რუსეთის ვითარებას როდი

ესადაგება.

ეს რომანი არც უბრალოდ ევროპასა თუ მხოლოდ წარსულზეა; სწორედ ამას მოწმობს დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნდამენტალისტური მემარჯვენეობის აღზევება, რაც ბიბლიასთან შეუთავსებელი იდეებისა თუ ფასეულობების კანონგარეშე გამოცხადებას ისახავს მიზნად. ამასვე ადასტურებს გარემოსდამცველ მემარცხენეთა მომძლავრება, რომლებიც სულ უფრო და უფრო რელიგიურები ხდებიან, სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ ბუნების შემქმნელისადმი მოწიწებაზე და ზნეობრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, კაპიტალიზმის აღსასრულს ქადაგებენ. ამაზევე მიანიშნებს „ახლადმოქცეული" პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის რვაწლიანი მმართველობა, რომელმაც მისი აზრით ანტირელიგიური ბიოლოგიური კვლევები შეაჩერა და საგარეო პოლიტიკაში სახელმძღვანელოდ „ზეციური გზავნილები" მოიშველია. ასევე, თეთრ სახლში მისმა შემცვლელმა, ბარაკ ობამამ, ვისზეც აქამომდე ცოტა რამ თუ ვიცოდით, საკუთარი საპრეზიდენტო კამპანიისას, ყველაფერი სცადა იმის დასადასტურებლად, არავის რომ არ ჩამორჩებოდა ღვთისმოსაობაში. რამდენად მოსალოდნელია, რომ ყოველივე თქმული და კიდევ ბევრი სხვა მოვლენა ერთ დღეს გამთლიანდება და იმ წამლეკავ რელიგიურ ტალღად იქცევა, რაც სავალდებულოდ გახდის აზროვნებისა და ქცევის მამრული პრიმატით დაღდასმასა თუ პოლიტიკური მიდგომების გაერთმნიშვნელოვნებას? თუ ასე მოხდა, მაშინ აღარც ეკონომიკა თუ ბიოლოგია დაგვჭირდება საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად, რადგან როგორც უკვე ჩანს, კვლავ პირველწყაროს დავეყრდნობით – კერძოდ, შუასაუკუნოვან პატრონყმობას და თანაც, დღეს ბევრად უკეთესად აღჭურვილი საიდუმლო პოლიციის მეთვალყურეობით!

„ჩვენ, ცოცხლები" – ესაა რომანი იმ შედეგებზე, რაც თავისუფლების თუნდაც სულაც ნებაყოფლობით დათმობას მოსდევს. სწორედ ამიტომაა ის მტკივნეული დღევანდელ დღესაც. მტკივნეულია,

რამდენადაც გვეუბნება – როგორ გავარჩიოთ ერთიმეორისაგან შხამი და ის აუცილებელი საზრდო, რის გარეშე ადამიანურ სახეს საერთოდ დავკარგავდით. ეს წიგნი დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან გვიამბობს არა წარსულზე, რომელსაც მუდმივად ვშორდებით, არამედ მომავალზე, რომელსაც მუდმივად ვუახლოვდებით.

მოკლედ, ეს წიგნი არ არის თქვენს კარგა ხნის წინ გარდაცვლილ ბებია-ბაბუაზე – ის თქვენს ჯერ კიდევ მოზარდ შვილებზეა...

ლეონარდ პეიკოფი,
კანადური წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსი
აინ რენდის ინსტიტუტის დამფუძნებელი.
კალიფორნია, 2008 *წლის დეკემბერი*

საკითხავია არა ის თუ ვინ უნდა მომცეს უფლება, – არამედ ის, თუ ვინ უნდა შეაჩეროს.

Ayn Rand (1905-1982)

ნაწილი პირველი

I

მთელი პეტროგრადი კარბოლმჟავის სუნით ყარდა.

რუხ-მოვარდისფრო დროშა, რომელიც ერთ დროს წითელი უნდა ყოფილიყო, ფოლადის რიკულებში ფრიალებდა. წლობით დაგროვილი მტვრისა და ქარისგან ფოლადივით განაცფრისფერებულ, შუშის პანელების სახურავს მაღალი ბოძები ამაგრებდა. კარგა ხანია მივიწყებული სროლებისაგან ნატყვიარი პანელები ზოგან ჩამსხვრეულიყო, ნარჩენების პირბასრი კიდეები კი ამ შუშასავითვე ნაცრისფერი ცის ფონზე გამოშვერილიყო. დროშის ქვევით, აბლაბუდას მაქმანები კონწიალობდა; ამ აბლაბუდას ქვემოთ რკინიგზის ვეება, უისრებო საათი ეკიდა, ყვითელი ციფერბლატით და ჩაშავებული ციფრებით; საათის ქვეშ, მატარებლის მოლოდინში, მიტკლისფერსახიანთა და გაზინთულხიფთანიანთა ბრბო ირეოდა.

კირა არგუნოვა სატვირთო ვაგონის კიბის საფეხურზე შემომდგარი ბრუნდებოდა პეტერბურგში. უძრავად, წელგამართული იდგა – მდიდრული, საოკეანო ლაინერის მგზავრივით ამაყად გულგრილი; ტანზე ძველი, გახუნებული, ლურჯი ქსოვილის პალტო შემოეცვა და ჩამოქნილი, შიშველი, მზემოკიდებული წვივები მოუჩანდა. ყელზე ძველი, კუბოკრული აბრეშუმის ყელსახვევი შემოეხვია, ყვითელი ფერის ფოჩებიანი, ნაქსოვი ქუდიდან მოკლედ შეკრეჭილი, აწეწილი თმის ბოლოები გამოჩროდა. კირას თხელი ტუჩები ჰქონდა და ოდნავ გაოცებულ-გამომწვევი მზერა – იმ ერთდროულად აღფრთოვანებული, მოზეიმე და მომლოდინე მეომარივით, უცხო ქალაქში რომ შემოსულა და ჯერაც არ იცის, აქაურობის დამპყრობლად იქცევა თუ – ტყვედ.

მის ზურგსუკან, მთელი ვაგონი ხალხითა და ფუთებით იყო გამოჭედილი. ნივთები ზეწრებში, გაზეთებსა და ფქვილის ტომრებში – გამოეხვიათ, თავად ადამიანები კი დაკემსილ მოსასხამებსა და თავსაფრებში შეფუთნულიყვნენ. ფუთები მათ ლოგინის მაგივრობასაც უწევდა და თითქოს, მათივე სხეულების მოხაზულობა შეეძინათ. უაზრო, ერთიანად გამომშრალ, დაღარულ სახეებზე, რომლებსაც უკვე დიდი ხანია, ყოველგვარი გამომეტყველება ჰქონდათ დაკარგული, მტვერს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოეკვეთა ღრმა ნაოჭები.

– რუსეთის გაპარტახებულ სივრცეებში ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, მატარებელი ნელ-ნელა, არაქათგამოცლილი უახლოვდებოდა ბოლო სადგურს. სამდღიან გზას ყირიმიდან პეტროგრადამდე, ორი კვირა დასჭირვებოდა. 1922 წელს, სარკინიგზო მიმოსვლა ჯერ ისევე მოუწესრიგებელი რჩებოდა, როგორც კიდევ ბევრი სხვა რამ. სამოქალაქო ომი, როგორც იქნა, მოთავდა; თეთრი გვარდიის მონარჩენები საბოლოოდ განადგურდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ წითელი ხელისუფლება მთელ ქვეყანას აზანზარებდა, ლიანდაგებისა და სატელეგრაფო სადენების ქსელი ისევ ისე, ალალბედზე ეკიდა და კვლავაც უსხლტებოდა მის რკინის კლანჭებს.

– არ არსებობდა განრიგი და ცნობის საკითხავადაც ვერავის მიმართავდი – არავინ იცოდა, როდის გავიდოდა ან ჩამოვიდოდა ესა თუ ის მატარებელი. თავისთავად გავარდებოდა ხმა – საცაა, მატარებელი გამოდგებაო და თითოეულ სადგურზეც მაშინვე აღელვებული ხალხის მთელი ბრბო მოიყრიდა ხოლმე თავს. მერე საათობით, ხან კი რამდენიმე დღეც აღარ იცვლიდნენ იქიდან ფეხს – იმის შიშით, ვაითუ წუთით ჩამომდგარმა შემადგენლობამ გაგვასწროსო, თუმცა ისეც ხდებოდა, მატარებლები რომ კვირაობით იდგნენ ერთსა და იმავე სადგურში. მოსაცდელი დარბაზების იატაკები ნაგავს მიქონდა და იქაურობაც ადამიანთა სხეულების სუნით ყარდა. იატაკზე ფუთებს დაყრიდნენ, თავადაც ამ ფუთებზე მიეყრებოდნენ და ასე ეძი-

ნათ. უსასრულო მოთმინებით ლოღნიდნენ გამხმარი პურის ყუას, ანდა მზესუმზირას აკნატუნებდნენ და სამოსს კვირაობით არ იცვლიდნენ. მერე, როცა ფრუტუნითა და ქშენით, ბოლოსა და ბოლოს, მატარებელიც მოადგებოდა ბაქანს, წამოიშლებოდნენ და სასოწარკვეთისაგან გააფთრებულები, თავპირის მტვრევით, მუჯლუგუნებითა თუ წიხლის კვრით ცდილობდნენ გაეკვლიათ მისკენ გზა. მთელი ძალით ეჭიდებოდნენ კიბეებს, ებღაუჭებოდნენ სახურავებს, ცოცხალი თავით არ თმობდნენ მოპოვებულ ადგილს და ამ დავიდარაბაში ხან ბარგს კარგავდნენ, ხან სულაც ბავშვებს. მატარებელი კი უცებ, გაუფრთხილებლად, უხმაუროდ დაიძვრებოდა ხოლმე და თან გაიყოლებდა იმათ, ვისაც ზედ აფორთხება მოეხერხებინა.

კირა არგუნოვას მგზავრობა თავიდანვე სატვირთო ვაგონში არ დაუწყია: ჯერ ცალკე ადგილი ჰქონდა პატარა მაგიდასთან, ფანჯრის ახლოს, მესამე კლასის სამგზავრო ვაგონში; მისი წყალობით, ეს მაგიდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან თვითონ კირა ანდამატივით იზიდავდა თანამგზავრების მზერას: ახალგაზრდა საბჭოთა მოხელე აღტაცებული შესცქეროდა მისი სხეულის ნატიფ ანარეკლს გაბზარული ფანჯრის განათებულ მონაკვეთზე; ბეწვისქურქიანი, ფაშფაშა ქალბატონი კი აღშფოთებას ვერ მალავდა გოგონას გამომწვევად ჯდომის გამო, რაც მისი აზრით, შამპანურით სავსე ჭიქებით დახუნძლულ მაგიდასთან დასკუპებულ კაბარეს მოცეკვავეს უფრო შეეფერებოდა, ოღონდ ამ „მოცეკვავეს“ ისეთი მკაცრი, ქედმაღალი და თან მშვიდი სახე ჰქონდა, ქალი ერთი პირობა შეეჭვდა კიდეც – კაბარეს მაგიდაზე მეტად, ეგებ კვარცხლბეკი მოუხდებოდაო...

გზა არ თავდებოდა და თანამგზავრებიც ისევ და ისევ რუსეთის უსასრულო, უკიდეგანო მინდორ-ველებს გახედავდნენ ხოლმე ფანჯრიდან, როგორც ერთგვარ ფონს ამ ამაყი, ახალგაზრდა ქალისათვის, რომელსაც გარედან მობერილი, ტელეგრაფის მავთულებში მოზუზუნე ქარი უფრიალებდა მაღალ შუბლზე ჩამოყრილ წაბლისფერ

თმას.

სივიწროვის გამო, კირას ფეხები მამამისის მუხლებზე შემოედო. ალექსანდრ დიმიტრიევიჩ არგუნოვი დაღლილი მიყუჟულიყო კუთხეში და ხელები მუცელზე დაეკრიფა. ჩაწითლებული, შეშუპებული თვალები სანახევროდ მოუჩანდა მთრთოლვარე ქუთუთოებს ქვეშ; დროდადრო შეკრთებოდა, ამოიოხრებდა და თითქოს დაირცხვენდა კიდეც – ასე პირდაფჩენილს როგორ ჩამომეძინაო. ალაგ-ალაგ დანაკერებ, ხაკისფერ ლაბადაში გამოხვეულს, მაღალყელიანი, ქუსლებდაბრეცილი, გლეხური წაღები და უხეში ტილოს პერანგი ეცვა, რომლის ზურგზეც ჯერაც იკითხებოდა წარწერა: „უკრაინული კარტოფილი“. ეს შენიღბვის შეგნებული მცდელობა არ გახლდათ – უბრალოდ, ალექსანდრ დიმიტრიევიჩს აღარც დარჩენოდა სხვა რამ ჩასაცმელი. არადა, თან იმაზე უსკდებოდა გული, ვაითუ ვინმე მიხვდეს – ამ ჩემი პენსნეს ჩარჩო ნაღდი ოქროსი რომააო.

ქმარს მიტმასნილი გალინა პეტროვნა ცდილობდა მაინც წელგამართული მჯდარიყო და გადაშლილი წიგნი ლამის ზედ ცხვირის წვერთან მიეტანა. წიგნი კი დაენარჩუნებინა, მაგრამ ადგილისთვის გაწევ-გამოწევაში, თმის სამაგრები ერთიანად მიმოფანტვოდა. ახლა მარტო იმასღა ცდილობდა, არავის შეემჩნია რომ ფრანგული წიგნი ეჭირა ხელში. დროდადრო, ფრთხილად შეაპარებდა ხოლმე ფეხს სკამქვეშ, ნაქარგ სუფრაში გამოხვეულ სანუკვარ ფუთას მოსინჯავდა – სწორედ იქ გამოეკრა საგულდაგულოდ ვენაში ჯერ კიდევ ომამდე შეძენილი, უბადლოდ ნახელავი მაქმანებიანი საცვლების უკანასკნელი მონარჩენები და არგუნოვების საოჯახო ინიციალებიანი ვერცხლის დანა-ჩანგალიც. გულს ასკდებოდა, თუმცა ვერაფერს გამხდარიყო, როცა სწორედ ამ სკამქვეშ მოკალათებულ ვიღაც ჯარისკაცს მისი ფუთა თავქვეშ ამოედო ბალიშად და ახლა ტკბილად ხვრინავდა, გასასვლელში ფეხებგამოყოფილი.

– ამ გასასვლელშივე, ზედ ჯარისკაცის ფეხებთან მოუწია კიდევ ერთ ფუთაზე ჩამოჯდომა არგუნოვების უფროს ქალიშვილ ლიდიას;

თუმცა ის მაინც ყველანაირად ცდილობდა, მთელი თავისი იერით მიეხვედრებინა ვაგონის თითოეული მგზავრი, ამგვარი ყოფა ჩემთვის სრულიად უცხო ხილიაო. არც საკუთარი სოციალური უპირატესობის გარეგანი ნიშნების დამალვა უცდია და განსაკუთრებით, სამი მათგანი გამოამზეურა ამაყად: გვარიანად შელახული, ხავერდის მოსაცმელის დალაქული, თუმც კი ოქროსირმული, მაქმანიანი გულისპირი, საგულდაგულოდ დაკემსილი აბრეშუმის ხელთათმანები და ოდეკოლონის მომცრო ბოთლი, რომელსაც დროდადრო გამოაძვრენდა, ორიოდ წვეთს დაიპკურებდა მოვლილ-ნაფერებ ხელებზე, შეიზილავდა და წამსვე ისევ მალავდა, როცა ცხვირზე ფრანგულ წიგნაფარებული დედა ალმაცერად გამოხედავდა ხოლმე, საყვედურნარევი მზერით.

ოთხი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც არგუნოვების ოჯახი პეტერბურგიდან აიყარა. ოთხი წლის წინ, მათ დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, საფეიქრო ფაბრიკა ჰქონდათ, რომელიც მშრომელი ხალხის სახელით ჩამოერთვათ, სახელმწიფოს სასარგებლოდ. ყველა ბანკიც მშრომელი ხალხისავე სახელით გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად, არგუნოვების სეიფებიც მაშინვე გახსნეს და პირწმინდად გამოასუფთავეს: გალინა პეტროვნას კუთვნილი, უძვირფასესი, ლალისა თუ მარგალიტის ყელსაბამები, რითაც ქალი ასე იწონებდა თავს მეჯლისებზე, მერე კი კეთილგონივრულად, ისევ იმავე ბანკის სეიფში აბინავებდა, ვიღაცამ ხელს გააყოლა და უკვალოდ გაქრა.

იმ დღეებში, როცა ქალაქზე ამოუცნობი შიშის საზარელი აჩრდილი ჩამოწვა და ჯანღივით მოიცვა თითოეული ქუჩის ჩაბნელებული კუთხეკუნჭული, როცა ღამეს მოულოდნელი სროლის ხმა ფლეთდა, ხოლო ხიშტებით აჯაგრული სატვირთო მანქანების გრუხუნი ქვაფენილსა თუ მაღაზიის ვიტრინებს აზანზარებდა, როცა თვალსა და ხელს შუა, კოცონის სიმხურვალით დამდნარი ფანტელებივით აორთქლდა არგუნოვთა ნაცნობ-მეგობრების წრე, ხოლო თავად არგუნოვები ტუსაღებივით გამოემწყვდნენ მათი გრანიტით ნაშენები

კერძო სახლის კედლებში – გვარიანი თანხითა და ცოტაოდენი, ჯერ კიდევ შემორჩენილი ძვირფასეულობით, ერთიანად დაზაფრულები კარზე ნებისმიერი დაკაკუნების შიშით – ამ ქალაქიდან გაქცევა ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად მიიჩნიეს.

იმხანად, პეტროგრადში უკვე ჩამცხრალიყო რევოლუციური ბრძოლის ქარიშხალი, ქალაქი მორჩილად და უიმედოდ შეგუებოდა წითლების გამარჯვებას, მაგრამ რუსეთის სამხრეთში ჯერ ისევ მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. იქაურობა თეთრი გვარდიის ხელში რჩებოდა, თუმცა ამ არმიის დაქსაქსული ნაწილები ქვეყნის უკიდეგანო სივრცეზე გაფანტულიყო და ერთმანეთისაგან ასობით კილომეტრი, დანგრეული რკინიგზის ლიანდაგები და უცნობი, გავერანებული სოფლები აშორებდათ. ეს ჯარი სამფეროვანი დროშის ქვეშ იბრძოდა, მოწინააღმდეგის მიმართ უცნაურ, უგუნურ ქედმაღლობას იჩენდა და სრულიად ვერ აცნობიერებდა მისგან მომდინარე საფრთხეს.

არგუნოვები პეტროგრადიდან ყირიმში გაემგზავრნენ, რათა იქ დალოდებოდნენ დედაქალაქის გათავისუფლებას წითელი ურდოებისაგან. უპატრონოდ მიატოვეს მაღალსარკეებიანი და ბროლის ჭაღიანი სასტუმრო ოთახები, ჯიღოსანი ბედაურები და სუნამონაპკური ბეწვეული, პეტროგრადის უმდიდრეს ქუჩაზე – კამენნოოსტროვსკიზე გამავალი მაღალი ფანჯრები, მათ წინ გამწკრივებულ შესანიშნავ სახლებს რომ გაჰყურებდა... ახლა მათ მთელი ოთხი წელი რაღაც ქოხმახებში უნდა გაეტარებინათ, სადაც სამხრეთის ხორშაკი ქარი დაზუზუნებდა დაფხავებულ კედლებში, სადაც სახარინიან ჩაის ხვრეპდნენ და სელის ზეთზე მოხრაკული ხახვით გაქონდათ თავი; ბოლო არ უჩანდა ღამეულ სიზმრებსა და შემზარავ განთიადებს, როცა მხოლოდ ქუჩაში აფრიალებული წითელი ანდა სამფერი დროშითღა თუ მიხვდებოდი, ამჯერად ვის ხელში გადასულიყო ქალაქი.

ყირიმი ექვსჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, 1921 წელს კი ომიც

დამთავრდა. თეთრი ზღვის სანაპიროდან შავი ზღვის ამ ნაპირებამდე, პოლონეთის საზღვრიდან – ჩინეთის ყვითელ მდინარეებამდე, ყველგან ალისფერი ალმები აფრიალდა და მათ ზეობას ერთის მხრივ „ინტერნაციონალის“ გუგუნი ახლდა და მეორეს მხრივ – იმ გასაღებების ჩხაკუნი, რომლითაც სხვა ქვეყნების საზღვრები ჩაიკეტა რუსეთისათვის.

არგუნოვები პეტროგრადიდან სრულიად მშვიდად, თითქმის ხალისიანადაც კი გამოემგზავრნენ შემოდგომაზე. მათი აზრით, ეს ყველაფერი მხოლოდ ოდნავ უსიამო, მაგრამ მაინც ხანმოკლე გაუგებრობად დაურჩებოდათ და შინ გაზაფხულისთვის ვარაუდობდნენ დაბრუნებას. გალინა პეტროვნამ ქმარს თან ბეწვის ქურქიც კი არ წააღებინა: „რა გგონია, ეგენი მთელი წელი გაძლებენ?! “ – ეცინებოდა კიდეც, სრულიად გულწრფელად, საბჭოთა ხელისუფლების სწრაფ აღსასრულში დარწმუნებულს.

არადა, ეს ხელისუფლება ხუთი წლის თავზეც არ შეცვლილა. 1922-ში, ბედს შეგუებული, ყურებჩამოყრილი ოჯახი მატარებელში ჩაჯდა და კვლავ პეტერბურგისკენ გაემგზავრა სრულიად ახალი ცხოვრების დასაწყებად – ცხადია, თუკი მსგავსი რამ ჯერაც შესაძლებელი იქნებოდა.

– როცა ადგილები დაიკავეს, მატარებელი ერთი კი შეჯაყჯაყდა და მკვეთრი ბიძგით გაგორდა პეტროგრადისაკენ. არგუნოვებმა ერთმანეთს გადახედეს, თუმცა კრინტი არცერთ მათგანს არ დაუძრავს. გალინა პეტროვნა კამენნოოსტროვსკის ქუჩაზე მდგარ თავიანთ სახლზე ოცნებობდა – ნეტა უკან თუ დავიბრუნებთო; ლიდიას ის ძველი ეკლესია ახსენდებოდა, სადაც ყოველ აღდგომა დღეს დაყავდათ ბავშვობაში ლიტანიობაზე – ჩასვლისთანავე, აუცილებლად შევივლი იქო, ფიქრობდა; ალექსანდრ დიმიტრიევიჩი საერთოდ არ ფიქრობდა არაფერს; კირას კი უცებ გაახსენდა – თეატრში რომ დავდიოდი, ყველაზე ძალიან ის წუთი მიყვარდა, როცა დარბაზში ნელ-ნელა ქრებოდა შუქი და ფარდაც, გახსნამდე, ერთი შეთრთოლდებოდა

ხოლმეო. გაუკვირდა კიდეც, ნეტა ახლა რამ გამახსენა ეს ამბავიო.

მაგიდა, რომელსაც კირაც უჯდა, ხის ორ მერხს შორის ჩაედგათ. აქეთ-იქიდან ათი ადამიანის სახე მიჩერებოდა ერთიმეორეს – მატარებლის რყევას აყოლილი ორი კედელივით ათი ქანცგაწყვეტილი, ჭუჭყიანი, ფერმკრთალი წერტილი ამ ჩაჟამებულ ბინდ-ბუნდში: ალექსანდრ დიმიტრიევიჩი და მისი ოდნავ მოციმციმე ოქროს პენსნე; წიგნის ფურცლებზე კიდევ უფრო თეთრსახიანი გალინა პეტროვნა; ახალგაზრდა საბჭოთა მოხელე, რომლის ახალთახალ, ტყავის პორტფელზე სუსტი შუქის ათინათი კრთოდა; აქოთებულხიფთანიანი, წვეროსანი გლეხი, ერთთავად ტანი რომ ექავებოდა; მკერდჩავარდნილი, დაღლილ-დაქანცული ქალი, წამდაუწუმ ფეთიანივით რომ ითვლიდა ფუთებსა და შვილებს; ყველა ამათ ცნობისმოყვარედ მიჩერებული ორი ფეხშიშველი, თმააბურძგნული ბიჭი და უკან თავგადაგდებული ჯარისკაცი, ვისაც ყვითელი ქალამნები ნიანგის ტყავის ჩემოდანზე შემოეწყო – იმ ბეწვისქურქიანი, ფაშფაშა ქალბატონის საკუთრებაზე, რომელიც ყველა დანარჩენი მგზავრისაგან აშკარად გამოირჩეოდა ვარდისფერი, პუტკუნა ლოყებით; მის გვერდით კი მამაკაცის პიჯაკმოცმული, თავზე წითელ ხილაბანღწაკრული, კბილებჩაშავებული, გაღიზიანებული ქალის ჭორფლიანი სახეც მოჩანდა.

მტვრის ნამცეცებშერეული სინათლის სხივი ზუსტად კირას თავსზემოთ იჭყიტებოდა გაბზარული ფანჯრიდან და ზედა თაროზე მიყუჟული სამი ჯარისკაცის გადმოკიდულ, ჩექმიან ფეხებამდე უწევდა. ამათ ზემოთ, ბარგის შესახებ წალოში, გულაღმა მწოლიარე ვიღაც გაჩხინკული, ლოყებჩაცვენილი ყმაწვილი შემძვრალიყო, ღრმა ძილით ეძინა და სტვენა-ხრიალით სუნთქავდა, სულშეგუბებული. მგზავრების ფეხქვეშ ბორბლები ისე დგანდგარებდა, თითქოს ჟანგიან რკინის ზოდს ჯერი-ჯერზე ამსხვრევენ, სამად აქუცმაცებენ და მერე კი ხელახლა ამთლიანებენ, წამსვე კვლავ დასაქუცმაცებლადო.

ბორბლები გაუჩერებლად ხმიანობდა, ჭლექიანივით გაძვალტყავებული ის ყმაწვილი კაცი კი ხანდახან დადუმდებოდა, ერთს სუსტად ამოიხრიალებდა, გაყუჩდებოდა და ცოტა ხანში ისევ ჩქარ-ჩქარა, სტვენა-სტვენით იწყებდა სუნთქვას, თითქოს გახვრეტილი საბურავიდან ჰაერი იპარებაო.

კირა თვრამეტი წლის იყო და პეტროგრადზე ფიქრობდა.

პეტროგრადზე ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ მსხდომნიც, ოღონდ კირა იმას კი ვერ იტყოდა, ამ ჩახუთულ ჰაერში ხმადაბლა ნასროლი ეს სიტყვები ერთ საათის, ერთი დღისა თუ სულაც, ორი კვირის განმავლობაში ესმოდა მტვრით, ოფლითა და შიშით გაჯერებულ, მოჯაყჯაყე ბინდ-ბუნდში: ეს ნამდვილად არ ახსოვდა, რადგან ყურსაც არ უგდებდა მაინცა და მაინც.

– პეტროგრადში გამხმარი თევზის მეტი არაფერი იშოვება, მოქალაქეებო.

– და კიდევ, მზესუმზირის ზეთი.

– მზესუმზირის ზეთი? მართლა?

– სტეპკა, თავის მოფხანა თუ გინდა, გასასვლელში მოიფხანე! ჩვენს კოოპერატივში კი უკვე კარტოფილსაც არიგებენ... ცოტ-ცოტა დამზრალი კია, თუმცა გემოს მაინც არა უშავს.

– მოქალაქეებო, ოდესმე ყავის მარცვლებიანი ღვეზელი თუ გაგისინჯავთ, შაქარწყლით?

– პეტროგრადში მუხლებამდე ტალახი დგასო, ასე ამბობენ.

– კოოპერატივთან სამი საათი თუ იდექი რიგში, შეიძლება მართლა შეგხვდეს რამე კბილის გასაკრავი...

– კი მაგრამ, პეტროგრადში ხომ ნეპია?! [1]

– ეგ რაღაა?

– რა, არ გაგიგიათ? როგორც ჩანს, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ვერ დაიკვეხნით...

---

[1] НЕП – რუს. აბრევიატურა: „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“.

– დიახ ამხანაგებო, პეტროგრადში ნეპია და კერძო მაღაზიები.

– ეგ კი ეგრეა, ოღონდ ვინმე სპეკულანტი თუ არა ხარ, შიმშილით გაგძვრება სული! ფულიანი მართლა შევა მაგ თქვენ კერძო მაღაზიაში და რასაც უნდა, იმას იყიდის... სავსეა იქაურობა, რა გინდა სულო და გულო! მაგრამ პატიოსან ადამიანს იქ არ შეესვლება. ეგეთები საათობით ვდგავართ კოოპერატივის წინ რიგში.

– კოოპერატივებში მარტო ფეტვს თუ აგიწონიან!

– შენ რაც გინდა ისა თქვი და ხმელ კუჭზე რისი გამკეთებელი ხარ, მარტო რწყილებს თუ დააძღობ!

– მორჩი მაგ თავის ფხანას, მოქალაქე! საუბარში კიდევ ვიღაც ჩაერთო, ზედა თაროდან: – ჩავალ თუ არა პეტროგრადში, ჯერ წიწიბურას ფაფას მივაძღები!

– ღმერთო ჩემო! – ამოიხვნეშა ბეწვისქურქიანმა ქალბატონმა.

– ნეტა ერთი ცხელ, ქაფიან აბაზანაში ჩამაწვინა და სხვა აღარაფერს დავეძებ...

– მოქალაქენო, ნაყინი თუ იყიდება პეტროგრადში? – უცებ იკითხა ლიდიამ.

– ხუთი წელია, არ მიჭამია! ნამდვილი ნაყინი, ცივცივი, სუნთქვას რომ შეგიკრავს, ისეთი...

– კი, – შეეხმიანა კირა.

– სიცივისგან მართლა შეგეკვრება სუნთქვა, თუმცა შეგიძლია ფეხს აუჩქარო, ირგვლივ კი შუქი კაშკაშებს, ლამპიონების გრძელ რიგს მიუყვები...

– რაზე ლაპარაკობ, თუ იცი? – ჰკითხა ლიდიამ.

– რაზე და პეტროგრადზე, ცხადია! – გაკვირვებულმა გამოხედა კირამ.

– მეგონა, თქვენც მაგაზე ლაპარაკობდით, პეტროგრადზე და იქაურ სიცივეზე... არა?

– არა. ისევ სადღაც სხვაგან გაგიტევია, შენებურად.

– იქაური ქუჩები გამახსენდა. დიდი ქალაქის ქუჩები, სადაც

ცხოვრება დუღს და უამრავი რამ შეიძლება მოხდეს.

– რაღაც ძალიან ხალისიანად კი ლაპარაკობ! – ცივად შენიშნა გალინა პეტროვნამ.

– დარწმუნებული ვარ, უკვე ყველა დაგვღალა ამდენმა მომხდარმა... არ გეყო, რაც რევოლუციის დროს გადავიტანეთ?

– ეგ კი, – გულსგარეთ დაეთანხმა კირა.

– რევოლუცია...

წითელხილაბანდიანმა ქალმა ფუთა გახსნა, იქიდან გამხმარი თევზის ნაჭერი ამოიღო და ზედა თაროზე მჯდომ მგზავრს ასძახა:

– ფეხებს არ გაწევდი, მოქალაქე? ჭამს აქ ხალხი. მის ნათქვამს არანაირი შედეგი არ გამოუღია, მხოლოდ ერთი კი ჩამოსძახა იმ ფეხების პატრონმა – შენ რა, ცხვირით ხო არ ჭამო...

ქალმა ლუკმა მოკბიჩა, გაბრაზებულმა იდაყვი გაკრა მის გვერდით მჯდომ ბეწვისქურქიანს და ჩაილაპარაკა:

– აბა რა, ჩვენისთანა პროლეტარებს ყველა ზემოდან გვიყურებს! ჩვენ ხომ ბეწვის ქურქებში არ დავიარებით... ოღონდ მაშინ გამხმარი თევზიც არ გვექნებოდა საჭმელად, თეთრ პურს გეახლებოდით.

– თეთრ პურსო? – ცოტა არ იყოს, დაფრთხა კიდეც ბეწვისქურქიანი ქალბატონი.

– ვიღას ახსოვს თეთრი პური, მოქალაქეებო... ჩემი ძმისშვილი წითელ არმიაშია და... რა თეთრი პური? რა ხანია, თვალითაც არ მინახავს!

– მართლა? ისე, დაგენიძლავები, შენ არც გამხმარ თევზს იკადრებ... გინდა მოგიტეხო?

– იცით... დიდი მადლობა, მოქალაქე! . სიმართლე გითხრათ, ცოტა მომშივდა კიდეც და...

– მომშივდაო? მართლა? გიცნობთ რაცა ხართ ეს ბურჟუები! ერთი სული გაქვთ, მშრომელ ადამიანს პირიდან ბოლო ლუკმა ამოაცალოთ! ოღონდ ჩემთან ეგეთები არ გაგივათ...

ვაგონში დამპალი ხის, რამდენიმე კვირა გაუხდელად ნაცვამი ტანისამოსისა და კიდევ, ვაგონის ბოლოში, გაღებული კარიდან მომავალი – როლის სუნი ტრიალებდა.

ბეწვისქურქიანი ქალბატონი წამოდგა და მორცხვად დაიძრა იქითკენ; თან ცდილობდა, ფრთხილად აევლო გვერდი გასასვლელში მწოლიარე მგზავრებისათვის.

– იქნებ გამატაროთ, მოქალაქეებო? – თავაზიანად სთხოვა გემოზე მოკალათებულ ორ ვაჟბატონს, რომელთაგან ერთი ზედ ნაგვის ყუთზე იჯდა, მეორე კი პირდაპირ ჭუჭყიან იატაკზე გაწოლილიყო.

– მობრძანდი, მოქალაქე! – თავაზიანადვე გაეპასუხა ყუთზე მჯდომი და მწოლიარეს ფეხი გაკრა, გასაღვიძებლად.

საპირფარეშოში შესულმა ბეწვისქურქიანმა ქალბატონმა, რაკი დარწმუნდა, უცხო თვალი ვეღარ დამინახავსო, ხელჩანთა გახსნა და იქიდან გაპოხილ ქაღალდში გახვეული მომცრო შეკვრა ამოაძვრინა. ძალიან არ უნდოდა, ვაგონის მგზავრებიდან ვინმეს გაეგო რომ ერთი მთელი, მოხარშული კარტოფილი შემოენახა საგზლად. ჩქარ-ჩქარა ილუკმებოდა, ნაუცბათევად, ქურდულად – თითქოსდა ყლაპვის ხმას გაიგონებდა ვინმე.

– იქიდან გამოსულს, კართან იგივე ორი კაცი დაუხვდა, მოთმინებით რომ ელოდნენ, როდის დაუბრუნდებოდა ქალი საკუთარ ადგილს, რათა თავადაც უწინდებურად მოკალათებულიყვნენ.

ღამით იქაურობას ვაგონის თავსა და ბოლოში, ორივე კარის თავზე დაკიდული, ნავთის გამურული სანათი ანათებდა – ორი ყვითლად მოციმციმე ლაქა სიბნელეში, რასაც მხოლოდ ჩამსხვრეული ფანჯრების ოთხკუთხედებში გამკრთალი ცის სირუხე აზავებდა. გათოშილი და მანეკენებივით გახევებული, მჯდომარევე ჩაძინებული მგზავრები ბორბლების დგანდგარის რიტმში ირწეოდნენ. ზოგი მათგანი ხვრინავდა კიდეც, ზოგი – კვნესოდა, თუმცა არც აღარავინ ლაპარაკობდა.

მორიგ სადგურს რომ გაივლიდნენ, ვაგონს სინათლის სხივი გადაურბენდა და ამ შუქზე წამით გაკრთებოდა ხოლმე მხრებში მოხრილი, მუხლებზე დაკრეფილ ხელებში თავჩარგული კირას სახე. სულ ბოლოს, სხივი მის ჩამოშლილ თმას ააელვარებდა წვრილ ნაპერწკლებად და მერე ისევ სიბნელე ისადგურებდა ირგვლივ.

სადღაც, მატარებლის რომელიღაც ვაგონში ჯარისკაცი აკორდეონს აკვნესებდა. რამდენიმე საათი გაბმულად იხევდა ყელს დაუღალავად, უიმედოდ, ბორბლების დგანდგარსა და მძინარე თანამგზავრების ამ ოხვრა-ხრეშაში. კაციშვილი ვერ იტყოდა, მხიარულს მღეროდა რაღაცას თუ დარდიანს, სახუმაროს თუ მართლა გულში ჩამწვდომს – ეს რევოლუციის პირველი სიმღერა გახლდათ, არსაიდან გაჩენილი, ხალისიანიც, თავაშვებულიც, ლაღიც, ბრაზიანიცა და თავხედურიც; მილიონები მღეროდნენ იგივეს, მათი ხმების გამოძახილი მოსდებოდა სწორედ მატარებლების სახურავებს, სოფლურ შარაგზებს, ჩაბნელებული ქალაქების ქვაფენილებს; ზოგ ხმაში მხიარულება უფრო მეტი მოისმოდა, ზოგში – გოდება; ადამიანები საკუთარ სადარდებელს დასცინოდნენ რევოლუციის ამ სიმღერით, რომელიც არცერთ დროშაზე არ წაეწერათ, თუმცა თითოეული ჩახეული ყელიდან კი ამოდიოდა: ვაშლო, მითხარი – საით მიგორავ?

„ვაშლო, მითხარი – საით მიგორავ? გერმანელმა თუ გიპოვა, შეგახრამუნებს... ვაშლო, მითხარი – საით მიგორავ? მე ბოლშევიკი ვარ, ჩემი გოგო კი მთლად თეთრია! მითხარი...“

კაცმა არ იცოდა, ეს რა ვაშლი იყო ასეთი, თუმცა ყველას ყველაფერი მშვენივრად ესმოდა.

ყოველ ღამით, ვაგონის კარი რამდენჯერმე იღებოდა ხმაურით – ჯერ სანათის მოცახცახე შუქი გაკვეთდა ბნელს, მერე კი ამ შუქს კვალდაკვალ მოუყვებოდა ხოლმე სამხედრო ფორმაზე დაკერებული თითბერის ბრჭყვიალა ფოლაქები, ხიშტწამოცმული შაშხანები და მკაცრხმიანი მამაკაცების ბრძანება: „თქვენი საბუთები! “ მერე სინათლის ეს სხივი ზანტად მოივლიდა მთელ ვაგონს – ერთი ბოლოდან

მეორემდე, რიგ-რიგობით ჩერდებოდა თვალებაფახულებული, აცახცახებულ ხელებში უკვე ქაღალდის ნაგლეჯებმომარჯვებული ადამიანების გაფითრებულ, შეშინებულ სახეებზე.

გალინა პეტროვნა მოჩვენებითი გულითადობით იღიმოდა და გაიძახოდა:

– სალამი, ამხანაგებო! აი, ამხანაგებო...

– ისიც სანათისკენ იწვდიდა ქაღალდის იმ ნაგლეჯს, რომელზეც სულ რამდენიმე სტრიქონი დაებეჭდათ იმის საბუთად, მოქალაქე ალექსანდრ არგუნოვს, ცოლთან და ორ ქალიშვილთან – ოცდარვა წლის ლიდიასა და თვრამეტი წლის კირასთან ერთად, პეტროგრადს გამგზავრების უფლება რომ მიეღოთ.

სანათიანი კაცი ქაღალდს დააცქერდებოდა, მერე უკან უბრუნებდა, ლიდიას გასასვლელში გამწვართულ ფეხებს გადააბიჯებდა და გზას აგრძელებდა.

ხანდახან, ამათგან რომელიმე, მაგიდასთან მიმჯდარ გოგოსაც შეავლებდა ხოლმე სწრაფ მზერას; იმას არ ეძინა და თვითონაც გაეყოლებდა თვალს. მის თვალებში შიში არ იგრძნობოდა, მათში მხოლოდ თავდაჯერება, ცნობისმოყვარეობა და მტრობა ჩაბუდებულიყო.

– მერე სანათურიანი კაცები უჩინარდებოდნენ და მატარებელსაც ხელახლა მოხდებოდა აკორდეონიანი ჯარისკაცის გოდება:

მითხარი ვაშლო საით მიგორავ? რუსეთი თავზე დაგვექცა შენ სად მიგორავ?.. ზოგჯერ ღამით, მატარებელი ჩერდებოდა, მიზეზი კი არავინ იცოდა – არ ჩანდა არც სადგური, არც სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი ირგვლივ, ამ დასალიერამდე გადაჭიმულ, თვალუწვდენელ ტრამალზე. თავსზემოთ, უშენ მიწასავით გამოცარიელებული ცა ეკიდა. რომელზეც მხოლოდ ღრუბლების რამდენიმე მუქი ლაქა მოჩანდა, მიწაზე კი ბუჩქნარის ასეთივე ჩამუქებული ლაქები მიმობნეულიყო. ერთმანეთისაგან მათ ოდნავ შესამჩნევი, წითლად მოცახცახე ზოლი ყოფდა – თითქოს შორეული ხანძრისა თუ მეხთატეხის

ათინათი.

ასეთ დროს, ვაგონების გრძელ რიგს ჩურჩულით დაუყვებოდა ხოლმე ათასნაირი ვარაუდი:

– ქვაბი აფეთქებულა!

– არა, სადღაც წინ, ხიდი ჩაიქცა... –

– მატარებელში კონტრრევოლუციონერები უპოვიათ! ახლა აქვე უპირებენ დახვრეტას, ბუჩქნარში...

– დროზე თუ არ დავიძარით... რამდენი ბანდა დათარეშობს ირგვლივ! მე თქვენ გეტყვით და...

– ამბობენ, მახნო ბოლოს სწორედ ამ მიდამოებში უნახავთო.

– იმის ხელში თუ მოვხვდით, ხომ წარმოგიდგენიათ, რაც გველოდება? კაცებს ცოცხალს არავის გაუშვებს, ქალებს კი დაიტოვებს, ოღონდ მაგას ალბათ, ისევ სიკვდილი უჯობთ...

– გეყოთ ჭორაობა, მოქალაქენო! ნუ დააფეთეთ ქალები.

პროჟექტორების შუქები ღრუბლებში დაფათურობდნენ და მყისიერადვე ქრებოდნენ; ვერავინ იტყოდა, იქვე შორიახლოს დაეყენებინათ ეს პროჟექტორები თუ სადმე მოშორებით. ვერც იმაზე გამოიდებდა ვინმე თავს, ტრამალზე შემჩნეული შავი ლაქა ცხენოსანი იყო თუ უბრალოდ, რაღაც ბუჩქი.

– მერე მატარებელი ისევე მოულოდნელად დაიძვრებოდა ხოლმე ადგილიდან, როგორც შეჩერებულიყო. ბორბლების პირველივე გაღრჭიალებას შვების ამოოხვრით ეგებებოდნენ და ყველასთვის საიდუმლოდ რჩებოდა, რას გამოეწვია ეს იძულებითი შეყოვნება.

ერთ სისხამ დილით, ვაგონში ჩქარი ნაბიჯით შემოიჭრა რამდენიმე მამაკაცი. ერთ-ერთ მათგანს გულზე წითელი ჯვრის სამკერდე ნიშანი ებნია. გარედან აღელვებული ხალხის ხმები მოისმოდა. რომელიღაც მგზავრი კვალში მიჰყვა კაცებს და როცა უკან დაბრუნდა, მისი სახის შემხედვარე, დანარჩენებიც შეშინებულნი აიბუზნენ.

– ვაგონებს შორის ვიღაც სულელი გლეხის ქალი მგზავრობდა – ძლივს ამოღერღა კაცმა.

– ფეხები კი ბუფერზე მიუბამს, არ ჩამოვვარდეო. მერე ეტყობა, დაღლილს ჩასძინებია და ქვემოთ ჩასრიალებულა... ფეხებშეკრული კი რაღას იზამდა – ვაგონებს შორის ჩავარდნილი ათრია მატარებელმა... თავი აქვს წაგლეჯილი იმ უბედურს. ნეტა არ მენახა.

შუაგზაზე, ერთ მიყრუებულ პატარა სადგურზე, სადაც მყვირალა პლაკატები კი გამოეფინათ, თუმცა ბაქნის ფიცარნაგი ერთიანად გამომპალიყო, ჯარისკაცები დაალაჯებდნენ და იმ სამგზავრო ვაგონს, რითაც არგუნოვების ოჯახი მგზავრობდა, ასე გამოუცხადეს – ამის ჩახსნა მოგვიწევსო. ვაგონებს წლობით ვეღარ ამოწმებდნენ და აღარც მათი შეკეთებისთვის სცხელოდა ვინმეს; ამიტომ, როცა უცებ ნაწილნაწილ იწყებდნენ დაშლას, ულაპარაკოდ შეელეოდნენ ხოლმე. ახლაც ასე მოხდა. მგზავრებს ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უბრძანეს – იქაურობა დაეცალათ. ახლა მხოლოდ ისედაც გადაჭედილ დანარჩენ ვაგონებში თუ გადანაწილდებოდნენ, რაც სხვათა შორის, ზოგჯერ ხერხდებოდა კიდეც...

არგუნოვებმა როგორღაც, სატვირთო ვაგონში მოახერხეს ასვლა. გალინა პეტროვნამ და ლიდიამ მადლიერების ნიშნად, მაშინვე პირჯვარი გადაიწერეს. აი, იმ მკერდჩავარდნილმა ქალმა კი ყველა თავისი შვილის დაბინავება ვერ მოახერხა: როცა მატარებელი დაიძრა ფანჯრიდან დაინახეს, როგორ ჩამომჯდარიყო ერთად მოქუჩებულ ფუთებზე – უაზრო, სასოწარკვეთილი თვალებით მიჩერებოდა მატარებელს, თან აქეთ-იქიდან მისი სახტად დარჩენილი ბავშვები ექაჩებოდნენ კაბის კალთაზე.

ვაგონების გრძელი რიგი ზანტად მიუყვებოდა ტრამალსა და ჭანჭრობებში გაყვანილ ლიანდაგს, უკან კი თეთრი ბოლის ქულები ასდევნებოდა. დამრეც, სლიპინა სახურავებზე ჯარისკაცები მიკვროდნენ ერთმანეთს. ზოგიერთი მათგანი ჩასაბერ ჰარმონიკას აჭყვიტინებდა და დანარჩენებიც ისევ იმ ვაშლზე მღეროდნენ. სიმღერა ერთხანს კვალად მისდევდათ, მერე კი თეთრ კვამლში იწრიტებოდა.

პეტროგრადში ჩასულ ყველა მატარებელს უამრავი ხალხი ხვდებოდა ხოლმე. კირა არგუნოვაც მაშინვე პირისპირ შეეჯახა ამ ბრბოს, როცა ორთქლმავალმა ბოლოჯერ ამოიხვნეშა და ერთიანად გახევდა. მოფლაშულტანსაცმლიანი ეს ხალხი უკვე ჩვევად ქცეული, უსასრულო ბრძოლის მკაცრ, არაბუნებრივ ჟინს აყოლოდა და ყველას პირქუში, ქანცგამოლეული გამომეტყველება დასდებოდა სახეზე. ხალხის ამ ზღვის გადაღმა სადგურის მაღალი, გისოსებიანი ფანჯრები მოჩანდა, უფრო იქით კი უკვე ქალაქიც ილანდებოდა.

მოუთმენელი თანამგზავრები ჯიუტად აწვებოდნენ ზურგში კირას. ვიდრე ბაქანზე ჩახტებოდა, რამდენიმე წამით შეყოყმანდა და ისე გაირინდა, თითქოს გადასადგმელი ნაბიჯის სრული მნიშვნელობა ახლაღა გაიაზრაო. მზემოკიდებულ ფეხებზე შინნაკეთი, ტყავისთასმებიანი ხის სანდლები ამოეცვა. სულ ერთი წამით, ცალი ფეხი ჰაერში გაუშეშდა, მერე სანდლის ხის ძირი ბაქნის ფიცარნაგსაც შეეხო და კირა არგუნოვაც პეტროგრადს დაუბრუნდა.

II

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! "

კირა სადგურის შიშველ კედელზე გაკეთებულ ამ პლაკატს გაჰყურებდა. ბათქაში ჩამოცვენილიყო და ალაგ-ალაგ შავი ლაქებიც აჩნდა, თითქოს კეთრი შეჰყრიაო. ზედ კი ახალთახალი, წითელი საღებავით წაეწერათ: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! ვინც ჩვენთან არა დგას, ის მტერია ჩვენი! "

ასოები ტრაფარეტით დაედოთ, თუმცა სრული სიმეტრია მაინც ვერ დაეცვათ. ზოგიერთი ასოც გაშრობამდე ჩამოღვენთილიყო და წვრილ წითელ ზოლებად მიხმობოდა კედელს.

ერთ-ერთი წარწერის ქვეშ ვიღაც ახალგაზრდა კაცი იდგა.

წყალწყალა, უფერულ თვალებზე ჩამოშლილ ქერა თმას კრავე-

ლის მოთელილი ქუდი უფარავდა. უაზროდ მიჩერებოდა ერთ წერტილს, მზესუმზირას აკნატუნებდა და ჩენჩოს პირდაპირ ქვაფენილზე აფურთხებდა, გვერდულად.

მატარებელსა და კედელს შორის, ხაკისფერ-წითლად მბრუნავმა მორევმა კირაც ჯარისკაცული მაზარების, გაუპარსავი სახეების, წითელი თავსაფრების, უხმოდ დაღებული პირებისა და ყველაფრის გადამფარავი, მაღალი გუმბათის გამოძახილით გაძლიერებული ჩექმების ბრაგაბრუგის შიგ შუაგულში ჩაითრია. დაჟანგულ ონკანებიან, ზედ ჯაჭვით ჩამოკიდულ რკინის ტოლჩიან ძველ კასრზე საგანგებოდ წაეწერათ: „ანადუღარი წყალი", უფრო ქვევით კი დიდრონი ასოებით გამოეყვანათ „ერიდე ქოლერას! არ დალიო აუდუღარი წყალი". ფერდებჩაცვენილი, გაძვალტყავებული, უპატრონო ძაღლი კუდამოძუებული დასუნსულებდა კბილის გასაკრავის პოვნის იმედით. ორი, შეიარაღებული ჯარისკაცი ბრბოში გზის გაკვლევას ცდილობდა, თან ვიღაც გლეხის ქალს მოათრევდნენ, რომელიც თავის დახსნას ცდილობდა და მოთქვამდა:

– ამხანაგებო! მე არაფერი დამიშავებია! სად მიგყავართ... ბიჭებო, რას მერჩით? ღმერთო შენ მიშველე!

სადღაც ქვევით, ფურთხსა და ტალახში, ფეხსაცმლის მოთხვრილ ლანჩებსა და ტალახმიმხმარ, ფართხუნა ქვედაკაბებს შორის, გაბმული ყმუილი ისმოდა: არც ადამიანის ხმას ჰგავდა და არც ძაღლისას – ვიღაც ქალი დაოთხილი ცდილობდა გარღვეული ტომრიდან გამოპნეული ფეტვის მობოჭვას, სიმწრისაგან ღმუოდა და ფეტვის მარცვლებსაც, მზესუმზირის ჩენჩოსაც და ნამწვავებსაც ალალბედზე, განურჩევლად ხვეტდა თავისკენ ორივე ხელით.

კირამ მაღალ ფანჯრებს გახედა. უცებ, ქუჩის მხრიდან ძველი, ნაცნობი ხმიანობა მოესმა: სადღაც ტრამვაიმ ჩაიხრიგინა ზარის წკარუნ-წკარუნით. ამის გაგონებაზე, ჩაეღიმა.

კართან, რომელზეც ისევ ისე, წითელი ასოებით ეწერა,,კომენ-

დანტი", პირტიტველა ჯარისკაცი დაეყენებინათ გუშაგად. კირამ ბიჭი შეათვალიერა – მკაცრად იმზირებოდა, შიშისმომგვრელად და თვალები იმ გამოქვაბულს მიუგავდა, სადაც ცივი, მრუმე კამარების ქვეშ, ჭრაქის ოდნავ მბჟუტავი ალი ციმციმებდა; მის მზედაკრული სახის ნაკვთებს, შაშხანაჩაბღუჯულ ხელებსა და შეხსნილსაყელოიან კისერს რაღაცნაირი, უაზრო სიმამაცის კვალი აჩნდა. კირას ის მაშინვე მოეწონა, თვალი თვალში გაუყარა და გაუღიმა. ასე ეგონა, ბიჭიც გამიგებს – მიხვდება, ჩემს ცხოვრებაში ახლა ახალი, დიდი თავგადასავალი რომ იწყებაო.

არადა, ჯარისკაცმა ცივად, გულგრილად, სასხვათაშორისოდ გამოხედა ერთადერთხელ. კირამაც ცოტა არ იყოს, გულნატკენმა შეაქცია ზურგი, ოღონდ თავადაც ვერ იტყოდა, სხვას მაინც რას ელოდა მისგან.

ჯარისკაცმა კი მხოლოდ ის შეამჩნია, რომ ამ უცნობ, ბავშვის ნაქსოვქუდიან გოგოს ძალზე უცნაური თვალები ჰქონდა და კიდევ ის, რომ თხელ პალტოშემოცმულს, არც აზღუდი არ ეკეთა, ოღონდ ამ ამბავს სრულებითაც არ შეუცბუნებია.

– კირა! – სადგურის რია-რია გალინა პეტროვნას ძახილმა გადაფარა.

– კირა! სად დაბორიალობ? ფუთები რა უყავი, დაკარგე?

კირა საბარგო ვაგონთან დაბრუნდა, სადაც მისი ოჯახის წევრები თავიანთ ბარგი-ბარხანას დასტრიალებდნენ. სულ გადავიწყნოდა სამი ფუთა მას რომ ებარა, რადგან მტვირთავების დაქირავება ახლა მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა არგუნოვებისათვის. გალინა პეტროვნა სწორედ აბეზარ მტვირთავებს იგერიებდა – ჯარისკაცის ნახმარ ფარაჯებში გამოხვეულ ამ ვირგლა უსაქმურებს, დაუკითხავად რომ ეპოტინებოდნენ მათ ნივთებს, გასამრჯელოს იმედით.

აი ასე, საკუთარი ქონების მწირი მონარჩენებით მკლავებდაწყვეტილები დაუბრუნდნენ არგუნოვები მშობლიურ პეტროგრადს.

სადგურის მთავარ შესასვლელს მოვარაყებული ნამგალი და ურო

ამშვენებდა. აქეთ-იქიდან, ორი პლაკატიც გაეკრათ. ერთ-ერთ მათ-განზე გოლიათური აღნაგობის მუშა, თავისი ვეება ტერფით ჭყლეტ-და თითისტოლა სრა-სასახლეებს, ზეაწეული, უმი ხორცივით შეწით-ლებული, დაკუნთული მარჯვენით კი მისივე ხელისფერ მზეს ესალ-მებოდა. მზის თავზე წარწერა ციალებდა: „ამხანაგებო! ჩვენ ახალი ცხოვრების მშენებლები ვართ! "

მეორე პლაკატის ერთიანად შავ ფონზე, ვეება თეთრი ტილი ეხა-ტა და წითელი ასოებით ეწერა: „ტილი დაავადების გადამტანია! ამ-ხანაგებო, დავირაზმოთ ტიფის დასამარცხებლად! "

ირგვლივ ყველა სხვა სუნს კარბოლმჟავის ყროლი ახშობდა: სად-გურის შენობას დეზინფექცია უტარდებოდა ყველა იმ დაავადების საწინააღმდეგოდ, თითოეულ მატარებელს რომ ჩამოჰქონდა თან ქა-ლაქში. თითქოს საავადმყოფოს ფანჯრებიდან გამოვარდნილი ეს უსიამო სუნი ახლა გაფრთხილებასა თუ ავბედით შეხსენებასავით ეკიდა ჰაერში.

პეტროგრადში მატარებლით ჩამოსული, თავიდან ზნამენსკის მო-ედანზე გადიოდა ხოლმე, ოღონდ ახლა, მაღალ ბოძზე მიმაგრებული აბრა იუწყებოდა, რომ დასახელება შეეცვალათ და იქაურობა „ამბო-ხების მოედნად" მოენათლათ. სახით სადგურისკენ, ალექსანდრე III-ის ვეება, რუხი ქანდაკება იდგა, რომლის უკანაც ნაცრისფრად მო-ჩანდა სასტუმროს შენობა, ნაცრისფერივე ცის ფონზე. ჯერ მაგრად არ წვიმდა, თუმცა დროდადრო, ხანგრძლივი შუალედებით, ციდან მაინც ცვიოდა ზარმაცი წვეთები – თითქოს ზეცაც დაფხავებულიყო და ისევე ესაჭიროებოდა შეკეთება, როგორც ქუჩის ძირგამომპალ ფიცარნაგს, რომლის ჩამუქებულ გუბეებშიც შიგადაშიგ ვერცხლის-ფრად იელვებდა ხოლმე წვიმის წვეთები.

ორთვალა ეტლების აქანავებულ-ატორტმანებული სახურავები ლაქწასმული ტყავისაგან დამზადებულებს ჰგავდა, ხოლო ბორბლე-ბი მშიერი ცხოველებივით, თქვლეფა-თქვლეფით ხვრეპდნენ ტა-

ლახს. ძველი შენობები დაკეტილი მაღაზიების ჩამკვდარი თვალებით მიჩერებოდნენ მოედანს – მათი ვიტრინებიდან, როგორც ჩანს, უკვე კარგა ხანია აღარავის გამოეხვეტა დაჭმუჭნული გაზეთები და არც აბლაბუდის ქსელებისთვის ეხლო ვინმეს ხელი.

თუმცა, ერთ-ერთ მაღაზიაზე მაინც დაემაგრებინათ მუყაოს აბრა: „სასურსათო ცენტრი". მის წინ გაჭიმული რიგი შენობის კუთხემდე აღწევდა და უფრო იქითაც კი გრძელდებოდა; იქ მდგარ ადამიანებს წვიმის წყლით გაჟღენთოდათ ფეხსაცმელი, ხელები წითლად დაშაშროდათ, მობუზულიყვნენ და საყელოები ბოლომდე აეწიათ, ოღონდ ვერც ეს შველოდათ წვიმის აბეზარი წვეთებისაგან თავდასაცავად, მაინც ჯიუტად რომ ჩასდიოდათ კისერში.

– ესეც ასე, – თქვა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– დავბრუნდით შინ.

– მერე, მაგას რა სჯობია! – წამოიძახა კირამ.

– ყელამდე ტალახი დგას, როგორც ყოველთვის, – ჩაილაპარაკა ლიდიამ.

– ძვირი კია, მაგრამ ეტლი დაგვჭირდება, – თქვა გალინა პეტროვნამ.

ეტლში ძლივს ჩაეტიენ; კირას ერთად მოქუჩებულ ფუთებზე მოუწია შემოჯდომა. ცხენმა ისე ღონივრად გაიწია, კირას ფეხებზე ტალახი შემოასხა და ნევას გამზირისკენ დააღირა თავი.

გრძელი, ფართო, ლარივით გაჭიმული ეს ქუჩა ქალაქის ხერხემალივით გაწოლილიყო მათ თვალწინ. შორს, ნაცრისფერ ნისლში, სუსტად ბრწყინავდა საადმირალოს ჩამოქნილი, ოქროს შპილი, როგორც საზეიმო მისალმების ნიშნად ცისკენ აწვდილი გრძელი მარჯვენა.

პეტროგრადს რევოლუციის ხუთი წელი გადაეტანა. პირველი ოთხის განმავლობაში, ზედიზედ გადაიკეტა ქალაქის მკვებავი ყველა სასიცოცხლო არტერია და ყველა სავაჭრო დაწესებულებაც და-

იხურა, რასაც ნაციონალიზაციას შედეგად, ყოველი მათგანის ვიტრინების გამოცარიელება და მტვრითა თუ აბლაბუდით დაფარვა მოჰყვა. აი, მეხუთე წელმა კი ნელ-ნელა შეცვალა ვითარება – ვიტრინებიც დაასუფთავეს, ცოცხი და ჩვარი გამოუსვეს, გაჩნდა ახალი წარწერები, გამოჩნდნენ ახალი მეპატრონეებიც, რამდენადაც სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა „დროებით დათმობას" გულისხმობდა – იმის შესაძლებლობას, ალაგ-ალაგ, ხელახლა გაეხსნათ პატარ-პატარა კერძო მაღაზიები.

ხანგრძლივი ძილის შემდეგ, ნევას გამზირი ნელ-ნელა ახელდა თვალებს, რომელთაც ჯერ მაინც უჭირდათ სინათლესთან შეგუება, მაგრამ მერე გათამამდნენ და მოუთმენლად, ეჭვით, ერთგვარი სიფრთხილითაც კი მიაჩერდნენ ამ ახალ სინამდვილეს. ახლანდელი, მუყაოს აბრები ჭყეტელა, აცა-ბაცად ნაწერი, არათანაბარი ასოებით გამოირჩეოდა, მაშინ როცა ძველები უფრო იმ ადამიანთა მარმარილოში ნაკვეთ მოსაგონარს წააგავდა, კარგა ხნის წინ რომ გამქრალიყვნენ უკვალოდ. მოოქროვილი ასოებიც გარდასულ სახელებსა და გვარებს აცოცხლებდა ამჟამინდელი მეპატრონეების ვიტრინებზე, მათ შუშებს კი ჯერაც აჩნდა ბზარები თუ ნატყვიარები. არსებობდა უაბრებო სავაჭროებიც და აბრებიც შესაბამისი სავაჭროს გარეშე, თუმცა ამგვარი ვიტრინების, უამრავი ჩაკეტილი კარის, აგურის, ფიცრისა თუ დამსკდარი ბათქაშის გარდა, ქალაქს სხვადასხვა ფერის ნაკუწებისაგან შეკერილი საბნის მსგავსი, ასევე ფერადოვანი სხვა შესამოსელიც მოერგო: აქა-იქ, წითელი პერანგებისა თუ ყვითელი ხორბლის ყიდვის მსურველთა მისაზიდი აბრები ხვდებოდა თვალს; სხვებზე – ალისფერი ალმები, ლურჯი ბორბლები, მეწამული თავშალები, რუხი ტრაქტორები თუ ჟანგისფერი მილები გამოესახათ. მერე და მერე, ეს მუყაოს აბრები წვიმამ დაალბო, გაცრიცა და მათ ქვეშ, ფენა-ფენა ძველებიც გამოაჩინა სამზეოზე – უკვე ყავლგასულები და სრულიად უვნებელნი, ისინიც ათასფერ ობივით ედებოდნენ მთელ ქალაქს.

ქუჩის კუთხეში, მორცხვად აწურული დედაბერი შინგამომცხვარ ნაზუქებს ყიდდა, ოღონდ ხალხი აჩქარებული მიდი-მოდიოდა აქეთ-იქით, არავინ უჩერდებოდა. „პრავდა! კრასნაია გაზეტა! ახალი ამ-ბები, მოქალაქეებო! “ – გაიძახოდა ვიღაც. „სახარინი, მოქალაქენო! “ – მოისმოდა ახლა სხვა მხრიდან, ვიღაც კი იაფად სთავაზობდა მუშ-ტარს სანთებელების ქვებს. ატალახებული ქვაფენილი ერთიანად მეზუმზირის ჩენჩოთი იყო მოფენილი. ყოველი სახლიდან უკვე ნაავ-დრალი, ფერგადასული, ერთ დროს წითელი დროშები გადმოეფი-ნათ, რომლებიდანაც ახლა პატარ-პატარა, მოვარდისფრო წვეთებად იწრიტებოდა წვიმის წყალი.

– იმედია, მარუსიას ჩვენი დანახვა გაუხარდება, – თქვა გალინა პეტროვნამ.

– ნეტა, მაგათ მაინც რა ბედი ეწიათ? – ჩაილაპარაკა ლიდიამ.

– ცალი თვალით მაინც დამანახა ერთი, რა შერჩათ ძველი ქონე-ბიდან! – მხარი აუბა გალინა პეტროვნამ.

– ალბათ, ბევრიც არაფერი. დიდი ეჭვი მაქვს, ეგენიც ჩვენსავით მშრალზე დარჩებოდნენ.

– რომც გადაერჩინათ რამე, – ამოიოხრა ალექსანდრ დიმიტრიე-ვიჩმა.

– ახლა მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს...

– არც არაფერი, – დაეთანხმა ცოლი.

– ისე ვთქვი, უბრალოდ.

– ასეა თუ ისე, ჯერ-ჯერობით არც ჩვენ ვითვლებით ღარიბ ნა-თესავებად, – ამაყად გამოაცხადა ლიდიამ და ისე აიწია კაბის ბო-ლო, მომწვანო-ზეთისხილისფერი, თასმებიანი, მაღალყელიანი ფეხ-საცმელი რომ გამოეჩინა.

ქუჩის თვალიერებით გართული კირა თავისიანების საუბარს არ უსმენდა.

მალე ეტლიც სწორედ იმ სახლთან გაჩერდა, სადაც არგუნოვებმა

ბოლოჯერ მოინახულეს დუნაევები იმათ შესანიშნავ ბინაში. სადარ-ბაზო კარის ერთ ნახევარს ჯერაც ამშვენებდა ვეება, ოთხკუთხა, სარკისებური შუშა, მეორე კი ნაჩქარევად აეჭედათ გაურანდავი ფიცრებით.

როგორც გალინა პეტროვნას ახსოვდა, ადრე ამ სახლის ფართო წინკარში რბილი ხალიჩა ეფინა და იქაურობას ხელით ნაჩუქურთმე-ვი ბუხარიც ამშვენებდა. ახლა ნოხი აღარსად ჩანდა, მხოლოდ ბუხა-რიღა დარჩენილიყო, თუმცა მისი დამამშვენებელი, მარმარილოს კუპიდონების თეთრ მუცლებზე რაღაც უხამსი წარწერები ამოეკაწ-რათ, ბუხრის თავზე დაკიდულ სარკეს კი კუთხიდან კუთხამდე გას-დევდა გრძელი ბზარი.

კიბის ქვეშ გამართული ხუხულადან მეეზოვემ გამოყო ნამძინა-რევი სახე და მერე გულგრილადვე შემალა უკან.

არგუნოვები კიბეს აუყვნენ, თავიანთი ბარგი-ბარხანიანად. მერე ტყავაკრულ კართან შეჩერდნენ. შავი, ხელოვნური ტყავი დამსკდა-რიყო და იქიდან ჭუჭყიანი ბამბის რუხ ფთილებს გამოეყოთ ალაგ-ალაგ თავი.

– ნეტა ის მედიდური ლაქია კიდევ ჰყავთ? – ჩაიჩურჩულა ლიდი-ამ. გალინა პეტროვნამ ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

კარსიქით ნაბიჯების ხმა მოისმა, გასაღებიც გადაატრიალეს სა-კეტში. კარი ფრთხილად, სანახევროდ გაიღო, თუმცა ჯაჭვის ახსნა არც უფიქრიათ. ვიწრო ღიობში ვიღაც ჭაღარათმიანი, მოხუცი ქა-ლის სახე გამოჩნდა; ქალს ჭუჭყიანი პირსახოცი წინსაფარივით შე-მოეხვია წელზე, ცალი ფეხი კი მამაკაცის ფლოსტში წაეყო. უხმოდ გაჩერდა მოსულებს, მტრული დაჟინებით და აშკარად ეტყობოდა არის ბოლომდე გაღების არანაირი სურვილი არ უნდა ჰქონოდა.

– მარია პეტროვნა შინაა? – ცოტა არ იყოს, არაბუნებრივი ხმით იკითხა გალინა პეტროვნამ.

– და ვინ კითხულობს? – ჩაუჩლიფინა უკბილო დედაბერმა.

– მისი და გახლავართ, გალინა პეტროვნა არგუნოვა...

ქალს მისთვის არაფერი უპასუხია, ზურგი შეაქცია და ვიღაცას გასძახა:

– მარია პეტროვნა, აქ მთელი ბრბო მოგვადგა კარზე! ერთი ამ-ბობს, მისი და ვარო!

სახლის სიღრმიდან ჯერ ხველა მოისმა, მერე ნელი ნაბიჯების ხმა, ცოტა ხანში კი დედაბრის მხარსზემოდან გაფითრებულმა სახემ გამოიჭყიტა და ამას უკვე შეკავებული წამოძახილიც მოჰყვა:

– ღმერთო დიდებულო!

კარი ახლა ბოლომდე მოფრიალდა. გალინა პეტროვნას ორი გამ-ხდარი ხელი მოეხვია და მერე მკერდზე მიიკრა.

– გალინა! საყვარელო! მართლა შენა ხარ?!

– მარუსია! – გალინა პეტროვნამ ტუჩებზე დის მობოშებული ლოყების შესანიღბად, უხვად ნახმარი ფერუმარილის გემო იგრძნო, ცხვირში კი მარუსიას შეთხელებულ, გამყიფებულ თმაზე ნაპკური იაფფასიანი სუნამოს სურნელმა შეუღიტინა, რატომღაც ვანილი რომ გაახსენა მაშინვე.

მარია პეტროვნა მუდამ ოჯახის თვალისჩინად მიიჩნეოდა – ასე ვთქვათ, იმ ნაზ, ნებიერ არსებად, ვინც ზამთრობით ქმარს სულ ხელ-ში ატატებული მიჰყავდა ხოლმე სახლის სადარბაზოდან – ეტლამდე. ახლა კი ის გალინა პეტროვნაზე ასაკოვნად გამოიყურებოდა: კანზე გასარეცხი თეთრეულის ფერი დასდებოდა, აღარც უწინდელი ალის-ფერი ეტყობოდა ტუჩებზე, მხოლოდ თვალის თეთრი გარსი ჩაწით-ლებოდა მეტისმეტად.

მის ზურგსუკან კარი მოფრიალდა და იქიდან ვიღაც მაღალი, ჩა-მოქნილი, თმაგაშლილი და ავტომობილის ფარებივით თვალებმო-ელვარე გამოიჭრა მათკენ; გალინა პეტროვნამ მაშინვე იცნო ირინა, თავისი დისშვილი, თვრამეტი წლის გოგო, რომელსაც მზერა ოც-დარვა წლის ქალისა გახდომოდა, ოღონდ რვა წლის ბავშვივით გუ-ლიანად კი იცინოდა ხოლმე. უკან აუჩქარებლად მოჰყვებოდა მისი უმცროსი დაც, ასია; ის ღია კარში აიტუზა რაღაც უხერხულად და

პირქუშად მიაჩერდა სტუმრებს. ასია ჯერ მხოლოდ რვა წლისა გახლდათ, ეტყობოდა რომ კარგა ხანია თმა არ შეეჭრა და ბაფთაც მხოლოდ ცალ ნაწნავზე ეკეთა.

გალინა პეტროვნამ დისშვილები ჩაკოცნა, მერე ფეხისწვერებზე აიწია და სიძეს, ვასილი ივანოვიჩსაც ეამბორა ლოყაზე. ცდილობდა, მისთვის სახეში არ შეეხედა: სიძეს ხშირი, ჯაგარა თმა გაჭაღარავებოდა და ეს ტანადი, გოროზი მამაკაციც აშკარად მოტეხილიყო. გალინა პეტროვნას გული ჩაწყდა – საადმირალოს წელში გაღუნული შპილის დანახვაც კი ვერ დაადარდიანებდა ასე.

– საერთოდ, ვასილი ივანოვიჩი სიტყვაძუნწი კაცი გახლდათ და ამჯერადაც მხოლოდ ის იკითხა – ნუთუ ეს ჩემი ძველი პატარა მეგობარი კირაააო; თუმცა შეკითხვა ნებისმიერ კოცნაზე უფრო გულთბილი გამოვიდა.

ჩაცვენილი თვალები იმ ბუხარს მიუგავდა, რომელშიც ბოლო, მბჟუტავი ნაკვერჩხალი უმწეოდ ებრძვის მიმქრალ ნაცარს.

– სამწუხაროდ, ვიქტორი შინ არაა, ინსტიტუტშია. თავს იკლავს სწავლით.

– დაამატა მერე და ვაჟიშვილის სახელის წარმოთქმამ იმ უცაბედად მობერილ ნიავივით იმოქმედა, წამით ახალი ძალა რომ შესძინა ბუხარში მინავლებულ ცეცხლს.

რევოლუციამდე ვასილი ივანოვიჩ დუნაევი ბეწვეულით ვაჭრობდა და ერთობ სარფიანადაც. სულ თავიდან ციმბირის უღრანებში მონადირეობით დაეწყო – ერთი თოფის, წყვილი თექურისა და იმ თავისი ორი ხელის იმედად, მოზვერის ატატება რომ არ გაუჭირდებოდათ. დათვის დატორილს, თეძოზე ნაიარევიც დარჩენოდა. ერთხელ, თოვლში ჩამარხულსაც მიაგნეს ბედზე, რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, თუმცა მაშინ ისეთი იშვიათი სიასამური ჩაებღუჯა ღონიერი ხელებით, მის მპოვნელ, შეშინებულ ციმბირელ გლეხებს მანამდე ცხოვრებაში არასოდეს რომ არ ენახათ. ათი წელი ისე გავი-

და, ნათესავებს მისი ამბავი არ გაუგონიათ. მერე, როცა კვლავ სანკტპეტერბურგში დაბრუნდა, იმგვარი სავაჭრო გახსნა, იმავე ნათესავებს მარტო კარის სახელურებზე დარჩებოდათ თვალი. საკუთარ ეტლში შესაბმელი სამი ცხენი კი ვერცხლის ნალებით დაჭედა და მერე ამ თავის ეტლსაც ამაყად დააქროლებდა ნევას გამზირზე.

სწორედ მისი მონადირებული გახლდათ ყველა ის ყარყუმი, რომელთა ბეწვმოვლებული ქობები მეფის სასახლის მარმარილოს კიბეებზე დაშარიშურობდა და ან თუნდაც წაულას ის მოსასხამები, ამღენი ბანოვანის თეთრ, მარმარილოსავით ქათქათა მხრებს რომ ამშვენებდა. მათი ყოველი ღერი საკუთარი კუნთების ძალისა და უსასრულო, თოში ციმბირული ღამეების თეთრად გათენების ფასად იყო მოპოვებული.

სამოცი წლის ასაკშიც, თავისივე თოფის ლულასავით გამართული დაიარებოდა და სულიც გარეგანი იერივით უდრეკი შერჩენოდა.

მერე, როცა უკვე სასადილო ოთახში მაგიდას მიუსხდნენ და გალინა პეტროვნამაც წიწიბურას ცხელ-ცხელი ფაფის პირველი კოვზი მიიტანა ტუჩებთან, მაინც გაექცა ფარული მზერა ვასილი ივანოვიჩისაკენ. აშკარად შეხედვას ვერ ბედავდა, თუმცა მაინც თვალში მოხვდა იმისი მოხრილი მხრები და გაიფიქრა – ნეტა, სულიერადაც თუ გატყდაო.

– იქაურობას არაერთი ცვლილება ემჩნეოდა. აღარც თვითონ ეჭირა ახლა ხელში ის ვერცხლის მონოგრამიანი კოვზი, ასე ცხადად რომ შემორჩენოდა მახსოვრობას. უკვე მძიმე, უბრალო ლითონის კოვზით შეექცეოდა ფაფას, რაც საჭმელსაც რაღაც უცნაურ, რკინის გემოს აძლევდა. აღარსად ჩანდა აღარც კარადაზე შემოდგმული ხილის დასაწყობი ვეება, ბროლისა თუ ვერცხლის ლანგრები – ახლა მათი ადგილი ერთადერთ და ისიც, თიხის დოქს დაეკავებინა. კედლებს კი ნახატების ადგილას, მხოლოდ დიდრონი, ჟანგიანი ლურსმნებიღა შემორჩენოდა.

– მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი მარია პეტროვნა ჩქარ-

ჩარა, აღგზნებული ლაპარაკობდა, გაუთავებლად და ნებისმიერი წვეულების ერთბაშად მომნუსხავი, ნებიერი, საყვარლად ჭირვეული არსების მხოლოდღა რაღაც კარიკატურას დამსგავსებოდა. თან შიგადაშიგ, ისეთ სიტყვებს წამოისროდა ხოლმე, რომელთა მნიშვნელობაც გალინა პეტროვნას საერთოდ არც ესმოდა. სწორედ ეს სიტყვები ქცეულიყო ახლა განშორების წლების ერთგვარ ნიშანსვეტებად და ამ ხნის მანძილზე მომხდარის ერთგვარ სიმბოლოებად.

– სასურსათო ბარათებს მარტო საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებს ურიგებენ და კიდევ, სტუდენტებს. ჩვენ მხოლოდ ორი ბარათი გვერგო. მთელ ოჯახზე – სულ ორი! როგორი საქმეა? ვიქტორს ინსტიტუტში მისცეს, ირინას – სამხატვრო აკადემიაში. მე უმუშევარი ვარ და არც ბარათი მეკუთვნის, ვასილი კი...

უცებ ენას კბილი დააჭირა, თითქოს ნებაზე მიშვებულმა სიტყვებმა მეტისმეტად შორს გაიტყუაო. მალულად გახედა ქმარს, შიშნარევი მოწიწებით. ვასილი ივანოვიჩი თავის მათლაფას დასცქეროდა და არაფერი უთქვამს.

მარია პეტროვნამ თეატრალურად აიქნია ხელები: 1.

– მძიმე დროება დაგვიდგა, ღმერთო შენ გვიშველე! ძალიან მძიმე. გალინა, ლილია სავინსკაია ხომ გახსოვს – აი ის, მარგალიტის გარდა, სხვა არანაირ სამკაულს რომ არ ცნობდა? მოკვდა საცოდავი. ათას ცხრაას ცხრამეტში. თან რა უბედურად – რამდენიმე დღე საჭმელი არაფერი ჰქონდათ, იმის ქმარი ქუჩაში შეესწრო, როგორ დაეცა და როგორ გაფშიკა ფეხები ვიღაცის ნაშიმშილებმა ცხენმა;

მაშინვე მთელი ბრბო მისევია, სულ ნაწილ-ნაწილ დაფლეთიათ და ლილიას ქმარსაც რგებია ცოტაოდენი. წამოუღია სახლში, შეუწვავთ და უჭამიათ... მაგრამ ორივე ისე მოიწამლა, ეტყობა იმ ცხენის სიკვდილის მიზეზი მთლად მარტო შიმშილი არ ყოფილა. ექიმებმა კაცის გადარჩენა კი მოახერხეს, მაგრამ ლილიას ვეღარაფერი უშველეს. რა თქმა უნდა, ათას ცხრაას თვრამეტში დაკარგეს ყველაფერი – ლილიას ქმარსაც სწორედ იმ დღეს წაართვეს შაქრის ფაბრიკა,

როცა ჩვენ – ბეწვეულის მაღაზია...

– ისევ გაკმინდა ხმა, და მერე, ქუთუთოებათრთოლებულმა, ვასილი ივანოვიჩს გახედა. მას არც ამჯერად უთქვამს რამე.

– კიდე მინდა, – გაბრაზებული ხმით მოითხოვა ფაფის დამატება პატარა ასიამ.

– კირა – მაგიდის ბოლოდან ისე, ვითომც ძაან ხალისიანად გამოსძახა ირინამ, თითქოს აქამდე ნათქვამის გაბიაბრუება უნდაო.

– ყირიმში ალბათ, ახალ ხილს ყოველდღე ჭამდით, არა?

– კი, ცოტ-ცოტას.

– გულგრილად მიუგო კირამ.

– ვგიჟდები, ისე მენატრება ყურძენი! . მესიზმრება კიდეც... შენ არ გიყვარს?

– მე არც ვიცი ხოლმე, რას ვჭამ, – თქვა კირამ.

– რა თქმა უნდა, ლილია სავინსკაიას ქმარს ახლა სამსახური აქვს.

– ისევ საჩქაროდ თავის ხელში აიღო საუბრის სადავეები მარია პეტროვნამ.

– რომელიღაც საბჭოთა დაწესებულებაში მოეწყო. ასე რომ, ზოგი მაინც ახერხებს სამსახურის შოვნას.

ახლა უკვე დაუფარავად მიაჩერდა ვასილი ივანოვიჩს, აბა ერთი ამაზე რას იტყვისო. თუმცა ის კვლავინდებურად დუმდა.

– ჩვენი... ის ჩვენი ძველი სახლი რა მდგომარეობაშია? – მორიდებით იკითხა გალინა პეტროვნამ.

– თქვენი სახლი? კამენნოოსტროვსკიზე? მაგაზე აღარც იფიქრო. ახლა იქ ვიღაც მხატვარი-პლაკატისტი ჩასახლდა, ნამდვილი პროლეტარი. ღმერთმა იცის, თქვენ სად მოახერხებთ დაბინავებას, გალინა! უპატრონო ძაღლებივით მომრავლდა ქალაქში ხალხი.

– ისიც ხომ არ იცით...

– ყოყმანით წამოიწყო ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– ყური მაინც ხომ არ მოგიკრავთ, ჩემს ფაბრიკას რა ბედი ეწია?

– დახურეს, – უცებ მიახალა ვასილი ივანოვიჩმა.

– სად ჰქონდათ იმის მიხედვის თავი. ადგნენ და დახურეს, როგორც სხვა ყველაფერი.

მარია პეტროვნამ ჩაახველა.

– რამდენი საზრუნავი მოგემატა, გალინა! რამდენი გაწამაწია გელოდება! გოგოები სწავლობენ? და კვების ბარათებისას რას აპირებთ?

– კი მაგრამ, მე მეგონა – ნეპიო, ცვლილებებიო... აკი კერძო მაღაზიებიც გაიხსნა? – კი, ეგრეა... ნეპი კი შემოიღეს და მაგ ახალი ეკონომიკური პოლიტიკით კერძო მაღაზიების გახსნაც დაშვებულია, მაგრამ იქ რაიმეს საყიდელი ფული სად გინდა იშოვო? ათჯერ ძვირი ღირს ყველაფერი, სასურსათო კოოპერატივებთან შედარებით... რომ იცოდე, მე პირადად ჯერ მაგ კერძო მაღაზიაში ფეხიც არ შემიდგამს! მეტისმეტი ფუფუნებაა ჩვენთვის და მარტო ჩვენთვის კი არა, უმრავლესობისათვის. რამდენი წელია, თეატრშიც კი აღარ ვყოფილვარ... მარტო ერთხელ წამიყვანა ვიქტორმა რაღაც წარმოდგენაზე. აი, ვასილის კი ქუდიც რომ შეუგდო, იქ შემსვლელი არაა.

– ეგ რატომ ვითომ?

ვასილი ივანოვიჩმა თავი აიღო, მკაცრი მზერა მოავლო მაგიდასთან მსხდომ სანათესაოს და მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა:

– როცა შენი ქვეყანა სულს ღაფავს, გართობა დაუშვებელი უპასუხისმგებლობაა! მე დღეს საკუთარ სამშობლოს ვგლოვობ.

– ლიდია, – ისევ თავისებურად ხალისიანად იკითხა ირინამ.

– შეყვარებული არა ხარ?

– მე ეგეთ უხამს შეკითხვებზე პასუხს არ ვიძლევი, – მიუგო ლიდიამ.

– რას გეტყვი იცი, გალინა? – სასწრაფოდ საუბარში ჩაერთო მარია პეტროვნა; ლუკმა გადასცდა, ისევ ხველა აუტყდა და სული რომ მოიბრუნა, მერეღა გააგრძელა: ერთ კარგ რჩევას მოგცემთ – ალექსანდრმა რამე სამსახური უნდა იშოვოს.

გალინა პეტროვნა ისე უცებ გასწორდა წელში, თითქოს სილა გააწნესო:

– საბჭოთა დაწესებულებაში? – აბა, ახლა სხვა არც არსებობს...

– სანამ პირში სული მიდგას, ეგ არ მოხდება, – შეუვალი სიმტკიცით განაცხადა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

ვასილი ივანოვიჩმა ხმაურით დააგდო კოვზი მათლაფაზე. მერე უსიტყვოდ, გოროზად გაიწვდინა მარჯვენა ალექსანდრ დიმიტრიევიჩისაკენ, გრძნობით ჩამოართვა ხელი და მერე ბრაზიანი მზერა სტყორცნა მარია პეტროვნას. ის შეცბა, დამფრთხალმა პირში იტაცა ფაფიანი კოვზი და ამჯერადაც ხველა აუტყდა.

– შენზე ხომ არაფერს ვამბობ, ვასილი, – დამორცხვებული მიუბრუნდა ქმარს.

– ვიცი, ამ გადაწყვეტილებას არც ახლა მიწონებ და არც მერე როდისმე... ოღონდ პურის ბარათები ხომ თავისით არ ჩაუვარდებათ ხელში! საბჭოთა მოხელეებს კი ზოგჯერ ღორის ქონსა და შაქარსაც ურიგებენ...

– უმალ შენ დაქვრივდები, მარუსია, – დინჯად ჩაილაპარაკა ვასილი ივანოვიჩმა.

– ვიდრე მე გავხდები საბჭოთა მოსამსახურე!

– მე იმას კი არ ვამბობ, ვასილი...

– კარგი, ნუ ღელავ, დაწყნარდი... გავიტანთ როგორმე თავს. აქამდე ხომ ვახერხებდით. გასაყიდი ჯერაც ბევრი გვაქვს.

გალინა პეტროვნამ ჯერ კედლებზე შერჩენილ ლურსმნებს გახედა, მერე საკუთარი დის ხელებს – იშვიათად თლილ თითებს, ამდენ მხატვარს რომ დაეხატა და მავან პოეტს ლექსიც კი ეძღვნა სათაურით „შამპანური და მარიას თითები...“ ახლა სიცივისაგან დაშაშრულ ამ ხელებს მუქ-მეწამული ფერი დასდებოდა, შეშუპებოდა და კანიც დასკდომოდა. არადა, მარია პეტროვნა მუდამ მშვენივრად აცნობიერებდა მათ გამორჩეულობას და არც ის ეშლებოდა, მუდმივად

როგორ წარმოეჩინა, როგორ მოეხმარა ეს განძი; ეს თითქოს ჩვევადაც კი გადაქცეოდა, რომლის უსარგებლობაც გალინა პეტროვნას ახლა მტკივნეულად ეცა თვალში და ამ ხელების ნატიფი, სალუქი მოძრაობა გარემოსთან კიდევ ერთ შეუსაბამობად ეჩვენებოდა.

– მოულოდნელად, ვასილი ივანოვიჩი ალაპარაკდა. ზოგადად, გრძნობების გამოხატვისაგან თავს იკავებდა ხოლმე, მაგრამ ეს ერთი თემა იმდენად ხვდებოდა გულზე, სიტყვის მოზომვასაც აღარ დაგიდევდათ:

– ეს ყველაფერი დროებითია. ძალიან იოლად დაკარგეთ რწმენა და სწორედ ეგაა ჩვენი უხერხემლო, მოწუწუნე, უილაჯო, ენაწაგდებული, უგუნური, უმაქნისი ინტელიგენციის უბედურება! ამან მიგვიყვანა აქამდე – აღარც რწმენა, აღარც ნება, ძარღვებშივე გაწყალებული სისხლი! როგორ ფიქრობთ, დიდხანს გაგრძელდება ეს?! მოკვდა უკვე რუსეთი? ან ევროპა გგონიათ ბრმა? მიადევნეთ თვალი ევროპას – მას ჯერ ბოლო სიტყვა არ უთქვამს. დადგება დღე და თან – მალე, როცა ეს პირსისხლიანი ჯალათები, ეს ნამუსგარეცხილი არამზადები, ეს კომუნისტური სიმყრალე...

კარზე ზარი აწკარუნდა.

მოხუცი მსახური ფეხების ფრატუნით გაეშურა გასაღებად. ოთახში მსხდომებს სწრაფი, თავდაჯერებული, აშკარად მამაკაცური ნაბიჯების ხმა მოესმათ. სასადილო ოთახის კარიც ვიღაცის უთუოდ ღონიერმა ხელმა შემოაღო.

ვიქტორ დუნაევი იტალიური ოპერის ტენორს ჰგავდა, თუმცა ამგვარ საქმიანობასთან არაფერი ჰქონდა საერთო: ბეჭებგანიერსა და შავ, გრუზათმიანს, მუდამ მომხიბვლელი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თაფლისფერი თვალები უელავდა, თითოეულ მოძრაობას კი ამაყი თავდაჯერების კვალი აჩნდა. ზღურბლზე შეჩერდა და პირველ რიგში, კირას გახედა. ისიც მაშინვე მთელი ტანით შემობრუნდა სკამზე და ვიქტორმაც უმალ გოგოს მზემოკიდებულ წვივებზე გადაიტანა მზერა.

– ეს ხომ ჩვენი პატარა კირაა! – წამოიძახა მჟღერი, ხავერდოვანი ხმით.

– ერთ დროს პატარა, – გამოეპასუხა კირა.

– ამას მართლა არ ველოდი! ძალიან გამახარეთ. დეიდა გალინას ასაკი არც დატყობია, მთლად გაახალგაზრდავებულა! – ვიქტორმა ქალს ხელზე აკოცა.

– და ესეც ჩვენი ულამაზესი ლიდია! ახლა ლიდიას მაჯას მიელამუნა მისი შავი თმა.

– დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდით, კრება გვქონდა ინსტიტუტში. სტუდენტური საბჭოს წევრი ვარ და... შენთან ბოდიში, მამაჩემო! აი, მამა არანაირ არჩევნებს არ ცნობს.

– ზოგჯერ არჩევნებიც ამართლებს, – ხმაში მამობრივი სიამაყე გამოერია ვასილი ივანოვიჩს და თვალებში გამკრთალმა სითბომაც უცებ რაღაც უმწეო გამომეტყველება შესძინა მის მზერას.

– ვიქტორმა თავისუფალი სკამი მაგიდასთან მიიდგა და კირას მიუჯდა გვერდით.

– აბა ბიძაჩემო, – ქათქათა კბილები მიანათა ალექსანდრ დიმიტრიევიჩს.

– უცნაური დრო კი აგირჩევია პეტროგრადში დასაბრუნებლად! უფრო სწორად, რთული დრო. სასტიკი. ოღონდ მართლა საინტერესო, როგორც ეს საზოგადოდ, ნებისმიერ ისტორიულ გარდატეხას მოსდევს ხოლმე.

გალინა პეტროვნამ მოწონების ღიმილით გახედა დისშვილს: – რომელ ინსტიტუტში სწავლობ, ვიქტორ? "

– ტექნოლოგიურში. ელექტრო-საინჟინროზე. მომავალი ელექტრობისაა. რუსეთის მომავალი... თუმცა, მამაჩემი სხვაგვარად ფიქრობს. ირინა, თმას საერთოდ არ ივარცხნი? და თქვენ რა გეგმები გაქვთ, ბიძაჩემო?

– მაღაზიას გავხსნი ალბათ.

– თავმომწონედ, ლამის ამაყადაც კი გამოაცხადა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– მაგას ფული დაჭირდება.

– სამხრეთში ცოტა დავაგროვეთ...

– ღმერთო დიდებულო! – წამოიძახა მარია პეტროვნამ.

– აჯობებს, მალევე დახარჯოთ. ვერ წარმოიდგენთ, რა უცებ უფასურდება ეს ქაღალდის ფული! წინა კვირას გირვანქა პური სამოციათასი რუბლი ღირდა, დღეს კი უკვე სამოცდათხუთმეტი ათასი ღირს...

– ჩვენ დროში ახალ საწარმოებს დიდი მომავალი ელით, ბიძაჩემო – თქვა ვიქტორმა.

– იქამდე, სანამ მთავრობა ისევ არ ამოიდებს ფეხქვეშ.

– ჩაიბურტყუნა ვასილი ივანოვიჩმა.

– საშიში არაფერია, მამა. კონფისკაციების დრო წარსულს ჩაბარდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ახლა ყველაზე პროგრესული პოლიტიკა დასახა.

– სისხლით და მახვილით...

– სიტყვა შეაშველა ვასილი ივანოვიჩმა.

– იცი ვიქტორ, თურმე რა სასაცილოდ იცვამენ სამხრეთში? – საჩქაროდ ჩაერია საუბარში ირინა.

– კირას სანდლები ნახე?

– რაღა შენ და რაღა ერთა ლიგა: მშვიდობის მტრედი ხარ ნამდვილი... აბა ერთი, სანდლებსაც შემახედე...

კირამ გულგრილი სახით შეათამაშა ჰაერში ცალი ფეხი. კაცმა რომ თქვას, მოკლე ქვედაკაბა წესიერად ისედაც ვერ უფარავდა მზემოკიდებულ კანჭებს, მაგრამ ვიქტორისა და ლიდიასაგან განსხვავებით, თვითონ ეტყობა, ამას დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდა.

– შენს ასაკში კირა, დროა ცოტა კაბა დაიგრძელო...

– შენიშნა ლიდიამ.

– ნაჭერი თუ მეყო, კი...

– ნათქვამი გაუბიაბრუა კირამ.

– ისე, არც ვიცი ხოლმე, რა მაცვია.

– აბა რას ამბობ, ჩემო კარგო! – წერტილი დასვა ვიქტორმა.

– მოკლე კაბა ქალური ხიბლის მწვერვალია, ქალური ხიბლი კი – ხელოვნების უმაღლესი გამოხატულება.

* * *

იმ ღამით, სანამ დასაძინებლად წავიდოდნენ, ორივე ოჯახი სასტუმრო ოთახში შეიკრიბა. მარია პეტროვნამ გულის კანკალით გამოარჩია შეშის სამი მოზრდილი ნაჭერი და ბუხარში ცეცხლიც დაანთეს.

უკუნი სიბნელის ფონზე, რომელიც დიდი, უფარდებო, უჟმური ფანჯრების იქით გამეფებულიყო, ცეცხლის მომცრო ალები აელვარდა. ხელით ნაკეთები ავეჯის პრიალა ზედაპირზე ათინათები ათამაშდა, მოსირმული სტავრის უკვე გამოხეული გადასაკრავები კი მაინც ისევ ისე, მუქად მოჩანდა. ცეცხლის გამონაშუქი ფერად-ფერადად ირეკლებოდა კედელზე შემორჩენილი ერთადერთი სურათის მძიმე, მოვარაყებულ ჩარჩოზე, ოღონდ თვითონ ნახატს – მარია პეტროვნას ოცი წლის წინ შესრულებულ პორტრეტს – მაინც ვერ გლეჯდა სიბნელეს. ამ ნახატზე ქალს ნატიფი, თითქოსდა სპილოს ძვლისაგან ნათალი მკლავი მხარზე შემოედო და ოდნავ დამცინავად მომღიმარი, ნაქსოვ ღაზლს ისწორებდა. ახლა კი სწორედ იმავე ღაზლში იფუთნებოდა გამალებული, როცა კი ხველა აუტყდებოდა და მხრებიც აუცახცახდებოდა ხოლმე.

შეშას ნესტი გაჯდომოდა. სუსტი, ცისფერი ალი გაჭირვებით იკრებდა ძალას – მხოლოდ აქა-იქ კრთოდა და მომწარო ბოლის წვრილ ჭავლს ისროდა.

კირა ბუხრის ახლოს იჯდა, იატაკზე დაფენილი თეთრი დათვის ფუმფულა ტყავზე; ხელი კი ამ ვეება მხეცის შიშისმომგვრელ თავზე მოეხვია ფაქიზად. ბავშვობიდან უყვარდა ასე ჯდომა: როცა აქაურობას სტუმრობდა ხოლმე, სულ იმას სთხოვდა ბიძამისს, ამ დათვის

მონადირების ამბავი ეამბნა მისთვის; მხიარულად კისკისებდა, როცა ბიძა აშინებდა – თუ კარგად არ მოიქცევი, ეს დათვი ისევ გაცოცხლდება და მერე ნახავ, რაც მოგივაო!

– ესეც ასე, – ჩაილაპარაკა მარია პეტროვნამ და ხელები ცეცხლს მიუშვირა.

– აი, თქვენც დაბრუნდით პეტროგრადში.

– კი, რა თქმა უნდა, დავბრუნდით...

– თავი დაუქნია გალინა პეტროვნამ.

– დედაო ღვთისმშობელო! – ამოიოხრა მარია პეტროვნამ.

– ზოგჯერ რა მძიმეა ხვალინდელ დღეზე ფიქრი...

– ძალიან, – კვერი დაუკრა დამაც.

– გოგოები რას აპირებენ? ლიდია, საყვარელო, შენ უკვე გასათხოვარი ქალი ხარ, ჯერაც არავისზე შეგვარდნია გული?

ლიდიამ ზრდილობის გამო გაუღიმა. მარია პეტროვნამ ამოიოხრა და თავისი გააგრძელა:

– ჩვენ დროში კაცებიც ისეთი უცნაურები გახდნენ! ქორწინება ვიღას ახსოვს... ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მაგათ არც გოგოები ჩამორჩებიან. ირინას ხნისა, მე უკვე ვიქტორზე ვიყავი ფეხმძიმედ. ამას კი არც ოჯახის შექმნა ადარდებს და არც შვილის გაჩენაზე არ ფიქრობს! იმ თავისი სამხატვრო აკადემიის მეტი, არც არაფრის გაგონება არ უნდა! გალინა, გახსოვს – მთლად თითისტოლა იყო ჯერ, და მთელი ავეჯი გამიოხრა, რაღას აღარ ახატავდა ზედ... შენ თუ აპირებ სწავლის გაგრძელებას, ლიდია?

– არა მგონია, – მიუგო ლიდიამ.

– ქალს მეტისმეტი განათლება არ უხდება.

– შენ, კირა?

– ვერც წარმომიდგენია, ამ ჩვენს პატარა კირას უკვე სტუდენტობის ასაკმა რომ უწია! – თქვა ვიქტორმა.

– პირველ რიგში, შრომის წიგნაკი უნდა აიღო, კირა... ასე

ვთქვათ, ახალი პასპორტი. თექვსმეტზე მეტის ხარ უკვე. მერე კიდე...

– მე მგონი, – გამოცოცხლდა მარია პეტროვნა.

– დღესდღეობით პროფესია, უბრალოდ, აუცილებელია! სამედიცინო სასწავლებელში ხომ არ შეიყვანდით კირას? ქალ-ექიმებს მშვენიერ ულუფებს ურიგებენ!

– კირა და ექიმი? – აიმრიზა გალინა პეტროვნა.

– ეს ისეთი თავკერძაა, სხვის სატკივარს მიიტანს გულთან?! ფრთამოტეხილ წიწილასაც კი არ უშველის.

– ჩემი აზრით...

– რაღაცის თქმა დააპირა ვიქტორმა და სწორედ ამ დროს, მეზობელ ოთახში ტელეფონი აჟღრიალდა.

ყურმილის ასაღებად ირინა გაიქცა, უკან მობრუნებულმა კი მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა ძმას და ხმამაღლა გამოაცხადა:

– შენ გირეკავენ, ვიქტორ. ვავაა.

ვიქტორი უხალისოდ წამოიზლაზნა. ოდნავ გამოღებული კარიდან დანარჩენებს მისი საუბრის ნაწყვეტები ესმოდათ:

– კი, მახსოვს, ამ საღამოს უნდა მოვსულიყავი. მოულოდნელად დაგვინიშნეს კიდე ერთი გამოცდა. თუ არ ჩავუჯექი, ვერ მოვასწრებ... არა, რა თქმა უნდა! ხომ იცი, რომ მეც...

ბუხართან დაბრუნებული, ისიც თეთრი დათვის ტყავზე მოკალათდა, კირას გვერდით.

– მე თუ მკითხავ, ჩემო პატარა, მომხიბლავო დეიდაშვილო, – გაიგრძელა გაწყვეტილი სიტყვა.

– ქალისთვის წინსვლის საუკეთესო პირობა სადმე ჩაბარება კი არა, ნებისმიერ საბჭოთა დაწესებულებაში დასაქმებაა.

– ხუმრობ, თუ? – დაეკითხა მამამისი.

– ჩვენს დროში კაცმა საღად უნდა იაზროვნო, – დინჯად ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

– სტუდენტის ულუფა ოჯახს ბევრს ვერაფერს შემატებს... ვითომ

თქვენც არ იცოდეთ ამდენი!

– მუშა-მოსამსახურეებს ღორის ქონსა და შაქარსაც ურიგებენ – სიტყვა შეაშველა ვაჟიშვილს მარია პეტროვნამაც.

– განსაკუთრებით, მბეჭდავ ქალებზეა დიდი მოთხოვნა, – თავისას არ იშლიდა ვიქტორი.

– ბეჭდვა თუ იცი, ადგილიც განაღდებული გაქვს.

– მაგათ ფეხსაცმელსაც აძლევენ და ტრამვაითაც უფასოდ შეუძლიათ მგზავრობა, – დასძინა მარია პეტროვნამ.

– გეყოთ! – ჩაიბუხუნა ვასილი ივანოვიჩმა.

– სად გაგონილა, ბედაური მუშა ცხენად შეაბა უღელში...

– ერთი ეს მითხარი კირა, – საუბარში ჩაერია ირინაც.

– შენ თვითონ საერთოდ არაფერს ფიქრობ?

– როგორ არა, – მშვიდად მიუგო კირამ.

– ოღონდ მე მგონი, ეს ლაპარაკიც სრულიად ზედმეტია. ტექნოლოგიურში ვაპირებ ჩაბარებას.

– კირა! – ერთად გაისმა შვიდი ადამიანის გაოცებული წამოძახილი.

– აი მესმის, ქალიშვილი! – თქვა მერე გალინა პეტროვნამ.

– მშობელ დედასაც კი არაფერს უზიარებს!

– ეგ როდის გადაწყვიტე? – გაკვირვებას ვერ მალავდა ლიდია.

– ამ რამდენიმე წლის წინ, – თქვა კირამ.

– კი მაგრამ, რა უნდა გამოხვიდე? – შეწუხდა მარია პეტროვნა.

– ინჟინერი.

– სიმართლე გითხრათ, რაღაც არა მგონია, ინჟინრობა ქალისთვის შესაფერისი საქმე იყოს, – მჟავედ ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

– კირა, შენ ხომ კომუნისტები არასოდეს გეხატებოდა გულზე, ახლა კი მაგათთვის უმთავრესი პროფესია აგირჩევია...

– მორიდებით შეაპარა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– ჩვენი წითელი სამშობლოსთვის აპირებ შენებას? – ჰკითხა ვიქტორმა.

– შენებას იმიტომ ვაპირებ, რომ მინდა ვაშენო.

– კი მაგრამ, კირა! – გაოცებული მიაჩერდა ლიდია.

– მთელი ცხოვრება ცემენტის მტვერში, ხარაჩოებზე, ჟანგიან მილებსა და ჭუჭყიან, ოფლიან კაცებში გინდა გაატარო?! ერთი ქალიც არ გეყოლება გვერდზე, ხმის გამცემი!

– ეგ მომწონს სწორედ!

– სრულიად მიუღებელი საქმიანობაა ქალისთვის! – ბეჭედი დაასვა გალინა პეტროვნამ.

– ეგ ერთადერთი საქმიანობაა, – მიუგო კირამ.

– რაც ჩემგან არანაირ ტყუილს არ მოითხოვს. ფოლადი ფოლადია. ნებისმიერი სხვა პროფესია კი ან ვიღაცის ვარაუდებზე, ან ვიღაცის ნება-სურვილზე, ანდა სულაც მავანთა და მავანთა ტყუილებზეა აგებული.

– რა-რა და სულიერება აშკარად გაკლია, – უთხრა ლიდიამ.

– ჩემი აზრით კი ცოტა არ იყოს, ანტისაზოგადოებრივად აზროვნებ, კირა! – დაამატა ვიქტორმაც.

– მხოლოდ იმიტომ ირჩევ პროფესიას, რომ ასე მოისურვე. არადა, სულ არ ითვალისწინებ იმას, რომ ქალი სწორედ უფრო ქალური საქმით თუ მოუტან მეტ სარგებლობას გარშემო მყოფთ. იმაზეც ხომ უნდა იფიქრო, საზოგადოების წინაშე რა ვალდებულებები გვაკისრია თითოეულ ჩვენგანს?

– და შენ უშუალოდ ვის მიმართ გრძნობ ეგეთ პასუხისმგებლობას, ვიქტორ?

– რა თქმა უნდა, საზოგადოების! – და რა არის საზოგადოება?

– თუ არ გეწყინება, ეგ ძალიან ბავშვური შეკითხვაა, ჩემო კარგო.

– კი მაგრამ, არ მესმის და რა ვქნა! – კირას რაღაც შიში,. მომგვრელად გაუფართოვდა ჯერაც მშვიდად მომზირალი თვალები, – მაინც, ვისი გული უნდა მოვიგო? თქვენი კარის მეზობლის თუ ქოჩი კუთხეში მდგარი მილიციელის? ან იქნებ, კოოპერატივის რომელიმე თანამშრომლის? თუ იმ გრძელ რიგში მორჩილად მდგარი ბერიკაცი

ძველი კალათა რომ ეჭირა და ქალის ქუდი ეხურა თავზე?

– საზოგადოება ერთი განუყოფელი მთლიანობაა, კირა.

– ფურცლის მთელ სიგანეზეც რომ ჩააწიკწიკო ნულები, ჯამში ეს მაინც არაფერს მოგცემს!

– შენ საბჭოთა რუსეთში რა გესაქმება, ბავშვო? – თქვა ვასილი ივანოვიჩმა.

– მეც მაგის გაგებას ვცდილობ, – მიუგო კირამ.

– ნუ დაუშლით ინსტიტუტში ჩაბარებას, – თქვა ვასილი ივანოვიჩმა.

– თუ გინდა, დაუშალე... გახდები მასთან რამეს? – ხელი ჩაიქნია გალინა პეტროვნამ.

– თავისას ყოველთვის აღწევს, – აბუზღუნდა ლიდია.

– გამაგებინა ერთი, ამას როგორ ახერხებს...

კირა ბუხრისაკენ გადაიხარა და მინავლებულ ცეცხლს სული შეუბერა. წამით, როცა ალი ერთი კი თვალისმომჭრელად აელვარდა, მისმა მხურვალე გამონათებამ სიბნელეს გამოგლიჯა გოგოს სახე – ბრძმედზე თავდახრილ მჭედელსავით წამოწითლებოდა.

– მაშინებს შენი მომავალი, კირა! – უთხრა ვიქტორმა.

– დროა, ცხოვრებას მოერგო. მაგ შენი აზრებით კი შორს ვერ წახვალ.

– გააჩნია, რა მიმართულებას ავირჩევ, – მიუგო კირამ.

III

მომცრო, ნაცრისფერყდიანი წიგნაკი ორივე ხელით ეჭირა – ორი დაშაშრული, დაკოჟრილი ხელით. ამ ხელებს არაერთი წელი ემუშავათ მანქანის ზეთით, ჭვარტლით, ოხშივარითა და დანადგარების რახარუხით გაჯერებულ გარემოში. მრავალწლიანი ჭუჭყით გაუხეშებულ კანს შავად დამჩნეოდა ნაოჭები და ატკეჩილ ფრჩხილებსაც

შავი არშია მოვლებოდა. თუმცა, ერთ-ერთ თითს ყალბი ზურმუხტისთვლიანი ბეჭედიც ამშვენებდა.

სამუშაო ოთახს კედლები მთლად შიშველი ჰქონდა. ეტყობა, ზედ ბევრჯერ შეეწმინდათ ჭუჭყიანი ხელები, რადგან უკვე გამოხუნებულ საღებავს ბევრგან ემჩნეოდა გაშლილი ხუთი თითის გადღაბნილი კვალი. რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ რამდენიმე დაწესებულების განსათავსებლად ნაციონალიზებული შენობის ამ ოთახში, ძველ დროს სააბაზანო იყო მოწყობილი. ახლა თავად აბაზანა აღარსად ჩანდა, თუმცა კედელს ჯერაც შემორჩენოდა ნალურსმნალი, ჟანგისფერი ნახვრეტების ზოლი, ორი გადამტვრეული მილი კი სასიკვდილოდ გამოფატრული შენობის ნაწლავებივით ეკიდა ჭერში.

რკინის გისოსებიანი ფანჯრები დაბზარულიყო და ამ ბზარების შეწებება რომელიღაც ჯიუტ ობობას კი ეცადა, მაგრამ – უშედეგოდ. ფანჯარა შეულესავი აგურის კედელს გასცქეროდა, რომელზეც თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალების სარეკლამო აბრას უკვე ლამის მთლად გადასვლოდა ფერები.

საბჭოთა მოხელე საწერ მაგიდას უჯდა. მაგიდის ერთ კუთხეში მელნის ლაქა გადღაბნილიყო და იქვე, ნახევრადჩამშრალი სამელნეც იდგა. თანამდებობის პირს ხაკის სამხედრო პერანგი ეცვა და სათვალე ეკეთა.

აქეთ-იქიდან ორი სურათი დასცქეროდა – თითქოს ორი, უტყვი მსაჯული უმაგრებდა ზურგს სასამართლოს თავმჯდომარეს. ეს უჩარჩოებო სურათები ოთხ-ოთხი შავი ჭიკარტით მიემაგრებინათ კედელზე. ერთიდან ლენინი იმზირებოდა, მეორედან – კარლ მარქსი. პორტრეტების თავზე, წითელი ასოებით ეწერა: ძალა – ერთობაშია!

მაგიდასთან თავაწეული იდგა კირა არგუნოვა.

ის აქ შრომის წიგნაკის ასაღებად მოსულიყო. ასეთი წიგნაკის აღება თექვსმეტ წელს გადაცილებულ ყველა მოქალაქეს მოეთხოვე-

ბოდა და მისი მუდმივად თან ტარებაც აუცილებელი გახლდათ. სავალდებულოდ ითვლებოდა მისი წარდგენა და მასში ბეჭდის ჩარტყმა სამუშაოზე მოწყობისა თუ სამსახურიდან წამოსვლის შემთხვევაში; ბინაში შესახლებისას და იქიდან გამოსახლებისასაც; უიმისოდ ვერც უმაღლესში ჩააბარებდი, ვერც პურის წიგნაკს აიღებდი და ვერც დაქორწინდებოდი. პირადობის დამადასტურებელი ეს ახალი ყაიდის, საბჭოური საბუთი ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალო პასპორტი – ეს მოქალაქისთვის სიცოცხლის საშვი გახლდათ. „შრომის წიგნაკი" კი იმიტომ ერქვა, შრომა და სიცოცხლე სინონიმებად რომ ქცეულიყო.

– ახლა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას სადაცაა, კიდევ ერთი ახალი მოქალაქე შეემატებოდა.

– საბჭოთა მოხელეს ჯერაც ისევ ხელში ეჭირა ის ნაცრისფერ-ყდიანი წიგნაკი, რომლის არაერთი ფურცელიც ჰქონდა შესავსები, კალამი კი საქმეს ურთულებდა: ისედაც დაძველებულს და ჟანგმოდებულს, ახლა სამელნის ძირში ჩარჩენილი მელნის ბუსუსებიც ზედ აკრობოდა.

პირველ, სუფთა ფურცელზე როგორღაც მაინც დაწერა: გვარი, სახელი, მამის სახელი – არგუნოვა კირა ალექსანდროვნა. სიმაღლე – საშუალო.

* * *

კირას ჩამოქნილი ტანი ჰქონდა და როცა თავისებურად სწრაფად, სხარტად, გეომეტრიული სიზუსტით მოძრაობდა, ხალხი სწორედ მის მოძრაობას აქცევდა ყურადღებას და არა – თავად სხეულის აღნაგობას. ამის მიუხედავად, რაც არ უნდა ცმოდა, სწორედ მისი სხეულის ამგვარი, მოუხელთებელი თავისებურება ქმნიდა სიშიშვლის შთაბეჭდილებას: ვერავინ ხვდებოდა, რის გამო უჩნდებოდათ ეს განცდა; ეგ კი არა, თითქოს მისი ნათქვამი სიტყვებიც მისივე სხეულის ნებით იყო ხოლმე ნაკარნახევი, ხოლო სწრაფი მოძრაობები

გაუცნობიერებლად გამოხატავდა მისივე აცეკვებული, მოცინარი სულის მდგომარეობას. ამის გამო იყო სწორედ, რომ სული მისი ფიზიკურად ხელშესახები ეჩვენებოდათ, სხეული კი – სულიერ რაობად.

* * *

თანამდებობის პირმა წერა გააგრძელა. თვალები – რუხი.

კირას მუქი-ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, სწორედ იმ საავდრო ღრუბლების ფერი, რომელთა მიღმიდან ყოველ წამს მზის გამონათებას უნდა ელოდო. ეს თვალები ადამიანებს მშვიდად და თამამად უცქერდნენ, რასაც ზოგი ქედმაღლობაშიც კი უთვლიდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმგვარი, სიღრმისეული, თავდაჯერებული სიმშვიდე გახლდათ, რაც თითქოს დაუფარავად აცხადებდა – არაფერი გამომეპარება და ცხოვრების დასანახად, ეგ თქვენთვის ეგზომ საყვარელი სათვალე მე პირადად, არც არასოდეს დამჭირდებაო...

* * *

პირი – ჩვეულებრივი მოხაზულობის.

* * *

კირას წვრილი, ცოტა გაწელილი ტუჩები ჰქონდა. როცა დუმდა, მისი ბაგე მკაცრი და იმდენად უტეხი ეჩვენებოდა ყველას, მაშინვე საომრად შემართული ვალკირია უდგებოდათ თვალწინ, ბუმბულებით გაწყობილ მუზარადიანი და შუბმომარჯვებული. თუმცა, საკმარისი იყო სახის ერთი ოდნავი, თვალშეუვლები მოძრაობა, რომ ტუჩის კუთხეებში პატარა ნაოჭებიც გასჩენოდა და ერთბაშად, ყვავილებში ჩამჯდარ პაწია ეშმაკუნას ემსგავსებოდა.

* * *

თმა – წაბლისფერი.

* * *

მოკლედ შეკრეჭილ თმას კირა შუბლიდან უკან იგდებდა ხოლმე და მის სიხშირეში მზის სხივიც კი ვერ იკვლევდა გზას. ჯუნგლის ბინადარი, პირველყოფილი ქალისას მიუგავდა ეს თმა, სახე კი თითქოს ვინმე თანამედროვე მხატვრის ტილოდან გადმოსულს, მეტისმეტად რომ ჩქარობდა ნახატის მომთავრებას: ერთიანად მკვეთრი, სწორი ხაზებით გამოყვანილს, მოუთმენელი სიშმაგით, მასში დანახული იდუმალი დაპირების მოსახელთებლად.

* * *

განსაკუთრებული ნიშნები – არა აქვს.

საბჭოთა მოხელემ კალამს წკიპად მოაშორა ბუსუსი, ორი თითით მოსრისა და თითები შარვალზე შეიწმინდა.

* * *

დაბადების ადგილი და თარიღი – პეტროგრადი, 11 აპრილი, 1904.

* * *

კირა კამენნოოსტროვსკის ქუჩაზე დაიბადა, რუხი გრანიტით ნაგებ შენობაში. ამ დიდ, კერძო სახლში გალინა პეტროვნას საკუთარი ბუდუარიც ჰქონდა მოწყობილი, სადაც საღამოობით, შავად მოსილი მოახლე ყელზე მარგალიტის მძივს უკრავდა ხოლმე და მისაღები ოთახიც, რომელშიც ზეიმურად დააშრიალებდა ფუშფუშა ქვედაკაბებს, როცა მხრებზე ბეწვეულმოგდებულ და ლორნეტმომარჯვებულ ბანოვანებს უწევდა მასპინძლობას. ბავშვებს მის არცერთ ოთახში არ ჰქონდათ შესვლის უფლება, თავად გალინა პეტროვნა კი ძალზე იშვიათად თუ ჩნდებოდა სახლის რომელიმე სხვა ნაწილში.

კირას ინგლისელი აღმზრდელი დაუქირავეს – ფიქრიანი, მუდამ

მომხიბლავად მომღიმარი ახალგაზრდა ქალბატონი. გოგოს ის ძალზე მოსწონდა, თუმცა ხშირად მაინც მარტოობა ერჩია და ამის საშუალებაც ეძლეოდა. როცა ვთქვათ, რაიმე მიზეზის გამო, ნათესავ ხეიბარ ბავშვთან თამაშზე ამბობდა უარს, რომელიც მის ოჯახს თანაგრძნობის გამო ლამის კერპად ექცია, არც ამას აძალებდნენ მაინცა და მაინც. როცა ფანჯრიდან მოისროლა პირველივე წიგნი, სადაც წერა თუ კეთილი ფერია როგორ გულუხვად აჯილდოებდა უანგარო გოგონას, გადიას მსგავსი შინაარსის საკითხავი მისთვის აღარასოდეს შეუთავაზებია. ასევე, როცა ეკლესიაში წაიყვანეს, საიდანაც შუა წირვა-ლოცვიდან გამოიპარა, მერე კი ქუჩაში გზა აებნა და გადარეულ მშობლებს მოგვიანებით, პოლიციელმა მიუყვანა ეტლით, აღარც ეკლესიაში სიარული დაუძალებია მისთვის ვინმეს.

არგუნოვების საზაფხულო სახლი მდინარის პირას, მაღალ გორაკზე იდგა განმარტოებით, მწვანეში ჩაფლული, ერთ-ერთი ხალხმრავალი საკურორტო დასახლების მეზობლად. სახლი ზურგით მდინარისკენ იდგა, პირი კი ფერდობზე გაშენებული, მებაღის მიერ ინგლისურ ყაიდაზე მოწესრიგებული პარკისკენ ექნა, სადაც ბუჩქნარი მწვანე თაღებად შეეკრიჭათ, მარმარილოს შადრევნების გაწყობა კი ერთი ცნობილი ხუროთმოძღვრისათვის მიენდოთ.

გორაკის მეორე, კლდოვანი ფერდი ვულკანის ამოფრქვევის შედეგად, ჰაერში გაქვავებული ლავასავით გადაკიდულიყო მდინარეზე. დინებას მიყოლილი ნიჩბოსნები სულ იმას ელოდნენ, როდის გამოყოფდა თავს დინოზავრი შამბმოდებული, შავად პირდაფჩენილი ქვაბულებიდან, აქა-იქ რომ მოჩანდნენ ლამის მიწაზე გართხმულ, შიშველ კლდეებს ობობასავით ჩაფრენილ, ვეება, ფესვებამოყრილ ხეებს შორის.

არაერთი ზაფხულის განმავლობაში, როცა მშობლები ნიცაში, ბიარიცსა თუ ვენაში მიემგზავრებოდნენ დასასვენებლად, კირა საკუთარი თავის ანაბარა რჩებოდა ამ ველურ გარემოში, ამ კლდოვანი

გორაკების გარემოცვაში, როგორც იქაურობის ერთადერთი, სრულ-ფასოვანი ბატონ-პატრონი და არც არავინ უზღუდავდა თავისუფლებას – მუდამ დახეულ, ლურჯ ქვედაკაბასა და თეთრ, უსახელო პერანგში გამოწყობილი დაიარებოდა. შიშველ ფეხისგულებს უხეში ქვიშა უკაწრავდა, კლდის ერთი ქარაფიდან მეორეზე დახტოდა, ხის ტოტებს ეჭიდებოდა და ისე კონწიალობდა ხოლმე ჰაერში, კაბის კალთები სულ პარაშუტივით ეშლებოდა.

– ერთხელ ხის ტოტებისაგან ტივიც კი შეკრა, გრძელი ჭოკი მოიმარჯვა და მდინარეს დაუყვა. გზადაგზა არაერთი სახიფათო მეჩეჩი თუ მორევი შემოხვდა და ბრძოლის ჟინით გამოწვეული თრთოლვა ზემოთ-ზემოთ მოუყვებოდა მთელს მის სხეულს, შიშველი ტერფებით ამ მყიფე ტივის ქვეშ დინების ფეთქვას შეიგრძნობდა და ერთიანად დაძაბული თამამად უშვერდა სახეს ქარის ყოველ ახალ წამოქროლვას, ის ლურჯი ქვედაკაბა კი სველი იალქანივით ეხლებოდა ხოლმე ფეხებზე.

წყლისკენ გადმოშვერილი ტოტები მტკივნეულად სცემდა შუბლზე, თუმცა ის მაინც მიუყვებოდა დინებას, ბღუჯა-ბღუჯა ატოვებდა თმას ამ ტოტებს, ხეები კი გოგოს თმაში გაბლანდულ თავიანთ ველურ, წითელ ნაყოფს ატანდნენ თან.

პირველი, რაც კირამ ცხოვრების შესახებ აღმოაჩინა და პირველი, რაც შეშფოთებულმა მშობლებმა დაინახეს მასში, ეს სიმარტოვის სიხარული გახლდათ.

* * *

– მაშ, 1904-ში დაიბადე? – ჰკითხა საბჭოთა მოხელემ.

– ესე იგი... რა გამოდის... თვრამეტის ყოფილხარ. თვრამეტი წლის. ძალიან კი გაგიმართლა, ამხანაგო – ჯერ მთლად ახალგაზრდა ხარ და არაერთი წელი შეგიძლია იშრომო! მთელი ცხოვრება გიდევს წინ, მუყაითი შრომით შეგიძლია სარგებელი მოუტანო ჩვენს დიად ერთობას.

კაცი, როგორც ჩანს, გაციებული იყო: ჯიბიდან დიდი, კუბოკრული ცხვირსახოცი ამოიღო და ხმაურიანად მოიხოცა ცხვირი.

* * *

ოჯახური მდგომარეობა – გაუთხოვარი.

* * *

– ჩემდათავად, კირას მომავალზე ხელებიც დამიბანია! – გამოაცხადა ერთხელ გალინა პეტროვნამ.

– ზოგჯერ მგონია, რომ შინაბერად დაიბადა, ზოგჯერ კიდევ – უწესო ქალად-მეთქი...

ის წლები, როცა კირას კაბის დაგრძელება მოუწია და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც მოირგო, სწორედ მათ ლტოლვილობას დაემთხვა იალტაში, სადაც ერთობ უცნაურ საზოგადოებას მოეყარა თავი – ქვეყნის ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ, ძველ არისტოკრატიულ ოჯახებსა და ერთ დროს ფრიად შეძლებულ ხალხს, ადიდებული წყლით გარშემორტყმულ გორაკზე მოქუჩებული, გულგახეთქილი წიწილებივით რომ ეტმასნებოდნენ ერთიმეორეს. კოხტად თავგადავარცხნილი, ფრჩხილებნალოლიავები ყმაწვილკაცები ერთთავად თვალს აყოლებდნენ ქუჩაში თამამად, ფართო ნაბიჯებით მოარულ, ტანჩამოქნილ ქალიშვილს, რომელიც შოლტივით მიიქნევდა ხოლმე ხელში ჩაბღუჯულ ატმის რტოს, პირქარი კი მოხდენილად უფრიალებდა არც არაფრის დამმალავ მოკლე კაბას. გალინა პეტროვნა ნასიამოვნები იღიმებოდა, როცა ეს ყმაწვილკაცები მათთანაც ბედავდნენ სტუმრად მისვლას, თუმცა კირას წარბებს ერთი უცნაურობა ახასიათებდა: შეეძლოთ ისე ცივად ან დამცინავად აწკიპულიყვნენ სხვა მხრივ სრულიად არაფრისმთქმელ სახეზე, რომ ამ ყმაწვილკაცებს სასიყვარულო ლექსებიცა და სამომავლო განზრახვების აღ-

მოთქმის სურვილიც მაშინვე ზედ ტუჩებზე მიყინვოდათ. ამიტომ, გალინა პეტროვნას მალე აღარც ის უკვირდა, მისი ქალიშვილის მიმართ ასე რატომ გაუგრილდათ გული მის ყოფილ თაყვანისმცემლებს.

საღამოობით, დედისაგან მალულად, სახეაწითლებული ლიდია ხარბად კითხულობდა ხოლმე მთლად სულისშემძვრელ სასიყვარულო რომანებს. ერთი ასეთი კირამაც გამოართვა, თუმცა შუამდეც ვერ ჩაიკითხა, ისე მოერია მთქნარება და მერე სხვა აღარც დაუწყია.

მისთვის სარეველა და ყვავილი არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან; მუდამ რული ერეოდა თვალზე, როცა დაისითა თუ მწვანე ბორცვებით მოხიბლული ლიდია ოხვრას იწყებდა, თუმცა თვითონ შეეძლო საათობით, თვალმოუშორებლად ეცქირა მავანი ტანმაღალი ჯარისკაცის შავი სილუეტისათვის, ნავთობის წითლად აბრიალებულ, ცეცხლისმფრქვეველ ჭაბურღილთან რომ იდგა გუშაგად.

ერთხელ, საღამოხანს, როცა ქუჩას მიუყვებოდნენ, მოულოდნელად შეჩერდა და თითი გაიშვირა სადღაც, დაბალი სახლების სახურავებს ზემოთ, უცნაურად აზიდული თეთრი კედლისაკენ, რომელსაც ძველი, შუშაგაბზარული ლამპიონის მბჟუტავი შუქი ეცემოდა და წაიჩურჩულა:

– რა სილამაზეა! – მაინც, რა მოგეწონა ასე? – გაიკვირვა ლიდიამ.

– იდუმალება... თითქოს იმის იქით რაღაც ისეთი შეიძლება ხდებოდეს...

– სად რა უნდა ხდებოდეს?! – ჩემში, ჩემს ირგვლივ.

ლიდიას იშვიათად თუ აღელვებდა კირას განცდები, მით უფრო რომ ეს მას პირადად არც არასოდეს ეხებოდა და მხოლოდ დის საფიქრალად რჩებოდა მუდამ. საერთოდ, ოჯახის ყველა სხვა წევრიც მოუთმენლად იჩეჩავდა მხრებს, როცა საქმე, ასე ვთქვათ, კირას „შინაგან განცდებს“ ეხებოდა: კირასთვის ხომ ერთნაირად სულერთი

იყო, აკლდა წვნიანს მარილი თუ არა, ერთნაირად გულგრილი რჩებოდა მის ფეხზე შეცოცებული ლოკოკინასა თუ მის მიმართ უიმედო ტრფობით გულგაბზარული ყმაწვილკაცების მიმართ – საერთოდ ვერ ამჩნევდა იმათ ათრთოლებულ ტუჩებსა თუ ცრელმომდგარ თვალებს და მისთვის ერთი ფასი ჰქონდა ოდინდელი ღმერთკაცების თეთრ ქანდაკებას შავი, სამუზეუმო ხავერდის ფონზე და ფოლადის ბურბუშელას, ჟანგიან მტვერსა თუ სარჩილავის შიშინს მშენებარე სახლის ხარაჩოებს შორის. მუზეუმში იშვიათად შეიხედავდა ხოლმე, ხოლო როცა შინიდან ერთად გამოდიოდნენ, ოჯახის წევრები სულ იმას ცდილობდნენ, რომელიმე მშენებლობის სიახლოვეს არ გაევლოთ – სულ ერთია, სახლს აშენებდნენ სადმე, გზა გაყავდათ თუ ხიდის გადება წამოეწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კირა უთუოდ გაჩერდებოდა და მერე, საათობით მიაჩერდებოდა წითელ აგურებსა და მუხის ხის ხარაჩოებს, ადამიანის ნებით თითქოს არსაიდან ამოზრდილ ფოლადის კარკასებს; შეუძლებელი იყო, კვირა დღეს მისი შეტყუება საზოგადოებრივ პარკში, ხოლო ხალხური შემოქმედების გუნდის სიმღერის გაგონებისთანავე, ყურებში თითებს დაიცობდა ხოლმე. როცა გალინა პეტროვნამ შვილები ერთი ისეთი გულისშემძვრელი წარმოდგენის სანახავად წაიყვანა, რომელიც მეფე ალექსანდრე II-ის მიერ შემდგომში გათავისუფლებული ყმა-გლეხების მძიმე ცხოვრებას ასახავდა, ლიდია ცხარე ცრემლებს აღვარღვარებდა, მაშინ როცა წელგამართული კირა აღტაცებულ მზერას არ აშორებდა მაღალ-მაღალი, ახალგაზრდა მემამულის ხელში ჩაბღუჯულ შოლტს.

– რა სილამაზეა! – გაიძახოდა დეკორაციებით მოხიბლული ლიდია.

– მთლად ნამდვილს არ ჰგავს?!

კირა კი პირიქით – თუკი მიდამოს მოავლებდა თვალს და რამე მართლა მოეწონებოდა, ასე იტყოდა ხოლმე – რა კარგია, მთლად დახატულს ჰგავსო!

* * *

– გარკვეული თვალსაზრისით, – თქვა საბჭოთა მოხელემ.

– თქვენ, ამხანაგ ქალებს უპირატესობა გაქვთ ჩვენთან, მამაკაცებთან შედარებით. სწორედ თქვენ შეგიძლიათ იზრუნოთ მომავალ თაობაზე, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე! დღეს უამრავ მშიერ, დაუბანელ ბავშვს ჭირდება ჩვენი ქალების ზრუნვა და სითბო...

* * *

კავშირ-გაერთიანებების წევრობა – არსად არაა გაწევრიანებული.

* * *

კირამ სკოლა იალტაში დაამთავრა. სკოლის სასადილოში ბევრი მაგიდა იდგა: დიდი შესვენების დროს, ამ მაგიდებთან გოგონები ხან წყვილ-წყვილად ისხდნენ, ხან – ოთხი ერთად, ხანაც ათნიც კი. კირა მუდამ კუთხეში მიდგმულ მაგიდას უჯდა ხოლმე, სრულიად მარტო.

ერთ დღეს, მთელი მისი კლასი აუმხედრდა ვიღაც გაწრიპულ, ჭორფლიან გოგოს, რომელსაც ყველასათვის საყვარელი, როხროხა მარად მომღიმარი, თუმცა თან უფროსობის დიდად მოსურნე თანაკლასელის რისხვა დაემსახურებინა.

სადილობისას, კუთხეში მდგარ იმ პატარა მაგიდას ახლა ორი მო. წაფე უჯდა: კირა და ის ჭორფლიანი გოგო. უკვე თითქმის ძირამდე დაეყვანათ წიწიბურას ფაფიანი მათლაფები, როცა მათ კლასის აფოფრებული მორიგე დაადგათ თავს.

– ხვდები მაინც, რას აკეთებ, არგუნოვა? – გაალმასებული ხმით დაეკითხა კირას.

– ვჭამ.

– მშვიდად მიუგო კირამ.

– არ ჩამოჯდები? – იცი მაინც, მაგან რა ჩაიდინა? – წარმოდგენა

არა მაქვს.

– მართლა? აბა, რაღაზე უჭერ მხარს?

– გეშლება. მე ამას კი არ ვუჭერ მხარს, იმ სხვა ოცდარვა გოგოს წინააღმდეგი ვარ.

– და შენა გგონია, უმრავლესობის წინააღმდეგ წასვლა დიდი ჭკუაა?

– ჩემი აზრით, როცა საკითხი სადაოა, უფრო სწორია სუსტის მხარეს დადგე. მარილი მომაწოდე, თუ შეიძლება.

ლიდია ცამეტი წლის იყო, ვიღაც ოპერის მომღერალი ტენორი რომ შეუყვარდა. მისი ფოტოსურათიც საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე გამოეჭიმა – ბროლის ნატიფ ლარნაკში ჩადებულ, ეულ წითელ ვარდთან ერთად. თხუთმეტისას უკვე წმინდა ფრანცისკ ასიზელი უყვარდა, ვინაც ჩიტების ენა იცოდა და უკლებლივ ყველა გაჭირვებულს უმართავდა ხელს. სწორედ მაშინ გაუჩნდა აზრი, მონაზვნად ხომ არ აღვიკვეცოო. აი, კირა კი შეყვარებული არასოდეს ყოფილა. მის ერთადერთ გმირად ის ვიკინგი მეომარი რჩებოდა, რომლის ამბავიც ჯერ კიდევ ბავშვობისას წაეკითხა – ვისი მზერაც არასოდეს გასცილებია საკუთარი მახვილის წვერს, ოღონდ ამ მახვილს კი ვერვინ დაუდგებოდა წინ. ეს მისი გმირი ცხოვრების გზაზე ყველა წინააღობას სძლევდა და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, ხოლო როცა მზის შუქი თავზე გვირგვინად ადგებოდა, გასხივოსნებული და ქედუხრელი, ისე მიიკვლევდა გზას ნანგრევებში, ოდნავადაც ვერ გრძნობდა ამ გვირგვინის სიმძიმეს. ვიკინგი, რომელიც მეფეებსაც დასცინოდა და მღვდლებსაც, რომელიც ცას მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა მთის ნაკადულთან ჩაიმუხლებდა წყურვილის მოსაკლავად და ცის ანარეკლთან ერთად, საკუთარ გამოსახულებასაც დასცქეროდა კამკამა წყალში. ვიკინგი, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ მხიარულების, აღფრთოვანებისა და იმ ღვთაების განდიდებისათვის ცხოვრობდა, რომელსაც თავადვე წარმოადგენდა. კირას აღარც კი

ახსოვდა, რა წიგნები წაეკითხა მანამ, ვიდრე ამ ლეგენდას გადააწ-ყდებოდა და არც შემდგომში წაკითხულის დამახსოვრების სურვილი გასჩენია ოდესმე. თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაშიც, სულ აგონდებოდა ამ ლეგენდის დასასრული – როგორ იდგა ვიკინგი მის მიერვე აღებული ქალაქის გალავნის ქონგურზე და სწორედ ისე იღი-მოდა, როგორც ზეცას მიჩერებული ადამიანები იღიმებიან ხოლმე, ოღონდ ის მაინც იდგა და ქვემოთ იყურებოდა: დაბლა დახრილი მახ-ვილი და მისი მარჯვენა ხელი ერთ მთლიანობად აღიქმებოდა, მარ-ცხენათი კი ღვინიანი თასი აღემართა ცისკენ. ამომავალი, ცისკი-დურს მიღმიდან ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუწვერავი მზის პირველი სხივები ოქროსფრად აციმციმებდა ბროლის თასს, თეთრი ჩირაღდა-ნივით აბრიალებდა და იგივე მზის შუქი ეცემოდა ქვევით შეგროვი-ლი ხალხის სახეებსაც.

– სიცოცხლეს გაუმარჯოს! – გადასძახა ვიკინგმა ქონგურიდან.

– მიზეზთა მიზეზს...

* * *

– ესე იგი, არცერთი კავშირისა თუ გაერთიანების წევრი არა ხარ, მოქალაქე? – იკითხა საბჭოთა მოხელემ.

– ეგ ცუდია, ძალიან ცუდი... პროფესიული კავშირები ხომ ჩვენი დიადი სახელმწიფოს შენობის ბურჯია! ასე თქვა... მოკლედ, ჩვენმა ერთ-ერთმა დიდმა ბელადმა თქვა ასე. და ვინაა ნებისმიერი ცალკე აღებული მოქალაქე? მხოლოდ და მხოლოდ ერთი აგური, სრულიად უსარგებლო, ვიდრე სხვა, მისნაირივე აგურებთან არ შეადუღაბებ.

* * *

საქმიანობა – სტუდენტი.

* * *

კირამ ეტყობა, მაინც შორეული, შუა საუკუნეობრივი არისტოკრატიზმიდან მიიღო მემკვიდრეობად ის რწმენა, რომ გარჯა და ოფლისღვრა ერთობ მდაბიური საქმეაო. სკოლაში სულ ფრიადებზე სწავლობდა, თუმცა თხზულებების წერა ჭირის დღესავით ეჯავრებოდა. მან ყველა საფორტეპიანო ეტიუდის ნოტებიც დაწვა და არც საკუთარი წინდები დაუკემსავს ოდესმე. პარკში სეირნობისას, ჩვევად ჰქონდა ქანდაკებების კვარცხლბეკებზე აფოფხებულიყო და ცივი ტუჩები დაეკოცნა ძველი ბერძენი ღმერთებისათვის; აი, სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე კი უცებვე ერეოდა ძილი. როცა შინ სტუმრებს ელოდნენ, ფანჯრიდან იპარებოდა და თავისი ხელით კარტოფილის მოხარშვაც კი არ შეეძლო. ეკლესიაში არასოდეს დადიოდა, გაზეთებს კი ათასში ერთხელ თუ გადაავლებდა თვალს.

არადა, სწორედ ისეთი ხელობა აირჩია სამომავლოდ, რაც სწორედაც რომ მუყაით გარჯასა და დიდ ოფლისღვრას მოითხოვს: ინჟინრობა გადაწყვიტა. დაფიქრდა თუ არა იმ ბუნდოვან ცნებაზე, რასაც მომავალს ვეძახით, მაშინვე პირველი ეს მოუვიდა აზრად. სამომავლო საქმიანობაზე მშვიდი ნეტარებით ფიქრობდა, რამდენადაც ეს მომავალიც ნათლად ესახებოდა – ეს ხომ პირადად მისი მომავალი უნდა ყოფილიყო! მექანიკური სათამაშოები ბავშვობიდანვე იზიდავდა, იმის მიუხედავად, რომ გოგო იყო; უყვარდა გემების, ხიდებისა თუ კოშკების აწყობაც. ხშირად უცქერდა, როგორ აგებდნენ რკინის კონსტრუქციებს, როგორ ამოყავდათ აგურის კედლები, როგორ ამუშავებდნენ ორთქლის ქვაბებს... ლიდიას საწოლთან ხატი ეკიდა, კირას კი – რომელიღაც ამერიკული ცათამბჯენის ფოტო. მართალია, მსმენელები იჭვნეული ღიმილით უგდებდნენ ხოლმე ყურს, მაგრამ კირა მაინც სულ იმაზე ლაპარაკობდა, როგორ ააგებდა შუშისა და ფოლადის შენობებს, როგორ გადებდა ცისფერ მდინარეზე თეთრი ალუმინის ხიდს... ეუბნებოდნენ – ალუმინისაგან ხიდი არ გაკეთდებაო, თუმცა ის არც ამას აგდებდა აინუნში და წინდაწინ-

ვე ტკბებოდა იმის წარმოდგენით, როგორ დარაზმავდა უამრავ მუშას საკუთარი პროექტების განსახორციელებლად, რათა მომავალი ცათამბჯენის ფოლადის კარკასზე აელვარებული მზის სხივები დაენახა.

იცოდა, თავისი ცხოვრება ჰქონდა და ეს ცხოვრება მხოლოდ მასვე უნდა განეკარგა. იცოდა, რას ნიშნავდა არჩეული საქმე და სწორედ ამ საქმის კეთების უფლებას ელოდა ცხოვრებისაგან. ელოდა კიდევ რაღაცას, რისი სახელიც ვერ ეპოვა, ოღონდ დანაპირებივით გრძნობდა – ბავშვობიდან მახსოვრობაში ჩარჩენილი დანაპირებივით.

როცა ზაფხულის მზე გორაკებს იქით ჩაიძირებოდა, კირა კლდის ქარაფზე შემოსკუპდებოდა ხოლმე და მდინარის პირას, მდიდრული სამორინეს შენობას მიაჩერდებოდა. მუსიკალური პავილიონის მაღალი ქონგურა წითელ ცას კაწრავდა; განათებული შუშის კარებების ფონზე ჩამოქნილი ქალების მუქი ჩრდილები ირეკლებოდა; შიგ პავილიონში კი ორკესტრი მუსიკალური კომედიების მხიარულ, ხალისიან მელოდიებს უკრავდა. სწორედ ეს მუსიკა აცოცხლებდა თითქოს ღამეული ევროპული დედაქალაქების ნეონის აბრებს, ჭიქების წკარუნს, ლიმუზინების ელვარებას აქ, ამ საღამოს ბნელი ცის ქვეშ, ჩუმად მოდუდუნე მდინარის კლდოვან, პრეისტორიული ხეებით მოფენილ მაღალ ნაპირებზე.

სამორინეებისა თუ ლუდხანების ეს მსუბუქი ჰანგები, რასაც მთელს ევროპაში თვალანთებული გოგონები მღეროდნენ თეძოების რხევა-რხევით, კირასთვის იმგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სხვას არც არავის მიუნიჭებია მათთვის. ამ ჰანგებში მას ცხოვრების საოცარი ხალისი მოესმოდა – ისეთი უჩვეულო, მოცეკვავე გოგონას ფეხის სიმსუბუქეს თუ შეადარებდი. ხოლო რაკი კირა სწორედ ამგვარ მხიარულებასა და ხალისს აღმერთებდა, ახლობლების წრეშიც უკვე იშვიათად იცინოდა და არც კომედიების სანახავად უწევდა გუ-

ლი. ამავე დროს, თითქოს შინაგანად უჯანყდებოდა ყოველივე მძიმეს, ტრაგიკულს, ყალბად მოზეიმეს და სწორედ ამიტომ განიცდიდა ამაღლებულ მოწიწებას ასეთი, გამომწვევი მხიარულებით გაჯერებული სიმღერებისადმი.

ისინი იმ უცხო სამყაროს გამოძახილად მოესმოდა, სადაც ზრდასრული ადამიანები ფერადოვან სინათლეებსა და თეთრ მაგიდებს შორის მიდი-მოდიოდნენ, სადაც უამრავი რამ არსებობდა მისთვის გაუგებარი და თან, სწორედაც რომ მისი მომლოდინე.

და ეს ყველაფერი მომავლიდან ენახვებოდა კირას.

ერთ-ერთი სიმღერა პირადად სათავისოდ შეირჩია: არია „დამსხვრეული ჭიქა“ – რომელიღაც ძველი ოპერეტიდან. პირველად ის მავან ცნობილ ავსტრიელ მომღერალ ქალს შეესრულებინა, მთელი ვენის მშვენებას. სცენაზე, სანახევროდ დაშვებული ფარდისა და დიდი ქალაქის მოციმციმე შუქების ფონზე, აივნის მოაჯირი მოჩანდა, რომელზეც ბროლის თასები ჩაემწკრივებინათ; ლამაზმანი თავის პარტიას ასრულებდა და თან ჯერი-ჯერზე, ფეხის მსუბუქი წაკვრით, ვითომ სასხვათაშორისოდ ამსხვრევდა ჭურჭელს – ბრჭყვიალა წვიმასავით იფენდა ევროპაში ულამაზესი, თხელ წინდებში გამოკვართული ფეხების ირგვლივ.

მუსიკა შიგადაშიგ იფეთქებდა ხოლმე, და სწრაფი, სუფთა ბგერების აფოფრილი ტალღები დამსხვრეული ბროლის კამკამა, ნაზი წკარუნით იფრქვეოდა ირგვლივ; მერე ამას უფრო მოზომილი, შენელებული ბგერები ენაცვლებოდა, მათი სისავსით დაძაბული ვიოლინოს სიმები თრთოდა და გაუბედავად გადადიოდა გულიანი სიცილის ხმებში.

ნიავი სახეზე უფრიალებდა კირას თმას და ქარაფიდან გადაკიდული ფეხების ცერებსაც ცივ ამონასუნთქად ელამუნებოდა. ბინდბუნდში ცა თითქოს ნელ-ნელა უფრო ზევით მიიწევდა, მუქდებოდა კიდეც და ბოლოს, პირველი ვარსკვლავიც ვარდებოდა მდინარეში.

მარტოსული, სლიპინა ქვის ზედაპირზე ჩამომჯდარი ეს პატარა გოგო საკუთარ ჰიმნს უგდებდა ყურს და მასში გაჟღერებულ დანაპირებს უღიმოდა...

– ასე შეაბიჯა კირამ ცხოვრებაში. ზოგი მას ტაძრის რუხ თაღებქვეშ იწყებს, მოწიწებით ქედმოხრილი, წმინდა სანთლების სუსტი ათინათით სულსა თუ მზერაში; სხვები ცხოვრებას მრავალი ფეხით გათელილი ქვაფენილის მსგავსი გულით იწყებენ ხოლმე – სიცივისაგან აბუზულები და იმგვარ სითბოს დანატრებულები, რასაც მხოლოდ ჯოგში თუ ეზიარები. კირა არგუნოვა კი ცხოვრებაში გზა ვიკინგის ხმლითა და იმ ოპერეტის მელოდიით გაიკვლია, მისივე საბრძოლო სიმღერად რომ ჩაესმოდა.

* * *

გაღიზიანებულმა საბჭოთა მოხელემ კიდევ ერთხელ გაწმინდა კალამი უჯრედიანი ცხვირსახოცით, რადგან უნებურად, ბოლო ფურცელზე მელნის დიდრონი ლაქა დაეღვენთა.

– შრომა ჩვენი ცხოვრების უპირველესი მიზანია, ამხანაგო! – თქვა მან.

– ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს.

წიგნაკი მთლიანად შეავსო და მერე, ბოლო გვერდზე, რეზინის ბეჭედიც დაასვა. ბეჭედზე დედამიწა იყო გამოსახული, რომელზეც ნამგალი და ურო გადაეჯვარედინებინათ.

– აი თქვენი შრომის წიგნაკი, ამხანაგო არგუნოვა, – უთხრა კირას.

– თქვენ ახლა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რესპუბლიკის მოქალაქე ხართ! როგორც ჩვენი დიადი სახელმწიფოს ყველა სხვა მოქალაქეს, თქვენც გისურვებთ, ცხოვრების უპირველეს მიზნად მუშათა და გლეხთა ერთიანობა დაგესახოთ...

მერე წიგნაკიც გაუწოდა. პირველ ფურცელზე ამგვარი მოწოდე-

ბა დაებეჭდათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! " უფრო ქვემოთ კი მისი სახელი და გვარი ეწერა: კირა არგუნოვა.

IV

უხეშმა ბაზარმა კირას ბებრები გაუჩინა ხელებზე. მეოთხე სართულზე ამ მძიმე ფუთების თრევა ნამდვილად არ იყო იოლი საქმე – ბარგის ატანა იმ უსასრულო კიბის ქვის საფეხურებზე, კატის ყროლი რომ უდიოდა და ტერფებსაც უთოშავდა თხელლანჩიან ფეხსაცმელებში. ყოველ ჯერზე, როცა მომდევნო ტვირთისთვის ისევ ქვემოთ ეშვებოდა, ხტუნვა-ხტუნვითა თუ სულაც, კიბის მოაჯირზე მოსრიალებდა, გზად მძიმედ, ქშენა ქშენით მომავალ ლიდიას ჩაუქროლებდა ხოლმე, იმას კიდევ ფუთები გულზე მიეხუტებინა, საწყალობლად ხვნეშოდა და ყოველ ამოოხვრაზე – ღმერთო ჩემო, ანდა – წმინდაო ღვთისმშობელოო, სულ ბოლქვებად აფრქვევდა ორთქლს პირიდან.

არგუნოვებმა ბინა იშოვეს.

– ამ ამბავს ისე ულოცავდა ყველა, თითქოს დიდი რამ სასწაული მოეხდინათ. ეს სასწაული ალექსანდრ დიმიტრიევიჩისა და მავანი სახლმმართველის ხელის ჩამორთმევით დადასტურდა, რის შემდეგაც ალექსანდრ დიმიტრიევიჩს – სახლმმართველისაგან განსხვავებით – იმ ხელში აღარაფერი შერჩა: ხალხით გადაჭედილ ქალაქში სამოთახიანი ბინის გახერხება თავისი სამზარეულოთი, ნამდვილად ღირდა გარკვეულ გასამრჯელოდ.

– რაო?! სააბაზანოო? – სახლმმართველი აშკარად აღაშფოთა გალინა პეტროვნას მორიდებულმა შეკითხვამ.

– გონს მოდით, მოქალაქე! თვალი გაახილეთ!

ცხადია, ახლა ავეჯიც დასჭირდებოდათ. გალინა პეტროვნამ მხნეობა მოიკრიფა და კამენნოოსტრივსკის ქუჩაზე, რუხი გრანიტის შენობას მიადგა. ცად აზიდული ამ გოროზი სახლის წინ, რამდენიმე წუთით შეყოვნდა, მაგრად შემოიტმასნა ტანზე უკვე გახუნებული,

ბეწვის საყელოიანი ძველი პალტო; მერე ხელჩანთა გახსნა და ცხვირი პუდრით შეიფიფქა, რადგან რაღაც დარცხვენილად გრძნობდა თავს ამ გრანიტის ფილების წინაშე. ჯერ ისევ გახსნილი ხელჩანთიდან ახლა ცხვირსახოციც ამოაძვრინა: ცივ ქარში ცრემლები მწარედ უწვავდა სახეს. მერე ზარიც დარეკა.

– მაშ, თქვენ ხართ მოქალაქე არგუნოვა? კეთილი, კეთილი...

– დააზუსტა ჩასუქებულმა, ღაბაბიანმა მხატვარ-პლაკატისტმა. ქალი შინ შეიპატიჟა და მისი ახსნა-განმარტებაც გულისხმიერად მოისმინა.

– რა თქმა უნდა, შეგიძლიათ თქვენი ნაყარ-ნუყარი წაიღოთ! ანუ ის, რაც მე თავად არ მჭირდება. ფარდულშია ყველაფერი. როცა გინდათ, მაშინ გახიკეთ. ჩვენ რა, ვიღაც უგულოები კი არა ვართ! გვესმის, რა დღეშიც ხართ ეს მოქალაქე ბურჟუები.

გალინა პეტროვნამ დარდიანად გახედა თავის ძველ, ვენეციურ სარკეს, რომლის ონიქსის ქვის სადგამზეც ახლა საღებავით სავსე სათლი დაესვენებინათ. გალინა პეტროვნამ ენას კბილი დააჭირა და სიტყვის უთქმელად მიაშურა ფარდულს უკანა ეზოში. იქ რამდენიმე ფეხმოტეხილი სკამი, ძველი ფაიფურის ფასდაუდებელი ლარნაკი, პირსაბანი, დაჟანგული სამოვარი, ორი საწოლი, ძველი ტანსაცმლის შესანახი სკივრი და ლიდიას როიალი დაუხვდა; ყველაფერს ამას ზემოდან საოჯახო ბიბლიოთეკიდან გამოზიდული წიგნების გროვა, რაღაც ყუთები, ბურბუშელა და ბლომად ვირთხის ცურცლი ედო.

საზიდარი დაიქირავეს ამეების აგურით ნაშენი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე პატარა ბინაში გადასატანად, რომლის ჭუჭყიანი ფანჯრებიც მდინარე მოიკას მღვრიე დინებას გადასცქეროდა. თუმცა, საზიდრის მეორეჯერ დაქირავებას მათი ჯიბე უკვე ვეღარ გასწვდებოდა, ამიტომაც ამჯერად უკვე ურიკა ინათხოვრეს და ალექსანდრ დიმიტრიევიჩმაც – უტყვმა და ყველაფრისადმი გულგრილმა, თავადვე გადავიდა დუნაევებთან დატოვებული ფუთები ახალ ბინაში. მერე, უჟმური სადარბაზოს გავლით, ოთხივემ ერთად

აიტანა ეს ტვირთი კიბეზე, სადაც ბინების გამჭვარტლულ კარებებს ჩამტვრეულ-დაბინძურებული ფანჯრები ენაცვლებოდა. ადრე ასეთ კიბეს „უკანა შესასვლელს" ეძახდნენ და მხოლოდ მსახურები იყენებ-დნენ; ახლა კი მთავარი შესასვლელი საერთოდ გაეუქმებინათ. სახლს არც ელექტრობა მიეწოდებოდა და წყალგაყვანილობაც უი-მედოდ მოშლილიყო, წყალს კი სათლებით ეზიდებოდნენ ეზოდან. ჭერსაც ყველგან გარდასული წვიმების კვალი დამჩნეოდა ყვითელ ლაქებად.

– აქაურობას ცოტა ხელს შევავლებთ, გავალამაზებთ და ძალია-ნაც მყუდრო ბინა გამოვა, – იხტიბარს არ იტეხდა გალინა პეტროვნა.

ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა კი მხოლოდ ამოიოხრა.

როიალი სასადილო ოთახში დადგეს. მასზე გალინა პეტროვნამ სახელურმოტეხილ ჩაიდანს მიუჩინა ადგილი – ერთადერთ ნივთს, რაც მისი უძვირფასესი, ზაქსის ჩაის სერვისიდან გადარჩენილიყო. შეუღებავი ფიცრის თაროებზე სხვადასხვა ზომისა და წარმომავლო-ბის, დაბზარული თეფშები დააბინავეს. მერე ლიდიამ ეს თაროები ქაღალდის მაქმანებით მორთო. დაკოჭლებულ მაგიდას სიმყარის-თვის ოთხად გაკეცილი გაზეთი ამოუდეს. გრძელი, მოსაწყენი საღა-მოების განმავლობაში, იქაურობას ლამბაქზე დასხმულ, სელის ზეთ-ში მცურავი პატრუქის სუსტი, ჭერზე ობოლ ლაქად არეკლილი, მბჟუტავი შუქი ანათებდა, დილაობით კი ორპირი ქარი ზანტად არ-ხევდა მაღლა ჭერში, აბლაბუდას მსგავს ჭვარტლის ბღუჯებს.

ყველაზე ადრე გალინა პეტროვნა დგებოდა. მხრებზე ძველ ღაზლს მოისხამდა და ცეცხლის გასაღვივებლად, მთელი ძალით და-უწყებდა სულის ბერვას ნოტიო შეშის ნაჭრებს. მერე საუზმის თადა-რიგსაც იჭერდა. ნასაუზმევს, ოჯახის თითოეული წევრი თავ-თავის საქმეზე მიეშურებოდა.

ალექსანდრ დიმიტრიევიჩს ორ კილომეტრზე მეტი ჰქონდა ფეხით გასავლელი, თავის ახლადგახსნილ, საფეიქრო ნაწარმით მოვაჭრე

პატარა მაღაზიამდე. ტრამვაიში ცოცხალი თავით არ ჯდებოდა – გაჩერებაზე იმსიგრძე რიგი ხვდებოდა, დანახვისთანავე ეწურებოდა ვაგონში აღწევის ყოველგვარი იმედი. ადრე იმ მაღაზიაში საცხობი ჰქონდათ ვიღაცეებს გახსნილი და რაკი ალექსანდრ დიმიტრიევიჩს არის შესაცვლელი ფული არ აღმოაჩნდა, ამიტომ აცაბაცა ასოებით პირდაპირ კარზევე წააწერა იქაურობის ახალი სახელწოდება და ქსოვილის პატარა ნაკუწიც მიამაგრა ზედ. გამოცარიელებულ ვიტრინაში კი ორი ცხვირსახოცი და წინსაფარი გამოვიდა. მერე ყუთებსაც ჩამოაფხიკა საცხობის ემბლემები და ასე გამოდგა თაროებზე. დღის ბოლომდე იჯდა ხოლმე თავის მაღაზიაში, ფეხები თუჯის ღუმელისკენ გაეშვირა, ხელები მუცელზე დაეკრიფა და მეტწილად, თვლემაში გაყავდა დრო.

თუ ვინმე მუშტარი მოაკითხავდა, მაშინვე დახლის უკან იკავებდა ადგილს, სახეზე გულითად ღიმილს მოირგებდა და საქონლის ქებას მოჰყვებოდა:

– საუკეთესო ხილაბანდები გვაქვს, მოქალაქე! ნამდვილად. ფერი არ გადასდის – უცხოურს არ ჩამოუვარდება მაგაში... ფულის მაგივრად ღორის ქონს თუ ავიღებ? რა თქმა უნდა, ამხანაგო გლეხო... ნახევარ გირვანქად? ნახევარ გირვანქად მთელი ორი ხილაბანდი მოგივათ და კიდევ – ერთი მეტრი ჩითის ნაჭერიც!

სახეგაბადრული, ღორის ქონს იმავე უჯრაში აბინავებდა, რომელიც სალაროს მაგივრობასაც უწევდა და სადაც უკვე ჩაედო ერთი გირვანქა ჭვავის ფქვილი.

ნასაუზმევს, ლიდია ნაქსოვ შარფს იხვევდა ყელზე, მკლავზე კალათს წამოიცვამდა, ერთს საწყალობლად ამოიხვნეშა და კოოპერატივის გზას გაუდგებოდა. რიგში მდგარი, თვალს არ აცილებდა შორიახლოს აღმართული კოშკის საათის ისარს, რომელიც აუჩქარებლად მიცოცავდა ციფერბლატზე, ლიდია კიდევ, დროის მოსაკლავად, გულში იმ ფრანგულ ლექსებს იმეორებდა, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ დაეზეპირებინა.

– კი მაგრამ, საპნისთვის ვიდექი ამოდენა რიგში, მოქალაქევ?

– გაწიწმატდებოდა ხოლმე უკვე გაურანდავ, მწნილის სუნითა და ადამიანთა ამონასუნთქით გაჟღენთილ დახლთან მისული.

– და არც ეგ ტარანა მინდა!

– დღეს სხვა არაფერი გვაქვს, მოქალაქევ... შემდეგი!

– კარგი, კარგი, ავიღებ! – ფარ-ხმალს ყრიდა ლიდიაც.

– აბა, მთლად ასე ხელცარიელი ხომ ვერ მივალ სახლში...

საუზმის შემდეგ, გალინა პეტროვნა პირველ რიგში თეფშებს დარეცხავდა, მერე სათვალეს მოირგებდა და ცდილობდა, ორი გირვანქა ოსპიდან შიგ უხვად შერეული, წვრილ-წვრილი კენჭები გამოერჩია. დანაოჭებულ სახეზე ცრემლჩამოდენილი, ხახვს ფცქვნიდა, ცივი წყლით სავსე ტაშტში რეცხავდა ალექსანდრ დიმიტრიევიჩის პერანგებს და ყავასაც ფქვავდა ხელის საფქვავით.

შინიდან თუ იყო გასასვლელი, ცდილობდა სწრაფად ჩაევლო კიბე და სადმე სახლმმართველს არ გადაყროდა. თუკი მაინც შეეფეთებოდა ხოლმე, ზედმეტად გულიანად შეჰღიმებდა და ხმადათაფლული ესალმებოდა – დილა მშვიდობისა, ამხანაგო სახლმმართველოო.

ის კი სალამზე არასოდეს პასუხობდა და გალინა პეტროვნაც მის ავად მომზირალ თვალებში უსიტყვო ბრალდებას ამოიკითხავდა ხოლმე: „ბურჟუები, ქორვაჭრები! "

კირამ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა. ყოველ დილას, სტვენა-სტვენით მიეშურებოდა იქითკენ, ხელები ძველი, შავი პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო, მაღალ საყელოს კი ბოლო ღილამდე იკრავდა. ინსტიტუტში ლექციებს ყურადღებით ისმენდა, ოღონდ თავად, მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანს თუ გამოელაპარაკებოდა. სტუდენტთა შორის, უამრავი წითელთავსაფრიანი ხვდებოდა თვალში და ერთთავად წითელ მშენებლებზე, პროლეტარულ კულტურაზე, მსოფლიო რევოლუციის მოწინავე ხაზზე მდგარ ახალგაზრდა ინჟინრებზე ლაპარაკი ესმოდა. ესმოდა კია, მაგრამ არ უსმენდა, რადგან ამ დროს, თვითონ ბოლო მათემატიკურ თავსატეხზე ფიქრობდა

ხოლმე. ლექციებზე ზოგჯერ მოულოდნელად, ღიმილი გადაურბენდა სახეზე – უმიზეზო, უმისამართო; ისევ რაღაც თავის ბუნდოვან, ჯერაც ჩამოუყალიბებელ საფიქრალს თუ უღიმოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს დასრულებული ბავშვობა რაღაც ცივი შხაპივით ყოფილიყო – გამახალისებელი, გამაცოცხლებელი, ძალის მომცემი... ახლა კი ახალი დილა დამდგარიყო: წინ საქმე ელოდა და უამრავი რამ ჰქონდა საკეთებელი.

გვიან საღამოს, არგუნოვები ზეთის ჭრაქით განათებული მაგიდის ირგვლივ იყრიდნენ თავს სასადილო ოთახში. გალინა პეტროვნა ოსპის შეჭამანდსა და ხორბლის ფაფას ანაწილებდა თეფშებზე: მათი ვახშამი დიდი მრავალფეროვნებით ვერ გამოირჩეოდა. სურსათის მარაგი კი ისევე სწრაფად ილეოდა, როგორც მათივე დანაზოგები.

ვახშმის შემდეგ, კირას სასადილო ოთახში გამოჰქონდა წიგნები, რადგან შუქი მხოლოდ იქ ენთო. მაგიდაზე იდაყვებჩამოდებული, გადაშლილ წიგნს წინ დაიდებდა, თმაში თითებს შეიცურებდა და თვალებგაფართოებული, ისეთი გაფაციცებით დასცქეროდა კუბებს, სამკუთხედებსა და წრეებს, თითქოს რაღაც ძალზე ჩახლართულ ამბავს კითხულობსო.

ქარგვით გართული ლიდია მალი-მალ მწარედ ოხრავდა:

– ეგეც თქვენი საბჭოთა ელექტროფიკაცია! დამეთხარა თვალები... არადა, ხომ მოიგონა ვიღაცამ ეს ოხერი ელექტრობა!

– მართალი ხარ, ხომ იცი! – დაეთანხმა ცოტა არ იყოს, გაკვირვებული კირა.

– მართლა საშინელი განათებაა. უცნაურია ადრე ეს არც შემიმჩნევია...

ერთ საღამოსაც გალინა პეტროვნამ აღმოაჩინა, რომ ყველანაირი მარცვლეულის მარაგი გამოლეოდათ. იმ დღეს უვახშმოდ დარჩნენ.

– ესეც თქვენი საბჭოური კვება! – ჩვეულებისამებრ ამოიოხრა საქარგავზე თავწახრილმა ლიდიამ.

– მართალი ხარ, ხომ იცი! დღეს ჯერ არც კი გვივახშმია...

– თქვა კირამ.

– შენ რაღა დაგემართა! – შეუწყრა ლიდია.

– სად დაფრინავ?! საერთოდ, როდისმე რამეს თუ ამჩნევ?

ასეთ დროს გალინა პეტროვნაც კი იწყებდა ხოლმე ჯუჯღუნს:

– ქალი-ინჟინერი! მაინცა და მაინც ეს ხელობა უნდა აერჩია ჩემ ქალიშვილს... რა საქმეა ახლა ეს ახალგაზრდა ქალისთვის? არც თაყვანისმცემელი ჰყავს ვინმე და არც მეგობარი ბიჭი! ერთხელ მაინც ხომ უნდა მოსულიყო ვინმე სტუმრად? მაგრამ ამისთანა უდრეკსა და უჯიათს ვინ გაეკარება, ვის გაუყადრებს თავს! ზემოდან უყურებს ყველას... მე მგონი, გრძნობები საერთოდ არც გააჩნია! ჩემი შვილი მაინც არ იყოს!

პატარა ოთახში, სადაც კირას და ლიდიას ეძინათ, მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, ამიტომ კირა იატაკზე დაფენილ ლეიბზე წვებოდა. ზეთი რომ დაეზოგათ, ადრევე მიდიოდნენ დასაძინებლად. კირა თხელ საბანზე ზემოდან პალტოსაც იფარებდა და მოკუნტული, ბნელში გამკრთალ თეთრ ლაქას – სალოცავად მუხლმოყრილ, გრძელ, თეთრ ღამისპერანგიან ლიდიას მიაჩერდებოდა ხოლმე: ხატების წინ დაჩოქილი, სიცივისაგან აკანკალებული მისი და გულმხურვალედ ბუტბუტებდა ლოცვის სიტყვებს, ჩქარ-ჩქარა იწერდა პირჯვარს და შუბლით ეხებოდა იატაკზე არეკლილ მოწითალო შუქსა და ბრინჯაოს მკაცრი სახეების მკრთალ ათინათს.

ოთახის კუთხეში გაშლილ ლეიბზე მწოლიარე კირა ფანჯრიდან რუხ-მეწამულ ცასა და სადღაც შორს, პეტროგრადის თავზე ჩამოწოლილ, ნისლიან ბინდში საადმირალოს ოქროცურვილი გუმბათის წამახულ წვერსაც ხედავდა – სწორედ იმ ქალაქის თავზე, სადაც ამდენი რამ ეჩვენებოდა შესაძლებლად.

* * *

ვიქტორ დუნაევმა უცებ ძალიან მოუხშირა დეიდის ოჯახში

სტუმრობას. გალინა პეტროვნას ხელზე ისე ეამბორებოდა ხოლმე, თითქოს სამეფო კარზე გამართულ წვეულებას ესწრებაო და ისე გულიანად იცინოდა, მთლად ცირკში გეგონებოდა თავი.

მის გასამასპინძლებლად, გალინა პეტროვნას ჩაის სმისას სახარინის ნაცვლად, შავი დღისთვის გადანახული, ცოტაოდენი შაქარიც გამოჰქონდა. მომხიბლავად მომღიმარი ვიქტორი თავისიანებს ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ჭორებს აცნობდა, ცინცხალ ანეკდოტებსაც უყვებოდა, საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარ ცხელ-ცხელ ამბებსაც და ბოლო დროს წაკითხული ლექსებიდან ამონარიდებითაც ანებივრებდა. ასევე უშურველად უზიარებდა საკუთარ მოსაზრებებს რეფლექსებისა თუ ფარდობითობის თეორიებთან დაკავშირებით. არ მალავდა არც თავის შეხედულებებს პროლეტარული ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებასთან დაკავშირებით.

– კულტურულ ადამიანს, – იტყოდა ხოლმე.

– პირველ რიგში, დროსთან თანხვედრა მოეთხოვება!

გულითადად უღიმოდა ალექსანდრ დიმიტრიევიჩს და ცეცხლსაც მალი-მალ მიაშველებდა ხოლმე სახელდახელოდ გამოხვეული მოსაწევისთვის. უღიმოდა გალინა პეტროვნასაც და რამდენჯერაც დეიდამისი სკამიდან წამოდგებოდა, თვითონაც მყისიერად წამოიჭრებოდა ფეხზე. უღიმოდა ლიდიას და გულისყურით ისმენდა იმის მიამიტურ მსჯელობას რწმენის საკითხების ირგვლივ. აი, დაჯდომით კი მუდამ კირას გვერდით ცდილობდა მოკალათებას.

ათი ოქტომბრის საღამოს, ვიქტორმა შედარებით გვიან შეიარა არგუნოვებთან. უკვე ცხრა საათი ხდებოდა, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა და ლიდიაც საჩქაროდ გაეშურა მომცრო წინკარისკენ.

– ბოდიშს ვიხდი, ეს ერთიც მაპატიეთ! – გაიძახოდა მომღიმარი ვიქტორი, ვიდრე პალტოს სკამზე მიაგდებდა, ლიდიას ხელს ტუჩებთან მიიტანდა და სარკისკენ ქურდულად მზერაგაპარებული, ოდნავ შეისწორებდა აჩეჩილ, უხიაგ თმას.

– ინსტიტუტში შემაყოვნეს, სტუდენტურ კრებაზე... ვიცი, სტუმრობისთვის გვიანია, მაგრამ კირას დავპირდი, ქალაქში გაგასეირნებ-მეთქი და...

– ამდენს რას გვებოდიშები, საყვარელო! – გასძახა გალინა პეტროვნამ სასადილო ოთახიდან.

– მოდი, ჩაის დაგალევინებ.

სუსტი ალი მაგიდის ირგვლივ მსხდომთა ყოველ ამოსუნთქვაზე თრთოდა. ხუთი ვეება ჩრდილი აზიდულიყო ჭერისკენ, ხოლო სქელ, ბოთლის შუშის ჭიქებში დასხმულ ჩაის მომწვანო ელფერი დაჰკრავდა.

– ვიქტორ, – შეთქმულივით აჩურჩულდა გალინა პეტროვნა.

– სანდო წყაროსაგან შევიტყვე, ეს ამათი ნეპი ბევრი სხვა ცვლილების მხოლოდ დასაწყისიაო... დასასრულის დასაწყისი! თითქოს მერე და მერე, ძველი პატრონებისთვის სახლებისა და სხვა უძრავი ქონების დაბრუნებასაც აპირებენ... წარმოგიდგენია? ჩვენ თუ ის სახლი დაგვიბრუნეს კამენნოოსტროვსკიზე,.. შენთან რა მაქვს დასამალი – ეს ყველაფერი კოოპერატივის თანამშრომელმა მითხრა, იმის ბიძაშვილი კი ვიღაც პარტიული მუშაკი ყოფილა, იმას დაეჯერება.

– სავსებით შესაძლოა, – ავტორიტეტულად დაუდასტურა ვიქტორმა და გალინა პეტროვნასაც კმაყოფილი სახით ჩაეღიმა.

ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა კიდევ ჩამოისხა ჩაი; თვალი საშაქრისკენ გაექცა, შეყოყმანდა, ახლა ცოლსაც გადახედა და ბოლოს, ისევ უშაქრო ჩაის მოხვრეპა ამჯობინა. მერე შუბლშეჭმუხნული ალაპარაკდა:

– არაფერი არ შეცვლილა. უბრალოდ, თავიანთ საიდუმლო პოლიციას ახლა ჩეკას[2] მაგივრად, გეპეუ[3] დაარქვეს, თორემ აზრი იგი-

[2] ЧК – აბრევიატურა: „საგანგებო კომიტეტი“.

[3] ГПУ – „მთავარი პოლიტიკური სამმართველო“.

ვე დარჩა. იცი რა თქვეს დღეს მაღაზიაში? თურმე კიდევ ერთი ანტისაბჭოთა შეთქმულება გამოუვლენიათ, ათობით ადამიანია დაპატიმრებული! სწორედ დღეს დაიჭირეს ბებერი ადმირალი კოვალენსკი – აი ის, ომში რომ დაბრმავდა. გაუსამართლებლად დაუხვრეტიათ.

– ეგ სულ ჭორებია, – თქვა ვიქტორმა.

– ხალხი რას არ მოიგონებს.

– ასეა თუ ისე, სურსათი მაინც უფრო იშოვება, – სიტყვა ჩაურთო გალინა პეტროვნამ.

– დღეს მაგალითად, მშვენიერი ოსპი მერგო...

– მე კიდევ, ორი გირვანქა ფეტვი! – თქვა ლიდიამ.

– და მე კიდევ – მთელი გირვანქა ღორის ქონი! – დაამატა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

როცა კირა და ვიქტორი წასასვლელად წამოიშალნენ, გალინა პეტროვნამ ისინი კარებამდე მიაცილა.

– იცოდე, ჩემ გოგოს კარგად მოუფრთხილდი ვიქტორ, საყვარელო! და ძალიანაც არ დაიგვიანოთ. ათასი უბედურება ხდება ქუჩებში. აბა, თქვენ იცით. უცნობებს არ გამოელაპარაკოთ, იცოდეთ.

* * *

ორთვალა მიყუჩებულ ქუჩებში მიხრიგინებდა. მის კვალდაკვალ, მეეტლის ზურგსუკან გამოჭყეტილი მაღალი ლამპიონების მოციმციმე შუქზე, ნაცრისფერი ყინულით დაფარულ უსასრულო არხებს წაგავდა ფართო, სწორი, უკაცრიელი ტროტუარები. დროდადრო, იქ ჩრდილის შავი წრე გამოჩნდებოდა, ამ წრის ზღვარზე კი მეტისმეტად მოკლეკაბიანი ქალიც – ყელიან, თასმებშემოჭერილ ფეხსაცმელებში გამოკვართულ ფეხებზე ოდნავ რომ ირწეოდა აქეთ-იქით. ზოგჯერ, იმავე ტროტუარზე, ქარის წისქვილის მსგავსი მუქი სილუეტიც ატორტმანდებოდა ხოლმე, როცა ქუჩაში მორღვეული ნა-

ბიჯით, წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელების ქნევითა და მზესუმზირის ჩენჩოს ფურთხებ-ფურთხებით, მავანი მთვრალი მეზღვაური ჩაივლიდა. მერე ორთვალას მძიმე, ხიშტებით აჯაგრულმა სატვირთო მანქანამაც ჩაუხრიგინა და ამ ხიშტებს შორის, წამით კირამ გადაფითრებული, შიშისაგან გაფართოებული ორი თვალით მონიშნული სახე დალანდა.

– თანამედროვე კულტურულმა ადამიანმა, – ამბობდა ვიქტორი.

– აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ობიექტური ხედვა, რაც მისი პირადი შეხედულებების მიუხედავად, დაეხმარება ეს ჩვენი დრო უდიდეს ისტორიულ დრამად – კაცობრიობისათვის განუზომელი მნიშვნელობის მქონე ხანად აღიქვას!

– სისულელეა! – მიუგო კირამ.

– ძველთაძველი და თან, არცთუ სასიამოვნო მოცემულობაა, რომ ბრბო არსებობს და თავის არსებობასაც მუდმივად გახსენებს... დღეს კი ეს განსაკუთრებულად მახინჯი ფორმით ვლინდება. ესაა და ეს.

– ეგ ნაჩქარევი, არამეცნიერული ხედვაა, კირა! – უთხრა ვიქტორმა და მერე ისევ გააგრძელა სიტყვა ქანდაკების ესთეტიურ ღირებულებასა და თანამედროვე ბალეტზე; რამდენიმე ახალი პოეტიც გაიხსენა, რომელთა ლექსები მომცრო, კოხტა, თეთრ, სლიპინაყდიანი წიგნაკების სახით იბეჭდებოდა იმხანად. ბოლო დროს გამოცემული ამგვარი კრებულები მუდამ საწერ მაგიდაზე ელაგა, ასევე უახლეს სოციოლოგიურ ნაშრომებთან ერთად, რასაც თვითონ ერთგვარი „წონასწორობის დაცვის აუცილებლობით ხსნიდა. საყვარელ ლექსებსაც ახლებურ ყაიდაზე კითხულობდა ხოლმე ხმამაღლა – თითქოს გულგრილადო, მაგრამ წამღერებით, ოდნავი დუდღუნით და ამ დროს მსუბუქად ეხებოდა კირას ხელს. ახლაც ასე მოხდა, მაგრამ კირამ ხელი მოარიდა და ქუჩის ლამპიონებს გახედა.

ორთვალამ სანაპიროსკენ გადაუხვია. უკვე კარგა ხანია, მდინა-

რის გასწვრივ მიდიოდნენ, რადგან ერთ მხარეს ჩაშავებული ცა ქვემოთ ეშვებოდა ცივ, ნოტიო სიცარიელეში, რომელშიც სადღაც შორს, უკუნეთში გამოკიდული შუქის გრძელი, ვერცხლისფერი კუდები ციმციმებდა ზანტად. მეორე მხარეს, თეთრი მოაჯირების მიღმა, ერთიან რიგად ჩამწკრივებულიყო თაბაშირის ქანდაკებები. არცერთ ამ სახლში არ ენთო შუქი და ქვაფენილზე ცხენის ფლოქვების თქარათქურის გამოძახილი ყრუდ გაისმოდა უკაცრიელ ქუჩაბანდებში.

ვიქტორმა მეეტლეს საზაფხულო ბაღთან გაუსწორა ანგარიში. იქიდან ფეხით გააგრძელეს გზა, გამხმარი ფოთლების იმ ხალიჩაზე, რომლის აღება ჯერაც არავის მოსვლოდა აზრად. ამ საყოველთაოდ ცნობილი პარკის მდუმარე სიმარტოვეს არცერთი სხვა მოსეირნე წყვილი არ არღვევდა. ძველთაძველი მუხების შავმა თაღებმა თითქოს უცებ მთელი ქალაქი შთანთქა და ნოტიო, აშრიალებულ სიბნელეში მაშინვე დატრიალდა ხავსის, ნეშომპალისა თუ შემოდგომის სურნელი. განიერი, სწორი სასეირნო ბილიკების გასწვრივ, ქანდაკებების თეთრი სილუეტები იკვეთებოდა.

ვიქტორმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ნამიანი მერხი გადაწმინდა; მერე ზედ ჩამოსხდნენ, რომელიღაც ძველი ბერძენი ქალღმერთის ცხვირმომტვრეული ქანდაკის ქვეშ. უცნობი ქალღმერთის თავზე ზანტად, ბზრიალ-ბზრიალით შემოხაზა უკანასკნელი წრე ხმელმა ფოთოლმა და მერხზე ჩამომსხდარი წყვილის ფერხთით დაეშვა მიწაზე.

ვიქტორმა ნელა, ნაზად მოხვია ხელი მხრებზე კირას. ის ისევ გაეცალა. ვიქტორი გოგონასკენ წაიხარა და მღელვარედ აჩურჩულდა, როგორ ოცნებობდა მასთან მარტო დარჩენაზე; გამოუტყდა – ადრეც შევხვედრივარ სხვებს, თანაც არაერთს, ქალები ზედმეტადაც კი მანებივრებენ, ოღონდ დღემდე მაინც სულ უბედურად და მარტოსულად ვგრძნობდი თავს – ეტყობა, ჩემს იდეალს დავეძებდი... შენიც

კარგად მესმის – მგრძნობიარე სულის პატრონი, ათასი პირობითობით ხარ შებორკილი და ჯერაც არ გამოგიღვიძია სიცოცხლის დასაწყებად, ანუ – სიყვარულთან შესახვედრადო. კირამ კიდევ უფრო შორს გაიწია მისგან და შეეცადა, საუბრის თემაც შეეცვალა. ვიქტორმა ამოიოხრა და ჰკითხა: – სიყვარულზე საერთოდ არასდროს დაფიქრებულხარ, კირა?

– არასოდეს... და არც დავფიქრდები, იმიტომ რომ თავად ეგ სიტყვაც კი მაღიზიანებს. ჩემი სათქმელი გითხარი, ახლა წავედით.

კირა წამოდგა, თუმცა ვიქტორმა მაჯა დაუჭირა: – რა გვეჩქარება, ადრეა ჯერ...

გოგომ მოწყვეტით გაიქნია თავი და კოცნაც, რომელიც მის ტუჩებს უმიზნებდა, მხოლოდ ლოყას გაედო უხერხულად. გოგონამ ერთი სწრაფი მოძრაობით გაითავისუფლა თავი, რამაც ვიქტორი აიძულა, ისევ მერხზე დაშვებულიყო. კირამ ღრმად ამოიოხრა და პალტოს საყელო აიწია.

– ღამე მშვიდობისა, ვიქტორ. სახლში ვბრუნდები. შენ თუ გინდა, დარჩი.

ვიქტორი წამოიზლაზნა და დარცხვენილმა ჩაილუღლუღა: – მაპატიე, კირა. გაგაცილებ.

– გითხარი, მარტო წავალ-მეთქი!

– კარგი ახლა, ხომ იცი რომ ასე ვერ გაგიშვებ. საშიშია. ამ დროს გოგოს ქუჩაში მარტო არ გაესვლება.

– მე არაფრის არ მეშინია.

კირა ბილიკს გამოუყვა და ვიქტორიც აედევნა. პარკიდან გამოვიდნენ. უკაცრიელ სანაპიროზე მხოლოდ ვიღაც მილიციელი გადაყუდებულიყო მოაჯირზე და ჯიუტად მიშტერებოდა წყლის ზედაპირზე არეკლილ შუქებს.

– ახლავე თუ არ დამანებებ თავს, – ვიქტორს მოუბრუნდა კირა.

– ამ მილიციელს ვეტყვი, ვიღაც უცნობი ამეტორღიალა-მეთქი!

– მე კიდე ვეტყვი, იტყუება-მეთქი!

– მაგას ხვალ დილამდე ვერ დაამტკიცებ, მანამდე კი საკანში გაგვატარებინებენ ღამეს.

– ძალიანაც კარგი. მიდი, უთხარი. კირა მილიციელს მიუახლოვდა.

– ბოდიშს გიხდი, ამხანაგო! – წამოიწყო და მაშინვე დაინახა, ვიქტორი აჩქარებული ნაბიჯით როგორ გაეცალა იქაურობას.

– ვერ მეტყვით, მოიკაზე როგორ გავიდე?

ახლა კირა უკვე მარტო მიუყვებოდა პეტროგრადის ბნელ ქუჩებს, რომლებიც თითქოს მიტოვებულ სცენაზე შემორჩენილ დეკორაციებს შორის მიიკლაკნებოდა. წამლად ერთ განათებულ ფანჯარასაც ვერსად მოკრავდით თვალს, მხოლოდ ცაზე გაწოლილი ღრუბლებისკენ აშვერილი ეკლესიის სამრეკლო მოჩანდა სახურავებს გადაღმა – გეგონებოდა, თავადაც ნელა მიცურავს უძრავ კაბადონზე და საცაა, ქუჩაში ჩამოიქცევაო.

ჩაკეტილ ჭიშკრებთან ნავთის სანათურები ბოლავდა. ცხაურაკრული სათვალთვალოებიდან მარტოსულ გოგოს ღამის გუშაგების მზერა მიაცილებდა. რულმორეული მილიციელებიც ეჭვით გახედავდნენ ხოლმე ცერად. მისი ნაბიჯების ხმამ კოფოზე ჩაძინებული მეეტლეც გამოაღვიძა, რომელმაც მაშინვე თავისი სამსახური შესთავაზა. მერე ვიღაც მეზღვაურმაც დააპირა ატორღიალებოდა, მაგრამ როგორც კი კირას სახე დალანდა, მაშინვე აიღო განზრახვაზე ხელი. იგრძნო თუ არა გოგოს მოახლოება, მაწანწალა კატამაც იქვე, სარდაფის ჩამსხვრეულ ფანჯარაში დურთა თავი.

შუაღამეს გვარიანად გადასცდა, როცა სრულიად მოულოდნელად, ამ ჩამკვდარ ქალაქში რომელიღაც სიცოცხლეშერჩენილ ქუჩაზე შეუხვია და მაშინვე თვალში ეცა პირქუშ კედლებზე ყვითლად გამოკვეთილი, ფარდებიანი ოთხკუთხედები და შუშის კარებების წინ, ყვითლადვე დაფენილი გამონაშუქი... ქვისა და სინათლის ამ ვიწრო ხეობის თავზე კი თითქოს ერთიან თაღად იკვრებოდა შორეული, ჩამუქებული სახურავები.

კირა შეჩერდა. სადღაც გრამოფონს ახმიანებდნენ. მუსიკის ჰანგი განათებული ფანჯრის იქიდან იჭრებოდა ქუჩის სრულ მდუმარებაში – „დამსხვრეული ჭიქის“ მელოდიას უკრავდნენ.

ჯერაც გაუაზრებელი იმედის ეს ჰანგი აშინებდა კიდეც, რადგან ბევრს პირდებოდა, თუმცა რას – თავადაც ვერ გეტყოდათ. იმასაც ვერ დაიჩემებდა, ნამდვილად დაპირებააო: უფრო რაღაც განცდას ჰგავდა. ლამის ტკივილს, რომელმაც ახლა მთელს სხეულში დაუარა, თხემით ტერფამდე.

მკვირცხლი, ნატიფი ბგერები ისე ფეთქავდნენ, თითქოს მთრთოლვარე სიმებს მათი შეკავება უჭირდათ, თითქოს წყვილი ცელქი ფეხი მართლა ბროლის თასებს ამსხვრევდა; ხოლო თავსზე-მოთ, დაჩეხილ ღრუბლებს შორის გაჩენილ ღიობებში, ჩაშავებული ცა იმ მანათობელი ფხვნილით აციმციმებულს ჰგავდა, შუშის ნამ-სხვრევებივით რომ მობნეოდა ზედ.

მუსიკა ვიღაცის ხმამაღალმა სიცილმა გაწყვიტა და შიშველმა ხელმა ფანჯარაზე ფარდა გაწია.

კირამ შენიშნა, რომ მარტო აღარ იყო. მის წინ ალისფრად ტუჩებ-დაღებილი, თეთრად სახეშეფიფქული ქალები იდგნენ, რომელთაც წითელი ხილაბანდები წაეკრათ, მოკლე კაბები ეცვათ, ფეხებზე კი ბოლომდე შეკრული, ყელიანი ტყავის წაღები ამოეცვათ. მერე ისიც დაინახა, როგორ გაუყარა ხელკავი ვიღაც გამვლელმა კაცმა ერთ-ერთ მათგანს და ორივე შუშის კარს მიღმა გაუჩინარდა.

– მიხვდა, სადაც ამოეყო თავი. მაშინვე ადგილს მოსწყდა და აფო-რიაქებულმა, უახლოესი მოსახვევისკენ დააწირა თავი.

თუმცა, მალევე ისევ მოუწია შეჩერება.

კაცი მაღალი იყო; პალტოს საყელო აეწია, ქუდი კი თვალებზე ჩამოეფხატა. მკაცრად, ამრეზით მოკუმული ტუჩები ისეთ გამომეტ-ყველებას აძლევდა, თითქოს ვინმე გარდასული დროის ბელადია, თავის ხალხს დაუფიქრებლად რომ გაწირავს სასიკვდილოდო, თვა-

ლებში კი ისეთი მზერა ჩაბუდებოდა, მათი გაჟლეტის მშვიდად ცქერა რომ არ გაუჭირდებოდა.

კირა ლამპიონის ბოძს მიეყრდნო, პირდაპირ სახეში მიაჩერდა და გაუღიმა. იმწუთას არაფერზე არ ფიქრობდა, შემკრთალი და მომღიმარი, თვითონ ვერც აცნობიერებდა, როგორ უნდოდა რომ კაცსაც ეცნო, ისევე როგორც თავად იცნო იგი.

– საღამო მშვიდობის, – კაცმაც თვალი თვალში გაუყარა კირას.

– საღამო მშვიდობის, – უპასუხა გოგომაც, რომელსაც ჯერ ისევ სჯეროდა სასწაულების.

კაცი მიუახლოვდა, თვალები მოჭუტა და იმანაც გაუღიმა. თუმცა, გაღიმებულსაც კი ტუჩები მაინც მაგრად ჰქონდა მოკუმული. წამის მერეღა აბზიკა ზედა ტუჩი, დამცინავად.

– მარტო ხარ? – დაეკითხა კირას.

– საშინლად... თანაც, უკვე დიდი ხანია.

– უპასუხა გოგომ ალალად.

– მაშინ, წამოდი.

– წავიდეთ. კაცმა მკლავზე ხელი წაავლო და კირაც მიჰყვა.

– უნდა ვიჩქაროთ. დროზე მინდა აქაურობას გავეცალო.

– მეც.

– უნდა გაგაფრთხილო: არაფერი მკითხო.

– არც ვაპირებ გკითხო რამე...

კირა კაცის უცნაურად მონახაზ სახეს აკვირდებოდა. მერე გაუბედავად, იჭვნეულად შეეხო მის გრძელ თითებს, რომელთაც გოგოს მკლავი მოემწყვდია.

– ეგრე რატომ მიყურებ? – ჰკითხა, თუმცა კირას არაფერი უპასუხია.

– ვშიშობ, ამაღამ ხალისიან თანამგზავრად ვერ გამოვდგები, – გააგრძელა კაცმა.

– დაგეხმარო რამით?

– აბა რისთვის ხარ აქ? – კაცი მოულოდნელად შეჩერდა.

– არც ისე ბევრი ფული მაქვს, – მოაყოლა მერე.

– ფასი ახლავე მითხარი.

კირამ ერთხელაც შეათვალიერა და მიხვდა, რატომ შეეჩერებინა იმას არჩევანი მაინცადამაინც მასზე... უსიტყვოდ ჩასცქეროდა თვალებში, ხოლო როცა ხმა ამოიღო, უწინდელი მოკრძალების კვალიც აღარ შერჩენოდა, მშვიდად და მკაცრადაც კი უთხრა:

– ძვირი არ იქნება.

– სად წავიდეთ?

– ახლახანს ქუჩის კუთხეში, პატარა ბაღს ჩავუარე. მოდი, ჯერ იქ მივიდეთ, თუნდაც ცოტა ხნით.

– მილიციელები არ იქნებიან? – არა.

მალე უკვე რომელიღაც მიტოვებული სახლის კიბეზე ისხდნენ. ქუჩის ლამპიონებისაგან ხეები იფარავდათ და მათ სახეებზე, ისევე როგორც ზურგსუკან კედელზე, შუქის მხოლოდ ნაფლეთები ეცემოდა. მათ თავზე, შიშველი გრანიტის ფასადზე, რამდენიმე რიგად დაეღო პირი ჩამსხვრეულ ფანჯრებს. მთავარი შესასვლელის თაღზე ძველი მეპატრონის საგვარეულო ღერბი მოენგრიათ და მისი ნაკვალევი შეუხორცებელ ჭრილობასავით აჩნდა ქვას. ბაღის მორღვეული მესერის რკინის ჯოხები სამგლოვიაროდ დახრილი შუბებივით დაზნექილიყვნენ მიწისაკენ.

– ქუდი მოიხადე, – უთხრა კაცს კირამ.

– ეგ რატომ? – შემოგხედო მინდა.

– შენ რა, ჩემს საძებრად გამოგგზავნეს? – არა. მაინც, ვის უნდა გამოვეგზავნე?

კაცმა ამაზე არაფერი უპასუხა და ქუდიც მოიხადა. გოგოს სახემ სარკესავით აირეკლა მისი სილამაზე. ოღონდ ზედ არა აღტაცება, არამედ გაოგნება და მოკრძალებული მოწიწება გამოესახა. მერე ესღა ამოღერღა:

– სულ ეგრე სახელოჩამოხეული პალტოთი დაიარები? – ესღა შემრჩა... და შენ სულ ასე თვალებით ჭამ ხალხს? – ზოგჯერ.

– შენ ადგილას, ეგრე არ ვიზამდი. ხალხს რაც ნაკლებს დაუნახავ, მით უკეთესი შენთვის. სხვა შემთხვევაში, რკინის ნერვები და გაძლება უნდა გქონდეს.

– მაქვს კიდეც.

– და ღონიერი ფეხებიც?

ორი თითით, წკიპად აუწია კაბის ბოლო; ფრთხილად, აუჩქარებლად. კირა ქვის საფეხურს ჩააფრინდა, ოღონდ არ გასძალიანებია. თავი აიძულა, არ განძრეულიყო. სუნთქვაშეკრული მიეყინა კიბეს. კაცმა სახეში შეხედა. აათვალიერ-ჩაათვალიერა და ოდნავ მობრუცა ტუჩები.

– კი, ღონიერი ფეხებიც...

– მორჩილად ჩაიჩურჩულა კირამ და კაცს თვალი აარიდა.

– თუ მასეა, გაიქეცი! – შენ გაგექცე?

– არა, ყველას. ზოგადად, ხალხს. კარგი, გეხუმრები. კაბა ჩამოიწიე. არ გცივა?

– არა, – თქვა კირამ, ოღონდ კაბა კი მაინც ჩამოიწია.

– ჩემს ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ, – უთხრა კაცმა.

– შინ დასალევი არაფერი გაქვს?

– მგონი კი...

– იცოდე, ამაღამ გვარიანად უნდა დავთვრე.

– ამაღამ რატო? – ჩვევა მაქვს ასეთი.

– ტყუილია.

– შენ რა იცი? – ვიცი.

– და კიდევ რა იცი ჩემზე? – ვიცი რომ ძალიან დაღლილი ხარ.

– ეგ მართალია. მთელი საღამო ვიწანწალე.

– რატომ? – მგონი გითხარი, არაფერი მკითხო-მეთქი. ზურგით კედელს აკრულ გოგოს შეხედა. მხოლოდ ცალი, მორუხო ფერის თვალი დაუნახა – მშვიდი, ჯიუტად მომზირალი, თმის ერთი კულული მის ზემოთ, შავ ჯიბეში ჩამალული ხელის თეთრი მაჯა და მთელი

ძალით ერთმანეთზე მიტყუპებულ ფეხებზე ამოცმული ნაქსოვი წინდებიც შეამჩნია. ბნელში ბუნდოვნად იკვეთებოდა გოგოს თხელი ტუჩები და ოდნავ მოცახცახე, ჩამოქნილი ტანის მუქი სილუეტი. კაცმა ახლა მისი შავი წინდა მოიქცია თითებში. კირა არც ამჯერად განძრეულა. კაცი მისი სიბნელეში დარჩენილი ტუჩებისაკენ წაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

– ისე ნუ მიყურებ, როგორც რაღაც საოცრებას. მე ახლა დათროობისა და შენნაირი ქალის მეტი, არც არაფერი მინდა. ყველგან ბოლომდე ჩამოგყვები, სანამდეც კი ჩამითრევ.

– მგონი, სწორედ მაგ ჩათრევის გეშინია, – უთხრა კირამ.

კაცმა ხელი მოაშორა. ცოტა უფრო ყურადღებით შეაცქერდა და უცებ, უთხრა:

– რამდენი ხანია, რაც ამ საქმეს მისდევ? – რა ვიცი... არც ისე დიდი ხანია.

– მეც ეგ ვიფიქრე.

– ბოდიშს გიხდი. როგორც შემეძლო, ვეცადე.

– რას ეცადე...

– გამოუცდელობა არ შემტყობოდა.

– ღმერთო, რა სულელი გოგო ხარ! ეგ რაღად გინდოდა? ისეთი მომწონხარ, როგორიც ხარ. მაგ შენი ყველაფრის დამნახავი, უცნაური თვალების პატრონი... ისე, რამ დაგაყენა ამ გზაზე?

– კაცმა.

– ღირდა მაინც? – კი.

– აი მესმის, ჟინი! – რისი ჟინი? – სიცოცხლის.

– ეგ ჟინი თუ დაკარგე, ცხოვრება რაღად გინდა?

კაცს გაეცინა. სიცილის გამოძახილი ჩამსხვრეულ ფანჯრებს მიღმა დაირხა, ამ ფანჯრებივით ცივი და გამოცარიელებული.

– ალბათ იმისთვის, რომ რამე მსუბუქი გასართობი იპოვო, თუნდაც შენნაირი. მაგას თუ გადააყოლებ ცოტათი გულს... ერთი ეგ ქუდი მოიხადე.

კირამ ნაქსოვი ქუდი წაიძრო თავიდან. რუხი ქვის ფონზე, მისმა აჩეჩილმა თმამ და ფოთლებში გაბლანდულმა შუქმა თბილი აბრეშუმივით გაიბრწყინა. კაცმა თავზე გადაუსვა ხელი და ისე მოწყვეტით გადაუწია თავი უკან, კირას კისერი ეტკინა.

– გიყვარდა ის კაცი? – ჰკითხა მერე.

– ვინ კაცი...

– ვინც აქამდე მიგიყვანა.

– მიყვარდა...

– უცებ შეცბა, ამ სრულიად მოულოდნელად გაჩენილი ფიქრის გადამკიდე.

– არა, არ მყვარებია.

– ეგ კარგია.

– შენ თვითონ... როდისმე...

– მიხვდა, ისეთი კითხვის დასმა დააპირა, დამთავრება რომ არ ეწერა.

– ჩემზე ამბობენ, საკუთარი თავის გარდა, არავის მიმართ არავითარი გრძნობა არ გააჩნიაო, – უთხრა კაცმა.

– თუმცა, არც ეგაა დიდი ხეირი.

– ეგ ვინ თქვა? – ერთმა არაკეთილმოსურნემ. თუმცა მაგნაირი სხვაც ბევრი მყავს.

– ეგ კარგია.

– ჯერ ისეთი არავინ შემხვედრია, მაგის გამო შევექე.

– ერთი მაინც ხომ შეგხვდა.

– ეგ ვინა? – შენ თვითონ.

კაცი ისევ დაიხარა კირასკენ, შეეცადა ბნელში უკეთ გაერჩია მისი სახე. მერე კვლავ წელში გასწორდა და მხრები აიჩეჩა.

– მე მგონი, ცდები. ოდნავადაც არ ვგევარ იმ ადამიანს, როგორადაც ვატყობ, შენ აღმიქვამ. სულ ის მინდოდა, ერთი უბრალო საბჭოთა ნოქარი ვყოფილიყავი – ვთქვათ, საპონს რომ ყიდის და მყიდველებს შესციცინებს სახეში.

– ძალიან უბედური ხარ, – უთხრა კირამ. კაცმა ისე ახლოს მიუტანა სახე, ტუჩებზე მის ამონასუნთქს გრძნობდა.

– შენი თანაგრძნობა არ მჭირდება. რა გგონია, შენნაირად მაქცევ? თავი არ მოიტყუო. სულ ფეხებზე მკიდია, რას ვფიქრობ შენზე და კიდევ უფრო ნაკლებად მაღელვებს, შენ რა აზრისა ხარ ჩემს შესახებ. მეც ერთი იმნაირი ვარ, ლოგინში რომ ჩაგიწვენია ანდა მომავალში რომ ჩაიწვენ.

– ესე იგი, გინდა შენც არაფრით განსხვავდებოდე სხვებისაგან?

– იკითხა კირამ.

– თან ისიც გინდა დაიჯერო, რომ შენამდე ჯერ არავისთან ვწოლილვარ?

კაცი უხმოდ მიჩერებოდა. მერე ჯიქურ მიახალა:

– შენ რა, ქუჩის ქალი არა ხარ? – არა, – მშვიდად მიუგო კირამ. კაცი გველნაკბენივით წამოხტა.

– აბა, ვინა ხარ? – დაჯექი.

– მიპასუხე!

– მე ერთი წესიერი გოგო ვარ, ტექნოლოგიურში ვსწავლობ და მშობლები დაუფიქრებლად გამომაგდებენ შინიდან, თუკი გაიგეს რომ ღამე ქუჩაში ვიღაც უცხო კაცს გავუბი მასლაათი.

კაცი ზემოდან დასცქეროდა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარ კირას, ის კი ქვემოდან აჰყურებდა. არც შიში ეტყობოდა მზერაში, არც თხოვნა, მხოლოდ გამომწვევი სიმშვიდე.

– ასე რატო იქცევი? – ჰკითხა კაცმა.

– შენი გაცნობა მომინდა.

– რატომ? – სახე მომეწონა შენი.

– რა სულელი გოგო ხარ! ჩემ ადგილას ვინმე სხვა... მოკლედ, სხვანაირად მოიქცეოდა.

– მე ხომ ვიცოდი, შენ ვიღაც სხვა რომ არ იქნებოდი.

– ვერ ხვდები, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება? – ეგ არ მადარდებს. კაცს უცებ გაეღიმა.

– აღსარებას ელი ჩემგან? – ჰკითხა მერე.

– კი, ეგრეა.

– ცხოვრებაში პირველად ვცადე... პირველად მოვინდომე ქალის ყიდვა.

– რატომ მაინცადამაინც დღეს?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. რამდენიმე საათი უაზროდ ვიბორიალე. მთელ ქალაქში ერთი სახლიც არ დგას, სადაც ამაღამ მიმესვლებოდეს.

– რატომ?

– ნურაფერს მკითხავ-მეთქი, ხომ გითხარი! ვერაფრით ვაიძულე თავი, რომელიმე... იმ ქალებიდან რომელიმეს გამოვლაპარაკებოდი. შენი უცნაური ღიმილი კი მაშინვე მომხვდა თვალში. ამ შუაღამისას იქ რა გინდოდა?

– ერთ ჩემ ნაცნობს წავეჩხუბე, გზის ფული კი არ მქონდა, ფეხით წამოვედი და გზაც დამებნა.

– გასაგებია. მადლობას გიხდი ამ ძალიან უჩვეულო საღამოსათვის. არასდროს დამავიწყდება ქალაქში გატარებული ეს ბოლო ღამე.

– ბოლო ღამე? – დილით მივემგზავრები.

– უკან როდისღა დაბრუნდები? – იმედია, არასდროს...

კირა ნელ-ნელა წამოიმართა, წელში გასწორდა და დაჟინებით მიაჩერდა.

– ვინა ხარ? – ჰკითხა მერე.

– რომც გენდობოდე, მაინც ვერ გეტყოდი.

– სამუდამოდ ვერ გაგიშვებ!

– მეც მინდა კიდევ გნახო. შორს არ მივდივარ, შეიძლება ამ ქალაქში დავბრუნდე კიდეც.

– მისამართს გეტყვი.

– არ გინდა. შენ მარტო არ ცხოვრობ, მე კი ვერავის ვერ მივადგები ოჯახში.

– მე რომ მოვიდე შენთან? – მე საკუთარი ჭერიც არ გამაჩნია.

– მაშინ...

– მოდი, ისევ აქ შეხვდეთ ერთმანეთს. ერთი თვის შემდეგ. რა თქმა უნდა, თუ ცოცხალი ვიქენი, თუ ამ ქალაქში დაბრუნება მიწერია. მაგ შემთხვევაში, სწორედ აქ დაგელოდები.

– მოვალ, აუცილებლად მოვალ.

– ათ ნოემბერს. ოღონდ აჯობებს, დღისით შევხვდეთ – ვთქვათ, სამ საათზე. სწორედ ამ კიბეზე.

– კარგი.

– მართალი გითხრა, ეგეც ისეთივე სიგიჟეა, როგორც მთელი ეს ჩვენი ნაცნობობა... ახლა კი დროა შინ დაბრუნდე. ასე გვიან ქუჩაში არაფერი გესაქმება.

– შენ სადღა წახვალ? – გათენებამდე ვიბოდიალებ. ბევრიც აღარ დარჩა. წამო, წავიდეთ.

კირა არ შეკამათებია. კაცმა მკლავზე მოკიდა ხელი და გოგოც მიჰყვა. მორღვეული ღობე გადმოიარეს. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ მოშორებით, კუთხეში გაჩერებული ეტლის კოფოზე მთვლემარე მეეტლემ წამოწია თავი მათი ნაბიჯების ხმის გაგონებაზე. კირას ახალმა ნაცნობმა მეეტლეს ხელი დაუქნია და ღამის მდინარებაც ცხენის ოთხი ნალის წკარუნმა შეაკრთო.

– რა გქვია? – ჰკითხა კირამ.

– ლეო. შენ? – კირა. ეტლი მოახლოვდა. ლეომ მეეტლეს ფული გაუწოდა.

– მისამართი მერე შენ თვითონ უთხარი, – მოუბრუნდა კირას.

– ნახვამდის, – უთხრა კირამ.

– ერთი თვის თავზე გნახავ.

– თუ ცოცხალი ვიქენი, – თქვა ლეომ.

– და თუ არ დამავიწყდა.

კირა ეტლში ავიდა, სავარძელზე მოიკალათა და პაწია ფანჯრიდან გამოიხედა. როცა ეტლი დაიძრა, თავშიშველს თმა აუფრიალდა.

კარგა ხანს მიჩერებოდა ქუჩაში დარჩენილ კაცს, რომელიც ეტლს თვალს არ აცილებდა.

მეეტლემ ქუჩის კუთხეში გადაუხვია, კირა კი მაინც ისევ უწინდებურად, ისევ ისე იყურებოდა ფანჯარაში, მხოლოდ თავი გადაეგდო უღონოდ. ხელის ამოტრიალებული მტევანი ასევე უმწეოდ ედო ტყავის სავარძელზე და გრძნობდა, როგორ უფეთქავდა თითებში სისხლი.

V

ყოველ დილით, გალინა პეტროვნა სულ ერთსა და იგივეს უმეორებდა კირას:

– რა გჭირს, რა გემართება? ვეღარც შიმშილს გრძნობ, ვეღარც სიცივეს, არც ვინმეს ნათქვამი გესმის! სად დაფრინავ, რაზე ფიქრობ?

კირა კი საღამოობით ინსტიტუტიდან შინისაკენ მიმავალი, ყველა ტანმაღალ კაცს თვალებით ჭამდა და სუნთქვაშეკრული, დაჟინებით აცქერდებოდა ნებისმიერ საყელოაწეულ გამვლელს. თუმცა სულაც არ ელოდა, ლეოს სადმე შემთხვევით გადავეყრებიო და არც ამის სურვილი არა ჰქონია; არც იმას განიცდიდა, შეხვდებოდა კიდევ როდისმე თუ არა. არც შეკითხვა დაუსვამს საკუთარი თავისთვის – მოვწონვარ თუ არაო. ლეოსთან დაკავშირებით, ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: მისი ამქვეყნად არსებობის ამბავი. ალბათ ამიტომ, სხვა აღარაფრის არსებობა აღარ ახსოვდა.

ერთხელაც, შინ დაბრუნებულს, თვალებგაწითლებულმა, ქუთუთოებშეშუპებულმა გალინა პეტროვნამ გაუღო კარი.

– პური მოგცეს? – პირველი ეს იყო, რაც კარის ღიობში გამოსძახა დედამ.

– რა პური? – გაიკვირვა კირამ.

– რა პური... შენი პური! ინსტიტუტის! დღეს უნდა მოეცათ. არ

მითხრა ეხლა, დამავიწყდაო!

– დამავიწყდა...

– ღმერთო დიდებულო! გალინა პეტროვნა მძიმედ ჩამოჯდა და ხელებიც უმწეოდ ჩამოყარა.

– რა გემართება, კირა! ისედაც კატის სამყოფ პურს ძლივს იძლევიან და იმის მოტანაც გავიწყდება?! სახლში ნამცეცი პური არა გვაქვს! ღმერთო შენ გვიშველე...

ჩაბნელებულ სასადილო ოთახში, ფანჯარასთან მიმჯდარი ლიდია ქუჩის ლამპიონის შუქზე ცდილობდა შალის წინდის ქსოვას. მაგიდაზე თავგამოდებული ალექსანდრ დიმიტრიევიჩი თვლემდა.

– უპუროდ დავრჩით, – გამოაცხადა გალინა პეტროვნამ.

– მის უდიდებულესობას პურის მოტანა დაავიწყდა!

ლიდიამ ჩაიფხუკუნა. ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა კი ამოიოხრა და წამოდგა.

– მე დასაძინებლად მივდივარ, – ჩაიბურტყუნა.

– მძინარეს შიმშილი ნაკლებად გაწუხებს კაცს...

– აღარც ფეტვი გვაქვს, წყლის მილიც ახლა გასკდა... უწყლოდაც დავრჩით.

– მე არ მშია, – თქვა კირამ.

– ამ ოჯახში მარტო შენ გეძლევა პურის ბარათი. ოღონდ ღმერთო გვიშველე და, საერთოდ არ გახსოვს ეს ამბავი!

– მაპატიე, დედა. ხვალ მოვიტან.

კირამ ჭრაქის პატრუქს ცეცხლი მოუკიდა. ლიდიამაც ამ უღონო შუქისკენ გადმოინაცვლა.

– მამაშენმა დღეს საერთოდ ვერაფერი გაყიდა იმ თავის მაღაზიაში, – თქვა გალინა პეტროვნამ.

ოთახში სიჩუმეს მხოლოდ ლიდიას საქსოვი ჩხირების ჩხაკუნიღა არღვევდა.

შემოსასვლელ კარზე მჭახედ, დაჟინებით აჟღრიალდა ზარი. გა-

ლინა პეტროვნამ გაღიზიანებულმა აიჩეჩა მხრები და ჩქარი ნაბიჯით გაემართა გასაღებად.

წინკარში მძიმე ჩექმების ბრაგაბრუგი მოისმა. სახლმმართველმა დაუპატიჟებლად შემოალაჯა სასადილო ოთახში და იატაკზე ტალახიანი კვალი დატოვა. ორივე ხელით ღაზლს ჩაფრენილი, აღელვებული გალინა პეტროვნა უკან მისდევდა. დაუპატიჟებელ სტუმარს ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა.

– წყლის მილებთან დაკავშირებით, ამხანაგო არგუნოვა, – თქვა და ფურცელი მაგიდაზე მიაგდო, ქუდის მოხდა არც გახსენებია.

– საბინაო კომიტეტმა კენჭისყრით დაამტკიცა რეზოლუცია, რაც მობინადრეებისაგან ფულის აკრეფას გულისხმობს, მათი სოციალური მდგომარეობისდა შესაბამისად. ოღონდ მილების შეკეთების საფასური ქირისგან ცალკე იქნება გადასახდელი. აი სია, ვის რამდენი გამოუვიდა. თანხა ხვალ დილის ათ საათამდე უნდა მომიტანოთ სახლმმართველობაში. კარგად მენახეთ, ამხანაგებო.

გალინა პეტროვნამ სტუმარი გააცილა, კარი გადარაზა, მიბრუნდა და ათრთოლებული ხელით მიიტანა ფურცელი შუქთან.

დუბენკო (მუშა) – ბინა #12; 3 მლნ რუბლი. რილნიკოვი (საბჭოთა მოხელე) – ბინა #13; 5 მლნ რუბლი. არგუნოვი (კერძო მოვაჭრე) – ბინა 14; 50 მლნ რუბლი.

ფურცელი იატაკზე დაეცა. მაგიდასთან მჯდარმა გალინა პეტროვნამ კი სახე ხელებში ჩარგო.

– რა მოხდა, გალინა? რამდენია? – საძინებელი ოთახიდან გამოსძახა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

გალინა პეტროვნამ თავი აიღო: – არა... არ არის ბევრი. დაიძინე, ხვალ გეტყვი.

ცხვირსახოცი არ ჰქონდა და თვალები ღაზლის წვერით ამოიმშრალა. მერე წამოდგა და საძინებელი ოთახისაკენ წაფრატუნდა.

კირა გადაშლილი სახელმძღვანელოსაკენ გადაიხარა მთელი ტა-

ნით. სუსტი ალი ფურცელზე ხტოდა. ოღონდ ერთადერთი, რისი წაკითხვა თუ გახსენება ახლა შეეძლო, იმ წიგნში არ ეწერა:

– ...თუ ცოცხალი ვიქენი და თუ არ დამავიწყდა...

* * *

სტუდენტებს პურის ბარათები და ტრამვაით სამგზავრო უფასო ბილეთები ურიგდებოდათ. ტექნოლოგიური ინსტიტუტის ნესტიან, შიშველკედლებიან მისაღებებში ისინი გრძელ რიგში იდგნენ ხოლმე საათობით, მერე კი, უკვე პურის ასაღებად, ეს რიგი სტუდენტური კოოპერატივის წინაც იწელებოდა.

კირა თითქმის უკვე მთელი საათი იდგა ასეთ რიგში. სტუდენტები ტაატით მიიწევდნენ წინ; დახლსიქით მდგარი ნოქარი ჯერ გამხმარი პურის თითო აგურს მიაჩეჩებდა, მერე კი ერთი ცალი ქაშაყის დასათრევად, კასრში ყოფდა ხელს, თითებს იმ პურზევე შეიმშრალებდა და ბოლოსღა ართმევდა ქაღალდის მოჭმუჭნულ ფულს. პურიცა და თევზიც მყისვე უჩინარდებოდა წიგნებით გამოტენილ პორტფელებში. სტუდენტები მხიარულად უსტვენდნენ და ფეხებსაც ცეკვის რიტმში აბაკუნებდნენ ნახერხმოფენილ იატაკზე.

კირას უკან მდგომი ვიღაც სტუდენტი გოგო უცებ წინ წამოიხარა, ერთი გულითადად გაუღიმა და მხარზეც შინაურულად ჩამოადო ხელი, თუმცა კირას ის მანამდე არც ენახა სადმე. იმ მხარბეჭიან გოგოს მამაკაცის ტყავის ქურთუკი ეცვა და მოკლე, სქელ ფეხებზეც კაცისავე მოკლეყელიანი წაღები მოერგო. სწორი თმა მოკლედ შეეკრიჭა – თავზე დაუდევრად წაეკრა წითელი ხილაბანდი. ჭორფლიან, მრგვალ სახეზე თვალები შორი-შორ აჩნდა; წვრილი ტუჩები ისეთი მონდომებით მოეკუმა, აშკარად ეტყობოდა ნაძალადევი სიმკაცრის კვალი. შავი ქურთუკის საყელოზე თეთრად ეფრქვია ქერტლი.

მერე კედელზე გაკრულ, იმ დიდი ზომის ქაღალდზე დაწერილი განცხადებისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც სტუდენტებს საბჭოს არჩევნებში აქტიურად მონაწილეობისკენ მოუწოდებდა.

– ხომ მოდიხარ, ამხანაგო? – ჰკითხა კირას.

– არა, – მიუგო იმანაც.

– უნდა წამოხვიდე, ამხანაგო! აუცილებლად. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი წყდება. თითოეული ხმა ძვირად ფასობს.

– არჩევნებში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია.

– პირველკურსელი ხარ, ამხანაგო? – კი.

– მერე, მაგას რა ჯობია! ძალიანაც კარგი.

– და კარგი რა არის?

– აი, ამისთანა დიდებულ დროში რომ იწყებ სწავლა-განათლებას, როცა მეცნიერება გათავისუფლდა და ათასი შესაძლებლობა გაგვიჩნდა ყველას! მესმის, ბევრი რამ ჯერ უცნაურად გეჩვენება, მაგრამ ნუ გეშინია, მე მოგეხმარები. უკვე კარგა ხანია აქ ვსწავლობ.

– დიდი მადლობა, მაგრამ...

– რა გქვია? – კირა არგუნოვა.

– მე კი სონია. უბრალოდ, ამხანაგი სონია. ყველა ასე მეძახის. გული მიგრძნობს, დავმეგობრდებით. რა ჯობია შენისთანა გონიერ, ახალბედა სტუდენტს რომ დაუდგები მხარში!

– კი მაგრამ, ეგ გონიერება რაზე შემატყვე, რა ვთქვი ასეთი? – ჰკითხა კირამ.

ამხანაგმა სონიამ გულიანად გაიცინა.

– გოგოებს კოჭებში ვატყობ ხოლმე. ჩვენ, ამ ახალი დროის ქალები, ვისაც ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა გადაგვიწყვეტია და სამზარეულოში ტრიალის მაგივრად, მამაკაცებთან ერთად, ჩვენი წვლილის შეტანასაც ვაპირებთ მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრებაში, ყველანი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ! მე კი სწავლას მოწყურებული სტუდენტი გოგოს დანახვა ყველაფერს მირჩევნია. იცოდე, ამხანაგი სონია მუდამ მეგობრად იგულე და საერთოდ, მე ყველას მეგობარი ვარ!

ამხანაგმა სონიამ ერთხელ კიდევ გაუღიმა. პირდაპირ თვალებში შეჰღიმა კირას, თითქოს მსუბუქად, ოღონდ – ჯიუტად ეპატრონება

ამ თვალებსაც და მათ მიღმა უჩინარ გონებასაცო. ღიმილი ამჯერადაც გულითადი გამოუვიდა – თბილი, კეთილი, დაჟინებული: თითქოს უკვე ნათქვამის საქმით დამტკიცების მოსურნე.

– დიდი მადლობა, – უთხრა კირამ.

– მაინც, რა გინდა რომ გავაკეთო? – უპირველეს ყოვლისა, ამხანაგო არგუნოვა, კრებაზე უნდა მოხვიდე. ამ საღამოს ერთი წლის ვადით ვირჩევთ სტუდენტურ საბჭოს, დიდი დაკა-დაკა იქნება. უფროსკურსელთა შორის, ჯერაც არსებობს ძლიერი ანტიპროლეტარული ელემენტი – მოკლედ, ჩვენი კლასობრივი მტრები. შენ და შენნაირმა ახალბედებმა ჩვენი პარტიული უჯრედის კანდიდატებს უნდა დაუჭიროთ მხარი, ისევ თქვენსავე სასიკეთოდ!

– შენც ხარ მაგ უჯრედის წევრებს შორის, ამხანაგო სონია?

ამხანაგ სონიას სიცილი წასკდა:

– აკი გეუბნებოდი, ჭკუის კოლოფი ხარ-მეთქი! რა თქმა უნდა, ვარ. უკვე მთელი ორი წელია. ძნელი საქმეა, მაგრამ რას იზამ. ამხანაგმა სტუდენტებმა მე ამირჩიეს და მეც ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვერ გავექცევი. მოკლედ, ერთად მივალთ და იქ გეტყვი, ვის უნდა მისცე ხმა.

– კარგი და მერე? – ჰკითხა კირამ.

– მერე როგორ უნდა მოვიქცე?

– მაგასაც აგიხსნი: წითელი სტუდენტობის თითოეული წევრი საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებაშია ჩაბმული. იმედია, არც შენ გინდა რომ ბურჟუაზიულ მიდრეკილებებში დაგდონ ბრალი, ხომ ასეა? მე პირადად, მარქსისტულ წრეს ვხელმძღვანელობ. არც ისე ბევრი წევრი გვყავს ჯერ, ვისაც სურს სწორი, პროლეტარული იდეოლოგია შეისწავლოს, რაც თითოეულ ჩვენგანს პროლეტარული სახელმწიფოს სამსახურში დაგვეხმარება. საერთოდ, სწავლაც სწორედ ამისთვის არ გვინდა?

– ამხანაგო სონია, მე მხოლოდ ის საქმე მინდა შევისწავლო, რაც მართლა მომწონს.

ამხანაგმა სონიამ ჯიქურ ჩახედა მორუხო ფერის თვალებში ამხანაგ არგუნოვას და მიხვდა, დიდი შეცდომა მომივიდაო.

– კეთილი, – თქვა მერე, უკვე სახეგამკაცრებულმა.

– როგორც გენებოს.

– ოღონდ მე მაინც მოვალ კრებაზე, – თქვა კირამ.

– და ალბათ, კენჭისყრაშიც მივიღებ მონაწილეობას...

ხალხით გადაჭედილი ამფითეატრი იმ კაშხალივით აზიდულიყო, რომელიც მაინც ვერ აკავებდა სტუდენტების მოზღვავებას. ისინი რიგებშორის, კიბის საფეხურებზეც ჩამომსხდარიყვნენ, ფანჯრის რაფებზეც, დაბალ კარადებზეც და ბევრი გამოღებულ კარებშიც კი გახირულიყო.

ახალგაზრდა ორატორი ტრიბუნაზე იდგა და ზუსტად ისე იფშვნეტდა ხელებს, როგორც მავანი დახლიდარი. სხვათა შორის, სახეც მაღაზიის ვიტრინაში გამოკრულ იმ გადაცრეცილ აბრას მიუგავდა, ცოტა მეტი ფერადოვნება რომ არ აწყენდა: მაშინ თმა მართლა ქერად გამოუჩნდებოდა, თვალები – ლურჯად, სახის კანი კი – უფრო ჯანმრთელად. ვერც სრულიად უფერული ტუჩები გამოადგებოდა არშიად მის შავად დაფჩენილ პირს, საიდანაც სამხედრო ბრძანებებივით ისროდა სიტყვებს სულგანაბული აუდიტორიისაკენ.

– ამხანაგებო! ჩვენ, მშრომელი ხალხის შვილებს, მეცნიერების ყველა კარი გაგვეხსნა! დღეს უკვე ჩვენ კოჟრიან ხელებშია ცოდნის სადავეები! ჩვენ უკვე დავძლიეთ ძველი ბურჟუაზიული ცრუ დოგმები მეცნიერების ობიექტივისტური არაპარტიულობის თაობაზე და მეცნიერება დღეს სწორედაც რომ პარტიულია! დღეს ისაა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი! ჩვენ აქ კერძო, წვრილმანი ამპარტავნობის საამებლად არ შევკრებილვართ – ჩვენ საყმაწვილო სენივით მოვიხადეთ უხერხემლო, ბურჟუაზიული ეგოიზმი, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე რომ წკავწკავებდა საკუთარი ვიწრო გადასახედიდან! წითელ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შე-

მოსვლის ერთადერთი მიზანი და გამართლება ჩვენთვის პროლეტარული კულტურისა და აღმშენებლობის ავანგარდში მდგარ, ღირსეულ მებრძოლებად ჩამოყალიბებაა!

გამომსვლელმა სიტყვა დაამთავრა და ხელების ფშვნეტა-ფშვნეტით ჩამოვიდა ტრიბუნიდან. დამსწრეთა ნაწილმა ხმამაღალი ტაში დასცხო, თუმცა უმრავლესობას ხელიც კი არ ამოუღია ძველი პალტოების ჯიბეებიდან.

კირა მის გვერდით მჯდარი ჭორფლიანი გოგოსკენ შეტრიალდა და ჰკითხა:

– ეს ვინაა?

– პაველ სეროვია, პარტუჯრედიდან. პარტიის წევრია. ფრთხილად იყავი, მაგათ ყველგან თავისი ჯაშუშები ჰყავთ.

თითქმის ჭერამდე განლაგებული მერხები გაფითრებულსახიან, ფორმადაკარგულ პალტოებიან სტუდენტობას გამოევსო; თუმცა, ამ მოჩვენებით ერთგვაროვნებაში მაინც იგრძნობოდა გარკვეული წყალგამყოფი ხაზი, რომელიც არა შუაზე, არამედ თითქოს კლაკნილად გასდევდა მთელ აუდიტორიას. თვალისათვის უხილავი, ის მაინც ყველასათვის საგრძნობი გახლდათ – დანისპირივით ბასრი და დაუნდობელი. აუდიტორიაში მსხდომთა ერთ ნაწილს ჯერაც ამაყად ეხურა თავზე ახალი ხელისუფლების მიერ ხმარებიდან ამოღებული მწვანე, სტუდენტური ქუდები და ამ გამოსარჩევ ნიშანს თითქოს ერთგვარ უპირატესობადაც მიიჩნევდა. დანარჩენებს თავზე წითელი ხილაბანდები წაეკრათ და სამხედრო ყაიდის ტყავის ქურთუკები მოერგოთ. ცოტა ხანში, საკუთარი ორატორები ტრიბუნაზე იმ პირველმა, უფრო მრავალრიცხოვანმა ჯგუფმაც მიავლინა; ახლა უკვე იმათ შეახსენეს კრების მონაწილეებს, სტუდენტობამ ყოველთვის მშვენივრად იცოდა, როგორ უნდა ებრძოლა ნებისმიერფრად შეფერილი ტირანიის წინააღდმეგო. ამ განცხადებას მსმენელთა მხრიდან ნამდვილი ოვაცია მოჰყვა – გულწრფელი, ცოტა არ იყოს, გამომწვევიც

კი, თითქოს ტაშისმკვრელებს ხელისგულებით მეტის თქმა შეეძლოთ, ვიდრე მათივე ხმა ბედავდა ამოღერღვას. მეორე ჯგუფი უხმოდ, ცივად, პირქუშად უმზერდა ამათ; მათი ორატორები თავისას გაიძახოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობაზე, ყურადღებასაც არ აქცევდნენ თითქოსდა არსაიდან გაჩენილი უცაბედი სიცილის ტალღას და დიდად არც პირდაპირ ცხვირ-პირში შეყრილ მზესუმზირის ჩენჩოს დაგიდევდნენ.

ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, ბოლომდე დარწმუნებულები, საშიში არაფერიაო. ისინი ჯერ პირველად იმაღლებდნენ ხმას, იმ დროს როცა მათ ირგვლივ მთელი ქვეყანა უკვე კარგა ხნის წინ ჩაეჩუმებინათ. ჯერ-ჯერობით, დიდსულოვნად-თავაზიანად მიმართავდნენ მოწინააღმდეგეებს, ისინიც იგივეთი პასუხობდნენ და ერთმანეთს ყველანი მხოლოდ „ამხანაგოს" უწოდებდნენ. ამავე დროს, ორივე მხარე აცნობიერებდა, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდა ჩუმად. ოღონდ მარტო ერთმა, უფრო მცირერიცხოვანმა ჯგუფმა იცოდა უტყუარად, ვისი გამარჯვებით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა. ახალგაზრდები და თავდაჯერებულები, ტყავის ქურთუკებში გამოწყობილები და თავზე ხილაბანდწაკრულები, ისინი მომაკვდინებელი შემწყნარებლობით მიჩერებოდნენ დანარჩენებს, ასევე ახალგაზრდებსა და თავდაჯერებულებს, ოღონდ მათ ამ შემწყნარებლობას ადრე თუ გვიან, სამზეოზე გამოსაჩენი, ჯერაც დამალული ხიშტის ცივი ბზინვარება დაკრავდა.

პაველ სეროვი მის გვერდით მჯდომ ტანაშოლტილ, თხელ, დაღლილსახიან ყმაწვილს მიუბრუნდა და ჩასჩურჩულა:

– აი, ამნაირად იქაფებენ ენას... ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. აბა ერთი, ფრონტის ხაზზე გაებედა ვინმეს ამისთანა რამეები!

– ფრონტის ხაზი შეიცვალა, ამხანაგო სეროვ, – ჩუმი, გრძნობადაცლილი ხმით მიუგო გვერდით მჯდომმა.

– ხილული ფრონტი დაძლეულია. ახლა სანგრები უხილავ ფრონტზე გვაქვს გასათხრელი.

უფრო ახლოს გადაიხარა ამხანაგ სეროვისაკენ და გრძელი, თხელი ხელებით მერხს ჩაფრენილმა, ოდნავ ასწია ცალი თითი, ნელა მოატარა აუდიტორიას კედლიდან კედლამდე.

– ამ ფრონტზე, – გააგრძელა ჩურჩულით, – არც ყუმბარებია, არც ტყვიამფრქვევები, მტერი რომ იღუპება, არც წამოყვირების ხმა ისმის და არც სისხლი ჩანს. ვერავინ იგებს ამათ დაღუპვას – ზოგჯერ თავადაც კი ვერ ხვდებიან ამას. დღევანდელი დღე, ამხანაგო სეროვ, წითელი კულტურის მებრძოლებს ეკუთვნის.

ბოლო გამომსვლელმაც დაასრულა სიტყვა და კენჭისყრაც გაიმართა. კანდიდატები ერთიმეორის მიყოლებით გადიოდნენ აუდიტორიიდან, დარჩენილები კი მოკლედ ახასიათებდნენ თითოეულ მათგანს. ამის შემდეგ, ხელის აწევით გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას, მაგიდასთან მდგომი სტუდენტები კი ფანქარმომარჯვებულები გადაითვლიდნენ ხოლმე მომხრე-მოწინააღმდეგეებს.

კირამ დაინახა, როგორ გავიდა დერეფანში ვიქტორი და ისიც გაიგონა, როგორ ახასიათებდნენ მომხრეები ამხანაგ ვიქტორ დუნაევს – შორსმჭვრეტელ, გულისხმიერ და უაღრესად მეგობრულ ადამიანად. ამ დახასიათებას ორივე დაჯგუფებამ დაუკრა ტაში და ამხანაგ დუნაევსაც ასევე ორივემ მისცა ხმა. კირას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

– ახლა კანდიდატ პაველ სეროვს ვთხოვთ, ცოტა ხნით დაგვტოვოს – გამოაცხადა კრების თავმჯდომარემ.

– სიტყვა ეძლევა ამხანაგ პრესნიაკოვას.

ამხანაგი სონია ტაშის გრიალში შეხტა ტრიბუნაზე, წითელი ხილაბანდი წაიძრო და მოკლედ შეკრეჭილ, აჯაგრულ თმაზე გადაისვა ხელი.

– უბრალოდ, ამხანაგი სონია! – მიესალმა დარბაზს.

– გულითადი პროლეტარული სალამი ყველას, განსაკუთრებით კი – ჩვენს ამხანაგ ქალებს! არაფერი ისე არ მახარებს, როგორც ამ

ახალი დროების სტუდენტი ქალის დანახვა – ქალის, რომელმაც ბოლოს და ბოლოს დაიხსნა თავი ჭურჭლისა და ბავშვის საფენების ოდინდელი მონობისაგან. მეც, ამხანაგი სონია, სწორედ ამიტომ ვარ აქ, მხარში რომ დაგიდგეთ ნებისმიერ თქვენთაგანს!

ტაშის მოლოდინში, ცოტა ხნით იყუჩა და მერე გააგრძელა:

– ამხანაგო სტუდენტებო, ჩვენი ვალია საკუთარი უფლებებისათვის ვიბრძოლოთ, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი პროლეტარული ნების გამოხატვა და ჩვენი მტრისთვის ღირსეული პასუხის გაცემა! ჩვენი პროლეტარული ჩექმით უნდა გავუსრისოთ თეთრი კისრები ბურჟუებს და მათი მოღალატური განზრახვებიც დროზე გამოვააშკარავოთ! ჩვენი წითელი სასწავლებლები მხოლოდ წითელი სტუდენტებისათვისაა და ჩვენი სტუდენტური საბჭოც პროლეტარული ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს ფხიზლად! ახლა თქვენი ასარჩევია ის ხალხი, ვისი პროლეტარული სიმტკიცეც არანაირ ეჭვს არ იწვევს! თქვენ უკვე მოუსმინეთ ამხანაგ სეროვს და მე, ჩემის მხრივ, მინდა დაგიდასტუროთ, რომ ის კომუნისტური მოძრაობის გამობრძმედილი მებრძოლია, პარტიის წევრი ჯერ კიდევ რევოლუციამდე და წითელი არმიის ჯარისკაცი! მოდით, ხმა მივცეთ ნამდვილ პროლეტარს, წითელ ჯარისკაცს, მელიტოპოლის გმირს, ამხანაგ პაველ სეროვს! – ისევ ტაშისცემა ატყდა, ამხანაგი სონია მძიმე ფეხსაცმლის ბაგუნით დაეშვა ტრიბუნიდან, მუცელი უთახთახებდა, ფართო სახე ღიმილით გაბადროდა, ცალი ხელის ზურგით კი ზედა ტუჩზე ოფლის წვეთებს იწმენდდა.

ამხანაგი სეროვი აირჩიეს; ისევე როგორც თავად ამხანაგი სონია და ვიქტორ დუნაევიც. თუმცა, საკმარისი ხმები მოაგროვეს მწვანექუდიანთა დაჯგუფების წევრებმაც, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ახალი სტუდენტური საბჭოს ორი მესამედი შეადგინეს.

– ახლა კი სხდომის დასასრულებლად, ამხანაგებო, – წამოიძახა კრების თავმჯდომარემ.

– მოდით, ძველებურად ყველამ ერთად ვიმღეროთ „ჩვენი ცხოვრების დღეები“.

ხმაარეულმა გუნდმაც დიდი ხალისით დააგუგუნა: ტალღებივით მიჰქრიან ამ ცხოვრების დღეები...

– ეს ძველი სუფრული სიმღერა მერე და მერე სტუდენტობის თავმომწონე ჰიმნად იქცა: მდორე, სევდიანი ბგერები მოჩვენებითი მხიარულებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს; სიმღერა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე გაჩენილიყო იმ ჩახუთულ ოთახებში, სადაც პირგაუპარსავი ყმაწვილები და ქალაბიჭა გოგოები გაცხარებულნი კამათობდნენ ფილოსოფიაზე და დარდიმანდულად ყლურწავდნენ იაფ არაყს – ყოველივე მიწიერის ამაოების სადღეგრძელოდ.

კირა მოიღუშა; ის არ მღეროდა – არც იცოდა ამ სიმღერის სიტყვები და არც დასწავლის არანაირი სურვილი არ გასჩენია. ისიც შეამჩნია, ტყავის ქურთუკებიანი და თავზე წითელხილაბანდწაკრული სტუდენტებიც მასსავით რომ დუმდნენ.

– სიმღერა რომ დამთავრდა, ახლა უკვე პაველ სეროვმა იყვირა მთელი ხმით – აბა, ახლა ჩვენი პასუხი, ამხანაგებოო!

პეტროგრადში დაბრუნებულმა კირამ იმ საღამოს პირველად მოისმინა „ინტერნაციონალი“. ცდილობდა, სიტყვებისათვის ყურადღება არ მიექცია. მღეროდნენ ბედკრულებზე, მშივრებზე, მონებზე – ყველა იმათზე, ვინც ადრე არაფერს წარმოადგენდა და ვინც მომავლის ბატონ-პატრონად უნდა ქცეულიყო. ოღონდ მუსიკის მომაჯადოებელ გარსში გახვეული ეს სიტყვები ვერც ღვინოსავით გათრობდა და ვერც სისხლს გიფორიაქებდა – მაინც მტკნარი წყალივით უფერული და უმარილო რჩებოდა.

– მაგრამ აი, მუსიკა კი ათასობით წყვილი ფეხის გამოზომილ, მხნე მარშს მოგაგონებდათ, როცა ღონიერი, დაკუნთული ხელები სცემენ ათობით დოლს. ეს მუსიკა ალიონზე მტრისკენ დაძრული იმ

ჯარის სვლას ჰგავდა, რომლის ბრძოლაც უთუოდ გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. თითქოს სიმღერაც ჯარისკაცთა მხნე ნაბიჯებს გაეჩინა გზის მტვერში, თითქოს ჯარისკაცთა ფეხების ბაგუნს ამოჰყავდა ის მიწის წიაღიდან...

– ამ ჰანგში მშვიდი დაპირების განცდაც იგრძნობოდა, ოღონდ ამ სიმშვიდეს განუზომელი ძალა უმაგრებდა ზურგს; მერე კი მოზომილი დაძაბულობით, ოღონდ მოუთოკავი გზნებით, ბგერები თრთოლვით, ერთიმეორის მრავალგზის გამეორებით მიისწრაფოდნენ სადღაც ზევით, მეტისმეტად მიზანდასახულნი საიმისოდ, ვინმეს მათი შეჩერება მოეხერხებინა – დროშებშორის, ცისკენ ზეაღმართული მკლავების მსგავსად.

– ეს გახლდათ მარშის ძალით დამუხტული ჰიმნი, ჰიმნის მომაჯადოებელი ხიბლის მქონე მარში; ეს იყო წმიდათაწმინდა დროშებით მომავალი ჯარისკაცების და იმავდროულად, ხმალამოწვდილ ღვთისმსახურთა სიმღერა, წმინდათაწმინდა ძალისადმი აღვლენილი.

„ინტერნაციონალის" შესრულებისას, ყველა ფეხზე უნდა წამომდგარიყო.

კირაც იდგა და გარინდებული უსმენდა ამ მუსიკას. მერე გვერდით მდგომს მიუბრუნდა და უთხრა:

– ძლივს რაღაც მომეწონა რევოლუციის მერე!

– ფრთხილად იყავი, – ჩაუჩურჩულა იმ ჭორფლიანმა გოგომ და შეშინებულმა მიმოიხედა.

– ვინმემ არ გაგიგოს!

– როცა ეს ყველაფერი მოთავდება, – გააგრძელა კირამ.

– როცა ამათი რესპუბლიკის კვალიც ამოიშანთება ისტორიიდან, აი ეს მუსიკა მართლა დიდებულ სამგლოვიარო მარშად გამოდგება...

– გაგიჟდი?! რეებს ლაპარაკობ!

ვიღაც კაცმა კირას მაჯაში ჩაავლო ხელი და მთელი ტანით შემოაბრუნა.

გოგონამ ქვემოდან ახედა და ორი, უფერული, თითქოს მოთვინიერებული ვეფხვის თვალი დაინახა, თუმცა დაბეჯითებით მაინც ვერ იტყოდა, მართლა მოთვინიერებულისა თუ – არა. კაცის სახეს ოთხი სწორი ხაზი აჩნდა: ორი წარბი, პირი და ნაიარევი მარჯვენა საფეთქელზე.

რამდენიმე წამი უხმოდ, მტრულად, იჭვნეულად მიჩერებოდნენ ერთმანეთს.

– ჯაშუშობაში რამდენს გიხდიან? – ჰკითხა მერე კირამ და ამაოდ შეეცადა, მაჯა გამოეთავისუფლებინა.

– იცი, სადაა შენნაირი ჩერჩეტი გოგოების ადგილი? – კი. სადაც შენნაირ კაცებს უკანა კარიდანაც კი არ უშვებენ.

– ეტყობა, ახალბედა ხარ. გირჩევ, ცოტა ჭკუით იყო.

– ჩემი სახლის კიბეს სლიპინა საფეხურები აქვს და ოთხი სართულის ამოსვლაც მოგიწევს, ჩემს დასაკავებლად მოსულს... შენც ჭკუით იყავი.

კაცმა ხელი შეუშვა. კირამ მის დადუმებულ ბაგეს შეავლო თვალი, რომელიც ბევრად უფრო მეტს ამბობდა გადატანილ ბრძოლებზე, ვიდრე საფეთქელზე დარჩენილი ნაიარევი, და კიდევ – მომავალ იარებზეც წინასწარმეტყველებდა.

„ინტერნაციონალი" მაგარ მიწაზე, ჯარისკაცული ჩექმების ღონიერი ბაგაბუგივით ჟღერდა.

– მართლა ეგეთი გულადი ხარ თუ ჩვეულებრივი სულელი გოგო?

– ჰკითხა კაცმა.

– აბა თუ გამოიცნობ. –

კაცმა მხრები აიჩეჩა, ზურგი შეაქცია და გაეცალა. მაღალი იყო, ჯერ ისევ ახალგაზრდა. ხილაბანდის მაგივრად, თავზე ქუდი ეხურა და ტყავის ქურთუკიც შემოეცვა. ჯარისკაცივით მიაბიჯებდა, აუჩქარებლად და ხაზგასმით თავდაჯერებულად.

სტუდენტები „ინტერნაციონალს" მღეროდნენ და მისი მოზეიმე, მთრთოლვარე ბგერები ტალღა-ტალღა მიისწრაფოდნენ სულ ზევით

და ზევით.

– ეს რა ჩაიდინე, ამხანაგო?! – დაფეთებულმა გადაუჩურჩულა კირას სახედაჭორფლილმა გოგომ.

* * *

პირველი, რაც კირამ დუნაევებისბინის კარზე ზარის დარეკვისთანავე გაიგონა, მარია პეტროვნას ხველა იყო. მერე საკეტში გასაღები გადატრიალდა, შემდეგ კი კირას ბოლი დაეძგერა სახეში. სწორედ ამ ბოლში გაარჩია ხველებისაგან მხრებაცახცახებული მარია პეტროვნას ცრემლით სავსე თვალები და პირზე აფარებული, შეშუპებული ხელის მტევანი.

– შემოდი კირა, საყვარელო! შემოდი...

– ხმაჩახლეჩილმა შეიპატიჟა დისშვილი.

– ნუ გეშინია, ხანძარი არაა. (კირამ რუხ ნისლში შეაბიჯა, რომელმაც მაშინვე მწარე ხახვივით აუწვა თვალები. მარია პეტროვნა ფეხის ფრატუნით მიჰყვებოდა უკან და წამოხველებებს შორის, საწყალობლად წუწუნებდა:

– სულ ამ ქურის ბრალია... და ამათი საბჭოური შეშის... რას გვაძლევენ... ცეცხლი არ ეკიდება, მთლად სველია! პალტოს ნუ იხდი, კირა – ძალიან ცივა ჩვენთან. ფანჯრები დავაღეთ და...

– ირინა შინაა?

– შინ გახლავთ, შინ! – სადღაც ნისლიდან მოისმა ირინას წკრიალა, ხალისიანი ხმა.

– ოღონდ თუ მიპოვი!

სასადილო ოთახში დიდი, ორმაგშუშიანი ფანჯრები საზამთროდ დაეგმანათ, მაგრამ ახლა ერთ-ერთი მათგანი ფართოდ მოეფრიალებინათ. ბოლის ჭავლი ამ ფანჯარასთან ირეოდა, ქუჩიდან შემოჭრილ სუსხიან ჰაერთან მეომარი. ირინა მაგიდას უჯდა, მხრებზე პალტო მოესხა და გახევებულ, გალურჯებულ თითებზე სულს უბერავდა.

მარია პეტროვნამ ჭურჭლის კარადის უკან პატარა, მოცახცახე

ჩრდილს მიაგნო და ძალით გამოათრია იქიდან.

– მიესალმე შენს დეიდაშვილ კირას, ასია!

ასიამ ქვეშ-ქვეშად ამოხედა, გაბრაზებულმა. მამის ბეწვისსაყელოიან ქურთუკში გამოხვეულს, მხოლოდ ჩაწითლებული თვალები და პაჭუა, სველი ცხვირი მოუჩანდა.

– არ გესმის, ასია? ცხვირსახოცი რა უყავი? კირას უთხარი, გამარჯობა-თქო!

– გამარჯობა, – ჩაიბურტყუნა ასიამ და ახლა იატაკს დააშტერდა.

– სკოლაში რატომ არა ხარ, ასია?

– სკოლა ორი კვირით დაკეტეს, – ამოიხვნეშა მარია პეტროვნამ.

– ვერ ათბობენ, შეშა არა აქვთ. ბუღში კარის გაჯახუნების ხმა გაისმა. ოთახში ვიქტორი შემოვიდა.

– გამარჯობა, კირა! როგორა ხარ? – მიესალმა ცივად.

– დედა, განიავდება აქაურობა როდისმე? ამ ჯოჯოხეთის ჯანღში რანაირად ვიმეცადინო! ისე, მე რა მენაღვლება რა, გამოცდებს თუ ვერ ჩავაბარებ, ერთით ნაკლები ულუფა პური გვექნება ოჯახში...

ოთახიდან გასულმა, კიდევ უფრო ხმამაღლა გაიჯახუნა ზურგსუკან კარი.

კირა მაგიდასთან დაჯდა და ირინას ჩანახატებს დახედა. ირინა ხატვას სწავლობდა. ძალიან დიდ დროს უთმობდა მუზეუმებში ძველ ოსტატთა შედევრების თვალიერებას, თუმცა მისი სწრაფი ხელი და ონავარი მზერა მაინც სულ რაღაც ისეთს ახატვინებდა, გაზეთის ფურცელს რომ უფრო წაადგებოდა. ერთთავად კარიკატურებისკენ მიუწევდა გული და თავისუფალ დროსაც ამით ირთობდა თავს. სახატავი დაფა ახლაც მუხლებზე ედო, დროდადრო თავსა და ჩამოშლილ თმას უკან გადაიგდებდა ხოლმე, რათა ამ ჯანღში სწრაფი მზერა შეევლო ასიასათვის, ვისი დახატვაც გადაეწყვიტა ამჯერად, ოღონდ ფურცელზე მისი უმცროსი და ყურებდაცქვეტილ, პუტკუნა

ქონდრისქალად გარდასახულიყო, რომელიც რატომღაც, ლოკოკინას მოქცეოდა ზურგზე.

ამასობაში, ვასილი ივანოვიჩიც დაბრუნდა შინ ბაზრობიდან. სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაფენოდა: მთელი დღე დახლთან მდგომს, მოეხერხებინა და მათივე სასტუმრო ოთახიდან წაღებული ჭაღი გაეყიდა; თანაც, საკმაოდ სარფიანადაც. კირას დამახვაზე, კიდევ უფრო გაებადრა სახე და თავიც მხიარულად დაუქნია. მარია პეტროვნამ ქმარს მაშინვე ცხელი წვნიანით სავსე ჯამი დაუდგა მაგიდაზე.

– შენ არ დაგვეწვევი, კირა? – გაუბედავად შეაპარა დისშვილსაც.

– არა, დეიდა მარუსია, დიდი მადლობა. ცოტა ხნის წინ ვისადილე.

მშვენივრად იცოდა, რომ დედამისს მხოლოდ ეს ერთი ულუფა წვნიანიღა დარჩენოდა ქმრის დასაპურებლად და ისიც კარგად მოეხსენებოდა, რა შვებას მოგვრიდა მარია პეტროვნას მისი უარი.

ვასილი ივანოვიჩი ჭამითაც გამხიარულებული გეახლებოდათ და კირასაც ისე გულითადად ესაუბრებოდა, თითქოს ის პირადად მისი სტუმარი ყოფილიყო. ზოგადად, სტუმრებთან ისეთი სიტყვაძუნწი იყო ხოლმე, მარია პეტროვნასა და ირინას მისი ასეთი გახალისების საწინააღმდეგო არც არაფერი ჰქონდათ; მით უფრო, რომ ოჯახის უფროსს ახლა სახეზეც მისთვის მეტად იშვიათი ღიმილი დასთამაშებდა.

– ირინას ჩანახატები ნახე? – თვალი ჩაუკრა კირას.

– სულ ასეა, ზის მთელი დღე და რაღაცას ხატავს. ცუდად არ გამოსდის, არა? ნახატებზე ვამბობ. სხვათა შორის, ვიქტორსაც არ ვემდური – იმედი მაქვს, მაჩანჩალა სტუდენტი არ იქნება... მოკლედ, ჯერ კიდევ წარმოვადგენთ რაღაცას, მთლად ჩამოსაწერები არც ჩვენა ვართ!

უცებ, წინ გადაიხარა, თვალები აუელვარდა და ხმასაც დაუწია:

– საღამოს გაზეთები თუ ნახე, კირა? – დიახ, ძია ვასილი... რაზე მეკითხებით?

– უცხოეთის ამბებზე. რა თქმა უნდა, ბევრს ვერაფერს ამოიკითხავს კაცი, ყველაფერს ვინ დაგიბეჭდავს, მაგრამ სტრიქონებს შორის მაინც შეიძლება რაღაც-რაღაცეების ამოკითხვა... თვალი უნდა ადევნო მოვლენებს. ჩემი სიტყვა დაიხსომე: ევროპა გულხელდაკრეფილი არაა, მალე რაღაც შეიცვლება... დიდი დროც არ დარჩა იქამდე...

მარია პეტროვნამ უხერხულად ჩაახველა. ასეთ ლაპარაკს მიჩვეული იყო. ხუთი წლის მანძილზე ესმოდა ვასილი ივანოვიჩის მიერ გაზეთების სტრიქონებშორის ამოკითხული, ხუთი წლის მანძილზე უშედეგოდ ელოდა ევროპიდან მომავალ ხსნას. ქალმა მხოლოდ ამოიოხრა, ქმარს შეკამათება ვერ გაუბედა. ის კი სახეგაბადრული აგრძელებდა:

– ...და როცა ეს მოხდება, ზუსტად იქიდან გავაგრძელებთ, სადაც ამათმა გამაჩერეს! არც გამიჭირდება – მართალია, მაღაზია დამიხურეს და ქონებაც წამართვეს, მაგრამ...

– მთელი ტანით ისევ წინ წაიხარა კირასკენ და უკვე ჩურჩულით დაამთავრა:

– ყველაფერს თვალს ვადევნებდი... ვიცი, სადაც წაიღეს, ახლა სადაა ის ყველაფერი.

– მართლა, ძია ვასილი?

– ჩემი თვალით ვნახე მანეკენები ფეხსაცმლის სახელმწიფო მაღაზიაში, დიდ პროსპექტზე; სავარძლები – ვიბორგის მხარის ერთი ქარხნის სასადილოში; ჭაღი კი თამბაქოს ახალი ტრესტის შენობაში კიდია. ტყუილად არ დამიკარგავს დრო. უკვე მზად ვარ. როგორც კი... როგორც კი ვითარება შეიცვლება, ვიცი სად ვეძებო ჩემი ნივთები... მაღაზიასაც ხელახლა გავხსნი.

– მაგას რა სჯობს, ძია ვასილი. კიდევ კარგი, თქვენი ავეჯი არ დაწვეს და არ გაანადგურეს.

– ბედმა გამიღიმა, ეგრე რომ არ მოიქცნენ. ყველაფერი ჯერაც თითქმის ახალივითაა. ერთ-ერთ მანეკენს ბზარი კი ამჩნევია – სამარცხვინო ამბავია, ღმერთმანი – მაგრამ მაგის მოგვარებაც არაა ძნელი საქმე. და ყველაზე სასაცილო კიდევ რა უნდა გითხრა...

– ისევ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, თითქოს თავისი მტრების გაცუცურაკება მოეხერხებინა:

– ჩემი აბრები, კირა! გახსოვს ის ჩემი ძველი, მოვარაყებული, შუშაზე დიდი შავი ასოებით ნაწერი აბრები? ეგენიც ვიპოვე! ახლა ერთი კოოპერატივის შესასვლელზე ჰკიდია, ალექსანდრეს ბაზრის შორიახლოს. ერთი მხრიდან კი წაუწერიათ – სახელმწიფო კოოპერატივიო, მაგრამ მეორეზე ჯერ ისევ იკითხება – „ვასილი დუნაევი. ბეწვეული".

უცებ, მარია პეტროვნას დაფეთებული გამოხედვა დაიჭირა და შუბლი შეიკრა:

– ამ ჩემს მარუსიას უკვე აღარაფრის აღარ სჯერა. ვერაფერსაც ვეღარ დავიბრუნებთო, გაიძახის. ძალიან იოლად ყრის ფარ-ხმალს. შენ რას ფიქრობ, კირა? ვითომ მთელი დარჩენილი ცხოვრება წითელი ჩექმის ქვეშ უნდა გავატაროთ?

– არა, – მიუგო კირამ.

– ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

– რა თქმა უნდა, ვერ გაგრძელდება. უბრალოდ, შეუძლებელია. მეც მაგას არ ვამბობ? – ვასილი ივანოვიჩი უცებ წამოდგა.

– მოდი კირა, რაღაც უნდა გაჩვენო.

– წვნიანს არ დაამთავრებ, ვასილი? – ამოიოხრა მარია პეტროვნამ.

– რა დროს წვნიანია? კაცმა რომ თქვას, არც მშია. ჩემს ოთახში გავიდეთ, კირა.

ვასილი ივანოვიჩის სამუშაო ოთახში ავეჯიდან საწერი მაგიდა და ერთადერთი სკამიღა დარჩენილიყო. მაგიდის უჯრა გასაღებით

გააღო, და იქიდან ძველ, სიყვითლეშეპარულ ცხვირსახოცში გამოხვეული პატარა ფუთა ამოიღო. მაგრად შეკრული ნასკვი გახსნა, სახეზე ამაყი, თვითკმაყოფილი ღიმილი დააჩნდა, მხრებში გასწორდა და კირას მეფისდროინდელი, ქაღალდის ტკიცინა ფულის მოზრდილი შეკვრა დაანახა. გვარიანი თანხა ჩანდა, არაერთი ათასი.

– კი მაგრამ, ძია ვასილი...

– სული შეუგუბდა კირას.

– ეს ხომ ახლა... ვერც დახარჯავთ და ეგ კი არა, მაგეების შენახვაც ხომ საშიშია!

– მართალი ხარ, – ჩაეცინა ვასილი ივანოვიჩს.

– ახლა ამას ფასიც არა აქვს, ოღონდ ეს ჯერ-ჯერობით. მოვიცადოთ და ვნახოთ. უთუოდ შეიცვლება ცხოვრება. მაშინ გამოჩნდება რომ მთელი ქონება მიჭირავს ხელში.

– ეგ ფული საიდან, ძია ვასილი?

– ვიყიდე. ჩუმად, რა თქმა უნდა. გადამყიდველებისაგან. სახიფათოა, თუმცა შესაძლებელი... მართალი გითხრა, ძვირიც დამიჯდა. შენ არ დაგიმალავ, რატომაც მოვიქეცი ასე... მოკლედ, სანამ ეს ყველაფერი მოხდებოდა... ანუ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მაღაზიას ჩამომართმევდნენ, დიდი ვალი დამედო იმ ჩემი ახალი ვიტრინების ხარჯის გასასტუმრებლად... უცხოეთიდან გამოვიწერე, შვედეთიდან, ქალაქში სხვას არავის მსგავსი არაფერი ჰქონია! მაღაზია რომ წამართვეს, სულ წიხლებით ჩამოიღეს ამ ვიტრინების შუშაც, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, იმ ფირმის ვალი ხომ შემრჩა. დღესდღეობით, ვერანაირად ვერ გავისტუმრებ – საზღვარგარეთ ფულის გადაგზავნა ისედაც აკრძალულია, მაგრამ მოვიცდი ჯერჯერობით. მეორეს მხრივ, ვერც საბჭოთა ფულით გადავუხდიდი – მაგას ფასი არა აქვს და უცხოეთში ტუალეტის ქაღალდადაც არავის გამოადგება... ოქროს კი სად იშოვი? ამიტომ, აი ეს ფული გამოდგება ოქროს მაგიერი... ვალსაც გამასტუმრებინებს, უკვე გავიკითხე – იმ ფირმის მეპატრონე მომკვდარა, მაგრამ ახლა იმისი შვილი უძღვება საქმეს.

ბერლინში ცხოვრობს და ფულს იმას გადავუხდი. არ მიყვარს ვალში ყოფნა, ცხოვრებაში მანეთი ვალი არ დამდებია არავისი.

ხელში შეათამაშა ფულის დასტა.

– ერთი რჩევა მიიღე მოხუცისაგან, კირა. არასოდეს მიიხედო უკან. წარსული მკვდარია, მაგრამ მომავალი ყოველთვის არსებობს, ყოველთვის. აი, ეს ჩემი მომავალია... ხომ კარგი აზრი იყო ამ ფულის ყიდვა?

კირამ ნაძალადევად გაუღიმა. მერე თვალი აარიდა და ლამის ჩურჩულით მიუგო:

– ნამდვილად, ძია ვასილი. მართლა კარგი აზრია.

კარზე ისევ დაირეკა ზარი. ცოტა ხანში, სასადილო ოთახიდან ახალგაზრდა ქალის კისკისი მოისმა, ზარის ხმაზე უფრო ხმამაღალი და წკრიალა. ვასილი ივანოვიჩმა კოპები შეიკრა.

– ისევ მობრძანდა, – ჩაიბურდღუნა ბრაზიანად.

– ვავა მილოვსკაიაა, ვიქტორის მეგობარი.

– რა მოხდა ძია ვასილი, არ მოგწონთ? ვასილი ივანოვიჩმა მხრები აიჩეჩა:

– არ ვიცი... მე მგონი, არც არაფერი უჭირს. ყოველ შემთხვევაში, არ მომწონს-მეთქი, ვერ ვიტყვი, თუმცა მოსაწონსაც ვერაფერს ვატყობ. ერთი ჩვეულებრივი, ქარაფშუტა გოგოა. შენ კი არა გგავს, კირა. წამოდი, ალბათ მაინც ჯობია, გაგაცნო.

ვავა მილოვსკაია ორ კაშკაშა წრესავით მოჩანდა შუა ოთახში: უფრო დაბალი და მოზრდილი მისი გახამებული ჩითის გრძელი, ვარდისფერი ქვედაკაბა გახლდათ; მეორე კი – ზედა და მომცრო, შავად მბზინავი კულულების დაწნული თაიგული. მართალია, ჩითის კაბა კი ეცვა, მაგრამ ახალთახალი, აშკარად ძვირფასი, და მაჯაზეც ბრილიანტის წვრილი სამაჯური უკიაფებდა.

– საღამო მშვიდობისა, ვასილი ივანოვიჩ! – მიეჟღურტულა ოჯახის უფროსს.

– როგორ გიკითხოთ? – მაშინვე მხრებზე ჩამოადო ხელები და

მოხუცს შეჭმუხნულ შუბლზეც ეამბორა.

– ეს კი ვიცი, კირაა! კირა არგუნოვა. ძალიან მიხარია, ბოლოს და ბოლოს ერთმანეთი რომ გავიცანით...

– ამ დროს ვიქტორიც გამოვიდა თავის ოთახიდან. მართალია, ვავა ჯიუტად ამტკიცებდა – ირინას შემოვუარეო, თუმცა მისი სტუმრობის ნამდვილი მიზეზი მასაც მშვენივრად მოეხსენებოდა, ისევე როგორც ოჯახის ყველა სხვა წევრს. გაღიმებული მიჩერებოდა ვავას, უცინოდა, ეხუმრებოდა, ვითომ აბრაზებდა კიდეც. მერე ასიას ყურზე წაეთათუნა, დედამისს თბილი ღაზლი მოახურა, როცა იმას ისევ ხველება დაეწყო, ანეკდოტების მოყოლაც დაუწყო და ბნელ კუთხეში მიმჯდარი მიღუშული ვასილი ივანოვიჩიც კი გააცინა ერთხელ.

– რაღაც მოვიტანე, მინდა ყველას გიჩვენოთ, – იდუმალი ხმით გამოაცხადა ვავამ და ხელჩანთიდან პატარა შეკვრა ამოაძვრინა.

– გასაოცარი რამაა, ასეთი ჯერ არაფერი გენახოთ...

– ყველა მაგიდისკენ წაიხარა და მომცრო, მრგვალი, ნარინჯისფეროქროსფერი კოლოფისკენ წაიგრძელა კისერი.

– საზღვარგარეთიდანაა ჩამოტანილი...

– ჩურჩულით წარმოთქვა ვავამ ჯადო-სიტყვები.

– მონუსხულებივით მიჩერებოდნენ კოლოფს და ხელით შეხება ვერ გაებედათ.

– ფერუმარილია, – ისევ ჩურჩულით გააგრძელა ვავამ, თუმცა ცდილობდა, მღელვარებას მორეოდა.

– ფრანგული, ნამდვილი ფრანგული. რიგიდან შემოტანილი კონტრაბანდაა. ერთმა პაციენტმა მოართვა მამაჩემს, გასამრჯელოდ.

– იცი, ყური მოვკარი – უცხოეთში ახლა მარტო ფერუმარილს კი არ ხმარობენ, თურმე პომადასაც იცხებენ ტუჩებზე...

– თქვა ირინამ.

– კი, ეგრეა და ის ქალი, მამაჩემის პაციენტი დამპირდა, შემდეგ ჯერზე პომადასაც გიშოვიო.

– ვავა! იმედია, ტუჩებზე საცხის წასმას არ აპირებ! – რა ვიცი... შეიძლება. იქნებ სულ ოდნავ-ოდნავ, ხანდახან...

– წესიერი ქალი ტუჩებს არ დაიღებავს, – განაცხადა მარია პეტროვნამ.

– კი მაგრამ, ასე იქცევიან და... ამით ქვეყანა არ ინგრევა.

– უცხოეთში...

– საწყალობლად ამოიოხრა მარია პეტროვნამ.

– ნეტა კიდევ თუ არსებობს ასეთი ადგილი დედამიწაზე! უცხოეთი...

* * *

არ მოუთოვია, თუმცა ძლიერმა ყინვამ ქუჩის ფილაქანს ტალახი მიაყინა და წყლის საწრეტი მილების დაფჩენილ პირებსაც ულვაშებივით ჩამოუგრძელდათ პირველი ლოლუები. ადამიანები ნელა, უხერხულად მოძრაობდნენ, ახალბედა მოთხილამურეებივით – წონასწორობის დაცვა უჭირდათ, ცალ ფეხს უმწეოდ აიქნევდნენ ხოლმე ჰაერში და უახლოესი ლამპიონის ბოძს ეჭიდებოდნენ თავის შესამაგრებლად. გასიპულ ქვაფენილზე ცხენებსაც უჭირდათ ფლოქვის მოკიდება და მათი ნალებიც გააფთრებული აქუცმაცებდნენ ყინულის ფენას.

კირა ინსტიტუტში მიდიოდა. ფეხსაცმლის თხელი ლანჩებიდან გათოშილი ფილაქნის სუსხი მოუყვებოდა მუხლებამდე. ძალიან ჩქარობდა, ოღონდ ფეხი წარამარა უსხლტებოდა და მაინც გაუბედავი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით უწევდა გზის გაგრძელება.

უცებ, ზურგსუკან ვიღაცის ისეთი მტკიცე, თავდაჯერებული ფეხის ხმა მოესმა, რომ უნებურად თავი იქით მიატრიალა. მაშინვე იცნო ის მოთვინიერებული, სახენაიარევი ვეფხვი. თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს; კაცმა გაუღიმა და კირამაც ღიმილითვე უპასუხა. კაცმა ქუდთან მიიტანა ხელი:

– დილა მშვიდობისა! – თქვა და ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა კირაც.

ტყავის ქურთუკიანი, მხრებში გაშლილი ეს მაღალი კაცი რაღაც მეტისმეტად თავდაჯერებული მოაბიჯებდა მოყინულზე.

უკვე ინსტიტუტის შორიახლოს, ქუჩის გადასასვლელთან მოულოდნელად შეჩერდა და კირას დაელოდა. კირა მალევე მიუახლოვდა. მაღალი ტროტუარი მკვეთრად, ძალზე სახიფათოდ ეშვებოდა ქვის მოყინული სავალი ნაწილისაკენ. კაცმა მკლავი გაუწოდა მისაშველებლად. სწორედ ამ დროს, კირას მუხანათურად დაუცურდა ფეხი, კაცმაც ღონივრად სტაცა მაჯაში ხელი და წონასწორობა უცებვე შეანარჩუნებინა.

– დიდი მადლობა, – უთხრა კირამ.

– ვიფიქრე, მიხმარება დასჭირდება-მეთქი. თუმცა, ისიც დავინახე, სულაც რომ არ შეგშინებიათ.

– ღიმილით შეათვალიერა კაცმა.

– პირიქით, ამჯერად მართლა ძალიან შემეშინდა...

– ამ მოულოდნელი გულისხმიერების პასუხად, ღიმილითვე მიუგო კირამ.

კაცი ერთხელაც შეეხო ქუდის კიდეს საჩვენებელი თითით და აჩქარებით გაუყვა ინსტიტუტის შენობისკენ მიმავალ ბილიკს.

ამ დროს, კირამ ერთ თავის ნაცნობ ბიჭს მოკრა თვალი; ტყავისქურთუკიანი უცნობისაკენ მიანიშნა და ჰკითხა – ხომ არ იცი, ვინაა?

ბიჭი უცნობს დააკვირდა და მერე ლამის ჩურჩულით მიუგო: – მაგას ერიდე. გე-პე-უს კაცია.

– მართლა? – გაიკვირვა კირამ.

– ეგრეა, – დაუდასტურა ბიჭმა და ამრეზილად წაუსტვინა კიდეც.

VI

მთელი თვე, კირა ახლოსაც არ გაკარებია ბაღის ღობემორღვეულ მიტოვებულ სახლს. არც თავად იმ ბაღზე უფიქრია, რადგან არ

სურდა, იქაური უკაცრიელობა წარმოედგინა, თუნდაც თვალებდახუჭულს. მაგრამ ათ ნოემბერს მაინც გაემართა იქით – მშვიდად, დინჯად, აუჩქარებლად, უყოყმანოდ.

ქუჩები უკვე ბინდში იძირებოდა, ოღონდ ეს ბინდი კრიალა, გამჭვირვალე ციდან კი არა, იმ სახლების კუთხეებიდან მოიწევდა, სადაც ჩრდილები უცებ, თითქოს უმიზეზოდ მუქდებოდა. საკვამურებიდან ზანტად ამომავალი კვამლის ქულები ჟანგისფრად მოჩანდა ცივი, დასალიერზე ჩამავალი მზის სხივების შუქზე. მაღაზიების ვიტრინებში ნავთის სანათები გამოედგათ, რომელთა ყვითელი ნათებაც წრეებად იდღაბნებოდა ვეება, შეთრთვილულ შუშებზე, მოციმციმე ალის ნარინჯისფერი წერტილების ირგვლივ. უკვე თოვდა. ცხენების ფლოქვებით ტალახში ჩაბეკნილი პირველი თოვლი რძიან ყავაში ჯერ გაუმდნარ შაქრის ნამცეცებს წააგავდა. თოვლს მთელი ქალაქი რბილ, წებოვან მდინარებაში ჩაეძირა. ფლოქვები ჭყაპში ისეთ დაგუდულ, ნოტიო ხმას გამოსცემდა, თითქოს ვიღაც რიტმულად, ხმამაღლა აწკლაპუნებდა ენას და ეს ხმაც ნელ-ნელა სუსტდებოდა, თანდათან იწრიტებოდა გრძელ, ბინდმოძალებულ ქუჩებში.

კირამ კუთხეში შეუხვია. მაშინვე დაინახა თოვლისკენ წახრილი რკინის შავი სარებიცა და ის ხეებიც, თავიანთი ჩაშავებული, შიშველი ტოტების ბადეში რომ ახვევდნენ ღრუბლის ქულების ნაფლეთებს. მერე წამით შეჩერდა, რადგან შეხედვისაც შეეშინდა, მაგრამ მალევე გაბედა და ბაღისკენ მაინც გაექცა თვალი.

ჯიბეებში ხელებჩაყოფილი და საყელოაწეული, ის სახლის კიბის საფეხურზე, ზურგშექცევით იდგა. კირა ახლა უკვე მის შესათვალიერებლად გაჩერდა, თუმცა კაცმა მისი ნაბიჯების ხმა გაიგონა და მაშინვე შემოტრიალდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა კირასკენ, გაუღიმა და დამცინავად მოერკალა ტუჩები:

– კირას ვახლავარ.

– საღამო მშვიდობისა, ლეო.

კირამ სქელი, შავი თათმანი წაიძრო; ხელი გაუწოდა და იმანაც ერთხანს გაყინულ, ძლიერ თითებში მოიმწყვდია გოგოს მტევანი. მერე ჰკითხა:

– სულელები ვართ, არა? – ვითომ რატომ?

– არ მეგონა, თუ მოხვიდოდი და მართალი გითხრა, არც მე ვაპირებდი...

– მაგრამ ხომ მაინც მოხვედი.

– ამ დილით გავიღვიძე და მივხვდი, უთუოდ მივალ-მეთქი. ვაღიარებ – ყოველგვარი საღი აზრის საწინააღმდეგოდ.

– ახლა აქ, პეტროგრადში ცხოვრობ? – არა. ამ ქალაქში ჩვენი შეხვედრის დღიდან არ ვყოფილვარ.

ხშირად ულუკმაპუროდაც ვრჩებოდით, რადგან ქალაქში ჩამოსვლა არ შემეძლო. ოღონდ მაინც დავბრუნდი, ქუჩის კუთხეში გაცნობილ გოგოსთან შესახვედრად. ქათინაურად მიიღეთ, კირა! – ვინ რჩებოდით ულუკმაპუროდ?

რო, ღიმილმა მიახვედრა, ნამდვილად მიმიხვდა ამ შეკითხვის ფარულ აზრსო, თუმცა იმან პირდაპირ მაინც არ უპასუხა:

– მოდი, ჩამოვსხდეთ, – უთხრა კირას.

ამჯერადაც კიბის საფეხურზე მოიკალათეს. კირამ მაშინვე ფეხი ფეხს მიარტყა, თოვლის ჩამოსაბერტყად.

– ესე იგი, გინდა იცოდე ვისთან ერთად ვცხოვრობ? ხედავ, პალტოს სახელოც უკვე მიკერებულია...

– კი, ვხედავ.

– ქალმა მიმიკერა. ერთმა ძალიან კარგმა ქალმა, ვისაც ასევე ძალიან ვუყვარვარ.

– კერვაც ყვარებია...

– კი, ასეა. თუმცა მხედველობა აღარ უვარგა. თმაშიც ჭაღარა გამოერია. ჩემი მოხუცი გადიაა, სოფელში ცხოვრობს, ქოხში. სხვა კიდევ რა გინდა მკითხო?

– არც არაფერი.

– მართალი გითხრა, ქალური შეკითხვები მაღიზიანებს, ოღონდ ვერც იმას გეტყვი, ისეთი ქალი მომეწონება, ვინც კითხვაზე პასუხის გაუცემლობის ფუფუნებას მომაკლებს-მეთქი.

– მე არაფრის კითხვას არ ვაპირებ.

– რაღაც-რაღაცეები მაინც ხომ არ იცი ჩემს შესახებ? – და ან რატომ უნდა ვიცოდე?

– ერთიც უნდა გაგაფრთხილო: არ მსიამოვნებს, როცა ქალს აშკარად ეტყობა რომ მოვწონვარ.

– მერე, მე რატო მეუბნები მაგას? შენ გგონია, თავს გაწონებ? – აბა აქ რამ მოგიყვანა?

– მხოლოდ იმან, რომ მე მომწონხარ. სულაც არ მადარდებს, რას ფიქრობ იმ ქალებზე, ვისაც შენ მოწონხარ, ან რამდენი გყოლია ცხოვრებაში მაგისთანა.

– აი, საკითხავიც სწორედ ეგ არის. ოღონდ პასუხს მაინც ვერ მიიღებ. მარტო იმას გეტყვი, მეც მომწონხარ-მეთქი. აი ეგეთი, ქედმაღალი პატარა გოგო – სულ ერთია, გსიამოვნებს ამის მოსმენა თუ არა. და ერთ შეკითხვას მეც დაგისვამ: რა ესაქმება შენნაირ ბავშვს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში?

ლეომ არაფერი იცოდა კირას აწმყოს შესახებ, თუმცა გოგომ მას საკუთარ მომავალზე კი უამბო: იმ ფოლადის კონსტრუქციებზე რომელთა აგებასაც აპირებდა, შუშის ცათამბჯენზეც და ალუმინის ხიდზეც. კაცი ჩუმად უსმენდა, ხმისამოუღებლად, ტუჩებზე კი ერთდროულად დასთამაშებდა ოდნავ დამცინავი, თან გაოცებული და თან – სევდიანი ღიმილი.

– ღირს კი ამად, კირა? – რა?

– ძალისხმევა, შენება. ეგ შენი შუშის ცათამბჯენი. შეიძლება, ასი წლის წინ ღირდა კიდეც, იქნებ ოდესმე ისევ მიეცეს კიდეც აზრი ვთქვათ, ასი წლის მერე... ოღონდ მეეჭვება კია. ჩემთვის ვინმეს არჩევანის უფლება რომ მოეცა, როდის დავბადებულიყავი, ამ დაწყვევ-

ლილ მეოცე საუკუნეს ნამდვილად არ ავირჩევდი. სხვათა შორის, ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ არა, ვამჯობინებდი საერთოდ არ მოვვლენოდი ქვეყნიერებას.

– ცნობისმოყვარეობა თუ შიმშილი? – არა, არ მშია...

– არც სურვილები გაგაჩნია? – კი, ერთადერთი: რამე მაინც მსურდეს.

– ასე უიმედოდაა საქმე?

– რა გითხრა, აბა... საერთოდ, რა საჭიროა ეს ყველაფერი? ვინ დაგიფასებს იმ შენს შუშის ცათამბჯენს?

– არ ვიცი. იქნებ, ვინმეს მაინც მოეწონოს.

– მე პირადად, ზედმეტად პატივმოყვარე ვარ, ვინმესგან ქების სიტყვების მოსმენა მსურდეს; მაგრამ შენ თუ მაგ მიზანს ისახავ, ვისი აზრი იქნებოდა შენთვის მნიშვნელოვანი? ვის შერჩა ავისა და კარგის გარჩევის უნარი? ესეც ერთგვარი წყევლაა – იმის დანახვა შეგეძლოს, რის მიღწევასაც გიკრძალავენ. ბევრად უსაფრთხოა, მიწას არ მოაშორო თვალი და რაც უფრო სიღრმეში ჩააცქერდები, დღეს მით უფრო ნაკლები საფრთხე დაგემუქრება.

– კი მაგრამ, ბრძოლაც ხომ შეიძლება!

– რისა და ვის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, შეგიძლია ძალა მოიკრიბო და გმირულად შეება ლომებს, ოღონდ საკუთარი სულის გაწირვა ბაღლინჯოებთან საომრად... არა, ეგ არც ისე კარგი გეგმაა, ამხანაგო ინჟინერო, და ვერც სიმძიმის ცენტრი გაგითვლია სწორად.

– აკი თავადაც არ გჯერა, რასაც ახლა ამბობ!

– არ ვიცი, არ ვიცი... არც მინდა რამე მჯეროდეს. არც მეტისმეტად ბევრის დანახვა მსურს. ვინ იტანჯება ამ სამყაროში? ვისაც რამის. უკმარისობა აწუხებს? არა – სწორედ ისინი, ვისაც რაღაც ზედმეტი მოეპოვება! ბრმა ვერაფერს ხედავს, მაგრამ ვისაც ქორის მზერა აქვს, იმას უფრო უჭირს არაფერი დაინახოს. მისთვის ეს კიდევ უფრო რთულიცაა და უფრო მტანჯველიც. ერთადერთი გზაღა რჩება – ნებაყოფლობით დაიღრმავოს თვალი და იმათ დონემდე დაეცეს,

ვისაც არასოდეს არაფერი დაუნახავს და არც ამის გამო დატანჯულა...

– შენ ეგრე არასოდეს მოიქცევი, ლეო.

– არ ვიცი. ეს ყველაფერი ძალზე უცნაურია, კირა. შენ რომ გიპოვე, ვიფიქრე – სწორედ ამაში დამეხმარება-მეთქი, ახლა კი უკვე მეშინია, ვაითუ სწორედ შენ მიხსნა დაცემისაგან. ვერც იმას დაგპირდები, ამისთვის მადლობას გეტყვი-მეთქი.

გვერდიგვერდ ისხდნენ, საუბრობდნენ და რაც უფრო ეშვებოდა ბინდი, მით უფრო ჩუმად ლაპარაკობდნენ, რადგან შორიახლოს მილიციელი მიდი-მოდიოდა, სწორედ იმ მორღვეული ღობის გასწვრივ. მის ჩექმებქვეშ ახლადგამოყვანილი ტყავივით ჭრაჭუნობდა თოვლი. გაფერმკრთალებული ცის ფონზე, შენობები უკვე ლურჯ, მუქ-ლურჯ შეფერილობას იძენდა, თითქოს ღამე ქვაფენილიდან ამოდიოდა ქალაქში. დათრთვილულ ფანჯრებში ყვითელი ვარსკვლავები თრთოდა. ქუჩის კუთხეში, ხეებს იქით, ლამპიონის შუქი ციმციმებდა. სწორედ ის აფრქვევდა დათოვლილ ბაღში, მათ ფეხებთან, მთვარისფერი მარმარილოს სამკუთხედებს, რომლებიც შიშველი ტოტების ჩრდილებს დაეღარა წვრილ-წვრილად.

ლეომ პერანგის გაქექილი სახელო აიწია და ძვირფას, აშკარად უცხოური წარმოების მაჯის საათს დახედა. მერე მოწყვეტით, ერთი სხარტი მოძრაობით წამოიმართა; ჯერაც კიბის საფეხურზე მჯდარი კირა კი ისეთი აღტაცებით მიჩერებოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, ამ მოძრაობას ერთხელ კიდევ გაიმეორებსო.

– უნდა წავიდე, კირა! – უკვე? – მატარებელს მინდა მივასწრო.

– ესე იგი, კვლავ მიემგზავრები? – ოღონდ ამჯერად თან რაღაც მიმაქვს კიდეც...

– ახალი ხმალი? – არა, ფარი. კირაც წამოდგა, წინ აესვეტა და მორჩილად ჰკითხა: – ისევ ერთი თვის მერე, ლეო? – კი, ამავე საფეხურებზე. სამ საათზე, ათ დეკემბერს.

– თუ ცოცხალი იქნები და თუ...

– არა, ცოცხალი ვიქნები. იმიტომ რომ არ დამავიწყდება. იქამდე სტაცა ხელზე ხელი, ვიდრე კირა გაუწვდიდა. თვითონვე წააძრო შავი თათმანი, მისი მტევანი ტუჩებთან მიიტანა და ზედ ეამბორა.

– მერე სწრაფადვე შეაქცია ზურგი და იქაურობას გაეცალა. მის ფეხქვეშაც ჭრაჭუნობდა თოვლი, ხმაც და კაცის სილუეტიც ერთად შეერწყა სიბნელეს, კირა კი კვლავაც უძრავად იდგა, ხელგაწვდენილი, ვიდრე ცოტა ხნის შემდეგ, თეთრი ფიფქი არ დაეცა ხელის ზურგზე და იმ ძვირფას დანატოვარზე, რის დაკარგვასაც ასე უფრთხოდა.

* * *

თუ ალექსანდრ დიმიტრიევიჩის მაღაზიაში საქმე რიგიანად წავიდოდა ხოლმე, კირაც არ რჩებოდა ჯიბის ფულის გარეშე, მაგრამ როცა მუშტარი იკლებდა, მასაც ფეხით უხდებოდა ინსტიტუტში სიარული. თუმცა სინამდვილეში, ორივე შემთხვევაში ფეხით სიარულს ამჯობინებდა და იმ ჯიბის ფულსაც პორტფელის საყიდლად აგროვებდა.

როცა საკმარის თანხას მოუყარა თავი, ბაზრობას მიაშურა. იქ ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა – ახალისაც და ნახმარისაც. ცხადია, ის მხოლოდ ნახმარს უმიზნებდა.

კირა დინჯად მიუყვებოდა დახლებს და თან ფრთხილობდა, პირდაპირ მიწაზე გამოფენილი საქონლისთვის შემთხვევით ფეხი არ დაედგა. ჩია, მოხუცმა ხელზე მოვაჭრე ქალმა, რომელსაც შავ, ნაქსოვ ღაზლზე სპილოსძვლისფრად მოუჩანდა პატარა ხელები, იმედიანად ამოხედა, როცა კირამ მის წინ სუფრაზე დალაგებულ ვერცხლის ჩანგლებს, ძველ ალბომსა და ბრინჯაოს სამ ხატს ჩაუარა. ცალ თვალზე შავტყავაკრულმა ბერიკაცმაც უხმოდ გაუწოდა ვარაყიან ჩარჩოში

ჩასმული, ვიღაც ახალგაზრდა ოფიცრის სურათი; ახალგაზრდა ქალმა კი ხველებ-ხველებით მიაჩეჩა სატინის გახუნებული ქვედაკაბა.

უცებ, კირა შეჩერდა. გრძელი, უიმედოდ გაჭიმული რიგის ბოლოში მაღალი კაცის ფართო მხრებს მოკრა თვალი. ვასილი ივანოვიჩი ჩუმად იდგა, სულაც არ სთავაზობდა ვინმეს თავის საქონელს – ცოტა არ იყოს, მორცხვადაც კი ჩაებღუჯა გათოშილ, შეწითლებულ, უხელთათმანო ხელებში ზაქსის ფაიფურის იშვიათი სილამაზის საათი. ხშირი, ჭაღარაშერეული წარბების ქვეშ შემალული მისი შავი თვალების მზერა ერთ წერტილს მიშტერებოდა გამვლელთა თავებს ზემოთ.

კირა მანამდე შენიშნა, ვიდრე გაქცევას და მიმალვას მოახერხებდა, თუმცა ეტყობა, აღარც ამას დაგიდევდათ. თავადვე შეეხმიანა, მოღუშულ სახეზე ბედნიერმა ღიმილმა გადაურბინა – უცნაურმა, უმწეო ღიმილმა, რომელსაც მხოლოდ კირასთვის, ვიქტორისა და ირინასთვის თუ გამოიმეტებდა ხოლმე.

– როგორ ხარ, კირა? გამიხარდა შენი დანახვა, ძალიან გამიხარდა. ეს? ეს.. უბრალოდ, ძველი საათია, დიდი არაფერი. მარუსიას ვუყიდე ადრე, დაბადების დღეზე... ეს მისი პირველი დაბადების დღე იყო ჩვენი ქორწილის მერე. მუზეუმში ენახა ამდაგვარი და ძალიან მოწონებოდა. მხოლოდ ამისთანა უნდოდა და მეც გარკვეული დიპლომატიური სვლების გაკეთება მომიწია, ვინ არ შევაწუხე, მთლად სასახლის კარის დონეზე, როგორმე მუზეუმისთვის ამის გაყიდვის უფლება რომ მიეცათ... ოღონდ უკვე აღარ მუშაობს. ჩვენც როგორმე გავძლებთ უამისოდ.

სიტყვა გაუწყდა და იმედიანად გახედა ვიღაც ჩასუქებულ გლეხისქალს, რომელიც საათს მიჩერებოდა და თან კისერს იფხანდა. თუმცა, როცა იმ ქალის მზერა ვასილი ივანოვიჩისას გადააწყდა, ქალმა მაშინვე ზურგი აქცია, კაბის ბოლო აიწია და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

ვასილი ივანოვიჩმა კირას გადაუჩურჩულა:

– არც ისე მხიარული ადგილია. მეცოდება მთელი ეს ხალხი. უკანასკნელის გაყიდვა უწევთ. სხვა სახსარი არც აღარაფერი შერჩენიათ ცხოვრებაში. ჩემი ამბავი კი განსხვავებულია: ჩემთვის სულ ერთია – ოჯახში ერთით მეტი თუ ერთით ნაკლები სამშვენისი რა ბედენაა! დრო მოვა, კიდევ უამრავ ამისთანას ვიყიდი. თუმცა არის რაღაც, რასაც ვერც გავყიდი, რისი დაკარგვაც არ შეიძლება და რასაც სახელმწიფოს ვერ ჩაუგდებ ხელში. მე მომავალი მაქვს, ნამდვილი მომავალი, ხელშესახები – ეს ჩემი შვილებია. შენ მაინც ხომ იცი, რა გონიერი გოგოა ირინა! ყოველთვის საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ძველ დროში რომ დაემთავრებინა სკოლა, აუცილებლად ოქროს მედალს აიღებდა... ახლა ვიქტორი? – უცებ გაიშალა მხრებში, ბრძანებამიღებული ჯარისკაცივით.

– არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა. უფრო ნათელი გონების ბიჭი არც შემხვედრია. მართალია, გარკვეულ საკითხებზე კი ვკამათობთ ხოლმე, მაგრამ ესეც მისი ასაკის ბრალია, ჯერ ბევრი რამ არ ესმის... აი, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა: ერთ მშვენიერ დღეს, ვიქტორი დიდი კაცი გახდება.

– ირინა კი ცნობილი მხატვარი! ასე არაა, ძია ვასილი?

– დღევანდელი გაზეთები თუ წაიკითხე, კირა? ნახე, ინგლისი რას შვება? ერთ-ორ თვეში...

მათ წინ კიდევ ერთი ფერხორციანი გამვლელი შეჩერდა და მცოდნეს თვალით მიაჩერდა საათს.

– ორმოცდაათ მილიონს მოგცემ ამაში, მოქალაქე! – გამოუცხადა ვასილი ივანოვიჩს და კოტიტა, ტყავის ხელთათმანში გამოკვართული თითი საათს მიაშვირა.

ამ ფასად ათ გირვანქა პურსაც კი ვერ იყიდდი. ამიტომ, ვასილი ივანოვიჩიც შეყოყმანდა. სევდიანად გახედა სახლებს ზემოთ, სიწითლეშეპარულ ცას და ადამიანთა დაგრძელებულ ჩრდილებს ფილაქანზე, ყოველ გამვლელს ამაო იმედით რომ შესცქეროდნენ თვალებში.

– რა ვიცი...

– ჩაიბურტყუნა მერე.

– რას გეტყვი იცი, მოქალაქე? – ფერხორციანს მიუტრიალდა კირა, რომელმაც უცებ, აფოფრილი დიასახლისივით აუწია ხმას.

– ორმოცდაათი მილიონი რა ფულია! ამწუთას სამოცი შევთავაზე ამ მოქალაქეს და უარი მითხრა... ახლა ვაპირებ...

– სამოცდათხუთმეტი მილიონი და ულაპარაკოდ მიმაქ! – გაიფხორა უცნობი. მერე ვასილი ივანოვიჩმა გულდასმით გადაითვალა ქაღალდის ფული, ერთხელაც აღარ გაუხედავს ბრბოში გაუჩინარებული იმ მყიდველისაკენ, ამაყად რომ დაეიღლიავებინა თავისი შენაძენი. ის ახლა კირას მიჩერებოდა.

– ეგეთები სად ისწავლე, გოგო? კირას სიცილი წასკდა.

– ე-ეჰ, გაჭირვება რას არ გასწავლის...

მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ვასილი ივანოვიჩი ცხადია, შინისაკენ გაეშურა, კირამ კი პორტფელის ძებნა გააგრძელა.

გზის ფულის დასაზოგად, ვასილი ივანოვიჩმა ფეხით გავლა ამჯობინა. უკვე ბნელდებოდა. თოვლი ნება-ნება, მსუბუქად ეფინებოდა მიწას, თითქოს ძალას ზამთრისთვის ინახავსო. სქლად მხოლოდ ტროტუარების კიდეზე მიყრილიყო.

ქუჩის კუთხეში, წყვილი თვალი მიაჩერდა ვასილი ივანოვიჩს, დაახლოებით მისივე მუცლის სიმაღლიდან. ეს თვალები ახალგაზრდა კაცის სუფთად გაპარსული სახიდან იმზირებოდა, ხოლო იმ სხეულის ორი ფეხი, რომელსაც ეს სახე აგვირგვინებდა, თითქოს მუხლებამდე გაუჩინარებულიყო ქუჩის ფილაქანში. ვასილი ივანოვიჩი როდისროდის მიხვდა, ამ კაცის უფეხობას – მერეღა შეამჩნია ორი, ჭუჭყიან ძონძებშემოხვეული ტაკვი. რაც შეეხება ტანს, მას იმპერატორის არმიის ოფიცრის კოხტად დაკემსილი ფორმა ემოსა, თუმცა მაზარის ცალი სახელო ასევე ცარიელი უჩანდა. მხოლოდ ერთიდან გამოშვერილიყო ხელის მტევანი, რომელიც გამვლელთა მუხლების დონეზე აფრიალებდა საღამოს გაზეთს. ხეიბარს მკერდზე წმინდა გიორგის ჯვრის ნარინჯისფერ-შავი ბაფთაც ებნია.

ვასილი ივანოვიჩმა ნაბიჯი შეანელა და გაზეთიც იყიდა. ეს სიამოვნება ორმოცდაათი ათასი მანეთი ღირდა. ხეიბარს მილიონიანი ბანკნოტი გაუწოდა.

– ძალიან ვწუხვარ, მოქალაქე! მაგის ხურდა არ მექნება...

– თავაზიანად მოუბოდიშა ყოფილმა ოფიცერმა.

– არც მინდა ხურდა, – ცოტა არ იყოს, უხეშად ჩაიბურდღუნა ვასილი ივანოვიჩმა.

– შენს ვალს მაინც ვერ გადავიხდი.

მერე კი უკანმოუხედავად, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

* * *

კირა ინსტიტუტში, ლექციაზე იჯდა. აუდიტორია არ თბებოდა, სტუდენტებს პალტოები შემოესხათ და ხელებზეც შალის თათმანები წამოეცვათ. მსმენელებს ყველა მერხი დაეკავებინათ და ბევრი იატაკზეც იჯდა, რიგებს შორის.

ვიღაცამ ფრთხილად შემოაღო კარი. აუდიტორიაში მამაკაცმა შემოყო თავი და მაშინვე პროფესორის მაგიდას გახედა. კირამ ის მარჯვენა საფეთქელზე ნაიარევით იცნო და გაუკვირდა, რადგან პირველკურსელთა ლექციას ეს კაცი არასოდეს ესწრებოდა. როგორც ჩანს, აუდიტორია შეშლოდა. მართლაც, უკან გაბრუნებას აპირებდა, როცა სტუდენტებს შორის, კირაც შენიშნა. შემოვიდა, კარი უხმაუროდ მიკეტა და ქუდი მოიხადა. კირა ალმაცერად ადევნებდა თვალს. კარის სიახლოვეს, გასასვლელში, თავისუფალი ადგილი კი იყო, მაგრამ შემოსული მაინც დინჯად დაიძრა მისკენ და სწორედ მის ფეხებთან ჩამოჯდა საფეხურზე.

გოგონამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ზემოდან გადმოხედა. კაცმა უხმოდ დაუქნია თავი, თითქოს ღიმილმაც გადაურბინა ტუჩებზე,

მაგრამ მაშინვე პროფესორის მაგიდისკენ მიაბრუნა სახე. გაუნძრევ-ლად იჯდა, ფეხი-ფეხგადადებული და ცალი ხელიც უძრავად ედო მუხლზე. ხმელი, მთლად ძვალტყავა, ძარღვებდაბერილი მტევანი ჰქონდა, ლოყებიც ჩასცვენოდა და წვეტიანი ყვრიმალებიც უცნაურად ამოჩროდა. მისი ტყავის ქურთუკს ლამის შაშხანაზე უფრო სამხედრო იერი ედო და ბევრად კომუნისტური, ვიდრე წითელ დროშას. კირასკენ მეტი აღარც გამოუხედავს.

ლექცია რომ დამთავრდა და რიგებშორის გასასვლელებშიც ფეხების ბრაგაბრუგი ატყდა, ის კაცი წამოიმართა, თუმცა მაშინვე კარისკენ არ წასულა – კირას მოუბრუნდა.

– დღეს როგორ ხართ? – ჰკითხა.

– ცოტა არ იყოს, გაკვირვებული.

– მიუგო იმან.

– რითი?

– როდის აქეთია, რაც გულანთებული კომუნისტები მათთვის უსარგებლო ლექციების მოსმენაზე კარგავენ დროს?

– გულმხურვალე კომუნისტებიც ცნობისმოყვარეები არიან და არც მათთვისაა უცხო იმის ამოცნობის სურვილი, რაც მაინცა და მაინც კარგად არ ესმით.

– გამიგია, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების არაერთი ქმედითი საშუალება მოეპოვებათო...

– ყოველთვის როდი იყენებენ ამ საშუალებებს, – მშვიდად მიუგო კაცმა.

– ზოგჯერ, თავად უწევთ საქმეში გარკვევა.

– სათავისოდ? თუ – პარტიის საკეთილდღეოდ? – ზოგჯერ ეგ ორივე ერთია, თუმცა ყოველთვის არა. აუდიტორიიდან გამოსულები გვერდიგვერდ მიუყვებოდნენ დერეფანს. უცებ, კირას ვიღაცამ ღონივრად დაჰკრა ზურგზე ხელი და მაშინვე, ზედმეტად ხმამაღალი სიცილიც მოაყოლა.

– ასე-ასე, ამხანაგო არგუნოვა! – უკვე სახეში მიახალა ამხანაგმა

სონიამ.

– შენი გამკვირვებია! ეს რა ხდება, როგორ არ გრცხვენია? ამხანაგ ტაგანოვთან ერთად დასეირნობ, ჩვენ შორის ყველაზე თავგადადებულ კომუნისტთან?

– შიშობ რომ გადმოვიბირებ, ამხანაგო სონია?

– გადმოიბირებ?! ვის, მაგას? გამორიცხულია, ჩემო კარგო! არც იოცნებო! აბა, კარგად მენახეთ, უნდა გავიქცე. ოთხ საათზე სამი მიტინგია დანიშნული და სამივეზე მისვლის პირობა მაქვს მიცემული...

მოკლეფეხება ამხანაგმა სონიამ მხნე ნაბიჯით ჩაათავა დერეფანი, თან ისე იქნევდა მძიმე პორტფელს, თითქოს რაღაც ტომსიკააო.

– შინ მიდიხართ, ამხანაგო არგუნოვა? – ჰკითხა კაცმა.

– დიახ, ამხანაგო ტაგანოვ.

– საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, თუკი გულმხურვალე კომუნისტთან ერთად დაგინახავთ ვინმე?

– მე არა, თუ თქვენ არ გაგიტყდებათ სახელი, ჩემისთანა ქალბატონის გვერდით რომ დაგინახავენ.

უამრავ აჩქარებულ ფეხს გარეთ თოვლი აეტალახებინა და ტალახიც პირბასრ გოროხებად შეყინულიყო. კაცმა მკლავში ჩაავლო ხელი კირას, თან ნებართვის მთხოვნელი მზერით მიაჩერდა, უსიტყვოდ. კირამ კი პასუხად, ასევე უხმოდ დახუჭა თვალები და მხოლოდ თავიღა დაუქნია. მერე მდუმარედ გააგრძელეს გზა. ცოტა ხნის შემდეგ, კირამ ქვემოდან ახედა თანამგზავრს და გაუღიმა.

– აქამდე მეგონა, კომუნისტები მხოლოდ საკუთარ მოვალეობას ასრულებდნენ პირნათლად, სხვა არაფერს აკეთებდნენ და არც სჯეროდათ, თუ რაიმე სხვაც არსებობს, ვალდებულების გარდა.

– უცნაურია, – გაეღიმა კაცს.

– ეტყობა, მე მთლად უვარგისი კომუნისტი ვარ. მუდამ მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რისი კეთებაც მინდოდა.

– მერედა, რევოლუციური ვალი? – ეგეთი რაღაც საერთოდ არ

არსებობს. თუკი მართებულად მიგაჩნია რამე, უბრალოდ უნდა გაა-აკეთო და ეგაა. თუ არადა, არაფერმა არ უნდა გაიძულოს. აი, როცა მართალი საქმის კეთება არ მოგინდება, ესე იგი, შავსა და თეთრს ვერ არჩევ და მაშინ, კაციც აღარ ყოფილხარ.

– ნუთუ არასდროს მოგდომებიათ მხოლოდ ერთადერთი მიზეზით, თქვენივე პირადი სურვილით გეკეთებინათ რამე?

– რა თქმა უნდა, მომდომებია! ჩემთვის ყოველთვის ეგ იყო ერთადერთი ამოსავალი! არასოდეს დამისახავს ისეთი მიზანი, რაც ჩემს საქმეს არ წაადგებოდა, რადგან ჩემი საქმე – ეს ჩემი საქმეა.

– და რას გულისხმობს ეგ თქვენი საქმე? თავგანწირვას მილიონების საკეთილდღეოდ?

– არა, სულაც არა. ჩემივე თავის საკეთილდღეოდ, მილიონების მიყვანას იქ, სადაც მე მსურს რომ მივიდნენ.

– და როცა თავი მართალი გგონიათ, მიზანს ნებისმიერ ფასად აღწევთ ხოლმე?

– მესმის რისი თქმაც გსურთ: იგივესი რასაც ჩვენი მტრები გაიძახიან – თქვენს იდეალებს კი ვიზიარებთ, ოღონდ საშუალებებს კი ვგმობთო...

– აი, მე კი თქვენს იდეალებს ვგმობ.

– და რატომ ვითომ?

– ძირითადად, უმთავრესად და ხაზგასმულად, ერთადერთი მიზეზის გამო: სულ ერთია, რას გვპირდება თქვენი პარტია, რა მიღწევებს, რა სიკეთის დამკვიდრებას კაცობრიობისთვის, ნებისმიერი თქვენი სხვა განცხადების მიუხედავად, არის ერთი, რაც მაგ თქვენს სამოთხეს წარმოუდგენელ ჯოჯოხეთად აქცევს – თქვენივე მტკიცებულება, აქაოდა ადამიანმა სახელმწიფოსთვის უნდა იცხოვროსო.

– და აბა, უკეთესი მიზანი რა გგონიათ?

– რა, მართლა არ იცით? – უცებ ხმა გაებზარა გრძნობამორეულ კირას.

– ნუთუ არ იცით, რომ ადამიანს აქვს რაღაც ისეთი, რასაც არავითარ შემთხვევაში უცხო ხელი არ უნდა შეეხოს? რაც წმიდათაწმინდად უნდა დარჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს შეუძლია ის მხოლოდ თავისად გამოაცხადოს! არ გესმით რომ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა შორის ყველაზე ღირსეულნი, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვცხოვრობთ? ცხადია, ვინც ამას ვიმსახურებთ... არ იცით, რომ ჩვენში არის ის, რასაც არც სახელმწიფო, არც კოლექტივი და არც მილიონები არ უნდა შეეხონ?

– არა, – მიუგო კაცმა.

– ჯერ კიდევ რამდენი რამ გაქვთ სასწავლი, ამხანაგო ტაგანოვ! – ჩაუჩურჩულა კირამ.

კაცმა ამჯერადაც ოდნავ შესამჩნევი ღიმილით დახედა და ხელზე ისე მოუთათუნა ხელი, როგორც პატარა ბავშვს.

– და თქვენ არ იცით, რომ მილიონების სიცოცხლეს ვერ შევწირავთ თითო-ოროლა ადამიანს? – ჰკითხა მერე.

– იმ თითო-ოროლას გაწირვა კი შეგიძლიათ? მით უმეტეს, როცა ისინი საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან? წაართვით მათ მწვერვალზე ასვლის უფლება და საუკეთესოც აღარავინ შეგრჩებათ! რა არის მასა, თუ არა მილიონობით ბრიყვი, მობუზული, გულგრილი ადამიანი – საკუთარი ნების, აზრის, ოცნების გარეშე? ვისაც ჭამისა და ძილის მეტი არაფერი ახსოვს და სხვათა მიერ ტვინში ჩაბეჭდილ სიტყვებს ღეჭავს უმწეოდ... ამისთანებს უნდა შესწიროთ ის თითოოროლა, ვისაც სიცოცხლე ესმის, ვინც თავადაა სიცოცხლე?! მე იმიტომ ვგმობ თქვენს იდეალებს, რომ ვერც კი წარმომიდგენია უფრო დიდი უსამართლობა, ვიდრე დაუმსახურებლად ვინმესთვის რამის ბოძებაა! და კიდევ იმიტომ, რომ ადამიანებს ერთნაირი გაქანება არ გააჩნიათ და მათი გათანასწორების მცდელობაც იმთავითვე ფუჭი გარჯაა. კიდევ იმიტომაც, მათი უმრავლესობა რომ მძაგს!

– ეგ კარგია. მეც ასე ვარ.

– მაშინ აბა...

– უბრალოდ, მე სიძულვილის გამოხატვის ფუფუნება არ გამაჩნია, მირჩევნია ვცადო და რამენაირად შევცვალო, უკეთესებად ვაქციო, ჩემ დონემდე ავამაღლო. ისე, თქვენგან შესანიშნავი მებრძოლი დადგებოდა – ჩვენი თანამებრძოლი.

– კარგად გესმით, რომ მაგას ვერასოდეს მოვახერხებ.

– ცხადია, მესმის. ოღონდ მაშინ ჩვენ წინააღმდეგ რატომ არ იბრძვით?

– იმიტომ რომ მე არც ხალხისთვის ბრძოლა მინდა და არც ხალხის წინააღმდეგ. არც ხალხზე საუბრის სურვილი გამჩენია ოდესმე. მინდა, თავი გამანებონ და ჩემებურად ცხოვრება მაცალონ!

– მერე, განა ეგ უცნაური სურვილი არაა?

– ვითომ? კი მაგრამ, რა სახელმწიფო, თუ არა მსახური, და იმდაგვარივე საშუალება უამრავ ხალხის ყოფის მოსაწესრიგებლად, როგორც ვთქვათ, ელექტროგანათება ან წყალგაყვანილობის სისტემა? განა სრული უაზრობა არ იქნებოდა იმის მტკიცება, ადამიანები წყალგაყვანილობის საკეთილდღეოდ უნდა არსებობდნენ და არა პირიქითო?!

– და თუ წყალგაყვანილობის მილები დასკდა და მწყობრიდან გამოვიდა, ვითომ უფრო დიდი უაზრობა არ იქნება გულხელდაკრეფილი ჯდომა იმის იმედით, თავისთავად მოგვარდება ყველაფერიო?

– წარმატებას გისურვებთ, ამხანაგო ტაგანოვ. იმედი მაქვს, როცა დაინახავთ რომ ამ მილებში თქვენივე წითელი სისხლი მოთქრიალებს, მაშინაც იგივე აზრზე იქნებით – ღირდა კი მათი შეკეთებაო...

– მაგის არ მეშინია. უფრო ის მაღელვებს, რას უქადის ამჟამინდელი დროება თქვენნაირ ქალს.

– ესე იგი, თქვენც ხვდებით, რა დროებაში გვიწევს ცხოვრება?

– ყველანი ვხედავთ, ბრმები კი არა ვართ. არ გამოვრიცხავ, ეგებ ეს მართლაც ჯოჯოხეთია, მაგრამ არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, მაინც მაშინ დაბადებას ვარჩევდი, როცა დავიბადე – იმ დროში ცხოვრებას, რომელშიც ვცხოვრობ, რადგან დღეს ჩვენ უკვე უქმად,

ოცნებებში წასულები აღარ ვსხედვართ... აღარც ვწუწუნებთ და ვოხრავთ, აღარც სასწაულს აღარ ველოდებით – ვმოქმედებთ, ვშრომობთ, ვაშენებთ!

კირას სასიამოვნოდ ჩაესმოდა მის გვერდით მიმავალი კაცის გამოზომილი, მტკიცე ნაბიჯების ხმა და ამ ნაბიჯებს აყოლებული მისივე მონათხრობი. ადრე წითელი არმიის რიგებში ებრძოლა თურმე და ნაამბობმა კირა კი შეაკრთო, თუმცა მაინც მოწონების ღიმილით შეავლო თვალი საფეთქელზე დარჩენილ ნაიარევს. რაც შეეხება კაცს, მას დამცინავად ჩაეღიმა, როცა არგუნოვებისთვის ჩამორთმეული ქარხნების ამბავი შეიტყო, სახე კი კირას გაცვეთილი ფეხსაცმელების დანახვაზე მოექუფრა მხოლოდ. მათი საუბარი სიტყვიერ პაექრობას ჰგავდა, თუმცა თვალებით კაცი მაინც სულ მოკავშირეს დაეძებდა კირას მზერაში. თავად კირა თანამგზავრის ყოველ ხმამაღლა ნათქვამ სიტყვას შინაგად უჯანყდებოდა, ოღონდ მისი ხმა კი თანხმობის სურვილს უჩენდა.

კირა სახელმწიფო აკადემიური თეატრების აფიშებთან შეჩერდა. ამ სამ თეატრს ადრე, რევოლუციამდე, ზოგადად „საიმპერატოროს“ სახელით იხსენიებდნენ ხოლმე.

– „რიგოლეტო“, – ჩაილაპარაკა დარდიანი ხმით.

– ოპერა თუ გიყვართ, ამხანაგო ტაგანოვ?

– ჯერ არცერთი არ მომისმენია. კირამ გზა გააგრძელა.

– თუმცა, უამრავი ბილეთი დამირიგებია კომუნისტური უჯრედის დავალებით, – გააგრძელა ტაგანოვმა.

– მე თვითონ უბრალოდ, დრო არ მრჩება ოპერაში სასიარულოდ. თქვენ ხშირად დადიხართ?

– არც ისე. ბოლოს ამ ექვსი წლის წინ ვიყავი. ახლა, როგორც პირწავარდნილ ბურჟუას, ბილეთის საყიდელი ფული აღარ მრჩება.

– რომ გთხოვოთ, წამოხვალთ ჩემთან ერთად? – სცადეთ და დამპატიჟეთ.

– ამხანაგო არგუნოვა, გთხოვთ, ოპერაში ჩემთან ერთად წამოხვიდეთ.

კირას ეშმაკურად აუთამაშდა წარბები.

– რაო, ინსტიტუტის კომუნისტურ უჯრედში ყველა სტუდენტის პირადი საქმე არ ინახება?

შემცბარმა ტაგანოვმა კოპები შეიკრა: – მაგას რატომ მეკითხებით? – იქ შეგეძლოთ ამოგეკითხათ, რომ კირა მქვია.

კაცს გაეღიმა. უცნაურმა სითბომ გადაუარა მკაცრ, უხეშად გამოჩორკნილ ტუჩებზე.

– ოღონდ ის, რომ მე ანდრეი მქვია, თქვენ მაგას იქ ვერ ამოიკითხავდით.

– სიამოვნებით დავთანმხმდები თქვენს მიპატიჟებას, ანდრეი.

– დიდი მადლობა, კირა.

მოიკას ქუჩაზე, წითელი აგურის სახლის კართან, კირამ თანამგზავრს ხელი გაუწოდა.

– შეგიძლიათ პარტიული დისციპლინა დაარღვიოთ და კონტრრევოლუციონერს ხელი ჩამოართვათ?

ტაგანოვმა მისი მტევანი თითებშორის მოიმწყვდია:

– პარტიული დისციპლინის დარღვევა უპატიებელია, ოღონდ გაიჩნია, როგორ შეხედავ ამ ამბავს...

– ამ უცნაური ურთიერთგაგებით გაოცებულებმა, მას მერეც კარგა ხანს უცქირეს თვალებში ერთმანეთს, რაც კირამ ხელი გამოითავისუფლა. ბოლოს კაცი შეტრიალდა და სხარტი, მხედრული ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. პორტფელამოიღლიავებულმა კირამ კი სულ სიცილ-სიცილით აირბინა ოთხი სართული...

VII

ალექსანდრ დიმიტრიევიჩს მთელი თავისი დანაზოგი პერანგის ჯიბეში ჰქონდა გამოკერებული. ჩვევადაც კი ექცა, დროდადრო ისე

მიეტანა გულთან ხელი, თითქოს მკერდში რაღაც ჩხვლეტდა ხოლმე; არადა, სინამდვილეში სწორედ ასე ამოწმებდა დამალული ფულის შეკვრას და დიდ სიამოვნებასაც გვრიდა, როცა თითები ამ საუნჯეს ეპოტინებოდა. ფული თუ დასჭირდებოდა, ნაკერს მოარღვევდა და დასტას ყოველ შემსუბუქებაზე მწარედ ოხრავდა. თექვსმეტ ნოემბერს კი სულაც ბოლოჯერ მოუწია ნაკერის მორღვევა.

კერძო მოვაჭრეებს საგანგებო გადასახადი დაუწესეს ვოლგისპირეთში მოდებული შიმშილობის შედეგების აღმოსაფხვრელად. ამან კი მისი პაწია მაღაზია გაკოტრების წინაშე დააყენა და ასე და ამგვარად დასრულდა კიდევ ერთი რიგითი, წვრილი მეწარმის საქმიანობა.

ოღონდ ალექსანდრ დიმიტრიევიჩისათვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. წვრილ-წვრილი სავაჭროები ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩნდებოდა, ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით და იმედიანი მომავლის მიუხედავად, ასე სოკოებივითვე ქრებოდა. თუმცა, არსებობდნენ უფრო წარმატებულებიც – ასეთები ალექსანდრ დიმიტრიევიჩს საკუთარი თვალით ყავდა ნანახი: მდიდრულ, ბეწვის ქურქებში გამოწყობილი მამაკაცები, ფითქინა ლოყებიანები, რომელთა დანახვაზეც მაშინვე კარაქი ახსენდებოდა, იმათ თვალებში ჩახედვა კი უნებურად, ათრთოლებული ხელის მკერდზე მოფათურებას აიძულებდა. სწორედ ასეთები ისხდნენ თეატრების წინა რიგებში, ასეთები გამობრძანდებოდნენ ხოლმე ახალი საკონდიტროებიდან, მედიდურად, ნამცხვრებიანი თეთრი ყუთებით ხელდამშვენებულები, რომელთა შიგთავსის საფასური ორი თვე ეყოფოდა მის ოჯახს თავის სარჩენად. ამნაირებს ტაქსით სამგზავრო ფულიც უჭყაოდათ ჯიბეში; ონავარი ქუჩის ბიჭები მათ ნეპმანებს ეძახდნენ, სწორედ მათი კარიკატურები იბეჭდებოდა უხვად „წითელ" გაზეთებში, სადაც საზოგადოების ამ ახალი ხორცმეტების მამხილებელ სიტყვებსაც არ იშურებდნენ. თუმცა, მათი ღუნღულა ბეწვის ქუდები კი არაერთხელ დაუნახავთ იმ მანქანების ფანჯრებს მიღმა, პეტროგრადის ქუჩებში

წითელი ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირებს რომ დაექროლებდნენ. ამგვარი საიდუმლოს ამოხსნას ალექსანდრ დიმიტრიევიჩი ჯიუტად, ოღონდ უშედეგოდ ცდილობდა – მას ხომ სიტყვა „სპეკულიანტის“ გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა და თავად პატიოსანი კაცი, სხვისი მამაძაღლობებისას აბა, რას გაიგებდა!

თავის მაღაზიაში, ერთიანად გამოცარიელებული თაროები დატოვა და იქიდან მხოლოდ გახუნებული, მუყაოს აბრა გამოაყოლა ხელს. კოხტად დაკეცა, მერე კი იმავე უჯრაში მიუჩინა ადგილი, სადაც „არგუნოვის საფეიქრო ფაბრიკის“ ტვიფრიან ძველ საკანცელარიო საქაღალდეებს ინახავდა.

– სულ რომ შიმშილით დავიხოცოთ, მე საბჭოთა მოხელე მაინც ვერ გავხდები! – გადაჭრით გამოუცხადა ოჯახს.

გალინა პეტროვნამ ამოიგმინა – რამე უნდა ვიღონოთო. მოულოდნელ მხსნელად კი არგუნოვების ფაბრიკის ყოფილი ბუღალტერი მოევლინათ: სათვალიანი და ჯარისკაცის მაზარაში გამოხვეული, სულ არ ცდილობდა პირგაპარსული კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა, ოღონდ ის კი კარგად მოეხსენებოდა, ნებისმიერ ვითარებაში როგორ მილაქუცებოდა ხელისუფლებას.

– ე-ეჰ, კარგით რა, ალექსანდრ დიმიტრიევიჩ! – ვიშვიშებდა ბუღალტერი და მალი-მალ მორცხვად იფშვნეტდა ხელებს.

– აბა თქვენ ასეთი ცხოვრება გეკადრებათ? თუკი გავერთიანდებით... თუკი პატარა ფულს მაინც ჩადებთ საქმეში, დანარჩენს ჩემ თავზე ვიღებ! – მართლაც შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე; ალექსანდრ დიმიტრიევიჩს საპნის წარმოება უნდა წამოეწყო, ნაწარმი კი პირგაუპარსავ ბუღალტერს გაესაღებინა. მას მშვენიერი ადგილი დაეთრია სავაჭროდ, ბაზრობაზე.

– რაო?! საპონი როგორ ვაკეთოო? – აგულიანებდა ალექსანდრ დიმიტრიევიჩს.

– მაგას რა ბევრი რამე უნდა! გინდაც ერბო-კვერცხი შეგიწვავთ... საპნის ხარშვის საუკეთესო რეცეპტი ჩემზე იყოს. ისე, მაგაზე

აუცილებელი საქონელი დღეს არც არაფერია – ხალხი ისეა დანატრებული საპონს, სულ ხელიდან წაგგლეჯენ! მეტოქეებს ყველას დედას ვუტირებთ! ერთი ადგილი ვიცი, გადამდნარ ღორის ქონს სულ იაფად მოგვცემენ. საჭმელად არ ვარგა, მაგრამ საქმისთვის პირდაპირ მისწრებაა.

ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა მთელი ფული, უკანასკნელ კაპიკამდე, ამ გაფუჭებული ღორის ქონის საყიდლად დახარჯა. ქონი სპილენძის დიდ, სარეცხის ქვაბში გადაადნო, თავისივე სამზარეულოს ქურაზე. დაძაბული დასცქეროდა ოხშივარადენილ ქაფს, პერანგის სახელოები იდაყვებამდე ჰქონდა აწეული, თვალები ეწვოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად ურევდა ქვაბში ხის დიდ ჩამჩას. სამზარეულოს კარი ძალაუნებურად, ღია დატოვა, რადგან ის ქურა გათბობის ერთადერთი საშუალება გახლდათ მის ბინაში. მომწარო, შმორიანი სუნი, როგორიც ქარხნის სარდაფებში დგას ხოლმე, ახლა მთელ ბინას მოსდებოდა – იატაკიდან ჭერამდე და სამრეცხაოსავით ჩაეხუთა იქაურობა. გალინა პეტროვნა სამზარეულოს მაგიდაზე აქუცმაცებდა ამ გაფუჭებული ღორის ქონის ნაჭრებს, შიგადაშიგ ხმაურით ამოახვეულებდა და ნეკა თითიც ამრეზით გაებზიკა გვერდზე.

ლიდია ფორტეპიანოზე უკრავდა. მას მუდამ ეამაყებოდა ორი რამ: თავისი საუცხოო თმა, რასაც ყოველ დილით, არანაკლებ ნახევარი საათის განმავლობაში ივარცხნიდა და მუსიკალური ნიჭი, რომლის დახვეწასაც სულ ცოტა, სამ საათს მაინც უთმობდა ყოველდღიურად. ახლა, დედის თხოვნით, შოპენის რომელიღაც ნაწარმოები შეერჩია. სევდიანი, ვარდის ფურცელივით მოფარფატე, დახვეწილი ბგერები მსუბუქად მიიკვლევდნენ გზას საპნის ოხშივრის ბურუსში. გალინა პეტროვნა ვერც კი ხვდებოდა, რატომ ეცემოდა დანას ცრემლის წვეთები – ასე ეგონა, ღორის ქონმა თუ ამიწვა თვალებიო.

კირას წიგნი გადაეშალა მაგიდაზე. სამზარეულოდან გამომავალი სუნი პატარა, ბასრი კბილებივით უღადრავდა ყელს, თუმცა ამას

არავითარ ყურადღებას არ აქცევდა: მას წიგნში ამოკითხული უნდა დაესწავლა და დაემახსოვრებინა იმ შემთხვევისთვის, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, იმ თავისი ოცნების ხიდის შენებას შეუდგებოდა. არადა, მაინც ხშირ-ხშირად აშორებდა თვალს ფურცელს – მარჯვენა ხელისგულზე დაიხედავდა ხოლმე, მერე ქურდულად ლოყაზეც ჩამოისვამდა, ნელ-ნელა – საფეთქლიდან ნიკაპამდე. ეს ყოველივე კი იმასთან დანებებას ჰგავდა, რაც არასოდეს ეხატებოდა გულზე. სახეზე წამოწითლდა კიდეც, თუმცა იმ ოხშივარში, ამას მაინც ვერავინ შეატყობდა.

მზა საპონს რბილი, მორუხო-მოყავისფრო ოთხკუთხედების ფორმა ჰქონდა მიცემული. ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა მოყვარული იახტსმენის ქურთუკს აწყვეტილი, ლითონის ღილი გამოჩხრიკა საიდანღაც და იმით დაასვა ტვიფარი თითოეულ ამ ნაჭერს.

– მშვენიერი აზრია. ესეც სავაჭრო ნიშანი! – თქვა პირგაუპარსავმა ბუღალტერმა.

– მოდით, ასე დავარქვათ: „მეზღვაურის საპონი". მშვენიერი რევოლუციური სახელია!

არადა, ერთი გირვანქა საპნის მოხარშვა ალექსანდრ დიმიტრიევიჩს უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე ის ბაზარზე ფასობდა.

– ეგ არაფერი, – გაამხნევა ბუღალტერმა.

– უკეთესიც კია: რაკი მეტის გადახდა მოუწევთ, ხალხი იფიქრებს, ხარისხითაც სხვას ჯობიაო... ისე, იმ ბებერი ჟუკოვის ნაგავს კი უნდა ვაჯობოთ, ყველანაირად.

ბუღალტერს. ხელზე სავაჭროდ, თასმებიანი, მხარზე ჩამოსაკიდი სინი ჰქონდა გამზადებული; სწორედ ამ სინზე დაალაგა ფრთხილად ყავისფერი ოთხკუთხედები და სულ სტვენა-სტვენით გაეშურა ბაზრობისაკენ.

* * *

ინსტიტუტის შესასვლელთან კირამ ამხანაგ სონიას მოკრა თვალი. იმას ხუთიოდე სტუდენტი შემოეკრიბა და მგზნებარედ ელაპარაკებოდა რაღაცას. საზოგადოდ, ამხანაგ სონიას მუდამ ახალგაზრდების ჯგრო ეხვია გარს, მუდამ ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა ხოლმე და თავის მოკლე მკლავებს ფრთებივით აფართხუნებდა.

– ...ამხანაგი სეროვი კი საუკეთესო მებრძოლია პროლეტარ სტუდენტთა რიგებში. საერთოდ ამხანაგ სეროვის წვლილი რევოლუციის საქმეში განუზომელია! ის ხომ მელიტოპოლის გმირია და...

– კეფაზე ჯარისკაცის წოწოლა ქუდმოგდებული, ჭორფლიანი ვიღაც ბიჭი უცებ შეჩერდა და ამხანაგ სონიას შეუღრინა:

– მელიტოპოლის გმირიო? შენ ანდრეი ტაგანოვი არ გაგიგონია?

მერე, წკიპურტით ნასროლი მზესუმზირის ჩენჩო ზედ ამხანაგ სონიას ტყავის ქურთუკის ღილს მიაწება და უდარდელად გააგრძელა გზა. ამხანაგ სონიას ის პასუხის ღირსადაც კი არ ჩაუთვლია, თუმცა კირამ შეატყო, როგორ უშნოდ შეეცვალა სახე.

მოგვიანებით, დაიმარტოხელა და ჰკითხა კიდეც: – მითხარი ერთი, რა კაცია ეგ ამხანაგი ტაგანოვი? სახეგამკაცრებულმა ამხანაგმა სონიამ ქეჩო მოიქექა:

– მე მგონი, ნამდვილი რევოლუციონერია. ყოველ შემთხვევაში, ასე მოიხსენიებენ. თუმცა მე პირადად, მგონია რომ ნამდვილი პროლეტარი ასეთი უკარება არ უნდა იყოს და ზოგჯერ მაინც უნდა უყადრებდეს თავს ამხანაგებს... სხვათა შორის, ამხანაგო არგუნოვა, იმის საძინებლისკენ თუ გიჭირავს თვალი, მაგ საქმიდან არაფერი გამოგივა! ეგ ისეთი წმინდანია, მარტო წითელ დროშასთან ერთად იძინებს. დამეჯერება, რასაც გეუბნები." – მერე კირას სახის შემხედვარეს ალალად გაეცინა და უკვე წასასვლელად გამზადებულმა, მხარსზემოდან გამოსძახა:

– ისე, პატარა პროლეტარული ცელქობა ნამდვილად არ გაწყენდა...

* * *

ანდრეი ტაგანოვი ერთხელ კიდევ მოვიდა პირველკურსელების ლექციაზე, სტუდენტებით გადაჭედილ აუდიტორიაში. ხალხში კირა მოძებნა, მუჯლუგუნებით გაიკვლია მისკენ გზა და ჩურჩულით გადაულაპარაკა:

– ხვალისთვის მაქვს ორი ბილეთი. „რიგოლეტოზე".

– კარგია! – შეიძლება გამოგიარო?

– მეთოთხმეტე ბინაა ჩვენი. მეოთხე სართულზე. უკანა შესასვლელიდან...

– რვის ნახევარზე მოვალ.

– მადლობა არ გითხრა? – არა.

– დაჯექი, ჩავიწევი.

– არ შემიძლია, მეჩქარება. მეც ლექცია მაქვს.

უკვე უფრო ფრთხილად, უხმაუროდ გაიკვლია გზა კარისკენ და სანამ გავიდოდა, ერთხელ კიდევ გამოხედა მომღიმარ კირას.

* * *

– დედა, უსიკვდილოდ მჭირდება წესიერი კაბა, – პირდაპირ მიახალა კირამ გალიანა პეტროვნას.

– ხვალ საღამოს ოპერაში მივდივარ.

– სა-ად?! ოპერაში? – გალინა პეტროვნას გასაფცქვნელად გამზადებული ხახვი გაუვარდა ხელიდან, ლიდიას კი – თავისი საქარგავი.

– ვისთან ერთად? – ძლივს აღმოთქვა სულშეგუბებულმა ლიდიამ.

– ერთი ბიჭია, ინსტიტუტიდან.

– ლამაზი? – თავისებურად.

– რა ქვია, რა გვარია? – ჩაეძია გალინა პეტროვნა.

– ანდრეი ტაგანოვი.

– ტაგანოვი? არ გამიგია. კარგი ოჯახიშვილია? კირას გაეღიმა

და უსიტყვოდ აიჩეჩა მხრები.

კაბას სკივრის ფსკერზე მიაგნეს: ეს თავად გალინა პეტროვნას ნაქონი, მუქი-ნაცრისფერი, რბილი აბრეშუმის კაბა გახლდათ. სამჯერ მოზომებისა და გალინა პეტროვნასა და ლიდიას შორის არაერთი შეკამათების შემდეგ, მას მერე რაც ეს ორნი თვრამეტი საათის განმავლობაში, მხრებში მოხრილნი უსხდნენ ზეთის ჭრაქით განათებულ მაგიდას და მათი ორი ხელი გამალებული დაატარებდა ნემსს აქეთ-იქით, კირას საღამოს სამოსიც მზად გახლდათ – ერთი უბრალო, მოკლესახელოებიანი და უსაყელო კაბა, რადგან ახალი საყელოსათვის მასალა აღარ დარჩათ.

– როცა მოვა, ცოტა ფრთხილად იყავით. გაქანებული კომუნისტია.

– ვახშმის წინ გააფრთხილა თავისიანები კირამ.

– კომ... – სიტყვა გაუწყდა გალინა პეტროვნას და სამარილე ფაფით სავსე ქვაბში ჩაუვარდა.

– კირა! შენ ხომ... როდის აქეთ დაუმეგობრდი კომუნისტებს?! – ყელზე ლუკმა დაადგა ლიდიას.

– სულ იმას არ გაიძახოდი, დასანახად ვერ ვიტანო?

– მომეწონა და რა ვქნა.

– ეს დაუშვებელია, კირა! ცოტა მეტი თავშეკავება გმართებს, შენისთანა ოჯახიშვილს... კომუნისტი შინ როგორ დამიპატიჟე?! მე პირადად, არც დაველაპარაკები!

გალინა პეტროვნას შვილთან კამათი არ დაუწყია. მხოლოდ მწარედ ამოიოხრა და ესღა უთხრა:

– იშვიათი ნიჭი გაქვს კირა, ეს ისედაც მძიმე დროება კიდე უფრო დაამძიმო ხოლმე...

ვახშმად შვრიის ფაფა ჰქონდათ; აშკარად შმორის სუნდაკრული, რაც ყველამ მაშინვე იგრძნო, თუმცა არცერთს არ დაუძრავს კრინტი – აქაოდა დანარჩენებს მადა არ წავუხდინოო. სულ ერთია, მაინც უნ-

და ეჭამათ, რადგან მეტი არც არაფერი მოეძევებოდათ. მაგიდას უსხდნენ და უხმოდ შეექცეოდნენ.

– საკუთარი შეხედულებების მიუხედავად, ცნობისმოყვარე ლიდია ზარის ხმის გაგონებისთანავე მაინც პირველი წამოხტა და კარის გასაღებად გაეშურა.

– კირას ნახვა მინდა, თუ შეიძლება, – უთხრა ანდრეიმ და ქუდი მოიხადა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – ცივად მიუგო ლიდიამ. კირამ სტუმარი თავისიანებს წარუდგინა.

– საღამო მშვიდობისა, – მიესალმა ალექსანდრ დიმიტრიევიჩი და მეტი არც არაფერი უთქვამს, ოღონდ დაჟინებით, აშკარად აღელვებული მისჩერებოდა მოსულს. ლიდიამაც უხმოდ დაუკრა თავი და ზურგი შეაქცია.

მხოლოდ გალინა პეტროვნამ გაუღიმა გულთბილად:

– ძალიან მიხარია, ამხანაგო ტაგანოვ, რომ ჩემი ქალიშვილი ნამდვილ პროლეტარულ ოპერას მოუსმენს ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო, წითელ თეატრში!

კირამ თვალი თვალში გაუყარა ანდრეის და დიდად მადლობელიც დაურჩა, ისე მშვიდად, მოხდენილად დაუკრა იმან თავი აშკარად აფორიაქებულ გალინა პეტროვნას.

* * *

სახელმწიფო აკადემიურ თეატრებში, კვირაში ორჯერ ე. წ. „პროფკავშირული დღე" ცხადდებოდა. ასეთ შემთხვევებში, არც ბილეთები იყიდებოდა სალაროებში – ბილეთებს ნახევარ ფასად ურიგებდნენ სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებებს. „მიხეილის თეატრის" ფოიეში ახალ, კოხტა პიჯაკებსა და სამხედრო ფორმებს შორის, მძიმე-მძიმედ დააბოტებდნენ თექისჩექმებიანი, დაკოჟრილხელებიანი მუშები და ფართხუნაყურებიან, ბეწვდადებულ ქუდებს იშვლი-

პავდნენ თავიდან. ზოგი მათგანი დარცხვენილიც ჩანდა და უხერხულად იშმუშნებოდა; სხვები პირიქით, თავხედურადაც კი იქცეოდნენ და გამომწვევად აკნატუნებდნენ მზესუმზირას ამ თვალისმომჭრელ, საამისოდ სრულიად შეუფერებელ გარემოში. ხალხში ამაყად მიდიმოდიოდნენ პროფკავშირულ მოხელეთა ცოლები; თმა საგანგებოდ დაეხვიათ, ფრჩხილებიც შეეღებათ, ლაქის ფეხსაცმელები მოერგოთ და წელგამართულები, აშკარად იწონებდნენ თავს მოდის უკანასკნელი მოთხოვნის კარნახით შეკერილი ახალთახალი კაბებით. ქრომით მოპირკეთებული ლიმუზინები ხმაურიანი ფრუტუნით ამუხრუჭებდნენ ზედ გაჩახჩახებულ შესასვლელთან და იქიდან ბეწვის მძიმე ქურქებიანი ადამიანები გადმოდიოდნენ; გოროზად აივლიდნენ კიბის საფეხურებს და ხელთათმანიანი ხელითაც ქედმაღლურად უწვდიდნენ ხურდას პროგრამებით მოვაჭრე, ჩამოძონძილ ბიჭუნებს. ისინი კიდევ. აჩრდილებივით გაფითრებულები და გათოშილები, პირმოთნედ დაბორიალობდნენ ამ „პროფკავშირულ" საზოგადოებაში, მაინც ნახევარ ფასად რომ ამჯობინებდა წარმოდგენაზე დასწრებას, თუმცა კი ბევრად შეძლებულიც გახლდათ, ნაპატიებიცა და ქედმაღალიც, ვიდრე ის უბრალო მაყურებელი, სალაროში ბილეთის სრულ საფასურს რომ იხდიდა ოპერის მოსასმენად.

თეატრში ძველი ხავერდის, მარმარილოსა და ნაფტალინის სუნი იდგა. ერთმანეთზე ოთხ რიგად აზიდულ ლოჟებიან დარბაზში ბროლის ვეება ჭაღი ეკიდა, რომლის შუქი პატარ-პატარა ცისარტყელებად ირეკლებოდა მაღალ ჭერზე. რევოლუციის ხუთ წელიწადს ვერაფერი დაეტყო ამ თეატრის მშვიდი დიდებულებისათვის და მხოლოდ ერთადერთი კვალი დაემჩნია ზედ: სამეფო ლოჟის თავზე უკვე აღარ ჩანდა ორთავიანი არწივი.

კირას მაშინვე თვალწინ დაუდგა სატინის გრძელი შლეიფები, შიშველი, თეთრად მოქათქათე მხრები და ჭაღის ბროლზე არანაკლებ მოციმციმე ბრილიანტები – ნარინჯისფერ ნოხდაფენილ, განიერ გასასვლელებში მიმომავალ ბანოვანებს რომ ამშვენებდა თავის

დროზე. ახლა კი ძვირფას სამკაულსაც იშვიათად თუ მოკრავდით თვალს და სამოსიც ერთიანად შეცვლილიყო: ხალხს მუქი ფერის, სადა ტანისამოსი ეცვა, მაღალყელიანი და გრძელსახელოებიანი. წელგამართული, ჩამოქნილი, თავის ნაცრისფერ კაბაში გამოკვართული კირა კი მაინც ისე მიაბიჯებდა რიგებს შორის გასასვლელში, როგორც ის ბანოვანები მრავალი წლის წინ – მაღალ, ახალგაზრდა, ტყავისქურთუკიან კაცთან ხელკავგამოდებული.

ხოლო როცა ფარდა გადაიხსნა და თეატრის ჩაბნელებულ, დადუმებულ წიაღში მუსიკის პირველი აკორდები გაისმა, მერე და მერე გაძლიერდა, ქუხილის ხმასავით მიეხალა კედლებს, კირას ყელში რაღაც გაეჩხირა თითქოს, და პირიც კი დააღო ჰაერის ხარბად ჩასასუნთქად. ამ კედლებს მიღმა დარჩა ზეთის მბჟუტავი ჭრაქებიც, უსასრულო რიგებიც ტრამვაის გაჩერებებზე, წითელი დროშებიცა და პროლეტარიატის დიქტატურაც. სცენაზე, იტალიური სახლის მარმარილოს სვეტებქვეშ, ქალები ნარნარად, მოხდენილად არხევდნენ ტანს – თითქოს მუსიკის ჰანგებს აყოლილებიო; კაშკაშა შუქი ეცემოდა ხავერდის გრძელ შლეიფებს, ხოლო ახალგაზრდა, დაუდევარი, ამ შუქითა და მუსიკით მთვრალი მანტუას დუკა სწორედ სიჭაბუკისა და მხიარულების ჰიმნს უმღეროდა ბნელში ჩანთქმულ, დაღლილ, ფერდაკარგულ სახეებს – იმ ადამიანების სახეებს, ვისაც ცოტა ხნით მაინც შეეძლოთ დაევიწყათ თუ სად, როდის, რომელ საუკუნეში ცხოვრობდნენ.

კირამ ერთადერთხელ გახედა ანდრეის, ის კი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას სცენაზე მომხდარს და ჯიუტად, მხოლოდ მის გვერდით მჯდომ ქალიშვილს მიჩერებოდა.

შესვენებაზე ფოიეში გამოსულებმა, ხელიხელგაყრილი ამხანაგი სონია და პაველ სეროვი დაინახეს. ეს უკანასკნელი უზადოდ გამოიყურებოდა, ამხანაგ სონიას კი ცოტა არ იყოს, დაჭმუჭნული აბრეშუმის კაბა ეცვა, მარცხენა იღლიის ქვეშ რომ გამორღვეოდა კიდეც. გულიანად გაუცინა და მხარზეც დაკრა ხელი კირას:

– მთლად გაპროლეტარიატდი, არა? თუ ამხანაგი ტაგანოვი გადაიხარა ბურჟუაზიისკენ?

– აბა ამას როგორ ამბობ, სონია! – შეუწყრასავით პაველ სეროვი და უფერული ტუჩები ფართო ღიმილმა გაუწელა.

– მე შემიძლია მხოლოდ შევუქო ამხანაგ არგუნოვას ასეთი გონივრული არჩევანი...

– ჩემი გვარი საიდან იცით? – ჰკითხა კირამ.

– ჩვენ ხომ ერთმანეთს აქამდე არასოდეს შევხვედრივართ?

– ჩვენ ბევრი რამ ვიცით, ამხანაგო არგუნოვა, – ხაზგასმით თავაზიანად მიუგო სეროვმა.

– ძალიან ბევრი...

ამხანაგმა სონიამ ისევ გაიცინა, მერე სეროვი მკლავზე დაქაჩა და ორივე ხალხს შეერია.

– მოგეწონა ოპერა, ანდრეი? – ჰკითხა კირამ, როცა უკვე შინისაკენ მიდიოდნენ.

– არც ისე...

– ვერ ხვდები, რამდენს კარგავ? – არა მგონია. ეგ ყველაფერი სულელურია და თან – უსარგებლო.

– ნუთუ არ შეგიძლია თუნდაც უსარგებლო რამ მოგწონდეს, თუკი ის მშვენიერია?

– არა. თუმცა, მოწონებით ერთი რამ მაინც მომეწონა.

– მუსიკა?.

– არა. აი, შენ როგორც უსმენდი...

უკვე შინ, კუთხეში გაშლილ ლეიბზე მიწოლილ კირას სინანულით გაახსენდა, ჩემს ახალ კაბაზე კრინტიც არ დაუძრავსო.

* * *

კირას თავი სტკიოდა. აუდიტორიაში, ფანჯარასთან იჯდა, მერხს იდაყვით ეყრდნობოდა და ხელისგული შუბლზე მიედო. ფანჯრის შუშაში ჭერიდან ჩამოშვებული ერთადერთი ელექტრონათურა და

მისივე პროფილი ირეკლებოდა – კუშტი სახე და თვალებზე ჩამოშლილი, აჩეჩილი თმა. ეს სახეცა და ნათურაც გადღაბნილ ჩრდილებად მოჩანდა სუსხიანი, შედედებული სისხლივით ავისმომასწავებელი დაისის ფონზე.

დერეფნიდან უბერავდა და ფეხებიც გვარიანად გაეყინა. პალტოს ბოლომდე შეკრული საყელოც ეხამუშებოდა. აქამდე არცერთი ლექცია არ მოჩვენებია ასე გაჭიანურებული. ჯერ მხოლოდ ორი დეკემბერი იდგა, არაერთი დღე უნდა გაეყვანა მოლოდინში, კიდევ არაერთი ლექცია მოესმინა. უცებ იაზრა, როგორ ათამაშებდა თითებს ფანჯრის შუშაზე და ყოველი წყვილი დარტყმა ორი მარცვლისაგან შედგებოდა: მისი ნების წინააღმდეგ, თითები ჯიუტად, უსასრულოდ იმეორებდნენ იმ სახელს, რომელიც ექოდ ხმიანებდა სადღაც, მისსავე საფეთქლებში; სამი ასოსაგან შემდგარ სახელს, რომლის გაგონება არ სურდა, მაგრამ მუდმივად კი ჩაესმოდა, თითქოს რაღაც – საკუთარი არსებობის წიაღიდან ეძახდა და შველას სთხოვდა.

ვერც შეამჩნია, როდის დამთავრდა ლექცია და როგორ გამოვიდა აუდიტორიიდან; გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანს გამოუყვა კარისაკენ, რომელიც პირდაპირ დათოვლილ ქუჩაში იღებოდა. თოვლში შეაბიჯა და უფრო მაგრად შემოიტმასნა პალტო, ცივი ქარისაგან თავდასაცავად.

– საღამო მშვიდობისა, კირა, – ჩუმი ხმა მოესმა სიბნელიდან.

მაშინვე იცნო ეს ხმა. ჯერ ნაბიჯი შეანელა, მერე სუნთქვა, ბოლოს კი ლამის გულიც გაუჩერდა.

კარის სიახლოვეს, ბნელ კუთხეში, ლეო მიყრდნობოდა კედელს და მას შემოსცქეროდა.

– ლეო... კი მაგრამ... რანაირად? ჯერ...

– აუცილებლად უნდა მენახე.

მკაცრი სახე გადაფითრებოდა და არც ღიმილის ნიშანწყალი ეტყობოდა ზედ.

მათკენ ვიღაც მოაბიჯებდა ჩქარი ნაბიჯით. პაველ სეროვი წამით

შედგა, თვალი გამოაპარა კირასკენ, მერე მხრები აიჩეჩა, გზა გააგრძელა და სიბნელეში გაუჩინარდა. ოღონდ მანამდე კიდევ ერთხელ მოაბრუნა თავი.

– წავიდეთ აქედან, – წაიჩურჩულა კირამ.

ლეომ მეეტლეს დაუქნია ხელი. კირას ეტლში ჩაჯდომაში მიეხმარა და უკვე სავარძელზე მოკალათებულს, მუხლებზე მგზავრებისთვის განკუთვნილი სქელი შალი გადააფარა. მეეტლემ ცხენებს მათრახი გადაუჭირა.

– ლეო... აქ რატომ მოხვედი? – სხვანაირად აბა, როგორ გიპოვიდი? – და შენც...

– სამი საათი ვიდექი ჭიშკართან. უკვე იმედიც გადამეწურა.

– და განა ეს...

– სახიფათო არაა? კი, ეგრეა.

– ახლაც... ისევ სოფლიდან ჩამოხვედი? – კი.

– მაინც... მაინც რისი თქმა გინდოდა ჩემთვის? – არაფრის. უბრალოდ, შენი ნახვა მომინდა. სანაპიროზე, საადმირალოს შენობის შორიახლოს, ლეომ ეტლი გააჩერებინა და იქიდან უკვე ფეხით განაგრძეს გზა. ნევა მთლად გაყინულიყო. სქელ ყინულს ახლა ფართო, ქათქათა თეთრი წყალგამყოფი ხაზი გაევლო მის ორ შემაღლებულ, ბინდში ჩანთქმულ ნაპირს შორის. ფეხით მოსიარულეებს თოვლში ბილიკი გაეკვალათ, ოღონდ ახლა ირგვლივ არავინ ჩანდა.

ქვევით, გაყინული მდინარისაკენ დაუყვნენ გასიპულ ნაპირს. უხმოდ მიაბიჯებდნენ ამ თეთრ მდუმარებაში.

მდინარე ნევა ქალაქის გულისგულში გაჩენილ ფართო ნაპრალს ჰგავდა. მისი თოვლიანი მდუმარება გაყუჩებულ ცას ეხმიანებოდა. სადღაც შორს, ასანთის პაწია, ჩამწვარი ღერების მსგავსი საკვამურებუდან ამოფრქვეული მოყავისფრო კვამლის ბოლქვები თითქოსდა ჩამავალი მზის უკანასკნელ გამონაშუქს ემშვიდობებოდა, სიბნელე კი ჯიუტად იკრებდა ძალას ამ თოშსა და ნისლში. მერე, ჩამავალი

მზე თითქოს ორად გაიპო და ღია ჭრილობასავით გადაიხსნა წითლად; ოღონდ ჭრილობამ უცებვე მოიკრა პირი, სისხლიც მდორედ, ნებანება მოედო ზეცას – თითქოს კანქვეშ ჩაიღვარაო: ჯერ მუქნარინჯისფრად შეიფერა, მერე ყვითლად ათრთოლდა, ბოლოს კი იისფერში გადასული, მუქ-ლურჯად ჩაიწრიტა. ზემოთ, მაღალ ნაპირზე, მათგან შორს, პატარ-პატარა სახლები ყავისფერ, დაკუთხულ ჩრდილებად ეხატებოდნენ ცას; ზოგიერთ ფანჯარას ცისთვის დაისის ნაფლეთები გამოეგლიჯა, დანარჩენები კი ოდნავ შესამჩნევადღა თუ აკიაფებდნენ სუსტ, თოვლივით ცივსა და მოთეთრო-მოიისფრო სინათლეს. საადმირალოს მაღალი, ოქროსფერი შპილი კი ამაყად ინარჩუნებდა უკვე მიმალული მზის უკანასკნელ გამონაშუქს და ცდილობდა, ცოტაოდენი ამ პირქუში ქალაქისთვისაც ეწილადებინა.

– მეც... მეც სწორედ დღეს ვფიქრობდი შენზე...

– ჩურჩულით თქვა კირამ.

– ჩემზე ფიქრობდი?

ლეომ მაგრად მოუჭირა მკლავზე ხელი, სახეც ახლოს მიუტანა და კირამ მისი ფართოდ გახელილი, მუქარით სავსე, დამცინავი, ყოვლისგამგები, მოალერსე და მბრძანებლური თვალები დაინახა.

– კი...

– ჩაუჩურჩულა ისევ.

უკვე გაყინული მდინარის შუაში იდგნენ. ხიდზე ჭრიალ-ჭრიალით მიმავალმა ტრამვაიმ ძირისძირამდე დააზანზარა წყალში ღრმად ჩამალული ფოლადის ბურჯები.

– მეც ვფიქრობდი შენზე, – თქვა სახემოღუშულმა ლეომ.

– ოღონდ. არ მინდოდა მეფიქრა. ამდენი ხანი სულ თავს ვებრძოდი.

კირას არაფერი უპასუხია. წელგამართული, ერთიანად დაძაბული იდგა, გაუნძრევლად.

– მშვენივრად იცი, რისი თქმაც მინდოდა, – უთხრა ლეომ და სახე ძალიან ახლოს მიუტანა სახესთან.

დაუფიქრებლად, გაუაზრებლად, უყოყმანოდ, თითქოს ვიღაც უხილავის ბრძანებას დამორჩილებულმა კირამ ასევე ვიღაც სხვისი ხმით უპასუხა:

– რა თქმა უნდა, ვიცი... კაცის კოცნა ჭრილობასავით აეწვა ტუჩებზე.

მაინც მაგრად მოხვია მკლავები მამაკაცის შიშისმომგვრელად იდუმალ სხეულს და მისი ჩურჩულიც ისე ახლოდან მოესმა, თითქოს ჯერ ტუჩებს გაეგონათ ნათქვამი სიტყვები: მიყვარხარ, კირა...

მერე კი იგივე ტუჩები, უკვე თითქოსდა იმ ვიღაც უხილავის კარნახით იმეორებდა დაჟინებით, ხარბად, გიჟური ვნებით:

– მიყვარხარ, ლეო... მე შენ მიყვარხარ... შენ მიყვარხარ!

გვერდით ვიღაც უცნობმა ჩაიარა. სიბნელეში ერთი კი გაიელვა სიგარეტის წითლად მბჟუტავმა წერტილმა და გაქრა.

ლეომ მკლავში ჩაავლო ხელი და გაუკვალავ თოვლში გააბიჯა, ხიდისკენ.

უკვე ფოლადის თაღების სიბნელეში იდგნენ. გადაჯვარედინებული ხარიხების ღიობში წითლად მომაკვდავი ცა მოჩანდა.

კირას არც ესმოდა, რას ეუბნებოდა ლეო. მხოლოდ მის ტუჩებს გრძნობდა საკუთარ ბაგეზე; ვერც მიხვდა, როდის შეუხსნა პალტოს ღილები, მხოლოდ მის თითებს გრძნობდა მკერდზე...

როცა მათ თავსზემოთ, ხიდზე ტრამვაიმ გადაიარა, ფოლადის ჩონჩხმა ამოიკვნესა, ერთიანად შეირყა და მერეც, კიდევ კარგა ხანს, ხიდის საყრდენები საწყალობლად ხვნეშოდნენ.

– ხვალაც მოვალ, – ეს იყო პირველი, რაც კირას ჩაესმა.

მერე თავადაც მოიკრიბა ძალა და ხმის ამოღებაც მოახერხა როგორღაც:

– არა. ეგ ძალზე სახიფათოა. მეშინია, ვინმემ არ დაგინახოს. ინსტიტუტი ჯაშუშებითაა სავსე. ერთი კვირა მაინც მოითმინე.

– ამდენ ხანს? – ეგ სულ მცირე...

– ისევ აქ შევხვდეთ? – არა, ჩვენს ძველ ადგილას. საღამოს ცხრა

საათზე.

– რა გამაძლებინებს იქამდე...

– ან მე? ლეო...

– რა? – არაფერი. შენი სახელის წარმოთქმა მსიამოვნებს... იმ ღამით, კუთხეში დაგებულ ლეიბზე იწვა, ერთიანად გახევებული და უცქერდა, როგორ გავარდისფრდა ფანჯრის ლურჯი ოთხკუთხედი.

VIII

მეორე დღეს, ინსტიტუტის დერეფანში, კირა ვიღაც უცნობმა სტუდენტმა შეაჩერა, რომელსაც წითელი სამკერდე ნიშანი ებნია გულზე.

– ამხანაგო არგუნოვა, კომუნისტურ უჯრედში გიბარებენ, დაუყოვნებლივ.

კომუნისტური უჯრედის ოთახში, გრძელ, ცარიელ მაგიდას თავში პაველ სეროვი უჯდა.

– ამხანაგო არგუნოვა, ვინ იყო ის კაცი, ვისთან ერთადაც გუშინ საღამოს ჭიშკართან იდექით? – ჰკითხა კირას.

პაველ სეროვი თამბაქოს აბოლებდა. პაპიროსი კბილებში გაეჩარა და ღრმა ნაფაზებით ეწეოდა.

– ვინ კაცი? – გაიკვირვა კირამ.

– მახსოვრობას უჩივით, ამხანაგო არგუნოვა? ის კაცი, ვინც გუშინ საღამოს თქვენს გვერდით იდგა ჭიშკართან.

პაველ სეროვის ზურგსუკან, კედელზე ლენინის პორტრეტი ეკიდა. ეშმაკურად თვალებმოწკურული, ვითომ მომღიმარი ლენინი სადღაც გვერდით იცქირებოდა.

– დიახ, გამახსენდა...

– თქვა კირამ.

– იქ მართლა იდგა ვიღაც კაცი, მაგრამ მისი ვინაობა არ ვიცი. მკითხა, ამა და ამ ქუჩაზე როგორ მოვხვდეო.

პაველ სეროვმა გაბზარულ საფერფლეში ჩააფერფლა.

– ამხანაგო არგუნოვა, თქვენ ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ხართ, – შედარებით უფრო თავაზიანად მიმართა კირას.

– დარწმუნებული ვარ, სწავლის გაგრძელება გინდათ...

– ნამდვილად.

– დაეთანხმა კირაც.

– ვინ იყო ის კაცი? – მისთვის ვინაობის კითხვის სურვილი არ გამჩენია.

– ძალიან კარგი. აღარც მე გკითხავთ არაფერს. დარწმუნებული ვარ, მისი სახელი ორივემ ვიცით. მე მხოლოდ მისი მისამართი მჭირდება.

– მოიცათ, გავიხსენო... დიახ, მკითხა – სადოვაიას ქუჩაზე როგორ გავიდეო. ალბათ, იმ ქუჩაზე უნდა ეძებოთ.

– ამხანაგო არგუნოვა, ალბათ უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენი წრის ვაჟბატონები მუდამ გვაბრალებდნენ ჩვენ, პროლეტარ სტუდენტებს, რომ საიდუმლო პოლიციასთან ვთანამშრომლობთ, ეს კი ცხადია, შეიძლება სიმართლეც იყოს...

– მაშინ, მეც რომ დაგისვათ ერთი შეკითხვა, შეიძლება? – რა თქმა უნდა. ამაზე ქალბატონს უარს როგორ ვეტყვი.

– ვინ იყო ის კაცი? პაველ სერვმა მაგიდას დაჰკრა მუშტი: – ამხანაგო არგუნოვა, სახუმაროდ გაქვთ საქმე? – მაშინ ამიხსენით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი!

– აგიხსნით და ძალიან მალეც. უკვე იმდენი ხანია რაც საბჭოთა რუსეთში ცხოვრობთ, რომ წესით, უნდა გესმოდეთ კიდეც, რას ნიშნავს კონტრრევოლუციონერების მფარველობა!

კარი დაუკაკუნებლად შემოაღო ანდრეი ტაგანოვმა. სახეზე არაფერი ეტყობოდა – არც გაოცება და არც რამე სხვა. სეროვი კი აშკარად შეცბა და მაშინვე მაგრად მოქაჩა პაპიროსს.

– დილა მშვიდობისა, კირა, – მშვიდად მიესალმა ანდრეი.

– დილა მშვიდობისა, ანდრეი...

– მიუგო კირამ.

ტაგანოვი მაგიდასთან მივიდა, კოლოფიდან ერთი ცალი პაპიროსი ამოიღო და სეროვისკენ დაიხარა. იმანაც მაშინვე თავისი გაუწვდინა მოსაკიდებლად, თან ისე მიაჩერდა, აშკარად ელოდა – რას იტყვისო, მაგრამ ანდრეი ხმას არ იღებდა. მაგიდასთან იდგა, აბოლებდა და უხმოდ შესცქეროდა კირასა და სეროვს.

– ამხანაგო არგუნოვა, მე თქვენი პოლიტიკური კეთილსაიმედოობა არ მაღელვებს, – უფრო შემრიგებლურად მიმართა ამხანაგმა სეროვმა.

– დარწმუნებული ვარ, არ გაგიჭირდებათ ერთ უბრალო შეკითხვაზე მიპასუხოთ იმ კაცის მისამართთან დაკავშირებით.

– აკი გითხარით, არ ვიცნობ-მეთქი. ადრე არც არასოდეს მინახავს და მისი მისამართი საიდან უნდა ვიცოდე?

პაველ სეროვს შეფარვით გაექცა თვალი ანდრეისკენ – აბა ერთი, ახლა მაინც რას იტყვისო, ის კი არც შერხეულა და არც ხმა ამოუღია.

სეროვი მაგიდაზე გადაიხარა და უკვე რბილად, შემპარავად დაუწყო ლაპარაკი კირას:

– ამხანაგო არგუნოვა, მაგ კაცს სახელმწიფო ეძებს. შეიძლება მისი ძებნა ჩვენი საქმე არც იყოს, მაგრამ თუ ამაში დაგვეხმარებით, ეს თქვენც წაგადგებათ, მეც და საერთოდ, ყველას...

– ეს ბოლო სიტყვები რაღაც განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა.

– და თუკი დახმარება არ შემიძლია, რა ვქნა? – შინ უნდა წახვიდე, კირა, – პირველად გაიღო ხმა ანდრეიმ. სეროვმა პაპიროსი საფერფლეში ჩასრისა.

– თუ რა თქმა უნდა, დღეს მეტი ლექცია აღარ გაქვს, – დაამატა ტაგანოვმა.

– ისევ თუ დაგვჭირდი, მე შეგეხმიანები.

კირა მოტრიალდა და ოთახიდან გავიდა. ანდრეი მაგიდის კუთხეზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო.

სეროვს ჩაეღიმა, ჩაახველა და მერეღა უთხრა:

– ანდრეი, ჩემო ძველო მეგობარო, იმედია არ ფიქრობ, რომ მე... რაკი შენი ახლობელია და...

– არა, არ ვფიქრობ, – მხოლოდ ახლაღა გახედა ანდრეიმ.

– შენს ქმედებებს არასოდეს განვსჯი და არც დაგძრახავ – მაშინაც კი, თუკი ჩავთვლი რომ თანაპარტიელი ამხანაგის მოთხოვნის უცხოს წინაშე გაბიაბრუება წესდების უხეში დარღვევაა-მეთქი...

– და რომელმა წესდებამ მოგცა მისი დაკითხვის უფლება?

– ბოდიში, ძმაო. ჩემი ბრალია. არადა, მხოლოდ შენი დახმარება მინდოდა.

– დახმარება არ მითხოვია.

– დაიცა, ანდრეი, აი როგორ იყო საქმე: გუშინ საღამოს ისინი ერთად დავინახე ჭიშკართან. იმის ფოტოები ნანახი მაქვს. გე-პე-უ უკვე ორი თვეა დაეძებს.

– მე რატომ არ მომახსენე? – რა ვიცი, არ შემეშალოს-მეთქი. თანაც...

– თანაც, ამ საქმეში შენი წვლილის შეტანა მერე წაგადგებოდა კიდეც...

– იმედია, რამე პირადულ მოსაზრებებს არ დამაბრალებ, ძმაო? იქნებადა კიდეც გადავამეტე უფლებამოსილებას და შენს საქმიანობაში ზედმეტად შევიჭერი, მაგრამ მე მხოლოდ ამხანაგისთვის პროლეტარული დახმარების სურვილი მამოძრავებდა, სხვა არაფერი. შენც იცი, საკუთარ ვალს ნებისმიერ შემთხვევაში მოვიხდი – ამაში ვერაფერი შემიშლის ხელს! მით უმეტეს... გრძნობების აყოლა.

– პროლეტარული დისციპლინის დარღვევა პარტიული დისციპლინის დარღვევაა – სულ ერთია, ვინაა დამრღვევი.

პაველ სეროვი დაჟინებით მიაჩერდა ანდრეი ტაგანოვს და მერე მძიმედ, ლამის დამარცვლით ჩაილაპარაკა:

– აი, მეც მანდა ვარ..

– სხვათა შორის, არც ზედმეტ თავგამოდებას მოაქვს ხეირი.

– რა თქმა უნდა, ისევე როგორც ზერელობას.

– სამომავლოდ, ჩვენს უჯრედში ვინმეს პოლიტიკური კუთხით დაკითხვას მხოლოდ მე ვაწარმოებ.

– როგორც იტყვი, ძმაო.

– თუკი მოგეჩვენება, რომ საქმეს თავს ვერ ვართმევ, შეგიძლია ზემდგომ პარტიულ ამხანაგებს მოახსენო ეს ამბავი და ჩემი გადაყენებაც მოითხოვო.

– რას ამბობ, ანდრეი! ეგ რამ გაფიქრებინა? შენ გგონია, წამით მაინც შემეპარება ეჭვი პარტიის წინაშე შენს დამსახურებაში? ანდა – შენი ფასი არ ვიცი? მე მგონი, როგორც მელიტოპოლის გმირს, ჩემზე მხურვალე მხარდამჭერი ბევრი არცა გყავს. თან – ჩვენ ხომ ძველისძველი მეგობრები ვართ, ერთად არ ვისხედით სანგრებში, წითელი დროშის ქვეშ, ერთად არ ვიბრძოდით, მხარდამხარ?

– მართალია, – ჩაილაპარაკა ანდრეიმ.

– ვიბრძოდით, კი.

* * *

1896 წელს პუტილოვის ქარხნის შორიახლოში მდგარ წითელი აგურის სახლში ჯერ კიდევ არ არსებობდა წყალგაყვანილობა. იქ სამ სართულზე მცხოვრები 50 მუშური ოჯახიდან თითოეულს, ცალ-ცალკე ვარცლი ჰქონდა დადგმული წყლის მოსამარაგებლად. ანდრეი ტაგანოვი რომ დაიბადა, ერთ-ერთმა გულიანმა მეზობელმა თავისი ვარცლი მიაშველა, სულ ნაჯახით დაჩეხა იმისი გაყინული შიგთავსი და ერთიანად გამოაცარიელა კიდეც. მერე ფერდაკარგულმა, ახლადნამშობიარებმა დედამ ამ ვარცლში ძველი ბალიში ჩადო და ასე გაუმზადა პაწია ანდრეის მისი პირველი საწოლი.

სახელდახელო აკვანში მწოლიარე ჩვილს რომ დახედა, დედას სიცილი აუტყდა; ბედნიერი და თან ისეთი მოუთოკავი, ბოლოს ცრემლიც კი წასკდა. მამამისმა შვილის დაბადების ამბავი მხოლოდ სამი დღის შემდეგღა შეიტყო. უკვე მთელი კვირის გაუჩინარებული გახ-

ლდათ და ამის თაობაზე მეზობლები ჩურჩულით საუბრობდნენ ერთმანეთში.

1905 წელს იმავე მეზობლებს უკვე საჩურჩულოდ აღარ ჰქონდათ საქმე: ანდრეის მამა მაშინ სრულიად აშკარად, დაუფარავად აფრიალებდა წითელ დროშას სანკტ-პეტერბურგის ქუჩებში, დაუფარავადვე ავრცელებდა ხალხში პატარა, თეთრ ფურცლებზე დაბეჭდილ პროკლამაციებს და რევოლუციის ქება-დიდებასაც არ ერიდებოდა, ხმამაღლა და ამაყად ლაპარაკობდა ამაზე.

– მაშინ ანდრეი მეათე წელიწადში იყო გადამდგარი. სამზარეულოს კუთხეში იდგა და თვალმოუშორებლად მიჩერებოდა სპილენძის ღილებს ჟანდარმების მაზარებზე. ჟანდარმებს შავ-შავი ულვაში ამშვენებდათ და ნამდვილი თოფები ეჭირათ ხელში. მამამისი აუჩქარებლად იცვამდა პალტოს; მერე დაიხარა, ჯერ ანდრეის აკოცა, შემდეგ კი ცოლსაც. სამზარეულოს საღებავგადაცლილ იატაკზე ჟანდარმთა ჩექმები აბრაგუნდა. ანდრეის დედა მთელი ძალით ჩააფრინდა ქმარს მხარში. ვიღაცის ძლიერმა ხელმა უკან დაქაჩა. ქალი კარის ზღურბლთან დაეცა. სამზარეულოდან გასულმა ჟანდარმებმა კარი ღია დატოვეს და კიბიდან მათი მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმოდა.

ანდრეი დედის კარნახით წერდა წერილებს მამას. მისმა არცერთმა მშობელმა წერა-კითხვა არ იცოდა, ანდრეიმ კი თავისით შეისწავლა. მისამართს, ციმბირის რომელიღაც ქალაქის სახელს, დიდრონი ასოებით, აჩხა-ბაჩხა აწერდა კონვერტზე. ასე გრძელდებოდა ერთი ხანობა, მერე კი დედამ წერილის კარნახზე ხელი აიღო. ანდრეის მამა შინ აღარასოდეს დაბრუნებულა.

ბიჭი დიდი, მოწნული კალათით დედის გარეცხილ სარეცხს კარდაკარ არიგებდა. ტანმორჩილი, თვითონაც თავ-ფეხიანად ჩაეტეოდა იმ კალათში, თუმცა ჯან-ღონე იმთავითვე არ აკლდა. ახალ საცხოვრებელ ადგილას – უკვე იმავე სახლის სარდაფში – იატაკი ერთთავად საპნის თეთრი, ცხელი, მხუთავი ქაფით იყო დაფარული;

ქაფს დედამისი დღვებდა ხის ვარცლში – წითელი, დაშაშრული ხელებით და მისი ოხშივარიც ღრუბლის ქულებად ეკიდა ჭერქვეშ. ამის გადამკიდე, ფანჯრიდან გაზაფხულის მოსვლასაც კი ვეღარ ამჩნევდნენ. თუმცა, ეგეც რომ არა, მაინც ვერაფერს დაინახავდნენ, რადგან სარდაფის ფანჯარა ზედ ქვაფენილზე გადიოდა და იქიდან მხოლოდ თოვლჭყაპში ფეხით მოსიარულეთა პრიალა კალოშებს თუ მოკრავდი თვალს. მხოლოდ ერთადერთხელ იყო, სწორედ მათ ფანჯარასთან რომ ვიღაცამ ახლადამწვანებული ფოთოლი დააგდო და ამით მიხვდნენ, გაზაფხული დამდგარაო.

თორმეტი წლისა იყო ანდრეი, როცა დედა გარდაეცვალა. ზოგი ამბობდა, იმ თავისმა ხის ვარცლმა შეიწირა, რადგან ამდენ სარეცხს ვერ აუვიდაო; სხვები კი მის სიკვდილში სამზარეულოს მუდამ გამოფხეკილ-გამოცარიელებულ კარადას ადანაშაულებდნენ...

ანდრეიმ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. დღისით დაზგასთან იდგა ხოლმე და მისი თვალები ამ დაზგისავე ლითონივით ცივი, ხელები – მისი ბერკეტებივით ღონიერი, ნერვები კი დაზგის ღვედებივით დაჭიმული გახლდათ. ღამ-ღამობით, ნაქირავებ კუთხეში იკუნტებოდა ცარიელ ყუთებს უკან. ეს ყუთები საგანგებოდ დაელაგებინა, რათა სანთლის შუქს დანარჩენი კუთხეების ბინადართათვის არ შეეშალა ხელი და ეგეც რომ არა, თავად იმ ოთახის პატრონი აგრაფენა ვლასოვნაც არ უწონებდა წიგნის კითხვის სურვილს. მოკლედ, დადგამდა იატაკზე სანთელს, რაც შეიძლება ახლოს მიიტანდა იმასთან წიგნს და რაც შეიძლება ნელა კითხულობდა. ფეხები რომ არ გაყინვოდა, ზედ გაზეთებს იხვევდა; სანთელი ჯიუტად დნებოდა, მეზობლები ხვრინავდნენ, აგრაფენა ვლასოვნაც მშვიდად ფშვინავდა ძილში და ანდრეის გარდა, იმ ოთახში მხოლოდ ტარაკნები ფხიზლობდნენ.

ლაპარაკით ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, ღიმილითაც იშვიათად იღიმებოდა, მათხოვრებისთვის კი არასოდეს მიუცია ხურდა ფული.

ზოგჯერ, კვირა დღეს, ქუჩაში პაველ სერვს გადაეყრებოდა ხოლმე. ერთმანეთს შორიდან იცნობდნენ, როგორც იმ უბანში მცხოვრები ყველა მოზარდი, თუმცა თითქმის არასოდეს გამოლაპარაკებია. პაველს ანდრეის ჩაცმულობა არ მოსდიოდა თვალში, თვითონ კი მუდამ კოხტად თმაგასლეპილი დაიარებოდა, ხშირად ეკლესიაშიც დაჰყვებოდა დედამისს. აი, ანდრეის კი იქ ფეხიც არასოდეს შედგა.

პაველის მამა ქუჩის კუთხეში მდებარე საბაყლოში მუშაობდა მოლარედ. კვირაში ექვსი დღე ცვილით იპოხავდა ულვაშს, კვირაობით კი თვრებოდა და ცოლს სცემდა. პატარა პაველს სურნელოვანი საპნები უყვარდა და ზოგჯერ, აფთიაქიდან მათ აწაპნასაც ახერხებდა. საკვირაო სკოლაშიც დადიოდა საუკეთესო, თეთრ პერანგში გამოწყობილი და საღვთო სჯულს სწავლობდა იქაური მღვდლისაგან.

1915 წელს, ანდრეი ჩვეულებრივ, დაზგასთან იდგა. თვალებში ლითონზე მეტი სიცივე ჩაბუდებოდა, მკლავებში – ბერკეტებზე მეტი ძალა, ნერვები კი ერთსა და მეორეზეც კიდევ უფრო დაძაბვოდა. ბრძმედების მხუთრს მისი კანი გვარიანად გაერუჯა უკვე; კუნთები და მათში ჩაბუდებული ფარული ნებაც მისივე ნადნობი ფოლადივით გამოწრთობოდა. ახლა თვითონაც ჩავარდნოდა ხელში ის პატარა, თეთრი ფურცლები, თავის დროზე მამამისი რომ არიგებდა ხალხში, ოღონდ ის მჭევრმეტყველ ორატორთა მოსასმენად შეგროვილ ბრბოში არ ისროდა ამ ფურცლებს, ხელიდან ხელში ფარულად გადასცემდა მასსავით სიფრთხილის დაცვის მსურველ ადამიანებს და მათ საუბრითაც მხოლოდ ჩურჩულით ესაუბრებოდა. მისი გვარსახელი იმ პარტიის წევრთა სიაში ირიცხებოდა, რომლის თაობაზეც გაფიქრებასაც კი ვერ ბედავდა ბევრი, და ანდრეი უკვე იმ ერთეულთა შორის გახლდათ, ვინც პუტილოვის ქარხანაში საიდუმლო არხებით ავრცელებდა ლენინად წოდებული კაცის შემონათვალს.

ანდრეი ტაგანოვს უკვე ცხრამეტი წელი შესრულებოდა. ფეხმარდი იყო და სიტვაძუნწი. საცეკვაოდ არასოდეს დაიარებოდა. იღებდა ბრძანებებს და გასცემდა კიდეც. მეგობარი არავინ ჰყავდა. ბეწვის

ქურქში გამოხვეულ უფროსობასაც და ჩამოკონკილ მათხოვრებსაც ერთნაირი, უჯიათი მზერით უცქერდა და მათ მიმართ არანაირი თანაგრძნობა არ ეტყობოდა.

პაველ სეროვი კი ნოქრად მოეწყო საგალანტერიო საქონლის მაღაზიაში. კვირაობით, მეგობრების ხმაურიან ჯგროსთან ერთად, ქუჩის კუთხეში გახსნილ დუქანში ატარებდა დროს. მაგიდასთან გადათხლაშული, უშვერად გამოლანძღავდა ხოლმე მიმტანს, თუკი შეკვეთას დაუგვიანებდნენ. დაუფიქრებლად სესხულობდა ფულს და არც არავინ უკავებდა „პავლუშას". საცეკვაოდ მიმავალი, მბზინავ, გალაქულ ფეხსაცმელს იცვამდა, ცხვირსახოცზე კი უხვად იფრქვევდა ოდეკოლონს. ძალიან მოსწონდა, როცა რომელიმე გოგოს წელზე ხელს შემოხვევდა და ყურში ჩასჩურჩულებდა – ჩვენ კეთილშობილი ხალხი ვართ, ვინმე უგვანი არ გეგონოო.

1916 წელს, სწორედ გოგოს გამო ატეხილი ჩხუბისთვის დაითხოვეს სამსახურიდან. ომის მესამე წელი მიდიოდა. ფასები წარმოუდგენლად ავარდა, სამუშაოს შოვნა კი გაჭირდა. ზამთრის ერთ დილას, პაველ სეროვმა ალალბედზე შეაბიჯა პუტილოვის ქარხნის ჭიშკარში. ჯერ ისე ადრე იყო და ისე ბნელოდა, ლამპიონის შუქმა მაშინვე მოსჭრა ნამძინარევი, შეშუპებული თვალები. ბოლომდე აწეულ საყელოში ცხვირჩაყოფილმა, გემრიელად დაამთქნარა. თავიდან ძველ მეგობრებს ერიდებოდა – რცხვენოდა იმის აღიარება, მეც ერთი ჩვეულებრივი მუშა გავხდიო. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე იმიტომ გაურბოდა მათთან შეხვედრას, ძველი მეგობრობა რომ არ შეეხსენებინათ მისთვის. უკვე ისიც ავრცელებდა თეთრ, პატარ-პატარა ფურცლებს, სიტყვითაც გამოდიოდა იატაკქვეშა შეკრებებზე და ანდრეი ტაგანოვის მითითებებსაც მხოლოდ იმიტომ ასრულებდა, ანდრეი ჩემზე ადრე ჩაერთო ამ ბრძოლაშიო; მაგრამ იმასაც იმედოვნებდა, მალევე დავეწევი და მხარშიც ამოვუდგებიო. „პავლუშა" მუშებსაც მოსწონდათ; ხოლო როცა სადმე რომელიმე თავის ძველ ამ-

ფსონს გადაეყრებოდა, ისე ქედმაღლურად ჩაუვლიდა ხოლმე გვერ-დით, თითქოს დიდი რამ წოდება მიეღო მემკვიდრეობით. კარლ მარ-ქსის სწავლების თანახმად, ის ახლა მგზნებარედ უმტკიცებდა ყვე-ლას პროლეტარიატის უპირატესობას სისხლისმწოველ წვრილ ბურჟუაზიასთან შედარებით.

1917 წლის თებერვალში, ანდრეი ტაგანოვი აზვირთებულ ხალხს მიუძღოდა წინ, პეტროგრადის ქუჩებში. სწორედ მაშინ არამარტო პირველად ააფრიალა წითელი დროშა, არამედ პირველად დაიჭრა კიდეც და პირველადვე მოკლა ადამიანი – ვიღაც ჟანდარმი. ოღონდ მთელ ამ ამბავში შთამბეჭდავი მისთვის მხოლოდ დროშა აღმოჩნდა.

თებერვლის ტრიუმფალურ რევოლუციურ ამბოხებას პაველ სე-როვი მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალს. გაციებული იყო და ში-ნიდან არც გამოსულა. მაგრამ უკვე 1917 წლის ოქტომბერში, როცა პარტია, რომლის წევრობის წიგნაკებსაც ანდრეიცა და პაველიც მო-წიწებით ინახავდნენ გულთან, ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მაშინ უკვე ორივე ქუჩაში გახლდათ. ქარით თმააჩეჩილი ანდრეი ტა-განოვი ზამთრის სასახლის ჭიშკართან იბრძოდა, პაველ სეროვმა კი იმით გამოიჩინა თავი, რომ დიდი თავადის სასახლის გაძარცვას აღუდგა წინ – ოღონდ ეს მას მერე, რაც იქიდან განძის მეტი ნაწილი უკვე გაეზიდათ.

1918 წელს, წითელარმიელის მაზარაში გახვეული ანდრეი ტაგა-ნოვი ათასობით მისნაირ, ყოფილ მუშა-მოსამსახურესთან ერთად მი-აბიჯებდა პეტროგრადის ქუჩებში, „ინტერნაციონალის" ჰანგს ფე-ხაწყობილი მიემართებოდა ჯერ რკინიგზის სადგურისაკენ, იქიდან კი უკვე სამოქალაქო ომის წინა ხაზზე გასამგზავრებლად. სწორედ იმგვარი, მდუმარე ზეიმურობით მიაბიჯებდა, როგორც ნეფე – პა-ტარძალთან შესაუღლებლად.

მის ხელს ახლა ისევე მსუბუქად ეკავა შაშხანა, როგორც ადრე ფოლადს ადნობდა, ისევე სწრაფად აჭერდა თითს სასხლეტს, რო-

გორც ადრე – დაზგის ბერკეტს გადართავდა ხოლმე, და როცა სანგრის ტალახში ისე იწვა, როგორც მდიდრულ ტახტზე, მისი ახალგაზრდა, მოქნილი სხეული მზეჩამდგარ, მწიფე მტევანს ჰგავდა. დუნედ იღიმებოდა და სხარტად ისროდა.

1920 წელს, მელიტოპოლის ბედი ბეწვზე ეკიდა – მას თეთრების და წითლების ჯარი ეცილებოდა ერთიმეორეს. მოსახდენი კი გაზაფხულის ერთ ბნელ ღამეს მოხდა და ამ წუთს ყველა დიდხანს ელოდა: მოწინააღმდეგეებმა კარგა ხნით ადრე გაიმაგრეს უკანასკნელი საბრძოლო პოზიციები ერთ ვიწრო, მდუმარე ხეობაში. თეთრგვარდიელები მელიტოპოლის დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებდნენ და მათი რიცხვიც ხუთგზის აღემატებოდა მტრისას. ოღონდ მათ რიგებში უკვე იგრძნობოდა ჯარისკაცთა ჯერაც ბუნდოვანი, თუმც კი სულ უფრო მზარდი უკმაყოფილება ოფიცერთა მიმართ და პირქუში, ჯერაც გამოუთქმელი თანაგრძნობა ასიოდე ნაბიჯის იქით გათხრილი სანგრების თავზე მოფრიალე წითელი დროშისადმი. რაც შეეხება წითელ არმიას, ის რკინისებური დისციპლინისა და თითქმის მიუღწეველი მიზნის მიღწევის ჟინის ანაბარა აპირებდა ბრძოლაში ჩაბმას.

ჯერ-ჯერობით კი, სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯით დაშორიშორებული მოწინააღმდეგეები მდუმარედ მიჩერებოდნენ ერთმანეთს. მოპირდაპირე სანგრიდან ამოშვერილი ხიშტების სუსტად მოელვარე ორი რიგი ჩამუქებული ცის ქვეშ მოლაპლაპე წყლის ზედაპირს ჰგავდა – მდუმარე, დაძაბული ჯარისკაცები კი შეტევაზე გადასვლის ბრძანებასღა ელოდნენ. ჩრდილოეთით შავი კლდეები აზიდულიყო; შავი კლდეები აზიდულიყო სამხრეთითაც. მათ შორის მოქცეულ ვიწრო ხეობაში, აქა-იქ თუღა შერჩენოდა ბალახი ნაფლეთებად ქცეულ მიწას. ოღონდ ჯერ კიდევ საკმარისი ადგილი ჩანდა სროლის, ყიჟინის, სიკვდილისათვის და კიდევ იმისთვის, საბოლოოდ გარკვეულიყო ორსავე მხარეს აღმართულ კლდეებს იქით დარჩენილთა ბედი. სანგრებში ხიშტები ოდნავადაც არ ირხეოდა. გარინდულიყო მწირი ბალახიც – მას არც სიო არხევდა და არც სანგრებში

მსხდომთა ამონასუნთქი.

ანდრეი ტაგანოვი გაჯგიმული იდგა და მის მიერვე შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად, მეთაურის ნებართვასღა ელოდა. როგორც იქნა, მეთაურმაც დაარღვია დუმილი:

– რამე სასწაული თუ არ მოხდა, ნაღდ სიკვდილზე მიდიხარ, ამხანაგო ტაგანოვ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ამხანაგო მეთაურო, – მიუგო ანდრეიმ.

– როგორ გგონია, გამოგივა?

– ადრე გამომსვლია, ამხანაგო მეთაურო! ესენიც უკვე წკიპზე არიან, ერთი ბოლო წაკვრაღა უნდა.

– პროლეტარული მადლობა, ამხანაგო ტაგანოვ.

მოპირდაპირე სანგრიდან დაინახეს, როგორ ამოფოფხდა ანდრეი მიწაყრილზე: ჩამუქებული ცის ფონზე ხელები მაღლა აეწია და უჩვეულოდ ტანმაღალი, უჩვეულოდ ჩამოქნილი ჩანდა. ასე, ხელებაწეული დაიძრა თეთრგვარდიელთა სანგრისაკენ. არ ჩქარობდა, თუმცა მტკიცე ნაბიჯით მიიწევდა წინ. ფეხქვეშ ბალახი შრაშუნობდა, ითელებოდა და მთელ ხეობაში რაიმე სხვა ხმა არც ისმოდა. თეთრები თვალგაფაციცებულნი მიჩერებოდნენ და მდუმარედ ელოდნენ რაღაცას.

ანდრეი იმათი სანგრის სიახლოვეს შეჩერდა. ჯერ ვერ ხედავდა მისკენ დამიზნებული ასობით შაშხანის ლულას, თუმცა მათ არსებობაში ეჭვიც არ ეპარებოდა. პისტოლეტის ბუდე ქამრიდან ერთი სწრაფი მოძრაობით მოიხსნა და მიწაზე დააგდო.

– ძმებო! – გასძახა სანგარს.

– იარაღი არა მაქვს, არც სასროლად ვარ მოსული! უბრალოდ, რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ. თუ მოსმენა არ გსურთ, მესროლეთ...

ვიღაც ოფიცერმა იარაღი დაუმიზნა, თუმცა მეორემ ხელი აუკრა.

მას საკუთარი ჯარისკაცების გამომეტყველება არ მოეწონა – ხიშ-ტიანი თოფები კი ჩაებღუჯათ, მაგრამ არცერთს არ ჰქონდა მტრის-კენ მიშვერილი. ბევრად უსაფრთხო ჩანდა, თუკი ამ წითელარმიელს ლაპარაკს დააცდიდნენ.

– ძმებო, რატო გვებრძვით? იმიტომ გვხოცავთ, ჩვენ რომ თქვენი სიცოცხლე გვინდა? იმისთვის, რომ გვსურს პური გქონდეთ და ამ პურის მოსაყვანად მიწის მოცემასაც გპირდებით? იმიტომ, რომ სა-ღორედან გვინდა გამოგიყვანოთ და ისეთ სახელმწიფოში გაცხოვ-როთ, სადაც ადამიანებად იგრძნობთ თავს? თქვენ ხომ ადამიანებად გაჩნდით, მაგრამ ეგეც დაგავიწყეს უკვე! ძმებო, ჩვენ თქვენი ადა-მიანური ცხოვრებისთვის ვიბრძვით, ამისთვის ვუშვერთ მკერდს თქვენს ტყვიებს! როცა ჩვენი წითელი დროშა – ჩვენიც და თქვენიც – აფრიალდება და...

უცებ, გასროლის ხმა გაისმა. ერთი მოკლე, მკვეთრი ხმა, თითქოს ხეობაში რაღაც გასკდაო და ოფიცერსაც, გალურჯებულ ტუჩებთან, იარაღის ლულიდან გამოფრქვეული ასევე მოლურჯო, პაწია ალი გა-უკრთა. ანდრეი ტაგანოვი შებარბაცდა, ცის ფონზე ორივე ხელი აიქ-ნია და დაჩეხილ-დათხრილ მიწაზე დაენარცხა.

მერე თეთრების სანგარში კიდევ მოისმა რამდენიმე გასროლა, თუმცა ამას მოწინააღმდეგის მხრიდან საპასუხო ცეცხლი არ მოჰყო-ლია. ოფიცრის გვამი სანგრიდან ამოაგდეს, თეთრგვარდიელმა ჯა-რისკაცმა კი წითელარმიელებს ხელი დაუქნია და გამოსძახა: „ამხა-ნაგებო! “ იმათაც ომახიანი „ვაშათი“ უპასუხეს და მაშინვე მთელი ხე-ობა ჩექმების ბაგაბუგმა გააყრუა. აფრიალდა წითელი დროშები, ვი-ღაცეებმა სისხლით მოთხვრილ ანდრეის სტაცეს ხელი, რომელსაც სახე გაფითრებოდა, თუმცა გული ჯერ ისევ უცემდა.

წითელარმიელი პაველ სეროვი თეთრების სანგარში ჩახტა, სა-დაც მოწინააღდმეგეები უკვე ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და ეხ-ვეოდნენ. დაზვინულ ტომრებზე წამოიმართა და დაიძახა: „ამხანაგე-

ბო! გილოცავთ კლასობრივი შეგნების გამოღვიძებას! ეს კიდევ ერთი ისტორიული ნაბიჯია კომუნიზმისაკენ! ძირს წყეული ბურჟუა მჩაგვრელები, ძირს სისხლისმსმელები, ამხანაგებო! ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! როგორც ამხანაგმა კარლ მარქსმა თქვა – თუკი ჩვენ, მუშებისა და გლეხების კლასი...“

დაჭრილი ანდრეი ტაგანოვის გამოჯანმრთელებას რამდენიმე თვე დასჭირდა, მკერდზე კი ნაიარევი დარჩა. რაც შეეხება ჭრილობას საფეთქელზე, ეს უკვე სხვა ბრძოლის კვალი გახლდათ და იმ სხვა ბრძოლაზე ლაპარაკი მაინცა და მაინც არ უყვარდა. არც არავინ იცოდა, რა მოხდა იქ.

ხსენებული ბრძოლა პერეკოპთან გაიმართა, 1920 წელს, როცა ყირიმი მესამედ და საბოლოოდ გადავიდა საბჭოების ხელში. გონზე მოსულმა ანდრეიმ სულ პირველად, ჯერ თეთრი ნისლი დაინახა, მძიმედ რომ აწვა მკერდზე და მიწიდან წამოწევის საშუალებას არ აძლევდა. ამ ნისლში რაღაც წითელი და მოელვარეც იკვეთებოდა, ჯიუტად რომ მოიკვლევდა გზას მისკენ. პირი გააღო და დაინახა, თავადაც როგორ ამოაფრქვია ნისლი. მერე გაიფიქრა – ძალიან ცივაო; ეგონა, სწორედ სიცივემ გამახევა, სიცივემ მიმაჯაჭვა მიწას და ნემსებივით მერჭობა მთელ სხეულშიო. მაინც წამოჯდა და ახლაღა გაიაზრა, რომ არამარტო სიცივე გაჯდომოდა კუნთებში, არამედ ნატყვიარსაც დაეღო ბნელი, სისხლიანი პირი თეძოზე, მარჯვენა საფეთქელი კი ასევე სისხლით მოთხვროდა. იმასაც მიხვდა, თეთრი ნისლი არც ისე მჭიდროდ ეკვრის გარსო; საკმარისი ადგილი რჩებოდა საიმისოდ, ფეხზეც წამომდგარიყო როგორმე. ნისლი ახლა მაღლა, ცაში ეკიდა და სადღაც შორს, ალისფერი აისი მას წვრილ ზოლად ყოფდა შუაზე.

წამოდგა. უძირო სიჩუმეში მისი ნაბიჯების ხმა მეტისმეტად ხმამაღლა გაისმა, თვალებიდან თმა გადაიწია და გაიფიქრა – ეს თეთრი ნისლი ალბათ ირგვლივ, მიწაზე გართხმული ადამიანების გაყინული

ამონასუნთქიაო. არადა, ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ეს ადამიანები უკვე აღარ სუნთქავდნენ... სისხლი მეწამულ-ყავისფრად ბზინავდა და ვერ გეტყოდათ, სად მთავრდებოდა გვამები და სად იწყებოდა მიწა. ვერც იმას, ზედ გადღაბნილი თეთრი ლაქები ნისლის ფთილები იყო თუ – ადამიანთა სახეები.

ფეხებთან, თეძოზე მათარაშებმული ჯარისკაცის გვამი დაინახა. მათარა მთელი იყო, ოღონდ კაცი კი არ ინძრეოდა. დაიხარა, მისი საფეთქლიდან მოწყვეტილი წითელი წვეთი მათარას დაეცა. ხარბად დაეწაფა წყალს.

– მეც დამალევინე, ძმაო...

– მოესმა ხმა.

დათხრილ მიწაზე მისკენ ადამიანის რაღაც მონარჩენი მოფოფხავდა. მაზარა არ ეცვა, მხოლოდ თეთრი პერანგი და ჩექმები, რომლებიც ზედ პერანგს გადაბმოდა თითქოს, არადა ვერც იმას იტყოდი, მაგათ რა აკავშირებდათ ერთმანეთთან.

ანდრეი მიხვდა, ეს ერთ-ერთი თეთრგვარდიელი უნდა ყოფილიყო. თავი წამოუწია და მათარა ზუსტად მიწაზე დაღვრილ სისხლისფრად შეფერილ ტუჩებშორის ჩასჩარა. დაჭრილს მკერდში რაღაც აუბუყბუყდა და მთელი ტანით აცახცახდა. სხვა ირგვლივ არავინ განძრეულა.

ანდრეიმ არ იცოდა, ვისი გამარჯვებით დასრულდა წუხანდელი ბრძოლა. ვერც იმას იტყოდა, მოახერხეს თუ ვერა ყირიმის დაბრუნება.

რაც მთავარია, წარმოდგენა არ ჰქონდა, დაატყვევეს თუ არა კაპიტანი კარსავინი, თეთრი გვარდიის უკანასკნელ მეთაურთაგანი, ვისაც არაერთი მისი თანამებრძოლი გაენადგურებინა და ვისი მოკვლისთვისაც დიდი ჯილდო დაეწესებინა წითელ ხელმძღვანელობას. ოღონდ ანდრეი ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერებულიყო – აუცილებლად უნდა ეპოვა სადმე ვინმე. სულ ერთია – წითელი თუ თეთრი და ისიც ალალბედზე დაიძრა ამომავალი მზისკენ.

რბილ, ცივ და კამკამა თრთვილით დამბალ მიწაზე მიაბიჯებდა, უკაცრიელ გზაზე და უცებ, ზურგსუკან რაღაც ხმა მოესმა. თურმე ვიღაც დაჭრილი თეთრგვარდიელი ჩასდგომოდა კვალში. ჯოხს ეყრდნობოდა და ფეხებსაც მიწიდან მოუშორებლად მოაფრატუნებდა ტალახში, თითქოს თხილამურები ეკეთა ზედ. ანდრეი გაჩერდა და დაელოდა. იმ მეორემ შორიდანვე გაუღიმასავით და გამოსძახა:

– შეიძლება გამოგყვე, ძმაო? მაინცადამაინც მყარად ვერ ვდგევარ ფეხზე... მარტოს ძალიან გამიჭირდება.

– ჩვენ ერთი გზა არა გვაქვს, მეგობარო...

– უთხრა ანდრეიმ.

– თუ ვინმეს გადავეყრებით, ეგ ან შენთვის დამთავრდება ცუდად, ან ჩემთვის.

– ვცადოთ მაინც, – თქვა დაჭრილმა.

– კარგი, ვცადოთ, – დაყაბულდა ანდრეი.

უკვე ერთად მიაბიჯებდნენ. გზას აქეთ-იქიდან მაღალი გორაკები გასდევდა. გამხმარი ბუჩქების ჩრდილი ეცემოდათ, მათი წვრილი ტოტები კი ჩონჩხის გაფარჩხულ კიდურებს წააგავდა, გზაზე ხეების ფესვები ამოშვერილიყო და ორი წყვილი ფეხიც უსიტყვო სიჯიუტით ცდილობდა ამ წინაღობის აუჩქარებლად გადალახვას. მათ წინ ნისლი თანდათან გაიფანტა და ცაც მოიწმინდა. ანდრეის შუბლზე მოვარდისფრო ჩრდილი ეფინა, მარცხენა საფეთქელზე ოფლის წვრილწვრილი წვეთები შუშასავით გამჭვირვალედ მოუჩანდა, მარჯვენაზე კი – წითლად. მისი თანამგზავრი ისე სუნთქავდა, თითქოს მკერდში, სადღაც ღრმად, კამათელს აჩხრიალებსო.

– სანამ სიარული შეგიძლია...

– წამოიწყო ანდრეიმ.

– ...უნდა იარო, – დააბოლოვა თეთრგვარდიელმა. ისე გადახედეს ერთმანეთს, თითქოს მზერით ცდილობდნენ ერთურთის გამხნევებას.

რბილ, ნოტიო მიწაზე, გზის ორსავე მხარეს, მარჯვნივაც და მარცხნივაც, მათ ნაკვალევს პაწია, წითელი წვეთები გასდევდა.

მერე თეთრგვარდიელი დაეცა. ანდრეი შეჩერდა.

– შენ წადი, – უთხრა წაქცეულმა. ანდრეიმ წამოაყენა, მხარში შეუდგა და ტვირთის სიმძიმით ფეხარეულმა, უკვე ბარბაც-ბარბაცით გააგრძელა გზა.

– სულელი ხარ, – უთხრა იმან.

– კარგი ჯარისკაცის მიტოვება არ შეიძლება... სულ ერთია, რა ფერის დროშას ემსახურება.

– მიუგო ანდრეიმ.

– თუ ჩემიანებს გადავაწყდით, ვეტყვი წესიერად მოგეპყრონ. –

თქვა თეთრგვარდიელმა.

– მე კი ვიზრუნებ, ციხის საავადმყოფოში მოგათავსონ და მოგხედონ... ცხადია, თუ ჩემიანებს გადავეყრებით, – უთხრა ანდრეიმ.

მერე უფრო ფრთხილად გადაწყვიტა ევლო, რადგან იმ თავის ტვირთიანად მიწაზე დანარცხების უფლებას ვერ მისცემდა თავს. თან გაფაციცებული აყურადებდა თანამგზავრის სუსტ გულისცემას.

ნისლი მთლიანად გაიფანტა და ცაც ისე აელვარდა, როგორც ვეება, ოქროს სადნობი ღუმელი, რომელშიც ეს ლითონი სითხედ კი არა, ვარვარა ჰაერის ხანძრად უნდა ქცეულიყო. უცებ, შორეული სოფლის შავად ჩარიგებული ქოხმახები გამოიკვეთა. მათ შორის აღმართულ მაღალ ჭოკზე ქარი დროშას აფრიალებდა და ეს დროშა შორიდან პაწაწინა ლაქად მოჩანდა ალიონის ფონზე. ორივენი ამ დროშას მიჩერებოდნენ და ერთი და იგივე შეკითხვა უტრიალებდათ თავში, თუმცა ჯერ მაინც ძალიან შორს იყვნენ მისგან.

როცა ბოლოს და ბოლოს, დროშის ფერი გაარჩიეს, ანდრეი შედგა, თეთრგვარდიელი ფრთხილად დააწვინა მიწაზე და ძალაგამოცლილი მკლავები ძლივძლივობით აიქნია რამდენჯერმე, თითქოს დროშას ესალმებაო. დროშა წითელი იყო.

– აქ დამტოვე, – სთხოვა მიწაზე მწოლიარემ.

– ნუ გეშინია, – მიუგო ანდრეიმ.

– დაჭრილ-დატყვევებულ ჯარისკაცებს არაფერს ვერჩით.

– არა, – უთხრა იმან, – მე უბრალო ჯარისკაცი არა ვარ.

ანდრეიმ ახლაღა შეამჩნია, რომ მის თანამგზავრს მაზარის მოხეულ სახელოზე თეთრგვარდიელი კაპიტნის გასარჩევი ნიშანი შერჩენოდა.

– თუ სიბრალულის უნარი მაინც შეგრჩენია, აქ დამტოვე, – თხოვნა გაუმეორა კაპიტანმა.

მაგრამ ანდრეიმ შუბლიდან თმა გადაუწია დაჭრილს და პირველად დააკვირდა ყურადღებით იმის უტეხ სახეს, მანამდე მხოლოდ ფოტოსურათებზე რომ ენახა.

– არა, – თქვა მერე.

– ამის გაკეთება არ შემიძლია, კაპიტანო კარსავინ.

– ჯობია აქ მოვკვდე, – თქვა კაპიტანმა.

– ბედს ვერ გამოვცდი, – უთხრა ანდრეიმ.

– თქვენისთანა მტერთან...

– ეგეც მართალია...

– დაეთანხმა ისიც.

მერე ცალ ხელს დაეყრდნო, წამოიწია, სახე ერთიანად გადაფითრებოდა. ამომავალი მზისკენ იყურებოდა.

– პატარაობისას სულ მინდოდა მზის ამოსვლა მენახა, მაგრამ დედა ასე ადრე შინიდან გასვლის ნებას არ მაძლევდა ხოლმე. ეშინოდა, გაცივდებიო.

– სული მოითქვი, არ გაჩქარებ...

– უთხრა ანდრეიმ.

– თუ ღმერთი გწამს, ტყვია დაახალე...

– შეევედრა კაპიტანი კარსავინი.

– არა, არც ეგ შემიძლია, – მოუჭრა ანდრეიმ. ცოტა ხანს აღარცერთს აღარ ამოუღია ხმა.

– კაცი არა ხარ? – უთხრა მერე კაპიტანმა კარსავინმა.

– რა გინდა? – ჰკითხა ანდრეიმ.

– შენი იარაღი, – მიუგო იმან. ანდრეიმ შავ, მშვიდ თვალებში ჩახედა და ხელი გაუწოდა. კაპიტანმა ხელი ჩამოართვა, ხოლო როცა უკან წამოიღო, უკვე ანდრეის იარაღი ეჭირა.

ანდრეი წელში გასწორდა და სოფლისკენ დააწირა თავი. გასროლის ხმა რომ გაიგონა, უკან არ მიუხედავს. ჯიუტად მიაბიჯებდა, თავაწეული, ალიონის ფონზე მოფრიალე წითელი დროშას თვალმიშტერებული. რბილ, ნოტიო მიწაზე მის ნაკვალევს პატარა, წითელ წვეთები გასდევდა, ოღონდ ახლა უკვე გზის მხოლოდ ცალ მხარეს.

IX

არგუნოვის „მეზღვაურის საპონმა" რბილად რომ ვთქვათ, ვერ გაამართლა.

პირგაუპარსავმა ბუღალტერმა ქეჩო მოიქექა, რაღაც ჩაიბურტყუნა „ბურჟუაზიული ველური კაპიტალიზმის უპრინციპობის" თაობაზე და გაყიდული სამი ნაჭრის საფასურიანად, უკვალოდ აორთქლდა.

ალექსანდრ დიმიტრიევიჩი კი საპნით სავსე ლანგრისა და სრული სასოწარკვეთის ამარაღა დარჩა.

ახალი საქმიანი წამოწყება უკვე გალინა პეტროვნას ძალისხმევის შედეგი გახლდათ.

მათ მომდევნო პარტნიორს თავზე ასტრახანული, შავი ბეწვის წოწოლა ქუდი ეხურა და პალტოს საყელოც იმგვარივე ბეწვით გაეწყო. მეოთხე სართულზე სულ ქოშინ-ქოშინით ავიდა, დათბილული პალტოს გულის ჯიბის იდუმალი სიღრმეებიდან ქაღალდის ფულის სქელი დასტა ამოაძვრინა, თითები გაისველა, გადათვალა და გამოაცხადა, საშინლად მეჩქარებაო.

– ამის სულ ორი ნაირსახეობა არსებობს, – აუხსნა არგუნოვებს.

– კრისტალები შუშის ბოთლებში და აბები მუყაოს კოლოფებში.

ნედლეულით მე მოგამარაგებთ. თქვენ დაფასოებას მიხედავთ. გახსოვდეთ, კოლოფში რომელსაც „100 აბი" ეწერება, მხოლოდ ოთხმოცდაშვიდი ცალი უნდა ჩადოთ. დამიჯერეთ, სახარინს დიდი მომავალი აქვს!

ბეწვისქუდიანი ბატონისთვის ბევრნი მუშაობდნენ: ოჯახების მთელი ქსელი ჰყავდა ჩართული ამ თავისი საქონლის დაფასოებაში. არაერთი ქუჩის კუთხეში ეყენა წვრილმოვაჭრეები და ისიც ითქვას, სახარინით კონტრაბანდისტები უხვად ამარაგებდნენ მას შორეული ბერლინიდან.

ჭრაქით განათებულ სასადილო ოთახში არგუნოვები მთელი შემადგენლობით უსხდნენ სასადილო მაგიდას და ოთხი წყვილი ხელი ფრთხილად, ჯიუტად, მონდომებით ითვლიდა პატარ-პატარა აბებსა თუ კრისტალებს, შესაბამისად – შუშის პაწია ბოთლებსა და მუყაოს კოლოფებში ჩასაყრელად. ამ კოლოფებსაც თავად ამზადებდნენ – მუყაოს გრძელ ფურცლებს თანაბარ ნაჭრებად ჭრიდნენ და სათანადოდ კეცავდნენ. ერთ მხარეზე ზედ მწვანე ასოებით, გერმანულად ეწერა: „ნამდვილი გერმანული სახარინი"; მეორე, უფრო ფერადოვან მხარეზე კი რუსული სარეკლამო განცხადებები შემორჩენილიყო.

– ვიცი, სწავლაში ხელი გეშლება, კირა! – უბოდიშებდა ქალიშვილს გალინა პეტროვნა.

– მაგრამ რას იზამ, უნდა დაგვეხმარო... ჭამა შენც გჭირდება.

იმ საღამოს მხოლოდ სამნი უსხდნენ მაგიდას და ჭრაქის შუქზეც სამი წყვილი ხელი საქმიანობდა: ალექსანდრ დიმიტრიევიჩი საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაეწვიათ. რამდენიმე დღე საშინელი ქარბუქი უბერავდა, პეტროგრადის ქუჩები ერთიანად დაითოვა და ამიტომაც, ყველა კერძო მივაჭრე თუ დაუსაქმებელი ბურჟუა ქალაქის თოვლისაგან გასაწმენდად დარაზმეს. დილით, ალიონზე უწევდათ სამუშაოდ გასვლა; ბუზღუნებდნენ კია, ცხვირ-პირიდან ორთქლი გამოსდიოდათ იმ ყინვაში და ძველი, გარღვეული თათმანებიდან და-

წითლებული თითები მოუჩანდათ, მაგრამ მაინც ღონივრად ჩაფრენოდნენ ნიჩბებს, ხვნეშა-ხვნეშით, წელში მოხრილები ებრძოდნენ თოვლის გორებს. აი, ამ ნიჩბებს კი უფასოდ ურიგებდნენ და უფასოდვე ამუშავებდნენ.

არგუნოვებს მარია პეტროვნა ესტუმრა. ხველებ-ხველებით მოიხსნა რამდენიმე წყებად მოხვეული შარფი და თოვლიც ჩამოიბერტყა წინკარში.

– არა, არ გინდა, მარუსია! – ხელები გაასავსავა გალინა პეტროვნამ.

– დიდი მადლობა, მაგრამ შენ ვერ დაგვეხმარები! ეს ფხვნილი ისევ ხველებას დაგაწყებინებს... მოდი, ქურასთან დაჯექი, ცოტა მაინც გათბები.

– 74... 75... 76... ახალი რა არის, დეიდა მარუსია? – შეეხმიანა ლიდია.

– დაგვიმძიმდა ცოდვანი ჩვენნი...

– ამოიოხრა მარია პეტროვნამ.

– ეგ რა, საწამლავია?

– არა, უვნებელი რამეა, თან ტკბილიც... რევოლუციის ჩაროზი, ასე ვთქვათ.

– ვასილიმ ის ჩვენი მოჩუქურთმებული მაგიდა გაყიდა, სასტუმრო ოთახში რომ გვედგა... ორმოცდაათი მილიონი მისცეს ფულად და კიდევ – ოთხი გირვანქა ღორის ქონი. მშვენიერი ტაფამწვარი გამომივიდა, კოოპერატივის ნაღდი კვერცხის ფხვნილით. ისე, კაცი ვერ დამარწმუნებს, მაგ ფხვნილს ქათმის დადებული კვერცხიდან ამზადებენო!

– 16. 17... 18... თვითონაც ხომ აღიარებენ, ნეპმა არ გაამართლაო. 19... 20... მალე თურმე სახლებს ძველ მეპატრონეებს დაუბრუნებენ.

– მხარი აუბა ლიდიამ.

მარია პეტროვნამ ხელჩანთიდან ფრჩხილების პაწია ქლიბი ამოიღო და მერე, ლაპარაკისას, თან სრულიად გაუაზრებლად იქლიბავდა ფრჩხილებს. საკუთარი ხელებით მუდამ ამაყობდა და არც ახლა აპირებდა მათ მოვლაზე უარის თქმას. თუმცა, ზოგჯერ მაინც ფიქრობდა ხოლმე – ცოტა არ იყოს, დამიუშნოვდაო.

– ბორის კულიკოვის ამბავი გაგონილი გექნებათ: თურმე ისე ეჩქარებოდა, ხალხით სავსე, გაქანებულ ტრამვაიზე შეხტომა უცდია და ორივე ფეხი დაკარგა, საწყალმა.

– მარუსია, თვალებზე რა გჭირს? – არ ვიცი, ბოლო დროს სულ მეტირება... უმიზეზოდაც კი.

– ჩვენ დროში მიზეზს რა გამოლევს, დეიდა მარუსია...

– ამოიოხრა ლიდიამ.

– 58... 59... ეს ველურები, უღმერთოები! ეკლესიებიდან ოქროს ხატები გამოუტანიათ, სადღაც ვიღაცის დასაპურებლადო... წმინდა სანაწილეებიც კი დაუცარიელებიათ, 63... 64... 65... უფალი ყველას დაგვსჯის განურჩევლად, ამათი უღმერთობის გამო!

– ირინამ კვების ბარათი დაკარგა, – ახლა ისევ მარია პეტროვნამ ამოიოხრა.

– თვის ბოლომდე არაფერს მისცემენ.

– სულ არ მიკვირს, – ცივად ჩაილაპარაკა ლიდიამ, – ირინას ნდობა არ შეიძლება.

ლიდიამ დეიდაშვილი მას შემდეგ აითვალწუნა, რაც იმან ჩვეულებისამებრ, თავისებურად გაშარჟებულად დახატა ლიდია თევზის სახით.

– ეგ რა გაქვს ცხვირსახოცზე, მარუსია? – ჰკითხა გალინა პეტროვნამ.

– ესა... არაფერი... ბოდიში, ცოტა ჭუჭყიანია... ეტყობა, ღამით დაძინება აღარ მიწერია. ვიქტორის გამო ვღელავ. ძაან უცნაური ხალხი დაიარება მასთან. ქუდსაც არ იხდიან და პირდაპირ ხალიჩაზე

აფერფლებენ. მე მგონი... კომუნისტები უნდა იყვნენ. ვასილი კი არაფერს ეუბნება და ეგეც მაშინებს. ხომ ვიცი, რასაც ფიქრობს... კომუნისტები ჩვენ ჭერქვეშ!

– მარტო თქვენ არა ხართ მაგ დღეში, – უთხრა ლიდიამ და ცერად გახედა დას. კირა შუშის ბოთლში ფრთხილად ყრიდა სახარინის კრისტალებს.

– ერთი-ორჯერ ვცადე, ვიქტორს დავლაპარაკებოდი და მოკლედ მომიჭრა: დიპლომატია ყველაზე დიდი ხელოვნებააო... დაგვიმძიმდა ცოდვები!

– შენ ჯობია, მაგ ხველას მიხედო, მარუსია.

– ეს არაფერი, გაივლის! სიცივის ბრალია. ექიმებს კი რა ველაპარაკო – თავადაც აზრზე არ არიან, რას ბჟუტურობენ.

კირამ ხელისგულზე გადაითვალა კრისტალები. ცდილობდა, სუნთქვაც შეეკრა, რადგან მათი თეთრი მტვერი სულ ცხვირ-პირში უღიტინებდა, მტკივნეულად. რაღაც არაბუნებრივი, მოტკბო გემო დაკრავდა.

მარია პეტროვნას ისევ აუტყდა ხველა.

– წარმოგიდგენიათ...

– მაინც ცდილობდა ლაპარაკს.

– ნინა მირსკაია ისე გათხოვდა, ამათ საბჭოთა რეგისტრატურაშიც კი არ მოინდომა ხელის მოწერა! არადა, მამამისი – ღმერთმა აცხონოს იმისი სული – მღვდელი იყო... ასე, კატებივით სძინავთ გვერდიგვერდ.

ლიდიამ ჩაახველა და სახეზე სიწითლემ გადაკრა.

– სირცხვილი და თავის მოჭრა! – ავიშვიშდა გალინა პეტროვნა.

– აი ეგ ახლებური, „თავისუფალი" სიყვარული დაანგრევს სწორედ ამ ქვეყანას. მადლობა ღმერთს, ჩვენ ეგ არ გვემუქრება – ჩვენს ოჯახში, ჯერ-ჯერობით მაინც, ზნეობა მთლად არ დაგვიკარგავს!

კარზე ზარის ხმა გაისმა.

– მამა იქნება! – წამოიძახა ლიდიამ და კარის გასაღებად გაიქცა.

ოღონდ ეს ანდრეი ტაგანოვი აღმოჩნდა.

– კირა შინაა? – იკითხა და მხრებიდან თოვლი ჩამოიბერტყა.

– რა ვქნა, ხომ ვერ დაგიმალავთ, – ქედმაღლურად მიუგო ლიდიამ.

სტუმარი ოთახში შემოვიდა და კირაც წამოდგა სკამიდან. ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში თვალები უელავდა.

– როგორ გაგვახარეთ! – წამოიძახა გალინა პეტროვნამ. ხელები აუკანკალდა და ნახევრად სავსე კოლოფიდან სახარინის რამდენიმე აბი მაგიდაზე დაუვარდა.

– დიახ... ძალიან. როგორ გიკითხოთ? იცით... ეს... გაიცანი, მარუსია – ანდრეი ფიოდოროვიჩ ტაგანოვი... ეს კი ჩემი დაა – მარია პეტროვნა დუნაევა.

ანდრეიმ ქალს თავი დაუკრა, მარია პეტროვნა კი გაკვირვებული მიჩერებოდა, როგორ ბღუჯავდა მისი და აცახცახებული ხელით მუყაოს კოლოფს.

– შეიძლება ცალკე დაგელაპარაკო, კირა? – ჰკითხა ანდრეიმ.

– გვაპატიეთ, – თქვა კირამ.

– აქეთ მობრძანდი, ანდრეი.

– კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა! – შეიცხადა მარია პეტროვნამ.

– საძინებელ ოთახში შეგყავს?! ეს ახლანდელი ახალგაზრდები მთლად კომუნისტებივით იქცევიან!

გალინა პეტროვნას კოლოფი ხელიდან გაუვარდა. ლიდიამ კი მაგიდის ქვეშ ფეხი გაკრა დეიდამისს. ანდრეი უსიტყვოდ მიჰყვა უკან კირას.

– შუქი არა გვაქვს, – უთხრა კირამ.

– ქუჩის ლამპიონის იმედად ვართ. აქ ჩამოჯექი, ლიდიას საწოლზე.

ანდრეი დაჯდა, კირა კი მის პირდაპირ, იატაკზე დაგებულ ლეიბ-

ზე მოკალათდა. ფანჯრიდან შემომავალი შუქი თეთრ ოთხკუთხედად ეფინა იატაკზე და ამ ოთხკუთხედში, ანდრეის ჩრდილიც იკვეთებოდა. ლიდიას სასთუმალთან, პაწია ხატის წინ კი წითლად ლიცლიცებდა სანთლის სუსტი ალი.

– დილანდელზე მინდა დაგელაპარაკო, – თქვა ანდრეიმ.

– სეროვზე.

– გისმენ.

– მოკლედ, არაფერზე არ იღელვო. იმას შენი დაკითხვის უფლება არა აქვს. ჩემს გარდა, მაგის ბრძანებას ვერავინ გასცემს. მე კი არ ვაპირებ.

– მადლობელი ვარ, ანდრეი.

– ვიცი, რასაც ფიქრობ ჩვენზე. გულწრფელი ხარ, ოღონდ პოლიტიკაში არ ერევი. ამიტომ, დაუძინებელი მტერიც არ გეთქმის. შენი მჯერა.

– იმის მისამართი ნამდვილად არ ვიცი.

– მე არც არაფერს გეკითხები. უბრალოდ, ნურავის მისცემ უფლებას, რამეში ჩაგითრიონ.

– შენ იცი, ის კაცი ვინაა? – კირა, იქნებ მაგაზე არ გველაპარაკა...

– კარგი, ოღონდ ერთ რამეს მაინც გკითხავ.

– კი ბატონო, მკითხე.

– რატომ აკეთებ ამას ჩემთვის?

– იმიტომ რომ გენდობი და ასე მგონია, მეგობრები ვართ. ოღონდ ეგ არ მკითხო, რატომო? თვითონაც არ ვიცი.

– მე ვიცი. იმიტომ რომ... აი, ჩვენ რომ სული გვქონდეს, რაც არ გაგვაჩნია, და ჩვენი – შენი და ჩემი სულები ერთმანეთს შეხვედროდნენ, უთუოდ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებოდნენ კიდეც. ოღონდ მას მერე რაც ერთიანად დაგლეჯდნენ და დაფლეთდნენ, მიხვდებოდნენ რომ ზუსტად ერთსა და იმავე ფესვიდან ვართ ამოზრდილები. არ ვიცი, გესმის თუ არა ჩემი, რადგან მართალი გითხრა, სულის არსებობისა არ მჯერა.

– არც მე. თუმცა შენი მშვენივრად მესმის. და ეს ფესვი რაღაა? – ღმერთი თუ გწამს, ანდრეი? – არა.

– არც მე. ოღონდ ჩემთვის უმთავრესი შეკითხვა სწორედ ესაა. ცოტა უკულმართი შეკითხვა.

– რას გულისხმობ?

– რას და... აი, ვინმესთვის რომ მეკითხა, სიცოცხლის თუ გჯერა-მეთქი, ვერაფერს მიმიხვდებოდა – მართლა უვარგისი შეკითხვაა. უამრავ რამეს შეიძლება ნიშნავდეს და სინამდვილეში, არც არაფერს გულისხმობდეს. მეც ამიტომ ვეკითხები ხოლმე ხან ვის და ხან ვის – ღმერთი თუ გწამთ-მეთქი და თუ მპასუხობენ, გვწამსო, მაშინვე ვხვდები – ამისთანებს სიცოცხლის არ სჯერათ.

– ეგ ვითომ რატომ?

– იმიტომ რომ ღმერთი – სულ ერთია, ვინ რას არქმევს ამ სახელს – ნებისმიერი ადამიანისთვის უკიდურესი შესაძლებლობის უზენაესი ცნებაა და ვინც არ უნდა აყენებდეს სათავისოდ უზენაეს ცნებას საკუთარ შესაძლებლობებზე მაღლა, ძალიან ცოტას ფიქრობს საკუთარ თავსა და თავის ცხოვრებაზე. თუ დამიჯერებ, ყველაზე იშვიათი ნიჭი სწორედ ისაა, როცა შეგიძლია მოწიწება იგრძნო შენივე საკუთარი სიცოცხლის მიმართ და აქ, ახლა, თუნდაც თავკერძობის კარნახით ესწრაფვოდე საუკეთესო, უდიადეს, ყველაზე ამაღლებულ შესაძლებლობას – წარმოიდგინო სამოთხე და მერე კი არ იოცნებო მასზე, არამედ მოითხოვო!

– დიდი უცნაური ვინმე ხარ, კირა.

– რატომ? მე და შენ ხომ ორივეს გვჯერა სიცოცხლის. ოღონდ შენ მზად ხარ სიცოცხლისთვის იბრძოლო, მოკლა, შეეწირო კიდეც, მე კი მხოლოდ ცხოვრება მინდა.

კედლის იქით, სახარინის აბების თვლით გაბეზრებული ლიდია გულის გადასაყოლებლად, ფორტეპიანოს მიუჯდა. შოპენს უკრავდა.

– რა კარგია, – თქვა უცებ ანდრეიმ.

– რაა კარგი? – გაიკვირვა კირამ.

– ეს მუსიკა...

– მეგონა, მუსიკა საერთოდ არ გაღელვებდა.

– ეგრე იყო, ოღონდ ამან რაღაცნაირად მართლა ამაღელვა. ოღონდ ეს აქ და ახლა.

სიბნელეში ისხდნენ და მუსიკას უსმენდნენ. ქუჩაში სატვირთო მანქანამ შემოუხვია. ფანჯრის გათოშილ შუშებს თრთოლვამ დაუარა. სინათლის ოთხკუთხედი ნელი-ნელ, ქარის ატაცებული ბუმბულივით აცურდა კედელზე და მერე ისევ მათ ფეხებთან დაეშვა.

მუსიკის ხმა რომ მიწყდა, ისინიც სასადილო ოთახში დაბრუნდნენ.

ლიდია ჯერაც ფორტეპიანოსთან იჯდა.

– შესანიშნავი იყო, ლიდია ალექსანდროვნა...

– მორიდებით მიმართა ანდრეიმ.

– ერთხელაც ხომ ვერ დაუკრავდით რამეს?

ლიდიამ ამაყად მოიღერა ყელი:

– დიდი ბოდიში, – თქვა და მაშინვე საჩქაროდ წამოდგა.

– დავიღალე.

მერე, ჟანა დ' არკივით თავაწეულმა დატოვა ოთახი.

მარია პეტროვნა ისე მოიბუზა, თითქოს ცდილობდა, სტუმარს თვალში არ მოხვედროდა; ხოლო როცა ისევ ხველა აუტყდა და ანდრეიმაც უნებურად მისკენ გაიხედა, შემკრთალი აბუტბუტდა:

– მე სულ იმას ვამტკიცებ, ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა ნაკლებად იღებს მაგალითს კომუნისტებისგან-მეთქი...

უკვე კართან, გამომშვიდობებისას, ანდრეიმ კირას უთხრა:

– მე მგონი, აჯობებს აღარ გესტუმრო. შენი ოჯახის წევრები რაღაც უხერხულად გრძნობენ თავს... თუმცა ეგ არაფერი, იმათიც მესმის. მოკლედ, ინსტიტუტში გნახავ.

– რა თქმა უნდა, – მიუგო კირამ.

– დიდი მადლობა და ღამე მშვიდობის.

* * *

ლეო გამოცარიელებული სახლის კიბეზე იდგა. არც მაშინ შერხეულა, როცა თოვლზე მომავალი კირას სწრაფი ნაბიჯების ხმა მოესმა. ერთიანად გაქვავებულს, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო.

კირა რომ მიუახლოვდა, ისეთი გრძნობით გაუყარეს თვალი თვალში ერთმანეთს, ეს კოცნაზე მეტსაც კი ნიშნავდა. უკვე მერეღა მოიმწყვდია მკლავებში, თითქოსდა სურდა ნაკუწებად დაეფლითა გოგოს პალტო და თავისიც ზედ მიეყოლებინა.

– კირა...

– ძლივსღა აღმოთქვა ლეომ.

მის ხმაში რაღაც უცნაური, შემაშფოთებელი მოისმოდა. კირამ ქუდი მოიხადა, თითის წვერებზე აიწია, ხელი თმაში შეუცურა და ტუჩებიც ისევ ტუჩებთან მიუტანა.

– მივემგზავრები, – თქვა ლეომ.

– ოდნავ გვერდზე თავგადახრილმა კირამ მშვიდად შეავლო თვალი. მის მზერაში შეკითხვა იგრძნობოდა, ოღონდ გაგების არანაირი კვალი არ ჩანდა.

– ამაღამ, სამუდამოდ. გერმანიაში.

– ლეო...

– რაღაცის თქმა დააპირა კირამ და თვალები გაუფართოვდა, თუმცა – არა შიშისაგან.

კაცი ყოველ სიტყვას დიდი ძალდატანების ფასად წარმოთქვამდა, თითქოს მთელი მისი სიძულვილი და სასოწარკვეთა ამ სიტყვების ჟღერადობაში ჩაბუდებულიყო და არა შინაარსში:

– მეძებენ, კირა. მე კონტრრევოლუციონერი ვარ. რუსეთი უნდა დავტოვო, სანამ მიპოვნიან. სწორედ ახლახან მივიღე ფული გერმანიიდან, მამიდაჩემმა გამომიგზავნა. აქამდეც ამას ველოდებოდი. კონტრაბანდისტებმა ჩამომიტანეს.

– დღეს ღამე მიემგზავრები? – ჰკითხა კირამ.

– კი, კონტრაბანდისტების გემით. იმათ ადამიანებიც გაყავთ ამ სამხეცედან – ჩემნაირად სასოწარკვეთილი ადამიანები. თუ ვერ დაგვიჭირეს, გერმანიამდე ჩავაღწევ, თუ დაგვიჭირეს და... არა მგონია, ყველას სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანონ, თუმცა არც ვინმეს შეწყალების ამბავი გამიგია ჯერ.

– ლეო, ასე არ დამტოვებ.

კაცის მზერაში ახლა სიძულვილი უფრო გამოსჭვიოდა, ვიდრე სითბო და სინაზე.

– ზოგჯერ ჩემდაუნებურად იმასაც ვფიქრობ, ნეტა დამიჭირონ და უკან დამაბრუნონ-მეთქი, – ჩაილაპარაკა მერე.

– მეც შენთან ერთად მოვდივარ, ლეო! კაცს მისი ეს ნათქვამი არ გაკვირვებია, უბრალოდ ჰკითხა: – გესმის მაინც, რა საფრთხეში იგდებ თავს? – მესმის.

– ისიც, რომ გერმანიამდე თუ ვერ ჩავაღწიეთ, შეიძლება თავი წააგო და იმ შემთხვევაშიც კი, გინდაც ჩავაღწიოთ...

– ვიცი.

– გემი ერთ საათში გადის. სასიარულოც ბევრი გვაქვს, ახლავე უნდა წავიდეთ. ბარგსაც ვერ გამოაყოლებ ხელს.

– მე მზად ვარ.

– ვერც ვერავის ეტყვი რამეს, ტელეფონზეც კი ვერ დარეკავ გამოსამშვიდობებლად.

– არავისთან დამშვიდობებას არ ვაპირებ.

– კარგი მაშინ, წავედით.

ლეო ძირს დავარდნილ ქუდს დასწვდა – უხმოდ, სწრაფად, ისე რომ კირასკენ აღარც გაუხედავს, თითქოს მისი არსებობაც აღარ ახსოვსო. მერე იქვე შორიახლოს მდგარ, ცხენშებმულ მარხილს ხელი დაუქნია და მეეტლეს მისამართი უთხრა. ფეხმარდი ცხენები ადგილს მოსწყდნენ და მგზავრებს მაშინვე ცივი ქარი ეძგერა სახეში.

ქუჩის კუთხეში შეუხვიეს და ჩამოქცეულ სახლს ჩაუარეს. იმისი თოვლწაყრილი აგურები მთელს ქუჩაზე მიმობნეულიყო. სახლსიქით

მდგარი ლამპიონის შუქი გამოცარიელებულ ოთახებს ანათებდა, სადაც ჭერზე რაღაცას გამოდებული რკინის საწოლის ჩონჩხი ჰაერში გამოკიდული ირწეოდა. „პრავდა... კრასნაია გაზეტა! " – ხმაჩახლეჩილი გაიძახოდა გაზეთების დამტარებელი ბიჭი.

– იქ...

– ეჩურჩულებოდა კირას ლეო.

– იქ ავტომობილებია, ბულვარები... გაჩახჩახებული ქუჩები...

– რომელიღაც სახლის კართან თოვლისაგან ქუდგადათეთრებული ბერიკაცი ატუზულიყო. ზეზეურად მძინარეს, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, კისერზე კი შინნაცხობი ღვეზელებით სავსე ლანგარი ეკიდა.

– ...და კიდევ, პომადა და აბრეშუმის წინდები...

– ჩურჩულითვე აჰყვა კირა.

უპატრონო ძაღლი რაღაცას ყნოსავდა კოოპერატივის ფანჯრის ქვეშ დადგმულ ნაგვის კასრში.

– ...შამპანურიც, რადიოც, ჯაზ-ორკესტრებიც...

– ეჩურჩულებოდა ლეო.

– ...და ის სიმღერაც, დამსხვრეულ ჭიქებზე...

უცებ, ვიღაც კაცი აყვირდა – ამხანაგებო, სახარინი შეიძინეთო და გათოშილი ხელები დაიორთქლა.

ჯარისკაცი მზესუმზირას აკნატუნებდა და პატარა, ცეტი ვაშლის სიმღერის ღიღინ-ღიღინით მიუყვებოდა ქუჩას.

მარხილის კვალად, ქარს მოგლეჯილი აფიშები მოქონდა და სახლების კედლებს ახლიდა. ეს ყველაფერი ახლა უკან რჩებოდა: წითელი, თეთრიც, ნარინჯისფერიც, ურეებიც, ნამგლებიც, დაკუნთული მკლავებიც, დაზგა-დანადგარებიც, ბაღლინჯოებიცა და აეროპლანებიც...

მათს ზურგსუკან თანდათან ცხრებოდა ქალაქის ხმაური. ფაბრიკაქარხნების შავი საკვამურები ცისკენ აზიდულიყო. ქუჩის გადაღმა, ერთი სახლის სახურავიდან მეორემდე, თოკი გაეჭიმათ, რომელზეც

ფარდასავით ეკიდა ვეება პლაკატი, რომელსაც ქარი უმოწყალოდ აფრიალებდა, ის კი მაინც ჯიუტად უყვიროდა ქუჩასაც და ქარსაც:

„პროლეტარ... ჩვენი კოლექტი... მუშათა... თავისუფ... მომავალ...“

მათი მზერა ერთმანეთს შეეფეთა და ეს თითქოს უსიტყვო თანხმობად მიიჩნიეს. ლეომ გაიღიმა და უთხრა:

– მე ამის გაკეთებას ვერ გთხოვდი, თუმცა რატომღაც მეგონა თვითონ წამომყვებოდი.

მოუკირწყლავ ქუჩაზე, ღობესთან შეჩერდნენ. ლეომ მარხილის პატრონს ფული გადაუხადა. იქიდან უკვე ფეხით გაუყვნენ გზას. ლეო იჭვნეულად იყურებოდა ზურგსუკან, ვიდრე მარხილი კუთხეს არ მიეფარა. მხოლოდ ამის შემდეგღა ამოიღო ხმა.

– ზღვამდე კიდევ ორ კილომეტრზე მეტი გვაქვს გასავლელი. ქცივა?

– არა.

ლეომ კირას ხელი ჩაჰკიდა. ღობის გასწვრივ მიდიოდნენ. სადღაც ძაღლი აყმუვლდა. შიშველი ხე ქარში ირწეოდა და ჭრიალი გაჰქონდა.

უკვე კოჭებამდე თოვლში მიიკვლევდნენ გზას. ტრიალ მინდორში გასულებს, უძირო სიბნელისკენ ეჭირათ გეზი.

კირა ჩუმად და ფრთხილად მიაბიჯებდა, როგორც გარდაუვალის პირისპირ დარჩენილი ადამიანი. ლეო ხელს არ უშვებდა. მათ ზურგსუკანცას ქალაქის წითელი გამონაშუქი ეფრქვეოდა, წინ კი იგივე ცა მიწისკენ დაფერდებულიყო – ანდა პირიქით, მიწა აღმართულიყო ცისკენ და მათი სხეულები ამ ორ სტიქიას ერთმანეთისაგან აცალკევებდა.

თოვლი უკვე წვივებამდე წვდებოდათ. პირქარი უბერავდა. წინ წახრილები მიაბიჯებდნენ, პალტოს კალთები გრიგალში მოხვედრილი გემის აფრებივით უფრიალებდათ. ყინვისაგან ორივეს ლოყებზე კანი დაშაშროდა.

– ამ თოვლის იქით სხვა სამყარო იყო – სიუხვის ის მხარე, რომელსაც მათ ზურგსუკან დარჩენილი ქვეყანა ბრმად ეთაყვანებოდა; ეთაყვანებოდა ვნებიანად, ჟინით, ტრაგიკულადაც კი. ერთი სიტყვით, უცხოეთი. ამ თოვლის იქით სიცოცხლე იწყებოდა.

უცებ გაჩერდნენ და თოვლიც სწორედ იქვე მოთავდა. შავ სიცარიელეს მიაშტერდნენ, რასაც არც დასალიერი ჰქონდა და არც ცა ეხურა თავზე. სადღაც შორიდან რაღაც შლაპუნისმაგვარი ხმა მოისმა, თითქოს დროის ზუსტ შუალედში, ვიღაც წყლით სავსე ჭურჭელს ცლიდა.

– იყუჩე! – გადაუჩურჩულა კირას ლეომ. ახლა ვიწრო, გასიპულ, ვიღაცის გაკვალულ ბილიკზე მიჰყავდა. კირამ ძლივს გაარჩია ბუნდოვანი ჩრდილი, სიცარიელეში მოტივტივე ანძა, სანათის სუსტი გამონათება...

გემზე სხვა სინათლე არ ენთოთ და ვერც ის კაცი შეამჩნია, ბილიკზე რომ აესვეტათ წინ; იქამდე ვერ შენიშნა, ვიდრე სანათის სხივი ჯერ ლეოს არ დაეცა სახეზე, მერე კირას არ გადაურბინა მხარზე, მის სახეზე უფრო დიდხანს შეჩერდა და ბოლოს, გაქრა. უცნობს შავი წვერი ჰქონდა და ხელში იარაღი ეჭირა, თუმცა ლულა მიწისკენ დაეხარა.

ლეომ ჯიბეში მოაფათურა ხელი და კაცს რაღაც გაუწოდა.

– ფული უნდა დაგიმატო, – უთხრა ჩურჩულით.

– ეს გოგოც ჩემთან ერთად მოდის.

– თავისუფალი კაიუტა აღარ დაგვრჩა.

– არა უშავს, ის ჩემიც გვეყოფა. გემბანზე ავიდნენ, რომელიც მსუბუქად ირწეოდა ფეხქვეშ. სადღაციდან სხვა კაციც გამოჩნდა და სწორედ ის გაუძღვა კარისკენ. ლეო კირას დამრეც კიბეზე ჩასვლაში მიეხმარა. ტრიუმში შუქი ენთო და ირგვლივ ჩრდილები რიალებდა. მოკლედ წვერშეკრეჭილი, წმინდა გიორგის ჯვრით მკერდდამშვენებული კაცი უხმოდ მიაჩერდა ორ ახალ მგზავრს; კარში გახირულმა, ფარჩის გახუნებულპალტოიანმა ქალმაც, რომელსაც აცახცახებულ

ხელებში ხის პატარა ყუთი ჩაებღუჯა, შიშით გამოხედა ლეოსა და კირას.

მეგზურმა კარი გააღო და თავის ერთი მოძრაობით ანიშნა, კაიუტაში შემობრძანდითო.

– იქ მხოლოდ ერთი საწოლი იდგა და დაბზარულ, შეუღებავ კედლებს შორის, ხელისგულისოდენა ცარიელი სივრცე დაეტოვებინათ. კუთხეში მიდგმული, გარანდული ფიცარი მაგიდის მაგივრობას სწევდა. ჭერზე გაჭვარტლული სანათი ეკიდა და მისი ყვითელი გამონაშუქი ამ სახელდახელო მაგიდაზე თრთოდა. თითქოს სუნთქავსო, იატაკი ნელ-ნელა ადი-ჩადიოდა. სარკმელი საგულდაგულოდ დაგმანათ.

ლეომ კარი ჩაკეტა და – პალტო გაიხადეო, უთხრა კირას.

ისიც უხმოდ დაემორჩილა. მერე პალტო ლეომაც გაიძრო, ქუდი კი მაგიდაზე მიაგდო. შავი, სქელი, ყელსა და მკლავებზე მჭიდროდ მომდგარი სვიტრი ეცვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა უპალტოებოდ ხედავდნენ ერთიმეორეს. კირას ისეთი განცდა ჰქონდა, მთლად დედიშობილა დავრჩი და უნებურად, ოდნავ გაერიდა კაცს; თუმცა კაიუტა იმდენად ვიწრო იყო, შიგ დაგუბებული ჰაერიც კი მის ნაწილად აღიქმებოდა. კირა ფრთხილად ჩამოჯდა მაგიდაზე.

ლეომ გოგოს მძიმე ფეხსაცმელებს დახედა – მისი ნატიფი სხეულისათვის მეტისმეტად მძიმეს. ამ მზერას კირამაც გააყოლა თვალი. ფეხსაცმელი გაიხადა და კაიუტის მეორე კუთხეში მოისროლა.

ლეო საწოლზე დაეშვა. კირა ისევ მაგიდაზე იჯდა და ცდილობდა სქელ, ბამბის შავ წინდებში გამოკვართული ფეხები მის ქვეშ შეემალა. ხელები მჭიდროდ ჰქონდა ტანზე მიკრული, მხრები ჩამოეშვა და მთლად გათიშულივით, ერთიანად მობუზულიყო. ცუდად განათებულ კაიუტაში თეთრი სამკუთხედივით მოჩანდა მისი ბოლომდე შეუკრავი საკინძე.

– ჩემი ბერლინელი მამიდა დასანახად ვერ მიტანს, თუმცა მამაჩემი კი ძალიან უყვარდა. მამაჩემი... ცოცხალი აღარაა.

– თოვლი ჩამოიბერტყე ფეხსაცმელებიდან, ლეო. ზედ გადნება.

– შენ რომ არა, სამი დღის წინ გავყვებოდი გემს. მაგრამ შენი ნახვა მინდოდა. მხოლოდ ამიტომ ველოდი დღევანდელ დღეს. ის გემი კი უკვალოდ გაქრა და არავინ იცის, დაიმსხვრა თუ წითლებმა დაიკავეს. ყოველ შემთხვევაში, გერმანიამდე ვერ ჩააღწია. მოკლედ, სიკვდილს გადამარჩინე... ალბათ.

როცა ძრავის დაგუდული გუგუნი გაისმა, გემიც უფრო ხმამაღლა აჭრიალდა და სანათის ალიც გამჭვარტლულ შუშებს მიაწყდა აქეთ-იქით; ლეო წამოხტა, სულის ერთი შებერვით ჩააქრო შუქი და ილუმინატორის ფარდები გადაწია. ორივე ლამის სახით მიეკრო ამ მომცრო წრეს და ატორტმანებული ქალაქის წითელ გამონაშუქს მიაჩერდა. მერე ეს გამონაშუქი თანდათან ჩამუქდა; ცოტა ხანში, ცასა და დედამიწას შორის სუსტი, სულ ოდნავ შესამჩნევი სინათლეთა კიაფობდა. გაქვავებული, ადგილიდან კი არ იძროდა, ნელი-ნელ იმცვრეოდა – ჯერ ვარსკვლავის ოდენად, მერე – ნაპერწკლის, ბოლოს კი სულაც გაქრა. კირამ ლეოს შეხედა. მას იმგვარი ჟინით გაფართოებოდა თვალები, როგორიც მანამდე მის მზერაში გოგოს არასოდეს შეუმჩნევია.

– იცი, რას ვტოვებთ? – ჰკითხა კირას მშვიდი, ცოტათი მოზეიმე ხმით.

მერე მხარზეც მოხვია ხელი, ტუჩებით ტუჩებზე დაეკონა და კირას მოეჩვენა, თითქოს ჰაერში გამოეკიდა, თითოეული კუნთი კი ლეოს სხეულის ძალით დაემუხტა. დუნედ აფათურებდა ხელებს მის სვიტრზე, თითქოს საკუთარი კანით სურდა კაცის სხეული შეეგრძნო.

ლეომ ფარდები ისევ მიწი-მოწია და სანათიც აანთო. ასანთმა ლურჯად გაიელვა. ახლა უკვე კართან იდგა, პაპიროსს ეწეოდა და კირასკენ აღარც იხედებოდა.

კირაც მორჩილად ჩამოჯდა მაგიდასთან, არაფერი უთქვამს. არა-

ნაირი შეკითხვა არ გასჩენია, თვალებით კი ისევ ლეოს მიშტერებოდა.

კაცმა პაპიროსი კედელზე მიაქრო, მიუახლოვდა, უხმოდ დაადგა თავზე, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ახლა სახეზე არაფერი ეწერა, დამცინავი ღიმილის გარდა.

კირა ნელა, კვლავაც მორჩილად წამოიმართა და ქვემოდან ახედა. მონუსხულივით იდგა, გაუნძრევლად.

– გაიხადე, – უთხრა ლეომ.

კირას არაფერი უთქვამს, არც მზერა აურიდებია, უსიტყვოდ შეიხსნა კაბა.

კაცი თვალს არ აშორებდა, კირას კი ერთხელაც არ გახსენებია საკუთარი მშობლების სამყაროში დადგენილი ზნეობრივი წეს-კანონები. მხოლოდ წამით გაიფიქრა ამაზე, როცა უკვე იატაკზე მოკრა საკუთარ კაბას თვალი, მაგრამ მაშინვე მხოლოდ ის ინანა, ამ უხეში ბამბის საცვლების მაგივრად, რატომ აბრეშუმის არ მაცვიაო...

კირამ აზღუდის ცალი თასმა ჩამოიცურა მხარზე; უკვე მზად იყო მეორეც შეეხსნა, როცა ლეომ ხელში აიტატა, ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალა და მკერდზე დაეწაფა.

– ცოტა ხანში, უკვე ლოგინში იწვნენ; კირა მთელი სიმძიმით აწვებოდა მის შიშველ ბეჭებშორის მოქცეულ კაცის ხელისგულს. ლეომ ისევ სულის ერთი შებერვით ჩააქრო სანათი და კირამ გაიგონა, როგორ დაეცა იატაკზე ლეოს სვიტრი.

– მაშინვე თბილ სითხესავით გადმოეღვარა ფეხებზე კაცის ფეხები. გაშლილი თმა საწოლიდან გადმოეფინა. ტუჩები გაეპო და სუსტი გმინვა აღმოხდა.

X

კირას რომ გამოეღვიძა, ერთ ძუძუზე ლეოს თავი ედო, მეორეს კი ვიღაც უცნობი მეზღვაური დასცქეროდა.

ისეთი ძალით აიქაჩა საბანი ნიკაპამდე, ლეოს წამსვე გამოეღვიძა. ახლა ორივე ერთნაირი გაოცებით მიაშტერდა შემოსულს.

უკვე გათენებულიყო. მხარბეჭიანი მეზღვაური მოფიათებული კარის ზღურბლზე გახირულიყო და ცალი ხელით, ქამარში გაჩრილი იარაღის ტარი ჩაებღუჯა. გაღეღილი ტყავის ქურთუკის შიგნით ზოლიანი მაისური მოუჩანდა. უშნოდ იღრიჭებოდა და თეთრად ჩარიგებულ კბილებს აელვარებდა. შიგ კაიუტაში შემოსვლა რომ დააპირა, იძულებული გახდა ოდნავ მოხრილიყო მხრებში. ლურჯ ქუდზე ხუთქიმიანი საბჭოური წითელი ვარსკვლავი ებნია.

– შეწუხებისთვის ბოდიში მომიხდია, მოქალაქეებო! – ჩაიცინა უშნოდ.

კირამ, რომელსაც ვერაფრით მოეწყვიტა თვალი იმ ვარსკვლავისთვის და მისი ცქერით მონუსხულს, საჭირო სიტყვებიც ვერ მოენახა, ბავშვივით საწყალობლად. სულელურად ამოილუღლუღა:

– ძალიან გთხოვთ, წადით... ეს ჩვენი პირველი...

მაშინვე გაუწყდა სიტყვა, როგორც კი წითლად მოელვარე ვარსკვლავმა უცებ საბოლოოდ გაუნათა გონება.

– უარეს დროს ვერაფრით შეარჩევდით, მოქალაქეებო! ნამდვილად ვერ შეარჩევდით, – ისევ გაიღრიჯა მეზღვაური.

– გაბრძანდი და ტანზე ჩაცმა გვაცალე, – უთხრა ლეომ.

მის ხმაში არც ქედმაღლობა იგრძნობოდა და არც ხვეწნა-მუდარა. მხოლოდ უპირობო ბრძანება, რასაც მეზღვაური ისე დაემორჩილა, თითქოს ეს ბრძანება თავად ზემდგომი ოფიცრობისაგან მიეღო: უსიტყვოდ გავიდა და ზურგსუკან კარიც გაიხურა.

– იწექი, მე მოგაწვდი ტანსაცმელს, ცივა! – უთხრა ლეომ.

თვითონ კი წამოდგა, ბერძნული ქანდაკივით შიშველმა და უგრძნობელმა, იატაკზე მიმობნეული კირას სამოსი წამოკრიფა.

ილუმინატორის დახურულ ფარდებშორის ღიობში, სუსტად აღწევდა მორუხო შუქის სხივი.

უხმოდ იცვამდნენ ტანზე. მათ თავსზემოთ, ჭერი გემბანზე მიმომავალი ხალხის აჩქარებული ნაბიჯებისაგან დგანდგარებდა. საიდანღაც, ატირებული ქალის მოთქმა გაისმა, თითქოს დაჭრილი მხეცი ყმუისო. როცა ჩაიცვეს, ლეო კირას მიუბრუნდა:

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

მართლაც, იმდენად მშვიდი ჩანდა, წამით კირა გაახარა კიდეც იმ განსაცდელმა, რამაც მისი ასეთი თავშეკავების დანახვის საშუალება მისცა. წამით თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და ეს იყო იმის მდუმარე დასტური, რაც ორივეს სამუდამოდ დამახსოვრებოდა.

ლეომ ბოლომდე გამოაღო კარი. მეზღვაური გარეთ იცდიდა.

– მხად ვარ ყველაფერი ვაღიარო, რასაც მომთხოვთ, – უთხრა ლეომ ძალიან მშვიდად.

– თუ ამ გოგოს გაუშვებთ, ყველაფერზე მოგიწერთ ხელს.

კირამ რაღაცის სათქმელად დააღო პირი, მაგრამ ლეომ მაშინვე ხელი ააფარა უხეშად. მერე ისევ მეზღვაურს მიუბრუნდა და გააგრძელა:

– ეს არაფერ შუაშია. მოვიტაცე. თუ საჭიროდ ჩათვლით, სასამართლოს წინაშეც წარვსდგები.

– ტყუის! – იკივლა კირამ.

– გაჩუმდი! – უთხრა ლეომ.

– ორივე გაჩუმდით! – გაბრაზდა მეზღვაური.

მერე იმას გაყვნენ უკან. მტირალი ქალი უკვე გულისგამაწვრილებლად გოდებდა. თვალი მოჰკრეს, როგორ მიყვებოდა ხოხვით ორ მეზღვაურს, რომელთაც იმისი პატარა ხის ხუთი დაეიღლიავებინათ. ყუთს თავსახური ახდილი ჰქონდა, მეზღვაურების თითებშორის კი ძვირფასეულობა ბრჭყვინავდა. ქალს გაშლილი თმა თვალებზე ჩამოშლოდა და ღმერთმა უწყის, ვიღას შეყმუოდა ასე საწყალობლად.

ერთ-ერთი კაიუტის გამოღებულ კართან, ლეომ უცებ ისეთი ძალით უბიძგა კირას ზურგში, რომ იმან ვერც კი დაინახა, რა ხდებოდა

შიგნით. იქ კი რამდენიმე ადამიანი იატაკზე გართხმულ, უძრავი სხეულისკენ წახრილიყო. იმ იატაკზე გართხმულს, ცალი ხელით მკერდში ზუსტად წმინდა გიორგის ჯვრის ქვეშ გაყრილი ხანჯლის ტარი ჩაებღუჯა.

გემბანზე რუხი ცა მძიმედ ჩამოხეოდა ანძის წვერს და მისი ეს სირუხე იმ ადამიანთა პირიდან ამონასუნთქ ორთქლს შერეოდა, რომელთაც გემი ჩაეგდოთ ხელში – სანაპირო დაცვის წითელდროშიანი კატარღიდან გადმოსულ ადამიანებს, რომლის ვეება ჩრდილიც ახლა ზანტად ირწეოდა ნისლში.

ორ მეზღვაურს შუაში მოემწყვდიათ კონტრაბანდისტების შავწვერა, ხელებგადაგრეხილი მეთაური, ის კი თავისი ფეხსაცმლის წვერებს დასცქეროდა.

მერე მეზღვაურებმა, ბრძანების მოლოდინში, ტყავისქურთუკიან გოლიათს გახედეს. იმან ჯიბიდან სია ამოიღო და შავწვერას მიუტანა ცხვირთან, ცერა თითით ლეოზე მიანიშნა და ჰკითხა:

– ესაა?

მეთაურმა ცხვირის წვერითვე ანიშნა სიაში რომელიღაც გვარზე. კირამ დაინახა, რა უცნაურად გაუფართოვდა თვალები გოლიათს, თუმცა ამის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

– გოგო ვინღაა? – იკითხა გოლიათმა.

– არ ვიცი, – მიუგო მეთაურმა.

– ეგ ჩვენი მგზავრების სიაში არ ირიცხება. ბოლო წუთს მოვიდა, ამასთან ერთად.

– ეს ჩვიდმეტი კონტრრევოლუციონერი ვირთხა ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდა, ამხანაგო ტიმოშენკო, – თქვა ერთ-ერთმა მეზღვაურმა.

ამხანაგ ტიმოშენკოს ჩაეღიმა და მკერდზე მჯიღი დაირტყა.

– გეგონათ, ხელიდან გამიძვრებოდით? მე – წითელბალტიელ სტეპან ტიმოშენკოს?!

კონტრაბანდისტების მეთაური ისევ თავისი ფეხის წვერებს დააშტერდა.

– ფხიზლად იყავით და თოფებიც მზად გქონდეთ, – თქვა ამხანაგმა ტიმოშენკომ.

– ვინმემ თუ რამე მამაძაღლობა დააპირა, შიგ შუბლში დაახალეთ!

კბილები დაკრიჭა და ნისლს შეჰღიმა. იმისი მზით გარუჯული, მოშიშვლებული კისერი ეტყობა, საერთოდ ვერ გრძნობდა დილის სუსხს. მერე შეტრიალდა და სტვენა-სტვენით გაეცალა იქაურობას.

როცა ორივე გემი ისევ დაიძრა, ამხანაგი ტიმოშენკო უკან დაბრუნდა. ნამით მბზინავ გემბანზე თავმოყრილ პატიმართა შორის მდგარ ლეოსა და კირას უხმოდ ჩაუარა, მხოლოდ წამით შედგა და ერთადერთხელ გამოხედა შავ, დიდრონ თვალებში ჩაბუდებული იდუმალი მზერით. ბოლოს. წინ და უკან სიარულს მოეშვა, ისევ პატიმრებთან შეჩერდა, კირას თითი მიუშვირა და ხმამაღლა გამოაცხადა:

– ეს გოგო არაფერ შუაშია. უბრალოდ, მოიტაცეს.

– კი მაგრამ, აკი გითხარით...

– რაღაცის თქმა დააპირა კირამ.

– ხმა გააკმენდინე მაგ ბოზანდარას! – ლეოს გადაულაპარაკა ტიმოშენკომ და ისეთი სახით შეხედა, უსიტყვოდ მიახვედრა ყველაფერს.

უკიდეგანო, გაყინულ ცისკიდურზე პეტროგრადი დაბალი სახლების გრძელ, უსასრულო რიგად გამოიკვეთა. ისააკის ტაძრის გუმბათი – ეს თითქოსდა შუაზე გადაჭრილი, ფერგამკრთალი ოქროს ბურთი, საბუხრე მილების კვამლში გახირულ, მინავლებულ მთვარეს წაგავდა.

ლეო და კირა დახვეულ ბაგირზე ისხდნენ; მათ ზურგსუკან ცალი ხელით იარაღს ჩაფრენილი ჩოფურა მეზღვაური წეკოს აბოლებდა.

არც შეუმჩნევიათ, როდის გაეცალა იქაურობას და მაშინვე, ახლა

სტეპან ტიმოშენკო აესვეტათ წინ; კირას თვალი თვალში გაუყარა და ჩურჩულით უთხრა:

– ნაპირს რომ მივადგებით, იქ ფორანი დაგვხვდება. ამ დროს ბიჭებს შენთვის არ ეცლებათ და როგორც კი ზურგს შეგაქცევენ, გაიქეცი და უკან აღარ მოიხედო.

– არა, – თქვა კირამ.

– მეც ამასთან ვრჩები.

– კირა! შენ...

– ნუ სულელობ, უკვე ვერაფერს უშველი.

– ჩემი გაშვებით მაინც ვერ აიძულებთ, ჩვენება მოგცეთ და რამე აღიაროს.

ტიმოშენკოს ჩაეცინა:

– ვინ სთხოვს როო? მე უბრალოდ, არ მინდა ბავშვები გაერიონ ისეთ საქმეში, რისიც არაფერი გაეგებათ. მოკლედ, მოქალაქე – ისე ქენი, ფორანში სანამ ჩაგსხამენ, ეგ გოგო აქ აღარ იყოს...

კირა ტიმოშენკოს შავ, დიდრონ თვალებს მიჩერებოდა. მერე ეს თვალები კიდევ უფრო მოახლოვდა და კაცმა კბილებშორის გამოცრა სისინით:

– გეპეუ-ს ხელიდან ერთის დახსნა უფრო ადვილია, ვიდრე ორის. დღის ოთხ საათზე იქ ვიქნები. მოდი და სტეპან ტიმოშენკო იკითხე. ეგებ რამე ახალი ამბავიც მქონდეს შენთვის. არავინ არაფერს დაგიშავებს... დაიხსომე – გოროხოვაიას ქუჩა, 2.

პასუხისთვის არც დაუცდია, შეტრიალდა და წავიდა, გზად კი ერთი კარგად მოსდო ყბაში ჩოფურა მეზღვაურს, დაკავებულების უმეთვალყურეოდ დატოვების გამო.

– გინდა რომ უფრო გამირთულო საქმე? – კირას გადაუჩურჩულა ლეომ.

– უნდა წახვიდე. და კიდე, გოროხოვაიას ორ ნომერს მოერიდე.

– მერე აკოცა და ისე გაუჭირდა ტუჩები მისი ტუჩებისთვის მოეშორებინა, თითქოს შუშაზე მიეყინაო.

– რა გვარი ხარ, კირა? – ჰკითხა ისევ, ჩურჩულით.

– არგუნოვა. კირა არგუნოვა. და შენ? – ლეო კოვალენსკი.

* * *

– ირინასთან ვიყავი და ისე გავერთეთ ლაპარაკში, დაგვაღამდა კიდეც. გვიან შინ წამოსვლა კი ვეღარ გავბედე.

გალინა პეტროვნამ უგულოდ ამოიოხრა. შემოსასვლელში ციოდა და ხალათქვეშ, მხრები აუკანკალდა.

– ამ დილაუთენია რაღამ წამოგაგდო? ალბათ, საბრალო მარუსიასაც გამოაღვიძებდი, იმის ხველა კიდე...

გალინა პეტროვნამ დაამთქნარა და ფეხარეული, საძინებელი ოთახისკენ გაემართა.

კირა მანამდე რამდენჯერმე მართლა დარჩა დეიდაშვილთან, ამიტომ აღარც გალინა პეტროვნა დაეჭვებულა და შეშფოთებულა.

კირა სკამზე ჩამოჯდა, ხელები უღონოდ ჩამოყარა. ოთხ საათამდე კიდევ ბევრი დრო რჩებოდა. ალბათ, შეძრწუნებული უნდა ვიყოო, გაიფიქრა და კაცმა რომ თქვას, იყო კიდეც, ოღონდ ამ შიშის მიღმა კიდევ არსებობდა რაღაც უსახელო თუ სიტყვით გამოუთქმელი სიხარული: მის არსებაში თითქოს უხმო რამ ჰიმნი ჟღერდა და იმის მიუხედავადაც კი, რომ ლეო გოროხოვაიას ქუჩაზე იყო საკანში გამოკეტილი, კირა ჯერაც მთელი სხეულით შეიგრძნობდა მის ხორციელ სიახლოვეს.

* * *

გოროხოვაიას ქუჩის 2 ნომერში მდებარე შენობას ღია-მომწვანო, მუხუდოს წვნიანის ფერი ედო. თუმცა, საღებავიცა და ბათქაშიც ალაგ-ალაგ გვარიანად დამსკდარიყო. მისი უფარდებო და უგისოსებო ფანჯრები მდუმარედ გადასცქეროდნენ გაყუჩებულ ქუჩაბანდს. ეს გახლდათ პეტროგრადის გე-პე-უ-ს მთავარი შტაბი.

არსებობდა რაღაც-რაღაცეები, რისი ხსენებაც ადამიანებს არ

სურდათ და მათზე ლაპარაკი ლამის ცრუმორწმუნეობრივ შიშს უჩენდათ – როგორც მაგალითად, ძველი სასაფლაოები, აჩრდილებ-ჩაბუდებული სახლები, ესპანური ინკვიზიცია, გოროხოვაიას ქუჩა 2 და ა. შ. ვინ იცის, რამდენი ბნელი ღამე გაათენა პეტროგრადმა – ღამეები, როცა მდუმარებას ყრუ ნაბიჯების ხმა არღვევდა მხოლოდ, მერე ზარის დაჟინებული რეკვა კარზე და ვინ იცის, რამდენი ადამიანი გაიყვანეს შინიდან და რამდენი აღარასოდეს დაბრუნებულა უკან! ქალაქს უენო შიშის უხილავი აჩრდილი დასტრიალებდა, რომელიც ადამიანებს ჩურჩულს აიძულებდა და ამ აჩრდილს თავისი ბუნაგიც ჰქონდა, სადაც მუდამ ბრუნდებოდა ხოლმე: ეს ბუნაგი კი სწორედ გოროხოვაიას ქუჩის 2 ნომერი გახლდათ.

თავად შენობა არაფრით გამოირჩეოდა მეზობლად მდგარი სახლებისაგან; ქუჩის გადაღმა, ზუსტად იმნაირივე ფანჯრების მიღმა, ოჯახებში საჭმელს ამზადებდნენ და გრამოფონს უსმენდნენ. იქვე კუთხეში, ვიღაც ვარდისფერლოყება და ცისფერთვალა დედაბერი ღვეზელს ყიდდა და ოქროსფრად შებრაწულ მის ნახელავს მადისაღმძვრელი სუნი უდიოდა. ქუჩის ლამპიონზე გაკრული სარეკლამო ფურცელი თამბაქოს ტრესტის გამოშვებულ ახალ სიგარეტს აქებდა. ხსენებული შენობისკენ მიმავალი კირა კი მხოლოდ იმას ამჩნევდა, როგორ არიდებდნენ გამვლელები თვალს მის მწვანე კედლებს, საქმიანი ხალხის ნიღაბს ირგებდნენ და უნებურად, ისე უჩქარებდნენ ნაბიჯს, თითქოს იქ ყოფნაც აშინებთ და საკუთარი ფიქრებიცო. ამ მწვანე კედლებს მიღმა ისეთი რამ ხდებოდა, რისი გაგებაც არავის სურდა.

კარი ღია დაუხვდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა კირამ ხაზგასმით გულგრილი სახით შეაბიჯა შენობაში. იქ ფართო კიბე, დერეფნები და კაბინეტები დაუხვდა. როგორც ნებისმიერ სხვა საბჭოთა დაწესებულებაში, აქაც უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგი სადღაც მიიჩქაროდა, ზოგი რაღაცას ელოდებოდა. შიშველ იატაკზე უამრავი ვინმე მიდი-მოდიოდა, თუმცა ირგვლივ მათი ფეხის ხმის გარდა, სხვა

არაფერი ისმოდა. არც ცრემლი მოუჩანდა ვინმეს სახეზე და ადამიანთა უსიცოცხლო გამომეტყველებაც არაფერს გამოხატავდა.

კირამ სტეპან ტიმოშენკოს მისსავე კაბინეტში მიაგნო. მაგიდასთან იჯდა და შემოსულს მაშინვე ღიმილი მიაგება.

– ასეც ვიცოდი, – უთხრა კირას.

– პირადად მის წინააღმდეგ არაფერი აღმოაჩნდათ. მამამისის ამბავია, ოღონდ ეგეც უკვე წარსული. აი, ორი თვის წინ რომ დაეჭირათ, ულაპარაკოდ მიაყენებდნენ კედელთან და დახვრეტდნენ, ახლა კი არ ვიცი, ვნახოთ.

– მაინც, რა დააშავა?

– იმან? არაფერი. ეგ მამამისმა. პროფესორ გორსკის შეთქმულებაზე თუ გსმენია რამე? ის ბებერი ბრიყვი მაგ საქმეში არ ერია და ან როგორ გაერეოდა – სულ მთლად ბრმა იყო! თუმცა ორიოდ თვის წინ. გორსკის კი მალავდა თავისთან. მერე მიიღო კიდეც საკადრისი.

– და ლეოს მამა ვინ იყო? – ბებერი ადმირალი კოვალენსკი.

– ის ვინც...

– აღმოხდა კირას და მაშინვე ენას კბილი დააჭირა.

– კი, სწორედ ეგ, ომში რომ დაბრმავდა. დახვრიტეს.

– რაა?

– მე პირადად, მაგას არ ვიზამდი. ყოველ შემთხვევაში, მაშინ. მაგრამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მე არ ვიღებ. საერთოდ, რევოლუციას თეთრი ხელთათმანებით ვერ მოახდენ.

– კი მაგრამ, თუ ლეო არაფერ შუაშია, მაშინ...

– მაშინ ნებისმიერს ხვრეტდნენ, ვინც ასე თუ ისე გარეული იყო ამ საქმეში. ახლა ცოტა გაუგრილდათ გული, მაინც ხომ ჩავლილი ამბავია. ამ მხრივ გაუმართლა კიდეც... რა სულელივით მიყურებ! აქ რომ მუშაობდე, გეცოდინებოდა რას ნიშნავს დრო – ზოგჯერ დღეები ან სულაც, საათები ცვლის ყველაფერს. ასეთია ჩვენი სამსახური. აბა რა გეგონა, რევოლუციას სუნამოს სურნელი სდის?

– ესე იგი, შეგიძლიათ გაუშვათ...

– არ ვიცი. ვეცდები. გავარკვევთ ყველაფერს. გინდა-არგინდა, ქვეყმის უკანონოდ დატოვებას აპირებდა, ოღონდ... მე მგონი, ამას მოევლება. ჩვენ ბავშვებს არ ვებრძვით და მით უფრო – უგუნურ ბავშვებს, მოქმედი ვულკანის კრატერთანაც რომ პოულობენ სიყვარულობანას დროს!

კირამ კაცს დიდრონ თვალებში ჩახედა, მაგრამ იქ ვერაფერი ამოიკითხა. აი, ტუჩებზე კი ისევ ღიმილი დასთამაშებდა. ტიმოშენკოს პაჭუა ცხვირი და უჩვეულოდ ფართო ნესტოები ჰქონდა.

– კეთილი ადამიანი ხართ, – უთხრა კირამ.

– ვინაა კეთილი? – გულიანად გაეცინა იმას.

– ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეზღვაური სტეპან ტიმოშენკოა კეთილი ძია? შენ რა, 1917 წლის ოქტომბერს არ მოსწრებიხარ? ყურმოკვრითაც არაფერი გაგიგია, რა ხდებოდა ბალტიის ფლოტში?! ნუ ცახცახებ კატასავით... სტეპან ტიმოშენკო ჯერ კიდევ მაშინ გახდა ბოლშევიკი, ვიდრე ზოგ-ზოგიერთ დღევანდელ მეტიჩარას დედის რძე შეაშრებოდა პირზე!

– შეიძლება ლეო ვინახულო? – არა. ეგ გამორიცხულია. მისნაირებთან მნახველებს არ უშვებენ.

– მაშინ იქნებ...

– მაშინ იქნებ შინ წახვიდე და ცოტა მაინც დაწყნარდე. მეც მხოლოდ ამის თქმა მინდოდა შენთვის.

– ერთი მეგობარი მყავს, მე მგონი, ისეთ ხალხს იცნობს, შეიძლება...

– ენას კბილი დააჭირე და ამ საქმეში ნურავის გარევ. ორი-სამი დღე მოითმინე.

– ამდენი ხანი?

– აბა რა გირჩევნია, ვეღარასდროს ნახო? ნუ შიშობ, ისე ჩავკეტავ, სხვა ქალი სათოფეზე ვერ მიეკარება.

– ტიმოშენკო წამოდგა და ერთხელაც გაუღიმა კირას. თუმცა წამსვე გაიმკაცრა სახე, გოგოსკენ გადაიხარა, თვალებში ჩახედა.

– როცა დაიბრუნებ, მაგრად ჩაასე კლანჭები! – უთხრა ხმადაბლა.

– ჯერ თუ არა გაქვს, მოიზარდე. იოლი საკბილო არ ჩანს... და კიდევ: ქვეყნის დატოვება აღარც სცადო, შენ საბჭოთა რუსეთის მოქალაქე ხარ და შეიძლება აქაურობა კი გძულდეს, იქნებ აქ სულიც გეხუთებოდეს, მაგრამ აქედან ფეხს ვერ მოიცვლი! ისე, კლანჭებს უკვე გატყობ და მიხედე იმ ბიჭს. მამამისს ძალიან უყვარდა.

კირამ ხელი გაუწოდა. მისი მტევანი სტეპან ტიმოშენკოს გარუჯულ მჯიღში ჩაიმალა.

უკვე კართან მისული კირა შემობრუნდა და მშვიდი ხმით ჰკითხა: – რატომ აკეთებთ ამას?

ტიმოშენკო მისკენ არ იყურებოდა, ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას. ცოტა ხნის შემდეგღა უპასუხა:

– მთელი ომი ბალტიისფლოტში გავატარე. ადმირალი კოვალენსკიც ამ ფლოტს მეთაურობდა და ბრძოლაში დაკარგა თვალის ჩინი. ბევრი არ გვყოლია ეგეთი. წადი, დამეკარგე აქედან!

* * *

– მთელი ღამე შამფურივით ტრიალებ იმ შენს ლეიბზე! – დაიჩივლა ლიდიამ.

– გეგონება, მთელ სახლში თაგვები ფხაკუნობენო. ვეღარ დამიძინია!

– მე მგონი, შენ ჯერ ისევ სტუდენტი ხარ, კირა ალექსანდროვნა, არა? – ქალიშვილს მიუბრუნდა გალინა პეტროვნა.

– თუ მეშლება რამე? ვიქტორმა მითხრა, სამი დღეა ინსტიტუტში არ გამოჩენილაო. იქნებ ინებო და გაგვაგებინო, კიდევ რა ახალი სისულელე ხდება შენს თავს?

ალექსანდრ დიმიტრიევიჩი კი ხმას არ იღებდა. თვლემამორეულს, ხელში სახარინით სანახევროდ სავსე პაწია ბოთლი ეჭირა და ცოლის ნათქვამზე, უცებ ჭყიტა თვალი.

არაფერი უთქვამს კირასაც. გალინა პეტროვნა კი თავისას აგრძელებდა:

– ნახე, როგორი ამოღამებული გაქვს თვალები! წესიერ გოგოს ეგ ეკადრება?

– ასეც ვიცოდი! – წამოიძახა ლიდიამ.

– ასეც ვიცოდი: ისევ რვა კრისტალი ჩადო ექვსის მაგივრად!

* * *

მეოთხე დღეს, საღამოხანს, კარზე ზარმა დარეკა. კირას სახარინიანი ბოთლისთვის თვალი არ მოუშორებია, ბუნებით ცნობისმოყვარე ლიდია კი მაშინვე კარის გასაღებად გაეშურა.

– კირა თუა შინ? – მოისმა ვიღაცის ხმა.

– მაშინვე, სახარინიანი ბოთლი იატაკს დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. ყელზე თითებმოჭერილი კირა კი თვალისდახამხამებაში წინკარში აღმოჩნდა.

ლეო, ცოტა არ იყოს, დამცინავად იღიმებოდა.

– საღამო მშვიდობისა, კირა, – თქვა წყნარად.

– საღამო მშვიდობისა, ლეო. ლიდია გაოცებული შესცქეროდა ორივეს.

კირა გაუნძრევლად იდგა და თვალებით ჭამდა ლეოს, მის ტუჩებს კი თითქოს დამბლა დასცემოდა. გალინა პეტროვნამ და ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა სახარინის დაფასოებას თავი მიანებეს.

– პალტო ჩაიცვი, კირა. გამომყევი, – თქვა ლეომ.

– კარგი, ლეო.

– მიუგო კირამაც და მთვარეულივით წაეპოტინა ლურსმანზე ჩამოკიდულ თავის პალტოს.

ლიდიამ მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა და ლეომაც მაშინვე მას გახედა. ამ გამოხედვის პასუხად, ლიდიას ტუჩებზე თბილმა, ფიქრიანმა ღიმილმა გადაურბინა: ეტყობა, ლეოს მზერა ერთნაირად მოქმედებდა ქალებზე, რადგან მასში არაფერი იგრძნობოდა იმის გარდა, მე მამაკაცი ვარ, შენ კი – ქალიო...

ლიდიამ მასთან გამოლაპარაკებაც დააპირა იმის მიუხედავად, რომ ჯერ ერთმანეთისთვის არც წარედგინათ: ოღონდ არ იცოდა რა ეთქვა და ამიტომ, მხოლოდ უმწეოდ მიჩერებოდა ამ ყველაზე მომ-ხიბვლელ მამაკაცს იმათგან, ვისაც კი მათ ბინაში ოდესმე შემოედგა ფეხი.

– საიდან მობრძანდებით? – როგორც იქნა, ამოღერღა პირველი-ვე შეკითხვა, რაც უცებ, დაუფიქრებლად მოუვიდა თავში.

– ციხიდან, – თავაზიანი ღიმილით მიუგო ლეომ.

კირას უკვე მოესწრო პალტოს ღილების შეკვრა და ახლა ისეთი სახით მიჩერებოდა მოულოდნელ სტუმარს, თითქოს ამქვეყნად სხვა არავის არსებობა აღარც ახსოვდა. ლეომ მესაკუთრის თავდაჯერე-ბით ჩაავლო ხელი და სადარბაზოში გაიყვანა.

– ეს უკვე წარმოუდგენელი...

– წამოიძახა სკამიდან წამომხტარმა გალინა პეტროვნამ, მაგრამ ზუსტად ამ დროს, კარიც გაჯახუნდა.

* * *

მარხილის კოფოზე მობუზულ კაცს ლეომ მისამართი დაუსახელა.

– ეგ სადააო? – თავადვე გაიმეორა კირას დასმული კითხვა და მაშინვე გოგოს ბეწვის საყელოში ჩარგო სახე, როგორც კი მარხილი ადგილს მოწყდა.

– ეგ ჩემი სახლის მისამართია... კი, დამაბრუნეს. მამაჩემის დაპა-ტიმრების შემდეგ ლუქი ედო ჩვენს ბინას.

– როდის...

– დღეს, ნაშუადღევს. ჯერ ინსტიტუტში მივედი შენი მისამართის გასაგებად. მერე შინ შევიარე, ბუხარი დავანთე. აკლდამასავით იყო იქაურობა გაყინული. ორი თვეა, არავინ შესულა. ოღონდ აქამდე გათბებოდა კიდეც.

– კარს მართლაც გე-პე-უ-ს წითელი ბეჭდის კვალი აჩნდა. ახლა ლუქი გაეტეხათ და მისი ორი წითელი ნახევარი აქეთ-იქით დარჩა,

თითქოს გზას უთმობენო.

თავდაპირველად, ჩაბნელებული სასტუმრო ოთახი გაიარეს. ბუხარში დანთებული ცეცხლი წითლად ელამუნებოდა ფეხებზე და გაპრიალებული იატაკის სარკეშიც ირეკლებოდა. ბინაში აშკარად იგრძნობოდა ჩხრეკის კვალი. ირგვლივ ყველგან ქაღალდები ეყარა და სკამებიც წაექციათ. მალაქიტის სადგამებზე ბროლის ორი ლარნაკი იდგა, ოღონდ ერთ-ერთი მათგანი – უკვე გატეხილი. ნამსხვრევები იატაკზე მიმოფანტულიყო და მათში არეკლილი შუქის ნაპერწკლები ბუხრიდან გამოქცეულ ნაკვერჩხლებს წააგავდა.

ლეოს საძინებელ ოთახს ერთადერთი შემორჩენილი, ვერცხლისთალფაქიანი ნავთის სანათური ანათებდა, რომელიც შავი ონიქსით გაწყობილ ბუხარზე შემოედგა მასპინძელს. მოლურჯო ალის მონარჩენები უკვე გაციებულ ნაღვერდალზე ლიცლიცებდა და შვინდისფრად აფერადებდა მის ვერცხლისფერ საფარველს.

ლეომ პალტო კუთხეში მიაგდო. მერე კირასაც თავად შეუხსნა ღილები და მასაც გახადა. სიტყვის უთქმელად, ახლა კაბის საკინძესაც წაეპოტინა. კირა გაუნძრევლად იდგა და არაფერში არ უშლიდა ხელს.

ლეომ გოგოს ნიკაპქვეშ, პაწია თბილ ღრმულს ჩასჩურჩულა:

– წამებაზე უარესი იყო ეს მოლოდინი... სამი დღე და სამი ღამე.

მერე საწოლზე გადააწვინა. სანათის შუქის მეწამული ათინათი დასთამაშებდა კირას შიშველ სხეულს. თავად ლეოს ტანზე არც გაუხდია და არც შუქის ჩაქრობა უფიქრია.

კირამ მოვერცხლისფრო-თეთრად შეღებილ მაღალ ჭერს ახედა.

სატინის რუხი ფარდებიდან ოთახში სუსტი შუქი აღწევდა. ლოგინში წამოჯდა. სიცივისაგან ძუძუები გამკვრივებოდა.

– მე მგონი, უკვე ხვალეც დამდგარა, – თქვა ხმამაღლა.

არადა, ლეოს ჯერ ისევ ეძინა. თავი უკან გადაეგდო, ცალი მკლავი კი საწოლიდან ძირს გადმოეკიდა. ქალის წინდები იატაკზე ეყარა, კაბა კი იქვე, სკამზე ეფინა. ლეოს ოდნავ შეუთრთოლდა წამწამები,

მაშინვე თვალიც გაახილა და თქვა:

– დილა მშვიდობისა, კირა.

კირამ მკლავები გაწვართა, გადაჭდობილი ხელები უკან, კეფაზე ამოიდო, თავის ერთი მოძრაობით, სახიდან თმა გადაიყარა და თქვა:

– არა მგონია, ჩემებს ეს ამბავი მოეწონოთ. ალბათ, შინიდანაც გამაგდებენ.

– შენ ახლა უკვე შინ ხარ, აქ ცხოვრობ.

– მივალ, დავემშვიდობები მაინც.

– რა საჭიროა...

– მე მგონი, მათთან დალაპარაკება აჯობებს.

– შენ იცი. ოღონდ დიდხანს ნუ მალოდინებ. აქ მჭირდები.

* * *

სამი მდუმარე სვეტივით აღმართულიყვნენ სასადილო მაგიდის გარშემო, თვალები ჩაწითლებოდათ და შეშუპებოდათ, უძილო ღამის შემდეგ. კირა მათ მიჩერებოდა. ზურგით კარს აკრულს, მომთმენი და გულგრილი სახე ედო.

– აბა?..

– იკითხა გალინა პეტროვნამ.

– რა „აბა“? – კითხვა შეუბრუნა კირამ.

– ახლაც იტყვი, ირინასთან დავრჩიო?

– არა.

გალინა პეტროვნა წელში გასწორდა და ფლანელის გახუნებული ხალათიც შეისწორა ტანზე.

– არ ვიცი, სადამდე გასტანს ეგ შენი სულელური მიამიტობა! იმას მაინც ვერ ხვდები, ხალხმა რა შეიძლება იფიქროს...

– ვხვდები. წუხელ იმასთან დავრჩი. ლიდიამ წამოიყვირა.

გალინა პეტროვნამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მაშინვე მომუწა პირი.

რაღაცის სათქმელად ალექსანდრ დიმიტრიევიჩმაც დააფჩინა პირი და მერე ასევე დარჩა, პირღია.

გალინა პეტროვნამ ისევ კარისკენ გაიშვირა ხელი.

– მიბრძანდი ჩემი სახლიდან! – ძლივსღა აღმოთქვა მერე.

– და აღარასოდეს დამენახო.

– კარგი.

– მიუგო კირამ.

– ეგ როგორ გაბედე?! ჩემმა შვილმა! ან თვალებში როგორღა გვიყურებ? არც სირცხვილი იცი, არც ვინმეს რიდი გაქვს, შე მართლა წამხდარო და უტიფარო...

– ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, – თქვა კირამ.

– არ ფიქრობდი, რა ცოდვაშიც დგამდი ფეხს? თვრამეტი წლის გოგო და ნაციხარი კაცი! ეკლესია... უკვე ამდენი საუკუნეა... ჩვენი მამა-პაპები... ჩვენი წმინდანები კი ამაზე უარეს დაცემად არაფერს თვლიდნენ! ასე ერთბაშად როგორ გადაუსვი ყველაფერს ხაზი, ჩემმა გაჩენილმა შვილმა... იმ წმინდანებმა კიდევ, ვინაც ჩვენი ცოდვები იტვირთეს...

– შეიძლება, ნივთები წავიღო? – იკითხა კირამ.

– თუ დაიტოვებთ?

– არაფერსაც არ დავიტოვებ აქ შენსას! შენს ამონასუნთქ ჰაერსაც არ გავაჩერებ ამ ოთახში და საერთოდ, შენი სახელის ხსენება აღარ იქნება ამ ჭერქვეშ! – მაგიდაზე თავდახრილი ლიდია გულამოსკვნილი ქვითინებდა.

– დედა...

– ამოისლოკინასავით, ატირებულმა.

– ამას ვეღარ ავიტან! ამისთანა ქალი საცოცხლებელიც კი არაა!

– დროზე მოკრიბე ეგ შენი ბარგი-ბარხანა! – კბილებში გამოსცრა გალინა პეტროვნამ.

– ჩვენ ეს ერთადერთი ქალიშვილიღა დაგვრჩა! შე უნამუსო, შე გარყვნილო ქუჩის...

ლიდია მონუსხულივით მიშტერებოდა კირას ფეხებს.

მოართვა.

* * *

ლეომ კარი გაუღო და ძველ ზეწარში გამოხვეული ხელბარგი ჩამოართვა.

– აქ სამი ოთახია, – უთხრა კირას.

– შეგიძლია, შენ გემოზე მოაწყო ყველაფერი. ცივა გარეთ? ლოყები გაგწითლებია.

– კი, ცივა ცოტა.

– ცხელი ჩაი დაგახვედრე, სასტუმრო ოთახში.

ლეოს მაგიდა ბუხართან ახლოს მიედგა. საგვარეულო ვერცხლეულზე ცეცხლის პატარა ენები კიაფობდნენ. ვეება ფანჯრიდან დანახული რუხი ცის ფონზე, ბროლის ჭაღი იკვეთებოდა. ქუჩის გადაღმა, კოოპერატივთან, მხრებში თავჩარგული ადამიანები იდგნენ გრძელ რიგში. ხვავრიელად თოვდა.

კირამ ხელები ვერცხლის ცხელ ჩაიდანზე შეითბო და მერე ლოყებზე ჩამოისვა.

– ნამსხვრევებია მოსაკრეფი და იატაკიც კარგი დასაგველი. მერე...

გაჩუმდა. დიდი ოთახის შუაგულში იდგა. უცებ, ხელები აქეთ-იქით გაიწვდინა, თავი უკან გადააგდო და სიცილი დაიწყო. გამომწვევად, ეშმაკურად, გამარჯვებულივით იცინოდა.

– ლეო! ..

– იყვირა კირამ..

ლეომ გულში ჩაიკრა. კირამ ქვემოდან ახედა და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ვინმე ქურუმი ქალი ყოფილიყო და მისი სულიც ღვთაების ქედმაღალ ღიმილში გათქვეფილიყო – თითქოს ეს ქურუმი ქალი შესაწირი მსხვერპლიც ყოფილიყო იმავდროულად; ანუ, ერ-

თიცა და მეორეც და თან, ორივეზე აღმატებული. ურცხვად იცინოდა, სულიც კი ეხუთებოდა ამ სიცილისგან, იმდენად აზავთებოდა საკუთარ არსებაში რაღაც ძნელად მოსარევი და მოსათმენი.

ლეოც ჩაცქეროდა თავისი შავი, უძირო თვალებით და სწორედ ის უთხრა, რის ხმამაღლა თქმასაც აქამდე ვერცერთი ვერ ბედავდა.

– თუ იცი მაინც, რამდენი წინააღმდეგობა გვექნება დასაძლევი...

კირამ თავი ოდნავ გვერდზე გადახარა; თვალები გაუფართოვდა, ტუჩებზე ღიმილისმაგვარმა გადაურბინა, სახეზე კი მშვიდი, ბავშვური თავდაჯერება დაეტყო. ფანჯარაში გაიხედა, სადაც ხვავრიელ თოვაში ერთ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ უძრავი, უიმედო, განადგურებული ადამიანები. მერე თავი გადააქნია.

– ყველაფერს მოვერევით, ლეო. ოღონდ – ერთად. ყველას და ყველაფერს შევებრძოლებით: ამ ქვეყანასაც, ამ საუკუნესაც, მილიონებსაც... ამას შევძლებთ. მოვახერხებთ როგორმე.

– ვცადოთ მაინც, – უიმედოდ ჩაილაპარაკა ლეომ.

XI

რევოლუცია იმ ქვეყანაში მოხდა, რომელიც მანამდე მთელი სამი წელი ომში იყო ჩაბმული. ამ სამმა წელმა და რევოლუციამ სარკინიგზო ხაზები მოშალა, მინდვრები გადაბუგა, საცხოვრებელი სახლები აგურების გროვად აქცია და ადამიანებიც აიძულა, ძველი ჩანთა-კალათები მოემარჯვებინათ და უსასრულო რიგებში ჩამდგარიყვნენ მაღაზიებთან – იმის იმედით, ეგებ სასიცოცხლოდ აუცილებელი რამ კბილის გასაკრავი მაინც გვერგოსო. მდუმარე ტყეები თოვლში ჩამალულიყო, არადა ქალაქებში შეშა ფუფუნების საგნად მიიჩნეოდა. საწვავად მხოლოდ ნავთიღა დარჩენილიყო და იმასაც ერთადერთ გასათბობ საშუალებაში თუ ჩაასხამდი – „რევოლუციის დიად მონაპოვრებამდე" ჯერ ისევ შორი გზა ჩანდა, თუმცა ერთი ამგვარი უკვე ხელთ ჰქონდათ: სწორედ ის, რომელსაც დამშეული ხალხი

ცეცხლს გამოსთხოვდა ხორცისათვის, რათა სულში ცეცხლი საბოლოოდ არ ჩაქრობოდათ... ახალი ცხოვრების ამ პირველ მერცხალს, თავისუფალი ქვეყნის ამ პირველ სხივს კი სახელად პრიმუსი ერქვა.

კირამ მაგიდასთან ჩაიმუხლა და პირველ რიგში, სპილენძის პატარა დგუშს დააწვა თითით, რომელზეც წარწერაც კი გაეკეთებინათ: „საუკეთესო პრიმუსი. დამზადებულია შვედეთში". როცა დარწმუნდა, ნავთი წვრილ ძაფად წამოვიდა ჯამშიო, ასანთს გაჰკრა, ცეცხლი აანთო და მერე კიდევ კარგა ხანს აწვალა ის დგუში, სანამ ლურჯი ალი არ აელვარდა შიშინით და ოთახშიც ნავთის სუნი არ დატრიალდა. როცა დარწმუნდა, ცეცხლი კარგად გაღვივდაო, პრიმუსზე ხორბლის ფაფით სავსე ქვაბიც შემოდგა.

– ახლა ბუხართან დადგა მუხლებზე და ნოტიო შეშის თხლად ნაპობი სლიპინა ნაფოტები მობოჭა, რომელსაც ობის მძაფრი სუნი სდიოდა. „ბურჟუიკად" მონათლული ქურის კარი გამოაღო, შეშა შიგ შეტენა, მერე მოჭმუჭნული გაზეთებიც ზედ მიაყოლა, ასანთით ცეცხლი წაუკიდა და ლამის სახით იატაკზე გართხმულმა, მთელი ძალით დაუწყო სულის ბერვა. თვალებზე თმაჩამოშლილი, მაშინვე ნაცრისფერ ბოლში გაეხვა; ბოლი ჭერისკენ ადიოდა, ბროლის ჭაღის ირგვლივ იგრაგნებოდა, ნაცრის რუხი მტვერი კი ნესტოებში უღიტინებდა კირას და წამწამებზეც ეფინებოდა.

„ბურჟუიკა" რკინის ოთხკუთხა ყუთი გახლდათ, რომლის გრძელი მილიც სწორად ადიოდა ჭერამდე, მერე იქ წელში ტყდებოდა და ბუხრის თავზე დატანებულ ხვრელში უჩინარდებოდა. ეს მოწყობილობა სასტუმრო ოთახში ედგათ, რადგან ბუხრის დანთება მეტისმეტად ძვირი დაუჯდებოდათ. შეშა შიშინებდა, აქა-იქ ცეცხლის ალი გამოყოფდა ხოლმე ენის წვერს და კვამლიც ბოლქვებად იფრქვეოდა. როგორც იქნა, რკინის კედლებიც გახურდა და გამომწვარი საღებავის სუნი აუშვა. ამგვარ ქურებს კი „ბურჟუიკებს" იმიტომ ეძახდნენ, რომ თავდაპირველად იმათ დაიდგეს, ვისაც რიგიანი შეშით

ბუხრების დანთება აღარ შეეძლოთ თავიანთი, ერთ დროს მდიდრული ბინების გასათბობად.

ადმირალ კოვალენსკის ბინაც ოდესღაც შვიდი ოთახისაგან შედგებოდა, ოღონდ მერე ოთხი ჩამოართვეს. ამიტომ, მოხუცმა ადმირალმა საგანგებო ტიხარიც ამოაშენა, მთლიანად რომ გამიჯვნოდა ახალ მობინადრეებს. იმჟამად ლეოს საკუთრებაში სამი ოთახი, სააბაზანო და სადარბაზო შესასვლელი რჩებოდა, ახალ მობინადრეებს – ოთხი ოთახი, სამზარეულო და ბინაში უკანა ეზოდან შესასვლელი. კირა საჭმელს პრიმუსზე ამზადებდა, ჭურჭელს კი სააბაზანოში რეცხავდა.

ზოგჯერ, ტიხარსიქიდან ნაბიჯების ხმა, დაგუდული ლაპარაკი და კატის კნავილი მოისმოდა. იქ ახლა სამი სხვადასხვა ოჯახი ცხოვრობდა, თუმცა კირას მეზობლებიდან ჯერ თვალიც არავისთვის მოეკრა.

კირას იქ გადასვლის მეორე დღესვე, როცა ლეომ დილით თვალი გაახილა, სასადილო ოთახში უკვე გაშლილი, თოვლივით ქათქათა სუფრაგადაფარებული მაგიდა დაუხვდა, რომელზეც ცხელი ჩაით სავსე ფინჯნები შემოედგათ, ხოლო თვალებმოცინარი, გახალისებული კირა კარგი დიასახლისივით დასტრიალებდა იქაურობას. ოღონდ სწორედ მაშინ წაუყენა პირობა ლეოს და უთხრა – როცა საჭმელს ვამზადებ, არ უნდა მიყურო, და როცა მიყურებ, ჩემში დიასახლისს არ უნდა ხედავდეო.

ადრე კირამ ყოველთვის იცოდა, რომ ცოცხალი იყო და ცოცხლად დარჩენის აუცილებლობაზე ბევრი არც არასოდეს უფიქრია. უცებ კი აღმოჩნდა, რომ სწორედ სიცოცხლის გაგრძელების უმარტივესი საჭიროება უამრავ ისეთ თავსატეხს უკავშირდებოდა, რისი გადაჭრაც მრავალსაათიანი ძალისხმევას მოითხოვდა მისგან. ძალიან უნდა ეცადა, რათა უბრალოდ, ცოცხალი დარჩენილიყო. იმასაც მიხვდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად, კიდევ უფრო გულგრილად უნდა მოკი-

დებოდა თვითგადარჩენის გაწამაწიას – სხვაგვარად, თუკი ამას ჩვევად გაიხდიდა, მაშინ მთელი მისი ცხოვრება მხილოდ ამ პრიმუსის ცეცხლის ალის დაჟინებულ ცქერამდე და ფეტვის შეჭამანდის ვახშმად შეთბობამდე დავიდოდა. მზად იყო, მთელი მისი დრო სიცოცხლისათვის ამ ბრძოლას შეწირვოდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუკი თავად სიცოცხლე, რაც მისთვის ლეოსთან იგივდებოდა, ასე სუფთა და შეურყვნელი დარჩებოდა მუდამ. ამიტომ, თითქოს უაზროდ დაკარგულ დროს აინუნშიც არ ჩააგდებდა, კრინტსაც არ დაძრავდა ამ დახარჯული დროის ამაოებაზე, თუკი ის მათ შორის ჯებირად არ ჩადგებოდა; არც ძრავდა, მხოლოდ სიხარულის მალული ნაპერწკალი თუ გაუკრთებოდა ხოლმე თვალებში, ამ ბრძოლაში ჩაბმულს. მართლა სიხარულსა და აღტაცებასაც კი ანიჭებდა ეს უცნაური ბრძოლა, რომლისთვის სახელიც ვერ დაერქმია, მხოლოდ შეიგრძნობდა მთელი არსებით. ამ ბრძოლაში მარტო ორნი იყვნენ ჩაბმულნი და რაღაც ვეებასა და გაურკვეველს უპირისპირდებოდნენ – იმას, რაც მათი სახლის კედლებს ეხლებოდა, რაც ქვაფენილზე მოფრატუნე უთვალავი ნაბიჯის ხმაში მოისმოდა, უსასრულო რიგებში ჩაბუდებულიყო... რაც მათ ჭერქვეშ, პრიმუსთან და „ბურჟუიკასთან" ერთად შემოპარულიყო, შვრიის ფაფასა და ნოტიო შეშასთან ერთად, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე მილიონობით მშიერ კუჭთან საბრძოლველად აენთო, საკუთარი მომავლის უფლების მოსაპოვებლად.

ნასაუზმევს, ლეომ პალტო შემოიცვა, ღილები შეიკრა და კირას გამოხედა:

– მიდიხარ დღეს ინსტიტუტში? – კი, მივდივარ.

– გულის გადასაყოლებლად? – ალბათ, ეგრეა.

– სადილად დაბრუნდები? – აუცილებლად.

– მეც ექვსისთვის მოვალ.

ლეო უნივერსიტეტში წავიდა, კირა კი – თავის ინსტიტუტში.

თითქმის მირბოდა, მოყინულ გზაზე ფეხი უცურდა, უცნობებს სახეში შესცინოდა, გარღვეული თათმანიდან გამოყოფილ, შეწითლებულ თითს მალი-მალ სულს უბერავდა და ბოლოს, უკვე დაძრულ და სიჩქარეაკრეფილ ტრამვაისაც შეახტა. მერე კი, უკვე ვაგონში შესულმა, მომხიბლავი ღიმილით განაიარაღა პირქუში კონდუქტორი ქალი, რომელმაც დანახვისთანავე შეუღრინა:

– დასაჯარიმებელი ხარ, მოქალაქე! მასე ერთხელაც იქნება და ფეხებს წაიცლი...

ლექციებზე სულ ცქმუტავდა, მალ-მალე დახედავდა ხოლმე გვერდით მჯდომ სტუდენტს მაჯის საათზე და ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა შინ – როგორც ადრე, ბავშვობაში, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეობისას, როცა იცოდა რომ თავის დაბადების დღეზე, შინ უამრავ საჩუქარს დაახვედრებდნენ. ახლა კი, თავის ახლანდელ ბინაში, არაფერი ელოდებოდა პრიმუსის, შვრიის ფაფისა და წვნიანისათვის დასაკეპი კომბოსტოს მეტი და მაინც, როცა ლეოც დაბრუნდებოდა და წინკარიდანვე შეეხმიანებოდა, ვითომც გულსგარეთ უპასუხებდა – არ მცალიაო, არადა ბედნიერებისაგან გაებადრებოდა სახე, წვნიანის ქვაბიდან ამომავალ ოხშივარში გახვეულს.

ნასადილევს, ლეომ „ბურჟუიკასთან" მიიტანა თავისი წიგნები და კირამაც მის მაგალითს მიბაძა. ლეო პეტროგრადის უნივერსიტეტში ისტორიას და ფილოსოფიას სწავლობდა, თან მუშაობდა კიდეც. როცა ამ ორიოდე თვის წინ, ცხოვრების ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, საიდანაც მამის დაპატიმრებასა და დახვრეტას ამოეგდო, აღმოჩნდა რომ მისთვის ადგილი შეენარჩუნებინათ. ეტყობა, „გოსიზდატში" – სახელმწიფო გამომცემლობაში, ლეოს მართლა აფასებდნენ. საღამოობით, აგიზგიზებული „ბურჟუიკის" გამონაშუქზე, ის ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენებიდან თარგმნიდა წიგნებს, ოღონდ ეს წიგნები არაფრად მოსწონდა: უცხოელ მწერალთა ამ რომანებში ერთთავად ღატაკ და პატიოსან მუშებზე იყო ლაპარაკი, რომელთაც

პურის ნაჭრის ქურდობისთვის სვამდნენ ციხეში, არადა იმათ შიმშილისაგან, როგორც წესი, დედა ანდა ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი უკვდებოდათ, მანამდე ვიღაც კაპიტალისტსაც რომ გაეუპატიურებინა და ბოლოს, თავსაც რომ იკლავდა, რის გამოც იგივე ყოვლისშემძლე კაპიტალისტი ახლა ქმარსაც აგდებდა ქარხნიდან; მერე მათი შვილი იძულებული ხდებოდა, ლუკმაპური ქუჩა-ქუჩა ეძებნა, მაგრამ ისიც იგივე კაპიტალისტის ლიმუზინის ბორბლებქვეშ ამთავრებდა სიცოცხლეს...

ლეო მაინც არ ეშვებოდა ამ საქმეს, რადგან შეეძლო შინ ემუშავა და გასამრჯელოსაც რიგიანს იღებდა. თუმცა, ყოველ ჯერზე, როცა გამომცემლობაში ფულს უხდიდნენ ხოლმე, ამასაც ამატებდნენ: „ორნახევარი პროცენტი პროლეტარული თავდაცვის წითელი ქიმიის საზოგადოების ნებაყოფლობით საწევრო დაგიქვითეთ; ამას გარდა, ხუთი პროცენტი წითელი სამხედრო-საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ, სამი – წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრის ფონდში გადარიცხა, ხუთი – სოციალური დაზღვევისა და კიდევ...“

როცა ლეო სამუშაოს უჯდა, კირა ცდილობდა ხმა არ გაეღო, ანდა სულაც თავის ნახაზებს, ტაბულებსა და გრაფიკებს ჩაკირკიტებდა. მოკლედ, ცდილობდა არანაირად არ შეეშალა მისთვის ხელი.

– მათ მყუდროებას ზოგჯერ სახლმმართველი თუ არღვევდა: კეფაზე ქუდმოგდებული შემოალაჯებდა და ხან გაყინული მილების აღსადგენ ფულს აგროვებდა, ხან – საკვამურების გაწმენდის, ხან სადარბაზოს განათების (ვიღაც მამაძაღლი წამდაუწუმ იპარავს ნათურებსო), ხან სახურავის შეკეთების და ხანაც – მობინადრეებისაგან ნებაყოფლობით შენატანს ითხოვდა წითელდროშოვანი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

კირა და ლეო ერთმანეთში მოკლე-მოკლე, თითქოსდა ზოგადი, სასხვათაშორისო ფრაზებით ლაპარაკობდნენ, ოღონდ სახეზე ორივეს კარგად დამახსოვრებული საერთო საიდუმლოს კვალი ედო

ხოლმე. აი, როცა ვერცხლისფრად ჩამუქებულ საძინებელში გადიოდნენ, იქ კი ორივეს გულიანად ეცინებოდა და მათი მზერა, ტუჩები, სხეულები წამსვე ხარბად ეწაფებოდა ერთმანეთს. კირა ვერც გეტყოდათ, მაინც რამდენჯერ ეღვიძებოდათ ღამ-ღამობით, ზუსტად სად გრძნობდა სხეულზე ლეოს ტუჩებს და ვერც იმას, მტკივნეული იყო თუ არა ეს შეგრძნება. მერე, ღამის მდუმარებაში, ყურში მხოლოდ ლეოს მშვიდი სუნთქვაღა ჩაესმოდა. გამოღვიძებული, მთელი ძალით მიეკრობოდა ხოლმე ქმარს, სახეს იმის იღლიაში ჩამალავდა და კისერზე თუ წამწამებზე კაცის ამონასუნთქს გრძნობდა. სულ ბოლოს, მკლავზე კბილებს დაასობდა და ლეოს სხეულის სუნით გაბრუებული, ერთიანად ირინდებოდა.

* * *

ლეოს პეტროგრადში ნათესავები არ ჰყავდა.

დედა რევოლუციამდე გარდაეცვალა. თვითონ ერთადერთი ბავშვი იყო ოჯახში. ლეოს მამა, დასალიერზე ჩამუქებულ ტყეებს შერწყმული ლურჯი ცის ქვეშ იდგა ხოლმე, პურის უკიდეგანო ყანას გასცქეროდა და ფიქრობდა, ოდესმე ეს ყანაცა და ტყეებიც ჩემი შავტუხა, შავთვალა ბიჭის საკუთრებად იქცევაო და ამის გაფიქრებაზე, მწიფე თავთავებს დანათებულ მზეზე უფრო უნათდებოდა გული.

ადმირალი კოვალენსკი იშვიათად ჩნდებოდა მეფის კარზე. სამეფო სასახლის სარკესავით მბზინავ იატაკზე დგომას გემბანზე დგომა ერჩია – იქ უფრო მყარად იკიდებდა ფეხს. მაგრამ როცა მაინც უწევდა სასახლეში გამოჩენა, მუდამ გრძნობდა, ყველა რა გაფაციცებით, გაოგნებითა და შურით უცქერდა მის თანმხლებ ქალბატონს. მისი ცოლი, ძველი და კეთილშობილი გვარის შვილი, თითქოს თავად სრულყოფილებას განასახიერებდა და მის ნაკვთებსაც საუკუნოვანი მშვენიერების უზადო ხიბლი გამოარჩევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ადმირალ კოვალენსკის უცებვე გამოერია საფეთქლებზე

ჭაღარა. თუმცა გულის სიღრმეში, ხმამაღლა გამოუთქმელი სიტყვებით, მაინც მადლობას სწირავდა უფალს, რომ მან მეუღლე წაართვა და არა ვაჟიშვილი.

ადმირალი ერთნაირი ხმით გასცემდა ბრძანებებსაც და შვილსაც ამავე ხმით ელაპარაკებოდა ხოლმე. ზოგი ამბობდა, მეზღვაურების მიმართ მეტისმეტ ლმობიერებას იჩენსო, ზოგი კი შვილის მიმართ ზედმეტ სიმკაცრეს საყვედურობდა. არადა, ადმირალი ლამის აღმერთებდა და ყველა სურვილსაც უსიტყვოდ უსრულებდა თავის ბიჭს, რომლის სახელიც უცხოელმა აღმზრდელებმა თავისებურად გადაასხვაფერეს და რუსული „ლევ" – ლათინურ „ლეოდ" უქციეს.

აღმზრდელები, მსახურები თუ სტუმრები ერთნაირი აღტაცებით შესცქეროდნენ ლეოს – სწორედ ისე, როგორც ადმირალის სამუშაო ოთახში მდგარ აპოლონის ქანდაკს; იმგვარივე უმწეო მოწიწებით, რასაც უხსოვარი დროის თეთრი მარმარილოს ცქერა აღძრავდა მათში. ლეოს კი მხოლოდ ეღიმებოდა ამაზე და მის ამ ღიმილს სიტყვიერად გამოთქმულ ბრძანებაზე მეტი ზემოქმედება შეეძლო – ნებისმიერ იმის თხოვნას წამსვე ბრძანების ძალა ეძლეოდა ხოლმე.

იმ დროს, როცა მისი ტოლ-ამხანაგები ჩურჩულით უამბობდნენ ერთმანეთს უახლეს ფრანგულ წიგნებში ამოკითხულ ამბებს, ლეო სპინოზასა და ნიცშეს ციტატებს იშველიებდა. მკაცრი მამიდის მიერ დაარსებულ ქალთა საქველმოქმედო კლუბის შეკრებებზე კი დამსწრეთ ოსკარ უაილდის ნაწარმოებებს უკითხავდა ხმამაღლა. მუდამ თავგამოდებით ამტკიცებდა – დასავლური კულტურა რუ-სულს აღემატებაო და თამამად ეკამათებოდა მამამისის მეგობარ, ჭაღარა დიპლომატებს, თავგამოდებულ სლავიანოფილებს, ვისაც დანახვისთანავე უცხოურ ყაიდაზე, ცოტა დამცინავადაც კი ესალმებოდა – ალლო, ბატონო ჩემოო. ერთხელ, მამის თხოვნით აღსარებაზე მისულმა ისეთები გაუმხილა საცოდავ მოხუც მღვდელს, თავის დღეში რომ არ გაეგონა და ლამის სირცხვილისაგან დამწვარიყო ამ თვრამეტი წლის ბიჭის მაგივრად...

ლეოს მამის კაბინეტში გამოკიდული, ხელმწიფის პორტრეტიც აღიზიანებდა, ისევე როგორც ტახტისადმი მამამისის მონური ერთგულება. იმ დროს, თვითონ უკვე ახალგაზრდა რევოლუციონერთა საიდუმლო შეხვედრებზე დაიარებოდა, მაგრამ როცა ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე, ვიღაც პირტიტველა სტუდენტმა კაცთა შორის საყოველთაო ძმობა-თანასწორობაზე ჩამოაგდო სიტყვა და ლეოც „ამხანაგად" მოიხსენია, წამოდგა, ღმერთო, ფარვიდე ხელმწიფესაო! – ჩაიღიღინა და იქაურობას გაეცალა.

ქალთან საწოლში პირველი ღამე თექვსმეტი წლისამ გაატარა. როცა მერე, ეს ქალბატონი ერთ-ერთ პატივცემულ ოჯახში თავად მასპინძელმა წარუდგინა, ლეო თავაზიანად, არაფრისგამომხატველი სახით, როგორც მართლა უცნობს, ისე ეამბორა ხელზე, ქალის ყოყოჩი ქმარი კი ვერც ვერასოდეს მიხვდა, რა სახის გაკვეთილებს უტარებდა მისი ქედმაღალი მეუღლე ამ შავგვრემან, ტანაყრილ ყმაწვილკაცს.

– მერე ამას არაერთი სხვა თავგადასავალიც მოჰყვა. ერთხელ, ადმირალსაც მოუწია ჩარევა და ლეოსთვის იმის შეხსენება, შეიძლება ჩემს სამხედრო კარიერასაც დაემუქროს საფრთხე, თუკი გამთენიისას ისევ მოგკრავენ თვალს, როგორ გამოდიხარ მავანი ცნობილი მოცეკვავე ქალის სახლიდან, ვისი ცისფერსისხლიანი მწყალობელის სახელის თქმასაც ხალხი მხილოდ ჩურჩულით ბედავსო...

– რევოლუცია რომ მოხდა, ადმირალ კოვალენსკის დაბრმავებულ თვალებზე შავი სათვალე ეკეთა, ღილკილოში – წმინდა გიორგის ორდენის ბაფთი ებნია, ლეო კოვალენსკის კი ამრეზილი, დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ისევ უწინდებურად ამაყად დაიარებოდა, ხოლო ხელში ახლა უკვე უსარგებლოდ ქცეული შოლტი ეჭირა.

* * *

ორი კვირის განმავლობაში, არც კირა მოუკითხია ვინმეს და არც

თავად სტუმრებია თავისიანებს. ბოლოს, ირინას მონახულება გადაწყვიტა.

კარი მარია პეტროვნამ გაუღო. მისალმების ნიშნად, რაღაც გაუგებარი ჩაიბურტყუნა და შემკრთალმა და შეშინებულმა, მაშინვე რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

ოჯახის დანარჩენი წევრები სასადილო ოთახში შემოსხდომოდნენ ახლადშეძენილ „ბურჟუიკას". გახარებული ირინა წამოხტა და დეიდაშვილი გადაკოცნა, რაც ადრე არასოდეს უქნია.

– როგორ გამიხარდა, კირა! მეგონა, ჩვენსკენ აღარც გამოიხედავდი! კირას კი მაშინვე ოთახის კუთხისკენ გაექცა მზერა:

– როგორ გიკითხო, ძია ვასილი? – გაუღიმა სკამიდან წამომდგარ ბიძას.

იმას კი პასუხი არ გაუცია, ზედაც არ შეუხედავს სტუმრისთვის, ზურგი შეაქცია და ოთახიდან გავიდა.

ირინას სახეზე სიწითლემ გადაკრა და ტუჩი მოიკვნიტა.

მარია პეტროვნა თითებით ცხვირსახოცს აწვალებდა. სავარძელს მოფარებული პატარა ასია თვალებგაფართოებული მიჩერებოდა კირას, ის კიდევ ეს-ესაა მიხურულ კარს ვერ აშორებდა თვალს.

– რა ლამაზი ჩექმები გაცვია, კირა, – ჩაიბუტბუტა მარია პეტროვნამ, თუმცა ეს ჩექმები ადრეც უკვე არაერთხელ ენახა.

– თბილი იქნება... ისეთი ყინვები დაიჭირა, ნუ იტყვი!

– კი, ახლაც თოვს, – გულსგარეთ მიუგო კირამ.

ოთახში ვიქტორიც შემოიზლაზნა. ფეხზე საშინაო ფლოსტები წამოეცვა, გაღეღილი ხალათის შიგნით კი პიჟამა მოუჩანდა. შუადღეს კარგა ხნის წინ გადაცილებოდა, მაგრამ მას ჯერ თმაც არ გადაევარცხნა და ნამძინარევს, ჩაწითლებული თვალებიც შეშუპებოდა.

– კირა! ამას კი არ ველოდი...

– ხაზგსმულად თავაზიანად გაუწოდა ხელი, მერე მაგრად ჩამოართვა და თვალებშიც ისე ჯიქურ ჩააშტერდა, თითქოს მათ შორის რაღაც საიდუმლო იმალებოდა.

– არ გელოდით, მაგრამ ჩვენ დროში იმდენი მოულოდნელობა ხდება...

არც უფიქრია მეტისმეტად შინაურული იერის გამო მოებოდიშა და ოთახშიც ისე უდარდელად მიდი-მოდიოდა, თითქოს საგანგებოდ უნდოდა მიენიშნებინა – შენთვის ამაში არც არაფერი უნდა იყოს გასაკვირიო.

– მე მგონი, ამხანაგ ტაგანოვზე არ უნდა იყოს ლაპარაკი, არა? კარგი, ეგრე გაოცებული ნუ მიყურებ... არ იცი, ჩვენს ინსტიტუტში რომ არაფერი დაიმალება? ასეა თუ ისე, ამხანაგ ტაგანოვისნაირი მეგობარი მუდამ საჭირო კაცია... თანამდებობაც შესაფერისი აქვს, თუკი ვინმე შენიანი ციხეში ამოყოფს თავს.

– ვიქტორ, – შეაწყვეტინა ირინამ.

– ღორს გავხარ და ღორივით იქცევი... წადი, პირი მაინც დაიბანე!

– როცა შენს ჭკუაზე დავიწყებ სიარულს, ჩემო ძვირფასო დაიკო, შეგიძლია გაზეთში განცხადებაც კი გამოაქვეყნო ამის თაობაზე!

– ბავშვებო, ბავშვებო, – უმწეოდ ავიშვიშდა მარია პეტროვნა.

– წავედი ახლა, გავიქეცი, – თქვა კირამ.

– ინსტიტუტში მივდიოდი და გზად შემოგიარეთ.

– გეხვეწები კირა, არ წახვიდე! – სთხოვა ირინამ.

– რა ვქნა, ძალიან მეჩქარება, ლექციაზე ვაგვიანებ.

– კარგი რა! – ბრაზი მოერია ირინას.

– ხომ ხედავ, კითხვისაც ეშინიათ... მაგრამ სანამ წახვალ, მე მაინც გკითხავ: ვინაა ეგ კაცი?

– ლეო კოვალენსკი.

– იმისი შვილი ხომ არ...

– ოხვრას ამოაყოლა მარია პეტროვნამ.

– კი, ეგრეა. – დაუდასტურა კირამ.

სტუმარმა ზურგსუკან კარი რომ გაიხურა, ვასილი ივანოვიჩი მე-

რეღა შემობრუნდა ოთახში. მარია პეტროვნამ მაგიდაზე ხელი მოაფათურა, თავისი პატარა ქლიბი მოიძია და გამალებული შეუდგა ფრჩხილების დაქლიბვას; თან ცდილობდა, ქმრისთვის თვალი აერიდებინა. ვასილი ივანოვიჩმა „ბურჟუიკას" ხის ნაფოტი შეუკეთა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

– მამა, რა ქნა კირამ ისეთი...

– წამოიწყო ირინამ.

– ეგ საკითხი ამ ოჯახში არ განიხილება, – იქვე ჩააჩუმა შვილი ვასილი ივანოვიჩმა.

– შეიშალა სამყარო, – თქვა მარია პეტროვნამ და ისევ ხველა აუტყდა.

ვიქტორი ყველაფრის უსიტყვოდ გამგები კაცის მზერით მიაჩერდა მამამისს. ოღონდ ვასილი ივანოვიჩს არც ის გაუხდია საპასუხო გამოხედვის ღირსად. პირიქით, ზურგიც კი შეაქცია, გამომწვევად. ის უკვე მრავალი კვირის მანძილზე ერიდებოდა შვილთან საუბარს.

ასია კარადის გვერდით, კუთხეში მიყუჟულიყო და საწყალობლად თხლუპუნებდა.

– მოდი ჩემთან, ასია, – მიიხმო ვასილი ივანოვიჩმა. –გოგო მორჩილად, ფეხათრევით მიუახლოვდა, თან ცხვირის წვერს იწმენდდა სახელოთი.

– ასია, სულ ასეთი ცუდი ნიშნები რატომ გაქვს? – ჰკითხა ვასილი ივანოვიჩმა.

გოგოს არაფერი უპასუხნია, მხოლოდ ქსუტუნებდა.

– არითმეტიკაში ისევ წაიბორძიკე? – ეგ სულ ტრაქტორების ბრალია.

– რისი?!

– ტრაქტორების. ვერაფერი ვერ გავუგე.

– რა ვერ გაუგე?

– რა და, სასოფლო საბჭოს თორმეტი ტრაქტორი ერგო და ექვს გაჭირვებულ სოფელზე უნდა გადაენაწილებინათო...

– მერე? – თითო სოფელს რამდენი შეხვდებოდაო? – თორმეტი რომ ექვსზე გაყო, რამდენი იქნება, ასია? ასიამ ისევ ამოითხლუპუნა.

– შენი ხნის ირინა კლასში საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა, – ხელი ჩაიქნია ვასილი ივანოვიჩმა და ბავშვს თავი ანება.

ასიაც მაშინვე გაიქცა, მარია პეტროვნას სკამს ამოეფარა.

ვასილი ივანოვიჩი ოთახიდან გავიდა. მერე, მის კვალად, ვიქტორმაც მიაშურა სამზარეულოს. ვასილი ივანოვიჩმა ზურგსუკან შვილის ნაბიჯები ეგებ გაიგონა კიდეც, მაგრამ ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევია. სამზარეულოში ბნელოდა. ფანჯრის შუშა ჩატეხილიყო და მასზე ახლა ფიცრები აეკრათ. იატაკზე, გრძელი ნაპრალების გასწვრივ, შუქის სამი წვრილი, კაშკაშა ზოლიც ეფინა. ხელსაბანის ქვეშ თავად ვასილი ივანოვიჩის მოჭმუჭნული პერანგები დაეხვავებინათ. დაიხარა და სარეცხი სპილენძის ტაშტში ჩაყარა, რომელშიც მერე ცივი წყალიც ჩაასხა, მოლურჯო საპნის ნაჭერი აიღო და მოუქნელად შეუდგა რეცხვას. ხელმოკლეობის გამო, მოსამსახურე ქალი დაეთხოვათ, მარია პეტროვნას კი შერყეული ჯანმრთელობა აღარ აძლევდა საოჯახო საქმის გაძღოლის საშუალებას.

– რა ხდება, მამა? – ჰკითხა ვიქტორმა.

– თვითონაც მშვენივრად იცი, – თავიც არ მიუბრუნებია, ისე გაეპასუხა ვასილი ივანოვიჩი, თან გამალებული ჭმუჭნიდა პერანგის გასაპნულ საყელოს.

– არა, მართლა არ ვიცი! – ლამის იყვირა ვიქტორმა.

– დავაშავე რამე?

– ის გოგო თუ ნახე? – ვინ, კირა? და რა მერე?

– მეგონა, სიცოცხლესაც კი ვანდობ-მეთქი, მაგრამ რევოლუციამ წაახდინა, გატეხა, მაგასაც მოერია. შემდეგი შენა ხარ.

– დაიცა, მამა...

– ჩემ დროს პირველივე შემხვედრის ლოგინში ჩაწოლა ქალს ღირსებად ნამდვილად არ ეთვლებოდა!

– კირა ხომ...

– ალბათ, დროს ჩამოვრჩი. ოღონდ იმნაირი გამაჩინა ღმერთმა, როგორიც ვარ და ალბათ, სიკვდილამდე ასეთად დავრჩები... თქვენ კი, ახალგაზრდები, ჯერ კიდევ დამწიფებამდე ლპებით! თქვენ რომ გკითხოთ კაცმა, ეს სოციალიზმიო, კომუნიზმიო, მარქსიზმიო... აი, პატივი და ღირსება კი წყალსაც წაუღია!

– არა, მე...

– შენ კიდე სხვანაირად გაგტეხენ წელში! გგონია, ვერაფერს ვხედავ? ის რა ხალხი იყო შენთან, ამასწინათ? დღესაც გამთენიისას დაბრუნდი საიდანღაც...

– კი მაგრამ, ხანდახან პატარა დროსტარებაც არ შეიძლება? – და ვისთან ერთად ატარებ დროს? – ძალიან მომხიბვლელ გოგონებთან! – ეგ არ მიკვირს... კიდევ?

ვიქტორმა სახელოდან რაღაც ნამცეცი ჩამოიბერტყა და მერეღა უპასუხა:

– იყო ერთი-ორი კომუნისტიც... ვასილი ივანოვიჩს ხმა აღარ გაუღია.

– მამა, მოდი გულწრფელად დავილაპარაკოთ! ამ ხალხთან ხანდახან ცოტა არყის დალევა არაფერს მავნებს, მომავალში კი შეიძლება ძალიანაც წამადგეს...

– არის რაღაც, რის გამოც საკუთარ სინდისს არ უნდა გაურიგდე!

– ვასილი ივანოვიჩის ხმაში წინასწარმეტყველის შეუვალმა სიმტკიცემ გაიჟღერა, ხელებს კი ჯერაც საპონიან ცივ წყალში აფათურებდა.

ვიქტორს გულიანად გაეცინა და მამას ღონიერ, დაკუნთულ მხრებზე შემოხვია ხელი:

– კარგი რა, ბებერო! მე და შენ ხომ უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის. რა გირჩევნია – ყურები ჩამოვყარო და გულხელი დავიკრიფო მარტო იმიტომ, ახლა ისინი რომ დგანან ხელისუფლების სათავეში?

მე ხომ იმათი დამარცხება მინდა, თამაშის იმათივე წესებით! სწორედ მაგას ვაპირებ. დიპლომატია და მხოლოდ დიპლომატია – ჩვენი დროის საუკეთესო ფილოსოფიაც ესაა. ახლა დიპლომატიის საუკუნეა, არ მეთანხმები? შენ მე ყველაზე კარგად მიცნობ: ცუდში ვერაფერში ჩამითრევენ – ვიცი, რა ოჯახშიც გავიზარდე.

ვასილი ივანოვიჩი შვილს მიუბრუნდა, სახეზე ფიცარაკრული ფანჯრიდან შემოღწეული სინათლის სხივი დასთამაშებდა და ახლა წინასწარმეტყველისას ნამდვილად არ მიუგავდა ხმა. ხშირი წარბების ქვეშ, თვალები დაღლილი და უმწეო მოუჩანდა და ღიმილიც ნაძალადევი აჩნდა.

– მჯერა შენი, შვილო. ალბათ, შენი საქმისა შენ უკეთ მოგეხსენება, მაგრამ დრო მართლა უცნაური გვიდგას. მე კი შენი და ირინას გარდა, ცხოვრებაში აღარაფერი დამრჩენია.

* * *

იმ თავისი სანათესაოდან ახალ ბინაში კირას პირველი ირინა ესტუმრა. ლეო მას მოხდენილი, ნატიფი თავაზიანობით მიესალმა, ირინამ კი ერთი შეავლო თვალი, ჩაიცინა და ალალად უთხრა:

– მომწონხართ და ეჭვიც არ მეპარებოდა, ასე რომ იქნებოდა ყველაფერი. იმედია, თქვენც მოგეწონებით, რადგან ჯერ-ჯერობით და ალბათ კიდევ დიდხანს, ერთადერთი მოკეთე ვარ კირას მხრიდან. ისე, დარწმუნებული იყავით, დანარჩენებიც სულს ამომხდიან თქვენზე შეკითხვებით.

დიდ, ნახევრად ბნელ სასტუმრო ოთახში ისხდნენ და რემბრანდტზე საუბრობდნენ, რომლის შემოქმედებასაც ირინა აკადემიაში სწავლობდა. მერე ფრანგულ სუნამოებზეც ჩამოაგდეს სიტყვა, კონტრაბანდისტებისაგან რომ შეეძინა ვავა მილოსლავსკაიას – ნამდვილი „კოტი“, რომლის ერთი წვეთი ირინასაც დაეპკურებინა მალულად და მერე მარია პეტროვნას, ამ სურნელის შეყნოსვისთანავე, ძველი მოგონებები შემოსწოლოდა და ცრემლიც კი მოსდგომოდა

თვალზე. გაიხსენეს ირინას ნანახი ერთი ამერიკული ფილმიც, რომელშიც ქალებს ერთობ თამამი სამოსი ეცვათ, ღამის ნიუ-იორკი კი – თავის ცათამბჯენებითა და ვიტრინებით, თვალისმომჭრელად კაშკაშებდა. სწორედ ამის გამო, ირინას ზედიზედ ორჯერ ენახა ეს ფილმი და ახლა ძალიან უნდოდა, ღამის ნიუ-იორკი დაეხატა კიდეც.

უცებ, მაგიდაზე დადებულ რაღაც წიგნს დასწვდა და გამალებული შეუდგა ხატვას მის თეთრ თავფურცელზე. როცა მოათავა, წიგნი კირას გადაუგდო. კირამ ნახატს დახედა – ეს ლეოს შიშველი სხეულის ჩანახატი აღმოჩნდა.

– ირინა! – თუ გინდა, აჩვენე. ლეოს გაეღიმა და ირინას მიაჩერდა.

– ასე უფრო ბუნებრივი ჩანხარ, – აუხსნა იმანაც.

– და არ მითხრა ახლა, ზედმეტად გამალამაზეო. მაინც არ დაგიჯერებ. არის რაღაც, რასაც მხატვრის თვალს ვერ გამოაპარებ, თუნდაც ჩაცმულდახურული... გაქვს რამე სათქმელი?

– კი. ეს წიგნი გამომცემლობის საკუთრებაა.

– კარგი, მაშინ...

– წარბი არ შეიხარა ირინამ და ფურცელი ხელის ერთი მოძრაობით ამოხია.

– ეტყვი რომ რევოლუციური შინაარსის პლაკატის დასახატად გამოვიყენეთ.

წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, როგორღაც პირისპირ დარჩა კირასთან. დაჟინებით, ცნობისმოყვარედ, თანაგრძნობითაც კი მიაჩერდა და ჩურჩულით ჰკითხა:

– ერთი ეს მითხარი... ბედნიერი ხარ? – კი, ბედნიერი ვარ, – რაღაცნაირად გულგრილად მიუგო იმან.

კირა იშვიათად თუ გადაუშლიდა ვინმეს გულს, საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი კი საერთოდ არ სჩვეოდა. თუმცა, არსებობდა ერთი ადამიანი, რომელთანაც გამონაკლისს უშვებდა – ფიქრსაც უზიარებდა და არც გრძნობებს უმალავდა. ეს კაცი მისთვის სხვა მხრივაც

გახლდათ გამორჩეული, ოღონდ ამის მიზეზი თვითონაც ვერ აეხსნა. კომუნისტებმა კირას შიში ჩაუნერგეს – იმის შიში, რომ მათთან ურთიერთობამ, საუბარმა ან თუნდაც მათმა ცქერამ, ვაითუ მეც წამახდინოსო. არც მათი იარაღის, არც მათი ციხეების ეშინოდა, არც მათი იდუმალი, დაჟინებული მზერის, არამედ უფრო მათი კოპებშეკრული გამომეტყველების მიღმა დამალული რაღაცის; შესაძლოა, იმ რაღაცასაც მხოლოდ თავად მიაწერდა სულ ტყუილად, მაგრამ ეს გამომეტყველება მაინც ისეთ განცდას უჩენდა, თითქოს ველურ მხეცთან რჩებოდა პირისპირ, ხახადაფჩენილ მტაცებელთან, რომლის ზნესაც ვერასოდეს ამოიცნობდა. აი, ანდრეი ტაგანოვს კი დანახვისთანავე მუდამ მეგობრულად უღიმოდა ხოლმე. იმ დღესაც. ინსტიტუტის ცარიელი აუდიტორიის კედელს აეკრო, თვალები გაუბრწყინდა, სახეზე მოკრძალებული, მიმნდობი, ლამის ბავშვური ღიმილი გადაეფინა და უთხრა:

– ბედნიერი ვარ, ანდრეი.

უკვე რამდენიმე კვირა აღარ ენახათ ერთმანეთი. კაცმაც გულიანად გაუღიმა, მშვიდად, თან გაფაციცებულ თვალებში ჩასცქეროდა.

– მომენატრე, კირა.

– მეც მომენატრე, ანდრეი. ოღონდ... არ მეცალა.

– არ მინდოდა შინ გსტუმრებოდი. მგონი, შენც გირჩევნია, თქვენთან აღარ მოვიდე ხოლმე.

– იცი რა...

– მაშინვე ენას დააჭირა კბილი. არ შეეძლო მისთვის ამის თქმა. ვერც თავის ახალ ბინაში, უფრო სწორად, ლეოს ბინაში მიიპატიჟებდა.

– არა, ეს სახიფათოც კი იქნებოდა. ანდრეი გე-პე-უ-ს თანამშრომელი იყო და გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა. არ ღირდა ალბათ, მისი ცდუნება. ამიტომ, კირამაც ესღა უთხრა:

– კი, ანდრეი.. ალბათ უკეთესი იქნება, ჩვენთან თუ აღარ მოხვალ.

– ასეც ვიზამ, მაგრამ შენც თუ ნაკლებად გააცდენ ლექციებს, ცუდი არ იქნება. ხანდახან მაინც გნახავ და იმასაც გავიგებ, რომ თურმე, ბედნიერიც ყოფილხარ... მაგ ნაქთვამმა მართლა გამახარა!

– შენ თუ ყოფილხარ როდისმე ბედნიერი, ანდრეი?

– უბედური არასოდეს ვყოფილვარ.

– მერე, ეგ საკმარისია?

– რა გითხრა, აბა... ყოველთვის ვიცი რა მინდა და როცა ეგ იცი კაცმა, მიზნისკენაც იოლად მიდიხარ. ზოგჯერ ჩქარობ, ზოგჯერ წელიწადში ერთადერთი ნაბიჯით თუ მიუახლოვდები... და თუ სწრაფად მიიწევ წინ, ალბათ თავსაც უფრო ბედნიერად გრძნობ, არ ვიცი. ვერ დავიჩემებ. უკვე დიდი ხანია, განსხვავებას ვეღარც ვარჩევ, რადგან როცა მუდმივად მოძრაობ, მაგას აღარცა აქვს მნიშვნელობა.

– და რამე ისეთი თუ მოგინდა, რისკენაც ვერ მიდიხარ? – ეგეთი ჯერ არაფერი გამომიცდია.

– მაშინ, იცი რა მითხარი: როგორ მოიქცეოდი, ცხოვრების გზაზე ისეთი ვითარება რომ დაგხვდეს, რისი გადალახვაც არ მოგინდებოდა?

– არც ეგ დამმართნია არასოდეს. უცებ, კირას თითქოს რაღაც ახალმა აზრმა გაუნათა გონება: – ანდრეი, არც კი გიკითხავს, ბედნიერი რატო ხარო! – თუ მართლა მასეა, მიზეზს რაღა მნიშვნელობა აქვს. ანდრეიმ კირას ორი თხელი, მიმნდობი ხელი ცალ მუჭში მოიმწყვდია, ხუთი ღონიერი თითი შემოაჭდო.

* * *

გაზაფხულის პირველ ნიშნებად პეტროგრადში ცრემლი და ღიმილი იქცა: ადამიანები იღიმოდნენ, შენობები კი ცრემლად იღვრებოდნენ.

მაღლა სახურავებზე, თოვლი დნებოდა – ქალაქის მჭვარტლისა-

გან ჭუჭყიან ბამბასავით განაცფრისფერებული, შაქრის სველი ნატეხივით მყიფე და ბრჭყვიალა... მოციმციმე წვეთები ჯერ ნაკადულებად იღვრებოდა, მერე კი ხმაურით მორაკრაკებდა საწვიმარ მილებში, რათა ბოლოს საწრეტებში ჩაღვრილიყო და გზად, სიგარეტის ნამწვავები თუ მზესუმზირის ჩენჩო გაეყოლებინა თან. ხალხი სახლებიდან გარეთ გამოეფინა, ხარბად ისუნთქავდა გაზაფხულის ჰაერს და თავადაც არ იცოდა, რატომ ეღიმებოდა უნებურად, ვიდრე უცებ, ცას არ ახედავდა და არ დაინახავდა, რომ მას ჯერ ისევ სუსტი, ავადმყოფურად მორუხო ელფერი ედო, ოდნავ სილურჯეში გადასული – თითქოს მხატვარმა საღებავშერჩენილი ფუნჯი დიდ წყლიან ჯამში გააღანღალა და თვალისთვის ძლივს შესამჩნევად შეაფერადაო.

ფეხქვეშ თოვლისა და ტალახის ნარევი ჭყაპუნობდა, ზიმზიმა კალოშებს კი მზის თეთრი ათინათი დასთამაშებდა. მეეტლეები ილანძღებოდნენ და ძლივს უქცევდნენ გზას ბინძური თოვლის ზვინებს; ვიღაც დაჟინებით უხმობდა სახარინის მყიდველებს; დამდნარი თოვლის წვეთები ჯიუტად. მოულლელად, გულისგამაწვრილებლად კენკავდა ქვაფენილს... „აბა იები, მოქალაქეებო! “ – გაიძახოდა ყვავილების გამყიდველი გოგო.

პაველ სეროვს თავისთვის ახალი ფეხსაცმელი შეეძინა. მზის შუქზე თვალმოჭუტულმა, ამხანაგ სონიას გახედა და მერე ქუჩის კუთხეში მდგარი მოვაჭრისაგან კომბოსტოს ცხელ-ცხელი, დაბრაწული ღვეზელი უყიდა. სონიამ მადიანად ჩაკბიჩა, გაუღიმა.

– სამ საათზე ლექცია მაქვს კომკავშირულ უჯრედში: „ჩვენი როლი ნეპთან მიმართებაში“, – უთხრა პირგამოტენილმა.

– ხუთზე კი მუშფაკის კლუბში გამოვდივარ სიტყვით, პროლეტარი ქალების განათლებაზე უნდა ვილაპარაკო; შვიდზე პარტიულ კლუბში იმართება დისკუსია – „კოლექტივიზმის სულისკვეთება“. იქნებ ცხრაზე შემოიარო? ბოლო დროს საერთოდ ვეღარც გხედავ...

– სონია, ჩემო კარგო! შენ ძვირფას დროს აბა, როგორ წაგარ-თმევ! ჩვენნაირებს მხოლოდ კლასობრივი პასუხისმგებლობა აკისრიათ და პირადი ცხოვრებისთვის ვეღარც ვიცლით.

ფეხსაცმლის მაღაზიების წინ ყველგან გრძელი რიგები იდგა: პროფკავშირებს საგანგებო ბარათები დაერიგებინა თავისი წევრებისათვის, კალოშების შესაძენად.

მარია პეტროვნა თითქმის მთელი დღე არ წამომდგარა ლოგინიდან – იწვა, ჩაკეტილი ფანჯრიდან გასცქეროდა გაზაფხულის მზეს და ცდილობდა, ქმარ-შვილისთვის ხელში ჩაბღუჯული ცხვირსახოცი არ დაენახვებინა.

– ამხანაგ ლენინს შეტევა გაუმეორდა და მეტყველების უნარი წაერთვა. გაზეთი „პრავდა“ წერდა: „...სხვას არავის გაუღია უფრო დიდი მსხვერპლი პროლეტარიატის საქმის გასამარჯვებლად, ვიდრე ჩვენს ბელადს, ვინც დაუფიქრებლად სწირავს საკუთარ ჯანმრთელობას და უყოყმანოდ კისრულობს არაადამიანურ პასუხისმგებლობას, რათა მუშათა და გლეხთა მოლოდინი გაამართლოს! “.

ვიქტორს სამი კომუნისტი მეგობარი მიეწვია თავისთან და ახლა მის ოთახში პროლეტარული ელექტროფიკაციის მომავალზე კამათობდნენ. ვასილი ივანოვიჩისათვის სტუმრებთან შეხვედრა რომ აერიდებინა, მათ უკანა კარიდან შემოუძღვა სახლში.

ინგლისი მუხანათურ გეგმებს აწყობდა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ; შესაბამისად, სკოლებში ინგლისური ენის სწავლება აიკრძალა.

პატარა ასიასაც გერმანულის შესწავლა მოუწია და ერთთავად იტანჯებოდა ბრუნებების, უღლებებისა და ნაცვალსახელების სქესის ერთმანეთისაგან გასარჩევად; თან კიდე იმის დამახსოვრებაც უწევდა, რა მოემოქმედათ გერმანელ კლასობრივ ძმებს ქალაქ რაპალოში.

გამომცემლობის ხელმძღვანელმა ლეოს უთხრა:

– ხვალ მთელი ქალაქის მშრომელები მსვლელობას აწყობენ რურის მხარის მიმართ საფრანგეთის პოლიტიკის დასაგმობად. იმედი მაქვს. ყველა ჩვენი თანამშრომელიც იქ იქნება, ამხანაგო კოვალენსკი.

– მე მთელი დღე ლოგინში მომიწევს წოლა, – მიუგო ლეომ.

– ხვალ თავი მეტკიება...

ვასილი ივანოვიჩმა სასტუმრო ოთახის სანათურის თალფაქი გაყიდა, თვითონ სანათური კი დაიტოვა, როგორც უკანასკნელი.

უკვე თბილ, მაგრამ ჯერაც ბნელ საღამოობით, ეკლესიები მრავალრიცხოვანი მლოცველებით, საკმევლის სუნითა და სანთლების გამონაშუქით ივსებოდა. ლიდიაც სხვებთან ერთად, გულმხურვალედ ლოცულობდა წმინდა რუსეთისათვის და ღმერთს სულში ჩაბუდებული მუდმივი შიშის განელებასაც ევედრებოდა.

ანდრეიმ კირა ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავზე" დაპატიჟა ოპერისა და ბალეტის თეატრში. მერე მოიკაზე მიაცილა, საიდანაც კირა უკვე მარტო, ტრამვაით გაემგზავრა თავისი ახალი სახლისაკენ. წვრილი თოვლი წვიმასავით უსველებდა სახეს.

– აბა, რაო იმ შენმა კომუნისტმა თაყვანისმცემელმა? – ჰკითხა ლეომ.

– მოიწყინე უჩემოდ? – თითქოს შეკითხვა არც გაუგონიაო, ისე გადაუგდო კირამ.

ლეომ შუბლიდან თმა გადაუწია, ტუჩებზე დააცქერდა და მერე, თითქოს შეგნებულად იკავებს თავს კოცნისაგანო, ჩუმად უთხრა:

– გეტყოდი არა-მეთქი, მაგრამ მაინც არ დამიჯერებ...

მერეღა შეეხო თბილი ტუჩებით გაზაფხულის ცივი წვიმით დასველებულ კირას ტუჩებს.

როგორც ნებისმიერ სხვა წელიწადს, გაზაფხული 1923-შიც დადგა.

XII

კირა სამი საათი იდგა პურის რიგში, ინსტიტუტის კოოპერატივთან. იღლიაში პურამოჩრილი, მხოლოდ შებინდებისასღა ჩამოვიდა ტრამვაიდან. ქუჩის კუთხეებში აღმართული ლამპიონები სინათლის ზოლებს აფენდა ჩამუქებულ გუბეებს. კირა ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას, არც გუბეებს ერიდებოდა და ფეხსაცმლის წვერით ჩატეხილი თხელი ყინული შუშასავით ემსხვრეოდა ფეხქვეშ. სახლს რომ მიუახლოვდა, ბნელს გამოყოფილი ჩრდილი სტვენით შეეხმიანა.

– ალლო! – მერე გასძახა კიდეც ირინამ.

– აბა, ასეთ მისალმებაზე ვინ გაგახსენდა?

– ირინა! ამ დროს აქ რას აკეთებ?!

– შენთან ვიყავი. მთელი ერთი საათი გელოდე, სანამ იმედი არ გადამეწურა.

– წამო, შევბრუნდეთ.

– არა. ჯობია აქვე გითხრა. რაღაცის სათქმელად მოვედი... მოკლედ, შეიძლება ლეოს არ მოეწონოს... თან ეს მისი სახლია...

– ირინა ისევ შეყოყმანდა, რაც საერთოდ, არანაირად არ სჩვეოდა.

– თქვი ახლა, ამოღერღე! – კირა... ფულის საქმე როგორ გაქვთ? – გადასარევად. რატომ მეკითხები?

– რატომ და... იცი, შეიძლება ეს ჩემი საქმე არცაა, მაგრამ... ოღონდ შენ არ გამიბრაზდე... ხომ იცი, ადრე არც მიხსენებია, მაგრამ... ისინი ხომ შენიანები არიან, შენი ოჯახია!

კირა ირინას შეშფოთებულ სახეს მიაჩერდა ბინდში.

– რა დაემართათ?

– ცუდ დღეში არიან, კირა. ძალიან მძიმე დღეში. ვიცი, დეიდა გალინა მომკლავს, თუ გაიგო რომ... მოკლედ, ის სახარინის გადამყიდველი დააპატიმრეს. ექვსი წელი მიუსაჯეს. ახლა თქვენებს რა ეშველებათ? იმ კვირას მამაჩემმა ერთი გირვანქა ფეტვი მიუტანა – ხომ

იცი, არც ჩვენ გვილხინს... დედაჩემი ლოგინიდან თითქმის ვეღარც დგება. გასაყიდიც არაფერი დაგვრჩა, კედელზე გაკრული ქაღალდის მეტი... თქვენებიც ზუსტად ეგეთ დღეში არიან. ვიფიქრე, იქნებ... რა ვიცი, არ უნდა მეთქვა?

– აი, ეს პური გამომართვი, – უთხრა კირამ.

– ჩვენ არ გვჭირდება. ბოლო-ბოლო, კერძო მაღაზიაში ვიყიდით. რაც გინდა ის მოიგონე – ვიპოვე, ვისესხე, ან სულაც მოვიპარეთქო... ოღონდ მე არ მახსენო.

* * *

მეორე დღეს, კარზე გალინა პეტროვნამ დარეკა ზარი. კირა შინ არ იყო. კარი ლეომ გააღო და სტუმარს მოხდენილად დაუკრა თავი.

– როგორც ვხვდები, თქვენ... ჩემი სიდედრი ბრძანდებით? – ჰკითხა ქალს.

– სავარაუდოდ, ასე უნდა იყოს, – განუცხადა გალინა პეტროვნამ.

ლეოს გადამდებმა ღიმილმა წამსვე განაიარაღა და ახლა თავადაც ღიმილით მიაჩერდა.

კირა რომ დაბრუნდა, ცრემლიც ბევრი დაიღვარა. სანამ რამეს იტყოდა, გალინა პეტროვნამ ქალიშვილი გულში ჩაიკრა და მერეღა ასლუკუნდა:

– კირა, შვილო... ჩემო გოგო... ღმერთმა შეგვინდოს ჩვენი შეცოდებები... საშინელი დროა, უკუღმართი... ბოლოს და ბოლოს, რა უფლება გვაქვს, განგიკითხოთ... დაინგრა ყველაფერი... საერთოდ აქვს კი რამეს მნიშვნელობა? რომ შეგვეძლოს, უბრალოდ დავივიწყოთ, დამსხვრეული გავამთელოთ... ღმერთი თუ გვიჩვენებს გზას, თორემ ჩვენ საბოლოოდ აგვებნა უკვე...

მერე ხელი უშვა, კარტოფილის ფქვილით სავსე პაწია ტომსიკიდან ცხვირი შეიფიფქა და ჩაიბუტბუტა:

– რაც შეეხება იმ პურს, კირა... ჩვენ ხელიც არ გვიხლია. არც გამოვაჩინე. შემეშინდა, ვაითუ თქვენც მშივრები დარჩეთ-მეთქი... აი,

უკან მოგიტანეთ. მარტო ერთი თხელი ნაჭერი ჩამოვაჭერი მამაშენისთვის... ძალიან შიოდა საწყალს.

– გრძელი ენა აქვს ირინას, – თქვა კირამ.

– ჩვენ ეგ პური არ გვჭირდება, დედა. მაგაზე არ იდარდო. წაიღე და მოიხმარე.

– აუცილებლად უნდა გვესტუმროთ, – თქვა გალინა პეტროვნამ.

– ორივე. რაც იყო, იყო. რა თქმა უნდა, ვერ ვხვდები, რატომ არ გინდათ... მაგრამ კარგი, ეგ თქვენი პირადი საქმეა. დღეს სხვა ცხოვრებაა, გინდაც ამ ათი წლის წინანდელთან შედარებით. მოკლედ, აუცილებლად შემოგვიარეთ, ლეო – შეიძლება ასე მოგმართოთ? ლიდიას ერთი სული აქვს, როდის გაგიცნობთ.

* * *

პურის ყიდვა კერძო მაღაზიებშიც შეიძლებოდა, მაგრამ კირა ფასის გამო ყოყმანობდა.

– მოდი, სადგურში გავიდეთ, – უთხრა ლეოს.

რკინიგზის სადგურების მიმდებარე ბაზრობებზე შედარებით სიიაფე კი იყო, მაგრამ ეს მაინც ყველაზე სახიფათო ადგილებად ითვლებოდა მთელს ქალაქში. იქ უმკაცრესი წესები მოქმედებდა ცალკეული „სპეკულანტების" მიმართ, ვისაც სურსათ-სანოვაგე კანონის გვერდის ავლით ჩამოქონდათ სოფლებიდან. ეს ჩამოძონძილი, ე. წ. გადამყიდველები მაინც ბედავდნენ მატარებლების სახურავებსა თუ საფეხურებზე მოკალათებულებს ემგზავრათ, ან სულაც ფეხით ეზილათ შორი გზების ტალახი, არც ბაღლინჯოს შეპუებოდნენ, არც ტიფის შინებოდათ და ქალაქში დაბრუნებულები, ხელისუფლების ფხიზელ თვალსაც დამალვოდნენ. სოფლად ნაშოვნი საქონელი ქალაქში ან დამტვერილი ჩექმის ყელში დამალული შემოჰქონდათ, ან მკბენარებით გაძეძგილი პალტოს სარჩულში ჩაკერებული, ანდა ჭუჭყიანი

საცვლების ფუთებში ჩატენილი. დამშეული ქალაქი მოუთმენლად ელოდა თითოეული მატარებლის ჩამოდგომას, მერე კი სადგურის მიმდებარე პატარ-პატარა, ჩაბნელებულ ქუჩებში დიდი გაცვლა-გამოცვლა და აღებ-მიცემობა იმართებოდა. ბროლის თასები თუ მაქმანიანი სუფრები ღორის ქონსა და ობიან ფქვილში იცვლებოდა.

– ხელიხელგაყრილი კირა და ლეო ძველი სამეფო სადგურისკენ გაემართნენ. ფილაქანზე წვეთებს გაუდიოდა ტყაპატყუპი და თითოეული ჩამოვარდნილი წვეთიც თითქოს გაზაფხულის მზის პაწია ნამსხვრევივით ბრჭყვინავდა. ქუჩის კუთხეში ლეომ იის კონა იყიდა და ძველ, შავ პალტოზე მიუბნია კირას. ქალს ბედნიერმა ღიმილმა გაუნათა სახე, მაშინვე ყინულის აპკმოდებულ გუბეში ჩაკრა ფეხი და ვიღაც გამვლელიც გაწუწა უნებურად.

მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. ძლივს გაიკვლიეს გზა მომლოდინე ხალხის ბრბოში, ძლივს გაერიდნენ იმათ მუჯლუგუნებს. მატარებლიდან ჩამოსულებს ჯარისკაცები ათვალიერებდნენ უხმოდ, გაფაციცებით, იჭვნეულად.

ერთ-ერთი ვაგონის კიბიდან ფრიად უცნაურცხვირიანი კაცი ჩამოვიდა. ეს ცხვირი იმდენად მოკლე ჰქონდა და ისე მკვეთრად აპრეხილი, ორი ფართო, დამრეცად გაჭრილი ნესტო მთლად შვეულად მოუჩანდა სახეზე. ცხვირიდან მასიურ ყბამდე კი გვარიანი საულვაშე დარჩენოდა. სიარულისას, მუცელი ლაბასავით უთახთახებდა. პალტო ლამის ნაფლეთებად ქცეოდა, ფეხსაცმელებზე კი ტალახი შეხმობოდა.

ჯარისკაცმა დანახვისთანავე მკლავში სტაცა ხელი. ის და მისი ამხანაგი უკვე გაჩხრეკასაც უპირებდნენ, როცა ის კაცი საწყალობლად ავიშვიშდა:

– ამხანაგებო! ძმებო! ღმერთია მოწმე, გეშლებათ რაღაც! მე ერთი საწყალი გლეხი ვარ, ძმებო! უპოვარი და გაჭირვებული, გადამყიდველობა ჩემ დღეში არც მიფიქრია! შეგნებული მოქალაქე ვარ. თუ გამიშვებთ, რაღაცას გეტყვით...

– შენ რა უნდა გვითხრა, შე ძაღლიშვილო!

– დაიცათ, იმ ქალს ხედავთ? აი ეგაა გადამყიდველი! ნამდვილად ვიცი. ისიც ვიცი, სად მალავს სანოვაგეს, ჩემი თვალით დავინახე!

ჯარისკაცებმა ახლა ქალს წაავლეს ხელი. იმათ მჯიღებში საცოდავს მკლავები მთლად ჩონჩხის ძვლებივით გამოუჩნდა. თავზე შავი, ბუმბულით გაწყობილი ძველებური ქუდი ეხურა, რომლის ქვემოდანაც თვალებზე ჩამოშლოდა თმა. ჩავარდნილ მკერდზე ჯვარედინად გასკვნილი, ნაქარგი ღაზლი ჩქარ-ჩქარა აუდ-ჩაუდიოდა, თითქოს ფანჯრის შუშას ზარბაზნების შორეული ზათქი აზრიალებსო. ქალმა პირი დააღო, ამოიგმინა და სამი ჩაყვითლებული კბილი გამოუჩნდა:

– ამხანაგებო... ეს ჩემი შვილიშვილისთვისაა... გაყიდვა თავშიც არ მომსვლია... შვილიშვილისთვის მინდა... ძალიან გთხოვთ, გამიშვით ამხანაგებო... ბავშვს სურავანდი სჭირს... უნდა ჭამოს... გემუდარებით...

ჯარისკაცებმა ქალი სადღაც წაათრიეს. ამ გაწევ-გამოწევაში ქალს ქუდი მოსძვრა, თუმცა მისი აღება არავის უფიქრია, მერე კი ვიღაც გამვლელმა ფეხიც დაადგა იმ შავ ბუმბულს...

უცნაურცხვირიანი ამ ყველაფერს ჩუმად ადევნებდა თვალს, მერე კი წითელ, მსუქან ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა. უცებ იგრძნო, კირა რომ მიჩერებოდა და იდუმალი სახით, შეთქმულივით ჩაუკრა თვალი. იქვე თავის გადაქნევითაც ანიშნა გასასვლელისკენ. კირა და ლეოც ცოტა არ იყოს, დაბნეულები მიჰყვნენ უკან.

ბნელ შესახვევში, სადგურის გვერდით, კაცმა იჭვნეულად მიიხედ-მოიხედა, ისევ ჩაუკრა თვალი ორივეს და პალტოს კალთა გადაიწია. ამ ჩამოძონძილ სამოსელს შიგნიდან მძიმე, ძვირფასი ბეწვის მბზინავი სარჩული ედო და მიხაკის ზეთის სუნი უდიოდა, რასაც მატარებლების მგზავრები ტილებისაგან თავდასაცავად ხმარობდნენ ხოლმე. კაცმა რამდენიმე უცნაური სამალავის პირი მოხსნა, სარ-

ჩულქვეშ ხელი იდაყვამდე ჩაიყო და ბოლოს, ერთი პური და შებოლილი ხორცის მოზრდილი ნაჭერი ამოაძვრინა იქიდან. სახე გაებადრა, უფრო სწორად – რაღაც ღიმილისმაგვარი დაეტყო ტუჩებსა და სახის ქვედა ნაწილზე, ზედა კი – ის პაჭუა ცხვირი და მარღი, ვიწრო თვალები დამბლადაცემულივით უგრძნობელი დაურჩა.

– აი, მოქალაქეებო! – გამოაცხადა თავმომწონედ.

– პურიც მაქვს, შაშხიც და რა გინდა სულო და გულო! შარში არ გაეხვევით – ვიცი მე ჩემი საქმე...

წამის მერე, კირა უკვე თავპირისმტვრევით მირბოდა ქუჩაში – ვერც კი იაზრებდა, რას ვაკეთებო, იმდენად უნდოდა რაც შეიძლება შორს გასცლოდა უეცრად მოძალებულ, სრულიად უჩვეულო, მძიმე განცდას.

* * *

– პატარა წვეულება იქნება, კირა, საყვარელო! მთლად ვიწრო წრეში.

– ისმოდა ყურმილში ვავა მილოვსკაიას ხმა.

– შაბათ საღამოს... ასე, ათი საათისთვის. ლეო კოვალენსკის ხომ მოიყვან? ვგიჟდები, ისე მინდა მისი გაცნობა! რა ვიცი, ასე – 15-20 კაცი... და აი, კიდევ რა – ერთი პატარა უხერხულობა ამბავია – ლიდიაც დავპატიჟე და იქნებ, მისთვისაც მოგეყვანა ვინმე? მე კი ჩამოვწერე სტუმრების სია, მაგრამ ყველა წყვილ-წყვილადაა, ჩვენ დროში კი წესიერი კაცის პოვნა, ხომ იცი... მოკლედ, ეგებ შენ იცნობდე ვინმეს?

სულ ერთია...

– სულ ერთია? კომუნისტი რომ იყოს?

– კომუნისტი? აი ეგ მესმის! კარგი შესახედია? აბა რა, მოიყვანე! ვიცეკვებთ კიდეც, ცოტას დავლევთ... გემრიელი რამე-რუმეებიც მექნება. კი, რა თქმა უნდა! კინაღამ დამავიწყდა – ყველა სტუმარს ვთხოვე, თითო ნაჭერი შეშა გამოაყოლოს ხელს... ეგრეა, ყველამ

თითო. სასტუმრო ოთახის გასათბობად. იმოდენაა, მარტო ჩვენ ვერ... არ გა-გიჭირდება? კარგი გოგო ხარ. აბა, შაბათამდე!

1923 წელს პეტროგრადში წვეულებები იშვიათად იმართებოდა. კირა კი საერთოდ პირველად დაპატიჟეს. გადაწყვიტა, ანდრეი წაეყვანა. ცოტა არ იყოს, დაღალა ამ ტყუილებმა და თან ისიც უკვირდა, ასე შორს როგორ შევტოპეო. ლეომ ანდრეის თაობაზე ყველაფერი იცოდა, ანდრეიმ კი ლეოზე – საერთოდ არაფერი. კირამ თავადვე უამბო ლეოს ანდრეისთან მეგობრობის ამბავი; ლეოს ამის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, მხოლოდ შემწყნარებლურად იღიმოდა ანდრეის ხსენებაზე და ხანდახან თავადაც მოიკითხავდა ხოლმე – რას შვება ის შენი კომუნისტი ბიჭიო. რაც შეეხება ანდრეის, ის კირას ახლობლებიდან არავის იცნობდა და არც ჭორებს მიეღწია მის ყურამდე. თვითონ არასოდეს არაფერს ეკითხებოდა კირას, პიროვნულად შეასრულა და შინაც აღარც ერთხელ აღარ სტუმრებია. მხოლოდ ინსტიტუტში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ლაპარაკობდნენ მომავალზე, ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე, ასევე – ბალეტზეც, ტრამვაისა და ათეიზმზეც. უსიტყვო შეთანხმების თანახმად, საბჭოთა რუსეთზე საუბარს ორივე ერიდებოდა. თითქოს უფსკრული ყოფდათ, მაგრამ სულის სიმტკიცის წყალობით, ამ უფსკრულის აქეთ-იქიდანაც ახერხებდნენ ერთმანეთისათვის ხელის გაწვდენას.

მზემოკიდებული, ტუჩის კუთხეებთან ოდნავ შესამჩნევი, ნაოჭებიანი სახე ანდრეის შუასაუკუნეების დროინდელ წმინდანს მიუგავდა. ჯვაროსნული ლაშქრობების ხანიდან მას მემკვიდრეობით ერგო დაუნდობლობა, ერთგულება და მკაცრი თავშეკავება. კირა მას-თან სიყვარულზე ლაპარაკს ვერც ბედავდა – ეგ კი არა, მისი თანდასწრებით ფიქრსაც ვერ ბედავდა ამაზე. იმიტომ არა, მისი მხრიდან პირქუში გულისწყრომის რომ ეშინოდა – პირიქით, უფრო ანდრეის ყინულივით ცივი გულგრილობის წარმოდგენა აშინებდა.

– მაგრამ უკვე აღარც ამ ყველაფრის დამალვის სურვილი აღარ

ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ორი კაცი ერთმანეთს ხომ მაინც უნდა შეხვედროდა ოდესმე. ისე, ამ შეხვედრაზე ფიქრიც უკარგავდა მოსვენებას – მშვენივრად ახსოვდა, რომ ერთ-ერთი მათგანი დახვრეტილი მამის შვილი იყო, მეორე კი – გე-პე-უ-ს თანამშრომელი.

ვავასთან მოსალოდნელი წვეულება მშვენიერი შემთხვევა იქნებოდა გაცნობისათვის და თუკი ამ წვეულებაზე ანდრეი სიმართლეს შეიტყობდა. კიდევ უკეთესი – მერე ეგებ, უკვე თავისთანაც მიეპატიჟა ანდრეი.

ერთმანეთს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შეხვდნენ და კირამაც პირდაპირ ჰკითხა:

– ანდრეი, ბურჟუაზიულ წვეულებაზე დასწრება ხომ არ შეგაშინებს?

– შენც თუ იქ იქნები და დამიცავ, მაშინ – არა...

– კი, მეც ვიქნები. შაბათ საღამოსაა დანიშნული. მე და ლიდია უნდა მივიდეთ, ორ კაცთან ერთად. ერთი შენ იქნები.

– ძალიან კარგი. თუ რა თქმა უნდა, ლიდიას ჩემი არ ეშინია.

– მეორე... ლეო კოვალენსკი იქნება.

– ბიჭოს...

– მაშინ მისი მისამართი მართლა არ ვიცოდი, ანდრეი.

– მე არც მიკითხავს, კირა. მაგას საერთოდ არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა.

– ათის ნახევარზე შემოგვიარე, მოიკის ქუჩაზე.

– მახსოვს შენი მისამართი.

– ჩემი მისამართი... ჰო, რა თქმა უნდა.

* * *

ვავა მილოვსკაია წინკარში ეგებებოდა სტუმრებს.

სახეზე მომხიბლავი ღიმილი დასთამაშებდა; შავი თვალები და თმის კულულები ვიწრო წელზე შემორტყმული ტყავის ნატიფი ქამარივით უბზინავდა, კაბაზე დაბნეული ტყავისავე პაწია ყვავილები კი

– საბჭოური მოდის ბოლო გამოძახილი – მთლად იმ შავი თვალებივით უციმციმებდა.

ყველა სტუმარს თითო ნაჭერი შეშა დაეიღლიავებინა. მაღალ-მაღალი, პირქუში, შავებში ჩაცმული, გახამებულწინსაფრიანი და თავზე ქუდდაკოსებული მოახლე ქალი უხმოდ ართმევდა ხელიდან მათ ამ უცნაურ ძღვენს.

– კირა, ლიდია! საყვარლებო... რა გამახარეთ! როგორ ხართ?

– ყღურტულებდა ვავა.

– ლეო, თქვენზე კი იმდენი მსმენია, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულიც ვარ...

– მიუბრუნდა ლეოს და ხელი გაუწოდა. ლეოს საპასუხო მზერის მნიშვნელობა ლიდიამაც კი სულ იოლად ამოიკითხა, ხოლო რაც შეეხება ვავას, იმას თითქოს სული შეუგუბდაო, ნაბიჯით უკან დაიხია და დაჟინებით მიაჩერდა კირას; ოღონდ კირას ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევია. სულ ბოლოს, ვავამ ანდრეისთვისაც მოიცალა:

– ესე იგი, თქვენა ხართ ის კომუნისტი, არა? ძალიან კარგი. სულ იმას ვამბობდი, კომუნისტებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან-მეთქი.

ვეება სასტუმრო ოთახი მთელი ზამთარი არ გაეთბოთ. ახლაც სულ ცოტა ხნის წინ დაენთოთ ბუხარი. ბოლი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას საკვამურში და დროდადრო, ოთახისკენაც დააღირებდა ხოლმე თავს. მორუხო ნისლი ბურავდა საგულდაგულოდ დაპრიალებულ სარკეებსა და საგანგებოდ დაწკრიალებულ მაგიდებს, რომლებზეც ამაყად გამოეფინათ ათასნაირი უსარგებლო სამშვენისი. საზეიმო განწყობას, რის შესაქმნელადაც მასპინძელს თავი არ დაეზოგა, მხოლოდ ოთახში დამდგარი ნოტიო შეშის სუნიღა თუ აფუჭებდა.

სტუმრები ოთახის კუთხეებში მობუზულიყვნენ, სიცივისაგან კანკალებდნენ ძველ ღაზლმოსხმულები თუ ძველსავე სვიტრებში გამოწყობილები. მართალია, სამოსიდან რიგიანი ბევრი ვერაფერი შე-

მორჩენოდათ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ, უშუალო და თავდაჯერებული გამომეტყველება მაინც შეენარჩუნებინათ. ხელები მჭიდროდ მიეკრათ ტანზე – იქნებ გამორღვეული იღლიები მაინც არ გამოგვიჩნდესო. იდაყვები მაგრად დაებჯინათ მუხლებზე – ნაკერების დასაფარად და გაცვეთილ ფეხსაცმელსაც მორცხვად მალავდნენ სკამებქვეშ. ხშირ-ხშირად იღიმებოდნენ, უმიზეზოდ და ნებისმიერ სისულელეზე მეტისმეტად ხმამაღლა იცინოდნენ. ყველანი დაძაბულად, უხერხულად გრძნობენ თავს და თითქოს სინდისიც ქენჯნიდათ ამ დავიწყებული, სათაკილო მხიარულების გამო. მოწყენილები მიჩერებოდნენ ბუხარს, ძალზე უნდოდათ, ოღონდ კი ვერ გაებედათ, უკეთესი ადგილები დაეკავებინათ ცეცხლის სიახლოვეს. მოკლედ, ყველას სციოდა და ყველა თავგამოდებით ცდილობდა, როგორმე მხიარულების ნიღაბი მოერგო სახეზე.

ერთადერთი, ვისი ხალისი და მხიარულებაც სრულიად ბუნებრივი ჩანდა, ვიქტორი გახლდათ – ფართო ნაბიჯებით მიდი-მოდიოდა ოთახის კუთხეებში გაფანტული ჯგუფიდან ჯგუფისკენ და გულიანი ღიმილითა თუ როხროხა ხმით, დანარჩენების გამხნევებასაც ცდილობდა.

– აქეთ მობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებო! ნახეთ, როგორ აბრიალდა ცეცხლი! უცებ გათბება აქაურობა... აი, ჩემი ულამაზესი დეიდაშვილებიც მობრძანებულან, ჩემი კირა და ლიდია! სასიამოვნოა, ამხანაგო ტაგანოვ, ძალიან სასიამოვნო... აი, ამ სავარძელში ჩაჯექი, ლიდია – საგანგებოდ შენთვის შემოვინახე! რიტა, ძვირფასო, შენ სმირნოვის ახალი რომანის გმირ ქალს მაგონებ... ჯერ არ წაგიკითხავს? გადასარევი რამაა – ფორმის ყავლგასული გაგებისაგან სრულიად გათავისუფლებული ლიტერატურა! ახალი დროის ქალი თავისუფალი, მომავლისკენ მაცქერალი... ამხანაგო ტაგანოვ, ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არაფერი ჩაუფიქრია! როცა გადაიანგარიშებ, ელექტროენერგიის რა წილი მოვა თითოეულ მოქალაქეზე... ვავა, ეგ ტყავის

ყვავილები მართლა უკანასკნელი სიტყვაა ქალის მშვენიერების გამოსახატავად! მე მგონი, პარიზის ყველაზე ცნობილი მოდელიერებიც კი... თავიდან ბოლომდე ყველაფერში გეთანხმები, ბორის... შოპენჰაუერის უიმედოობას საბოლოოდ გაუვიდა ყავლი იმ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ფილოსოფიური ხედვის ფონზე, რასაც აღორძინებული პროლეტარიატი ამკვიდრებს! სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის პოლიტიკური შეხედულებები, მიუკერძოებლობა უნდა გამოვიჩინოთ და ვაღიაროთ – მომავლის მმართველი ძალა მართლაც მუშათა კლასი იქნება...

– მოკლედ, ვიქტორმა მშვენივრად მოირგო მასპინძლის როლი. ვავას შავი თვალებიც, ერთთავად ოთახში აქეთ-იქით მოსიარულე ვიქტორისკენ რომ იყო მიმართული, უხმოდ, აღტაცებით ადასტურებდა ამ უფლებას; ზარის ყოველ დარეკვაზე კი წინკარში გარბოდა და იქიდან მორცხვად მომღიმარ, კიდევ ერთ ახალ წყვილთან ერთად ბრუნდებოდა ხოლმე. ეს ახლადმოსულები გათოშილ ხელებს იფშვნეტდნენ და ძალიან ცდილობდნენ, საკუთარი სამოსის ხინჯი რამენაირად შეენიღბათ. მათ კვალში ის პირქუში მოახლე მოსდევდათ, უსიტყვოდ და მათ მიერ მოტანილ შეშის ნაჭრებს ისეთი სახით ალაგებდა ბუხართან, თითქოს ცხელ-ცხელი კერძი შემოაქვსო.

თამბაქოს ტრესტის თანამშრომელი – ქერა, პირმრგვალი კოლია სმიატკინი შეშფოთებული გაიძახოდა:

– ამბობენ... მოკლედ, ყური მოვკარი – მგონი ჩვენთან ხალხის შემცირებას აპირებენ იმ თვეში. ყველა ამაზე ჩურჩულებს. შეიძლება, ამჯერად მეც მიმაყოლონ... შეიძლება – არა. დიდ გაუგებრობაში ვართ.

ტანმაღალმა ვაჟბატონმა, რომელსაც ოქროს ჩარჩოიანი პენსნე ეკეთა და მარად მშიერი ფილოსოფოსის თვალებით იმზირებოდა, სევდიანად ჩაილაპარაკა:

– მე პირადად, მშვენიერი სამსახური მაქვს არქივში... თითქმის ყოველ კვირას გვაძლევენ პურს. ოღონდ ვშიშობ, ამ ჩემს ადგილს

ერთი ქალი უმიზნებს, მავანი კომუნისტის საყვარელი და ალბათ...

ვიღაცამ იდაყვი გაკრა და ანდრეიზე მიანიშნა, რომელიც ახლა ბუხართან იდგა და ეწეოდა. მაღალმა ჩაახველა, უხერხულად შეიშმუშნა.

ქალებიდან ოთახში მხოლოდ რიტა ექსლერი ეწეოდა თამბაქოს.

დივანზე გაწოლილიყო. ფეხები სახელურზე შემოეწყო, კაბა მუხლებსზემოთ აწეოდა, ღია-მწვანე ფერის თვალებზე წითური თმა ჩამოშლოდა, სიგარეტი კი წითლად დაღებილ ტუჩებშორის მოექცია თავმომწონედ. მისი მშობლები რევოლუციამ იმსხვერპლა, თვითონ კი წითელი არმიის მეთაურს გაჰყვა ცოლად, მაგრამ ორ თვეში გაეყარა. შესახედაობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ შეუხედაობას ისე ოსტატურად ირგებდა, თვით ყველაზე ლამაზი გოგობიც კი ძალზე სახიფათო მეტოქედ მიიჩნევდნენ.

მოთენთილი გაიზმორა და ნელა, ზანტად ჩაილაპარაკა:

– მეც გავიგე ერთი სასაცილო ამბავი: ბერლინიდან მომწერა მეგობარმა...

ყველა მაშინვე მას მიაჩერდა.

– ბერლინში თურმე სადღეღამისო კაფეები გაუხსნიათ. მაგარია, არა? მთელი ღამე ღიაა და სახელად Nacht Local-ს ეძახიან. ერთ-ერთ მათგანში თურმე ცნობილი რიკი რეიც გამოდიოდა, თექვსმეტ სრულიად შიშველ, მთლად დედიშობილა მოცეკვავესთან ერთად... დაეპატიმრეს. შემდეგ წარმოდგენაზე კი ყველანი ჯარისკაცებივით მწყობრში ჩამდგრები გამოსულან, შიფონის გამჭვირვალე საცვლებისა და მკერდზე ორი წვრილი ნაჭრის ამარა! თავზე კი ვეება ბეწვის ქუდები ეხურათ თურმე და ამჯერად, შიშვლებადაც ვეღარ ჩაითვლებოდნენ... სასაცილოა, არა?

თავადაც გამომწვევად გაეცინა და მსმენელებს მიაჩერდა, თუმცა მზერა მაინც ლეოზე შეაყოვნა. სხვათა შორის, მას მერე გაურბოდა მისკენ თვალი, რაც ლეო ოთახში შემოვიდა. პასუხად, იმანაც გამო-

ხედა – ცოტა არ იყოს, დამცინავად, და თითქოს ეუბნებოდა, მშვენივრად მესმის შენიო. ამ საპასუხო მზერამ რიტა ერთდროულად შეურაცხყო კიდეც და თან, გარკვეული იმედიც ჩაუსახა.

კუთხეში, მოწყენილად მჯდარმა სისხლნაკლულმა გოგომ, რომელიც ამაოდ ცდილობდა თექის მძიმე ჩექმები როგორმე სკამის ქვეშ მიემალა, გაუბედავად, თითქოს თავისივე ხმით შემკრთალმა ჩაილაპარაკა:

– საზღვარგარეთ, როგორც მითხრეს... არც პურის ბარათები ყოფილა, არც კოოპერატივები და არც რამე მაგნაირი... მიდიხარ ჩვეულებრივად, მაღაზიაში, როცა მოგინდება და რასაც გინდა, იმას ყიდულობ – პურს, კარტოფილს, შაქარსაც კი... მე პირადად, არ მჯერა.

– ეგ კი არა, იქ თურმე ტანსაცმელსაც თავისუფლად შეიძენ, ყოველგვარი პროფკავშირების წიგნაკის გარეშე.

– ჩვენ მომავალი აღარ გვაქვს, – თქვა ოქროსპენსნეიანმა ფილოსოფოსმა.

– მატერიალიზმის ჭაობში ჩავრჩით. რუსეთის მოწოდება კი მუდამ სულიერებისათვის ბრძოლა გახლდათ! ახლა წმინდა რუსეთმა ღმერთიც დაკარგა და საკუთარი სულიც.

– გაიგეთ საწყალი მიტია ვასიოლკინის ამბავი? გაქანებული ტრამვაიდან ჩამომხტარა და ბორბლებში შევარდნილა! კიდევ კარგი, ცოცხალი მაინც გადარჩა, მხოლოდ ცალი მკლავი დაკარგა.

– დასავლეთს, – განაცხადა ვიქტორმა, – არანაირი თავისთავადი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. ძველი ცივილიზაცია განწირულია და ცდილობს, ახალი ფორმები ყავლგასული შინაარსით დატვირთოს, რაც უკვე აღარავის აკმაყოფილებს. ჩვენ შეიძლება სიდუხჭირეს განვიცდიდეთ, მაგრამ ნამდვილად რაღაც ახალს ვქმნით! ამიტომ, მომავალიც ჩვენია.

– ამას წინათ გავცივდი – თქვა სისხლნაკლულმა გოგომ.

– დედას პროფკავშირის მიწერილობა კი ჰქონდა კალოშების სა-

ყიდლად, მაგრამ ჩემი ზომა არ აღმოაჩნდათ. რიგიც დავკარგეთ, სამი თვე მოგვიწია ლოდინი და ავადაც გავხდი...

– ვერა ბოროდინას კიდე პრიმუსი აუფეთქდა, მთლად დაბრმავდა. ახლა ისეთი სახე აქვს, გეგონება ომი გამოიარაო...

– მე კერძო მაღაზიაში ვიყიდე ერთი წყვილი კალოში, – სიამაყე გამოერია ხმაში კოლია სმიატკინს.

– ეხლა კი გული მეთანაღრება, ხომ არ ვიჩქარე-მეთქი. თუ შემცირებაში მოვყევი და უმუშევარი დავრჩი...

– ვავა, შეიძლება ბუხარს შეშა შევუკეთო? რაღაც ვერ გათბა აქაურობა.

– ჩვენი დროის უბედურებაც ისაა, – საუბარში ჩაერია ლიდიაც – რომ სულიერი განათლება არ გვყოფნის. ადამიანებს მცირედი რწმენაც აღარ შერჩათ.

– ჩვენთან წინა თვეში იყო შემცირება, მაგრამ მე ხელი არ მახლეს. სოციალურად აქტიური ვარ და იმიტომ. საღამოობით წერაკითხვის უცოდინარებს ვასწავლი. სხვათა შორის, სრულიად უსასყიდლოდ და თანაც ყოველდღე, თითო საათი. ჩემი სურვილით ვიკისრე ეს საქმე და ყველამ იცის, შეგნებული მოქალაქე რომ ვარ.

– მე კიდევ კლუბის ბიბლიოთეკის გამგის მოადგილედ დამსვეს, – თქვა კოლია სმიატკინმა.

– კვირაში სამი საღამო ვმუშაობ იქ. სხვათა შორის, მეც უსასყიდლოდ! ამან წინა შემცირებისას კი გადამარჩინა, მაგრამ ამჯერად ალბათ, გამომიშვებენ... ან მე, ან ჩემ მეგობარს. ის კიდევ ორ სხვადასხვა ბიბლიოთეკაში მუშაობს...

– ჩვენთანაც რომ დააპირებენ შემცირებას, – თქვა სისხლნაკლულმა გოგომ.

– დიდი შიში მაქვს, ყველას ერთად გაყრიან, ვისი ცოლი ან ქმარიც მუშაობს. ჩემ მიშას კი მშვენიერი სამსახური აქვს კვების ტრესტში, ამიტომ ვფიქრობთ... მოკლედ. ეტყობა განქორწინება მოგვიწევს. თუმცა ეგ არაფერი – მაინც შეგვეძლება ერთად ვიცხოვროთ.

ასეც ვიზამთ, მე მგონი.

– ჩემი კარიერა ჩემივე პასუხისმგებლობაა საზოგადოების მიმართ! – თქვა ვიქტორმა.

– ინჟინრობაც იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩვენს რესპუბლიკას ყველაზე მეტად, ახლა ამ პროფესიის ხალხი სჭირდება.

ბუხრისკენ გაექცა თვალი, ანდრეიმაც თუ გაიგონა ჩემი ეს ნათქვამიო.

– მე კი ფილოსოფიას ვსწავლობ, – უცბად, ხმა ამოიღო ლეომ.

– ეგ იმიტომ, რომ ეს მეცნიერება საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატს არც არაფერში სჭირდება.

– ზოგ ფილოსოფოსს, – ახლა უცებ, ანდრეის დინჯი ხმა გაისმა უეცრად ჩამოვარდნილ, უხერხულ სიჩუმეში.

– შეიძლება საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატი დასჭირდეს.

– იქნებ ასეც მოხდეს, – მიუგო ლეომ.

– ან იქნებ, საზღვარგარეთ გავიქცე, ვინმე ექსპლოატატორ-მილიონერს მივეყიდო და ულამაზესი ცოლიც შევუცდინო.

– ეჭვი არაა, მაგას კი მოახერხებდით, – უთხრა ვიქტორმა.

– მართლა ძალიან ცივა, – საჩქაროდ ჩაერია საუბარში ვავა.

– ჯობია, ვიცეკვოთ. ლიდია, საყვარელო...

თხოვნით და იმედით გახედა ლიდიას, იმანაც ამოიოხრა, წამოდგა და უხალისოდ მიუჯდა ფორტეპიანოს. მთელ ამ საზოგადოებაში, მარტო მას ჰქონდა მუსიკალური განათლება. გულის სიღრმეში იმასაც ეჭვობდა, ამ იშვიათ წვეულებებზეც სწორედ ამის გამო მეპატიჟებიანო. შეციებული თითები მოისრისა და რაღაცნაირი გააფთრებით დააცხრა კლავიშებს. „ჯონ გრეის" დაკვრა დაიწყო.

– ისტორიკოსები უთუოდ რევოლუციის დიად ჰიმნად მოიხსენიებენ „ინტერნაციონალს", მაგრამ ყოველ რევოლუციურ ქალაქს თავისი საკუთარი ჰიმნიც ჰქონდა და მომავალში, პეტროგრადელები შიმშილის, წვალებისა და იმედის ამ წლების გახსენებისას, პირველ რიგში, უთუოდ „ჯონ გრეის" ფეთიან რიტმსაც მოიგონებდნენ.

– ეს მუსიკა ფოქსტროტად იწოდებოდა და მას სწორედ იგივე რიტმი და ჟღერადობა ჰქონდა, როგორც იმხანად „უცხოეთში“, ანუ – საზღვარგარეთ ფეხმოკიდებულ ახალ საცეკვაო ჰანგებს. სიტყვებიც შესაბამისი ახლდა – ინგლისური, და მავანი უცხოელის, ჯონ გრეის სიყვარულს ეხებოდა: იმის გულისსწორ კიტის, შვილების გაჩენის შიშით, ჯონის გრძნობა რომ უპასუხოდ დაეტოვებინა და ამის შესახებ დაუფარავად გაიძახოდა კიდეც. პეტროგრადს ბევრჯერ მოდებოდა ქოლერა თუ ტიფი, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ ეპიდემიას, რომელსაც სახელად „ჯონ გრეი“ ერქვა...

ადამიანები კოოპერატივების წინ, გრძელ რიგში იდგნენ და ამ სიმღერას უსტვენდნენ; სკოლებში შესვენებებზე, გოგო-ბიჭები ფიზკულტურის დარბაზში ამ მუსიკის თანხლებით ცეკვავდნენ ხოლმე და ეგ კი არა, ტრამვაის საფეხურებზე ჩამოკონწიალებული მგზავრებიც კი სწორედ ჯონ გრეის ამბავს ღიღინებდნენ.

მუშათა კლუბებში, მარქსიზმის ლექციების სულგანაბული მსმენელები მერე იმით ერთობოდნენ, რომ რომელიმე მათგანი მონჯღრეულ პიანინოს მიუჯდებოდა და დიდი თავგამოდებით ცდილობდა „ჯონ გრეის“ შესრულებას.

არადა, ამ სიმღერის ხალისიანობასაც რაღაც სევდა დაკრავდა, წყვეტილი რიტმიც რაღაცნაირად, ისტერიული გახლდათ, ხოლო მის სითამამეში ერთგვარი თხოვნა, ვედრება მოისმოდა იმისადმი, რაც შორეული იყო და მარად მიუწვდომელი. ზამთრის ღამეებში, ქარბუქიც კი წითელ დროშებს თითქოს სწორედ ამ სიმღერის რიტმში აფრიალებდა და იმედგადაწურული ქალაქიც ამ ჰანგს აყოლებდა საკუთარ ლოცვას.

ლიდია გამეტებით სცემდა კლავიშებს. სასტუმრო ოთახში ნელა ირწეოდნენ წყვილები – ცოტა არ იყოს, ძველმოდურ ყაიდაზე. ირინა, ვისაც ხმა არ ჰქონდა, მაინც დიდი მონდომებით ცდილობდა სიმღერას – უფრო სწორად, ხრინწიანად ამოისროდა ხოლმე სიტყვებს, იმ გერმანელი მომღერალი ქალის წაბაძვით, ვისთვისაც ერთხელ

ადრე მოესმინა.

გაბედულმა ჯონ გრეიმ
არ იცოდა შიში,
ვიდრე არ დაინახა
მშვენიერი კიტი –
თავი დიდხანს იკავა,
სანამ გამოუტყდა,
კიტიმ კი ზურგი აქცია –
მომშორდიო, უთხრა...

კირა ჩახუტებული ეცეკვებოდა ლეოს. იმან თვალებში ჩახედა და ჩასჩურჩულა:

– ასე სულ სხვაგან უნდა ვცეკვავდეთ მე და შენ... აი, სადაც შამპანური ჩქეფს, ქალებს კი გრძელი, სიფრიფანა კაბები აცვიათ და შიშველი მკლავები მოუჩანთ...

– კირამ თვალები დახუჭა, ბრმად მიენდო მამაკაცის ძლიერ სხეულს, მორჩილად მიჰყვა იმ სამყაროში, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მართლაც რომ ენახა დაჩრდილული მდინარის ნაპირას მჯდომს და როცა ყურში „დამსხვრეული ჭიქის" სიმღერა ჩაესმოდა.

ანდრეისთვის ცეკვის სწავლება გავამ ითავა, ხელი ჩაავლო და შუა ოთახში გაიწვია. არც ის გაძალიანებია, თან იღიმებოდა და იმ ვეფხვს ჰგავდა, კნუტსაც რომ არაფერს დაუშავებს. ცუდი მოწაფე არ ყოფილაო, – გაიფიქრა ვავამ.

საკუთარი სითამამე და გამბედაობაც მოსწონდა – როგორ ავიყოლიე ეს პირქუში კომუნისტიო. მხოლოდ იმას ნანობდა, ალბათ ამაზე შორს შეტოპვას ვერ ვაიძულებო. გული სწყდებოდა იმის გაფიქრებაზე, ჩემმა სილამაზემ ამ კაცში ვერაფერი გამოაღვიძა და მეც ზუსტად იმგვარი მშვიდი, არაფრისმთქმელი თვალებით მიცქერის, როგორც ლიდიას ანდა სულაც, იმ თექისჩექმებიან, სისხლნაკლულ გოგოსო.

ლიდიამ ახლა „ბედისწერის ვალსის" დაკვრა დაიწყო. ანდრეიმ

კირა გაიწვია საცეკვაოდ. ლეომ ერთი კი შეხედა თავისებური ცივი ღიმილით, თუმცა არაფერი უთქვამს და უხმოდ გაეცალა.

– ვავა კარგი მასწავლებელი გამოდგა, – უჩურჩულა კირამ ანდრეის, როცა მათაც სხვებთან ერთად დაიწყეს ბზრიალ-ტრიალი.

– მოდი, ცოტა უფრო მაგრად უნდა მომხვიო ხელი... უფრო მაგრად!

ვალსი რაღაცნაირი სევდიანი იყო და მდორე. ალაგ-ალაგ, სულ რამდენიმე წამით, მუსიკა თითქოს წყდებოდა, თითქოს კაბების შრიალის ხმა უნდა რომ გაიგონოსო, მაგრამ მერე ისევ ძველებურად, აუჩქარებლად აგრძელებდა თავისას და აწ უკვე სამუდამოდ გარდასული მეჯლისების მოგონებას აცოცხლებდა.

კირამ ანდრეის ახედა, რომელსაც უტყვ სახეზე ერთდროულად დამცინავი და თან მორცხვი ღიმილი დასთამაშებდა. მერე მკერდზეც მიადო თავი; თვალები ნაპერწკლებივით უელავდა. წამით გაირინდა ასე, ოღონდ უცებვე ერთი მკვეთრი მოძრაობით გადააქნია თავი და თმის კულულიც ანდრეის საკინძეზე, ღილს გამოედო... რამდენიმე ღერი თმა ზედ შეატოვა.

ანდრეი ხელით შეიგრძნობდა კირას კაბის რბილ ქსოვილს, მის ქვეშ კი – უნატიფეს სხეულს. თვალი მისი შეხსნილი გულისპირისკენ გაექცა, სადაც შიშველი მკერდი მოუჩანდა. აი, მეორედ იქით გახედვა კი ვეღარ გაბედა.

ამასობაში, ლეო რიტას ეცეკვებოდა; ისინი წამდაუწუმ უსიტყვო ურთიერთგაგებით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. რიტა საქმის ცოდნით, მსუბუქად ეხუტებოდა მთელი ტანით. ამ დროს, ვავას ამაყად ჩამოეღო ხელი ვიქტორის მხარზე და თვითკმაყოფილი სახით მიჩერებოდა მოცეკვავე წყვილებს. კოლია სმიატკინს გაუბედავად გაურბოდა თვალი ვავასკენ, ვერაფრით აიძულა თავი, საცეკვაოდ გამოეწვია, რადგან მასზე ტანდაბალი გახლდათ. მშვენივრად იცოდა, ვავასადმი მისი ერთგული, უიმედო სიყვარულის ამბავი არავისთვის რომ არ წარმოადგენდა საიდუმლოს და ამის გამო, ზურგსუკან

რომ დასცინოდნენ კიდეც. მაინც ვერ ერეოდა თავს. სისხლნაკლული გოგოს თექის ჩექმების ბაკუნი ბროლის ჭაღს აქანავებდა და ისიც საამოდ ჟღარუნობდა. ერთხელ ამ საცოდავმა ვავასაც კი დაადგა ფეხი ლაქის კოხტა ფეხსაცმელზე. ფიქრიანმა ვაჟბატონმა ბუხარს შეშა შეუკეთა, ისიც მაშინვე აშიშინდა და აბოლდა – როგორც ჩანს, ერთ-ერთ უპასუხისმგებლო სტუმარს მთლად სველი ნაჭერი შეშა მოეტანა.

ნაშუაღამევის ორ საათზე, ნახევრად გამოღებულ კარში, ვავას დედამ შემოიჭყიტა მორცხვად და იკითხა – ცოტას ხომ არ წაიხემსებდითო. მაშინვე ყველამ სასადილო ოთახს მიაშურა და ვალსის მელოდიაც შუა გზაზე გამოეკიდა ჰაერში.

იქ კი, გრძელ მაგიდაზე, უკვე გაეშალათ სუფრა: ყველაფერი გოროზად ბზინავდა, თეთრად თუ ვერცხლისფრად. კაშკაშა შუქზე ბროლი ციმციმებდა, ულამაზესი დანა-ჩანგალიც ყველა წესისა და კანონის დაცვით დაელაგებინათ. რძისფერი ფაიფურის ძვირფას თეფშებზე, სავარაუდოდ, კარაქწასმული შავი პურის ნაჭრები, გამხმარი თევზი, კანიანად ჩაშუშული კარტოფილი და კომბოსტოს მწნილი იწონებდა თავს. ჩაიზე მისაყოლებლად კი, შაქრის ნაცვლად, სტუმრები რაღაც წებოვანი, ყავისფერი კანფეტით უნდა გასულიყვნენ იოლას.

ვავას დედა გულითადად უღიმოდა სტუმრებს და გაიძახოდა: – მიირთვით, არ მოგერიდოთ, ყველას ეყოფა... წინასწარ დავითვალეთ.

ვავას პირგაბადრული მამა სუფრის თავში იჯდა. პროფესიით ექიმი გახლდათ, კერძოდ – გინეკოლოგი. რევოლუციამდე, მაინცდამაინც წარმატებული კარიერით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა რევოლუციის შემდეგ, მის წინსვლას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ჯერ ერთი, როგორც ექიმი, ის ე. წ. „თავისუფალი პროფესიის" ხალხს განეკუთვნებოდა და შესაბამისად, ექსპლოატატორადაც არ მიიჩნეოდა; და კიდევ იმანაც, რომ გარკვეულ, არცთუ მთლად კანონიერ

სამედიცინო საქმიანობასაც მისდევდა. სულ რაღაც ორიოდ წელიწადში, უცებ არათუ თავის კოლეგებში, არამედ ბევრად უფრო მაღალ წრეებშიც კი დაიგდო სახელი.

– ახლა იჯდა და ორივე ხელი პიჯაკის ჯიბეებში ჩაეყო. მთელი ტანით სკამის საზურგეს ეყრდნობოდა, მუცელი გადმოეგდო და ზედ ოქროს სქელი ჯაჭვი მოუჩანდა, რომელზეც ძვირფასი საათი ეკიდა და მისივე სუნთქვას აყოლილი, ადი-ჩაუდიოდა. თეთრ, მსუქან სახეზე ვიწრო თვალები ხეირიანად არც ემჩნეოდა. სტუმრებს მომხიბლავად უღიმოდა და როგორც ჩანს, ძალიან ეამაყებოდა ბოლო ჟამს ქალაქში ესოდენ დიდ იშვიათობად ქცეული ღონისძიების მასპინძლობა. მით უფრო, რომ სტუმრებისთვის სუფრის გაშლის შნოც ჰქონდა. სიამოვნებას გვრიდა გულუხვობის გამოჩენა სწორედ იმათი შვილების მიმართ, ვისაც ძველ დროს მოწიწებით უხრიდა ხოლმე თავს: ვთქვათ, მსხვილი მეწარმე არგუნოვისა თუ ადმირალ კოვალენსკის ნაშიერთათვის. „დილით ცოტა მეტი ფული უნდა შევიტანო წითელი საჰაერო ფლოტის ანგარიშზე! " – გაიფიქრა უცებ.

სახე კიდევ უფრო გაებადრა, როცა მოახლემ ვერცხლის ლანგრით მოართვა ექვსი ბოთლი იშვიათი, ძველი ღვინო – ერთ-ერთი მისი გავლენიანი პაციენტის სამადლობელო ძღვენი. საკუთარი ხელით შეავსო ბროლის ჭიქები და თან ღიმილით ეუბნებოდა სტუმრებს:

– აი, ესაა ნამდვილი ღვინო! ომამდელი. მსგავსი ნამდვილად არაფერი გექნებათ გასინჯული!

სასმისები ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ ყველა სტუმარს არ ერგო თავ-თავისი.

კირა მაგიდასთან ლეოსა და ანდრეის შორის იჯდა. ანდრეიმ აბჯარასხმული რაინდივით აწია ჭიქა და თქვა:

– შენ გაგიმარჯოს, კირა!

ლეო კი ისე მსუბუქად, მოხდენილად დასწვდა თავის სასმისს, როგორც ვინმე უცხოელი დიპლომატი:

– რაკი შენი დღეგრძელობა მმართველი კლასის წარმომადგენელმა დამასწრო, მე ჩვენი მომხიბვლელი მასპინძლის სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ.

ვავამ თბილი, მადლიერი ღიმილი შეაგება. ლეომ ჭიქა მოიყუდა და სანამ დაცლიდა, თვალს არ აშორებდა რიტას.

როცა სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, მინავლებული ცეცხლი ბუხარში ხელახლა გასაჩაღებელი გაუხდათ. ლიდია კვლავ ფორტეპიანოს მიუჯდა. რამდენიმე წყვილი უხალისოდ აცეკვდა. ვავამ სიმღერა წამოიწყო ვიღაც გარდაცვლილ ქალბატონზე, რომელსაც თითებზე რატომღაც, მირონის სუნი უდიოდა. კოლია სმიატკინი თავს იმთვრალებდა, ვიქტორი ანეკდოტებს ყვებოდა, იმას სხვებმაც აუბეს მხარი. ზოგ ანეკდოტს პოლიტიკური ელფერი ედო და ყველას მაშინვე ანდრეისკენ გაურბოდა თვალი; მთხრობელსაც შუა გზაზე უწყდებოდა სიტყვა და უხერხულად წითლდებოდა ხოლმე.

დილის ხუთი საათისთვის ყველას არაქათი გამოეცალა, თუმცა გათენებამდე მაინც ვერავინ წავიდოდა შინ – იმ დროს ეს ძალზე საეჭვათო გახლდათ. ქალაქის მილიცია უძლური იყო მძარცველებისა და ყაჩაღების წინაშე. ნაშუაღამევს ვერცერთი მოქალაქე ვერ ბედავდა შინიდან ცხვირის გამოყოფას.

ექიმი მილოვსკი და მისი მეუღლე დასაძინებლად წავიდნენ, მათი ახალგაზრდა სტუმრები კი მზის ამოსვლას ელოდებოდნენ. პირქუშმა, სიტყვაძუნწმა მოახლემ სასტუმრო ოთახში მეზობლებისაგან ნათხოვარი ლეიბები შემოიტანა, კედლების გასწვრივ გაშალა და ოთახიდან გავიდა. ვავამ შუქი ჩააქრო.

სტუმრები მოხერხებულად, წყვილ-წყვილად მოეწყვნენ ამ ლეიბებზე. არაფერი არღვევდა სრულ სიბნელესა და მდუმარებას, ბუხრის უკანასკნელი გამონაშუქის, წითლად მოციმციმე რამდენიმე სიგარეტის, აქა-იქ წაჩურჩულებისა და რამდენიმე საეჭვო ხმიანობის გარდა, რაც უკვე აშკარად არ ჰგავდა ჩურჩულს. წვეულებების და-

უწერელი კანონის თანახმად, არავის უნდა გამოეჩინა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა თავყრილობის ამ ბოლო, თუმცა კი ყველაზე ამაღელვებელ საათებში.

კირამ მკლავზე ანდრეის ხელის შეხება იგრძნო.

– მე მგონი, აქ აივანიც უნდა ჰქონდეთ. მოდი, გავიდეთ...

– გადაუჩურჩულა კაცმა.

მის ფეხდაფეხ მიმავალ კირას სუსტი ამოოხვრისა და რაღაც მეტისმეტად ვნებიანი კოცნის ხმა მოესმა ოთახის იმ კუთხიდან, სადაც ვავა ვიქტორის მკლავებში გატრუნულიყო.

აივანზე ციოდა. ქუჩა მდუმარე გვირაბს ჰგავდა, სირუხეშეპარული ცის ქვეშ. გაყინული გუბეები დამსხვრეულ შუშასავით ბზინავდა, ფანჯრები კი იმ გუბეებივით მიყინვოდნენ კედლებს. ქუჩის ლამპიონს მილიციელი მიყრდნობოდა ზურგით. მის თავზე დროშა ეკიდა, ოღონდ ადგილზე გაქვავებული მილიციელის მსგავსად, არც ის ირხეოდა.

– უცნაური ამბავია, – თქვა ანდრეიმ.

– არ მეგონა, როდისმე ცეკვა თუ მომეწონებოდა... არადა, კარგი რამ კი ყოფილა.

– შენზე გაბრაზებული ვარ.

– რატომ? – უკვე მეორედ ვერ შეამჩნიე ჩემი საუკეთესო კაბა.

– მართლა ძალიან ლამაზია.

მათ ზურგს უკან აივნის კარმა გაიჭრიალა დაჟანგულ ანჯამებზე. ტუჩის კუთხეში პაპიროსგაჩრილი ლეო აივანზე გამოვიდა.

– კირაც ნაციონალიზებული სახელმწიფო საკუთრებაა? – ჰკითხა ანდრეის.

– ზოგჯერ მგონია, მისთვისაც უკეთესი იქნება, ასე რომ იყოსმეთქი.

– სრულიად მშვიდად მიუგო ანდრეიმ.

– ყოველ შემთხვევაში, სანამ პარტიას საგანგებო დადგენილება არ მიუღია, ეს ასე არაა.

– თქვა ლეომ.

ისევ ჩაბნელებული სასტუმრო ოთახის სითბოში დაბრუნდნენ. ლეომ კირა თავის გვერდით ჩამოაჯინა ლეიბზე. თქმით აღარაფერი უთქვამს. მის მხარზე თავმიდებულ კირას თვლემა მოერია. რიტამ მხრები აიჩეჩა და გვერდზე გაიწია. ანდრეი აივნის გამოღებულ კართან იდგა და ეწეოდა.

დილის რვა საათზე, ოთახში ფარდები გადაწიეს. უჟმურად გადათეთრებული ცა საპნიანი წყალივით ეღვრებოდა ქალაქის სახურავებს. კართან მდგარი ვავა სტუმრებს ემშვიდობებოდა. ოდნავ შესამჩნევად ირწეოდა და თვალებამოღამებულს, თმის ერთი კულული ზედ ცხვირის წვერამდე ჩამოვარდნოდა, ნიკაპზე კი პომადა გადღაბნოდა. სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდნენ, ქუჩებში მარტო სიარული რომ არ მოსწეოდათ.

– ამ სუსხიან დილით, ფეხქვეშ თხელი ყინული ემსხვრეოდათ. წამით, ანდრეიმ კირა გვერდზე გაიხმო და ლეოზე მიათითა, რომელიც ცოტათი მათზე წინ, ლიდიას ეხმარებოდა გუბეზე გადაბიჯებაში.

– ხშირად ნახულობ ხოლმე? – ჰკითხა ანდრეიმ.

ეს შეკითხვა იმას ნიშნავდა, რომ კაცი ჯერ სიმართლეს ვერ მიმხვდარიყო, ხოლო მისი ნათქვამის კილომ კირას ამ სიმართლის თქმის ყოველგვარი სურვილი გაუქრო. ჩაკეტილ-ჩარაზული მაღაზიების ვიტრინებში შუქი ენთო, ბევრი მათგანის კარზე კი ამგვარი შინაარსის განცხადებაც გამოეკრათ: „ამხანაგო მძარცველებო, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ, აქ მოსაპარიც არაფერია! “

XIII

ზაფხულში პეტროგრადს ცეცხლი ეკიდა.

ქუჩის ფიცარნაგი შავად დაიბზარა და მდინარის დამშრალი კალაპოტივით გამოხმა. სახლის კედლებს სიცხისაგან თითქოს სული ეხუთებოდათ, სახურავებს კი დამწვარი საღებავის სუნი ასდიოდა.

ოხშივარით თვალებგადაბინდული ადამიანები უიმედოდ დაეძებ-დნენ ჩრდილიან ხეს ამ ქვის ტომარაში. თუმცა, ხესაც თუ მოკრავ-დნენ სადმე თვალს, იმასაც მაშინვე ერიდებოდნენ, რადგან უძრავ ფოთლებს ფენა-ფენა ედო რუხი მტვერი. ადამიანებს თმა შუბლზე ეწებებოდათ, ცხენები წამდაუწუმ აქნევდნენ თავებს, აქაფებული ნესტოებიდან აბეზარი ბუზების მოსაშორებლად. ნევა მდორედ მო-ედინებოდა და წყლის ზედაპირზეც კი თითქოს ცეცხლის პაწია წერ-ტილები დათამაშებდა ზარმაცად, და ხალხს ისიც კი ეჩვენებოდა, გამლღვალ ლითონს დავცქერით ხიდიდანო... მოკლედ, ყველა ერ-თნაირად იტანჯებოდა ამგვარი მხუთრისაგან.

როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ, კირა და ლეო მთე-ლი დღით გადიოდნენ ხოლმე ქალაქგარეთ.

– ხელიხელჩაკიდებულნი დასეირნობდნენ მზის ლაქებდაფენილ ფიჭვნარის ჩრდილში; ჩამუქებული ქვის სვეტებისა თუ ბრინჯაოს-ფრად გარუჯული, დაკუნთული სხეულების მსგავს ამ ფიჭვებს ზედ-ვე შემხმარი ქერქი სცვიოდა, მაგრამ მაინც ფხიზელი დარაჯებივით იდგნენ, ხეივანში გაკვალულ გზას ყარაულობდნენ და ამწვანებულ წიწვებშორის, მხოლოდ თითო-ოროლა სხივს თუ ატარებდნენ.

– ბალახმოდებული თხრილების ორსავე ფერდზე აქა-იქ უკვე მო-ჩანდა მელნისფრად ამოწვერილი, ყვითელი ქვიშრობისკენ თავდახ-რილი იები. თხრილში წყლის არსებობაზე კი მხოლოდ ქვიშის მო-ვერცხლისფრო ბზინვა მიათითებდა. კირას ფეხსაცმელიცა და წინ-დებიც გაეხადა და ფეხშიშველი მიაბიჯებდა. თითებშორის რბილი ქვიშა და წიწვები ჩარჩენოდა. მაინც მიუყვებუდა გზას და მხიარუ-ლად მიაბურთავებდა ძირს დაცვენილ გირჩებს. ლეოს ხის ტოტზე წამოცმული მისი ფეხსაცმელები მოქონდა, ღია ფერის პერანგი ბო-ლომდე ჩაეხსნა, სახელოები კი იდაყვებამდე აეკაპიწებინა. ფეხშიშ-ველმა კირამ ხის ძველ ხიდზე შეაბიჯა. ფიცრებშორის დარჩენილი ფართო ღიობებიდან პაწია თევზის ქერცლივით მბზინავი, მოციმცი-მე წყალი დალანდა, რომელშიც მუდამ მოუსვენარი თავკომბალები

ფურცელზე შავი მელნით დასმულ მძიმეებს წააგავდნენ.

– მერე მდელოზე ჩამოსხდნენ. ირგვლივ სხვა არავინ ჩანდა. მაღალი, ხშირი ბალახი კედელივით ერტყათ გარს. ცხელი, ლურჯი ცა ლამისზედ ეხახუნებოდა ამ მაღალი ბალახის წამახულ, მწვანე წვეროებს. ცასაც თითქოს სამყურას სუნი ასდიოდა. ჭრიჭინები ელექტროძრავასავით ხმიანობდნენ. კირა მიწაზე იჯდა, გვერდით გაწვართულ ლეოს კი თავი მის კალთაში ედო, თან ბალახის ღეროს ძიძგნიდა კბილებით. მისი თითები, რომელშიც ბალახის ეს ღერო ეჭირა, ისეთივე უზადო ჩანდა, თითქოს უცხოური სიგარეტის სარეკლამო აბრაზე გამოუსახავთო. დროდადრო, კირა დაიხრეობოდა ხოლმე და ტუჩებში კოცნიდა.

ცოტა ხნის შემდეგ, ადგილი მოინაცვლეს და ახლა მდინარის პირას, ხის ვეება ფესვზე მოიკალათეს. ქვემოთ, ფერდობზე, ხშირ გვიმრას ჯუჯა პალმებივით გაეფარჩხა ფოთლები. არყის ხის ქერქი მოვერცხლისფრო-მორუხოდ ბზინავდა მზეზე, მისი ფოთლები კი დაქანებულ ჩანჩქერს ჰგავდა, რომლის შხეფებიც ჰაერშივე გაქვავებულიყო და ჯერ მოვერცხლისფრო-მორუხოდან მწვანედ ეცვალა ფერი, შემდეგ კი – ისევ პირიქით. დროდადრო, თითო-ოროლა ფოთოლი მდინარეშიც ცვიოდა და დინებაც წამსვე თან გაიყოლებდა ხოლმე. კირა რომელიღაც პატარა მხეცივით სწრაფად, მხიარულად დაძვრებოდა ამ ფესვების, კლდეებისა და გვიმრას შორის, თუმცა მის თითოეულ მოძრაობას თან ენით აუწერელი სინატიფის კვალი აჩნდა, მაგრამ მოძრაობათა ეს სინატიფე არა რბილი და ნარნარი, არამედ სხარტი და გეომეტრიულად ზუსტად მოზომილი, რომელიღაც უცნაური თანამედროვე ცეკვის მოძრაობებს წააგავდა. ლეო თვალს არ აშორებდა. კირა დაიხარა, წამოქცეულ ხეზე ჩამოჯდა. მისი სხეულის ყოველი ნაკვთი რაღაცნაირად, ტეხილი ჩანდა: ხელის მტევნებიც, იდაყვებიც, ტანიც, ფეხებიც... მისი დაძაბული, მოქნილი სხეულის ამ კუთხოვან, მკაფიოდ მოხაზულ ფორმებში რაღაც იმდაგვა-

რი გამოსჭვიოდა, რაც ელვას მოგაგონებდა ადამიანს. ლეოც წამოდგა, მიუახლოვდა, ღონიერ მკლავებში მოიმწყვდია და მაგრად მიიკრა მკერდზე – თითქოს სურდა, ერთბაშად გაესწორებინა ეს ტეხილი ხაზები. კირამ უცნაურად, მეტისმეტად მხიარულად გადაიკისკისა და ამ სიცილში გამოწვევაც მოისმოდა, სიხარულიცა და აღფრთოვანებაც. ტუჩები ნოტიოდ უბრწყინავდა.

* * *

როცა ისევ ქალაქში დაბრუნდნენ, საღამოს ბინდ-ბუნდში ყოველი პლაკატი, დროშა თუ საგანგებოდ გამოკრული განცხადება ზედ გამოსახული ოთხი ასოთი მიეგებათ:

„სსრკ“.

ქვეყანას უკვე ახალი სახელი და ახალი კონსტიტუცია ჰქონდა. საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობას გადაეწყვიტა ასე. ყველა ქუჩაზე ახალი დროშები ფრიალებდა, რომლებზეც ეწერა:

– „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მომავლის მსოფლიო სახელმწიფოს საწინდარია! “

ჩახუთულ, მტვრიან ქუჩებში, გაოფლილ შუბლებზე წითელხილა-ბანდწაკრული მოზეიმე ადამიანები დააბიჯებდნენ.

„ჩვენი ძალა – კოლექტივის ურყევ ერთიანობაშია! “

ერთგან, დოლების ბრაგაბრუგით, მწკრივში ჩამდგარი ბავშვების ჯგუფმა ჩაიარა – მოკლე, ლურჯი შარვლები ეცვათ, თეთრი პერანგები და წითელი ყელსახვევები ეკეთათ. ეს პარტიის ხვალინდელი დღე გახლდათ, პიონერები. ბავშვები მაღალი, წვრილი ხმით მიიმღეროდნენ:

ბურჟუების ჯინაზე,
კოცონს ავაბრიალებთ!
მთელ მსოფლიოს დაბუგავს
მისი ცეცხლის ენები!

* * *

ერთხელ, კირამ და ლეომ გადაწყვიტეს, ღამეც სადმე, სოფელში გაეთიათ.

– კი ბატონო, – უთხრა სახლის პატრონმა ქალმა.

– სიამოვნებით მოგაქირავებთ, ოღონდ ჯერ სახლმმართველისგან უნდა აიღოთ ცნობა – ქალაქში საცხოვრებელი ადგილის მითითებით და ნებართვა უბნის მილიციის განყოფილებიდან. ამის მერე შრომის წიგნაკებსაც მაჩვენებთ ადგილობრივ საბჭოში წარსადგენად; იქ უნდა მომცენ ნებართვა რომ დროებით შეგიკედლოთ და შესაბამისი საფასურიც გადაგახდევინოთ. ამის მერე, ოთახი თქვენს განკარგულებაში იქნება...

კირამ და ლეომ განზრახვაზე ხელი აიღეს.

* * *

გალინა პეტროვნამ უაღრესად თამამი გადაწყვეტილება მიიღო და სამსახური დაიწყო: მუშათა შვილებს ჭრა-კერვას ასწავლიდა სკოლაში, ქალაქის მეორე ბოლოში უწევდა ტრამვაით მგზავრობა საქარხნო დასახლებამდე. მერე იქ მთელი დღე უცქერდა, როგორ ჭრიდნენ და კერავდნენ პაწია, გათხუპნული ხელები პერანგებსა თუ წინსაფრებს, ზოგჯერ კი ასოებსაც აქარგავდნენ წითელ დროშებზე. უკვე ხელგარჯილობის მნიშვნელობაზეც ხშირ-ხშირად ლაპარაკობდა და იმასაც აღნიშნავდა, რაოდენ სწორ პოლიტიკას ნერგავდა საბჭოთა ხელისუფლება განათლების სფეროში. ალექსანდრ დიმიტრიევიჩს თითქმის მთელი დღე ეძინა, ხოლო როცა ფხიზლობდა, ან სამზარეულოში, საუთოვებელზე შლიდა პასიანსს, ანდა სახამებლისა და სახარინის ნარევისგან რაღაც შეჭამანდს უმზადებდა პლუტარქეს – უპატრონო კატას, რომელიც ქუჩაში იპოვა და შეიფარა.

როცა კირა და ლეო ესტუმრებოდნენ ხოლმე, სალაპარაკო ბევრი არც არაფერი ჰქონდათ. გალინა პეტროვნა ჩქარ-ჩქარა და აბნეუ-

ლად ტიტინებდა რაღაცას მასების განათლებასა თუ ინტელიგენციის წმიდათაწმინდა მოვალეობაზე – დაჩაგრულ თანამოძმეთა გათვითცნობიერებაზე ეზრუნა. ლიდია, ჩვეულებისამებრ, სულიერებაზე მსჯელობდა, ალექსანდრ დიმიტრიევიჩი კი ძირითადად, მრავალმნიშვნელოვნად დუმდა. ქორწინების აუცილებლობის თაობაზე გადაკრულ მინიშნებებზე გალინა პეტროვნამ კარგა ხნის წინ აიღო ხელი, ხოლო ლიდია, როცა ლეო გამოელაპარაკებოდა, ერთბაშად გამოცოცხლდებოდა ხოლმე, კრთებოდა და მღელვარებისაგან, სახეც უწითლდებოდა.

კირას სტუმრობების მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ასეთ დროს ალექსანდრ ივანოვიჩი მას მდუმარედ მიჩერებოდა, სახეზე ღიმილისმაგვარი გამომეტყველება ესახებოდა და თითქოს უთქმელადაც უდასტურებდა – ჩემსა და ამ ცხოვრებას შორის უეცრად ჩამოწოლილი ეს უჟმური ჯანღი რომ არა, მართლა გულით გამახარებდა შენი დანახვაო.

* * *

ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი კირა შემოდგომის პირველ წვიმას გასცქეროდა. მელნისფერ გუბეებში წვიმის წვეთები იბუშტებოდა, წამით დაბზრიალდებოდა და მაშინვე პაწაწინა ვულკანებივით სკდებოდა. წვიმა მომაბეზრებლად აკაკუნებდა ქალაქის ყველა ქუჩის ფილაქანზე; მისი ხმა ძრავის შორიდან მომავალ ღუღუნს ჰგავდა, თუმცა ამ ერთფეროვან ხმიანობაში, ერთი მაინც განცალკევებით მოისმოდა, თითქოს სადღაც აქვე, ღიად დარჩენილი ონკანი წვეთავსო.

ქუჩაში მარტოსული გამვლელი მიაბიჯებდა. ძველი ლაბადის საყელო აწია და მხრებში მოხრილს, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, მკლავები კი მაგრად მიეჭირა ფერდებზე. ოდნავ ფეხარეული მიაბიჯებდა, მოჩვენებასავით ნელ-ნელა იკარგებოდა წვრილი წვიმის სველ საბურველქვეშ მოქცეული ქალაქის ამ ერთფეროვნებაში.

კირა შუქის ანთებას არ ჩქარობდა. ლეოსაც ბნელ ოთახში დაუხვდა, ფანჯარასთან. იმან ლოყა ლოყაზე მიადო და ჰკითხა:

– რა იყო, მოხდა რამე?

– არაფერი, – მშვიდად მიუგო კირამ.

– უბრალოდ, ზამთარი მოდის, ცოტაც და კიდევ ერთი ახალი წელი დადგება...

– მერე, ეგ გაშინებს? აქამდე ხომ გავძელით როგორღაც.

– არა, – თქვა კირამ.

– არ მაშინებს.

* * *

ახალი წელი სახლმმართველის სტუმრობით დაიწყო.

– მოკლედ, ასეა საქმე, მოქალაქე კოვალენსკი, – სახლმმართველი მალი-მალ ინაცვლებდა ფეხს წინკარში, ქუდსაც ორვე ხელით ჭმუჭნიდა და ცდილობდა, ლეოსთვის თვალებში არ შეეხედა.

– საცხოვრებელი ფართის დადგენილი ნორმების მიხედვით, ორ ადამიანს სამი ოთახი არანაირად არ ეკუთვნის. ქვეყანაში ამგვარი ფართის ისედაც დიდი ნაკლებობაა – უამრავი ადამიანი ხომ მთლად უსახლკაროდაა დარჩენილი! აი ახლაც, უფროსობამ ვიღაც კაცი გამოგზავნა, ორდერი აქვს გამოწერილი ერთ ოთახზე. მე კიდე ვალდებული ვარ, ამ სამაგალითო პროლეტარს ეს ოთახი გამოვუძებნო. მოკლედ, სხვა გზა არაა, თქვენ უნდა დაუთმოთ სასადილო ოთახი, დანარჩენი ორი კი ისევ თქვენვე დაგრჩებათ. ის დრო აღარ არის, როცა ზოგ-ზოგები შვიდ ოთახში იყვნენ გამოჭიმულები...

ახალი მობინადრე ერთი მორცხვი, ხანშიშესული კაცი აღმოჩნდა. ენას უკიდებდა, სათვალეს ხმარობდა და ბუღალტრად მუშაობდა ფეხსაცმლის ფაბრიკა „კრასნი სკოროხოდში“. შინიდან სისხამ დილით გადიოდა და გვიან საღამოს ბრუნდებოდა. საჭმელს თავისივე პრიმუსზე იმზადებდა, სტუმარი კი არასოდეს სწვევია.

– არაფერში არ შეგიშლით ხელს, ამხანაგო არგუნოვა, – უთხრა პირველივე შეხვედრისას.

– ზედმეტ უხერხულობას ნამდვილად არ შეგიქმნით. აი, მხოლოდ ეს მინდა გკითხოთ: თუკი თვეში ერთხელ სააბაზანოთი სარგებლობის უფლებას მომცემთ... ძალიან მადლობელი დაგირჩებით. რაც შეეხება სხვა საჭიროებებს, ბოდიში მომითხოვია და, ფეხსადგილში ვივლი, ეზოში. მოკლედ, ეგ არაფერი, ზედმეტით არაფრით შეგაწუხებთ.

კირამ და ლეომ სასადილო ოთახიდან ავეჯი თავისთან გადაიტანეს და შუა კარიც ამოქოლეს. როცა კირა ახლა უკვე სასტუმრო ოთახში მზარეულობდა ხოლმე, ლეოს სთხოვდა, საძინებლიდან ნუ გამოხვალო.

– ასე აჯობებს, – აუხსნა ქმარს.

– შენთვისაც და ჩემთვისაც.

* * *

ანდრეიმ მთელი ზაფხული ვოლგისპირეთის სოფლებში გაატარა, პარტიის დავალებით.

კირას მხოლოდ ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღესღა შეხვდა ინსტიტუტში. სახე კიდევ უფრო გარუჯვოდა, ხოლო ტუჩის კუთხეებთან გაჩენილ ღარებს არც ნაჭრილობევი ერქვა და არც ნაიარევი, თუმცა კი შესახედად, ერთსაც წააგავდა და მეორესაც.

– ვიცოდი, როგორ გამიხარდებოდა შენი ნახვა, კირა! – უთხრა ანდრეიმ.

– მაგრამ არ მეგონა თუ ასე... გამაბედნიერებდა.

– მძიმე ზაფხული გქონდა, ანდრეი? – წერილებისთვის მადლობას გიხდი, ერთი ეგ თუ მშველოდა... კირა მის მაგრად მოკუმულ ტუჩებს მიჩერებოდა.

– რა გიქნეს, ანდრეი...

– ვინ? – შეუბრუნა კითხვა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რასაც

გულისხმობდა კირა. მერე თვალი აარიდა და ისე უპასუხა:

– მე მგონი, ეგ ყველამ მშვენივრად იცის. სოფელი ჩვენი მომავლის ყველაზე ბნელი ლაქაა. მათი დამორჩილება ვერ მოხერხდა. იქ ხალხი ჩვენს გვერდით არ დგას. ადგილობრივი საბჭოების თავზე წითელი დროშები კი ააფრიალეს, მაგრამ ზურგსუკან დანებს მალავენ... ქედს გვიხრიან, ყველაფერზე თავს გვიქნევენ, ოღონდ გულის სიღრმეში დაგვცინიან კიდეც. საბძლებში მარცვლეულს მალავენ, არადა იმავე საბძლების კარზე ლენინის სურათები აქვთ გამოკრული! წაიკითხავდი გაზეთებში. ერთ-ერთი სოფლის კლუბში სამი კომუნისტი რომ გამოწვეს ცოცხლად და იმ სოფელში ამ ამბიდან მეორე დღესვე მომიწია ჩასვლა.

– ანდრეი, იმედია დამნაშავეები დაიჭირეთ. ანდრეის უნებურად გაეღიმა.

– შენი გამკვირვებია, კირა. მაგას კომუნიზმთან შებრძოლებაზე მეკითხები?

– კი მაგრამ... ხომ შეიძლებოდა, შენთვისაც იგივე ექნათ!

– როგორც ხედავ, მე არაფერი მომსვლია. კისერზე ნაიარევს ნუ მიჩერებიხარ, ეგ უბრალოდ, ნაკაწრია. იმ სულელმა იარაღის ხმარებაც არ იცოდა – ხეირიანად ვერც ამომიღო მიზანში.

* * *

სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელს სამუშაო ოთახში ხუთი სურათი ეკიდა: მარქსის, ტროცკისა და ზინოვიევის – თითოთითო და ორიც – ლენინის. მაგიდაზე კი თაბაშირის ორი მომცრო ბიუსტიც ედგა: ლენინისა და კარლ მარქსის. ტანზე შავი, ხარისხიანი სატინის გლეხურ ყაიდაზე აჭრილი, უსაყელო ხალათი ემოსა.

ჯერ თავის ნაქლიბ-ნალოლიავებ ფრჩხილებს დახედა, მერე კი ლეოს მიაჩერდა.

– ამხანაგო კოვალენსკი, დარწმუნებული ვარ რომ როგორც სხვა

ყველა, თქვენც მთელი მონდომებით ჩაერთვებით დიადი კულტურული აღმშენებლობის საქმეში!

– რას გულისხმობთ? – იკითხა ლეომ.

– ჩვენს დაწესებულებას დიდი ნდობა გამოუცხადეს და ბალტიის ფლოტის ერთ-ერთი ქვედანაყოფის კულტშეფობა გვანდეს. იმედია, ხვდებით ეს რას ნიშნავს? ამიერიდან, პარტიის ახალი, შესანიშნავი წამოწყების ფარგლებში, რაც პროლეტარული კულტურისა და განათლების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას გულისხმობს, სწორედ ჩვენ უნდა ვიტვირთოთ ჩვენი ნაკლებად განათლებული ძმების, ბალტიელი მეზღვაურების გათვითცნობიერება. შესაბამისად, სწორედ ჩვენ ვაგებთ პასუხს კულტურული თვალსაზრისით მათ დაწინაურებაზე და ეს იქნება ჩვენი მოკრძალებული წვლილი ახალი მმართველი კლასის მიერ დამკვიდრებული, ახლებური ცივილიზაციის ჯერ არნახული აღმავლობის საქმეში!

– მშვენიერია, – უთხრა ლეომ.

– და პირადად მე რა უნდა გავაკეთო?

– მეგონა, ეს თავისთავად ცხადი იყო, ამხანაგო კოვალენსკი. ამ ხალხისთვის ღამის სკოლას გავხსნით და თქვენ, როგორც უცხო ენების მცოდნე... მოკლედ, მინდა რომ კვირაში ორჯერ, გერმანულის გაკვეთილები ჩაუტაროთ. გერმანული ენა ჩვენი სამომავლო დიპლომატიის ქვაკუთხედია, შემდგომი ნაბიჯი მსოფლიო რევოლუციის საქმეში. კვირაში ერთხელ კი ინგლისურის გაკვეთილებსაც თქვენვე გაუძღვებით. რა თქმა უნდა, ამ საქმეში არანაირი ფულადი ანაზღაურება არ იგულისხმება. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩვენივე ნებაყოფლობითი წამოწყებაა, ასე ვთქვათ, ჩვენი უანგარო საჩუქარი სახელმწიფოსათვის.

– მას მერე რაც რევოლუცია მოხდა, – თქვა ლეომ.

– საჩუქარი არავისთვის მიყიდია, უახლოესი მეგობრებისთვისაც კი. უბრალოდ, ამის საშუალებაც არ მქონდა.

– ამხანაგო კოვალენსკი, ოდესმე გიფიქრიათ, რა აზრისა ვართ იმ

ადამიანებზე, ვინც მხოლოდ გასამრჯელოსთვის მსახურობს და თავისუფალ დროს არანაირ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში?

– და თქვენ თუ გიფიქრიათ როდისმე, რომ თავისუფალ დროს, მე ჩემი ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო?

საწერ მაგიდასთან მჯდომმა ჩინოსანმა რიგ-რიგობით შეავლო თვალი კედლებზე გამოკიდულ ხუთივე პორტრეტს.

– საბჭოთა სახელმწიფო, საზოგადოებრივის გარდა, სხვა არანაირ ცხოვრებას არ ცნობს! – თქვა მკაცრად.

– არა მგონია, ამაზე კამათი გვიღირდეს.

– სხვაგვარად თუ ვიტყვით, უარზე ხართ? – დიახ, ეგრეა.

– ძალიან კარგი. ეს სამსახური სავალდებულო არაა, ძალას ვერ დაგატანთ. აქ მთავარი სიახლე მონაწილეთა შეგნება და ნებაყოფლობითი არჩევანია. რაც შემოგთავაზეთ, მეც მხოლოდ თქვენთვისვე სახეიროდ მსურდა – თქვენივე წარსულის გარკვეული მოვლენებიდან გამომდინარე, ვიფიქრე – გაუხარდება-მეთქი... მაგრამ არა უშავს. ოღონდ მინდა ისიც შეგახსენოთ, რომ ამხანაგი ზუბკოვი ჩვენი პარტიული უჯრედიდან, უკმაყოფილებას გამოთქვამს თქვენთან დაკავშირებით – ასეთი სოციალური წარსულის მქონე თანამშრომელს ამოდენა ხელფასი არ უნდა ჰქონდესო და როცა თქვენი უარი მის ყურამდეც მიაღწევს...

– როცა მიაღწევს, – სიტყვა გააწყვეტინა ლეომ.

– ასე უთხარით, პირადად შეუძლია დამელაპარაკოს. და თუ ეს თემა მართლა აინტერესებს, უფასო გაკვეთილსაც სწორედ მას ჩავუტარებ.

* * *

ლეო ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა შინ.

ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში ცისფრად შიშინებდა პრიმუსი. მასთან

მოფუსფუსე კირას თეთრი წინსაფარი კი რაღაც თეთრ ლაქას წაგავდა.

ლეომ ქუდი და პორტფელი მაგიდაზე მიაგდო.

– მორჩა, – უთხრა კირას.

– წამოვედი. კირას ჰაერში გაუშეშდა სუფრის კოვზი.

– ანუ... გამომცემლობიდან? – ჰკითხა ჩუმად.

– კი, დამითხოვეს. შტატების შემცირებაა. არასასურველ ელემენტებს იშორებენ თავიდან. ასე მითხრეს, ბურჟუაზიული ხედვა გაქვსო. თან სოციალურად უმწიფარიც ვყოფილვარ თურმე.

– კარგი... ეგ არა უშავს, მოვახერხებთ რამეს.

– ცხადია, არა უშავს. შენ რა გგონია, ამ ოხერ სამსახურს მივტირი? ეს ამბავი ზუსტად იმდენად მაღელვებს, რამდენადაც ამინდის ცვლილება...

– მართალიც ხარ. წადი ახლა, პალტო გაიხადე, ხელები დაიბანე და ვისადილოთ.

– ვისადილოთ? და რა გვაქვს სადილად?

– ჭარხლის წვნიანი. შენ რომ გიყვარს.

– ეგ როდიდან? არ მინდა, არ მშია. საძინებელში გავალ და ცოტას ვიმეცადინებ. ძალიან გთხოვ, არ შემაწუხო.

– არ შეგაწუხებ...

მარტოდ დარჩენილმა კირამ პირსახოცი აიღო, ქვაბს ხუფი ახადა და ნელა, აუჩქარებლად, საჭიროზე დიდხანს ურია წვნიანს. მერე თაროდან მათლაფა ჩამოიღო. მაგიდისკენ რომ მიქონდა, შეამჩნია რომ ხელები უთრთოდა. შედგა და ბინდ-ბუნდში, ჩურჩულით მიმართა საკუთარ თავს – ცხოვრებაში პირველად და თან ისე, თითქოს სრულიად უცნობ პიროვნებას ელაპარაკებაო:

– აბა კირა, მორჩი ახლა! გეყო, არ შეიძლება ეგრე...

მაგიდასთან მისულს, მათლაფა ჯერ ისევ ხელში ეჭირა და თვალები დახარა, მთელი თავისი ნებისყოფა ამ თვალებში მოაქცია,

თითქოს ახლა ყველაფერი ამ მათლაფაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ცოტა ხანში, მათლაფამაც შეწყვიტა ცახცახი.

რიგში ერთი საათის დგომის მერე, სიგარეტს მოუკიდა. ორი საათი რომ გავიდა, იგრძნო, როგორ დაუბუჟდა ფეხები.

სამი საათის შემდეგ, კისრის ქვემოთ უკვე ვეღარ გრძნობდა საკუთარ სხეულს და იძულებული გახდა, კედელს მიყრდნობოდა.

რიგმა რომ მოუწია, რედაქტორმა ლეოს თვალი შეავლო და უთხრა:

– წარმოდგენა არა მაქვს, რაში შეიძლება გამოვიყენოთ, მოქალაქე! რა თქმა უნდა, ჩვენი მასალა მთლიანად ხელოვნებას ეძღვნება, ოღონდ – პროლეტარულ ხელოვნებას – ეს უნდა გახსოვდეთ. მთავარი კლასობრივი ხედვაა, თქვენ კი არც პარტიის წევრი ხართ და დამეთანხმებით, რომ არც სოციალური წარმომავლობა გიწყობთ ხელს... აგერ, ათი გამოცდილი ჟურნალისტის განცხადება მიდევს მაგიდაზე, ყველანი პარტიულები არიან.

* * *

ღორის ქონში არ უნდა შევწვა თევზიო, – გადაწყვიტა კირამ. საამისოდ შეეძლო მზესუმზირის ზეთიც ეხმარა. რიგიან ზეთს თუ იყიდდა, უფრო იაფიც დაუჯდებოდა და მყრალ სუნსაც არ აუშვებდა... კოოპერატივის სალაროსთან ფული ყურადღებით გადაითვალა და შინისაკენ გამოემართა. თან გაზინთულ ბოთლში ჩასხმულ, ბლანტ ყვითელ სითხეს მიაჩერდებოდა ხოლმე ეჭვით.

* * *

– უკაცრავად, ამდენ ხანს რომ გალოდინეთ, მოქალაქევ, მაგრამ ამხანაგი რედაქტორი ძალზე დაკავებული კაცია... ახლა შეგიძლიათ შებრძანდეთ, – უთხრა ლეოს მდივანმა გოგომ.

ამხანაგი რედაქტორი სკამის საზურგეზე გადაწოლილიყო, ხელში ქაღალდის საჭრელი, ბრინჯაოს დანა ეჭირა. დანის წვერს სამაგიდო

კალენდრის ფურცელზე ათამაშებდა, რომელზეც განათლებისა და ხელოვნების სახალხო კომისარი, ლუნაჩარსკი გამოესახათ. რედაქტორს ხმაც ისეთი ჰქონდა, თითქოს ახლა სწორედ ამ დანით ჭრიდა ქაღალდს:

– არა, თავისუფალი სამუშაო ადგილი არ გვაქვს. არც ველოდებით. უამრავი პროლეტარი შიმშილობს და ამ დროს თქვენ, ბურჟუები, სამსახურს ითხოვთ... მე თვითონაც პროლეტარი ვარ, ამ ადგილზეც პირდაპირ ქარხნიდან მოვედი... სხვათა შორის, ძველ დროს უმუშევარი გახლდით, თქვენ კი, ძმებო ბურჟუებო, ჩემს მიმართ არანაირი სიბრალული არ გაგჩენიათ... ახლა მიხვდებით, როგორია უმუშევრობა.

* * *

– რაღაც გაუგებრობაა, მოქალაქეებო! დახმარების მთხოვნელთა მიღება მხოლოდ ცხრიდან თერთმეტამდეა და ისიც, მარტო ხუთშაბათობით... საათნახევარია ელოდებით? მე რა ვიცოდი, რისთვის ისხედით და რას ელოდებოდით! ან ვინ გთხოვათ აქ ჯდომა?

* * *

საღამოს, როცა შინ დაბრუნდა, ლაპარაკის არანაირი ხალისი აღარ ჰქონდა.

კირამ სუფრა გააწყო. ისიც მაგიდას მიუჯდა და უხმოდ შეუდგა ჭამას. კირას ძალიან მოენდომებინა, მას კი არაფერი უთქვამს – არც შეუხედავს მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ქალის გაფაციცებული, ცისფერი თვალებისთვის, არც მისი გულითადად მომღიმარი ტუჩები შეუმჩნევია. არც საყვედური დასცდენია და არც ქება.

– ბოლო დროს, მალაქიტის სადგამზე შემოდგმულ ბროლის ლარნაკთან გაირინდებოდა ხოლმე – იმ ერთადერთთან, მთელი რომ გადარჩენილიყო. ჯიბეებში ხელებჩაყოფილს, ტუჩის კუთხეში სიგარეტი გაეჩარა და არაფრისმთქმელი თვალებით იმზირებოდა. არც კი

ინძრეოდა, თვალსაც არ ახამხამებდა, მხოლოდ ბოლის დაკლაკნილ ქულებს უშვებდა ჭერისკენ, ნელ-ნელა. როდის-როდის ჩაელიმებოდა, სიგარეტიც იატაკზე ეცემოდა, იქვე ბოლავდა ჯერაც ჩაუმქრალი და პარკეტზეც მუქი წრე თანდათან ფართოვდებოდა. ოღონდ ვერც ამას ამჩნევდა, ისევე როგორც ვერ ამჩნევდა კირა, რადგან მისი შეშინებული, ფართოდ გახელილი თვალები მხოლოდ ლეოს ცივ, დამცინავ ღიმილს ხედავდა.

* * *

– რამე გამოცდილება გაქვთ, მოქალაქე? – არა.

– პარტიის წევრი ხართ? – არა.

– ბოდიში, ადგილები არ გვაქვს. შემდეგი.

* * *

ორშაბათი იდგა. სწორედ იმ დღეს დაიბარეს ერთ კანტორაში, მუშაობის დასაწყებად. ახლა ლეო ტანდაბალი, კოპებშეკრული გამგის პირისპირ იდგა და იცოდა, მადლობის ნიშნად უნდა გავუღიმოო, მაგრამ ლეო არასოდეს იღიმებოდა მაშინ, როცა ამას საღი აზრი კარნახობდა. მით უფრო, რომ შეიძლება არც ამ გაღიმებიდან გამომდნარიყო რამე. გამგე კი აქეთ შეშფოთებული დაუხვდა – სახეზე დარცხვენილი გამომეტყველება დასთამაშებდა და თვალის გასწორებისაც ერიდებოდა:

– ძალიან ვწუხვარ, მოქალაქე! მართალია, ამ ადგილს დაგპირდით, მაგრამ იცით, ჩვენი უფროსის ბიძაშვილი ჩამოვიდა მოსკოვიდან, ისიც უმუშევარია და... მოკლედ, გაუთვალისწინებელი ვითარება შეიქმნა, მოქალაქევ. ხომ გაგიგიათ – კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... ისე, შემოგვიარეთ ხოლმე, იქნებადა გამოჩნდეს რამე.

* * *

კირა სულ უფრო იშვიათად დადიოდა ინსტიტუტში.

მაგრამ როცა დიდ, ცივ აუდიტორიაში იჯდა და ლექციებს ისმენდა ფოლადის, მასალათა გამძლეობისა თუ კილოვატების თაობაზე, მხრებში ისე იშლებოდა, თითქოს შიგნიდან მისი ნერვები ვიღაცამ უკიდურესობამდე მოჭიმაო. თან მალი-მალ გახედავდა ხოლმე გვერდით მჯდომს და ზოგჯერ საკუთარ თავს ეკითხებოდა – იქნებ ლითონსა თუ საყრდენ სვეტებზე ნათქვამ ამ სიტყვებში სწორედაც ამ კაცის ძვლები და კუნთები იგულისხმებაო? კაცის, ვისთვისაც გამოედნოთ ეს ფოლადი, ან ეგებ თავად ეს კაცი შეექმნათ ფოლადისთვის, ბეტონისთვის და სადნობი ღუმელების სითეთრემდე გავარვარებული მცხუნვარებისთვის? უკვე კარგა ხნის წინ დავიწყებოდა, სად დასრულებულიყო ანდრეი ტაგანოვის ცხოვრება და სად დაწყებულიყო მოგუგუნე ძრავა-დანადგარების სიცოცხლე...

კაცის მზრუნველ შეკითხვებზე კი კირა მუდამ ასე პასუხობდა:

– ანდრეი, ჩემი ამოღამებული თვალები შენივე წარმოსახვის ნაყოფია და სხვა არაფერი! და საერთოდ, როდის აქეთ დაგჩემდა ჩემს თვალებზე ფიქრი?

* * *

როცა ლეო მაგიდას მიუჯდა, კირამ ცოტა არ იყოს, ნაძალადევად გაუღიმა.

– იცი, დღეს სადილი არა გვაქვს...

– უთხრა წყნარად.

– ვერაფერი მოვამზადე. მარტო პური დაგახვედრე, ეგაა და ეგ. კოოპერატივში იქამდე გაუთავდათ ფეტვი, სანამ ჩემი რიგი მოაღწევდა. აი პური კი მერგო. ცოტა ხახვიც მოვხრაკე მზესუმზირის ზეთში. პურს უხდება.

– შენი წილი სადღაა? – მე... შევჭამე უკვე. შენ მოსვლამდე შემომეჭამა.

– ამ კვირაში რამდენი მოგცეს?

– არ ვიცი... მგონი, მთელი გირვანქა. წარმოგიდგენია? ჩვეულებრივი ნახევარი გირვანქის მაგივრად. კარგია არა?

– ძალიან. ოღონდ მე არ მშია. წავალ, დავიძინებ.

* * *

რიგში ლეოსთან ერთად მდგარი ჩოფურა კაცი რაღაც უცნაურად იცინოდა. ხორხიდან ხრინწიანი, შიშინა ხმა ამოსდიოდა, თითქოს ბაგეებამდეც რომ ვერ აღწევდა და ნარბენი ადამიანის ქშინვასავით მოისმოდა.

– ვხედავ. ამ წითელ ცხვირსახოცს მითვალიერებთ გულის ჯიბეში, ამხანაგო! ჰხე-ჰხეე! – შეთქმულივით გადაუჩურჩულა ლეოს.

– საიდუმლოს გაგანდობთ: სინამდვილეში ეს ცხვირსახოციც არაა. ხედავთ, ჩვეულებრივი აბრეშუმის პატარა ნაჭერია. როცა შევალ, იფიქრებენ პარტიის წევრობის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანია ან რამე ამდაგვარიო... ჰხე-ჰხეე... მერე კი მიხვდებიან ყველაფერს, მაგრამ ფსიქოლოგიურად მაინც იმოქმედებს... ჰხე-ჰხეე! ეგებ მიშველოს, თუკი თავისუფალი ადგილები მართლა აქვთ. მიბრძანდით, თქვენი ჯერია. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე... დაბნელდა უკვე. მაინც რა ჩქარა გარბის რიგში დრო... ჰხე-ჰხეე...

* * *

უნივერსიტეტის კოოპერატივთან გაჭიმულ რიგში ლეოს წინ მდგარმა ვიღაც სტუდენტმა ხმამაღლა გადაულაპარაკა მასსავით პარტიის სამკერდენიშნიან ამხანაგს:

– უცნაურია, არა? ზოგი სტუდენტი ლექციაზე ფეხს არ შეადგამს, პურის რიგში კი პირველი გამოგეჭიმება!

დახლსიქით მდგარ გამყიდველს რომ მიმართა, ლეო შეეცადა, ხმაში თხოვნისმაგვარი გამორეოდა, არადა მისი ნათქვამი მაინც მშრალად და უხეშადაც კი გაისმა:

– ამხანაგო გამყიდველო, შეიძლება მომავალი კვირის ტალონიც

მოვა ხო? შევინახავ და იმ კვირაში როცა მოვალ პურისთვის, გიჩვენებთ... იცით რაშია საქმე? მე... მოკლედ, შინ ერთი ადამიანი მელოდება, იმას ვეტყვი, ორი კვირის სამყოფი პური ავიღე ერთ ჯერზე და ჩემი წილი გზად შემომეჭამა-მეთქი. მაშინ იმას მთელი პური დარჩება... დიდი მადლობა, ამხანაგო.

* * *

ზორბა გამგემ ვიწრო დერეფნის გავლით შეიყვანა ლეო ცარიელ კაბინეტში, სადაც კედელზე ლენინის დიდი სურათი ეკიდა და კარი ფრთხილად შეიკეტა ზურგსუკან. სახეზე მეგობრული ღიმილი აეკრა, თვალები კი მსუქან ლოყებში ჩაკარგვოდა.

– აქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, მოქალაქე! საქმე ასეა: დღევანდელ დღეს სამუშაოს შოვნა იოლი არაა, გაჭირდა ცხოვრება. ამიტომ, ვისაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია და სხვების დასაქმებაც შეუძლია, იმას რაღაც ხეირიც უნდა ქონდეს, ასე არაა?

თორემ მარტო ხელფასით თავის გატანა ჭირს – სულ ერთია, რა თანამდებობაც არ უნდა გეკავოს. ყველაფერს ცეცხლის ფასი ადევს, არადა ცხოვრება ხომ გინდა? სამსახურს რომ შოულობს კაცი, მადლიერებაც უნდა გამოხატოს, ასე არაა? ამბობ, მშრალზე ვარო? მაშინ აქ რა გინდა, შე გაღლეტილო! რა გგონია, ჩვენ, პროლეტარები, ყველა წურბელა ბურჟუას უნდა ველოლიავოთ?

* * *

– ინგლისური, გერმანული და ფრანგული? დასაფასებელია ამხანაგო, დასაფასებელი! ჩვენ ნამდვილად გვჭირდება უცხო ენების მასწავლებლები. პროფკავშირის წევრი ხართ? არა? დიდი ბოდიში, მოქალაქე, ჩვენ მხოლოდ პროფკავშირის წევრებს ვასაქმებთ...

* * *

– ესე იგი, პედაგოგთა პროფკავშირში გსურთ გაწევრიანება? ძალიან კარგი, მოქალაქე! და სად მუშაობთ?

– არსად არ ვმუშაობ.

– თუ არ მუშაობთ, პროფკავშირშიც ვერ გაწევრიანდებით.

– სამსახურს იმიტომაც ვერ ვიწყებ, რომ პროფკავშირის წევრი არა ვარ.

– უმუშევარი პროფკავშირის წევრი ვერც გახდება. შემდეგი!

* * *

– ნახევარი გირვანქა სელის ზეთი, თუ შეიძლება. ოღონდ იქნებ ცოტა ნაკლებად მომწარო... არა, მზესუმზირისას ვერ ავიღებ – ძალიან ძვირია.

* * *

– კირა! რას დადიხარ ამ ღამის პერანგის ამარა?

ლეომ წიგნი გვერდზე გადადო. მაგიდის სანათი სასტუმრო ოთახის ჩაბნელებულ კუთხეებს ვერ ანათებდა და ლეოს სახეზეც ადებდა ჩრდილს. სიბნელეში თეთრად კრთოდა კირას ღამის პერანგი.

– უკვე მეოთხე საათია...

– ჩაიჩურჩულა კირამ.

– ვიცი. მაგრამ სამეცადინო მაქვს, ვერ ვასწრებ. წადი, დაწექი. ხომ ხედავ, უკვე კანკალებ.

– ასე თავს დაიღუპავ, ლეო...

– მერე რა? რაც უფრო სწრაფად მოთავსდება ყველაფერი, მით უკეთესი.

სიბნელეში ვერ ხედავდა, თუმცა ტანით გრძნობდა, რა სახით უცქერდა კირა. წამოდგა, მიუახლოვდა და მკლავებში მოიმწყვდია მთრთოლვარე თეთრი აჩრდილი.

– კირა, ხომ იცი რომ ასე არ ვფიქრობ! ერთი მაკოცე და... წადი, დაწექი. ტუჩებიც კი გაგყინვია. იცოდე, ხელში აგიყვან და ძალით

დაგაწვენ! .

– მართლაც აიტატა და კირამაც წამსვე იგრძნო კაცის ძალაც, სიმტკიცეცა და სითბოც. ლეომ საძინებელში შეიყვანა, შუბლი შუბლზე მიადო და ჩასჩურჩულა:

– სულ რამდენიმე გვერდი... მერე შენთან ვარ. ახლა კი დაიძინე, ღამე მშვიდობის. არაფერზე არ იდარდო.

* * *

– როგორც სახლმმართველი, ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, ამხანაგო არგუნოვა. კანონი კანონია. რაკი საბჭოთა დაწესებულებაში არ მუშაობთ, ქირაც გეზრდებათ. თქვენ ახლა არაშრომითი შემოსავლის მქონეთა კატეგორიაში გადაგიყვანეს... მე არ ვიცი, რა შემოსავლის! კანონი კანონია.

* * *

რიგში მის შემდეგ კაცები იდგნენ. მობუზულები, დაჩიავებულები, შემცბარები. მკერდჩავარდნილები და თავჩაქინდრულები. ყვითელი ხელები უცახცახებდათ. ჩამქრალ-ჩანავლებული სულის სიღრმეებში ნების ბოლო ნარჩენები უჭიატებდათ. თვალებში უკიდურესი სასოწარკვეთა ჩაბუდებოდათ – უტყვი შეძრწუნება, ამაო მუდარა. მთლად სასაკლაოზე გამოყვანილ საქონელს უგავდათ სახე. ისიც მათ შორის იდგა – მაღალი, ახალგაზრდა, წარმოსადეგი; ღვთაებრივად ლამაზ სახეზე ჯერაც ამაყი ღიმილი დასთამაშებდა.

ვიღაც ქუჩის მეძავმა ნაბიჯი შეანელა და შემცბარმა გამოხედა, დანარჩენებისაგან ასე აშკარად გამორჩეულს. მერე თვალიც ჩაუკრა, გამომწვევად. ის კი არც შერხეულა, მხოლოდ თავი მიაბრუნა გვერდზე.

XIV

ერთხელ, ნაშუადღევს, უცებ სახლი ჩამოინგრა. წინა კედელი გადასკდა და კირის თეთრ ღრუბელში გახვეულ აგურების წვიმად ჩამოიქცა. სამსახურიდან დაბრუნებულ მაცხოვრებლებსაც საკუთარი საძინებელი ოთახები სამზეოზე გამოჩენილი დაუხვდათ, სპექტაკლის დეკორაციებით. ქუჩის თავზე, გაშიშვლებულ განივ კოჭზე ავისმომასწავებლად ჩამოკონწიალებულიყო პიანინო; აქა-იქ შეკავებული ოხვრა გაისმოდა, თუმცა დიდი გაოცება არავის გამოუხატავს: კარგა ხნის წინ შესაკეთებელი არაერთი სახლი ასე ჯერი-ჯერზე ინგრეოდა ქალაქის სხვადასხვა უბანში. ზოგჯერ ნატეხი აგურის ვეება გროვები ტრამვაის ხაზებზეც კი იყრებოდა და მოძრაობას აფერხებდა.

ლეოს ორი დღით ეშოვა სამუშაო – ქუჩებს ასუფთავებდა. საათობით იმეორებდა ერთსა და იმავეს – წელში მოიხრებოდა და ისევ სწორდებოდა, უსასრულოდ; თან ცდილობდა, ხერხემალში ყრუ ტკივილისთვის ყურადღება არ მიექცია და მოწითალო მტვრით დათხვრილი, დასისხლიანებული, კანგადაგლეჯილი და სიცივისაგან გახევებული თითებისათვის.

შვედეთის პროფკავშირების წარგზავნილთა პატივსაცემად, რევოლუციის მუზეუმში გამოფენა გაიხსნა. კირასაც გამოუჩნდა საქმე – მას ისტორიული ფოტოების სტენდის გაფორმება დაავალეს. ოთხი საღამოს განმავლობაში, ვერც იმან მოახერხა ხეირიანად წელში გამართულიყო – უკვე თვალებზე ბინდგადაკრულს, აცახცახებული ხელებით ჩაებღუჯა სახაზავი და გაჭირვებით გამოყავდა დიდრონი ასოები: „1910 წელს, ექსპლოატატორი კაპიტალისტებისაგან ნაქირავებ ხუხულებში შიმშილისაგან მომაკვდავი მუშები“.

„მეფის ჟანდარმთა მიერ, 1905 წელს გაციმბირებული მუშები“.

ხვავრიელმა თოვლმა თხრილები ამოავსო და სარდაფების ფანჯრებიც ამოგმანა. ლეო სამი ღამე ნიჩბით ებრძოდა თოვლს, გამა-

ლებული სუნთქავდა და თეთრ ოხშივარს აფრქვევდა პირიდან. ყელზე მჭიდროდ შემოხვეულ კაშნეზე პაწია ლოლუები უბზინავდა.

მერე იყო და, ვიღაც მოქალაქემ, რომლის შემოსავლის წყაროც საიდუმლოებით იყო მოცული, თუმცა ამის მიუხედავად, კერძო ავტომობილსაც ფლობდა და ხუთოთახიან ბინაშიც ცხოვრობდა, თან როგორც ამბობდნენ, კვების მრეწველობის ტრესტის მაღალჩინოსნებთან შინაურული ურთიერთობა გაება, უცებ გადაწყვიტა, შვილებისთვის ფრანგული ესწავლებინა. კირა კვირაში ორჯერ უტარებდა ამ ბავშვებს გაკვეთილებს. ვალის მოსახდელად, passe imparfait-ის მნიშვნელობას უხსნიდა ორ მოუსვენარ ძმას, რომლებიც ჯიუტად თითით იხოცავდნენ ცხვირს. ხმა ებზარებოდა, აზრი ერეოდა, მზერას კი დიდი მონდომებით არიდებდა ჭურჭლის მასიურ კარადას, სადაც დაბრაწული, ცხელ-ცხელი ფუნთუშები იწონებდნენ თავს.

ლეო კი ვიღაც პროლეტარ სტუდენტს ეხმარებოდა მოახლოებული გამოცდისთვის მზადებაში. ნელა და ბეჯითად უხსნიდა კაპიტალისა თუ საპროცენტო განაკვეთის კანონებს მუდამ რულმორეულ ყმაწვილკაცს, რომელიც მთლად მუნიანივით, მალი-მალ იფხანდა თითების სახსრებს.

კირა ყოველდღიურად, ორ-ორი საათი რეცხავდა ჭურჭელს თევზის სუნდაკრულ. ქონმოდებულ ტაშტში და იქამდე ეწეოდა ამ უსიამო ჭაპანს. ვიდრე ის კერძო რესტორანიც არ გაკოტრდა.

თითქმის მთელი დღე გარეთ უწევდათ ყოფნა, ხოლო როცა შინ ბრუნდებოდნენ, არასოდეს ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სად რის რიგში მდგარიყვნენ, რომელ ქუჩებში ებორიალათ უიმედოდ და კიდევ, რამდენი კარი მიეკეტათ მათთვის ცხვირწინ. შებინდებულზე, კირა „ბურჟუიკას“ ანთებდა, უხმოდ მიუსხდებოდნენ და ორივე თავთავის სახელმძღვანელოებს ჩაუჯდებოდა ხოლმე. ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ სასწავლი და ერთი მიზანი – მისაღწევი, გინდაც ყველა სხვაზე იძულებით ეთქვათ უარი: დიპლომები უთუოდ უნდა აეღოთ. „ეს არაფერი,“ – ეუბნებოდა კირა ლეოს.

– „სისულელეებზე არც უნდა ვიფიქროთ. უბრალოდ, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მხოლოდ ის უნდა გვახსოვდეს, რომ მზად უნდა ვიყოთ და მერე... მერე იქნებ რამე გზაც გამოჩნდეს საზღვარგარეთ...“

სათქმელი ვერ დააბოლოვა, გაუჭირდა ამ ფარული ოცნების სიტყვებად ქცევა. ეს სიტყვები ორივე მათგანის არსებაში გამოუთქმელ, სხვათაგან საგულდაგულოდ დამალულ ჭრილობას ჰგავდა.

– ზოგჯერ გაზეთებსაც კითხულობდნენ. პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, ამხანაგი ზინოვიევი აცხადებდა: „მსოფლიო რევოლუცია, მეგობრებო, უკვე არა წლების, არა თვეების, არამედ დღეების საქმეა! პროლეტარიატის აჯანყების ცეცხლი გადაბუგავს დედამიწას და სამუდამოდ ამოშანთავს მსოფლიო კაპიტალიზმის დანატოვარს...“

გაზეთში ამხანაგ ბირიუხინთან, წითელდროშოვანი კრეისერის მესამე მემანქანესთან საუბარიც იყო დაბეჭდილი. ბირიუხინი ამბობდა:

„დიახაც რიგიანად გვექნება დაზეთილი... ყველა ძრავა... ჟანგსაც მივხედავთ, ხალხის კუთვნილი მანქანა-დანადგარების არ იყოს! ჩვენ შეგნებული პროლეტარები ვართ, ჩვენი წილი შეგვაქვს იქ... სადაც საჭიროა! მაშასადამე, არც არაფერი გვეშლება და მარტო ჩვენი საქმე გვახსოვს, მსოფლიო ბურჟუაზიას კი სულ კუდით ქვას ვასროლინებთ და საერთოდ...“

ხანდახან ახალ ჟურნალებსაც გადაავლებდნენ ხოლმე თვალს:

„...მაშამ ცივად შეხედა.

– ვშიშობ, ჩვენი იდეოლოგიები მეტისმეტად განსხვავებულია! ჩვენ სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები ვართ. შენს ცნობიერებაში ძალიან ღრმად გაუდგამს ფესვი ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, მე კი ბობოქარი მასების შვილი ვარ – ჩემთვის პიროვნული სიყვარული მართლაც რომ ბურჟუაზიული ცრურწმენაა.

– მაშ ეს დასასრულია, მამა? – ხმაჩახლეჩილმა ჰკითხა კაცმა და

მიმზიდველ, თუმც კი ბურჟუაზიულ სახეზე მკვდრისფერი დაედო.

– ასეა, ივან! – მიუგო მაშამ.

– ეს დასასრულია... მე ახალი დროებისა და ახალი ყაიდის ქალი ვარ! "

ამნაირ ჟურნალებში თანადროული პოეზიის ამგვარ ნიმუშებსაც გადააწყდებოდა კაცი:

ჩემი გული მინდორ-ველად მოგუგუნე ტრაქტორია,

ჩემი სული – ინდუსტრიის ცეცხლი!

ერთხელ, კინოშიც წავიდნენ.

ამერიკულ ფილმს უჩვენებდნენ. განათებული სარეკლამო აბრების წინ შეგროვილი ხალხი მოწყენილი მიჩერებოდა შორეული ქვეყნის ამ სულისშემძვრელ, უკვე დავიწყებულ სურათებს. თოვლის ხვავრიელი ფანტელები ვიტრინის შუშას ეხლებოდა; მოწადინებული ადამიანების სახეებზე მორცხვი ღიმილი კრთოდა – თითქოს ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში: ეს შუშა და შუშაზე კიდევ უფრო რაღაც მეტი, თავგამოდებით იცავს უცხო, ზღაპრულ, შორეულ მხარეს ამ უსასოო რუსული ზამთრისაგანო.

კირა და ლეოც ხალხით გაჭედილ ფოიეში ელოდნენ ახალი სეანსის დაწყებას. მერე კინოდარბაზის კარი გაიღო და ბრბომაც იხუვლა, კედლებზე მიაჭყლიტეს ისინი, ვინც დარბაზიდან გამოსვლას ცდილობდა და ორი ვიწრო გასასვლელით მიიკვლევდა გზას კარებისაკენ. შესვლის მსურველები კი ისეთი გააფთრებითა და სასტიკი სასოწარკვეთით ცდილობდნენ თავისას, თითქოს ერთბაშად ბლომად ხორცი ეტენება საკეპ მანქანაშიო. ეკრანზე თეთრ ასოებად აციმციმდა ფილმის სათაური:

„ოქროს რვაფეხა".

„დადგმა – რეჟინალდ მურისა

მოწონებულია ამხანაგ მ. ზავადკოვის მიერ"

მერე ფილმიც დაიწყო, მაგრამ გამოსახულება აშკარად არ ვარ-

გოდა – ერთთავად თრთოდა და ციმციმებდა. რომელიღაც დაბინდულ დაწესებულებაში ადამიანები აჩრდილებივით დაიარებოდნენ. კედელზე გამოკრული ინგლისურენოვანი აბრის ტექსტი შეცდომით იყო შედგენილი. დაწესებულება რომელიღაც ამერიკულ პროფკავშირს ეკუთვნოდა, სადაც ერთ-ერთი მკაცრი ამხანაგთაგანი ქერათმიან, შავთვალა გმირს საპასუხისმგებლო დავალებას აძლევდა – მას უმნიშვნელოვანესი, მავანი კაპიტალისტის მიერ მოპარული საბუთები უნდა დაებრუნებინა პროფკავშირისათვის.

– ეს რაღა უბედურებაა? – ჩაიჩურჩულა ლეომ.

– ამერიკაშიც ამისთანა ფილმებს იღებენ?

უცებ. თითქოს ნისლი გაიფანტა, გამოსახულება დაიწმინდა და სრულიად მკაფიო გახდა. უკვე ნათლად მოჩანდა გმირი ქალის შეღებილი ტუჩების კოხტა მოხაზულობაცა და მისი გრძელი, აპრეხილი წამწამების თითოეული ღერიც. თვალისმომჭრელ უცხოურ სამოსში გამოწყობილი ქალებიცა და მამაკაცებიც ნატიფად და მომხიბვლელად მიიკვლევდნენ გზას სიუჟეტის ხვეულებში, რომლის აზრიც სრულიად ბუნდოვანი რჩებოდა. სუბტიტრები გამოსახულებას ვერ მისდევდა: თეთრი, კაშკაშა ასოებით აწყობილი ტექსტი მაყურებელს „კაპიტალისტურ უღელქვეშ ჩვენი ამერიკელი ძმების ტანჯვაზე" მოუთხრობდა, არადა ეკრანზე სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ხალხი გულიანად იცინოდა, გაჩახჩახებულ დარბაზებში ცეკვავდა, ოკეანის ქვიშიან სანაპიროზე მირბი-მორბოდა, ზღვაურით თმააფრიალებული... ყველას ახალგაზრდული ხალისი, ძალა და ჟინი ეტყობოდა.

თეთრად შემოსილი მთავარი გმირი ქალი შინიდან გამოვიდა, მაგრამ ქუჩაში უცებ შავლაბადიანად გადაიქცა; მთავარი გმირი მამაკაციც უცებ უფრო მაღალი და გამხდარი გახდა, თმა კიდევ უფრო გაუღიავდა, შავი თვალები კი რატომღაც, მთლად გაუცისფერდა. მისი ძვირფასი, მოდური პიჯაკიც ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანდა

პროფკავშირის რიგითი წევრისათვის. ის „უმნიშვნელოვანესი“ საბუთები კი, რომელსაც უაზროდ აწყობილი სიუჟეტური ქარგის მიხედვით დაეძებდა უთავბოლოდ, ნელ-ნელა რაღაც საეჭვოდ დაემსგავსა ბიძამისის დანატოვარ ანდერძს...

ერთ-ერთი ტიტრი იუწყებოდა: „მე შენ მძულხარ, შენ სისხლისმწოველი კაპიტალისტი წურბელა ხარ! გაეთრიე ჩემი ოთახიდან! “ ეკრანზე კი ამ დროს ვიღაც ვაჟბატონი მომხიბლავი ქალის ხელისკენ დახრილიყო, ნაზად ეხებოდა ტუჩებით, ქალიც სევდიანად დასცქეროდა და მსუბუქად უჩეჩავდა ქოჩორს.

ფილმი ბოლომდე არც უჩვენებიათ – უეცრად გაწყვიტეს, თითქოს სინათლე გაითიშაო. ტიტრი კი მაყურებელს ამცნობდა: ექვსი თვის შემდეგ, სისხლისმსმელი კაპიტალისტი გაფიცულმა მუშებმა გამოასალმეს სიცოცხლეს და ჩვენმა გმირმაც შეგნებულად თქვა უარი იმ ეგოისტურ სიყვარულზე, რისკენაც მას ბურჟუაზიული სირინოზი უბიძგებდა ათასნაირი ხრიკებით და საკუთარი ცხოვრება მსოფლიო რევოლუციის საქმეს მიუძღვნაო.

– მივხვდი! – წამოიძახა კირამ, როცა დარბაზიდან გამოდიოდნენ.

– ვიცი რაც ქნეს! დასაწყისი აქვე, ჩვენთანაა გადაღებული და საერთოდ, მთელი ფილმი ნაკუწებადაა დაჭრილი...

კარისკაცმა, რომელმაც მის ნათქვამს მოკრა ყური, ეშმაკურად ჩაიხითხითა.

* * *

შიგადაშიგ, კარზე ზარი რეკდა, სახლმმართველი მოდიოდა და შეახსენებდა ხოლმე – ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით, მობინადრეთა საერთო კრებაა დანიშნული და დასწრება სავალდებულოაო.

– გამონაკლისი არ დაიშვება, მოქალაქენო! – გაიძახოდა სახეგამკაცრებული.

– საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა! ყველა მობინადრე ვალდებულია გამოცხადდეს.

მერე კირასა და ლეოს უწევდათ სახლში ყველაზე დიდ, მოგრძო, გამოცარიელებულ, ერთადერთი ელექტრონათურით განათებულ ოთახში სხვებთან ერთად მისვლა; იქ ტრამვაის კონდუქტორს ედო ბინა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე, ყოველთვის დიდსულოვნად უთმობდა სახლმმართველს თავის კუთვნილ ფართს კრების ჩასატარებლად. მობინადრეები შინიდან მათ მიერვე მიტანილ სკამებზე ისხდნენ და მზესუმზირას აკნატუნებდნენ. ვისაც სკამის მოტანა ეზარებოდა, პირდაპირ იატაკზე ჯდებოდა, თუმცა მზესუმზირის კნატუნზე არც ასეთები ამბობდნენ უარს.

– როგორც თქვენი სახლმმართველი, – ერთხელაც გამოაცხადა კრების წამყვანმა.

– ჩვენს თავყრილობას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში საკვამურების საკითხი დგას. ამხანაგო მოქალაქეებო! რამდენადაც ყველანი შეგნებული მოქალაქეები ვართ და კლასობრივი ერთიანობის მნიშვნელობასაც ვაცნობიერებთ, უნდა გავიგოთ რომ წარსულს ჩაბარდა ის ძველი დრო, როცა ბინათმფლობელები გვყავდა და ჩვენ არ გვეხებოდა, რა დაემართებოდა ჩვენსავე საცხოვრებელ სახლს. ვითარება ძირეულად შეიცვალა, ამხანაგებო! ახალი წესრიგი და პროლეტარიატის დიქტატურა ერთია და როდესაც საკვამურები ასე გაიჭვარტლა, ჩვენ ვალდებულნი ვართ რაღაც ვიღონოთ, რამდენადაც სწორედ ჩვენ გამოვდივართ ახლა ამ სახლის მეპატრონეები. ცხადია, საკვამურები თუ არ გავწმინდეთ, მთელი სახლი ბოლით გაივსება, და თუ ასე მოხდა, შევრცხვებით და სუყველა დაინახავს, რომ ჩვენთან პროლეტარული დისციპლინა მოიკოჭლებს! ასე რომ, ამხანაგო მოქალაქეებო...

დიასახლისები, ვისაც შინ ცეცხლზე შემოდგმული საჭმელი და-

ეტოვებინა, კარგა ხანია მოუსვენრად ცქმუტავდნენ. წითელპერანგიანი, მსუქანი კაცი ცერა თითებს ათამაშებდა. პირდაფჩენილი, ყბაჩამოვარდნილი ყმაწვილი კი გამალებული იქექავდა ქეჩოს.

– ამიტომ, დამატებითი ხარჯი იმისდა მიხედვით გადანაწილდება... სად მიიპარებით, ამხანაგო არგუნოვა? გირჩევნიათ, ფეხი არ მოიცვალოთ! ხომ იცით, რასაც ვფიქრობთ იმ ხალხზე, ვინც საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას გაურბის? მოკლედ, თანხა მობინადრეთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით გადანაწილდება. მუშები სამ პროცენტს გადაიხდიან, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები – ათს, კერძო მოვაჭრეები და უმუშევრები კი დანარჩენ ხარჯს დაფარავენ. აბა, ვინაა მომხრე? ხელი აწიეთ... ამხანაგო კრების მდივანო, დაითვალეთ! წინააღმდეგი ვინაა? აწიეთ, აწიეთ ხელი! ამხანაგო მიხალიუკ, ერთდროულად მომხრე და მოწინააღმდეგე როგორ იქნებით?!

* * *

ვიქტორის სტუმრობა მოულოდნელიც იყო და აუხსნელიც.

შემოსვლისთანავე, ბურჟუიკას მიაფიცხა ხელები, მერე ღონივრად გაუსვ-გამოუსვა ერთმანეთს და პირგაბადრული მიაჩერდა კირასა და ლეოს.

– აქეთ ვიყავი და ვიფიქრე, შევუვლი-მეთქი... მართლა მშვენიერი ბუდე კი მოგიწყვიათ! ირინაც მეუბნებოდა... მშვენივრადაა, გმადლობთ. არა, დედა ცოტა ავადმყოფობს. ექიმმა თქვა, მე ვერაფერს გავხდები, სამხრეთში თუ არ წაიყვანთო. აბა ახლა ვისა აქვს მაგის შესაძლებლობა? მე კიდე უამრავი საქმე გამომიჩნდა ინსტიტუტში – ხელახლა ამირჩიეს სტუდენტური საბჭოს წევრად. კითხულობთ ლექსებს? მე ეხლა ერთი ქალის კრებული ჩამივარდა ხელში, გრძნობების იშვიათი სინატიფით გამოირჩევა... არა, მართლა მშვენიერი ბინა გაქვთ, რევოლუციამდელი ფუფუნებაც კი იგრძნობა.

თქვენ მაინც ორივე ბურჟუებად დარჩით, არა? რად გინდათ ორი ამ-ხელა ოთახი? ჭარბი ფართის თაობაზე არაფერს გეუბნებიან? ჩვენ ამ ერთი კვირის წინ ორი მობინადრე შემოგვისახლეს. ერთ-ერთი მათგანი ძველი კომუნისტია. მამაჩემი სულ კბილებს აკრაჭუნებს... ირინამაც თავის ოთახში შეიკედლა ასია და ახლა ძაღლი-კატასავით არიან... რას იზამ, ხალხი უსახლკაროდაა დარჩენილი! ასეა, გადა-იტვირთა პეტროგრადი. ყველამ აქ მოიყარა თავი!

* * *

ის გოგო რომ შემოვიდა, თავზე წითელი ხილაბანდი ჰქონდა წაკ-რული, ცხვირი გულდაგულ შეეფიფქა, ხელში კი თეთრი ფუთა ეჭი-რა, საიდანაც ცალი შავი ფერის წინდა გამოჩრილიყო.

– ეგ სასტუმრო ოთახი რომელია? – იკითხა ჯიქურ.

– რა გნებავთ, მოქალაქე? – გაოგნებული მიაჩერდა კირა. გოგოს პასუხი არ გაუცია, პირველივე კარი შეაღო, რომელიც პირდაპირ მობინადრის ოთახში გადიოდა, ოღონდ მაშინვე ხმაურით გამოიჯა-ხუნა. ახლა მეორე კარი გააღო და დაუპატიჟებლად შეალაჯა სას-ტუმრო ოთახში.

– ესა ყოფილა...

– თქვა.

– ბურჟუიკა შეგიძლიათ გაიტანოთ, ეგ თქვენი თეფშებიცა და სხვა ყველაფერიც. მე ჩემი მაქ, რაც მჭირდება.

– რა გნებავთ-მეთქი, მოქალაქე? – შეკითხვა გაუმეორა კირამ.

– აჰა! – როგორც იქნა, ყურადღება მიაქცია გოგომაც.

– ჯერ ეს ნახე...

დაჭმუჭნული, რომელიღაც დაწესებულების ბეჭედდასმული ქა-ღალდი გაუწოდა. საბინაო განყოფილების ორდერი აღმოჩნდა, რომ-ლის ძალითაც მოქალაქე მარინა ლავროვას უფლება ეძლეოდა და-ეკავებინა სერგიევსკაიას ქუჩის ამა და ამ ნომერში მდებარე ბინა 22-

ის ე. წ. „სასტუმრო“ ოთახი. ამავე დროს, წარდგენილი საბუთის მიხედვით, ამჟამინდელი მეპატრონეები ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ დაეცალათ ოთახი და იქიდან მხოლოდ „აუცილებელი საჭიროების მქონე ნივთები“ გაეტანათ.

– შეუძლებელია! – აღმოხდა კირას. გოგოს გაეცინა: – დაუჩქარე მოქალაქე, დაუჩქარე!

– იცით რას გეტყვით? გირჩევნიათ, ახლავე დაიკარგოთ აქედან! ამ ოთახს ვერ მიიღებთ.

– კარგით ერთი! და ვინ დამიშლის? თქვენ?

გოგომ კირას სკამზე გადაკიდული წინსაფარი შენიშნა; მივიდა, იატაკზე მოისროლა და სკამზე თავისი ფუთა დადო.

კირამ ზურგსუკან გაიჯახუნა კარი, სადარბაზოში გამოვარდა და სამი სართული სულ სირბილით აიარა სახლმმართველის ბინამდე. მერე, აქოშინებულმა, გამეტებით დაუშინა მუშტები კარს.

როგორც იქნა, სახლმმართველმაც გამოიხედა და შუბლშეჭმუხნულმა მოისმინა კირას საჩივარი.

– საბინაო განყოფილების ორდერი? – გაიკვირვა.

– უცნაურია, მე რატომ არ შემატყობინეს? ეს წესის დარღვევაა! მოქალაქის დაბინავება მე მევალება. ახლავე მივხედავ მაგ საქმეს.

– ამხანაგო სახლმმართველო, თქვენც მშვენივრად იცით რომ ეგ უკანონობაა! მოქალაქე კოვალენსკი და მე დაქორწინებულები არა ვართ და შესაბამისად, სხვადასხვა ოთახებში ვცხოვრობთ!

– ეგრეა, კი...

კირას სწორედ წინა დღეს გადაუხადეს კერძო გაკვეთილების ერთი თვის გასამრჯელო. ჯიბიდან ფულის მომცრო შეკვრა ამოიღო, ზედაც არ დაუხედავს, არც გადაუთვლია, ისე ჩაუდო ხელში სახლმმართველს.

– ამხანაგო სახლმმართველო, დახმარების თხოვნა საერთოდ არ მჩვევია, მაგრამ ახლა ძალიან გთხოვთ, გეხვეწებით, ის გოგო მომაშორეთ! იცოდეთ...

სახლმმართველმა ქურდულად ჩაიცურა ფული ჯიბეში, მერე უმანკო კრავივით მიაჩერდა კირას, თითქოს არც არაფერი მომხდარაო.

– ნუ ღელავთ, მოქალაქე არგუნოვა. ვიცით ჩვენი საქმე. მივხედავთ იმ ქალბატონს, მივაბრძანებთ სადაც საჭიროა.

საჩქაროდ ჩამოიფხატა თავზე ქუდი და უკვე კიბეზე ჩამავალ კირას მიჰყვა უკან.

– აბა, მითხარით ერთი, რა ხდება აქ, მოქალაქე? – სიმკაცრე გამოურია ხმაში სახლმმართველმა.

მოქალაქე მარინა ლავროვას კი უკვე პალტოც გაეხადა და ფუთაც გაეხსნა. ტანზე თეთრი, წელში გამოყვანილი პერანგი და აშკარად გვარიანად ნახმარი ქვედაკაბა ეცვა. ყელზე რიოში მარგალიტის მძივები ეკეთა, ფეხები კი მეტისმეტად მაღალქუსლიან საზაფხულო ფეხსაცმელში წაეყარა. საცვლები, წიგნები და ჩაიდანი უწესრიგო გროვად დაეხვავებინა მაგიდაზე.

– როგორ გიკითხოთ, ამხანაგო სახლმმართველო? – შეჰღიმა კაცს.

– ბარემ გავიცნოთ კიდეც ერთმანეთი...

ჯიბიდან მომცრო საფულე ამოიღო და კომკავშირის წევრობის დამადასტურებელი პატარა წითელი წიგნაკი გამოაჩინა.

– აუჰ! – ამოიხვნეშა სახლმმართველმა და მაშინვე კირას მიუბრუნდა.

– რითი ხარ უკმაყოფილო, მოქალაქე? თქვენ ორი ოთახი გრჩებათ და ამ მშრომელმა გოგომ კი ქუჩაში ათიოს ღამე? ბურჟუების დრო წარსულს ჩაბარდა, მოქალაქე! აჯობებს, თქვენნაირებმა ახალ ცხოვრებას აუწყოთ ფეხი!

* * *

კირამ და ლეომ სახალხო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი.

გამოცარიელებულ ოთახში ისხდნენ, სადაც ოფლისა და დაუცველი იატაკის სუნი იდგა. კედლებზე მარქსისა და ლენინის უზარმაზარი, უჩარჩოებო სურათები ეკიდა. ბამბის ქსოვილის ვიწრო ნაჭერზე ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვე..“ დანარჩენი არ იკითხებოდა, რადგან ნაჭრის ბოლო გახეულიყო და გველის პერანგივით ეკიდა ჰაერში.

მოსამართლემ დაამთქნარა და კირას დაეკითხა: – თქვენი სოციალური მდგომარეობა, მოქალაქევ? – სტუდენტი.

– მუშაობთ სადმე? – არა.

– პროფკავშირის წევრი ხართ? – არა. სახლმმართველმა ჩვენება მისცა და განაცხადა – მართალია, მოქალაქე არგუნოვა და მოქალაქე კოვალენსკი კანონიერ ქორწინებაში არ იმყოფებიან, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ ბინაში მხოლოდ ერთადერთი საწოლი დგას და სავარაუდოდ, ერთადაც წვანანო. ასეთებს კი, მოგეხსენებათ, საბინაო კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ ერთი ოთახი ეკუთვნით, რაც ამხანაგ მოსამართლეს ჩემზე უკეთ მოეხსენებაო. მერე ისიც დასძინა, ეგრეთ წოდებული „სასტუმრო“ და ასევე, საძინებელი ოთახი ჯამში, მთელი ნახევარი კვადრატული მეტრით აჭარბებს ნორმით დადგენილი ფართის ოდენობასო და არც იმის თქმა დავიწყნია, ხსენებული მოქალაქეები ბოლო დროს ქირასაც დაგვიანებით იხდიანო...

– მამათქვენი ვინ იყო, მოქალაქე არგუნოვა? – ჰკითხა მოსამართლემ.

– ალექსანდრ არგუნოვი.

– ეგ რომელი, ყოფილი კაპიტალისტი-ფაბრიკანტი? – დიახ.

– გასაგებია... და მამათქვენი, მოქალაქე კოვალენსკი? – ადმირალი კოვალენსკი.

– კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის რომ დახვრიტეს? – დიახ, სწორედ ეგ.

– მამათქვენი, მოქალაქე ლავროვა?

– ქარხნის მუშა, ამხანაგო მოსამართლე. 1913 წელს, მეფის მიერ ციმბირში გადასახლებული. დედაჩემი კი გლეხი იყო...

– სახალხო სასამართლოს დადგენილებით, სადაო ოთახი კანონიერად ეკუთვნის ამხანაგ ლავროვას! – გამოაცხადა მოსამართლემ.

– ეს რა, სასამართლოა თუ მუსკომედიის თეატრი? – იკითხა ლეომ. სხდომის თავმჯდომარე კოპებშეკრული მიუტრიალდა:

– ეგრეთ წოდებული მიუკერძოებელი სასამართლო, მოქალაქევ, ბურჟუაზიული გადმონაშთია! ჩვენ აქ კლასობრივი სამართლის აღსრულებას ვემსახურებით, ესაა ჩვენი გაცხადებული ხედვაცა და სამოქმედო პლატფორმა,... შემდეგი საქმე!

– ამხანაგო მოსამართლე, – დაიძახა კირამ.

– ავეჯს რას უპირებთ? ჩვენს ავეჯს...

– მთელი ავეჯი ერთ ოთახში მაინც არ დაგეტევათ.

– არა, მაგრამ ხომ შეგვიძლია გავყიდოთ? მართალი გითხრათ, ფული არ გვაწყენდა.

– აჰა, ეგრეა საქმე? აქაც გინდათ რაღაც გამორჩენა ნახოთ? ამ საწყალმა მუშა გოგომ კი იატაკზე უნდა იძინოს? შემდეგი საქმე!

* * *

– ერთი ეს მითხარი, – სთხოვა კირამ ლავროვას.

– როგორ მოახერხე მაინცადამაინც ამ ჩვენს ოთახზე ორდერის მიღება? საერთოდ, მისი არსებობა საიდან გაიგე?

იმან ერთი ეშმაკურად გამოხედა, ჩაიხითხითა და მხოლოდ ის უთხრა – კეთილ ხალხს რა დალევსო...

– ამ ახალ მობინადრეს ფერმკრთალი სახე, პაჭუა ცხვირი და წვრილი, ერთთავად უკმაყოფილოდ მოპრუწული ტუჩები ჰქონდა. თვალები – წყალწყალა, მოცისფრო, ცივად და იჭვნეულად მომზირალი. ხუჭუჭა თმა შუბლზე ჩამოშლოდა, ყურის ბიბილოებში კი პაწია, ყალბი ფირუზით გაწყობილი სპილენძის საყურეები ეკეთა. დიდი უჟმური და სიტყვაძუნწი ვინმე გამოდგა, თუმცა სტუმარი არ

ელეოდა და მის კარზეც ხშირ-ხშირად რეკდა ზარი. მომსვლელები მას „მარიშას“ ეძახდნენ.

საწოლ ოთახში, ზედ ონიქსით გაწყობილი ბუხრის თავზე, სახელ-დახელოდ მოუწიათ კედლის გახვრეტა, „ბურჟუიკის“ მილის გასაყ-ვანად. ტანსაცმლის კარადის ორი თარო თეფშებისთვის, ვერცხლის დანა-ჩანგლისა და საჭმლის დასალაგებლად გამოათავისუფლეს. მათ საცვლებსა და ქვეშაგებს პურის ნამცეცები ეყრებოდა, საწოლს კი სელის ზეთის სუნი უდიოდა. ლეომ თავისი წიგნები ლოგინთან, ტუმბოზე დაილაგა, კირამ კი საწოლის ქვეშ მიუჩინა ადგილი. ლეო რომ წიგნების დაბინავებით იყო დაკავებული, თან სულ ფოქსტრო-ტის ჰანგებს უსტვენდა, კირა კი ცდილობდა, მისთვის თვალი აერი-დებინა.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, მარიშამ მაინც დათმო სასტუმრო ოთახის კედელზე ჩამოკიდული ლეოს დედის პორტრეტი, თუმცა ჩარჩოს მაინც ვერ შეელია და შიგ ლენინის სურათი ჩასვა. ასევე გა-მოფინა თავის ახალ სამყოფელში ტროცკის, მარქსის, ენგელსისა და როზა ლუქსემბურგის სურათებიც. კიდევ ერთი პლაკატიც გამოაკ-რა, წითელი ავიაციის უძლეველობას რომ ამტკიცებდა. მარიშას გრამოფონიც ჰქონდა, გვიან ღამემდე ატრიალებდა ზედ ძველ-ძველ ფირფიტებს, განსაკუთრებით კი რუსების მიერ ნაპოლეონის დამარ-ცხებაზე დაწერილი ერთი სიმღერა უყვარდა: „გუგუნებს, ბრიალებს ხანძარი მოსკოვში“. როცა გრამოფონის მოსმენა ბეზრდებოდა, თა-ვადვე მიუჯდებოდა ხოლმე როიალს და „ძაღლის ვალსს“ უკაკუნებ-და ცალი თითით.

სააბაზანოში შესასვლელად, ჯერ საძინებელზე უნდა გაევლო და ისიც ხშირ-ხშირად შემოფრატუნდებოდა თავის გამოხუნებულ, მო-ღეღილ აბანოს ხალათშემოცმული.

– კარგი იქნება, თუ ჯერ დააკაკუნებ ხოლმე, – უთხრა ერთხელ კირამ.

– ვითომ რატო? – გაიკვირვა მარიშამ.

– ეს აბაზანა მარტო თქვენი კი არაა...

* * *

მარიშა მუშფაკის სტუდენტად ირიცხებოდა უნივერსიტეტში.

„მუშფაკს" მუშებისათვის საგანგებოდ გახსნილ ფაკულტეტს უწოდებდნენ, სადაც შედარებით ნაკლებად დატვირთული პროგრამა ისწავლებოდა, ძირითადი ყურადღება კი, ასე ვთქვათ, „რევოლუციურ" მეცნიერებებს ექცეოდა. ამ ფაკულტეტზე მხოლოდ მუშებს იღებდნენ.

მარიშა ხაზგასმულად უბზუებდა ცხვირს კირას, თუმცა ლეოს ხანდახან ელაპარაკებოდა კიდეც. ფართოდ მოაფიათებდა თავისი ოთახის კარს და თან ისეთი ძალით, კედლებზე გამოკიდებული სურათები აფრიალდებოდა ხოლმე, მერე კი ჭირვეული ხმით გაიძახოდა:

– მოქალაქე კოვალენსკი! ამ ოხერ საფრანგეთის ისტორიაში ვერ გამარკვევ? ის ვიღაც მარტინ ლუთერი რომელ საუკუნეში ყავდათ? სწორედ ეგ კაცი არ დაწვეს? თუ ეგ გერმანიაში იყო?

ზოგჯერ ასევე შეგნებულად ღიად ტოვებდა კარს და ხმამაღლა მოჰყვებოდა ლაპარაკს, თან ისე, პირადად არც არავის მიმართავდა:

– ამ საღამოს კომკავშირის კრებაზე მივდივარ. თუ ამხანაგი რილენკო მოვა, ასე უთხარით – კლუბში იქნება-თქო. ოღონდ ის გაღლეტილი მიშკა გვოზდევი თუ მობლაყუნდა, უთხარით რომ ამერიკაში გამიშვეს მივლინებით... ხომ იცით, ეგ რომელიცაა? დაბალდაბალი, მეჭეჭებიანი.

ერთხელაც ხელში ფინჯანმომარჯვებული, დაუკითხავად შევიდა კირასთან.

– მოქალაქე არგუნოვა, ცოტა გამდნარ ღორის ქონს ვერ მასესხებ? გამთავებია. მარტო სელის ზეთი გაქვს? მაგ საზიზღრობას რა გაჭმევთ... კარგი, ნახევარი ფინჯანი ჩამომისხი.

ერთხელ, როცა დილის შვიდ საათზე შინიდან გადიოდა და მარიშას ოთახზე მოუწია გავლა, ლეომ შეამჩნია, რომ მის მეზობელს წიგნებით მოფენილ მაგიდაზე თავგამოდებულს ჩასძინებოდა. ლეოს ფეხის ხმის გაგონებაზე, მარიშა შეკრთა და მაშინვე თვალები ჭყიტა.

– რა უბედურობაა! – მოაყოლა მთქნარებას და მთელი ტანით გაიწვართა.

– ამ საღამოს მარქსისტული წრის შეკრებაზე სიტყვით უნდა გამოვიდე: „ელექტრობის, როგორც ისტორიული ფაქტორის სოციალური მნიშვნელობა". ერთი ეს მითხარი, მოქალაქე კოვალენსკი, ედისონი ვინღა ოხერია?

გვიან ღამით, ლეოს და კირას მოესმათ, როგორ დაბრუნდა შინ მარიშა – კარი ხმაურით შემოიჯახუნა, წიგნები სკამზე დაყარა და მის თანმხლებ ამხანაგ რილენკოს გასძახა: „ალეშკა, ძმაო, ქენი სიკეთე და ეს ოხერი პრიმუსი აანთე! შიმშილისაგან კუჭი მიხმება..." ალეშკას მძიმე ნაბიჯებმა ოთახი შეაზანზარა. მერე პრიმუსიც აშიშინდა.

– ოქროს ბიჭი ხარ, ალეშკა! სულ ამას გავიძახი ყველგან... ფოსტის ცხენივით გამძვრა სიქა, დილით – მუშფაკი, შუადღისას – კომკავშირის კრება, მერე – ქარხნის ბაგა-ბაღის ზედამხედველობა, საღამოს – მარქსისტული წრე, მერე – დემონსტრაცია უწიგნურობის აღმოსაფხვრელად... ფეხზე ვეღარ ვდგევარ! ახლა კიდე ეს ლექ-ცია ელექტროფიკაციის თაობაზე და კიდე – კედლის გაზეთის რედკოლეგიის სხდომები! მგონი, რედაქტორობას მიპირებენ... ბოლოს – დიასახლისების შეხვედრაც მოვითავე და ჩვენს უნგრელ ამხანაგებსაც ვუმასპინძლეთ... ახლა ხო ვეღარ იტყვი, ჩემი მეგობარი გოგო საზოგადოებრივად აქტიური არაა და კლასობრივი ცნობიერებაც ღალატობსო! ეგრეა, ალეშკა? ალეშკა როიალს მიუჯდა და „ჯონ გრეის" დაკვრა დაიწყო.

შუაღამისას, კირას უცებ რაღაც ხმაურზე გამოეღვიძა. ვიღაც

შიშველი, ქერა ახალგაზრდა კაცი ფეხაკრეფით მიიპარებოდა სააბაზანოსაკენ. მარიშას ოთახში შუქი არ ენთო.

* * *

ერთ საღამოს, კარსიქით კირას ნაცნობი ხმა მოესმა. კაცი ლაპარაკობდა: „რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ... ეგ შენც მშვენივრად მოგეხსენება. იქნებ მეგობრებზე მეტიც – ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან. თუმცა თავიც არ მინდა მოვიტყუო. მე მგონი, ჩემი ერთგულება უკვე დაგიმტკიცე კიდეც... როგორც შემეძლო, ხელი გაგიმართე. ახლა შენც დამეხმარე – ის შენი პარტიის წევრი მეგობარი გამაცანი! "

შინიდან გასვლამდე კირამაც მარიშას ოთახზე გაიარა და უცებ, გველნაკბენივით შედგა: ტახტზე ვიქტორი იჯდა და ხელში მარიშას ხელი ეჭირა. კირას დანახვაზე უცებ წამოხტა, სახეაჭარხალებული.

– ვიქტორ, ჩემს სანახავად მოხვედი თუ...

– სიტყვა გაუწყდა, მაშინვე მიხვდა ყველაფერს.

– კირა, არ გეგონოს რომ მე...

– რაღაცის ახსნა დააპირა ვიქტორმა.

კირა კი სირბილით გამოეცალა იქაურობას და კიბეზე დაეშვა. როცა მომხდარის თაობაზე ლეოსაც უამბო, იმან დაიმუქრა – მაგ შენს ვიქტორს ყველა ძვალს ერთად დავუმტვრევო. კირამ სთხოვა – შეეშვი, მაგად არა ღირსო.

– ეს ამბავი თუ ძია ვასილის ყურამდე მივიდა, მთლად ბოლოს მოუღებს მოხუცს, ისედაც უბედურ დღეშია. ან რა გამოვა მაგით? ოთახს უკან მაინც არავინ დაგვიბრუნებს...

* * *

ინსტიტუტის კოოპერატივში კირა ამხანაგ სონიასა და პაველ სეროვს გადაეყარა. ამხანაგი სონია ახლადნაყიდი პურიდან მოგლეჯილ ყუას ღეჭავდა მადიანად. პაველ სეროვი კი სამხედრო ფორმის

ტარების საჩვენებელ მაგალითად გამოდგებოდა. კირას დანახვაზე, სახე გაებადრა:

– როგორ ხარ, ამხანაგო არგუნოვა? ბოლო დროს იშვიათად გხედავთ ინსტიტუტში.

– დაკავებული ვიყავი.

– ამხანაგი ტაგანოვიც აღარ ჩანს... ხომ არ იჩხუბეთ? – შენ რატომ გაღელვებს ეს ამბავი? – უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო კი არ გეკითხები...

– ეს პარტიული პასუხისმგებლობის საკითხია, – მკაცრად შენიშნა ამხანაგმა სონიამ.

– ამხანაგი ტაგანოვი დასაფასებელი პარტიული მუშაკია. ბუნებრივია, ჩვენთვის სულ ერთი არაა, მეგობრობს თუ არა შენნაირი სოციალური წარმომავლობის მქონე ქალთან. ეგ ისევ და ისევ – პარტიული მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

– კარგი რა, სონია! რა სისულელეა...

– უცებ გაცხარდა პაველ სეროვი.

– ანდრეის ისეთი მდგომარეობა უკავია პარტიაში, ვერაფერი მიაყენებს ჩრდილს. ამხანაგ არგუნოვასაც შეუძლია მშვიდად იყოს და მასთან მეგობრობაც ძველებურად გააგრძელოს.

კირა ჯიქურ მიაჩერდა და ჰკითხა:

– შენ კი მართლა გაღელვებს პარტიაში მისი მაღალი მდგომარეობა, ასე არაა?

– ვითომ რატომ უნდა მაღელვებდეს?! მე და ამხანაგი ტაგანოვი საუკეთესო მეგობრები ვართ და...

– ვითომ, მართლა მეგობრები ხართ? – ეგ რაღაც უცნაური შეკითხვაა, ამხანაგო არგუნოვა.

– ჩვენ დროში უცნაური შეკითხვა გიკვირს? კარგად მენახე, ამხანაგო სეროვ.

* * *

კირა შინ მარტო იყო, როცა მარიშა მის ოთახში შევიდა. წვრილი ტუჩები ჩვეულებისამებრ მოეკუმა. ნამტირალევს ჰგავდა და თვალებიც ჩაწითლებოდა.

– მოქალაქე არგუნოვა, დაფეხმძიმების საწინააღმდეგოდ ხმარობ რამეს? – ჰკითხა მიკნავებული ხმით.

კირა გაკვირვებული მიაჩერდა.

– თუმცა, მგონი უკვე შარში გავეხვიე.

– ამოიოხრა მარიშამ.

– სულ იმ დამპალი ალეშკა რილენკოს ბრალია ყველაფერი. ასე მითხრა, ბურჟუად ჩაგთვლი, თუ არ მომცემო... თან დამპირდა, ფრთხილად ვიქნებიო. ახლა რაღა ვქნა? რა მეშველება მე უბედურს?

ნამდვილად არ ვიციო, – მიუგო კირამ.

* * *

სამი კვირა, კირა მალულად იკერავდა ახალ კაბას. უფრო სწორად, კაბა ძველი იყო, თუმცა ნელა, გაჭირვებით, დიდი ჯახირ-ჯახირით, მაინც მოახერხა და მთლად ახლებური ელფერი მისცა: ლურჯი შალი შიგნიდან რბილი და გლუვი იყო, თან – მთლად უხმარს ჰგავდა; კირამაც ამოატრიალა და სწორედ სარჩულის შიდა მხარე გამოაჩინა. უნდოდა, ლეო გაეკვირვებინა. ამიტომ, საქმესაც მხოლოდ მას მერე იწყებდა, რაც ის დაიძინებდა ხოლმე. პირდაპირ იატაკზე დგამდა სანთელს, ტანსაცმლის კარადის კარს გამოაღებდა მოსაჩრდილად და ასე, იატაკზე მოკალათებული საქმიანობდა. კერვა არასოდეს ეხერხებოდა, გაჯიუტებულ თითებსაც ძნელად იმორჩილებდა, ნემსიც ხშირ-ხშირად ერჭობოდა და სისხლს პირდაპირ ღამის პერანგის კალთით იწმენდდა. თვალებიც ისე ეწვოდა, თითქოს გამუდმებით, ასობით პაწია ნემსით უჩხვლიტავენო, ქუთუთოები კი ისე უმძიმდებოდა, რომ წამით თუ მოხუჭავდა თვალს, მერე უკვე გახელაც უჭირდა. სადღაც სიბნელეში, სანთლის მოყვითალო გამონაშუქს იქით, მძინარე ლეო სუნთქავდა მძიმე-მძიმედ.

კაბა სწორედ იმ დღეს მოამთავრა, როცა ქუჩაში ვავას გადაეყარა. ვავა შიგადაშიგ მხიარულად, თან იდუმალად და აშკარად უმიზეზოდ იღიმებოდა. შინისკენ ერთად გააგრძელეს გზა და ვავამაც თავი ვეღარ შეიკავა:

– კირა, იქნებ ჩემთან ამოსულიყავი? – სთხოვა.

– სულ ერთი წუთით, რაღაც მინდა გაჩვენო. უცხოეთიდანაა ჩამოტანილი.

მის ოთახში სუნამოსა და სუფთა თეთრეულის სუნი იდგა. საწოლის თეთრ მაქმანებიან გადასაფარებელზე მოზრდილი, ყელზე ვარდისფერ ბაფთაშებმული სათამაშო დათუნია დასკუპებულიყო.

ვავამ ფრთხილად გახსნა ლამაზ ქაღალდში გახვეული ამანათი, იქიდან დიდი სიფრთხილითა და მოწიწებითაც კი ამოალაგა რამდენიმე ნივთი და ხელებაცახცახებულმა, კირას დაულაგა წინ. ამანათით მისთვის ორი წყვილი აბრეშუმის წინდა და შავი, პლასტმასის სამაჯური გამოეგზავნათ.

კირას ოხვრა აღმოხდა. ხელი გაიწვდინა, შეყოყმანდა, თითის წვერებით მაინც წაეტანა წინდას, ოდნავ შეეხო, როგორც იშვიათი რამ მხეცის უძვირფასეს ბეწვს.

– კონტრაბანდაა, – გადაუჩურჩულა ვავამ.

– მამაჩემის ერთ-ერთი პაციენტის ქმარმა ჩამოატანინა რიგიდან. მე მგონი, თვითონაც ამ საქმეშია... ეს სამაჯური ნახე, ნაღდად მოდის ბოლო კივილია! ხელოვნური სამკაულები – ეს ხომ აქამდე წარმოუდგენელი იყო!

კირამ გაუბედავად მოირგო სამაჯური, თუმცა მისი შეკვრა მაინც ვერ გაბედა.

– კირა, ხომ არ იცი, ვიქტორი როგორაა? – სრულიად მოულოდნელად, მორცხვად ჰკითხა უეცრად სახეშეცვლილმა ვავამ.

– მშვენივრად.

– იცი... კარგა ხანია აღარ მინახავს. ეტყობა, მართლა ძალიან დაკავებულია. ყველა პაემანზე უარი ვთქვი იმის ლოდინში... მაგრამ

ისეთი მოუცლელია... ძალიან მომწონს ეს წინდები – მაშინ ჩაიცვამ, როცა... მოკლედ, ვიქტორს დაველოდები. სწორედ ამ დილას გადავყარე ბოლო წყვილი.

– რაა? როგორ თუ გადაყარე...

– კი, ალბათ ჯერაც ნაგვის ყუთში ყრია. აღარ ვარგოდა არაფრად. ცალზე ისე წაუვიდა თვალი...

– ვავა, მე ვერ მომცემ? – რას, იმ თვალწასულს?! რაში გამოგადგება? – ისე... სამაიმუნოდ.

შინისაკენ მიმავალი კირა ჯიბეში მომცრო, რბილ გორგალს ჭმუჭნიდა და თითქოს ჯიბიდან ხელის ამოღებაც კი ვერ გაებედა.

საღამოს, სახლში დაბრუნებულმა ლეომ კარი რომ შემოაღო, ჯერ პორტფელი შემოაგდო, საიდანაც წიგნები გადმოცვივდა და მერე თვითონაც შემოყვა კვალდაკვალ.

პალტოს გაუხდელად, პირდაპირ ქურას მიაშურა, გათოშილი ხელები მიუფიცხა და გამალებით გაუსვ-გამოუსვა ერთიმეორეს. მერე, როგორც იქნა, პალტო გაიხადა, შორიდანვე მოისროლა სკამზე, მაგრამ მიზანს ააცილა, პალტო იატაკზე დაეცა, ოღონდ მისი აღება ლეოს არც უფიქრია.

– გვაქვს რამე კბილის გასაკრავი? – ჰკითხა კირას.

ახალ კაბასა და სახელდახელოდ ამოკემსილ, ნამდვილ აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი კირა უძრავად იდგა და უხმოდ მიჩერებოდა.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგღა ჩაილაპარაკა:

– კი, მზადაა ყველაფერი. დაჯექი.

ლეო მაგიდას მიუჯდა. რამდენჯერმე გახედა კირას, თუმცა არაფერი შეუმჩნევია. მისთვის ეს იგივე, ძველი, ლურჯი კაბა იყო; არადა, კირას ის დიდი მონდომებითა და გემოვნებით გაეწყო ხელოვნური ტყავის ბაფთებით, რომლებიც ბუნებრივისაგან თითქმის არც განსხვავდებოდა. როცა მაგიდაზე ფეტვის ფაფა დაუდგა და იმანაც ხარბად დაუწყო თქვლეფა, კირა მაგიდასთან შეყოვნდა, ოდნავ

აიწია კაბის კალთა, ფეხი წინ წადგა და აღტაცებული დააცქერდა გლუვ, მბზინავ აბრეშუმს:

– ნახე, ლეო...

– თქვა გაუბედავად.

– ეგ სადღა გიშოვია? – ცოტა არ იყოს, უხეშად შეეხმიანა ისიც.

– ვავამ მომცა. ერთს თვალი ქონდა წასული.

– მე პირადად, სხვის ნახმარ ჭინჭებს არ ჩავიცვამდი.

ახალ კაბაზე კი კრინტიც არ დაუძრავს. აღარც კირას უცდია ამაზე ყურადღების გამახვილება. უკვე უხმოდ შეექცეოდნენ ფაფას.

მარიშამ მუცელი მოიშალა. ხმამაღლა გმინავდა დაკეტილ კარს იქით. მერე გაანჩხლებული დააფრატუნებდა ფეხებს მთელ ოთახში და მეან ქალს ლანძღავდა უკანასკნელი სიტყვებით – მაგას ექიმობა ვინ დააბრალაო.

* * *

– მოქალაქე ლავროვა, იქნებ სააბაზანო მიგელაგებინათ? სისხლითაა იქაურობა მოთხვრილი...

– თავი დამანებეთ, ცუდად ვარ... აიღეთ და თვითონ დაწმინდეთ იქაურობა, თუ ეგეთი აზიზები ხართ ეს ბურჟუები!

მარიშამ ცხვირწინ მიუჯახუნა კარი კირას, მერე მაშინვე, ოღონდ უკვე რაღაცნაირად ფრთხილად გამოაღო და ხმაშიც თხოვნისმაგვარი გამოერია:

– მოქალაქე არგუნოვა, შენ დეიდაშვილს ნუ ეტყვი ამ ამბავს, კარგი? იმან არ იცის...

* * *

ლეო გამთენიისას დაბრუნდა შინ. მთელი ღამე მშენებარე ხიდის ბურჯების ამოყვანაზე მუშაობდა, თითქმის გაყინულ წყალში მდგარი.

კირა ელოდებოდა, მის მოსვლამდე არ ჩაუქრია „ბურჟუიკა“. ლეოს პალტო ზეთით და ტალახით ჰქონდა მოთხვრილი, გაოფლილ სახეზეც ზეთი ეცხო, თითებიდან კი სისხლი სდიოდა. კარებთან შებარბაცდა და სახელურს მოეჭიდა. ჩამოშლილი თმა შუბლზე მიწებებოდა. მაშინვე სააბაზანოს მიაშურა და იქიდან გამოსულმა, კირას ჰკითხა, სუფთა საცვლები თუ გვაქვსო.

დედიშობილა იდგა ოთახში, ხელის თითები შეშუპებოდა. თავი ცალ მხარეს გადაეხარა, ქუთუთოები ჩალურჯებოდა.

სხეული მარმარილოსავით თეთრად უქათქათებდა და მარმარილოსავითვე მკვრივი ჩანდა. „ღმერთკაცს ჰგავს,“ – გაიფიქრა კირამ.

– „ღმერთკაცს, რომელიც ალიონზე მთის ფერდობს უნდა მიუყვებოდეს, ახლადამოწვერილ ბალახზე დგამდეს ფრთხილად ფეხს და მის კუნთებს დილის ნისლი ეკვროდეს...“

„ბურჟუიკა“ ხრჩოლავდა. ელექტრონათურასთან მომწარო ჯანღი დაიგრაგნა. რუხი ტილოს ნაჭერს, რომელზეც ახლა ლეო იდგა, ნავთის სუნი ასდიოდა. ღუმელში მილის შეერთების ადგილიდან ტილოზე ნელ-ნელა ეცემოდა შავი ჭვარტლის ნამცეცები.

კირა ლეოს წინ გარინდულიყო, ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა. ხელზე ხელი მოკიდა ლეოს და ტუჩებთან მიიტანა.

ლეო ოდნავ შეირხა, თავი უკან გადააგდო და ხველა აუტყდა.

* * *

ლეო იგვიანებდა. ეტყობა, ლექციების შემდეგაც მოუწია უნივერსიტეტში დარჩენა. კირა ელოდებოდა – აშიშინებულ პრიმუსზე ვახშამს ათბობდა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ყურმილში ატირებული, შეშინებული ბავშვის მთრთოლვარე ხმა გაისმა.

– კირა, შენა ხარ? ასია ვარ... ძალიან გთხოვ, ახლავე წამოდი ჩვენთან! მეშინია... დედას დაემართა რაღაც... სახლში მარტო მამაა, მაგრამ იმას სად დაარეკინებ... მეშინია, კირა! საჭმელიც არაფერი გვაქვს... ძალიან გთხოვ, კირა! ახლავე წამოდი, გეხვეწები...

ბოლო შემორჩენილი ფულით, კირამ გზად ერთი ბოთლი რძე და ორი გირვანქა პური იყიდა კერძო მაღაზიაში.

კარი ასიამ გაუღო. გაწითლებულ, შეშუპებულ თვალებში შიში ჩასდგომოდა. კალთაზე მოებღაუჭა კირას და ცხარედ, გულსაკლავად ასლუკუნდა. მხრები უცახცახებდა.

– რა მოხდა, ასია? ირინა სადაა? ან ვიქტორი?

– ვიქტორი შინ არაა, ირინა კი ექიმის მოსაყვანად წავიდა. ჩვენ მეზობელს დავუძახე, იმან კი მითხრა, დამეკარგე აქედანო... ძალიან მეშინია.

ვასილ ივანოვიჩი ცოლის სასთუმალთან იჯდა. მუხლებშორის უმწეოდ ჩაეკიდა მკლავები და არ ინძრეოდა. მარია პეტროვნას თეთრ ბალიშზე გაშლოდა თმა. გამალებით, ხიხინით სუნთქავდა და საბანი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა მკერდზე. საბნის თეთრ შალითას მოზრდილი მუქი ლაქა აჩნდა.

კირა დაბნეული იდგა, ცალ ხელში რძიანი ბოთლი ჩაებღუჯა, მეორეში კი პური. ვასილ ივანოვიჩმა ნელა აიღო თავი და მოსულს გამოხედა.

– კირა...

– ჩაილაპარაკა გულგრილად.

– რძე მოგიტანია... ვერ შეათბობ? იქნებ უშველოს.

კირამ პრიმუსს მიაგნო, რძე აადუღა. მერე ფინჯნით მიუტანა დეიდას აცახცახებულ, გალურჯებულ ტუჩებთან. მარია პეტროვნამ ორი ყლუპი მოსვა, მერე კი ხელის კვრით მოიშორა ფინჯანი.

– სისხლდენაა...

– თქვა ვასილი ივანოვიჩმა.

– ირინა ექიმის მოსაყვანად წავიდა. იმას ტელეფონი არა აქვს, სხვა კი ჩვენთან არავინ მოვა. უსასყიდლოდ ვინ მოგხედავს. არც საავადმყოფოდან გამოგზავნიან ვინმეს – პროფკავშირის წევრები არა ვართ.

მაგიდაზე სანთელი ენთო. მქრქალ, მოყვითალო ბინდში, რომელიც მტვრით გაჯერებულ ნისლს უფრო ჰგავდა, ვიდრე შუქს, სამი დიდი, უფარდებო ფანჯარა სამი ამოშავებული, დაბრმავებული თვალივით მოჩანდა. მაგიდაზე წამოქცეული თეთრი დოქიდან ნელ-ნელა, ბოლო წვეთებად იწრიტებოდა წყალი და იატაკზე დამდგარ, ჩამუქებულ გუბეში წვეთავდა. ზედ სანთლის თავზე, ჭერში, ყვითელი წრე ციმციმებდა. ყვითელი შუქი დასთამაშებდა მარია პეტროვნას ხელებსაც, თითქოს კანი უთრთისო.

ქალმა ჩუმად ამოიოხრა:

– არაფერი მიჭირს... კარგად ვარ... ვიცი, არაფერი არ მომივა... ვასილის უნდა, რომ შემაშინოს... ჩემზე კარგად ვინ იცის ჩემივე ამბავი? არაფერი არ მომივა... სიცოცხლე მინდა და ვიცოცხლებ კიდეც... ვინა თქვა, მოკვდებაო?

– რა თქმა უნდა იცოცხლებ, დეიდა მარუსია! არაფერი გიჭირს. უბრალოდ, მშვიდად იწექი და არაფერზე იღელვო...

– კირა, ჩემი ფრჩხილების ქლიბი სადაა? იპოვე, სადმე აქ იქნება. ისევ ირინამ თუ მიაგდო ალბათ სადღაც. ათასჯერ ვუთხარი, ხელი არ ახლო-მეთქი, გაგიგონია? ახლა სადაა ჩემი ქლიბი?

კირამ ზედიზედ გამოაღო კარადის რამდენიმე უჯრა. მერე რაღაც უცნაური ხმა მოესმა – თითქოს კენჭები მოაბნიეს ქვის იატაკზეო, თითქოს წყალი აბუყბუყდა დაცობილ მილში, ანდა რამე მხეცი აყმუვლდაო... მოიხედა. ეს მარია პეტროვნა ახველებდა. ნიკაპზე მუქი ქაფი ჩამოეღვარა.

– ყინული, კირა! – იყვირა ვასილი ივანოვიჩმა.

– ყინული არა გვაქვს სახლში?

კირა დერეფანში გავარდა, სამზარეულოს მიაშურა თავქუდმოგლეჯილმა. პირსაბანის კიდეს ყინულის სქელი ფენა მოსდებოდა. ძველი დანის წვრილი, ჟანგმოდებული წვერით მოამტვრია ცოტა და შემთხვევით, თითიც გადაისერა. ოთახში სირბილით დაბრუნდა, თითებშორის სისხლისფრად შეფერილი წყალი უწვეთავდა.

მარია პეტროვნა ხველებისაგან იხრჩობოდა.

– მიშველეთ! მომეხმარეთ! მიშველეთ რამე! – ხრიალებდა შიგადაშიგ.

ყინული პირსახოცში გამოახვიეს და მკერდზე დაადეს. ღამის პერანგი წამსვე წითელი ლაქებით დაეფარა.

უცებ ქალი მთელი ტანით წამოიმართა, ყინული ხმაურით გადმოიყარა იატაკზე. გრძელ, ვარდისფერ ძაფად ჩამოეკიდა ქვედა ტუჩზე ქაფიანი დორბლი. თვალებში არაადამიანური შეძრწუნება ჩაბუდებოდა. კირას მიაჩერდა და საშინელი ხმით იყვირა:

– კირა! მე სიცოცხლე მინდა! სიცოცხლე... ისევ საწოლზე გადავარდა. თმა ჯერ გველებივით გაეკლაკნა ბალიშზე და უცებვე გაუქვავდა. ცალი მკლავი უღონოდ გადმოუვარდა საწოლის კიდეზე. დაფჩენილი პირიდან მოზრდილი წითელი ბუშტუკი ამოეზარდა, მაშინვე გასკდა და რაღაც შავად, მძიმედ გადმოეღვარა გულ-მკერდზე. ქალი აღარ ინძრეოდა. მხოლოდ შავი დორბლი ეღვრებოდა ნელ-ნელა, ნიკაპიდან კისრისაკენ.

კირაც გახევებული იდგა. მერე იგრძნო, რომ ვიღაც შეეხო მკლავზე. ვასილი ივანოვიჩმა თეძოზე მიადო თავი და აქვითინდა. უხმოდ ტიროდა, კირა მხოლოდ იმას ხედავდა, როგორ თრთოდა კაცის ჭაღარა, კისრამდე ჩამოზრდილი თმა.

კუთხეში, სკამის უკან, ასია ჩაცუცქულიყო და გაბმულად, ჩუმად ზმუოდა. აი, კირას კი ცრემლიც არ გადმოვარდნია თვალიდან.

შინ რომ დაბრუნდა, ლეო პრიმუსთან მიმჯდარიყო და ვახშამს იცხელებდა. თან შიგადაშიგ, წამოახველებდა ხოლმე.

* * *

პატარა მაგიდას უსხდნენ, რესტორნის შორეულ კუთხეში. კირა და ანდრეი ინსტიტუტში შეხვდნენ ერთმანეთს და მერე ანდრეიმ ჩაისა და „ნამდვილ ფრანგულ ნამცხვრებზე" დაპატიჟა კირა. რეს-ტო-

რანი თითქმის ცარიელი იყო. ქუჩიდან რამდენიმე ადამიანი იჭყიტებოდა: ვიტრინაზე მიედოთ მოწყენილი სახეები და შურით მიჩერებოდნენ იმათ, ვისაც საკუთარი თავისთვის რესტორნებში სიარულის უფლება შეეძლოთ მიეცათ. დარბაზის შუაგულში მდგარ მაგიდასთან მჯდომი, ბეწვისქურქიანი ვიღაც კაცი ნამცხვრებით პირთამდე სავსე თეფშს სთავაზობდა მომღიმარ ქალბატონს, რომელსაც ვერა და ვერ გაეკეთებინა არჩევანი და ჰაერში ჭირვეულად ათამაშებდა ბრილიანტებით დახუნძლულ თითებს.

რესტორანში ძველი რეზინისა და აქოთებული თევზის სუნი იდგა. ჭაღიდან წებოს სქელი ფენით გაყავისფრებული და ზედ მკვდარი ბუზებით შავად დაწინწკლული წებოვანი ქაღალდის გრძელი ენები კონწიალობდა. სამზარეულოს კარის ყოველ გამოღებაზე, ეს ქაღალდიც ჰაერში შეირხეოდა ხოლმე. სამზარეულოს კარის ზემოთ კი წითელი ქაღალდის არშიაშემოვლებული, ლენინის სურათი ეკიდა.

– კინაღამ პირობა დავარღვიე, კირა... უკვე ვაპირებდი შინ შემომევლო შენთან. ძალიან ვღელავდი. რაღაც არ მომწონხარ – რატომ ხარ ასე ფერმკრთალი? გაწუხებს რამე?

– ოჯახში მქონდა... უსიამოვნება.

– „გედების ტბაზე" მინდოდა დამეპატიჟე. ვიფიქრე, ინსტიტუტში მაინც ვნახავ-მეთქი, მაგრამ ლექციებზეც აღარ დადიხარ.

– ძალიან ვწუხვარ. მოგეწონა ბალეტი?

– არ წავსულვარ.

– ანდრეი, მე მგონი, პაველ სეროვი ცდილობს, პარტიაში საქმე გაგიფუჭოს...

– ეჭვიც არ მეპარება. არ მომწონს ეგ კაცი. პარტია სპეკულანტებს ებრძვის, ეგ კიდევ მფარველობს. ამას წინათ, თურმე კონტრაბანდისტებისაგან უყიდია უცხოური სვიტრი.

– ერთი ეს მითხარი, ანდრეი, რატომ არ აღიარებს შენი პარტია ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანების უფლებას, თავის გემოზე იცხოვრონ?

– სეროვს გულისხმობ თუ საკუთარ თავს?

– ჩემს თავს ვგულისხმობ.

– ჩვენს ბრძოლაში, კირა, განზე ვერ გადგები.

– თქვენ შეიძლება მკვლელობის უფლებაც დაიკანონოთ, მაგრამ თქვენამდე არავის მოსვლია აზრად, ჯერ ისევ ცოცხლებისათვის აეკრძალა ცხოვრება.

კირა მის წინ მჯდომი კაცის უდრეკ სახეს მიჩერებოდა, მისი ჩაცვენილი ლოყების ორ, ჩაშავებულ სამკუთხედს. კაცს სახის ყოველი ნაკვთი დაჭიმვოდა.

– როცა შეგიძლია ნებისმიერ ტანჯვას გაუძლო, ესე იგი, სხვების ტანჯვასაც ხედავ...

– თქვა მერე ანდრეიმ.

– ჩვენ ახლა ომიანობის კანონებით ვცხოვრობთ. ეს ჯერ მხოლოდ განთიადია, მაგრამ უკვე ახლებური მზეც ამოდის, რომლის მსგავსი სამყაროს ადრე არასოდეს უნახავს. ჩვენც მის პირველ სხივებს ვუდგავართ კვალში. წარსულის ნებისმიერი ტკივილი, ნებისმიერი ცრემლი სწორედ ამ სხივებში გატარდება, ხოლო ჩვენი ტანჯვის ყოველი წუთი მომავალი თაობების საბედნიეროდ შემობრუნდება!

ოფიციანტმა ჩაი და ნამცხვრები შემოიტანა.

კირას ოდნავ მოეკრუნჩხა თითები, როცა ნამცხვრის ნაჭერს დასწვდა და პირთან მიიტანა. ოღონდ ეს მხოლოდ და მხოლოდ უცხო რამ ნუგბარის გასინჯვის მოლოდინით არ გახლდათ განპირობებული...

– კირა! – წამოიძახა ანდრეიმ და ჩანგალი ხელიდან გაუვარდა.

– კირა!

ქალი შეშინებული მიჩერებოდა.

– კირა! რატომ არ მითხარი?

– ანდრეი... არ ვიცი, რაზე მელა...

– რაღაცის თქმა კი უნდოდა, მაგრამ ისიც იცოდა, კაცი უკვე ყველაფერს თავისით მიმხვდარიყო.

– მოიცა, ეგ არ ჭამო. ოფიციანტო! ერთი მათლაფა ცხელი წვნიანი მოგვიტანე, დროზე! და მერე – დანარჩენიც! რაც გაქვთ სადილად, ყველაფერი! დაუჩქარე! კირა, მე არ ვიცოდი... მართლა არ ვიცოდი, თუ ასე ცუდად იყო საქმე.

კირამ საწყლად, უმწეოდ გაუღიმა: – სად არ ვცადე სამსახურის დაწყება...

– მე რატომ არ მითხარი?!

– ხომ ვიცი, როგორ არ გიყვარს პარტიული გავლენის გამოყენება თუნდაც მეგობრების დასახმარებლად...

– კი მაგრამ, კირა... ეს ხომ სულ სხვა რამაა! პირველი შემთხვევა იყო, როცა კირამ ანდრეის შიში შეატყო.

– ერთი წუთით...

– თქვა უცებ ანდრეიმ და წამოხტა. ჩქარი ნაბიჯით გადაიარა დარბაზი და ტელეფონს ეცა. კირას მხოლოდ მისი საუბრის ნაწყვეტები ესმოდა:

– ამხანაგი ვორონოვი მინდა, გადაუდებელი საქმე მაქვს... ანდრეი ტაგანოვი ვარ... თათბირზეა? დამიძახეთ! სასწრაფოდ! დიახ, ვიცი და ეგ არ მადარდებს... ესე იგი, კიდევ ერთი უნდა დაამტკიცოთ! ხვალვე... დიახ, ამხანაგო ვორონოვ... კარგად მენახეთ. დიდი მადლობა".

ანდრეი მაგიდასთან დაბრუნდა. კირას დაძაბულ, გაფაციცებულ სახეს თვალი შეავლო და გაუღიმა:

– მოკლედ, ხვალიდან სამსახურს იწყებ. „საგლეხო სახლის" სამმართველოში. დიდი ვერაფერი თანამდებობაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სხვა ვერაფერი გამოგინახე. წესით, არ უნდა გაგიჭირდეს. დილით, ცხრა საათისთვის მიდი. ამხანაგი ვორონოვი იკითხე. უკვე გაფრთხილებულია. აი, ესეც გამომართვი.

საფულე გახსნა, რაც შიგ ფული ჰქონდა, სულ ამოიღო და კირას ჩაუდო ხელში.

– არა ანდრეი, არ შემიძლია!

– შენთვის იქნებ არც შეგიძლია, მაგრამ სხვისთვის შეძლებ – შენიანები ხომ გელოდებიან?

კირას მაშინვე გაახსენდა, ვინც ელოდებოდა შინ, ვისაც სჭირდებოდა ეს ფული. წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

XV

კირას გულაღმა ეძინა, ბალიშზე თავგადაგდებულს და გარედან მომავალი ვარსკვლავების სუსტი გამონაშუქი თეთრ სამკუთხედად და ნიკაპქვეშ. ისე ღრმად ჩასძინებოდა, წამწამებიც კი არ უთრთოდა. მშვიდად სუნთქავდა, ოდნავ პირდაღებული – მთლად ბავშვივით.

ტუჩებზეც ოდნავ დასთამაშებდა მიმნდობი და მომლოდინე, მორცხვი და იმედიანი ღიმილი.

შვიდის ნახევარზე, მაღვიძარა აწკრიალდა. ბოლო ორ თვეა, სწორედ ამ დროს აღვიძებდა ხოლმე.

პირველ რიგში, ერთი სწრაფი მოძრაობით, საბანი გადაიძრო და მაშინვე ოთახის სუსხი დაეძგერა. მერეღა ჩააჩუმა საათი და საბნის ქვეშ შეჩურთა – ლეოც არ გააღვიძოსო. თუმცა, როცა მთელი ტანით აცახცახებული წამოდგა, ეს ხმა ჯერ მაინც ისევ რაღაც შეურაცხმყოფელი სიტყვებივით ჩაესმოდა ყურში. მთელი სხეული აჯანყებოდა, კუნთები ისე სტეხდა, თითქოს რაღაც მძიმე ავადობა ისევ უკან, საწოლისკენ ექაჩებაო. გათოშილი იატაკი კი გავარვარებულ მუგუზლებზე უარესად უთუთქავდა ტერფებს.

– სიბნელეში, ხელის ცეცებით გაიკვლია გზა სააბაზანოსკენ; თვალების გახელა უჭირდა. ხელი გაიწვდინა და ონკანი მოიძია. წყალი დუნედ, წვრილ ჭავლად მოწანწკარებდა – ღამ-ღამობით მას ბოლომდე არც კეტავდნენ, მილებში რომ არ გაყინულიყო. თვალდახუჭულმა, ყინულივით ცივი წყალი ცალი პეშვით შეისხა სახეზე, მე-

ორეთი ხელით კი აბაზანის კიდეს სწვდებოდა, უნებურად წონასწორობა რომ არ დაეკარგა. მერეღა გაახილა თვალი. ღამის პერანგი გადაიძრო. გაყინულ ჰაერში მისი თბილი მკლავიდან ავარდნილი ორთქლი დატრიალდა. კბილებაკაწკაწებულმა, გაიღიმა და თან საკუთარ თავს შეუძახა – უკვე მღვიძავს, და ყველაზე უარესიც უკან დარჩაო.

ტანზე ჩაიცვა და ისევ საძინებელ ოთახში დაბრუნდა. შუქი არ აუნთია. მუქ-ლურჯად გამკრთალი ფანჯრის ფონზე მაგიდაზე მდგარი პრიმუსის შავი მოხაზულობა დალანდა. ასანთს გაჰკრა, ტანით გადაეფარა სუსტ ალს, მძინარე ლეოსაგან დასაფარავად. მერე გამალებული დააწვა თითით პრიმუსის დგუშს, თუმცა ის მაინც არ ინთებოდა. სიბნელეში საათი წიკწიკებდა. წამების ზუსტი, ჯიუტი სვლა აჩქარებდა – გაგვიანდებაო. ერთხელაც სცადა პრიმუსის ანთება. სიმწრისაგან ტუჩზეც კი იკბინა. როგორც იქნა, შიგ ლურჯი ალიც აელვარდა. წყლით სავსე ტოლჩა ცეცხლზე შემოდგა.

სახარინიანი ჩაი მოხვრიპა და უნდოდ გაღეჭა გამხმარი პურის ნაჭერი. ფანჯრის გაყინული შუშა უცნაურ ნაყშებს დაეფარა და ზარმაცად ციმციმებდა მთვარის შუქზე. ქუჩაში ჯერ ისევ ბნელოდა. უხმოდ უჯდა მაგიდას, განძრევისაც კი ეშინოდა და პურსაც ფრთხილად ლოღნიდა პირში. ლეოს მოუსვენრად ეძინა, მალი-მალ იცვლიდა გვერდს, თან მშრალი ხველაც წამოუვლიდა ხოლმე, ბალიშში სახეჩარგულს. ხანდახან, ამოიხვნეშებდა კიდეც, ოღონდ ესეც რაღაცნაირად ისე, თითქოს სული ეხუთებაო.

კირამ თექის ჩექმები ამოიცვა, დათბილულ პალტოში გაუყარა ხელი და ბოლოს, ძველი თავშალიც შემოიხვია ყელზე. კართან ფეხაკრეფით მისულმა, ბოლოჯერ გამოხედა ბნელში ფერმკრთალ ლაქად ქცეულ ლეოს სახეს და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. მერე ფრთხილად, უხმაუროდ გადაატრიალა საკეტში გასაღები, ბინიდანაც ფეხაკრეფით გავიდა და კარი ზურგსუკან გაიხურა.

– ქუჩაში თოვლს ჯერ ისევ მოლურჯო ფერი დაკრავდა. სახურავებს ზემოთ, ლურჯი სიბნელეც წრეებად იხევდა უკან და კარგად თუ მიაცქერდებოდი, ცის სიშორეშიც უკვე მტრედისფერი ილანდებოდა. სადღაც, სახლებს გადაღმა ტრამვაიმ დაიწკრიალა, ალიონის მაუწყებელ ტოროლასავით.

კირას მაშინვე ქარი დაეძგერა, ისიც მთელი ტანით წინ გადაიხარა, მოიბუზა და ხელები იღლიებქვეშ შემალა. სუსხმა სუნთქვა შეუგუბა და ნესტოები აუწვა. ნაბიჯს აუჩქარა, თუმცა მოყინულ ქუჩაზე ფეხი უცურდა.

ტრამვაის ბლომად ხალხი ელოდებოდა. კირაც რიგში ჩადგა, ქარს ზურგი აქცია და დანარჩენებივით გაიყურსა. როცა ყვითლად განათებულფანჯრებიანი ტრამვაიც ჩამოდგა, ხალხიც აჩოჩქოლდა. ვიწრო კართან ჯგლეთა და გაწევ-გამოწევა გაიმართა. განათებული ფანჯრების ოთხკუთხედები მაშინვე ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული აჩრდილებით გამოიჭედა, კირა კი ჯერაც ისევ გარეთ იდგა, როცა ზარი აწკრიალდა და ვაგონიც ადგილიდან დაიძრა. შემდეგის მოსვლამდე კიდევ ნახევარი საათი დასჭირდებოდა ლოდინი. უთუოდ დააგვიანდებოდა და თუ დააგვიანდებოდა, სამსახურიდან დაითხოვდნენ. ამიტომ თვითონაც ადგილს მოსწყდა, ერთი ისკუპა და სპილენძის სახელურს მოეჭიდა. ოღონდ ფეხის მოსაკიდებელი ადგილი არც კიბეზე იყო, მოყინულ მიწაზე მიაჩოჩიალებდა ფეხებს, ტრამვაი კი ამასობაში, სიჩქარეს კრეფდა. ვიღაცის ძლიერი ხელი პალტოს საყელოში ჩაებღაუჭა და ზემოთ აქაჩა. კირამ ძლივძლივობით მოიკიდა ცალი ფეხი ბაქნის საფეხურზე. მაშინვე მკაცრი, ლამის უხეში ხმა ჩაესმა ყურში:

– გაგიჟდი, მოქალაქე?! არ იცი, რამდენი დაიღუპა ასე? – ახლა რამდენიმე მამაკაცთან ერთად ეკიდა ტრამვაიზე, ცალი ხელი სახელურისთვის ჩაევლო და კიბის საფეხურზეც მხოლოდ ერთი ფეხი ედგა. ხედავდა, რა სისწრაფით რჩებოდა უკან ახვეტილი თოვლის ზვი-

ნულები და მთელი ძალით ეკვროდა უცხო სხეულებს. ერთხელ, შემხვედრმა სატვირთომ ისე ახლოს ჩაუარა, კინაღამ გვერდი გაკრა და ძირს ჩამოაგდო.

„საგლეხო სახლის“ შენობა ერთ დროს ვიღაც ბობოლას კერძო საკუთრება გახლდათ. ღია-ვარდისფერი მარმარილოს კიბეს ბრინჯაოს მოაჯირი გასდევდა; ვეება, ვიტრაჟებიან ფანჯრებზე კი ძოწისფერი ყურძნის მტევნები და ვარდისფერი ატმები გამოესახათ. კიბის თავზე აბრა ეკიდა: „ამხანაგებო, იატაკზე ნუ დააფურთხებთ! “

სხვა არაერთი აბრაც მოჩანდა: ერთგან მუყაოსაგან გაკეთებული ნამგალი და ურო გამოეფინათ, სხვაგან – თავთავების კონით ხელდამშვენებული გლეხი ქალი; ლენინის პორტრეტი; დაკუნთული გლეხი, ფეხით მღვდლისთავიან ობობას რომ სრესდა; ტროცკი, წითელი ტრაქტორის საჭესთან მჯდომი გლეხკაცი და, რაღა თქმა უნდა, კარლ მარქსი. უხვად გამოეფინათ მოწოდებებიც: „პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! “ „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს! “ „გაუმარჯოს მუშათა და ღარიბი გლეხობის მმართველობას! “ „ამხანაგო გლეხებო, ამხილეთ პარაზიტები თქვენს რიგებში! “

ასევე გამოეფინათ უამრავი ამონაჭერი გაზეთებიდან, რასაც ხელი უნდა შეეწყო „მუშებსა და გლეხებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთგაგებისათვის – ქალაქური იდეების სოფლად გასავრცელებლად“. თავისთავად, ამგვარი განცხადებები იმ ახლადწამოწყებული მოძრაობის გამოძახილი გახლდათ, რასაც სახელად „ქალაქისა და სოფლის დაახლოება“ ეწოდა. სწორედ მსგავსი დაახლოებისათვის უნდა შეეწყო ხელი „საგლეხო სახლსაც“. არაერთ სურათსა თუ პლაკატზე, მუშა და გლეხი მხურვალედ ართმევდნენ ხელს ერთიმეორეს; ზოგან მუშა მამაკაცი იყო და გლეხი – ქალი, ზოგან კი პირიქით. გვერდიგვერდ გამოესახათ ურო და ნამგალი, ქარხნის მილი თუ პურის ყანა.

„ჩვენი მომავალი – ქალაქისა და სოფლის დაახლოებაა! “ „ამხანაგებო, დავაჩქაროთ სოფლისა და ქალაქის შერწყმა! “ ამხანაგებო,

თქვენი წვლილი შეიტანეთ სოფლისა და ქალაქის დაახლოების საქმეში! " „ამხანაგო, შენ რა მოიმოქმედე სოფლისა და ქალაქის დასაახლოებლად? " – ეს აბრა-განცხადებები ქაფის ვეება ტალღასავით აზავებულიყო შესასვლელიდან – ზემოთ, კიბის გავლით, სამუშაო ოთახებამდე. დაწესებულების მთავარ ნაწილში მარმარილოს ნაჩუქურთმევი სვეტები იდგა, სივრცე კი შეუღებავი ფიცრებით დაეტიხრათ. ყოველ ასეთ გადატიხრულში, საქაღალდეებით გამოტენილი სამუშაო მაგიდები იდგა, ზედ საბჭდი მანქანებით, და პროლეტარიატის ბელადთა სურათები ეკიდა. იქაურობის თავი და თავი კი ამხანაგი ბიტიუკი გახლდათ, რომელსაც ხუთი ხელქვეითი ემორჩილებოდა – მათ შორის, კირა არგუნოვაც.

– ეს ამხანაგი ბიტიუკი კი ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი, ჭაღარა, სამხედრო ყაიდის ქალი იყო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გულმხურვალე ერთგულებით გამოირჩეოდა. ცხოვრებაში უმთავრეს მიზნად მუდმივად იმის დადასტურება დაესახა, რა უსაზღვრო იყო ეს ერთგულება. თუმცა კი თავის დროზე, კეთილშობილ ქალთა პანსიონი დაემთავრებინა და ახლაც, გულზე ვერცხლის ძველმოდური კულონი-საათი ეკიდა ერთგვარ სამშვენისად.

კირას გარდა, ამხანაგ ბიტიუკს ოთხი თანამშრომელი ჰყავდა: ტყავისქურთუკიანი, გრძელცხვირა, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა ქალი, თანაც პარტიის წევრი, რომელმაც მშვენივრად იცოდა – ერთი სხვანაირად რომ შევხედო, ამხანაგ ბიტიუკს ტანში გასცრისო; შეუხედავი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ მართალია, არ იყო პარტიის წევრი, მაგრამ განცხადება კი შეეტანა, კანდიდატად ითვლებოდა და ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ხმამაღლა გაიძახოდა. იყო კიდევ ორი ქალიშვილი – ნინა და ტინა, რომლებიც მხოლოდ ხელფასის გამო მუშაობდნენ. ნინას საყურეები ეკეთა და სატელეფონო ზარებზე პასუხი ევალებოდა, ერთთავად ცხვირშეფიფქული ტინა კი საბეჭდ მანქანას უჯდა. არსაიდან გაჩენილი, მაგრამ მთელ ქვეყანას მოდებული ჩვევის თანახმად, რასაც თვით პარტიის წევრებიც კი

ვერ გახდიდნენ სათუოს და ვერც ვერსად გაექცეოდნენ, რაზეც არც პასუხს აგებდა ვინმე და რის გამოც არავინ ისჯებოდა, ნებისმიერ უხარისხო, ადგილობრივ ნაწარმს „საბჭოურად" იხსენიებდნენ: არსებობდა „საბჭოური ასანთი", რომელიც არ ინთებოდა, „საბჭოური" ცხვირსახოცი, რომელიც ჯიბიდან ამოღებისთანავე იხეოდა და ასევე, მუყაოსლანჩიანი „საბჭოური ფეხსაცმელი". ნინასა და ტინასნაირებს კი „საბ-ჭოთა გოგონებად" იხსენიებდნენ.

„საგლეხო სახლში" რამდენიმე სართული და უამრავი დერეფანი იყო. ამ დერეფნებში უამრავი ადამიანი მიდი-მოდიოდა აჩქარებული ნაბიჯით, რასაც საქმიანი გარემოს შთაბეჭდილება უნდა შეექმნა.

კირა ვერაფრით მიხვდა, მაინც რას გულისხმობდა ეს საქმიანობა, ან საერთოდ, ვინ მუშაობდა ამ შენობაში, გარდა უშუალოდ მისივე განყოფილების თანამშრომლებისა და ნახევრად მითიური ამხანაგი ვორონოვისა, რომელიც ერთადერთხელ იხილა, აქ მოსვლის პირველ დღეს.

როგორც ამხანაგი ბიტიუკი მუდმივად შეახსენებდა თავის ხელქვეითებს, „საგლეხო სახლი" – ეს იმ „ვეება ორგანიზმის გულისგული გახლდათ, რომლის სისხლძარღვებითაც ახალი, პროლეტარული კულტურის კეთილისმყოფელი შუქი ჩვენი ქვეყნის უშორესი სოფლების ყველაზე ბნელ კუთხე-კუნჭულებამდე უნდა მისულიყო". სწორედ ეს დაწესებულება წარმოადგენდა სტუმართმოყვარედ ხელებგაშლილი ქალაქის განსახიერებას, რომელსაც გლეხების ნებისმიერი დელეგაციისათვის თუ სოფლიდან ქალაქში ჩამოსული თითოეული ამხანაგისათვის უნდა გაეხსნა გული. როგორც კულტურული და სულიერი მოთხოვნების ერთგულ მსახურს, სწორედ მათ დაწესებულებას უნდა გაეწია გლეხობისათვის მეგზურობაცა და მასწავლებლობაც.

სამუშაო მაგიდასთან მიმჯდარი კირა ხედავდა, როგორ ელაპარაკებოდა ვიღაცას ტელეფონით, პირზე დუჟმომდგარი ამხანაგი ბიტიუკი:

– დიახ, დიახ, ამხანაგო! ყველაფერი მოგვარებულია! ამხანაგი გლეხები ციმბირის დელეგაციიდან პირველ საათზე ესტუმრებიან რევოლუციის მუზეუმს, სადაც რევოლუციური მოძრაობის მთელ ისტორიას მოისმენენ პირველივე დღეებიდან... ეს შედარებით გამარტივებული კურსია და თან – თვალსაჩინო მასალით გაჯერებული... ლექცია ორ საათს გასტანს. უკვე საგანგებო ექსკურსიამძღოლიც შევარჩიეთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ მნიშვნელოვან სიახლეს შეიტყობენ! სამ საათზე ამხანაგი გლეხები ჩვენს მარქსისტულ კლუბს ეწვევიან, სადაც კიდევ ერთი ლექცია გვაქვს დაგეგმილი – საბჭოთა ქალაქისა და სოფლის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. ხუთ საათზე ამხანაგ გლეხებს პიონერთა კლუბში ელოდებიან, ბავშვები მათ პატივსაცემად წარმოდგენას გამართავენ და ფიზკულტურულ ილეთებსაც უჩვენებენ. შვიდ საათზე, ამხანაგი გლეხები ოპერაში მიდიან, „აიდას" მოსასმენად... ორი ლოჟა წინასწარაა დაჯავშნული.

ყურმილი დადო და ხელქვეითებს მიუბრუნდა:

– ამხანაგო არგუნოვა, გადმოგცეს მოთხოვნა საგანგებო ლექტორის მოწვევასთან დაკავშირებით?

– არა, ამხანაგო ბიტიუკ.

– ამხანაგო ივანოვა! არ დაგიბეჭდიათ ეს მოთხოვნა? – რა მოთხოვნა, ამხანაგო ბიტ...

– მოთხოვნა, რომ ამხანაგი ციმბირელი გლეხების დელეგაციას საგანგებო ლექტორი მიამაგრონ!

– თქვენ ამის თაობაზე არაფერი გითქვამთ, ამხანაგო ბიტი...

– ჩემი ხელით დაგიწერეთ ტექსტი და მაგიდაზე დაგიდეთ!

– ა-ა, გასაგებია... კი ვნახე, მაგრამ არ მეგონა, გადასაბეჭდად თუ იყო, ამხანაგო ბიტიუკ... თანაც საბეჭდ მანქანაზე ხომ ლენტი გამიწყდა და...

– ამხანაგო არგუნოვა, თქვენ გაქვთ ხელმოწერილი განცხადება ამხანაგ ივანოვას საბეჭდი მანქანისთვის ახალი ლენტის გამოყოფის

თაობაზე? –

– არა, ამხანაგო ბიტიუკ.

– აბა, სადაა? – ამხანაგი ვორონოვის კაბინეტში.

– რატომ, რა მიზეზით? – ამხანაგ ვორონოვს ჯერ ხელი არ მოუწერია.

– სხვებმა თუ მოაწერეს?

– დიახ, ამხანაგო ბიტიუკ, ამხანაგმა სემიონოვმა მოაწერა, ამხანაგმა ვლასოვმაც და ამხანაგმა პერევერსტოვმაც, ამხანაგ ვორონოვს კი ჯერ არ დაუბრუნებია, ისევ მაგიდაზე უდევს.

– ზოგ-ზოგებს ეტყობა, ბოლომდე არ ესმით, რამოდენა კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმიანობას! – ბრაზი გამოერია ხმაში ამხანაგ ბიტიუკს, მაგრამ როცა ტყავისქურთუკიანი ახალგაზრდა ქალის ცივი, იჭვნეული მზერა შენიშნა, ზემდგომის კრიტიკულად მოხსენიების გამო, უცებვე შეცბა და ნათქვამის გამოსწორებას შეეცადა:

– ამას თქვენზე ვამბობ, ამხანაგო არგუნოვა. სათანადო მონდომებით არ ეკიდებით დაკისრებულ მოვალეობას და მართალი გითხრათ, პროლეტარულ შეგნებასაც ნაკლებად ავლენთ... სწორედ თქვენ უნდა იზრუნოთ, რომ განცხადებებს დროულად მოეწეროს ხელი!

– დიახ, ამხანაგო ბიტიუკ.

გამხდარი და ფერმკრთალი, გახუნებულკაბიანი კირა მთელი დღე, დილიდან საღამომდე, უამრავ საბუთს ახარისხებდა და ეს მხოლოდ იმიტომ, სამუდამოდ რომ გადაეგზავნა არქივში, სადაც ამ ქაღალდებს მერე არც აღარავინ მოიკითხავდა. საგულდაგულოდ ითვლიდა წიგნებს, წიგნების მთელ გორებს, მთებს, სტამბიდან ახლადგამოტანილს, ჯერ საღებავშეუმშრალს; წიგნებს, რომლებსაც წითელი თუ თეთრი გარეკანი ეკრათ და მთელ ქვეყანაში მიმოფანტულ უამრავ გლეხთა ქოხებში დასაგზავნად იყო განკუთვნილი: „რა არის

საჭირო ქალაქისა და სოფლის დაახლოებისათვის?“ „წითელი გლეხი“, „დაზგა და გუთანი“, „კომუნიზმის ანაბანა“, „ამხანაგი ლენინი და ამხანაგი მარქსი“... გაუთავებლად წკრიალებდა ტელეფონი, მიდიმოდიოდა უამრავი ადამიანი, რომელთათვისაც სულ ამხანაგო და მოქალაქე უნდა გეწოდებინა; ჯერ-ჯერზე, ლამის გაუაზრებლად, მომართული გრამოფონივით უნდა ემეორებინა, ამხანაგ ბიტიუკის მგზნებარე მოწოდებების დარად, ერთი და იგივე: „ამრიგად, ამხანაგო, თქვენ საკუთარ წვლილს შეიტანთ სოფლისა და ქალაქის დაახლოების დიად საქმეში.“„პროლეტარიატის კულტურული წინსვლა, ამხანაგო, იმთავითვე მოითხოვს, რომ... ზოგჯერ, მავანი ამხანაგი გლეხი მარტო, დელეგაციის გარეშე მოდიოდა ამ დაწესებულებაში, გაიხირებოდა დაბალ, შეუღებავ თეჯირთან, ცალი ხელით მორცხვად დაუწყებდა ჭმუჭვნას ჩაბღუჯულ ქუდს. მეორეთი კი ქეჩოს იფხანდა, მძიმემძიმედ აქნევდა თავს, გაოცებული თვალებით მიაჩერდებოდა კირას და ეტყობა, ვერც ვერაფერს იგებდა, როცა ის ეუბნებოდა ხოლმე: უკვე დავგეგმეთ თქვენი დელეგაციის ამხანაგებისათვის ექსკურსია ზამთრის სასახლეში, სადაც საკუთარი თვალით შეგიძლიათ ნახოთ, როგორ ცხოვრობდა მეფე და მიხვდეთ, რას ნიშნავდა კლასობრივი ტირანია, მერე კი...“

მაგრამ წვერებიან გლეხს, ეტყობა, სულ სხვა სადარდებელი ჰქონდა და თავისას ლუღლუღებდა:

– მე ამხანაგო, უფრო მარცვლეულის ნაკლებობის თაობაზე ვარ...

– რა თქმა უნდა, ექსკურსიის შემდეგ, საგანგებო ლექციაცაა თქვენთვის დანიშნული – „კაპიტალიზმის გარდაუვალი აღსასრული“.

მერე, როცა კიდევ ერთი ამისთანა გლეხი თავის გზას გაუდგებოდა, ნინა ან ტინა მაშინვე იატაკს და ხედავდნენ ხოლმე – იმ ადგილას რამე ლაქა ხომ არ დარჩაო. ერთხელ კირამ ისიც შენიშნა, რაღაც მწერი როგორ დააჭყლიტა ნინამ ცერა თითის ფრჩხილით იატაკს.

იმ დილით, სანამ სამუშაო ადგილამდე მივიდოდა, კირა კიბის

თავზე შეჩერდა და იქ გამოკრულ კედლის გაზეთს შეავლო თვალი. როგორც ნებისმიერ სხვა საბჭოთა დაწესებულებაში, „საგლეხო სახლშიც“ უშვებდნენ ასეთ გაზეთს. მასალას თანამშრომლებივე ამზადებდნენ, აუცილებელი შესწორებები კი ადგილობრივი პარტუჯრედის ხელმძღვანელობას შეჰქონდა. გაზეთი ყველაზე გამოსაჩენ ადგილას იკვრებოდა კედელზე და მისი წაკითხვა ყველასათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. ზოგადად, კედლის გაზეთის დანიშნულება საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასა და კოლექტიური საქმიანობის ჩვევების დანერგვას გულისხმობდა. გაზეთს ხელი უნდა შეეწყო საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ადგილობრივი ახალი ამბების გავრცელებისა და კონსტრუქციული პროლეტარული კრიტიკის წახალისებისათვის.

„საგლეხო სახლის“ კედლის გაზეთი რამდენიმე ანაბეჭდი თაბახისაგან შედგებოდა, რომლებიც საგანგებო დაფაზე იყო გამოკრული, სათაურები კი წითელი და ლურჯი ფანქრით ეწერა. ამ ნომრის მოზრდილ სარედაქციო წერილს გრძელი სათაური ამშვენებდა: „რას აკეთებს თითოეული ჩვენი თანამშრომელი ქალაქისა და სოფლის დასაახლოებლად“. იყო ასევე, იუმორისტული მასალაც სათაურით „როგორ გავფატრავთ უცხოელ იმპერიალისტთა გაუმაძღარ ფაშვს! “ ადგილობრივ პოეტს ლექსიც გამოეცხო – „შრომის რიტმი“, ადგილობრივ მხატვარს კი კარიკატურა დაეხატა – ცილინდრიანი, ჩასუქებული მამაკაცი უნიტაზზე იჯდა შარვალჩახდილი... უხვად წარმოედგინათ „კონსტრუქციული პროლეტარული კრიტიკის“ მაგალითებიც:

„ამხანაგი ნადია ჩერნოვა აბრეშუმის წინდებით დაიარება. დროა შევახსენოთ, რომ პროლეტარიატისთვის სრულიად უცხოა ფუფუნების ამგვარი საგნები! “

„მაღალი თანამდებობის მავანმა ამხანაგმა ამას წინათ ქედმაღლობის მაგალითი გვიჩვენა: ეტყობა, თავში აუვარდა და კომკავშირის რამდენიმე წევრს უხეშად მიმართა. ამხანაგო, ეს ჯერ მხოლოდ

გაფრთხილებაა, თქვენზე მაღალი თანამდებობის არაერთ წარმომადგენელს წაუგია თავი, როცა შტატების შემცირების დრო დამდგარა...“

„ამხანაგ ოვსოვს ჩვევად ექცა საქმიან შეკითხვებზე გრძელი და ბუნდოვანი პასუხების გაცემა, ეს კი ძვირფასი დროის ფუჭად ხარჯვას იწვევს და პროლეტარულ სულისკვეთებასაც ეწინააღმდეგება! “

„ერთ-ერთი ამხანაგი, ვისი გამოცნობაც არავის გაგიჭირდებათ, საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ, შუქს არასოდეს აქრობს. ამხანაგო! საბჭოთა სახელმწიფოს ელექტროენერგია ფული უჯდება...“

„როგორც შევიტყვეთ, ამხანაგ კირა არგუნოვას საზოგადოებრივი ცნობიერება გვარიანად მოიკოჭლებს. ქედმაღალი, ბურჟუაზიული მიდგომების დრო წარსულს ჩაბარდა, ამხანაგო არგუნოვა! “

კირა გახევებული იდგა და საკუთარი გულისცემაც კი ესმოდა. ვერავინ მისცემდა თავს უფლებას, კედლის გაზეთის პირდაპირ მიშვერილი თითი უგულებელეყო – იქ ნათქვამ თითოეულ სიტყვას ყველა ფრთხილად და ერთგვარი შიშითაც ეკიდებოდა. გაზეთის გამოტანილ მსჯავრს ნებისმიერი უდრეკდა ქედს – იქნებოდა ეს ნინა, ტინა თუ სულაც, თავად ამხანაგი ვორონოვი... კედლის გაზეთის პირით ხომ თავად საზოგადოებრივი აზრი ლაპარაკობდა! „ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს“ კი ვერავინ დაუდგებოდა ქომაგად და მათ შორის, ვერც ანდრეი ტაგანოვი. უკვე გაისმოდა საუბარი შტატების შემცირების თაობაზე და ამის გახსენებაზე, კირას ტანში გააცია. უცებ ისიც გაიხსენა, რომ წინა საღამოს ვერაფერი მოუმზადა ვახშმად ლეოს, წყალწყალა ფაფის მეტი და მაშინვე, ლეოს ხველა ჩაესმა ყურში.

უკვე სამუშაო მაგიდასთან მჯდარი, შეფარვით ათვალიერებდა თანამშრომლებს და ცდილობდა გამოეცნო, მაინც ვის და რატომ შე-

იძლებოდა ელაპარაკა მასზე კედლის გაზეთის მესვეურებთან. ყოველთვის ძალიან ფრთხილობდა – საბჭოთა წყობასთან დაკავშირებით არასოდეს გამოუთქვამს თუნდაც მცირეოდენი შენიშვნა. ისევე ერთგულად და მონდომებით ეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს, როგორც თავად ამხანაგი ბიტიუკი და ყოველ შემთხვევაში, სწორედ მას ბაძავდა, როგორც შეეძლო. არც არავის ეკამათებოდა, არც უხეშად შეპასუხებია ვინმეს და სავარაუდოდ, არც მტერი გაუჩენია. სწრაფად ითვლიდა თითებით კარლ მარქსის თხზულებათა ტომებს და უკვე თითქმის სასოწარკვეთილი ეკითხებოდა საკუთარ თავს – ნუთუ ჯერ მაინც სხვანაირი ვარ, ამათგან სრულიად განსხვავებულიო? მაგრამ ესენი რაზე მატყობენ – რა გავაკეთე ასეთი, ან პირიქით – რა ვერ გავაკეთე სწორადო?

ერთხელ, როცა ამხანაგი ბიტიუკი სადღაც წავიდა, რაც თავისთავად ძალიან იშვიათად ხდებოდა სამუშაო საათებში, ყველამ ერთბაშად მიანება საქმეს თავი. თანამშრომლები ტინას საბეჭდი მანქანის ირგვლივ შეგროვდნენ. მღელვარედ ჩურჩულებდნენ – კოოპერატივში ულამაზესი ჭრელი ჩითის ქსოვილი მიუღიათ, მშვენიერი იქნება საზაფხულო კაბის შესაკერადო; ვიღაც ნეპმანი კი თურმე ბაზარში ისეთი ხარისხის ბამბის წინდებს ყიდდა, აბრეშუმისაგან არ გაირჩეოდა; ბოლოს, შეყვარებულებზეც ჩამოაგდეს სიტყვა – კერძოდ, ტინას თაყვანისმცემლებზე. ტინა მთელ დაწესებულებაში ყველაზე ლამაზ გოგოდ ითვლებოდა და კაცებშიც დიდი წარმატებით სარგებლობდა. პაჭუა ცხვირზე მუდამ პუდრის თეთრი ფენა ედო და იმასაც კი ეჭვობდნენ, წამწამებს ხომ არ იღებავს შავადო. არაერთხელ შეემჩნიათ ისიც, სამსახურის მერე როგორ ელოდებოდა მამრობითი სქესის სხვადასხვა წარმომადგენელი შინ გასაცილებლად. ნებისმიერი ამგვარი მსჯელობის უპირობო მოთავედ და საბოლოო მსაჯულად, ყველა ერთხმად აღიარებდა ტყავისქურთუკიან, პარტიის წევრ ახალგაზრდა ქალს. თუმცა, სასიყვარულო ამბებში ის მაინც

ნებაყოფლობით უთმობდა პირველობას ტინას. ახლაც შემწყნარებ-ლურად იღიმებოდა, თუმცა მაინც ვერ მალავდა ცნობისმოყვარეობას, როცა ტინა აღელვებული ჩურჩულებდა:

– ამ დროს მიშკამ დარეკა კარზე, არადა ივაშკა საცვლების ამარა იყო უკვე.. გავიგონე, როგორ გამომძახა ელენა მაქსიმოვნამ – ეგ ჩემი მეზობელია, გვერდზე ოთახში ცხოვრობს – ტინა, სტუმარია შენთანო და სანამ რამეს მოვისაზრებდი, მიშკაც შემობლაყუნდა... გაშტერებული მიაჩერდა ნიფხავპერანგიან ივაშკას. ერთი იმის სახე უნდა გენახათ, სიცილით მოკვდებოდით! უცებვე მოვედი აზრზე და ვეუბნები – მიშკა, საყვარელო, გაიცანი – ეს ივანია, ჩემი მეზობელი-მეთქი; ელენა მაქსიმოვნასთან ცხოვრობს, გაცივდა და ასპირინოსთვის შემოვიდა-მეთქი. ივაშკას ყბა ჩამოუვარდა, ელენა მაქსიმოვნამ კი თავისი ოთახიდან დაიძახა: „კი, ნამდვილად ჩემთან ცხოვრობს! მოდი საყვარელო, გელოდები! " ის ნაძირალა ივაშკაც მართლა არ წავიდა?!

პარტიის წევრობის კანდიდატი, ახალგაზრდა კაცი, ამ საუბრებში მონაწილეობას არ იღებდა, მოწყენილი სახით უჯდა თავის სამუშაო მაგიდას, თუმცა გაფაციცებით კი აყურადებდა ყველაფერს და შიგადაშიგ თუ ჩაურთავდა ხოლმე – თქვენ, ამხანაგო ქალებო, ისეთ რამეებს ნუ ლაპარაკობთ, რაც პარტიის წევრობის კანდიდატისთვის შეუფერებელი მოსასმენიაო.

გოგოები ხითხითებდნენ, იპრანჭებოდნენ და პასუხად ერთგვარად მაინც მეგობრულ მზერას ესროდნენ ხოლმე.

კირაც მაგიდასთან იჯდა, თავის საქმეს აგრძელებდა და გოგოების ჩურჩულს სულაც არ უგდებდა ხოლმე ყურს. საერთოდ, ჩვევად არ ჰქონდა თანამშრომლებთან გარეშე თემებზე საუბარი. ისინიც იშვიათად თუ გამოხედავდნენ და არც მთლად კარგი თვალით.

– ახლა, უკვე შიშისაგან გულგახეთქილი, ცდილობდა გამოეცნო, ამგვარი არაკეთილგანწყობა მისივე „ქედმაღალი ბურჟუაზიულობის" ბრალი ხომ არ იყო. არადა, ეს სამსახური ძალიან სჭირდებოდა

– თვითონაც და რაც მთავარია, ლეოს. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, არ დაეთმო და არც დათმობდა არაფრის დიდებით...

წამოდგა და ვითომც არაფერიო, იმათ მაგიდასთან მივიდა. დანარჩენებმა არც შეიმჩნიეს, მხოლოდ გაოცებულებმა, ერთი კი გამოხედეს ცივად და ისევ გააგრძელეს ჩურჩული. კირა დაელოდა, როდის მოითქვამდა სულს აქაქანებული ტინა და მერე უცებ, სრულიად უადგილოდ ჩაურთო:

– წუხელ უცნაური ამბავი დამემართა.....

– ცდილობდა, ხმა არ გაბზარვოდა, შეძლებისდაგვარად მშვიდად ელაპარაკა.

– ჩემი მეგობარი ბიჭი წამეჩხუბა და იცით, რატომ? დაინახა, როგორ მიმაცილა სხვამ... მლანძღა და მაგინა, მე კი ვეუბნები – ეგ სულ ყავლგასული ბურჟუაზიული ცრურწმენებია-მეთქი... იმას კი არაფრის გაგონება არ უნდოდა, ლამის კედლებზე გასულიყო, გაცოფებული...

იგრძნო, როგორ ეწებებოდა კაბის ქსოვილი გათოშილ ზურგზე, ბეჭებშორის. ცდილობდა, ისევე ლაღად და ქარაფშუტულად ელაპარაკა. როგორც ტინას და თან უნდოდა თავადვე ერწმუნა ეს სახელდახელო გამონაგონი. ძალიან კი უჭირდა ამ არარსებული მეგობრის წარმოდგენა, როცა სინამდვილეში, ლეო ჰყავდა გვერდით – კაცი, რომელიც ირინამ შიშველ ღვთაებად გამოსახა ფურცელზე.

– ...მოკლედ, ყვიროდა და ღრიალებდა...

– უყურე შენ! – ჩაილაპარაკა ნინამ. ტყავისქურთუკიან პარტიის წევრს ხმა არ გაუღია.

– კუზნეცკის ბაზრობაზე, – ისევ თავისი გააგრძელა ტინამ.

– პომადასაც ყიდიან, ოღონდ საბჭოურს. იაფია, მაგრამ ამბობენ, ჯანმრთელობისთვის სახიფათოა, ჭირით გაწყვეტილი ცხენების ქონისაგან მზადდება თურმე...

* * *

პირველის ნახევარზე შესვენება დაიწყო. პირველს ოცდახუთი აკლდა, როცა ამხანაგმა ბიტიუკმა ჭამით გართულ თანამშრომლებს გამოუცხადა:

– ერთხელ კიდევ უნდა შეგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ორის ნახევარზე სამუშაოს კი არ მიუბრუნდებით, სმოლნის სასახლესთან შეიკრიბებით და ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციის საპატივცემულო მსვლელობაში მიიღებთ მონაწილეობას, პეტროგრადის სხვა მუშა-მოსამსახურეებთან ერთად. დღეს აღარ ვიმუშავებთ.

კირამ შესვენების ერთი საათი მთლიანად კოოპერატივთან გაატარა რიგში: შრომის წიგნაკით პური უნდა აეღო. ერთიანად გახევებული იდგა, თავგამოცარიელებული, თითქოს ფიქრითაც უკვე სადღაც, ძალიან შორს დარჩენილიყო, იმ სამყაროში, რომელსაც უკვე აღარ ეკუთვნოდა. თუმცა ასე ეგონა, ამ უამრავი უმნიშვნელო ამბის იქით მაინც გრძელდებოდა მისი და ლეოს ცხოვრება. ძველი ქუდიდან გამოჩრილი თმის ბოლოები ჭირხლით შეთეთრებოდა. ლეოს გახსენებაზე, სულ ერთი წამით მოეხუჭა მოღლილი თვალები, მაგრამ მაშინვე გაახილა და თეთრად დათრთვილული წამწამებიდან უნდოდ გახედა ზარმაც ბეღურებს, თოვლში ცხენის ჩონჩორიკს რომ კენკავდნენ.

სადილი შინიდან ჰქონდა მოტანილი – ქაღალდში გახვეული გამხმარი თევზი. ვალდებულების გამო შეჭამა – მხოლოდ იმიტომ, ჭამის დროაო. როცა კუთვნილი ორი გირვანქა პური აიღო – ჯერ ისევ თბილ-თბილი, ყავისფერი – მისი სასიამოვნო, დამამშვიდებელი სურნელი ხარბად შეიყნოსა, ყუა მოატეხა და ნელ-ნელა გაღეჭა. დანარჩენი, იღლიის ქვეშ საგულდაგულოდ ამოდებული, უკვე მხოლოდ ლეოს ეკუთვნოდა...

ტრამვაის გაეკიდა, შეახტა და მერე კარგა ხანს იმგზავრა ქალაქის მეორე ბოლომდე, სადაც თვითონაც უნდა შეერთებოდა ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციის პატივსაცემად შეკრებილ პეტროგრადელ მშრომელებს.

* * *

ნევის გამზირი ადამიანის თავების ნელა მოძრავ კონვეიერს მოგაგონებდათ. ამ თავებსზემოთ, ქარისაგან დაბერილი აფრებივით ვეება წითელი ტრანსპარანტები ორ-ორ ჭოკზე დამაგრებული მიცურავდა უხმოდ. ხალხში ზოგს სამხედრო ყაიდის ქუდი ეხურა თავზე, ზოგს ბეწვის, სხვებს კი წითელი ხილაბანდები წაეკრათ. ქუჩაში ნაბიჯების მონოტონური ხმა მოისმოდა, კედლიდან კედელს აწყდებოდა, სახურავებამდე უწევდა მოყინულ ქვაფენილზე ერთ რიტმში მოძრავი ათასობით ადამიანის ფეხის ბაგუნი.

მსვლელობისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, ტრამვაებიც გაეჩერებინათ, ავტომობილებიცა და ეტლებიც. აქა-იქ ფანჯრებიდან მაცხოვრებლები გამოყოფდნენ ხოლმე თავს, ერთს გახედავდნენ გულგრილად დემონსტრანტებს და მაშინვე შინ შებრუნდებოდნენ – ამგვარი სანახაობა აღარავის აკვირვებდა პეტროგრადში.

„პეტროგრადის მშრომელები, მხურვალედ მივესალმებით ჩვენს კლასობრივ ძმებს ბრიტანეთიდან!

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საბჭოეთის მიწაზე, სადაც შრომა თავისუფალია!

– #2 სახელმწიფო საფეიქრო ფაბრიკის მშრომელი ქალები სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ინგლისის პროლეტარიატს იმპერიალიზმთან ბრძოლაში! “

კირა ნინასა და ამხანაგ ბიტიუკს შორის მიაბიჯებდა. საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის, ამხანაგ ბიტიუკს ქუდის ნაცვლად თავზე წითელი ხილაბანდი შემოეხვია. კირა მყარი ნაბიჯით მიდიოდა, მხრებში გაშლილი, თავაწეული... ესეც სამსახურის შესანარჩუნებლად იყო საჭირო, სამსახური კი ლეოს გამო უნდა დაენარჩუნებინა. მოღალატე არ იყო, ლეოსთვის უწევდა ახლა აქ ასე სიარული, იმის მიუხედავადაც კი, რომ მის თავსზემოთ გადაჭიმული ტრანსპარან-

ტი, რომელიც ტინასა და პარტიის კანდიდატს მოჰქონდათ, იუწყებოდა: „ჩვენ, საბჭოთა გლეხები, მხარდამხარ ვდგავართ ჩვენი ბრიტანელი კლასობრივი ძმების გვერდით! " კირა უკვე თითქმის ველარ გრძნობდა საკუთარ ფეხებს, თუმცა იცოდა, ჯერაც მივაბიჯებო, რადგან სხვებივით ისიც წინ მიიწევდა. ხელებზეც თითქოს მდუღარეთი სავსე თათმანები წამოეცვა, მაგრამ ნაბიჯი მაინც არ უნდა შეენელებინა და ისიც მიდიოდა.

გამზირზე გრძელი, გველივით დაკლაკნილი ხალხის მწკრივში, ვიღაცამ ჩახლეჩილი, მაღალი ხმით წამოიწყო „ინტერნაციონალი" და მას სხვებიც აჰყვნენ. სიმღერა ათასობით აუწყობელი, უხეში, თამბაქოთი ჩამწვარი და ყინვისაგან შეგუბებული ყელიდან ამოსული ხმებით მოედო იქაურობას.

სასახლის მოედანზე, რომელსაც ახლა ურიცკის სახელი ერქვა, ხის ტრიბუნა აღემართათ. ზამთრის სასახლის წითელი კედლებისა და სარკისებური ფანჯრების ფონზე, წითელი ქსოვილით გაწყობილ ხის ფიცარნაგზე ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაცია გამწკრივებულიყო. პეტროგრადის მშრომელებმა ნელი ნაბიჯით, ჯერი-ჯერზე ჩაუარეს ამ სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნას, ბრიტანელი კლასობრივი დები და ძმები კი ცოტა არ იყოს, უხერხულად, ცოტა არ იყოს, დარცხვენილად, ცოტა არ იყოს, გაოგნებულები იდგნენ.

კირას მხოლოდ ერთადერთი მათგანი დაამახსოვრდა: ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგატი ქალი – მაღალი, გამხდარი, უკვე ასაკოვანი, სკოლის მასწავლებელივით მკაცრსახიანი. ოღონდ მას ტანზე ისეთი მდიდრული, ღია-ყავისფერი პალტო ეცვა, რომელიც „ინტერნაციონალსა" თუ ნებისმიერ „ვაშაზე" ხმამაღლა გაიძახოდა – საზღვარგარეთ ვარ შეკერილიო. საუცხოო თარგზე აჭრილი, ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული, ტანზე მშვენივრად მორგებული – კირას ირგვლივ მყოფი ხალხის სამოსისაგან განსხვავებით, ის ერ-

თადერთი არ მოთქვამდა და გოდებდა ადამიანის სხეულის უმწეობასა და არარაობაზე. ამ ბრიტანელ ამხანაგს ფეხზეც ლაქის ახალთახალი, ყავისფერი, ნაყშებიანი ფეხსაცმელი ემოსა და ოქროსფრად მოელვარე, წვივებზე უზადოდ შემოტკეცილი, ნამდვილი აბრეშუმის წინდებიც.

და აი, უეცრად, კირას სიგიჟემდე მოუნდა აკივლებულიყო, ფიცარნაგზე შემხტარიყო, ამ მბზინავ ფეხებს შემოხვეოდა, ზედ ჩამოკიდებოდა, კბილებითაც კი ჩაფრენოდა, რათა მათ თან გაეყოლებინათ სადღაც, შორს არსებულ იმ თავიანთ სამყაროში, რომლის წარგზავნილიც ახლა იქვე, ორიოდ ნაბიჯში, ხელის ერთ გაწვდენაზე იდგა და განწირულის აშ კივილსაც სულ იოლად გაიგონებდა. მაგრამ ამის ნაცვლად, ერთი შებარბაცდა და თვალები დახუჭა.

მსვლელობა შეჩერდა. ხალხი ადგილზე ინაცვლებდა ფეხს, გასათბობად და გამომსვლელთა სიტყვებს ისმენდა. იმათ კი ბოლო არ უჩანდა. ილაპარაკა ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციის წევრმა ქალმაც. ხმაჩახლეჩილმა თარჯიმანმა ყვირილ-ყვირილით გადაუთარგმნა მისი ნათქვამი მოედანზე შეკრებილთ, წითელ და ხაკისფერ ხილაბანდწაკრულ, ერთმანეთს მიტმასნილ ადამიანებს:

– ეს მართლაც სულისშემძვრელი სანახაობაა. ჩვენ ინგლისელმა მუშებმა გამოგვგზავნეს საიმისოდ, რათა საკუთარი თვალით გვენახა ყოველივე და მერე მთელი მსოფლიოსათვის გვემცნო თქვენს მიერ განხორციელებული უდიდესი ექსპერიმენტის თაობაზე. ჩვენ ყველას მოვუყვებით რუსი მშრომელების მრავალათასიანი კოლექტივების შესახებ, რომლებიც ასე მხურვალედ და თავისუფლად გამოხატავენ ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ!

წამით, კირამ გაიფიქრა კიდეც – მართლა მოვახერხებ ბრბოს გარღვევას, ამ ქალამდე მიღწევას და მისთვის, ინგლისელი მუშებისთვის, მთელი მსოფლიოსთვის იმის გაგებინებას, სინამდვილეში როგორია ეს „სიმართლეო“, მაგრამ მაშინვე ლეო გაახსენდა, შინ რომ ელოდა, ახველებდა და თეთრი მარმარილოსავით გადაფითრებოდა

სახე. სასწორის ერთ პინაზე ლეო აღმოჩნდა, მეორეზე – სიმართლე, რასაც სამყარო ყურს მაინც არ დაუგდებდა. ლეომ გადაწონა.

* * *

ხუთ საათზე, დელეგაციის წევრები მბზინავ ლიმუზინში ჩასხდნენ და დემონსტრანტებიც დაიშალნენ. უკვე ბინდდებოდა, თუმცა კირა ჯერ ისევ მოასწრებდა ინსტიტუტში ბოლო ლექციაზე მისვლას.

ზოგადად, ეს გაყინული, ცუდად განათებული აუდიტორიები მაინც ერჩია სამსახურში ყოფნას. კედლებზე გამოფენილი ნახაზები, გრაფიკები თუ სურათები, რომლებზეც ხარიხები, დამჭერი ძელები და განივი კვეთები გამოესახათ, სიზუსტისა და მიუკერძოებლობის სიმბოლოებად ესახებოდა. ერთი, თუნდაც ხანმოკლე ლექცია, იმის მიუხედავადაც კი, რომ კუჭი შიმშილისაგან უყმუოდა, მაინც შეახსენებდა – ადრე თუ გვიან, შენც გახდები ინჟინერი, შენც გერგება წილად ალუმინის ხიდებისა თუ შუშისა და ფოლადის ცათამბჯენების შენება, შენც გელის წინ შენი კუთვნილი მომავალიო.

ლექციის მერე, ჩქარი ნაბიჯით რომ მიუყვებოდა მბჟუტავი ნათურით განათებულ დერეფანს, წინ ამხანაგი სონია აესვეტა.

– გამარჯობა, ამხანაგო არგუნოვა, – შეეხმიანა სონია.

– კარგა ხანია, არ გვინახიხარ... რა იყო, სწავლაზე ხომ არ აიცრუე გული? აბა საზოგადოებრივ დატვირთვას რაც შეეხება, მაგაზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს – შენნაირ ინდივიდუალისტს ამ ინსტიტუტში მეორეს ვერ ნახავ.

– მე...

– რაღაცის თქმა დააპირა კირამ.

– თუმცა ეგ ჩემი საქმე არაა, ამხანაგო არგუნოვა და არც არაფერს გეკითხები! უბრალოდ გაგახსენე, რას უპირებს პარტია იმნაირ სტუდენტებს, ვინც შეგნებულად არიდებს თავს საზოგადოებრივ დატვირთვას...

– რა არის, იცი...

– კირა მიხვდა, ალბათ მაინც აჯობებს, ყველაფერი ავუხსნაო.

– სამსახური დავიწყე და თან ჩვენ მარქსისტულ კლუბშიც ძალიან ბევრი საქმე გამომიჩნდა...

– მართლა? რას მელაპარაკები! ისე, კარგად გიცნობთ ბურჟუებს – მაშინ გამოიდებთ ხოლმე თავს, როცა თბილი ადგილის დაკარგვა არ გინდათ! ზღაპრებს ნუ მიყვები...

* * *

შინ რომ დაბრუნდა, მარიშა აწყვეტილ ზამბარასავით წამოხტა ადგილიდან:

– ამხანაგო არგუნოვა, ან მიხედე იმ თქვენ კატას, ან არადა ჩემი ხელით მოვუგრიხავ კისერს!

– კატას? რომელ კატას? ჩვენ კატა არა გვყავს...

– კარგი ერთი! და ეს აბა ვინ ქნა, მე?! – მარიშამ მისი ოთახის ზედ შუაგულში დაყენებულ გუბეზე მიათითა.

სწორედ ამ დროს, სუსტი კნავილიც გაისმა და სკამის ქვემოდან ორი ფუმფულა ყურიც გამოჩნდა.

– ეს კატა ჩემი არაა, – თქვა კირამ.

– აბა, აქ საიდან გაჩნდა? – მე რა ვიცი...

– შენ არასოდეს არაფერი არ იცი!

კირამ მხრები აიჩეჩა და ისე გავიდა თავის ოთახში, პასუხის ღირსადაც არ გაუხდია. მერე გაიგონა, მარიშა რომ ტიხარს უბაგუნებდა მუშტებს და გაჰკიოდა:

– ეი, თქვენ მანდ! მაგ თქვენმა ოხერმა კატამ მთელი იატაკი მომისვარა! ან მოაშორეთ აქედან, ან არადა ცოცხლად გავატყავებ და სახლმმართველსაც მოგიქსევთ!

ლეო შინ არ იყო. კირას ოთახში ბნელოდა და ისე ციოდა, როგორც სარდაფში. შუქი აანთო, ლოგინი აულაგებელი დაუხვდა, ზეწარი კი სულაც იატაკზე ეგდო. იქაურობა მიალაგა და მერე „ბურჟუიკაც" დაანთო. არადა, ნოტიო შეშას იმდენ ხანს უბერა სული, ვიდრე

თვალები არ აეწვა – მილებიც ბოლს აპარებდა.

– ახლა პრიმუსის დგუშს დაუწყო წვალება, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეტყობა, სადინარში რაღაც დაცობილიყო. მთელ ოთახში დაუწყო ძებნა რამე ისეთს, რითიც მის გაწმენდას მოახერხებდა, თუმცა მსგავსი ვერაფერი იპოვა. კართან მივიდა და დააკაკუნა.

– ამხანაგო ლავროვა! ისევ შენ წაიღე ჩემი პრიმუსის საწმენდი?

მარიშას პასუხი არ გაუცია. კირამ კარი შეაღო.

– შენ აიღე ის საწმენდი, ამხანაგო ლავროვა?

– რა გამიწყალეთ გული! – შეუღრინა მარიშამ.

– არგადამაყოლეს ამ ერთ დამპალ საწმენდს? აგე, მანდაა!

– რამდენჯერ გთხოვე, ამხანაგო ლავროვა, უნებართვოდ, ჩემს ნივთებს ხელს ნუ ახლებ-მეთქი!

– და რას მიზამ, მიჩივლებ? კირამ პრიმუსის საწმენდს ხელი დაავლო და კარი გამოიჯახუნა. კარტოფილს ფცქვნიდა, როცა ლეოც დაბრუნდა.

– შინ ხარ? – გაუკვირდა.

– კი. შენ სადღა იყავი? – რა, ანგარიში ჩაგაბარო? ამაზე კირას აღარაფერი უთქვამს.

ლეოს მხრები ჩამოვარდნოდა და ტუჩებიც ჩალურჯებოდა. კირამ იცოდა, სადაც იყო და იმასაც მიხვდა, ვერაფერს გამორჩაო. ისევ კარტოფილს მიუბრუნდა. ლეო ქურაზე ითბობდა ხელებს, ტუჩები კი ტკივილისაგან დაბრეცოდა. უცებ, ხველა აუტყდა. მერე მთელი ტანით შემოტრიალდა და თქვა:

– სულ ერთი და იგივე ამბავია. დილის რვა საათიდან ვიწანწალე. არსად არ არის სამუშაო.

– ეგ არაფერი, ლეო. მაგაზე ნუ ვიდარდებთ.

– მართლა? არ ვიდარდოთ?! ეტყობა, მოგწონს კიდეც, შენს კმაყოფაზე რომ ვარ! გსიამოვნებს ხშირ-ხშირად მიმეორო – სადარდებელი არაფერი გაქვს, სანამ მე ვმუშაობ და ამ ჩემი მარტვილობით ნელ-ნელა საფრთხობელას ვემსგავსებიო...

– ლეო!

– მოკლედ, არ მინდა რომ მუშაობდე! ნუღარც საჭმელს გააკეთებ! არ მინდა... კირა! – მკერდში ჩაიკრა, თავი მხარზე ჩამოადო და ასე გაირინდა პრიმუსის მოლურჯო გამონაშუქში.

– მაპატიე, კირა! გთხოვ...

კირა ლოყით მიელამუნა თმაზე, რადგან ხელები გაწელილი ჰქონდა.

– აბა რა, საყვარელო... თუ გინდა, ცოტა ხანს წამოწექი და დაისვენე. სადილი მალე იქნება მზად.

– არ შეუძლება, მეც მოგეხმარო? – მაგაზე ხომ დიდი ხნის წინ შევთანხმდით...

ლეომ ნიკაპქვეშ ამოსდო თითი და თავი აუწია. კირა დაიძაბა. ჩურჩულით უთხრა: „არ გინდა, ლეო... აქ არა" და თავისი გაზინთული ხელები აჩვენა.

ლეოს არ უკოცნია. მწარედ ჩაეღიმა. მერე საწოლთან მივიდა და ზედ დაემხო.

უკან თავგადაგდებული და საწოლიდან ცალხელჩამოშვებული, ისე გაუნძრევლად იწვა, კირა აფორიაქდა და დროდადრო, ჩუმად ეძახდა კიდეც – მხოლოდ იმიტომ, ლეოს თვალები გაეხილა, მაგრამ მერე, ყოველ ჯერზე, მაშინვე ნანობდა: არ სურდა, იმას გახელილი ჰქონოდა თვალები და ჯიუტად ეცქირა მისთვის. თუკი ადრე კირა საგულდაგულოდ კეტავდა ხოლმე კარს, რათა ლეოს არ ეცქირა, როგორ ამზადებდა საჭმელს, ახლა იდგა ასე, პრიმუსთან წახრილი, ნავთისა და ხახვის სუნით აქოთებული, ხელებგაწეპილი, ოფლიან შუბლზე თმაჩამოშლილი და ნესტოებდაწითლებული; ჭუჭყიან წინსაფარაფარებულს, უკვე ტანიც ერთიანად მოდუნებოდა – უშნოდ, მოუქნელად ირჯებოდა და ადრინდელი სისხარტისაც თითქმის არაფერი ეტყობოდა: მოურეველი დაღლილობა დასწოლოდა მხრებზე.

სადილი რომ მოამზადა და პირისპირ მიუსხდნენ მაგიდას, კირამ გულისტკივილით გაიფიქრა – ეს კაცი, ვისი სახის ცქერაც არასოდეს

მომბეზრდება და ვინც მინდა, მუდამ ახალგაზრდას, სიცოცხლით სავსეს მხედავდეს, ახლა ჩემს ამ ჩაწითლებულ, შეშუპებულ თვალებს, სისხლისაგან დაწრეტილ ტუჩებს მიჩერებია და ჩემი ღიმილის ნაძალადეობასაც მშვენივრად ამჩნევსო.

სადილად ფეტვის ფაფა, კარტოფილი და სელის ზეთზე მოხრაკული ხახვი ჰქონდათ. კირას ისე შიოდა, ხელებში ძალას ველარ გრძნობდა, არადა ფაფას მაინც ვერ დააკარა პირი. უეცრად, მოურეველი ზიზღი, სიძულვილიც კი იგრძნო, რის გამოც უმალ შიმშილით მოკვდებოდა, ვიდრე თუნდაც იმ სალაფავის ერთ კოვზს გადაყლაპავდა, რომლის გარდაც, როგორც ახლა ეჩვენებოდა, ცხოვრებაში სხვა არც არაფერი ეგემნა. მერე დაფიქრდა კიდეც – ნეტავ თუ არსებობს ამქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც საჭმლის ყოველი ლუკმა არ გირევს გულს, სადაც კვერცხი, კარაქი თუ შაქარი რაღაცა მიუღწეველ, სანუკვარ ოცნებად არაა ქცეულიო...

თეფშები ცივი წყლით დარეცხა; ხეირიანად ვერც მოაშორა ქონი ტაფას. უკვე თექის ჩექმებს იცვამდა, როცა ლეოს გახედა და მოუბოდიშასავით:

– უნდა წავიდე. ამ საღამოს მარქსისტულ კლუბში მელოდებიან. საზოგადოებრივი დატვირთვაა, ხომ იცი.

ლეოს არაფერი უპასუხია, არც კი გაუხედავს მისკენ, როცა კირა შინიდან გადიოდა.

* * *

მარქსისტული კლუბის შეკრებები „საგლეხო სახლის“ ბიბლიოთეკაში იმართებოდა. ბიბლიოთეკა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ამ შენობის დანარჩენი ოთახებისაგან, იმის გარდა რომ იქ მეტი პლაკატი ეკიდა და ნაკლები წიგნი ელაგა. წიგნები თაროებზე დაეწყოთ, განსხვავებით სხვა სათავსოებისაგან, სადაც დასაგზავნად გამზადებულ ტომებს პირდაპირ იატაკზე ახვავებდნენ.

კლუბს სწორედ ის ტყავისქურთუკიანი ახალგაზრდა ქალი თავმჯდომარეობდა, ხოლო „საგლეხო სახლის“ ყველა თანამშრომელი მის წევრად ითვლებოდა. კლუბის დანიშნულება „პოლიტიკური თვითგანათლება“ და „ისტორიული რევოლუციური ფილოსოფიის“ შესწავლა გახლდათ. შეკრებები კვირაში ორჯერ იმართებოდა; ესა თუ ის წევრი მოხსენებას კითხულობდა, დანარჩენები კი მოსმენილზე მსჯელობდნენ.

იმ დღეს კირას რიგი იყო და მან მოხსენება წაიკითხა თემაზე „მარქსიზმი და ლენინი“.

– ლენინიზმი, ესაა რუსულ სინამდვილეს მორგებული მარქსიზმი. კომუნიზმის დიად ფუძემდებელს, კარლ მარქსს მიაჩნდა, რომ სოციალიზმი ლოგიკურად გამომდინარეობს კაპიტალიზმიდან, ინდუსტრიულად ყველაზე დაწინაურებულ ამა თუ იმ სახელმწიფოში, სადაც პროლეტარიატი მაღალი კლასობრივი თვითშეგნებითაა აღჭურვილი. მაგრამ ჩვენმა დიდმა ბელადმა, ამხანაგმა ლენინმა დაამტკიცა, რომ...

კირას მთელი მოხსენება „კომუნიზმის ანაბანადან“ გადმოეწერა – იმ წიგნიდან, რომელიც ქვეყნის ყველა სასწავლებელში სავალდებულო საკითხავად ითვლებოდა. უბრალოდ, აქა-იქ წინადადებებსა თუ ცალკეულ სიტყვებს მოუნაცვლა ადგილი. იცოდა, ამ ვითომც ჩემი მოხსენების შინაარსი მშვენივრად მოეხსენებათ, უამრავჯერ ექნებათ მსგავსი რამ წაკითხული – ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გამოცემული ნებისმიერი გაზეთის მოწინავე წერილშიო. პალტოებმოსხმული, მობუზული მსმენელები ნახევარწრედ ისხდნენ; მათაც კარგად იცოდნენ, რისთვის იყვნენ შეკრებილები. თავმჯდომარის ადგილზე მჯდომი, ტყავისქურთუკიანი ქალი შიგადაშიგ მოწყენილი ამთქნარებდა კიდეც.

– როცა კირამ სათქმელი ჩაათავა, აქა-იქ კანტიკუნტი ტაშიც კი გაისმა.

– შენიშვნა ვის ექნება, ამხანაგებო? – მომთხოვნი ხმით გამოაცხადა თავმჯდომარემ.

პირმრგვალი, თვალსევდიანი გოგო სხაპასხუპით ალაპარაკდა, საკუთარი მოწადინების საჩვენებლად:

– ჩემი აზრით, მშვენიერი მოხსენება მოვისმინეთ, ძალიან მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი, რადგანაც ყველაფერი მწყობრად, მკაფიოდ და ახალი თეორიების შესაბამისად იქნა ჩამოყალიბებული.

ამის მერე, ჭკვიანური გამომეტყველების მქონე მავანი პენსნეიანი, ქუთუთოებჩალურჯებული ახალგაზრდა კაცი წამოდგა და მეცნიერული სიდინჯით, საქმის ცოდნით ალაპარაკდა:

– მე მხოლოდ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა მინდა გამოვთქვა, ამხანაგო არგუნოვა. როდესაც აღნიშნავთ, რომ ამხანაგმა ლენინმა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ფაბრიკა-ქარხნების მუშათა გარდა, გლეხობაც მოიაზრა, უთუოდ უნდა გაუსვათ ხაზი იმას, რომ აქ ლაპარაკია სწორედ ღარიბ გლეხობაზე და არა სოფლის მოსახლეობის ნებისმიერ ფენაზე, რადგანაც ყველას მშვენივრად მოეხსენება, რა მტრულად არიან განწყობილი ლენინიზმის მიმართ გაქსუებული ბობოლა გლეხები.

კირას ესმოდა, რომ ყველა შემთხვევაში უნდა დაეცვა საკუთარი მოხსენება; არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, პენსნეიანი ჭკუის კოლოფიც მხოლოდ საკუთარი აქტიურობის საჩვენებლად რომ ეკამათებოდა. კირაზე მეტად არც იმას აღელვებდა ჭეშმარიტების დადგენა, ქუთუთოებიც უძილობისაგან ჩალურჯებოდა და ერთი სული ჰქონდა, დროზე დაბრუნებულიყო სახლში, ოღონდ იმასაც ვერ ბედავდა, საათისკენ გაეპარებინა თვალი და გაღიზიანებული, მხოლოდ თითებს იმტვრევდა გამალებით.

– როცა ამხანაგი ლენინის თეორიაში გლეხებისა და მუშების ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, – მოწყენილი ხმით წამოიწყო კირამ.

– მე მგონი, თავისთავად იგულისხმება, რომ სწორედ ღარიბ გლე-

ხობას ვგულისხმობთ, რადგან სხვებს კომუნიზმში არაფერი ესაქმებათ...

– დიახ, მაგრამ ვფიქრობ, მეტი მეცნიერული სიზუსტე გვმართებს, ცნებების უფრო მორგებულად შერჩევა და სწორედაც რომ ღარიბი გლეხობის ხსენება.

– აშკარად ვალის მოსახდელად აგრძელებდა კამათს ის ახალგაზრდა კაცი.

– მეც ვეთანხმები ბოლო გამომსვლელს, – თავისი სიტყვა თქვა თავმჯდომარემაც.

– მოხსენება ჩასასწორებელია. ყველგან „ღარიბი გლეხი" უნდა ეწეროს. კიდევ გაქვთ შენიშვნები, ამხანაგებო?

შენიშვნა აღარავის გამოუთქვამს.

– მაშინ, მადლობა გადავუხადოთ ამხანაგ არგუნოვას გაწეული შრომისათვის, – თქვა თავმჯდომარემ.

– შემდეგ შეხვედრაზე უკვე ამხანაგი ლესკოვის მოხსენებას მოვისმენთ თემაზე „მარქსიზმი და კოლექტივიზმი". დღევანდელ შეხვედრას კი დასრულებულად ვაცხადებ.

ყველანი წამოცვივდნენ, სკამები ხმაურით მიწი-მოწიეს, ბიბლიოთეკიდან გამოვიდნენ, ჩაბნელებული კიბე სულ სირბილ-სირბილით ჩამოათავეს და ბნელ ქუჩაში გამოეფინენ. ვალი მოხდილი ჰქონდათ, დარჩენილი საღამო ახლა სათავისოდ შეეძლოთ გამოეყენებინათ.

კირა ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას და თან გაუაზრებლად, საკუთარ ფეხის ხმას აყურადებდა. მართალია, ახლა უკვე შეეძლო გონება მოეკრიბა, მაგრამ რაკი ამდენი საათის განმავლობაში, მხოლოდ იმას ცდილობდა ჯიუტად, რომ არაფერზე ეფიქრა და არ დავიწყებოდა – ფიქრი არ შეიძლებაო, ახლა აზრიც აქეთ-იქით ეფანტებოდა. მარტო ის იცოდა, რომ ჩქარა, მტკიცედ, გამოზომილი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას, სანამ ძალა და იმედი ფეხის ტერფებიდან ნელ-ნელა არ ამოუყვა მთელს სხეულს, გულამდე, საფეთქლებში ჩაბუდებულ ბურანამდე. თავი ისე გადააგდო უკან, თითქოს ცურვის

დროს ზურგზე გაწვა დასასვენებლადო. ჩამუქებულ ცას ახედა, დაბლა დაკიდულ ვარსკვლავებს, სახლების სახურავებს, მერე კი ისევ ცივ შუქზე მთების შეურყვნელ მწვერვალებივით თეთრად მოქათქათე თოვლზე გადაიტანა მზერა.

უკვე უწინდელ კირა არგუნოვასავით სხარტად, მსუბუქად მიქროდა წინ, და ისევე ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს, როგორც სხვა დროსაც უკვე ძალიან ხშირად, ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში. „რა ვუყოთ მერე – ომია, ომი! ხომ არ დანებდები, კირა? იცოდე, სანამ ფარხმალს არ დაყრი, საშიშიც არაფერია. შენ ჯარისკაცი ხარ და არ დანებდები, კირა... რაც უფრო გაგიჭირდება, მით უფრო ბედნიერი იქნები, როცა მიხვდები – რისი გაძლების უნარი მოუცია შენთვის ღმერთს! რაც უფრო გიჭირს, მით უფრო ბედნიერად გრძნობ თავს. მოკლედ, ეს ომია და შენც კარგი ჯარისკაცი ხარ, კირა არგუნოვა! "

* * *

როცა ლეომ გულში ჩაიკრა, სახე მის თმაში ჩარგო და ჩასჩურჩულა – „დღეს, კირა! ძალიან გთხოვ..." – უკვე იცოდა, რომ ამჯერად, უარს ვეღარ ეტყოდა. არადა, უეცრად ისევ მოღვენთილ მის სხეულს ძილის მეტი აღარც არაფერი სურდა – ხანგრძლივი, ლამის უსასრულო ძილის და ამგვარი იძულებითი, უსიტყვო, უგრძნობი, უპასუხო დანებების წარმოდგენაც კი ზარავდა.

ლეო მთელი ტანით ეხუტებოდა და კირაც ცივი საბნის ქვეშ, კაცის სხეულის სითბოს შეიგრძნობდა. ლეოს თბილი, გლუვი კანი სასიამოვნოდ ამშვიდებდა და კირამაც თვალები მილულა.

– რა იყო, კირა?

კირას გაეღიმა, ძალის უკანასკნელ მონარჩენებს ტუჩებში მოუყარა თავი, თვითონაც შემოხვია მკლავები ლეოს და კისერთან, ლავიწის ღრმულში აკოცა. მერე ხელები მოუდუნდა, ცალი ჩამოუცურდა კიდეც – უღონოდ გადმოეკიდა საწოლიდან. თავს აიძულა და თვა-

ლები გაახილა. უყვარდა ეს კაცი, უნდოდა – კინაღამ ხმამაღლა იყვირა კიდეც. თუმცა ახლა, როცა ლეოს ტანს უკოცნიდა, მაინც იმაზე ფიქრობდა, როგორ შეაფასეს მისი მოხსენება, ფიქრით სულ ტინასა და ტყავისქურთუკიან ქალს უტრიალებდა, შტატების სავარაუდო შემცირებას და უცებ, შესძულდა კიდეც კაცის რბილი, ჟინიანი ტუჩები, რადგან მის არსებაში, ან იქნებ მის ირგვლივ დახშულ სივრცეში, ყველაფერი მეტისმეტად უღირსად მოეჩვენა ლეოსთან შედარებით... თუმცა, ცოტა ხანს კიდევ მოახერხა ფხიზლად დარჩენილიყო, სხეულიც ისე გაუხევდა, როგორც საწამებლად გაყვანილ პატიმარს და მთელი მისი წარმოდგენა სიყვარულის თაობაზე, ერთ გამთანგავ სურვილად ექცა – როგორმე ეს ყველაფერი დროზე დასრულებულიყო.

* * *

შუაღამე გადავიდა და კირამ არ იცოდა, ეძინა თუ ეღვიძა. ბალიშზე თავმიდებული ლეო მშფოთვარედ სუნთქავდა, შუბლი ცივი ოფლით დაცვაროდა. დაბინდულ გონებაში კირას მხოლოდ ერთადერთი რამ ამოუტივტივდა: წინსაფარი, რომელიც დასვროდა, დალაქვოდა და ვერაფრით დაუშვებდა, დილით რომ ამგვარი წინსაფრით გამოცხადებოდა ქმარს.

საწოლიდან ფრთხილად წამოდგა და ღამის პერანგზე პალტო შემოისხა. ძალიან ციოდა, თან ისეთი დაღლილი იყო, ჩაცმის თავიც კი არ ჰქონდა. სააბაზანოს იატაკზე ცივი წყლით სავსე ტაშტი დადგა, ჩაიმუხლა და წინსაფრის რეცხვა დაიწყო. საპნიანი სითხე მჟავასავით უწვავდა ხელებს.“

დაბეჯითებით ვერც გეტყოდათ, მართლა ეღვიძა თუ არა, ოღონდ არც ამას აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ ის იცოდა, რომ ქონის დიდი, ყვითელი ლაქა არაფრით ამოდიოდა და ამიტომ, ჯიუტად ებრძოდა, ჭმუჭნიდა, ხეხავდა მძაფრსუნიანი, ყვითელი საპნის ნაჭ-

რით, საკუთარი ფრჩხილებით... საპნის ქაფი ედო პალტოს ბეწვმოვ-ლებულ სახელოებზე, ქაფიანი გუბე იდგა იატაკზეც. გამალებული სუნთქავდა, მკერდით ტაშტის კიდეს დაბჯენილი; თმა ჩამოშლოდა, ქაფში ევლებოდა; სააბაზანოს გამოღებული კარის ღრიჭოდან დი-დი, შეჭირხლული ფანჯრის შუშა მოჩანდა. უკვე თითის სახსრებიც სტეხდა, კანიც აექერცლა. საძინებელი ოთახის კარსიქით მარიშას-თან ვიღაც „ჯონ გრეის" უკრავდა, ოღონდ უმოწყალოდ კი აყალბებ-და. კირას თვალები ეწვოდა, უფრო და უფრო უმატებდა ტკივილი სახსრებში, მუხლებში, ზურგში. წითლად ავარვარებული ხელები ყა-ვისფერი და ქონიანი ქაფით ჰქონდა მოთხვრილი.

* * *

რამდენიმე თვე აგროვებდნენ ფულს და ერთ კვირა საღამოს, ბი-ლეთები იყიდეს ოპერეტად გადაკეთებულ „ბაიადერაზე". როგორც აფიშა იუწყებოდა, ამ დადგმას დიდი აღფრთოვანება გამოეწვია ვე-ნაში, ბერლინსა და პარიზში.

ეკლესიაში წირვაზე მისულებივით ისხდნენ, გაყუჩებულები, რა-ღაცნაირი მოწიწებით შესცქეროდნენ სცენას. კირას ნაცრისფერი, აბრეშუმის კაბა ეცვა და ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა. ლეო ცდილობდა ხველება შეეკავებინა. სულგანაბულნი უსმენდნენ იქიდან, უცხოეთიდან ჩამოტანილ ამ გიჟმაჟ წარმოდგენას.

არადა, სცენაზე მხიარული უაზრობა ტრიალებდა: თითქოს ამ თოვლისა და წითელი დროშების მიღმიდან, საზღვარსაქედან იმ სხვა, უცხო სამყაროს გულისგულში იმზირებოდნენ. ყველაფერი ფე-რადოვნად კაშკაშებდა, ბრწყინავდა ბროლის ჭიქები, სცენაზე ნამ-დვილი უცხოური ბარიც გაემართათ, დაბურული შუშის თაღოვანი შესასვლელით, რომელშიც ნამდვილი, უცხოური, მწვანეშუქიანი ლიფტი ზემოთ მიემართებოდა ყოველ ჯერზე, როცა კი შიგ ვიღაც შევიდოდა ხოლმე; ქალებს იმ ქვეყნებში გაბატონებული მოდის კვა-ლობაზე ეცვათ, სადაც მოდა ჯერ კიდევ არსებობდა, ხალხი უცნაურ,

მეტად სალაღობო ცეკვას, სახელად „შიმის“ ცეკვავდა; მომღერალი ქალი კი არ მღეროდა, უფრო ყეფდა სიმღერის სიტყვებს, ხან კი სულაც ჩახრინწულ კვნესაზე გადადიოდა, მუსიკაც თავისას მიერეკებოდა, ხარხარებდა, ყურს ჭრიდა, მთვრალივით გამომწვევად ხმიანობდა, სმენას აფორიაქებდა და თავაწყვეტილი მხიარულებისთვის განგაწყობდათ – ზუსტად ისე, როგორც „დამსხვრეული ჭიქის“ ის სიმღერა, იმ ცხოვრების შესაძლებლობას რომ გპირდებოდა, რომელიც ნამდვილად არსებობდა სადღაც, შეუძლებელია არ არსებულიყო!

დარბაზი იცინოდა, ტაშს უკრავდა და ისევ იცინოდა. როცა საბოლოოდ დაეშვა ფარდა და შუქიც აინთო, გასასვლელებისკენ დაძრულმა მომღიმარმა ხალხმა, თავისდაგასაოცრად, ერთი ვინმე ნაცრისფერკაბიანი ქალი შეამჩნია, რომელიც მარტოდმარტო იჯდა დარბაზში, სახე ხელებში ჩაემალა და გულამოსკვნილი ქვითინებდა.

XVI

ამაზე ჯერ ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, ლამის ჩურჩულით.

სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ბნელ კუთხეებში, აღელვებულები გადააქნევდნენ ხოლმე თავს ყოველი ახლადმოსულისკენ და მათ ჩურჩულში მკაფიოდ, ყველაზე ხშირად, ეს ერთადერთი სიტყვა მოისმოდა:

„წმენდა“.

კოოპერატივებთან თუ ტრამვაის გაჩერებებზე დამდგარ რიგშიც, ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: „წმენდის თაობაზე თუ გაიგეთ რამე? “

გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზეც გამოჩნდა მინიშნებები იმის თაობაზე, რომ წითელი უმაღლესი სასწავლებლები სავალალო მდგომარეობაშია და წმენდაც გარდაუვალიაო.

– მერე კი, ზამთრის სემესტრის ბოლოს, ტექნოლოგიურ ინსტიტუტშიც, უნივერსიტეტშიც და საერთოდ, ყველა უმაღლეს სასწავლებელში დიდრონი აბრები გამოაკრეს, რომლებზეც წითელი ფანქრით, ვეება ასოებით ეწერა:

„წმენდა“

თითოეული სტუდენტისთვის სავალდებულო გახდა დეკანატში მისვლა, საგანგებო ანკეტის აღება, იმის ზუსტად შევსება, სახლმმართველისაგან პასუხების სისწორის დადასტურება და მერე მისი ისევ ე. წ. „წმენდის კომიტეტში“ ჩაბარება. მოკლედ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სასწავლებლები საჩქაროდ უნდა გაეწმინდათ სოციალურად არასასურველი ელემენტებისაგან, ისინი კი, ვისაც სოციალურად არასასურველებად მიიჩნევდნენ, ულაპარაკოდ ირიცხებოდნენ და სწავლის სადმე სხვაგან გაგრძელებაც ეკრძალებოდათ.

ქვეყნის ყველა გაზეთი საყვირივით გაჰყვიროდა ერთსა და იმავეს: „მეცნიერება კლასობრივი ბრძოლის იარაღია! პროლეტარული სასწავლებლები პროლეტარიატს უნდა ეკუთვნოდეს! კლასობრივი მტრებისათვის განათლების მიცემა დანაშაულია! “

თუმცა, მავანნი ფრთხილობდნენ და ცდილობდნენ კიდეც, საყვირების ხმას საზღვარგარეთაც არ მოეჭრა ვინმესთვის ყური.

კირას ანკეტა ინსტიტუტში მისცეს, ლეოს კი – უნივერსიტეტში. უხმოდ უსხდნენ სასადილო მაგიდას და კითხვარს ავსებდნენ. იმ საღამოს, ვახშმისთვის ვერც მოიცალეს. როცა ბოლოს, ორივემ მოაწერა ხელი ანკეტას, ეჭვიც არ ეპარებოდათ, ამით ჩვენს მომავალს გამოვუტანეთ სასიკვდილო განაჩენიო. მაგრამ ხმამაღლა არცერთს არაფერი უთქვამს და ერთმანეთისთვის თვალის არიდებასაც ყოველნაირად ცდილობდნენ.

ძირითადი შეკითხვების ჩამონათვალი ამგვარად გამოიყურებოდა: ვინ იყვნენ თქვენი მშობლები? რას საქმიანობდა მამათქვენი

1917 წლამდე? რას საქმიანობდა მამათქვენი 1917-დან 1921 წლამდე?

რას საქმიანობს მამათქვენი ამჟამად? რას საქმიანობს დედათქვენი? თქვენ რას აკეთებდით სამოქალაქო ომის დროს? რას აკეთებდა მამათქვენი სამოქალაქო ომის დროს? ხართ თუ არა პროფკავშირის წევრი? ხართ თუ არა საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი?

არასწორი პასუხის გაცემის მცდელობაც კი იმთავითვე განწირული გახლდათ: მათ სიზუსტეს ხსენებული კომიტეტიც ამოწმებდა და ცალკე გე-პე-უ-ც. ტყუილის ჩაწერა ანკეტაში დაპატიმრებით, ციხით და ზოგ შემთხვევაში, სასჯელის უმაღლესი ზომითაც კი ისჯებოდა.

კირამ კომიტეტის ერთ-ერთ წევრს, ხელის კანკალით გაუწოდა შევსებული ფურცელი რომელშიც სხვა კითხვა-პასუხებთან ერთად, ესეც ეწერა:

– რას საქმიანობდა მამათქვენი 1917 წლამდე?

– არგუნოვის ტექსტილის ფაბრიკის მეპატრონე იყო.

ფიქრსაც კი ვერავინ ბედავდა იმაზე, რა ელოდათ გარიცხულებს. ამიტომ, ამაზე ლაპარაკსაც ერიდებოდნენ. ანკეტების ჩაბარების შემდეგ, სტუდენტები ჩუმად, მავთულის სადენებივით ერთიანად დაჭიმულები ელოდებოდნენ კომიტეტში გამოძახებას. უმაღლესი სასწავლებლების გრძელ დერეფნებში აღელვებული სტუდენტები მიდი-მოდიოდნენ, ან მოუსვენარ ჯგუფებად იდგნენ აქა-იქ და ყველანი იმაზე ჩურჩულებდნენ, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრებოდა ამა თუ იმ მათგანის „სოციალურ წარმომავლობას“: თუკი „ბურჟუების შთამომავალი“ იყავი, იმთავითვე წასული იყო შენი საქმე – გინდაც შეძლებული მშობლები გყოლოდა ოდესღაც, მაგრამ ახლა შიმშილით გიხმებოდა კუჭი, მაინც „კლასობრივ მტრად“ მიიჩნეოდი და თუ შეგეძლო, უნდა გეცადა და შენი უკვდავი სულის ფასად გემტკიცებინა – წარმომავლობა „დაზგიდან თუ გუთნიდან“ მეწ-

ყებაო. ასეთ დერეფნებში ნელ-ნელა მომრავლდა ტყავისქურთუკიანთა თუ წითელხილაბანდიანთა რაოდენობა და იატაკებზე მზესუმზირის ჩენჩომაც აშკარად იმატა. გაჩნდა ახლებური ხუმრობებიც: „ჩემი მშობლები ვინ იყვნენ? ერთი გლეხი ქალი და ორიც მუშა კაცი“.

ამასობაში, ისევ დადგა გაზაფხული. ქუჩებში ჭუჭყიანი თოვლი დნებოდა, ქუჩის კუთხეებში კი უკვე ლურჯ ყოჩივარდებს ყიდდნენ. ოღონდ ახალგაზრდებს გაზაფხულისთვის არ სცხელოდათ, ხოლო იმათ, ვინც გაზაფხულის მოახლოებით ხარობდნენ, უკვე აღარც ახალგაზრდები ეთქმოდათ.

კირა არგუნოვა თავაწეული იდგა ტექნოლოგიური ინსტიტუტის „წმენდის კომიტეტის“ წინაშე. მაგიდას კომიტეტის უცნობ წევრებთან ერთად, მისი სამი ნაცნობიც უჯდა: ამხანაგი სონია, პაველ სეროვი და ანდრეი ტაგანოვი..

შეკითხვებს ძირითადად, პაველ სეროვი უსვამდა. წინ კირას ხელით შევსებული კითხვარი ედო.

– ამხანაგო არგუნოვა, ესე იგი, მამათქვენი ფაბრიკის მეპატრონე იყო?

– დიახ.

– გასაგებია. დედა? ის თუ მსახურობდა რევოლუციამდე? – არა.

– გასაგებია. და სახლში მოსამსახურეები თუ გყავდათ? – დიახ.

– გასაგებია. მერე ამხანაგი სონიაც ჩაერთო: – პროფკავშირში არ გაწევრიანებულხართ, არა? სურვილიც არ გაგჩენიათ?

– შესაძლებლობა არ მომცემია.

– გასაგებია.

ანდრეი ტაგანოვი უხმოდ ისმენდა ამ კითხვა-პასუხს, სახეგაქვავებული. ცივი, უძრავი, არაფრისმთქმელი თვალებით შესცქეროდა კირას, თითქოს ადრე არც უნახავსო. უცებ კირას ძალიან შეეცოდა ეს კაცი – სწორედ იმისთვის, რასაც ეს უძრავი მზერა მალავდა, თუმცა კი არაფერზე ეტყობოდა, რამეს თუ მალავდა საერთოდ.

მაგრამ როცა მოულოდნელად, მანაც დაუსვა შეკითხვა, მკაცრი

ხმისა და გამოცარიელებული თვალების მიუხედავად, მისი ხმა მაინც ვედრებასავით გაისმა:

– თუმცა თქვენ ყოველთვის მტკიცედ თანაუგრძნობდით საბჭოთა ხელისუფლებას – ასე არაა, ამხანაგო არგუნოვა?

– დიახ...

– ძალიან ჩუმად მიუგო კირამ.

* * *

გვიან ღამით, ნავთის სანათით განათებულ, რაღაც ფურცლებით, განცხადებებითა და საბუთებით მოფენილ მაგიდას კომიტეტის წევრები მისხდომოდნენ სათათბიროდ.

– პროლეტარიატის მთავარი სისხლისმსმელები სწორედ ფაბრიკაქარხნების მეპატრონეები იყვნენ.

– მემამულეებზე უარესი.

– მაგათზე სახიფათო კლასობრივი მტერი არც არსებობს.

– ჩვენ უდიდეს სამსახურს ვუწევთ რევოლუციის საქმეს და ჩვენი მოვალეობა პიროვნული გრძნობებისაგან თავისუფალი უნდა დარჩეს.

– მოსკოვიდანაც მივიღეთ ბრძანება, ყოფილი ფაბრიკანტების შვილები პირველ რიგში უნდა გაირიცხონ!

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ანდრეი ტაგანოვს გახედა. ცდილობდა, თითოეული ნათქვამი სიტყვა აეწონა:

– ფიქრობთ, რომ ამ წესიდან გამონაკლისი უნდა დავუშვათ, ამხანაგო ტაგანოვ?

ანდრეი ზურგსუკან ხელებდაკრეფილი იდგა ფანჯარასთან.

– არა, – თქვა პასუხად.

* * *

გარიცხულთა მანქანაზე დაბეჭდილი გრძელი სია ტექნოლოგიური ინსტიტუტის დეკანატში გამოაკრეს დაფაზე.

კირას დიდი იმედი არ ჰქონია, მაგრამ როცა სიაში საკუთარი გვარსახელი ამოიკითხა – არგუნოვა, კირა – უნებურად თვალები დახუჭა, მაშინვე გაახილა და უფრო დაჟინებით მიაცქერდა ფურცელს, რამე ხომ არ მომეჩვენაო.

მერეღა შეამჩნია, პორტფელი გახსნოდა; მაშინვე ფრთხილად ჩაკეტა. მერე გარღვეულ თათმანზე დაიხედა და თითი გამოყო – აბა ერთი, რამდენზე გამოეტევაო; გამორღვეული ძაფი თითზე დაიხვია და ახლა იმას უცქერდა, ისევ როგორ იშლებოდა თავისით.

უცებ, ვიღაცის მზერა იგრძნო. თავი მიაბრუნა. ფანჯარასთან ანდრეი იდგა და მას უყურებდა, თუმცა არც ნაბიჯი არ გადმოუდგამს, არც სიტყვა დასცდენია და თავიც კი არ დაუქნევია მისალმების ნიშნად. კირამ იცოდა, რისიც ეშინოდა ანდრეის, ან რისი იმედი ჰქონდა. ამიტომ თვითონვე მიუახლოვდა, ახედა, ხელიც გაუწოდა ზუსტად ისევე, მიმნდობად გაღიმებულმა, როგორც ეს ადრეც სჩვეოდა ხოლმე, ოღონდ ახლა ოდნავ უცახცახებდა ტუჩები.

– თავს ნუ იდანაშაულებ, ანდრეი. ვიცი რომ მაინც ვერაფერს გახდებოდი.

მადლიერებას არ ელოდა, ნატანჯი მადლობის გაგონებას, როცა კაცმაც ამოიღო ხმა:

– ნეტა შემეძლოს, მე ვიყო შენს ადგილას...

– ეგ არაფერი... ეტყობა, მშენებელი აღარ გამოვა ჩემგან. როგორც ჩანს, ალუმინის ხიდებს ვეღარ ავაგებ.

კირამ ნაძალადევად გაიცინა.

– არა უშავს, მაინც ყველა იმას მეუბნებოდა, ალუმინისაგან ხიდის აშენება შეუძლებელიაო...

შეამჩნია, ანდრეის მასზე კიდევ უფრო მეტად უჭირდა გაღიმება.

– და კიდევ იცი რას გეტყვი, ანდრეი? – უთხრა ჩუმად. დარწმუნებული იყო, კაცი თვითონ ვერ გაბედავდა იგივეს თქმას.

– მე მგონი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით... ასე არაა?

ანდრეიმ ორივე ხელით ჩაბღუჯა მისი ხელი.

– რა თქმა უნდა არა, კირა... თუკი...

– არავითარი თუკი არ ვიცი. არ ნიშნავს და მორჩა! შენი მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩამაწერინე, დაგირეკავ. აბა აქ ხომ ვეღარ შევხვდებით უკვე... რა უცნაური ამბავია, ამდენი ხნის მეგობრები ვართ და შენი მისამართიც კი არ ვიცი. ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო, გამიგია. ვინ იცის, ეგებ ახლა კიდევ უკეთეს მეგობრებად ვიქცეთ.

* * *

სახლში რომ დაბრუნდა, ლეო ლოგინზე გაშხლართული დაუხვდა. არც მის დანახვაზე წამომდგარა, მხოლოდ ერთი გამოხედა და სიცილი აუტყდა. ხრინწიანად, გაბმულად, უგულოდ იცინოდა.

კირა გაუნძრევლად იდგა და თვალს არ აშორებდა.

– გამოგაბუნძულეს? – ჰკითხა ლეომ. თმა შუბლზე ჩამოშლოდა და როცა იდაყვზე სცადა დაყრდნობა, ხელი აუკანკალდა.

– უთქმელადაც ცხადია, უეჭველად გამოგაგდებდნენ. ძაღლივით. მეც გამომაგდეს, და ახლა ორი გაგდებული ძაღლი ვართ სახლში... გილოცავთ, კირა ალექსანდროვნა! მიიღეთ ჩემი მხურვალე, პროლეტარული მილოცვა.

– ლეო! შენ რა, დალიე?!

– აბა! ხომ უნდა აღმენიშნა?! ყველამ დავლიეთ... მთელმა უნივერსიტეტმა. პროლეტარიატის დიქტატურის სადღეგრძელო შევსვით და თან – არაერთხელ... ეგრე ნუ მიყურებ, ძველი ჩვენებური წესია – დაბადების დღეზე, ქორწილში, ანდა ქელეხში დათრობა... მე და შენ ერთმანეთის დაბადებას არ მოვსწრებივართ, ამხანაგო არგუნოვა, ქორწილიც არ გადაგვიხდია... თუმცა, წინ რა უდგას – ეგებ ერთმანეთის... კირა...

ის კი უკვე საწოლთან იდგა მუხლებზე, მკერდში იხუტებდა მის

გადაფითრებულ სახეს, რომელსაც ჭრილობასავით აჩნდა მორღვეული პირი, გაოფლილ თმას უჩეჩავდა შუბლზე და ეჩურჩულებოდა:

– ლეო... უსაყვარლესო... ეგ არ უნდა გექნა... ახლა მაგის დრო არ არის... სწორედ ახლა გმართებს სიფხიზლე...

– თვითონაც არ იცოდა, რას ელუღლუღებოდა.

– არაფერია საშიში, სანამ ფარ-ხმალს არ დავყრით. თავს უნდა მიხედო, ლეო. თავს უნდა გაუფრთხილდე...

– რისთვის? – მიახალა იმან.

* * *

კირა და ვასილი ივანოვიჩი ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს, სრულიად შემთხვევით. ძალიან გაუჭირდა სახეზე არ შეტყობოდა, როგორ ეუცხოვა ეს კაცი. მარია პეტროვნას გარდაცვალების შემდეგ, ბიძამისი მხოლოდ ერთხელ ნახა, მაგრამ მაშინ ის ჯერ კიდევ არ გამოიყურებოდა ასე ცუდად. სიარულითაც მიხრწნილი ბებერივით მიაბიჯებდა და ერთ დროს დაწმენდილი, ამაყი მზერა აქეთ-იქით დაურბოდა; ნებისმიერ გამვლელს ეჭვით, ზიზღითა და თან დარცხვენილი აყოლებდა თვალს. ადრე ღონიერ, ახლა კი ერთიანად დანაოჭებულ ხელებსაც უაზროდ, გაუბედავად აფათურებდა, დედაბერივით. ტუჩის კუთხეებიდან ნიკაპამდე, ორი ღრმა ღარი დამჩნეოდა – იმ ტანჯვის კვალი, რომლის შემჩნევაც კაცს დამნაშავედ აგრძნობინებს ხოლმე თავს.

– კირა, როგორ მიხარია შენი დანახვა! – ბუტბუტებდა და მისი სიტყვები უმწეოდ იფრქვეოდა ჰაერში.

– ჩვენთან რატომ აღარ მოდიხარ? მთლად გამოყრუვდა იქაურობა! თუ... გაიგე რამე და მაგიტომ იკავებ თავს?

კირას ისეთი არაფერი ჰქონდა გაგონილი, ოღონდ კაცის კილომ მიახვედრა – ჯობია არც ვკითხოო. ამიტომაც, ძალიან გულთბილად გაუღიმა და ესღა უთხრა:

– რას ამბობ, ძია ვასილი! სულ ვაპირებდი მოვსულიყავი... უბრალოდ, ბევრი საქმე დამიგროვდა ერთბაშად. სწორედ დღეს მოვრჩი... საღამოს რომ შემოგიაროთ, შეიძლება?

ირინასა და ვიქტორის ამბავი არ უკითხავს, თუმცა კი ეჭვობდა, ისინიც ხომ არ გამოერიცხათ უმაღლესიდან. ახლა ადამიანები ისე გაფაციცებით იყურებოდნენ ირგვლივ, როგორც მიწისძვრის შემდეგ – მსხვერპლს ითვლიდნენ და ზედმეტი შეკითხვების დასმის ეშინოდათ.

საღამოხანს მართლაც ესტუმრა დუნაევებს. ლეოს სიცხე ჰქონდა და სულ ძალისძალად ჩააწვინა ლოგინში. ყვრიმალები წითლად უვარვარებდა. სასთუმალთან გაგრილებული ჩაი დაუტოვა და დაპირდა, მალევე დავბრუნდებიო.

ვასილი ივანოვიჩი უსუფრო, უთალფაქო სანათურით განათებულ მაგიდას უჯდა და ჩეხოვის ძველი გამოცემის ტომს კითხულობდა. თმადაუვარცხნელი ირინა რაღაც უაზრობებს ხატავდა თაბახის დიდ ფურცელზე; ბნელ კუთხეში მიმდგარ სავარძელში მოკუნტულ ასიას ჩაცმულს ჩასძინებოდა. ჟანგმოდებული „ბურჟუიკა“ უმოწყალოდ ხრჩოლავდა.

– ალო! – მისალმების ნიშნად წამოიძახა ირინამ და ტუჩები უცნაურად მოეჯღანა – ამგვარი ღიმილი მის სახეზე ჯერ არასოდეს დაენახა კირას.

– ჩაის დალევ? ცხელ ჩაის. ოღონდ... სახარინი სულ აღარ დაგვრჩა.

– არა, გმადლობ, ძია ვასილი... სწორედ ეს-ესაა ვივახშმე.

– აბა? – კირას მიაჩერდა ირინა.

– არაფერს იტყვი? გაგრიცხეს? კირამ უხმოდ დაუქნია თავი.

– ლეოც? კირამ ამჯერადაც უხმო თავის დაქნევით დაუდასტურა.

– შენ რატომ არ მეკითხები? კარგი, მე თვითონ გეტყვი: რა თქმა უნდა, მეც გამომაგდეს. აბა რა იქნებოდა? თავის დროზე, მამაჩემი ბეწვეულით ამარაგებდა მეფის სასახლეს...

– და ვიქტორი?

ირინამ და ვასილი ივანოვიჩმა რაღაც უცნაურად გადახედეს ერთმანეთს.

– არა, ვიქტორი არ გაურიცხავთ, – ჩაილაპარაკა ირინამ.

– ეგ კი ძალიან გამიხარდა! კარგია არა, ძია ვასილი? – იცოდა, ყველაზე მეტად რა გაუმაგრებდა გულს ბიძამისს.

– ვიქტორი ძალიან ნიჭიერია. კარგია, მომავალი რომ არ დაუნგრიეს.

– კი, ეგრეა...

– მოღლილი, რაღაცნაირად გაბზარული ხმით მიუგო ვასილი ივანოვიჩმა.

– იშვიათი ნიჭითაა გამორჩეული...

– თეთრი, მაქმანებიანი კაბა ეცვა! – უცებ, გიჟურად ალაპარაკდა ირინა.

– და ხმაც მართლა დიდებული ჰქონდა, არ გატყუებ. მართლა-მართლა! რა გაიკვირვე – „ტრავიატას" ახალ დადგმაზე გელაპარაკები! შენც ნახავდი ალბათ... თუ არადა, აუცილებლად უნდა ნახო – ძველი კლასიკა მაინც... კლასიკაა.

– ასეა, – დაეთანხმა ვასილი ივანოვიჩი.

– ძველ კლასიკას ჯერაც ვერაფერი შეედრება... ადრე კულტურაც არსებობდა, ზნეობრივი ღირებულებებიც და კიდევ... ერთმანეთის გატანა.

– მართალს ბრძანებთ...

– ახლაღა შეცბა და აღელდა კირა.

– „ტრავიატა" უთუოდ უნდა ვნახო...

– ბოლო მოქმედებაში, – არ ცხრებოდა ირინა.

– ბოლო მოქმედებაში ის ქალი... ფუი!

სახატავი დაფა ხმაურით დაანარცხა იატაკს. ასიას გაეღვიძა, წამოჯდა და ნამძინარევი თვალები ააფახულა.

– ადრე თუ გვიან მაინც გაიგებ... მოკლედ, ვიქტორი პარტიაში

შევიდა!

კირას ცოტა ხნის წინ ბიძისთვის გამორთმეული წიგნი ხელიდან გაუვარდა.

– რა-ა?! – პარტიაში შევიდა-მეთქი! საკავშირო კომუნისტურ პარტიაში.

წითელი სამკერდე ნიშანი მისცეს, პარტბილეთი, პურის წიგნაკი და ახლა ხელებიც უკვე დაღვრილი და მომავალში ჯერ კიდევ დასაღვრელი სისხლით აქვს იდაყვებამდე მოთხვრილი!

– კი მაგრამ... როგორ მიიღეს?

კირას ვასილი ივანოვიჩისაკენ გახედვისაც კი ეშინოდა – იცოდა, არც ერთი ზედმეტი კითხვა არ უნდა დაესვა ისეთი, რაც ჭრილობაზე მარილის მოყრის ტოლფასი იქნებოდა.

– ეტყობა, დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა ამ ყველაფერს... მეგობრებსაც ფრთხილად და ანგარიშით ირჩევდა. თურმე რამდენიმე თვე პარტიის წევრობის კანდიდატი იყო, ჩვენ კი ამის თაობაზე არც არაფერი ვიცოდით... ბოლოს, მიიღეს კიდეც. ვიღაც მფარველებიც გამოუჩნდნენ და ზედმეტი გამოძიება აღარავის დაუწყია. თურმე ნუ იტყვი – მთელი ცხოვრება პროლეტარული სულისკვეთებით ყოფილა გამსჭვალული! არადა, მამამისი მეფეს ამარაგებდა ბეწვეულით...

– ის თუ იცოდა, წმენდა რომ მზადდებოდა?

– კარგი ერთი, ნუ სულელობ რაღაცას! ან მაგას რა მნიშვნელობა აქვს – ეგ უფრო შორს უმიზნებს, ვიდრე ინსტიტუტში ადგილის შენარჩუნებაა... შენ მართალი თქვი, ჩემი ძმა მართლა ნიჭიერი ყმაწვილია – კიბეზე ასვლა თუ გადაწყვიტა, იმასაც ზუსტად გათვლის, ფეხი სად დააბიჯოს!

– კეთილი...

– გაღიმება სცადა კირამ. ვასილი ივანოვიჩისაკენ არც ახლა გაუხედავს, თუმცა რაც თქვა, მაინც მის გასაგონად იყო ნათქვამი: – ეს ვიქტორის პირადი საქმეა... იცის ალბათ, რასაც აკეთებს. ისევ აქ

ცხოვრობს?

– ჩემი ნება რომ იყოს...

– დროზე დააჭირა ენას კბილი ირინამ.

– კი, ის ღორი ჯერაც აქ ბრძანდება.

– ირინა...

– გულსგარეთ შეუწყრა ვასილი ივანოვიჩი.

– მაინც ძმაა შენი.

კირამ თემა შეცვალა, თუმცა საუბრის გაგრძელება იოლი არ აღმოჩნდა. ნახევარ საათში, ვიქტორიც მოვიდა. სახეზე თვითკმაყოფილი გამომეტყველება ედო, პიჯაკზე კი ამაყად დაებნია პარტიის წევრობის წითელი სამკერდე ნიშანი.

– გავიგე, სამაგალითო კომუნისტი გამხდარხარ, – უთხრა კირამ.

– საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრობის ღირსად ჩამთვალეს, – მიუგო ვიქტორმა.

– და ჩემი თანდასწრებით, პარტიაზე აგდებული სიტყვა აღარ გავიგო!

– კი ბატონო, გასაგებია.

– თქვა კირამ.

თუმცა, გამომშვიდობებისას, ვიქტორის გამოწვდილი ხელი ვითომ არც კი შეუმჩნევია.

კარებამდე მხოლოდ ირინამ მიაცილა და სხაპასხუპით ჩასჩურჩულა:

– თავიდან მეგონა, მამა კინწისკვრით გააგდებდა, მაგრამ... დედის სიკვდილის მერე... თან ხომ იცი, ვიქტორზე ყოველთვის მზე და მთვარე ამოსდიოდა... ახლაც ჰგონია, ჭკუაზე მოვაო. მე კი მეშინია, მამაჩემს ამ ამბავმა სულ არ მოუღოს ბოლო... კირა, თუ ღმერთი გწამს, ხშირხშირად გამოგვიარე ხოლმე. ხომ იცი, როგორ უყვარხარ.

* * *

რაკიღა მომავალი არ ჩანდა, აწმყოს ჩაებღაუჭნენ.

ხშირად გამოერეოდა ხოლმე ისეთი დღეები, როცა ლეო საათობით კითხულობდა რამე წიგნს, თითქმის არც ესაუბრებოდა კირას, ხოლო თუ მაინც დაელაპარაკებოდა, სახეზე მუდამ ისეთი მწარე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს საკუთარი თავიც ეზიზღებოდა, მთელი სამყაროცა და მარადისობაც...

ერთხელ შინ დაბრუნებულ კირას ისევ მთვრალი დაუხვდა. მაგიდაზე გადამხობილიყო და გაშტერებული მიჩერებოდა გატეხილი ჭიქის ნამსხვრევს იატაკზე.

– ლეო! სასმელი სად იშოვე?

– ვისესხე. ჩვენს მეზობელ ამხანაგ მარიშას გამოვართვი. მაგას ულევი მარაგი აქვს.

– და რა საჭირო იყო? – ვითომ რატო არ იყო? ან ვისი რა საქმეა, მე დავლევ თუ არა?

მაგრამ ისეთი დღეებიც დგებოდა, როცა უცებ ახლებურად ეწმინდებოდა დაბინდული მზერა და ღიმილითაც სულ სხვაგვარად იღიმოდა ხოლმე. მოუთმენლად ელოდა, როდის დაბრუნდებოდა კირა სამსახურიდან და დანახვისთანავე, გულში იხუტებდა. შეეძლოთ მთელი საღამო უხმოდ მსხდარიყვნენ გვერდიგვერდ. მხოლოდ ასე ერთად ყოფნა, ერთმანეთის ცქერა, ერთმანეთისთვის ხელის ჩაკიდება იყო საკმარისი, საოცარი სიმშვიდე დაუფლებოდათ და არა მარტო ხვალინდელ, ყველა მომდევნო დილაზე ფიქრიც დაევიწყებინათ.

ასეთ დროს, ხანდახან ხელიხელგაყრილებიც დასეირნობდნენ დადუმებულ, გაზაფხულის თეთრი ღამეების შუქით განათებულ ქუჩებში. ცა მქრქალ შუშასავით ციმციმებდა, სადღაც მიღმიდან წამოსული, უმზეო სინათლით განათებული. ხარბად შესცქეროდნენ ერთმანეთსაც და გაყუჩებულ, რძისფერ ნისლში გახვეულ, ძილგამკრთალ ქალაქსაც. ლეო ტანზე მაგრად მიიჭერდა ხოლმე მკლავით კირას მკლავს, როცა მარტონი რჩებოდნენ უსასრულოდ გრძელ, დაცარიელებულ ქუჩაში, დაიხრებოდა და ტუჩებში კოცნიდა.

კირა ფეხაურევლად მიაბიჯებდა. ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა ელოდა წინ, მაგრამ აქ, ამ ქუჩებში, იმგვარ რამესაც ხედავდა და გრძნობდა, რაც თავდაჯერებას მატებდა – ლეოს წელგამართულ, დაძაბულ სხეულს, მის გრძელ, თხელ ხელებს, მის ქედმაღლურად მომღიმარ ტუჩებს, რომლებსაც ყველა კითხვაზე შეეძლოთ პასუხის გაცემა. ზოგჯერ კი სულაც სინანულს გრძნობდა იმ ხალხის მიმართ, ვინც უთვალავ შეკითხვაზე ასე უაზროდ დაეძებდა პასუხს და ამ ძიებაში, სხვათა სიცოცხლეს ანადგურებდა – ეგებ, პირადად მისსასაც... ოღონდ დარწმუნებული იყო, მას მაინც ვერაფერი მოერეოდა, რადგან მთავარი პასუხი იცოდა და ამიტომ, ვერც მომავალი დააფრთხობდა და აურევდა თავგზას – მისი მომავალი ხომ ლეო იყო.

* * *

ოღონდ ლეოს კი დღითიდღე ეკარგებოდა ფერი და ბოლო დროს, ხშირად ხმასაც აღარ იღებდა. საფეთქლებზე მარმარილოს ძარღვებივით აჩნდა ლურჯი ვენები. ხველისაგან ლამის იღრჩობოდა; მართალია, რაღაც წამალს სვამდა, მაგრამ ეგ არ შველოდა, ექიმთან მისვლას კი ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა.

კირა ხშირად ხვდებოდა ანდრეის. ლეოს ჰკითხა კიდეც ერთხელ – ამის გამო გულს ხომ არ გეთანაღრებაო და იმანაც ასე მიუგო:

– სულაც არა, თუკი მხოლოდ მეგობრებად დარჩებით... ოღონდ არ გეწყინოს და, აქ ნუ მოიყვან. არა მგონია, მაგისთანებთან თავაზიანობის გამოჩენა მოვახერხო.

კირასაც არასოდეს მიუპატიჟებია შინ ანდრეი. კვირაობით, ტელეფონით ურეკავდა და მხიარულად მომღიმარი ჩასძახოდა ყურმილს: „ჩემი ნახვის სურვილი თუ გაქვს, ანდრეი? მაშინ, საზაფხულო ბაღის მთავარ შესასვლელთან შევხვდეთ, ორ საათზე...“

მერხზე სხდებოდნენ, სადაც მუხის ფოთლები უჩრდილავდნენ

მცხუნვარე მზეს და ფილოსოფიაზე საუბრობდნენ. კირას დროდადრო ეღიმებოდა, როცა გაიაზრებდა ხოლმე, რომ სწორედ ანდრეი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც საკუთარ საზრისზე ფიქრი და საუბარი შეეძლო.

– სიმართლე ითქვას, მათი ამგვარი შეხვედრების არანაირი მიზეზი არ არსებობდა და მაინც ხვდებოდნენ, მომდევნო შეხვედრის დღეზეც – თანხმდებოდნენ. კირას უცნაური სიმშვიდე ეუფლებოდა ამის გამო ანდრეი კი მის მოკლე, საზაფხულო კაბებზე იცინოდა და ეს სიცილიც ერთგვარად ახალისებდა.

ერთხელ, ანდრეიმ შესთავაზა – მოდი, კვირა დღე ქალაქგარეთ გავატაროთო. კირა მთელი ზაფხული არ გასულა პეტროგრადიდან ამიტომ უარის თქმა გაუჭირდა. მით უფრო, რომ იმ კვირას ლეოსაც გამოუჩნდა რაღაც სამუშაო: რომელიღაც ქუჩის განახლება წამოეწყოთ და ძველი ფიცარნაგი იყო ასაყრელი. ასე რომ, არც ლეოს დაუშლია კირასთვის წასვლა.

ზღვის გლუვი ზედაპირი მხეზე ლიცლიცებდა; ქარი პატარ-პატარა, სულ ერთი ზომის ტალღებად ერეკებოდა ნაპირზე ოქროსფერ ქვიშას. მაღალი, წითელი კელაპტრების მსგავს ფიჭვებს დაკრუნჩხული ფესვები ამოეყარათ ქვიშაში და ზღვაურიც ერთმანეთში ურევდა ჩამოცვენილ წიწვებსა და ცარიელ, ფუტურო ნიჟარებს.

კირა და ანდრეი ცურვაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს და ეს შეჯიბრი ქალმა მოიგო; ხოლო როცა ნაპირზე სირბილშიც მოსინჯეს ძალა – ფეხშიშველებმა გადაირბინეს ქვიშიანი ნაპირი და მათი ტერფებიდან ასხლეტილი ქვიშის ნამცეცები წყლის წვეთებივით ეყრებოდა მზეს მიფიცხებულ დამსვენებლებს, აქ უკვე ანდრეიმ გაიმარჯვა. მერე ერთად გარბოდნენ წყლის პირას, ქვიშაში, თავ-ფეხიანად ქვიშით მოთხვრილები და დაფეთებულმა მავანმა ქალბატონმა ყვირილიც კი მორთო – საგზლიანი კალათა არ გადამიყირავოთო! როგორც იქნა, მოეშვნენ ერთმანეთს, ჩამოსხდნენ და გულიანი სიცილი აუტყდათ,

ხოლო როცა ის ქალიც წამოიმართა, კალათას დასწვდა და ახალგაზრდობის უხამს ქცევაზე ბუზღუნ-ბუზღუნით გაეცალა იქაურობას, ლამის მთლად გადაბჟირდნენ სიცილისაგან.

ერთ პატარა, ჭუჭყიან, სოფლურ რესტორანში ისადილეს. კირამ ინგლისურად მიმართა მიმტანს, რომელმაც ცხადია, სიტყვა ვერ გაიგო, თუმცა მაინც მოწიწებით წელში მოხრილი იდგა და მთელი ტანით ცახცახებდა – ისე იყო მოწადინებული, სამაგალითოდ მომსახურებოდა ამ მიყრუებულ კუთხეში ჩამოსულ პირველ უცხოელ ამხანაგს. როცა უკვე მიდიოდნენ, ანდრეიმ თითქმის ერთი იმდენი დაუტოვა ფეხის ქირად და მიმტანიც წელში ოთხად მოიხარა – ეჭვიც აღარ ეპარებოდა, მართლა ნამდვილ უცხოელებთან რომ ჰქონდა საქმე. კირა ცოტა არ იყოს, გაოცებული ჩანდა და გარეთ რომ გამოვიდნენ, ანდრეის გაეცინა:

– რატომაც არა? კაცი გავახარე... ხელფასი იმდენი მაქვს, ხანდახან რაში დავხარჯო, ისიც კი არ ვიცი.

საღამოს, როცა მატარებელი ჩახუთული ქალაქისკენ მიიკვლევდა გზას, ანდრეიმ ჰკითხა:

– ახლა როდის გნახავ ისევ, კირა? – დაგირეკავ.

– არა, ახლა მითხარი.

– რამდენიმე დღეში.

– არა-მეთქი, ზუსტად უნდა ვიცოდე.

– კარგი, მაშინ ოთხშაბათი იყოს.

– მოსულა.

– სამსახურის მერე, ექვსის ნახევარზე. ისევ საზაფხულო ბაღთან.

– შევთანხმდით.

შინ რომ დაბრუნდა, ლეო სავარძელში მძინარე დაუხვდა. ხელები მიწით დასვროდა და ოფლიან, ალაპლაპებულ სახეზეც იმდენად დასდებოდა მტვერი, რომ შავი წარბებიც კი თეთრად მოუჩანდა. დაღლილ-დაქანცულს, მთელი სხეული მოღვენთოდა.

კირამ ხელ-პირი დააბანინა და ტანზე გახდაშიც მიეხმარა. ლეო

ხშირ-ხშირად ახველებდა.

– მომდევნო ორმა საღამომ გაუთავებელ, გაარჯლებულ კამათში ჩაიარა, თუმცა ბოლოს, ლეო მაინც დანებდა: კირას დაპირდა, ოთხშაბათს აუცილებლად მივალ ექიმთანო.

* * *

ვავა მილოვსკაიას ოთხშაბათ საღამოს ვიქტორთან პაემანი ჰქონდა დანიშნული, მაგრამ შუადღისას ვიქტორმა დაურეკა და აღელვებულმა მოუბოდიშა – ინსტიტუტში რაღაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და შენთან შეხვედრას ვეღარ მოვახერხებო. გადაუდებელმა საქმეებმა მანამდეც უკვე სამჯერ შეუშალა ხელი პაემანზე მისულიყო. ვავას ყურამდე რაღაც ჭორებმაც მიაღწია, ვიღაც გოგოს სახელიც უხსენეს და უკვე იცოდა, რისი ეჭვიც უნდა ჰქონოდა.

საღამოს მაინც საგულდაგულოდ გამოეწყო: საუკეთესო თეთრ ლაბადაზე ხელოვნური ტყავის შავი, განიერი ქამარი მჭიდროდ შემოიჭირა, ტუჩებზე ფრთხილად, ზომიერად წაიცხო ახალი უცხოური პომადა, მაჯაზე უცხოურივე, პლასტმასის სამაჯური მოირგო, შავად დაკულულებულ თმაზე დაუდევრად დაიკოსა თეთრი ქუდი და დედას უთხრა – კირა არგუნოვასთან მივდივარ სტუმრადო.

ოღონდ კირას ბინასთან მისული, ცოტა შეყოყმანდა და კარზეც ზარი გაუბედავად დარეკა.

კარი კირას მობინადრე კაცმა გაუღო.

– მოქალაქე არგუნოვა გნებათ? აქეთ მობრძანდით, ამხანაგო! – უთხრა ვავას.

– ოღონდ ჯერ მოქალაქე ლავროვას ოთახი უნდა გაიაროთ... აი, ეს კარებია.

ვავამ დაუკაკუნებლად შეაღო კარი.

მართლაც იქ იყვნენ, ერთად. მარიშა და ვიქტორი. გრამოფონთან ისხდნენ და „მოსკოვის ხანძარს“ უსმენდნენ.

ვიქტორს შეკავებული ბრაზისაგან სახე გვერდზე მოექცა, თუმცა

ვავას მისთვის ზედაც არ შეუხედავს – ყელი მოიღერა და რაც შეეძ-ლო ამაყად, რაც შეეძლო ქედმაღლურად, თუმცა მოწოლილი ცრემ-ლისაგან მაინც ხმაგაბზარულმა მიახალა მარიშას:

– ბოდიშს გიხდით, მოქალაქევ! მე მხოლოდ კირა არგუნოვასთან ვარ სტუმრად.

გაოცებულმა მარიშამ, რომელიც ცხადია, ვერაფერს ხვდებოდა, ცერა თითი მიუშვირა კირას კარს. ისევ ისე, ამაყად თავაწეულმა ვა-ვამ ოთახი გადაჭრა. მარიშა ვერც იმას მიხვდა, რატომ გაეცალა იქაურობას ვიქტორი ასე ფაცხა-ფუცხით.

კირა შინ არ იყო, ოთახში მხოლოდ ლეო დაუხვდა.

* * *

კირამ მთელი დღე მოუსვენრად გაატარა. ლეო დაპირდა, სამსა-ხურში დაგირეკავ და ექიმის პასუხს გეტყვიო, მაგრამ პირობა არ შე-ასრულა. კირამ თავად დაურეკა სამჯერ, ოღონდ ყურმილს არავინ იღებდა. უკვე შინისაკენ მიმავალს, გაახსენდა – ოთხშაბათია და ან-დრეის უნდა შევხვედროდიო.

მოერიდა, ტყუილად როგორ ვალოდინო პარკის ჭიშკართანო და გადაწყვიტა, მაინც მისულიყო და ეთქვა, დიდხანს ვერ გავჩერდე-ბიო. დათქმულ ადგილას, სწორედ დროზე მივიდა.

ანდრეი არსად ჩანდა.

კირა დაჟინებით ათვალიერებდა უკვე ბინდში ჩანთქმულ ქუჩას. რამდენჯერმე პარკშიც შეიხედა, მილიციელსაც კი ორჯერ ჰკითხა, რომელი საათიაო. ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ მაინც იც-დიდა.

ანდრეი არ მოვიდა.

ერთი საათის ლოდინის შემდეგ, ბოლოს კირაც შინისკენ გაეშუ-რა.

ბრაზიანად მუშტავდა ხელებს ჯიბეებში, ოღონდ ახლა ანდრეიზე დარდი მაინც არ შეეძლო, როცა ლეო ჰყავდა საფიქრალი. არ იცოდა,

მისულიყო თუ არა ის ექიმთან და საერთოდ, რამე თუ დაედგინათ მისთვის. კიბე ლამის სირბილით აიარა, მარიშას ოთახიც თვალის დახამხამებაში გადაიარა და კარი შეაღო. ტახტთან, იატაკზე, ვავას თეთრი ლაბადა ეგდო, თვითონ კი ლეოს მკლავებში გატრუნულიყო და ტუჩებში კოცნიდა.

კირა მშვიდად მიჩერებოდა ამ სანახაობას. მხოლოდ წარბები აეწკიპა გაკვირვების ნიშნად.

ორივე ფეხზე წამოხტა. ლეო აშკარად ბარბაცებდა – ეტყობა, ისევ გადაკრულში იყო. ადგილზე ქანაობდა, სახეზე კი ისევ ის თავისებური, – ავი, ამრეზილი ღიმილი დასთამაშებდა.

ვავას სახე აჭარხლებოდა. ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი და პირიც დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ თავიდან ხმა ვერ ამოიღო და უკვე მერე უცებ, როცა დუმილი გაუსაძლისი გახდა, შეშლილივით აყვირდა:

– საშინელებაა, არა? კი, მეც ასე ვფიქრობ... საშინელებაა და საზიზღრობა! ოღონდ მე სულ ფეხებზე მკიდია! ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის! ამომივიდა ყელში! შენი აზრით, გათახსირებული ვინმე ვარ? კი ბატონო, ოღონდ მარტო მე არა ვარ ასეთი! და მე კიდევ ვაღიარებ მაინც! სულ ფეხებზე მკიდია...

აქვითინდა, გიჟივით გავარდა ოთახიდან და კარი გაიჯახუნა. კირა და ლეო არც განძრეულან.

– აბა, იტყვი რამეს? – როგორც იქნა, კბილებში გამოსცრა კაცმა.

– მე არაფერი მაქვს სათქმელი, – ჩუმად ჩაილაპარაკა კირამ.

– მისმინე, ნელ-ნელა უნდა შეეჩვიო ასეთ ამბებსაც და იმასაც, შენი საკუთრება რომ ვერ გავხდები... არ გამოვა ეგ. ვერავის ვერ დაეპატრონები და მით უმეტეს, დიდი ხნით...

– ლეო, ექიმმა რა გითხრა? – ბევრი რამე...

– ჩაიცინა ლეომ.

– მაინც, რა გჭირსო? – არც არაფერი. საერთოდ არაფერი.

– ლეო!

– ჯერ არაფერიო, მაგრამ მალე დაგემართებაო. სულ რამდენიმე კვირაში. არაფრით არ ამცდება.

– რა არ აგცდება, ლეო?

ლეო ერთხელაც შებარბაცდა და ჰაერში მოატარა ხელი, თეატრალურად:

– დიდიც არაფერი. ერთი ჩვეულებრივი ტუბერკულოზი.

* * *

– თქვენ მისი ცოლი ხართ? – ჰკითხა ექიმმა.

– არა, – მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა კირამ.

– გასაგებია, – თქვა ექიმმა და იქვე დაამატა:

– მე მგონი, მაინც გაქვთ უფლება იცოდეთ... მოქალაქე კოვალენსკის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ჩვენ ამას ტუბერკულოზის საწყის სტადიას ვეძახით. ახლა ჯერ კიდევ შესაძლებელია უფრო შორს არ წავიდეს დაავადება, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე გვიანი იქნება.

– რამდენიმე კვირაში... და რა, ტუბერკულოზი განუვითარდება? – ეს ძალიან მძიმე სენია, მოქალაქე. საბჭოთა რუსეთში, შეიძლება ითქვას, მომაკვდინებელიც. ამიტომ, დაბეჯითებით გირჩევთ, დროულად იღონოთ რამე. თუ არ დავაგვიანებთ, სავარაუდოდ, გართულებასაც ავიცილებთ თავიდან.

– და რაა ამისთვის საჭირო?

– დასვენება, ხანგრძლივი დასვენება. რძე, სუფთა ჰაერი, კარგი საკვები... ადამიანური საკვები. როგორმე სანატორიუმში უნდა წაიყვანოთ, ზამთარი მოდის. კიდევ ერთი ზამთრის გატარება პეტროგრადში ნამდვილი სასიკვდილო განაჩენი იქნება მისთვის. როგორმე სამხრეთში უნდა გაამგზავროთ.

კირას არაფერი უთქვამს, მაგრამ ექიმს მაინც მწარედ ჩაეცინა, რადგან უსიტყვოდაც მშვენივრად მიხვდა, რასაც უპასუხებდა – მით უმეტეს, მისი გაცვეთილი ფეხსაცმელების პატრონი.

– თუ ეს ახალგაზრდა კაცი თქვენთვის ძვირფასია, – თქვა ექიმმა.

– სამხრეთში გაგზავნეთ. რადაც არ უნდა დაგიჯდეთ. სხვაგვარად, არაფერი გამოვა.

* * *

კირა სრულიად მშვიდად მიაბიჯებდა შინისკენ.

ოთახში რომ შევიდა, ლეო ფანჯარასთან იდგა. აუჩქარებლად შემობრუნდა. სახეზე მასაც ისეთივე მშვიდი გამომეტყველება ედო და გაახალგაზრდავებულიც კი ჩანდა – თითქოს გამოეძინა და კარგადაც დაესვენა.

– სად იყავი, კირა? – იკითხა ჩუმი ხმით.

– ექიმთან.

– ბოდიშს გიხდი. არ მინდოდა შენც გაგეგო ეს ყველაფერი.

– ექიმმა მითხრა.

– გუშინდელისთვისაც გიხდი ბოდიშს. იმ სულელის გამო. იმედია, არ ფიქრობ რომ მე...

– რა თქმა უნდა არ ვფიქრობ. ყველაფერი მესმის.

– ეტყობა, შიშის ბრალი თუ იყო, ოღონდ ახლა აღარ მეშინია. როცა დროს დაგიდგენენ, მერე ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად გეჩვენება. ახლა ჯობია, ამაზე აღარც ვილაპარაკოთ. ეგ კი არა, არც უნდა ვიფიქროთ. მაინც ვერაფერს გავხდებით... სავარაუდოდ, ექიმი მაგასაც გეტყოდა. უბრალოდ, კიდევ ცოტა ხანს ვიყოთ ერთად. აი, როცა გადამდები გავხდები, მაშინ...

კირა თვალს არ აშორებდა. აი თურმე, როგორ ეგუებოდა ლეო თავის აღსასრულს.

– ნუ სულელობ, ლეო, – უთხრა მტკიცედ.

– შენ სამხრეთში მიემგზავრები.

* * *

პირველივე სახელმწიფო საავადმყოფოში, რომელსაც კირა მიადგა, მორიგე თანამშრომელმა პირდაპირ მიახალა:

– ყირიმის სანატორიუმის საგზური? პარტიის წევრი კი არ არის? არც პროფკავშირის? და თან – არც სახელმწიფო დაწესებულებაში არ მსახურობს? თქვენ რა, მეხუმრებით, მოქალაქე?

მეორედან კი ასე გამოისტუმრეს:

– უკვე ასობით ადამიანია ჩაწერილი და თავის რიგს ელოდება, მოქალაქე! სხვათა შორის, ყველა პროფკავშირის წევრია. თან სულ შორს წასული შემთხვევებია... არა, სიაშიც კი ვერ შევიტანთ.

მესამე საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა კი საერთოდ დალაპარაკებაც არ ისურვა მასთან.

საავადმყოფოებში ყველგან მომლოდინე ადამიანების გრძელი რიგი იდგა: დასახიჩრებული არსებების, წყლულებით, იარებით, ჩირქგროვებით დაფარული ხალხის და ცოცხალთა ირგვლივ უკვე საცხედრეს სუსხი ტრიალებდა.

ჯანდაცვის მთავარ სამმართველოსაც მიაკითხა, რამდენიმე საათი ელოდა თავის რიგს – ნახევრად ბნელ, ნესტიან დერეფანში, სადაც კარბოლის მჟავისა და ბინძური ტილოს სუნი იდგა. ვინ იცის, რამდენ გულმავიწყ მდივანთან მოუწია ხვეწნა-მუდარა და რამდენ თანაშემწესთან, რომლებიც ერთ ხმაში პასუხობდნენ – „ძალიან ვწუხვართ, მოქალაქე... აბა, შემდეგი! " ახალგაზრდა მოხელეებს ერთთავად სადღაც მიეჩქარებოდათ, მათი ხელქვეითები კი აქეთ ამუნათებდნენ ბუზღუნ-ბუზღუნით: „აკი გითხარით, წასულია-მეთქი! სამუშაო საათები დამთავრდა, დაწესებულება იკეტება და აქ ხომ არ გაატარებთ მთელ ღამეს! "

პირველი ორი კვირის ბოლოს, საბოლოოდ დარწმუნდა კიდეც – თუკი პროფკავშირის წევრი არ იყავი და სათანადო საბუთი არ გედო ჯიბეში, ვერცერთ სანატორიუმში ვერ მოხვდებოდი.

ამიტომ, ახლა საჭირო იყო მაღალი თანამდებობის პირებამდე მი-

ეღწია როგორმე, ნაცნობ-მეგობრები ჩაერია საქმეში, სარეკომენდაციო წერილები წარედგინა და ეხვეწა, იქნებ როგორმე გამონაკლისი დაუშვათო. მართლა მიადგა პროფკავშირების რამდენიმე ბობოლას, რომლებიც გაოცებული, დამცინავი სახით ისმენდნენ მის ხვეწნა-მუდარას; ზოგი დაუფარავად დასცინოდა, ზოგი მხრებს იჩეჩდა, ზოგი მდივანს უხმობდა და აბეზარი მთხოვნელის კარამდე მიცილებას სთხოვდა; ერთმა გამოუცხადა შემიძლია და მოგიგვარებ კიდეც მაგ საქმეს, გარკვეული თანხის სანაცვლოდო, ოღონდ თანხაც ისეთი დაუსახელა, კირა რომ მთელი წელი ვერ მოუყრიდა თავს.

– მაინც არ ტყდებოდა, მაინც ჯიუტობდა. არც ხმა უთრთოდა მათთან ლაპარაკისას და არც ხვეწნა-მუდარის რცხვენოდა, რადგან ეს იყო მისი ვალი, ვალდებულება, მისი სატარებელი ჯვარი...

ზოგჯერ ფიქრობდა და ვერ კი გაეგო, რატომ ნიშნავდა ამ ადამიანებისთვის ასე ცოტას სიტყვები – კი მაგრამ, ის ხომ კვდებაო, როცა პირადად მისთვის, სრულიად უაზროდ ჟღერდა მათივე დაზეპირებული პასუხი – ის აღრიცხვაზე მყოფი მუშა-მოსამსახურე არააო.

ლეოც აიძულა, მიმდგარ-მომდგარიყო. იმას არც კამათი დაუწყია, არც წუწუნი და ყოველგვარი იმედის გარეშე დაემორჩილა.

კირა არაფერზე იხევდა უკან: ვიქტორსაც კი სთხოვა დახმარება, მაგრამ ვიქტორი გაიფხორა და ამაყად მიუგო: „ჩემო ძვირფასო დეიდაშვილო, პარტიის წევრობა იმას არ გულისხმობს, საკუთარი მდგომარეობა პირადი სარგებელისთვის გამოიყენო! "

სთხოვა მარიშასაც, ოღონდ იმას მხოლოდ გულიანად გაეცინა:

– ყველა ჩვენი სანატორიუმი ისეა გადავსებული, ჩაწერილებსაც კი სხვა ცხოვრებაში თუ მოუწევთ რიგი! თავისი ჯერის მომლოდინე ამხანაგი მუშები ცოცხლად ლპებიან, ეგ კიდე ჯერ ავადაც არ არი! სინამდვილეს ვერ იაზრებთ, მოქალაქე არგუნოვა...

ერთადერთი, ანდრეის ვერ ურეკავდა. იმან ხომ იმედი გაუცრუა...

ჩაშლილი პაემნიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, მხოლოდ ლიდიას ურეკავდა და სულ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა – ანდრეი ტაგანოვს ხომ არ შემოუვლია, ან რამე წერილი ხომ არ მოუტანიათ მისგანო?

პირველ ჯერზე, ლიდიამ უბრალოდ, არაო, უთხრა; მეორედ – ახითხითდა და ჩააცივდა: რა იყო, ხომ არ შეგიყვარდა? იცოდე, ლეოს ვეტყვი ყველაფერს და საერთოდ, ეგეთი ლამაზი ბიჭის მერე, სხვას როგორ უყურებო?

კირამ მოუთმენლად შეაწყვეტინა:

– გეყოფა ეგ სისულელეები, ლიდია! მნიშვნელოვანი საქმეა... თუ გამოჩნდა, იცოდე, მაშინვე გამაგებინე.

ოღონდ ლიდიას არც არაფერი გაუგებინებია მისთვის.

ერთ საღამოს, დუნაევებთან სტუმრობისას, კირამ ვითომ სხვათაშორის ჰკითხა ვიქტორს, ინსტიტუტში ანდრეი ტაგანოვს თუ ხედავ ხოლმეო.

– კი, რა თქმა უნდა, – მიუგო ვიქტორმა.

– ყოველდღე იქაა.

კირას ეწყინა. გაბრაზდა, გაოგნდა, გამწარდა კიდეც. კი მაგრამ, რა ჩაიდინა ასეთი? პირველად დააეჭვა საკუთარმა ქცევამ – ვითომ, იმ კვირადღეს, ქალაქგარეთ ჩაიდინა რამე სისულელე? შეეცადა თითოეული სიტყვა, ხელის თითოეული მოძრაობაც კი გაეხსენებინა. ვერაფერი მოიგონა საეჭვო. თვითონ ანდრეიც იმ დღეს განსაკუთრებულად ბედნიერი ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ, მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, ისევ ჩვენს მეგობრობას უნდა მივენდო და დავაცადო, თავად როდის გაუჩნდება ამ გაუგებრობის ახსნის სურვილიო.

ბოლოს, დაურეკა კიდეც. გაიგონა, როგორ გასძახა სახლის პატრონმა დედაბერმა თავის მდგმურს: „თქვენ გირეკავენ, ამხანაგო ტაგანოვ! " ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ანდრეი შინ იყო... ყურმილში მაინც კარგა ხანს დუმილმა დაისადგურა და როდის-როდის, ისევ ის

მოხუცი ქალი ჩაეკითხა, ვინ რეკავსო? და სანამ საკუთარი გვარსახელის ბოლომდე თქმას მოასწრებდა, დიასახლისმა ყურმილს ჩაჰყეფა – შინ არ არისო და მაშინვე დაუკიდა.

კირამაც მთელი ძალით დაახეთქა ყურმილი. მტკიცედ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ დაევიწყა ანდრეი ტაგანოვი.

* * *

ასე გავიდა მთელი ერთი თვე, ერთი თვის თავზე კი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა – ლეოსთვის ყველა სახელმწიფო სანატორიუმის კარი ჩაკეტილი იყო და ამ საქმეს არც არაფერი ეშველებოდა.

საბედნიეროდ, ყირიმში კერძო სანატორიუმებიც არსებობდა, ოღონდ იქ მოხვედრა ძალიან ძვირი ღირდა. ამიტომ, კირას როგორმე ფული უნდა ეშოვა.

ამხანაგ ვორონოვის სახელზე განცხადება დაწერა, სთხოვდა – იქნებ ექვსი თვის ხელფასი წინასწარ მომცეთო; ეს თანხა ლეოს გასამგზავრებლად საკმარისი იქნებოდა. ამხანაგმა ვორონოვმა ორაზროვნად ჩაიღიმა და ჰკითხა – რა იცი, ექვსი კი არა, ერთი თვის მერეც რომ ისევ აქ იმუშავებო...

კირამ ექიმ მილოსლავსკისაც მიაკითხა, ვავას მამას, რომლის საბანკო ანგარიშებზეც ბევრი ჭორაობდა შურით. იმას კი სახე აუჭარხალდა და ისე დაუწყო კოტიტა თითების ქნევა კირას ცხვირწინ, თითქოს მოჩვენებას აფრთხობსო:

– ჩემო ძვირფასო გოგონა! ჩემო საყვარელო, მაინც რამ გაფიქრებინა, რომ მე მდიდარი კაცი ვარ?! შენი გამკვირვებია! რომელი კაპიტალისტი მე მნახე... თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი, მართლა პროლეტარივით მუხლჩაუხრელი ვშრომობ და მარტო იმას ვფიქრობ, ოჯახი როგორ ვარჩინო!

კირამ კი იცოდა, მის მშობლებს რომ არაფერი ებადათ, მაგრამ მაინც სთხოვა დახმარება. გალინა პეტროვნა ცრემლად დაიღვარა.

სთხოვა ვასილი ივანოვიჩსაც. იმან ერთადერთი შემორჩენილი,

მეტნაკლებად ძვირფასი ნივთი შესთავაზა – მარია პეტროვნას ბეწვის ძველი ქურთუკი. ოღონდ ამ ქურთუკში აღებული ფული ყირიმამდე მატარებლის ბილეთსაც ვერ გასწვდებოდა. კირამ ბიძას მადლობა გადაუხადა და შეთავაზებაზე უარი უთხრა.

იცოდა ლეო გაუბრაზდებოდა, მაგრამ მაინც გაუგზავნა წერილი მამიდამისს, ბერლინში. წერილში წერდა: „მხოლოდ იმიტომ გაწუხებთ, რომ ძალიან მიყვარს, თქვენ კი იმიტომ მოგმართავთ, მგონია რომ ცოტათი თქვენც უნდა გიყვარდეთ...“ წერილი უპასუხოდ დარჩა.

გე-პე-უ-ს საქმიანობაზე კიდევ უფრო იდუმალი ჭორებიდან კირამ შეიტყო, რომ თურმე ქალაქში არსებობდნენ მევახშეები, რომლებიც მაღალი სარგებლით შეეძლოთ ფულის სესხება. როგორღაც, ერთ-ერთი მათგანის ვინაობა და მისამართიც შეიტყო. ამ კაცს ბაზარზე ერთი პატარა ფარდული ედგა, სადაც თვალის ასახვევად, წითელი ხილაბანდებითა და ბამბის წინდებით ვაჭრობდა. კირამ შუამავლის სახელი უხსენა და თანხაც დაუსახელა.

– რა საქმისთვის გინდა? – ჩურჩულით ჰკითხა ჩათქვირებულმა მევახშემ.

– სპეკულანტობ?

კირამ იცოდა, საქმისთვის აჯობებდა, თუკი ამგვარ ვარაუდს დაუდასტურებდა.

– კარგი, მაგას მოგიგვარებ, – უთხრა კაცმა და სარგებლის სახით, თვეში ოცდახუთი პროცენტი მოსთხოვა.

კირამ თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. გირაოდ რას იძლევიო – ჰკითხა კაცმა. როგორ თუ გირაოდო? – გაიკვირვა კირამ. აბა, მარტო მაგ ლამაზი თვალებისთვის ვინ გასესხებს ფულსო, უთხრა კაცმა. რიგიანი ბეწვეული ანდა ნებისმიერი სინჯის ბრილიანტები გამოდგებაო, – დაამატა მერე. კირას ამდაგვარი არაფერი ჰქონდა შესათავაზებელი. კაცმაც მაშინვე ისე შეაქცია ზურგი, თითქოს მანამდე სიტყვაც არასოდეს ეთქვას მისთვის.

მერე, როცა ვიწრო, ტალახიან გასასვლელში მიიკვლევდა გზას დახლებშორის, ტრამვაის გაჩერებისაკენ მიმავალი, კირა უცებ გაოცებული შედგა: პატარა, თუმცა აშკარად წარმატებული იერის მქონე ფარდულში, პურით, შაშხითა და კარაქით სავსე დახლსიქით, ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი – წითელ, ფართო ტუჩებს, მოკლე ცხვირსა და შვეულად გაჭრილ ნესტოებს. იმწამსვე გაახსენდა სადგურში ნანახი ქორვაჭარი, ბეწვისსარჩულიანი ქურქი რომ ეცვა და მიხაკის ზეთის სუნი რომ ასდიოდა. როგორც ჩანს, კარგად წასვლოდა საქმე. იდგა ახლა თვითკმაყოფილი სახით და მუშტარს პირმოთნედ შესცინოდა.

შინისაკენ მიმავალ კირას ცოტა ხნის წინ გაგონილი სიტყვები გაახსენდა: „იმდენ ფულს მიხდიან, აღარც ვიცი, რაში დავხარჯო...“ განა ახლა ჰქონდა რამეს მნიშვნელობა? აუცილებლად მივიდოდა ინსტიტუტში და ანდრეის ნახვასაც შეეცდებოდა.

მართლაც, ინსტიტუტისკენ მიმავალ ტრამვაის გაჰყვა.

ანდრეის დერეფანშივე ჰკიდა თვალი, ისიც მას უცქერდა და კირამ ღიმილი ვერ შეიკავა, ანდრეი კი ადგილზევე შეტრიალდა და პირველსავე აუდიტორიაში შევარდა. მერე კირა კარგა ხანს იდგა ასე, ერთ ადგილას გახევებული...

სახლში რომ დაბრუნდა, შუა ოთახში მდგარ ლეოს ხელში მოჭმუჭნული ქაღალდი ეჭირა და სახე სიბრაზისაგან მოჯღანოდა:

– არ ისვენებ, არა? – უყვირა კირას.

– უკვე ყველაფერში ცხვირს ყოფ? წერილების წერაც დაგიწყია... ვინ გთხოვა, ვინ დაგავალა?

მაგიდაზე ლეოსთვის გამოგზავნილი, გერმანულმარკიანი წერილი იდო.

– რას იწერება? – ჰკითხა კირამ.

– ძალიან გინდა იცოდე? ვეღარ ითმენ? პირდაპირ სახეში ესროლა ის მოჭმუჭნული ფურცელი.

კირას მერე იმ წერილიდან ერთადერთი წინადადება დაამახსოვრდა: „...არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ ამით ჩვენთან დაახლოებას შეიძლება ელოდეთ... მით უფრო, როცა ვიღაც ქუჩის ქალთან ერთად ცხოვრობთ, რომელსაც იმდენი თავხედობაც ჰყოფნის, პატივცემული ხალხი აქეთ შეაწუხოს! "

* * *

შემოდგომის პირველსავე წვიმიან დღეს, „საგლეხო სახლს" საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალთა კლუბის დელეგაცია ესტუმრა და ამ დელეგაციის საპატიო წევრი ამხანაგი სონია აღმოჩნდა. როცა ამხანაგ ბიტიუკის სამუშაო ოთახში კირას მოჰკრა თვალი, გაეცინა და აროხროხდა:

– ამას ვის ვხედავ! შეგნებული მოქალაქე ამხანაგი არგუნოვა წითელ საგლეხო სახლში მსახურობს!

– რა ხდება, ამხანაგო? – შეშფოთდა ამხანაგი ბიტიუკი.

– რამე გაუგებრობაა?

– არაფერი ისეთი, ვხუმრობთ! – დაიბუხუნა ამხანაგმა სონიამ.

– ასე ვთქვათ, მეგობრულად.

კირამ კი ამრეზით აიჩეჩა მხრები. უკვე იცოდა, რისი მოლოდინიც უნდა ჰქონოდა.

როცა შემცირებების ტალღამ „საგლეხო სახლსაც" მიაწია და დათხოვნილ „ანტისაზოგადოებრივ ელემენტთა" სიაში საკუთარი გვარიც ამოიკითხა, კირას არ გაკვირვებია. მისთვის უკვე სულ ერთი იყო. ბოლო ხელფასის მეტი წილი ლეოსთვის კვერცხისა და რძის საყიდლად დახარჯა, თუმცა იმას პირი არაფრისთვის დაუკარებია.

* * *

დღისით კირა სიმშვიდეს ინარჩუნებდა, არც სახეზე ემჩნეოდა რამე, არც შინაგანად ღელავდა და ფიქრითაც არაფერზე ფიქრობდა,

ერთადერთი რამის გარდა: სხვათა შორის, არც ეშინოდა, რადგან ეჭ-ვი არ ეპარებოდა – ლეო აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო სამხრეთში და გაემგზავრებოდა კიდეც! ამაში ეჭვის შეტანა არ შე-იძლებოდა და ამიტომ, სანერვიულოც აღარაფერი ჰქონდა.

მაგრამ მერე ღამეც დგებოდა...

ღამ-ღამობით, უკვე გვერდით გრძნობდა ლეოს ყინულივით ცივ, ოფლით დაცვარულ სხეულს, ყურშიც მისი ხველა ჩაესმოდა. ზოგ-ჯერ, მძინარეს, თავი გვერდზე გადაუვარდებოდა ხოლმე და იწვა ასე, ბავშვივით უმწეო და მხოლოდ მისი მოიმედე. სუნთქვა კი უფრო გმინვას უგავდა.

კირას უკვე ხშირად ახსენდებოდა მომაკვდავი მარია პეტროვნას წითელი ქაფით მოთხვრილი ტუჩები და მისი სულისშემძვრელი ხმა: „კირა, სიცოცხლე მინდა! "

კისერზე გრძნობდა ლეოს ცხელ, გამალებულ, გახშირებულ სუნ-თქვას. მერე, ძილ-ღვიძილში, უკვე დარწმუნებით ვეღარც იტყოდა, ვინ უყვიროდა – სიცოცხლე მინდაო: მარია პეტროვნა თუ საბოლო-ოდ განწირული ლეო.

ნუთუ გიჟდებოდა? მაგრამ ეს მეტისმეტად იოლი გამოსავალი იქ-ნებოდა კირასათვის. მას ახლა, უბრალოდ, ფული სჭირდებოდა – ფული და სიცოცხლე, ამ კაცის სიცოცხლე...

„იმდენ ფულს ვშოულობ, არც ვიცი რაში დავხარჯო..." „კირა, მე სიცოცხლე მინდა! "

* * *

უკანასკნელ საშუალებასაც მიმართა ფულის საშოვნელად.

შემოდგომის წვიმით დასველებულ ქუჩას მიუყვებოდა; შავ ქვა-ფენილზე სინათლის ყვითელი გამონაშუქი ეცემოდა. ექიმმა ხომ თქვა, თითოეულ კვირას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო და ახლა უკვე თითოეულ დღესაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თე-

ატრის ნარინჯისფრად განათებულ შესასვლელთან მდიდრული ლიმუზინი გაჩერდა. მანქანიდან კაცი გადმოვიდა, რომლის ბეწვის ქურქიც იმ გაზიზინებული ავტომობილივით ბზინავდა. კირა წინ აესვეტა და ყოველგვარი ზედმეტი შესავლის გარეშე, პირდაპირ მიმართა, სრულიად მშვიდი ხმით – მაპატიეთ თუ შეიძლება, მინდა დაგელაპარაკოთ... ფული მჭირდება. მე თქვენ არ გიცნობთ, ვერც ვერაფერს შემოგთავაზებთ და ისიც ვიცი, უწესოდ რომ ვიქცევი, მაგრამ იქნებ გამიგოთ... ეს ძალზე მნიშვნელოვანი ამბავია – ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება!

კაცი შედგა, ჯერ არასოდეს გაეგონა ასე, ბრძანებასავით ნათქვამი თხოვნა. ცალი თვალი მოჭუტა და ჰკითხა:

– მაინც, რამდენი გჭირდებათ? კირამ თანხა დაუსახელა.

– რაო?! – გაიკვირვა კაცმა.

– ერთ ღამეში? შენნაირები მაგდენს მთელი ცხოვრება ვერ შოულობენ!

ვერ მიხვდა, გველნაკბენივით რატომ შეტრიალდა ეს უცნაური გოგო და რატომ გაუყვა გუბე-გუბე სირბილით ქუჩას ისე, თითქოს ვინმე გაეკიდებოდა უკან...

* * *

კირამ უკანასკნელად მიმართა თხოვნით სახელმწიფოს.

რამდენიმე კვირის განმავლობაში, სხვადასხვა უწყებებს მიაკითხა, წერდა წერილებს, განცხადებებს, ხვდებოდა მდივნებს და თანაშემწეებს და ბოლოს, პეტროგრადში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მაღალჩინოსანთან შეხვედრასაც მიაღწია. პირადად უნდოდა შეხვედროდა, ერთი-ერთზე. ამ კაცს ყველაფრის გაკეთება შეეძლო, მთავარი იყო, კირას მისი დარწმუნება მოეხერხებინა.

ჩინოსანი საწერ მაგიდასთან იჯდა. მის ზურგსუკან, დიდი ფანჯრიდან, ოთახში მხოლოდ სინათლის წვრილი სხივი აღწევდა, რაც იქაურობას ეკლესიას ამსგავსებდა. კირა მაგიდის წინ იდგა, კაცს :

მიჩერებოდა – არც მტრული და არც მავედრებელი მზერით. მის თვალებში მხოლოდ ნდობა და სიმშვიდე იგრძნობოდა. მისი ჯერაც ახალგაზრდული ხმა მშვიდად, ბუნებრივად მოისმოდა.

– საქმე ისაა, ამხანაგო კომისარო, რომ მე ის მიყვარს. ის კი ძალიან ავადაა. გესმით ალბათ, ეს რასაც ნიშნავს... როცა რაღაც უცნაური ხდება ადამიანის სხეულში და ამის შეჩერება შეუძლებელია. მერე კი ადამიანი კვდება. მაგრამ ჯერ-ჯერობით, მისი სიცოცხლე ერთ ფარატინა ქაღალდსა და ზედ დაწერილ რამდენიმე სიტყვაზეა დამოკიდებული... თითქოს რა მარტივად ჩანს ყველაფერი, როცა ამ თვალით უყურებ! თითქოს ჩვენვე დავადგინეთ თამაშის ამგვარი წესები – ეგებ სწორად, ეგებ არასწორადაც, მაგრამ ეს მაინც სიკვდილსიცოცხლის თამაშია, შემზარავი თამაში, არა? სანატორიუმში კი მხოლოდ იმიტომ არ გზავნიან, რომ რაღაც ფურცელზე, რომელსაც პროფკავშირის წევრობის საბუთი ჰქვია, მისი სახელი და გვარი არ წერია. არადა, საბოლოოდ ყველაფერი ამ ფარატინა ფურცლამდე, მელნამდე და ჩვენივე აკვიატებულ აზრებამდე დადის. მელნით ფურცელზე შეგიძლია რამე დაწერო, მერე ეს ფურცელი დახიო და ახალი გაამზადო, მაგრამ ადამიანის განადგურებულ სხეულს ხელახლა ვეღარ აღადგენ... ამხანაგო კომისარო, მესმის რომ საბუთებიც მნიშვნელოვანია, ფულიც, დადგენილებებიც, და თუკი ვინმე ამის გამო იტანჯება და მსხვერპლად ეწირება, არც ეგაა ჩვენი საქმე – მზად ვარ, დღეღამეში ოცდაოთხი საათი ვიმუშაო და არც იმას ვჩივი, ასეთი კაბით თუ მომიწევს სიარული – საერთოდ აღარ მაღელვებს ჩასაცმელდასახური, ამხანაგო კომისარო... ვიცი, როგორც გამოვიყურები, ოღონდ ესეც უკვე სულ ერთია ჩემთვის. იქნებ ყოველთვის სწორად არ მესმოდა თქვენი, საერთოდ ბევრი რამ არ მესმის თქვენი, მაგრამ ნამდვილად შემიძლია მორჩილიც ვიყო და გაგებაც ვისწავლო... ერთი ეგაა, როცა საქმე თავად სიცოცხლეს ეხება, ამხანაგო კომისარო, მაშინ ყველას მეტი სიფხიზლე და გონიერება გვმართებს, ასე არაა? არამც და არამც არ უნდა დავუშვათ, რომ წვრილმანმა

პირობითობებმა შეიწიროს ვინმეს სიცოცხლე! თქვენი ერთი ხელმოწერა და ის კაცი სანატორიუმში გაეგმგზავრება, აღარ მოკვდება... ამხანაგო კომისარო, თუკი უბრალოდ, მშვიდად და მარტივად შევხედავთ საქმის ვითარებას, თუ ხელოვნურად არ გავართულებთ, იცით რა აღმოჩნდება სიკვდილი? რა და – არაფერი, საერთოდ არაფერი, აღარაფერი და ეს იმის მიუხედავად, რას ვიზამთ და როგორ მოვიქცევით. ახლა ხვდებით, რაც ტომ არ შეიძლება მისი სიკვდილი? მე ის მიყვარს. ტანჯვას ვერავინ გავექცევით, ყველას გვაქვს რაღაც, რაც სიცოცხლეზე მეტად გვსურს, რაც ძალით წაგვართვეს, მაგრამ ესეც არა უშავს – რამდენადაც ჩვენ მაინც ცოცხალი არსებები ვართ, თითოეულ ჩვენგანში ბუდობს რაღაც ისეთი, რაც ძალიან ჰგავს დაწნეხილ სიცოცხლეს და აი, ამას არავინ არ უნდა შეეხოს. მე მგონი გესმით ჩემი, არა? ის კაცი იგივეს ნიშნავს ჩემთვის და ის არ უნდა წამართვათ... რადგან თუკი უფლებას მაძლევთ აქ ვიდგე, თქვენ გიყურებდეთ სახეში, გელაპარაკებოდეთ, ვსუნთქავდე, ვმოძრაობდე, მაშინ აღარც ის არ უნდა მითხრათ, რომ იმ კაცს სამუდამოდ წამართმევთ. ჩვენ ხომ გიჟები არ ვართ, ამხანაგო კომისარო – არც მე და არც თქვენ...

– სამოქალაქო ომს ასიათასი მუშა შეეწირა, – თქვა ამხანაგმა კომისარმა.

– ვითომ რა იქნება, თუკი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ვიღაც ერთი არისტოკრატი მოკვდება?

კირა ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ჩაბნელებული ქალაქის ქუჩებს.

თავჩაღუნული, მბზინავ ფილაქანს დასცქეროდა – ვინ იცის, რამდენი ათასი გაცვეთილი ფეხსაცმლისთვის დაგებულს; თვალს აყოლებდა ტრამვაის ვაგონებს, რომელთა დანიშნულებაც ერთი ადგილიდან მეორემდე ადამიანების მიყვანა იყო; ქვის შენობებს, სადაც მთელი დღის ნაჯაფი ხალხი ღამე თავს აფარებდა; მყვირალა პლაკატებს, რომლებიც ამავე ადამიანების ოცნებებსა თუ საკვებს გამოსახავდა და თან ფიქრობდა – ნეტავი, ჩემს ირგვლივ იმ უამრავ ათას

წყვილ თვალსაც თუ დაუნახავს ის, რასაც მე ვხედავ და რაღა მაინ-ცადამაინც მე მერგო წილად ამის ხილვაო.

* * *

რადგან:

მეხუთე სართულზე, ერთ-ერთი ბინის სამზარეულოში, მხრჩოლავ ქურაზე წახრილი დედაბერი აქოთებულ კომბოსტოს ურევდა ქვაბში და მწარედ ოხრავდა, ზურგის ტკივილით გაწამებული, თან კი კოვ-ზის ტარით იფხანდა კეფას რადგან:

ქუჩის კუთხეში, ლუდხანის დახლს დაყრდნობილი ვიღაც კაცი სულის შებერვით აცლიდა კათხის პირს მოდებულ ქაფს, იატაკსაც ასველებდა და საკუთარ შარვალსაც, თუმცა მაინც უდარდელად აბოყინებდა და მხიარულ სიმღერასაც ღიღინებდა რადგან:

თბილ ლოგინში, ყვითლად დალაქულ თეთრ ზეწარზე ბავშვს ეძი-ნა და ძილში სველ ცხვირს აქსუტუნებდა რადგან:

სახლის სარდაფში კაცს ქალი წამოექცია, კაბა შემოეხია, ყელზე დაკონებოდა და ხვნეშა-ხვნეშით, აქეთ-იქით აგორავებდა ფქვილისა თუ კარტოფილის ტომრებზე რადგან:

თრთვილშეყინული ქვის კედლების მდუმარებაში, მოოქროვილ ჯვარცმასთან მუხლმოყრილ მლოცველს მაღლა აღეპყრო აცახცახე-ბული ხელები, შუბლს კი მალი-მალ სცემდა ქვისავე იატაკს რადგან:

დაზგა-დანადგარების დგანდგარში, ფოლადის ელვარებასა და ცხელი ზეთის ხვატში გახვეული მამაკაცები მძიმედ ხვნეშოდნენ, და-ძაბულობისაგან მკლავები აწყდებოდათ, მაგრამ მაინც ჯიუტად აგ-რძელებდნენ საპნის ხარშვას რადგან: საზოგადოებრივ აბანოში სპი-ლენძის ტაშტებს ოხშივარი ასდიოდა გაწითლებული, გახურებული ადამიანები კი ხვნეშოდნენ, საპონს აქაფებდნენ, ბუზღუნ-ბუზღუ-ნით უხეხავდნენ ერთმანეთს ზურგს, საიდანაც ცხელი, ქაფიანი წყა-ლი წურწურით იწრიტებოდა იატაკზე – ლეო კოვალენსკი სასიკვდი-ლოდ იყო განწირული.

XVII

სხვა გზა აღარ რჩებოდა და კირამ ახლა ამ საშუალებასაც მიმართა.

– ეს არაფრით გამორჩეული, უღიმღამო სახლი ერთ წყნარ, ბინდში ჩანთქმულ უკაცრიელ ქუჩაზე იდგა. კარი სახლის პატრონმა, მოხუცმა ქალმა გაუღო და ეჭვით შეათვალიერა მოსული – ამხანაგ ტაგანოვთან ქალები სტუმრად არ დაიარებოდნენ, თუმცა თქმით კი არაფერი უთქვამს, ფეხების ფრატუნით გაუყვა დერეფანს და კირაც უკან მიჰყვა. ქალი ერთ კართან შეჩერდა, თითით ზედ მიანიშნა და გზა გააგრძელა.

კირამ დააკაკუნა.

– მობრძანდით, – მოისმა ოთახიდან. კარი შეაღო და შევიდა.

კაცი საწერ მაგიდას უჯდა. ერთი პირობა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა. სტუმარს მიჩერებოდა, უხმოდ. როდისროდის, მაინც წამოიმართა, ძალიან ნელა – იმდენად, რომ კირამ გაიფიქრა კიდეც, ნეტა რამდენი ხანია რაც ასე ვდგავარ კარშიო.

ანდრეი კი, სანამ წამოიმართებოდა, ჯიუტად არ აშორებდა თვალს მოსულს.

– საღამო მშვიდობის, – როგორც იქნა, დაარღვია სიჩუმე.

– საღამო მშვიდობისა, ანდრეი...

– პალტო გაიხადე.

კირას უცებ შეეშინდა, უხერხულადაც იგრძნო თავი, დაიძაბა. ერთბაშად გაუქრა მთელი ის ავი, მტრული თავდაჯერება, რასაც აქ მოეყვანა; მორჩილად გაიხადა პალტო, ქუდი კი პირდაპირ საწოლზე მიაგდო. დიდი, თითქმის ცარიელი ოთახი იყო, თეთრად კედლებშეღებილი. ერთი ვიწრო, რკინის საწოლი იდგა, საწერი მაგიდა, ერთადერთი სკამი და ტანსაცმლის მომცრო კარადა. არსად ჩანდა არც ნახატები, არც პლაკატები, თუმცა უამრავი წიგნი კი დაეხვავებინა

აქაურობის პატრონს ოთახში – წიგნების მთელი ზღვა, და კიდევ, გაზეთები და რაღაც ფურცლები, რომლებიც საწერ მაგიდაზეც ელაგა, კარადაზეც და პირდაპირ იატაკზეც.

– ცივა არა, გარეთ? – ჰკითხა კირას.

– კი, ცვა.

– დაჯექი.

კირა საწერ მაგიდასთან ჩამოჯდა სკამზე, ანდრეი კი – საწოლზე, ფეხი ფეხზე გადაიღო და ხელები მუხლებზე შემოიწყო. კირა ნატრობდა, ნეტა ასეთი სახით არ მიცქეროდესო.

– რას შვები, როგორ ხარ? რაღაც დაღლილი მეჩვენები, – მშვიდი ხმით უთხრა ანდრეიმ.

– ცოტათი მართლა დავიღალე.

– სამსახურში რა ხდება? – არც არაფერი.

– ეგ რას ნიშნავს? – შტატები შეამცირეს.

– რას მეუბნები! ძალიან ვწუხვარ. არა უშავს, სხვა სამსახურს გიშოვი.

– დიდი მადლობა. ოღონდ არ ვიცი, დამჭირდება საერთოდ სამსახური თუ არა... შენსკენ რა ხდება?

– სადა, გე-პე-უ-ში? ქვეყნის საქმეა – ჩხრეკები, დაჭერები... შენ ისევ არ გეშინია ჩემი, არა?

– არა, არ მეშინია.

– ყველაზე მეტად ჩხრეკებს ვერ ვიტანი...

– და დაჭერები კი გიყვარს? – როცა აუცილებელია, მაგაზე არ ვღელავ ხოლმე. მცირე ხნით ორივე გაჩუმდა. დუმილი კირამ დაარღვია: – ანდრეი, თუ რამეში ხელი შეგიშალე, წავალ.

– არა! არ წახვიდე. ძალიან გთხოვ...

– ჩაცინება სცადა.

– ხელი შემიშალე? ეგ რატომ იფიქრე? უბრალოდ... უბრალოდ, ცოტა დავირცხვინე. ეს ოთახი შენისთანა სტუმარზე არ მქონია გათვლილი...

– რას ერჩი, მშვენიერი ოთახია... დიდი, ნათელი.

– ხომ იცი, შინ იშვიათად ვარ და ისიც დასაძინებლად თუ მოვდი-ვარ ხოლმე. ვერც ვამჩნევ, რა ხდება ირგვლივ.

– მესმის... ისევ გაჩუმდნენ.

– ოჯახში როგორ ხართ? – ჰკითხა ანდრეიმ.

– გმადლობთ, არა გვიშავს.

– ინსტიტუტში ხშირად ვხედავ შენს დეიდაშვილს, ვიქტორ დუნა-ევს. მითხარი ერთი, ეგ კაცი მოგწონს?

– არა.

– არც მე.

ისევ დუმილი ჩამოწვა.

– ვიქტორი პარტიაში შევიდა, – თქვა მერე კირამ.

– მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ უმრავლესობა ძალიან უჭერდა მხარს.

– კარგია. შენ რომ წინააღმდეგი იყავი. ეგ ზუსტად იმნაირი კო-მუნისტია. მე რომ ყველაზე მეტად მაღიზიანებენ.

– აბა, როგორი კომუნისტები არ გაღიზიანებენ, კირა? – შენნაი-რები, ანდრეი.

– კირა...

– რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღარ გააგრძელა.

– მითხარი ანდრეი, რა დავაშავე? – ახლა უფრო მტკიცე ხმით ჰკითხა კირამ. ანდრეიმ ერთი კი გამოხედა, კოპები შეიკრა, ისევ აა-რიდა თვალი, თავი ნელა გადააქნია და ბოლოს, ამოღერღა:

– არაფერი. მერე უცებ დაამატა: – აქ რატომ მოხვედი? – დიდი ხანია, აღარ მინახიხარ.

– ზეგ ორი თვე გახდება.

– თუ არ ჩავთვლით, რომ სამი კვირის წინ მნახე ინსტიტუტში.

– მართალია, დაგინახე...

კირას ეგონა, ახლა მაინც ამიხსნის რამესო, მაგრამ ანდრეიმ წა-უყრუა. ამიტომ, ისევ თვითონ გააგრძელა, ლამის მუდარით:

– იმიტომ მოვედი, რომ ვიფიქრე... მეგონა, ჩემი ნახვა გინდოდა.

– არა, არ მინდოდა. კირა სკამიდან წამოდგა.

– არ წახვიდე, კირა! – ანდრეი, მე უკვე არაფერი მესმის...

ანდრეიც წამოდგა, თვალი თვალში გაუყარა. ხმა ჩახლეჩოდა და მისი სიტყვებიც შეურაცხყოფასავით ჟღერდა:

– არც მინდა, რამე გესმოდეს... არც მინდა რამე იცოდე, მაგრამ თუ მზად ხარ მოისმინო, გეტყვი: აღარ მინდა შენი ნახვა, აღარ მინდოდა, რადგან...

– მისი ხმა მათრახის უღონო მოქნევასავით გაისმა.

– იმიტომ რომ მიყვარხარ!

კირა შებარბაცდა. ორივე ხელით კედელს მიებჯინა. ანდრეი კი ისევ აგრძელებდა:

– არაფერი მითხრა, ვიცი რის თქმასაც აპირებ. ეგ მეც არაერთხელ გამიმეორებია საკუთარი თავისთვის. თითოეული სიტყვა ზეპირად ვიცი, მაგრამ მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი, უნდა მრცხვენოდეს და მრცხვენია კიდეც, მაგრამ თავს ვერ ვერევი... ვიცი, მოგწონდი, მენდობოდი, იმიტომ რომ მეგობრები ვიყავით... ეს ურთიერთობა იშვიათიც იყო და შესანიშნავიც. და შენ ახლა სრული უფლება გაქვს, გძულდე.

ზურგით კედელს აკრული კირა არც შერხეულა.

– აქ რომ შემოხვედი, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, გავაგდებმეთქი... ოღონდ რომ წასულიყავი, ვიცი, უკან გამოგედევნებოდი. მეგონა, ვერაფერს გაგიმხელდი, მაგრამ მაინც ხომ თავად მიხვდებოდი ყველაფერს. მიყვარხარ, კირა. თუმცა ამაშიც დარწმუნებული ვარ, გერჩივნა მეთქვა – მძულხარ-მეთქი...

კირა ხმას არ იღებდა. კედელს აკრულს, თვალები გაფართოებოდა და მის მზერაში ანდრეის მიმართ სიბრალული კი არა, მისგან შებრალების ვედრება ჩაბუდებულიყო.

– გეშინია? ახლა ხვდები, რატომაც გაგირბივარ? ვიცი, რასაც

ფიქრობდი ჩემზე და ისიც ვიცი, რასაც ვერასდროს იგრძნობ ჩემს მიმართ... ყოველთვის ვიცოდი რასაც მეტყოდი, რანაირადაც შემომხედავდი... როდის დაიწყო ეს ყველაფერი? ვერ გეტყვი. მარტო ის ვიცი, რომ ახლა უნდა დამთავრდეს, რადგან მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! შენს გვერდით ყოფნა, შენთან ერთად სიცილი, კაცობრიობის მომავალზე შენთან საუბარი, მაშინ როცა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როდის შემეხები ხელით, უკვე ჩემს ძალ-ღონეს აღემატება... აღარ შემიძლია გიყურო, როგორ მირბიხარ ფეხშიშველი ქვიშაზე, როგორ გიფრიალებს კაბას ქარი... ცხოვრების აზრზე შენთან კამათი და თან იმაზე ფიქრი, როდის გამოგიჩნდება მკერდი გახსნილ საკინძეში – ეს ჩემთვის აუტანელია!

– არ გინდა, ანდრეი...

– ჩაიჩურჩულა კირამ.

ანდრეი კი თითქოს სიყვარულს კი არ უხსნიდა, დანაშაულს აღიარებდა:

– არ ვიცი, რატომ გეუბნები ამ ყველაფერს! დარწმუნებულიც კი არა ვარ, მართლა თუ გეუბნები ამას... სიზმარში მგონია თავი. არადა ვინ იცის, რამდენჯერ მიმეორებია იგივე საკუთარი თავისთვის! არა, აქ არ უნდა მოსულიყავი... მე შენი მეგობარი არა ვარ და უკვე სულ ერთია, გატკენ გულს თუ არა. ერთადერთი სურვილიღა დამრჩენია – მე შენ მინდიხარ!

– ანდრეი...

– ისევ ჩურჩულით თქვა კირამ.

– ეგ არ ვიცოდი...

– არც მინდოდა გცოდნოდა! შეგნებულად გერიდებოდი, წერტილი მინდოდა დამესვა ყველაფრისთვის. ვერც ხვდები, რა დღეში ვიყავი – სხვაზე ვერც ვერაფერზე ვფიქრობდი! ამას წინათ, ჩხრეკა ჩავატარეთ ერთი ქალის ბინაში და მერე დავაპატიმრეთ კიდეც. ფეხებში ჩამივარდა, ღამის პერანგის ამარა... ტიროდა და მევედრებო-

და, შემიწყალეთო. მაშინვე შენ გამახსენდი – წარმოვიდგინე, როგორ გორავდი იატაკზე ღამისპერანგიანი, დანდობას მთხოვდი სწორედ ისე, როგორც მე ამდენი ხნის განმავლობაში გთხოვდი ჩემს ფიქრებში... მართლა შენ რომ ყოფილიყავი მაშინ იქ, იმ ქალის ადგილას, ალბათ იატაკზევე დაგაცხრებოდი, მთელი იმ ხალხის თვალწინ... მერე ალბათ, ტყვიასაც დაგახლიდი და თავსაც აღარ ვიცოცხლებდი, მაგრამ არ ვინანებდი, იმიტომ რომ მოსახდენი მაინც მოხდებოდა... ისიც ბევრჯერ მიფიქრია, ხომ არ დავაპატიმრო-მეთქი, შუაღამისას – წავიყვანო სადმე და ამდენი ხნის დაგუბებული ნატვრაც ავიხდინო-მეთქი! ხომ იცი, შემეძლო ამის გაკეთება... იმ ღამით კი, იმ ქალს დავცინე და ფეხით მოვიშორე. ჩემიანები გაოცებულები მიყურებდნენ, მსგავსი ხომ მანამდე არაფერი ჩამიდენია. ქალი ციხეში წაიყვანეს, მე კი რაღაც სულელური მიზეზი მოვიგონე, იქაურობას გამოვეცალე და მარტო წამოვედი შინისაკენ. მთელი გზა შენზე ვფიქრობდი... ნუ მიყურებ ეგრე და ნუ გეშინია, შენ არაფერს დაგიშავებ... და ვერც ვერაფერს შემოგთავაზებ. ვერც სიცოცხლეს შემოგწირავ, ჩემი ცხოვრების ოცდარვა წელი სწორედ ისაა, რაც შენ ყველაზე მეტად გძულს. შენ კი სწორედ ისა ხარ, რაც მეგონა რომ სამარადისოდ შემზიზღდებოდა... მაგრამ მე შენ მინდიხარ და ყველაფერს დავთმობდი რაც მაქვს, რაც როდისმე შეიძლება მქონოდა, იმისთვის რასაც შენ ვერასოდეს გამოიმეტებ, კირა!

ხედავდა მის ფართოდ გახელილ, სრულიად გაოგნებულ თვალებს.

– რა თქვი ახლა, ანდრეი? – აღმოხდა კირას.

– რა ვთქვი და... ყველაფერს დავთმობდი-მეთქი, ოღონდ კი შენ...

კირას შეძრწუნებულ მზერაში სწორედ ის იკითხებოდა, რამაც წამის წინ გაუელვა თავში.

– ანდრეი... აჯობებს, წავიდე... ახლავე.

– წაიჩურჩულა მთელი ტანით აცახცახებულმა.

ის კი ჯიქურ მიჩერებოდა, მერე მიუახლოვდა, წინ აესვეტა და

უეცრად, დაგუდული, ჩავარდნილი ხმით ჰკითხა:

– ან იქნებ, მაინც... შეგიძლია... კირა?

კირა ახლა ამაზე საერთოდ არ ფიქრობდა; არ ფიქრობდა არც ლეოზე. რატომღაც, მარია პეტროვნა გაახსენდა, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე, წითელი ქაფით ტუჩებმოთხვრილი. კუთხეში მიმწყვდეული ცხოველივით აკვროდა კედელს. მისი ათივე, გაფარჩხული თითი თეთრად შეღებილ კედელზე დაფათურობდა. ახლა ძალას მხოლოდ კაცის ხმაში, კაცის იმედშიღა პოულობდა. ნელ-ნელა გაიმართა წელში, მხრებში გასწორდა, თითის წვერებზე აიწია, თავი უკან გადააგდო ისე, რომ მისი ყელი სწორედ კაცის ტუჩების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

– შემიძლია! მიყვარხარ!

ფიქრობდა, რა უცნაურია იმ კაცის ტუჩების შეგრძნება, ვინც ლეო არ არისო. თან გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ჩურჩულით:

– კი, კი... უკვე დიდი ხანია... ოღონდ არ მეგონა, შენც თუ გიყვარდი...

გრძნობდა კაცის ხელებს, მის ტუჩებს და ვერ კი მიმხვდარიყო, იტანჯებოდა თუ ხარობდა; უკვე ვეღარც მისი მკლავების ძალას მიმხვდარიყო და ერთადერთი იმედიღა ჰქონდა – ყველაფერი სწრაფად და მალე მოხდებაო.

* * *

ფანჯრიდან შემომავალი ქუჩის შუქი თეთრ ოთხკუთხედში ჩახატულ შავი ჯვარივით ირეკლებოდა საწოლის თავზე. ამ თეთრი ლაქის ფონზე, კირა ანდრეის ბალიშზე დადებულ სახეს ხედავდა. კაცი ერთხელაც არ შერხეულა. კირას მსუბუქად ედო მკლავი მის შიშველ

სხეულზე და მკერდში გულის ფეთქვის გარდა, სხვა ვერანაირ მოძრაობას ვერ შეიგრძნობდა.

კირამ საბანი გადაიძრო, წამოჯდა. მკლავები მკერდზე გადაიჯვარედინა და ხელის თითებით საკუთარ შიშველ მხრებს მოეჭიდა.

– ანდრეი, შინ მივდივარ.

– ახლა არ წახვიდე, კირა! არა ამ ღამით...

– უნდა წავიდე..

– მინდა რომ დარჩე, დილამდე მაინც.

– არ შემიძლია, ანდრეი. ხომ იცი, ოჯახი... საერთოდაც, ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

– კირა, ცოლად გამომყვები?

კირამ არაფერი უპასუხა. ანდრეიმ იგრძნო, როგორ ცახცახებდა ქალი. ისევ დააწვინა, საბანი დააფარა. ნიკაპამდე აუწია.

– რისი გეშინია, კირა? – არ შემიძლია ასე, ანდრეი.

– მიყვარხარ...

– ანდრეი, ჩემს ოჯახსაც ხომ უნდა გაუწიო ანგარიში. შენ კომუნისტი ხარ. ისინი ვინ არიან, კარგად იცი. უნდა გამიგო, ისედაც იმდენი ტანჯვა გამოიარეს. შენ რომ გამოგყვე ცოლად, ეს უკვე მეტისმეტი იქნება. გინდაც დღევანდელი ამბავი რომ გაიგონ... ვერ გადაიტანენ. განა დაქორწინება აუცილებელია?

– არა, თუკი შენ ასე გირჩევნია...

– ანდრეი!

– რა იყო, კირა? – ყველაფერს შემისრულებ?

– ყველაფერს.

– მაშინ. ერთადერთ რამეს გთხოვ, საიდუმლოდ დარჩეს ეს ამბავი. ყველასთვის. მპირდები?

– გპირდები.

– იცი... მე ჩემს ოჯახს უნდა გავუწიო ანგარიში, შენ – შენს პარტიას... მე ხომ ისეთი საცოლე არა ვარ, პარტია რომ მოგიწონებს. ამიტომ, უკეთესი იქნება თუ... ცეცხლს ვეთამაშებით, ხომ გესმის?

ძალიან სახიფათოა ეს ყველაფერი. მოდი ვცადოთ და... იქნებ ცხოვრება მაინც არ დავინგრიოთ.

– ცხოვრება არ დავინგრიოთ? კირა! – ანდრეის გაეცინა, მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

– მაინც ორივესთვის უკეთესი იქნება, თუკი ეს არავის ეცოდინება, ჩვენს გარდა.

– კარგი, კირა. პირობას გაძლევ, რომ ჩვენ ორის გარდა, ამას ვერა სულიერი ვერ შეიტყობს.

– ახლა კი წავალ.

– არა, გთხოვ! ამაღამ მაინც ნუ წახვალ. რამე მოიგონე, როგორმე აუხსენი შენიანებს... ოღონდ ახლა დარჩი! არ შემიძლია შენი ასე გაშვება. კირა, გეხვეწები! როცა გავიღვიძებ, მინდა აქ დამხვდე... ძილი ნებისა, კირა...

* * *

კიდევ კარგა ხანს იწვა გაუნძრევლად, ვიდრე ანდრეის ღრმად არ დაეძინებოდა. მერეღა გამოძვრა უხმაუროდ საბანსქვემოდან. სუნთქვაშეკრულმა და ფეხშიშველმა, ჩუმად გადაირბინა ცივ იატაკზე და საჩქაროდ ჩაიცვა ტანზე. ანდრეის არ გაუგონია, როგორ გააღო კირამ კარი და როგორ გასხლტა ოთახიდან.

გრძელ, ცარიელ ქუჩებში ქარი ზუზუნებდა, ცას კი ტყვიისფერი დაკრავდა. სწრაფად მიაბიჯებდა – თითქოს გრძნობდა რომ რაღაცას უნდა გაქცეოდა.

ჩამკვდარი, ჩაშავებული ფანჯრის შუშები კუშტად, დარაჯებივით აყოლებდნენ თვალს, უსასრულოდ ჩარიგებულები მის ამ სავალ გზაზე. კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს. მისი ნაბიჯების ხმა მეტისმეტად ხმამაღლა მოისმოდა და მთელი ქალაქის სახლებიც ექოდ ადევნებოდნენ უკან, თითქოს კივილით მოსძახოდნენ რაღაცას. სულ უფრო და უფრო გამალებული მიიწევდა წინ. ქარი პალტოს კალთებს უფრიალებდა მუხლებსზემოთ და ფეხებს შორის ებლანდებოდა. წითელ

დროშა შემართული მუშის პლაკატს ჩაუარა. მუშა იცინოდა.

ჩაბნელებულ ვიტრინებსა და ქუჩის ლამპიონების ბოძებს შორის უცებ, სირბილზე გადავიდა. მისი ნაბიჯების ხმა ახლა ტყვიამფრქვევის ჯერივით მოისმოდა, გამალებული ფეხები კი დატრიალებული ბორბლის მანებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. თავადაც ვერ გეტყოდათ – მირბოდა, მიფრინავდა თუ მისივე არსებაში ჩაბუდებულ რაღაც იდუმალ ძალას გაეტყორცნა წინ, სივრცეში. თუმცა დარწმუნებული კი იყო – ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგად იქნება, თუ კიდევ უფრო სწრაფად გავიქცევიო.

ქოშინით აათავა კიბის საფეხურები. საკუთარი ბინის კართანღა შედგა, ზარის ღილაკს მიაჩერდა, სული მოითქვა. მხოლოდ მაშინ მიხვდა უეცრად, შინ შესვლას ვერ მოვახერხებო. არაფრით არ შეეძლო საკუთარი სხეული ეიძულებინა, ლეოს ოთახამდე მისულიყო, მის საწოლში ჩაწოლილიყო, მის გვერდით. მაინც შეეხო ხელის თითებით კარს, თითქოს მოსინჯაო, მაგრამ გაღება ვერ გაბედა.

კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. ამ ჩაკეტილი კარის მიღმა თითქოს ხედავდა და გრძნობდა კიდეც ლეოს – მძიმე-მძიმედ, გაჭირვებით რომ სუნთქავდა ძილში. კარგა ხანს იჯდა ასე, მზერაგამოცარიელებული. მერე, როცა თავი მიაბრუნა და სადარბაზოს ფანჯარას გახედა, ცის მკრთალმა სილურჯემ მიახვედრა, ღამე გასულიყო. წამოდგა, ხელჩანთიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ბინაში შევიდა. ლეოს ეძინა. კირა ფანჯარასთან ჩამოჯდა და ერთიანად მოიბუზა. ლეო ვერასოდეს მიხვდებოდა, როდის დაბრუნდა ის სახლში.

* * *

ლეო სამხრეთში მიემგზავრებოდა. ბარგი უკვე ჩაელაგებინა, მატარებლის ბილეთიც ჯიბეში ედო. მას იალტის ერთ-ერთ კერძო სანატორიუმში ელოდნენ, სადაც წინდაწინ გადარიცხეს ერთი თვის ფული.

ამ ფულის წარმომავლობა კირამ შემდეგნაირად აუხსნა:

– იცი, როცა მამიდაშენს ბერლინში წერილი გავუგზავნე, მაშინ ბიძაჩემსაც მივწერე ბუდაპეშტში. რა, არ იცოდი, ბუდაპეშტში ბიძა რომ მყავს? არასოდეს მითქვამს? აქამდე იქნებ იმიტომაც არ მიხსენებია, ჩვენები დამდურებულები რომ არიან მასთან... რუსეთიდან ჯერ კიდევ ომამდე გაიქცა და მამაჩემმა იმის სახელის ხსენებაც კი აგვიკრძალა. არადა, ცუდი კაცი არაა, მეც ყოველთვის გამორჩეულად ვუყვარდი... მოკლედ, მივწერე, იმანაც ფული გამომიგზავნა და შემომითვალა – როცა დაგჭირდეს, არ მომერიდოო. ოღონდ იცოდე, ჩვენებთან ამის თაობაზე კრინტი არ დაგცდეს, თორემ მამაჩემი... მოკლედ, თვითონაც გესმის."

ცოტა არ იყოს, თავადაც გაუკვირდა – ეს რა იოლი და მარტივი ყოფილა ტყუილის თქმაო.

– რაც შეეხება ანდრეის. იმასთან ერთხელ, თითქოს სასხვათაშორისოდ ახსენა – ჩემი ოჯახი შიმშილის პირასაა მისულიო. ანდრეისაც მეტი არც არაფერი უკითხავს. მთლიანად ჩაუთვალა მთელი თავისი ხელფასი და უთხრა, რამდენიც გჭირდება, იმდენი დაიტოვეო. რა თქმა უნდა. კირა სწორედ ამას ელოდა, მაგრამ მაინც უხერხულად იგრძნო თავი. როცა ფული გამოართვა. მერე ამხანაგი კომისარის ნათქვამიც გაახსენდა – რა ბედენაა, თუკი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ვიღაც არისტოკრატს სული ამოხდებაო... ადგა და ულაპარაკოდ ჩაიდო ფული ჯიბეში.

ოღონდ ყველაზე მეტად, მაინც ლეოს გამგზავრებაზე დაყოლიება გაუჭირდა. შენი და მით უმეტეს, ბიძაშენის კმაყოფაზე ვერ ვიქნებიო, გაიძახოდა. ხან მშვიდად ცდილობდა კირასთვის ამის ახსნას, ხან კი ბრაზს ვერ ერეოდა და ყვირილზეც გადადიოდა. ვინ იცის, რამდენი საათი, რამდენი საღამო დასჭირდა იმის დარწმუნებას!

– ლეო, რა მნიშვნელობა აქვს, შენია ეს ფული, ჩემი თუ ვინმე სხვისი? ვითომ ეგაა მთავარი? შენ გინდა რომ იცოცხლო, მეც მინდა რომ ცოცხალი იყო და ეგ ჯერ კიდევ შესაძლებელია... თან აკი ამბობ

– მიყვარხარო! ნუთუ იმდენად მაინც არ გიყვარვარ, ჩემი გულისთვის რომ იცოცხლო? ვიცი, ძნელი იქნება ექვსი თვე – მთელი ზამთარი და გაზაფხული... მომენატრები, ძალიან მომენატრები, მაგრამ მაგასაც გავუძლებთ... ლეო, მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ და ჯერ კიდევ ხომ წინა გვაქვს ყველაფერი...

საბოლოოდ, კირამ გაიმარჯვა.

მატარებელი საღამოს ცხრის ნახევარზე გადიოდა. ცხრაზე ანდრეის უნდა შეხვედროდა. სთხოვა, ახალი კაბარეს გახსნაზე წამიყვანეო.

ხმისამოუღებლად გამოვიდნენ ბინიდან და სადგურისკენ მიმავალ ეტლშიც მთელი გზა უხმოდ ისხდნენ. კირა ვაგონში აჰყვა ლეოს – სურდა საკუთარი თვალით ენახა ხის ის საწოლი, რომელზეც მას არაერთი ღამის გატარება მოუწევდა. საგანგებოდ გამოეყოლებინა ხელისთვის ბალიში და თბილი პლედიც. მერე ისევ ბაქანზე ჩამოვიდნენ და ვაგონის წინ გაჩერდნენ. არაფერი ჰქონდათ სათქმელი. როცა პირველი სასტვენის ხმა გაისმა, ლეომ უთხრა:

– კირა, ძალიან გთხოვ, მატარებელი რომ დაიძრება, რამე სისულელეები არ დაიწყო... იცოდე, მე ფანჯრიდან არ გამოგხედავ. არ მინდა არც ხელის ქნევა და არც შენი ვაგონის ადევნება... ხომ იცი, არ მიყვარს ეგეთები.

– კარგი, ლეო. კირამ თუჯის ბოძზე გაკრულ პლაკატს ახედა. საღამოს ცხრა საათზე, ახალი კაბარე იხსნებოდა ქალაქში და ჯაზ-ორკესტრის, საზღვარგარეთული ფოქსტროტისა და გემრიელი საჭმლის მოყვარულებს იქ ეპატიჟებოდნენ. თითქოს მხოლოდ ახლაღა გაიაზრა ყველაფერიო, კირამ შეფიქრიანებულმა, გაოცებულმა და ცოტა არ იყოს, შეშინებულმაც კი ჩაილაპარაკა:

– ლეო... ცხრა საათზე... შენ აქ უკვე აღარ იქნები.

– ეგრეა, აღარ ვიქნები. მესამედაც ჩასტვინეს სასტვენს.

ლეომ უხეშად ჩაიკრა გულში კირა და ისე მაგრად აკოცა, ქალს კინაღამ სული შეუგუბდა. მატარებელმა ყურისწამღებად დაიკივლა.

ლეომ კირას ხელი უშვა და ყურში ჩასცურჩულა:

– კირა... ჩემო ერთადერთო... მიყვარხარ... ძალიან მიყვარხარ...

უკვე დაძრული ვაგონის კიბის საფეხურზე შეხტა და გაუჩინარდა. ფანჯრიდან მართლაც აღარ გამოუხედავს.

კირა იდგა, ესმოდა როგორ გაიღრჭიალა ლითონმა, როგორ ახვნეშდა სადღაც წინ ორთქლმავალი, ბორბლებიც მძიმედ ადგანდგარდა ლიანდაგზე. რკინის ჩარდახქვეშ ბოლის ქულები დატრიალდა. მის წინ, ყვითლად განათებული ფანჯრების რიგმა ჩაიქროლა. მთელს სადგურში კარბოლის მჟავის უსიამო სუნი იდგა. ფანჯრები უფრო და უფრო სწრაფად მიქროდნენ და ერთ, უწყვეტ, ყვითელ ზოლად მთლიანდებოდნენ. არაფერი ჩანდა ორთქლის, ბოლისა და სადღაც წინ, ღრმა ხაროსავით ჩაშავებული ცის ნაგლეჯის გარდა.

უცებ იაზრა – ეს მატარებელია, ამ მატარებელში ლეო ზის და სადღაც, ჩემგან შორს მიექანებაო. რაღაც შიშზე უფრო ძლიერმა, მოურეველმა და უსახელო გრძნობამ დარია ხელი, ადგილს მოსწყდა და მატარებელს გაეკიდა, თან რკინის სახელურს ჩააფრინდა მთელი ძალით – უნდოდა მატარებელი გაეჩერებინა. იცოდა, რაღაც ვეება, უსაშველო ემუქრებოდა, რაც უთუოდ უნდა შეეჩერებინა, რასაც მის გარდა სხვა ვერც ვერავინ შეაჩერებდა, ოღონდ ამის გაკეთება მაინც არ შეეძლო. წაიბორძიკა, წაიქცა, ხის ფიცარნაგზე გაათრია სიჩქარეაკრეფილმა მატარებელმა, მაგრამ უცებ ვიღაც ჩაფსკვნილმა, წოწოლაქუდიანმა, ზედ ვარსკვლავმიბნეულმა წითელარმიელმა მხარში მაგრად ჩაავლო ხელი, სახელურს მოგლიჯა და გვერდზე მიაგდო.

– გაგიჟდი?! რას აკეთებ? – უღრიალა კირას.

ნაწილი მეორე

I

თავიდან იყო სანკტ-პეტერბურგი; ომმა ის პეტროგრადად აქცია, ხოლო რევოლუციამ – ლენინგრადად.

ესაა ქვის ქალაქი და მისი მაცხოვრებლებიც ამ ქვას საიდანღაც მოტანილად და მწვანე მიწაზე ერთმანეთზე ნათალ ლოდებად დალაგებულად კი არ აღიქვამენ, არამედ ერთ უზარმაზარ კლდედ, რომელშიც ქუჩები, ხიდები, სახლები გამოუკვეთავთ, მერე იქ მუჭა-მუჭა მოტანილი მიწაც მიმოუფანტავთ და ახლა იმის შეხსენებასღა ემსახურება, რომ ამ ქვის ქალაქის მიღმა კიდევ რაღაც სხვა რამეც არსებობს.

აქ, გრანიტის სამფლობელოში, ხეები იშვიათ სტუმრებს ჰგვანან, ავადმყოფური გარეგნობის უცხოელებს, შემკრთალებსა და დამორცხვებულებს; ხოლო ქალაქის პარკები – ბუნებისადმი იძულებით გადახდილ ხარკს. გაზაფხულობით, აქაური სანაპიროების ფილაქანს შორის, აქა-იქ ყვითლად მოკიაფე თავს ამოყოფს ხოლმე ბაბუაწვერა და გამვლელებიც ისე შემწყნარებლურად დაჰღიმიან, როგორც ვინმე ონავარ ბავშვს. აქაური გაზაფხულიც არ ამოდის მიწიდან: პირველი იები და წითელი ტიტები, ისევე როგორც სილურჯით გამორჩეული სუმბული, ქუჩის კუთხეში მდგარი ყვავილების გამყიდველების მეშვეობით ესტუმრება ხოლმე ქალაქს.

პეტროგრადია არ დაბადებულა, ის შეიქმნა. ადამიანთა ნებამ წამოჭიმა სწორედ იქ, სადაც მანამდე თაობები ერიდებოდნენ დასახლებას. გოროზმა ხელმწიფემ ბრძანა, ამ ადგილას ქალაქის გაშენება მინებებიაო და მიწაც კი შორიდან მოაზიდინა. ამ მიწით უნდა ამოეშროთ ჭანჭრობები, სადაც კოღოს მეტი, სხვა არცერთი ცოცხალი

არსება არ ბინადრობდა. ადამიანებიც სწორედ კოღოსავით იხოცებოდნენ და უკანასკნელ განსასვენებელსაც ბუყბუყა ჭაობის სიღრმეში პოულობდნენ. ახალი დედაქალაქის მშენებლობისთვის საკუთარი ნებით არავის მოუკიდია ხელი – მისი აშენება ჯარისკაცების ჭაპან-წყვეტამ განაპირობა, ათასობით ჯარისკაცის, მთელი პოლკების, რომლებიც ბრძანებას ემორჩილებოდნენ და არჩევანიც მწირი ჰქონდათ: ან ბრძოლის ველზე მტრის ტყვიით სიკვდილი, ანდა ამ ჭაობებთან პირისპირ შებმა. პანტა-პუნტით იხოცებოდნენ, ქალაქი კი მაინც აშენდა მათ მიერ მოზიდულ მიწაზე და მათსავე ძვლებზე. პეტროგრადი ჩონჩხებზე დგასო, ამბობენ ხოლმე აქაურები.

პეტროგრადს ფაცა-ფუცი არ სჩვევია, მაგრამ ვერც სიზანტეს დააბრალებ; დახვეწილია და დინჯი, როგორც შეეფერება კიდეც მისი განიერი ქუჩების სილაღეს. ესაა ჭაობებსა და ფიჭვის ტყეებს შორის განფენილი ქალაქი. მდიდრული, ამაყად მკლავებგაშლილი. მისი მოედნები მოკირწყლული მინდვრებია, მისი ქუჩები კი ისეთივე ფართო, როგორც ნებისმიერ დიად ქალაქზე გამდინარე მდინარეთაგან უგანიერესი ნევას შენაკადები.

ნევას გამზირზე, დედაქალაქის უმთავრეს ქუჩაზე, არაერთმა გარდასულმა თაობამ ააშენა სახლები მომავალი თაობებისათვის. ეს მკვრივი, შეურყეველი ნაგებობები ციხე-სიმაგრეებს ჰგვანან: სქელი კედლები აქვთ და სათოფურებივით ღრმა ნიშებში ჩასმული ფანჯრები, რომლებიც მოწითალო-მოყავისფრო გრანიტის ტროტუარებს გადასცქერიან. ალექსანდრე მესამის – ვეება, რუხ ცხენზე ამხედრებული, ვეება რუხი კაცის ძეგლიდან მკაცრ, სწორ ხაზებად მიემართება ვერცხლისფერი ლიანდაგები, კარგა მოშორებით მდგარი საადმირალოს შენობისაკენ, მისი თეთრსვეტებიანი პარმაღისა და მოოქროვილი გუმბათის წვერისაკენ – გვირგვინად, ერთგვარ სიმბოლოდ, ნევას გამზირის საფირმო ნიშანივით რომ მოჩანს ცის დაჩეხილ დასალიერზე; იმ ქუჩას რომ დასცქერის ზემოდან, რომლის უცნაურად აწოწილ, აივნებიან, კარიატიდებიან სახლებს სამარადისოდ

შერჩენია ქვაში ნაკვეთი ქალაქის უძრავი სახის მარად უცვლელი ნაკვთები.

გამზირის ზედ შუაწელზე, ანიჩკოვის სასახლის მომცრო, მოოქროვილ გუმბათს ოქროს ჯვარი ადგას. თავად სასახლე წითელი კუბის მსგავსი შენობაა – სადა, რუხფანჯრებიანი. ცოტა იქით, სასახლის ოდნავ მოშორებით კი საბრძოლო ორთვალაში შებმული ცხენები შემდგარან ყალყზე, ალექსანდრეს თეატრის ამაყ სვეტებს მოქცევიან ზემოდან და შავი თავები ცისკენ აუწვდენიათ. სასახლე ყაზარმას უფრო წააგავს, თეატრი კი სასახლე გეგონებათ.

სასახლის წინ ნევას გამზირს ბობოქარი, ტალახიანი ნაკადი ჰკვეთს, რომელზეც თაღოვანი ხიდია გადებული. ხიდის ოთხ კუთხეს ოთხი შავი ქანდაკი ამშვენებს. შეიძლება ეს სულაც უბრალო, შემთხვევითი სამშვენისი იყოს, შეიძლება – თავად პეტროგრადის იდუმალი სული; ანუ – იმ ქალაქისა, რომელიც ადამიანმა ბუნების ნების საწინააღმდეგოდ გააშენა. თითოეული ეს ქანდაკება ცხენსა და ადამიანს გამოსახავს. ყალყზე შემდგარ პირველ ცხენს მძლავრი ფლოქვები შიშველი, დაჩოქილი მამაკაცის თავზე შეუმართავს, რომელიც ხელებაწვდილი ცდილობს, ლაგამზე წაეტანოს ამ ურჩხულს. მეორე ქანდაკება უკვე ცალ მუხლზე წამოწეულ კაცს გამოსახავს: უკან გადახრილს, ბარძაყისა და მკლავების კუნთები კანქვეშ დასკდომამდე დაძაგვრია და სამკვდრო-სასიცოცხლო – ბრძოლის გადამწყვეტ წამს, მთელი ძალით ჩაფრენია ლაგამს. მესამე ქანდაკება უკვე პირისპირ მდგომ ცხენსა და კაცს წარმოადგენს: კაცი ახლა მყარად დგას ფეხზე, თავი ზედ გაოცებული პირუტყვის ნესტოებთან მიუტანია, რომელმაც პირველად იგრძნო პატრონის ძალა. მეოთხე ქანდაკება კი მოთვინიერებული ცხენისაა, მშვიდად რომ მიჰყვება მაღალ, ტანად, საკუთარი გამარჯვებით ამაყად თავაწეულ კაცს, რომელიც თავდაჯერებული მზერით შეჰყურებს ჯერ გაურკვეველ მომავალს.

ზამთრის ღამეებში ნევას გამზირს დიდი, თეთრი, თითქოს მძივე-

ბად ასხმული ბურთების შუქი ედება და ამ შუქზე თოვლის ფანტელები მარილის ნაფშხვენებივით ციმციმებს. შორს, სილბოშეპარულ წყვდიადში, აქა-იქ წითლად, მწვანედ, ყვითლად კრთება ტრამვაის ფერადი ნათურები და ყინვით აცრემლებული წამწამებიდან, ის თეთრი ბურთებიც ჩამუქებულ ცაზე პროჟექტორების მორიალე, გადაჯვარედინებული სხივებივით მოჩანს.

გამზირი მდინარე ნევას ნაპირიდან იწყება – ნავსაყუდელიდან, რომელიც კოხტა, ლამაზ სასტუმრო ოთახს წააგავს. წითელი გრანიტის მოაჯირი და სწორკუთხა, მაღალფანჯრებიანი, სადასვეტებიანი სასახლეების რიგი, ერთგვარი მამაკაცური დახვეწილობის წყალობით, ასე ვთქვათ, სიმკაცრის, სიმდიდრისა და სრული ჰარმონიის შთაბეჭდილებას ქმნის.

– მდინარის ერთი ნაპირიდან, პეტროგრადის უდიდესი შენობა – ზამთრის სასახლე, მეორე ნაპირზე მდგარ პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეს გასცქერის – პეტროგრადის ყველაზე დიდ საპყრობილეს. მეფეები ზამთრის სასახლეში ცხოვრობდნენ, როცა კვდებოდნენ, მდინარე ნევას გადალახავდნენ ხოლმე და მათ საფლავებსაც ხსენებული სიმაგრის ეკლესიაში, თეთრ ფილებს ადებდნენ ზემოდან. თავად საპყრობილე ამ ეკლესიის უკან იდგა. ციხე-სიმაგრის კედლები მკვდარ მეფეებს ედგნენ გუშაგებად, ისევე როგორც მეფეთა ცოცხალ მტრებს; სასახლის დარბაზებში კი მაღალი სარკეები სწორედ იმ გალავანს ირეკლავდა, რომლის მიღმაც ადამიანები ათწლეულობით იმარხებოდნენ ცოცხლად ქვის ვიწრო საკნებში.

– მდინარეზე ხიდები წაგრძელებულ, ფოლადის კუზებად ირკალებიან, რომლებსაც შუამდე ტაატით მიუყვება ტრამვაი, მერე კი მსუბუქად, წკარუნ-წკარუნით ეშვება თავქვე, მეორე ნაპირისაკენ. მარჯვენა სანაპიროს, რომელიც ზედ ციხე-სიმაგრის იქით იწყება, თანდათანობით სწორედ ის ბუნება ეპატრონება, რომელიც თავის დროზე ქალაქმა შეავიწროვა და საკუთარი ფარგლებიდან განდევნა. კამენნოოსტროვსკი – ეს განიერი, წყნარი, უსასრულო გამზირი –

მოახლოებული ზღვის სურნელით გაჯერებულ ნაკადს ჰგავს. ამ ქუ-ჩის ფილაქანზე გადადგმულმა თითოეულმა ნაბიჯმა კი საცაა, თით-ქოს სოფლად უნდა გაგიყვანოს. გამზირიც, ქალაქიცა და მდინარეც კუნძულებთან ბოლოვდება – იქ, სადაც მდინარე ნევა ერთმანეთთან კოხტა ხიდებით მიბმული ხმელეთის ნაგლეჯებს შორის იტოტება; იქ, სადაც ყინულის მძიმე, თეთრი ლოდები ერთმანეთზე აზიდულან, მუქმწვანე წყლის ზღუდეს მომდგარნი; სადაც თეთრი, ქათქათა თოვლის სრულ სითეთრეს მხოლოდ ნაძვებს დაცვენილი წიწვები და ჩიტების ნაფეხურები არღვევს; სადაც უკანასკნელ კუნძულს მიღმა, ცა და მიწა წყლის საღებავებით შესრულებულ, რუხ, დაუსრულებელ ნახატს ემსგავსება, რომელზეც ოდნავ შესამჩნევადღა იკვეთება უხილავი დასალიერის მუქი-მწვანე ზოლი.

თუმცა პეტროგრადში პატარ-პატარა ქუჩაც ბევრია. ოღონდ ასე-თი ქუჩები წვიმით გადარეცხილ ქვასავით უფერულია ხოლმე და ზუსტად ღრუბლიანი ცისა და ტალახის ფერი ადევს. ეს შიშველი ქუ-ჩაბანდები ციხის დერეფნებს ჰგვანან და მართლა ციხისდაგვარი ოთხკუთხა შენობების დერეფნებივით იკვეთებიან, ღამ-ღამობით კი აქაური, მუდამ ატალახებული ეზოები საგულდაგულოდ იკეტება თუჯის მძიმე, ძველი ჭიშკრებით.

აქ პატარ-პატარა, უჟმურვიტრინებიანი მაღაზიები გახუნებული აბრებით იბღვირებიან, ხოლო ხელისგულისოდენა პარკებს მიმჭკნა-რი, ასწლეულობით ერთმანეთზე ფენა-ფენა ნაგროვები ტალახითა და მტვრით დაფარული, უღონო ბალახი უხუთავს სულს. რკინის მო-აჯირები დარაჯობენ კედლებშორის ძალით მოქცეულ, ნაგვით სავსე წყალს არხებში; ბნელ კუთხეებში ობლების თავშესაფრებისათვის შესაწირი ხურდა ფულის შესაგროვებელი თუნუქის ყუთები ჰკიდია, რომელთა თავზეც ღვთისმშობლის ჟანგშეპარული ხატები მიუმაგ-რებიათ.

უფრო ზემოთ მდინარე სენას აყოლებაზე, წითელი აგურის საკვა-

მურების ტყე აღმართულა – შავ-შავი კვამლის მფრქვეველი, რომელიც მერე კარგა ხანს ჰკიდია ძველი, წელში მოხრილი ხის სახლების, სანაპიროს ლპობაშეპარული ფიცარნაგისა თუ ყველაფრისადმი გულგრილი მდინარის თავზე. წვიმა დუნედ ცრის ამ ჭვარტლს – სწორედ წვიმა, კვამლი და ქვა ქცეულა ამ ქალაქის ლაიტმოტივად.

პეტროგრადის მცხოვრებლები ზოგჯერ საგონებელშიც ვარდებიან: ნეტა რა უხილავი ძაფები გვაბამს აქაურობასთანო? გრძელი ზამთრის შემდეგ, ყველა ერთხმად წყევლის ტალახიან ჭყაპსა და თოვლს, ყველას ფიჭვის ტყეები ენატრება. ისე გაურბიან ქალაქს, როგორც საძულველ დედინაცვალს – მწვანე ბალახისკენ, ქვიშიანი სანაპიროებისაკენ ანდა სულაც, ევროპის კაშკაშა დედაქალაქებისკენ უჭირავთ თვალი. გვიან შემოდგომითღა უბრუნდებიან თავიანთ უტეხ ქალბატონს – მის ფართო ქუჩებს, მოხრიგინე ტრამვაებსა და ცივ ქვაფენილებს დანატრებულნი. უკვე დამშვიდებულები, დასვენებულები, თითქოსდა ცხოვრების ერთხელ კიდევ, ახლიდან დასაწყებად. „პეტროგრადი ერთადერთი ნამდვილი ქალაქია! " – გაიძახიან აქაურები.

საერთოდ, ქალაქები ტყესავით, ეგებ სარეველასავითაც კი იზრდება. ოღონდ პეტროგრადი არ გაზრდილა – ის უკვე დასრულებული და სრულყოფილი გაჩნდა. მის გაჩენაში ბუნებას ხელი არ ურევია, ის თავიდან ბოლომდე ადამიანის შემოქმედების ნაყოფია.

ბუნება შეცდომებსაც უშვებს და ბედის გამოცდაც სჩვევია; ფერებს თამამად ურევს ერთმანეთში და სწორი ხაზებისაც ნაკლებად გაეგება. მაგრამ პეტროგრადი იმ კაცის ქმნილებაა, ვინც ზუსტად იცის თუ რა სურს.

– ამ ქალაქის დიდებულება შეუბღალავი დარჩა, მისი სიმახინჯე კი არაფერს შეულამაზებია. აქაური მკაფიო, მკვეთრი ხაზები ადამიანის სრულყოფილებისადმი ჯიუტი სწრაფვის აშკარა საბუთად გამოდგება.

საზოგადოდ, ნებისმიერი ქალაქი თავის მაცხოვრებლებთან ერთად იზრდება, თითოეულ მათგანს პირველობისთვის ბრძოლა ახასიათებს და თან დინჯად მიუყვება წლების კიბეს. ოღონდ პეტროგრადს არასოდეს უვლია ამ კიბის საფეხურებზე – ის იმთავითვე სულ ზემოთ იდგა. ბრძანების თანახმად, სწორედ მას უნდა ებატონა დანარჩენ ქალაქებზე. ჯერ პირველი ქვა არ დაედოთ და ის უკვე დედაქალაქად შეირაცხა, რადგან კაცის ურყევი სულის ძეგლად გახლდათ ჩაფიქრებული.

ოღონდ ადამიანებს სულისა არც არაფერი გაეგებათ, რადგან ისინი მხოლოდ ბუნების ნაწილი არიან, „კაცი" კი ის ცნებაა, რომელსაც მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია. პეტროგრადი ადამიანებს არ შეუქმნია, ის სწორედ იმ ერთი კაცის ნებამ შვა. მასზე თქმულებები არ შეუთხზავთ, ზეპირსიტყვიერებაში არ აუსახავთ და არც ხალხურ სიმღერებში განუდიდებიათ რუსეთის უსასრულო გზებზე მოხეტიალეთ. ეს ქალაქი უცხოა, ეული, შიშის მომგვრელი, უკარება. მის გრანიტის კარიბჭეს არასოდეს მისდგომიან მომლოცველები, არასოდეს გაუღიათ მისი ჭიშკრები მიუსაფართა, ნეტართა, სალოსთა მისაგებებლად, როგორც ეს გულისხმიერ მოსკოვს სჩვეოდა. პეტროგრადს არაფერში სჭირდება სული, მას გონება აქვს.

ვინ იცის, ეგებ არცაა შემთხვევითი, რომ რუსულ ენაში მოსკოვი მდედრობითი სქესისაა, პეტროგრადი კი – მამრობითის.

და ალბათ, შემთხვევითობად არც ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხალხის სახელით ქვეყნის სათავეში მოსულებმა, გოროზი და თავმომწონ. არისტოკრატიული პეტროგრადიდან დედაქალაქი სწორედ თავმდაბალ მოსკოვში გადაიტანეს.

1924 წელს, ლენინად წოდებული კაცის სიკვდილის შემდეგ, ბრძანეს ქალაქისთვის ახლა უკვე „ლენინგრადი" დაერქმიათ. რევოლუციამ ასევე ააჭრელა ქალაქის კედლები პლაკატებით, მისი სახლები წითელი დროშებით მორთო, ქვაფენილები კი მზესუმზირის ჩენჩოთი მოფინა. ალექსანდრე მესამეს ქანდაკების კვარცხლბეკზე,

სწორედ იმ დროს ამოკვეთა პროლეტარული ლექსის სტრიქონები, ნევას გამზირის ერთ პატარა ბაღში მდგარ ეკატერინე მეორეს კი მომარჯვებულ კვერთხზე, წითელი დროშა ჩამოუკიდა. თავად ნევას გამზირს, რევოლუციამ – „ოქტომბრის პროსპექტი" უწოდა, მის გადამკვეთ სადოვაიას კი – „3 ივლისის ქუჩა", რადგან რევოლუცია აპირებდა სამარადისო პატა მიეგო დასამახსოვრებლად სავალდებულო თარიღებისათვის; და ახლა უკვე, ხმაჩახლეჩილი კონდუქტორი ქალები ყურისწამღებ გაჰყვიროდნენ: „25 ოქტომბრის და 3 ივლისის გადაკვეთა! ახალი ბილეთები შეიძინეთ, მოქალაქეებო! "

1925 წლის ზაფხულის დამდეგს, სახელმწიფო საფეიქრო ტრესტი, ახლებურად მოჩითული ბამბის ქსოვილები გამოუშვა და ქალაქი, ქუჩებიც, კარგა ხნის შემდეგ, პირველად გადაივსო ახალ კაბებში გამოწყობილი, მომღიმარი ქალებით.

– თუმცა, ფერადოვნების მხრივ, არჩევანი ერთობ მწირი გახლდათ – შავ-თეთრ უჯრედებიანი სამოსით მოსილი ქალები წამდაუწუმ ზუსტად მათსავით ჩაცმულებს ხვდებოდნენ; თეთრ-წითლად დაწინწკლულ კაბიანები კი – წითელ და თეთრწინწკლებიან კაბამორგებულ დობილებს. მოკლედ, თანდათან ყველანი მაინც ერთი, დიდი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ემსგავსებოდნენ – მოღუშულებს, დაბღვერილებს, ახალი სამოსის მორგების სიხარულისაგან უცებვე დაცლილებს.

ნევას გამზირზე, მაღაზიების ვიტრინებში ფაიფურის სახელმწიფო ტრესტმა უხარისხო ნაწარმი – ჩაის უგემოვნოდ, უშნოდ მოხატული სერვიზი გამოფინა, რომლის გაფორმებაზეც მავან ცნობილ, თანადროულ მხატვარს ეზრუნა; მაგრამ ეს სერვიზი რამდენიმე თვე მთლად ხელუხლებლად იდო ვიტრინაში, რადგან არავის აღმოაჩნდა მისი საყიდელი ფული.

მართალია, ვიტრინებში უცხოური წარმოების მოდური, ხელოვნური მასალის სამშვენისებიც ბრჭყვიალებდა – მძივები და პლასტმასის მრგვალი საყურეები, თუმცა სრულიად მიუწვდომელი ფასის

გამო, ისინიც საგულდაგულოდ დაცული აღმოჩნდა მათი მაცქერალი, მოღუშულსახიანი ქალებისაგან.

ნევას გამზირის ერთ-ერთ მომიჯნავე ქუჩაზე, უცხოური წიგნის მაღაზიაც გაიხსნა. თითქმის ორი სართულის სიმაღლეზე აწვდენილ ვიტრინაში საზღვარსგარედან შემოტანილი, მბზინავი, ფერადოვანყდიანი ტომეულები ელაგა ხელუხლებლად.

ნევას გამზირის განიერ, ახლა ერთიანად გამომშრალ ქვაფენილს ფერად-ფერადი ჩარდახები ჩრდილავდა, მზის შუქზე კი თვალისმომჭრელად კაშკაშებდა საგულდაგულოდ დაპრიალებული ბარომეტრების შუშა.

ერთ-ერთი შენობის კედელზე უზარმაზარი აფიშა გაეკრათ: ცნობილი მსახიობის დაძაბულსახიანი, დიდთვალა და გრძელფეხება გამოსახულება. ფუნჯის ძლიერი, თამამი მონასმებით შესრულებულ ამ პორტრეტს რომელიღაც გერმანული კინოფილმის სათაურიც ერთვოდა.

გამვლელებს ყველგან თვალში ხვდებოდათ წითელი თუ შავი, სამგლოვიარო ბაფთებით გაწყობილი პლაკატები, რომლებიდანაც აღმოსავლურად თვალებმოწკურული, წვერწაწვეტებული ლენინი იჭვნეულად იმზირებოდა.

ქუჩის კუთხეებში, მზის გულზე მჯდომი, ჩამოძონძილი მამაკაცები სახარინსა და ლენინის თაბაშირის ბიუსტებს ყიდდნენ. სატელეფონო სადენებზე ბეღურები ისხდნენ. კოოპერატივების შესასვლელებთან გრძელი რიგები მოჩანდა. ქალებს მოსაცმელები გაეხადათ და უმკლავებო, დაჭმუჭნულ ბლუზებში დარჩენილებს, ზაფხულის პირველი ხვატისთვის მიენდოთ თეთრი, დონდლო მკლავები.

მაღალ კედელზე კიდევ ერთი პლაკატი გაეკრათ: კუნთმაგარ მუშას ცად აეწვდინა ვეება ურო, რომლის ჩრდილიც პირქუშ, შავ ჩრდილად ეფინებოდა მის ფერხთით ჩარიგებულ ქოხმახებს.

კირა არგუნოვა სწორედ ამ კედელთან შეჩერდა სიგარეტის მოსაკიდებლად.

ძველი პალტოს ჯიბიდან ქაღალდის კოლოფი ამოიღო, იქიდან ორი თითით ამოაძვრინა სიგარეტის ღერი და ტუჩებშორის მოიქცია; მერე ხელოვნური ტყავის ხელჩანთაც გახსნა და უცხოური სანთებელაც მოიძია შიგ, რომელზეც მისი გვარ-სახელის პირველი ასოები ამოეტვიფრათ პირველივე ცდაზე მოუკიდა, ტუჩის კუთხიდან წვრილ ჭავლად გამოუშვა ბოლი, სანთებელა ჩანთაში ჩააბრუნა და საკეტი ტკაცანით დაკეტა. ხელის მკვეთრი მოძრაობით აიკეცა გაცვეთილი სახელო და ოქროს წვრილსამაჯურიან, მაჯის მომცრო საათს დახედა. მაშინვე ფეხაჩქარებული ისევ გაემართა სადღაც. მის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს გამალებული პაკა-პუკი გაუდიოდათ გრანიტის ფილაქანზე. ფეხსაცმელიც ბევრგზის შენაკეთები ეცვა, ოღონდ წვივები კი მბზინავ, უცხოურ, ნამდვილი აბრეშუმის წინდებში გამოეკვართა.

კირა ძველი სასახლისაკენ მიაბიჯებდა, რომლის შესასვლელის თავზე ახლა წითელი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი კიაფობდა და ოქროს ასოებით ეწერა:

„საკავშირო კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტი“

პარკის ჭიშკარს ურდული მოტეხილი ჰქონდა, თუმცა თავად სასახლის შუშის კარი საგულდაგულოდ, უზადოდ გაეპრიალებინათ. ოღონდ იქამდე მისასვლელ, ერთ დროს მოვლილ ბილიკებს ახლა სარეველა მოსდებოდა; გაუქმებული შადრევანი კი, რომელშიც უხვად დასკლინტული, მუცელზე მწვანე ობმოდებული, მარმარილოს კუპიდონის ქანდაკი წამომართულიყო, ერთიანად ნამწვავებით გახლდათ გამოვსებული.

კირა სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა უკაცრიელ ბილიკებს ამ გავერანებული პარკის სიმწვანეში, სადაც თითქმის აღარც ისმოდა ტრამვაის რახრახი. მისი ფეხის ხმით დამფრთხალი ცისფერი მტრედები ზანტად ინაცვლებდნენ ადგილს ტოტიდან ტოტზე; სადღაც, ხშირ სამყურა ბალახში ფუტკარი დაბორიალობდა ბზუილ-

ბზუილით. საუკუნოვანი მუხნარი იცავდა სასახლეს ცნობისმოყვარეთა აბეზარი მზერისაგან.

პარკის სიღრმეში შენობისმომცრო, ორსართულიანი ფრთა მოჩანდა, რომელიც სასახლეს მოკლე, ღია შუშაბანდით უკავშირდებოდა. პირველი სართულის ფანჯრები ერთიანად ჩამსხვრეულიყო. შუშის პირბასრ კიდეზე ჩამომჯდარი ბელურა თავს აქეთ-იქით აქანცარებდა და გაუკაცრიელებულ, მიტოვებულ ოთახებში იჭყიტებოდა. თუმცა, მეორე სართულის ერთ-ერთი ფანჯრის რაფაზე, წიგნების გროვა მოჩანდა.

კირას მძიმე, ხელით ნაჩუქურთმევი კარი ღია დაუხვდა. შიგნით შეაბიჯა და მაშინვე მოუთმენლობით შეპყრობილი აუყვა მაღალ კიბეს. ეს მართლაც ძალზე მაღალი კიბე ერთ სწორ ხაზად ადიოდა მეორე სართულამდე – შიშველი, დაბზარული ქვის საფეხურების უსასრულო წვება. ადრე ამ კიბეს ულამაზესი თეთრი მოაჯირი გასდევდა, თუმცა ის ახლა ერთიანად მონგრეულიყო. კედლის გასწვრივ, ფრესკებზე ყელმოღერებული თეთრი გედები გამოესახათ, ცისფრად მოკამკამე ტბა და ვარდის ბაღები, სადაც მგრძნობიარე ნიმფები კბილებდაკრეჭილ სატირებს ემალებოდნენ. ოღონდ ეს კედლის მხატვრობა ალაგ-ალაგ სულ მთლად გამოხუნებულიყო და საღებავიც გვარიანად დამსკდარიყო.

კირამ კიბე აათავა და ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა.

კარი ანდრეი ტაგანოვმა გაუღო და გაოცებული, მაშინვე უკან მიდგა. ისეთი სახე დაედო, ისე გაუფართოვდა თვალები, თითქოს სასწაულს ხედავს და თვალებს არ უჯერებსო. იმდენიც ვერ მოიფიქრა, კირასთვის გზა დაეთმო – იდგა ასე, გახევებული და თეთრი პერანგის გაღეღილ საყელოში მზით გარუჯული ყელი მოუჩანდა.

– კირა! კირას გაეცინა – ხმამაღლა, გულიანად.

– როგორა ხარ, ანდრეი?

კაცმა გაუბედავად, ნაზად შემოხვია ხელები მხრებზე. ისე ფრთხილად, კირა მათ შეხებას ვერც კი გრძნობდა – მხოლოდ მათ

ძალას, მათ ნებას, დაჟინებას... თუმცა, როცა ანდრეი თავდავიწყებით დაეკონა ტუჩებზე და თვალებიც მაგრად დახუჭა, კირა ამ დროს სრულიად გულგრილად ასცქეროდა ჭერს.

– საღამომდე არ გელოდი, კირა.

– ეგ ვიცი, მაგრამ იმედია, არ გამაგდებ.

კირამ ანდრეის გვერდი აუარა. ვიწრო, ჩაბნელებულ წინკარში გასხლტა და ოთახში შევიდა. ხაზგასმული შინაურულობით მიაგდო ხელჩანთა სკამზე, ქუდი კი მაგიდაზე მოისროლა.

– მხოლოდ მან იცოდა იმ ზამთარს ანდრეი ტაგანოვის უკიდურესი ხელმომჭირნეობის მიზეზი; მხოლოდ კირასთვის იყო ცნობილი, რატომ წამოვიდა ანდრეი თავისი ბინიდან და სასახლის ამ მიტოვებულ ფლიგელს შეაფარა თავი, რომელიც პარტიის რაიკომს არაფერში სჭირდებოდა და სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო კიდეც საცხორებლად.

"ადრე, სასახლის ძველ პატრონს, აქ ყველასაგან მალულად. სასიყვარულო ბუდე ჰქონდა მოწყობილი. მრავალი წლის წინ, მავანი დიდებული სწორედ აქ ელოდებოდა ხოლმე სულმოუთქმელად, სანთლის ალის გაკრთომას, ქურდული ნაბიჯების ხმასა და აბრეშუმის კაბის შარიშურს მაღალ, მარმარილოს კიბეზე. ახლა მდიდრული ავეჯი აღარსად ჩანდა, თუმცა კედლების, ბუხრისა და ჭერის მოხატულობისთვის ხელი არავის უხლია.

კედლებზე თეთრი ფარჩა იყო გაკრული, რომელზეც ხელით ამოექარგათ ულამაზესი, პატარა, ლურჯი და ვერცხლისფერი ფოთლები. ლავგარდანს მარმარილოს კუპიდონების რიგი ამშვენებდა; თითოეულ მათგანს ხელში სიუხვის თასები ეპყრათ, საიდანაც თეთრი, მარმარილოსავე ყვავილები იფრქვეოდა, ხოლო მარმარილოს ლედას ნებიერად გაეშალა თავისი ქათქათა ფრთები და ბუხრისთავზე მიწოლილიყო. ჭერზე გამოსახული ცის რბილი სილურჯიდან ნათელ, ღუნღულა ღრუბლებს შორის, თეთრი მტრედები – გაუთავებელი

ღამეული ღრეობების ეს უტყვი მოწმეები – ახლა ზემოდან დასცქეროდნენ რკინის ჭრიალა საწოლს, რამდენიმე ფეხებორყეულ სკამსა და გრძელ, დალაქავებულ მაგიდას, რომელზეც წითელყდიანი წიგნების გვერდით, ხის რაღაც ყუთიც შემოედგათ. დაბზარულ კედლებს წითელარმიელი ჯარისკაცების რამდენიმე პლაკატი მალავდა, ოთახის კუთხეში კი, ერთადერთ ლურსმანზე, ტყავის ქურთუკი ეკიდა.

– ახლა იმის სათქმელად მოვედი, რომ საღამოს ვერ მოვალ...

– პირდაპირ აჯახა კირამ.

– რატომ? ვერ ახერხებ?

– ვერ ვახერხებ. რა იყო, რა მოგეჯღანა სახე? აი ნახე, რაღაც მოგიტანე... ცოტა ხასიათზე მოგიყვანს.

ჯიბიდან მომცრო სათამაშო ამოიღო – შუშის პატარა, თავმომრგვალებული მილი, რომელშიც წითელი სითხე ესხა და შიგ პაწია, შავი ფიგურა დაცურავდა.

– ეგ რა არის?

კირამ სათამაშო მუჭში მოიმწყვდია, მაგრამ ახლა ფიგურა საერთოდ არ ინძრეოდა.

– არ გამომდის... აბა ახლა შენ სცადე. იქნებ რაღაც სხვანაირად უნდა დაჭერა?

მილი ანდრეის მიაჩეჩა ხელში. მართალია, კაცს არც სახის გამომეტყველებით, არც რაიმე მოძრაობით ეს არ გამოუხატავს, მაგრამ კირას ეჭვიც არ ეპარებოდა, რა იგრძნო მისი თითების შეხებისას ანდრეიმ. იცოდა, განვლილი ზამთრის განმავლობაშიც კი, მისი გრძნობები ოდნავადაც არ განელებულიყო. ანდრეიმ მილს ხელი მოუჭირა და წითელი სითხეც მაშინვე აბუყბუყებულ ბუშტებად დაიძრა ზემოთ, ის პაწია რქოსანი ფიგურაც წამსვე გველნაკბენივით შეხტა და ამ აფუთფუთებულ დინებას გაჰყვა.

– ნახე? ამას „ამერიკელ რეზიდენტს" ეძახიან! ქუჩაში ვიყიდე. ხომ კარგი რამეა?

ანდრეის გაეღიმა. თან მილს არ აშორებდა თვალს.

– კი, კარგია... საღამოს რატომ ვერ მოხვალ?

– რატომ და... საქმეები გამომიჩნდა. ისეთი არაფერი. ხომ არ მიბრაზდები?

– არა. თუ მართლა ვერ ახერხებ... რა გაეწყობა. ახლა შეგიძლია დარჩენა?

– მხოლოდ ცოტა ხნით. კირამ პალტო გაიხადა და საწოლზე მიაგდო.

– კირა...

– მოგწონს? შენი ბრალია. შენ არ დაიჟინე, ახალი კაბა გჭირდებაო?

კაბა წითელი იყო, ძალიან სწორი, ძალიან მოკლე და შავი, ხელოვნური ტყავით გაწყობილი: სარტყელით, ოთხი ღილით, მრგვალი საყელოთი და ზედ დიდი ბაფთით. კირა კარს მიყრდნობილი იდგა, ოდნავ მხრებში მოხრილი. თვალსა და ხელს შუა, უცებ კიდევ უფრო მყიფე, კიდევ უფრო ახალგაზრდული იერი დაედო. ეს ბავშვური კაბა მჭიდროდ ადგა მართლაც თითქოს ბავშვურად უმწეო და უმანკო სხეულზე. აჩეჩილი თმა უკან გადაეყარა, კაბის ქვედა ბოლო კი ერთმანეთზე მაგრად მიჭერილ, ჩამოქნილ ფეხებს ვერ უფარავდა. ფართოდ გახელილ თვალებში გულწრფელი მზერა ჩაბუდებოდა, თუმცა სველ, დაპობილ ტუჩებზე დამცინავი და თავდაჯერებული ღიმილი დასთამაშებდა. ანდრეი ისე მიჩერებოდა, თითქოს უკვე ერთგვარ შიშსაც კი განიცდიდა ამ ქალის მიმართ, ერთდროულად ყველაზე სახიფათო და სასურველი რომ გამხდარიყო მისთვის.

კირამ მოუთმენლად გადააქნია თავი: – რა იყო, არ მოგწონს?

– კირა, შენ... ეგ კაბა... ძალიან ლამაზია! ასე ჩაცმული ქალი ჯერ არასოდეს მინახავს.

– რა, ქალის ჩაცმულობაშიც ერკვევი?

– გუშინ ცენზურის სამმართველოში ფრანგული მოდის არცერთი ჟურნალი არ დამიტოვებია დაუთვალიერებელი.

– მოდის ჟურნალებს ათვალიერებდი?! – შენზე ვფიქრობდი. მინდოდა გამერკვია, რა მოწონთ ქალებს.

– მერე, გაარკვიე რამე?

– ვნახე რაღაც-რაღაცეები, რაც მინდა რომ შენც გქონდეს. მაგალითად, პატარა ლამაზი ქუდები და სანდლების მაგვარი, თხელძირიანი ფეხსაცმელები და კიდევ, ძვირფასეულობაც – ბრილიანტები...

– ანდრეი! იმედია, შენს ცენზორ ამხანაგებთან მაგაზე სიტყვა არ დაგიძრავს?

ანდრეის გაეცინა. ჯერაც ისევ დაჟინებით, იჭვნეულად მიჩერებოდა კირას.

– არა, მაგაზე არა.

– ასე ნუ მიყურებ! რა გჭირს? ახლოს მოსვლას ვერ ბედავ?

ანდრეი თითებით შეეხო წითელ კაბას. მერე უცებ, მისი ტუჩები ქალის შიშველ მკლავს წაეტანა საკოცნელად.

ცოტა ხნის შემდეგ, ის უკვე ფანჯრის რაფაზე იჯდა და მის ღონიერ მკლავებში მომწყვდეული კირაც წინ ასვეტოდა. ანდრეის სახეზე არაფერი წერა, მხოლოდ თვალები უცინოდა უხმოდ, მისი თვალები უყვიროდა კირას იმას, რის თქმასაც კაცი ხმამაღლა ვერ ახერხებდა.

ბოლოს მაინც ალაპარაკდა, წითელ კაბაში თავჩარგული:

– იცი, მიხარია ახლა რომ მოხვედი და არა საღამოს. საღამომდე რა მოიცდიდა! ასეთი ადრე არც მინახიხარ... წეღან წიგნის კითხვა ვცადე, მაგრამ გული ვერ დავუდე... შემდეგ მოსვლაზეც ჩაიცვამ ამ კაბას? ამ ტყავის ბაფთის გაკეთება თვითონ მოიფიქრე? რატომ ხარ ასეთი... ბევრად უფრო ქალური ამ ბავშვურ კაბაში? მომწონს ეს ბაფთა... კირა, იცი როგორ მომენატრე? როცა ვმუშაობ, მაშინაც კი...

კირა წყნარი, მავედრებელი, ოდნავ შემკრთალი მზერით მიჩერებოდა.

– ანდრეი, მუშაობის დროს ჩემზე ფიქრი არაფერს გარგებს.

– ზოგჯერ მხოლოდ შენზე ფიქრი მშველის, იმ ჩემ საქმეშიც კი...

– მიუგო ანდრეიმ ჩუმად, მოწყენილი ხმით. უკვე აღარ იღიმებოდა.

– რა იყო, მოხდა რამე? ანდრეის უცებ ისევ გაებადრა სახე:

– მაინც რატომ არ გინდა, შენზე ვიფიქრო? გახსოვს, ბოლოჯერ რომ იყავი აქ, ერთი წიგნი ახსენე, რომლის გმირსაც ასევე ანდრეი ჰქვია და ასე მითხარი – სანამ ვკითხულობდი, სულ შენზე ვფიქრობდიო... მას მერე სულ ეს სიტყვები მიტრიალებს თავში და სხვათა შორის, ის წიგნიც ვიყიდე. ვიცი კირა, ეგ ბევრი არაფერია, მაგრამ... ასეთ სიტყვებს ხშირ-ხშირად არ მეუბნები ხოლმე.

კირა უკან გადაიხარა, ხელები კეფაზე შემოიჭდო და ეშმაკურად მიაჩერდა:

– მე შენ ისე იშვიათად მახსენდები, შენი გვარიც კი დამავიწყდა. იმედია, იმასაც სადმე წიგნში ამოვიკითხავ. აი, ეს ნაიარევიც აღარ მახსოვდა, თვალთან...

ნაწიბურს თითი გააყოლა; მერე შუბლზეც ჩამოუსვა, თითქოს კოპები გააშლევინაო. თან იცინოდა და თითქოს ვერც ამჩნევდა ანდრეის მავედრებელ მზერას.

– კირა, შენ ბინაში ტელეფონის დადგმა რა დაჯდება?

– არ ვიცი... თან ჩვენს ბინაში დენიც რომ არა გვაქვს? მოკლედ, არ გამოვა ეგ ამბავი.

– რამდენჯერ მინატრია, ტელეფონი გქონოდა! ხანდახან დაგირეკავდი მაინც. ზოგჯერ შენი ლოდინი მართლა გაუსაძლისი ხდება ხოლმე.

– მე მგონი, საკმაოდ ხშირად მოვდივარ აქ, არა?

– და მაინც... ზოგჯერ იცი, უბრალოდ თვალი მინდა ხოლმე შეგავლო, გინდაც სულ ახალი წასული იყო. უცნაური განცდაა, როცა მიდიხარ, მე კი არც დარეკვა შემიძლია, არც შენთან მოსვლა, იმ სახლთან მიახლოებაც კი, სადაც ცხოვრობ... თითქოს ერთ ქალაქში არ ვიყოთ. ხანდახან ქუჩაში ყველა გამვლელ-გამომვლელს ვაკვირდები

და წარმოდგენაც კი მზარავს, სადმე ამ ხალხში არ ჩაიკარგოს-მეთქი... მერე როგორღა გიპოვი, როგორ მოგაწვდენ ხმას?

– ანდრეი, ხომ დამპირდი რომ ჩვენთან არასოდეს მოხვიდოდი? – ხმაში სიმკაცრე გამოერია კირას.

– კი მაგრამ, ტელეფონით დარეკვას ხომ არ ამიკრძალავ, თუკი ეს საქმე როგორმე მოგვარდა?

– არც ეგ ივარგებს, შეიძლება ჩემი მშობლები რაღაცას მიხვდნენ და საერთოდ, ანდრეი, სიფრთხილე გვმართებს – განსაკუთრებით, ახლა.

– განსაკუთრებით ახლა რატომ?

– არა, ახლაც როგორც ყოველთვის... მე მგონი, ეს არც ისე ძნელია. უბრალოდ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ეგ არის და ეგ. განა ეს მეტისმეტად მკაცრი პირობაა?

– არა, საყვარელო, სულაც არა.

– ხშირად მოვალ ხოლმე. მაშინაც კი აქ ვიქნები, როცა თავს მოგაბეზრებ!

– მაგას რატომ ამბობ, კირა?

– იმიტომ რომ ერთ მშვენიერ დღეს, მართლა მოგბეზრდები. რა, არა?

– იმედია, ხუმრობ...

– რა თქმა უნდა! – ნაჩქარევად უპასუხა კირამ.

– ხომ იცი რომ მიყვარხარ. მაგრამ არც ის მინდა, ჩემით დაიღალო... წარმოიდგინე, რომ მთელი შენი ცხოვრება...

– კირა, რატომ არ გინდა გაიგო, რომ მთელი ჩემი ცხოვრება...

– სწორედ მაგიტომ არ მინდა, რამე მითხრა. კირა დაიხარა და ჟინიანად, მტკივნეულად აკოცა ტუჩებში.

ფანჯრიდან კლავიშების კაკუნის ხმა მოისმოდა. რაიკომის ვიღაც თანამშრომელი ძველ სასახლეში, საკონცერტო როიალზე „ინტერნაციონალის" დაკვრას ცდილობდა ცალი თითით.

ანდრეი ხარბად დაეწაფა ტუჩებით კირას ყელს, ხელებს,

მხრებს...

ძლივს აიძულა თავი, გამორიდებოდა და ვითომ უდარდელი ხმით უთხრა:

– მეც მაქვს რაღაც შენთვის, კირა. საღამოს მინდოდა მომეცა, მაგრამ...

მაგიდის უჯრიდან პაწია კოლოფი ამოიღო და ლამის ძალით ჩაუდო ხელში. კირამ უმწეოდ გაიბრძოლა:

– კარგი რა, ანდრეი! რა საჭიროა... ხომ გთხოვე, არ გინდა-მეთქი! ისედაც ბევრი გააკეთე ჩემთვის და...

– მე შენთვის არც არაფერი გამიკეთებია ისეთი... მე მგონი, სულ არ ფიქრობ საკუთარ თავზე, მარტო ოჯახი გახსოვს. ან ამ კაბის ჩუქება რა ბრძოლის ფასად დამიჯდა!

– და კიდევ – აბრეშუმის წინდების, სანთებელასი და რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა... მოკლედ, ანდრეი – ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ...

– მაგრამ ნუ გეშინია და გახსენი.

კოლოფში ნამდვილი ფრანგული სუნამოს მომცრო, ბრტყელი ბოთლი იდო. კირას სუნთქვა შეეკრა. წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა, ოღონდ როცა პირგაბადრულ ანდრეის გახედა, თვითონაც ბედნიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

– შენ რა გითხარი, ანდრეი!

ანდრეიმ ნელა მოატარა ჰაერში ხელი, არ ეხებოდა, თითქოს ასე, ხელშეუხებლად ეფერებოდა კირას ყელს, მკერდს, მთელ სხეულს – ფრთხილად, მოზომილად, თითქოს ქანდაკებას ძერწავსო.

– რას აკეთებ, ანდრეი?

– ვცდილობ დავიმახსოვრო.

– რა?

– შენი სხეული. ზუსტად ახლა, ამ წუთას როგორ დგახარ... ზოგჯერ, როცა მარტო ვარ ხოლმე, ვცდილობ სწორედ ასე, ჰაერში გამოგძერწო – წარმოვიდგინო, ვითომ მართლა პირისპირ ვდგავართ.

კირა მთელი ტანით მიეტმასნა. თვალები ნელ-ნელა ჩაუმუქდა; დუნე ღიმილიც ნაძალადევს გავდა. სუნამოს ბოთლი გაუწოდა და უთხრა:

– შენ უნდა გახსნა. მინდა, პირველი წვეთი თვითონ დამაპკურო. მერე საწოლზე ჩამოჯდა და ანდრეიც გვერდით ჩამოიჯინა.

– სად გინდა რომ დამასხა? – ჰკითხა. სხვა სამყაროდან შემოღწეული, გამაოგნებელი სურნელებით თითისწვერებდანამულმა ანდრეიმ ფრთხილად შეუცურა თითები თმაში.

– კიდევ სად? – ეშმაკურად შესცინა კირამ. ანდრეიმ ახლა ტუჩებზე გადაუტარა თითი.

– კიდევ?

ანდრეი ფრთხილად ჩამოუყვა ქალის ყელს და ხელი უცებ, კაბის შავი, ხელოვნური ტყავის საყელოსთან შეაჩერა.

თვალებში ჩასცქეროდნენ ერთმანეთს. კირამ საყელო ხელის ერთი მკვეთრი მოძრაობით მოიგლიჯა და კაბის საკინძეც ჩაიხსნა.

– კიდევ სად?

მის მკერდს დაწაფებული ანდრეი ჩურჩულით ლაპარაკობდა: „კირა, კირა... როგორ მინდოდა აქ ყოფილიყავი ამ საღამოს...“

კირა ლოგინზე გადაწვა. ახლა მკაცრი, გამომწვევი, უმოწყალო სახით მიჩერებოდა. „მე ახლა ვარ აქ! “ – თქვა ხმადაბლა.

– კი მაგრამ...

– და რატომ არა? – თუ შენ...

– კი. სწორედ მაგიტომ მოვედი. ანდრეიმ წამოდგომა დააპირა, მაგრამ კირამ მაჯებში ჩაავლო ხელები და თავისკენ დაქაჩა ღონივრად.

– არ გინდა გახდა, – უჩურჩულა.

– მაგის დრო არა მაქვს.

* * *

ეს სიტყვები ძალაუნებურად აპატია, რადგან მაშინვე დაავიწყდა,

როგორც კი დაინახა, როგორ მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, ქანცგაწყვეტილი, თვალდახუჭული, მის მკლავზე მისვენებული ქალი. თან მადლობელიც იყო იმ სიამისათვის, რაც თავადვე მიანიჭა.

– ეგ კი არა, შეეძლო ყველაფერი ეპატიებინა, როცა უკვე კართან მისული, უცებ მოუტრიალდა. პალტოს ქვეშ წითელი, მოჭმუჭნული კაბა მოუჩანდა. ხმადაბლა ლაპარაკობდა და მის ხმაში ვედრება, ჟინი და სინაზე ერთდროულად მოისმოდა:

– შემდეგ მოსვლამდე იმედია, ძალიან არ მოგენატრები, არა? ხომ... ხომ მართლა კარგი იყო?

* * *

კირამ სწრაფად აირბინა მისი ოთახისკენ ამავალი კიბე – უფრო სწორად, იმ ბინისკენ, რომელიც ერთ დროს ადმირალ კოვალენსკის ეკუთვნოდა. კარი გასაღებით გააღო და მოუთმენლობით შეპყრობილმა, მაჯის საათზე დაიხედა.

ყოფილ სასტუმრო ოთახში მარიშა ლავროვა საქმიანობდა. პრიმუსთან იდგა, ცალი ხელით წვნიან ქვაბს ურევდა, მეორეში კი გადაშლილი წიგნი ეჭირა და ხმამაღლა იზეპირებდა წაკითხულს: „საზოგადოებრივ კლასთა შორის ურთიერთობა შეიძლება შესწავლილ იქნას ნებისმიერ ისტორიულ მონაკვეთში, წარმოების ეკონომიკურ საშუალებათა გადანაწილების მაგალითზე...“

კირა მარიშას მიუახლოვდა და გვერდით ამოუდგა.

– აბა, რა ხდება ახალი მარქსიზმის თეორიაში, მარიშა? – ჰკითხა ხმამაღლა. თან ქუდი მოიხადა და თმაც გაიშალა.

– სიგარეტი არ გექნება? ბოლო ღერი გზაში შემომეწია.

მარიშამ ნიკაპით ანიშნა, მაგიდის უჯრაში მოიძიეო.

– ერთს ჩემთვისაც მოუკიდე.. შენსკენ რა ხდება? – მოაყოლა მერე.

– სულ კარგი ამბები. ამინდიც მშვენიერია, ნამდვილი ზაფხული დაგვიდგა. ბევრი საქმე გაქვს?

– კი. ხვალ კლუბში ლექცია უნდა წავიკითხო, ისტორიულ მატერიალიზმზე.

კირამ ორ სიგარეტს მოუკიდა დ ერთი ღერი თავისი ხელით ჩაუდო მარიშას პირში.

– მადლობა.

– პატივისცემა დაუფასა მარიშამ და ჩამჩა ბლანტ სითხეს მოატარა.

– ისტორიული მატერიალიზმი და ატრიის წვნიანი. ერთად... ეს უკვე სტუმრის ხათრით.

– ეშმაკურად ჩაუკრა თვალი კირას.

– მგონი იცნობ კიდეც, ვიქტორ დუნაევია.

– წარმატებებს გისურვებთ, შენც და ვიქტორსაც.

– დიდი მადლობა. შენსკენ რა ხდება? იმ შენი ბიჭისაგან ისმის რამე?

– კი, – უხალისოდ მიუგო კირამ.

– ამასწინათ წერილი მივიღე... და დეპეშაც.

– მერე, როგორ ვარო? როდის ვბრუნდებიო?

უცებ, კირას სახე გაეყინა. მკაცრ, გულგრილ ნიღბად ექცა, თითქოს მარიშაც ისევ იმ ძველ, რვა თვის წინანდელ კირას შესცქეროდა ახლა – ამ საღამოს, – მოუჭრა მოკლედ.

II

კირა მაგიდაზე დადებულ დეპეშას დასცქეროდა. ზედ სულ ოთხი სიტყვა ეწერა:

„ხუთ ივნისს ჩამოვდივარ. ლეო.“

ეს უკვე არაერთხელ გადაეკითხა, მაგრამ ყირიმის მატარებლის ჩამოსვლამდე ჯერ კიდევ ორი საათი რჩებოდა და ამიტომ, შეეძლო კიდევ ბევრჯერ შეევლო თვალი. მერე დეპეშა საწოლის რუხ, გამო-

ხუნებული სატინის გადასაფარებელზე დადო, თვითონაც იქვე, საწოლთან ჩაიმუხლა და ფრთხილად შეუდგა ქაღალდის ფურცელზე თითოეული ნაკეცის გასწორებას. მხოლოდ ოთხი სიტყვა – თითო, უკვე გავლილი ყოველი ორი თვის სანაცვლოდ. იმაზეც დაფიქრდა, ნეტავ თითოეული სიტყვა რამდენი დღე დამიჯდაო; ოღონდ საათებზე ფიქრი აღარ უცდია და არც იმ საათების გახსენება.

– ახლა მხოლოდ ის ახსოვდა, რამდენჯერ ესტუმრა მარტო დარჩენილს. „არა უშავს, აკი გამოჯანმრთელებული დაბრუნდებაო", – უმეორებდა საკუთარ თავს. მარტივად და იოლად ეჩვენებოდა ყველაფერი: თუკი მოახერხებდა და ცხოვრებას მხოლოდ ერთ სურვილამდე დაიყვანდა, მაშინ ამ უშინაარსო არსებობასაც მიეცემოდა აზრი და ისიც უფრო ასატანი გახდებოდა. სხვებს ალბათ ჯერ კიდევ ახსოვდათ სხვა ადამიანების, ქუჩების, გრძნობების არსებობა, მას კი ეს ყველაფერი დავიწყებოდა; მხოლოდ ის იცოდა, რომ ლეო გადარჩებოდა და დაბრუნდებოდა. ეს ფიქრი მისთვის ბანგიც იყო და სალბუნიც. ამ ფიქრმა სხვა ყველაფერი გამოუბუგა და ერთ სუსხიან, გამჭვირვალე, მომღიმარ არსებად აქცია.

თავის ოთახში იდგა ხოლმე და გაოცებული ფიქრობდა, ასე უცებ როგორ დაცარიელდა აქაურობა, ან ეს ოთხი კედელი როგორ იტევს ამგვარ უსასრულო სიცარიელესო. ზოგჯერ, ახლადგაღვიძებული, დიდხანს თვალგაშტერებული მიჩერებოდა ფანჯრის ოთხკუთხედს, საიდანაც საავდრო ღრუბლებით სავსე მოჟამული და უიმედო დღე მოჩანდა და დიდი გაჭირვებით აიძულებდა თავს, წამომდგარიყო. ასეთ დღეებში, ოთახში ყოველი ნაბიჯის გადადგმა ნებისყოფის უკიდურეს დაძაბვად უჯდებოდა, ირგვლივ კი ყოველი საგანი – პრიმუსი, კარადა, მაგიდა – მტრად მოკიდებოდა და ყვირილით ახსენებდა თუ რა გამოევლოთ ერთად, რას შელეოდნენ, რის გარეშე დარჩენილიყვნენ.

ლეო კი ამ დროს ყირიმში იმყოფებოდა, სადაც ყოველი წუთი მზის სხივებად ჩახჩახებდა და მზის ყოველი სხივი ახალი სიცოცხლის

წვეთს ჰგავდა.

ისეთი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე, როცა კირა უკანმოუხედავად გარბოდა თავისი ოთახიდან – ხალხისა და ხმებისაკენ, თუმცა უკვე მალევე ამ ხალხსაც გაურბოდა, რადგან უცებვე, კიდევ უფრო მეტი მარტოსულობის გრძნობა ეუფლებოდა; ამიტომ, მერე უკვე უაზროდ დაბორიალობდა ქალაქის ქუჩებში – მხრებში მოხრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თვალს ადევნებდა აჩქარებული ნაბიჯით მიმავალ გამვლელებს, მობუზულ ბეღურებს, ქუჩის ლამპიონებთან მოხვეტილ თოვლის გროვებს და ყველას უსიტყვოდ ევედრებოდა რაღაცას, რისი სახელიც ვერ გამოეთქვა. ბოლოს მაინც ისევ შინ ბრუნდებოდა, „ბურჟუიკას“ ანთებდა და უსუფრო მაგიდასთან მიმჯდარი, ბინდში ჩანთქმულ ოთახში ჩაკარგული, ნაჩქარევად შეექცეოდა ნახევრად უმ კერძს – ფიცრის იატაკის ჭრაჭუნით, თაროზე შემოდგმული საათის წიკწიკითა და ქუჩაში ფლოქვებით დათელილი თოვლის ხრაშუნის ხმებით თავგაბეზრებული.

ლეო კი რძეს სვამდა და გაუთლელად მიირთმევდა წითელ, მაცოცხლებელი წვენით გაჯერებულ ხილს.

იყო ღამეები, როცა საბანქვეშ მოკუნტული კირა სახესაც ბალიშში ჩამალავდა ხოლმე ისე, თითქოს ცდილობდა საკუთარ სხეულსაც კი გაქცეოდა – სხეულს, რომელიც ვიღაც უცხოს, უცნობის შეხებით უხურდა ერთიანად და თან იმ საწოლში, რომელსაც ლეოსი ერქვა.

ლეო კი ზღვის პირას, ქვიშაზე იწვა და მთელი ტანი თანდათან ერუჯებოდა.

გამოერეოდა ისეთი წუთებიც, როცა უეცრად, გაოცებულს, გონება უნათდებოდა და მაშინღა ხვდებოდა თუ რას უშვებოდა საკუთარ სხეულს; ასეთ დროს მაგრად ხუჭავდა თვალებს, რადგან მანამდე უცნობი ამ ფიქრის მიღმა სხვაც წამოყოფდა ხოლმე თავს – აკრძალული, ბევრად უფრო საშიში: ფიქრი იმაზე, თუ რა დღეში აგდებდა სხვა მამაკაცის სულს.

ლეომ კი ხუთი გირვანქა მოიმატა და ექიმებიც ძალზე კმაყოფილნი ჩანდნენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

დგებოდა წუთები, როცა კირას ეჩვენებოდა – მართლა ვხედავ მომღიმარ ლეოს, მის გრძელ, თხელ თითებსო; თუმცა ეს ჩვენება წამშივე ქრებოდა და კირას ტკივილისაგან დაძაგრული თითოეული კუნთი ისეთი ხმით იწყებდა ყვირილს, ეგონა ეს ხმა მარტო მე არ მესმისო.

მაგრამ ლეო წერილებს ხომ სწერდა...

კირა კი ამ წერილებს კითხულობდა და ცდილობდა წარმოედგინა, თავად ლეო როგორ წარმოთქვამდა ფურცელზე გადატანილ თითოეულ ამ სიტყვას. ოთახის შუაგულში დამჯდარი, წერილებს ირგვლივ შემოიწყობდა და ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ლეოც გვერდით ყოლოდა.

ის კი ახლა უკან ბრუნდებოდა განკურნებული, ძლიერი, გადარჩენილი. კირამ რვა თვე სწორედ ამ ერთი დეპეშის მოლოდინში გაატარა და ამას იქით არც იყურებოდა. დეპეშის მერე მომავალი საერთოდ არ ჩანდა.

* * *

ყირიმიდან მომავალი მატარებელი იგვიანებდა. კირა ბაქანზე იდგა გაუნძრევლად – ცარიელ ლიანდაგს მიჩერებოდა, ფოლადის წყვილ ზოლს, რომელიც სადღაც შორს, ზაფხულის კრიალა დაისში იკარგებოდა. ვერ ბედავდა საათისთვის შეეხედა და იმაში დარწმუნებულიყო, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა: როგორ უიმედოდ. სამარადისოდ იგვიანებდა მატარებელი. ბაქანი ერთმანეთზე გადაბმული სატვირთო ურიკების ბორბლების დგანდგარმა შეაზანზარა. სადღაც, ფოლადის გრძელ გვირაბში, კაცის ხმა საწყალობლად გაიძახოდა – „მოდი, ხელი წამიკარი, გრიშკა! " ეს შეძახილი დროის ზუსტად თანაბარი მონაკვეთებით მეორდებოდა და ბინდში ჩიტის მოძახილივით, ერთ დაუნაწევრებელ ბგერად მთლიანდებოდა. კირას ვიღაცამ

გვერდით ჩაუარა ჩექმების ზანტი ფრატუნით. ლიანდაგის გადაღმა, თავჩაქინდრული ქალი ფუთაზე ჩამომჯდარიყო. მის თავსზემოთ, ფანჯრის შუშები მკრთალ-ნარინჯისფრად ციმციმებდა. „გრიშკა, ხელი შემაშველე...“ – ისევ ისე იხვეწებოდა უჩინარი უცნობი.

როცა კირა სადგურის უფროსის ოთახს მიადგა, მოხელემ მოკლედ მოუჭრა – მატარებელი გვიან ღამით თუ ჩამოდგებაო. თუმცა, რაღაც გაუთვალისწინებელი შეფერხებაც ახსენა, მოულოდნელი გაუგებრობა, რომელიღაც საკვანძო სადგურში. მერე დაამატა – ეგებ ხვალ დილამდეც კი დაიგვიანოსო.

კირა კიდევ ცოტა ხანს შეყოვნდა ბაქანზე. უჭირდა იმ ადგილის მიტოვება, სადაც ლამის უკვე ფიზიკურად შეიგრძნობდა ლეოს ყოფნასაც. მერე ფეხათრეული გამობრუნდა და უმწეოდ ხელებჩამოყრილმა, კიბე ჩამოიარა. ისე ფრთხილად დგამდა თითოეულ ნაბიჯს, თითქოს წაქცევის ეშინოდა.

შორს, ქუჩის ბოლოში, ზეცა ნათელი, კრიალა, უძრავი ყვითელი ფერით შეიმოსა – გეგონებოდათ, კვერცხის გულით გადაუდღაბნიათო; ქუჩა კი ჩვეულებრივზე უფრო ჩაყავისფრებული და ფართო ჩანდა ამ თბილ ბინდ-ბუნდში. კირა ნელა მიაბიჯებდა.

უცებ, ნაცნობი კუთხე დაინახა. ჩაუარა, მერე უკან დაბრუნდა და ახლა სხვა მიმართულებით გააგრძელა გზა, დუნაევების საცხოვრებელი სახლისაკენ. რაღაცით ხომ უნდა ამოევსო ეს საღამო.

კარი ირინამ გაუღო. უხიაგი თმა ახლაც დაუვარცხნელი ჰქონდა, თუმცა ტანზე ახალი, ბატისტის შავ-თეთრ ზოლებიანი კაბა ეცვა და დაღლილ სახეზეც გულდაგულ წაესვა ფერუმარილი.

– უი, კირა! რას არ ვიფიქრებდი და – შენს გამოჩენას! იშვიათად გხედავ ხოლმე ამ ბოლო დროს. რას უდგეხარ, შემოდი! პალტო გაიხადე. რაღაც... ვიღაც უნდა გაჩვენო. და ეს ჩემი ახალი კაბა როგორ მოგწონს?

კირას უცებ, სიცილი წასკდა. პალტო გაიხადა და აღმოჩნდა, რომ თვითონაც ზუსტად ისეთივე კაბა ცმოდა.

ირინას სული შეუგუბდა: – ჯანდაბა! როდის მოასწარი ყიდვა? – ამ ერთი კვირის წინ.

– მე კი მეგონა, თუ ამგვარ, ზოლებიან ნაჭერს ვიყიდდი, არცთუ ბევრი ვინმე გამოჩნდებოდა მსურველი, ეგეთივე კაბაში გამოწყობილიყო! არადა, პირველად ჩავიცვი თუ არა, თხუთმეტ წუთში სამ – ქალს გადავაწყდი ზუსტად ამისთანაში გამოპრანჭულს... რა გინდა რომ ქნა? კარგი რა, შემოდი!

სასადილო ოთახში ფანჯრები გამოეღოთ და ქუჩიდან შემომავალი წყნარი დუდუნიც მეტი სივრცისა და სიმყუდროვის შთაბეჭდილებას უქმნიდა იქაურობას. გაღიმებული ვასილი ივანოვიჩი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ხელსაწყოები და ხის პატარა ნაჭერი მაგიდაზე დაუცვივდა. თავაზიანად წამოიმართა ვიქტორიც, თავის დაკვრით მიესალმა სტუმარს. უცებვე წამოხტა ვიღაც მაღალი, ქერა, მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაციც და უხერხულად აიტუზა. სიჩუმე ირინამ დაარღვია:

– მიესალმეთ ტყუპ გოგოებს საბჭოთა შრომა-გასწორების დაწესებულებიდან! კირა, საშა ჩერნოვი მინდა გაგაცნო. საშა, ეს კირა არგუნოვაა, ჩემი დეიდაშვილი.

საშას ვეება ტორი აღმოაჩნდა, კირას ღონივრად ჩამოართვა ხელი და თან მორცხვად, გაუბედავად, ალალად შეჰღიმა სახეში.

– საშა, ეს მართლაც იშვიათი პატივი გვხვდა წილად! – უთხრა ირინამ.

– მაინცადამაინც დღეს გვეწვია ეს იშვიათი სტუმარი, პეტროგრადელი განდეგილი.

– ლენინგრადელი, – შეუსწორა ვიქტორმა.

– მართალია, ლენინგრადელი...

– გაიმეორა ირინამაც.

– აბა მოყევი ერთი, როგორ ხარ, კირა? თქმაც მიჭირს, როგორ გამიხარდა შენი დანახვა!

– მეც მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, – ჩაიბურტყუნა საშამ. –

ბევრი მსმენია თქვენზე.

– ეჭვიც არ მეპარება, – თქვა ვიქტორმა.

– ჩვენი კირა მთელ ქალაქში ცნობილი გოგოა. ეგ კი არა, პარტიულ წრეებშიც სულ მაგაზე ლაპარაკობენ.

კირამ მკაცრად გახედა, თუმცა ვიქტორი მხოლოდ კეთილად იღიმებოდა:

– მომხიბვლელი ქალები აღტაცებული ჩურჩულის თემა იყო ხოლმე მუდამ. მაგალითად, მადამ დე პომპადური. ხიბლი მარქსისტულ თეორიასაც კი ყირაზე აყენებს. მისთვის უცხოა კლასობრივი განსხვავებები.

– მორჩი ახლა, – შეუწყრა ირინა.

– არ ვიცი რას მიედ-მოედები მაგრამ შენ ხომ კარგს მაინც არაფერს იტყვი.

– არა, რატომ? – მშვიდად ჩაილაპარაკა კირამ და ვიქტორს თვალი თვალში გაუყარა.

– ძალიანაც ეხერხება ქათინაურები, თუმცა ცოტა კი აჭარბებს. საშამ უხერხულად, ცოტა მოუქნელადაც კი მიუჩოჩა კირას სკამი ახლოს და უმწეოდ მომღიმარმა, ხელის აქნევით ანიშნა – დაბრძანდითო.

– საშა ისტორიულზე სწავლობს, – თქვა ირინამ.

– უფრო სწორად, სწავლობდა. უნივერსიტეტიდან გამორიცხეს, რადგან ამ თავისუფლად მოაზროვნე ქვეყანაში მართლა სცადა ეაზროვნა.

– ირინა, ერთხელ და სამუდამოდ მინდა გაგაგებინო, – წამოენთო ვიქტორი.

– ჩემი თანდასწრებით ასეთ გამოხდომებს არ მოვითმენ! მოვითხოვ რომ პარტიას სათანადო პატივი სცენ ამ ოჯახში.

– თუ ღმერთი გწამს, ამ მსახიობობას მოეშვი! – მოუჭრა ირინამ.

– პარტიულ კომიტეტში ამ შენ სიტყვებს მაინც ვერ გაიგონებენ!

კირამ შეამჩნია, როგორ უსიტყვოდ მიჩერებოდა საშა ვიქტორს.

მის ცივ, ცისფერ თვალებში არც გაუბედაობა მოჩანდა და არც კეთილგანწყობა.

– ვწუხვარ, რომ გამოურიცხიხართ, საშა! – უთხრა კირამ და უცებ იგრძნო, რომ ეს ახალგაზრდა კაცი როგორღაც, მოეწონა კიდეც.

– ეგ არაფერი, – მძიმედ, თავდაჯერებულად ამოთქვა საშამ.

– მაგით ქვეყანა ნამდვილად არ დაქცეულა. გარკვეული ზედაპირული ვითარებები არსებობს, რისი მართვაც ავტორიტარულ ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ ასევე არის ფასეულობები, რასაც ვერც ჩასწვდება და ვერც ჩაკლავს.

– აი ნახავ კირა, – ცივად ჩაიღიმა ვიქტორმა.

– რამდენი საერთო აღმოგაჩნდებათ შენ და საშას. ორივეს ერთნაირად ფეხებზე გკიდიათ ელემენტარული სიფრთხილეც კი.

– ვიქტორ, იქნებ...

– რაღაცის თქმა დააპირა ვასილ ივანოვიჩმა.

– მამაჩემო, ვიდრე ამ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ვარ, იმის უფლებაც მომეცი, ჩემი შეხედულებები...

– მაინც, ვის არჩენ, მითხარი ერთი? – მოისმა წვრილი ხმა მომიჯნავე ოთახიდან. მაშინვე ასია გამოჩნდა გამოღებულ კარში: გამხდარ კანჭებზე წინდები ჩაჩაჩვოდა, ცალ ხელში დაჭრილი ჟურნალი ეჭირა, მეორეში კი მაკრატელი.

– ნეტა მართლა არჩენდეს აქ ვინმე ვინმეს! ახლაც მშია, ირინამ კი წვნიანი არ დამამატებინა.

– მამა, ამ ბავშვს რაღაც უნდა მოვუხერხოთ, – თქვა ვიქტორმა.

– უპატრონოსავით იზრდება. აი, პიონერთა ორგანიზაციაში თუ გაწევრიანდება...

– ვიქტორ, მაგაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ! – მშვიდად, თუმცა მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა ვასილ ივანოვიჩმა.

– ერთი მეც მკითხეთ, მინდა იმ აყროლებულ პიონერებში გავერიო? – წამოიძახა ასიამ.

– ასია, შენ ოთახში დაბრუნდი, – უბრძანა ირინამ.

– თორემ დასაძინებლად დაგაწვენ, იცოდე!

– სხვასაც დაიხმარებ ვინმეს? – კბილი გაკრა ასიამ და ხმაურით გაიჯახუნა კარი.

– ისე, ჩვენში დარჩეს და, მე თუ ვახერხებ თან ვისწავლო, თან ვიმუშაო და ეს ოჯახი შევინახო, ირინა რატომ ვერ უვლის წესიერად ამ ერთ ცინგლიან გოგოს? – აღშფოთება ვეღარ დაფარა ვიქტორმა.

პასუხი არავის გაუცია.

ვასილი ივანოვიჩი ისევ ხის იმავე ნაჭერს დასწვდა, ირინა კოვზის ტარით ხატავდა რაღაცეებს მაგიდის ძველ გადასაფარებელზე. ვიქტორი წამოდგა:

– ბოდიშს გიხდი, კირა. მართალია, იშვიათი სტუმარი კი ხარ, მაგრამ უნდა წავიდე. სადილად ვარ დაპატიჟებული.

– აბა რა, – თქვა ირინამ.

– ისე, თვალი გეჭიროს, იმ შენმა მასპინძელმა ვერცხლეული არ გამოაყოლოს ხელს კირას ოთახიდან.

ვიქტორი წავიდა. კირამ შეამჩნია, როგორ უთრთოდა ვასილი ივანოვიჩს ხელსაწყო დანაოჭებულ თითებში.

– რას საქმიანობ, ძია ვასილი?

– ჩარჩოს ვაკეთებ, – ამაყად ამოხედა ვასილი ივანოვიჩმა და ნახელავიც უჩვენა.

– ირინას ერთ-ერთი ნახატისთვის. კარგი ნახატები აქვს, საცოდაობაა დახვეული ელაგოს უჯრებში.

– ძალიან ლამაზი ჩარჩოა, ძია ვასილი. არ ვიცოდი, ესეც თუ გეხერხებოდათ.

– კი, ერთ დროს მშვენივრად გამომდიოდა. წლებია ამ საქმეს აღარ გავკარებივარ, მაგრამ ადრე, იმ ძველ დროში, როცა ახალგაზრდა ვიყავი და ციმბირში ვცხოვრობდი, ცუდ დურგლად არ ვითვლებოდი.

– იმ თქვენ მაღაზიაში რა ხდება, ძია ვასილი?

– არც აღარაფერი, – მამის მაგივრად უპასუხა ირინამ.

– როგორ გგონია, რამდენ ხანს შეინარჩუნებდა სამსახურს კერძო მაღაზიაში?

– მაინც, რა მოხდა?

– შენ რა, მართლა არაფერი გაგიგია? გადასახადის გადაუხდელობისთვის დაკეტეს. მაღაზიის პატრონი ახლა ჩვენზე უარეს დღეშია. ჩაის არ დალევ, კირა? ახლავე ავადუღებ. მეზობლებმა პრიმუსი მოგვპარეს. მაგრამ საშა მომეხმარება და სამზარეულოში სამოვარს დავდგამთ. წამო! – ლამის მართლა ბრძანებასავით ესროლა საშას და ისიც მორჩილად წამოიზლაზნა.

– ისე, არც კი ვიცი, დახმარებას რატომ ვთხოვ.

– ეშმაკურად ჩაუკრა თვალი კირას.

– ამისთანა უმწეო, უსარგებლო და მოუქნელი ჯერ არავინ დაბადებულა! – თუმცა ამას რომ ამბობდა, თვალები მაინც ბედნიერებისაგან უციმციმებდა. საშას ხელკავი გამოსდო და ოთახიდან ასე გაიყვანა.

უკვე ბნელდებოდა და გამოღებული ფანჯარაც ლურჯად ხასხასებდა. ვასილი ივანოვიჩი სანათის ანთებას არ ჩქარობდა. კიდევ უფრო წინ წახრილიყო მაგიდისკენ.

– საშა კარგი ბიჭია, – თქვა უცებ.

– უფრო მაგიტომაც ვღელავ.

– რატომ? – ჰკითხა კირამ.

– პოლიტიკა...

– ჩურჩულზე გადავიდა ვასილი ივანოვიჩი.

– იატაკქვეშა საზოგადოებები... განწირულია ეს საბრალო, სულელი ბიჭი.

– ვიქტორიც ეჭვობს რამეს? – მე მგონი, კი. ოთახში შუქი ირინამ აანთო, რომელიც ფინჯნებით გაძეძგილი ლანგრით შემოუძღვა ორთქლადენილი სამოვრით ხელში მომავალ საშას.

ესეც ჩაი... და ცოტაოდენი ნამცხვარიც. თვითონ გამოვაცხვე.

ნახე ერთი, როგორი ცხობა ვიცით მხატვრებმა.

– მხატვრობაში რა ხდება, ირინა?

– ჩემს სამსახურს გულისხმობ? რა გითხრა, ჯერ არ გამოვუგდივართ, მაგრამ ვშიშობ, პლაკატების მხატვრად არ გამოვდგები. კედლის გაზეთში უკვე ორჯერ გამომაჭენეს. ასე ამბობენ, ჩემი დახატული გლეხი ქალები კაბარეს მოცეკვავეებს უფრო ჰგვანან და მუშები კიდევ – ზედმეტად ჩამოქნილები გამოგდისო... მოკლედ, ბურჟუაზიული აღზრდა თავისას შვება. ისე, არც კი ვიცი, რა უნდათ. პლაკატისტობა ხომ ჩემი სპეციალობა არაა. ზოგჯერ მინდა, ვიკივლო ხოლმე – თავში არაფერი არ მომდის და კიდევ ერთ, ახალ პლაკატზე რა გინდა რომ დავხატო?

– თან ეს სოცშეჯიბრებებიც რომ შემოიღეს...

– მწუხარე სახით ჩაერთო ვასილი ივანოვიჩი.

– ეგ რაღაა? ირინას ჩაი სუფრაზე დაექცა.

– შიდაუწყებრივი შეჯიბრია. ვინ უფრო მეტ, უფრო უკეთეს და უფრო წითელ პლაკატს დახატავს. ყოველ დღე ზედმეტი ორი საათი უნდა იმუშაო უფასოდ!

– ეგრეა, საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა ექსპლოატაციას ხომ ბოლო მოუღო...

– ჩაიბურტყუნა საშამ.

– ვიფიქრე, ჩემი სურათი უთუოდ გაიმარჯვებს-მეთქი, – წამოიძახა ირინამ.

– ნამდვილ პროლეტარულ ქორწილზე უკეთესი რა გინდა! ტრაქტორზე შემომჯდარი მუშა და მისი გლეხი ცოლი... მაგრამ მერე ყური მოვკარი, რაღაც მსგავსს „წითელი ტიპოგრაფების კავშირიც“ აპირებსო. იმათ თურმე გადაუწყვეტიათ ელექტროფიკაციისა და პროლეტარული სახელმწიფოს აღმშენებლობის სულისკვეთების გამოსახატავად, თვითმფრინავისა და ტრაქტორის სიმბოლური ქორწინების ამსახველი პლაკატი გაეშანშალებინათ!

– თან კაპიკებს უხდიან...

– ამოიოხრა ვასილი ივანოვიჩმა.

– წინა თვის მთელი ხელფასი ასიას ფეხსაცმელზე დაეხარჯა.

– აბა, ბავშვი ფეხშიშველი ხომ ვერ ივლიდა...

– ჩაილაპარაკა ირინამ.

– თან ძალიან ბევრს მუშაობ, ირინა, – საუბარში ჩაერია საშაც.

– და იმ შენ საქმესაც, მე მგონი, ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებ. ნეტა რას იშლი ნერვებს? დროებითია ეს ყველაფერი.

– ნამდვილად, – კვერი დაუკრა ვასილი ივანოვიჩმაც.

– მეც მაგის იმედი მაქვს, – თქვა კირამ.

– საშა თვალის ჩინივით მიფრთხილდება, – ერთდროულად თბილმა და თან დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე ირინას, თითქოსდა ხმაში მისდაუნებურად გამორეული სინაზის შესანიღ-ბად.

– წინა კვირას თეატრშიც დამპატიჟა. იქამდე კი ალექსანდრე მე-სამის მუზეუმში ვიყავით. კარგა ხანს ვიბორიალეთ დარბაზებში, ნა-ხატებს ვათვალიერებდით.

– ხვალ ლეო ჩამოდის.

– უცებ ისეთი ხმით გამოაცხადა კირამ თითქოს თავის შეკავება ვეღარ მოახერხაო.

– უი! – კოვზიც კი გაუვარდა ხელიდან ირინას.

– რატომ აქამდე არ გვითხარი? ძალიან გამიხარდა. ესე იგი, გა-მოჯანმრთელდა?

– კი ეგრეა. წესით, ამ საღამოს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მატარებელი იგვიანებს..

– ის მისი ბერლინელი მამიდა რას შვება? – იკითხა ვასილი ივა-ნოვიჩმა.

– ისევ გეხმარებათ? აი მესმის, ნათესაობა და გვერდში დგომა! უდიდეს პატივს ვცემ მაგ ქალბატონს, თუმცა თვალითაც არასოდეს მინახავს. ნებისმიერი, ვინც კი აქედან გააღწია, ახლა კი უსაფ-

რთხოდ ცხოვრობს და მაინც ჯერ კიდევ ესმის ამ საბჭოთა სასაფ-ლაოზე ცოცხლად დამარხულების, უთუოდ შესანიშნავი ადამიანი უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ლეოც იმან არ გადაარჩინა?

– ძია ვასილი, – თხოვნა გამოერია ხმაში კირას.

– როცა ლეოს პირადად შეხვდებით, ეგებ მაგაზე არაფერი უთ-ხრათ... მამიდის დახმარებას ვგულისხმობ. თუ გახსოვთ, ადრეც გითხარით რომ ვერ იტანს, როცა ვინმეს წინაშე დავალებულად გრძნობს თავს და მოდით, ჩვენც ნულარ შევახსენებთ, კარგი?

– რა თქმა უნდა, შვილო! მშვენივრად მესმის ყველაფერი... მაგა-ზე არ იღელვო. ოღონდ ევროპა მაინც სხვა სამყაროა და იქ შეგიძ-ლია ადამიანად იგრძნო თავი. ჩვენ ეტყობა, უკვე გვიჭირს კიდეც სი-კეთის გაგება და ისიც აღარ გვახსოვს წესიერად, ეთიკა რას ნიშნავს. მხეცებივით ერთმანეთს დარეულები, ნელ-ნელა თავადაც მხეცებს ვემსგავსებით მაგრამ არა უშავს, მაინც გადავრჩებით იქამდე გამოჩ-ნდება ხსნა, სანამ ყველანი მთლად გავპირუტყვდებოდეთ!

– დიდი დროც აღარ დაგვრჩა, – თქვა საშამ.

კირამ შენიშნა, როგორი შეშინებული, მავედრებელი თვალებით გახედა ირინამ თავის მეგობარს.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, როცა კირა და საშა წასასვლელად წა-მოდგნენ. საშა შორს, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა, თუმცა თავი გამოიდო – ამ ბნელ ქუჩებში მარტო ვერ გაგიშვებთო და კირას გაცილება ითავა. ძველი პალტო ეცვა, თან სიარულის დროსაც შემ-ცივნებულივით იბუზებოდა. სწრაფად მიაბიჯებდნენ, მქრქალ ბინდ-ბუნდში, ქვაფენილისა და ფილაქანის ქვემოდან ამომავალი თბილი მიწის სურნელში ჩანთქმულ ქალაქის ქუჩებში.

– ირინა ბედნიერი არ არის, – თქვა უცებ საშამ.

– შევატყვე, – დაეთანხმა კირაც.

– როგორც ყველა სხვა.

– რთულ დროში ვცხოვრობთ. მაგრამ მალე ყველაფერი შეიც-ვლება. უკვე იცვლება კიდეც. ჯერ ისევ არსებობს ხალხი, ვისთვისაც

თავისუფლება პლაკატზე დაწერილ სიტყვაზე ბევრად უფრო მეტს ნიშნავს.

– როგორ გგონია, გამოუვა მაგ ხალხს რამე, საშა?

საშას ყრუ, დაძაბულ ხმაში უკიდურესი თავდაჯერება იგრძნობოდა – ამგვარი მშვიდი ძალა, კირას გაუკვირდა კიდეც, ნეტა მორცხვი რატომ მეგონაო.

– და შენ როგორ გგონია, რუსი მუშა მართლა საკუთარი უღლის მლოკავი პირუტყვია და თავში მისხალი ტვინი არ გააჩნია? შენი აზრით, მართლა დაიჯერა ამ ყბედი ტირანების ბანდის ლაქლაქი? იცი მაინც, რას კითხულობს, რა წიგნები აქვს დამალული იმ თავის ფაბრიკა-ქარხნებში? იცი, რა ფურცლებს გადაცემენ ფარულად ერთმანეთს, ხელიდან ხელში? ეს ხალხი იღვიძებს და...

– საშა, – გააწყვეტინა კირამ.

– ცეცხლს ეთამაშები...

– საშას არაფერი უპასუხია. უხმოდ გახედა რძისფერ ნისლში ჩაძირული ქალაქის ძველ სახურავებს.

– მაგ ხალხმა, – ისევ კირამ გააგრძელა საუბარი.

– უკვე ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო, სწორედ შენნაირების სახით.

– რუსეთის რევოლუციის ხანგრძლივი ისტორია აქვს, – თქვა საშამ.

– ეგ ამათაც მშვენივრად იციან. ეგ კი არა, თავიანთ სასწავლებლებშიც სულ მაგას ასწავლიან, ოღონდ ასე ჰგონიათ, რომ ეს ისტორია დამთავრდა და სწორედ მაგაში ცდებიან! ყველაფერი ახლა იწყება და რევოლუციასაც არასოდეს განუცდია ისეთი ხალხის ნაკლებობა, ვინც საფრთხეს არაფრად აგდებს – გინდა მეფის დრო ავიღოთ და გინდა ნებისმიერი სხვა.

კირა შეჩერდა, ბინდ-ბუნდში საშას მიაჩერდა და ისე გულწრფელად მიმართა, თითქოს აღარც ახსოვდა, სულ რამდენიმე საათის წინ რომ გაეცნო ეს ადამიანი:

– ღირს კი საშა, ეგ ყველაფერი თავის გაწირვად?

საშა მისკენ დაიხარა, ძველი ქუდის ქვემოდან ქერა, ხვეული თმა მოუჩანდა. პალტოს საყელო მაღლა ჰქონდა აწეული და ტუჩებზე მოღლილი ღიმილი დასთამაშებდა.

– შენ არ იდარდო, კირა. არც ირინას აქვს საქმე სადარდებლად. მე არაფერი მემუქრება. ვერ დამიჭერენ. სამაგისოდ დრო არ ეყოფათ.

* * *

დილით კირა სამსახურში უნდა წასულიყო.

მუშაობის დაწყება თავადვე დაიჟინა და ანდრეიმაც ლექტორისა და ექსკურსიამძღოლის ადგილი გამოუნახა რევოლუციის მუზეუმში. მისი საქმიანობა ძირითადად მაინც შინ ჯდომას გულისხმობდა და იმის ლოდინს, როდის დაურეკავდნენ საექსკურსიო სამმართველოდან. როცა იქედან ურეკავდნენ, კირაც საჩქაროდ მუზეუმს მიაშურებდა ხოლმე და მერე, გაოცებისაგან პირდაფჩენილი ხალხის ჯგუფებს ერთ დროს ზამთრის სასახლის ვეება დარბაზებში დაატარებდა. თითოეულ ექსკურსიაში მცირეოდენ გასამრჯელოსაც უხდიდნენ, თუმცა რაც მთავარია, სახლმმართველმა ის უკვე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების სიაში შეიტანა, რაც კირას ერთის მხრივ უსაშველო ქირისაგან ათავისუფლებდა, მეორეს მხრივ კი – ბურჟუას იარლიყისაგან.

გაღვიძებისთანავე, პირველ რიგში რკინიგზის სადგურში დარეკა. ყირიმიდან მატარებლის ჩამოსვლას ნაშუადღევამდე არ ელოდებოდნენ. ამის მერე უკვე თავად კირას დაურეკეს საექსკურსიო სამმართველოდან და ისიც წასასვლელად გაემზადა.

ზამთრის სასახლის დარბაზებში ყველგან რევოლუციის ბელადების გამოხუნებული ფოტოსურათები, უკვე ჩაყვითლებული პლაკატები, სხვადასხვაგვარი რუკები, დიაგრამები, მეფის დროინდელი

ციხეების დაპატარავებული ასლები, ჟანგიანი თოფ-იარაღი და სხვადასხვა სახის ყუმბარების ნამსხვრევები გამოეფინათ. სასახლის წინკარში ოცდაათი გუა ელოდა „ამხანაგი ექსკურსიამძღოლის“ გამოჩენას. მართალია, შვებულებით იყვნენ, მაგრამ ადგილობრივმა კულტსაგანმანათლებო უჯრედმა მათთვის ეს ექსკურსია მოაწყო და მათაც სხვა რა დარჩენოდათ, უარს ხომ ვერ იტყოდნენ. მოწიწების ნიშნად, ყველას ქუდი მოიხადა. სიარულითაც მორცხვად, ფეხაკრეფით დაიარებოდნენ, მორჩილად დაყვებოდნენ უკან კირას და მის თითოეულ სიტყვას დიდი ყურადღებით ისმენდნენ.

– ...აი ეს ფოტო კი, ამხანაგებო, სწორედ მისი სიკვდილით დას ის წინაა გადაღებული. ის ერთ-ერთი მტარვალის, მეფის უახლოესი დამქაშის მკვლელობის გამო ჩამოახრჩვეს. ამგვარი გახლდათ მუშურგლეხური რევოლუციისათვის თავდადებული კიდევ ერთი გმირის მოწამებრივი აღსასრული!

– ...ეს დიაგრამა კი, ამხანაგებო, უკვე თვალსაჩინოდ ასახავს საგაფიცვო მოძრაობის გაქანებას მეფის რუსეთში. თქვენ უთუოდ შენიშნავდით, რომ 1905 წლის შემდეგ, წითელი ხაზი მკვეთრად ეშვება ქვემოთ...

“კირა ამ თავის ლექციას სიტყვა-სიტყვით, გაუაზრებლად იმეორებდა ჯერ-ჯერზე. უკვე აღარც ფიქრობდა თუ რას ამბობდა, ეს უკვე მხოლოდ დამახსოვრებული ბგერების ერთი და იგივე მონაცვლეობა გახლდათ, როცა თითოეული მათგანი თავისთავად ბადებდა შემდგომს – ნებისყოფის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე. წინასწარ არც კი იცოდა ხოლმე, რას იტყოდა წამის შემდეგ: მხოლოდ იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ამა თუ იმ დადგენილი სიტყვის წარმოთქმისას, უთუოდ ხელიც აღემართა და შესაბამის სურათზე მიეთითებინა. ისიც იცოდა, რის თქმაზე გაეცინებოდა ამ რუხ, უსახურ მასას – მისი მსმენელი რომ ერქვა, როდის აღმოხდებოდა გაოცების შეძახილი ან როდის გამოხატავდა აღშფოთებას სოციალური უსამართლობის გამგონე. მან ისიც იცოდა, რომ მსმენელებს ერთი სული

ჰქონდათ, როდის მოათავებდა სათქმელს, საექსკურსიო სამმართველო კი მისგან მრავლისმთქმელ, ამომწურავ ლექციას მოითხოვდა.

– ...ეს კი ამხანაგებო, სწორედ ის ეტლია, რომელშიც ალექსანდრე II იჯდა მასზე თავდასხმის დროს. როგორც ხედავთ, ეტლის უკანა ნაწილი მთლიანად მოგლიჯა ხელყუმბარამ, რომელიც...

თუმცა, ამას რომ ჰყვებოდა, კირა ყირიმიდან მომავალ მატარებელზე ფიქრობდა. ვინ იცის, ის უკვე ჩამოსულიყო კიდეც და ვინ იცის, მისთვის საძულველი, გამოცარიელებული ოთახი ახლა უკვე სალოცავად ქცეულიყო...

– ამხანაგო ექსკურსიამძღოლო, ხომ ვერ გვეტყვით, ალექსანდრე მეორესაც მსოფლიო იმპერიალიზმი უმართავდა ხელს?

* * *

შინ დაბრუნებულს, ოთახი ისევ ისე გამოცარიელებული დაუხვდა.

– არა, არ გამოჩენილა, – უთხრა მარიშამ.

– არა, – ყრუდ გაისმა მამაკაცის ხმა ტელეფონის ყურმილში.

– ყირიმის მატარებელი ჯერ არ ჩამოსულა. რამდენჯერ უნდა დარეკოთ, მოქალაქევ? რა გჭირთ? მატარებლები თქვენ ჭკუაზე ხომ არ დაიარებიან! ღამემდე არ ველოდებით.

კირამ პალტო გაიძრო, მაჯის საათს დახედა. ხელი ჰაერში გაუშეშდა – უცებ გაახსენდა, ვისი საჩუქარიც იყო ეს საათი. მაშინვე მოიხსნა და უჯრაში შეინახა.

ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში მოკალათდა და გაზეთის წაკითხვა სცადა. მერე გაზეთი როგორღაც, თავისთავად ჩამოუცურდა იატაკზე, კირა კი გაუნძრევლად იჯდა, ხელზე თავგამოდებული.

ერთი საათის შემდეგ, კარსიქით ნაბიჯების ხმა მოისმა და კარიც მაშინვე, დაუკაკუნებლად შემოაღეს. პირველი, რაც კირამ დაინახა, მტვრიანი ჩემოდანი იყო, მხოლოდ მერეღა შეამჩნია ღიმილი, ეშმა-

კურად მიციმციმე თვალები და თეთრად მოელვარე კბილები გარუჯულ სახეზე. ხელის ზურგი პირთან მიიტანა და ერთიანად გახევდა.

– ალო, კირა! – გაისმა კაცის ხმა.

კირას ლეოსთვის არ უკოცნია, მხოლოდ მხრებზე ჩამოადო ხელები; მერე მკლავებს ჩამოაყოლა, თითქოს მთელი ძალა თითის წვერებში გადაუვიდაო; წინ წაიხარა, ახლა სახეც კაცის მკერდზე ჩამოუცურდა ნელ-ნელა, ხოლო როცა ის შეეცადა კირასთვის თავი აეწევინებინა, ქალი ტუჩებით დაეწაფა ხელზე და ასე გაირინდა. მხრები უთრთოდა, ქვითინებდა.

– რა გატირებს, შე სულელო!

ლეოს უხმოდ ეცინებოდა. თითებით ეფერებოდა თმაზე. თითები უცახცახებდა. მერე კირა აიტატა, სავარძელთან მიიყვანა და კალთაში ჩაისვა; თან ცდილობდა, ტუჩებით მის ტუჩებს მისწვდენოდა.

– ეგაა მაგარი ვარ და არასოდეს ვტირიო? დავიჯერო, ასე გაგიხარდა ჩემი დანახვა? კარგი ახლა, გეყოფა... მართლა პატარა გოგოსავით იქცევი... ჩემო საყვარელო...

კირა წამოდგომას შეეცადა: – ლეო... პალტო გაიხადე და...

– იჯექი, არ ადგე.

ლეომ კირა ჩაიხუტა. იმან გაძალიანება დააპირა, თუმცა იგრძნო, რომ წამოდგომის კი არა, ოდნავ განძრევის თავიც კი აღარ ჰქონდა. და აი, ქალურობის ნებისმიერი გამოვლინების დამცინავი კირა ახლა ნაზად. მომხიბლავად, მიმნდობად იღიმოდა. ეს ღიმილი ნებისმიერ ქალურ ღიმილზე კიდევ უფრო სუსტი და უღონო ჩანდა და უფრო გზააბნეული, დაკარგული ბავშვის უმწეო ღიმილს წააგავდა. თვალზე ცრემლმომდგარს, წამწამები უციმციმებდა.

ლეო ნახევრად თვალმოხუჭული შესცქეროდა და მის მზერაში იმდენად გამოსჭვიოდა დამცინავი ქედმაღლობაცა და საკუთარი ძალაუფლებით ტკბობაც, რომ კირამ ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი. არადა, ეს მზერა უფრო აღაგზნებდა, ვიდრე შეყვარებულის ალერსი.

მერე ლეომ სახე აარიდა და ჰკითხა:

– ძალიან გაგიჭირდა ამ ზამთრის გადატანა?

– არც ისე. მაგაზე ლაპარაკიც არ ღირს. ეგ უკვე წარსულია. და შენ? ჯერ ისევ გახველებს?

– არა.

– ესე იგი, კარგად ხარ? სულ, სულ კარგად? მთლად გამოჯანმრთელდი? შეგიძლია სიცოცხლე გააგრძელო?

– კი, კარგად ვარ. რაც შეეხება სიცოცხლის გაგრძელებას...

ლეომ სათქმელი არ დააბოლოვა და მხრები აიჩეჩა. სახეზე მზე – მოკიდებოდა. მკლავებშიც თითქოს ძალა ჩაღვროდა და ადრე ჩაცვენილი ლოყებიც ამოვსებოდა, თუმცა კირამ მაინც დაუნახა თვალებში რაღაც, რასაც მკურნალობის კვალი არ დამჩნეოდა, რაც ალბათ აღარც ექვემდებარებოდა მკურნალობას.

– ყველაზე უარესი ხომ დამთავრდა, ლეო? – თქვა კირამ.

– ახლა ხომ შეგვიძლია...

– რა შეგვიძლია? მე შენ ვერაფერი ჩამოგიტანე, გამოჯანმრთელებული სხეულის მეტი.

– მეტი რაღა გინდა? – არც არაფერი. ჩემისთანა ალფონსისაგან ეგეც ხეირია.

– ლეო! – რა, ასე არაა? – ლეო, შენ მე არ გიყვარვარ?

– მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ. ნეტა არც მიყვარდე ასე. მაშინ ბევრად უფრო იოლი იქნებოდა. ოღონდ როცა ქალი გიყვარს და – ხედავ, როგორ ებრძვის ის ამ სიცოცხლედ წოდებულ ჯოჯოხეთს, როცა შენ ვერაფრით ეხმარები და პირიქით, იქით უბიძგებ კიდევ უფრო... შენ რა გგონია, მართლა ღვთის წყალობად ჩავთვლი ამ შენგან დაბრუნებულ ჯანმრთელობას? მძულს, იმიტომ რომ სწორედ შენ დამიბრუნე და კიდევ იმიტომ, რომ მიყვარხარ...

– რომ შეგეძლოს, მეც შემიჯავრებდი? – უბოროტოდ ჩაეცინა კირას.

– კი, დაუფიქრებლად. შენ ის ხარ, ვინც მე უკვე დიდი ხნის წინ

დავკარგე, მაგრამ იმდენად მიყვარხარ, მაინც ვცდილობ ჩაგებღაუჭო, თვითონაც ისეთად მოგაჩვენო თავი, როგორიც შენ გგონივარ, როგორიც ადრე მართლა ვიყავი, თუმცა ახლა სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვგავარ იმ უწინდელს. რაცაა ესაა, სხვას მაინც ვერაფერს შემოგთავაზებ, კირა.

კირა უკვე აღარ ტიროდა. უკვე სრულიად მშვიდად ახედა ქვემოდან და მის ღიმილსაც უკვე ბავშვური აღარც ეთქმოდა. ეგ კი არა, ნებისმიერ ქალურ ღიმილზე მეტი ძალა ეტყობოდა:

– მნიშვნელობა ერთადერთ რამეს აქვს და ეს ორივემ უნდა დავიმახსოვროთ, – თქვა კირამ.

– სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. მე არ მადარდებს, როგორი იქნება ცხოვრება, ანდა ჩვენ რას დაგვმართებს. მთავარია, არ უნდა გაგვტეხოს – არც შენ და არც მე. ესაა ჩვენი ერთადერთი იარაღი. ერთადერთი დროშა, რომელიც ამდენ ირგვლივ აფრიალებულ სხვა დროშას შეგვიძლია დავუპირისპიროთ. ესაა ერთადერთი, რისი ცოდნაც გვჭირდება საკუთარ მომავალთან დაკავშირებით.

– კირა, ნეტა ისეთი არ იყო, როგორიც ხარ...

– ისე თბილად, ისე გულწრფელად წარმოთქვა ლეომ, როგორც ადრე არასოდეს არაფერი უთქვამს მისთვის.

– პასუხად, კირამ მხარზე ჩამოადო თავი და ჩასჩურჩულა:

– მოკლედ, ამაზე აღარასოდეს ვილაპარაკებთ. საერთოდ, ახლაც გვეყოფა ამდენი ლაპარაკი. წავალ, ამ ნამტირალევ სახეს მოვიწესრიგებ და შენც გაიხადე ეგ პალტო, იბანავე და მანამდე რაიმეს მაინც მოგიმზადებ... ოღონდ ჯერ ცოტა ხანს მაცალე, ასე ვიჯდები, გაუნძრევლად... და არც შენ გაინძრე, ლეო.

კირას ნელ-ნელა ჩამოუცურდა თავი – დაბლა, სულ დაბლა...

III

სამი დღის შემდეგ, საღამო ხანს, ზარის ხმა გაისმა და კირაც კარის გასაღებად გაემართა.

ცოტაზე გამოაღო, ჯაჭვის სიგრძეზე და კართან ვიღაც უცნობი ტანსრული, ძალიან ლამაზ, ძვირფას ლაბადამოსხმული ქალი დაინახა. სახეზე საქმიანი იერი მოერგო, ყელიც ამაყად მოეღერებინა და მაღალი, ფითქინა კისერი მოეშიშვლებინა. ხორციანი, ხასხასა წითელ პომადაგადასმული ტუჩები ოდნავ გაპობოდა და თეთრი, ჯანმრთელი კბილების რიგი მოუჩანდა. ხელით განიერ, მწვანე აბრეშუმის მოსასხამს ეფერებოდა, ხმაში კი თითქოს საგანგებოდ გამოერია ნატიფი თავდაჯერებულობა:

– ლეო კოვალენსკი აქ ცხოვრობს?

კირამ ცოტა არ იყოს, იჭვნეულად შეუთვალიერა ბრილიანტის ბეჭდები მსუქან, კოტიტა თითებზე და მერეღა უპასუხა:

– დიახ, რა გნებავთ?

ჯაჭვი კარიდან მაინც არ აუხსნია, იდგა და ჯიუტად მიჩერებოდა ქალს. იმანაც თავაზიანი დაჟინებით მიუგო:

– ნახვა მინდოდა მისი.

რა გაეწყობოდა, კირამ დაუპატიჟებელი სტუმარი შინ შეუშვა. ქალმა კი თვალები მოჭუტა და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით აათვალ-ჩაათვალიერა.

როცა ოთახში შევიდნენ, აშკარად გაოცებული ლეო ფეხზე წამოიჭრა. ქალმა ცოტა არ იყოს, თეატრალურად გაიწვდინა მისკენ ორივე ხელი.

– ლეო, როგორ მიხარია! ხომ დაგემუქრეთ, გიპოვით-მეთქი და აი, სიტყვაც შევასრულე! ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, თავი მოგაბეზროთ...

ქალის უაზრო სიცილ-ფხუკუნის პასუხად, ლეოს არცკი გაღიმებია, მხოლოდ ზრდილად დაუკრა თავი და თქვა:

– კირა, ეს ანტონინა პავლოვნა პლატოშკინაა. ეს კი კირა ალექსანდროვნა არგუნოვა.

– არგუნოვა? მართლა? – ისეთნაირად გაიკვირვა ანტონინა პავლოვნამ, თითქოს ხაზს უსვამდა, რომ კირა და ლეო ერთსა და იგივე გვარს არ ატარებდნენ. აშკარად ესიამოვნა ეს ამბავი. მერე მკლავი წინ გაიწვდინა, მტევანი კი ოდნავ შესამჩნევად, ისე დაუშვა ქვემოთ, თითქოს მამაკაცს ეცნობა და მისგან ხელზე ამბორს მოელისო.

– ანტონინა პავლოვნა და მე ერთად ვისვენებდით სანატორიუმში, – ვითარების ახსნა სცადა ლეომ.

– და მინდა გითხრათ, ერთობ უმადური დამსვენებელი გახლდათ, – უშნოდ ჩაიხითხითა ანტონინა პავლოვნამ.

– არც კი დამელოდა. არადა როგორ მინდოდა, ერთი მატარებლით წამოვსულიყავით! არც საკუთარი ბინის ნომერი დამიტოვა... უნდა გენახათ, რა დღე გამოვიარე, სანამ სახლმმართველს ვათქმევინებდი! ეგენი ხომ ჩვენი დროის მოუშორებელი უბედურებაა... არადა ჩვენ, ინტელიგენტებს, სხვა რაღა დაგვრჩენია, ისევ ხუმრობაში თუ გავუტარებთ ყველაფერს!

ლაბადა გაიხადა. მის ქვეშ ძვირფასი, უახლოეს მოდაზე შეკერილი შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, ყურის ბიბილოებს კი მწვანე პლასტმასის მრგვალი, უცხოური საყურეები უმშვენებდა. თმა დიდი მონდომებით გადაევარცხნა შუბლიდან უკან და მხოლოდ ორი კულული დაეტოვებინა ჩამოშლილი, ცოტა არ იყოს და, ზედმეტად შეფიფქულ, პუტკუნა ლოყებზე. თმას არაბუნებრივად ჟღალი ელფერი დაჰკრავდა, უფრო ქარვისფერი და ყოველ მოძრაობაზე, ეს კულულებიც ქანქარასავით დაუდიოდა აქეთ-იქით. კაბა მჭიდროდ ადგა ტანზე და თვალსაჩინოდ წარმოუჩენდა მსხვილ თეძოებსა თუ მსუქან ბარკლებს. აი, წვივები კი მეტისმეტად წვრილი ჰქონდა, ტერფები კი – პატარა, და ამ შეუფერებლად მძიმე ტვირთის წონით გაბრტყელებულებს მიუგავდა. ქალი ჩამოჯდა და მუცელიც მაშინვე კალთაში ჩამოეღვენთა.

– როდის დაბრუნდით, ტონია? – შეეკითხა ლეო.

– გუშინ. საშინლად ვიმგზავრე! – ამოიოხრა ქალმა.

– არ იცით ამ საბჭოური მატარებლების ამბავი? სულ წყალში ჩამეყარა სანატორიუმში დასვენება. არადა მეგონა, ცოტა დავიწყნარე-მეთქი ნერვები...

– კირას გახედა მრავალმნიშვნელოვნად.

– აბა რომელ მგრძნობიარე ადამიანს უვარგა ნერვები ჩვენს დროში... მაგრამ ყირიმი ნამდვილი სამოთხეა, ხელახლა დავიბადე!

– კი, ნამდვილად კარგი იყო, – დაეთანხმა ლეო.

– ოღონდ თქვენი წასვლის მერე, იქაურობამ მთელი ხიბლი დაკარგა, ლეო! იცით, – მიუბრუნდა კირას.

– იმ სანატორიუმში ყველაზე მომხიბვლელი პაციენტი გახლდათ, ყველანი მასზე ვგიჟდებოდით... რა თქმა უნდა პლატონურად, ჩემო კარგო. თქვენ მაგაზე არ იღელვოთ, – ახლა თვალიც კი ჩაუკრა კირას.

– არც ვღელავ, – უთხრა კირამ.

– ლეომ გულისხმიერება გამოიჩინა და ფრანგულშიც მეხმარებოდა. ფრანგულს ვსწავლობ – უფრო სწორად, ცოდნას ვიღრმავებ. ნამდვილად დიდი შვებაა ამ ჩვენს უსახურ დროებაში ლეოსნაირ პიროვნებას რომ შეხვდები ადამიანი. უნდა მაპატიოთ, ლეო – მშვენივრად ვხვდები რომ შეიძლება დაუპატიჟებელი სტუმარი გამოვდექი, მაგრამ თავს იმის უფლებას ვერ მივცემდი, ასეთი გამორჩეული მეგობრობისათვის უცებვე დამესვა წერტილი... მით უმეტეს, ამ მუდამ მბორგავ ქალაქში, სადაც ნამდვილი ადამიანი სანთლით საძებარია.

– აბა რას ბრძანებთ, ტონია! პირიქით, მიხარია კიდეც, რომ არ დაიზარეთ და მომაგენით.

– აქაური ხალხი საერთოდ რა სახსენებელია! უამრავს ვიცნობ, ვხვდებით ერთმანეთს, ვესალმებით, ვსაუბრობთ... და რა მერე? არც არაფერი. უაზრო და უშინაარსოა ყველა ეს ურთიერთობა. იცის კი

მათგან ვინმემ, რას ნიშნავს სულის სიღრმისეული მნიშვნელობა, ანდა ჩვენი სიცოცხლის ჭეშმარიტი არსი?

ლეოს სუსტი, უხალისო ჩაღიმება იმაზე მიანიშნებდა, რომ თავი და ბოლო ვერ გაუგო ამ ლაილაის, თუმცა ქალის ნათქვამი უპასუხოდ მაინც არ დაუტოვებია:

– დღევანდელ დღეს საწუხარს ისევ საქმე თუ დაგავიწყებს. ოღონდ საქმის კეთების საშუალება უნდა მოგცენ.

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ. რა თქმა უნდა, თანამედროვე ქალი გულხელდაკრეფილი ვერ იჯდება სახლში! მე მაგალითად, მომავალი ზამთრისთვის უკვე გაწერილი მაქვს მთელი პროგრამა: ძველი ეგვიპტის კულტურა და რელიგია უნდა შევისწავლო.

– რაა? – ჩაეკითხა კირა.

– ძველი ეგვიპტე, – გაიმეორა ანტონინა პავლოვნამ.

– მინდა სრული სისავსით შევიცნო მისი სულიერება. ამ უძველეს კულტურებში უდიდესი მნიშვნელობა იმალება – იდუმალი კავშირი თანამედროვეობასთან, რასაც ჩვენ, ამჟამად მცხოვრებნი, სრულად ვერც ვაცნობიერებთ. ეჭვიც არ მეპარება, წინა ინკარნაციის დროს... ლეო, თქვენ თეოსოფია არ გიტაცებთ, არა?

– არა.

– რა თქმა უნდა, თქვენს თვალსაზრისს პატივს ვცემ, მაგრამ მე ისე სიღრმისეულად შევისწავლე ეს საგანი და იმდენი მაქვს უკვე ნაფიქრი... არის ამაში ტრანსცენდენტური ჭეშმარიტება – სხვანაირად, ჩვენი არსებობის თანამდევ თავსატეხს უბრალოდ, ვერც ახსნი ადამიანი. რა თქმა უნდა, მე ჩემი ხასიათით იდუმალებისკენ არ მიდრეკილი, თუმცა ჩამორჩენილობას ნუ დამაბრალებთ. არც ის გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით რომ იმავდროულად, პოლიტიკურ ეკონომიკასაც ვსწავლობ!

– მართლა, ტონია? და რატომ?

– იმიტომ, რომ დროს ფეხი უნდა ავუწყოთ. თუ რამეს არ ვიზიარებთ, ჯერ უნდა გვესმოდეს მისი აზრი. ყველაფერთან ერთად,

ეს საოცრად სახალისოცაა: შრომას, ბაზრებს, საწარმოო საშუალებების საკითხებს თავისთავად გარკვეული უცნაური ხიბლიც ახლავს. რა მაგის პასუხია და, ვალენტინა სირკინას ლექსების ბოლო წიგნი თუ წაიკითხეთ?

– არა, არ წამიკითხავს.

– ერთმნიშვნელოვნად დასაფასებელია! გრძნობათა საოცარი სიღრმეც ჩანს მათში და თან სრულიად თანამედროვეა, მთელი თავისი არსით. ერთი ლექსია, ახლავე გავიხსენებ... მოკლედ, გული ასბესტთან აქვს შედარებული, რომელსაც ბობოქარი გრძნობების ხანძარიც ვერაფერს აკლებს... რაღაც ამგვარი. გასაგიჟებელია, სრულიად გასაგიჟებელი!

– უნდა გამოგიტყდეთ, თანამედროვე პოეტებს საერთოდ არ ვკითხულობ.

– მაინც მოგიტანთ მაგ წიგნს, ლეო. დარწმუნებული ვარ, მის ხიბლს ჩასწვდებით და დააფასებთ კიდეც. ეჭვი არ მეპარება, კირა ალექსანდროვნასაც მოეწონება...

– დიდი მადლობა, – უთხრა კირამ.

– მაგრამ პოეზიას საერთოდ არ ვეტანები.

– მართლა? რა უცნაურია... ალბათ, მუსიკა უფრო გიყვართ?

– კი, ფოქსტროტები.

– რას მეუბნებით! – შემწყნარებლურად გაეღიმა ანტონინა პავლოვნას. როცა იღიმოდა, ნიკაპი კიდევ უფრო წინ ეწეოდა, შუბლი კი პირიქით – თითქოს უკან მისდიოდა ხოლმე, ტუჩებს კი ნელინელ, ზანტად აშორიშორებდა ერთმანეთს.

– რაც შეეხება მუსიკას, – მიუბრუნდა ლეოს.

– მას ჩემს ზამთრისთვის ჩამოწერილ გეგმაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმდენი ვქენი, კოკო დამპირდა, სახელმწიფო ფილარმონიაში გამართულ ყველა კონცერტზე ლოჟის ბილეთს გაგიხერხებო. საწყალი კოკო! გულის სიღრმეში მართლა ძალზე არტისტული პიროვნებაა, თუ სწორად მიუდგები... მაგრამ

სამწუხაროდ, არასწორი აღზრდის გამო, სიმფონიური მუსიკის სათანადოდ აღქმა უჭირს. სავარაუდოდ, მარტო მომიწევს ჯდომა იმ ჩემს ლოჟაში... თუმცა რატომ, იქნებ თქვენ ამიბათ მხარი, ლეო? რა თქმა უნდა, კირა ალექსანდროვნამაც...

– აქ ერთი კი დაუკრა თავი კირას და მერე ისევ ლეოს მიაჩერდა.

– მადლობის მეტი რა გვეთქმის, ტონია! – უთხრა ლეომ.

– მაგრამ ვშიშობ, ამ ზამთარს ჩვენ სამაგისოდ არ გვეცლება.

– ლეო, ძვირფასო! – ქალმა თანაგრძნობით გადაშალა მკლავები.

– გგონიათ, არ მესმის? თქვენი ფინანსური მდგომარეობა... განა არ ვიცი, ახლანდელ დროში როგორ უჭირს თქვენნაირ ხალხს? მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, მეც ვიცნობ ვიღაც-ვიღაცეებს... კოკოც ვერაფერზე ვერ მეტყვის უარს. ერთი გენახათ, როგორ არ უნდოდა ყირიმში ჩემი გაშვება! ისე ვენატრებოდი, კინაღამ გაგიჟდა სიხარულისაგან, უკან დაბრუნებული რომ მნახა. მე მგონი, ქმარიც რომ იყოს, ასე მაინც ვერ ვეყვარებოდი. ისე, ქორწინება ყავლგასული რამაა, ეგრე არ არის? იმედია, დამეთანხმებით...

– ღიმილით გახედა კირას.

– დარწმუნებული ვარ, ყირიმმა ნამდვილად კარგად იმოქმედა თქვენზე...

– ნაჩქარევად, ცოტა ცივადაც კი აჯახა ლეომ.

– უკეთესი ადგილი არ არსებობს დედამიწაზე! ნამდვილი სამოთხეა. ლურჯად მოლივლივე ცა, მარგალიტივით ზედ მობნეული ვარსკვლავები, ზღვა და ის ღვთაებრივი მთვარის შუქი! იცით, ვერ გამიგია, თქვენ როგორ დარჩით გულგრილი ამ ჯადოს მიმართ! მე მგონი, საერთოდ არ უნდა იყოთ რომანტიკული განწყობის კაცი, და ახლა მგონი ვხვდები კიდეც, რატომ...

სწრაფი მზერა სტყორცნა კირას, თუმცა საპასუხო გამოხედვამ თითქოს ამ მზერას იქვე დაუკარგა სუსხიცა და ძალაცო. ანტონინა პავლოვნამ ნაძალადევად გაიღიმა, კირას თვალი აარიდა და ამოიოხრა:

– უცნაური არსებები ხართ კაცები! თქვენი გაგება თავისთავად მთელი მეცნიერებაა და ყოველი ნამდვილი ქალის უპირველესი მოვალეობაც. მე ამ მეცნიერებას ცხოვრების მწარე სკოლამ მაზიარა...

– ახლა უფრო ღრმად ამოიოხრა და თავიც დანანებით გადააქნია.

– გმირ თეთრგვარდიელ ოფიცრებსაც ვიცნობდი პირადად და დაუნდობელ, რკინის კომისრებსაც...

– აქ ხმამაღლა გადაიკისკისა.

– ღიად ვაღიარებ, რატომაც არა? ჩვენ აქ ყველანი თანამედროვე ადამიანები ვართ. ბევრს არასწორად გაუგია და შეუფასებია ჩემი ცხოვრება, მაგრამ ამას არ დავეძებ, რაკიღა პატიებაც შემიძლია... ასე ვთქვათ, noblesse oblige.

კირა სავარძლის სახელურზე იჯდა და ხან თავისი ძველი ფლოსტების წვერებს დასცქეროდა, ხან კი – ხელის ფრჩხილებს ითვალიერებდა უხალისოდ. გარეთ უკვე ჩამობნელებულიყო, როცა ანტონინა პავლოვნამ ძვირფასი თვლებით გაწყობილ მაჯის საათზე დაიხედა.

– რა დრო გასულა! ამ სასიამოვნო საუბარში ვერც კი შევამჩნიე... ახლა უნდა გავიქცე, საწყალი კოკო უჩემოდ ძალიან მოიწყენდა.

ხელჩანთა გახსნა, პაწია სარკე ამოაძვრინა, ორი თითით დაიჭირა და თვალებმოჭუტულმა, გულდასმით შეითვალიერა სახე. მერე ასევე პაწია, წითელი ბოთლიც მოიძია და ფუნჯით კოხტად დაიღება ტუჩები.

– მშვენიერი რამაა, – კირასაც დაანახა ბოთლი.

– პომადას ნამდვილად სჯობია. შევამჩნიე, თქვენ ტუჩებს არ იღებავთ, კირა ალექსანდროვნა, არა? ოღონდ აი ამას კი დაბეჯითებით გირჩევდით და როგორც ქალი ქალს, გეტყვით – გარეგნობაზე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ! მით უმეტეს...

– ახლა მთლად შეთქმულივით გაუცინა კირას.

– როცა ამისთანა განძი გყავს მოსაფრთხილებელი.

უკვე კართან მისული ანტონინა პავლოვნა ლეოს მოუბრუნდა:

– ზამთრის დადგომამ არ შეგაშინოთ, ლეო! მე ისეთი ნაცნობმეგობრები მყავს... კოკოსაც, რაღა თქმა უნდა... ზოგიერთი გვარ-სახელის ჩურჩულით თქმისაც კი მეშინია... ცხადია, კოკო უარს არაფერზე მეტყვის. აუცილებლად უნდა გაგაცნოთ. ჩვენ თქვენთვის ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. მე ვიზრუნებ, რომ თქვენისთანა შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი ამ საბჭოთა ჭაობში არ ჩაიხრჩოს.

– მადლობელი ვარ თქვენი, ტონია. ვაფასებ თქვენს ყურადღებას. მაგრამ იმედია, ჯერ მთლად არ ჩავძირულვარ. ჯერ-ჯერობით მაინც.

– ისე, რას საქმიანობს? – იკითხა უცებ კირამ.

– ვინ, კოკო? კვების ტრესტის მმართველის მოადგილე გახლავთ. ოღონდ ეს – ოფიციალურად...

– ანტონინა პავლოვნამ ხმას დაუწია, ჩაიხითხითა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი. მერე კი ბრილიანტის ბეჭდებით დახუნძლული თითები ჰაერში აათამაშა და მასპინძლებს დაემშვიდობა.

– Au revoir, mes amis. მალე ისევ გინახულებთ. კარი მიკეტა თუ არა, კირა ლეოს შემოუტრიალდა: – აი, ამას კი მართლა აღარ ველოდი შენგან! – რას? – რას და, ამისთანა ნაცნობობის გაბმას.

– სხვათა შორის, მე შენს მეგობრებს არასოდეს განვიკითხავ ხოლმე.

მარიშას ოთახი გამოიარეს და ფანჯარასთან მიმჯდარმა მარიშამაც წიგნის კითხვას თავი ანება, ცნობისმოყვარედ გამოხედა ლეოს – მისი ხმის კილოთი გაკვირვებულმა. მერე თავიანთ ოთახში შევიდნენ და ლეომაც გამეტებით მიიჯახუნა ზურგსუკან კარი.

– სხვათა შორის, სტუმართან უფრო ზრდილობიანადაც შეიძლებოდა მოქცევა.

– მაგით რისი თქმა გინდა? – აიფოფრა კირა.

– რისი და საათში ერთხელ მაინც ამოგეღერღა თითო სიტყვა.

– ის ქალი ჩემთან სალაპარაკოდ არ მოსულა.

– არც მე დამიპატიჟია. სხვათა შორის, არც მეგობარია ჩემი და ამ

ერთი სტუმრობისაგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს.

– კი მაგრამ, მაინც სად გადაეყარე?

– იმავე სანატორიუმში ისვენებდა-მეთქი, ხომ გითხარი და თან უცხოური წიგნები აღმოაჩნდა, რაც საკმაოდ დიდი საცდურია საბ-ჭოთა ნაგვით თავგამოტენილი მკითხველისათვის. ასე გავიცანით ერთმანეთი. დაშავდა რამე?

– კი მაგრამ ლეო, ნუთუ ვერ ხვდები, რა ამოძრავებს? – ცხადია ვხვდები და შენც გეშინია, რომ თავისას მიაღწევს? – ლეო!

– მაშინ, რატომ არ დაელაპარაკე? ერთი სრულიად უვნებელი, სულელი ქალია, თავის გამოჩენას რომ ცდილობს... სხვათა შორის მართლა იცნობს ვიღაც-ვიღაცეებს.

– კი მაგრამ, ამნაირ ადამიანებთან ურთიერთობა...

– სხვათა შორის, არაფრითაა უარესი იმ წითელ ნაგავზე, ვისთა-ნაც დღევანდელ დღეს ურთიერთობა გიწევს კაცს. ბოლო-ბოლო, თვითონ მაინც არაა წითელი.

– კარგი, როგორც გენებოს.

– დაივიწყე ეს ამბავი, კირა. ეგ აქ მომსვლელი აღარაა.

ლეომ უცებ გულთბილად გაუღიმა. თვალებიც ისე უბრწყინავდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და კირაც მაშინვე მოლბა, ხელები მხრებზე ჩამოადო და ყურში უჩურჩულა:

– მართლა ვერ ხვდები, ლეო? მაგისთანებმა შემოხედვაც კი ვერ უნდა გაგიბედონ.

ლეოს გაეცინა, ნაზად მოუთათუნა ლოყაზე ხელი.

– მიყურონ, რა... ერთბაშად თვალი არ მეცეს.

* * *

– ახლავე მიწერე ბიძაშენს ბუდაპეშტში! – უთხრა ლეომ კირას.

– მადლობა გადაუხადე და უთხარი, ფული აღარ გამოგვიგზავ-ნოს. მე უკვე კარგად ვარ და თავად გავართმევთ თავს ყველაფერს.

ჩამოწერე, რაც მისგან მიგვიღია და შენც თუ იანგარიშებ, აქ რამდენი დაგეხარჯა, ნელ-ნელა დავიწყოთ ვალის გასტუმრება. იმედია, მოთმინება ეყოფა, რადგან მარტო ეშმაკმა უწყის, რამდენი დრო დასჭირდება ამ ამბავს.

„კარგი, ლეო" – ისე ჩაუჩურჩულა კირამ, მისკენ არც გაუხედავს.

ლეომ კი სწორედ ახლა მოკრა თვალი მის ოქროს მაჯის საათს და კოპები შეიკრა:

– ეგ საიდანღა გაქვს? – საჩუქარია, – ჩაულაპარაკა კირამ.

– ანდრეი ტაგანოვისგან.

– მართლა? მაშ, საჩუქრებსაც იღებ მისგან?

– ლეო! – მოწყვეტით შეტრიალდა მისკენ კირა და მაშინვე შეტევაზე გადავიდა:

– და რა მოხდა მერე? დაბადების დღე მქონდა და ადამიანს უარი ვერ ვუთხარი...

ლეომ დაუდევრად აიჩეჩა მხრები:

– რა ჩემი საქმეა. არც ვერევი არაფერში. ისე, მე პირადად, გეპეუ-ს ფულით ნაყიდს ვერც ვერაფერს მოვიხმარდი.

კირამაც საგულდაგულოდ გადამალა სანთებელაც, აბრეშუმის წინდებიცა და სუნამოც. რაც შეეხება წითელ კაბას, ლეოს უთხრა, საგანგებოდ შენს დასახვედრად შევიკერეო. თუმცა ლეოს გასაოცრად, იმ კაბის ჩაცმას მაინც სულ ერიდებოდა ხოლმე.

კირა დროის უმეტეს ნაწილს ზამთრის სახლის დარბაზებში ატარებდა და გაოცებულ ექსკურსანტებსაც კვლავ ერთსა და იმავეს უმეორებდა:

– ...და რა თქმა უნდა, ყოველი შეგნებული მოქალაქის ვალია, კარგად გაეცნოს ჩვენი რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, რათა თავადაც მომზადებული ჩადგეს მსოფლიო რევოლუციისათვის – ამ ჩვენი უზენაესი მიზნისათვის მებრძოლთა რიგებში.

საღამოობით კი სულ ცდილობდა ლეოსთვის ეთქვა – წასასვლე-

ლი ვარ, ირინას დავპირდი შეხვედრას... ანდა – დღეს ექსკურსიამ-ძღოლთა პროფკავშირის ყრილობაა, მაგრამ ლეოს არაფრის გაგონება არ სურდა და შინიდან ფეხსაც არ ადგმევინებდა.

ზოგჯერ კირა სარკეში იცქირებოდა და უკვირდა კიდეც – ნეტა რატომ მეუბნება ხალხი, როგორი ალალი, გულწრფელი გამოხედვა გაქვსო.

– მოკლედ, საღამოობით შინიდან ვეღარ გადიოდა, თუმცა დიდი სურვილიც არ გააჩნდა, რადგან ლეოს ცქერით ვერ ძღებოდა: არაფერი არ უნდოდა სხვა, ოღონდ კი ჩუმად მოკალათებულიყო სავარძელში და იქიდან ედევნებინა თვალი, თუ როგორ მიდი-მოდიოდა ლეო ოთახში. უსასრულოდ შეეძლო მისი სხეულის თვალიერება, როცა ის კირასკენ ზურგშექცეული იდგა ხოლმე ფანჯარასთან; დინჯშემოყრილი, ოდნავ უკან გადმოხრილი, ერთიანად დაძაბული, კისერგარუჯული, თმამოშვებული.. მერე კირაც წამოდგებოდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა, მიეხუტებოდა და უსიტყვოდ, ფრთხილად, ნელ-ნელა დაუწყებდა ფერებას დაჭიმულ კისერზე.

მხოლოდ მაშინღა ახსენდებოდა ის მეორე კაცი, რომელიც მოუთმენლად ელოდა სადღაც. იცოდა, უთუოდ უნდა ენახა ანდრეი. ამიტომ, ერთ საღამოს ის ახალი, წითელი კაბა ჩაიცვა და ლეოს უთხრა, მშობლების მოსანახულებლად მივდივარო.

– შეიძლება მეც წამოვიდე? – ჰკითხა ლეომ.

– რაც დავბრუნდი, არ მინახავს და წესით, ერთი სტუმრობა კი მეკუთვნის.

– არა, ლეო... ამჯერად არ ივარგებს, – მშვიდად მიუგო კირამ.

– ჯობია, შინ დარჩე. დედაჩემი რაღაც... ბოლო დროს ძალიან შეეცვალა ხასიათი. ვიცი, შენც გაღიზიანდები და...

– შენი წასვლა კი ასე აუცილებელია? არ მინდა გაგიშვა და მე აქ მარტო დავრჩე. ისედაც ძალიან დიდხანს ვიყავი უშენოდ.

– დავპირდი, დღეს მოვალ-მეთქი. დიდხანს მაინც არ გავჩერდები, მალევე დავბრუნდები.

ის იყო, პალტო უნდა შემოეცვა, რომ კარზე ზარი დარეკეს. გასაღებად მარიშა გავიდა და მალე გალინა პეტროვნას ხალისიანი ხმაც მოისმა:

– კარგია, შინ რომ დამხვდნენ! მეგონა, სულ სტუმრად დაიარებიან და მაინცადამაინც მოხუცი მშობლები დაივიწყეს-მეთქი...

ოთახში პირველი გალინა პეტროვნა შემოვიდა. მას უკან ლიდია მოსდევდა, სულ ბოლოს კი ალექსანდრ დიმიტრიევიჩი მოფრატუნობდა.

– ლეო, ჩემო საყვარელო! – გულში ჩაიკრა ლეო გალინა პეტროვნამ და რიგ-რიგობით აკოცა ორივე ლოყაზე.

– როგორ მიხარია! კეთილი იყოს ლენინგრადში შენი მშვიდობიანად დაბრუნება! – აი ლიდიამ კი რაღაც დუნედ ჩამოართვა მასპინძელს ხელი, მერე თავისი გაცრეცილი ქუდი მოიხადა, მძიმედ ჩამოჯდა სკამზე და თმის სამაგრებს დაუწყო წვალება. კეფაზე სახელდახელოდ დაგრაგნილი თმა უცებ ჩამოეშალა და მხრებზე დაეფინა. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, არც ფერუმარილი ესვა, ცხვირიც უბზინავდა და თავადაც თვალგაშტერებული დასცქეროდა იატაკს.

– მიხარია რომ მომჯობინდი, შვილო! – ჩაიბურტყუნა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა, გაუბედავად მოუთათუნა ლეოს მხარზე ხელი და ისეთი თვალებით მიაჩერდა, როგორიც შეშინებულ ძაღლს აქვს ხოლმე, როცა გალახვას მოელის.

კირამ მშვიდად შეათვალიერა მშობლები და ცივი თავდაჯერებით დაეკითხა:

– აქ რას მოდიოდით? აკი დაგპირდით, თავად გესტუმრებით-მეთქი!

– როდის...

– რაღაცის თქმა დააპირა გალინა პეტროვნამ, მაგრამ კირამ იქვე გააწყვეტინა:

– კარგი, რაკი აქა ხართ, პალტოები მაინც გაიხადეთ.

– ძალიან მიხარია შენი გამოჯანმრთელება, ლეო! – ისევ თავისი

გააგრძელა გალინა პეტროვნამ.

– ხომ იცი, შვილებში არ გამომერჩევი. ხარ კიდევაც. სხვა ყველაფერი ბურჟუაზიული ცრურწმენაა და მეტი არაფერი!

– დედა! – სუსტად, უიმედოდ გაიბრძოლასავით ლიდიამ.

ამასობაში, გალინა პეტროვნა სავარძელში მოკალათდა, დარცხვენილი ალექსანდრ დიმიტრიევიჩი კი კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა უხერხულად.

– დიდი მადლობა მობრძანებისთვის, – თავაზიანად გაუღიმა სტუმრებს ლეომ.

– ერთადერთი მიზეზი, რის გამოც აქამდე მე თვითონ არ მოგინახულეთ, ისაა რომ...

– ვიცი, კირაა მაგის მიზეზი! – ლეოს სათქმელი დააბოლოვა გალინა პეტროვნამ.

– სხვათა შორის, რაც შენ წასული იყავი, ორჯერ თუ სამჯერ ვნახეთ სულ.

– კირა, შენთვის წერილი მაქვს, – თქვა უცებ ლიდიამ.

– წერილი? – ოდნავ გაებზარა ხმა კირას.

– კი, დღეს მოიტანა ფოსტალიონმა.

კონვერტზე გამომგზავნის მისამართი არ ეწერა, თუმცა კირამ ხელწერა მაინც იცნო. წერილი დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე.

– არ გახსნი? – გაიკვირვა ლეომ.

– რა მეჩქარება? – მოუჭრა კირამ.

– ისეთი არაფერია...

– აბა, ლეო! – დაიბუხუნა გალინა პეტროვნამ. ბოლო დროს ხმა უფრო მოღონიერებოდა და დაწმენდოდა კიდეც.

– რა გეგმები გაქვს საზამთროდ? ძალიან საინტერესო წელი კი დგება. უამრავი შესაძლებლობა ჩნდება ახალგაზრდებისთვის...

– უამრავი რა? – ჩაეკითხა ლეო.

– ფართო ასპარეზი ჩნდება-მეთქი საქმიანობისთვის! აბა ევროპის მომაკვდავ, გახრწნის გზაზე დამდგარ ქალაქებს კი არ ჰგავს

აქაურობა, სადაც ხალხი ლუკმა-პურის საშოვნელად იწყვეტს წელს და უაზრო არსებობისთვისაა განწირული! ჩვენთან ნებისმიერს შეუძლია განუყოფელი ერთობის სასარგებლო, საქმიან წევრად იქცეს! აქ ადამიანის შრომა მხოლოდ შიმშილის მოკვლის საშუალება კი არაა, არამედ კაცობრიობის მთელი მომავლის მშენებლობაში შეტანილი წვლილი!

– დედა, ეგ ყველაფერი ვინ დაგიწერა? – ჰკითხა კირამ.

– რას გეტყვი იცი, კირა? – მხრებში გაიშალა გალინა პეტროვნა.

– შენ არამარტო დედასთან უდიერად ლაპარაკის უფლებას აძლევ თავს, არამედ მე მგონი, ლეოს მომავალზეც ძალიან ცუდ გავლენას ახდენ...

– მე მაგის გამო არ ვიღელვებდი, გალინა პეტროვნა, – დაამშვიდა ლეომ.

– ლეო, რა თქმა უნდა, შენ საკმარისად თანამედროვე ადამიანი ხარ საიმისოდ, ამ ჩვენს დამთრგუნველ ცრურწმენებს რომ გაუმკლავდე! უთუოდ უნდა ვაღიაროთ – ამჟამინდელ სამყაროში ერთადერთი პროგრესული ხელისუფლება ეს სწორედ საბჭოთა ხელისუფლებაა. სწორედ ის იყენებს სათანადოდ ყველა ადამიანურ რესურსს. აი მაგალითად, ჩემნაირ ხანდაზმულ ადამიანსაც კი, ვისაც ცხოვრებაში არანაირი სარგებელი არ მოუტანია არასდროს, ახლა შეუძლია თავისი საქმიანობისთვის შესაფერისი სარბიელი გამონახოს. თქვენისთანა ახალგაზრდებმა კი...

– გალინა პეტროვნა, თქვენ სად მუშაობთ? – ჰკითხა ლეომ.

– რა, არ იცი? მუშათა სკოლაში ვასწავლი – ადრე ამას საშუალო სკოლას ეძახდნენ. ჭრა-კერვას და ქარგვას. დღეს ყველა ვხვდებით, რომ ცხოვრებაში გამოსადეგარი ისეთი საქმე, როგორიც ნემსის ხმარებაა, აკვრად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი მოქალაქეებისათვის, ვიდრე იმგვარი მკვდარი, უსარგებლო საგნები, როგორიც ვთქვათ, ლათინურია, რითაც ყურებს გვიჭედავდნენ ყველას იმ ძველ. ბურჟუაზიულ დროში. და ახლა თავად სწავლების მეთოდს

აღარ იკითხავ? უკვე საუკუნეებით გადავასწარი) ევროპას! აი მაგალითად, კომპლექსური მეთოდი ავიღოთ, რითაც ჩვენ...

– დედა, – ერთხელ კიდევ სცადა გაბრძოლება ლიდიამ.

– ლეოს შეიძლება ეგ სულაც არ აინტერესებს...

– სისულელეა! ლეო თანამედროვე ახალგაზრდაა. მოკლედ, მეთოდი, რომელსაც ახლა ვიყენებთ... რა ხდებოდა ადრე, ძველ დროში? ბავშვს მექანიკურად უნდა დაემახსოვრებინა ამდენი მშრალი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგანი – ისტორია, ფიზიკა, არითმეტიკა... ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ჩვენ კომპლექსური მეთოდი შევიმუშავეთ. განვიხილოთ თუნდაც გასული კვირა: სასწავლო საგანი იყო ფაბრიკა. ამიტომ, თითოეული საგნის მასწავლებელს გაკვეთილი სწორედ ამ მთავარი საგნის ირგვლივ უნდა აეწყო. ისტორიაზე კლასს ფაბრიკა-ქარხნების შექმნასა და განვითარებაზე ელაპარაკნენ; ფიზიკის გაკვეთილზე – მანქანა-დანადგარების შესახებ; არითმეტიკის მასწავლებელმა მოწაფეებს წარმოებისა და მოხმარების პრობლემები აუხსნა, ხატვის გაკვეთილზე ბავშვებმა ფაბრიკების შიდა ხედები ხატეს; აი, ჩემ გაკვეთილზე კი სამუშაო ხალათები და წინსაფრები გამოვჭერით... ხვდებით ასეთი მეთოდის უპირატესობას? წარმოგიდგენიათ, რა კვალს დატოვებს ეს ბავშვების ცნობიერებაში? ხელშესახები, მათივე შეკერილი ხალათი თუ წინსაფარი ბევრად მეტს მისცემს მათ, ვიდრე მშრალი, თეორიული დოგმები და რაღაც ლაი-ლაი.

ლიდიას კინაღამ ჩამოეძინა, ეტყობა უკვე იმდენჯერ ჰქონდა მოსმენილი იგივე.

– ძალიან მიხარია, თქვენი სამსახური თუ ასე მოგწონთ, გალინა პეტროვნა, – უთხრა ლეომ.

– მე კი ის უფრო მიხარია, უკვე საკუთარი პურის ბარათი რომ გაქვს, – თქვა კირამ.

– ნამდვილად მაქვს, – ამაყად გამოაცხადა გალინა პეტროვნამ.

– რა თქმა უნდა, საქონლის გადანაწილების ჩვენი სისტემა ჯერ

შორსაა სრულყოფილისაგან და წინა კვირას აღებული მზესუმზირის ზეთიც ისეთი ამძაღებული იყო, საჭმელში ვერც ვიხმარეთ, მაგრამ არა უშავს, ეს გარდამავალი ხანაა...

– ...ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობაში! – ისე დაამთავრა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა, თითქოს დაზეპირებულ გაკვეთილს აბარებსო.

– თქვენ თავად რაღას საქმიანობთ, ალექსანდრ დიმიტრიევიჩ? – ახლა კირას მამას მიუბრუნდა ლეო.

– ვმუშაობ! – შეცბა ალექსანდრ დიმიტრიევიჩი, ცუდი არაფერი იფიქრონ ჩემზეო.

– დიახ, სწორედაც! მე ერთი ჩვეულებრივი საბჭოთა მუშა-მოსამსახურე გახლავართ.

– რა თქმა უნდა, ალექსანდრეს საქმიანობა ისეთივე საპასუხისმგებლო არაა, როგორიც ჩემი, – ცხვირი აიბზუა გალინა პეტროვნამ.

– ვასილის კუნძულზე მუშაობს ბუღალტრად, რომელიღაც დაწესებულებაში... შორს კია და წესიერად არც ვიცი, ეგ რა კანტორაა. თუმცა, ასეა თუ ისე, პურის ბარათი მაგასაც ეკუთვნის, ოღონდ მარტო მის სამყოფსაც კი ვერ იღებს.

– ყოველ შემთხვევაში, ვმუშაობ მაინც...

– ჩაიბურტყუნა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– აბა რა, – შეაგულიანა გალინა პეტროვნამ.

– ოღონდ მე, როგორც პედაგოგების უფრო მაღალი კატეგორიის წარმომადგენელს, კვების რაციონიც უკეთესი მეკუთვნის. თან საზოგადოებრივი აქტიურობის კუთხითაც ძალიან დატვირთული ვარ. იცი ლეო, ცოტა ხნის წინ მასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს. კარგია, რომ ახლანდელი ხელისუფლება ადამიანში ლიდერის თვისებებს აფასებს. სხვათა შორის, ერთ-ერთ შეხვედრაზე სიტყვითაც გამოვედი – თანამედროვე განათლების მეთოდოლოგიაზე ვილაპარაკე, ლიდიამ კი იმ შეხვედრაზე შესანიშნავად დაუკრა „ინტერნაციონალი“.

– რა თქმა უნდა, „ინტერნაციონალი“, – ჩაილაპარაკა მოღუშულმა ლიდიამ.

– მუსიკალურ გამფორმებლად ვმუშაობ მუშათა კლუბში და კვირაში ერთ გირვანქა პურს მაძლევენ, უფასო მგზავრობის ტალონს და ზოგჯერ ნაღდ ფულსაც კი, თუ დარჩა რამე საწევროების შემონატანიდან.

– ლიდიას დროისათვის ფეხის აწყობა უჭირს, – ამოიოხრა გალინა პეტროვნამ.

– რა გინდა, „ინტერნაციონალს“ ხომ ვუკრავ, – შეეპასუხა ლიდია.

– და კიდევ იმას, კომუნისტების სამგლოვიარო მარშს... და კლუბურ სიმღერებსაც. სხვათა შორის, იმ შეხვედრაზე სადაც დედა სიტყვით გამოვიდა, ჩემი შესრულებული „ინტერნაციონალი“ სულ ტაშის გრიალით მიიღეს.

კირა ჩაის მოსამზადებლად წამოიზლაზნა. პრიმუსი აანთო, ზედ ჩაიდანი შემოდგა და ყურადღებით მიაჩერდა ცეცხლის ალს. გალინა პეტროვნა კი კვლავინდებურად ხმამაღლა, დაბეჯითებით ლაპარაკობდა, თითქოს მერხებთან მსხდომ მოწაფეებს მიმართავსო:

– ...დიახ, დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვათა შორის, კედლის გაზეთშიც მოიხსენიეს, როგორც სამიდან ერთ-ერძი ყველაზე თანამედროვე და შეგნებული პედაგოგი. რა თქმა უნდა, მეც მაქვს გარკვეული გავლენა – როცა სკოლაში სადავეების აღება იმ უტიფარმა ახალგაზრდა მასწავლებელმა სცადა, უცებვე მიუთითეს შესაფერისი ადგილისკენ. ამ ამბავში კი არც მე მეთქმოდა უკანასკნელი სიტყვა...

კირას დანარჩენი აღარ გაუგონია. მაგიდაზე დაგდებულ წერილს მიჩერებოდა. საგონებელში ჩავარდნილი. როცა ისევ გამოერკვა, ახლა უკვე ლიდიას გაღიზიანებული ხმა ჩაესმა ყურში:

– ...სულიერი სიმშვიდე, მშვენივრად ვიცი. კარგა ხნის წინ ამიხსნეს ეს ყველაფერი. ისიც ვიცი, რომ გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლოებებიც არსებობს. წმინდა რუსეთის ხსნას ისევ და ისევ რწმენის სიმტკიცე განაპირობებს – ესეც ნაწინასწარმეტყველებია.

თუმცა ცოდვებს მხოლოდ მოთმინებისა და ხანგრძლივი ტანჯვის ფასად თუ მოვინანიებთ...

– კარსიქით მარიშამ გრამოფონი მომართა და „ჯონ გრეის" ჰანგიც მოისმა. ფირფიტა ახალი იყო და სიმღერის მხიარული, ხალისიანი ბგერებიც ყოველგვარი ტკაცატკუცის გარეშე ეფინებოდა იქაურობას.

გაბედულმა ჯონ გრეიმ
არ იცოდა შიში
ვიდრე არ დაინახა
მშვენიერი კიტი...

კირა ისევ მაგიდას მიუჯდა, ნიკაპი ხელზე ჩამოიდო. ერთი ისე ამოიოხრა, პრიმუსის ალიც კი შეკრთა. მერე უცებ გაიღიმა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– მიყვარს ეს სიმღერა.

– საშინელებაა! უგემოვნობა... თან იმდენს ატრიალებენ, უკვე გულიც კი მერევა! – აღშფოთდა ლიდია.

– კი, ყველგან ეგ ისმის. თუმცა, რიტმი მომწონს... რაღაცნაირი, ცოცხალი რიტმია.

– ისეთი მშვიდი, წყნარი, ცოტა არ იყოს, უმწეო ხმით ლაპარაკობდა, როგორითაც ძალიან იშვიათად მიმართავდა ხოლმე საკუთარი ოჯახის წევრებს. თავი ასწია და მათ გახედა, თითოეული მათგანი შეათვალიერა. აქამდე არც მათ ენახათ ამნაირი ტკივილიანი, მავედრებელი თვალებით მომზირალი კირა.

– შენ ისევ იმ შენს ინჟინრობაზე ფიქრობ, არა? – ჰკითხა ლიდიამ.

– ზოგჯერ, – ჩაიჩურჩულა კირამ.

– არ მესმის, მაინც რა გჭირს, რა გემართება? – აქოთქოთდა გალინა პეტროვნა.

– არასოდეს არაფრით არა ხარ კმაყოფილი. მშვენიერი სამსახური იშოვე, ანაზღაურებაც ცუდი არა გაქვს და ზედმეტადაც არ იღლები... არადა, რაღაც ბავშვურ აკვიატებებს დღემდე ვერ ელევი.

რომ იცოდე. ჩემო კარგო – ექსკურსიამძღოლებს, ისევე როგორც პედაგოგებს, ჩვენს დროში ინჟინრებზე ნაკლები დაფასება კი არა აქვთ! ეგეც ძალიან საპატიო, საპასუხისმგებლო პროფესიაა და უდიდესი წვლილიც შეაქვს საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. შენ რა გგონია, ადამიანის გონებითა და იდეებით აღმშენებლობა ნაკლებად რთული საქმეა, ვიდრე ფოლადითა და აგურით?

– შენივე ბრალია, კირა! – ჩაურთო ლიდიამ.

– იქამდე იქნები მუდმივად უბედური, ვიდრე რწმენაში არ იპოვი სულის სიმშვიდეს.

– ისე, მართლა რატომ ვერ მშვიდდები, კირა? – ამოიოხრა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– კი მაგრამ, ვინ თქვა რომ უბედური ვარ? – უკვე ხმამაღლა, ბრაზიანად იკითხა კირამ. წამოდგა, წელში გასწორდა, სიგარეტის ღერს დასწვდა და პრიმუსის ალზე მოუკიდა.

– ეს გოგო ყოველთვის უმართავი იყო, – თქვა გალინა პეტროვნამ.

– მაგრამ მგონი ჩვენ დროში მაინც აჯობებს, ღრუბლებიდან ისევ მიწაზე დაეშვას ადამიანი.

– ამ ზამთრისთვის რა გეგმები გაქვს, ლეო? – ახლა უკვე ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა იკითხა იგივე, თან სრულიად მოულოდნელად და ისეთი გულგრილი გამომეტყველებით, თითქოს საერთოდ არც ელოდებოდა პასუხს.

– არანაირი, მიუგო ლეომ.

– არც ამ და არც რომელიმე სხვა ზამთრისთვის.

– მე კი სიზმარი ვნახე, – თქვა ლიდიამ.

– ყვავი და კურდღელი დამესიზმრა. კურდღელმა გზაზე გადაირბინა, რაც თავისთავად ცუდი ნიშანია, ყვავი კი ხეზე იჯდა, რომელიც ძალიან ჰგავდა დიდ, თეთრ ბარძიმს.

– თუნდაც ჩემი დისშვილი, ვიქტორი გაიხსენეთ, – ამბობდა გალინა პეტროვნა.

– აი, მართლა გონიერი, თანამედროვე ახალგაზრდა კაცი! შემოდგომაზე ინსტიტუტს ამთავრებს და უკვე მშვენიერი სამსახურიც აქვს. მთელი ოჯახი მის კისერზეა. საერთოდ არ ახასიათებს არანაირი სენტიმენტები. სინამდვილეს უსწორებს თვალს და აი ნახავთ, რა შორს წავა ეგ ბიჭი.

– ოღონდ ვასილი ხომ არ მუშაობს, – მორცხვად, მორიდებით შენიშნა ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– ეგ შენი ვასილი მთელი ცხოვრება სულ ცაში დაფრინავდა, – მოუჭრა გალინა პეტროვნამ.

– რა ლამაზი წითელი კაბა გაცვია, კირა! – სრულიად უადგილოდ წამოიძახა უცებ ალექსანდრ დიმიტრიევიჩმა.

– გმადლობთ, მამა...

– უნდოდ გაუღიმა კირამ.

– რაღაც არ მომწონს შენი სახე, შვილო. ძალიან დაიღალე? – არა, არც მაინცადამაინც. რა გინდა, მშვენივრად ვარ. გალინა პეტროვნას ხმამ ამჯერადაც გადაფარა პრიმუსის შიშინი:

– ...და როგორც მოგეხსენებათ, კედლის გაზეთში მხოლოდ საუკეთესო მასწავლებლებს აქებენ. ჩვენს მოწაფეებსაც ხომ ვერაფერს გამოაპარებ და...

გვიან ღამით, როცა სტუმრები გაიკრიფნენ, კირამ სააბაზანოში შეიტანა წერილი და იქ გახსნა. ფურცელზე სულ ორად-ორი წინადადება ეწერა:

„კირა, საყვარელო! მაპატიე რომ გწერ, ეგებ ტელეფონით დამირეკო. ანდრეი".

* * *

მეორე დღეს კირამ ორი ექსკურსია ჩაატარა, შინ დაბრუნებულმა კი ლეოს გამოუცხადა: ამ საღამოსაც რომ გავაცდინო ექსკურსიამძღოლთა შეკრება, სამსახურში კარგი დღე არ დამადგებაო. მერე

ისევ ის წითელი კაბა ჩაიცვა, სადარბაზოში გამოსაცილებლად გამოყოლილ ლეოს მსუბუქად აკოცა ლოყაზე, ხელი დაუქნია, გაუღიმა და კიბის საფეხურებს დაუყვა. უკვე ქუჩაში გამოსულმა, ხელჩანთა გახსნა, ფრანგული სუნამოს მომცრო ბოთლი ამოიღო და რამდენიმე წვეთი თმაზე დაიპკურა. მერე უკვე გაქანებულ ტრამვაისაც შეახტა და კიბეზე შემდგარი, თვალს ადევნებდა თუ რა სწრაფად რჩებოდნენ უკან ქუჩის ლამპიონები. ტრამვაიდან ჩამოსულმა, ჩქარი ნაბიჯით დააწირა თავი იმ სასახლისაკენ, რომელშიც ახლა პარტიის რაიონული კომიტეტი განთავსებულიყო.

უხმაუროდ აირბინა მარმარილოს კიბის საფეხურები და კარზე დააკაკუნა.

როცა ანდრეიმ კარი გაუღო, შესცინა და მაშინვე აკოცა კიდეც.

– ვიცი, ვიცი, ვიცი... არაფერი არ მითხრა... ჯერ მაპატიე და მერე აგიხსნი.

– მიპატიებია, – ჩაიჩურჩულა სახეგაბრწყინებულმა ანდრეიმ.

– არც არაფრის ახსნა არაა საჭირო.

კირასაც არაფერი უთქვამს. აკი საყვედურის თქმაც არ დააცადა ანდრეის. ოთახში დაბზრიალდა და ანდრეიმაც სცადა მკლავებში მოემწყვდია, ან ზაფხულის ღამის ჰაერით გაგრილებულ, პალტოს სურნელოვან ქსოვილისათვის მაინც წაეტანა ხელი.

– თუ იცი, რომ უკვე ორი კვირა გავიდა და...

– სულ ამას იმეორებდა ჩურჩულით და წინადადება ვერაფრით დაემთავრებინა.

კირამ მხოლოდ ახლაღა შეამჩნია, რომ ანდრეი საგარეოდ გამოწყობილიყო.

– მიდიხარ სადმე? – კი, ვაპირებდი... მაგრამ ეგ არაფერი.

– და სად ეპირებოდი? – პარტიული უჯრედის შეკრებაზე.

– პარტიული უჯრედის შეკრებაზე? და თან ამბობ, არა უშავსო? მაგის გაცდენა როგორ შეიძლება!

– ძალიანაც კარგად შეიძლება. აღარსადაც აღარ ვაპირებ წასვლას.

– ანდრეი, მოდი ხვალ მოვალ, შენ კი...

– არა.

– კარგი, მაშინ ერთად წავიდეთ სადმე. მოდი, რესტორანში დამპატიჟე.

– დღეს? – კი, ახლავე. ანდრეის ძალიან არ უნდოდა უარის თქმა, კირას კი არ სურდა მის თვალებში გამკრთალი მზერა შეემჩნია.

ცოტა ხნის მერე უკვე თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდას უსხდნენ, სასტუმრო „ევროპულის" ვერანდაზე გახსნილ ღია რესტორანში. შედარებით ბნელ კუთხეში შეარჩიეს ადგილი, საიდანაც ბევრი არაფერი ჩანდა, რამდენიმე მაგიდის იქით მჯდომი ვიღაც ქალბატონის მოშიშვლებული ზურგის გარდა. ქალს ოქროსფერი თმის პაწია კულულები კისერზე ჩამოშლოდა და ბეჭებშორის პატარა, ოქროსფერი ჩრდილივით ემჩნეოდა. გრძელ თითებში მისივე თმის ფერი სითხით სავსე ჭიქა ეჭირა და მსუბუქად ათამაშებდა ჰაერში. უფრო იქით, ყვითელი შუქებისა და მოლურჯო, ჰაერში მოტორტმანე თამბაქოს კვამლის ბინდბუნდს მიღმა, ორკესტრი ფოქსტროტს უკრავდა „ბაიადერადან" და მევიოლინეებიც ზუსტად იმ ოქროსფერი სითხით სავსე ჭიქის რიტმში ირწეოდნენ აქეთ-იქით – უკვე ორი კვირა გავიდა, კირა... ალბათ უკვე დაგჭირდებოდა.

– თქვა ანდრეიმ და გაკეცილი ქაღალდის ფული, მისი ერთი თვის ხელფასი ხელში ჩაუდო. იმან კი ფული უკან დაუბრუნა:

– არა, ანდრეი! მადლობელი ვარ... მაგრამ არ მჭირდება და... იმედია, არც აღარასოდეს დამჭირდება.

– კი მაგრამ...

– იცი, უკვე ძალიან ბევრ ექსკურსიას ვატარებ, დედასაც მოუმატეს სკოლაში გაკვეთილები, უკვე ტანსაცმელიც გვაქვს და საერთოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება...

– ეგ კი, მაგრამ ძალიან მინდა რომ...

– გთხოვ, ანდრეი... ნუ ვიკამათებთ. მით უმეტეს, ფულის გამო. ძალიან გთხოვ, შეინახე. თუ დამჭირდა, თვითონ გეტყვი.

– მპირდები?

– გპირდები.

ვიოლინოები ჯერ მძიმედ, გულისგამაწვრილებლად კვნესოდნენ, მერე უცებ მუსიკამ ფეიერვერკივით იფეთქა და სწრაფი, მხიარული ბგერებიც ლამის მართლა ცეცხლის ნაპერწკლებივით აიჭრა ცაში.

– იცი რას გეტყვი? – უთხრა კირამ.

– აქ მოყვანა არ უნდა მეთხოვა შენთვის. არაა ეს საშენო ადგილი. მე კი მომწონს. თუმცა ცხადია, მაინც საცოდავი ასლი და კარიკატურაა ნამდვილი ევროპის... რას უკრავენ, იცი? „ბაიადერადანაა". მინახავს მაგ ოპერეტის დადგმა. სხვათა შორის, ევროპაშიც ხშირად იდგმება. ისევე როგორც აქ. თითქმის ისევე.

– კირა, – ჰკითხა ანდრეიმ.

– იმ ლეო კოვალენსკის უყვარხარ თუ... მაინც, რა ხდება თქვენს შორის?

კირა ანდრეის მიაჩერდა. ელექტროგანათების გამონაშუქი ორ ნაპერწკლად უციმციმებდა თვალებში.

– და რატომ მეკითხები?

– ერთ-ერთ შეკრებაზე შენი დეიდაშვილი შემხვდა, ვიქტორ დუნაევი. იმან მითხრა, ლეო კოვალენსკი დაბრუნდა და თან ისე ჩაიღიმა, თითქოს ამ სიტყვას ჩემთვის რამე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. არადა, წასული თუ იყო სადმე, ისიც არ ვიცოდი.

– მართალია, დაბრუნდა. სადღაც ყირიმში იყო წასული. მე მგონი, რაღაც ჯანმრთელობის ამბებთან დაკავშირებით. არ ვიცი, ვუყვარვარ თუ არა. აი ვიქტორი კი ერთ დროს მართლა მეკურკურებოდა და ამას დღემდე ვერ მპატიობს.

– გასაგებია. არ მომწონს ეგ კაცი.

– ვიქტორი?

– კი, მაგაზე ვამბობ. და არც ის ლეო კოვალენსკი. იმედია, ხშირად არ ნახულობ. მაგნაირებს არ ვენდობი.

– ხანდახან ვხვდები ხოლმე... ამასობაში, ორკესტრიც მიჩუმდა.

– ანდრეი, იქნებ სთხოვო, დაუკრან რამე? რამე, რაც მე მიყვარს. მაგალითად, „დამსხვრეული ჭიქის სიმღერა".

როცა მუსიკამ ისევ იფეთქა, ანდრეი ყურადღებით მიაჩერდა კირას. თავად ამაზე უფრო მხიარული და ხალისიანი ჯერ არც არაფერი მოესმინა და სხვათა შორის, ადრე არც ასეთი სევდიანი კირა ენახა ოდესმე: გაუნძრევლად იჯდა და ნაღვლიანი, ჩამკვდარი მზერით, უმწეოდ მიჩერებოდა ერთ წერტილს.

– მართლა ძალიან კარგი მუსიკაა, – ჩურჩულით გადაულაპარაკა ანდრეიმ.

– მაგრამ შენ რატომ მოიწყინე?

– მიყვარდა ეს სიმღერა... დიდი, დიდი ხნის წინ, ბავშვობაში... ანდრეი, როდისმე თუ გქონია ისეთი შეგრძნება, თითქოს ბავშვობაში რაღაცას დაგპირდნენ, შენ კი დგახარ ახლა და ფიქრობ: „არა, არ მეგონა თუ ყველაფერი ასე იქნებოდა.." ეს ფიქრი კი თან გეუცნაურება, თან გახალისებს და თან ცოტა გასევდიანებს კიდეც...

– არა, ცხოვრებაში არავინ დამპირებია რამეს. ადრე ძალიან ბევრი რამ არ ვიცოდი, ახლა კი უცნაურად ამ ყველაფრის სწავლა მეჩვენება. იცი, პირველად რომ დაგპატიჟე რესტორანში, შემოსვლის მრცხვენოდა კიდეც... ვფიქრობდი, პარტიის წევრისთვის ეს შეუფერებელი ადგილია-მეთქი. მეგონა...

– ცივად ჩაეცინა, თითქოს მოიბოდიშასავით.

– ასე მეგონა, შენს გამო მივდიოდი მსხვერპლზე, ახლა კი მომწონს აქაურობა.

– მაინც, რა მოგწონს?

– მომწონს ასე ჯდომა... იქ, სადაც წესით, არ უნდა ვიჯდე. მაგრამ აი, ვზივარ ახლა და მსიამოვნებს, შენ რომ გიყურებ... მომწონს, როგორ დაგთამაშებს შუქი კაბის საყელოზე, მომწონს შენი მკაცრად

მოკუმული ტუჩებიცა და შენი ღიმილიც, როცა მუსიკას უსმენ... ასეთ დროს თითქოს შიგნიდან გინათდება სახე. ამ ყველაფერს კი ამქვეყნად მხოლოდ ჩემთვის აქვს აზრი, არადა მთელი ცხოვრება ისე ვიცხოვრე, თითოეულ საათს განსაკუთრებული მიზანი და დატვირთვა ჰქონდა, ახლა კი უცებ აღმოვაჩინე, რა ყოფილა როცა რაღაცას მხოლოდ ჩემთვის აქვს აზრი... უცებ მივხვდი, რა ბედნიერებაა, როცა არავითარი მიზანი არ გაქვს, როცა მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისათვის ცხოვრობ და სხვა ყველაფერი სრულიად უმნიშვნელო გეჩვენება...

– ასე არ უნდა ამბობდე, ანდრეი...

– ისევ ჩურჩულით გამოეპასუხა კირა.

– ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს შენს ცხოვრებას გწყვეტ, ყველაფერ იმას, რასაც შენი ცხოვრება ერქვა.

– არ გინდა, რომ მაგას გრძნობდე?

– კი მაგრამ, შენ ეგ არ გაშინებს? ზოგჯერ მაინც არ ფიქრობ, რომ ამან ისეთი არჩევანი შეიძლება გაგაკეთებინოს, რისი უფლებაც არ გაქვს?

ანდრეიმ იმგვარი მშვიდი თავდაჯერებით უპასუხა, რომ ერთი შეხედვით, მისი ნათქვამი მთლად გულწრფელსაც არ ჰგავდა:

– არა. მერე კირასკენ გადაიხარა მაგიდაზე, თვალი თვალში გაუყარა და სრულიად მშვიდი, გულითადი ხმით უთხრა:

– კირა, რაღაც შეშინებული მეჩვენები. არადა, სინამდვილეში ეს არც ისე მნიშვნელოვანი საკითხია. სხვათა შორის, ცხოვრებაში არც ისე ხშირად გამჩენია ამგვარი შეკითხვები. ადამიანები ხომ თავადვე იგონებენ კითხვებს, რადგან სიმართლისთვის თვალის გასწორების ეშინიათ. არადა, სწორედ წინ უნდა იყურო, თუ გინდა რომ გზა დაინახო და როცა დაინახავ, მერე გულხელდაკრეფილი კი აღარ უნდა იჯდე, ამ გზას უნდა დაადგე. მე პარტიაში იმიტომ გავწევრიანდი, რომ ეს ერთადერთ სწორ ნაბიჯად მიმაჩნდა, შენც იმიტომ მიყვარხარ, რომ ვიცი – არ მეშლება... გარკვეული თვალსაზრისით, შენ და

ჩემი საქმე ერთი და იგივეა. მოკლედ, სინამდვილეში, ყველაფერი ძალზე მარტივადაა.

– ყოველთვის არა, ანდრეი. შენ იცი, რა გზით იარო, მაგრამ ეგ ჩემი გზა არაა.

– ახლა სულ სხვანაირად ლაპარაკობ. ადრე სხვა რამეს მასწავლიდი.

– რას გასწავლიდი? – უმწეოდ ჩაიჩურჩულა კირამ.

ორკესტრი „დამსხვრეული ჭიქის სიმღერას" უკრავდა, თუმცა სიმღერით არავინ მღეროდა. მხოლოდ ანდრეის ხმა ისმოდა ამ მუსიკასთან შეხამებულ სიტყვებივით.

– გახსოვს, ერთხელ მითხარი: ჩვენ ერთი და იგივე ფესვები გვაქვს, რადგან ორივეს სიცოცხლის გვჯერაო. ეს იშვიათი უნარია და ამის სწავლა შეუძლებელია. ვერც სხვას აუხსნი ვინმეს, ვისთვისაც სიტყვა „სიცოცხლე" ზუსტად ისეთივე გრძნობას არ აღვიძებს, როგორსაც ტაძარი ანდა სამხედრო მარშის მოსმენა, ან თუნდაც, სრულყოფილი სხეულის ქანდაკის ცქერა. სწორედ ამ გრძნობის გამო გავწევრიანდი პარტიაში მაშინ, როცა პარტიის წევრობა გაციმბირების ტოლფასი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ გრძნობის გამო მინდოდა მებრძოლა იმ ყველაზე უგუნურ და უგვან ურჩხულთან, რომელიც ადამიანს სიცოცხლის საშუალებას არ აძლევს. მოკლედ, მთელი ჩემი არსებობა მხოლოდ ბრძოლას და მომავალს გულისხმობდა, შენ კი აწმყოს მნიშვნელობა დამანახე!

კირამ ბოლო გაბრძოლებაც სცადა. ანდრეის მიაჩერდა და დინჯად, ჩუმი ხმით მიმართა:

– ანდრეი, როცა პირველად მითხარი მიყვარხარო, შენ მაშინ მოურეველ შიმშილს გრძნობდი, მე კი მინდოდა, ეგ შენი შიმშილი დამეკმაყოფილებინა...

– და მეტი არაფერი? – მეტი არაფერი.

ანდრეის ჩაეცინა. თან ისე მშვიდად, ისე გულწრფელად, კირასაც მოუწია დანებება.

– არც კი იცი, რას ამბობ, კირა! შენნაირ ქალებს მხოლოდ ამის გამო სიყვარული არ შეუძლიათ.

– და ეს ჩემნაირი ქალები როგორები არიან? – ტაძრებს ჰგვანან, სამხედრო მარშებს და...

– მოდი დავლიოთ, ანდრეი.

– დალევა მოგინდა? – კი, და თანაც, ახლავე! – კი ბატონო.

ანდრეიმ სასმელი შეუკვეთა. მერე ჩუმად უცქერდა, როგორ ბრწყინავდა კირას ტუჩებთან მიტანილ ჭიქაზე შუქი. მის თითებშორის მოქცეული სითხის გრძელი, თხელი, მთრთოლვარე ხაზიც ოქროსას წააგავდა.

– მოდი, იმის სადღეგრძელო დავლიოთ, რის დღეგრძელობასაც სხვაგან ვერსად გავბედავდი: ჩემს ცხოვრებას გაუმარჯოს!

– შენს ახალ ცხოვრებას? – ჩემს ერთადერთ ცხოვრებას.

– და რომ დაკარგო ეგ ცხოვრება? – შეუძლებელია!

– კი მაგრამ, ათასი რამ შეიძლება მოხდეს და მეც არ მინდა, შენი ცხოვრების ძაფი მე მეჭიროს ხელში.

– შენ ის უკვე გიკავია.

– ანდრეი, უნდა დაფიქრდე... ხანდახან მაინც... ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ... ხომ შეიძლება მე რამე დამემართოს?

– მაგაზე ფიქრი რა საჭიროა? – ხომ შეიძლება?

კირას უცებ მოეჩვენა, რომ ანდრეის საპასუხო სიტყვები იმ ჯაჭვის რგოლები იყო, რომლის გაწყვეტასაც უკვე ვეღარასოდეს მოახერხებდა:

– ისიც შესაძლებელია, რომ ერთ დღესაც ორივეს სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანონ... შენი აზრით, მაგისთვისაც დღეიდან უნდა ვემზადოთ?

IV

დიდხანს აღარ დარჩენილან რესტორანში. კირა დაღლილი ჩანდა, ანდრეისაც თითქოს თვალს არიდებდა და სთხოვა, სახლამდე მიმაცილეო.

– რა თქმა უნდა, საყვარელო! – უთხრა ანდრეიმ და საჩქაროდ მოიხმო ეტლი.

მთელი გზა უხმოდ ისხდნენ. კირას ანდრეის მხარზე ედო თავი, ანდრეი კი ხელზე ეფერებოდა და ცდილობდა, ზედმეტი ლაპარაკით აღარ შეეწუხებინა.

კირა მშობლების სახლთან ჩავიდა ეტლიდან; მერე ჩაბნელებულ სადარბაზოში იდგა და ელოდა, როდის გაეცლებოდა ეტლი იქაურობას. თითქმის მთელი ათი წუთი იდგა ასე, შუბლით ფანჯრის ცივ მინას მიყრდნობილი. ფანჯრის იქით აგურის ყრუ კედელი მოჩანდა და შიგ დატანებული ერთადერთი სარკმელი, რომელშიც ციებიანივით თრთოდა სანთლის ყვითელი ალი, ქალის მკლავის ვეება ჩრდილი კი ჯიუტად, გაუჩერებლად, უაზროდ ადი-ჩადიოდა ზევით-ქვევით.

ათი წუთის შემდეგ, კირა სადარბაზოდან გამოვიდა და ფეხაჩქარებული გაემართა ტრამვაის გაჩერებისაკენ.

ვიდრე მარიშას ოთახს გადაივლიდა, საკუთარი ოთახიდან უკვე მანამდე მოესმა ვიღაც უცნობის ყრუ, დუნე, გაწელილი ხმა, რომელიც მალი-მალ ჩუმდებოდა ასო-ბგერა „ო“-ს ყოველ წარმოთქმაზე, მერე კი გულდაგულ გაზეთილივით, ისევ დაუბრკოლებლად აგრძელებდა თავისას. კირამ კარი მოაფრიალა.

პირველი, თავზე მწვანე ფარჩის ჩალმამოხვეული ანტონინა პავლოვნა დაინახა, სულ ბოლოს კი – ის უცნაურად მოლაპარაკე კაციც, რომლის დანახვაზეც მზერა უცებვე გაეყინა. კაცი მძიმე-მძიმედ წამოიმართა და გამჭოლი, ეჭვიანი მზერით მიაჩერდა კირას.

– მეგონა, დილამდე გაგიგრძელდებოდათ შეხვედრა... არადა ხომ

მითხარი, მალე დავბრუნდებიო? – ცოტა არ იყოს, მკაცრად შეეხმიანა ლეო; ანტონინა პავლოვნა კი პირიქით, რაღაც ხაზგასმით თავაზიანი ჩანდა:

– საღამო მშვიდობის, კირა ალექსანდროვნა.

– ბოდიშს გიხდით, უფრო ადრე ვერ გავითავისუფლე თავი, – მიუგო კირამ, რომელიც თვალს ვერ აშორებდა უცნობ მამაკაცს.

– კირა, ნება მომეცი კარპ კარპოვიჩ მოროზოვი წარმოგიდგინო... ეს კი კირა ალექსანდროვნა არგუნოვაა.

ვერც კი იგრძნო, როგორ ჩაბღუჯა კარპ კარპოვიჩის ვეებერთელა ტორმა მისი ხელი. ისევ ჯიუტად მიჩერებოდა მის დაჭორფლილ სახეს: კარპ კარპოვიჩს უფერული, ვიწრო თვალები, ხასხასა წითელი ლაშები და პაჭუა, შვეულად გაჭრილნესტოებიანი ცხვირი ჰქონდა. ადრე უკვე ორჯერ ენახა ეს სახე – მაშინვე გაახსენდა გადამყიდველი ნიკოლოზის სადგურიდან, რომელსაც მერე ბაზარშიც გადაეყარა დახლთან მდგომს.

კირა გაუნძრევლად იდგა, ვერც პალტო გაეხადა და კრინტიც ვერ დაეძრა, უცებ ისე მოერია სისხლისგამყინავი, სრულიად აუხსნელი შიში.

– რა იყო, კირა? რა დაგემართა? – ჰკითხა ლეომ.

– როგორ გგონია, მოქალაქე მოროზოვი ადრე არასოდეს გვინახავს? – კითხვა შეუბრუნა კირამ.

– არა მგონია...

– ასეთი პატივი ნამდვილად არ მრგებია, კირა ალექსანდროვნა – ხმა დაითაფლა მოროზოვმაც და ისეთი თვალებით გამომხედა, ერთდროულად სუსხიანად რომ იმზირებოდნენ და თან ვითომ მიამიტურადაც.

კირა აუჩქარებლად შეუდგა პალტოს გახდას, მოროზოვი კი ისევ ლეოს მიუბრუნდა:

– მაღაზიაც, ლევ სერგეევიჩ, კუზნეცკის ბაზრობის შორიახლოს

გვექნება. დამიჯერეთ, საუკეთესო ადგილია. შენობაც შევარჩიე უკვე, ზუსტად საჩვენოა. ერთადერთი ვიტრინა აქვს და ფართობიც არაა დიდი. ასე რომ, ქირა ბევრი არ გვექნება გადასახდელი. სახლმმართველსაც უკვე ჩავუჯიბე ორიოდე თუმანი – მოზრდილ მშრალ სარდაფს გამოგვიყოფს, სწორედ საჩვენოს. თუ გნებავთ, ხვალვე წაგიყვანთ და თქვენი თვალით ნახავთ ყველაფერს.

კირას პალტო იატაკზე დაუვარდა. მაგიდაზე სანათი იდგა, მის გამონაშუქზე კირა ლეოსკენ წახრილი მოროზოვის სახეს ხედავდა და მისი წებოვანი ტუჩებიდან დაღვრილი, შემპარავი ჩურჩულიც ჩაესმოდა. ახლა უკვე ლეოს მიაჩერდა, თუმცა ის კირასკენ არც იხედებოდა. ცივი თვალები ოდნავ გაფართოებოდა, მისთვის უჩვეულო მღელვარებისაგან. კირა ბინდ-ბუნდში იდგა, სანათის შუქის წრის მიღმა. მამაკაცები მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მხოლოდ ანტონინა პავლოვნამ შეავლო ერთი დუნე, არაფრისმთქმელი მზერა, მერე ისევ მაგიდისკენ შებრუნდა და სიგარეტი საფერფლეში ჩააფერფლა.

– სახლმმართველი რა კაცია? – იკითხა ლეომ.

– უკეთესი არ გენახოთ, – ჩაიხითხითა მოროზოვმა.

– გულიანი ბიჭია, გამგები და ისა... პრაქტიკულიც. დროდადრო ათმანეთიანს თუ ჩავუკუჭავთ და ბოთლ არაყსაც ჩავახუტებთ, მთლად ფეხქვეშ გაგვეგება და ძვირიც არ დაგვიჯდება; უკვე ვუთხარი, მაღაზია ცოტა მიალაგე-მეთქი და სხვათა შორის, ახალი აბრაც იქნება შესაკვეთი: „ლევ კოვალენსკი. საკვები პროდუქტები“.

– უკაცრავად, რაზე ლაპარაკობთ? – ისე მიახალა სათქმელი კირამ მოროზოვს, თითქოს სილა შემოკრა გამეტებითო. ახლა უკვე თავზე წადგომოდა მაგიდასთან მჯდარ კაცს და სანათის შუქით დაჩეხილი ჩრდილები სახეზე დასთამაშებდა. ცოტა არ იყოს, შემკრთალი მოროზოვი გაეცალა, უფრო ახლოს მიჩოჩდა მაგიდისკენ.

– რაღაც ერთობლივი საქმის წამოწყებას ვაპირებთ, კირა ალექსანდროვნა, – აუხსნა მშვიდი, შემრიგებლური ხმით.

– მეც ხომ დაგპირდით, ჩემი კოკო ლეოს უთუოდ დაეხმარება-მეთქი! – გაიბადრა ანტონინა პავლოვნაც.

– კირა, მოგვიანებით აგიხსნი ყველაფერს, – ცივად ჩაილაპარაკა ლეომაც და მისი სიტყვები ბრძანებასავით გაისმა.

კირამ უსიტყვოდ მიიდგა სკამი მაგიდასთან. მოროზოვის პირდა-პირ დაჯდა, ხელი ნიკაპქვეშ ამოიდო და ისევ ჯიქურ მიაჩერდა სა-ხეში. იმანაც ლაპარაკი გააგრძელა, თუმცა ცდილობდა, როგორმე მისთვის არ შეეხედა თვალებში:

– ასე თუ ვიმოქმედებთ, ბევრად უკეთესი იქნება, ლევ სერგეევიჩ. ჩვენ დროში კერძო მოვაჭრეობა არც ისე იოლი საქმეა და ბევრ სირ-თულესთანაცაა დაკავშირებული. მარტო საცხოვრებელი ფართის ქირა რად ღირს! მთელი მოგება მაგაში შეიძლება წავიდეს. ხოლო თუ ვიტყვით, რომ თქვენ ერთადერთი მეპატრონე ხართ, ამ შემთხვე-ვაში ქირა შედარებით ნაკლები იქნება, რადგან მხოლოდ ეს ერთი ოთახი გაქვთ საცხოვრებლად. მე მაგალითად, სამოთახიანი, დიდი ბინა მაქვს – მე და ტონიას ვგულისხმობ და კერძო მოვაჭრედ რომ გავფორმდე, მარტო ქირის გადახდას ვერ ავუვალ!

– კი ბატონო, – თქვა ლეომ.

– დაგიჯერებთ. მართალი გითხრათ, სულ არ დავეძებ თუ რა მერ-ქმევა – კერძო მოვაჭრე, ნიკოლოზ მეორე თუ მეფისტოფელი...

– ძალიანაც კარგი, – ხმამაღლა ჩაიხითხითა მოროზოვმა და ერ-თად აუთახთახდა ღიპიცა და ღაბაბიც.

– ეგ კიდევ უკეთესი. მერწმუნეთ, ლევ სერგეევიჩ, ნამდვილად არ ინანებთ. მოგება ისეთი გვექნება, იმ ხალხს, ახლა რომ ბურჟუებად იხსენიებენ, სიზმრადაც არ მოელანდებათ! ამ ჩვენი მოკრძალებული წამოწყებით იმდენ ფულს ვიშოვით, მგონი ხარჯვას ვეღარ ვასწრებ-დეთ! ერთ-ორ წელიწადში თავადვე ვიქნებით საკუთარი თავის ბა-ტონ-პატრონები. რამდენიმე ასეულ მანეთს მივართმევთ მერე ვისაც საჭიროა და უცხოეთსაც შეგვეძლება მივაშუროთ – პარიზი გინდა,

ნიცა, მონტე-კარლო თუ რა ვიცი... სასიამოვნო და თვალსაამო ქალაქებს რა გამოლევს ევროპაში...

– ჰო, – მოღლილი ხმით ჩაილაპარაკა ლეომ.

– უცხოეთი კარგია...

მერე ისე გააქნია თავი, თითქოს აბეზარი აზრის მოშორება უნდა და ამ თავის დამქირავებელს მიმართა, მკაცრად:

– ოღონდ ის თქვენი კომუნისტი მეგობარი ყველაზე დიდი საფრთხეა მთელ ამ აწყობილ გეგმაში. ნამდვილად ბოლომდე ენდობით?

მოროზოვმა ფართოდ გაშალა მსუქანი მკლავები, თავიც ნელ-ნელა, საყვედურით გადააქნია და ისევ ვაზელინივით ზეთოვანი ღიმილი მოირგო ტუჩებზე:

– ლევ სერგეევიჩ, ძვირფასო, იმედია ვიღაც გამოუცდელი ღლაპი არ გგონივართ, პირველ ნაბიჯებს რომ დგამს ვაჭრობაში! იმ კაცის ისევე მჯერა, როგორც სულის სამარადისო ცხონების... არც მეტი და არც ნაკლები! სხვათა შორის, იშვიათი ჭკუა-გონების პატრონი ახალგაზრდაა, სხარტი და საქმიანი. იმათ არა ჰგავს, საკუთარ უაზრო ყბედობით რომ ტკბებიან... ზედმეტი ლაი-ლაი და ბროლის კოშკებზე ოცნება არ სჩვევია – არა, ბატონი ჩემო! იცის, რა ხეირიც შეიძლება გამოდნეს ამ საქმიდან და საკბილოს ხელიდან არ გაუშვებს. თან წვრილმან ამბებზე არ ცდება – ჩვენნაირი უბრალო ხალხი შარში თუ გაეხვა, შეიძლება ათი წლით ციმბირშიც გაამწესონ, პარტიის წევრებს კი პირდაპირ კედელთან აყენებენ და სიტყვის თქმასაც არ აცლიან თავის გასამართლებლად...

– ნუ ღელავთ, ლეო, – გაუღიმა ანტონინა პავლოვნამ.

– მეც შევხვედრივარ იმ ახალგაზრდას. ჩაიზე დავპატიჟე ერთხელ – უფრო სწორად, შამპანურსა და ხიზილალაზე... ნამდვილად არ აკლია ჭკუა და საიმედო ადამიანიცაა. არც კოკოს ეშლება ხოლმე ეგეთები.

– რამე რომ იყოს, მისთვის ეს არც დიდად საძნელო საქმე არაა – ხმას დაუწია და ლამის ჩურჩულზე გადავიდა მოროზოვი.

– რაღაც თანამდებობა უკავია რკინიგზაზე, მგონი ინჟინერი უნდა იყოს და ყველას იცნობს, ვისაც საჭიროა. ერთი ეგ უნდა მოახერხოს, რომ გადაზიდვისას, ამა თუ იმ საქონლის პარტია ცოტა შეილახოს – ბოლო-ბოლო, მართლა ხომ ხდება ეგეთები, ან დაუვარდებათ, ან დაუსველდებათ... მოკლედ. უვარგისად უნდა ჩათვალონ ეგ საქონელი. მეტი არც არაფერია მისგან საჭირო, დანარჩენი უკვე იოლზე იოლია: ტვირთი ზედმეტი ხმაურის გარეშე აღმოჩნდება ჩვენი მაღაზიის სარდაფში, ეგაა და ეგ. ვის რა ეჭვი უნდა გაუჩნდეს? მართალია, სახელმწიფო კოოპერატივებს რაღაც-რაღაცა მოაკლდება და კანონმორჩილი მოქალაქეებიც ცოტა ხანს მობოდიშებას და სამომავლო დაპირებებს უნდა დაყაბულდნენ, ჩვენ კი ორიოდე კვირა მოითმენთ, მერე ჩვენსავე მომხმარებელს – სამი გუბერნიის კერძო მოვაჭრეებს გადავუნაწილებთ ამ ჩამოწერილ ტვირთს. ამისთანების მთელი ქსელი გვაქვს აწყობილი. ფრთხილი და წინდახედული ხალხია, პირადად ვიცნობ თითოეულს. მოკლედ, ეგ უკვე ვისი რა საქმეა? ხოლო თუ მაინც ჩაყო ვინმემ რამეში ცხვირი, იმ ჩვენს მაღაზიაშიც გვეყოლება ჩვეულებრივი ნოქარი, რომელიც მუშტარს სურვილისამებრ მიყიდის ნახევარ გირვანქა კარაქსა თუ რამე სხვას. აი, ეგ იქნება მთელი ჩვენი აღებ-მიცემობა! ღია და კანონიერი საცალო ვაჭრობაა, მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ასე გამოჩნდება გარედან.

– ერთსაც გეტყვით, – აჩურჩულდა ანტონინა პავლოვნა.

– თუ რამე აირია, იმ ახალგაზრდა კომუნისტს...

– ჰო, – ჩურჩულითვე აჰყვა მოროზოვი; მერე იდუმალი სახით მიიხედ-მოიხედა, ცოტა ხანს შეიცადა, კარსიქით რამე საეჭვო ხომ არ ისმისო და როცა დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგშიაო, მერეღა გააგრძელა, თან მაინც ლამის ყურთან მიუტანა ტუჩები ლეოს:

– გპუ-შიც ყავს ძალიან გავლენიანი მეგობარი და მფარველი. იმის სახელის ხსენების მეშინია კიდეც.

– არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს, – აგდებულად ჩაილაპარაკა

ლეომ.

– თუკი საკმარისი ფული გვექნა.

– ფული? ლევ სერგეევიჩ, სულზე უტკბესო, ფული იმდენი გვექნება, თამბაქოს გაახვევთ ათმანეთიანებში! სამად გავიყოფთ ყველაფერს – ერთი წილი იმ ჩვენს კომუნისტ მეგობარს ერგება, ხომ გესმით. ცოტცოტა რკინიგზის თანამშრომლებისთვის თავის მოსაწონადაც უნდა გავიმეტოთ, ცოტა – სახლმმართველის და ამ ბინის ქირაც იქნება გადასახდელი... აი, სულ ესაა მთელი ჩვენი ხარჯი. მაგრამ ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ მაღაზიის ერთადერთი მეპატრონე მხოლოდ თქვენ უნდა იყოთ. ეს თქვენი საკუთრებაა, თქვენივე აბრით დამშვენებული. მე კი ჩემი სამსახური მაქვს მისახედი, კვების სახელმწიფო ტრესტში. მე რომ ჩემს სახელზე გახსნილი კერძო მაღაზია მქონდეს სადმე, იმ წუთში გამომაპანღურებდნენ თანამდებობიდან. ეს თანამდებობა კი ძალიან მჭირდება. თავად ნახავთ, როგორ გამოგვადგება.

აქ მოროზოვმა ლეოს თვალიც კი ჩაუკრა, თუმცა იმას სახე არ შეცვლია და ისე მიუგო:

– მაგის დარდი ნუ გაქვთ, მე არაფრის მეშინია.

– მაშ, შევთანხმდით და ეგაა? დამიჯერეთ, მეგობარო – ერთი თვის შემდეგ აღარც გემახსოვრებათ, როგორ ცხოვრობდით... მაგ ჩავარდნილ ლოყებზე ხორცი დაგედებათ, კირა ალექსანდროვნას კი ლამაზ-ლამაზი სამოსი დამშვენდება, ბრილიანტის სამაჯური და ვინ იცის, საკუთარი ავტომობილის საჭესაც მიუჯდეს...

– ლეო, შენ რა, ჭკუიდან შეიშალე?

კირას სკამი ხმაურით მიეხალა კედელს; სანათის შუშამაც საწყალობლად გაიწკარუნა და ალიც შეთრთოლდა. კირა ფეხზე წამოიჭრა. სამი დაფეთებული სახე მას მიჩერებოდა.

– თქვენ რა. მემასხრებით თუ მართლა ჭკუიდან გადახვედით ყველანი?!

ლეო სკამზე გასწორდა, თვალი თვალში გაუყარა კირას და ხმაში

სუსხი გამოერია:

– კი მაგრამ, ჩემთან ასე ლაპარაკის უფლება როდის მოიპოვე?

– ლეო! ეს თუ თვითმკვლელობის რაღაც ახალი გზაა, მინდა გითხრა რომ ბევრად უფრო იოლი საშუალებებიც არსებობს!

– კირა ალექსანდროვნა, მერწმუნეთ, ზედმეტად ამძაფრებთ ვითარებას, – მისი დამშვიდება სცადა ანტონინა პავლოვნამ.

– კირა ალექსნდროვნა, ჩემო კეთილო, დამშვიდდით! – ჩაერია მოროზოვიც.

– დაბრძანდით და მოდით, ყველაფერი აუღელვებლად განვიხილოთ. ან რა არის აქ ასაღელვებელი?

– ლეო! ვერ ხედავ, რას აკეთებენ?! – იყვირა კირამ.

– შენ მხოლოდ ფარად გიყენებენ და სხვა არაფერი. ისინი ფულს ჩამოდიან, შენ კი – საკუთარ სიცოცხლეს!

– კარგია, რამეში მაინც თუ გამოდგება ეს ჩემი სიცოცხლე, – მოუჭრა ლეომ.

– მომისმინე, ლეო! ვეცდები მშვიდად ვილაპარაკო. აი, დავჯექი კიდეც... ახლა მომისმინე: მოდი, ასეთ საქმეს თვალდახუჭული ნუ წამოიწყებ, ჯერ დაფიქრდი, კარგად აწონ-დაწონე. ხომ იცი, რა რთულია ცხოვრება ჩვენ დროში! გინდა კიდევ უფრო გაართულო? არ იცი, რა ხელისუფლებაც გვყავს? ჯერ ისედაც ძნელია ხელში ცუდად არ მოყვე და შენ რა, მთლად ნებით უვარდები პირში? როგორ გგონია, სპეკულანტობაში და თაღლითობაში შემჩნეულს, დაგინდობს ვინმე და შენც არ მიგაყენებს კედელთან?

– მე მგონი, ლეომ სრულიად გასაგებად ახსნა, რომ არავის რჩევადარიგება არ სჭირდება! – სიგარეტიანი ხელი ჰაერში თეატრალურად გააქვავა ანტონინა პავლოვნამ.

– კირა ალექსანდროვნა, – აქოთქოთდა მოროზოვიც.

– რა საჭიროა ასეთი საშინელი სურათის დახატვა, როცა საუბარი ერთ უბრალო, უწყინარზე-უწყინარ საქმიან გარიგებას ეხება? სრულიად უსაფრთხოსა და ლამის, კანონიერსაც კი...

– გაჩუმდით ერთი წუთით, – სიტყვა გააწყვეტინა ლეომ და კირას მიუბრუნდა.

– ყური მიგდე, კირა! მშვენივრად მესმის, რა ბინძური და დამპალი გარიგებაც ხდება აქ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცხოვრებაში რაღაც მაინც უნდა ვცადო. აუცილებლად ვცდი კიდეც, გესმის?

– გინდაც გთხოვო, მაგას ნუ იზამ-მეთქი?

– რაც არ უნდა მითხრა, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. გეთანხმები, ეს ნამდვილად ბინძური, უგვანი, უხამსი საქმეა, მაგრამ ვინ მიბიძგა აქეთკენ? როგორ გგონია, მთელ დარჩენილ ცხოვრებას ისევ ხოხვაში გავატარებ? სამსახურის ხვეწნა-ძებნაში და ნახევრად მშიერი დაველოდები, ნელ-ნელა როდის ამომხდება სული? უკვე ორი კვირა�ა რაც დავბრუნდი და რა – ვიპოვე რამე სამუშაო? ან დამპირდა მაინც ვინმე რამეს? რაო – გადამყიდველებს კედელთან აყენებენ და ხვრეტენო? კი მაგრამ, სხვა რამის გაკეთების შესაძლებლობა რატომ არ მომცეს? არ გინდა რომ სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდო, მაგრამ განა რა ფასი აქვს ამ ჩემს სიცოცხლეს? წინ არაფერი მელოდება, მომავალიც არა მაქვს. სულ რომ კუპრში მოხარშვით დამემუქრონ, იმას მაინც ვერ გავაკეთებ, რასაც ვიქტორ დუნაევი აკეთებს! და საერთოდ, ასეთ ყოფას ისევ სიცოცხლის სასწორზე შეგდება სჯობია!

– ლევ სერგეევიჩ, ჩემო კეთილო, ოქროს სიტყვებს ბრძანებთ! – გრძნობით წარმოთქვა მოხიბლულმა მოროზოვმა.

– თქვენ ორნი შეგიძლიათ მიბრძანდეთ, – უხეშად მიახალა ლეომ.

– ხვალ გნახავთ, მოროზოვ, და იმ მაღაზიასაც დავათვალიერებ.

– მართალი გითხრათ, გაოცებული ვარ, ლეო! – შენიშნა ანტონინა პავლოვნამ და ამაყად წამოიმართა სკამიდან.

– ასე თუ მოექცევით ვიღაცის გავლენის ქვეშ და ასეთ შესაძლებლობას სათანადო მადლიერებით არ მოეკიდებით...

– კიდევ მე უნდა ვიყო მადლიერი? – მკაცრად, უხეშადაც კი შეაწყვეტინა ლეომ.

– თქვენც ისევე გჭირდებით, როგორც მე თქვენ. ჩვენს შორის საქმიანი გარიგება ხდება, ესაა და ეს.

– დიახ, დიახ, სწორედაც! – წამოიძახა მოროზოვმა.

– და მე პირადად ძალიან ვაფასებ თქვენს მხარში დგომას, ლევ სერგეევიჩ! ყველაფერი რიგზეა, ტონია, სულზე უტკბესო... ახლა წავიდეთ და დანარჩენზე უკვე ხვალ მოვილაპარაკებთ.

ფეხები ფართოდ გაჩაჩხა, მუხლებს ხელებით დაეყრდნო და მძიმემძიმედ წამოიმართა. ყოველ განძრევაზე, ღიპი ისე უთიმთიმებდა, რომ ჩაცმულიც კი მაინც რაღაც უხერხულობის განცდას უჩენდა მის შემხედვარეს.

კართან მისული, ლეოს მოუბრუნდა:

– აბა, ლევ სერგეევიჩ, ერთმანეთს ხელი არ ჩამოვართვათ? გესმით ალბათ, წერილობით ხელშეკრულებას ვერ დავდებთ, მაგრამ თქვენს პატიოსან სიტყვას ვენდობი.

ტუჩები უშნოდ აემრიზა, როცა მოროზოვს ართმევდა ხელს და სახეც ისეთი ედო, თითქოს ეს დიდი ძალდატანების ფასად უჯდებოდა. მოროზოვი არაფერს იმჩნევდა, ხელიც მხურვალედ ჩამოართვა და თავიც მდაბლად დაუკრა, გლეხურად. ანტონინა პავლოვნა კი ისე გავიდა ოთახიდან, კირასკენ აღარც გაუხედავს.

ლეომ სტუმრები წინკარამდე გააცილა. უკან რომ დაბრუნდა, კირა ისევ იმავე ადგილას იდგა, სადაც დატოვა. ხმის ამოღება არ აცალა და თავადვე მიმართა:

– კირა! ამაზე აღარ ვიკამათებთ.

– მე ერთადერთი რამე მაქვს სათქმელი, – ჩურჩულით უპასუხა კირამ.

– იმათი თანდასწრებით ვერ გეტყოდი. ამბობ, ცხოვრებაში აღარაფერი დამრჩენიაო, არადა მეგონა, მე გყავდი...

– ეგ არ დამვიწყებია. სწორედ ეგაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ნაბიჯის გადადგმას ვაპირებ. როგორ გგონია, ისევ შენს ხარ-

ჯზე ვიცხოვრებ? ვიდგები ასე და გიყურებ, როგორ ატარებ ექსკურსიებს, ან როგორ ისუნთქავ პრიმუსის ჭვარტლს? აი, ამ უტვინო ანტონინას ხომ ექსკურსიების გაძღოლა არაფერში სჭირდება. სხვათა შორის, შენნაირ ტანსაცმელს იატაკის მორეცხვისასაც არ ჩაიცვამდა, თუმცა არც იატაკის რეცხვა უწევს. მინდა რომ აღარც შენ გიწევდეს, შე სულელო შენა! წარმოდგენაც არა გაქვს, როგორი შეიძლება იყოს ცხოვრება. არც გინახავს ის წესიერი ცხოვრება, მაგრამ იმედია ნახავ. მეც ვაპირებ ვნახო, სანამ ბოლოს მომიღებდნენ. მისმინე რას გეტყვი: ზუსტადაც რომ ვიცოდე, ექვს თვეში მართლა დამხვრეტენ, მაინც მოვკიდებ ამ საქმეს ხელს!

კირას თავბრუ დაეხვა და მაგიდას დაეყრდნო ხელებით. მერე ისევ ჩურჩულით თქვა:

– ლეო, მუხლებში რომ ჩაგივარდე და ისე რომ გთხოვო, ჩვენი სიყვარული რომ დაგაფიცო, რომ გითხრა – ექსკურსიაზე გატარებული თითოეული საათი უძვირფასესი იქნება ჩემთვის, იატაკის რეცხვაზე დიდ სიამოვნებასაც არაფერი მომანიჭებს, ბედნიერი ვიქნები, როცა დემონსტრაციაში მივიღებ ხოლმე მონაწილეობას, ან როცა კლუბში ლექციას დავესწრები, ანდა როცა აფრიალებულ წითელ დროშას დავინახავ, ოღონდაც კი მაგ საქმეზე ხელი აიღე-მეთქი, – მაინც შენსაზე იდგებოდი?

– კი, ეგრეა, – უპასუხა ლეომ.

* * *

მოქალაქე კარპ მოროზოვი რესტორანში შეხვდა მოქალაქე პაველ სეროვს. დარბაზის განაპირას, კუთხეში უსხდნენ მაგიდას. მოქალაქე მოროზოვმა ბორშჩი შეუკვეთა. მოქალაქე სეროკმა კი ჩაი და ფრანგული ნამცხვარი. მერე მოქალაქე მოროზოვი წინ წაიხარა და წვნიანის ოხშივარში გახვეულმა, ჩურჩულით მიმართა თანამეინახეს:

– ყველაფერი მოგვარდა, პავლუშა! საჭირო კაცი გამოვნახე. გუშინ შევხვდი.

პაველ სერიას ფინჯანი ტუჩებთან მიეტანა და ფერმკრთალ ტუჩებსაც ისე ძლივს შესამჩნევად აცმაცუნებდა, მოროზოვი უფრო გუმანით მიხვდა მის შეკითხვას, ვიდრე ყურით გაიგონა:

– ვინაა?

– ლევ კოვალენსკი ჰქვია. ახალგაზრდაა. ჯიბეში კაპიკი არ უჭყავის და ყველაფერზეა წამსვლელი. სასოწარკვეთილია ბიჭი. უკან არაფერზე დაიხევს.

მისმა თანამოსაუბრემ ისევ თითქმის უხმოდ აამოძრავა ტუჩები: – სანდოა? – სავსებით.

– დამყოლი თუა? – მთლად ბავშვივით.

– ენაზე შეუძლია კბილის დაჭერა? – სამარეა. მოროზოვმა გემრიელად მოხვრიპა წვნიანი. კომბოსტოს ფურცლის ერთი წვერი კოვზზე დარჩა დაკიდებული და ისიც ხმაურით შესვლიპა. მერე კიდევ უფრო წინ გადაიხარა მაგიდაზე:

– ეგეც არ იყოს, მთლად სანაქებო წარსულითაც ვერ დაიკვეხნის. მამამისი კონტრრევოლუციონერობისთვის დახვრიტეს. მოკლედ, რამე რომ იყოს, უკეთესს ვერავის ვნახავთ ხელის შესახოცად. ქვეყნის მოღალატე, გადაჯიშებული არისტოკრატი – უკეთესი რა გინდა?

– ძალიან კარგი...

– ჩაიჩურჩულა სეროვმა. კოვზით ღონივრად დააწვა შოკოლადმოსხმულ ეკლერს და თეფშზე რბილი, ყვითელი კრემი გამოადინა. მერე ისევ აჩურჩულდა, ისევ ააცმაცუნა წვრილი, უსისხლო ტუჩები:

– ახლა მისმინე. მე ყოველ ჯერზე წინასწარ მჭირდება ჩემი წილი. ვერ დაველოდები, საქონელი როდის გასაღდება და ორჯერ თხოვნასაც არ ვაპირებ.

– ღმერთო შენ მიშველე! აბა რა, პავლუშა... ეგრე იქნება. ორჯერ კი არა...

– და კიდევ: სიფრთხილე მჭირდება. გასაგებია? უკიდურესი სიფრთხილე. დღეის ამას იქით, ერთმანეთს არ ვიცნობთ, გესმის? შემთხვევითაც თუ გადავეყარეთ ერთმანეთს სადმე. უცნობებივით ჩავუვლით გვერდზე. ფულს ანტონინა მომიტანს ხოლმე იმ საწყობში, როგორც შევთანხმდით.

– კი, კი! აბა რა... ყველაფერი მახსოვს, პავლუშა!

– იმ ვიღაც კოვალენსკისაც უთხარი, ჩემგან თავი შორს ეჭიროს. საერთოდ არც მინდა მაგის გაცნობა.

– აბა რა, ან რაში გჭირდება...

– მაღაზია უკვე შეარჩიეთ? – დღეს ვქირაობთ.

– კარგი, შენ ჯერ იჯექი, პირველი მე წავალ. ოცი წუთი ფეხიც არ მოიცვალო აქედან. გესმის?

– კი, რა თქმა უნდა. ღმერთი შენკენ! – ეგ ლოცვები შენთვის შეინახე. აბა, კარგად.

* * *

რკინიგზის დეპოს კანტორაში მდივანი ქალი საწერ მაგიდას უჯდა, რომელსაც დანარჩენი ოთახიდან ხის დაბალი თეჯირი ჰყოფდა. ქალს ზედა ტუჩი აწია, ქვედა კბილებშორის მოექცია და ერთიანად დაძაბული, დიდი გულისყურით ბეჭდავდა რაღაცას. თეჯირის შორიახლოს, კარგა ხნის წინ დაუგველ იატაკზე, ორად-ორი სკამი იდგა; ექვსი მომსვლელიდან ორი ზედ მოკალათებულიყო, დანარჩენები კი ფეხდგომელა, მოთმინებით ელოდნენ საკუთარ რიგს. მდივანი ქალის ზურგსუკან, კარზე, აბრა გაეკრათ „ამხ. სეროვი".

ნასადილევს, ამხანაგი სეროვიც დაბრუნდა. სწრაფად შემოაბიჯა მოსაცდელში – შემოტკეცილი, ერთიანად მბზინავი, სამხედრო ყაიდის ჩექმების ჭრაჭა-ჭრუჭით. ექვსივე მომლოდინემ მაშინვე თავი აიღო და ყველა ერთად მიაჩერდა მავედრებელი, დარცხვენილი მზერით. მან კი ისე გადაჭრა ოთახი, თითქოს იქ კაციშვილი არ შეუმ-

ჩნევიაო. მდივანიც წამოხტა და ფეხდაფეხ შეჰყვა უფროსს მის სამუშაო კაბინეტში.

– იქ ახალთახალი, განიერი საწერი მაგიდის თავზე ლენინის დიდი სურათი ეკიდა; სურათის აქეთ-იქით კი სარკინიგზო ქსელის გაფართოების აღმნიშვნელი დიაგრამა და წითელი ასოებით გამოყვანილი მოწოდება:

„ამხანაგებო, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თხოვნა.

პროლეტარული სისხარტე მშვიდობიან დროს რევოლუციური აღმშენებლობის ქვაკუთხედია! "

პაველ სეროვმა ჯიბიდან სიგარეტის ბრტყელი, ოქროსფერი კოლოფი ამოიღო. მერე იქიდან ერთი ღერი ამოაძვრინა, მოუკიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ზედ დახვავებული საქაღალდეების იქიდან გამოხედა მდივან ქალს.

– აბა, რა ხდება? – გელოდებიან, ამხანაგო სეროვ, პირადად თქვენი ნახვა უნდათ.

– რა საქმეზე? – ძირითადად, სამსახურს ითხოვენ.

– დღეს ვერავის ვერ მივიღებ, ნახევარ საათში ისევ გასაქცევი ვარ კლუბში, შეხვედრაზე. ჩემი მოხსენების ტექსტი გადაბეჭდე უკვე?

– დიახ, ამხანაგო სეროვ. აი, ინებეთ: „რკინიგზა, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს სასიცოცხლო არტერია".

– კარგია.

– ამხანაგო სეროვ, ის ხალხი უკვე სამი საათია გელოდებათ.

– ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ! უთხარი, ხვალ მოვიდნენ. რამე თუ გამოჩნდა საჩქარო, რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის შტაბში დამირეკე. კლუბიდან პირდაპირ იქ წავალ. და კიდევ, აი რა: ხვალ გვიან ვიქნები.

– გასაგებია, ამხანაგო სეროვ.

* * *

რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის შტაბიდან გამოსული პაველ სეროვი მეგობართან ერთად მიაბიჯებდა შინისაკენ. მშვენიერ ხასიათზე გახლდათ. რაღაცას მხიარულს უსტვენდა და გზად შემოხვედრილ გოგონებსაც სულ თვალს უპაჭუნებდა.

– მე მგონი, ამ საღამოს პატარა წვეულება უნდა გავმართო... ბოლო სამი კვირაა, ერთი ჩემს გემოზე ვეღარ მოვილხინე. ასე მგონია, ხავსი მომედო-მეთქი. შენ რას იტყვი?

– მოსულა! – აუბა მხარი მეგობარმაც.

– ბევრი ხალხი არ გვინდა, ჩვენები ჩავუჯდეთ, ჩემთან.

– ეგ კიდევ უკეთესი.

– ვიცი, ნამდვილ არაყს ვინც გვაშოვნინებს. მისაყოლებელი კიდევ ფრანგულ მაღაზიაში ავიღოთ. იქ ყველაფერი აქვთ.

– შენთანა ვარ, ძმაო.

– მოკლედ, შევუბეროთ.

– ისე, რას ვზეიმობთ?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს... ვიქეიფოთ, საბაბი გამოჩნდება. ყველაფერს მე ვკისრულობ. შენ ხომ მიცნობ – თავის მოგიჟიანება თუ გადავწყვიტე, წუწურაქობას არ დავიწყებ.

– ოქრო ხარ, ძმაო! – და კიდევ ვის ვუთხრათ? გრიშკა და მაქსიმი თავისი გოგოებით? – ლიზავეტა არ გამომიტოვო.

– აბა რა, ეგ შენი ლიზავეტა – თავისთავად! ვალკა დუროვას ვეტყვი კიდევ... რა გოგოა! ის კიდევ მოიყვანს ვიღაც-ვიღაცეებს. და ალბათ, ვიქტორ დუნაევი იმ თავის მარიშა ლავროვასთან ერთად. ეგ ქვეშ-ქვეშა ვიქტორი ერთ მშვენიერ დღეს დიდი ვინმე გახდება, მაგ კაცის დაკარგვა არ ღირს. რას იტყვი, ამხანაგი სონიაც დავპატიჟო?

– კი, რატომაც არა?

– რა გითხრა... ეგ ძროხა მთელი წელია კუდში დამდევს. შემაცდინოს უნდა. არადა, არა ვარ მაგდენის დამლევი...

– მაშინ, ფრთხილად უნდა იყო, პავლუშა! ამხანაგ სონიას ახლა

ისეთი მდგომარეობა უკავია, მაგას თუ რამე აწყენინე...

– ვიცი, ვიცი... მაგას მეც ვფიქრობ. ორი პროფკავშირი და ქალების ხუთი კლუბი ჯიბეში უზის... სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავუძახო.

* * *

პაველ სეროვმა მისი ოთახის სამივე ფანჯარაზე ჩამოაფარა ფარდები. სტუმარი გოგონებიდან ერთ-ერთმა მაგიდის სანათურს ნარინჯისფერი თავშალი შემოახვია და ოთახშიც უცებ რაღაც ფერადი ბინდ-ბუნდი ჩამოწვა. კედლების, სავარძლებისა თუ ტახტის ფონზე, ბნელში აქა-იქ სტუმრების ფერმკრთალი სახეები გაკრთებოდა ხოლმე. შუა ოთახში, პირდაპირ იატაკზე ლანგრით იდო ფრანგულ მაღაზიაში ნაყიდი შოკოლადის ტორტი, რომელზეც ვიღაცას უკვე ფეხიც დაებიჯებინა. სეროვის ბალიშზე გატეხილი ბოთლი ეგდო. ვიქტორ დუნაევი და მარიშა საწოლზე ჩამომსხდარიყვნენ. ვიქტორის ქუდიც იქვე შორიახლოს, იატაკზე მოჩანდა და აშკარად საფერფლის მაგივრობას სწევდა. გრამოფონი „ჯონ გრეის“ უკრავდა.

ოღონდ ფირფიტა გაკაწრულიყო და ახლა ნემსი ერთ ადგილზე ხტოდა მჭახე ტკაცანით. მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა. საწოლის ფერხთით, იატაკზე მოკალათებული ვიღაც ახალგაზრდა კაცი სიმღერას ცდილობდა: თავჩაქინდრული, რაღაც დარდიანს, ოღონდ კი მელოდიისაგან სრულიად დაცლილს ლუღლუღებდა თავისთვის. მერე შიგადაშიგ, უცებ თავს აიქნევდა და ისე შებღავლებდა ხოლმე ხმამაღლა, დანარჩენებს შიშისაგან გული უსკდებოდათ; ამიტომაც იყო, რომ მერე ზოგი ფეხსაცმელს, ზოგიც ბალიშს ესროდა და უყვიროდა – გრიშკა, ხმა ჩაიწყვიტეო. ისიც მაშინვე ისევ დაირცხვენდა და თავსაც ძველებურად ჩაკიდებდა. ოთახის კუთხეში, პირსაბანთან, იატაკზე გართხმულ გოგოს ეძინა და ოფლიან, აწითლებულ სახეზე თმის გაზინთული კულულები მიწებებოდა.

პაველ სეროვი არეული ნაბიჯით მიდი-მოდიოდა ოთახში, თავსზემოთ დაცლილ ბოთლს იქნევდა და ენაარეული, გაბუტული ხმით, ჯიუტად ყველას სთავაზობდა დალევას:

– დავლიოთ, რა! დალევა არავის არ გინდათ? ვინა ხართ დამლევი?

– გეყო რა, პაველ! ცარიელია ეგ ბოთლი...

– სიბნელიდან შეეხმიანა ვიღაც.

პაველი შედგა, თან ადგილზე ტორტმანებდა; ბოთლს დაბურულ შუქზე გახედა, ბრაზით გადააპურჭყა და დაცლილი ბოთლიც საწოლქვეშ მოისროლა.

– თქვენ გგონიათ, მეტი აღარ მაქვს? – მუქარით მოუღერა მუშტი ოთახს.

– თუ წუწურაქი გგონივართ? არაყს დავაჯდები ვითომ? ეგრე ფიქრობთ? არყის გულისთვის თქვენ ყბაში ჩავიგდებ თავს? დამაცათ ახლა, გაჩვენებთ ერთი, როგორი მასპინძლობა ვიცი... ვიღაც ის კი არა ვარ მე...

მაგიდის ქვეშ, ყუთში მოაფათურა ხელი, მერე ისევ ერთიანად ატორტმანებული, კვლავ გაჭირვებით წამოიმართა და ახლა უკვე გაუხსნელი ბოთლი შეათამაშა ჰაერში.

– აბა, ახლა რას იტყვით? მქონია შნო? – გაიცინა ნიშნის მოგებით და ზუსტად იმ კუთხისკენ დააღირა თავი, საიდანაც წეღან შეეხმიანენ. გზადაგზა თეთრ ლაქებად ქცეულ, მისკენ მიმართულ სახეებს ელაზღანდარებოდა, ბოლოს კი უცებ, მთელი ძალით მოიქნია ხელი და ბოთლი ხმაურით მიანარცხა წიგნის კარადას. ოთახში მინის მსხვრევის ხმა გაისმა. ვიღაცა გოგომ შეჰკივლა, სტუმართაგან რომელიღაც მამაკაცმა კი მთელი გულით შეიგინა.

– წინდები პაველ! ჩემი წინდები...

– ასლუკუნდა გოგო და კაბა მუხლებსზემოთ აიქაჩა. წინდები არყით ჰქონდა სველი.

სიბნელიდან კაცმა გამოიწვდინა მისკენ მკლავი: – ეგ არაფერი,

საყვარელო! სულაც გაიხადე, თუ გინდა...

– მქონია შნო თუ არ მქონია? – გამარჯვებული სახით ხითხითებდა სეროვი.

– თქვით, რას გაჩუმებულხართ? პაველ სეროვს ყველაფრის შნო აქვს! ყველაფრის უფლება შეუძლია მისცეს თავს! გიყიდით და გაგყიდით ყველას...

ვიღაც ოთხზე დამდგარი შეხოხდა მაგიდის ქვეშ და ახლა იმან დაიწყო ყუთში ხელების ფათური, ახალი ბოთლის მოსაძიებლად.

კარზე კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით! – იღრიალა სეროვმა, თუმცა არავინ შემოსულა, კაკუნი კი განმეორდა.

– ვინა ხარ, რა ჯანდაბა გინდა? – ფეხების ფრატუნით გაემართა კარისაკენ მასპინძელი და ფართოდ მოაფიათა.

დერეფანში მისი კარის მეზობელი იდგა – მსუქანი, სახეგაფითრებული ქალი. ტანზე ბამბაზიის გრძელი ღამის პერანგი ეცვა, მხრებზე ძველი შალი მოესხა. რულმორეულ თვალებზე ჭაღარა თმა ჩამოშლოდა და მთელი ტანით ცახცახებდა.

– მოქალაქე სეროვ, – ავიშვიშდა აღშფოთებული.

– აღარ უნდა მორჩეთ ამ დროსტარებას? იცით მაინც, რომელი საათია? საერთოდ აღარა გაქვთ სირცხვილი ამ ახალგაზრდებს! არც ღმერთის გეშინიათ, არც...

– წადი ბებო შენს გზაზე, საიდანაც მოსულხარ! – ბრძანებასავით მიახალა სეროვმა.

– მიდი, ლოგინში ჩაწექი, თავი ბალიშქვეშ შეყავი და ენას კბილი დააჭირე! თუ გპუ-ში გნებავს წაბრძანება?

ქალი საჩქაროდ შეტრიალდა და პირჯვრის წერით უკანვე გაცუხცუხდა.

ოთახის კუთხეში, ფანჯარასთან, ამხანაგი სონია მიმჯდარიყო და პაპიროსს აბოლებდა. ტანზე სამხედრო ყაიდის, წელში გამოყვანილი ხაკის ხალათი ეცვა, რომელსაც გვერდებზეც და მკერდზეც ორ-ორი

ჯიბე ეკერა. მართალია, ხალათი ძვირფასი უცხოური ქსოვილისაგან შეეკერათ, მაგრამ სონია მაინც დაუდევრად იფერფლავდა ზედ. მის გვერდით მოკალათებული სხვა გოგო საწყალობელი ხმით ედუდუნებოდა რაღაცას:

– გეხვეწები რა, სონია, მითხარი... დაშკა რატო მოხსენი სამსახურიდან? იცი, როგორ სჭირდებოდა ეგ ადგილი? და თუ გინდა იცოდე...

– სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, საქმეზე აღარ ვლაპარაკობ, – ცივად მიუგო ამხანაგმა სონიამ.

– და თან, ჩემი ნებისმიერი გადაწყვეტილება ყოველთვის კოლექტივზე ზრუნვითაა განპირობებული.

– ეგ კი, რა თქმა უნდა... მაგაში ეჭვი ვის ეპარება! მაგრამ რას გეტყვი იცი, სონია...

ამხანაგმა სონიამ თვალი მოკრა, როგორ ტორტმანებდა კარში გახირული პაველ სეროვი და მაშინვე წამოდგა, საჩქაროდ მისკენ გაემართა. სიტყვაც არ ათქმევინა ბოლომდე მის გვერდით მჯდომ გოგოს.

– მოდი აქ, პაველ...

– უთხრა მერე მასპინძელს, თავისი ღონიერი მკლავი შეაშველა და სკამისკენ გამოუძღვა.

– ჯობია ჩამოჯდე. აი აქ... მოიცა, მოგეხმარები.

– ძმა ხარ, სონია! – ლუღლუღებდა პაველი, ვიდრე გოგო ბეჭებქვეშ ბალიშს ამოუდებდა.

– ნამდვილი მეგობარი. ეხლა ცოტა ხმაური თუ ავტეხე, იმედია მაგაზე არ გამიწყრები, არა?

– რა თქმა უნდა, არა.

– არც ზოგ-ზოგებივით გგონია, არყის ხამიაო... ეგრე არ არი?

– ეგრეა, პაველ. აბა რა. უბრალოდ, ზოგიერთები სათანადოდ ვერ გაფასებენ.

– ესაა საქმე. ძაღლის თავიც სწორედ მანდაა ჩამარხული... სათანადოდ ვერ მაფასებენ! არადა, მე დიდი კაცი ვარ და ვაპირებ, კიდევ უფრო დიდი გავხდე... ოღონდ მაგათ ეგ არ იციან. საერთოდ არავინ არ იცის. მე ძალიან, ძალიან მაგარი ვინმე გავხდები. ჩემ გვერდით უცხოელი კაპიტალისტები წრუწუნებივით გამოჩნდებიან! გეუბნები, წრუწუნებივით-მეთქი... დრო მოვა, ამხანაგი ლენინი ჩემგან მიიღებს მითითებებს!

– პაველ, ჩვენი დიდი ბელადი გარდაიცვალა.

– მართალია... ნამდვილად. ამხანაგი ლენინი გარდაიცვალა. და რა მერე? უნდა დავლიო, სონია. ძალიან შემომაწვა დარდი. ამხანაგი ლენინი აღარა გვყავს!

– ამას რომ ასე განიცდი, ეგ რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ აჯობებს, მეტი აღარ დალიო.

– დარდიანი რომ ვარ, სონია? არავინ რომ არ მაფასებს? – მე გაფასებ, პაველ.

– შენ ოქრო ხარ, სონია! მართლა-მართლა... შენი წონა ოქრო.

საწოლზე მიწოლილ ვიქტორს მარიშა უკვე მკლავებში მოემწყვდია. გოგო ხითხითებდა და ვიქტორის პერანგზე ღილებს ითვლიდა. მესამის შემდეგ, სათვალავი აერია და ისევ თავიდან დაიწყო, თან ეჩურჩულებოდა:

– შენ ნამდვილად კეთილშობილი კაცი ხარ, ვიქტორ, დედას გეფიცები! მაგიტომაც მიყვარხარ. მე კი არაფერს წარმოვადგენ. დედაჩემი ერთი უბრალო მზარეული იყო, ვიდრე... ვიდრე... მოკლედ, ადრე. მახსოვს, ძალიან ბევრი წლის წინ, ერთ ძალიან, ძალიან დიდ სახლში მსახურობდა. იმ სახლის პატრონებს ცხენები ჰყავდათ, ეტლები და უზარმაზარი აბაზანა ედგათ. იქაურ სამზარეულოში მეც ვეხმარებოდი დედას, ბოსტნეულს ვარჩევდი... ერთი ძალიან ლამაზი ბიჭი ცხოვრობდა იქ, ბატონების ვაჟიშვილი. სამხედრო ფორმა უხდებოდა და ყველა უცხოურ ენაზე ლაპარაკობდა და შენ გგავდა.

იმას შეხედვასაც ვერ ვუბედავდი, ახლა კი იმაზე კიდევ უფრო კეთილშობილი შეყვარებული მყავს...

– გოგო სულელურად ხითხითებდა.

– უცნაურია, არა? მე, ბოსტნეულის მთლელ მარიშკას შენნაირი შეყვარებული მყავს!

– კარგი, გაჩუმდი! – უთხრა ვიქტორმა, აკოცა და რულმორეულს, თავი მკერდზე ჩამოუვარდა. უცებ, ვიღაც სხვა გოგო წამოადგათ თავზე. იმანაც ჩაიხითხითა და ჰკითხა:

– მაინც, როდის აპირებთ თქვენ ორნი ხელის მოწერას?

– გაიარე! – შეუღრინა მარიშამ.

– მაგის დროც მოვა. უკვე დანიშნულები ვართ.

ამხანაგმა სონიამ სეროვის სკამთან მიიჩოჩა სკამი და თვითონაც იქვე ჩამოუჯდა. პაველმა მუხლებზე ჩამოადო თავი, სონიამ კი თმაზე დაუწყო ფერება.

– იშვიათი ქალი ხარ, სონია, – ლუღლუღებდა სეროვი.

– გადასარევი ქალი. მარტო შენ გესმის ჩემი.

– რა თქმა უნდა, პაველ. მე სულ იმას ვამბობ, რომ შენ უნიჭიერესი, ყველასაგან გამორჩეული ვინმე ხარ მთელ ჩვენ კოლექტივში.

– სასწაული ქალი ხარ, სონია! – პაველი უკვე კოცნიდა და თან წუწუნებდა.

– მე კი არავინ არ მაფასებს...

მერე იატაკზეც წამოაწვინა, ზემოდან მოექცა იმის ვეება, ფუმფულა სხეულს და ყურში ჩურჩულს მოჰყვა:

– კაცს ქალი სჭირდება... ჭკვიანი, გამგები, ძლიერი და მაგარი ქალი... აბა ის გაძვალტყავებული საფრთხობელები ვის რაში არგია? მე შენნაირები მომწონს, სონია! ფერხორციანები...

თავადაც ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა უცებ პატარა საკუჭნაოში, თავისსა და იმ მეზობელი ქალის ოთახებს შორის. მაღლა, ჭერში გაჭრილ, აბლაბუდამოდებულ ფანჯარაში მთვარის სუსტი შუქი

ძლივს აღწევდა და ერთმანეთზე დახვავებულ ყუთებსა და კალათებს დანათოდა. პაველი ამხანაგ სონიას მხარს ეყრდნობოდა, თან ლუღლუღებდა:

– მაგათ ჰგონიათ, პაველ სეროვი კიდევ ერთი ვიღაც უძირ-უჯიშო ნაბიჭვარია, ვინც მთელი ცხოვრება ნაწყალობევი სალაფავი უნდა თქვლიფოს! ვაჩვენებ მაგათ, ვინცა ვარ... პაველ სეროვი დაანახებს ყველას, ვის ხელშია ძალაუფლება! ერთი საიდუმლო ვიცი, დიდი საიდუმლო, სონია! ოღონდ ვერ გეტყვი... მე შენ ყოველთვის მომწონდი, სულ მჭირდებოდა გვერდით შენნაირი ქალი, ფუმფულა და საიმედო...

როცა შეეცადა, ერთ დიდრონ, ამოტრიალებულ, მოწნულ კალათაზე შემდგარიყო, მთელი ეს დახვავებული გროვა ერთბაშად შეირყა და ხმაურით ჩამოზვავდა იატაკზე. აღშფოთებულმა მეზობლებმა კედელზე მუშტების ბრახუნი ატეხეს, თუმცა უკვე ძირს გართხმულ ამხანაგ სონიასა და პაველ სეროვს მათი ამ აღშფოთებისათვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევიათ.

V

ნოქარმა ხელის ზურგით მოიწმინდა ცხვირი და ერთი გირვანქა კარაქი გაზეთში გამოახვია. კარაქის ეს ნაჭერი ყვითელ, დნობაშეპარულ გუნდას ჩამოაჭრა, რომელიც მის წინ, დახლზე მოთავსებულ ხის ამობრუნებულ სათლზე იდო. მერე დანა ერთ დროს თეთრ წინსაფარზე შეიხოცა. უფერული თვალები აწყლიანებოდა, ტუჩები ნაპრალს მიუგავდა მოჭმუჭნულ სახეზე; ჩამოგრძელებული ნიკაპი ლამის ზედ ედებოდა მეტისმეტად მაღალ დახლზე, რომელიც თავის მხრივ, გაძვალტყავებულ, ძველ ლურჯ სვიტრში ჩამალულ სხეულს უფარავდა. რაღაც ჩაიფრუტუნა, ორი ჩაშავებული კბილი გამოაჩინა და სახეში შესცინა ალუბლებით გაწყობილ ქუდიან, ლამაზ მომხმარებელ ქალს.

– საუკეთესო კარაქი მთელს ქალაქში, მოქალაქევ! მსგავსს ახლა ვერსად იშოვით!

დახლზე შავი და რუხი, ოთხკუთხა პურების პირამიდა წამომართულიყო, დახლსზემოთ კი ძეხვეული, ბლითები და გამშრალი სოკოს ასხმულები ეკიდა. ძველისძველი სასწორის გაზინთულ პირებსა და ერთადერთი, ვიწრო ფანჯრის ჭუჭყიან შუშას ბუზების გუნდები დასტრიალებდა. ამ ფანჯრის ზემოთ, სექტემბრის პირველი წვიმით დამბალი აბრა ეკიდა:

„ლევ კოვალენსკი. სასურსათო საქონელი“

მყიდველმა ვერცხლის რამდენიმე მონეტა დახლზე დააგდო და ნავაჭრს დასწვდა. უკვე წასვლას აპირებდა, როცა თავისდაუნებურად, წამით შეჩერდა და ოდნავ შემცბარი მიაჩერდა მაღაზიაში შემოსულ ახალგაზრდა მამაკაცს. ქალმა არ იცოდა, სწორედ ის თუ იყო იქაურობის მეპატრონე. იცოდა მხოლოდ ის, რომ იმჟამინდელი პეტროგრადის ქუჩებში ამნაირ კაცს იშვიათად თუ გადაეყრებოდა სადმე. ლეოს ახალთახალი, უცხოური ლაბადა ეცვა, რომლის ქამარიც მჭიდროდ შემოეკრა თხელ, ჩამოქნილ წელზე. თავზეც უცხოური, რუხი ფერის ფეტრის ქუდი ხურა, ქედმაღლურად ფარფლაპრეხილი. ტუჩის კუთხეში ორი, გრძელი, ნატიფი თითით ეკავა აბოლებული სიგარეტი და ხელზე თხელი, ნამდვილი ტყავის ძვირფასი ხელთათმანი წამოეცვა. სწორედ ამგვარი სამოსისთვის შექმნილი სხეულის მოხდენილობით მიდი-მოდიოდა სწრაფი, საქმიანი, თავდაჯერებული ნაბიჯით, როგორც ძვირფასბეწვიანი, ჯიშიანი ცხოველი თუ სულაც, უცხოურივე მოდური ჟურნალის ფურცლებიდან გადმოსული ვინმე კინოვარსკვლავი.

ქალმა თამამად, გამომწვევადაც კი გახედა. საპასუხო მზერაში კი ერთდროულად იკითხებოდა მიპატიჟებაც, აგდებული, დამცინავი ქედმაღლობაცა და თან, ლამის რაღაცის დაპირებაც. მერე სწრაფადვე შეაქცია ზურგი, დახლისკენ გაეშურა, ქალმა კი ნელი ნაბიჯით დატოვა იქაურობა.

ნოქარმა ისე მდაბლად დაუკრა თავი, კინაღამ კარაქის გუნდას დაჰკრა ნიკაპი.

– დილა მშვიდობისა, ლევ სერგეევიჩ.

ლეომ დახლზე მდგარ ცარიელ ქილაში ჩააფერფლა სიგარეტი და ჰკითხა:

– სალაროში ნაღდი ფული თუ გვაქვს?

– კი, როგორ არა! ვერ დავიჩივლებ, დღეს ვაჭრობა კარგად მიდის...

– მომეცი აბა.

ნოქარმა დაკრუნჩხული თითებით ნიკაპი მოიქექა და ცოტა არ იყო ოს, დაბნეულმა ჩაიბურტყუნა:

– კი მაგრამ, იმ დღეს კარპ კარპოვიჩმა გამაფრთხილა...

– ფული მომეცი-მეთქი, ვერ გაიგე? – დიახ, ბატონო.

ლეომ დაუდევრად ჩაჩურთა ქაღალდის ფული საფულეში. მერე ნოქარს მიუბრუნდა და ახლა უფრო ხმადაბლა ჰკითხა:

– წუხელ ტვირთი თუ ჩამოვიდა? – ნოქარმა თავი დაუქნია, შეთქმულივით თვალიც ჩაუკრა და შინაურულად ჩაიხითხითა.

– კარგი, გეყო! – შეუწყრა ლეო.

– და ფრთხილად იყავი, იცოდე!

– რაზეა ლაპარაკი, ლევ სერგეევიჩ! ხომ იცით, რას ამბობენ ჩემზე ხალხში – მთლად სიფრთხილის განსახიერებაა. კარპ კარპოვიჩმაც იცის, რამდენად სანდოა მისი ძველი, ერთგული მსახური... აგერ უკვე რამდენი წელია მასთან ვარ!

– ისე, ხანდახან ბუზის ქაღალდიც რომ ჩამოგეკიდა, ცუდი არ იქნებოდა.

– კი, რა თქმა უნდა, უბრალოდ...

– დღეს აღარ დავბრუნდები. დროზე ადრე არ დაკეტო იცოდე, ჩვეულებრივად იმუშავე.

– დიახ ბატონო, მესმის. კარგად მენახეთ. ლეოც სიტყვის უთქმელად გამოვიდა გარეთ.

ქუჩის კუთხეში ალუბლებით გაწყობილქუდიანი ქალი ელოდებოდა. მორცხვად, ოღონდ თან რაღაც იმედიანად გაუღიმა ლეოს. ისიც წამით შეყოყმანდა, მერე თავადაც გაუღიმა და სხვა მხარეს გააგრძელა გზა. მისმა ღიმილმა ქალს წითლად შეუფაკლა ლოყებიცა და ცხვირის წვერიც იმ კოხტა ქუდის ქვეშ, თუმცა ისევ გაუნძრევლად იდგა და უცქერდა, როგორ ჩახტა ლეო ეტლში და როგორ გაეცალა იქაურობას.

ლეოს ალექსანდრეს ბაზრისკენ ეჭირა გეზი. ეტლიდან გადმოსულმა, სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა ათასნაირი ძველმანებით სავსე დახლებს და ყურადღებაც არ მიუქცევია ამ ძველმანებით მოვაჭრეების გაფაციცებული, მავედრებელი მზერისათვის. ბოლოს, ერთ პატარა ჯიხურთან შეჩერდა, სადაც ფაიფურის ლარნაკებით, მარმარილოს საათებით, ბრინჯაოს შანდლებით და მსგავსი ძვირფასი ნივთებით ვაჭრობდნენ, რომელთაც გაძარცული სასახლეებიდან ახლა აქ, ბაზრობის ამ უჟმურ ბინდ-ბუნდში გადმოენაცვლათ.

– საჩუქრად მინდა რამე, – უთხრა ლეომ მოწიწებით წელში მოხრილ გამყიდველს.

– საქორწინო საჩუქრად.

– დიახ, რა თქმა უნდა...

– მთლად პირმოთნეობად იქცა ვაჭარი.

– ალბათ, თქვენი საცოლისათვის, არა?

– არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ მეგობრისთვის. გულგრილად, ამრეზითაც კი მიჩერებოდა ამ იშვიათ, უკვე ცოტათი შელახულ და მტვერდადებულ ნაკეთობებს, რომლებიც წესით, ხავერდის ბალიშებზე დალაგებული უნდა გამოეფინათ მუზეუმებში.

– არა, უფრო უკეთესი მინდა რამე, – ბრძანებასავით გაისმა ლეოს ნათქვამი.

– დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო! – კიდევ ერთხელ მოიხარა წელში გამყიდველი.

– რამე მშვენიერი, საყვარელი მეგობრისთვის, არა?

– არა, საძულველი ადამიანისთვის, – მოუჭრა ლეომ და თითით დახლის კუთხეში მდგარი, ლურჯად და ოქროსფრად მოციმციმე ფაიფურის ლარნაკისკენ გაიშვირა.

– ეგ რა არის?

– ო-ო, ეს...

– ნოქარმა ფრთხილად გაიწვდინა ხელი ლარნაკისკენ და ასევე ფრთხილად, მოწიწებით მიაწოდა მუშტარს.

– ამ ლარნაკის ფასი იმდენად მაღალი იყო, თავად ამ უცხოურ ლაბადაში გამოწყობილ მუშტარსაც კი ვერ გაუბედავდა შეთავაზებას.

– ნამდვილი სევრის ფაიფური გახლავთ, ბატონო! – რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა ნოქარი. მერე ლარნაკს აბლაბუდა მოაშორა, ამოატრიალა და ძირზე დასმული მომცრო სავაჭრო ნიშანიც უჩვენა ლეოს.

– სამეფო ნივთია, ბატონო, – ოხვრა ამოაყოლა ნათქვამს.

– მართლა მეფური საჩუქარი!

– ამას ავიღებ, – თქვა ლეომ.

ნოქარმა ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და თავისი ყელსახვევის წვალებასაც მოჰყვა თითებით, როცა მუშტარმა ხელთათმნიანი ხელით ჯიბიდან ისე დააძრო გაძეძგილი საფულე, ლარნაკის ფასიც კი არ უკითხავს წინასწარ.

* * *

– ამხანაგებო! ახლა, სახელმწიფოს მშვიდობიანი აღმშენებლობის ამ ხანაში, პროლეტარული კულტურის მუშაკები რევოლუციის ავანგარდის სწორედაც რომ მეწინავე ხაზზე დგანან! მუშათა და გლეხთა გაერთიანებული მასების განათლების საქმე ახლა ერთ-ერთი დიდი ამოცანაა და ჩვენც, ექსკურსიამძღოლები, განმანათლებელთა მშვიდობიანი არმიის ის ნაწილი ვართ, ვინც ისტორიული მატერიალიზმის პრაქტიკული მეთოდოლოგიით ვხელმძღვანელობთ

და ამას საბჭოთა სინამდვილის სულისკვეთებას ვუსადაგებთ, რაც თავის მხრივ, მიმართულია...

– კირა მეცხრე რიგში იჯდა და მისი სკამიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამტყდარიყო. ექსკურსიამძღოლთა შეკრება დასასრულს უახლოვდებოდა. ირგვლივ ყველას დაღლილობისაგან ჩამოვარდნოდა თავი, მზერა კი შეფარულად, თუმცა იმედიანად გაურბოდათ სწორედ ორატორის თავსზემოთ დაკიდული კედლის დიდი საათებისაკენ. მაგრამ კირა თავს ძალას ატანდა, გამომსვლელის მოსმენას ცდილობდა. მის ტუჩებს არ აშორებდა თვალს, რათა არცერთი სიტყვა არ გამოპარვოდა. ის კი არა, უკმაყოფილოც კი იყო, რატომ უფრო ხმამაღლა არ ლაპარაკობსო, რადგან იმ ხმას ვერ ახშობდა, რაც მის გონებაში ჯერ ისევ გაისმოდა – ტელეფონში გაგონილ მავედრებელ სიტყვებს, რომელთა მთქმელიც ძალიან ცდილობდა, ნათქვამი ვედრებად არ აღქმულიყო: „კირა, ამ ბოლო დროს რატომ გნახულობ ასე იშვიათად?“ და ვერც საკუთარ ოთახში, ღამის სიბნელეში გაგონილ საყვედურნარევ ხმას: „რას ნიშნავს ეგ შენი სტუმრობები, კირა? გუშინ მითხარი, ირინასთან მივდივარო, მაგრამ იქ არ ყოფილხარ...“ ნეტავ კიდევ რამდენ ხანს გაუძლებდა ასეთ ყოფას? უკვე მესამე კვირა იწურებოდა, რაც ანდრეი არ ენახა.

– ირგვლივ სკამები ახრიგინდა. შეხვედრა, როგორც იქნა, დასრულდა. კირა აჩქარებული ნაბიჯით ჩადიოდა კიბეზე, და გზადაგზა თავის ნაცნობ ექსკურსიამძღოლს ესაუბრებოდა.

– ...ნამდვილად, შესანიშნავი სიტყვა თქვა. ცხადია, სწორედ ესაა ჩვენი კულტურული ვალდებულება პროლეტარიატის წინაშე, ჩვენი უპირველესი ამოცანა!

ამის თქმა კი სულაც არ გახლდათ ძნელი. ძნელი კი არა, იოლიც კი იყო მას შემდეგ, რაც ლეოს თვალი თვალში გაუყარა, გაიცინა და უთხრა: „რა საჭიროა ეს სულელური შეკითხვები, ლეო? შენ რა, ჩემი არ გჯერა?“ თან მკერდზე აიფარა ხელი, რათა ანდრეის კბილების კვალი დაეფარა...

– კირას შინ მიეჩქარებოდა. მარიშასთან, შუა ოთახში, ორი მოზრდილი ჩემოდანი და ერთი მოწნული კალათა დაუხვდა. ცარიელი უჯრებიც გამოწეული დარჩენოდათ კედლებიდან ყველა პლაკატი ჩამოეხსნათ და დაკეცილი, ახლა იმ ჩემოდნებზე დაელაგებინათ. თავად მარიშა არსად ჩანდა.

თავის ოთახში შესულ კირას მოახლე გოგო მიეგება, ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ, მოშიშინე პრიმუსს თავი ანება და კირას პალტოს გახდაში მიეხმარა.

– ლეო ჯერ არ დაბრუნებულა? – ჰკითხა კირამ.

– არა, ქალბატონო.

კირას პალტო იდაყვებზე სულ გადაცრეცოდა და კაბის მობოშებულ საყელოსაც ცხიმოვანი ლაქები ემჩნეოდა. ერთი სწრაფი მოძრაობით გადაიძრო კაბა თავსზემოთ, მოახლეს გადაუგდო, თვითონ კი თმა გაიშალა მაშინვე, საწოლზე პირაღმა დაენარცხა, ქუსლებდაბრეცილი ფეხსაცმელიც ფეხის ერთი ღონიერი გაქნევით წაიძრო და მერე უკვე დაკემსილ, ბამბის წინდებს წაეტანა გასახდელად. მოახლემ საწოლთან ჩაიმუხლა, ახლა აბრეშუმის წინდების ამოცმაში მიეხმარა ჩაქმოქნილ ფეხებზე, შემდეგ კი ლამაზი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიც მოარგო ტერფებზე. მერე წამოიმართა, ახლა მუქი ფერის შალის კაბის მორგებაშიც რომ შეეშველებინა ქალბატონისთვის ხელი. ბოლოს, ძველი პალტო და ფეხსაცმელებიც იმ კარადაში დააბინავა, სადაც ოთხი ახალი პალტო ეკიდა და ექვსი წყვილი ახალი ფეხსაცმელი ელაგა.

თუმცა, კირას მაინც არ შეეძლო სამსახურისთვის თავის დანებება, რათა საბჭოთა მუშა-მოსამსახურის სტატუსი შეენარჩუნებინა; ხოლო რაკი სამსახურს ვერ ელეოდა, ძველი სამოსის ტარებაც უწევდა. მაგიდაზე თეთრი შროშანების ულამაზესი თაიგული იდო ლარნაკში – ლეოს სულ ბოლო საჩუქარი. პრიმუსის გამო, ყვავილის თეთრ ფურცლებს ცოტაოდენი ჭვარტლი დასდებოდა. კირას მოახლე კი გაეჩინა, მაგრამ ცალკე სამზარეულო ჯერ ისევ არ ჰქონდა;.

მოახლე ყოველ დღე ხუთ-ხუთი საათით მოდიოდა და ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ პრიმუსზე ამზადებდა სადილ-ვახშამს.

მალე ლეოც დაბრუნდა შინ და თან გაზეთში გახვეული სევრული ლარნაკი მოიტანა.

– სადილი ჯერ კიდევ არაა მზად? – იკითხა მკაცრად.

– რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ: შინ რომ მოვდივარ, ეგ ოხრობა აღარ უნდა ხრჩოლავდეს-მეთქი!

– ყველაფერი მზადაა, ბატონო...

– საჩქაროდ ჩააქრო პრიმუსი მოახლემ და მთლად ბავშვურ, პირმრგვალ, მორჩილ სახეზე შიში დაეტყო.

– საჩუქარი მოიტანე? – ჰკითხა კირამ ლეოს.

– აგერაა. ოღონდ ნუ გახსნი. არ გატყდეს. ჯობია, ვისადილოთ. რა მოხდა, ცოტას თუ დავიგვიანებთ.

ნასადილევს, მოახლემ ჭურჭელი დარეცხა და წავიდა. კირა სარკესთან იჯდა, დიდი სიფრთხილით იღებავდა ტუჩებს ნამდვილი ფრანგული პომადით.

– იმედია, მაგ კაბით წამოსვლას არ აპირებ? – ჰკითხა ლეომ.

– კი... რა იყო? – არავითარ შემთხვევაში! შავი ხავერდის კაბა ჩაიცვი.

– კარგი რა! სულაც არ ვაპირებ საგანგებოდ გამოპრანჭვას. თუნდაც ვიქტორის ქორწილში. ძია ვასილის ხათრით, თორემ საერთოდ არც წამოვიდოდი.

– იცი რას გეტყვი? თუ მაინც მივდივართ, მინდა რომ საუკეთესოდ გამოიყურებოდე.

– მერე, სწორი იქნება ეგ? რა აუცილებელია ვიქტორის პარტიულ ამხანაგებს თვალში შევეჩხიროთ და დავანახოთ, ფული გასჩენიათო...

– და რატომაც არა? ხომ გვაქვს ფული? იმათაც დაინახონ! მაგ ნაგვების შიშით არც მე ვაპირებ ნაგავში ვიცხოვრო.

– კარგი, ლეო. როგორც გენებოს.

როცა კირა წინ აესვეტა, ლეომ მოწონებით შეათვალიერა ეს ერთდროულად მონაზონივით მკაცრი და გარდასულ საუკუნეთა ბანოვანივით დახვეწილი ქალი, რომელსაც შავი ხავერდის კაბის ფონზე, კიდევ უფრო თეთრად და თხლად მოუჩანდა ნატიფი მკლავები. ლეომ კმაყოფილმა ჩაიღიმა და ისეთი მოწიწებით ეამბორა ხელზე, თითქოს მართლა სასახლის კარზე იმყოფებოდნენ და კირაც ვინმე ცისფერსისხლიანი ბანოვანი ყოფილიყო.

– ლეო, საჩუქრად რა უყიდე? – ჰკითხა კირამ.

– რაღაც ლარნაკი. თუ გინდა, ნახე.

კირამ საჩუქარს ქაღალდი შემოაცალა და სახტად დარჩა: – ლეო! კი მაგრამ... ეს ხომ ძალიან ძვირი ეღირებოდა! – რა თქმა უნდა, ნამდვილი სევრის ფაიფურია.

– არა, ამას ვერ ვაჩუქებთ! ვერ დავანახებთ, რომ ჩვენ ამის ყიდვის საშუალება გვაქვს, ეს მართლა სახიფათოა...

– კარგი ერთი, ნუ სულელობ რაღაცას.

– ლეო, ცეცხლს ეთამაშები-მეთქი, გეუბნები. რაღა კომუნისტებს უნდა აუფრიალო ცხვირწინ ამისთანა საჩუქარი?

– სწორედ მაგიტომ.

– კი მაგრამ, იმათ ხომ იციან, რომ ჩვეულებრივ კერძო მოვაჭრეს ასეთი საჩუქრების ყიდვის საშუალება არ უნდა ჰქონდეს!

– მორჩი ახლა მაგ სისულელეებს.

– დააბრუნე და რამე სხვაში გადაცვალე! – არავითარ შემთხვევაში.

– მაშინ, მე არსადაც არ მოვდივარ! – კირა! – ლეო, გთხოვ! – კარგი მაშინ...

ლეო ლარნაკს დასწვდა, მოიქნია და ძირს დაანარცხა. იატაკი მაშინვე მბზინავი ნამსხვრევებით მოიფინა. კირამ შეჰკივლა, ლეომ კი ჩაიცინა:

– წავედით, რამე სხვა გზაში ვუყიდოთ. კირა ლარნაკის ნამსხვრევებს დასცქეროდა. მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ამოდენა ფული...

– არ შეგიძლია ეგ სიტყვა დაივიწყო?! სულ ფულზე ფიქრის გარეშე ცხოვრება არ გამოგდის?

– ხომ დამპირდი, ფულს გადავდებო? ხომ იცი რომ დაგვჭირდება? ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ლეო!

– სისულელეა, უამრავი დრო გვაქვს, სანამ ფულის დაზოგვას დავიწყებდეთ.

– კი მაგრამ, მართლა არ გესმის იატაკზე ასე უაზროდ მოპნეული ასობით მანეთის ფასი? არ გახსოვს, რომ თითო მანეთის საშოვნელად შენს საკუთარ ცხოვრებას დებ სასწორზე?

– რა თქმა უნდა, მახსოვს. თუ მახსოვს, ეგ მახსოვს სწორედ! მაგრამ რა ვიცი რომ მომავალი მაქვს? რისთვის გადავინახო ფული? ხომ შეიძლება, მერე საერთოდ აღარაფერში დამჭირდეს... მეყო, რაც ფულის გამო ვიკანკალე. ახლა რატომ არ შემიძლია, ვფლანგო რამდენიც მინდა, სანამ ამ ჭკუაზე ვარ?!

– კარგი ლეო, კარგი, წავიდეთ. დაგვაგვიანდება.

– წავიდეთ. ოღონდ შუბლი გახსენი. ისეთი საყვარელი ხარ, ბრაზი არ გიხდება.

* * *

დუნაევების სასადილო ოთახში, მაგიდაზე, ლარნაკში ასტრების თაიგული იდო, ჭურჭლის კარადაზე – ვარდების, ხოლო პიანინოზე – ნარგიზების. პიანინო მდგმურებისაგან ითხოვეს დროებით და მისი ბორბლების ნაკვალევი ორ წვრილ ხაზად აჩნდა იატაკს.

ვიქტორს სადა, მუქი ფერის შარვალი და პიჯაკი ეცვა და სახეზეც ერთგვარი ზომიერი ბედნიერების გამომეტყველება დასთამაშებდა. ყველას თავაზიანად უღიმოდა, თავს უკრავდა, გულითადად ართმევდა ხელს და მთელი ღირსებით იფერებდა მილოცვებს. მარიშა ალისფერი შალის კაბაში გამოწყობილიყო და მხარზე თეთრი ვარდი

დაებნია. ცოტა არ იყოს, შემცბარი ჩანდა, თუმცა ვიქტორის თითოეულ მოძრაობას მორცხვი, იჭვნეული სიამაყით ადევნებდა თვალს. სტუმრების ქათინაურებზე სახე წითლად ეფაკლებოდა, თავს ჩქარ-ჩქარა აკანტურებდა და ხელსაც ისე ართმევდა მომსვლელებს, აშკარად არ ჰქონდა წარმოდგენა, ვინ ვინ იყო და ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, თვალებით სულ ვიქტორს დაეძებდა.

სტუმრები ფეხარეულნი შედიოდნენ, მილოცვის სიტყვებს ბუტ-ბუტებდნენ და მერე ისე სხდებოდნენ, აშკარად ეტყობოდათ, უხერ-ხულად რომ გრძნობდნენ თავს. ოჯახის მეგობრები დაძაბულები იყ-ვნენ და ზედ ეტყობოდათ, რა ნაძალადევად იჩენდნენ ყურადღებასა და თავაზიანობას პარტიის წევრების მიმართ, ვისაც ცოტა არ იყოს, დამფრთხალები მიჩერებოდნენ. თავის მხრივ, ეს პარტიულებიც ვერ იქცეოდნენ მთლად ბუნებრივად ვიქტორის ოჯახის ბურჟუაზიულ ნაცნობ-მეგობრებთან ერთ ჭერქვეშ დარჩენილები – არც მათ ეტყო-ბოდათ მაინცადამაინც დიდი თავდაჯერება. არაბუნებრივად და არადამაჯერებლად გაისმოდა სტუმრების ხმამაღალი მილოცვებიც, ვინც ახლადდაოჯახებულებს ბედნიერ ცხოვრებას კი უსურვებდნენ, მაგრამ თან თვალსაც არიდებდნენ მხრებში მოხრილ, მოწყენილ, შემცბარ ვასილი ივანოვიჩსაც და თავის საუკეთესო, თუმც კი გვა-რიანად ნახმარ კაბაში გამოწყობილ ირინასაც, რომლის მიხვრა-მოხ-ვრასა და მოჩვენებით მხიარულებას აშკარა სიყალბის ელფერი დაჰ-კრავდა.

პატარა ასიას ვარდისფერი ბაფთით შეეკრა ჯიუტი თმა, ოღონდ ერთი ბღუჯა მაინც სულ ცხვირზე უვარდებოდა. შიგადაშიგ, რომე-ლიმე სტუმარს მიჩერებული, ჩაუხითხითებდა ხოლმე და თან ფრჩხი-ლების კვნეტას მოჰყვებოდა. მარიშას დაუფარავი ცნობისმოყვა-რეობით მიჩერებოდა, ხან კი მაგიდას უვლიდა გარს და ზედ დახვა-ვებულ საქორწინო საჩუქრებს ათვალიერებდა: ბრინჯაოს საათს, თავის ქალას ფორმის, ჩინური ფაიფურის საფერფლეს, ახალთახალ პრიმუსს, ლენინის თხზულებების სრულ, წითელყდიან ტომეულს...

ირინასაც სულ უმცროსი დისკენ გაურბოდა თვალი, რათა დროულად ეტაცა ხელი, თუკი ის საეჭვოდ მიუახლოვდებოდა ჭურჭლის კარადას ან ნამცხვრებიან თეფშებს.

გალინა პეტროვნა ვიქტორს დაჰყვებოდა ფეხდაფეხ, მხარზე ხელს უთათუნებდა და სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა:

– ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი ბედნიერი ვარ, ჩემო საყვარელო!

ვიქტორს თეთრად მოელვარე კბილები დაეკრიჭა და სახეზე ფართო ღიმილი შეჰყინვოდა. ამიტომ, საგანგებოდ მისთვის გაღიმებაც აღარ სჭირდებოდა; უბრალოდ, თავს უკანტურებდა, გულითადობის ნიღაბმორგებული.

როცა ვიქტორი ბოლოს მაინც დაუსხლტა ხელიდან დეიდამისს, გალინა პეტროვნამ ახლა ვასილი ივანოვიჩს დაუწყო მხარზე ხელის თათუნი და ახლა უკვე იმას უმეორებდა:

– ძალიან ბედნიერი ვარ, ვასილი! მართლა საამაყო ვაჟიშვილი გყავს...

ვასილ ივანოვიჩი კი ისეთი დაბნეული უქნევდა თავს, თითქოს ნათქვამის აზრს ვერ ხვდებაო.

როცა ოთახში კირაც შევიდა, პირველი ფანჯარასთან ეულად მდგომი ანდრეი დაინახა.

კარებშივე გახევდა. ანდრეიმ კი მზერა აუჩქარებლად გადაიტანა იმ კაცზე, რომელსაც კირასთვის ხელკავი გამოედო. ლეომ ოდნავ შესამჩნევად, ქედმაღლურად ჩაიღიმა.

კირა პირდაპირ ანდრეისკენ გაემართა. ულამაზეს შავ კაბაში გამოწყობილი, ძალიან დახვეწილი, თავდაჯერებული და მომხიბვლელი ჩანდა; ხელი გაუწოდა და ხმამაღლა წარმოთქვა:

– საღამო მშვიდობისა, ანდრეი. მიხარია თქვენი ნახვა.

კაცის მზერამ უსიტყვოდ მიახვედრა, რომ ის ყველაფერს ხვდებოდა და უთუოდ გამოიჩენდა სათანადო სიფრთხილეს, თუმცა ხელის ჩამორთმევისას, ბაგეზე მხოლოდ ალალი, უაღრესად მეგობრული ღიმილი გამოესახა.

ლეო აუჩქარებლად, სრულიად გულგრილი გამომეტყველებით მიუახლოვდა მათ; ანდრეის თავი დაუკრა და ცოტა არ იყოს, თავხედურად მომღიმარმა, მაინც თავაზიანი ხმით ჰკითხა:

– ესე იგი, თქვენც ვიქტორის მეგობარი ბრძანდებით? – ისევე როგორც თქვენ, – მიუგო ანდრეიმ.

კირა ახლა ვიქტორისა და მარიშას მისალოცად გაემართა დინჯი ნაბიჯით. გზადაგზა ნაცნობებს უღიმოდა, თავს უქნევდა, ირინას კი ორიოდე სიტყვაც დაუგდო. გრძნობდა, რომ ფანჯარასთან მდგარი ახალგაზრდა კაცი თვალს არ აშორებდა, თუმცა თვითონ მისკენ ერთხელაც არ გაუხედავს.

სტუმართაგან ბევრს გაუბა საუბარი იქამდე, ვიდრე თითქოს უნებურადო, ისევ ანდრეის გვერდით აღმოჩნდებოდა. ლეო ამ დროს ლიდიას ელაპარაკებოდა რაღაცას, ოთახის მეორე ბოლოში.

– ვიქტორი სულ მეპატიჟებოდა თავისთან...

– მღელვარედ აჩურჩულდა ანდრეი.

– დღეს პირველად დავთანხმდი მოსვლას. ვიცოდი, შენც აქ იქნებოდი და... კირა, უკვე სამი კვირაა, რაც...

– ვიცი. მაპატიე, ანდრეი. არაფრით არ შემეძლო. მერე აგიხსნი. მიხარია შენი ნახვა, ოღონდ ფრთხილად უნდა იყო.

– ფრთხილად ვიქნები. რა ლამაზი კაბა გაცვია, კირა, ახალია? – ესა? კი, დედამ მაჩუქა.

– წვეულებებზე სულ მაგასთან ერთად დადიხარ? – ლეოზე ამბობ? – ჰო.

– იმედია, არ აპირებ მიკარნახო, მეგობრებიდან რომელთან ერთად...

– კირა! – ანდრეი აშკარად გააოცა ქალის ხმის სიმტკიცემ. მობოდიშებაც კი სცადა:

– მაპატიე... რა თქმა უნდა, ეგ აზრადაც არ მომსვლია. ბოდიშს გიხდი. მშვენივრად მესმის, არავითარი უფლება არა მაქვს... ოღონდ ხომ იცი, ეგ კაცი არასოდეს მეხატებოდა გულზე.

კირას მხიარულად გაეცინა, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე. მერე ფანჯრის რაფის ჩრდილში მიდგა და თითებით ფრთხილად შეეხო ანდრეის თითებს.

– ნუ განიცდი, – ერთი ესღა ჩასჩურჩულა; მერე შემოტრიალდა, გამოეცალა, თმა უკან გადაიგდო და ერთი იმგვარი თბილი, თანამგრძნობი მზერა ესროლა, ანდრეის სუნთქვა შეეკრა, ჟრუანტელმაც კი დაუარა იმის გამო, რომ ამდენ უცხო ხალხში მოხვედრილები, საერთო საიდუმლოთი გადაჯაჭვოდნენ ერთმანეთს.

ვასილი ივანოვიჩი მარტო იჯდა კუთხეში, ოთახის სანათის ქვეშ, რომლის შუქიც ვარდისფერი ქსოვილის თალფაქის გამო, მოხუცის ჭაღარას ვარდისფრად აჩენდა. იჯდა და ოთახში მორიალე ხალხის ფეხებს შესცქეროდა, ახალგაზრდა კომუნისტების სამხედრო ყაიდის ჩექმებს; მერე თავი აწია და მზერა ახლა ჭერისკენ დაძრული, მოლურჯო, სქელი კვამლის რბილ, ტალღა-ტალღა მორიალე ქულებს მიაჩერდა, რომლის მიღმაც უცებ ლიდიას ოქროს ჯვარს მოჰკრა თვალი, შავი ხავერდის წვრილი ზონრით რომ ეკიდა ყელზე.

კირა ვასილი ივანოვიჩს მიუახლოვდა და უსიტყვოდ ჩამოუჯდა გვერდით. კაცმა ხელზე მოუთათუნა ხელი, ოღონდ არც მას უთქვამს რამე; ისედაც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ის თავადაც ხვდებოდა ყველაფერს. როდის-როდის დაარღვია სიჩუმე, თითქოს უკვე ხმამაღლა გააგრძელა ამდენი ხნის ნაფიქრალიო:

– ...რომ უყვარდეს, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ რომ არ უყვარს? იცი კირა, პატარა ბიჭი რომ იყო და დიდი, შავი თვალები ჰქონდა, ხშირად ვუცქერდი ხოლმე ჩემს მუშტრებს – იმ მართლა დედოფლებივით ღირსეულ ქალბატონებს და ჩემთვის ვფიქრობდი, ნეტა რომელი მათგანია იმ პატარა ანგელოზის დედა, ახლა სადღაც რომ იზრდება, ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემს კიდევ ერთ ქალიშვილად შემოაბიჯებს ჩვენს ოჯახში-მეთქი... მარიშას მშობლებს იცნობ, კირა?

გალინა პეტროვნას ლეო მიემწყვდია კუთხეში და მღელვარედ

მიმართავდა:

– ...ძალიან მიხარია შენი წარმატება, ლეო! სულ იმას გავიძახოდი, შენნაირ შესანიშნავ ახალგაზრდას არანაირი საწუხარი არ უნდა ჰქონდეს-მეთქი... კირას კაბა მართლა ზღაპრულია! ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, როგორ ზრუნავ ჩემ პატარა გოგოზე.

ვიქტორი იმ სავარძლის სახელურზე იჯდა, რომელშიც ჟღალთმიანი რიტა ექსლერი მოკალათებულიყო. გოგოსკენ დაიხარა და თითებშორის მომწყვდეული სიგარეტიდან მოკიდებაში მიეხმარა. რიტა ცოტა ხნის წინ გაცილებოდა მესამე ქმარს; წითურ, შუბლზე ჩამოშლილი თმის ქვეშ თვალები ეშმაკურად მოჭუტა და ვიქტორს რაღაც ძალზე კონფიდენციალური რჩევა ჩასჩურჩულა ყურში. ორივეს ხმადაბლა გაეცინა.

მარიშაც გაუბედავად მიუახლოვდა მათ და არცთუ მთლად დამაჯერებელი პრანჭიობით, ხელზე წაეტანა ვიქტორს. იმან ხელი საჩქაროდ უკან წაიღო და გაღიზიანებულმა შენიშნა:

– სტუმრებს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, მარიშა... ხედავ, ამხანაგი სონია სულ მარტოა, მიდი და დაელაპარაკე!

მარიშა უსიტყვოდ დაემორჩილა, სონიასკენ გაემართა. სიგარეტის ბოლისაგან თვალმოჭუტულმა რიტამ კი მზერა გააყოლა; მერე მოკლე ქვედაკაბა კიდევ უფრო ზემოთ აიწია და გრძელი, თხელი ფეხები გადააჯვარედინა.

– მართალი გითხრა, ამხანაგო ლავროვა, – უმაღლესი მსაჯულის შეუვალი თავდაჯერებით მიახალა ამხანაგმა სონიამ მარიშას.

– არჩევანს ვერ მოგიწონებ. ნამდვილმა პროლეტარმა სხვა კლასის წარმომადგენელთან ერთად არ უნდა შექმნას ოჯახი.

– კი მაგრამ, ამხანაგო სონია! – გაიბრძოლა გაკვირვებულმა მარიშამ.

– ვიქტორი ხომ პარტიის წევრია?!

– სულ იმას გავიძახი, პარტიაში მიღების წესი გასამკაცრებელია-მეთქი...

– მიუგო პასუხად ამხანაგმა სონიამ.

საგონებელში ჩავარდნილი მარიშა უხალისოდ მიდი-მოდიოდა სტუმრებს შორის. მას ზედ არავინ უყურებდა და არც თვითონ ჰქონდა ვინმესთვის რამე სათქმელი. ჭურჭლის კარადის გვერდით, მარტოდმარტო მდგარ ვასილი ივანოვიჩს მოჰკრა თვალი, რომელიც ერთ რიგად ამწკრივებდა ბოთლებსა და ჭიქებს. მარიშა მასათან მივიდა და მორცხვად გაუღიმა. კაცმა გაოცებულმა შეხედა.

მარიშამ გამბედაობა მოიკრიბა და ერთიანად სახეაჭარხლებულმა პირდაპირ, სწრაფ-სწრაფად მიახალა:

– ვიცი, არ მოგწონვართ, ვასილ ივანოვიჩ, მაგრამ ხომ ხედავთ... ხომ ხედავთ როგორ მიყვარს თქვენი შვილი...

ვასილი ივანოვიჩმა მზერა შეავლო და მერე სრულიად არაფრისმთქმელი ხმით მიუგო:

– ეგ ძალიან კარგი, შვილო.

მარიშას ოჯახის წევრები – მოღუშულები, მოწყენილები, ოთახის ბნელ კუთხეში მიმსხდარიყვნენ და აშკარად უხერხულად გრძნობდნენ თავს. მამამისს, მხრებში მოხრილ ჭაღარა კაცს, მუშის ხალათი და დაკერებული შარვალი ეცვა; ნაჯაფარი ხელები მუხლებზე დაეკრიფა.

სახის მკაცრი, უხიაგი გამომეტყველებით მიჩერებოდა ოთახში მყოფთ და მის გაფაციცებულ მზერას თითქოს არაფერი ეპარებოდა – მობერებულ სახეზე თვალები ახალგაზრდული ჟინით უბრწყინავდა. მარიშას დედა უფრო გაუბედავად იცქირებოდა ქმრის ზურგსუკნიდან: უბრალო, ყვავილებიანი კაბა ეცვა და სრულიად უფორმო სხეული მოუჩანდა; სახეზე ზუსტად ისეთი, მუქი რუხი ფერი ედო, მრავალი წვიმით დამბალ-გადარეცხილი სანაპიროს ქვიშა რომ იძენს დროთა განმავლობაში. მარიშას უმცროსი ძმა – ასე, რვა წლის აწოწილი ბიჭი, დედის კაბის კალთას ჩაფრენოდა და შიგადაშიგ, იჭვნეული, ავი მზერით გახედავდა ხოლმე პატარა ასიას.

ვიქტორი პაველ სეროვსა და კიდევ სამ, ტყავისქურთუკიან მამაკაცს მიუახლოვდა. ერთი ხელი სეროს გადახვია, მეორე კი მათი პარტიული უჯრედის მდივანს. თვალები ხალისიანად უბრწყინავდა და მთელი თავისი გარეგნობით, უშუალობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა. როცა ამ ჯგუფთან ამხანაგი სონიაც მივიდა, ვიქტორის ჩურჩულს მოჰკრა ყური:

– ...დიახ, ნამდვილად ვამაყობ ჩემი ცოლის ოჯახით და ამ ხალხის რევოლუციური წარსულით! იცით, მეფის დროს მამამისი ციმბირში გადაასახლეს...

– ამხანაგი დუნაევი შორსმჭვრეტელი კაცია, – შენიშნა ამხანაგმა სონიამ. მისი ნათქვამის კილო არც ვიქტორს მოეწონა და არც პაველ სეროვს, რომელიც შეეკამათასავით:

– ვიქტორი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკია, სონია.

– მეც, მხოლოდ ის ვთქვი, ძალიან გამჭრიახია-მეთქი, – გაიმეორა სონიამ და დაამატა:

– მისი კლასობრივი ერთგულება სულაც არ გამიხდია საკამათოდ. დარწმუნებული ვარ, პირადად მას არაფერი აქვს საერთო იმგვარ ცისფერსისხლიან ვაჟბატონებთან, როგორიც აგერ, ის მოქალაქე კოვალენსკი ბრძანდება.

პაველ სეროვი მაშინვე რიტა ექსლერის სავარძელთან წახრილ ლეოს მიაჩერდა:

– მითხარი ერთი, ეგ კაცი ნამდვილად ლევ კოვალენსკია? – ჰკითხა ვიქტორს.

– დიახ, ლეო კოვალენსკი. ჩემი დეიდაშვილის ძალიან ახლო მეგობარია. რატომ მეკითხები, მოხდა რამე?

– არა, არაფერი. რა უნდა მომხდარიყო...

ლეომ ფანჯრის რაფაზე გვერდიგვერდ ჩამომსხდარ კირასა და ანდრეის ჰკიდა თვალი. მაშინვე მოუბოდიშა რიტას, რომელმაც გაღიზიანებულმა აიჩეჩა მხრები და ნელი ნაბიჯით, მათკენ გაემართა.

– ხელს ხომ არ შეგიშლით? – ჰკითხა რაფაზე მსხდომთ.

– სულაც არა, – მიუგო კირამ.

ლეოც მათ გვერდით მოკალათდა. მოოქროვილი პორტსიგარი ამოიღო და ერთი ღერი სიგარეტი კირასაც შესთავაზა. იმან უარის ნიშნად თავი გააქნია და მაშინ უკვე ანდრეის გაუწვდინა პორტსიგარი. იმასაც უარი არ უთქვამს, მერე ლეო გადაიხარა და სანთებელაც აუნთო მოსაკიდებლად.

– სოციოლოგია თქვენ პარტიაში ყველაზე დაფასებული მეცნიერება მგონია, – თქვა ლეომ.

– ეს ქორწილი გამორჩეულად ნიშანდობლივ მოვლენად არ მიგაჩნიათ, ამხანაგო ტაგანოვ?

– ასე რატომ ფიქრობთ, მოქალაქე კოვალენსკი?

– მოცემული მაგალითი მშვენივრად ასახავს ადამიანის ბუნების უცვლელობას: შორს გამიზნული ქორწინება კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ჩვეულებაა და მმართველი კლასის წევრთან დაოჯახებაც მუდამ მიზანშეწონილად ითვლებოდა.

– არ დაივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში ცოლიცა და ქმარიც ერთი და იმავე სოციალურ კლასს მიეკუთვნებიან.

– სისულელეა ეგ ყველაფერი! – წამოიძახა კირამ.

– უბრალოდ, ერთმანეთი უყვართ.

– სიყვარული, – შენიშნა ლეომ.

– ამხანაგ ტაგანოვის პარტიის ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს ნამდვილად არ წარმოადგენს, ასე არაა?

– ეს საკითხი თქვენ არანაირად არ უნდა გაღელვებდეთ, – მიუგო ანდრეიმ.

– ვითომ რატომ? – გაიკვირვა ლეომ და თანამოსაუბრეს მიაჩერდა.

– ახლა სწორედ ამის გარკვევას ვცდილობ.

– გამოსცრა კბილებში.

– ეს იმიტომ, რომ ხსენებული საკითხი თქვენსავე თეორიასთან მოდის წინააღმდეგობაში?

– სულაც არა! პირიქით, მე მგონი, სწორედ ჩემს თეორიას ამყარებს: ჩემი თეორიის თანახმად, თქვენი პარტიის წევრებს სქესობრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მუდამ საკუთარი კლასის გარეთ გაურბით თვალი.

– ჯიქურ მიჩერებოდა ანდრეის, თუმცა თითებშორის მოქცეული სიგარეტი მსუბუქად გაიქნია მარიშასაკენ.

– როცა მართლა ხდება ასე, – მშვიდად წარმოთქვა ანდრეიმ.

– ამგვარი ქორწინება არცთუ იშვიათად გამოდგება ხოლმე იღბლიანი.

– თქვა და კირას გახედა, ოღონდ ხელი მანაც სხვისკენ, კერძოდ კი ვიქტორისკენ გაიშვირა.

– მარიშა მართლა ბედნიერი ჩანს, – თქვა კირამ.

– შენ ეს რატომ გაღიზიანებს, ლეო?

– მე...

– წამოიწყო ლეომ.

– იმ მეგობრების ქედმაღალი თავდაჯერება მაღიზიანებს...

– ...რომლებმაც არ იციან, სად გადის მეგობრობის ზღვარი...

– მის მაგივრად დააბოლოვა სათქმელი ანდრეიმ.

– ანდრეი, – უთხრა კირამ.

– ამ შემთხვევაში, ჩვენ მარიშას მიმართ სრულიად უსამართლოდ ვიქცევით.

– ბოდიშს ვიხდი, – უცებვე მიახალა ანდრეიმ.

– დარწმუნებული ვარ, მოქალაქე კოვალენსკი სწორად მიმიხვდა სათქმელს.

– დიახ, რა თქმა უნდა, – კვერი დაუკრა ლეომ.

ირინამ ლანგრებზე ჩამოალაგა ჭიქები, ვასილი ივანოვიჩმა კი სასმელი ჩამოასხა. მერე ირინამ ლანგარი სტუმრებს შორის ჩამოატარა, თან ნაძალადევად იღიმებოდა და ცდილობდა, სახეში არავისთვის შეეხედა, მხოლოდ იმათ ხელებს მიჩერებოდა. ასე ყალბად მომღიმარი, ხმასაც არ იღებდა, რაც მისგან სრულიად მოულოდნელი

გახლდათ.

ლანგრები თვალის დახამხამებაში მოსუფთავდა; ჭიქებმომარ-ჯვებულ სტუმრებსაც მოუთმენლობა დაეტყოთ. ვიქტორი სკამიდან წამოდგა, შუა ოთახში გამოვიდა და ყველა უცებვე გაყუჩდა.

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო, – გაისმა მისი მჟღერი, სიამაყით გაჯერებული ხმა.

– სიტყვები არ მყოფნის იმ უდიდესი მადლიერების გამოსახატ-ავად, რაც თქვენმა ყურადღებამ განმაცდევინა ჩემთვის ესოდენ გა-მორჩეულ დღეს. მოდით, ყველამ ერთად ვადღეგრძელოთ ჩემთვის უძვირფასესი პიროვნება – არა როგორც ნათესავი, არამედ როგორც სიმბოლო და მაგალითი ახალგაზრდა რევოლუციონერებისათვის, ვინც ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს პროლეტარიატის დიადი საქ-მის სამსახურში. მინდა ვადღეგრძელოთ ადამიანი, რომელმაც სი-ცოცხლე მიუძღვნა ამ საქმეს, რომელმაც წარბი არ შეიხარა მეფის ტირანიის შიშით, ვინც ცხოვრების საუკეთესო წლები გადასახლება-ში გაატარა ციმბირის სუსხსა და ყინვაში, რათა თავისი წვლილი შე-ეტანა ადამიანთა გათავისუფლებისათვის ბრძოლაში! და რამდენა-დაც ეს ბრძოლა თვითოეული ჩვენთაგანისათვის უპირველესი მიზა-ნია, შეუდარებლად უფრო დიადი, ვიდრე ცალკეული ჩვენგანის პი-რადი ბედნიერება, მოდით ეს პირველი ჭიქა მუშათა და გლეხთა სა-ბოლოო გამარჯვებისათვის ერთ-ერთი უპირველესი მებრძოლის, ჩემი უსაყვარლესი სიმამრის, გლებ ილიჩ ლავროვის საპატივცემუ-ლოდ ავწიოთ!

ატყდა დიდი ტაშისცემა, ჭიქების მიჭახუნება და ხმამაღალი შე-ძახილები. ყველამ იმ კუთხეს მიაპყრო მზერა, სადაც მარიშას მხრებ-ში მოხრილი, კოპებშეკრული მამა ნელ-ნელა წამოიმართა სკამიდან. ხელში იმასაც ჭიქა ეჭირა, ოღონდ დანარჩენებისაგან განსხვავებით, არ იღიმებოდა. იმ თავისი ნაჯაფარი ხელის აწევით ითხოვა სიჩუმე და მერე მოზომილი, მტკიცე ხმით ალაპარაკდა:

– აბა ერთი ყური დამიგდეთ, ყვინჩილებო! მე მართლა ოთხი წელი გავატარე ციმბირში. ეგ იმიტომ, რომ ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა მეფის უღელქვეშ შიშველ-ტიტველი, მშიერი ხალხი... მე მათი თავისუფლებისათვის ავიმაღლე ხმა, თუმცა უღელქვეშ მოქცეულ, მშიერ და ჩამოკონკილ ადამიანებს დღესაც ვხედავ ჩემს ირგვლივ. ერთი ეგაა, რომ ახლა ეგ უღელი წითელი ფერისაა. მე ციმბირში იმისთვის არ მიწვალია, ჭკუიდან გადასული, ძალაუფლებით მთვრალი, სისხლით გაუმაძღარი ხროვა მომეყვანა ქვეყნის სათავეში, რომელიც ისე ამცირებს ადამიანებს, როგორც ჯერ არავის დაუმცირებია, რომელსაც იმაზე ბევრად ნაკლებად ესმის თუ რას ნიშნავს თავისუფლება, ვიდრე რომელიმე მეფეს ესმოდა ისტორიის მანძილზე! მიდით, დალიეთ რამდენიც გინდათ, იქამდე სვით, ვიდრე სინდისის უკანასკნელ მონარჩენებსაც არ ჩაიხრჩობთ მაგ თქვენ გამოლაყებულ ტვინში... სვით, რისი სადღეგრძელოც გინდათ, მაგრამ როცა საბჭოეთის სადღეგრძელებლად აწევთ ჭიქას, იქ ჩემი ხსენებაც არ გაბედოთ!

სამარისებურ სიჩუმეში უცებ, მამაკაცის სიცილი გაისმა – ხმამაღალი, მჭექარე, გაბმული სიცილი. ეს ანდრეი ტაგანოვი იცინოდა ასე.

პაველ სეროვი წამოხტა, ვიქტორს ხელი გადახვია, ჭიქა ჰაერში შეათამაშა და იყვირა:

– ამხანაგებო! მოღალატეები მუშათა რიგებშიც კი არიან... მოდით, ჩვენ ბოლომდე ერთგულთა სადღეგრძელო შევსვათ!

ატყდა ერთი ღრიანცელი, ისევ ყველა ერთად ალაპარაკდა, ისევ დაიწყეს ჭიქების მიჭახუნება, თან ერთმანეთს მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს და სიტყვის თქმასაც არ აცლიდნენ. ლავროვისაკენ გახედვითაც კი აღარავის გაუხედავს. მხოლოდ ვასილი ივანოვიჩი მიუახლოვდა ნელი ნაბიჯით, წინ გაუჩერდა და თვალი თვალში გაუყარა. არც ლავროვს აურიდებია მისთვის მზერა. ვასილი ივანოვიჩმა ჭიქიანი ხელი წინ გაიწვდინა და უთხრა:

– მოდით, ჩვენი შვილების ბედნიერების სადღეგრძელო დავლიოთ. თუმცა, ჩემი არ იყოს, არც თქვენ ფიქრობთ რომ ისინი ბედნიერები იქნებიან...

ორივემ უხმოდ გადაკრა სასმელი.

– სწორედ ამ დროს, ოთახის მეორე ბოლოში ვიქტორი მაჯაში წასწვდა მარიშას, გვერდით გაიყვანა, გადაფითრებული ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩაუსისინა:

– შე გამოშტერებულო! მამაშენზე არ უნდა გაგეფრთხილებინე?! მარიშას თვალები ცრემლით აევსო და საწყალობლად ალუღლუღდა: – მეშინოდა... ხომ ვიცოდი რომ გაბრაზდებოდი, საყვარელო! გეხვეწები, ძალიან გთხოვ, არ...

– მოკეტე! – მერე და მერე, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაილია. ვიქტორს ბლომად სასმელი მოემარაგებინა, პაველ სეროვი კი დიდი ხალისით ეხმარებოდა და ბოთლს ბოთლზე ხსნიდა. თვალის დახამხამებაში, მისაყოლებელიც შესანსლა. ჭუჭყიანი თეფშები ზვინებად იდგა მაგიდებზე. გატყდა რამდენიმე ჭიქა, სიგარეტის ბოლი კი უძრავ, ლურჯ ღრუბელივით ეკიდა ჭერქვეშ.

მარიშას ოჯახის წევრები მალევე წავიდნენ. რულმორეული გალინა პეტროვნა ძილს ებრძოდა და ამაოდ ცდილობდა, თავი მკერდზე არ ჩამოვარდნოდა. სავარძლის სახელურზე თავდადებული ალექსანდრ დიმიტრიევიჩი მშვიდად ფშვინავდა. პატარა ასიას დერეფანში, ჩემოდანზე მიწოლილს დაძინებოდა, მთელი სახე შოკოლადით ჰქონდა მოთხვრილი. ირინა ოთახის კუთხეში იჯდა და გულგრილად მიჩერებოდა მთვრალ სტუმრებს. ამხანაგი სონია ვარდისფერთალფაქიანი სანათურის ქვეშ ჩამუხლულიყო და გაზეთს კითხულობდა. ვიქტორი და პაველ სეროვი ჭურჭლის კარადასთან შეგროვილი ჯგუფის შუაგულში იდგნენ, ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდნენ ხშირ-ხშირად და ხმაარეულები, რევოლუციურ სიმღერებს დასძახოდნენ. მარიშა უაზროდ დაბორიალობდა აქეთ-იქით; ნამტირალევს, ცხვირის წვერი უბზინავდა, მხარზე დაბნეული თეთრი ვარდი

კი მთლად ჩამოჭკნობოდა.

ლიდიამ პიანინოსკენ დააპირა თავი, გზად მარიშას წელზე შემოხვია ხელი და მოწყენილი ხმით გადაულაპარაკა:

– მაინც კარგია, ძალიან კარგი...

– რაზე ამბობ? – გაიკვირვა მარიშამ.

– რაზე და სიყვარულზე, – მიუგო ლიდიამ.

– არაფერი სჯობია, როცა გიყვარს... არადა, როგორი იშვიათი გახდა ეს გრძნობა! მხოლოდ ერთეულებიღა დარჩნენ, რჩეულები, ვისაც სიყვარულის ნიჭი ჯერ კიდევ შერჩენია! ჩვენ კი, უმეტესობა, უსიყვარულოდ დავბორიალობთ ამ უაზრო სინამდვილეში... სადღაა ამაღლებული გრძნობები! როდისმე გიფიქრია, რომ წარსულს ჩაბარდა ეს ყველაფერი?

– ძალიან ცუდი, თუ ეგრეა...

– თქვა მარიშამ.

– კი, საწყენია...

– ამოიოხრა ლიდიამ.

– სწორედაც რომ საწყენი. შენ ძალიან იღბლიანი გოგო გამოდექი... მაგრამ თავისთავად, ნამდვილად საწყენია. რამე ლამაზი მინდა დაგიკრა, მარიშა – რაიმე ლამაზი და სევდიანი...

გაუბედავად გადაატარა თითები კლავიშებზე, მერე კი ბოშური რომანსის დაკვრა დაიწყო. ხან სწრაფად, გამალებით სცემდა თითებს კლავიშებზე, ხან გაბმულ, სევდიან აკორდებს აჟღერებდა, ხან კი ყალბ ნოტასაც გამოურევდა, რაზეც თვითონვე დანანებით გადაქნევდა ხოლმე თავს.

– წამო, წავიდეთ. სახლამდე მე მიგაცილებ, – გადაუჩურჩულა ანდრეიმ კირას.

– არ შემიძლია, ანდრეი! მე ხომ...

– ვიცი, იმასთან ერთად მოხვედი. ოღონდ არა მგონია, იმას ახლა შენი გაცილება შეეძლოს.

– უთხრა და ოთახის მეორე ბოლოში, სავარძელში მჯდომი ლეოსკენ გაახედა. იმას თავი უკან გადაეგდო, ცალი ხელი რიტასთვის შემოეხვია წელზე, მეორე კი ვიღაც მომხიბლავი „ქერა გოგოსთვის გადაედო მხარზე, რომელსაც თან ეტყობა, რაღაც ძალიან სასაცილოს ეჩურჩულებოდა. რიტასაც ლეოს მხარზე მიედო თავი, ხელით კი მის აჩეჩილ თმას ეფერებოდა.

კირა უსიტყვოდ წამოდგა, ანდრეი იქვე დატოვა და ლეოსკენ გაემართა. წინ აესვეტა, მშვიდად, წყნარი ხმით მიმართა:

– ლეო, ჯობია წავიდეთ.

– თავი გამანებე! მოშორდი აქედან...

– ზანტად აუქნია ხელი ლეომ.

კირამ უცებ იგრძნო, რომ ანდრეიც ამოსდგომოდა გვერდით.

– სიტყვები შეარჩიეთ, კოვალენსკი, – უთხრა ანდრეიმ ლეოს. იმან ქალები მოიშორა და იატაკს ჩაჩერებულმა, ერთი დამცინავად ჩაიქირქილა. მერე კოპები შეიკრა, ხელი კირასკენ გაიშვირა და თქვა:

– გირჩევნია, ამისაგან შორს გეჭიროს თავი. საათებს და რაღაც სხვა საჩუქრებსაც ნუღარ უგზავნი. არ მომწონს ეგ ამბავი.

– კი მაგრამ, თქვენ ვინ გეკითხებათ, მოგწონთ თუ არ მოგწონთ? ლეო წამოიმართა, შეტორტმანდა და ავბედითად ჩაიღიმა: – ვინ მეკითხება? ეხლა აგიხსნი, ვინც მეკითხება... მე შენ...

– ლეო! – სიტყვის დაბოლოება არ დააცალა კირამ. თვალი თვალში გაუყარა და მკაცრი, მომთხოვნი ხმით უთხრა:

– ხალხი გიყურებს... მაინც, რა გინდა რომ თქვა? – არაფერი, – ჩაიბურდღუნა ლეომ.

– ნასვამი რომ არ იყოთ...

– წამოიწყო ანდრეიმ.

– და რას იზამდი? შენ თვითონ კი ფხიზელს გავხარ, თუმცა არც ისე, სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაიგდო თავი... იმ ქალს ეტორღიალები, ვისთან მიახლოების უფლებაც კი არა გაქვს.

– ახლა მომისმინე...

– ჯობია მართლა მოუსმინო, ლეო! – ისევ ჩაერია კირა.

– ანდრეის შენთვის რაღაცის თქმა უნდა და მაინცადამაინც ახლა.

– რაო, ამხანაგო გპუ? – არაფერი, – ჩაილაპარაკა ანდრეიმ.

– მაშინ მაგ გოგოსაც შეეშვი.

– იქამდე არა, სანამ ცოტა გონს არ მოხვალთ.

– შენ რა, ჩემგან იცავ მაგას? – სიცილი აუტყდა ლეოს, ოღონდ ეს სიცილი სილის გარტყმაზე უფრო შეურაცხმყოფელი გახლდათ.

– წავიდეთ კირა, მე გაგაცილებ, – თქვა ანდრეიმ.

– კარგი, წავიდეთ, – დაეთანხმა კირაც.

– ვერსადაც ვერ წაიყვან! – იღრიალა უცებ ლეომ.

– შენ რა...

– წაიყვანს, – ახლა მოულოდნელად მათ შორის ჩამდგარმა ირინამ გააწყვეტინა სიტყვა ლეოს. ლეო გაოგნებული მიაჩერდა. უჩვეულო ძალამოცემულმა ირინამ კი ის ადგილზევე შემოაბრუნა და ფანჯრისკენ უბიძგა, თან ანდრეის ანიშნა, დროზე გაეცალეთ აქაურობასო. ანდრეიმ კირას ხელკავი გამოსდო და ოთახიდან გაიყვანა. კირაც უსიტყვოდ, მორჩილად მიჰყვა.

– შენ რა, გაგიჟდი?! – ჩურჩულით შეუწყრა ლეოს ირინა.

– მაინც რა გინდა, რას აპირებ? ყველას გასაგონად ღრიალებ, ეს ქალი ჩემი საყვარელიაო?

ლეომ მხრები აიჩეჩა და უდარდელად ჩაიცინა:

– კარგი ბატონო, ნებისმიერს გაჰყვეს, ვისაც გაეხარდება. თუ ჰგონია რომ ვიეჭვიანებ, ძალიან ცდება.

კირა უკან თავგადაგდებული, თვალდახუჭული იჯდა ეტლში და ხმას არ იღებდა.

– კირა, – ჩურჩულით მიმართა ანდრეიმ.

– ეგ კაცი შენი მეგობარი არ არის. აღარ უნდა შეხვდე მაგას.

კირას არაფერი უპასუხია. უკვე ბაღიან სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, ანდრეიმ ჰკითხა: – ძალიან დაღლილი ხარ? იქნებ ცოტა

ხნით ჩემთან შევსულიყავით.

– არა, არ დავღლილვარ. შევიდეთ.

– კირას სრულიად გულგრილი ხმა ჰქონდა.

* * *

შინ რომ დაბრუნდა, ლეო ტანზე გაუხდელად იწვა საწოლზე და ერთი შეხედვით, ღრმა ძილით ეძინა. თუმცა კირას ფეხის ხმის გაგონებაზე, თავი წამოწია და გამოხედა.

– სად იყავი, კირა? – ჰკითხა მისუსტებული, გაპარული ხმით.

– რა ვიცი, ვსეირნობდი, – მიუგო კირამ.

– მეგონა, წახვედი... სამუდამოდ. მაინც რა გითხარი ამ საღამოს?

– არაფერი ისეთი, – ჩურჩულით უპასუხა კირამ და საწოლთან ჩაიმუხლა.

– უნდა მიგეტოვებინე, კირა... ნეტა მიგეტოვებინე. მაგრამ შენ ამას არ იზამ. არ მიმატოვებ, კირა. ხომ არ მიმატოვებ?

– არა, – ისევ ისე ჩურჩულით მიუგო კირამ.

– ოღონდ იქნებ იმ შენს საქმეს შეეშვა, ლეო?

– ვერა, უკვე გვიანია. ოღონდ სანამ ხელს მტაცებენ, მანამდე შენ ხომ მეყოლები, კირა? მიყვარხარ... და შენც ჯერ ისევ ჩემთან ხარ...

– კი, კი...

– კირამ ლეოს მიტკალივით გადათეთრებული სახე შავი ხავერდის კაბაზე მიიხუტა.

VI

– ამხანაგებო! საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მტრის ალყაშია მოქცეული, რომელიც მის დამხობას გეგმავს და ელის, თუმცა ვერანაირი გარეშე მტერი, მსოფლიო იმპერიალიზმის ვერანაირი მუხანათობა ვერ იქნება ჩვენთვის ისევე სახიფათო, რო-

გორც ჩვენსავე რიგებში ჩანერგილი, შიდა მტერი! – საგულდაგულოდ ჩარაზული, მაღალი, გისოსებიანი ფანჯრებიდან შემოდგომის ცის რუხი სიცარიელე მოჩანდა. ღია-ოქროსფერი მარმარილოს სვეტები დარბაზის მრუმე თაღებამდე უწევდა. ხატივით პირქუში ხუთი პორტრეტიდან ხუთი ლენინი დასცქეროდა ტყავის ქურთუკიანი და თავზე წითელ ხილაბანდწაკრული, გარინდებული ხალხის თავყრილობას. დარბაზის ერთ ბოლოში ჩირაღდნის ტარივით მოჩანდა მაღალი, აწოწილი ტრიბუნა, რომელსაც ამავე ჩირაღდნის ალივით დანათოდა ზემოდან წითელი ხავერდის დროშა, ზედ ოქროსფერი ასოებით გამოყვანილი წარწერით: „სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია მთელ მსოფლიოში თავისუფლებისათვის ბრძოლის წინამძღოლია! " ადრე ეს დარბაზი, სასახლის ნაწილს წარმოადგენდა, დღეს კი ის უფრო მეტად ტაძარს წააგავდა; შიგ შეკრებილი ხალხი კი – იმ ჯარს, რომელიც დაძაბული, გაფაციცებული მოელის სარდლის თითოეულ ბრძანებას. მოკლედ, პარტიული შეკრება სრული სვლით აგრძელებდა მუშაობას.

ტრიბუნაზე ორატორი იდგა. მას შავი, მოკლე წვერი ჰქონდა, ცხვირზე კი შუშებბრჭყვიალა პენსნე დაეკოსებინა. ხშირ-ხშირად იქნევდა ჰაერში გრძელ, ერთობ მოკლემტევნებიან ხელებს. დარბაზში არავინ და არაფერი ირხეოდა, მხოლოდ ფანჯრის შუშებს მოუყვებოდა დუნედ წვიმის წვეთები.

– ამხანაგებო! ბოლო წლის განმავლობაში, ჩვენ შორის სულ უფრო და უფრო იზრდება ერთი ახალი, ძალიან ვერაგი საფრთხე: მე მას ზედმეტ იდეალიზმს დავარქმევდი. ყველას გვსმენია, თუ რა ბრალდებებს გვიყენებენ მისი გონებაარეული მიმდევრები – ყელის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, კომუნიზმმა მარცხი განიცადა, ახალმა ხელისუფლებამ საკუთარ პრინციპებს უღალატა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებით, კომუნისტურმა პარტიამაც უკან დაიხია, წინააღმდეგობა ვერ გაუწია პიროვნული გამდიდრების იმ ახალ

ფორმას, რომელიც ახლა საყოველთაოდ ბატონობს მთელ ქვეყანა-შიო. ისინი იმასაც გაიძახიან, თითქოს ჩვენ ძალაუფლებას თვითმიზ-ნურად, ისევ ძალაუფლებისათვის ვინარჩუნებთ მხოლოდ, საკუთარ იდეალებს კი მივიწყების მტვერი მივაყარეთ! სწორედ ესღა დარჩათ სათქმელი იმ ლაჩრებსა და უხერხემლოებს, ვისაც სინამდვილისათ-ვის თვალის გასწორება შიშის ზარს სცემს. დიახ, ჩვენ მართლაც იძუ-ლებულნი გავხდით უარი გვეთქვა სამხედრო კომუნიზმის იმ პოლი-ტიკაზე, რომლის შედეგადაც ქვეყანა შიმშილით სიკვდილის ზღვარ-ზე აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, გარკვეულ დათმობებზე წასვლაც მოგ-ვიწია კერძო მეწარმეთა წინაშე – მერედა რა? უკან დახევა დამარ-ცხებას როდი ნიშნავს და არც დროებითი დათმობაა საბოლოო და-ნებება. ჩვენ უცხო ქვეყნების უხერხემლო, უნიათო, სისხლდაწრე-ტილმა სოციალისტებმაც გვიღალატეს, რომლებიც თავიანთ ბურ-ჟუა-ბატონებს მიეყიდნენ და მუშათა მასების ბედს საკუთარი კე-თილდღეობა ანაცვალეს! მსოფლიო რევოლუცია, რასაც მთელ მსოფლიოში კომუნიზმის დამკვიდრება უნდა მოჰყოლოდა, დრო-ებით შეყოვნდა და შესაბამისად, ჩვენც ჯერ-ჯერობით, გარკვეულ დათმობებზე წასვლა გვიწევს. ახლა იძულებულნი ვართ უარი ვთქვათ საყოველთაო კომუნიზმის შესახებ ჩვენს თეორიებზე და მი-წაზე დავეშვათ, შედარებით პროზაულ საქმიანობას მივყოთ ხელი – ქვეყნის ეკონომიკურ აღმშენებლობას დავუბრუნდეთ. ზოგიერთებს შეიძლება ეს დუნე, მოსაწყენი, ერთფეროვანი პროცესი ჰგონიათ, თუმცა ერთგულმა კომუნისტებმა მშვენივრად იციან ახალი ეკონო-მიკური კურსის ისტორიული მნიშვნელობა. ერთგულმა კომუნის-ტებმა ისიც იციან, თუ რა რევოლუციური დატვირთვა ენიჭება დღე-ვანდელ დღეს სასურსათო ბარათებსაც, პრიმუსებსაც, და რიგებსაც კოოპერატიული მაღაზიების წინ. ჩვენი დიდი ბელადი, ამხანაგი ლე-ნინი, მისთვის ჩვეული შორსმჭვრეტელობით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გვაფრთხილებდა ზედმეტი იდეალიზმის იმ საფრთხის თა-

ობაზე, რამაც ამჟამად ზოგიერთი ჩვენი საუკეთესო წარმომადგენლის გონებაშიც კი გაიდგა ფესვი... სწორედ ამგვარი დაბნეულობის გამო გამოაკლდა ჩვენს რიგებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტიული მოღვაწე – ლევ ტროცკი. პროლეტარიატის წინაშე ვერანაირი უწინდელი დამ-სახურება ვერ გამოდგება მისი იმ დანაშაულებრივი, მოღალატური განცხადების საპირწონედ, თითქოსდა ჩვენ კომუნიზმის იდეებისათვის გვეღალატოს! ისიცა და მისი მომხრეებიც პარტიის რიგებიდან გაირიცხნენ – აი, რატომ გავხდით იძულებულნი, პარტიული წმენდა წამოგვეწყო, რაც ალბათ კიდევ გაგრძელდება. ჩვენ მტკიცედ უნდა მივყვეთ პარტიის მიერ დასახულ გეზს და ყურადღება არ მივაქციოთ იმ თითო-ოროლა გადამცდარის იჭვნეულ განცხადებებს, რომლებიც თითქოსდა სინდისის კარნახით მოქმედებენ, სინამდვილეში კი ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს უხდიან ხარკს. ჩვენ არაფერში გვჭირდება ეს თავკერძა ელემენტები, თანამედროვეობისათვის სრულიად შეუფერებელ ქედმაღლობას რომ შეუპყრია, თითქოსდა საკუთარი შეხედულებების წმინდად დაცვის ნიღაბქვეშ. ჩვენს რიგებში ის ხალხი გვჭირდება, ვისაც მცირეოდენი დათმობები არ აშინებს – ხისტი, ტვინგახევებული კომუნისტები არაფერში გვარგია. ახალი კომუნისტი მოქნილი და გამჭრიახი უნდა იყოს! იდეალიზმი, ამხანაგებო, კარგია, ოღონდ – ზომიერად. გადამეტება, ისევე როგორც ზედმეტი სასმელი, საღი აზრის დაკარგვას იწვევს. მოდით, ეს შემთხვევა გაფრთხილებად იქცეს ჩვენი პარტიის იმ წევრებისთვის, რომლებიც ჯერაც ფარულად უთანაგრძნობენ ტროცკის და მათ გასაგონად უნდა ითქვას – ვერანაირი ძველი დამ-სახურება ვერ გიშველით ახალი პარტიული წმენდის დროს! ასეთი ხალხი ჩვენ მოღალატეებად მიგვაჩნია და დაუფიქრებლად შეველევით იმის მიუხედავად, ვინ არიან ისინი დღეს, ან ვინ იყვნენ გუშინ!

ტაშის გრიალმა ლამის დარბაზის ჭერი ჩამოიღო. მერე ხალხიც ამოძრავდა. შავქურთუკიანი მამაკაცები წამოიშალნენ და შეხვედრაც დასრულდა.

თუმცა, კიდევ კარგა ხანს იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და აღელვებულები, ერთმანეთში რაღაცას ჩურჩულებდნენ. ზოგ-ზოგი ფხუკუნებდა კიდეც, თუმცა ამ დროს მაინც პირზე იფარებდა ხელს. ყველანი ხშირ-ხშირად იხედებოდნენ რამდენიმე, განცალკევებით მდგარი ადამიანისაკენ. დიდი, გისოსებიანი ფანჯრების მიღმა, ფოლადისფერ ცას ნელ-ნელა მუქ-ლურჯი ელფერი ედებოდა.

– გილოცავ, მეგობარო! – მხარზე დაკრა ხელი პაველ სეროვს შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ.

– გავიგე, რკინიგზის მუშაკთა კავშირის ლენინიზმის კლუბის თავმჯდომარის მოადგილედ აურჩევიხართ!

– კი, ეგრეა...

– თავმდაბლად ჩაილაპარაკა სეროვმა.

– წარმატებებს გისურვებ, პავლუშა. შენ ყველა ჩვენგანისთვის სამაგალითო ხარ და არც პარტიული წმენდის არ უნდა გეშინოდეს.

– სულ იმის ცდაში ვიყავი, პარტიის საქმის მიმართ ჩემი ერთგულება არავის გაეხადა საეჭვოდ, – ისევ ისე მორცხვად მიუგო სეროვმა.

– რა არი, იცი... თვის დასაწყისამდე ჯერ კიდევ ორი კვირაა, მე კი... მოკლედ. ფული მჭირდება. იქნებ დამეხმარო...

– რაზეა ლაპარაკი, – სეროვმა მაშინვე საფულე ამოიღო ჯიბიდან.

– დიდი სიამოვნებით.

– შენ ნამდვილი მეგობარი ხარ. პავლუშა! და როგორც გატყობ, არც უფულობას უჩივი...

– უბრალოდ, ვცდილობ ხელფასი ყაირათიანად ვხარჯო, – ამჯერადაც მშვიდად მიუგო სეროვმა.

ამხანაგი სონია გამალებული იქნევდა თავის მოკლე ხელებს და ცდილობდა, ხალხში გზა გამოეკვლია, თუმცა უკან მასთან გასაუბრების მოსურნე ახალგაზრდების მთელი ჯგრო ადევნებოდა.

– ვწუხვარ, ამხანაგო! მაგაზე ლაპარაკიც გამორიცხულია...

– გაიძახოდა გზადაგზა.

– კი ბატონო, თქვენ უთუოდ შეგხვდებით. ჩემს მდივანს შეუთანხმდით. აი ნახავთ, არ ინანებთ, თუ ჩემ ნათქვამს გაიზიარებთ, ამხანაგო... სიამოვნებით გამოვიდოდი სიტყვით თქვენს შეკრებაზე, ამხანაგო, მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ მაგ დროს მუშფაკის კლუბში ვკითხულობ მოხსენებას...

ვიქტორმა ის მოკლე წვერიანი მომხსენებელი განზე გაიხმო და ახლა მღელვარედ, დაჟინებით ეჩურჩულებოდა:

– ინსტიტუტში ზუსტად ორი კვირის წინ ავიღე დიპლომი, ამხანაგო... ხომ გესმით, ჩემი ამჟამინდელი სამსახური სრულიად შეუფერებელია დიპლომირებული ინჟინრისთვის და...

– მესმის, ამხანაგო დუნაევ, მშვენივრად ვიცი, რა თანამდებობის დაკავებაც გსურთ. პირადად თქვენზე უკეთესს ვერავის ვიფიქრებდი სამაგისოდ და რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ ჩემი მეგობარი მარიშა ლავროვას ქმრისთვის. ოღონდ ეგაა...

აქ პენსნეიანმა ფრთხილად მიმოიხედა აქეთ-იქით, კიდევ უფრო მიუახლოვა სახე ვიქტორს და ხმასაც დაუწია:

– ჩვენს შორის დარჩეს და ერთი დიდი წინაღობა გვიდგას მაგ გზაზე,... მშვენივრად ხვდებით ალბათ, რომ დღევანდელ დღეს, ჰიდროელექტროსადგურის პროექტი უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა რესპუბლიკისათვის, ამიტომ თითოეული ვაკანსიაც განსაკუთრებული სიფრთხილით მოწმდება...

– მერე მთლად ჩურჩულზე გადავიდა:

– თქვენი პარტიული წარსული უმწიკვლოა, ამხანაგო დუნაევ, მაგრამ თქვენც მოგეხსენებათ, როგორ ხდება ხოლმე... ეჭვის საბაბი ნებისმიერ შემთხვევაში იჩენს თავს. გულწრფელად გითხრათ, ჩემს ყურამდეც მოუღწევია გადაკრულ ნათქვამს – თქვენი სოციალური წარმოშობის თაობაზე, ზოგადად მამათქვენსა და თქვენს ოჯახზე... თუმცა, იმედს ნუ დაკარგავთ, მეც ჩემის მხრივ, რაც შემეძლება უკან არ დავიხევ.

ანდრეი ტაგანოვი თითქმის დაცარიელებულ დარბაზში იდგა და აუჩქარებლად იკრავდა ტყავის ქურთუკის ღილებს. მზერა ტრიბუნის ზემოთ ჩამოკიდული, ალისფრად მოელვარე დროშისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

დარბაზიდან გამოსული, კიბის თავში ამხანაგმა სონიამ შეაჩერა.

– აბა, ამხანაგო ტაგანოვ, – ისე ხმამაღლა ჰკითხა სონიამ, სხვებმაც მოიხედეს მათკენ.

– მოხსენებაზე რა აზრის ხართ?

– ერთობ შინაარსიანი იყო, – თქვა ტაგანოვმა, თან ისეთი ხმით, ყოველ სიტყვისთვის საგანგებო წონა რომ დაედო.

– თავად თუ იზიარებთ მომხსენებლის აზრს? – მირჩევნია, ახლა მაგაზე არ ვისაუბროთ.

– ან რა საჭიროა, – გულითადად შეჰღიმა სახეში სონიამ.

– ზედმეტად ნუ დაიხარჯებით. ისედაც ვიცი, ყველამ ვიცით, რასაც ფიქრობთ. ოღონდ კარგი იქნებოდა, სხვა კითხვაზე მაინც თუ გამ-ცემდით პასუხს: რატომ გგონიათ, რომ შეგიძლიათ საკუთარი აზრი გქონდეთ? მით უფრო, თქვენიანების უმრავლესობისაგან განსხვავებული? თუ კოლექტივის აზრს უკვე აღარაფრად აგდებთ, ამხანაგო ტაგანოვ? იქნებ თქვენც ინდივიდუალისტად იქეცით?

– ვწუხვარ, ამხანაგო სონია, მაგრამ ახლა ძალზე მეჩქარება.

– მე ნუ მებოდიშებით, ამხანაგო ტაგანოვ. მე მეტი სათქმელიც არაფერი მაქვს. უბრალოდ, ერთ მეგობრულ რჩევას მოგცემთ: მოხსენებიდან სრულიად ნათლად იგრძნობოდა, რა ელის იმათ, ვისაც საკუთარი თავი პარტიაზე ჭკვიანი ჰგონია.

ანდრეი ნელი ნაბიჯით დაუყვა კიბეს. უკვე ბნელდებოდა. ქვემოთ, კიბის ბოლოში, მოლურჯოდ ბზინავდა მარმარილოს მოპრიალებული იატაკი. მაღალი ფანჯრის მიღმა, ქუჩის ლამპიონი ასევე ლურჯ, ოთხკუთხა ლაქად აფენდა შუქს ფანჯრის მინასა და კედელზეც, რომელზეც წვიმის წვეთები ჩრდილებად მოგორავდა მძიმე-მძიმედ. ანდრეიმ კიბე ჩაათავა. წელგამართული, მხრებში გაშლილი,

თავდაჯერებული და დინჯად მიმავალი, მთელი თავისი გარეგნობით ისეთ ადამიანს ჩამოგავდა, ვისაც საუკუნეთა მიღმა, ან რომაელი ლეგიონერის, ანდა ჯვაროსნის აბჯარი უნდა ჰქონოდა ასხმული. თუმცა ახლა უბრალო ტყავის ქურთუკი ეცვა. მისმა მაღალმა, შავმა ჩრდილმა ნელა გადაიარა შუქის ლურჯ ოთხკუთხედზე და კედელზე ჩრდილებად დაცემულ წვიმის წვეთებზე.

* * *

პარტიული თავყრილობიდან ვიქტორი პირდაპირ შინ გაემართა. წინკარშივე მიაგდო პალტო სკამზე და კალოშებიც იქვე კუთხეში მიყარა. ერთ-ერთი მათგანი, კედელზე მიყუდებულ ქოლგას მოხვდა და ხმაურით წამოაქცია. ვიქტორს იატაკიდან მის ასაღებად თავი არ შეუწუხებია.

სასადილო ოთახში მარიშას გადაშლილი წიგნები დაეხვავებინა მაგიდაზე. თვითონ კი თავი გვერდზე გადაეგდო და გულმოდგინედ იწერდა რაღაცეებს, თან შიგადაშიგ, ფანქრის ბოლოს ღრღნიდა კბილებით. ფანჯარასთან მიმჯდარი ვასილი ივანოვიჩი ხის ყუთის მოჩუქურთმებით იქცევდა თავს. ასია იატაკზე იჯდა და სახელურმომტვრეულ ქვაბში ერთმანეთში ურევდა ნახერხს, კარტოფილის ქერქსა და მზესუმზირას ჩენჩოს.

– ვახშამი მზადაა? – მკაცრად იკითხა ვიქტორმა. მარიშა მაშინვე წამოხტა და ხელები კისერზე შემოხვია.

– ჯერ... ჯერ ბოლომდე არა, საყვარელო...

– მოუბოდიშა ქმარს.

– ირინას არ ეცალა და მეც ხვალისთვის ეს თეზისები მაქვს დასაწერი...

ვიქტორმა ბრაზიანად მოიშორა მისი ხელები, ოთახიდან გავიდა და კარი ხმაურით გაიჯახუნა. ჩაბნელებულ დერეფანს გაუყვა, ირინას ოთახს მიადგა. დაუკაკუნებლად შეალაჯა შიგ. ირინა ფანჯარასთან იდგა. საშას მკლავებში მომწყვდეული, ტუჩებითაც მის ტუჩებს

მიწებებოდა. დაფეთებული შეხტა, იყვირა:

– ვიქტორ! – სიბრაზისაგან სულშეხუთულმა, სხვა ვეღარაფერი მოახერხა.

ვიქტორი უსიტყვოდ შემოტრიალდა, გამობრუნდა და ამჯერადაც ხმაურით გამოიკეტა კარი. ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა და ახლა უკვე უღრიალა კიდეც მარიშას:

– ლოგინის გასწორებაც ვერ მოახერხე? საღორეს ჰგავს იქაურობა!

რას მიკეთებდი მთელი დღე?

– კი მაგრამ, საყვარელო...

– ალუღლუღდა მარიშა.

– მე ჯერ ლექციაზე ვიყავი მუშფაკში, მერე ლენინის ბიბლიოთეკაში მქონდა შეხვედრა, იქიდან კედლის გაზეთის რედკოლეგიის სხდომას ვესწრებოდი, ბოლოს კიდევ ამ თეზისებს ჩავუჯექი... ხვალ კლუბში ელექტროფიკაციაზე უნდა ვილაპარაკო, არადა წარმოდგენა არა მაქვს, რა ვთქვა და თან ამდენი წიგნი დამიგროვდა წასაკითხი...

– მიდი, ნახე რამე და პრიმუსზე შეათბე. სახლში რომ მოვდივარ, რაღაც მაინც ხომ უნდა დამხვდეს კბილის გასაკრავი!

– ახლავე, საყვარელო.

მარიშამ საჩქაროდ, ხელის კანკალით მოხვეტა მაგიდიდან წიგნები. ისე ჩქარობდა, ორი ტომი ძირს დაუვარდა. უხერხულად დაიხარა ასაღებად და მერე უცებვე გავიდა ოთახიდან.

– მამა, – ახლა ვასილი ივანოვიჩს მიუბრუნდა ვიქტორი.

– სამსახურის შოვნას არ აპირებ?

ვასილი ივანოვიჩმა მძიმედ აიღო თავი და შვილს მიაჩერდა.

– რა იყო ვიქტორ, მოხდა რამე? – ჰკითხა მერე.

– არა, არაფერი. უბრალოდ, არა მგონია გონივრული იყოს, როცა ყველა უმუშევარ ბურჟუად გთვლის და ერთთავად ეჭვის თვალით გიყურებს.

– ვიქტორ, შენც კარგად იცი, დიდი ხანია ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებზე აღარ გვისაუბრია, მაგრამ თუ მაინც გინდა ჩემი აზრი მოისმინო, პირდაპირ გეტყვი: სანამ პირში სული მიდგას, შენი ხელისუფლებისთვის არ ვიმუშავებ!

– კი მაგრამ, მამა, შენ ალბათ იმის იმედი გაქვს, რომ...

– რისი იმედი მაქვს და რისი არა, მაგის განხილვას პარტიის წევრთან არ ვაპირებ. ხოლო თუკი ჩემზე ზრუნვამ დაგღალა...

– არა მამა, ეგ არაფერ შუაშია.

ამ დროს, ოთახში წასასვლელად გამზადებული საშაც შემოვიდა. ვასილი ივანივიჩს ხელი ჩამოართვა, ასიას თავზე მოუთათუნა და ისე გავიდა ბინიდან, ვიქტორისთვის არც სიტყვა უთქვამს და ზედ არ შეუხედავს მისთვის.

– ირინა, შენთან სალაპარაკო მაქვს, – თქვა ვიქტორმა.

– მაინც, რაზე? – ჰკითხა იმანაც.

– პირისპირ მინდა დაგელაპარაკო.

– მე მამისაგან არაფერი მაქვს დასამალი.

– ძალიან კარგი... აი, იმ ვაჟბატონს ეხება...

– ვიქტორმა კარისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მიხურა საშამ.

– და რა მერე? – იმედია, ვითარების სიმძიმეს ხვდები.

– ვერა, ვერ ვხვდები. რა ვითარებაზე ლაპარაკობ? – არ იცი, როგორ კაცთან გააბი სასიყვარულო თამაშები?

– არანაირი თამაშები მე არ გამიბია. საშა და მე დანიშნულები ვართ.

ვიქტორი წინ წაიხარა, პირიც დააღო რაღაცის სათქმელად, თუმცა მაშინვე დამუწა და მხოლოდ მას მერე წარმოთქვა უკვე მშვიდი ხმით, როცა საბოლოოდ მოერია თავს:

– ეგ შეუძლებელია, ირინა.

ირინა თვალებში შესცქეროდა და მის მზერაში მუქარაც იგრძნობოდა და სიძულვილიც.

– ვითომ? მაინც, რატომაა შეუძლებელი? ტუჩებმობრეცილმა ვიქტორმა სახე ახლოს მიუტანა და ბრაზიანად ასისინდა:

– მისმინე, ტყუილად ნურაფრის უარყოფას ნუ ეცდები... მშვენივრად ვიცი, რას წარმოადგენს ეგ შენი საშა ჩერნოვი. კისრამდეა ჩაფლული კონტრრევოლუციურ ხლართებში... მე მაგ საქმეში არ ვერევი და ენაზეც კბილს ვაჭერ, მაგრამ მალე სხვებიც გაიგებენ ამ ამბავს. ხვდები ალბათ, რა ბედიც ელის მაგნაირებს... შენი აზრით, გულხელდაკრეფილი ვიდგები და შევეგუები, როგორ მიყვება ცოლად ჩემი და ვიღაც კონტრრევოლუციონერს? მერე პარტიაში ჩემი ყოფნა როგორ წარმოგიდგენია?

– ეგ ამბავი ზუსტად ისევე მადარდებს, როგორც კატის მოფსმული ჩვენს უკანა კიბეზე! – კბილებში გამოსცრა ირინამ.

– ირინა! – შეუწყრა ვასილი ივანოვიჩი ქალიშვილს. ვიქტორიც მაშინვე მთელი ტანით მამისკენ შეტრიალდა.

– ერთი შენ მაინც აუხსენი! – იყვირა გამწარებულმა.

– როგორია ცხოვრება, როცა წისქვილის დოლაბივით გკიდია კისერზე საკუთარი ოჯახი! თქვენ თუ ეს დიდი კეთილშობილება გგონიათ, ჯოჯოხეთისკენაც გქონიათ გზა! მაგრამ იცოდეთ, მე თან ვერ ჩამითრევთ!

– კი მაგრამ, ვიქტორ...

– სიმშვიდის შენარჩუნებას შეეცადა ვასილი ივანოვიჩი.

– უკვე არც შენზე და არც ჩემზე არაფერი აღარაა დამოკიდებული. შენ დას ის კაცი უყვარს და სრული უფლება აქვს, ბედნიერი იყოს. ღმერთია მოწმე, ბოლო წლებში დიდად ბედნიერად ნამდვილად არ უგრძვნია თავი...

– თუ ეგ შენი პარტიული მომავალი ასე გადარდებს, – საუბარში ჩაერია ირინაც.

– საერთოდ გადავბარგდები აქედან. როგორმე შევინახავ საკუთარ თავს. იქნებ მოვახერხო და შიმშილით სული არ ამომძვრეს იმ თქვენი წითელი კლუბის ნაწყალობევი ვითომ ხელფასით! სხვათა

შორის, მამა და ასია რომ არა, კარგა ხნის წინ მოვიქცეოდი ასე!

– შენ მაგას არ იზამ, ირინა! – ამოიგმინა ვასილი ივანოვიჩმა.

– თუ სწორად გავიგე, იმ ყეყეჩთან დაშორებას არ აპირებ, არა? –

ჰკითხა ვიქტორმა.

– შენთან საერთოდ არ ვაპირებ მასზე ლაპარაკს! – მოუჭრა ირინამ.

– ძალიან კარგი! – თქვა ვიქტორმა.

– ისე, მე გაგაფრთხილე.

– ვიქტორ! – შესძახა ვასილი ივანოვიჩმა.

– შენ რა, საშასთვის რამე ცუდის გაკეთებას აპირებ?

– ნუ ღელავ, მამა! – აიმრიზა ირინა.

– მაგას არ იზამს. საკუთარ პარტიულ რეპუტაციას გაუფრთხილდება.

* * *

კირა ქუჩაში გადაეყარა ვავა მილოვსკაიას, თუმცა თვითონ თავდაპირველად ვერც იცნო. ვავა მიუახლოვდა, გაუბედავად და მორცხვად მიესალმა.

– როგორ ხარ, კირა?

თავზე მამამისის ნაქონი, მერე გადაკეთებული და როგორც ჩანს, რამდენიმე დღის გაუწმენდავი ფეტრის ქუდი ეხურა, უკვე გვარიანად ფარფლებმოთელილი. შავი თმის ერთი კულული დაუდევრად ჩამოვარდნოდა ლოყაზე, ტუჩებიც უთანაბროდ შეეღება გამოხუნებული პომადით, ცხვირის შეფიფქვითაც დიდად არ შეეწუხებინა თავი, მიმქრალ თვალებში კი დაღლილობა და გულგრილობა ეტყობოდა.

– ვავა, რა ხანია არ მინახიხარ! შენ რას შვები, როგორ ხარ? – მე... მე გავთხოვდი, კირა.

– მართლა? გილოცავ! ეგ როდის?

– დიდი მადლობა. ორი კვირაა უკვე.

– ვავა საუბრისას თვალს არიდებდა, მზერა აქეთ-იქით დაურბოდა.

– მე... ჩვენ დიდი ქორწილი არ გადაგვიხდია... ცხადია, არც არავინ დაგვიპატიჟია, მხოლოდ ოჯახის წევრები. მართალი გითხრა, ეკლესიაში დავიწერეთ ჯვარი და კოლიას არ უნდოდა, ეს ამბავი მის სამსახურში გაეგოთ.

– დამნაშავესავით ლუღლუღებდა ვავა.

– აბა კოლია?

– კოლია სმიატკინი. შეიძლება გახსოვს კიდეც, ჩემთან წვეულებაზე გყავს ნანახი, თუმცა... მოკლედ, ახლა უკვე მოქალაქე მიატკინა ვარ. კოლია თამბაქოს ტრესტში მუშაობს. მაინცა და მაინც მაღალი თანამდებობა არა აქვს, მაგრამ დაწინაურებას კი ჰპირდებიან. კარგი ბიჭია, ძალიან ვუყვარვარ... ვითომ რატომ არ უნდა გავყოლოდი?

– მერე და ვინ გითხრა, არ უნდა გაყოლოდიო?

– და საერთოდ, რას უნდა ელოდო ჩვენ დროში? მარტო რას გახდები, თუ... თუკი ადამიანმა... იცი რა მომწონს შენი, კირა? ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც მოლოცვებად არ დაიღვარე და ოჯახური ბედნიერება არ მისურვე.

– როგორ არა, გულწრფელად გისურვებ, ვავა.

– ჰოდა, ვარ კიდეც ბედნიერი! – გამომწვევად აიქნია თავი გავამ.

– ძალიანაც ბედნიერი ვარ!

ვავამ მკლავზე ჩამოადო კირას შელახულხელთათმნიანი ხელის მტევანი. ჯერ ისევ ისე გაუბედავად იქცეოდა, თითქოს კირას გვერდით ყოფნა აშინებდა; მერე იმნაირად მოუჭირა მკლავზე თითები, თითქოს კირას იქ შეკავებას ცდილობდა, თითქოს არაფრით უნდოდა მისი გაშვება იქამდე, სანამ მისთვის ძალიან სანუკვარის გამხელას ვერ გაუბედავდა. ბოლოს ისევ გვერდზე გააპარა მზერა და ძალიან ჩუმი ხმით ჰკითხა:

– კირა, როგორ გგონია, ის... ბედნიერია?

– ვიქტორი ის კაცი არაა, ვისაც ბედნიერება დიდად ადარდებს, – მშვიდად მიუგო კირამ.

– არა, კიდევ გავუგებდი...

– აჩურჩულდა ვავა.

– ან რა მექნებოდა სათქმელი, შესახედად მაინც რომ ვარგოდეს... არადა, ხომ ვნახე. კარგი, ბოლოს და ბოლოს, ეგ ჩემი საქმე არაა... არანაირად არ მეხება. ძალიან გამახარებ, თუ მესტუმრები, კირა. რა თქმა უნდა, ლეოსთან ერთად. ოღონდ ჯერ ბინა ვერ ვიშოვეთ. დროებით მეც კოლიას ოთახში გადავბარგდი, იმიტომ რომ ჩემ ბინაში... მოკლედ, მამაჩემმა არჩევანი არ მომიწონა და ამიტომ ვიფიქრე, უკეთესი იქნება თუ თვალში არ შევეჩხირებით-მეთქი... კოლიას ოთახი კი სულ ერთი ციცქნაა, ადრე თურმე საკუჭნაო ყოფილა ერთ დიდ, კერძო სახლში. მაგრამ როცა შესაფერის ბინას გამოვნახავთ, აუცილებლად დაგპატიჟებ და... კარგი, გავიქეცი ახლა, მეჩქარება. გამიხარდა შენი ნახვა, კირა.

– მეც, ვავა. კარგად იყავი.

* * *

– შინ არ გახლავთ, – თქვა ჭაღარა ქალმა.

– დაველოდები, – მიუგო ამხანაგმა სონიამ.

ქალმა უხერხულად მოინაცვლა იატაკზე ფეხი და ტუჩებიც უხმოდ ააცმაცუნა. მცირე ხნის შემდეგღა დასძინა:

– არ ვიცი, ეგ როგორ მოხერხდება, მოქალაქე... ჩვენ აქ სასტუმრო ოთახი არა გვაქვს. მე მოქალაქე სეროვის მეზობელი ვარ და ჩემ ბინაში...

– მოქალაქე სეროვის ოთახში მოვიცდი.

– კი მაგრამ...

– გითხარით, მოქალაქე სეროვის ოთახში მოვიცდი-მეთქი.

ამხანაგმა სონიამ თავდაჯერებულად შეაბიჯა დერეფანში. სეროვის მოხუცი მეზობელი ქალი უკან მისდევდა, თავს უკმაყოფილოდ

აქნევდა და თვალს ვერ აშორებდა ამხანაგი სონიას უხეში, მამაკაცური ფეხსაცმელების ქუსლებს.

ამხანაგი სონიას დანახვაზე, ოთახში მყოფი პაველ სეროვი გაოგნებული წამოხტა, მკლავებიც ფართოდ გადაშალა, რაც გაოცებასთან ერთად, სავარაუდოდ, მოპატიჟებასაც გულისხმობდა.

– სონია, ძვირფასო! – წამოიძახა გაღიმებულმა.

– არ გელოდი. ბოდიშს გიხდი, საყვარელო! ბევრი საქმე დამიგროვდა და ამიტომაც ვუთხარი მეზობელს... მაგრამ რომ მცოდნოდა...

– ეგ არაფერი, – გააწყვეტინა ამხანაგმა სონიამ და მძიმე პორტფელი მაგიდაზე მიაგდო. მერე პალტოს ღილები შეიხსნა და სქელი, მამაკაცური შარფიც მოიბოშა ყელზე.

– სულ ნახევარი საათი მაქვს, – მაჯის საათზე დაიხედა სონიამ.

– კლუბში უნდა გავიქცე. დღეს იქ ლენინის კუთხეს ვხსნით, შენთან კი გადაუდებელმა საქმემ მომიყვანა.

სეროვმა სტუმარს სკამი შესთავაზა. პიჯაკიც შემოიცვა, სარკეში ყელსახვევი გაისწორა, თმაზეც გადაისვა ხელი და პირმოთნე ღიმილით მიაჩერდა სონიას.

– პაველ, ჩვენ ბავშვი გვეყოლება, – პირდაპირ აჯახა ქალმა. სეროვს ხელები ჩამოუვარდა და უაზროდ დააბჩინა პირი.

– ბავ...

– ჰო, ბავშვი.

– მტკიცე ხმით გაუმეორა ამხანაგმა სონიამ.

– კი მაგრამ...

– მესამე თვეში ვარ. ზუსტად ვიცი.

– ადრე რატომ არ მითხარი? – დარწმუნებული არ ვიყავი.

– ჯანდაბა! მაინც უნდა...

– ახლა ვეღარაფერს ვიზამთ, გვიანია უკვე.

– მერე, რა ეშმაკი...

– გეუბნები, გვიანაა-მეთქი!

სეროვი სკამზე დაეშვა და მის წინ მდგარ, სრულიად მშვიდ სონიას დაძაბული მიაჩერდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ჩემია? – ამოიხრიალა ბოლოს.

– პაველ, – ხმისთვის არ აუწევია სონიას.

– შენ მე ახლა შეურაცხყოფას მაყენებ.

სეროვი წამოხტა, კარისკენ გაეშურა, მერე უკან მობრუნდა, ერთხელაც დაჯდა, ოღონდ მაშინვე ისევ წამოხტა:

– ახლა რა ჯანდაბა უნდა ვქნათ? – უნდა დავქორწინდეთ, პაველ. კაცი წინ წაიხარა და მუშტი მაგიდას დაჰკრა.

– გაგიჟდი? – წამოიძახა უნებლიედ. სონია უსიტყვოდ მიჩერებოდა.

– მთლად გადასულხარ ჭკუიდან! არანაირი მსგავსი განზრახვა არ მქონია...

– ახლა ასე უნდა მოიქცე.

– უნდა? მავალდებულებ კიდეც? აბრძანდი ახლა და...

– პაველ, – მშვიდად მიუგო სონიამ.

– ისეთს ნურაფერს იტყვი, რაც შეიძლება სანანებლად გაგიხდეს.

– მისმინე... საერთოდ რა საჭიროა... ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ! ჩვენთან ქალწულის შეცდენაზე სასჯელი არ არსებობს! ეგეც არ იყოს, ქალიშვილიც არ ყოფილხარ... თან... ჯანდაბა! მოკლედ, თუ სასამართლოში აპირებ წასვლას, კისერიც გიტეხია – ვნახავ ერთი, რას გამომრჩები! ოღონდ ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს, ცოლად შეგირთო! მოინდომა, რაღა! სულ მაგ ჭკუაზე ვარ... არ გეგონოს, სადმე ინგლისში ვცხოვრობდეთ!

– დაჯექი, პაველ.

– თქვა ამხანაგმა სონიამ და მაჯაზე შეხსნილი ღილი შეიკრა.

– შეეცადე, სწორად გამიგო. ვის-ვის და მე ამ საკითხთან დაკავშირებით, არანაირი დრომოჭმული შეხედულებები არ გამაჩნია. არც

ზნეობრივი მოსაზრებები მაღელვებს, არც საზოგადოებრივი გაკიცხვა და არც რამე მსგავსი სისულელეები. უბრალოდ, ეს ჩვენი ვალდებულებაა.

– ჩვენი... რა?

– ჩვენი ვალდებულება-მეთქი, პაველ. ამ ქვეყნის მომავალი მოქალაქის მიმართ. სეროვს გაეცინა.

– მორჩი ახლა, კლუბის შეკრებაზე კი არ გამოდიხარ სიტყვით!

– რა ვითომ, პირად ცხოვრებაზე შენი პრინციპები არ ვრცელდება?

სეროვი ისევ წამოხტა ფეხზე.

– ახლა შენც სწორად გამიგე, სონია. რა თქმა უნდა, არც პრინციპები მავიწყდება და არც ამ პრინციპების ერთგულება. რა თქმა უნდა, მოვალეობის გრძნობა დიდებული რამაა, ოღონდ მითხარი ერთი, რა კავშირი აქვს ამას... ე-ე... ამ მომავალ მოქალაქესთან?

– ჩვენი რესპუბლიკის მომავალი სწორედაც რომ ახალ თაობას უკავშირდება. ახალგაზრდობის აღზრდაა უმთავრესი საკითხი. ჩვენს შვილს იმთავითვე უპირატესობა ექნება, რადგან მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე პარტიის წევრი დედ-მამა იზრუნებს!

– მორჩი რა, სონია! ეგ უკვე ყავლგასული ლაპარაკია. ჩვენს დროში ბაგა-ბაღები არსებობს უკვე, სადაც თავიდანვე ერთად, ერთ დიდ ოჯახად, კოლექტივიზმის სულისკვეთებით ზრდიან ბავშვებს!

– სახელმწიფო ბაგა-ბაღები სამომავლოდ მართლაც დიდ მიღწევად იქცევა, ჯერ-ჯერობით კი ისინი არასრულყოფილია. ჩვენი შვილი დიადი ქვეყნის სრულყოფილ მოქალაქედ უნდა აღიზარდოს. ჩვენი შვილი...

– ჩვენი შვილი არა... საიდან ვიცი, რომ...

– პაველ, შენ მაინც იქით მიგყავს საქმე, თითქოს...

– არა, არა! ცუდი არაფერი მიგულისხმია... ოღონდ სონია, მე ხომ მთვრალი ვიყავი! წესით, შენ უფრო მეტი...

– ესე იგი, ნანობ?

– არა, არა და არა-მეთქი! ხომ იცი რომ მიყვარხარ, სონია! ოღონდ გულწრფელად გეტყვი და შენც წყნარად მომისმინე: ახლა, ჯერ-ჯერობით მაინც, ცოლის მომყვანი არა ვარ. უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი და ძალიანაც ვიამაყებდი შენი ქმრობით, ოღონდ ჯერ ყველაფერს ახლა ვიწყებ, პირველ ნაბიჯებს ვდგამ და ჩემს კარიერაზე აქედანვე უნდა ვიზრუნო. მით უმეტეს, კარგად ამეწყო ყველაფერი და სხვათა შორის, პარტიის წინაშე ჩემი ვალდებულებაც სწორედ მაგას გულისხმობს – კიდევ უფრო გავიღრმავო ცოდნა და...

– მაგაში შემეძლო მეც დაგხმარებოდი, ანდა...

– მძიმედ წამოიწყო სონიამ. სათქმელის გაგრძელებასაც აპირებდა, ოღონდ პაველი ყველაფერს მიხვდა და აღარ აცალა: – კარგი რა, სონია! – ამოიგმინა უმწეოდ.

– ამ ამბავმა მეც შენსავით ამირია თავგზა, – წყნარად თქვა სონიამ.

– შეიძლება ჩემთვის ეს კიდევ უფრო მტკივნეული მოულოდნელობა იყო, მაგრამ მზად ვარ, ბოლომდე მივიყვანო ის, რაც საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია.

პაველი მძიმე-მძიმედ დაეშვა სავარძელში. თავი არ აუწევია, ისე წარმოთქვა:

– მისმინე, სონია. ორი დღე მომეცი, კარგი? დავფიქრდები და ცოტა აზრზეც მოვალ.

– აბა რა, – დაეთანხმა სონია და სკამიდან წამოდგა.

– მოიფიქრე. ახლა მეც მეჩქარება, უნდა გავიქცე. აბა, კარგად.

– კარგად...

– ჩაიბურტყუნა სეროვმა, თუმცა სონიასთვის აღარ შეუხედავს.

იმ საღამოს პაველი მაგრად გამოთვრა. მეორე დღეს, რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის კლუბში შეიარა.

– გილოცავ, ამხანაგო სეროვ! – უთხრა თავმჯდომარემ.

– გავიგე, ამხანაგ სონიას ირთავს ცოლადო. ცხოვრების უკეთეს თანამგზავრს მართლა ვერ აირჩევდი.

დაახლოებით იგივე გაუმეორა პარტიული უჯრედის მდივანმაც – ეგეთ ცოლთან არ დაიკარგებიო.

მარქსისტულ კლუბში მისულს ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, ვისაც მანამდე არც იცნობდა ხეირიანად, გულითადად გაუღიმა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

– ნებისმიერ დროს შემომიარე, ამხანაგო სეროვ! ამხანაგ სონიას მომავალ ქმარს ყოველთვის მხარში ამოვუდგები.

იმავე საღამოს, პაველ სეროვმა ანტონინა პავლოვნასთან შეიარა მოროზოვი კარგა მაგრად გამოლანძღა, უწინდელთან შედარებით უფრო დიდი წილიც მოითხოვა და თან – წინასწარ. ხოლო როცა ფული ჩაიჯიბა, ქუჩაში პირველივე შემხვედრი გოგო სასმელზე დაპატიჟა.

სამი დღის შემდეგ, პაველ სეროვი და ამხანაგი სონია დაქორწინდნენ. მმაჩის ბიუროს ერთ ნახევრად ცარიელ ოთახში, თანამშრომლის პირისპირ მდგომებმა, დიდ დავთარში დატოვეს საკუთარი ხელმოწერები. ამხანაგმა სონიამ ამჯობინა ქალიშვილობის გვარი დაეტოვებინა.

იმავე საღამოს, უკვე პაველ სეროვთან გადავიდა საცხოვრებლად რადგან იმას უფრო დიდი ოთახი ჰქონდა.

– საყვარელო, – უთხრა ქმარს.

– ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩვენს შვილს რამე ნამდვილი რევოლუციური სახელი შევურჩიოთ.

* * *

ანდრეის კარზე ისე ააბრახუნეს მუშტები, თითქოს შემომტვრევას ლამობენო.

თვითონ ამ დროს იატაკზე იჯდა და ოთახის სანათის შუქზე ირგვლივ მიმოფენილ ნახაზებს დაჩერებოდა. უკმაყოფილოდ აწია თავი და გაღიზიანებულმა გასძახა:

– ვინ არის?

– მე ვარ, – მოისმა მამაკაცის დაგუდული ხმა.

– მე ვარ, გააღე! სტეპან ტიმოშენკო ვარ.

ანდრეი წამოხტა და კარი ფართოდ გამოაღო. სტეპან ტიმოშენკო, ბალტიის ფლოტის ყოფილი მეზღვაური, რომელსაც მერე გპუ-ს სანაპირო დაცვის შენაერთშიც ემსახურა, კიბის ბაქანზე იდგა და ცალი ხელით კედელს მიყრდნობილი, ოდნავ შესამჩნევად ირწეოდა. თავზე მეზღვაურის ქუდი ეხურა, თუმცა ზედ არც ვარსკვლავი ებნია და არც გემის სახელი ეწერა. აი, ტანზე კი სამოქალაქო სამოსი ჩაეცვა – კურდღლის ბეწვის საყელოიანი, მოკლე ქურთუკი, რომლის შეხსნილ საკინძეში გარუჯული, ძარღვებდაბერილი კისერი მოუჩანდა, ხოლო მისი სახელოები ლამის ზედ ასკდებოდა დაკუნთულ მკლავებზე. სტეპანი იღიმებოდა და თეთრად მოელვარე კბილებს აჩენდა. თვალებიც ეშმაკურად უციმციმებდა.

– საღამო მშვიდობისა, ანდრეი! არ შემომიშვებ?

– მობრძანდი! გამიხარდა შენი დანახვა. მეგონა, მთლად დაგავიწყდა ძველი მეგობრები.

– არა, არ დამვიწყებია! – თითქოს ეწყინა კიდეც ტიმოშენკოს. ფეხარეულმა შეალაჯა ოთახში და ზურგსუკან კარი შემოიკეტა.

– არაფერიც არ დამვიწყებია, ოღონდ ძველი მეგობრებიდან ზოგ ზოგიერთი კი სიამოვნებით ამომშლიდა მახსოვრობიდან... შენ არ გგულისხმობ, ანდრეი, შენ ნამდვილად არა.

– დაჯექი, – უთხრა ანდრეიმ.

– ეგ ქურთუკიც გაიხადე. თუ მთლად გაიყინე გარეთ?

– ვინა, მე? აბა რას ამბობ! მე სიცივეს საერთოდ ვერ ვგრძნობ. ისე, თუ როდისმე შემცივდა, დავიღუპე და ეგაა. იმიტომ რომ მთელი ჩემი ტანისამოსი... კი, გავიხდი ამ ოხერ ქურთუკს. აი, ესეც ასე. დავჯდები კიდევაც. დაგენიძლავები, დაჯდომას იმიტომ მაძალებ, მთვრალი გგონივარ.

– არა, რას ამბობ! – მიუგო ანდრეიმ.

– უბრალოდ...

– მართალიც ხარ! დავლიე, ოღონდ ბევრი არა. ზომიერად ხომ შეიძლება?

– რას შვები, სად დაიკარგე? რამდენი თვეა, აღარ მინახიხარ.

– ხან სად, ხან სად. გპუ-დან რომ გამომაბუნძულეს, გეცოდინება...

ანდრეიმ მძიმედ დაუქნია თავი, თან იატაკზე გაშლილ ნახაზებს დახედა.

– ეგრეა, – მოხერხებულად მოკალათდა სკამზე ტიმოშენკო და ფეხებიც გაწვართა.

– გამომაგდეს. არასაიმედო ხარო, გესმის შენ? არასაკმარისად რევოლუციურიო... მე – ბალტიის ფლოტის მეზღვაური, სტეპან ტიმოშენკო!

– მართლა საწყენი ამბავია, – თქვა ანდრეიმ.

– კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! ვის ჭირდება შენი თანაგრძნობა... უბრალოდ, სიმწრით გაგეცინება კაცს.

– მერე ოთახს მოავლო თვალი და ჭერში თაბაშირის კუპიდონებს მიაჩერდა.

– შენც სასაცილო ბინა გქონია, მთლად კომუნისტისთვის ზედგამოჭრილი.

– რაცაა ესაა, – მიუგო ანდრეიმ.

– გადავიდოდი აქედან, მაგრამ ჩვენს დროში ბინის შოვნა ძნელია.

– ძნელია და ეგრე? – დაეთანხმა ტიმოშენკოც და უცებ ხმამაღლა, უმიზეზოდ და უაზროდ გაეცინა.

– ნამდვილად. ანდრეი ტაგანოვისთვის ძნელია, მაგრამ არც ისე ძნელი – ვთქვათ, ამხანაგი სეროვისთვის. აი, მაგისთანა ნაბიჭვარს, ვინც პარტბილეთს ისე იყენებს, როგორც კარგი ყასაბი დანას, არაფერიც არაა ძნელი! მაგისთანებს სულ არ უჭირთ ამ ყინვაში ვინმე საცოდავი გამოასახლონ ბინიდან და თვითონ დაეპატრონონ იქაურობას!

– სისულელეს ნუ როშავ, სტეპან... რამეს არ შეჭამ?

– არა, არ მინდა არაფერი... ოღონდ შენ საით უკაკუნებ, შე პატარა მაიმუნო? გგონია, ვშიმშილობ?

– არა, ეგ რა შუაშია... მსგავსიც არაფერი...

– ეგ არც იფიქრო. ჯერ-ჯერობით, არც საჭმელი მაკლია და არც დასალევი. აქ მხოლოდ იმიტომ მოვედი, ჩემს პატარა ანდრეის პატრონი სჭირდება-მეთქი, ვიფიქრე. არადა, მართლა სჭირდება. ცოტა ხანში კი კიდევ უფრო მეტად დასჭირდება.

– რაზე ლაპარაკობ?

– არაფერზე. არაფერზე, ძმაო. ისე, ვლაყბობ რა... არ შეიძლება? თუ მაინცდამაინც მაშინ უნდა ვილაპარაკო, როცა მიბრძანებენ და მხოლოდ ის, რასაც დამავალებენ?

– აი ეს ბალიში ამოიდე თავქვეშ და ცოტა მოეშვი...

– უთხრა ანდრეიმ.

– ხომ ვხედავ, ვერა ხარ კარგად.

– ვინა, მე?! – ტიმოშენკომ ბალიში გამოსტაცა ხელიდან, კედელზე მოისროლა და გაიცინა.

– ჩემს ცხოვრებაში ჯერ ამაზე უკეთესად არ ვყოფილვარ! გადასარევად ვგრძნობ თავს. ჩიტივით თავისუფალი ვარ და უდარდელი. არაფერი მაწუხებს და არც არაფერს ველი.

– სტეპან, უფრო ხშირად რატომ არ მოდიხარ ჩემთან? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, შეგვეძლო ერთმანეთს დავხმარებოდით...

ტიმოშენკო წინ წაიხარა, დაჟინებით მიაჩერდა ანდრეის და მწარედ ჩაიცინა.

– მე შენ ვერაფრით დაგეხმარები, ძმაო...

– შენთვის ის იქნებოდა უკეთესი, თუკი ქეჩოში წამავლებდი ხელს და აქედან გამაპანღურებდი! თან ყველაფერს ერთბაშად უარყოფდი, რაც კი ჩემთან გაკავშირებს... მერე უფროსობას მიადგებოდი, მოინანიებდი, ქედს მოიხრიდი და ჩექმების ლოკვასაც დაუწყებ-

დი. ოღონდ არა ხარ შენ მაგის გამკეთებელი, ანდრეი... და მაგიტომაც ვერ გიტან. არადა, სულ იმას ვფიქრობ, რატომ ჩემი შვილი არაამეთქი! მაგრამ მე შვილი არასოდეს მეყოლება. მთელი ამ უკიდეგანო საბჭოთა კავშირის საროსკიპოებში ჩარჩნენ...

ტიმოშენკომ იატაკზე გაშლილ ნახაზებს დახედა, წიგნსაც გაკრა მსუბუქად ფეხის წვერი და იკითხა:

– რას აკეთებ აქ, ანდრეი?

– ცოდნას ვიღრმავებ. მართალი გითხრა, გპუ-ში იმდენი საქმე მაქვს, სამეცადინეოდ დროც არ მრჩება.

– მაშ, მეცადინობ, არა? ინსტიტუტში რამდენი წელი დაგრჩა? – სამი.

– გასაგებია... შენ გგონია, დაგჭირდება? – რა დამჭირდება? – აი ეგ შენი ცოდნა-განათლება.

– რატომ არა? – ხომ გითხარი, გპუ-დან გამომაგდეს-მეთქი? ოღონდ პარტიიდან არ გავურიცხივართ, ჯერ-ჯერობით მაინც. არადა, შემდეგი წმენდისას უეჭველად გამრიცხავენ.

– შენ ადგილას, წინასწარ არ ვიფიქრებდი მაგაზე. ხომ შეგვიძლია...

– ვიცი რასაც ვამბობ და შენც მშვენივრად იცი, რასაც ვამბობ. გინდა გითხრა, შემდეგი ვინ იქნება?

– არა.

– ვინ და შენ! – მიახალა სტეპან ტიმოშენკომ.

ანდრეი წამოდგა, გულხელი დაიკრიფა, სტუმარს თვალი თვალში გაუყარა და მშვიდად მიუგო:

– შეიძლება.

– მისმინე, ძმაო! დასალევი გაქვს რამე? – იკითხა ტიმოშენკომ.

– სრულიად არაფერი. და საერთოდ, მე მგონი მეტისმეტად ბევრს სვამ, – უთხრა ანდრეიმ.

– ვინა, მე? – სიცილი აუტყდა ტიმოშენკოს და მისი ჩრდილი კედელზე ათამაშდა.

– შენი აზრით, ბევრს ვსვამ? და თან – უმიზეზოდ? აბა ერთი კარგად მომისმინე...

წამოდგა, შებარბაცდა; ანდრეიზე მთელი თავით მაღალი, ახლა მისკენ გადაიხარა და ჩრდილიც უკვე ჭერში გამოსახულ მტრედებს მისწვდა.

– მე შენ ახლა ყველაფერს მოგიყვები და თვითონვე მიხვდები, კიდევ რა ცოტას ვსვამ, შე საცოდავო ლეკვო შენა!

სტეპანმა ბეჭი მოიფხანა, თან ისე ღონივრად, რომ ტანზე ვიწროდ მომდგარი სვიტრი კინაღამ ზედ შემოასკდა და უცებ, ღრიალი მორთო:

– ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ. გამოვაცხადეთ, მოგვბეზრდა შიმშილი, ოფლის ღვრა და მკბენარებიო... მერე სისხლიც ბლომად ვღვარეთ – ვის ყელი გამოვჭერით, ვის თავი გავუჩეჩქვეთ, და ასე გავიკვლიეთ გზა თავისუფლებისაკენ. ახლა ადექი და ირგვლივ მიმოიხედე, თვალი გაუსწორე სინამდვილეს, ამხანაგო ტაგანოვ, პარტიის წევრო 1915 წლიდან! ხედავ, სად ცხოვრობს ხალხი, რა დღეში არიან ჩვენივე ძმები! ხედავ რას ჭამენ, რითი უდგათ სული? იქნებ შენც გინახავს საკუთარი თვალით, როგორ წაიქცა ქუჩაში შიმშილობისაგან დაუძლურებული ქალი და როგორ ამოარწყია სისხლი! მე მინახავს. ღამ-ღამობით ქუჩებში მოჯირითე ლიმუზინებისთვისაც არ მოგიკრავს თვალი? თუ იცი, შიგ ვინ ზის ხოლმე? ჩვენივე თანაპარტიელი ამხანაგები! ერთობ გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი ახალგაზრდები, ვისაც ბრწყინვალე მომავალი ელოდება და მათი კრებითი სახელი პაველ სეროვია... გინახავს, თვითონ პაველ სეროვი როგორ იღებს ჯიბიდან საფულეს, კიდევ ერთი მეძავი რომ დაპატიჟოს შამპანურზე? და თუ დაფიქრებულხარ ოდესმე, ეს ფული საიდან აქვს? შენ თვითონ თუ შეგიდგამს როდისმე ფეხი ევროპულ რესტორანში? ალბათ, სულ ერთი-ორჯერ. მაგრამ ეგეც საკმარისია – აუცილებლად გადაეყრებოდი იქ ხიზილალით პირგამოტენილ ვინმე პატივსაცემ მოქალაქე მოროზოვს... ეგ ვინღააო,

იკითხავ? კვებტრესტის მმართველის მოადგილეა, ეგ არი და ეგ. საბ-ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთ-ერთი სახელ-მწიფო დაწესებულების თანამშრომელი. ჩვენ მსოფლიო პროლეტა-რიატის მედროშეებად მოგვაქვს თავი, ჩვენ გვინდა გავათავისუფ-ლოთ ტანჯული კაცობრიობა! არადა შეხედე ერთი ჩვენ პარტიას, შეხედე მის ამ ერთგულ წევრებს, რომელთა პარტბილეთებსაც ჯერ მელანი არ შეშრობია! შეხედე ერთი, როგორ იმკიან მოსავალს ჩვენი სისხლით მორწყულ მიწაზე... არადა, იმათ თვალში სწორედ ჩვენ არ ვჩანვართ საკმარისად წითლებად, რევოლუციონერებადაც აღარ გვთვლიან და ისე გვიშორებენ თავიდან, როგორც მოღალატეებს! ტროცკისტობას გვიყენებენ ბრალად და იმის გამო გვდევნიან, რომ მეფის ჩამოგდების მერეც, ჩვენ საკუთარ შეხედულებებზე უარი არ გვითქვამს და არც სინდისი გაგვიყიდია! იმიტომაც გვიშორებენ თა-ვიდან, რომ სწორედ ჩვენ ვუკიჟინებთ მოურიდებლად – რევოლუცი-აც მოახრჩვეთ და ხალხსაც უღალატეთ-თქო! მარტო ძალაუფლება დაიტოვეთ თქვენთვის და იმასაც მხოლოდ სისასტიკისა და ძალმომ-რეობისათვის იყენებთ! იმათ ჩვენ არ ვჭირდებით, არც შენ და არც მე. შენისთანა კაცის ადგილი საერთოდ არ არის არსად ამ ქვეყანაზე, ოღონდ შენ თვითონ ამას ალბათ ვერც ხვდები და ეგ კიდევ უკეთე-სი... იმედი მაქვს, როცა ამას მიხვდები, ჩემი ბურდღაც აღარ იქნება უკვე.

ანდრეი ისევ გულხელდაკრეფილი იდგა. ხმისამოუღებლად მიჩე-რებოდა ტიმოშენკოს. იმან ქურთუკს დასტაცა ხელი და ნაჩქარევად შეეცადა შემოეცვა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა ანდრეიმ.

– სადმე, სულ ერთია სად. აღარ მინდა აქ ყოფნა.

– სტეპან! შენ რა, მართლა გგონია რომ მე ვერაფერს ვხვდები? ოღონდ ამაზე ასე ყვირილი სიკეთეს არ მოიტანს. სხვათა შორის, არც სასმელში თავის ჩახრჩობა მგონია გამოსავალი. ბრძოლა ყო-ველთვის შეიძლება.

– აბა რა! მიდი, იბრძოლე! ოღონდ მე მაგ საქმეში არ გამოგადგები. წავედი, ცოტა უნდა დავლიო.

ანდრეი თვალს არ აშორებდა, ვიდრე ტიმოშენკო ქურთუკის ღილებს იკრავდა, მერე კი მეზღვაურის ის უვარსკვლავო ქუდიც ჩამოიფხატა თავზე.

– სტეპან, მითხარი ერთი, რას აპირებ...

– ახლა?

– არა, მომავალში. ხვალ, ზეგ...

– მომავალში? – ტიმოშენკომ თავი უკან გადააგდო და ისე გულიანად გაიცინა, მხრები აუთამაშდა.

– მომავალშიო... და დარწმუნებული ხარ, რომ ეგ მომავალი ოდესმე დაგვიდგება?

წინ წაიხარა და ორაზროვნად ჩაუკრა თვალი ანდრეის.

– როდისმე თუ გიფიქრიათ, ამხანაგო ტაგანოვ, იმ უცნაურ ამბავზე. რამდენი ჩვენი თანაპარტიელი იღუპება თავდაუზოგავი მუშაობისაგან? არ წაგიკითხავს მსგავსი ნეკროლოგები გაზეთებში – კიდევ ერთმა ჩვენთაგანმა შესწირა ჯანმრთელობა და სიცოცხლე რევოლუციის დიდ საქმეს... და ის თუ იცი, რომ ეს სამსახურებრივ ვალს შეწირული ხალხი, სინამდვილეში, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს? ოღონდ გაზეთები ცხადია, ამის თაობაზე კრინტსაც არ ძრავენ. უცნაურია, როგორ მომრავლდა ბოლო დროს პარტიის რიგებში ეგეთი თვითმკვლელები... ნეტავ რატომ?

– სტეპან...

– ანდრეიმ თავისი ღონიერი, ცივი ხელებით ჩაბღუჯა ტიმოშენკოს ვეება, ცხელი, უხეში ტორი.

– იმედია, შენ მაინც არ ფიქრობ...

– მე საერთოდ არაფერზე არ ვფიქრობ და ჭირსაც წაუღია ყველაფერი! ერთადერთი რაც ეხლა მინდა, სასმელია. სხვათა შორის, თუ რამეზე ფიქრი დავიწყე, აუცილებლად გესტუმრები გამოსამშვიდობებლად. პირობას გაძლევ.

კართან ანდრეიმ კიდევ ერთხელ შეაჩერა სტუმარი.

– იქნებ ცოტა ხანს ჩემთან დარჩენილიყავი, აქ გეცხოვრა?

სტეპან ტიმოშენკომ ისე მედიდურად აიქნია ხელი, თითქოს მანტიის ბოლო მოიგდო მხარზეო. თავი გადააქნია და ფეხათრეული გაემართა კიბისაკენ, თან ბუტბუტებდა:

– აქ არა. შენი დანახვაც არ მინდა, ანდრეი. მაგ შენი ოხერი სიფათის... იმიტომ რომ... რას გეტყვი, იცი? მე ერთი ძველი საბრძოლო ხომალდი ვარ, ერთიანად დაჟანგული და ძირგამომპალი. ოღონდ ფეხებზეც მკიდია. სუყველაფრის მიუხედავად, ბოლო ძალასაც მოვიკრებდი და ყველანაირად დავუდგებოდი მხარში იმ ერთადერთ ღირსეულ ადამიანს, რომელიც ამქვეყნად კიდევ მეგულება... ეს ადამიანი შენ ხარ, ანდრეი. ოღონდ არც ეგაა მთავარი – მთავარი ისაა, შენი გულისთვის თავიც რომ გავწირო და საკუთარი სიცოცხლეც დაუფიქრებლად დავთმო, შენ ეს მაინც ვერ გადაგარჩენს...

VII

კირა იდგა და მშენებარე სახლს მიჩერებოდა.

წითელი, გამოუწვავი აგურით ნაგები და თეთრი, ახალმოზელილი ცემენტით შედუღაბებული, დაკბილული კედლები მაღლა აზიდულიყო რუხი, მოსაღამოვებულზე ახლა კიდევ უფრო მეტად ჩამუქებული ცისკენ. ზემოთ, ლამის მთლად ღრუბლებქვეშ, მშენებლები საქმიანობდნენ და ქუჩასაც ერთიანად აყრუებდა ჩაქუჩების რაკარუკი, ძრავების გაბმული გუგუნი თუ ხარაჩოების, ხარიხებისა და ფიცარნაგების ქაოსიდან უეცრად გამოვარდნილი ორთქლის შიშინი. გაუნძრევლად მდგარი კირა ამ ყველაფერს სახეგაბადრული, თვალებგაფართოებული შესცქეროდა. ვიღაც სახეგარუჯული, ტუჩის კუთხეში ჩიბუხგაჩრილი ახალგაზრდა კაცი სხარტად მიძვრებოდა ხარაჩოებზე, სადაც წონასწორობის შენარჩუნება ფრიად საძნელო საქმე გახლდათ, თუმცა ყოველი მოძრაობა ჩაქუჩის მოქნევასავით

ზუსტი და მოზომილი ჰქონდა. კირა ვერც იტყოდა, უკვე რამდენ ხანს იდგა აქ ასე. ყველაფერი დავიწყებოდა, თვალწინ გადაშლილი ხედის გარდა. მერე, უეცრად, სულ მცირე ხნით, ისევ დაუბრუნდა თავისი სამყარო, ნათლად და მკაფიოდ დაუდგა თვალწინ ყოველივე ის, რაც თითქოს პირველად დაენახა ხანგრძლივი განშორების შემდეგ. ვერაფრით აეხსნა, თვითონაც რატომ არ იდგა ხარაჩოზე და იმ ჩიბუხიანი ახალგაზრდა კაცის მაგივრად, თავად არ ხელმძღვანელობდა მშენებლების საქმიანობას. ვერ გაეგო, მაინც რა უშლიდა ხელს, დაუყოვნებლივ ჩართულიყო თავისი ცხოვრების უმთავრეს საქმიანობაში და დაუფიქრებლად მიჰყოლოდა ამ თავის ერთადერთ ჟინს. ეს სულ წამიერად გაგრძელდა, ერთი ხანმოკლე გაელვების მსგავსად და კირამაც მხოლოდ მას შემდეგ გაიაზრა ყოველივე, რაც ეს წამი უკანმოუხედავად გაქრა. ხოლო როცა ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა, მაშინვე გაახსენდა კიდეც, რატომ არ შეეძლო იქ, ხარაჩოზე მდგარიყო, რა მიზეზის გამო გადაუკეტეს სამუდამოდ, საყვარელი საქმისაკენ მიმავალი ყველა გზა. ახლა სამად-სამი სიტყვაღა უტრიალებდა თავში და ეს სიტყვები უვსებდა სადღაც მკერდიდან ამომავალ სიცარიელეს: „ეგებ... ოდესმე..... საზღვარგარეთ". მხარზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო.

– აქ რას აკეთებთ, მოქალაქე? აწოწილი მილიციელი იჭვნეულად დასცქეროდა ზემოდან. თავ-ზე ოქროსვარსკვლავიანი, ხაკის წოწოლა ქუდი ჩამოეფხატა. თვალმოჭუტული მიჩერებოდა კირას და მსუქანი, უფორმო ტუჩები უშნოდ დაბრეცოდა:

– უკვე ნახევარი საათია ასე დგახართ. რა გინდათ, რას მიჩერებიხართ?

– არაფერს, – მიუგო კირამ.

– მაშინ, გაიარეთ... აქ ნუ გაჩერდებით.

– უბრალოდ, ვუყურებ, – თქვა კირამ.

– არაფერია აქ თქვენი საყურებელი, – ისევ ისე დაბრიცა დონდლო ტუჩები მილიციელმა.

კირა უსიტყვოდ შეტრიალდა და წამოვიდა.

კაბის შიგნიდან მიკერებულ პატარა ჯიბეში, კვირიდან კვირამდე სულ უფრო იზრდებოდა იმ ფულის დასტა, რომლის გადანახვასაც კირა, ლეოს უგნური მფლანგველობის მიუხედავად, როგორღაც მაინც ახერხებდა. ეს სწორედ ის დანაზოგი გახლდათ, რასაც მათი სამომავლო ცხოვრება უნდა დაფუძნებოდა და თან ვინ იცის, ეგებ საზღვარგარეთაც...

ის ახლა ექსკურსიამძღოლთა შეკრებიდან ბრუნდებოდა შინ. ცოტა ხნის წინ, მათ ბიუროში გამოცდაც გაიმართა თანამშრომელთა პოლიტიკური გათვითცნობიერების დონის შესამოწმებლად. განიერ მაგიდას ერთი თავგადახოტრილი კაცი უჯდა. აცახცახებული, შიშისაგან ტუჩებგაფითრებული ექსკურსიამძღოლები კი რიგ-რიგობით პასუხობდნენ მის შეკითხვებს. დაზეპირებულივით სხაპასხუპით, ოღონდ არაბუნებრივად ხალისით ამბობდნენ სათქმელს. კირამაც ამომწურავად ისაუბრა ისტორიულ ადგილებში ექსკურსიების ჩატარების მნიშვნელობაზე საზოგადოების პოლიტგანათლებისა და მუშათა მასებში კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების კუთხით. მერე იმ შეკითხვასაც იოლად გასცა პასუხი, რაც დიდ ბრიტანეთში საფეიქრო დარგის მუშაკთა უკანასკნელ გაფიცვას ეხებოდა. სხაპასხუპითვე ჩამოარაკრაკა სახალხო განათლების კომისრის ბოლო დადგენილება თურქესტანის რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, თუმცა დონბასში ბოლო წლის განმავლობაში მოპოვებული ქვანახშირის ზუსტი ოდენობის დასახელება გაუჭირდა.

– თქვენ რა, გაზეთებს არ კითხულობთ, ამხანაგო? – მკაცრად დაეკითხა გამომცდელი.

– რა თქმა უნდა ვკითხულობ, ამხანაგო.

– მაშინ, გირჩევთ უფრო მეტი გულისყურით წაიკითხოთ ხოლმე. ჩვენ არაფერში გვჭირდება ძველი ყაიდის ვიწრო სპეციალისტები,

რომლებსაც საკუთარი დარგის გარდა, სხვა არც არაფერი აინტერესებთ. დღევანდელი განმანათლებელი პოლიტიკურად მომზადებულიც უნდა იყოს და ყველაფერი აინტერესებდეს საბჭოური სინამდვილის შესახებ, ძირისძირამდე ერკვეოდეს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის თითოეულ მიმართულებაში... შემდეგი!

თავისუფლად შეიძლებოდა, ამის შემდეგ კირა სამსახურიდან დაეთხოვათ, თუმცა შინ მიმავალი, ამაზე მაინც მშვიდად ფიქრობდა; თავსაც იმხნევებდა – წინასწარ არ უნდა ვიღელვოო, მით უმეტეს, რომ უკვე აღარც შეეძლო ასე ყველაფერზე გულის კანკალი. არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა საკუთარ თავს უფლებას, თვითონაც ამხანაგი ნესტეროვას მდგომარეობაში აღმოჩენილიყო – იმ ასაკოვანი ექსკურსიამძღოლის, რომელიც თან უკვე მთელი ოცდაათი წელი სკოლის მასწავლებლადაც მუშაობდა; ახლა ის ექსკურსიასა და ექსკურსიას შორის, სკოლაშიც ასწრებდა გაკვეთილების ჩატარებას, სხვადასხვა წრეების შეკრებებზეც დაიარებოდა, დამბლადაცემულ დედასაც უმზადებდა საჭმელს და მერე, ღამ-ღამობით გაზეთების კითხვითაც ითხრიდა თვალებს, რათა თითოეული სიტყვა ზეპირად დაესწავლა, გამოცდაზე გასასვლელად. ამხანაგ ნესტეროვას ძალიან აშინებდა სამსახურის დაკარგვა. არადა, როცა გამომცდელის წინ დადგა მაგიდასთან, კრინტის დაძვრა ვერ მოახერხა, ერთი სიტყვა ვერ ამოღერღა და საბოლოოდ, ისტერიკაშიც კი ჩავარდა. ოთახიდან საჩქაროდ გაიყვანეს და ექიმიც გამოიძახეს. ოღონდ ექსკურსიამძღოლთა სიიდან მაშინვე ამოშალეს.

სახლს რომ მიუახლოვდა, გამოცდა საერთოდ აღარც ახსოვდა. კირა ახლა მხოლოდ ლეოზე ფიქრობდა. იმის გამოცნობას ცდილობდა, ამ საღამოს როგორ დამხვდებაო. ამგვარი შეკითხვა, რომელიც ცოტა არ იყოს, აფორიაქებდა კიდეც, ყოველ ჯერზე უჩნდებოდა, როცა კი შინ შედარებით გვიან ბრუნდებოდა და იცოდა, ლეო უკვე იქ დაუხვდებოდა. ლეო ყოველ დილით ადრიანად გადიოდა სახლი-

დან, ერთთავად მომღიმარი, მხიარული და სიცოცხლით სავსე, ოღონდ კირამ წინასწარ არასოდეს იცოდა, როგორი სანახავი იქნებოდა ის დღის ბოლოს. ხანდახან, როცა თავადაც გვიან მივიდოდა ხოლმე სამსახურიდან სახლში, ლეო წამოწოლილი, რომელიმე უცხოურ წიგნს კითხულობდა; მხოლოდ ზრდილობის გულისათვის გაეპასუხებოდა კირას მისალმებას, ჭამაზეც უარს ამბობდა და შიგადაშიგ, უგულოდ ჩაიცინებდა ხოლმე, როცა წიგნში მათგან ასეთი შორეული სამყაროს ამა თუ იმ მიმზიდველ ამბავს ამოიკითხავდა. ზოგჯერ მთვრალიც მოსულა, ოთახში უაზროდ დაბორიალობდა, იქედნურად იცინოდა და თუ კირა ზედმეტ ხელგაშლილობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, პირდაპირ მის თვალწინ ფლეთდა ხოლმე ნაკუწებად ქაღალდის ფულს. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ სახლში მოსულს, ანტონინა პავლოვნაც ხვდებოდა იქ, რომელიც ხელოვნებაზე ესაუბრებოდა ლეოს. ის კი ლამის დაუფარავად ამთქნარებდა მოწყენილობისაგან და ისე ეპასუხებოდა სტუმრის ნათქვამს, თითქოს საერთოდ არც ესმოდა საკუთარი სიტყვები. ზოგჯერ, ოღონდ მაინც იშვიათად, ღიმილითაც ეგებებოდა, ისეთი ცოცხალი, კრიალა თვალებით შემოსცქეროდა, როგორიც კირას უკვე კარგა ხანია აღარ ენახა. გაცნობის პირველი დღეებიდან თუ ახსოვდა მხოლოდ. ასეთ დროს, ფულსაც ძალით უკუჭავდა ხოლმე ხელში და ჩურჩულით სთხოვდა – შენ შეინახე, დამიმალე, ერთ მშვენიერ დღეს გასაქცევად გამოგვადგება, ევროპაში წასასვლელადო... თუ მომეხმარები არაფერზე ვიფიქრო, სანამ ეგ დღე დადგებოდეს, თუკი ორივე მოვახერხებთ და არაფერზე არ ვიფიქრებთო...

კირამ მართლაც მოახერხა ესწავლა, როგორ არ ეფიქრა არაფერზე. მხოლოდ ის ახსოვდა მუდმივად, რომ ეს ლეო იყო და თავადაც სხვა არაფერი ჰქონდა უკეთესი ცხოვრებაში, ვიდრე მისი ხმის გაგონება, მისი ხელების მოძრაობის ცქერა, მისი სხეულის მოხაზულობის თვალიერება და რომ უთუოდ ჯებირად უნდა დამდგარიყო ლეოსა

და იმ რაღაც უშველებელს, უსახელოს შორის, რაც ჯიუტად, აუჩქარებლად მოიწევდა მისკენაც, უკვე ამდენი მისნაირის შთანმთქმელი და გადამყლაპავი. ამგვარ ჯებირობასაც უყოყმანოდ იკისრებდა, რადგან სხვას არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. კირა წარსულზე აღარასოდეს ფიქრობდა, ისევე როგორც მომავალზე არ ფიქრობდა არავინ მის ირგვლივ.

– არ ფიქრობდა არც ანდრეიზე; არასოდეს მიუცია საკუთარი თავისთვის უფლება, თუნდაც ევარაუდა, როგორი იქნებოდა ის დღეები და ეგებ წლებიც კი, რომლებიც მათ ელოდათ წინ. მხოლოდ იმაში იყო დარწმუნებული, რომ მეტისმეტად შორს შეტოპა და უკან ვეღარ დაბრუნდებოდა. ოღონდ საკმარისად გონიერი იყო საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო – ლეოს ვერასოდეს მიატოვებდა და საკმარისად მამაცი, რათა ეს არც კი ეცადა. იმ დარტყმის ასარიდებლად, რასაც ლეო ვერ გაუძლებდა, კირა ჩუმად, უხმაუროდ იხდიდა ამ საზღაურს. თან გულის სიღრმეში იმასაც უტყუარად გრძნობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამ საზღაურის გადახდასაც დაესმებოდა წერტილი: ალბათ სწორედ იმ დღეს, როცა მისთვის და ლეოსთვის საზღვარგარეთ გასაღწევი გზა გაიხსნებოდა. მაშინ მართლა უყოყმანოდ დასვამდა წერტილს, თუკი ლეო მართლა უსაფრთხოდ იქნებოდა უკვე და არც უიმისობა შეეძლებოდა. სხვას კი არც არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.

– კირა, შენა ხარ? – მოისმა ხალისიანი ხმა სააბაზანოდან.

მერე ლეოც შემოვიდა ოთახში. წელსზემოთ შიშველს, ხელში პირსახოცი ეჭირა, სახეზე წყლის წვეთები შერჩენოდა, იღიმებოდა და მალი-მალ იწევდა შუბლიდან დაუვარცხნელ თმას.

– კარგია რომ დროზე მოხვედი. ვერ ვიტან, როცა მოვდივარ და შინ არ მხვდები ხოლმე.

ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ზაფხულის ცხელ დღეს, ეს-ესაა მდინარიდან ამოვიდა და სველ ბეჭებზე მზის სხივები დასთამაშებენო.

მოძრაობითაც ისე მოძრაობდა, იფიქრებდი სხეული ერთიან, ცოცხალ ნებისყოფად გადაქცევია ამ წარმოსადეგ, მხრებში გაშლილ, მბრძანებლურად ქედმაღალ კაცსო. ეს ნება და ეს სხეული წესით, არაფერს არ უნდა გაეტეხა, რადგან ერთიცა და მეორეც იმთავითვე უტეხად ჩაეფიქრა განგებას.

კირა გაუნძრევლად იდგა, მიახლოებისაც კი ეშინოდა. ეშინოდა, რამით არ დაეფრთხო ის იშვიათი წამი, როცა ლეო სწორედ ისეთი იყო ხოლმე, როგორიც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, როგორიც უთუოდ უნდა ყოფილიყო კიდეც.

კაცი თვითონვე მიუახლოვდა, ყელზე შეეეხო თითებით, თავი უკან გადააწევინა და ხარბად დაეწაფა კირას ტუჩებს. ოღონდ მის ყოველ მოძრაობაში მაინც რაღაც აგდებული სინაზე იგრძნობოდა, ერთდროულად მბრძანებლურიცა და ხარბიც; მიჯნურზე მეტად, მონათმფლობელს უფრო ჰგავდა. კირა მკლავებში ჩაფრენოდა, ენით ლოკავდა მბზინავ წვეთებს მისი კანიდან და ყველა კითხვაზე პასუხიც მშვენივრად მოეხსენებოდა. კარგად იცოდა, რაც ედო საფუძვლად მის თითოეულ დღეს, რატომ იტანდა რასაც იტანდა და რის გამო ივიწყებდა იმას, რასაც ივიწყებდა. მეტი არც არაფერი სურდა და არც სჭირდებოდა.

* * *

ხანდახან კირას ირინა სტუმრობდა – შემოურბენდა ხოლმე, თუკი კლუბში თავისუფალი საღამო გამოუჩნდებოდა. კისკისებდა, მთელ ოთახში აქეთ-იქით აბნევდა სიგარეტის ფერფლს, გაუთავებლად ყვებოდა უახლეს, ყველაზე სახიფათო პოლიტიკურ ანეკდოტებს და ნაცნობ-მეგობრების კარიკატურებსაც ხატავდა მაგიდის თეთრ გადასაფარებელზე.

ოღონდ ისეთ დღეებში, როცა ლეო გვიანობამდე რჩებოდა თავის მაღაზიაში და ანთებულ ბუხარს მხოლოდ კირა და ირინა უსხდნენ

ხოლმე, ირინა ყოველთვის როდი იყო ხუმრობისა და კისკისის ხასიათზე: ზოგჯერ დიდი ხნით გაყუჩდებოდა და როცა ბოლოს თავს აიღებდა, როცა ისევ შეხედავდა კირას, მისი დაფეთებული თვალები თითქოს შველას ითხოვდა. ერთხელაც, ერთ ასეთ საღამოს, ცეცხლს მიჩერებული ირინა აჩურჩულდა:

– მეშინია, კირა... არ ვიცი რატომ... მართალია მხოლოდ ხანდახან წამომივლის ხოლმე, მაგრამ მაინც ძალიან მეშინია. რა გველის ჩვენ, ყველას? აი, ეგ მიხეთქავს გულს. თავად შეკითხვა კი არა, იმის გააზრება, რომ ამ შეკითხვას ვერავის დაუსვამ. თუ მაინც ჰკითხავ და თან სახეში მიაჩერდები იმ მეორე ადამიანს, თვალებში თუ ჩახედავ, იმწამსვე დარწმუნდები, რომ ისიც იგივეს განიცდის, ზუსტად ისეთივე შიშს და ამიტომაც გიჭირს რაიმეს კითხვა, მაგრამ თუ მაინც გაბედე, ვერაფერს აგიხსნიან... იცი, ყველანი დიდი მონდომებით ვცდილობთ საერთოდ არ ვიფიქროთ არაფერზე, ხვალინდელ დღეზეც კი. ხვალინდელზე კი არა, თუნდაც იმაზე, ერთი საათის მერე რა იქნება... იცი რაში ვარ დარწმუნებული? შეგნებულად გვიკეთებენ ამას. არ უნდათ რომ ვიფიქროთ. სწორედ მაგიტომ გვამუშავებენ ისე, როგორც ჩვენ ვმუშაობთ და რადგან მთელი დღის მუშაობისა და სამსახურის მერე რიგებში დგომის შემდეგ მაინც გვრჩება დრო, ის უკვე საზოგადოებრივი დატვირთვით და გაზეთების სავალდებულო კითხვით უნდა ამოვავსოთ. გითხარი, იმ კვირაში კინაღამ კლუბიდან რომ დამითხოვეს? რაღაც მკითხეს ბაქოს მახლობლად აღმოჩენილი ნავთობის ახალი საბადოს თაობაზე, მე კი ამის შესახებ ყურმოკვრითაც არაფერი ვიცოდი. ისე, ჩვენში დარჩეს, რაში მენაღვლება ბაქოში აღმოჩენილი ნავთობი, თუ ჩემი შვრიის სალაფავის სანაცვლოდ, იმ დამპალი პლაკატების ხატვა მევალება? ან რატომ უნდა ვიზეპირო ლექსივით ეგ საგაზეთო სტატიები? რა თქმა უნდა, პრიმუსისთვის ნავთი მეც მჭირდება, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი უნართოდ ვახშამს ვერ მოვიმზადებ, ამიტომ ზეპირად უნდა ვიცოდე

ყველა იმ ოხერ საბადოზე მომუშავე, აქოთებული მუშის გვარ-სახელი, საიდანაც ნავთობს იღებენ? თხუთმეტი წუთით პრიმუსის დასანთებად დღეში ორი საათი თავაუღებლად უნდა ვიკითხო ახალი ამბები სახელმწიფო აღმშენებლობასთან დაკავშირებით? მოკლედ, ეგრეა და ჩვენ ვერც ვერაფერს გავაწყობთ... რომც ვცადოთ, კიდევ უარესი. აი მაგალითად, საშა... რომ იცოდე, როგორ მეშინია! საშა... კარგი, შენ ხომ არ მოგატყუებ, კირა... თან შენ ხომ ისედაც იცი, რასაც აკეთებს... მოკლედ, რაღაც საიდუმლო ორგანიზაციაშია და ასე ჰგონია, ამ ხელისუფლებას დაამხობენ, ხალხს გაათავისუფლებენ... ეს ჩემი ვალდებულებაო, გაიძახის. არადა, მე და შენ მაინც ხომ მშვენივრად ვიცით, ამ „დიადი ხალხის“ ნებისმიერი წარმომადგენელი სიამოვნებითაც კი დაასმენს გპუ-ში, ერთი ზედმეტი გირვანქა პურის სანაცვლოდ! ფარულად იკრიბებიან, რაღაცეებს ბეჭდავენ და მერე ამ ფურცლებს ფაბრიკა-ქარხნებში ავრცელებენ. საშა ამბობს, საზღვარგარეთიდან დახმარებას არ უნდა ველოდოთ, საკუთარი თავისუფლებისთვის ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთო. მითხარი რა ვქნა რა გავაკეთო? მინდა ამ ყველაფერზე ხელი ავაღებინო, მაგრამ თან არავითარი უფლება რომ არა მაქვს? ისიც ვიცი, ადრე თუ გვიან დაიჭერენ... გახსოვს ის სტუდენტები, გაზაფხულზე ციმბირში რომ გადაასახლეს? ასობით ათასობით... გაგიგია იმათზე მერე რამე? საშა ობოლია, ჩემს გარდა ამქვეყნად არავინ ჰყავს. ყველანაირად ვეცდებოდი გამეჩერებინა, მაგრამ ყურსაც არ დამიგდებს და მართალიც იქნება... არადა, ძალიან მიყვარს. მართლა ძალიან... ვიცი ციმბირი არ აცდება, ოღონდ მაგით ვის რა... რა შეიცვლება მაგით, კირა?

* * *

შინისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა საშა ჩერნოვმა ქუჩის კუთხეში შეუხვია. ოქტომბრის ბნელი საღამო იდგა და ის პატარა ხელიც, რომელიც პალტოს ქამარში ჩააფრინდა, თითქოს უცბად გამოსხლტა არსაიდან. მერე პაწია თავზე შემოხვეული თავსაფარიცა და მისკენ

ქვემოდან მომზირალი ორი დიდი, დაზაფრული თვალიც გაარჩია.

– მოქალაქე ჩერნოვ, – უჩურჩულა გოგომ, აცახცახებული სხეულით ზედ ფეხებზე მიეკრო და არ უშვებდა.

– შინ ნუ წახვალთ...

ახლაღა იცნო მეზობლის ქალიშვილი. გაუღიმა, თავზეც გადაუსვა ხელი, თუმცა უნებურად, მაინც გადგა გვერდზე, კედლის ჩრდილს შეეფარა.

– რა მოხდა, კატია?

– დედამ დამაბარა, უთხარი შინ ნუ მოვაო...

– სხაპასხუპით მიაყარა გოგომ.

– თქვენთან ვიღაც უცხო კაცები არიან. იატაკზე გადმოყარეს მთელი წიგნები...

– დედას ჩემგან მადლობა უთხარი, – ჩურჩულით უთხრა საშამ, მაშინვე შემოტრიალდა და იქაურობას გაერიდა, თუმცა მანამდე მაინც მოჰკრა თვალი თავისი სახლის სადარბაზოსთან გაჩერებულ შავ ლიმუზინს.

საყელო აიწია და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. გზად რესტორანში შეიარა და ტელეფონით სადღაც დარეკა. უცნობმა, უხეშმა ხმამ უპასუხა. საშას სიტყვაც აღარ დაუძრავს, ისე დაკიდა ყურმილი. აშკარა იყო, მისი ამხანაგი უკვე დაეპატიმრებინათ.

იმ საღამოს საიდუმლო შეკრება ჰქონდათ. სამომავლო გეგმები დასახეს, მუშათა შორის აგიტაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით და ახალი საბეჭდი დაზგის შოვნაზეც ილაპარაკეს. ოდნავ ჩაეღიმა იმის წარმოდგენაზე, რა სახე დაედებოდათ გპუ-ს აგენტებს, როცა მის ოთახში ანტისაბჭოური პროკლამაციების დასტებს იპოვიდნენ. მერე უცებვე მოიღუშა. ეს პროკლამაციები ხომ ხვალ, მთელი პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებში უნდა დაერიგებინათ!

ტრამვაის შეახტა და კიდევ ერთი სხვა ამხანაგის სახლისკენ გაემგზავრა. ქუჩის კუთხეში რომ შეუხვია, იმ სახლის სადარბაზოსთანაც დაინახა შავი მანქანა. საჩქაროდ გამოეცალა იქაურობას.

რკინიგზის სადგურში მისულმა, ერთხელ კიდევ დარეკა ტელეფონით, ამჯერად სხვა ნომერზე. ზარს არავინ უპასუხა.

ატალახებულ ქუჩაში უკვე მძიმედ მიაბიჯებდა, ახლა სხვა მისამართით. კიდევ ერთი ამხანაგის ოთახში შუქი არ ენთო, თუმცა დაინახა, უკანა ეზოს ჭიშკართან როგორ ეჩურჩულებოდა მეზობელ ქალს მეეზოვის აღელვებული ცოლი. ყველაფერს მიხვდა და აღარც იმ სახლს გაკარებია.

შიშველ, უხელთათმანებო, გათოშილ ხელებზე იორთქლებდა მალიმალ და უკვე სხვა ამხანაგის ბინისკენ მიეშურებოდა. აქ ფანჯარაში შუქი კი ენთო, მაგრამ რაფაზე უცნაური მოხაზულობის ლარნაკი იდგა, რაც წინდაწინ შეთანხმების თანახმად, საფრთხის ნიშნად უნდა აღექვა.

– კიდევ ერთხელ შეახტა ტრამვაის. უკვე გვიანი იყო და გაჩახჩახებულ ვაგონში მის გარდა, სულ ორიოდ მგზავრი თუ იჯდა. მერე ვიღაც სამხედრო ამოვიდა და საშაც მომდევნო გაჩერებაზე ჩახტა.

ჩამქრალი ლამპიონის ბოძს მიეყრდნო ზურგით, შუბლი მოიწმინდა. თოვლის ფიფქებზე უფრო ცივი ოფლის წვეთებით დანამვოდა.

ჩაბნელებულ ქუჩას მიუყვებოდა სწრაფი ნაბიჯით, როცა ქუჩის მეორე მხარეს, ვითომ თავისთვის მოსეირნე, ძველებურ, ფართოფარფლებიან ქუდჩამოფხატულ მამაკაცს ჰკიდა თვალი. საშამ კუთხეში შეუხვია. ორი კვარტალი გაიარა, მერე ისევ შემობრუნდა, ერთი კვარტალი საპირისპირო მიმართულებით იარა და ისევ სხვა მხარეს გაუხვია. მხოლოდ ახლაღა მიიხედა ფრთხილად ზურგსუკან. ქუდიანი აფთიაქის ვიტრინას ათვალიერებდა, მისგან სამი სახლის მოშორებით.

საშამ კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს. ჩაკეტილ ჭიშკრებთან აწოწილი ლამპიონების ყვითელ შუქში თოვლის რუხი ფანტელები რიალებდნენ. ახლა ფეხქვეშ ატალახებული თოვლისა და საკუთარი ქოშინის მეტი, სხვა არანაირი ხმა არ მოისმოდა. თუმცა, ამ ხმების, სადღაც შორიდან მომავალი ბორბლების ჭრიალისა და მისსავე მკერდში

ყრუ გუგუნის მიღმაც, მაინც უცებ გაარჩია ამოსუნთქვასავით სუსტი, მსუბუქი ფეხის ხმა, რომელიც კვალდაკვალ ადევნებოდა.

– იქვე მოწყვეტით შედგა და უკან მიიხედა. ქუდიანიც იმწამსვე წელში მოიხარა და ფეხსაცმლის ზონრის შეკვრა დაიწყო. საშამ თვალი აარიდა. უკვე მისთვის ძალიან კარგად ნაცნობი სახლის სადარბაზოსთან იდგა. დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება: სადარბაზოში დურთა თავი და კარსუკან, სიბნელეში შეიყუჟა. სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს, როგორ ჩაიარა ქუდიანმა; გაიგონა, მისი ნაბიჯების ხმაც როგორ მისუსტდა თანდათან. მერე სულ მიწყდა. ცოტა ხანში კი ისევ მოახლოვდა და ქუდიანმაც ერთხელ კიდევ ჩაუარა სადარბაზოს. კარგა ხანს მიდი-მოდიოდა ასე, აქეთ-იქით, დაბნეული და საგონებელში ჩავარდნილი.

საშამ დრო იხელთა, უხმაუროდ აირბინა კიბე და კარზე დააკაკუნა. კარი ირინამ გაუღო. საშამ თითი ტუჩებზე მიიდო და ჩურჩულით ჰკითხა: – ვიქტორი შინაა? – არა, – ჩურჩულითვე მიუგო ირინამ.

– იმის ცოლი? – სძინავს.

– შეიძლება შემოვიდე? მომდევენ. ირინამ საშას პალტოში ჩაავლო ხელი, ლამის შეათრია შინ და კარიც ძალიან ფრთხილად, ნელ-ნელა, უხმაუროდ მიხურა. საკეტს ჩქამიც არ გაუღია.

* * *

სტუმრად მოსულ გალინა პეტროვნას ხელში რაღაც ფუთა ეჭირა.

– საღამო მშვიდობისა, კირა! ღმერთო ჩემო, რა სუნი დგას ამ ოთახში?

კირა აუჩქარებალად, გულგრილი სახით წამოდგა და წიგნი მაგიდაზე დააგდო.

– საღამო მშვიდობისა, დედა. ლავროვებისაგან შემოდის. კომბოსტოს ამწნილებენ.

– ღმერთო შენ მიშველე! აი თურმე რას ურევდა იმ კასრში... მთლად ველურია ეგ ბებერი ლავროვი, გამარჯობასაც არ მეუბნება.

არადა, გარკვეული თვალსაზრისით, ნათესავებად ვერგებით ერთმანეთს.

კარსიქიდან მოისმოდა, როგორ ურევდნენ ხის ჩამჩას კომბოსტოიან კასრში. ლავროვის ცოლიც მალი-მალ, გულისგამაწვრილებლად ოხრავდა:

– გვიწია ცოდვებმა. რა შევცოდეთ ამის ფასი...

კუთხეში ბიჭი შეშას აპობდა და ყოველ დარტყმაზე, ბროლის შანდალში დანთებული სანთლის ალი ციებიანივით ცახცახებდა. ლავროვები მათი ქალიშვილის გადასვლის შემდეგ დაბინავდნენ ამ ოთახში. მანამდე მუშათა ორ სხვა ოჯახთან ერთად იყოფდნენ სხვენს რომელიღაც მიტოვებულ შენობაში. ამიტომ, ეს ცვლილება მათთვის ნამდვილად დიდად სასიხარულო გახლდათ.

– ლეო არ მოსულა ჯერ? – იკითხა გალინა პეტროვნამ.

– არა, წუთი-წუთზე ველოდები, – მიუგო კირამ.

– სკოლაში მივდივარ და გზად შემოგიარეთ...

– გალინა პეტროვნას სიტყვა გაუწყდა, მერე ფუთას დაუწყო წვალება. ღიმილით მოუბოდიშასავით ქალიშვილს და ვითომ სასხვათაშორისოდ გააგრძელა სათქმელი.

– მოკლედ, რაღაცის საჩვენებლად შემოგირბინე. ნახე ერთი, თუ მოგეწონება, ეგებ გეყიდა...

– მეყიდა? – გაიმეორა გაოცებულმა კირამ.

– რა არის ეგეთი?

გალინა პეტროვნამ ფუთა გახსნა და ხელებაცახცახებულმა, იქიდან ძველმოდური, თეთრმაქმანებიანი გრძელი კაბა ამოიღო. თან დამნაშავესავით არიდებდა მზერას.

– ეს ხომ შენი საქორწინო კაბაა, დედა! – სახტად დარჩა კირა.

– იცი...

– გალინა პეტროვნა ჩქარ-ჩქარა, სხაპასხუპით შეეცადა შვილისთვის ყველაფერი აეხსნა.

– სკოლაში სწორედ გუშინ კი მომცეს ხელფასი, მაგრამ მე თურმე

არც ვიცოდი, ქიმიური თავდაცვის პროლეტარული საზოგადოების წევრი ვყოფილვარ და იმოდენა საწევრო დამიკავეს... არადა მამა-შენს ახალი ფეხსაცმელი სჭირდება. ხარაზმა თქვა, ძველებს აღარა-ფერი ეშველებაო. ამ ხელფასით ვაპირებდი მეყიდა, ოღონდ ეს ქი-მიური თავდაცვა... ისე, ამ კაბას შენც მშვენივრად მოირგებდი, დაგ-ხატავდა! ქსოვილიც მშვენიერია და მეც მხოლოდ ერთადერთხელ მეცვა. რა ვიცი, ვიფიქრე – ეგებ საღამოს კაბად გამოადგეს-მეთქი...

– დედა! – ისეთი მკაცრი ხმით წამოიწყო კირამ, თავადვე გაუკ-ვირდა კიდეც.

– მშვენივრად იცი, რომ თუ რამე დაგჭირდება...

– ვიცი შვილო, როგორ არ ვიცი, – შეაწყვეტინა გალინა პეტროვ-ნამ და დანაოჭებული სახე უცებ ვარდისფრად შეეფაკლა.

– შენ მართლა შესანიშნავი შვილი ხარ, მაგრამ უკვე იმდენი გა-აკეთე ჩვენთვის, მერიდება კიდეც რამის თხოვნა. ამიტომაც ვიფიქ-რე, ეგება ჯობდეს, თუკი... ოღონდ თუ კაბა არ მოგწონს...

– კი, მომწონს, – სიტყვა აღარ გააგრძელებინა კირამ.

– და ვიყიდი კიდეც.

– მე მართლა არაფერში მჭირდება, – ბუტბუტებდა გალინა პეტ-როვნა.

– გამიხარდება, შენ თუ მოიხმარ.

– სხვათა შორის, მართლა ვაპირებდი ეგეთი კაბა მეყიდა, – იც-რუა კირამ.

– მაშინვე საფულე მოიძია. ახალთახალი, ჯერაც ტკიცინა ქაღალ-დის ფულით გატიკნული. წუხელ შინ გვიან დაბრუნებულმა, აბარბა-ცებულმა ლეომ ჯერ ხომ კოცნა და კოცნა, მერე კი ჯიბეებიდან სულ დასტა-დასტა ფანტა ფული იატაკზე, ბოლოს კი ძალით ჩაუჩურთა კირას საფულეში. თან იცინოდა და გაიძახოდა: „მიდი, დახარჯე, ამა-ზე მეტი მოუვა კიდევ, ერთი ახალი გარიგებაც ამხანაგ სეროვთან და... მოკლედ, გეუბნები – რაშიც გინდა ხარჯე-მეთქი! “ – მთელი ეს ფული, ბოლო კაპიკამდე, გალინა პეტროვნას ჩაუდო ხელში.

– რას შვები, შვილო! – ავიშვიშდა ისიც.

– რა ამბავია, ამდენი არ ღირს ეს კაბა!

– ღირს, როგორ არ ღირს. მარტო მაქმანი რად ღირს... ნუ მეკამათები, დედა! აქეთ დიდი მადლობელი ვარ შენი.

დამფრთხალმა გალინა პეტროვნამ ნაჩქარევად ჩატენა ფული თავის ძველ ჩანთაში, მერე ქალიშვილს შეხედა, მძიმედ გადააქნია თავი, დარდიანად და ჩაიბუტბუტა:

– მადლობელი ვარ, შვილო...

მისი წასვლის შემდეგ, კირამ საქორწინო კაბა მოიზომა. კაბა გრძელი მოუვიდა და შუა საუკუნეების დროინდელი სამოსივით გამოიყურებოდა; მოტკეცილი სახელოები ნახევრამდე უფარავდა ხელის ზურგს, მომდგარი, მაღალი საყელო კი ნიკაპამდე სწვდებოდა. ერთიანად მაქმანებით გაწყობილს, სხვა არანაირი მოკაზმულობა არ ამშვენებდა.

კირა მაღალი სარკის წინ იდგა, დოინჯშემოყრილი; თავი უკან გადაეგდო, გაშლილი თმა თეთრად შემოსილ მხრებზე ეფინა და აბლაბუდასავით სიფრიფანა მაქმანებში გამოხვეული, ჩვეულებრივზე უფრო მაღალი, თხელი და მყიფე ჩანდა. ისე ათვალიერებდა საკუთარ თავს, როგორც ვიღაც უცხო, უცნობ, საუკუნეთა მიღმიდან მოვლენილ არსებას. უეცრად კიდევ უფრო ჩამუქებული თვალებიც რაღაც სხვანაირი შიშით გადიდებოდა.

კაბა გაიხადა და ტანსაცმლის კარადის კუთხეში შეჩურთა.

ლეომ ანტონინა პავლოვნაც მოიყვანა თან. ქალს სელაპის ტყავის ლაბადა ეცვა და თავზე იისფერი აბრეშუმის თავსაბურავი შემოეხვია. იმდენი ფრანგული სუნამო დაესხა ზედ, მაშინვე ჩაახშო ლავროვების კომბოსტოს სუნი.

– მოსამსახურე გოგო სადაა? – იკითხა ლეომ.

– გავუშვი უკვე. კარგა ხანს გელოდეთ, მაგრამ დღეს ძალიან შეგაგვიანდა, ლეო.

– ეგ არაფერი. რესტორანში ვისადილეთ მე და ტონიამ. შენ ხომ

არ გადაგიფიქრებია, კირა? ხომ მოდიხარ ჩვენთამ ერთად, კლუბის გახსნაზე?

– ძალიან ვწუხვარ ლეო, მაგრამ ვერ მოვახერხებ. სწორედ დღეს საღამოს ექსკურსიამძღოლების შეხვედრაა დანიშნული. ისე, ჩვენში დარჩეს და, შენ თვითონ მართლა გინდა წასვლა? ბოლო ორ კვირაში ეს უკვე მესამე ღამის კლუბის გახსნაზე მიდიხარ...

– ეს სულ სხვა რამეა, – ჩაერია ანტონინა პავლოვნა.

– ნამდვილ კაზინოს ხსნიან. ზუსტად ისეთს, როგორებიც უცხოეთშია, მონტე-კარლოში.

– შენ რა, ისევ თამაშს აპირებ, ლეო? – უმწეოდ ამოიოხრა კირამ.

– რატომაც არა? – გაეცინა ლეოს.

– რამდენიმე ასეული მანეთიც რომ წავაგოთ, ეგეც არაფერი... ასე არაა, ტონია?

ანტონინა პავლოვნამ ჩაიღიმა და ნიკაპი წინ გამობზიკა:

– რა თქმა უნდა! ეს-ესაა, კოკოს გამოვექეცით, კირა ალექსანდროვნა...

– აქ თანამზრახველივით დაუწია ხმას.

– და უნდა გითხრათ, ზეგ სეროვი თეთრი ფქვილის ახალ პარტიას აგზავნის. არა, იცის ამ კაცმა თავისი საქმე! პირდაპირ აღტაცებული ვარ მისი მოხერხებულობით!

– უცებ გამოვიცვლი, სმოკინგს ჩავიცვამ, – თქვა ლეომ.

– დი-დი დრო არ დამჭირდება. ტონია, ერთი წუთით ფანჯრისკენ რომ შეტრიალდე...

– კი აბა! სულ მაგ ჭკუაზე ვარ! – გაეპრანჭა ეშმაკურად მომღიმარი ანტონინა პავლოვნა.

– ჰო, კარგი... მიდი, მიდი, არ შემოგხედავ, როგორ გულითაც არ უნდა მინდოდეს.

კირას მეგობრულად შემოხვია ხელი მხარზე და ფანჯარასთან მიიყვანა.

– საწყალი კოკო! – ამოიოხრა ანტონინა პავლოვნამ.

– დღე და ღამეს ასწორებს სამსახურში! ამ საღამოსაც შეხვედრა აქვს, კვების მრეწველობის ტრესტის თანამშრომელთა საგანმანათლებლო წრის თავმჯდომარის მოადგილეა. ხომ იცით, საზოგადოებრივი დატვირთვის გარეშე, არაფერი გამოდის...

– აქ მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი კირას.

– მოკლედ, ხან შეხვედრაო, ხან თათბირიო, ხან ეს და ხანის. ზოგჯერ ჩვენი ძვირფასი ლეო რომ არიჩენდეს გულისხმიერებას და სადმე არ მპატიჟებდეს, მთლად გამოვყრუვდებოდი სახლში მარტო ყოფნისაგან!

კირა ახლა ზუსტად ისე მიჩერებოდა საღამოს შავ სამოსში გამოწყობილი ლეოს მაღალ, ჩამოქნილ სხეულს, როგორც ცოტა ხნის წინ შუასაუკუნეებისდროინდელ საქორწინო კაბაში ჩაცმულ საკუთარ თავს მიჩერებოდა სარკეში. თითქოს ლეოც დიდი ხნის წინ გარდასული წარსულიდან დაბრუნებულიყო და ახლა, პრიმუსიანი მაგიდის გვერდით მდგომი, ცოტა არ იყოს და უცნაური სანახავი ჩანდა.

– უცხოური ფილმის გმირივით დახვეწილად გამოსდო ხელკავი ანტონინა პეტროვნას და ოთახიდან გაიყვანა. როცა მათ ზურგს უკან კარი მიიხურა, კირამ გაიგონა, როგორ ჩაიბუზღუნა ლავროვის ცოლმა:

– ამათ რომ კითხო, კერძო მოვაჭრეები ფულს ვერ შოულობენო...

– დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა! – ჩაიბურტყუნა მისმა ქმარმაც და ხმაურით გადააპურჭყა.

კირამ ისევ თავისი ძველი პალტო შემოიცვა. ექსკურსიამძღოლთა შეხვედრაზე წასვლა არც უფიქრია. მას ახლა მიტოვებული სასახლის ბაღში მდგარი პავილიონისაკენ ეჭირა გეზი.

* * *

ანდრეის ოთახში ბუხარი ენთო. შეშა ტკაცა-ტკუცით იწვოდა და ზოგჯერ ნაპერწკლებსაც ისროდა აქეთ-იქით. ცეცხლის მომცრო, ნარინჯისფერი ენები თრთოდა, ცახცახებდა, ერთმანეთს ეხლებოდა

და ხან მინავლდებოდა, ხან კი ისევ ახალი ძალით აბრიალდებოდა. შეშის ზემოთ, თითქოს ჰაერში გამოკიდული ცეცხლი წითელი ენებით იწვართებოდა საბუხრე მილში, ყვითლად ამოფრქვეული ნაპერწკლები ზედ ეხლებოდა გამჭვარტლული, ჩაშავებული აგურების წყობას... ნარინჯისფერი ნათება ცეკვა-ცეკვით დათამაშებდა თეთრ, ფარჩაგაკრულ კედლებზეც და იმ პლაკატებზეც, რომლებზეც წითელარმიელები, ქარხნის მილები თუ ტრაქტორები გამოესახათ. ზედ ბუხრის თავზე, მითიურ ლედას ცეცხლის ეს გამონაშუქი ვარდისფრად უფერადებდა ფეხის თითებს.

კირა ბუხრის წინ, ყუთზე ჩამომჯდარიყო. მის ფერხთით მოკალათებულ ანდრეის კირას მუხლებზე ჩამოედო თავი. თან ნება-ნება ეფერებოდა აბრეშუმის წინდაში გამოკვართულ წვივზე. შიგადაშიგ, ხელი იატაკზე ჩამოუვარდებოდა ხოლმე, ოღონდ მაშინვე ისევ იგივეს აგრძელებდა.

– ...და როცა ისევ აქა ხარ, – ჩურჩულებდა ანდრეი.

– უკვე აღარც დავეძებ ამდენ განცდას, ამ უსასრულო მოლოდინს... უკვე აღარც იმაზე მეფიქრება...

უცებ, თავი ასწია, სახეში შეაცქერდა კირას და ის სიტყვები უთხრა, რაც მას ადრე არასოდეს მოუსმენია მისგან:

– როგორ დავიღალე...

კირამ ხელებში მოიქცია ანდრეის თავი, საფეთქლებზე მოუჭირა თითები და ჰკითხა:

– რა ხდება, ანდრეი? რა მოგივიდა? ანდრეიმ სახე აარიდა, ცეცხლს გახედა.

– პარტიული ამბებია, – ჩაილაპარაკა ხმადაბლა. მერე ისევ კირას მოუბრუნდა:

– იცი შენ ეს ყველაფერი... ალბათ, დიდი ხანია რაც იცი. მართალი იყავი, ბევრ რამეში იყავი მართალი. განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რაზეც ვცდილობდით არ გველაპარაკა.

– გინდა, ახლა დამელეპარაკო? – ჩურჩულით შეეხმიანა კირა.

– ოღონდ მე არ მინდა, ზედმეტი ტკივილი მოგაყენო.

– შენ მე ტკივილს ვერ მომაყენებ. ნურც იმას იფიქრებ, თითქოს თვითონ ვერ ვხედავდე ყველაფერს. შენ გგონია, ვერ ვხვდები თუ სად მიგვიყვანა ჩვენმა დიადმა რევოლუციამ? ერთ გადამყიდველს ვხვრეტთ, და ასი სხვა ყოველ საღამოს მანქანით დაგრიალებს ნევას გამზირზე! მთელ სოფლებს ვასწორებთ მიწასთან, საკუთარი გამოუვალი მდგომარეობით შეშლილ გლეხებს ვუშენთ ტყვიამფრქვევებს – ვიღაც ერთ კომუნისტზე ხელი როგორ ასწიეთო, არადა იმ ერთი მოკლულის ათი სხვა პარტიული თანამოძმე შურისძიების აღსანიშნავად, შამპანურით ქეიფობს იმ კაცის ჭერქვეშ, ვისაც ბრილიანტის საკინძეებითა აქვს შეკრული პერანგის მაჯები! სად იშოვა საამისო ფული?! ან შამპანურის საფასურს ვინ იხდის? ჩვენ კი ამ ყველაფერს თვალს ვარიდებთ.

– ანდრეი, არ გიფიქრია რომ სწორედ შენ, შენმა პარტიამ აქცია ეს ადამიანები სპეკულანტებად? არანაირი სხვა არჩევანი ხომ არ დაუტოვეთ...

– ეგეც ვიცი. გვინდოდა ხალხი გაზრდილიყო, უკეთესი გამხდარიყო, ამაღლებულიყო... მაგრამ ისინი, ვისაც ვმართავთ, ამას ვერ ახერხებენ – კი არ იზრდებიან, პატარავდებიან, კნინდებიან და თან ისე, იმდენად, როგორც აქამდე ჯერ არცერთი ადამიანი არ დაკნინებულა... ეგ კი არა, თვითონ ჩვენც იმათ დონემდე ვეშვებით, ნელნელა სახეს ვკარგავთ, სათითაოდ, ერთმანეთის მიყოლებით. კირა, მე არასოდეს არაფრის შემშინებია, ახლა კი მართლა მეშინია! უცნაური განცდაა. ფიქრისაც კი მეშინია. მეშინია, რადგან ხანდახან მგონია, რომ ჩვენს იდეალებს ალბათ სხვა არც არანაირი შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა...

– მართალია. ბრალი ადამიანებს კი არ მიუძღვით, არამედ ყველაფრის თავი და თავი სწორედ მაგ თქვენი იდეალების არსია, მე კი... არა ანდრეი, ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ! ძალიან მინდა, შენი

დახმარება შემეძლოს, მაგრამ დედამიწის ზურგზე ალბათ უკანასკნელი ადამიანი ვარ, ვინც შენს შველას მოახერხებდა. ეგ შენც მშვენივრად მოგეხსენება.

ანდრეის ჩაეცინა:

– არადა, სწორედ შენ მეხმარები, კირა. შენა ხარ დედამიწის ზურგზე ჩემი ერთადერთი მშველელი.

– ეგ როგორ? – ჩაიჩურჩულა კირამ.

– როგორ და, რაც არ უნდა მოხდეს, მე მაინც შენ მყავხარ... რა ადამიანურ სიმდაბლესაც არ უნდა ვხედავდე ირგვლივ, შენ ხომ ჩემთან ხარ და შენი შემხედვარე, ჯერ ისევ ვხვდები, როგორი შეიძლება იყოს ადამიანი.

– ანდრეი, დარწმუნებული ხარ, რომ მიცნობ? – ისევ ისე, ჩურჩულით ჰკითხა კირამ.

ანდრეი ტუჩებით ისე დაეწაფა კირას ხელისგულს, თითქოს იმას პეშვში მოეგროვებინა ის სიტყვები, რაც მერე ანდრეიმ ჩურჩულითვე წარმოთქვა:

– ადამიანში უზენაესი მისი ღმერთი როდია... უზენაესი ის მოწიწებაა, რასაც ღმერთის წინაშე განიცდის, შენ კი ჩემთვის უდიდესი მოწიწების საგანი ხარ, კირა!

* * *

– ირინა, შემომიშვი... მე ვარ, მარიშა! – მოისმა ჩურჩული კარსიქიდან.

ირინამ ფრთხილად, გაუბედავად გააღო კარი. კიბის ბაქანზე მართლაც მარიშა იდგა და ხელში ერთი მთელი პური ეჭირა.

– აი, ეს მოგიტანეთ, – თქვა ჩურჩულით.

– მარიშა! – წამოიძახა ირინამ.

– ჩუმად! – ისევ აჩურჩულდა მარიშა და აქეთ-იქით მიმოიხედა გაფაციცებულმა.

– ვიცი ყველაფერი, ოღონდ შენ ნუ იღელვებ. სამარე ვარ. გამომართვი, ეს პირადად ჩემი ულუფაა. ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ვიცი, რატომაც არ ისაუზმე ამ დილით. ოღონდ ასე დიდხანს ვერ გაძლებ.

ირინამ მკლავში ჩაავლო ხელი, ძალისძალად შეათრია ოთახში, კარი მიხურა და გიჟივით ახითხითდა:

– მე... იცი... არა მართლა, მარიშა, შენგან ამას არ ველოდი... ცალ თვალზე თმა ჩამოშლოდა, მეორე კი ცრემლით ამოვსებოდა. მარიშა ისევ აჩურჩულდა:

– მშვენივრად მესმის ყველაფერი. თან ვიცი, რომ გიყვარს... ოღონდ საქმე-საქმეზე თუ მიდგა, მე ხომ არც არაფერი გამიგია და თუ რამეს მკითხავენ, ვერც ვერაფერს ვიტყვი... თუ ღმერთი გწამს, აქ დიდხანს მაინც ნუ გააჩერებ, ვიქტორის იმედი არა მაქვს.

– როგორ გგონია, ეჭვობს რამეს?

– არ ვიცი. უცნაურად კი იქცევა, მაგრამ თუ იცის, მაშინ მართლა საშიშია, ირინა!

– ამ საღამომდე დარჩება მხოლოდ, – ჩურჩულზე გადავიდა ირინაც.

– მიდის, ამაღამ.

– ვეცდები, ვიქტორს თვალი ვადევნო.

– მარიშა, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო... მე...

– კარგი რა! და მორჩი ტირილს.

– არა, არ ვტირი. უბრალოდ, იცი... ორი ღამე არ მძინებია და... მარიშა, შენ მართლა... დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

– ამდენ ლაპარაკად არც ღირს. კარგად იყავი. უნდა გავიქცე.

კარი რომ მიხურა, ირინამ ფრთხილად მიაყურადა, როდის მიწყდებოდა დერეფანში მარიშას ფეხის ხმა. მერე, ერთიანად აცახცახებულმა, კარი ჩაკეტა და ფეხაკრეფით შეიპარა თავის ოთახში. იქ, პაწია გარდერობის მიღმა, საშა ფეხსაცმელების სადგამზე ჩამომჯდარიყო და სარკმლიდან მიჩერებოდა გარეთ მოფრთხიალე ბელურას.

– ირინა, – შეეხმიანა ისევ ისე, ფანჯარას მიჩერებული საშა.

– მე მგონი, ჯობია ახლავე წავიდე.

– არავითარ შემთხვევაში! არსადაც არ გაგიშვებ.

– მისმინე, უკვე ორი დღეა რაც აქ ვარ. ამას არ ვაპირებდი. ძალიან ვწუხვარ, ასეთ შარში რომ გაგხვიე. რამე რომ მოხდეს, იცი ამისთვის რას გიზამენ?

– შენ თუ რამე დაგემართა, – განიერ, მოხრილ ბეჭებზე შემოხვია ხელი ირინამ.

– აღარც დავეძებ, რას მიზამენ.

– ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა... მაგრამ არ მინდა, ამაში შენც გაგრიო.

– არაფერიც არ მოხდება. ბაქოს მატარებლის ბილეთი აგერ მიდევს, ჯიბეში. ტანსაცმელიც გაგიმზადე. ვიქტორი ამ საღამოს პარტიის კრებაზე იქნება. შეუმჩნევლად გავიპარებით. აბა, ასე დღისითმზისით ქუჩაში გასვლა როგორ იქნება... ათასი თვალია მოჩერებული.

– უკვე ვნანობ, რატომ თავიდანვე არ ჩავბარდი. ყოველ შემთხვევაში, აქ მაინც არ უნდა მოვსულიყავი. მაპატიე, ირინა.

– რას ამბობ, საყვარელო! იცი, როგორ გამიხარდა...

– უხმოდ გაეცინა ირინას.

– მართლა მგონია რომ გადაგარჩინე. შენი ჯგუფის ყველა წევრი დააპატიმრეს. ვიქტორმა წამოროშა. ყველა, შენს გარდა.

– კი მაგრამ, თუკი...

– ახლა უკვე აღარაფერი გვემუქრება. სულ რამდენიმე საათიღა უნდა გავძლოთ...

– ირინა გვერდით ჩამოუჯდა, თავი მხარზე ჩამოადო და მოელვარე, შეშფოთებული თვალებიდან თმა გვერდზე გადაიწია.

– უცხოეთში რომ მოხვდები, იცოდე, მაშინვე მომწერე, გაიგე? პირველ რიგში!

– აბა რას ვიზამ, – ჩაიბურტყუნა საშამ.

– მერე მეც ვეცდები, როგორმე აქედან გავაღწიო. აბა წარმოიდგინე, უცხოეთში ვართ, ღამის კლუბში მივდივართ და შენ სმოკინგი გაცვია...

რა სასაცილო სანახავი იქნები! არცერთი თერძი არ მოკიდებს ხელს შენთვის სმოკინგის შეკერვას...

– ალბათ, – გაღიმება სცადა საშამ.

– მოცეკვავე გოგოებსაც ზუსტად ისეთი უცნაური კაბები ეცმებათ, მე რომ ვხატავ ხოლმე. არა, შენ მარტო წარმოიდგინე, შემეძლება სამსახური ვიშოვო, მოდის დიზაინერი გავხდე, ანდა თეატრის მხატვარი! მორჩა პლაკატების ჯღაბნა, დამთავრდა! სანამ პირში სული მიდგას, არცერთი პროლეტარის დამხატავი აღარა ვარ...

– იმედია, ეგრე იქნება.

– ოღონდ გაფრთხილებ, ვერაფერი დიასახლისი ვარ! გაგიჭირდება ჩემთან ცხოვრება. ხორციც დახრუკული დაგიხვდება ხოლმე და არც წინდებს არ დაგიკემსავ... და ხმა არ გავიგო შენი – აბა ერთი გაბედე და დაიჩივლე რამეზე, სულს ამოგხდი, შე საწყალო!

ირინას ისტერიული სიცილი აუტყდა. სახე საშას მკერდში ჩამალა და კბილებით მისი პერანგის საყელოს ჩააფრინდა, რადგან ეს სიცილი თანდათან რაღაც სულ სხვაში გადაეზარდა... საშა თმაზე კოცნიდა და თან მის გამხნევებას ცდილობდა:

– არაფერზე არ დავიჩივლებ, ოღონდ კი ხატვა გააგრძელე. ის რომ შენ პლაკატების ჯღაბნა გიხდება, ამ ქვეყნის კიდევ ერთი უპატიებელი დანაშაულია! დარწმუნებული ვარ, შენგან დიდი მხატვარი დადგება. ისე, რამდენჯერ გთხოვე, მაგრამ ერთი ნახატიც არ მაჩუქე...

– ჰო...

– ამოიოხრა ირინამ.

– და მარტო შენ? რამდენ ადამიანს დავპირდი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე, ნახატი დამესრულებინა. ახლა კი გპირდები რომ იქ, უცხოეთში, სულ ცოტა ოც ნახატს მაინც დაგიხატავ და მერე

ჩვენი სახლის კედლებზე დაკიდე, თუ გინდა. ჩვენი სახლის, საშა, გესმის? – საშამ მაგრად ჩაიკრა გულში ერთიანად აცახცახებული ირინა, რომელიც ახლა უკვე ჩუმად ქვითინებდა და ცდილობდა, მისთვის სახე აერიდებინა.

* * *

– ეს ფაფა მიმწვარა! – ჩაიბუზღუნა ვიქტორმა.

– მაპატიე, – მოუბოდიშა ირინამ.

– ეტყობა, ყურადღება ვერ მივაქციე და...

– სხვა გვაქვს რამე საჭმელი?

– არა ვიქტორ, სამწუხაროდ, არც არაფერი... მთლად გამოცარიელებულია სახლი.

– ეს სახლი ხომ მუდამ გამოცარიელებულია... არა, მაინც სად ქრება საკვები? განსაკუთრებით, ამ ბოლო დღეებში!

– ბოლო დღეებში უჩვეულო არაფერი ხდება, – ჩაერია მარიშაც.

– ისე, სხვათა შორის, ამ კვირაში ჩემი ბარათით პური არ ამიღია...

– ეგ რატომ? – ძალიან ბევრი საქმე მქონდა და რიგში ვეღარ ჩავდექი.

– მერე, ირინა ვერ აიღებდა შენს მაგივრად?

– შენი და ვერ გრძნობს თავს კარგად, ვიქტორ! – თქვა ვასილი ივანოვიჩმა.

– ეგ მეც შევამჩნიე...

– შენ თუ არ გინდა, მაგ ფაფას მე შევჭამ.

– თქვა ასიამ და ვიქტორის თეფშისკენ გაიწვდინა ხელი.

– შენ ჭამე უკვე საკმარისი, ასია! – გაუწყრა ირინა.

– წადი, მოემზადე, სკოლაში ხომ უნდა დაბრუნდე!

– ერთი მაგათიც...

– ცხვირი აიბზუა ასიამ.

– ასია! სად ისწავლე ასეთი ლაპარაკი?!

– არ მინდა სკოლაში დაბრუნება! – აჯიჯღინდა ასია.

– ამ საღამოს ლენინის კუთხე უნდა მოვაწყოთ. მეჯავრება იმ წითელ ფურცლებზე ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათების დაკვრა-დაწებება! ორჯერ უკვე გამიწყრნენ, სულ მეჭმუჭნება ხოლმე...

– პალტო ჩაიცვი, დროზე! დაგაგვიანდება.

ასიამ ამოიოხრა, დარდიანი სახით გახედა ფაფიან თეფშს და ფეხათრეული გაეცალა იქაურობას.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ვიქტორი სკამის საზურგეზე გადაწვა და დაჟინებით მიაჩერდა ირინას.

– დღეს სამსახურში არ მიდიხარ? – ჰკითხა ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ.

– არა, დავრეკე და გავაფრთხილე. მართლა არ ვგრძნობ თავს კარგად. მგონი, სიცხეც უნდა მქონდეს.

– მაშინ, ასეთ საძაგელ ამინდში მართლა არ ღირს შენი გარეთ გასვლა, – უთხრა მარიშამ.

– თან ისევ თოვს...

– აბა რა, – თქვა ვიქტორმა.

– ცეცხლს არ უნდა ეთამაშო.

– არა, კი არ მეშინია, მაგრამ ალბათ მაინც შინ დარჩენა აჯობებს, – თქვა ირინამ.

– შენ და შიში? როდის რისი შეგშინებია...

– ჩაეცინა ვიქტორს.

– შესაშური თვისებაა, თუმცა არა ყოველთვის...

– მაგით რისი თქმა გინდა?

– არც არაფრის. უბრალოდ, ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდე. ექიმთან რატომ არ მიდიხარ?

– სამაგისოც არაფერი მჭირს. ერთ-ორ დღეში გამივლის თავისით.

– იმედია, – თქვა ვიქტორმა და წამოდგა.

– დღეს სადღა მიდიხარ, ვიქტორ? – ჰკითხა მარიშამ.

– ანგარიში უნდა ჩაგაბარო?

– არა, რას ამბობ... უბრალოდ, მე... იცი, ვიფიქრე... თუ ძალიან დაკავებული არა ხარ, იქნებ ჩვენს კლუბში წამოსულიყავი და ერთიორი სიტყვა გეთქვა. იქ ჩვენებს ყველას სმენია ჩემი სანაქებო ქმრის შესახებ და თან დაპირებული ვარ, აუცილებლად მოვიყვან და ლექციასაც წაიკითხავს ელექტროფიკაციაზე, თანამედროვე თვითმფრინავებზე ან რამე ეგეთზე-მეთქი...

– დიდი ბოდიში, მაგრამ არ გამოვა. სხვა დროს იყოს. დღეს ერთი კაცი მყავს სანახავი, სამსახურის თაობაზე. ჯეზირის მშენებლობაზე მინდა გამამწესონ.

– შეიძლება რომ მეც წამოგყვე, ვიქტორ? – რა თქმა უნდა, არა. ეგ რაღა მოიფიქრე კიდევ? მამოწმებ თუ ეჭვიანობ?

– არა, რას ამბობ, საყვარელო! ისე გკითხე...

– მორჩი მაშინ სისულელეებს. ცოლთან ხელი-ხელ ჩაკიდებული სიარულს არ ვაპირებ.

– შენ რა, ახალ სამსახურს ეძებ, ვიქტორ? – იკითხა ვასილი ივანოვიჩმა.

– აბა რა გეგონა? მთელი დარჩენილი სიცოცხლე პურის ბარათის იმედზე ხომ არ ვიქნები?

* * *

– დარწმუნებული ხართ? – იკითხა მორიგე ოფიცერმა.

– სავსებით, – მიუგო ვიქტორმა.

– სხვა კიდევ ვინაა ამაში გარეული? – არც არავინ. მხოლოდ ჩემი და.

– თქვენს ბინაში კიდევ ვინ ცხოვრობს, ამხანაგო დუნაევ?

– ჩემი ცოლი, მამაჩემი, და ჩემი უმცროსი და. ის ჯერ სკოლის მოწაფეა. მამაჩემი ეჭვითაც არაფერს ეჭვობს, ჩემი ცოლი კი ისეთი გონებაგაფანტული ვინმეა, ცხვირწინ რა ხდება, იმასაც ვერ ამჩნევს ხოლმე. ეგეც არ იყოს, კომკავშირელია. მდგმურებიც გვყავს, მაგრამ

ისინი ბინის ჩვენ ნაწილში საერთოდ არ დგამენ ფეხს.

– გასაგებია. გმადლობთ, ამხანაგო დუნაევ.

– მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ. მორიგე ოფიცერი წამოიწია და ხელი გამოუწვდინა ჩამოსართმევად.

– ამხანაგო დუნაევ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით, ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ. ჯერ კიდევ დარჩა გაბედული ხალხი, ვინც სახელმწიფოს მიმართ ერთგულებას ნათესაურ თუ ოჯახურ კავშირებზე მაღლა აყენებს. ასეთები ჯერ ბევრნი შეიძლება არც არიან, მაგრამ სწორედ ესაა სამომავლო მიდგომა, რაც უთუოდ უნდა გავაღვივოთ ჩვენს ჩამორჩენილ ხალხში. მხოლოდ ამგვარად თუ დაამტკიცებს თითოეული ჩვენგანი, პარტიისადმი საკუთარ ერთგულებას! ვიზრუნებ იმაზე, რომ თქვენი ეს გმირული ნაბიჯი შეუმჩნეველი არ დარჩეს.

– ასეთ მაღალ შეფასებას არ ვიმსახურებ, ამხანაგო, – მიუგო ვიქტორმა.

– ჩემი მაგალითი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ოჯახი დრომოჭმული ინსტიტუტია, რომელიც არანაირად არ უნდა მიიღო მხედველობაში, როცა ჩვენი დიადი ერთობისადმი ერთგულების საკითხი დგება დღის წესრიგში.

VIII

კარზე ზარი დარეკეს.

ირინა შეკრთა და გაზეთი ხელიდან გაუვარდა. მარიშამაც გვერდზე გადადო წიგნი.

– მე გავაღებ, – სკამიდან წამოდგა ვიქტორი.

ირინას სასადილო ოთახის კედლის საათისკენ გაექცა თვალი. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი რჩებოდა. ვიქტორი რატომღაც, პარტიის კრებაზე არ წავიდა და ისე ჩანდა, არც აპირებდა შინიდან გასვლას.

ფანჯარასთან მიმჯდარი ვასილი ივანოვიჩი ამჯერად ქაღალდის საჭრელი დანის ტარს აჩუქურთმებდა. მაგიდის ქვეშ შემძვრალი ასია ჟურნალებს ფურცლავდა და იქიდან გაიძახოდა:

– მითხარით, ეს ლენინის სურათია? ათი სურათი უნდა ამოვჭრა წითელი კუთხისათვის და ამდენს ვერ ვპოულობ. ლენინია თუ ვიღაც ჩეხოსლოვაკი გენერალი? მართლა ვერ ვარჩევ, მითხარით რა ვინმემ...

დერეფნიდან რამდენიმე ადამიანის მძიმე ჩექმის ბრაგაბრუგი მოისმა. კარი უხეშად შემოაღეს. ზღურბლზე ტყავის ქურთუკიანი მამაკაცი აისვეტა, რომელსაც ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. მის ზურგსუკან წოწოლაქუდიანი, თოფმომარჯვებული ორი ჯარისკაციც მოჩანდა. მესამე, რომელსაც ხელში ხიშტი ჩაებღუჯა, ბინაში შემოსასვლელ კართან დადარაჯებულიყო.

მარიშამ შეჰკივლა. მერე წამოხტა და ხელები პირზე აიფარა. ვასილი ივანოვიჩი მძიმე-მძიმედ წამოიმართა. პირდაფჩენილი ასია მაგიდის ქვემოდან იჭყიტებოდა. ირინა წელგამართული, გახევებული, ოდნავ უკან გადახრილი იდგა შუა ოთახში.

– ეს ჩხრეკის ორდერია! – თქვა ტყავისქურთუკიანმა და ქაღალდი მაგიდაზე დააგდო.

– იქით! – თავის გადაქნევით ანიშნა ჯარისკაცებს. ისინიც პირდაპირ ირინას ოთახისკენ გაემართნენ, საკუჭნაოს კარი გამოაღეს და დამცინავად მომღიმარი საშა შერჩათ ხელში.

ვასილი ივანოვიჩს გაოცებისაგან პირი დარჩა ღია.

– აი თურმე რატომ არ მაძლევდა იქ შესვლის ნებას! – იწივლა ასიამ. მარიშამ ფეხი წაჰკრა ფეხში და მისი დაუმთავრებელი ნახატი მაგიდიდან იატაკზე გადმოვარდა.

– რომელია თქვენგან მოქალაქე ირინა დუნაევა? – იკითხა ტყავისქურთუკიანმა.

– მე ვარ, – მიუგო ირინამ.

– მისმინეთ, – ნაბიჯი წინ წადგა საშამ.

– ეგ არაფერ შუაშია... ბრალი არაფერში მიუძღვის. დავემუქრე და ვაიძულე...

– რითი დაემუქრეთ? – მშვიდი, გრნობებდაცლილი ხმით დაეკითხა ტყავისქურთუკიანი.

– ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ხელის სწრაფი მოძრაობით მოუჩხრიკა საშას ტანისამოსი.

– იარაღი არა აქვს, – მოახსენა უფროსს.

– ძალიან კარგი, – ბრძანა ტყავისქურთუკიანმა.

– ჩაიყვანეთ და მანქანაში ჩასვით. ამხანაგი დუნაევაც და ეს მოხუციც. ბინაც საგულდაგულოდ გაჩხრიკეთ.

– ამხანაგო, – ტყავისქურთუკიანს მიუახლოვდა ვასილი ივანოვიჩი. მართალია, ხელები უცახცახებდა, მაგრამ ხმა მაინც მტკიცე ჰქონდა.

– ამხანაგო, ჩემი ქალიშვილი არ შეიძლება დამნაშავე იყოს ამ...

– ჯერ-ჯერობით თქვენთვის ლაპარაკის უფლება არავის მოუცია.

– მოუჭრა იმან და ახლა ვიქტორს მიუბრუნდა.

– პარტიის წევრი ხართ?

– დიახ, – მიუგო ვიქტორმა.

– თქვენი პარტბილეთი! ვიქტორმა პარტბილეთი გაუწოდა.

– თქვენი ცოლია? – მარიშასკენ მიათითა ტყავისქურთუკიანმა.

– დიახ.

– კარგი, ეს ორი აქ დატოვეთ. თქვენ კი პალტოები ჩაიცვით, მოქალაქეებო.

იატაკზე ჯარისკაცების დანატოვარი, ტალახიანი ჩექმების ნაკვალევი დარჩა. თალფაქმოღრეცილი სანათური სინათლის დაბრეცილ ლაქად ღვრიდა შუქს დერეფანში. სახეგადაფითრებული მარიშა ჩამქრალი მზერით მიჩერებოდა ვიქტორს.

კართან მოდარაჯე ჯარისკაცმა ბინაში სახლმმართველი შემოუშ-

ვა. იმას ეტყობა, ნაჩქარევად მოესხა მხრებზე პალტო, რომლის ქვეშაც ჭუჭყიანი, გაღეღილი პერანგი მოუჩანდა. ვიშვიშებდა და მალიმალ სახსრებში იტკაცუნებდა თითებს.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ამხანაგო კომისარო, გეფიცებით, ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი...

ჯარისკაცმა მაშინვე ცხვირწინ მიუჯახუნა კარი კიბის ბაქანზე შეკრებილ, ცნობისმოყვარე მეზობლებს.

ირინამ ასია და მარიშა გადაკოცნა. სახეგაქვავებული ვიქტორი დას მიუახლოვდა. მღელვარებისაგან ხმა გაბზარვოდა:

– ძალიან ვწუხვარ, ირინა... არაფერი მესმის... ვნახოთ, თუ რამის გაკეთებას მოვახერხებ...

სიტყვა ირინას მზერამ გააწყვეტინა. მისი თვალები ჯიუტად მიჩერებოდნენ და უცებ, ძალიან დამსგავსებოდნენ პორტრეტზე გამოსახული მარია პეტროვნას თვალებს. ირინამ ვიქტორს ზურგი შეაქცია და უსიტყვოდ მიჰყვა უკან ჯარისკაცებს. საშა და ვასილი ივანოვიჩიც კვალში მისდევდნენ.

* * *

ვასილი ივანოვიჩი სამ დღეში გამოუშვეს.

საშა ჩერნოვს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის ათი წლით ციმბირში გადასახლება მიესაჯა.

კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ხელშეწყობისთვის, ათი წლითვე გააციმბირეს ირინა დუნაევაც.

ვასილი ივანოვიჩმა ვიღაც მაღალჩინოსნებთან შეხვედრა სცადა, სარეკომენდაციო წერილებიც იშოვა რამდენიმე გავლენიანი პირისაგან, საათობით იჯდა მოსაცდელი ოთახების კუთხეში მიყუჟული, ვის აღარ დაურეკა ტელეფონით, როგორ არ ეცადა ხმაში ბზარი არ გამორეოდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვერაფერს გახდა, რასაც სხვათა შორის, წინდაწინვე ვარაუდობდა კიდეც.

შინ დაბრუნებული, საერთოდ აღარ სცემდა ხმას ვიქტორს. ზედაც არ უყურებდა და ცხადია, არც ამ წინდაწინ წაგებულ თამაშში დახმარება უთხოვია მისთვის.

შინ მობრუნებულ ვასილი ივანოვიჩს მხოლოდ მარიშა დაუხვდა იქ.

რძალმა მორცხვად, გაუბედავად შესთავაზა სადილი. საგანგებოდ მოგიმზადეთ ატრიიანი წვნიანიო, – უთხრა და როცა ამაზე ვასილი ივანოვიჩმაც უსიტყვოდ, ოდნავ დაბნეულად გაუღიმა, მადლიერებისაგან წითლად შეეფაკლა სახე.

ვასილი ივანოვიჩმა გპუ-ს საკანში ირინას ნახვა მაინც მოახერხა.

ირინას ბოლო თხოვნა კი ის იყო, გადასახლებამდე საშასთან ხელის მოწერის უფლება მიეცათ ახლა, შინ დაბრუნებული, მამამისი საათობით გამოიკეტებოდა ხოლმე თავის ოთახში და ჩუმად, გულზე მოშვებული სლუკუნებდა სიმარტოვეში.

ხელის მოწერა გპუ-ს ცარიელ დერეფანში მოხდა, შეიარაღებული დარაჯების თანდასწრებით. მოწმეები ვასილი ივანოვიჩი და კირა იყვნენ. საშას ტუჩები მობრეცოდა, ირინა საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. სხვათა შორის, სიმშვიდეს მისთვის დაპატიმრების დღიდან არ უღალატია. ეგაა, ცოტა უფრო გამხდარი, ცოტათი უფრო ფერმკრთალი ჩანდა. კანიც თითქოს გამჭვირვალე გახდომოდა, თვალები კი გაფართოებოდა... როცა ყველაფერი მომთავრდა, ნაზად, თანაგრძნობით გაუღიმა საშას და სახე საკოცნელად მიუშვირა.

ერთმა თანამდებობის პირმა კი, ვისაც ვასილი ივანოვიჩი ამ ამბიდან მეორე დღეს შეხვდა, ასეთი რამ უთხრა:

– აი, მიაღწიეთ მაინც თქვენსას. ოღონდ მითხარით ერთი, რა საჭირო იყო მთელი ეს სისულელე? არ იცით, რომ მათი ციხეები სამასორმოცდაათი კილომეტრითაა ერთმანეთისაგან დაშორებული?

– არა, ნამდვილად არ ვიცოდი...

– მიუგო ვასილი ივანოვიჩმა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

თავად ირინას ეს ამბავი არ გაკვირვებია. ეჭვობდა კიდეც, ასე

იქნებაო, მაგრამ ხელისმოწერაც იმისთვის სურდა, ეგებ ამან რამე შეცვალოსო.

მსგავსიც არაფერი მომხდარა.

* * *

ეს ვასილი ივანოვიჩის ბოლო მცდელობა გახლდათ. გპუ-ს განაჩენის გასაჩივრება არავის შეეძლო, თუმცა შესაძლებელი იყო საპატიმრო ადგილის შეცვლა. ოღონდ ამაში ვინმე გავლენიანი ჩინოსანი თუ გაუწევდა დახმარებას. ვასილი ივანოვიჩი სისხამ დილით წამოდგა ლოგინიდან. მარიშამ სულ ძალისძალად დაალევინა ერთი ფინჯანი შავი ყავა – უკვე შინიდან გასასვლელად გამზადებულს დააწია წინკარში და ღამის პერანგის ამარა ატუზული, იქამდე არ მოეშვა, სანამ ბოლო ყლუპამდე არ დააცლევინა.

იმავე ღამეს კი ვასილი ივანოვიჩი უკვე ერთ-ერთი კაზინოს დარბაზში მიიკვლევდა გზას და ცდილობდა, ვიღაც წარმოსადეგ მამაკაცს გასაუბრებოდა, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდებოდა.

– ამხანაგო კომისარო, ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი! გთხოვთ...

– ლუღლუღებდა ვასილი ივანოვიჩი.

ფორმიანმა კარისკაცმა უხეშად უბიძგა გასასვლელისკენ და მერე ქუჩაშიც გამოაგდო. ამ გაწამაწიაში, ვასილი ივანოვიჩს ქუდიც კი დაეკარგა და მაინც იმდენი მოახერხა, შეხვედრაზე თანხმობა მიიღო. იმედიანად შეაბიჯა სახელმწიფო დაწესებულების პირქუშ შენობაში, ოღონდ მანამდე გულმოდგინედ გაიწმინდა ძველი, უამრავჯერ დანაკერები პალტო, ფეხსაცმელებიც გაიპრიალა და ჭაღარა თმაც კოხტად გადავარცხნა. მერე უკვე მაღალჩინოსნის საწერ მაგიდასთან იდგა და ის ფართო, ღონიერი მხრებიც უმწეოდ ჩამოყროდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მრავალი წლის წინ, ციმბირის ტყეებში ნადირობისას, ეს კაცი მძიმე თოფს დაატარებდა სწორედ ამ

მხრებზე გადებულს და ათასნაირ განსაცდელსაც უსწორებდა თვალს. ახლა კი მაგიდასთან მჯდომი კაცის მკაცრ სახეს მიაჩერდა და თქვა:

– ამხანაგო კომისარო, ერთადერთ რამეს გთხოვთ, განსაკუთრებულს არაფერს... იქნებ ერთსა და იმავე ადგილას განამწესოთ... ვიცი, კონტრრევოლუციონერები არიან და სასჯელს იმსახურებენ. არანაირ ჩივილს არ ვაპირებ, ამხანაგო კომისარო... ათ-ათი წელი მიუსაჯეს, მაგრამ ეგ არაფერი... უბრალოდ, იქნებ ერთად იყვნენ... განა ამას თქვენთვის რამე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს? ან თუნდაც სახელმწიფოსთვის? ახალგაზრდები არიან, ერთმანეთი უყვართ... ათი წელი კი მიუსაჯეს, მაგრამ თქვენც და მეც მშვენივრად ვიცით, რომ უკან ვეღარასოდეს დაბრუნდებიან – ეს ხომ ციმბირია... ყინვა, შიმშილი და საერთოდ...

– რას მიედ-მოედებით? – მკაცრად შეაწყვეტინა კომისარმა.

– ამხანაგო კომისარო, მე... არა, ცუდი არაფერი მიგულისხმია, უბრალოდ... ხომ შეიძლება, ავად გახდნენ, ან რაღაც დაემართოთ... ირინას ისედაც სუსტი ჯანმრთელობა აქვს. არადა, სიკვდილი არ მიუსჯიათ მათთვის და ვიდრე ცოცხლები არიან, რატომ არ შეიძლება გვერდიგვერდ ყოფნის უფლება მისცეთ? მათთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, ნებისმიერი სხვისთვის კი არაფერი შეიცვლება. მე უკვე მოხუცი ვარ, ამხანაგო კომისარო და ჩემს ქალიშვილზე გელაპარაკებით... ციმბირს კარგად ვიცნობ, ჩემთვის დიდი შვება იქნებოდა, თუ მეცოდინებოდა რომ ის იქ მარტო არაა, ქმარი უდგას გვერდით, მამაკაცი... არ ვიცი, როგორ გთხოვოთ, ამხანაგო კომისარო, მაგრამ თუ მეშლება რამე, უნდა მაპატიოთ. გამოგიტყდებით, ცხოვრებაში არასდროს არაფერი მითხოვია. თქვენ ალბათ ფიქრობთ რომ მე ბრაზი მალაპარაკებს და თქვენც მთელი არსებით მძულხართ... არაა ასე, ამხანაგო კომისარო! ეს თხოვნა შემისრულეთ, ეს ერთადერთი და უკანასკნელი სათხოვარი – სადმე ერთად განამწესეთ და სანამ პირში სული მიდგას, თქვენზე ვილოცებ...

ვასილი ივანოვიჩს თხოვნაზე უარი ეთქვა.

* * *

– გავიგე ეგ ყველაფერი, – უთხრა ანდრეიმ კირას, როცა იმან დუნაევების ოჯახში მომხდარი უამბო.

– შენ ის თუ იცი, ვინ დაასმინა?

– არა, – მიუგო ირინამ, სახე აარიდა და დაამატა:

– ისე, ეჭვი კი მაქვს. მაგრამ შენ არაფერს მეტყვი. გაგონებაც არ მინდა.

– კარგი, არ გეტყვი.

– არც ის მინდოდა, შენი დახმარება მეთხოვა, ანდრეი. ვიცი, კონტრრევოლუციონერს ვერ გამოექომაგები, მაგრამ იქნებ ის მაინც გეცადა, ირინას პატიმრობის ადგილი შეუცვალონ და ერთსა და იმავე ბანაკში გააგზავნონ ორივე. მაგის თხოვნა შენგან ღალატად არ ჩაითვლება და არც შენი უფროსობისთვის შეიცვლება ამით რამე.

– რა თქმა უნდა ვეცდები, – უთხრა ანდრეიმ და ხელზე ხელი მოუჭირა.

გპუ-ს ერთ-ერთ კაბინეტში, მაღალჩინოსანმა ოფიცერმა ანდრეის ცივი მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

– შენ რა, შენი ახლობლებისთვის ითხოვ შეღავათს, ამხანაგო ტაგანოვ?

– არ მესმის რას მეუბნებით, ამხანაგო.

– დინჯად მიუგო ანდრეიმ და თვალი თვალში გაუყარა.

– მე მგონი, მშვენივრად გესმის და ჩემი აზრით, ისიც კარგად უნდა გესმოდეს, რომ ყოფილ ფაბრიკანტის ქალიშვილთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმა მაინცადამაინც ვერ წაადგება პარტიაში შენს ავტორიტეტს. ეგრე გაოცებული ნუ მიყურებ, ამხანაგო ტაგანოვ! იმედია, არ გეგონა რომ ჩვენ არაფერი ვიცოდით. არადა, გპუ-ს თანამშრომელი ხარ... მართალი გითხრა, ძალიან კი გამაკვირვე.

– ჩემი პირადი ურთიერთობები...

– მაინც, რა ხასიათის პირადი ურთიერთობები, ამხანაგო ტაგანოვ? – თუკი მოქალაქე არგუნოვაზე მელაპარაკებით...

– დიახ, სწორედაც რომ მოქალაქე არგუნოვაზე გელაპარაკები და იმის იმედიც მაქვს, რომ შენი მდგომარეობიდან გამომდინარე, ცოტა უფრო ყურადღებით დააკვირდები მაგ შენს არგუნოვას. სხვათა შორის, შენთვისვე სასიკეთოდ.

– ამხანაგ არგუნოვაზე, რაც საჭიროა, მე ისედაც ყველაფერი ვიცი. ნუ ეცდებით ამ საქმეში მის გარევას. პოლიტიკური თვალსაზრისით, ის სრულიად უდანაშაულოა.

– მაშ, პოლიტიკური თვალსაზრისით, არა? და სხვა მხრივ?

– თუ ისე მელაპარაკებით, როგორც ზემდგომი ხელქვეითს, მე თქვენთან მოქალაქე არგუნოვას პოლიტიკური კეთილსაიმედოობის გარდა, სხვა არცერთ საკითხზე საუბარს არ ვაპირებ.

– ძალიან კარგი. მე მეტი სათქმელიც არაფერი მაქვს. სხვათა შორის, აქამდეც მხოლოდ ისე გელაპარაკებოდი, როგორც მეგობარი. ფრთხილად უნდა იყო, ამხანაგო ტაგანოვ. შენ პარტიაში ბევრი მეგობარიც აღარ დაგრჩა.

მოკლედ, ირინას სასიკეთოდ, ვერც ანდრეიმ გააწყო რამე.

* * *

– ჯანდაბა! – ჩაილაპარაკა ლეომ და თავი ცივი წყლით სავსე ტაშტში ჩაყო. წინა ღამით ნაქეიფარი, ძალიან გვიან დაბრუნებულიყო შინ.

– ვაპირებ იმ არამზადა სეროვს შევხვდე. ერთი ვიღაც ბობოლა ძმაკაცი ჰყავს გპუ-ში. მე თუ მოვთხოვ, უთუოდ იღონებს რამეს...

– იქნებ მართლა გეცადა, ლეო! – უთხრა კირამ.

– ეგ დამპალი სადისტები! ვითომ ვის რა დააკლდება, ის ორი საცოდავი ერთად თუ იქნება იმ ჯოჯოხეთში... ხომ იციან, რომ ცოცხლები უკან ვეღარც დაბრუნდებიან...

– მაგას ნუ ეტყვი, ლეო. მშვიდად სთხოვე, მეგობრულად.

– კარგი. რამდენადაც შემიძლია, ტკბილად დაველაპარაკები.

პაველ სეროვის მისაღებში მდივანი ქალი გამალებით აკაკუნებდა საბეჭდ მანქანაზე და ქვედა ტუჩს იკვნეტდა. ხის თეჯირთან ათიოდე ადამიანი იცდიდა. ლეომ თამამად შეაბიჯა თეჯირს იქით და პირდაპირ მდივნის მაგიდას მიადგა.

– ამხანაგ სეროვის ნახვა მინდა, დაუყოვნებლივ.

– მიახალა ბრძანებასავით.

– კი მაგრამ... მოქალაქე, თქვენ აქ შემოსვლის ნება არა გაქვთ! – სახტად დარჩა მდივანი გოგო.

– გითხარით, დაუყოვნებლივ უნდა ვნახო-მეთქი!

– ამხანაგი სეროვი ძალიან დაკავებულია, მოქალაქევ! აი, ეს ხალხიც მას ელოდება და ურიგოდ ვერ მიგიღებთ – შედით და ასე უთხარით, ლევ კოვალენსკია მოსული-თქო. დარწმუნებული ვარ, არ მალოდინებს.

მდივანი წამოდგა და სეროვის კაბინეტისკენ გაემართა. თან მალიმალ შიშით გამოხედავდა ხოლმე ლეოს, თითქოს ელოდებოდა, საცაა იარაღსაც მომიშვერსო. კაბინეტიდან კიდევ უფრო დამფრთხალი გამობრუნდა და ლამის ჩურჩულით გამოუცხადა ლეოს:

– შებრძანდით, მოქალაქე კოვალენსკი. როცა კაბინეტის კარი ზურგსუკან მიიკეტა და პაველ სეროვთან პირისპირ დარჩა, ეს უკანასკნელი წამოხტა და სიბრაზისაგან აცახცახებული, ისეთი დაგუდული ხმით ალაპარაკდა, აშკარად ჩანდა რომ ყვირილის შეკავება უჭირდა:

– შენ რა, გაგიჟდი?! მთლად დაკარგე ჭკუა? აქ მოსვლა რამ გაფიქრებინა!

ლეომ ჩაიცინა და მისი ეს დამცინავი სიცილი იმას ჰგავდა, თითქოს ბატონს საცოდავი მსახურისთვის სახეში სილა გაეწნა.

– მაგას შენ მე მეუბნები? – კითხვა შეუბრუნა სეროვს.

– შენ მასწავლი სიფრთხილეს?

– გაეთრიე აქედან... აქ ვერ დაგელაპარაკები.

– არც დაგჭირდება, – მიუგო ლეომ და მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში.

– ლაპარაკით მე ვილაპარაკებ.

– ხვდები მაინც, ვისთან გაქვს საქმე? სულ გამოშტერდი თუ უბრალოდ, გათავხედდი?!

– წადი შენი...

– შეუღრინა ლეომ.

– ერთი ამას უყურე! – მოწყვეტით დაეშვა სკამზე სეროვი.

– მაინც, რა გინდა?

– გპუ-ში ხომ გყავს ვიღაც მეგობარი?

– კარგია, ეგ მაინც რომ გახსოვს.

– მახსოვს, მაგიტომაც მოვედი. ჩემს ორ ახლობელს ათ-ათი წელი მიუსაჯეს და ციმბირში აგზავნიან. მაგათ ეს-ესაა ხელი მოაწერეს, არადა ერთმანეთისაგან ასობით კილომეტრით დაშორებულ ბანაკებში გაამწესეს. მინდა ისე მოახერხო, რომ ერთად იყვნენ, ერთ ბანაკში.

– კარგი ერთი! – გაიკვირვა პაველ სეროვმა.

– მაგ ამბავს მეც მოვკარი ყური. ამხანაგ ვიქტორ დუნაევს პარტიისადმი საოცარი ერთგულება გამოუჩენია...

– ცოტა სასაცილოდ არ გეჩვენება, მე რომ მელაპარაკები პარტიისადმი ერთგულებაზე?

– კარგი... მოკლედ, თითი თითზე თუ არ დავაკარე, რას იზამ?

– ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, – მიუგო ლეომ.

– თავადაც კარგად მოგეხსენება.

– ნამდვილად.

– დაეთანხმა სეროვი.

– ვიცი, რაზეც ხარ წამსვლელი. ოღონდ ისიც ვიცი, რომ არაფერსაც არ გააკეთებ. ეგ იმიტომ, რომ თუ მე ჩამძირავ, შენც თან წაგიყოლებ. მთელი შენი კეთილშობილების მიუხედავად, მაგაზე მაინც არ წახვალ.

– მისმინე, არ გინდა ეს დიდკაცური ლაი-ლაი! – უთხრა ლეომ.

– ჩვენ ორივე არამზადები ვართ, მშვენივრად იცი. თან დასანახად ვერ ვიტანთ ერთმანეთს და არც ამას ვმალავთ მაინცდამაინც... ოღონდ გვინდა-არგვინდა, ერთ ნავში ვსხედვართ, ნავი კი მთლად საიმედო ვერაა... ამიტომ, ეგებ ჯობდეს, შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ერთმანეთს?

– კი, რა თქმა უნდა, ასეც ვიზამ.. შენ კი, შენის მხრივ, რაც შეიძლება შორს დაიჭირე ჩემგან თავი. სხვათა შორის, მაგ შენი ძველი თავადიშვილური ქედმაღლობით რომ არ იყო დაბრმავებული, უჩემოდაც მიხვდებოდი რომ ვიღაც შენი ახლობლების დახმარება ახლა იგივეა, გინდაც ხმამაღლა განმეცხადოს ჩვენი ურთიერთობის თაობაზე!

– შე ლაჩარო შენა...

– კი ბატონო, იქნებ ლაჩარიც ვარ... და რა მერე? შენც არ გაწყენდა ცოტა სილაჩრეს დამესესხო! მოკლედ, შეღავათების სათხოვნელად აქ არ უნდა მოსულიყავი. არ დაგავიწყდეს – გინდაც ერთი ჯაჭვით ვიყოთ გადაბმული, მე ამ ჯაჭვის გაწყვეტის მაინც მეტი საშუალება მაქვს...

ლეო წამოდგა. მერე, უკვე კართან მისული, შემოტრიალდა და თქვა:

– როგორც გენებოს. ოღონდ შენთვისვე აჯობებს, თხოვნაზე უარი არ მითხრა. რა იცი, ეგებ ეგ ჯაჭვი როდესმე ჩემ ხელშიც აღმოჩნდეს...

– ეგ შეიძლება, მაგრამ შენთვის ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, აქ რომ არ მოსულიყავი, რადგან ცოცხალი თავით, ამ ჯაჭვის დამთმობი არა ვარ. და კიდევ...

– ხმას დაუწია სეროვმა.

– შენც შეგიძლია ჩემთვის რაღაცის გაკეთება და გირჩევ, უარი არ თქვა. მიდი იმ ღორ მოროზოვთან და უთხარი, ფული გამომიგზავნოს. ბოლო გარიგებიდან ისევ მიგვიანებს ჩემს წილს. არადა ხომ

გავაფრთხილე, მე ის კაცი არა ვარ, ვისაც ალოდინებენ-მეთქი!

* * *

მარიშას აშკარად ყოყმანი ეტყობოდა და თან ცდილობდა, ვიქტორისთვის სახეშიც არ ეცქირა:

– რას ვფიქრობ იცი... იქნებ მენახა ვინმე და მეთხოვა... ბევრი კი არაფერი, ეგებ ერთსა და იმავე ბანაკში მაინც გააგზავნონ... მაგით არავის არაფერი დააკლდება და...

ვიქტორი მაჯაში ჩააფრინდა და ისეთი ძალით მოუჭირა, მარიშა ტკივილისაგან დაიმანჭა.

– მისმინე, – კბილებში გამოსცრა ვიქტორმა.

– თუ თავში ნამცეცი ტვინი მაინც შეგრჩა, მაგ საქმისაგან რაც შეიძლება შორს დაიჭირე თავი! ჩემზე საერთოდ არ გიფიქრია, არა? ჩემი ცოლი კონტრრევოლუციონერებისათვის ითხოვს შეღავათებს! როგორია?!

– კი მაგრამ, ეს ხომ...

– მორჩი ახლა! ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს ვინმესთან... გესმის, თუნდაც ერთი სიტყვა რომ წამოაყრანტალო რომელიმე შენს მეგობართან, მეორე დღესვე გაგეყრები!

იმ საღამოს, ვასილი ივანოვიჩი რაღაც უფრო დამშვიდებული დაბრუნდა შინ. პალტო გაიხადა და ხელთათმანებიც სათუთად დაალაგა წინკარში, სარკის თაროზე. თუმცა სასადილო ოთახის მაგიდაზე, მარიშას გაშლილი ვახშმისაკენ არც გაუხედავს.

– შენთან დალაპარაკება მინდა, ვიქტორ, – უთხრა შვილს. ვიქტორიც უხალისოდ გაჰყვა უკან თავისი ოთახისაკენ მიმავალ მამას.

ვასილი ივანოვიჩს დაჯდომა არც უფიქრია; შუა ოთახში იდგა, მკლავები უმწეოდ ჩამოეყარა და ვაჟიშვილს მიჩერებოდა.

– ვიქტორ, – წამოიწყო ვასილი ივანოვიჩმა.

– ხვდები ალბათ, რაც შეიძლება მეთქვა შენთვის, ოღონდ მაგის თქმას არ ვაპირებ. არც არაფერს გკითხავ. ჩვენ უცნაურ დროში

ვცხოვრობთ... წლების წინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რასაც ვფიქრობდი; ვიცოდი, როდის ვიქცეოდი სწორად და როდის განმესაჯა ვინმე... ახლა კი სულ სხვანაირადაა საქმე. უკვე აღარც ვიცი, მაქვს თუ არა უფლება ვინმე განვიკითხო. ირგვლივ იმდენი ტანჯვა და უბედურება ტრიალებს, არც მინდა ვინმეს რამეში დავდო ბრალი. ჩვენ, ყველა უკლებლივ, საცოდავი, დამფრთხალი არსებები ვართ, უსაზღვრო ტანჯვას ვითმენთ, ოღონდ ცოდნით ბევრი არაფერი ვიცით... ვერც შენ დაგადანაშაულებ ვერაფრისთვის, რაც იქნებ მართლა ჩაიდინე კიდეც. არც მიზეზი ვიცი, რის გამო შეიძლება რამე ჩაგედინა და არც გკითხავ – წინდაწინ ვგრძნობ, მაინც ვერ გაგიგებ. დღევანდელ დღეს, უკვე აღარავის ესმის ერთმანეთის. შენ ჩემი ვაჟიშვილი ხარ, ვიქტორ, და მე შენ მიყვარხარ. რა ვქნა, ამ გრძნობას ვერ ვერევი, ისევე როგორც შენ ვერ ერევი საკუთარ თავს და ის ხარ, რაც ხარ. იცი, შენზე ახალგაზრდა ვიყავი, როცა ვნატრობდი ვაჟიშვილი მყოლოდა. ადამიანების მიმართ დიდი ნდობა არც არასოდეს მქონია, ამიტომ მინდოდა ვაჟი, ჩემი სისხლი და ხორცი მყოლოდა გვერდით, ვისი შემხედვარეც ვიამაყებდი, ვისთვისაც თამამად თვალის გასწორება არასოდეს მომერიდებოდა – როგორც აი, ახლა არ მერიდება... ერთხელ, პატარა რომ იყავი, თითი გაიჭერი, ძალიან ღრმად, თითქმის ძვლამდე. ეზოდან საჩქაროდ შინ შეგიყვანეს, ჭრილობის შესახვევად. ტუჩები მთლად გალურჯებული გქონდა, მაგრამ არ ტიროდი, კრინტიც კი არ დაგიძრავს. დედაშენი გამიწყრა, იმიტომ რომ მე გულიანად გამეცინა, რადგან იმწუთას ძალიან ვამაყობდი შენით! მაშინ მეგონა, მუდამ ასე ვიამაყებდი... იცი, ძალიან საყვარელი ბავშვი იყავი, ცოტა სასაცილოც. აი მაშინ, როცა დედაშენი მაქმანებიანი ხავერდის ქურთუკს გაცმევდა ხოლმე. შენ კი ბრაზობდი, მაგრამ მართლა გიხდებოდა... გრძელი, ხვეული თმა გქონდა, თუმცა მაგას ახლა რა მნიშვნელობა აქვს... უბრალოდ მიჭირს შენზე რაიმე ცუდის თქმა, ვიქტორ! გაფიქრებაც კი მიჭირს. ამიტომ, არაფერს გკითხავ, მხოლოდ ერთადერთ რამეს გთხოვ – ვიცი, შენი დის

გადარჩენა არ შეგიძლია, მაგრამ იმ შენს გავლენიან მეგობრებს უთხარი, ეგებ ირინა და საშა ერთსა და იმავე ბანაკში მოათავსონ... იმათთვის ხომ ეს სულ უბრალო საქმეა. განაჩენის შეცვლა არ მოუწევთ და არც შენ მოგადგება მაგით ჩრდილი... გინდაც მომაკვდავის თხოვნა შეგესრულებინოს, ვიქტორ! რადგან ჩემგან არ გესწავლება, იმას ცოცხალს ვეღარასოდეს ნახავ... ესაა და ეს. მერე ამ ამბავს წერტილიც დაესმება. წარსულის ჩხრეკას აღარასოდეს დავიწყებ. არც იმის გამოძიებას, რისი გამორკვევა თავადაც არ მინდა... ამით საბოლოოდ გავასწორებთ ერთმანეთში ანგარიშს, მე კი ვაჟი შემრჩება... გინდაც ზოგჯერ მართლა ძალიან ძნელი იყოს არაფერზე ფიქრი, ჩვენს დროში ამას მაინც ხომ ვახერხებთ ხოლმე? მეც მოვახერხებ. შენ დამეხმარები – ეს ერთი, ბოლო სიკეთე მაინც უყავი შენს დას იმის სანაცვლოდ... იმის სანაცვლოდ, რაც სამუდამოდ წარსულში უნდა დარჩეს!

– დამიჯერე მამა, თავს არ დავზოგავდი, რამე რომ შემეძლოს! – წამოიძახა ვიქტორმა.

– ვცადე კიდეც, მაგრამ...

– ვიქტორ, მოდი ნუ ვიკამათებთ. მე ხომ არ გეკითხები, შეგიძლია ამის გაკეთება თუ არა-მეთქი. ვიცი რომ შეგიძლია. ამიტომ, ნურაფრის ახსნას ნუ შეეცდები. უბრალოდ, ან ჰო მითხარი, ან – არა! ოღონდ თუ უარს მეტყვი ვიქტორ, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდება! მე ვაჟიშვილი აღარ მეყოლება – აი, ამ წუთიდან. ეს იქნება იმის საზომი, რამდენის პატიება შემიძლია, ვიქტორ...

– კი მაგრამ, მამა! ეს ხომ სრულიად გამორიცხულია! შეუძლებელია და...

– ვიქტორ, აკი გითხარი – თუ უარს იტყვი, შვილი აღარ მეყოლება-მეთქი! იმაზეც იფიქრე, უკვე რამდენი ვინმე დავკარგე ამ ბოლო ორიოდე წელიწადში... აბა, რას მეტყვი?

– მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია, მამა.

ვასილი ივანოვიჩი ნელ-ნელა გაიშალა მხრებში, ოღონდ ნაოჭებით დაფარული მისი სახე არავითარ გრძნობას არ გამოხატავდა. შვილს ზურგი შეაქცია და კარისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

– სად მიდიხარ? – კითხვა დაადევნა ვიქტორმა.

– ეს შენ უკვე აღარ გეხება, – მიუგო ვასილი ივანოვიჩმა.

სასადილო ოთახში მარიშა და ასია მაგიდას უსხდნენ. უხმოდ მიჩერებოდნენ ხელუხლებელ, უკვე გაციებულ ვახშამს.

– ასია, – გამოსძახა ვასილი ივანოვიჩმა.

– პალტო ჩაიცვი და ქუდიც დაიხურე...

– მამა! – წამოიძახა მარიშამ, სკამი ხმაურით მისწია უკან და ფეხზე წამოიჭრა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მან ვასილი ივანოვიჩს ასე მიმართა.

– მარიშა, – წყნარად უთხრა ვასილი ივანოვიჩმა.

– რამდენიმე დღეში დაგირეკავ... როცა დავბინავდები. თუ არ შეწუხდები, მერე ჩემი ნივთებიც იქ გამომიგზავნე. ბევრიც არაფერი იქნება...

– სად უნდა წახვიდეთ...

– ხმა გაებზარა მარიშას.

– არც სამსახური გაქვთ, არც რამე შემოსავალი. თანაც, ეს ხომ თქვენი სახლია...

– ეს შენი ქმრის სახლია, – უთხრა ვასილი ივანოვიჩმა.

– წავიდეთ, ასია.

– შეიძლება ჩემი მარკების კოლექციაც წამოვიღო? – იკითხა ასიამ.

– შეიძლება. წამოიღე, თუ გინდა.

მარიშამ ფანჯრის რაფასთან ჩაიმუხლა და ცხვირი ზედ მიადო შუშას. ჩუმად ქვითინებდა, უხმოდ. თან შინიდან გასულებს გასცქეროდა თვალმოუშორებლად. ვასილი ივანოვიჩი მხრებში მოხრილი მიაბიჯებდა. ქუჩის ლამპიონების შუქზე თეთრ ზოლად მოუჩანდა

კისერი, თავისი ძველი პალტოს საყელოსა და ჩაქინდრულ თავზე ჩამოფხატულ ბეწვის შავ ქუდს შორის. ხელჩაკიდებული მიყავდა ასია, რომელიც მამის გვერდზე, კიდევ უფრო პატარა, კიდევ უფრო გაჩხინკული ჩანდა. მორჩილად მიჰყვებოდა გვერდით, ჯერ ქუსლებს ადგამდა ფრთხილად, ყავისფერ თოვლჭყაპში, მარკების ალბომი კი მაგრად მიეხუტებინა მკერდზე.

* * *

ირინას გაციმბირებამდე მცირე ხნით ადრე, კირას უფლება მისცეს პატიმარი გპუ-ს ციხის საკანში მოენახულებინა. გადაფითრებულ სახეზე ირინას მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა; კირასაც სიყვარულით, ოდნავ დაბნეული მიჩერებოდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მისი გონება უკვე სულ სხვაგან, ძალიან შორს ქროდა.

– თათმანებს გამოგიგზავნი, – გაღიმება სცადა კირამაც.

– ნამდვილი შალისას. ოღონდ წინასწარ გაფრთხილებ, მე თვითონ უნდა მოვქსოვო და თუ ვერ ჩაიცვამ, არ გაგიკვირდეს...

– მაგას სჯობია, ფოტო გამომიგზავნო: როგორ ქსოვს კირა არგუნოვა...

– სხვათა შორის, დაპირებული სურათი მაინც არ მაჩუქე...

– უთხრა კირამ.

– მართალი ხარ, ვერ გაჩუქე. ყველა სურათი მამაჩემს აქვს. მიდი და რომელიც მოგეწონება, აარჩიე. უთხარი, ირინამ ნება მომცათქო.

ოღონდ იმათგან ის დაპირებული სურათი მაინც არცერთი არ იქნება... მე ხომ შენთვის ლეოს პორტრეტი უნდა მეჩუქებინა.

– არა უშავს. სადაც ამდენი, შენ დაბრუნებამდეც მოვიცდით.

– კარგი, – ჩაილაპარაკა ირინამ.

– მერე თავი გადააქნია და გაიცინა.

– კარგი გოგო ხარ, კირა! ოღონდ ჩემთან ეს ტყუილი ლაპარაკი

არაა საჭირო, სულ არ მეშინია. ყველაფერი მშვენივრად მესმის. გახსოვს, უნივერსიტეტის სტუდენტები რომ გადაასახლეს ციმბირში? არცერთი მათგანი უკან აღარ დაბრუნებულა. და ვერც დაბრუნდება. ზოგს სურავანდი მოუღებს ბოლოს, ზოგს ჭლექი... ზოგს ერთიცა და მეორეც. რას ვიზამთ, მეც მზადა ვარ საამისოდ.

– ირინა...

– კარგი, არ გინდა. მოდი, გრძნობებს ნუ ავყვებით, გინდაც უკანასკნელად ვხედავდეთ ერთმანეთს... ისე, მეც მინდოდა შენთვის მეკითხა, კირა... ოღონდ თუ საჭიროდ არ ჩათვლი, პასუხს ნურც გამცემ. გამოგიტყდები, ცნობისმოყვარეობას ვერ ვერევი. მაინც, რა ხდება შენსა და ანდრეი ტაგანოვს შორის?

– წელიწადზე მეტია, მისი საყვარელი ვარ, – მშვიდად მიუგო კირამ.

– ლეოს იმ ბერლინელმა მამიდამ რომ ვერაფერიც ვერ...

– მეც სწორედ მასე ვფიქრობდი. იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო? ღმერთმა უწყის, ჩემსა და შენს შორის ვის უფრო მეტი სიმამაცე სჭირდება მომავლისთვის თვალის გასასწორებლად!

– მე მხოლოდ იმ დღეს მომერევა შიში, როცა ფარ-ხმალს დავყრი... ეგ დღე კი არასოდეს დადგება, – თქვა კირამ.

– მე ფარ-ხმალი უკვე დავყარე, – აღიარა ირინამ.

– ოღონდ მართლა არ მეშინია. მხოლოდ ერთი რამის გაგება მინდა, მაგრამ არა მგონია, ვინმეს შეეძლოს ამის ახსნა. მოკლედ, მესმის რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ვიცი, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ვიჯერებ და არც განცდა მაქვს ამისი. ეს მართლა უცნაურია. ადამიანს სიცოცხლე გეძლევა, შენც იწყებ ამ სიცოცხლეს, გრძნობ რომ ის რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანია, გამორჩეული, იმდენად მშვენიერი, მართლა წმინდა განძი გგონია... ახლა კი ამ სიცოცხლეს წერტილი დაესვა და ამას არავისთვის არაფერი შეუცვლია. ამის მიმართ გულგრილნი კი არ დარჩნენ – უბრალოდ, ვერ ხვდებიან, ვერ აცნობიერებენ, ვერ გაუგიათ, რა ფასი ადევს ამ ჩემს საგანძურს.

არადა, მაინც მართებთ რაღაცის გაგება. თვითონაც არ მესმის ბოლომდე, მაგრამ არის რაღაც, რაც ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავიგოთ. ოღონდ რა არის ეს, კირა? რა ქვია სახელად?

* * *

პოლიტიკური პატიმრები ცალკე ვაგონით გადაყავდათ; თითოეულ კართან შაშხანებზე ხიშტწამოცმული გუშაგები იდგნენ. ირინა და საშა ერთმანეთის პირდაპირ დასხეს ხის უხეშ მერხებზე. გზის ნაწილი ერთად გამოიარეს, მაგრამ ახლა უკვე საკვანძო სადგურს უახლოვდებოდნენ, სადაც ირინა სხვა მატარებელში უნდა გადაესვათ. ვაგონის ჩაშავებულ, გამჭვირვალე ფანჯრებზე თითქოს იაფფასიანი, ჭუჭყიანი ტყავი გაეკრათ, მხოლოდ ფანჯრის შუშაზე აკრული ფაფუკი ფიფქები ადასტურებდა რომ ამ ფანჯრებს იქით ჯერ ისევ არსებობდა სამყარო, მიწა, ქარი, უჟმური ცა. მაღლა ჭერში, სანათი ირწეოდა და თითქოს ბორბლების დაგადუგის რიტმშიო, ცეცხლის ალი ფარვანასავით ფრთხიალებდა, ერთს დატრიალდებოდა წითლად და მერე პატრუქზე, თავის უწინდელ ადგილს უბრუნდებოდა. სტუდენტის მწვანეკეპიანი ყმაწვილი მარტო მიმჯდარიყო ფანჯარასთან და ჩუმად, გაბმულად, მოგუდულად ღიღინებდა – თითქოს დამცინავადაც კი სცრიდა კბილებშორის:

„ეჰ, ვაშლო, ვაშლო, საით მიგორავ? “

საშას ხელებში მოემწყვდია ირინას ორივე ხელი. ძველ, შალის თავშალში ნიკაპჩარგული ირინა იღიმებოდა. ხელები ცივი ჰქონდა და ჩურჩულით მოლაპარაკეს, პირიდან ორთქლი გამოსდიოდა:

– მოდი, რაღაც უსაშველოდ ნუ ჩავთვლით ამ ათ წელიწადს. სათქმელად ბევრი ჩანს, მაგრამ განა მართლა ასეა? მე მგონი, სულაც არა. გახსოვს, ერთი ფილოსოფოსი ამბობს – დრო მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა თუ რაღაც ამდაგვარიო... ვინ თქვა ეს? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. დრო შეიძლება ძალიან სწრაფადაც გავიდეს, თუ ამაზე არ იფიქრებ. ჩვენ ჯერ ისევ ახალგაზრდები ვიქნებით, როცა...

როცა ისევ გავთავისუფლდებით. ამიტომ, მოდი დავპირდეთ ერთმანეთს, რომ სხვაზე არაფერზე ვიფიქრებთ. აბა, მპირდები?

– გპირდები, – ჩურჩულითვე უპასუხა საშამ და ირინას ხელებს დახედა.

– ნეტა იმ დღეს...

– იმასაც ხომ დამპირდი, ამ ამბავზე აღარასოდეს დავძრავ კრინტსო, საკუთარ თავთანაც კი არ ვილაპარაკებო... ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემთვის ასე უფრო იოლია? ბევრად უფრო გაუსაძლისი იქნებოდა, შენ აქ მარტო იყო და მე შინ ვმჯდარიყავი. ასე კი მგონია, რომ რაღაც გვაკავშირებს, რაღაც გვაერთიანებს და გვამთლიანებს... ასე არაა?

საშამ ხელებზე დაადო სახე და არაფერი უპასუხა.

– თან ისიც ვიცი, ეს ყველაფერი ადვილი არ იქნება, – ჩურჩულითვე გააგრძელა ირინამ და თავადაც წინ გადაიხარა, საშას ქერა თმაზე მიელამუნა ლოყით.

– ზოგჯერ ისიც გეფიქრება ადამიანს, რა აზრი აქვს სულის სიმტკიცის მხოლოდ საკუთარი სიამაყის დასაკმაყოფილებლად შენარჩუნებასო... ამიტომ, მოდი შევთანხმდეთ, რომ სულის სიმტკიცეს ერთმანეთისთვის შევინარჩუნებთ. როცა ყველაზე უფრო გაგიჭირდება, ეცადე გაიღიმო და იფიქრო – ირინასთვის უნდა გავუძლო ამასო და მეც იგივეს ვიზამ. მაშინ მუდამ ერთად ვიქნებით. გახსოვდეს, მთავარი სულის სიმტკიცის შენარჩუნებაა – ასე უფრო დიდხანს გავძლებთ – მერედა, რისთვის?! – ჰკითხა საშამ.

– დიდხანს მაინც არ გვეყოფა ძალა.

– რა სისულელეს ამბობ, საშა! – ირინამ თავი წამოუწია და ისეთი სახით მიაჩერდა, თითქოს თვითონ მისივე ნათქვამი ყოველი სიტყვის მართლა სჯეროდა.

– მე და შენ ორი ჯანმრთელი, ძლიერი ადამიანი ვართ და ეგეც არ იყოს, მაინც გადაჭარბებული მგონია მთელი ეს ლაპარაკი შიმში-

ლობაზე, ჭლექსა და ათას სხვა უბედურებაზე. ისე არ წვიმს, როგორც ქუხს ხოლმე.

ბორბლებმა გაიღრჭიალეს. მატარებელმა სვლა შეანელა.

– ღმერთო ჩემო, – ამოიგმინა საშამ.

– სადგურს ვუახლოვდებით უკვე?

მატარებელი ერთი შეძაგძაგდა მთელ სიგრძეზე, ბორბლებიც სულ უფრო და უფრო სწრაფად ახმაურდნენ ლიანდაგზე.

– არა, – შვებით ამოისუნთქა ირინამ.

– ჯერ არა.

ფანჯარასთან მიმჯდარი სტუდენტიც თითქოს ბორბლებს აყოლებდა დარდიან ხმას:

ეხ, ვაშლო... მაინც საით მიგორავ?

ნელ-ნელა, აუჩქარებლად, დამარცვლით იმეორებდა თითოეულ სიტყვას, თითქოს მათში ერთდროულად იმალებოდა კითხვაცა და პასუხიც, რომლებიც მის რაღაც აზრს ადასტურებდა.

ეჰ... ვაშლო-ვაშლო... საით... მიგორავ...

– მისმინე, – ისევ აჩურჩულდა ირინა.

– შეგვიძლია ასეთნაირადაც მოვიქცეთ: ზოგჯერ მთვარეს მივაჩერდეთ ხოლმე... ხომ იცი, მთვარე ყველგან ერთნაირად ჩანს და მაშინ, ერთდროულად, ერთსა და იმავეს დავინახავთ ორივე! ხომ გესმის?

– ეგ კი კარგი იქნება, – თავი დაუქნია საშამ.

– ჯერ მზეზე ვიფიქრე, მაგრამ არა მგონია იქ მზემ ხშირად გამოანათოს...

– ირინას ხველა აუტყდა. კარგა ხანს ახველებდა გაბმულად. მთელი ტანით ცახცახებდა, ხელი კი პირზე ჰქონდა მიფარებული.

– რა ხდება, ასე რატომ გახველებს, ირინა? – წამოიძახა საშამ.

– ეგ არაფერი, – გაუღიმა ირინამ და როგორც იქნა, სული მოითქვა.

– ცოტა გავცივდი. გპუ-ს საკნებს მაინცადამაინც კარგად არ ათბობენ.

ფანჯრის მიღმა ლამპიონების შუქი გაკრთა. მერე ისევ ყველაფერი სიბნელეში ჩაიძირა, მხოლოდ ფანტელები ეხლებოდა უხმაუროდ შუშას. გათოშილი ირინა და საშა უწინდებურად ისხდნენ, ფანჯარას მიჩერებულები.

– მგონი, ვუახლოვდებით, – ჩაიჩურჩულა ირინამ.

საშა შეკრთა, წელში გასწორდა. სახეზე მკვდრისფერი დაედო. თუმცა ხმაში, მოულოდნელად, უცნაური სიმტკიცე გამოერია:

– უფლებას თუ მოგვცემენ, ერთმანეთს წერილები მივწეროთ, კარგი? ყოველდღე მივწეროთ – აბა რა, – ვითომ ხალისიანად მიუგო ირინამაც.

– ნახატებსაც დაურთავ?

– აუცილებლად. მოიცა! – ირინამ ფანჯრის ჩარჩოს დანახშირებული ნაფოტი ააგლიჯა.

– ახლავე დაგიხატავ რამეს.

სკალპელმომარჯვებული ქირურგივით სწრაფი, თავდაჯერებული მოძრაობებით, მერხის საზურგეზე რამდენიმე შტრიხით უცებ მიახატა წარბებმორკალული, უშნოდ გაღრეჯილი პატარა ეშმაკუნას მხიარული სახე. მისი ამ გადამდები ღიმილის შემხედვარე, უნებურად მნახველსაც გაეცინებოდა.

– აი, ეს გაგიწევს თანამგზავრობას, როცა... როცა გზას გააგრძელებ, – თქვა ირინამ.

საშამაც სწორედ იმ ეშმაკუნასავით ჩაიღიმა. მერე კი უცებვე, თავი უკან გადააგდო, ხელები მთელი ძალით მომუშტა და ისეთი ხმით იყვირა, ფანჯარასთან მიყუჟული სტუდენტი შეხტა და მაშინვე მისკენ გამოიხედა.

– რა ალაპარაკებთ ღირსებაზე, იდეალებზე, ქვეყნის წინაშე ვალზე? რას გვიჩიჩინებენ, ვითომ...

– კარგი, ცოტა ჩუმად! რა აზრი აქვს ახლა მაგაზე ფიქრს... გადაყვა კაცობრიობა უაზრო ფიქრით ტვინის ჭყლეტას!

სადგურში, მეორე ლიანდაგზე, კიდევ ერთი მატარებელი ჩამომდგარიყო. შეიარაღებულმა გუშაგებმა რამდენიმე პატიმარი სწორედ იმ მატარებელში გადაიყვანეს. საშამ ღონივრად ჩაიკრა გულში ირინა; მერე ტუჩები, ლოყები, თმა და ყელი დაუკოცნა. თან ისეთი ხმით გმინავდა, როგორც მხოლოდ დაჭრილი მხეცი თუ ღრიალებს ალბათ სახე ირინას თავშალში ჩარგო და ხმაჩახლეჩილმა, ერთიანად სახეავარვარებულმა, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა, ნაჩქარევად უჩურჩულა ის სიტყვები, რომელთა ამოთქმაც ადრე მუდამ უძნელდებოდა ხოლმე:

– მე.. მე... მიყვარხარ, ირინა! შაშხანიანი ჯარისკაცი იდაყვზე შეეხო ირინას. ისიც ძლივძლივობით მოშორდა საშას და გასასვლელში უკან მიჰყვა გუშაგს. თუმცა, კართან რომ მივიდა, სწორედ ამ დროს, გამწარებულმა საშამ ჯარისკაცს ხელი ჰკრა, ისევ ჩაეხუტა ირინას და ისევ ისე, გიჟივით დაუწყო კოცნა ცოლს, რომელთანაც არასოდეს წოლილიყო.

ჯარისკაცმა ხელი გააშვებინა, უკან მიაგდო და ირინას ვაგონის კარისკენ უბიძგა. მან წამით თავი მოაბრუნა, უკანასკნელად რომ შეეხედა საშასთვის და თან სწორედ იმ ეშმაკუნასავით გაუცინა, ცხვირი შეიჭმუხნა და თვალიც თანამზრახველივით ჩაუპაჭუნა. მერე მის ზურგსუკან კარიც ჩაირაზა.

ორი მატარებელი ერთდროულად დაიძრა. ფანჯრის მინაზე სახეგამიბჯენილი საშა ჯერ ისევ ხედავდა მოპირდაპირე მატარებლის ფანჯრის ყვითელ ოთხკუთხედში ირინას თავს; მატარებლები ჯერ გვერდიგვერდ მიდიოდნენ, მერე ბორბლებმა თანდათან უმატეს სიჩქარეს. ვაგონს, რომელსაც საშა თვალს არ აშორებდა, სადგურის შუქებმა გადაურბინა. საშა ფიქრობდა, ფანჯარა ღია რომ იყოს, ხელს გვიწვდენდი და იმ ვაგონს შევეხებოდიო. მერე თოვლის ზოლი, რო-

მელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ამ ორ შემადგენლობას, თანდათანობით გაფართოვდა და მატარებლებიც ისე დაშორიშორდნენ, მთელი ტანითაც რომ მოეხერხებინა ფანჯრიდან გადაწევა, იმ ვაგონს მაინც უკვე ვეღარ მიაწვდენდა ხელს. მზერა ახლა ჯიუტად გაფართოებული თოვლის ზოლისაკენ გაექცა, თითები კი კვლავაც ფანჯრის შუშაზე მიედო, თითქოს ცდილობდა, ამ ზოლს მოჭიდებოდა და გაფართოების საშუალება არ მიეცა. ოღონდ ეს ორი წყვილი ლიანდაგი მაინც სულ უფრო მეტად შორიშორდებოდა. ახლა საშას თვალსაწიერში მხოლოდ მოლურჯო ფოლადის ბორბლებიღა მოქცეულიყო, გამალებით რომ გაყავდათ თოვლში ორი ვიწრო კვალი. საშა აღარც თოვლს აღარ უცქერდა. მისი მზერა იმ პატარა, ყვითელ ოთხკუთხედს მიეზიდა, უკვე სადღაც ძალიან შორს რომ კრთოდა, მის შუაგულში კი წერტილივითღა მოჩანდა საშასთვის ესოდენ ძვირფასი ადამიანის სილუეტი. ყვითელი კვადრატი თვალსა და ხელსშუა ქრებოდა, მაგრამ საშა მაინც არ აშორებდა მზერას: გრძნობდა, როგორ იზიდავდა მისკენ რაღაც უცხო ძალა და თან აუტანელ ტკივილს უჩენდა. ლიანდაგების ორი წყვილი, გრძელი, უსასრულო ხნული ერთმანეთისაგან სულ უფრო და უფრო დაშორებული იკარგებოდა თოვლიან სივრცეში, მათ წინ კი ორი წყვილი ვერცხლისფერი სხივი მიარღვევდა სიბნელეს. მერე ის ფანჯარაც დაეკარგა მხედველობიდან. საშა ახლა უკვე ყვითელი ლაქების ერთიან მწკრივსღა არჩევდა, რომელსაც ზემოდან რაღაც მუქი მოქცეოდა – ეტყობა, ვაგონების სახურავები. ერთ ძაფზე ასხმული ეს ყვითელი მძივები ზედიზედ ინთქმებოდა ბნელ უფსკრულში. მალე საშა ვეღარაფერს ხედავდა ფანჯრის ჭუჭყიანი შუშის გარდა, რომელსაც გარედან თითქოს შავი ტყავი გადაკროდა და საშაც უკვე დაბეჯითებით ვეღარც იტყოდა, მართლა არჩევდა უკუნეთში ყვითელ ნაპერწკლებს, თუ ეს მხოლოდ მისი აღგზნებული წარმოსახვის გამონაგონი გახლდათ.

ცოტა ხანში, მთლად ონავრულად მომღიმარი, ცელქი ეშმაკუნას

ანაბარაღა დარჩა, რომელიც მოპირდაპირე კედლის თაროზე მიხატული შემოსცქეროდა.

IX

„ამხანაგი ვიქტორ დუნაევი, ჩვენი ერთ-ერთი ახალგაზრდა და უაღრესად იმედისმომცემი ინჟინერი, ვოლხოვსტროიზე იგზავნება სამუშაოდ, ამ უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აქამდე ჯერ არცერთი მისი თანატოლი არ დანიშნულა“.

გაზეთ „პრავდადან“ ამოჭრილი ეს ცნობა ვიქტორს თავის ახალთახალ, მბზინავ პორტფელში ედო, ისევე როგორც მსგავსი შინაარსის სხვა განცხადება „კრასნაია გაზეტადან“ და კიდევ, საგულდაგულო სიფრთხილით გაკეცილი ამონაჭერი „იზვესტიადან“, თუმცა კი იქ ამხანაგ ვ. დუნაევის დანიშვნის ამბავს მხოლოდ ერთი სტრიქონი ეთმობოდა.

ვოლხოვის ტბის შორიახლოს წამოწყებულ მშენებლობაზე გამგზავრებულმა ვიქტორმა ეს პორტფელიც თან გაიყოლა. პეტროგრადიდან სულ რამდენიმე საათი იყო იქამდე სავალი. მის გასაცილებლად სადგურზე პარტკომის მთელი შემადგენლობა გამოცხადდა. ვიქტორმა მათ მოკლე, თუმც კი შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა პროლეტარული აღმშენებლობის მომავალთან დაკავშირებით. ვაგონის ბაქანზე შემდგარი ლაპარაკობდა და ისე შევიდა ეშხში, დაავიწყდა კიდეც, გამომშვიდობებისას მარიშასთვის ეკოცნა. მისი ეს სიტყვა მეორე დღესვე გამოქვეყნდა პარტიული კომიტეტის კედლის გაზეთში.

მარიშას პეტროგრადში დარჩენა მოუწია. მას აუცილებლად უნდა დაესრულებინა მუშფაკის კურსი და თან საზოგადოებრივი საქმიანობაც გაეგრძელებინა. გულის სიღრმეში მაინც უჭიატებდა იმის იმედი, ეგებ ვიქტორმა თან წამიყვანოსო, მაგრამ იმან დაჟინებით

მოსთხოვა ქალაქში დარჩენა.

– ჩემო ძვირფასო, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ რიგში, საზოგადოებრივი ვალდებულებები გვეკისრება და პირადი მოსაზრებები ამაზე წინ არ უნდა დავაყენოთ, – უთხრა ვიქტორმა მარიშას.

ცხადია დაპირდა, პეტროგრადში როცა ჩამოვალ ხოლმე, მაშინვე შინ გავჩნდებიო. არადა, მარიშა მას ერთხელ სრულიად მოულოდნელად გადაეყარა პარტიულ კრებაზე. ვიქტორმა ცოტა არ იყოს, არეულ-დარეულად აუხსნა, ახლა შინ შენთან ერთად ვერ წამოვალ, რადგან სასწრაფოდ ისევ მშენებლობაზე უნდა დავბრუნდე და ღამის მატარებელს უნდა მივუსწროო. მარიშას არაფერი უთქვამს, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ არანაირი ღამის მატარებელი არ არსებობდა.

თანდათანობით, ენაზე კბილის დაჭერის ჩვევაც გამოიმუშავა; კომკავშირის კრებებზეც მოხსენებებს უკვე ერთობ უხალისოდ, უგულოდაც კი კითხულობდა, ხოლო როცა სრულიად მარტო რჩებოდა შინ, იჯდა და გაციებული მზერით ერთ წერტილს მიშტერებოდა ხოლმე.

დუნაევების დიდი ბინის გამოცარიელებულ ოთახებში მის გარდა აღარავინ სახლობდა. ვიქტორმა რამდენიმე გავლენიან მაღალჩინოსანთან მოახერხა დალაპარაკება. მათ კი, თავის მხრივ, განკარგულება გასცეს, ამ გამოთავისუფლებულ ოთახებში არავინ შეესახლებინათ. თუმცა, ბინაში გამეფებული მდუმარება მარიშას ისე აფრთხობდა და თრგუნავდა, ცდილობდა საღამოები თავისიანებთან, თავისი ოჯახის წევრებთან გაეტარებინა იმ ერთ ოთახში, კირას მეზობლად.

როცა მივიდოდა, დედამისი ერთთავად ოხვრასა და წუწუნს მოჰყვებოდა ხოლმე – კოოპერატივში სურსათ-სანოვაგის გაძვირებას უჩიოდა, მერე კი, როცა ვიშვიშით გულს იჯერებდა, ისევ თავის ხელსაქმეს უბრუნდებოდა. მამამისი ერთი კი მიესალმებოდა სტუმრად

მისულ ქალიშვილს, და მერე საერთოდ აღარც იმჩნევდა მის იქ ყოფნას. შენ რა, ისევ მოხვედიო? – ყოველ ჯერზე ასე ხვდებოდა უმცროსი ძმაც და მარიშას პასუხად არაფერი ჰქონდა სათქმელი. როიალის გვერდით, კუთხეში მიჯდებოდა, წიგნს გადაშლიდა და გვიან ღამემდე კითხულობდა. მერე წამოდგებოდა, ჩემი წასვლის დროაო, – იტყოდა და შინ ბრუნდებოდა.

ერთხელაც, მათ ოთახში კირამ შემოაბიჯა. სადღაც მიეჩქარებოდა შინიდან. მარიშა მის დანახვაზე მაშინვე წამოხტა, გულითადად გაუღიმა, თითქოს იმედიანადაც, თუმცა თავადაც ვერ იტყოდა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა, ან საერთოდ მოახერხებდა კი რამის თქმას კირასთვის? გაუბედავად, ნაბიჯიც კი წადგა მისკენ, ოღონდ იქვე გახევდა: კირამ საერთოდ არ შეიმჩნია, არცკი გაუხედავს მარიშასკენ, ისე გავიდა ბინიდან. სახეზე ღიმილშემშრალი მარიშაც მძიმე-მძიმედ დაეშვა სკამზე.

* * *

იმ წელს ადრე მოთოვა. ტროტუარებისკენ მიხვეტილი თოვლი ზვინებად იდო პეტროგრადის ქუჩებში – ჭვარტლის წვრილი, შავი ძაფებით დაღარული, მიწის ყავისფერ ბელტებშერეული, ნამწვავებითა და გაზეთების გამოხუნებული ნაკუწებით დანაგვიანებული. თოვლი ხელუხლებლად მხოლოდ სახლების კედლებთან რჩებოდა, პირველი სართულების ფანჯრის რაფებამდე უწევდა და წმინდა ბამბასავით რბილი, ქათქათა ჩანდა.

ქუჩისკენ გამომავალი რაფებიც უხვად დათოვლილ თაროებს ჰგავდა. გრძელი ლოლუების მაქმანებით მორთული ლავგარდანები მზეზე ბრწყინავდა. ზამთრის ცივი, ლურჯი ცისკენ ყვავილის ფურცლებივით ნელ-ნელა მიისწრაფოდა ვარდისფერი კვამლის ბოლქვები.

მაღლა, სახურავებზე, ლითონის ჯებირების მიღმაც, თოვლის თეთრი კედლები აღმართულიყო, ნებისმიერ წამს მოსაწყდომად

გამზადებული. უხეშთათმანებიანი მამაკაცები გამალებით იქნევ-დნენ ნიჩბებს, სახურავებიდან თოვლის ვეება გუნდებს ძირს ყრიდ-ნენ და ისინიც ყრუ ჭახანით იმსხვრეოდა წვრილ-წვრილად. მემარ-ხილებიც სულ ბოლო წამს უხვევდნენ ხოლმე გვერდზე, თოვლის გაქ-ვავებული ბელტები რომ არ დასცემოდათ ზემოდან. მობუზული, დამშეული ბელურები კი ამ დროს დაფეთებული არიდებდნენ თავს ცხენების მძიმე ფლოქვებს.

ქუჩის კუთხეებში, შეუღებავი ფიცრის ყუთებში მოთავსებული დიდრონი ქვაბები დაედგათ, რომლებშიც მაღალყელიან თათმანე-ბიანი მამაკაცები თოვლს ყრიდნენ, მერე კი იქიდან, ტროტუარის გასწვრივ, წვრილ-წვრილ ნიაღვრებად მოედინებოდა ჭუჭყიანი წყა-ლი.

ღამ-ღამობით, თოვლის ამ სახელდახელო სადნობებს ჩამოძონძი-ლი უსახლკაროები მიადგებოდნენ ხოლმე და გათოშილ ხელებს ით-ბობდნენ.

კირა ფეხაკრეფით მიაბიჯებდა სასახლის ბაღში მინაშენისკენ. თოვლს ჯერ ისევ ემჩნეოდა ვიღაცის ნატერფალით გაკვალული ბი-ლიკი. კირამ იცოდა, რომ ეს ანდრეის ნაფეხურები უნდა ყოფილიყო, რადგან ვინმე უცხო ბაღის სიღრმეში არასოდეს დაიარებოდა. გა-შიშვლებული, უსიცოცხლო ხეები სატელეგრაფო ბოძებს ჰგავდა. სა-სახლის ფანჯრებში არსად მოჩანდა შუქი, თუმცა ბაღის განაპირას, გაყინული ტოტების მიღმა, ერთგან კი კრთოდა ყვითლად ფანჯრის ოთხკუთხედი, რომელიც მიწაზე ოქროსფერ-მოვარდისფრო ათინა-თად ირეკლებოდა.

კირა აუჩქარებლად აუყვა მარმარილოს მაღალ კიბეს. კიბეზეც ბნელოდა. წინდაწინ ფეხით ფრთხილად მოსინჯავდა ხოლმე მოლი-პულ, სლიპინა საფეხურს. სადარბაზოში მავზოლეუმის მკვდარი, ნო-ტიო სიცივე გამეფებულიყო. კირა ხელითაც ფრთხილად ეხებოდა დამსკდარ-დახეთქილ მოაჯირს, წინ საერთოდ ვერაფერს ხედავდა,

ალალბედზე მიაბიჯებდა და ეჩვენებოდა, ამ გზას აღარასოდეს დაადგება საშველიო.

მაგრამ მოაჯირი უცებ მოთავდა და კირაც შეჩერდა.

– ანდრეი! – გაუბედავად დაიძახა სიბნელეში და შემკრთალ ხმაში თან ეშმაკური სიცილიც შეეპარა.

შუქის ზოლმა მაშინვე გაკვეთა უკუნი სიბნელე, როგორც კი ანდრეიმ თავისი ოთახის კარი გამოაღო.

– კირა! – გამოექანა სტუმრის შესაგებებლად და თან სიცილით მოუბოდიშა:

– ძალიან გთხოვ, მაპატიე! ისევ დაწყდა ეს ოხერი სადენები... მერე ხელში აიტაცა და ოთახში ასე შეიყვანა. კირასაც ეცინებოდა:

– შენც მაპატიე, ანდრეი! რაღაც ძალიან მშიშარა გავხდი ამ ბოლო დროს...

ანდრეიმ ბუხართან მიიყვანა და მაშინღა დასვა ძირს. პალტო გახადა, ქუდიც ჩამოართვა. დათოვლილმა ტანსაცმელმა თითები დაუსველა. ცეცხლთან სკამი მიუდგა და ახლა თათმანების წაძრობაშიც მიეხმარა. მერე თავის ღონიერ ხელებში მოიმწყვდია კირას გაყინული მტევნები და გასათბობად რამდენჯერმე დააორთქლა ზედ. ბოლოს, კალოშებიც გახადა, ჰაერში დაიქნია დასაფერთხად და მათგან დაფრქვეული წვეთები შიშინით დაეცა ალმოდებულ შეშაზე.

ანდრეი ახლა უსიტყვოდ შეტრიალდა; ვიწრო, მოგრძო ყუთს დასწვდა და მუხლებზე დაუდო კირას. მერე ღიმილით მიაჩერდა.

– ეს რა არის, ანდრეი? – იკითხა კირამ..

– რაღაცაა, უცხოეთიდან.

კირამ ყუთს ქაღალდი შემოაცალა და გახსნა. გაოგნებულმა, სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. ყუთში შავი შიფონის პენუარი იდო – ისეთი გამჭვირვალე, მის შავ, სიფრიფანა ნაკეცებში ბუხარში მთრთოლვარე ცეცხლის ალის ათინათიც კი ატანდა.

– ანდრეი... ეს სად იშოვე? – იკითხა შემცბარმა კირამ.

– კონტრაბანდისტებთან.

– შენ რა, კონტრაბანდისტებისაგან ყიდულობ რაღაცეებს? – რატომაც არა?! – კი მაგრამ, ეგენი ხომ კანონს არღვევენ! – კარგი რა! ძალიან მომინდა და ვიყიდე. ვიცოდი, მოგეწონებოდა.

– კი მაგრამ, დრო იყო...

– იყო. ახლა სხვა დროა. კირამ თითებით მოსინჯა თითქმის სრულიად უწონო ქსოვილი.

– აბა, რას იტყვი? – ჰკითხა ანდრეიმ.

– მოგწონს? – ეჰ, ანდრეი.

– ამოიოხრა კირამ.

– ნუთუ საზღვარგარეთ სულ ასეთებს იცვამენ?

– ცხადია.

– წარმოგიდგენია? შავი ფერის საცვლებს... რა სისულელეა! მაგრამ თან ლამაზიც რომაა?

– ეგრე ცხოვრობენ საზღვარგარეთ. არ ეშინიათ ეგეთი სისულელეების. თუ ლამაზია, რატომაც არ უნდა ჩაიცვა?

კირას სიცილი აუტყდა:

– ანდრეი! იცოდე, პარტიიდან გარიცხვა არ აგცდება ამნაირი ლაპარაკისთვის.

– შენ საზღვარგარეთ წახვიდოდი საცხოვრებლად, კირა?

შავი პენუარი იატაკზე დაეცა. ანდრეიმ მშვიდად ჩაიცინა, დაიხარა და აიღო.

– ბოდიშს გიხდი თუ დაგაფრთხე, კირა.

– რა... რა თქვი ახლა, ამწუთას?

– მისმინე,..

– ანდრეიმ უცებ, კირას გვერდით ჩაიმუხლა, ხელები შემოხვია და ყველაფრისთვის მზადმყოფი კაცის ისეთი სასოწარკვეთილი მზერით მიაჩერდა, როგორიც კირას მანამდე არასოდეს ენახა.

– ბოლო დროს, ამაზე ხშირად ვფიქრობ ხოლმე... ჯერ მეგონა, სიგიჟეა-მეთქი, მაგრამ ისე ამეკვიატა ეს აზრი, უკვე აღარც კი ვიცი...

კირა, ჩვენ შეგვიძლია... გესმის, რას გეუბნები? საზღვარგარეთ უნდა წავიდეთ, სამუდამოდ!

– კი მაგრამ, ანდრეი...

– ყველაფერს გავახერხებ. გპუ-ს გავაგზავნინებ თავს უცხოეთში, საიდუმლო დავალებით... შენც გაგიმზადებ პასპორტს და საბუთებს, როგორც ჩემს მდივანს. საზღვარს გადავკვეთავთ თუ არა, ამ დავალებასაც დავივიწყებთ, ჩვენს წითელ პასპორტებსაც და ვინაობასაც! ისე შორს გავიქცევით, ვერასდროს მოგვაგნონ...

– ანდრეი, გესმის მაინც, რას ლაპარაკობ?!

– მესმის. ოღონდ ის კი აღარ ვიცი, იქ რა უნდა ვაკეთო. ჯერჯერობით არ ვიცი. როცა მარტო ვარ, მაგაზე ფიქრსაც ვერ ვბედავ, თუმცა როცა შენ ხარ ხოლმე აქ, ჩემს გვერდით, მაშინ ფიქრიც შემიძლია და ამაზე ხმამაღლა ლაპარაკიც! მანამდე მინდა გავიქცე, ვიდრე საბოლოოდ ამომივა ყელში ის, რასაც ჩემს ირგვლივ ვხედავ, ერთბაშად მინდა ამასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტო! ეს ცხოვრების თავიდან დაწყება იქნება, ცარიელი ფურცლიდან, სრული სიცარიელედან... ოღონდ უკვე შენ მეყოლები გვერდით. სხვას კი არაფერს აქვს მნიშვნელობა. ეტყობა, საერთოდ იმისთვის ვიცხოვრე აქამდე, იმას რომ მივმხვდარიყავი, რასაც დღეს-დღეობით შენგან ვსწავლობ.

– ანდრეი, – შეაწყვეტინა კირამ.

– შენ ამბობ ამას? საუკეთესოთა შორის საუკეთესო, ვინც კი შენს პარტიას შეიძლებოდა ქვეყნისთვის შეეთავაზებინა...

– კარგი, ბოლომდე თქვი სათქმელი... თქვი რომ მოღალატე ვარ. იქნებ მართლა ვარ კიდეც, თუმცა მეორეს მხრივ, ეგებ სწორედ ახლა დავუსვი წერტილი ჩემს მოღალატეობას, იქნებ მოღალატე მთელი ამ წლების განმავლობაში ვიყავი და რაღაც ბევრად უფრო დიდს ვუღალატე, რაც ჩემ პარტიას ოდესმე შეუთავაზებია ქვეყნიერებისთვის! არ ვიცი და არც მადარდებს ეს ამბავი. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს შიშველი ვიყავი, შიშველი, ერთიანად გამოცარიელებული

და სრულიად უმეცარი... რადგან იცი, უკვე აღარაფერში აღარა ვარ დარწმუნებული, ვერაფერი გამირკვევია იმ აბდაუბდაში, რასაც ადამიანის არსებობას ეძახიან. არაფერი ვიცი და არც არაფერი მაღელვებს შენს გარდა! – მერე უცებ, კირას სახის გამომეტყველება შეამჩნია და უფრო ჩუმი ხმით დაეკითხა:

– რა იყო, რამე ისეთი ვთქვი, მთლად შეგაშინე? – არა, ანდრეი...

– ჩურჩულითვე მიუგო კირამ, და თვალი აარიდა.

– ერთხელ ჩემს უდიდეს მოწიწებაზე ჩამოგიგდე სიტყვა, გახსოვს? – კი, მახსოვს...

– კირა, გამომყვები ცოლად?

კირას ხელები უმწეოდ ჩამოუვარდა და ისევ ანდრეის მიაჩერდა, მავედრებელი თვალებით.

– კირა! უსაყვარლესო, ვერ ხედავ, რა დღეში ვართ? როდემდე უნდა ვიმალებოდეთ და ვიტყუებოდეთ? რატომ უნდა ვცხოვრობდე ასეთ სატანჯველში, გამუდმებით ვითვლიდე საათებს, დღეებს, კვირეებს – შეხვედრიდან შეხვედრამდე? რატომ არ უნდა მქონდეს უფლება მაშინ დაგირეკო, როცა მგონია რომ უშენოდ ჭკუიდან შევიშლები? როდემდე უნდა მქონდეს პირში წყალი ჩაგუბებული? რატომ არ შემიძლია პირდაპირ გამოვუცხადო ყველას, ლეო კოვალენსკისნაირ ადამიანებს, რომ შენ ჩემი ხარ, ჩემი... ცოლი ხარ!

კირა უკვე აღარ ჰგავდა შეშინებულს. ლეოს ხსენებამ ისევ დაუბრუნა უწინდელი მხნეობა, რომელიც აქამდე შეუძლებლის შეძლების ძალას ანიჭებდა.

– არ შემიძლია, ანდრეი! – თქვა მშვიდად.

– რატომ? – ძალიან რომ გთხოვო, ერთ რამეს შემისრულებ? – რასაც გინდა.

– მაშინ, მიზეზს ნუ მკითხავ.

– კარგი.

– საზღვარგარეთაც ვერ წამოვალ, მაგრამ თუ მარტო წასვლას გადაწყვეტ...

– დაივიწყე. მე არაფერს გკითხავ, ოღონდ როგორ გგონია, უშენოდ სადმე წამსვლელი ვარ?

კირას გაეცინა. სკამიდან წამოხტა.

– მოდი, დავივიწყოთ. მოდი, ჩვენი წილი ევროპა აქვე მოვიწყოთ. შენი საჩუქარი უნდა მოვიზომო. შეტრიალდი და არ გამოიხედო.

ანდრეი დაემორჩილა. როცა ისევ შემოტრიალდა, კირა ბუხართან იდგა. ხელები კეფაზე დაეკრიფა. მისი სხეულის მუქი სილუეტის უკან ცეცხლი გიზგიზებდა და მისი ალი ამ თხელ, შავ ბურუსში კრთოდა.

ანდრეი მიუახლოვდა, კირა უკან გადაიზნიქა ისე, რომ თმა ჩამოეშალა და წითლად აუელვარდა ცეცხლის გამონაშუქზე.

– კირა! – ეჩურჩულებოდა ანდრეი.

– არ გეგონოს, გეწუწუნებოდე... მე მართლა ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ იმით, რომ შენს მეტი ამქვეყნად აღარაფერი გამაჩნია.

– მაგას ნუ ამბობ, გთხოვ, – ამოიოხრა კირამ.

ანდრეის მართლაც აღარაფერი უთქვამს, თუმცა მისი თვალები, მისი მკლავები, კირას სხეულს მიკრული მისი სხეული თითქოს უხმოდ იმეორებდა ერთსა და იმავეს: „შენს გარდა აღარაფერი გამაჩნია, აღარაფერი... მხოლოდ შენ...“

* * *

შინ გვიან, ნაშუაღამევს დაბრუნდა. გამოცარიელებულ ოთახში ბნელოდა და ლეოს მოლოდინში, საწოლზე ჩამოჯდა. იმდენად იყო დაღლილი, თვალს ძლივს ახელდა. თავი ბალიშზე მიდო და ასე, ტანზე გაუხდელად მიწვა.

ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. ჯიუტად, გაუჩერებლად რეკდა. დაფეთებული წამოხტა. უკვე გათენებულიყო. მაგიდაზე ჯერ ისევ ენთო სანათი, ოთახში კი თავად კირას გარდა, არც არავინ ჩანდა.

ფეხარეული გაემართა ტელეფონისკენ, ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებოდა.

– გისმენთ, – ჩასძახა ყურმილს. ოღონდ თან ზურგით კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

– კირა ალექსანდროვნა ბრძანდებით? – მოისმა მამაკაცის ქლესა, შემპარავი ხმა, რომელიც თითქოს საგანგებოდ წელავდა თითოეულ ხმოვანს.

– დიახ, – უპასუხა კირამ.

– თქვენ ვინ...

– კარპ მოროზოვი გაწუხებთ. კირა ალექსანდროვნა, სულზე უტკბილესო, ეგებ მოხვიდეთ და ეს... ეს თქვენი ლევ სერგეევიჩი შინ წაიყვანოთ? მართალი გითხრათ, არ ივარგებს ასე ხშირად რომ ხედავენ ჩემს სახლში. რაღაც წვეულება გაუმართავთ და...

– ახლავე წამოვალ, – თქვა კირამ, ყურმილი დადო და თვალები მოიფშვნიტა.

საჩქაროდ ჩაიცვა, ოღონდ პალტოს შეკვრა კი გაუჭირდა: ისე უცახცახებდა თითები, ვერაფრით ახვედრებდა ღილებს ღილკილოებში.

კარი თავად მოროზოვმა გაუღო. უპიჯაკოდ იყო, ჟილეტი კი ისე მჭიდროდ ადგა ტანზე, ღიპი ლამის აღარც ეტყობოდა. მდაბლად, გლეხურად დაუკრა თავი კირას:

– მობრძანდით, კირა ალექსანდროვნა! როგორ გიკითხოთ? ვწუხვარ რომ თქვენი შეწუხება მომიწია, მაგრამ... აქეთ, აქეთ მობრძანდით!

ფართო, თეთრკედლებიან წინკარში სუნამოსა და ნაფტალინის ერთმანეთში არეული სუნი იდგა. ნახევრად გამოღებული კარის იქიდან კირამ ლეოს მხიარული, ხალისიანი, უდარდელი სიცილი გაიგონა.

აღარც დალოდებია, როდის შეუძღვებოდა მოროზოვი და თავადვე, დაუპატიჟებლად შეაბიჯა სასადილო ოთახში. იქ სამ კაცზე გაშლილი მაგიდა დაუხვდა. ანტონინა პავლოვნას წკიპად ეჭირა სახელურით ჩაიდანი, ტანზე აღმოსავლური კიმონო ჩაეცვა, ცხვირზე

თეთრ ლაქებად გადღაბნოდა ფერუმარილი, პომადის კვალი კი ნიკაპზეც ემჩნეოდა და ცხვირზეც. შეუღებავი თვალები ახლა ჩვეულებრივზე წვრილი, შეშუპებული და მიმქრალი მოუჩანდა. ლეოც მაგიდასთან იჯდა, შავი შარვალი ეცვა და ისიც უპიჯაკოდ იყო. პერანგის საყელო გაეღეღა, ყელსახვევი მოებოშებინა და თმაც გვარიანად აჩეჩოდა. გულიანად იცინოდა, თან იმას ცდილობდა, მოხარშული კვერცხი როგორმე დანის პირზე გაეჩერებინა.

უცებ, თავი ასწია და სრულიად გაოგნებულმა შემომხედა კირას. ახალგაზრდული, ცოცხალი, გაზაფხულის ადრიან დილასავით გაბრწყინებული სახე ჰქონდა – რასაც ეტყობა, ვერაფერი შეაკრთობდა ან დაძაბავდა.

– კირა? შენ აქ რას აკეთებ?

– კირა ალექსანდროვნა თურმე აქეთ ბრძანდებოდა და...

– გაუბედავად წამოიწყო მოროზოვმა, თუმცა კირამ მაშინვე უხეშად გააწყვეტინა სიტყვა:

– ამან დამირეკა.

– შენ რა, მთლად...

– მოროზოვისკენ შეტრიალდა ლეო და სახეც წამსვე ბრაზისაგან მოეღუშა. თუმცა, მაშინვე თავი გადააქნია და ყველასათვის მოულოდნელად, ჩაიცინა.

– შენც მაგარი ხარ, რა! ესე იგი, თქვენი აზრით, უკვე ძიძაც მჭირდება, არა?

– ლევ სერგეევიჩ, სულზე უტკბესო, ეგ არც მიფიქრია...

– მოკეტე! – უბრძანა ლეომ და კვლავ კირას მიაჩერდა.

– კარგი, რახან აქ ხარ, ბარემ პალტოც გაიხადე, ჩამოჯექი და ისაუზმე. ტონია, ნახე ერთი, კვერცხი კიდევ დარჩა?

– ჩვენ შინ მივდივართ, ლეო! – მშვიდად უთხრა კირამ.

ლეომ წამით თვალი თვალში გაუყარა, მერე მხრები აიჩეჩა და გაჭირვებით წამოიმართა.

– რაკი ასე მიბრძანებთ... მოროზოვი ჩაის ნახევრად დაცლილ

ფინჯანს დასწვდა და მისი შიგთავსი ლამბაქზე გადმოასხა; მერე ლამბაქი ტუჩებთან მიიტანა და ფრთხილად მოხვრიპა. ჯერ კირას შეხედა, მერე ლეოს მიაჩერდა, ცოტა არ იყოს, დამფრთხალი:

– იცით რას გეტყვით... მოკლედ, საქმე ასე იყო: კირა ალექსანდროვნას მხოლოდ იმიტომ დავურეკე, რომ შემეშინდა, ვაითუ ცუდად არის-მეთქი... ლევ სერგეევიჩ, თქვენ ხომ...

– მაგრად დავთვერი, არა? – მის მაგივრად დაამთავრა ლეომ.

– არა, მაგრამ.....

– კი, ეგრე იყო. ოღონდ ეს გუშინ, ამ დილას კი სრულიად ფხიზელი ვარ. თან შენი საქმე არაა...

– პატარა წვეულება გავმართეთ, კირა ალექსანდროვნა, – ახლა უკვე ანტონინა პავლოვნა აღუღუნდა შემრიგებლურად.

– არ გვეგონა, ასე გვიანობამდე თუ შევრჩებოდით და...

– დილის ხუთ საათზეღა მოაღწიე საწოლამდე! – შეუღრინა მოროზოვმა.

– ისე დაენარცხე ზედ, მკვდარს წამოაგდებდი... თან წყლიანი გრაფინიც წააქციე.

– სახლამდე ლეომ მომაცილა, – ისე გააგრძელა თავისი ანტონინა პავლოვნამ, მოროზოვის ნათქვამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

– ვიფიქრე, ცოტა დაღლილია-მეთქი და...

– ცოტა დაღლილი და ცოტაც...

– წამოიწყო მოროზოვმა.

– მთვრალი! – ახლაც მის მაგივრად დაამთავრა სათქმელი ლეომ და ერთხელ კიდევ აიჩეჩა მხრები.

– ჩვენში დარჩეს, მაგარი მთვრალიც! – სიბრაზისაგან სახეაწითლებულ მოროზოვს უკვე ჭორფლიც კი აღარ ეტყობოდა ზედ.

– იმდენად მთვრალი, რომ დილით წინკარში, ტახტზე მიწოლილი დამიხვდა და თან ისე მკვდარივით ეძინა, ზარბაზნის ხმაც ვერ გააღვიძებდა!

– და რა მერე, დაიქცა ქვეყანა? – გულგრილად იკითხა ლეომ.

– მაგარი წვეულება კი გამოვიდა, – ისევ აქაქანდა ანტონინა პავლოვნა.

– ჩვენი ლეო საოცრად ხელგაშლილია! ერთი სიამოვნებაა მაგასთან ერთად ქეიფი... ოღონდ ლეო, საყვარელო, მე მგონი მაინც მეტი წინდახედულება გმართებს.

– რატომ, რა ჩავიდინე ასეთი? რაღაც არაფერი მახსოვს...

– არა, იმას არ ვგულისხმობ, რულეტში რამდენი წააგე და არც იმას. ათ-ათ მანეთს რომ იხდიდი ყველა გატეხილი უბრალო ჭიქის საფასურად, მაგრამ მიმტანებისთვის ას-ასი მანეთის ჯიბეში ჩაჩურთვა მაინც მეტისმეტი იყო!

– ვითომ რატომ? იცოდნენ, რა განსხვავებაცაა ოჯახში გაზრდილ კაცსა და დღევანდელ წითელ ნაგავს შორის!

– კი მაგრამ, დამკვრელებისთვის ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთის მიცემაც ზედმეტი იყო... თანაც ყოველ ჯერზე, როცა კი რამე ისეთს წამოიწყებდნენ, რისი მოსმენაც არ გსიამოვნებდა. ან ის რა იყო, პირველად ნანახ ლამაზ გოგოს რომ უთხარი – რამდენსაც მეტყვი, იმდენს გადაგიხდი, თუკი აქვე, სახალხოდ გაიხდიო და ასმანეთიანებს უტენიდი დეკოლტეში!

– ისე, მართლა მაგარი ტანი კი ჰქონდა, – შეიშმუშნა ლეო.

– ახლა წამო, წავიდეთ, – უთხრა კირამ.

– ერთი წუთით, ლევ სერგეევიჩ! – მძიმე-მძიმედ წარმოთქვა მოროზოვმა და როგორც იქნა, ისევ მაგიდაზე დადო ის თავისი ლამბაქი.

– ერთი ეს მითხარით, ამდენი ფული საიდან?

– მე რა ვიცი, – მიუგო ლეომ.

– ტონიამ მომცა...

– ანტონინა, შენ სად...

– რაო? – წარბები აწკიპა ანტონინა პავლოვნამ და თავგაბეზრებული ქალის ნიღაბი მოირგო საჩქაროდ.

– ის შეკვრა ავიღე, ნაგვის კალათის ქვეშ რომ გედო.

– ტონია! – იღრიალა მოროზოვმა, წამოხტა და ისეთი ძალით დაჰკრა ხელი მაგიდას, ჭურჭელს სულ ზრიალ-შრიალი დააწყებინა.

– შენ მაგას არ იზამდი, ტონია...

– როგორ თუ არა! – გოროზად გამობზიკა ნიკაპი ანტონინა პავლოვნამ.

– და სხვათა შორის, ფულის გამო საყვედურების მოსმენასაც არ ვარ ჩვეული! ავიღე და მორჩა. ახლა რას იზამ?

– ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდებულო! – ავიშვიშდა მოროზოვი და ზამბარაგაწყვეტილ სათამაშოსავით უაზროდ მოჰყვა აქეთ-იქით თავის ქნევას.

– ახლა რაღა ვქნა? ეგ სეროვისთვის მისაცემი ფული იყო, ჯერ კიდევ გუშინ უნდა მიგვეცა! ახლა კაპიკი აღარ გვაქვს, სერფი კი... მოკლედ, დღეს თუ არ მივუტანთ ფულს, მომკლავს! რა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავვარდე?! სეროვი გულხელდაკრეფილი არ დაელოდება და არც...

– ვითომ? – ცივად ჩაიღიმა ლეომ.

– დაგელოდება კიდევაც და ხმასაც ვერ ამოიღებს. გეყო ქალივით წუწუნი! რისი გეშინია? ფეხებსაც ვერ მოგვჭამს და ეგ თვითონაც მშვენივრად იცის.

– თქვენი გამკვირვებია, ლევ სერგეევიჩ! – ამოიგმინა ერთიანად აჭარხლებულმა მოროზოვმა.

– თქვენ თქვენი კუთვნილი წილი მიიღეთ, ხომ ასეა? მიბრძანეთ ერთი, რამდენად კეთილშობილური საქციელია სხვისი...

– კეთილშობილური? – ხმამაღლა, დამცინავად გადაიხარხარა ლეომ.

– მაგას მე მეუბნები? ჩემო კარგო, რა ხანია თავიდან ამოვიგდე ეგ სიტყვა! ის კი არა, თუ დამჭირდა, არანაირ უკეთურობაზე არ დავიხევ უკან! რაც უფრო სულმდაბალი საქციელი იქნება, მით უკეთესი... აბა, სულ კარგად მენახე! წავედით, კირა.

– მერე ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ.

– ჩემი ქუდი სად ჯანდაბაშია?

– აღარ გახსოვს, ლეო? – განაზებული ხმით შეახსენა ანტონინა პავლოვნამ.

– გზაში დაკარგე სადღაც...

– მართალია! გამახსენდა. არა უშავს, ახალს ვიყიდი. ერთბაშად სამ ცალს. აბა, კარგად!

ქუჩაში კირამ მარხილი იქირავა და სახლამდე სიტყვა არცერთს აღარ დაუძრავს. როდესაც საკუთარ ოთახში, უკვე სრულიად მარტო დარჩნენ, ლეომ უხეშად გააფრთხილა კირა:

– იცოდე, არც შენგან და არც ვინმე სხვისაგან გაკიცხვას არ მოვითმენ! შენ მით უმეტეს არაფერი გაქვს ჩემთვის სასაყვედურო... სხვა ქალთან არასოდეს ვწოლილვარ, თუ ეს გაშფოთებს. დანარჩენი კი შენ საერთოდ არ გეხება.

– მაგის გამო არ ვღელავდი, ლეო! და მით უმეტეს, არც საყვედურის თქმას ვაპირებ და არც შენს გაკიცხვას. ოღონდ დალაპარაკება კი მინდა შენთან. მომისმენ?

– რა თქმა უნდა, – გულგრილად მიუგო ლეომ და სკამზე ჩამოჯდა.

კირა მის წინ ჩაცუცქდა, მკლავები მუხლებზე შემოხვია, თმა შუბლიდან გადაიგდო და გაფართოებული, გაფაციცებული თვალებით მიაჩერდა. ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, ხმაში დაძაბულობა არ გამორეოდა.

– ლეო, მე შენ ვერაფერს გისაყვედურებ და ვერც ვერაფერში დაგადანაშაულებ. ვიცი, რასაც აკეთებ და ისიც ვიცი, რატომ. ოღონდ მომისმინე: ჯერ მაინც არ არის გვიან, ჯერ შენთვის ხელი არ უტაციათ... დრო ჯერ ისევ გრჩება. ამიტომ, მოდი უკანასკნელად მოვიკრიბოთ ძალა და ვცადოთ... რამდენიც შეგვიძლია, იმდენი ფული გადავინახოთ და როგორმე უცხოური პასპორტის აღება მოვახერხოთ. მერე კი ავდგეთ და ამ დაწყევლილი ქვეყნიდან რაც შეიძლება, შორს

გადავიკარგოთ.

ლეო კირას ანთებულ თვალებს ჩასცქეროდა, თავად მისი თვალები კი იმ სარკეებს ჰგავდა, რომელთაც უკვე აღარ შეეძლოთ ცეცხლის ალის არეკვლა.

– კი მაგრამ, რისთვის შევიწუხოთ თავი? – იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

– ლეო, ვიცი რასაც იტყვი... შენ ცხოვრების სურვილი აღარ გაქვს. უკვე ყველაფერი ფეხებზე გკიდია, მაგრამ ერთიც მომისმინე: სურვილის გარეშე გააკეთე ეს. თუნდაც არ გჯეროდეს, რომ ოდესმე ისევ მოგიბრუნდება რაიმეზე გული. უბრალოდ, დროებით გადადე საკუთარი თავისათვის საბოლოო განაჩენის გამოტანა – იქამდე, ვიდრე საზღვარგარეთ გააღწევდე. როცა კვლავ რომელიმე ადამიანურ ქვეყანაში აღმოჩნდები და თავისუფლებას იგრძნობ, მერე ვილაპარაკოთ – გსურს ისევ სიცოცხლე თუ არა!

– ჩემი სულელი გოგო! შენ გგონია, ჩემნაირი წარსულის მქონე კაცს უცხოურ პასპორტს მისცემენ?

– უნდა ვცადოთ, ლეო! არ უნდა დავნებდეთ. ამ იმედის გარეშე, წუთსაც ვეღარ გავძლებთ... ლეო, შენ ვერაფერს დაგიშავებენ, მე არ მივცემ მაგათ ამის უფლებას!

– ვის, გპუ-ს?! მაინც, როგორ აპირებ?

– არა, რა გპუ... ეგ დაივიწყე. მაგაზე ბევრად უარესიც არსებობს – ის რაც ვიქტორს მოერია, ანდრეის, დედაჩემს... ოღონდ შენ ვერ მოგერევა.

– რას ნიშნავს, ვიქტორს მოერია? შენ რა, იმ ქვემძრომ ვირთხას მადარებ, ვინც...

– ლეო, ქვემძრომობაც და ყველაფერი მსგავსიც... ეგ სულ სისულელეა! არსებობს რაღაც ბევრად უარესი, რაც შიგნიდან გაუჯდა ვიქტორს, ღრმად, საბედისწეროდ და ეს ქვემძრომობა მხოლოდ შედეგია! ასე ამთავრებს ყველა, რადგან ის სისაძაგლე რაღაც უმთავრესს კლავს ადამიანში... გინახავს როდისმე უჰაეროდ, მზის შუქის

გარეშე გაზრდილი მცენარე? მე კი არავის მივცემ უფლებას, ასე მოგექცნენ! თუნდაც ასორმოცდაათი მილიონი ცოცხალი ადამიანი გაანადგურონ, მაგრამ არა შენ, ლეო... შენ არა, ჩემო სათაყვანებელო!

– ეგ რაღა მოიგონე ახლა? თუ გაიგონე სადმე? კირა დაჟინებით მიაჩერდა და გაიმეორა: – სად გავიგონე...

– ღმერთმანი კირა, ზოგჯერ მიკვირს კიდეც, როგორ ვერ მოიშორე ყველაფრის ასე გულთან ახლოს მიტანის ჩვევა! მე არაფერი მემუქრება, და რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. ეს კი, დამეთანხმები, ჩვენს დროში იშვიათი ფუფუნებაა...

– მისმინე, ლეო! რაღაც მინდა გავაკეთო, ვცადო მაინც. მე და შენ უამრავი წვრილმანი გვაქვს მოსაგვარებელი. ეს არცთუ იოლი საქმეა და მოდი, ერთად ვცადოთ ყველაფრის გადაწყვეტა!

– მაინც, რა გავაკეთოთ საამისოდ?

– დავქორწინდეთ! – რაო?! – სახტად დარჩა ლეო.

– დავქორწინდეთ-მეთქი! – გაუმეორა კირამ.

ლეომ თავი უკან გადააგდო და ახარხარდა. ახლაც სწორედ ისე გულიანად, უდარდელად, დამცინავადაც კი იცინოდა, როგორც ადრე, ანდრეი ტაგანოვთან შეხვედრისას ანდა სულ ახლახანს, მოროზოვთან სტუმრობის დროს.

– რას ბოდავ, კირა? შენც აყევი სისულელეებს და პატიოსანი ქალის როლის თამაში მოინდომე?

– არა, ეგ არაფერ შუაშია.

– ეს ამბავი ჩვენთვის ცოტა დაგვიანებული ხომ არაა? – რატომაა დაგვიანებული, ლეო? – რაში გჭირდება დაქორწინება? ეგ რას მოგვიტანს? – არც არაფერს.

– მაშინ, რატომ უნდა დავქორწინდეთ? – არ ვიცი... უბრალოდ, გთხოვ.

– ეს სრულიადაც არაა საკმარისი მიზეზი, ამ რაღაც უაზრობის ჩასადენად. მე პატივსაცემ მეუღლედ გადაქცევას არ ვაპირებ, შენ

კი – თუ ჩემი დაკარგვის შიში გალაპარაკებს, იცოდე რომ ვიღაც საბ-ჭოთა მოხელის ხელმოწერილი ქაღალდის ნაკუწი მაინც ვერ გამაჩე-რებს...

– შენი დაკარგვის არ მეშინია, მე ის მაშინებს, საკუთარ თავს რომ კარგავ.

– კი მაგრამ, მმაჩის ბიუროში გადახდილი ორიოდე მანეთი და სახლმმართველის ლოცვა-კურთხევა იხსნის ვითომ ამ დასაღუპად განწირულ ჩემს სულს?

– ლეო, მე შენ ვერანაირ გონივრულ მიზეზს ვერ დაგისახელებ სა-მაგისოდ. უბრალოდ, გთხოვ.

– შენ რა, ულტიმატუმს მიყენებ?

– არა, – წყნარად ჩაილაპარაკა კირამ და შემრიგებლურად გა-უღიმა, რაც საბოლოო დანებებას ჰგავდა.

– მაშინ, ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ ეს ამბავი.

– კარგი, ლეო.

ლეომ იღლიებში შეუცურა ხელები, წამოაყენა, ჩაიხუტა და მოღ-ლილი ხმით უთხრა:

– გიჟო, გადარეულო... სულ ტყუილად იშხამავ ცხოვრებას ამ სუ-ლელური შიშებით... დაივიწყე ეგ ყველაფერი. დღეიდან თითოეულ მანეთს დავზოგავთ და მოვუფრთხილდებით, თუ შენ ამის გამო ღე-ლავ ასე... მოაგროვე და მერე გინდა მონტე-კარლოში გაემგზავრე, გინდა სან-ფრანცისკოში და გინდა – პლანეტა იუპიტერზე... ოღონდ ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ, კარგი?

ლეო იღიმებოდა, ქედმაღალი ღიმილი დასთამაშებდა მის ჯერ კიდევ საოცრად ლამაზ სახეს; სახეს, რომელიც კირაზე ბანგივით მოქმედებდა და თავისი სრულყოფილებით მუსიკასავით აჯადოებ-და.

მხარზე ჩამოუდო ლეოს თავი და მართლა ბანგმორეულივით უმ-წეოდ, უიმედოდ აჩურჩულდა:

– ლეო... ლეო... ლეო...

X

პაველ სეროვმა ჯერ სამსახურში მისვლამდე დალია; მერე, შუადღისას, კიდევ დაამატა. ტელეფონით დაურეკა მოროზოვს და ხმამ, რომელიც აშკარად თავად მოროზოვის უნდა ყოფილიყო, უთხრა: ამხანაგი მოროზოვი შინ არ გახლავთო...

გაცოფებული სეროვი ადგილს ვერ პოულობდა, აქეთ-იქით მიდიმოდიოდა თავის სამუშაო ოთახში და ბოლოს, სამელნეც მიამსხვრია კედელს. ადრე ნაკარნახევ წერილში ერთი შეცდომით დაწერილი სიტყვა აღმოაჩინა, რაზეც მთლად გადაირია, წერილი მოჭმუჭნა და მდივან ქალს სახეში ესროლა. ერთხელ კიდევ დაურეკა მოროზოვს, თუმცა ამჯერად, არავინ უპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ, ახლა უკვე მას დაურეკეს: ყურმილში ქალის დათაფლული, შემპარავი ხმა მოისმა, რომელიც დაჟინებით ითხოვდა – პავლუშა, შენ ხომ იმ სამაჯურს დამპირდიო... ეს სამაჯური ადრე ვიღაც გადამყიდველს მოეტანა ბინძურ ცხვირსახოცში გამოხვეული, ოღონდ დატოვებაზე უარი უთხრა, სანამ სეროვი სრულ საფასურს არ გადაუხდიდა და თანაც, ნაღდი ფულით. სეროვმა ახლა უკვე სამსახურში, კვების მრეწველობის ტრესტში დაურეკა მოროზოვს. მისმა მდივანმა კი დაჟინებით მოსთხოვა ვინაობის დასახელება. სეროვმა უსიტყვოდ დაახეთქა ყურმილი. ამის შემდეგ, უკვე ვიღაც სამსახურის მთხოვნელი გამოლანძღა, უყვირა კიდეც – თავს თუ არ დამანებებ, იცოდე გპუ-ში ამოგაყოფინებ თავსო და მდივან ქალს უბრძანა, მოსაცდელში შეკრებილი ყველა მთხოვნელი უკან გაებრუნებინა. თვითონაც ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე წამოვიდა სამსახურიდან და სამუშაო ოთახის კარიც ხმაურით გამოიჯახუნა.

შინისაკენ მიმავალმა, მოროზოვის სახლსაც ჩაუარა და ერთი პირობა შეყოყმანდა – იფიქრა, შინ დავადგებიო, მაგრამ შორიახლოს მილიციელს მოჰკრა თვალი და განზრახვაზე მაშინვე აიღო ხელი. სადილობისას – სადილი ორი კვარტალის იქით მდებარე კომუნალური

სამზარეულოდან მოეტანინებინა მის ცოლს, უკვე გაციებულიყო კიდეც და ბორშჩიან თეფშებს ქონის ფენა მოკიდებოდა ზემოდან – ამხანაგმა სონიამ გამოუცხადა:

– პაველ, აუცილებლად მჭირდება ქურქი. ახლა ჩემი გაციება არაფრით არ შეიძლება. ბავშვის გამო. ოღონდ კურდღლის ბეწვის არ მინდა. არ მითხრა ახლა, ფული არა მაქვსო. არავის პატარ-პატარა საქმეებში არ ვერევი, მაგრამ არც შეგნებულად თვალის დაბრმავებას არ ვაპირებ.

სერვმა ხელსახოცი პირდაპირ წვნიან მათლაფაში ჩააგდო და ისე წამოხტა სკამიდან, პირი აღარაფრისთვის დაუკარებია.

– ისევ შინ დაურეკა მოროზოვს. მთელი ხუთი წუთი უსმენდა ყურმილში გაბმულ ზუმერს, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარმა, მთელი ბოთლი არაყი გამოცალა. ამხანაგი სონია საღამოს სკოლის მასწავლებელთა საბჭოს მიერ გამართულ რაღაც შეკრებაზე წავიდა, პაველმა კი პირველ ბოთლს მეორეც ზედ მიაყოლა.

ამის შემდეგ, უკვე მტკიცე გადაწყვეტილებით წამოდგა ფეხზე – მართალია, ცოტა კი ბარბაცებდა, მაგრამ მაინც გულდაგულ შემოიჭირა ქამარი ბეწვის ქურთუკზე და პირდაპირ მოროზოვის სახლისაკენ გაემართა.

სამჯერ დარეკა ზარი კარზე. ბინიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ცალი მხრით კედელს მიყრდნობილი, ჯიუტად აწვებოდა თითით ზარის ღილაკს. მართალია, ბინიდან ჩქამიც არ გაუგონია, მაგრამ ახლა კიბეებიდან მოისმა ვიღაცის ნაბიჯების ხმა და სეროვიც მაშინვე ბნელ კუთხეში შეიმალა. ნაბიჯების ხმა ქვედა სართულზე შეწყდა. საკეტში გასაღების გადატრიალებისა და მერე კარის მიხურვის ხმა გაისმა. მთვრალი კი იყო, მაგრამ ჯერ მაინც ბუნდოვნად ახსოვდა – აქ მომლოდინე არავინ არ უნდა დამინახოსო. ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, კედელს მიადო და ქუჩიდან შემომავალი ლამპიონის შუქზე დაწერა:

„მოროზოვ. შე დამპალო ნაბიჭვარო! თუ ხვალ დილამდე არ ჩამაბარებ რაც მეკუთვნის, საუზმობა გპუ-ში მოგიწევს და ეგ რასაც ნიშნავს, ჩემგან არ გესწავლება.

მუდამ შენი, პაველ სერვი“ უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია, გაკეცა და კარის ქვეშ შეაცურა.

მოროზოვი უხმაუროდ გამოიძურწა სააბაზანოდან და ფეხაკრეფით გამოემართა წინკარისკენ. დაძაბული აყურადებდა, თუმცა სადარბაზოდან არანაირი ხმა არ მოისმოდა. მერე იატაკზე, ბნელში, თეთრად მოციმციმე ფურცელი შენიშნა. დასწვდა, აიღო და სასადილო ოთახის სანათის შუქზე წაიკითხა. სახეზე უმალ მკვდრისფერი დაედო.

სწორედ ამ დროს, ტელეფონი აწკრიალდა. მოროზოვი შეკრთა, დაზაფრული გახევდა, თითქოს ამ ზარს თვალები ჰქონოდა და დაინახავდა, როგორ ჩაკირკიტებდა ფურცელს. მაშინვე ჯიბეში ჩაიტენა, ტელეფონთან მივიდა და ყურმილს აცახცახებული ხელით დასწვდა. მოხუცი დეიდა ურეკავდა. ჩიფჩიფით სთხოვა, იქნებ ცოტაოდენი ფული მასესხოო. გამოლანძღა, სულ „ბებერი ძუკნა“ უძახა და ყურმილიც დაუხეთქა.

ანტონინა პავლოვნამ, რომელიც საძინებელ ოთახში, სარკის წინ ივარცხნიდა თმას, გამოღებული კარიდან გამოსძახა ჭირვეულად, აბა ეგ რა ლაპარაკიაო.

მოროზოვი გაცოფებული მოუტრიალდა: – შენ და ის შენი ოხერი საყვარელი რომ არა... ანტონინა პავლოვნას ხმა გაუწვრილდა:

– არ არის ეგ ჩემი საყვარელი! ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით მაინც... როგორ ფიქრობ, მასე რომ იყოს საქმე, ახლა აქ ვიჯდებოდი, შენისთანა უტვინო ბებერთან?

ეს ლაპარაკი გვარიან ჩხუბში გადაიზარდა და მოროზოვსაც სულ გადაავიწყდა ჯიბეში ჩაჩურთული ბარათი.

* * *

ევროპული რესტორნის დარბაზს შუშის სახურავი ედგა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იქ მსხდომთ ზემოდან ჯიუტად აწვებოდა შავი სიცარიელე და უფრო მეტი ძალით წნეხავდა, ვიდრე ფოლადის ხარიხებით შეკრული თაღი. დარბაზში ყვითლად ენთო შუქი, რომელსაც ფონად თამბაქოს ბოლი, სიცხე და ფანჯრებსმიღმა დარჩენილი უკუნი სიბნელე დასდებოდა. თეთრ სუფრებიან მაგიდებზე თვალისმომჭრელად მბზინავი ვერცხლეული ელაგა.

მაგიდებს, ძირითადად, მამაკაცები უსხდნენ. მათ ბრილიანტის საკინძეებსა და აწითლებულ სახეებზე გაჩენილ ოფლის წვეთებში ყვითელი ნაპერწკლები კრთოდა. ეს საზოგადოება ჭამით გახლდათ დაკავებული: ხარბად მიძალებოდნენ ნაირ-ნაირ კერძებს, ოღონდ თან რაღაც ნაჩქარევად, ორ-ორი ყბით იღეჭებოდნენ. მოკლედ, არამარტო უდარდელად ატარებდნენ დროს ამ ღამეულ, თავშესაქცევ ადგილას, არამედ ერთდროულად, ხორციელ მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდნენ.

კუთხის მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი, ყვითლად რომ უბზინავდა მელოტი თავი, თოვლივით ქათქათა თეფშზე დადებული სისხლიანი ბიფშტექსისკენ წახრილიყო მთელი ტანით; პატარ-პატარა ნაჭრებად ჭრიდა და სულ ტუჩების ცმაცუნით მიირთმევდა მადიანად. მის პირდაპირ ჟღალთმიანი, თხუთმეტიოდე წლის გოგონა იჯდა, თავი მხრებში ჩაერგო და აუჩქარებლად შეექცეოდა კერძს. ერთხელაც, როცა ამოიხედა, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, პირი მოეღრიცა და თითქოს სატირლად გაემზადაო.

მუქშუშებიან ფანჯრებთან თამბაქოს ბოლი ღრუბელივით იდგა; ვიღაც გამხდარი, სახეჩამოგრძელებული კაცი სკამის უკანა ფეხებზე ირწეოდა. გაუთავებლად ეწეოდა გრძელ, გაყვითლებულ თითებში გაჩრილ სიგარეტს და ნაფაზის ყოველ დარტყმაზე, ცხვირიდან უშვებდა ბოლს; თან ერთთავად დამცინავად, ბოროტადაც კი იღიმებოდა.

მაგიდებს შორის ქალები მიდი-მოდიოდნენ თითქოსდა ნასწავლი, მოუქნელი სითამამით სანათით განათებულ ერთ-ერთ მაგიდასთან მარტო მჯდომ, ოქროსფერკულულებიანი ახალგაზრდა ქალს საცაა, ჩამოეძინებოდა; თვალების გარშემო მუქი-ლურჯი ჩრდილები დასტყობოდა, პატარა პირი კი ეშმაკური, ავხორცი ღიმილით გაპობოდა. ვიღაც შავგვრემანი, გამხდარი ქალი ყოვლად უმსგავსოდ იცინოდა მთელი ხმით პომადიანი ტუჩები ღრმა ჭრილობასავით გადასკდომოდა სახეზე და არამარტო თეთრი კბილები, არამედ არაბუნებრივად წითელი ღრძილებიც მოუჩანდა. ერთიანად გაძვალტყავებულს, მხრებზე ლავიწის ძვლები ამოჩროდა და სახეზეც მღვრიე ყავის ფერი ედო.

ორკესტრი „ჯონ გრეის“ უკრავდა. ისე ისროდა სივრცეში მოკლე-მოკლე, გაურანდავ ბგერებს, თითქოს ბოლომდე მომწიფებასაც არ აცლის, ისე აგლეჯს სიმებს ნოტებსო და სწორედ ასე უცვლიდა სახეს მოუხელთებელ მხიარულებას ციებ-ცხელებიანი, წყვეტილი რიტმით.

მიმტანები უხმაუროდ დაიარებოდნენ და ხაზგასმული პირმოთნეობით ემსახურებოდნენ თითოეულ მაგიდას. მათი დონდლო, ჩამოკიდული ლოყები ერთდროულად გამოხატავდა პატივისცემას, დაცინვასა და სიბრალულს იმ საცოდავების მიმართ, ასე ნემსის ყუნწში გაძრომით რომ ცდილობდნენ მოგონილი მხიარულებით გაექარვებინათ უსაშველო დარდი.

მოროზოვს მშვენივრად ახსოვდა, რომ ფული დილამდე უნდა ეშოვნა. რესტორანში მარტო იჯდა. სამი მაგიდა გამოიცვალა, ოთხი სიგარის გაბოლება მოასწრო და ხუთ სხვადასხვა ადამიანთანაც გაიბა შინაურული საუბარი, რომელთაც, როგორც ჩანს, დრო თავზე საყრელად ჰქონდათ. ორიოდე საათის შემდეგ, მოროზოვის საფულეში უკვე საჭირო თანხაც იდო.

შვებით მოიწმინდა შუბლიდან ჭირის ოფლი, ახლა დარბაზის შორეულ კუთხეში შეარჩია მაგიდა და კონიაკი შეუკვეთა.

სტეპან ტიმოშენკო ისე წახრილიყო თეთრსუფრიან მაგიდაზე, უფრო მწოლიარეს ჰგავდა, ვიდრე მჯდომარეს. ერთ ხელზე ნიკაპი ჩამოედო, მეორეთი სირჩა ჩაებღუჯა. როცა გამოცალა, ცოტა არ იყოს, გაუბედავად შეათამაშა ჰაერში – იმ საგონებელში ჩავარდნილი კაცივით, ცალი ხელით რანაირად შევავსო ხელახლაო. თუმცა, ამ თავსატეხს უცებვე გაუმკლავდა: სირჩა იატაკს დაახეთქა და თავისუფალი ხელით უკვე პირდაპირ ბოთლი მიიტანა ტუჩებთან. შეშფოთებულმა მეტრდოტელმა ცერად გამოხედა და კოპებიც შეიკრა. აშკარად არ მოუვიდა თვალში არც სტუმრის კურდღლის ბეწვის საყელოიანი ქურთუკი, არც მისი გვერდულად თავზე ჩამოფხატული, მეზღვაურის ქუდი და არც ის შავი, უხეში ფეხსაცმელი, რომლის დაბიჯებაც მეზღვაურს უკვე მოესწრო გვერდით მაგიდასთან მჯდომი ქალბატონის გრძელი კაბის ბოლოზე. და მაინც, მეტრდოტელს სიფრთხილე მართებდა – სტეპან ტიმოშენკო ადრეც არაერთხელ სტუმრებოდა აქაურობას და მისი პარტიის წევრობის ამბავი ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა.

– მეზღვაურის მაგიდასთან შეუმჩნევლად აისვეტა მიმტანი და მაშინვე აქანდაზზე ახვეტა იატაკზე მიმობნეული ნამსხვრევები; მეორემ ახალი, გაკრიალებული სირჩა დაუდგა მაგიდაზე, გაუბედავად წაეტანა არყის ბოთლს და თან ლამის ჩურჩულით ჰკითხა ტიმოშენკოს:

– რამეში ხომ არ დაგეხმაროთ, მოქალაქევ?

– წადი, გაიარე...

– შეუღრინა ძველმა მეზღვაურმა და ხელის ზურგი გაკრა სირჩას, რომელიც ასევე ხმაურით დაიმსხვრა იატაკზე.

– რასაც მინდა, იმას ვიზამ! – აღრიალდა ტიმოშენკო და ყველამ მისკენ მიაბრუნა თავი.

– თუ მომინდება, პირდაპირ ბოთლიდან დავლევ... შემიძლია ორიდანაც დავლიო!

– კი მაგრამ, მოქალაქე...

– გაჩვენო, ეგ როგორ კეთდება? – ჰკითხა მიმტანს ტიმოშენკომ და ავად დააკვესა თვალები.

– არა, ნამდვილად არაა საჭირო! – საჩქაროდ მიუგო მიმტანმა.

– მომწყდი თავიდან! – ახლა უფრო მშვიდი თავდაჯერებით ალაპარაკდა ტიმოშენკო.

– არ მომწონს შენი სიფათი. და საერთოდ, არავის სიფათი არ მომწონს აქ!

ფეხზე წამოდგა, შებარბაცდა და მთელი ხმით იყვირა: – ვერ ვიტან თქვენს სიფათებს! ვერც ერთისას ვერ ვიტან!

მერე მაგიდებს შირის ბორიალსაც მოჰყვა. მეტრდოტელი იმწამსვე გვერდით ამოუდგა და ყურში დაუწყო ჩურჩული:

– მოქალაქე, თუკი თავს კარგად ვერ გრძნობთ...

– გადი, გამეცალე! – შეუღრინა ტიმოშენკომ.

თითქმის უკვე კართან იყო მისული, რომ უცებ გაჩერდა და სახეზეც ფართო, გულიანი ღიმილი გადაედღაბნა.

– ბიჭოს! – ჩაიცინა ეშმაკურად.

– ჩემი მეგობარიც აქ არ ყოფილა?! ჩემი უძვირფასესი მეგობარი...

– სკამს დაავლო ხელი, ვიღაცის თავზე გადაატარა და ხმაურით დაუშვა მოროზოვის გვერდით.

– ბოდიში მომითხოვია, მოქალაქე...

– წამოიხავლა მოროზოვმა და მაგიდიდან წამოდგა.

– წყნარად იჯექი, ბებერო! – უთხრა ტიმოშენკომ და ისეთი ძალით დააწვა მხარზე თავისი ვეება, გარუჯული ტორით, რომ მოროზოვს სახე მოენგრა.

– მეგობარს ვერსად გაექცევი, ამხანაგო მოროზოვ! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ძველი მეგობრები... თუმცა შეიძლება შენ არც კი მიცნობდე... სტეპან ტიმოშენკო ვარ, ასე მქვია. სტეპან ტიმოშენკო... ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტიდან! – ისე დაამატა მერე, თითქოს ეს ამბავი ახლა, უცებ გაახსენდაო.

– მართლა? – ზრდილობისთვის რაღაცის თქმა დააპირა მოროზოვმა.

– ეგრეა, – დაუდასტურა ტიმოშენკომ და გააგრძელა:

– მოკლედ, შენი ძველი მეგობარიც ვარ და დიდი პატივისმცემელიც! იცი რას გეტყვი?

– რას...

– ამოიგმინასავით მოროზოვმა.

– მე და შენ ერთი კარგად უნდა დავლიოთ, როგორც ძველ მეგობრებს ეკადრება! აუცილებლად...

– დასვა ბეჭედი და მერე ისე ხმამაღლა გასძახა მიმტანს, მევიოლინეს ხელი აუკანკალდა და შეცდომით სულ სხვა ნოტი აიღო.

– ორი ბოთლი მიგვიტანე! – უღრიალა მაგიდასთან საჩქაროდ მოცუხცუხებულ მიმტანს.

– არა, სამი იყოს!

– სამი ბოთლი რა, მოქალაქევ? – დიდის მორიდებით სცადა დაზუსტება მიმტანმა.

– რაც გინდა, რაც გაგიხარდება! – უთხრა ტიმოშენკომ.

– არა, მოიცა! ყველაზე ძვირი რა გაქვთ? ასეთ დროს რას ხეთქავენ ხოლმე გასიებული კაპიტალისტები?

– შამპანურს, მოქალაქევ...

– მაშინ, შამპანური მომიტანე, ოღონდ დროზე! სამი ბოთლი შამპანური და კიდევ ორი ჭიქაც გამოაყოლე ხელს.

– როცა მიმტანმა შამპანური მართვა, ტიმოშენკომ თავადვე ჩამოასხა და ერთი ჭიქა მოროზოვს დაუდგა წინ.

– აჰა! – უთხრა მეგობრულად მომღიმარმა.

– ხომ დალევ ჩემთან ერთად, ძმაო?

– დიახ, ამ... ამხანაგო...

– აღარ გაძალიანებია მოროზოვიც.

– დიდი მადლობა.

– შენ გაგიმარჯოს, ამხანაგო მოროზოვ! – საზეიმო ხმით წარმოთქვა ტიმოშენკომ და ჭიქაც ასწია.

– ამხანაგ მოროზოვს გაუმარჯოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეს!

ჭიქები მიაჭახუნეს. მოროზოვმა ქურდულად, უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა. აცახცახებული ხელით მიიტანა ჭიქა ტუჩებთან, გამოცალა, მერე პირმოთნედ გაუღიმა ტიმოშენკოს, წამოდგა და ბუტბუტს მოჰყვა:

– დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ამხანაგო... ძალიან ვაფასებ თქვენს ყურადღებას, მაგრამ წინააღმდეგი თუ არ იქნებით, წასასვლელი ვარ და უნდა მაპატიოთ...

– დაჯექი მანდ! – უბრძანა ტიმოშენკომ. ისევ შეავსო ჭიქა, აწია, სკამზე უკან გადაწვა და გაიღიმა; ამჯერად, მის ღიმილს მეგობრული აღარ ეთქმოდა. შავი თვალებით ჯიქურ, დამცინავად უცქერდა თანამეინახეს.

– გაუმარჯოს დიდებულ მოქალაქე მოროზოვს! კაცს, რომელმაც რევოლუცია დაამარცხა! – მერე ხმამაღლა გაიცინა, თავი უკან გადააგდო და ჭიქა ერთი ყლუპით გამოცალა.

– ამხანაგო...

– რაღაცის თქმა დააპირა მოროზოვმა, მაგრამ ენა ვეღარ დაიმორჩილა.

– ამხანაგო, მაგით რისი თქმა გინდათ?

ტიმოშენკომ კიდევ უფრო გულიანად გადაიხარხარა, მოროზოვისკენ გადაიხარა მაგიდაზე, ხელები გადააჯვარედინა, კეფაზე მოგდებული ქუდის ქვემოდან კი გაოფლილი თმა ჩამოეშალა შუბლზე. მერე უცებვე მოსხიპა სიცილი.

– ასეთი შეშინებული სახით ნუ მომჩერებიხარ, ამხანაგო მოროზოვ!

– ტიმოშენკო ახლა მშვიდი, შემპარავი ხმით ლაპარაკობდა,

ოღონდ ისე უღიმოდა მოროზოვს, იმ საცოდავს ეს ღიმილი წეღანდელ სიცილზე მეტად უხეთქავდა გულს.

– აბა მე რა საშიში ვარ! მე ერთი გალახული ხეიბარი ვარ, ამხანაგო მოროზოვ... შენგან გალახული. ახლა მხოლოდ ის მინდა, მოკრძალებულად გაგიმხილო ეს ამბავი და ისიც გითხრა, გულში არაფერი ჩამრჩენია-მეთქი. ეგ კი არა, აღფრთოვანებულიც ვარ შენით, ამხანაგო მოროზოვ! შენ დედამიწაზე განხორციელებული უდიდესი რევოლუცია აიღე და საკუთარი შარვლის საჯდომზე დასაკერებლად გამოიყენე...

– ამხანაგო, – ისევ ალუღლუღდა ტუჩებგალურჯებული მოროზოვი.

– წარმოდგენაც კი არა მაქვს, რას მელაპარაკებით...

– გაქვს, – ხელი აუქნია ტიმოშენკომ.

– მშვენივრად ხვდები ყველაფერს. ჩემზე უკეთესადაც იცი ყველაფერი, იმ მილიონობით პირდაფჩენილ ახალგაზრდაზე უკეთაც, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან რომ შემოგვცქერიან აღტაცებული მზერით! უნდა უთხრა იმათ ამხანაგო მოროზოვ. ვალდებულიც კი ხარ, უამრავი რამ უთხრა...

– ამხანაგო, გეფიცებით... მე...

– ასე მაგალითად, შენზე უკეთესად ვერავინ ამიხსნის იმას, როგორ გვაიძულე ამ ყველაფრის გაკეთება... მე მაგალითად, ეს არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ რაც გავაკეთეთ, მართლა გავაკეთეთ. რევოლუცია მოვახდინეთ. ვაფრიალეთ წითელი დროშები და გავიძახოდით – მსოფლიო პროლეტარიატის საკეთილდღეოდ ვიბრძვითო. ჩვენს შორის ბევრი ერია ისეთი მიამიტი, ვისაც გულწრფელად სჯეროდა – ჩაგრულთა და ტანჯულთა ბედნიერი მომავლისთვის ვღვრი სისხლსო, მაგრამ მე და შენ, ამხანაგო მოროზოვ, ერთი საიდუმლო გვაკავშირებს... მე და შენ რაღაც ისეთი ვიცით, რასაც არასოდეს გავამხელთ! ან რა საჭიროა ამის გამხელა? მსოფლიოს არც სურს სიმართლის მოსმენა. ჩვენ კი ვიცით, რომ რევოლუცია სწორედ შენს

სასიკეთოდ მოხდა, ამხანაგო მოროზოვ და მე პირადად, ქუდს ვიხდი შენს წინაშე!

– ამხანაგო, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოთ... რა გინდათ ჩემგან?

– ამოიგმინა მოროზოვმა.

– არც არაფერი... მხოლოდ იმის თქმა მინდა, შენია-მეთქი, ამხანაგო მოროზოვ!

– რა... რა არის ჩემი? – იკითხა მოროზოვმა და ეჭვი გაუჩნდა, მეც ხომ არ მერევა ტვინიო.

– რევოლუცია, – შემპარავი ხმით უპასუხა ტიმოშენკომ.

– რევოლუცია... ისე, თუ იცი რას ნიშნავს რევოლუცია? მოდი, მე გეტყვი: ხოცვა-ჟლეტას. ჩვენ პირდაპირ ქუჩებში ვხოცავდით ხალხს, სარდაფებშიც, ჩვენი გემების გემბანებზეც... ასეც ხდებოდა. მახსოვს, ერთი მთლად ახალგაზრდა ოფიცერი, სულ უწვერულვაშო ბიჭი, პირჯვარი გადაიწერა... ეტყობა, დედამ ასწავლა თავის დროზე. პირიდან მოსდიოდა სისხლი. შემომხედა, თვალებში უკვე აღარც ეტყობოდა შიში. უფრო გაოცება რაღაც ისეთის გამო, რაც დედას არ ესწავლებინა მისთვის. მიყურებდა და ამქვეყნად ბოლო ვინც დაინახა, სწორედ მე ვიყავი.

ტიმოშენკოს უკვე დუჟიც კი მოსდგომოდა ტუჩებზე; ერთხელაც შეავსო ჭიქა, თუმცა ხელი ისე უკანკალებდა, ძლივს მიიტანა პირთან და ისევ ჯიქურ მოროზოვს მიჩერებულმა, სულმოუთქმელად გადაკრა სასმელი.

– აი, რეებს ჩავდიოდით ათას ცხრაას ჩვიდმეტში, ახლა კი გეტყვი, რისთვისაც ვაკეთებდით ამას: რისთვის და იმისთვის, რომ ამხანაგ მოროზოვს ახლა გემრიელად ეძინოს, დილით გაღვიძებულმა კი კარგა ხანს იფხანოს საკუთარი ღიპი, რადგან არასაკმარისად რბილმა ლეიბმა თურმე ნუ იტყვით და, ჭიპი გაუღიზიანა... და კიდევ იმისთვის, რომ მას უკანა სავარძელზე ბალიშებმიყრილ ვეება ლიმუზი-

ნით შეეძლოს აღმა-დაღმა ჯირითი, ფანჯარაზე კი საგანგებოდ მიმაგრებულ შუშის ლარნაკში, ერთთავად ცოცხალი ყვავილები ეწყოს – მაგალითად, შროშანები... საღამოობით კი ზუსტად ამნაირ რესტორანში კლავდეს დროს კონიაკის წრუპვა-წრუპვით! ყველა დიდ დღესასწაულზე კიდევ, წითელი ქსოვილით გაწყობილ ტრიბუნაზე ადიოდეს და მჭექარე სიტყვას ამბობდეს პროლეტარიატის უძლეველობის თაობაზე. აი, ამისთვის ჩავიდინეთ, რაც ჩავიდინეთ, ამხანაგო მოროზოვ და ახლა დათესილს ვიმკით... ეგრე ნუ მიყურებ, ამხანაგო მოროზოვ – მე ხომ შენი მორჩილი მსახური ვარ, ნემსის ყუნწში ვძვრებოდი, შენ რომ დღეს ასე გეცხოვრა! მოკლედ, დამიფასო უნდა, ერთხელ მაინც გამიღიმე მადლიერების ნიშნად!

– ამხანაგო, – წაიჩიფჩიფა მოროზოვმა.

– გამიშვით ჩემ გზაზე...

– ფეხი არ მოიცვალო! – შეუღრინა ტიმოშენკომ.

– დაისხი და დალიე, გესმის? დალიე, შე ნაბიჭვარო! დალიე და მისმინე!

მოროზოვი დაემორჩილა, შამპანური დაისხა, ოღონდ ისე ცახცახებდა, ბოთლის ყელს ჭიქაზე სულ რაკარუკი გაუდიოდა.

– რას გეტყვი, იცი? – ტიმოშენკოს თითქოს ყელი ეხეოდა თითოეული სიტყვის ამოთქმაზე.

– სულ არ დავეძებ, თუ დავმარცხდით. არც იმას ვჩივი, ამქვეყნად უდიდესი დანაშაული საკუთარ მხრებზე რომ ვიტვირთეთ, მერე კი ყველაფერი წყალს გავატანეთ... ოღონდ კრინტსაც არ დავძრავდი, ვინმე ზღაპრულ გოლიათს რომ დავემარცხებინეთ, ანდა ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის მსგავს ზღაპრულ არსებას... არადა ჩვენ ტილმა დაგვამარცხა – ვეება, გაქსუებულმა, დონდლო ტილმა! გინახავს როდისმე ტილი? იმათში ყველაზე ხარბები შენსავით უფერულები არიან... მაინც ჩვენი ბრალია. ერთ დროს ადამიანებს ღმერთი მეხთატეხის მეშვეობით მართავდა, მერე უკვე მათი ხმლის ძალით მართვის დრო დადგა, დღესდღეობით კი კაცთა მოდგმას პრიმუსი

მართავს... ადრე ადამიანს მოწიწების გრძნობა აკავებდა უამრავი უკეთურობისაგან, მერე – შიში, ახლა კი კუჭის მონებად ქცეულან. ადამიანებს ადრე კისერზე უღელი ედოთ, ხელებზე ბორკილი და ფეხებზე – ხუნდები, ახლა კი სწორი ნაწლავით არიან თავ-ფეხიანად გაკოჭილები! ოღონდ ეგაა, რომ გმირებს სწორი ნაწლავით ვერ დაობამ. ჩვენი ბრალია ყველაფერი.

– ამხანაგო, აღარ იტყვით, რა გინდათ ჩემგან?

– ჩვენ ტაძრის შენება გადავწყვიტეთ და რა, ერთი პატარა სამლოცველოც კი ვერ წამოვჭიმეთ! ის კი არა, რიგიანი ჩეჩმაც ვერ დავდგით! ერთი საცოდავი საერთო სამზარეულოღა შევაკოწიწეთ როგორღაც და იქაც ვიღაცის ნახმარი პრიმუსი გვიდგას... შემოვდგით ცეცხლზე ქვაბი და სალაფავის ხარშვას შევუდექით ჩვენივე სისხლისაგან, ფერფლისა და ფოლადისაგან... მერე ვითომ, რა მივიღეთ შედეგად? გრანიტში ნაკვეთი, ახალი ყაიდის ადამიანი? თუ რაღაც საშინელება? არა, არც ეგ... მხოლოდ და მხოლოდ ჭიაყელებივით მოფუთფუთე, კლაკნია არარაობების ახალი ჯიში! ამათ დასჯაც კი არ სჭირდებათ – თავად იღებენ ხელში მათრახს და ზურგს იშოლტავენ საკუთარი ხელით! პოლიტმეცადინეობებს არ დასწრებიხარ? ისე, არ გაწყენდა. ბევრ რამეს გაიგებ ადამიანის სულის თაობაზე.

– ამხანაგო! – მოროზოვს უკვე გული ყელში ებჯინებოდა.

– მაინც, რა გნებავთ ჩემგან? იქნებ ფული გინდათ? გადაგიხდით. მე...

ტიმოშენკომ ისე გადაიხარხარა, მთელმა დარბაზმა მათკენ მოიხედა. მოროზოვი მოიბუზა, თითქოს ერთბაშად დაპატარავდა – იქნება და თვალში არავის მოვხვდეო.

– შე მართლა ტილო შენა! – უღრიალა ტიმოშენკომ და ისევ გაიცინა.

– შე უტვინო, თვალებდაბრმავებულო, გამოშტერებულო ტილო! იცი მაინც, ვის ელაპარაკები?! ამხანაგი ვიქტორ დუნაევი ხომ არ

გგონივარ, ან ამხანაგი პაველ სეროვი, ანდა...

– ამხანაგო! – უკვე ისეთი ხმით იყვირა მოროზოვმა, ხალხმა ერთხელ კიდევ გამოხედა მათ მაგიდას. მოროზოვს კი თითქოს მოთმინების ფიალა ავსებოდა და უკვე ყველაფერი ფეხზე ეკიდა.

– თქვენ... შენ... რა უფლება გაქვს მასე მელაპარაკო! ვინ არი საერთოდ, ამხანაგი სეროვი?! მე რა საქმე მაქვს...

– ჯერ ერთი, – მშვიდად გააწყვეტინა სიტყვა ტიმოშენკომ.

– არც მითქვამს, მასთან საქმეში ხარ-მეთქი. რა იყო, რამ დაგაფეთა?

– მე მეგონა, თქვენ... მე...

– ეგ არ მითქვამს, – გაუმეორა ტიმოშენკომ.

– მე მხოლოდ ის ვთქვი, ყველანი ერთნაირები ხართ-მეთქი! შენც, ისიც, ვიქტორ დუნაევიცა და კიდევ ის მილიონობით სხვაც, ვისაც ჯიბეში პარტბილეთი გიდევთ. გამარჯვებულები და დამპყრობლები, მიწაზე მფოფხავი უხერხემლო არსებები... გინდა გითხრა, როგორი იქნება მთავარი სამომავლო მოწოდება? როგორი და – „ქვემძრომებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! " მომხედე ერთი აქეთ – იცი მაინც, რამდენი მილიონი თვალი შემოგვცქერის დედამიწის ოთხივე მხრიდან? ისინი მართალია, შორიდან გვითვალთვალებენ და ხეირიანად ვერც ხედავენ აქ რა ხდება, მარტო იმას ამჩნევენ, თანდათან კიდევ უფრო როგორ იზრდება ვეება ჩრდილი... მათ ეს რაღაც გოლიათური არსების ჩრდილი ჰგონიათ, მაგრამ იმდენად შორს არიან, ვეღარც ხვდებიან რომ ეს მხოლოდ პაწაწინა, ყავისფრად მბზინავი ტარაკნების ურდოა და სხვა არაფერი, რომლებსაც ლაპარაკიც კი არ შეუძლიათ, მხოლოდ ულვაშებს აცმაცუნებენ, ცხოველური ჟინით ერთმანეთს მიტმასნილმიწებებულები, ერთ დიდ მთლიანობად შეკრულები! დანარჩენი სამყაროს უბედურება კი ისაა სწორედ, ამხანაგო მოროზოფ, რომ შორიდან ეს ულვაშები არანაირად არ ჩანს!

– რაზე ლაპარაკობთ, ამხანაგო?! არაფერი მესმის...

– მხოლოდ შავ ღრუბელს ხედავენ და ქუხილის ხმა ესმით. ასე უთხრეს, ამ ღრუბლის მიღმა სისხლის მდინარეები მოედინება, ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებიან ერთმანეთს, ზოგი კლავს, ზოგი კი თავად იღუპებაო. და რა მერე? იმათ, გარედან დამკვირვებლებს, სისხლი არ აშინებთ. სისხლისღვრას ხომ პატივი მოაქვს! ოღონდ ჩვენ სისხლში კი არა, ქაქში ვცურავთ... მისმინე, ერთ კარგ რჩევას მოგცემ – თუ გინდათ რომ ეს ქვეყანა თქვენს საცეცებში ბოლომდე მოიმწყვდიოთ, მსოფლიოს გააგებინეთ რომ საუზმეზე მოჭრილ თავებს მიირთმევთ და ხალხსაც ათასობით ხვრეტთ, გაუსამართლებლად. აფიქრებინეთ მსოფლიოს, რომ მართლა შიშისმომგვრელი, საზარელი ურჩხულები ხართ, ვისაც პატივს უნდა მიაგებდნენ, ვისიც უნდა ეშინოდეთ და ვისი განადგურებაც მხოლოდ პატიოსან ბრძოლაში თუ მოხერხდება. ოღონდ იმას კი ნუ დაანახებთ, რომ არც გმირების ლაშქარი ხართ და არც მტარვალთა ხროვა – მხოლოდ და მხოლოდ საცოდავი, თავკერძა და თავდაჯერებული, თიაქარით გატანჯული ბუღალტრების დანაშაულებრივი ბანდა! ცოცხალი თავით არ დააცადოთ იმის გარკვევა, რომ თქვენ ტყვია კი არ უნდა გესროლონ, არამედ სადეზინფექციო საშუალებები მოგასხურონ... ზარბაზნები კი არ უნდა დაგიშინონ გასანადგურებლად, კარბოლის მჟავით უნდა ამოგხადონ სული!

მოროზოვი მთელი ძალით ჭმუჭნიდა მუჭში მოქცეულ ხელსახოცს. ერთხელ კიდევ მოიწმინდა გაოფლილი შუბლი და მხოლოდ ამის მერეღა ალაპარაკდა. ახლა უკვე ცდილობდა მშვიდი, შემპარავი კილო გამოერია ხმაში და თან შეუმჩნევლად გაცლოდა იქაურობას.

– მართალს ბრძანებთ, ამხანაგო... ერთობ ანგარიშგასაწევი მოსაზრებები გამოთქვით და მეც სრულიად გეთანხმებით! ახლა კი, თუ ნებას მომცემთ...

– დაეგდე მანდ! – ისევ უყვირა ტიმოშენკომ.

– დაჯექი და რამე სადღეგრძელო თქვი. თუ არადა, ცოფიანი

ძაღლივით მიგახვრიტავ აქვე! იცოდე, იარაღის ტარების უფლება ჯერ არ ჩამოურთმევიათ ჩემთვის... აჰა, გამომართვი! – სავსე ჭიქა მოროზოვს გაუწოდა, თუმცა ღია-ოქროსფერი სითხეც სუფრაზე დაექცა და იატაკზეც გადმოეღვარა წურწურით.

– იმ ხალხის სადღეგრძელო მაინც დალიე, ვინც წითელი დროშა აიტაცა და მერე უკანალის გამოსახოცად მოიხმარა!

მოროზოვმა დალია.

მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო, ცხვირსახოცი ამოიღო და ერთიანად დანამული შუბლი მოიწმინდა. ცხვირსახოცს დაჭმუჭნული ფურცელი ამოჰყვა და იატაკზე დაეცა.

მოროზოვი მაშინვე სხარტად მოიხარა წელში, აღება დააპირა, მაგრამ ტიმოშენკომ დაასწრო, ხელი უტაცა:

– ეგ რა არი, ძმაო? – ჰკითხა მოროზოვს. იმან ფურცელს ფეხი გაკრა და გვერდითა მაგიდის ქვეშ შეაგდო.

– ეს? არც არაფერი, ამხანაგო...

– შეეცადა ვითომდა უდარდელად გაეცა პასუხი.

– ქაღალდის რაღაც ნაგლეჯია.

– ვითომ? – იჭვნეულად ჩაილაპარაკა ტიმოშენკომ, რომლის მშვიდი მზერა ახლა კიდევ უფრო სახიფათო ეჩვენა მის თანამეინახეს.

– ქაღალდის ნაგლეჯიო, ამბობ? მაშინ ეგდოს, სადაც აგდია. დამლაგებელი მიხედავს.

– რა თქმა უნდა! – წამსვე დაუმოწმა მოროზოვმაც.

– მაგის ადგილი სანაგვეშია. ამჯერადაც გეთანხმებით, სრულიად.

– მერე რაღაც უგულოდ ჩაიხითხითა და ისევ მოიწმინდა შუბლიდან ოფლი.

– ერთიც დავლით, ამხანაგო? ახლა მე გეპატიჟებით... ერთი ბოთლი იგივე! – გასძახა მიმტანს.

– აი ეგ მომწონს! – თქვა გაუნძრევლად მჯდომმა ტიმოშენკომ.

– გაშრა ყელი.

მიმტანმა უსიტყვოდ დადგა ბოთლი მაგიდაზე. მოროზოვმა ჭიქები შეავსო და მლიქვნელურად წაიხარა წინ, ტიმოშენკოსაკენ.

– იცით ამხანაგო, – წამოიწყო შემპარავად, თან თითოეული სიტყვის წარმოთქმაზე, თითქოს სულ უფრო ემატებოდა თავდაჯერება.

– მე მგონი, ჩემზე არასწორი წარმოდგენა გაქვთ, ოღონდ ამას ნამდვილად საყვედურად არ გეუბნებით. მესმის რა საწუხარიც გალაპარაკებთ. ჩვენს დროში ნამდვილად უამრავი უკეთური, ასე ვიტყოდი, სამარცხვინო ადამიანი მომრავლდა... ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. უკეთესად უნდა გავიცნოთ ყველამ ერთმანეთი. აი თუნდაც, მე და თქვენ. ძნელია ერთი შეხედვით შეაფასო კაცი და განსაკუთრებით, როცა ამნაირ ადგილას გადაეყრები... დარწმუნებული ვარ, ქორვაჭარი ან რაღაც ამდაგვარი გეგონეთ, ხომ ასეა?

– ზუსტად რომ, – თქვა ტიმოშენკომ.

– ისე, სულ იატაკისკენ რატომ გაგირბის თვალი, ამხანაგო მოროზოვ?

– მეე? – ყალბად ჩაიცინა მოროზოვმა და თავიც საჩქაროდ ასწია.

– უბრალოდ, ფეხსაცმელზე დავიხედე. ცოტა მიჭერს და... შემაწუხა. ეტყობა, მთელი დღეები ფეხზე დგომა რომ მიწევს სამსახურში...

– რას მელაპარაკები! – ვითომ შეწუხდა ტიმოშენკო.

– ეგრე არ შეიძლება, ფეხებს გაფრთხილება უნდა. შინ დაბრუნებულმა, უთუოდ ცხელ წყალში უნდა ჩაყარო, ოღონდ ცოტა ღვინის ძმარიც გაურიე ხოლმე. შეშუპებულ ტერფებს უხდება ძალიან.

– მართლა? ეგ არ ვიცოდი... დიდი მადლობა რჩევისთვის, აუცილებლად ვცდი. თანაც დღესვე.

– შინ წასვლის დროა, არა, ამხანაგო მოროზოვ? – დიახ, ალბათ... თუმცა ჯერ არც ისე გვიანია და...

– მეგონა ჩქარობდი. აკი ცოტა ხნის წინ სულ გაქცევაზე გეჭირა თვალი.

– არა, რას ბრძანებთ! არსადაც არ მეჩქარება. მით უმეტეს, ასეთი სასიამოვნო...

– რა ხდება, ამხანაგო მოროზოვ? შიშობ, რამე არ დაგრჩეს აქ?

– ვის, მე?! ეგ რამ გაფიქრებინათ, ამხანაგო... რა თქვით, რა მქვიაო?

– ტიმოშენკო. სტეპან ტიმოშენკო გახლავართ. ისე, ჩვენში დარჩეს და, იქნებ იმ ქაღალდის ნაგლეჯს ვერ ელევი?

– ვერ ველევი... ეგ რამ გაფიქრებინათ, ამხანაგო. ან რა ჯანდაბად მინდა?

– აბა რა ვიცი, – მძიმედ ჩაილაპარაკა ტიმოშენკომ.

– ნამდვილად არაფერში მჭირდება, ამხანაგო ტიმოშენკო... ერთიც ხომ არ დაგველია?

– მადლობელი ვარ.

– მოდი, დავლიოთ.

– არა, მაინც ხდება რაღაც იმ მაგიდის ქვეშ, ამხანაგო მოროზოვ.

– გარწმუნებთ, ამხანაგო ტიმოშენკო... ფეხსაცმლის ზონრის შესაკრავად დავიხარე, გამხსნია...

– აბა, მაჩვენეთ ერთი.

– ახლა გავგიჟდები! არ მქონია გახსნილი, არადა მომეჩვენა რომ... ხომ იცით, ეს საბჭოური წარმოების ზონრები, კაცი ვერ ენდობა!

– შენ ეგა თქვი, – თავი დაუქნია ტიმოშენკომ.

– ორ ჩაცმაზე წყდება.

– კი, ნამდვილად...

– მხარი აუბა მოროზოვმაც.

– ნეტა რისგან ამზადებენ! და ასე რატომ გადმოიხარეთ წინ, ამხანაგო ტიმოშენკო? ცუდად ზიხართ? იქნებ აქეთ გადმომჯდარიყავით?

– არა, მშვენივრად ვარ სადაც ვზივარ, – იუარა ტიმოშენკომ.

– თან აქედან უკეთესად ჩანს, რა ხდება იმ მაგიდის ქვეშ. რა კოხტა ფეხები ჰქონია? მშვენიერი მაგიდაა, არა? ხელოვნების ნიმუშია პირდაპირ.

– დიახ. გეთანხმებით, ამხანაგო. თუმცა მეორეს მხრივ, აი იქით, ჩვენგან მარცხნივ, ორკესტრის ახლოს ნახეთ ერთი, რა ლამაზი ქერა ქალი ზის... მთლად კალმით ნახატი!

– კი, კარგი ქალია. თქვენი ფეხსაცმელი მომეწონა, ამხანაგო მოროზოვ. კარგი ტყავი ჩანს. კოოპერატივში მაგისთანას ვერ შეიძენ.

– ვერა. ეს ფეხსაცმელი... მართალი გითხრათ...

– განსაკუთრებით ეგ მომრგვალებული ცხვირი მომწონს. ვიღაცის შუბლს მაგონებს, ზუსტად ისევე ბზინავს. არა, რაც მართალი-მართალია, იციან უცხოელებმა ფეხსაცმლის კერვა.

– საქონლის ხარისხზე როცა ვლაპარაკობთ, ამხანაგო, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაგალითად, კაპიტალისტურ ქვეყნებში...

– რაო, ამხანაგო მოროზოვ, რა ხდებაო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში? – იქედნურად დაეკითხა ტიმოშენკო.

– ამ დროს მოროზოვმა წერილის ასაღებად ისკუპა, მაგრამ ტიმოშენკომ მაჯა დაუჭირა და ისე მოიქცია თითებში როგორც მარწუხებში. თვალის დახამხამებაში, ორივე უკვე იატაკზე იდგა მუხლებით, თვალი თვალში გაეყარათ და ხმაგაკმენდილები, სამკვდროსასიცოცხლოდ დაჯახებულ ორ მტაცებელ მხეცს ჰგავდნენ. მერე ტიმოშენკო თავისუფალი ხელით დასწვდა ბარათს, ნელ-ნელა წამოიმართა, მოროზოვსაც უშვა ხელი და ისევ მიუჯდა მაგიდას. უკვე ბარათს კითხულობდა, მოროზოვი კი კვლავ ოთხზე იდგა და საველე სასამართლოს განაჩენის მომლოდინე ბრალდებულის თვალებით ამოსცქეროდა.

„მოროზოვ, შე დამპალო ნაბიჭვარო! თუ ხვალ დილამდე არ ჩამაბარებ რაც მეკუთვნის, საუზმობა გპუ-ში მოგიწევს და ეგ რასაც ნიშნავს, ჩემგან არ გესწავლება.

მუდამ შენი, პაველ სერი ტიმოშენკომ რომ წერილის კითხვა ჩაათავა, მოროზოვიც უკვე თავის ადგილას იჯდა. უცებ, ძველ მეზღვაურს ისეთი სიცილი აუტყდა, როგორიც ადამიანისგან ჯერ არასოდეს გაეგონა მის თანამეინახეს.

ტიმოშენკო მძიმედ წამოდგა, ჯერ ისევ იცინოდა; ერთიანად უთრთოდა მთელი სხეული, ყელზე ძარღვები დაბერვოდა. ბარათი ორივე ხელით ეჭირა და ოდნავ შესამჩნევად ტორტმანობდა. მერე გრამოფონის შენელებულ ფირფიტასავით ნელ-ნელა, თანდათანობით ჩაჩუმდა. ბარათი ჯიბეში ჩაიდო, დინჯად შეტრიალდა; მოუქნელი, თითქოს გაუბედავი, მძიმე ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ. უკვე კართან მისულს, მეტრდოტელმა გახედა ცერად, ტიმოშენკომ კი, საპასუხოდ, უწყინარი მზერა შეაგება.

მოროზოვი მაგიდასთან დარჩა. ცალი ხელი დამბლადაცემულივით გაშეშებოდა ჰაერში. აყურადებდა, როგორ ჩადიოდა კიბეზე ტიმოშენკო, ხითხით-ხითხითით და ეს წყვეტილი ხმა ერთდროულად სლოკინსაც ჰგავდა, ჩახველებასაც და სლუკუნსაც.

უცებ, მოროზოვი ფეხზე წამოიჭრა: – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – მოჰყვა ლუღლუღს.

აღარც ქუდი ახსოვდა და აღარც პალტო, სირბილით გაეშურა კიბეებისკენ და დათოვლილ ქუჩაში გავარდა. განიერ, გადათეთრებულ, დადუმებულ ქუჩაში ტიმოშენკოს კვალიც კი აღარსად ჩანდა.

* * *

მოროზოვს პაველ სეროვისთვის ფული არ გაუგზავნია. არც კვების მრეწველობის ტრესტში გამოჩენილა. მთელი მომდევნო დილა და შუადღე შინ გაატარა, საკუთარ ოთახში გამოიკეტა და არაყს მიეძალა. რამდენჯერაც ტელეფონმა დარეკა ან კარზე გაისმა ზარის ხმა, იმდენჯერ ერთიანად მოიკუნტა, თავი მხრებში ჩარგო და თითების კბენას მოჰყვა. თუმცა, საგანგაშო არაფერი მომხდარა.

ვახშმობისას, შინ დაბრუნებულმა ანტონინა პავლოვნამ ხელს საღამოს გაზეთებიც მოაყოლა, წინ დაუყარა და თან ბრაზიანად ჰკითხა:

– რა იყო, რა ჯანდაბა გეტაკა?

მოროზოვმა გაზეთებს გადაავლო თვალი. პირველ გვერდზე ყველგან ერთი და იგივე ახალი ამბავი დაებეჭდათ:

„მდინარე კამას რაიონის სოფელ ვასილკინოში, კონტრრევოლუციონერების მიერ შეგულიანებულმა გლეხებმა კარლ მარქსის სახელობის ადგილობრივი კლუბი გადაწვეს. ნახანძრალზე ნაპოვნი იქნა თავმჯდომარისა და კლუბის მდივნის დანახშირებული გვამები. ეს ორი ადამიანი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მიერ იყო მივლინებული. ამჟამად, ვასილკინოსაკენ უკვე მიემართება გპუ-ს საგანგებო რაზმი.

სოფელ სვერსკოეში კი წუხელ ოცდახუთი გლეხი დახვრიტეს ქალაქ სამარას კომკავშირული გაზეთის ადგილობრივი კორესპონდენტის მკვლელობის გამო. გლეხებმა მკვლელის ვინაობის გამხელა არ ისურვეს", ერთ-ერთი გაზეთის ბოლო გვერდზე კი ასეთი შინაარსის მოკლე განცხადება მოხვდა უცებ თვალში:

„ამ დილით, ობუხოვის არხის ხიდქვეშ, ყინულზე, ნაპოვნი იქნა ბალტიის ფლოტის ყოფილი მეზღვაურის, სტეპან ტიმოშენკოს გვამი. მან პირში იარაღის გასროლით მოიკლა თავი. პარტბილეთის გარდა, თან არანაირი საბუთი არ ჰქონია და მისი თვითმკვლელობის მიზეზები უცნობია"

მოროზოვმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ისეთი შვებით ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნაო. მერე ბოთლს ეცა და მაშინვე ზედიზედ გადაკრა ორი ჭიქა არაყი.

ტელეფონმა დარეკა. მოროზოვიც უკვე თამამად გაეშურა ყურმილის ასაღებად. ანტონინა პავლოვნას ვერაფრით აეხსნა მისი გუნება-განწყობის ასეთი უეცარი გამოკეთება.

– მოროზოვ...

– გაისმა მოთოკილი ჩურჩულის ხმა ყურმილში.

– შენა ხარ, პავლუშა? – ხალისიანად დაეკითხა მოროზოვი.

– ძალიან ვწუხვარ, ძმაო, ფული კი მაქვს, მაგრამ...

– დავიწყე ფული...

– ასისინდა სეროვი.

– ეგ არაფერი... შენ ის მითხარი, რამე ბარათი ხომ არ დაგიტოვე?

– კი, რა თქმა უნდა. მაგრამ რასაც მწერდი, ყველაფრის ღირსი ვარ და...

– მოიცა, არ დახიე? – რატომ უნდა დამეხია?

– რას ქვია რატომ! არ გესმის, რა შეიძლება... მოიცა, დახიე თუ არა?

მოროზოვმა ერთხელაც დახედა საღამოს გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას, ჩაიცინა და თქვა:

– რა თქმა უნდა დავხიე, მაგის დარდი არ გქონდეს, ძმაო. მთელი ის საღამო გაზეთი ხელიდან აღარ გაუშვია.

– სულელი! – შიგადაშიგ დუდღუნებდა თავისთვის და ნიკაპგამობზეკილი ანტონინა პავლოვნაც მალი-მალ იჭვნეულად გამოხედავდა ხოლმე.

– ნაღდად დაკარგა! მთელი ღამე ღმერთმა უწყის სად არ დაბოდიალობდა გალეშილი და მიაკარგა სადღაც!

რა იცოდა მოროზოვმა, რომ სტეპან ტიმოშენკომ რესტორნიდან ჯერ შინ შეიარა, იმ თავის გათოშილ სხვენში ფეხებმორყეულ მაგიდას მიუჯდა და ბოთლის ყელში ჩარჭობილი, სანახევროდ ჩამწვარი სანთლის შუქზე წერილიც დაწერა უხეში, ყავისფერდაკრული ქაღალდის ნაგლეჯზე. მერე ეს ქაღალდი კონვერტშიც ჩადო, სადაც საკუთარ წერილთან ერთად, იმ მოჭმუჭნულ ბარათსაც მიუჩინა ადგილი, კონვერტს ანდრეი ტაგანოვის მისამართი წააწერა, დალუქა და აუჩქარებლად დაეშვა ჭრაჭუნა კიბეზე.

იმ ქაღალდზე კი ასეთი რამ ეწერა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო ანდრეი! ხომ დაგპირდი, დაგემშვიდობები-მეთქი და ასეც ვიქცევი. მართალია, მთლად ამას არ დაგპირებივარ, მაგრამ იმედია, მაპატიებ. დამღალა იმის ცქერამ, რაც ირგვლივ ხდება. ამ ის ატანა უკვე აღარ შემიძლია. შენ, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს. თანდართულ ბარათს გიტოვებ. მესმის, რომ ეს არცთუ სასიამოვნო მემკვიდრეობაა და იმის იმედსღა ვიტოვებ, რომ ძალიან მალეც არ გამოუყვები ჩემს გზას.

შენი მეგობარი სტეპან ტიმოშენკო“

XI

პაველ სეროვი თავის სამუშაო ოთახში, საწერ მაგიდას უჯდა და მისი კიდევ ერთი მოხსენების ნაბეჭდ ტექსტს ასწორებდა. „სარკინიგზო მიმოსვლა და კლასობრივი ბრძოლა“ – ამგვარი გახლდათ მოხსენების თემა. მდივანი ქალი მაგიდასთან ატუზულიყო და აღელვებული ადევნებდა თვალს სერვის ხელში მომარჯვებული ფანქრის თითოეულ მოძრაობას. ოთახის ფანჯარა სარკინიგზო ტერმინალის ერთ-ერთი ბაქნისაკენ გადიოდა. სეროვს სწორედ იმ დროს გაექცა თვალი ფანჯრისკენ, როცა ტყავისქურთუკიანმა, ტანმაღალმა მამაკაცმა ბაქანი ჩაათავა და გაუჩინარდა. სეროვი უცებ წამოხტა, ფანჯარას ეცა, მაგრამ იმ კაცის კვალიც კი აღარსად ჩანდა.

– ის კაცი დაინახე? – შეუღრინა მდივანს.

– არა, ამხანაგო სერვ... ვისზე მეკითხებით?

– კარგი, არა უშავს... ეგ არაფერი... ერთ ჩემ ძველ ნაცნობს მივამსგავსე. მაგრამ იმას აქ რა ესაქმება?

ერთი საათის შემდეგ, როცა ოთახიდან გამოვიდა და მზესუმზირის კვნეტა-კვნეტით დაუყვა კიბეს, ტყავისქურთუკიანს ერთხელ კიდევ ჰკიდა თვალი. შეცდომა გამორიცხული იყო: ეს ნამდვილად ანდრეი ტაგანოვი გახლდათ.

პაველ სეროვი შედგა, წარბები შეიჭმუხნა. მზესუმზირის ჩენჩო

ერთხელაც გამოაფურთხა და მერე, ვითომდა სასხვათაშორისოდ, ანდრეის მიუახლოვდა:

– საღამო მშვიდობისა, ამხანაგო ტაგან! – მიესალმა შინაურულად.

– საღამო მშვიდობისა, ამხანაგო სეროვ! – მიუგო ანდრეიმაც.

– გამგზავრებას აპირებ სადმე, ანდრეი? – არა.

– მატარებლის ქორვაჭრებს უთვალთვალებ? – არა.

– აბა, გპუ-ს სატრანსპორტო განყოფილებაში გადაგიყვანეს? – არა.

– კარგი ბატონო. ასეა თუ ისე, მიხარია შენი ნახვა. მართლა ძვირი სანახავი კი გახდი. ეტყობა იმდენი საქმე გაქვს, ძველი მეგობრებისათვის ველარც იცლი... მზესუმზირა არ გინდა?

– არა, გმადლობ.

– შენთვის ეგეც მავნე ჩვევაა, არა? ყოველმხრივ სამაგალითო ხარ. მთლად უცოდველი, ერთ პატარა ცელქობას თუ არ ჩავთვლით... მიხარია, შენც რომ გიზიდავს ეს ძველი სადგური, ჩემთვის აქაურობა ხომ მეორე სახლივითაა. ისე, კარგა ხანია აქ ტრიალებ, არა?

– კიდევ გაქვს შეკითხვები ჩემთან?

– ვისა, მე? როდის იყო, ზედმეტი ცნობისმოყვარეობით გამოვირჩეოდი? უბრალოდ, საუბარი გაგიბი, რა... ვიღაცას მაინც ხომ უნდა გამოელაპარაკო ხანდახან, თორემ ეგრევე ინდივიდუალისტის იარლიყს მოგაკრავენ! ისე, აქეთ თუ გიწევს ხოლმე ყოფნა, რატომ ჩემთან არასოდეს შემოივლი?

– შეიძლება შემოგიარო კიდეც, – დინჯად მიუგო ანდრეიმ.

– აბა, კარგად მენახე, ამხანაგო სეროვ.

კოპებშეკრული სერვი თვალმოუშორებლად მიჩერებოდა კიბეებზე ჩამავალ ანდრეის და კბილებშორის მოქცეული მზესუმზირის გაკვნეტა აღარც გახსენებია.

* * *

ნოქარმა ცერი და საჩვენებელი თითით მოიწმინდა ცხვირი, ბოთლის ყელს ზედ შერჩენილი ზეთი წინსაფრით მოაშორა და იკითხა:

– დღეისათვის სულ ესაა, მოქალაქე?

– სულ ესაა, – მიუგო ანდრეი ტაგანოვმა.

ნოქარმა გაზეთს ნახევარი ჩამოახია და ზეთიანი ბოთლი ქაღალდში გამოახვია. გაზეთის ქაღალდს მაშინვე ცხიმის ლაქები დააჩნდა.

– მიდის საქმე? – ჰკითხა ანდრეიმ.

– ჩემი ფეხები, – ჩაიბურტყუნა ძველ, ნაქსოვ, ლურჯსვიტრიანმა ნოქარმა და მხრები აიჩეჩა.

– ბოლო სამ საათში თქვენ ერთადერთი მუშტარი ხართ. მომენატრა კიდეც ადამიანის ხმის გაგონება. ვზივარ უსაქმოდ და თაგვებს ვაფრთხობ.

– ვერ არის კარგი ამბავი... ესე იგი, ზარალში ხარ? – მე რა, ჩემი კი არაა აქაურობა.

– ეგრე თუ გაგრძელდა, ალბათ სამსახურსაც დაკარგავ. თავად პატრონს მოუწევს დახლთან დადგომა.

– ვისა, ჩემს უფროსს? – ნოქარმა ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმა ამოუშვა, ვითომ გაიცინა. პირი დააფჩინა და ჩამტვრეულ-ჩაშავებული კბილები გამოაჩინა.

– არა, ეგ მაგის გამკეთებელი არ არი... ერთი მანახა, თავ-ფეხიანად გამოწკეპილი მოქალაქე კოვალენსკი როგორ წონის ქაშაყს ან როგორ ასხამს ბიდონიდან ზეთს!

– საქმე თუ ასე ცუდად მიდის, დიდხანს ვეღარ ივლის ძველებურად გამოწკეპილი.

– აღდგომა და ხვალეო, – ორჭოფულად ჩაილაპარაკა ნოქარმა.

– ეგეც მართალია, – დაეთანხმა ანდრეი ტაგანოვი.

– ორმოცდაათი კაპიკია თქვენგან, მოქალაქე.

– აი, ინებე. ღამე მშვიდობისა, მოქალაქე.

* * *

ანტონინა პავლოვნამ ახალი საბალეტო დადგმის ბილეთები იშოვა. წარმოდგენა საგანგებოდ პროფკავშირის წევრებისთვის იმართებოდა პეტროგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში და კვების მრეწველობის ტრესტმა ბილეთები მოროზოვსაც გამოუყო. თუმცა, თვითონ მას ბალეტი დასანახად არ უნდოდა და თან, რომელიღაც სასკოლო შეხვედრაზეც ელოდებოდნენ, სადაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა კვების პროდუქტების პროლეტარულ განაწილებასთან დაკავშირებით. ამიტომ, ბილეთები ულაპარაკოდ გადააბარა ანტონინა პავლოვნას, იმან კი ლეო და კირა დაპატიჟა.

– ცხადია, რევოლუციური ბალეტი იქნება, – აუხსნა მათ წინდაწინვე.

– პირველი საბჭოური ბალეტი. პოლიტიკის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მშვენივრად მოგეხსენებათ, მაგრამ ხელოვნებას მაინც ზოგადი გადასახედიდან უნდა შეხედოს ადამიანმა, ასე არაა? ყოველ შემთხვევაში, მგონია რომ საინტერესო ექსპერიმენტი უნდა გამოდგეს.

კირამ მიპატიჟებაზე უარი თქვა, ლეო კი ანტონინა პავლოვნასთან ერთად გაემართა სპექტაკლზე. ანტონინა პავლოვნას ოქროთი მოსირმული, გრძელი მწვანე კაბა ეცვა, წელზე ცოტა არ იყოს, ზედმეტად ვიწროდ მომდგარი. ხელში კი მოოქროვილსახელურიანი საოპერო დურბინდი ეჭირა.

კირა ანდრეის შეუთანხმდა შეხვედრაზე, მაგრამ როცა ტრამვაიდან გადმოვიდა და ჩაბნელებული ქუჩებით სასახლის ბაღისაკენ გაეშურა, უცებ იგრძნო, თავისდაუნებურად როგორ ებორკებოდა ფეხები. სხეულიც ერთბაშად დაეძაბა, გაუძალიანდა და ახლა ისე მიაბიჯებდა, თითქოს ძლიერი პირქარი ეხლებოდა სახეში, თითქოს სხეული სწორედ იმას ახსენებდა, რის დავიწყებასაც ცდილობდა – წუხანდელ ღამეს, რომელიც ზედმიწევნით ჰგავდა იმ პირველს, მოვერცხლისფრო-მორუხოდ შეფერილ ოთახში რომ გაატარა, სადაც

აგერ უკვე მესამე წელია, ლეოსთან ერთად ცხოვრობდა. უცნაური სიწმინდისა და უმანკოების შეგრძნება დაუფლებოდა მთელ მის არსებას ფეხები თავისთავად უნელებდა სვლას, რათა შეძლებისდაგვარად გაეძნელებინა მისი მოახლოება იმისადმი, რაც მკრეხელობად მიაჩნდა; არადა, მთელი გულით ეწადა, იქამდე მისვლა და თან მაინცადამაინც იმ საღამოს ნატრობდა, ნეტავი ეს სურვილი არ მომძალებოდაო...

როგორც იქნა, აათავა უსასრულო, ჩაბნელებული კიბე. კარი ანდრეიმ გაუღო.

– ანდრეი, ერთ თხოვნას შემისრულებ? – მაშინვე მიახალა კირამ.

– სანამ გაკოცებ, იქამდე? – არა, ოღონდ კოცნის მერე მაშინვე... კინოში წამიყვან?

ანდრეიმ აკოცა. სახეზე კირას ხელახლა ნახვის სიხარულის მეტი, არაფერი ეტყობოდა. მერეღა უპასუხა:

– ბატონი ბრძანდები.

ხელიხელგაყრილნი გამოვიდნენ ქუჩაში. ახლადდადებული თოვლი მათ ფეხქვეშ შრაშუნობდა. ნევის პროსპექტზე მდებარე სამივე, ყველაზე დიდი კინოთეატრის ტილოს აბრებზე წითელი ასოებით ეწერა:

„სეზონის მთავარი მოვლენა! საბჭოთა კინემატოგრაფის ახალი შედევრი! "

„წითელი მებრძოლები" სამოქალაქო ომში გმირი წითელარმიელების ბრძოლის ამსახველი ეპიკური ტილო!

პროლეტარიატის საგა!

მუშათა და გლეხთა უსახელო მასების ტიტანური დრამა!

კიდევ ერთი აბრა ზედ კინოთეატრის შესასვლელთან გამოეკრათ: „ამხანაგმა ლენინმა თქვა:

„ხელოვნების ყველა დარგიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი კინოა" „.

გაჩახჩახებულ შესასვლელთან მთავარი კინოთეატრის ორიოდე

მოწყენილი თანამშრომლის გარდა, არავინ ჩანდა. გამვლელები ზედაც არ უყურებდნენ ფილმის კადრების ამსახველ ფოტოებს.

– შენ ამის ნახვა არ გენდომება, – შენიშნა ანდრეიმ.

– ნამდვილად, – დაეთანხმა კირა.

მეოთხე და შედარებით მომცრო კინოთეატრში უცხოური ფილმი გადიოდა. ძველი, უცნობი კინოსურათი, რომელშიც არცერთი ვარსკვლავი არ მონაწილეობდა და მსახიობების გვარ-სახელიც არაფერს ეუბნებოდა მაყურებელს. ვიტრინაში სამი გახუნებული ფოტო გამოეკრათ სამივედან ვიღაც სახემოხატული ქალბატონი იმზირებოდა, რომლის სამოსიც სულ ცოტა, ათი წლის წინ თუ იქნებოდა მოდაში.

– იქნებ, აქ შევსულიყავით? – თქვა კირამ.

მაგრამ სალარო დაკეტილი დაუხვდათ.

– ვწუხვარ, მოქალაქეებო, – მოუბოდიშა კარისკაცმა.

– არც ამ და არც მომდევნო სეანსზე ადგილები აღარ დარჩა. ხალხი ფოიეში იცდის.

– რა გაეწყობა, – ამოიოხრა კირამ, როცა პირში ჩალაგამოვლებულები, უკან გამობრუნდნენ.

– ისევ იმ „წითელ მებრძოლებს“ ვუყუროთ...

კინოთეატრ „პარიზიანას“ ვეება, თეთრსვეტებიან მოსაცდელ დარბაზში არავინ ჩანდა. ფილმის ჩვენება უკვე დაწყებულიყო და წესით, აღარავინ უნდა შეეშვათ, მაგრამ კარისკაცმა სიხარულით გამოაღო კარები და დაგვიანებულები მაინც შეიპატიჟა.

კინოდარბაზში ბნელოდა და ციოდა კიდეც. ორკესტრის გუგუნი ექოდ ირეკლებოდა თითქმის ცარიელი დარბაზის კედლებიდან. რიგებში აქა-იქ, კანტიკუნტად ისხდნენ მაყურებლები.

ეკრანზე კი ხიშტიანი თოფების ქნევა-ქნევით, რუხ, ჩამოძენძილ-ფარაჯიანი ბრბო ტალახში მიაბოტებდა. მერე იგივე ხალხი უკვე კოცონს უჯდა და შეჭამანდს ხარშავდა. გრძელი, უსასრულო სატვირ-

თო მატარებელი ტაატით მიიკვლევდა გზას, იმის ვაგონებში კი ჩამოძენძილფარაჯიანები შეყუჟულიყვნენ. „ერთი თვის შემდეგ – გაჩნდა წარწერა ეკრანზე. რუხფარაჯიანები ახლა სირბილით მიარღვევდნენ ტალახს, და თან კვლავაც ხიშტიან თოფებს უღერებდნენ მტერს. დროშების ზღვა ფრიალებდა; რუხი დასალიერის ფონზე, სანგრებში დახოხავდა ასევე რუხ, დაძენძილფარაჯიანთა ბრბო. „ბრძოლა ზავრაჟინოსთან" – იუწყებოდა წარწერა ეკრანზე. მბზინავ, პრიალაჩექმებიანთა რაზმი კედელთან მიყენებულ ქალამნიანებს ხვრეტდა. „ბრძოლა სამსონოვოსთან" – გამოჩნდა კიდევ ერთი წარწერა. რუხფარაჯიანები ახლა ისევ ტალახში მიტოპავენ. „სამი კვირის შემდეგ – დაიწერა ეკრანზე. ჩამავალი მზის ფონზე, უსასრულოდ გრძელი მატარებელი მიიზლაზნება. „პროლეტარიატმა მძიმე ჩექმით გასრისა მოღალატე არისტოკრატები" – იუწყება მომდევნო წარწერა. მბზინავჩექმებიანები ნამსხვრევებით მოფენილ, ბინძურ საროსკიპოში ეცეკვებიან ნახევრადშიშველ გოგოებს. ჩნდება მორიგი წარწერა: „წითელ მეომრებს ვერაფერი შეურყევს პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებას" ტალახში კი ხიშტიანთოფებიანი, რუხფარაჯიანი ბრბო მოაბიჯებს. ამ ფილმს არც რამე სიუჟეტი აქვს და არც გმირი ჰყავს. დარბაზში შემოსვლამდე კირამ და ანდრეიმ ყურადღება მიაქციეს ფოიეში გაკრულ პლაკატს: „პროლეტარული კულტურის მიზანია სრული სისავსით ასახოს მასების ცხოვრება! "

მომდევნო სეანსის დაწყებამდე, შესვენებისას, ანდრეიმ კირას ჰკითხა:

– გინდა, ახლა ფილმის დასაწყისიც ვნახოთ? – კი, ვნახოთ, – თქვა კირამ.

– ჯერ მაინც ადრეა.

– არადა, ვხედავ რომ არ მოგწონს.

– არც შენ მოგწონს. ისე, სასაცილო ამბავი კია: დღეს შემეძლო ახალ საბალეტო წარმოდგენაზე წავსულიყავი და იმიტომ ვთქვი უარი, იმ რაღაც რევოლუციური დადგმის ნახვა რომ არ მინდოდა...

ახლა კი ვზივარ და ამ „ეპიკურ ტილოს“ შევცქერი!

– მაინც, ვისთან ერთად აპირებდი წასვლას? – ერთ მეგობართან.

– შემთხვევით, ლეო კოვალენსკისთან ხომ არა? – ანდრეი, არ გეჩვენება რომ ბევრის უფლებას აძლევ თავს? – კირა, შენი მეგობრებიდან ის ერთადერთია, ვინც...

– ვინც ძალიან არ მოგდის თვალში! ეგ ვიცი. ოღონდ ზედმეტად ხშირად ხომ არ ახსენებ?

– კირა, შენ პოლიტიკას გაურბიხარ, ასე არაა? – ასეა. მერე?

– შენ არასოდეს მოგდომებია უაზროდ გაგეწირა სიცოცხლე, რამე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, წლებისთვის გადაგესვა ხაზი, ციხეში გაგეტარებინა ეს დრო, ან დევნილობაში... ხომ მართალია?

– მაგით რისი თქმა გინდა? – ლეო კოვალენსკისაგან შორს დაიჭირე თავი.

კირამ პასუხის სათქმელად პირი დააღო, აწეული ხელიც ჰაერში გაუშეშდა და ერთი ხანობა, ასე გახევდა. მერე, როგორც იქნა, თავს მოერია და დიდი ძალდატანების ფასად,. ესღა ამოთქვა:

– არა... მაინც რისი თქმა გინდა, ანდრეი?

– იმედია, არ მოგეწონება, თუკი იმ ადამიანის ახლობლად მიგიჩნევენ, ვინც უვარგის ხალხთან მეგობრობს...

– ეგ რომელ ხალხთან?

– ჭრელ-ჭრელ ხალხთან. მაგალითად, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამხანაგ სეროვთან.

– კი მაგრამ, რა აქვს ლეოს საერთო...

– კერძო მაღაზიის მეპატრონეა, ეგრე არ არის?

– ანდრეი, შენ მე ახლა ისე მელაპარაკები, როგორც გპუ-ს თანამშრომელი და...

– არა, დაკითხვას არ გიწყობ. შენგან არაფრის გაგებას არ ვცდილობ. უბრალოდ, მინდა მივხვდე, რამდენად ხარ ჩახედული მის საქმეებში. ეგ კი ისევ და ისევ შენს სასიკეთოდ მინდა ვიცოდე.

– რა... რა საქმეებში?

– ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი. ალბათ, ამდენიც არ უნდა მეთქვა, მაგრამ მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ის კაცი, თუნდაც უნებურად, შენ არაფერში გაგხვევს.

– რაში უნდა გამხვიოს?

– კირა, როცა საქმე შენ გეხება, იცოდე რომ მე გპუ-ს თანამშრომელივით არ ვიქცევი.

დარბაზში შუქი ჩაქრა და ორკესტრმა „ინტერნაციონალი" დააგუგუნა.

ეკრანზე დამტვერილი, ჯარისკაცული ჩექმები ახლა გამომშრალ, დამსკდარ მიწაზე მიბაგუნობდა; მოჩანდა მხოლოდ ამ ჩექმების რუხი, ვეება, სქელი, ტალახიანი ლანჩები და ძველი, უხეში ტყავი, რომელიც უეჭველია, შიგნიდან ადამიანთა ხორცისა და ოფლის სუნით ყარდა. თავად ადამიანები არსად ჩანდნენ, ჩექმებიანი ფეხები კი არც მიიზლაზნებოდნენ და არც განსაკუთრებული სიჩქარე ეტყობოდათ – ეს არც ფლოქვები გახლდათ და არც ადამიანის ფეხებს ჰგავდნენ ერთი შეხედვით: სულ წინ და წინ მიიწევდნენ, ჯიუტად, დაჟინებით, თითქოს ნაცრისფერი ტანკები გზად ნებისმიერ წინაღობას თელავენ და ანადგურებენო. მიწის მთელ ბელტებს მტვრად აქცევდნენ ეს რუხი, უსიცოცხლო, დაუნდობელი ჩექმები.

„ინტერნაციონალის" გუგუნში, კირა ანდრეისკენ გადაიხარა და ჩურჩულით ჰკითხა:

– ანდრეი, შენ რა, გპუ-ს რაიმე ახალ დავალებას ასრულებ?

– არა, ახლა დამოუკიდებელ გამოძიებას ვაწარმოებ, – მიუგო ანდრეიმ.

ეკრანზე, შავი ცის ფონზე, რუხფარაჯიანი აჩრდილები კოცონის ირგვლივ შემომსხდარან; ვიღაცის დაკოჟრილი ხელი ლითონის დიდ ქვაბში ჩამჩით ურევს წვნიანს; ვიღაცა უაზროდ იღრიჭება, უშნო კბილები გადმოუყრია. გარმონისტი მთელი ტანით ირწევა აქეთიქით და ისე წელავს თავის საკრავს, დიდი მონდომებით. სახეზე ნაძალადევი ღიმილი შერჩენია.

– მთლად პირტიტველა ჯარისკაცი ბუქნავს და მალი-მალ ტაშსაც შემოკრავს ხოლმე, ცეკვისას. ვიღაც წვერს იქექავს, სხვა – კისერს, კიდევ ერთიც – ქეჩოს... ჯარისკაცის ხალათის საკინძეჩახსნილი ერთ-ერთი მებრძოლი გემრიელად იღეჭება, ხმელა პურის ქერქს ჭამს და ნამცეცები ჩაშავებულ, ბანჯგვლიან მკერდზე ეყრება. ყველანი გამარჯვებას ზეიმობენ.

– ანდრეი, რამე კვალს უკვე დაადექი? – ისევ ჩურჩულით ჰკითხა კირამ..

– კი, – მოკლედ მოუჭრა ანდრეიმ.

ეკრანზე. ქალაქის ქუჩებში დროშებმომარჯვებული, გამარჯვების მოზეიმე დემონსტრანტები მიაბიჯებდნენ, კამერის წინ ნელ-ნელა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს აფრიალებული დროშები და დაძაბული სახები. ადამიანები უხილავ ძაფებზე გამობმული ცვილის ტიკინებივით მოძრაობდნენ; თავზე მუქ ხილაბანდწაკრული ახალგაზრდებიცა და ნაქსოვ თავშალიანი დედაბრებიც; ჯარისკაცულ ქუდებიანებიცა და ბოხოხიანებიც. ყველა სახე ერთმანეთს ჰგავდა, მკაცრი და საქმიანი გამომეტყველება ედოთ არაფრისმთქმელი თვალებიცა და უფორმო ტუჩებიც დახატულს მიუგავდათ არ ეტყობოდათ არანაირი ნებისყოფა, კუნთების არავითარი მოძრაობა – თითქოს ქუჩა თავადვე მიცურავდა წინ მათ ფეხქვეშ. მონდომება და ძალისხმევა მხოლოდ იალქნებივით მოტკაცუნე, აფრიალებულ დროშებს ეტყობოდათ, საწვავს კი მილიონობით მომჩვარული, მოღვენთილი სხეულის ხორციდან წამოსული ოხშივარი ცვლიდა. ეს ხალხი მიდიოდა, მიდიოდა და მიდიოდა, სიცოცხლის ყოველგვარი ნიშატის გარეშე.

კირამ უცებ თავი ასწია. მთელ სხეულში ერთიანად დაუარა ცახცახმა.

– წავიდეთ, ანდრეი, – ამოთქვა სულშეგუბებულმა. ისიც სწრაფად, უსიტყვოდ წამოხტა.

ქუჩაში ანდრეიმ მარხილის დაძახება დააპირა, მაგრამ კირამ გადააფიქრებინა:

– არა, არ გინდა! მოდი, ფეხით წავიდეთ.

– რა დაგემართა, კირა? – ჰკითხა ანდრეიმ და მკლავზე ხელი წაავლო.

– არაფერი.

– კირა ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებდა და ფეხქვეშ თოვლის ხრაშუნს აყურადებდა.

– იცი... ფილმი არ მომეწონა.

– მე გიხდი ბოდიშს... ისე, სულ არ მიკვირს. აჯობებდა, ასეთი ფილმები საერთოდ არ გადაეღოთ. დათვური სამსახურია.

– ანდრეი, შენ ამ ყველაფრის დატოვება და საზღვარგარეთ გამგზავრება გინდოდა, არა?

კი, მინდოდა.

– მაშინ, რატომ წამოიწყე... ვიღაცის წინააღმდეგ... იმ ბატონებს ეხმარები, ვისი მსახურებაც აღარ გინდა?

– მინდა გავარკვიო, ჯერ ისევ ღირსი არიან თუ არა სამსახურის.

– და მაგით შენთვის რა შეიცვლება?

– ეგებ, მთელი დარჩენილი სიცოცხლე...

– რას გულისხმობ?

– უკანასკნელ შესაძლებლობას ვაძლევ საკუთარ თავს: მინდა რაღაც დავუდო იმათ ცხვირწინ. ვიცი, ასეთ დროს წესით როგორ უნდა მოიქცნენ, თუმცა ვშიშობ, უკვე იმასაც ვხვდები, სინამდვილეში რასაც მოიმოქმედებენ. მე ჯერ ისევ პარტიის წევრი ვარ. ძალიან მალე გაირკვევა, დავრჩები პარტიაში თუ არა.

– შენ რა, ცდას ატარებ, ანდრეი? სხვა ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე?

– იმ რამდენიმე ადამიანის, ვის სიცოცხლესაც წერტილი უნდა დაესვას.

– ანდრეი!

ანდრეიმ ცოტა არ იყოს, გაოცებულმა გამოხედა სახეგაფითრებულ კირას.

– რა იყო, რა გემართება? საერთოდ, ჩემ სამსახურზე ადრე არასოდეს არაფერი გიკითხავს... ამაზე ლაპარაკს მუდამ ვერიდებოდით, ასე არაა? თუმცა მშვენივრად იცი, რომ ეს სამსახური სწორედ ადამიანების ყოფნა-არყოფნასაც გულისხმობს, როცა ეს გარდაუვალი ხდება. ადრე ასე არასოდეს შეშინებულხარ. მგონი, ჯობია ამ თემაზე აღარც ვილაპარაკოთ.

– შენ რა, მიკრძალავ?

– კი. და ერთსაც გეტყვი: ძალიან გთხოვ, ყურადღებით მომისმინე და ნურც ნურაფერს მიპასუხებ. არ მინდა რაიმე პასუხის გაგება. ლაპარაკით კი იმიტომ არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ არ მინდა ვიცოდე, რამდენად ხარ ჩახედული იმ საქმეში, რასაც ახლა ვიძიებ. სამწუხაროდ, ის უკვე ვიცი, რომ ეს საქმე არც შენთვისაა საიდუმლო. იმათგან, ვისთან შეხვედრასაც ვაპირებ, სრულ გულწრფელობას მოველი. ამიტომ არ მსურს, ამ შეხვედრებზე ჩემის მხრიდან რაიმეს დამალვა მომიწიოს.

კირა შეეცადა მშვიდად ეპასუხა, მაგრამ ხმა მაინც უთრთოდა და ბოლომდე ვერც უცებ მოძალებული შიშის მოთოკვა მოახერხა:

– ანდრეი, არაფერს გიპასუხებ, ოღონდ ახლა შენც მომისმინე და არც შენ მკითხო რამე. ძალიან გთხოვ. სათქმელი კი მხოლოდ ეს მაქვს – გევედრები, გესმის? გემუდარები – დაანებე მაგ საქმეს თავი! თუკი შენთვის რამეს წარმოვადგენ, ამ თხოვნაზე უარს ნუ მეტყვი!

ანდრეი თვალს არ აშორებდა; კირას მანამდე არასოდეს ენახა მსგავსი გამომეტყველება მის სახეზე. მას ახლა გპუ-ს თანამშრომელი, ამხანაგი ტაგანოვის სასტიკი სახე მოჩერებოდა, რომელიც არაერთ დახვრეტას დასწრებოდა საპატიმროს ჯურღმულებში.

– ვინ არის შენთვის ის კაცი, კირა? – იკითხა ბოლოს ჩუმად, თუმცა თითოეულ მის სიტყვას ლითონის ჟღერადობა გამორეოდა.

სწორედ იმისმა ხმამ მიახვედრა კირა, რომ ჯობდა გულწრფელი პასუხი არ გაეცა. ამიტომ, ვითომც დაუდევრად აიჩეჩა მხრები:

– არც არავინ. უბრალოდ, მეგობარია. კარგი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, ანდრეი. თან უკვე გვიანაა. სახლამდე მიმაცილებ?

ერთმანეთს კირას მშობლების სახლთან დაშორდნენ, თუმცა კირა კიდევ კარგა ხანს იცდიდა სადარბაზოში – ელოდებოდა, როდის მიწყდებოდა ანდრეის ნაბიჯების ხმა და მხოლოდ ამის შემდეგღა გაუყვა სირბილით ბნელ, უკაცრიელ ქუჩას. პირველივე თავისუფალ ტაქსში ჩახტა და მძღოლს დაუგდო:

– მარიინსკის თეატრში, სწრაფად!

უკვე თეატრის ცარიელ, ნახევრად ბინდში ჩანთქმულ ფოიეში, ჩაკეტილი კარების მიუხედავად, მაინც მოესმა ორკესტრის ხმაარეული, ლამის კაკოფონიაში გადასული გუგუნი.

– ახლა შესვლა არ შეიძლება, მოქალაქევ! – მკაცრად მიახალა კირას ბილეთების შემმოწმებელმა ქალმა.

კირამ მაშინვე ქაღალდის მოჭმუჭნული ფული ჩასჩარა მუჭში და ჩურჩულით უთხრა:

– ერთი ადამიანი მყავს მოსაძებნი, ამხანაგო... სიკვდილსიცოცხლის საქმეა... დედა ჰყავს უკანასკნელ დღეში.

– მერე ხავერდის ლურჯ ფარდებშორის უხმაუროდ გასხლტა და ნახევრად ცარიელ დარბაზში შეიძურწა. გაჩახჩახებულ სცენაზე ხასხასა წითელ, მოკლე საბალეტო კაბებში გამოწყობილი, კორდებალეტის სიფრიფანა მოცეკვავე გოგონები დაფარფატებდნენ და მალიმალ აქნევდნენ ჰაერში წვრილ, თეთრად შეფიფქულ მკლავებს, რომლებზეც თხელი მუყაოსაგან დამზადებული ყვითელი ჯაჭვები ეკიდათ. ისინი „მშრომელთა ცეკვას“ ასრულებდნენ.

ლეო და ანტონინა პავლოვნა მოხერხებულ სავარძლებში მოკალათებულიყვნენ მთლად ცარიელ რიგში. სკამებშორის მათკენ თავდაღირებული კირას დანახვაზე, ორივე დაფეთებული წამოხტა.

– დასხედით! – დაისინა უკნიდან ვიღაცამ.

– ლეო, – შორიდანვე აჩურჩულდა კირა.

– წამოდი, ახლავე! რაღაც მოხდა...

– რა იყო?

– წამოდი-მეთქი! გეტყვი ყველაფერს, ოღონდ ჯერ აქედან გავიდეთ.

ლეო უკან მიჰყვა კირას, რიგებშორის ბნელ გასასვლელში. ნიკაპგაბზეკილი ანტონინა პავლოვნაც მათ დაედევნა ცუხცუხით.

ცარიელი ფოიეს კუთხეში, კირა ისევ ჩურჩულით ალაპარაკდა: – შენს მაღაზიას გპუ უთვალთვალებს, ლეო! რაღაც იციან...

– რაო? შენ საიდან გაიგე? – ეს-ესაა ანდრეი ტაგანოვი ვნახე...

– ანდრეი ტაგანოვი ნახე? სად? აკი მშობლებთან მივდივარო...

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ქუჩაში შემხვდა.

– რომელ ქუჩაში?

– ლეო, მორჩი სისულელეებს! ვერ გაიგე რაც გითხარი?! დასაკარგი დრო არა გვაქვს!

– მაინც, რა გითხრა ასეთი?

– ბევრი არაფერი, გადაკვრით მიმახვედრა... შენზე მითხრა, მაგ კაცისგან შორს თუ არ დაიჭერ თავს, შეიძლება დიდ შარში გაეხვიო-ო. ის შენი კერძო მაღაზია და პაველ სეროვიც ახსენა. მითხრა, მალე ანგარიშს წარვუდგენ უფროსობასო. მე მგონი, ყველაფერი იცის.

– ესე იგი, ჩემგან თავის შორს დაჭერა გირჩია, არა? – ლეო! რატომ არ გინდა გაიგო...

– არ მინდა რომ ვიღაც ეჭვიანმა ბრიყვმა დამაშინოს!

– ლეო, შენ იმ კაცს საერთოდ არ იცნობ! თავის სამსახურთან დაკავშირებით, ხუმრობა არ სჩვევია... სხვათა შორის, არც შენზე არ ეჭვიანობს და ან რატომ უნდა ეჭვიანობდეს...

– გპუ-ს რომელ განყოფილებაში მუშაობს? – საიდუმლო სამსახურის განყოფილებაში.

– ესე იგი, ეკონომიკურ დანაშაულებს ეგ არ იძიებს? – არა. ამჯერად რაღაც საკუთარი ანგარიშები აქვს.

– კარგი, წავედით. მოროზოვსაც დავურეკოთ და პაველ სეროვსაც. ნახოს მაგან ის თავისი მეგობარი ეკონომიკური განყოფილებიდან და გაარკვიოს ერთი, რა უნდა მაგ ტაგანოვს. შენ ნუ დაფეთდები, საშიში არაფერია. სეროვოს მეგობარი მიხედავს მაგას. წავედით.

– ლეო! – შორიდანვე დაუძახა აქოშინებულმა ანტონინა პავლოვნამ, როცა ისინი უკვე ტაქსში სხდებოდნენ.

– მე მაგ მაღაზიასთან არაფერი მესაქმება! თუ გამოძიება დაიწყეს, იცოდე – მე არაფერ შუაში ვარ! მე მხოლოდ ფული მიმქონდა სეროვთან, იმ ფულის წარმომავლობის კი არაფერი ვიცი... დაიმახსოვრე ეგ, ლეო! – ერთი საათის შემდეგ, მარხილი უხმაუროდ მიადგა იმ მაღაზიის უკანა კარს, რომელზეც აბრა ეკიდა: „ლევ კოვალენსკი. სურსათ-სანოვაგე". იქიდან ორი კაცი გადმოვიდა და ასევე უხმაუროდ, ფრთხილად ჩაუყვა სარდაფის ბნელ, გასიპულ კიბეს. სარდაფში მათ ლეო და ნოქარი ელოდებოდნენ. ლეომ უხმოდ მიათითა ტომრებისა და ყურებისაკენ და კაცებიც მაშინვე მათ ამოზიდვასა და მარხილზე დადებას შეუდგნენ. სულ ათიოდე წუთი მოანდომეს სარდაფის დაცარიელებას. მერე მარხილს ბეწვის ვეება გადასაფარებელი გადააფარეს და იქაურობას გაეცალნენ.

– აბა? – მაშინვე მოუთმენლად იკითხა კირამ, როგორც კი ლეო შინ დაბრუნდა.

– წადი, დაიძინე! – უთხრა იმან.

– და ეცადე, გპუ-ს თანამშრომლები არ ნახო სიზმარში...

– მაინც, რა ქენით?

– მოგვარდა საქმე. თავიდან მოიშორეთ ყველაფერი. ამ წუთას საქონელი ლენინგრადიდან გააქვთ. ხვალ საღამოს სეროვისაგან ახალი პარტია კი უნდა მიგვეღო, მაგრამ გადავდეთ ეგ ამბავი. ცოტა ხანს პატიოსნად ვიმუშავებთ, მოკრძალებულად ვივაჭრებთ, სანამ სეროვი არ ჩაფარცხავს საქმეს.

– ლეო, მე...

– ახლა თავიდან არ დამიწყო კამათი! უკვე გითხარი, ქალაქიდან

წასვლას არ ვაპირებ. ეგ ყველაზე უფრო სახიფათო იქნებოდა. დიდ ეჭვებს გააჩენდა. მით უმეტეს, შესაშფოთებელიც აღარაფერია. სეროვს საკმარისად ძლიერი ზურგი აქვს გპუ-ში...

– ლეო, შენ ანდრეი ტაგანოვს არ იცნობ.

– ნამდვილად. აი შენ კიდევ, როგორც ჩანს, ძალიან კარგად გცნობია...

– იმას ვერ მოქრთამავთ.

– შეიძლება, ოღონდ ხმას კი გააკმენდინებენ როგორმე.

– შენ თუ არ გეშინია...

– რა თქმა უნდა, არ მეშინია!

თუმცა სახეზე, ჩვეულებრივთან შედარებით, კიდევ უფრო გაფითრებულიყო და პალტოზე ღილებს რომ იხსნიდა, თითებიც უთრთოდა.

– ლეო, გთხოვ! – შეევედრა კირა.

– გეხვეწები! მე...

– მოკეტე! – მიახალა ლეომ.

XII

გპუ-ს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა საკუთარ სამუშაო ოთახში დაიბარა ანდრეი ტაგანოვი.

ხსენებული განყოფილება გპუ-ს სათაო შენობის იმ ნაწილში მდებარეობდა, რომელსაც უცხო პირი სიახლოვეს ვერ გაეკარებოდა და თანამშრომელთაგანაც ძალზე ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა იქ შესვლის უფლება. ისინი კი, ვისაც ამის ნებას რთავდნენ, ერთთავად ჩუმი, მოკრძალებული ხმით საუბრობდნენ და თავსაც მუდამ დაძაბულად გრძნობდნენ ამ კედლებში.

განყოფილების უფროსი საწერ მაგიდას უჯდა. ტანზე სამხედრო ყაიდის ხალათი და გალიფე შარვალი ეცვა, თეძოზე კი იარაღი ეკიდა. მოკლედ შეკრეჭილი თმა და სუფთად გაპარსული სახე ჰქონდა

რომელზეც ასაკი არ ეტყობოდა. როცა იღიმოდა, მეჩხერი კბილები და ჩაყავისფრებული ღრძილები მოუჩანდა. მისი ღიმილი არაფერს გამოხატავდა – არც მხიარულებას და არც გულითადობას; უბრალოდ, პირის კუნთები ეჭიმებოდა და ეგ იყო.

– ამხანაგო ტაგანოვ, – მიმართა ანდრეის.

– რამდენადაც ვიცი, რაღაც იმგვარი საქმის გამოძიება წამოგიწყიათ, რაც ჩვენს განყოფილებას უფრო ესადაგება...

– დიახ, ასეა! – დაუდასტურა ანდრეიმ.

– მერედა, რა უფლებით? – ჩემი პარტბილეთის ძალით. განყოფილების გამგეს გაეღიმა, ღრძილები გამოაჩინა და იკითხა: – გამოძიების დაწყება რამ გაფიქრებინათ? – ერთმა მნიშვნელოვანმა სამხილმა.

– პარტიის რომელიმე წევრის საწინააღმდეგო სამხილია? – დიახ.

– ჩვენ რატომ არ გადმოგვეცით? – მინდოდა უფრო ხელჩასაჭიდი საბუთები მქონოდა.

– მერედა, გაქვთ? – დიახ.

– აპირებთ, ყველაფერი თქვენი განყოფილების უფროსს მოახსენოთ?

– დიახ. ანდრეის თანამოსაუბრემ ერთხელაც გაიღიმა და თქვა: – მე მგონი, აჯობებს მაგ საქმეს თავი ანებოთ.

– ეს თუ ბრძანებაა, მინდა შეგახსენოთ, რომ ჩემი უშუალო უფროსი თქვენ არა ხართ, ხოლო თუ რჩევაა, ეგ არ მჭირდება.

– მიუგო ანდრეიმ.

მაგიდასთან მჯდომი უხმოდ მიაჩერდა და ცოტა ხნის შემდეგღა გააგრძელა:

– მკაცრი დისციპლინა და ურყევი ერთგულება უთუოდ დასაფასებელი თვისებებია, ამხანაგო ტაგანოვ, მაგრამ როგორც ამხანაგმა ლენინმა თქვა, კომუნისტს სინამდვილესთვის ფეხის აწყობაც უნდა შეეძლოს... გათვლილი გაქვთ ყველა შესაძლო შედეგი, რაც თქვენი გეგმის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს?

– დიახ, მაქვს.

– რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ პარტიის წევრის გახვევა საჯარო სკანდალში, მით უმეტეს, ამჟამად შექმნილი ზოგადი ვითარების გათვალისწინებით?

– ეს პარტიის ხსენებული წევრის საფიქრალი უნდა ყოფილიყო თავიდანვე.

– ის თუ იცით, რომ... ხსენებული პიროვნება ჩემთვის არცთუ უცხო ადამიანია?

– დიახ, ვიცი.

– და ამის ცოდნა არანაირად არ ცვლის თქვენს გეგმებს? – არანაირად.

– არც იმაზე გიფიქრიათ, რომ შეიძლება მეც რამეში გამოგადგეთ? – არა, არ მიფიქრია.

– მერედა, იქნებ გეფიქრათ მაინც? – მე მგონი, არ ღირს.

– რამდენი ხანია რაც დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობთ, ამხანაგო ტაგანოვ?

– ორი წელი და სამი თვეა.

– ხელფასი არ მოუმატებიათ თქვენთვის? – არა.

– არ ფიქრობთ, რომ დაწინაურების დრო მოგივიდათ? – არა, არ ვფიქრობ.

– არც თანაპარტიელებთან თანამშრომლობისა და ურთიერთგატანის აუცილებლობის გჯერათ?

– პარტიის საქმის საწინააღმდეგოდ? არა.

– მაშ, პარტიის ერთგული ხართ? – დიახ.

– ყველგან და ყოველთვის? – რა თქმა უნდა.

– პარტიული წმენდის კომისიის წინაშე რამდენჯერ წარსდექით უკვე?

– სამჯერ.

– იცით, რომ ახალი წმენდა მზადდება? – დიახ, ვიცი.

– და აპირებთ, ამ გამოძიების ანგარიში თქვენს უშუალო უფროსს

წარუდგინოთ?

– დიახ, ვაპირებ.

– როდის? – დღეს. ოთხ საათზე.

ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა მაჯის საათზე დაიხედა.

– ძალიან კარგი. მაშ, იქამდე საათნახევარი დაგრჩენიათ.

– თავისუფალი ვარ? – თავისუფალი ხართ, ამხანაგო ტაგანოვ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ანდრეი უკვე მისმა უშუალო უფროსმა დაიბარა თავისთან. მაღალი, თხელი კაცი იყო, ქერა, მოკლედ შეკრეჭილი წვერი ჰქონდა და კეხიან, თხელ ცხვირზე ოქროსჩარჩოიანი პენსნე ეკეთა. ტანზე ძვირფასი ქსოვილის, ღია-ყავისფერი შარვალ-პიჯაკი ეცვა – სწორედ ისეთი, როგორითაც უცხოელი ტურისტები დაიარებოდნენ ხოლმე. გრძელი, ჩამოქნილი თითები კი მართლა უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორისას მიუგავდა.

– დაჯექი, – უთხრა ხელქვეითს, თვითონ კი წამოდგა და კარი მიხურა. ანდრეი დაჯდა.

– გილოცავ, ამხანაგო ტაგანოვ! – უთხრა უფროსმა. ანდრეიმ სიტყვის უთქმელად დაუკრა თავი, მადლობის ნიშნად.

– მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაგიტარებია და პარტიისთვისაც უდიდესი სამსახური გაგიწევია. თანაც, საამისოდ უკეთეს დროს ვერ შეარჩევდი – სწორედ ისეთი საქმე ჩაგვიგდე ხელში, ასე ძალიან რომ გვჭირდებოდა. ამჟამინდელი რთული ეკონომიკური ვითარებისა და საზოგადოებაში გაჩენილი სახიფათო განწყობების გათვალისწინებით, მთავრობამ უთუოდ უნდა დაანახოს მასებს, ვინაა პასუხისმგებელი მათი შეჭირვებული მდგომარეობის გამო! და თან ისე დაანახოს, რომ ეს აღარავის დაავიწყდეს. კონტრრევოლუციურად განწყობილი ქორვაჭრების მოღალატური საქმიანობა სააშკარაოზე უნდა იქნას გამოტანილი და პროლეტარული სამსჯავროს წინაშე წარსდგეს! სწორედ მათი ბრალია, რომ ჩვენი მშრომელები ისედაც ოფლით მოპოვებულ კვების რაციონს ბოლომდე ვერ იღებენ... მუშებს

უნდა შევახსენოთ, რომ მათი კლასობრივი მტერი მსოფლიოში ერთადერთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დღედაღამ შიგნიდან უთხრის ძირს! მშრომელთა მასებს უნდა განვუმარტოთ, მოთმინებით გაუძლონ დროებით გასაჭირს და სრული მხარდაჭერა გამოხატონ ხელისუფლებისადმი, რომელიც დაუღალავად იბრძვის მათი ინტერესების დასაცავად, დაუღალავად ამხელს სწორედ ისეთ შემთხვევებს, როგორიც თუნდაც აი ეს, შენს მიერ გამოძიებული საქმეა. არსებითად, სწორედ ამაზე ვესაუბრე ამ დილით „პრავდას" რედაქტორს და ვუთხარი, რა ფართო კამპანიის წამოწყებასაც ვაპირებთ ეს საქმე მართლა სამაგალითოდ უნდა ვაქციოთ და საამისოდ, თითოეული გაზეთი, ნებისმიერი ტრიბუნა უნდა გამოვიყენოთ! მოქალაქე კოვალენსკის სასამართლო პროცესის რადიორეპორტაჟი საბჭოთა კავშირის ყოველ სოფელში უნდა მოისმინოს ხალხმა.

– ვისი სასამართლო პროცესი, ამხანაგო?

– მოქალაქე კოვალენსკის-მეთქი. ისე, სხვათა შორის, შენ ანგარიშს დართული ამხანაგ სეროვის წერილი ერთადერთია თუ ასლიც არსებობს?

– ერთადერთია, ამხანაგო.

– შენს გარდა კიდევ წაიკითხა ვინმემ? – არა. არავინ. ანდრეის უფროსმა გრძელი, თხელი თითისწვერები აათამაშა.

– ამხანაგო ტაგანოვ, – დინჯად მიმართა ანდრეის.

– ეგ წერილი ვითომ საერთოდ არც წაგიკითხავს.

ანდრეი უსიტყვოდ მიაჩერდა.

– ეს იმ კომიტეტის განკარგულებაა, რომელიც შენს ანგარიშს სწავლობს. ჩემის მხრივ, აუცილებლად გამოვნახავ დროს ყველაფრის გასარკვევად, რამდენადაც შენს თავგამოდებას მართლა ძალიან ვაფასებ... დღევანდელი გაზეთები თუ წაიკითხე, ამხანაგო ტაგანოვ?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– იცი, რა ხდება დღესდღეობით სოფლად? – დიახ, ამხანაგო.

– ფაბრიკა-ქარხნების მუშების განწყობასაც ხვდები? – დიახ...

– იცი, ნელ-ნელა საით იხრება საზოგადოებრივი აზრი? – დიახ.

– ასეთ შემთხვევაში, ზედმეტია შენთვის იმის ახსნა, რატომ არ უნდა ამოტივტივდეს კონტრრევოლუციონერი ქორვაჭრების ამ საქმეში პარტიის წევრის გვარ-სახელი. იმედია გესმის, ხომ?

– სავსებით, ამხანაგო.

– მოკლედ, კარგად გახსოვდეს, პაველ სეროვის შესახებ შენ არაფერი გაგიგია, შევთანხმდით?

– დიახ, ამხანაგო.

– რაც შეეხება მოქალაქე მოროზოვს, ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით დატოვებს კვების მრეწველობის ტრესტში დაკავებულ თანამდებობას. საქმეში არც ის გამოჩნდება, რადგან ასეთ შემთხვევაში, ტრესტი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ბევრი არასასურველი მითქმა-მოთქმის საბაბიც გაჩნდებოდა... აი, ამ შემთქმულების ნამდვილი სულისჩამდგმელი და მოთავე, მოქალაქე კოვალენსკი კი დღეს საღამოსვე უნდა დავაპატიმროთ. რამე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო, ამხანაგო ტაგანოვ?

– ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, მე მხოლოდ ბრძანებების უპირობოდ შესრულება მევალება, ამხანაგო.

– სწორად მსჯელობ, ამხანაგო ტაგანოვ. როგორც გავარკვიეთ, სურსათის იმ მაღაზიის ერთადერთი კანონიერი მეპატრონე მხოლოდ მოქალაქე კოვალენსკია. წარმოშობით თავადაზნაურთა წრიდანაა, მამამისი კი კონტრრევოლუციონერობის გამო დასაჯეს სიკვდილით. სხვათა შორის, ერთხელ შვილიც დააპატიმრეს, ქვეყნიდან უკანონოდ გაღწევის მცდელობისთვის. მოკლედ, სწორედ იმ კლასის ცოცხალი სიმბოლოა, რომელიც მშრომელთა მასების თვალში, საბჭოეთის უსასტიკეს მტრად უნდა აღიქმებოდეს. ჩვენი მშრომელი მასებიც სრულიად სამართლიანად არიან აღშფოთებულნი ამ გაუთავებელი პრივატიზაციით, კოოპერატივებთან რიგში საათობით დგო-

მით, თვით ყველაზე აუცილებელი საქონლის სიმწირით და ამ ყველაფერში დამნაშავეს ძალიან მალე გამოვააშკარავებთ. ჩვენი ხალხი მალე გაიგებს, ვინ აყენებს სასიკვდილო დარტყმას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას! გაუმაძღარი, მტარვალი არისტოკრატიის ეს უკანასკნელი შთამომავალი სწორედ ისეთ სასჯელს მიიღებს, რასაც მისი კლასის თითოეული წარმომადგენელი იმსახურებს!

– დიახ, ამხანაგო. ესე იგი, ღია სასამართლო გაიმართება და მისი მსვლელობა პრესაშიც გაშუქდება და რადიოთიც გადაიცემა?

– სწორედ ასე იქნება, ამხანაგო ტაგანოვ.

– კი მაგრამ, თუკი კოვალენსკი ამ ტრიბუნასა და მიკროფონს მეტისმეტად ბევრის სალაპარაკოდ გამოიყენებს? სახელებისა და გვარების ჩამოთვლას თუ დაიწყებს?

– მაგის შიში ნუ გაქვს, ამხანაგო ტაგანოვ. ეგეთი ვაჟბატონები იოლი სამართავნი არიან. სიცოცხლის შენარჩუნებას დაპირდებიან და ისიც მხოლოდ იმას იტყვის, რასაც დაავალებენ. მაშინაც კი ექნება შეწყალების იმედი, როცა საკუთარი ყურით მოისმენს სასიკვდილო განაჩენს... დაპირებას აბა, რა ბევრი სჭირდება. ოღონდ დაპირებაც, ხომ იცი, ყოველთვის არ სრულდება ხოლმე...

– და როცა კედელთან მიყენებულს, შაშხანებს მიუშვერენ, იქ სადმე შორიახლოს, მიკროფონი უკვე აღარ იქნება, არა?

– რა თქმა უნდა.

– და არც იმის თქმა გახდება აუცილებელი, რომ ამ კაცს არც სამსახური ჰქონდა, არც მომავლის იმედი და შიმშილით სძვრებოდა სული, როცა იმ უჩინარმა პიროვნებებმა საქმე შესთავაზეს? ასეა, არა?

– რაო რა მინდაო, ამხანაგო ტაგანოვ?!

– ვფიქრობ, ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა, ამხანაგო. არც იმის გარკვევა უნდა იყოს აზრს მოკლებული, როგორ მოახერხა ჯიბეგაფხეკილმა არისტოკრატმა ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მთლად გულისგულში ეფათურა ხელი?

– ამხანაგო ტაგანოვ, ნამდვილად გაქვს საჯარო გამოსვლის ნიჭი

და ერთობ შესაშურიც... ოღონდ გპუ-ს თანამშრომელს ეგ ყოველთვის როდი შეიძლება ღირსებად ჩაეთვალოს. ცოტა უფრო ფრთხილად უნდა იყო, თორემ ეგ ნიჭი თუ დაგიფასეს, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიც შეიცვალო – მაგალითად, თურქესტანში ამოყო თავი, სადაც საკუთარი მჭევრმეტყველების გამოსავლენად. ფართო ასპარეზი მოგეცემა... ისევე როგორც, ვთქვათ, ამხანაგ ტროცკის.

– სამოქალაქო ომის დროს, წითელ არმიაში, ამხანაგ ტროცკის ხელქვეით ვიბრძოდი.

– შენს ადგილას, არც მაგ ამბავს გავიხსენებდი ხშირად, ამხანაგო ტაგანოვ.

– მაგ რჩევასაც გავითვალისწინებ.

– მოკლედ, ამ საღამოს, ექვსზე, ჩხრეკის ორდერით მიადგები შინ მოქალაქე კოვალენსკის, რადგან შეიძლება იქ საქმესთან დაკავშირებული სხვა საბუთები თუ მტკიცებულებები კიდევ აღმოჩნდეს. მერე მოქალაქე კოვალენსკის დააპატიმრებ.

– გასაგებია, ამხანაგო.

– სულ ესაა, ამხანაგო ტაგანოვ.

* * *

გპუ-ს ეკონომიკურ დანაშაულებასთან მებრძოლი განყოფილების უფროსმა თავისებურად გაუღიმა ამხანაგ პაველ სეროვს, ღრძილები გამოაჩინა, თუმცა მაინც მკაცრი ხმით მიმართა:

– დღეის ამას იქით, ამხანაგო სეროვ, კაზმულსიტყვაობა შენი უშუალო საქმიანობისთვის გადაინახე, სარკინიგზო სფეროსთან დაკავშირებულ მოხსენებებში...

– აბა რა, ძმაო! – საჩქაროდ დაეთანხმა პაველ სეროვი, – შენ მაგაზე არ იღელვო.

– მაინც შეგახსენებ, რომ ასაღელვებლად მე არ მქონია საქმე ამ ბოლო დღეებში.

– კარგი რა! ჩემი არ მეყოფა, შიშისაგან კინაღამ მართლა გამ-ძვრა სული! რაც თმა მქონდა თავზე, ლამის ერთიანად გამიჭაღა-რავდა...

– ჭაღარას ჩივი? მთავარია, ეგ ჭაღარა თავი შეგრჩეს მხრებზე.

– რას... რას გულისხმობ? ის წერილი შენ არა გაქვს? – უკვე აღარ.

– აბა, სადაა? – ღუმელში.

– დიდი მადლობა, ძმაო.

– მართლა კი გაქვს სამადლობლოდ საქმე.

– ვიცი, ჩემთან არ დაგეკარგება. როგორ ამბობენ? ხელი ხელს ბანსო... თუ რაღაც ამდაგვარი. მე რაღაც-რაღაცეებზე არ დავძრავ კრინტს, შენც ჩემი პატარ-პატარა ცოდვები არ გაახმაურო და ვიქნე-ბით ასე... ტყუილად ვართ ძმაკაცები?

– არც მთლად ეგრე იოლადაა საქმე, სეროვ. ასე მაგალითად, შენი ცისფერსისხლიანი დოსტი, მოქალაქე კოვალენსკი მალე სასამარ-თლოს წინაშე წარსდგება და არ ვიცი...

– ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი! შენ რა გგონია, ძალიან ვიდარ-დებ? აქეთ გამიხარდება კიდეც, კისერს თუ მოუგრეხენ იმ გაყოყო-ჩებულს!

* * *

– ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამხანაგო მოროზოვ, თქვენთვის ხანგრძლივი დასვენება და უფრო თბილი ჰავაა აუცილე-ბელი, – უთხრა მავანმა ჩინოსანმა.

– ამიტომაც გაგზავნით სანატორიუმში, გასაგებია?

– დიახ, – შუბლიდან ოფლი მოიწმინდა მოროზოვმა.

– სავსებით.

– მშვენიერი დასასვენებელი სახლია, ყირიმში. წყნარი, მშვიდი. ქალაქურ ხმაურს მოშორებული... დარწმუნებული ვარ, იქ სწრაფად

მომჯობინდებით. ვფიქრობ, ექვსთვიანი მკურნალობა მისწრება იქნება თქვენთვის და თქვენს ადგილას, უკან დაბრუნებას არც ვიჩქარებდი.

– დიახ, არც მე ვიჩქარებ...

– მიუგო მოროზოვმა.

– და კიდევ, ეს ერთი რჩევაც მინდა მოგცეთ: გაზეთებიდან ალბათ ბევრს შეიტყობთ ვინმე მოქალაქე კოვალენსკის სასამართლო პროცესის თაობაზე, რომელსაც კონტრრევოლუციურ საქმიანობასა და სპეკულაციებში ედება ბრალი. კარგი იქნება, თუკი ამ საქმესთან თქვენი კავშირის შესახებ სანატორიუმის სხვა დამსვენებლები ვერაფერს იეჭვებენ.

– რა თქმა უნდა, ამხანაგო. მე მართლა არ ვიცი არაფერი. სულ არაფერი.

ჩინოსანი მოროზოვისკენ გადმოიხარა და კეთილისმსურველივით უჩურჩულა:

– თქვენს ადგილას რომ ვიყო, თითს თითზე არ დავაკარებდი კოვალენსკის საშველად, გინდაც სასჯელის უმაღლესი ზომა ემუქრებოდეს. მოროზოვმა თვალი თვალში გაუყარა.

– მეე?! დავეხმარო? – ჩაიფხუკუნა კიდეც და შვეულად გაჭრილი, განიერი ნესტოები შეუთრთოლდა.

– ხელი გამოვიღო იმის გადასარჩენად? კი მაგრამ, რისთვის? რა მაქვს იმასთან საერთო? არც კი ვიცნობ... მაღაზიის პატრონი ეგ იყო, ერთპიროვნულად. თავა-დაც შეგიძლიათ საბუთები ნახოთ. იქ მარტო იმისი გვარ-სახელია ყველგან. იმის მტკიცებასაც კი ვერ მოჰყვება, რომ მე რამე ვიცოდი... პატრონიც ეგ იყო და პასუხისმგებელიც მხოლოდ თვითონაა. ლევ კოვალენსკი. მაგის გადამოწმებას რა უნდა.

* * *

კარი ლავროვის ცოლმა გააღო.

ტყავისქურთუკიანი, თეძოზე იარაღჩამოკიდებული ანდრეი ტაგანოვისა და მისი თანმხლები ოთხი თოფიანი ჯარისკაცის დანახვაზე, ისეთი ხმა ამოუშვა, თითქოს წამოასლოკინა და ყელში რაღაც გაეჩხირაო. მაშინვე პირზე აიფარა ხელი.

ანდრეი წინკარში შემოვიდა, ხიშტიანი თოფებით შეიარაღებული ჯარისკაცებიც ფეხდაფეხ შემოჰყვნენ და სულ ბოლოს მომავალმა, კარი ხმაურით შემოიკეტა.

– ღმერთო მოწყალეო, ღმერთო დიდებულო! – ვიშვიშებდა ქალი და ორივე ხელით ებღაუჭებოდა გამოხუნებულ წინსაფარს.

– ჩუმად! – უბრძანა ანდრეიმ.

– მოქალაქე კოვალენსკის ოთახი საითაა?

ქალმა ლეოს ბინისკენ გაიშვირა აცახცახებული ხელი. ჯარისკაცები ანდრეის მიჰყვნენ კვალში. ჰაერში ხელგაშეშებული ქალი უაზრო სახით მიჩერებოდა წინკარში, საკიდზე ჩამოკიდულ ძველ პალტოებს, რომელთაც თითქოს ჯერაც შერჩენოდათ ადამიანის სხეულთა მოხაზულობაცა და სითბოც. სამმა ხიშტიანმა თოფმა ზედ ცხვირწინ ჩაუარა, სამი წყვილი ჩექმაც მძიმედ აბრაგუნდა იატაკზე, მეოთხე ჯარისკაცი კი იქვე, შემოსასვლელ კართან დარჩა დარაჯად.

მოსულების დანახვაზე, ლავროვიც დაფეთებული წამოხტა, ანდრეის კი ზედაც არ შეუხედავს მისთვის, სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ოთახი. მერე ხელის ერთი მკვეთრი, მბრძანებლური მოძრაობით კარი შეაღო და ლეოს ოთახში შეაბიჯა.

ლეო იქ მარტო დაუხვდა. საშინაოდ ჩაცმული, ღრმა სავარძელში მოკალათებულიყო ბუხართან და წიგნს კითხულობდა. კარის გაღებისთანავე, ჯერ სწორედ წიგნი დაუშვა სავარძლის სახელურზე, მძიმე-მძიმედ და მშვიდად დახურა კიდეც. მერე ასევე აუღელვებლად წამოიმართა. ცეცხლის გამონაშუქი მის თეთრ პერანგსა და განიერ მხრებს დასთამაშებდა.

– აბა, ამხანაგო ტაგანოვ! პირდაპირ მითხარით, ხომ იცოდით რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ასე შევხვდებოდით ერთმანეთს?

– ამას რომ ამბობდა, ტუჩებზე ამრეზილმა ღიმილმა გადაურბინა.

ანდრეის სახე კი სრულიად უტყვი გახლდათ, გაქვავებული, პასპორტის ფოტოსურათივით. გეგონებოდათ, არცერთ ნაკვთსა და კუნთს ადამიანური გრძნობის კვალი აღარ ამჩნევია და მხოლოდ უწინდელი ყალიბის ფორმასღა ინარჩუნებსო. ჯერ უსიტყვოდ გაუწოდა ლეოს ბეჭდიანი ქაღალდი და მერეღა მიმართა იმგვარი ხმით, რასაც მარტო იმიტომ თუ ეთქმოდა ადამიანური, ადამიანთათვის მოგონილი ანბანის ბგერებს რომ გამოსცემდა:

– ეს ჩხრეკის ორდერია, მოქალაქე კოვალენსკი.

– კი ბატონო, ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში! – საზეიმო წვეულების მასპინძელივით დაუკრა თავი ლეომ.

ხელის სწრაფი მოძრაობით, ანდრეიმ ერთ ჯარისკაცს უჯრებიანი კარადის, მეორეს კი საწოლის გაჩხრეკა უბრძანა. პირველი ხმაურით შეუდგა უჯრების გამოწევას; ჩქარ-ჩქარა ყრიდა იატაკზე საცვლებს, მოუხეშავად აფათურებდა შიგ ვეება, გარუჯულ ტორებს და მერე, საქმის ცოდნით, ისევ ზედიზედ აბრუნებდა უწინდელ ადგილზე თითოეულ უჯრას. შავი, ტალახიანი თოვლით დათხვრილი ჩექმების ირგვლივ, იატაკზე სწრაფად იზრდებოდა თეთრეულის გროვა. მეორე ჯარისკაცმა სწრაფად გადააძრო საწოლს ჯერ ატლასის გადასაფარებელი, შემდეგ საბანი და ბოლოს, ზეწრებიც. ამას რომ მორჩა, ლეიბი ხიშტით გაფატრა და ორივე ხელი ლამის იდაყვებამდე ჩაყო შიგ.

თვითონ ანდრეი საწერი მაგიდის უჯრებს მიადგა; გამოცდილი კაცის სწრაფი, მექანიკური მოძრაობებით ირჯებოდა. ყოველი წიგნი სათითაოდ გადაფურცლა ცერა თითით, ტკაცატკუცით, თითქოს ბანქოს დასტას არიგებსო და ამას რომ მორჩა, ახლა წერილები გადაარჩია და მეტი წილი თავის პორტფელში გადაიტანა.

ლეო ეულად იდგა შუა ოთახში. მოსულები მას ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს მათი საქმიანობა არანაირად არ უკავშირდებო-

და ამ ადამიანს; თითქოს ადამიანი კი არა, ისიც ავეჯის ნაწილი ყოფილიყო, ჩხრეკისთვის ბოლო ლუკმად მოტოვებული. მერე ლეომ მაგიდასთან ჩაიმუხლა, მსუბუქად მიეყრდნო ზურგით. ხელები უღონოდ ჩამოკიდებოდა, მხრებში მობუზულიყო და ოდნავ ირწეოდა აქეთ-იქით. სიჩუმეში, ბუხრიდან შეშის ტკაცუნი მოისმოდა. იატაკზე ზედიზედ ცვიოდა სხვადასხვა საგანი, ანდრეი კი თითებით ქაღალდებს აშრიალებდა.

– ძალიან ვწუხვარ, ვერაფრით თუ ვერ გეხმარები, – თქვა ლეომ.

– ვერც კრემლის აფეთქების საიდუმლო გეგმას წარგიდგენ და ვერც საბჭოების დამხობისას, ამხანაგო ტაგანოვ.

– მოქალაქე კოვალენსკი, – ისეთი ხმით მიმართა ანდრეიმ, თითქოს ადრე არც შეხვედროდნენ ერთმანეთს.

– თქვენ ახლა გპუ-ს წარმომადგენელს ელაპარაკებით...

– მოიცა, გგონია ეგ დამავიწყდა? – გაიკვირვასავით ლეომ.

ჯარისკაცმა ხიშტი ახლა ბალიშს ატაკა და ბუმბულიც იქიდან თოვლის თეთრი ფიფქებივით ამოიფრქვა.

ანდრეიმ ჭურჭლის კარადის კარი გამოაღო ისე ღონივრად, შიგ თეფშები და ჭიქები აწკრიალდა, ანდრეი კი ფრთხილად, თუმცა სწრაფად შეუდგა ხალიჩაზე ჭურჭლის გადმოლაგებას.

ლეომ ოქროს პორტსიგარს თავი ახადა და ანდრეის გაუწოდა.

– არა, მადლობელი ვარ, – იუარა ანდრეიმ.

ლეომ სიგარეტს მოუკიდა. წამით ასანთის ღერი თითებში შეუთრთოლდა, თუმცა მალევე მოერია თავს. ახლა უკვე მაგიდის კიდეზე იჯდა, ცალ ფეხს ჰაერში იქნევდა და ნელ-ნელა უშვებდა პირიდან ბოლის თხელ, მოცისფრო ჭავლს.

– ამბობენ, ისინი გადარჩებიან, ვისაც შეგუების უკეთესი უნარი აქვსო, – წამოიწყო ლეომ.

– თუმცა არც ფილოსოფოსებს დაეჯერება ყველაფერი. სულ მინდოდა მათთვის ერთი შეკითხვა დამესვა: მაინც, რასთან შეგუების უნარის მქონენი-მეთქი? წესით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შენც

უნდა შეგეძლოს, ამხანაგო ტაგან. როგორია შენი ფილოსოფიური მრწამსი? ჯერ-ჯერობით, ამაზე საუბრის საშუალება არ მოგვცემია და იქნებ, სწორედ ახლა იყოს საამისო დრო?

– გირჩევდით, ზედმეტი არაფერი გელაპარაკათ, – მიუგო ანდრეიმ.

– გპუ-ს თანამშრომლის რჩევას ბრძანების ძალა აქვს, ასე არაა?

– თქვა ლეომ.

– ჩემი აზრით, კაცმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა სცეს პატივი ხელისუფლების სიდიადეს, გინდაც ეს თავად ხელისუფლების კეთილგონიერების მკაცრი გამოცდაც აღმოჩნდეს.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა თავი ასწია და ნაბიჯიც გადადგა ლეოსკენ, მაგრამ ანდრეის მზერამ ადგილზევე შეაჩერა. მაშინ ჯარისკაცმა ტანსაცმლის კარადის კარი გამოაღო, სათითაოდ გამოალაგა იქიდან ლეოს პიჯაკები და გულდაგულ დაუწყო ჯიბეებისა და სარჩულის ჩხრეკა.

ანდრეიმ სხვა კარადა გააღო.

იქიდან საუკეთესო ფრანგული სუნამოს სურნელება დაიფრქვა. კარადაში ერთ რიგად ეკიდა ქალის კაბები.

– რა ხდება, ამხანაგო ტაგანოვ? – იკითხა ლეომ. ანდრეი კარადასთან იდგა და ხელში წითელი კაბა ეჭირა.

სადა, წითელი ფერის კაბას ხელოვნური ტყავის ქამარი, ოთხი ღილი და მრგვალი, დიდბაფთიანი საყელო ამშვენებდა.

ანდრეიმ კაბა ორივე ხელით წინ გაიწვდინა და დაჟინებით დააცქერდა. თხელი წითელი ქსოვილი თითებშორის უსხლტებოდა.

– მერე მზერა კვლავაც კარადაში ჩარიგებული სამოსისკენ გადაიტანა აუჩქარებლად. მაშინვე იცნო შავი ხავერდის კიდევ ერთი კაბა, ბეწვისსაყელოიანი პალტო და მოკლე, თეთრი მოსაცმელი.

– ეს ვისია? – ჰკითხა ლეოს.

– ჩემი შეყვარებულის, – უპასუხა იმანაც და ჯიქურ მიაჩერდა ანდრეის სახეში. თან ეს სიტყვაც ისე დამცინავად წარმოთქვა, თითქოს

შეგნებულად უნდოდა, უხამსი ელფერი მიეცა მისთვის.

ანდრეის სახეზე კი არაფერი ეტყობოდა. არანაირი ადამიანური გრძნობა არ იკითხებოდა ზედ. ისევ იმ წითელ კაბას მიაჩერდა და ჩაცვენილი ლოყების ფონზე, წამწამები ორ ჩაშავებულ ნახევარ-მთვარედ დააჩნდა. ნელ-ნელა და ფრთხილად, ცოტა გაუბედავადაც კი, თითქოს ხელში მყიფე შუშა უჭირავსო, კაბა ისევ კარადაში ჩა-მოკიდა უწინდელ ადგილას.

თვალებმოწკურულ, ტუჩებმობრეცილ ლეოს ჩაეცინა.

– იმედი ხომ არ გაგიცრუვდათ, ამხანაგო ტაგანოვ?

ანდრეის პასუხი არ გაუცია. კარადაში დაკიდული თითოეული ნივთი რიგ-რიგობით, მათი ფრანგული სუნამოთი გაჯერებული ყო-ველი ნაკეციც კი აუჩქარებლად მოჩხრიკა.

– გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი, მოქალაქე! – კარსიქით დარა-ჯად დაყენებული ჯარისკაცის ღრიალი მოისმა.

– ახლა იქ ვერ შეხვალ! – მეზობელი ოთახიდან გაწევ-გამოწევის ხმაურიც მოისმა, თითქოს ვიღაც ძალით მიაგდეს გევრდზეო. ვიღა-ცამ შეჰკივლა, თუმცა ეს ქალის კივილი არ ყოფილა – მდედრი ვერ გამოსცემდა ამგვარ ხმას, ეს უფრო სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის სისხლისგამყინავ ხავილს ჰგავდა:

– გამატარე! გამატარე-მეთქი! ანდრეიმ კარს გახედა, მერე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და ბოლომდე გამოაღო.

ანდრეი ტაგანოვი და კირა არგუნოვა პირისპირ შეეჩეხნენ ერ-თმანეთს.

– თქვენ აქ ცხოვრობთ, მოქალაქე არგუნოვა? – ნელა, დამარ-ცვლით იკითხა ანდრეიმ, თითქოს ხმოვნები წყლის წვეთებივით გა-მოზომილად ცვივიანო.

– დიახ, – თავაწეულმა მიახალა კირამ და თვალი თვალში გაუყა-რა.

შემდეგ ოთახშიც შეაბიჯა. ჯარისკაცმა მის ზურგსუკან მიხურა კარი.

– ანდრეი ტაგანოვი მძიმედ შემობრუნდა. მარჯვენა მხარი ოდნავ ჩამოვარდნოდა, თითოეული მყესი უკიდურესად დაჭიმვოდა და ისე ფრთხილად მოძრაობდა, თითქოს ბეჭებშორის დანა ჰქონდა გაყრილი. ხელიც არაბუნებრივად მოეხარა იდაყვში, თითებით კი თითქოს მთელი ძალით ჩაჭიდებოდა წყლით გაპიპინებულ, უჩინარ ჭიქას.

– სერვანტისა და იმ ყუთების გაჩხრეკაც არ დაგავიწყდეთ! – დაუგდო ჯარისკაცებს, თვითონ კი ტანსაცმლის გამოღებულ კარადასთან დაბრუნდა. სრულ სიჩუმეში, მხოლოდ ბუხარში ცეცხლის ტკაცუნი და მისი მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმოდა.

ორივე ხელით ქუდჩაბღუჯული კირა ზურგით კედელს მიყრდნობოდა. უცებ, ქუდი თითებიდან გაუსხლტა და იატაკზე დაეცა, თუმცა კირას ეს არც შეუმჩნევია.

– ძალიან ვწუხვარ, საყვარელო...

– უთხრა ლეომ.

– იმედი მქონდა, შენს დაბრუნებამდე მოთავდებოდა ეს ყველაფერი.

ოღონდ კირას მისკენ არც გამოუხედავს: ის ტყავისქურთუკიან თეძოზე იარაღჩამოკიდებულ, მაღალ კაცს არ აშორებდა თვალს.

ანდრეი ახლა მის ტრილიაჟს მიადგა. სათითაოდ გამოაღო უჯრები, ხელის გაწაფული მოძრაობით მოჩხრიკა ქალის საცვლები, ბატისტის ღამის პერანგები თუ მაქმანიანი ცხვირსახოცები.

– ტახტის ბალიშებიც შეამოწმეთ, – უბრძანა ჯარისკაცებს. –

და ეს ნოხიც აკეცეთ.

მუხლებაკანკალებული კირა მთელი ძალით ებჯინებოდა კედელს და მხოლოდ ასე ინარჩუნებდა წონასწორობას.

– მგონი მოვრჩით, – თქვა ანდრეიმ და ჩუმად, სრულიად უხმაუროდ შესწია სულ ბოლო უჯრაც.

მერე მაგიდაზე დადებულ თავის პორტფელს დასწვდა და ლეოს მიუბრუნდა:

– მოქალაქე კოვალენსკი, თქვენ დაპატიმრებული ხართ! – ამის

წარმოთქმისას, თითქოს საერთოდ არ ამოძრავებდა ტუჩებს.

ლეომ მხრები აიჩეჩა და უსიტყვოდ დასწვდა თავის პალტოს. მართალია, სახეზე დამცინავი, ამრეზილი ღიმილის ნიღაბი მოერგო, მაგრამ ანდრეიმ მაინც შეამჩნია, როგორ უცახცახებდა თითები. ლეომ ამაყად ასწია თავი და ანდრეის მიმართა:

– დარწმუნებული ვარ, ასეთი სიამოვნებით ჯერ არცერთი დავალება არ შეგისრულებია, ამხანაგო ტაგანოვ!

ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს და იატაკზე მიმობნეული ნივთები ფეხით მიყარ-მოყარეს აქეთ-იქით.

ლეო სარკესთან მივიდა. ყელსახვევი მოირგო, პალტოს საყელოც გაისწორა და თმაზეც გადაისვა ხელი. ისე ირჯებოდა, თითქოს მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიეშურებაო. ახლა უკვე აღარც თითები აღარ უთრთოდა. ცხვირსახოცი კოხტად გაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო.

ანდრეი უსიტყვოდ ელოდებოდა. სანამ ოთახიდან გავიდოდა, ლეო კირას წინ შეჩერდა: – არ დამემშვიდობები, კირა? – ჰკითხა.

მერე მის ხელს დასწვდა, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. დიდხანს არ მოუშორებია ტუჩები. ანდრეი იდგა და ელოდებოდა.

– ეს უკანასკნელი თხოვნაც შემისრულე, კირა...

– ჩურჩულით უთხრა ლეომ.

– დამივიწყე... სამუდამოდ.

კირას პასუხი არ გაუცია.

ჯარისკაცმა კარი გააღო. პირველი ანდრეი გავიდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა ლეო. ჯარისკაცმა კარი გაიხურა.

XIII

ლეო გპუ-ს სატუსაღოს საკანში მოათავსეს, ანდრეი კი შინისაკენ გამოემართა. სასახლის ბაღის ჭიშკართან მისულს, ერთი პარტიული ამხანაგი გადეყარა, რომელიც რაიკომის სხდომაზე მიიჩქაროდა.

– მგონი, ამ საღამოს თქვენ კითხულობთ მოხსენებას სოფლად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, არა, ამხანაგო ტაგანოვ? – ჰკითხა ანდრეის.

– დიახ, – მიუგო იმანაც.

– თუ არ ვცდები, ცხრა საათზე, არა? ყველანი მოუთმენლად ველოდებით. აბა, საღამოს გნახავთ.

– დროებით, – დაემშვიდობა ანდრეი. აუჩქარებლად გადაიარა დათოვლილი ბაღი, გრძელ კიბეს აუყვა და თავის ბნელ ოთახში შეაბიჯა.

სასახლის მთავარ ნაწილში პარტიის რაიონული კომიტეტის ოთახის ფანჯარა ყვითლად ანათებდა და ეს გამონაშუქი ოთხკუთხედად ეფინა აქ, იატაკზე. ანდრეიმ ქუდი მოიხადა, ტყავის ქურთუკიც გაიძრო და იარაღის ბუდეც შეიხსნა ქამრიდან. ახლა ბუხართან იდგა და ფეხის წვერით მოასწორა ნაცარი. მერე ბუხარში შეშის მოზრდილი ნაჭერი შეაგდო და ასანთსაც გაჰკრა.

ცეცხლის წინ, ყუთზე ჩამომჯდარს, ხელები უღონოდ ჩამოვარდნოდა მუხლებშორის, ხელის მტევნებიცა და შუბლიც ვარდისფრად მოუჩანდა ჯერაც ისევ ბნელ ოთახში.

კიბის ბაქნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. მერე კარზეც დააკაკუნა ვიღაცამ, დაჟინებით. კარისკენ არც გაუხედავს, ისე გასძახა:

– შემოდით!

ოთახში კირა შემოვიდა. ხმაურით მიიკეტა ზურგსუკან კარი და იქვე შედგა. ანდრეი სიბნელეში მის თვალებს ვერ ხედავდა. კირას თვალებსაც და შუბლსაც შავი, მუქი ჩრდილები უფარავდა, თუმცა ტუჩებზე წითლად გადაუარა ბუხრის ცეცხლის გამონაშუქმა და წამით გაკრთა, როგორ ფართოდ, ავად, საბედისწეროდ გაპობოდა ბაგე.

ანდრეი წამოდგა და მოულოდნელ სტუმარს მიჩერებული, უხმოდ გაირინდა.

– აბა, ახლა რას აპირებ? – მიახალა გაცოფებულმა კირამ.

– შენს ადგილას, აქ არ გავჩერდებოდი, – დინჯად მიუგო ანდრეიმ. კირა მხრით კარის ჩარჩოს მიეყრდნო და ჰკითხა: – და თუ ასე არ მოვიქცევი?

– წადი, თვალით არ დამენახო!

კირამ ქუდი მოიძრო, გვერდზე მოისროლა. მერე პალტოც გაიძრო და იქვე დააგდო, იატაკზე.

– მომწყდი თავიდან, შე...

– ...შე ბოზოო, გინდოდა გეთქვა? მართალია, სწორედ ამის გაგონებას ველოდი შენგან.

– და ჩემგან რა გინდა?

– უნდა დაგელაპარაკო. შენც იძულებული იქნები, მომისმინო. გამომიჭირე არა, ამხანაგო ტაგანოვ? და ახლა შურისძიებას აპირებ? შეიარაღებული მობრძანდი, ჯარისკაცების თანხლებით, გპუ-ს თანამშრომელო ამხანაგო ტაგანოვ და ციხეში უკარი თავი, არა? ახლა კი აპირებ მთელი შენი გავლენა, შენი პარტიული ნაცნობობა გამოიყენო და კედელთანაც მიაყენო – ასეა? იქნებ ისიც კი ითხოვე, პატივი დაგდონ და სწორედ შენ მოგანდონ დახვრეტის ბრძანების გაცემა! მიდი, იძიე შური! მე კი ჩემებურად ვიძიებ. მის გამო არაფერს არ გთხოვ, უკვე არც არაფრის მეშინია, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ლაპარაკი მაინც შემიძლია და ვილაპარაკებ კიდეც! ძალიან ბევრი მაქვს შენთვის სათქმელი – თქვენთვის, ყველასათვის! იმდენ ხანს ვიყავი დადუმებული, სათქმელმა კინაღამ დამახრჩო, ახლა კი, შენგან განსხვავებით, მე დასაკარგი არაფერი მაქვს...

– ვერ ხვდები, რომ წყალს ნაყავ? – თქვა ანდრეიმ.

– რა საჭიროა რამის თქმა, თუკი საერთოდ შეგიძლია რამით თავი იმართლო...

კირამ გადაიხარხარა. ამ სიცილს არაფერი აჩნდა ადამიანური თვით ხმაც კი არაადამიანური ჰქონდა.

– შე ბრიყვო! მე ვამაყობ იმით, რაც გავაკეთე! გესმის? კი არ

ვნანობ, ვამაყობ-მეთქი! შენ გგონია, მიყვარდი? კი მიყვარდი, ოღონდ თან გღალატობდი კიდეც სხვასთან, როგორც საერთოდ იქცევა ქალების უმეტესობა... მოკლედ, კარგად დამიგდე ახლა ყური: მთელი ჩვენი ურთიერთობა, შენცა და ეგ შენი დიდი სიყვარულიც, შენი ალერსი, შენი სხეული, მხოლოდ ერთადერთ რამეს ნიშნავდა ჩემთვის – თეთრი, ოთხკუთხა, ტკიცინა ათმანეთიანების შარიშურს, რომლებსაც ყირიმის ერთ სანატორიუმში ვაგზავნიდი, ტუბერკულიოზით დაავადებულთა სანატორიუმში... ასეა! შენი ფული იმ კაცის სიცოცხლის გადარჩენას მოხმარდა, ვინც ბევრად იმაზე ადრე შემიყვარდა, ვიდრე შენ გაგიცნობდი, ვის განუყოფელ ნაწილადაც მანამდე ვიქეცი, სანამ შენ თუნდაც თითს დამაკარებდი... ახლა კი ის კაცი საკანში გყავს გამომწყვდეული და დახვრეტას უპირებ! აბა რა, ეგაა შენებური სამართალი. დახვრიტე, მოკალი, წაართვი შენივე ფულით გადარჩენილი სიცოცხლე...

– თვალებში ჩახედა ანდრეის, ოღონდ იქ ვერც წყენა დაინახა, ვერც სიბრაზე. მხოლოდ შიში.

– კირა...

– ძლივს ამოილუღლუღა ანდრეიმ.

– მე... მე არაფერი ვიცოდი...

კირა უკან გადაიხარა, გულხელი დაიკრიფა, ისევ გაიცინა და ოდნავ შეტორტმანდა ადგილზე:

– მაშ, გიყვარდი, არა? მე ვიყავი შენი საოცნებო ქალი, სრულყოფილების განსახიერება, სალოცავი ტაძარი, შენი სამხედრო მარშიცა და ქალღმერთის ქანდაკებაც... ასე არ მეუბნებოდი? აბა ახლა შემომხედე კარგად! მე ერთი ჩვეულებრივი მეძავი ვარ, შენ კი ის კაცი, ვინც პირველმა გადამიხადე ფული! მე გავიყიდე, ფულზე გავიყიდე, ფული კი შენ მომეცი... ჩემი ადგილი გზისპირა თხრილშია და იქ სწორედ შენმა დიდმა სიყვარულმა ჩამაგდო! ვიფიქრე, გესიამოვნებოდა ამის გაგება, განა არა? ვცდები? ესე იგი, გეგონა რომ მიყვარდი? არადა, შენ მკლავებში მომწყვდეულიც კი სულ ლეოზე ვფიქრობდი,

როცა სიყვარულის სიტყვებს გეჩურჩულებოდი, მაშინაც იმას მივ-მართავდი და ჩემი თითოეული კოცნა, შენთვის ნათქვამი თითოე-ული საალერსო სიტყვა, შენს გვერდით გატარებული ყოველი საათი მას ეკუთვნოდა! არასოდეს არ მყვარებია ისე ძლიერად, როგორც შენს გვერდით მწოლიარეს მიყვარდა ხოლმე! არა, არ დაგიტოვებ ხელუხლებლად შენს მოგონებებს, ისინიც იმას ეკუთვნის და იმი-ტომ! მე ის კაცი მიყვარს, გესმის რასაც გეუბნები?! მიყვარს! ახლა კი მიდი, მოკალი! რაც არ უნდა დამართო, ვერაფერი შეედრება იმას, რაც მე დაგმართე და იმედია, ამას უკვე თვითონაც ხვდები...

კირა ადგილზე ირწეოდა. მისი ჩრდილიც იქით-აქეთ აწყდებოდა ჭერს, თითქოსდა საცაა, მთელი ძალით ძირს დაენარცხებაო.

– არაფერი ვიცოდი...

– უმწეოდ გაიმეორა ანდრეიმ იმგვარი ხმით, ვითომ სრულიად მარტო იყო ოთახში, ვითომ ცდილობდა, თავის გადასარჩენად სწო-რედ ამ სიტყვებს მოსჭიდებოდა.

– მართალია, არ იცოდი. არადა, ძალიან მარტივად იყო საქმე. დაიარე თქვენი საბჭოური ქალაქების ის ხალხით გამოვსებული სარ-დაფები და სხვენები და ნახავ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგივე ხდება. ლეოს სიცოცხლე უნდა. შენი აზრით კი, ყველა სულიერს აქვს სიცოც-ხლის უფლება? არა მგონია. ვიცი, რომ შენ სულ სხვა რამეს გიჩიჩი-ნებდნენ, მაგრამ იმას უთუოდ უნდა გაეძლო და სიცოცხლეც გაეგ-რძელებინა. მისნაირი ბევრი არაა და თქვენც სწორედ მაგიტომ არ აგდებთ სათვალავში. ექიმმა იმედიც გადამიწურა – ვერ გადარჩე-ბაო, ასე მითხრა. მე კი მიყვარდა, მთელი არსებით. ეგ რას ნიშნავს, მე მგონი უკვე თავადაც გამოსცადე... ბევრიც არაფერი სჭირდებო-და: მოსვენება, სუფთა ჰაერი, ჯანსაღი საკვები... ნუთუ ამის უფლე-ბაც არ ჰქონდა? თქვენმა სახელმწიფომ გამოგვიცხადა, არაო. ვის არ ვთხოვეთ, ვის არ ვეხვეწეთ, როგორ არ დავიმცირეთ თავი და იცი, რას გვპასუხობდნენ? ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმმა გამომიცხა-და, ასობით ადამიანი მყავს სიაში, ვინც თავის რიგს ელოდებაო!

კირამ მთელი ტანით წინ გადმოიწია, ხმაც უფრო დაიმშვიდა, თითქოს შემპარავიც კი გაუხდა. ხელები გაშალა და ანდრეისთვის მოულოდნელად, დაყვავებითაც კი დაუწყო ლაპარაკი; ტუჩებიც გაოცებული ბავშვივით ოდნავ დაბუშტოდა, მაგრამ გაყინულ მზერაში მაინც საცხედრის სუსხი ჩაბუდებოდა:

– მე მგონი მაინც აჯობებს, ბოლომდე გაერკვე ყველაფერში. ამას ვერავინ ახერხებს, ვერავინ ხედავს, ჩემს გარდა და მეც შემიძლია დაგეხმარო. რასაც მე ვხედავ, შენც უნდა დაინახო, ხვდები? ასობით, ათასობით, მილიონობით. მილიონობით რა? რა და – კუჭი, თავი, ფეხი, ენა, სული... არანაირო მნიშვნელობა არა აქვს, შეეხამებიან ისინი ერთმანეთს თუ არა. უბრალოდ, მილიონობითაა ეს ყველაფერი. ჩვეულებრივი ხორცი, ადამიანის ხორცი და ისინი, უფრო სწორად, ის, საგულდაგულოდ აღნუსხულია და აღრიცხული. სწორედ ისევე, როგორც კონსერვის ქილები მაღაზიის თაროზე. ერთი ეგ არ ვიცი, თვლით იბარებენ თუ წონით? მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამათ სიცოცხლის გაგრძელების შესაძლებლობა მაინც რჩებოდათ, ლეოს კი – არა. ის ხომ მხოლოდ ადამიანი იყო, თქვენთვის კი ქვა უფრო მნიშვნელოვანია და ალმასზე მეტად რიყისას აფასებთ, რადგან ალმასი მზეზე თვალს ჭრის და არც ქუჩის მოსაკირწყლად ვარგა, რადგან ისეთი მაგარია, ჩექმის ლანჩებს ცვეთს, რომლითაც თქვენი პროლეტარული მომავლისკენ უნდა მიაბიჯებდეთ. ალმასს მთელ მსოფლიოში ადევს ფასი, ოღონდ თქვენთან – არა. ამიტომაც მიუსაჯეთ ლეოს სიკვდილი, ლეოსაც და სხვა მისნაირებსაც. ოღონდ თავდაპირველად, განაჩენი თოფისა და ტყვიის გარეშე აღასრულეთ... პირადად ვეახლე ერთ ყოვლისშემძლე კომისარს, იმან კი ასე მითხრა – სამოქალაქო ომში ასიათასი მუშა დაიღუპა და ერთი ვიღაც არისტოკრატის სიკვდილი რა მოსატანია, რა დააკლდება ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსო? არადა, რაა თავად ეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ერთი ადამია-

ნის სიცოცხლესთან შედარებით? ოღონდ ეს ის კითხვა არ არის, რაზედაც შენ შეგიძლია პასუხის გაცემა. მე პირადად, იმ კომისრის მადლობელიც კი დავრჩი – სწორედ მისმა ნათქვამმა გამიხსნა ხელ-ფეხი საიმისოდ, რაც მერე მოვიმოქმედე... მე ის ნამდვილად არ მძულს, შენ კი უნდა გძულდეს. პირველმა სწორედ იმან გაგიკეთა ის, რასაც ახლა მე გიკეთებ!

ანდრეი ზემოდან დასცქეროდა კირას. ხმას არ იღებდა. არ ინძრეოდა, ოღონდ არც თვალს აშორებდა.

კირა ნელა, ფეხარეული დაიძრა მისკენ – გაუბედავად, უკან თავგადახრილი. თვითონაც არ აშორებდა თვალს, სახე თითქოს უცებ დაუმშვიდდა, გადაეწმინდა, თვალები მოეჭუტა, პირი კი წვრილი ნაიარევივით დაბჩენოდა ფერგადაცრეცილ სახეზე. როცა ალაპარაკდა, თითქოს ტუჩებსაც არ აშორებდა ერთიმეორეს და სიტყვებიც გაჭირვებით, დიდი ძალისხმევის ფასად აღწევდა თავს მის მაგრად მომუწულ ბაგეს. შიშისმომგვრელი ხმა ჰქონდა ახლა, უკვე იმდენად მშვიდად და ბუნებრივად ლაპარაკობდა:

– ესაა ყველაფრის თავი და თავი. მართლაც რა მოსატანია ერთი ვიღაც არისტოკრატის სიცოცხლე დიადი საბჭოეთის გადასახედიდან? შენც ასე ფიქრობ, არა? შენც და იმ შენმა ყოვლისშემძლე კომისარმაც და კიდევ მილიონობით სხვა თქვენნაირმა, სწორედ ეს მოიტანეთ, ეს შეკითხვა დაუსვით სამყაროს და პასუხიც მზამზარეული გამოაცხვეთ! დიდი საჩუქარი მიართვით კაცობრიობას, არა? ოღონდ ერთ-ერთმა თქვენგანმა ამის საზღაური უკვე მიიღო – მე გადავიხადე, შენთვის გადახდილი სამაგიეროა ეს საზღაური! სამაგიერო მთელი იმ მწუხარებისთვის, რაც შენმა ამხანაგბმა დაატეხეს თავს ქვეყნიერებას! როგორ მოგწონს ამის გაგონება საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრო, ამხანაგო ანდრეი ტაგანოვ? თქვენ შეგვაგონებდით, ადამიანის სიცოცხლე არაფერია სახელმწიფოს კეთილდღეობასთან შედარებითო და ახლა რატომღა გადევს ასეთი ნატან-

ჯი სახე? თუ ჩემმა ნათქვამმა ჯოჯოხეთში ჩაგაგდო და სასოწარკვეთამდე მიგიყვანა, ახლა რატომ აღარ მეუბნები – ერთი ადამიანის სიცოცხლეს არანაირი ფასი არ ადევსო?

კირა თანდათან უწევდა ხმას და მის სიტყვებსაც ანდრეი სახეში გარტყმულ სილასავით აღიქვამდა.

– ქალი გიყვარდა, იმან კი ეგ შენი სიყვარული ფეხქვეშ გათელილი მოგიგდო უკან? და რა მოხდა მერე – სამაგიეროდ, გასულ თვეში დონბასის პროლეტარული მაღაროებიდან ასი ტონა ქვანახშირი ამოიღეს ჩვენმა სასიქადულო მუშებმა! შენ ორ საკურთხეველზე ლოცულობდი, უეცრად კი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მათგანზე მეძავი იდგა, მეორეზე კი – მოქალაქე მოროზოვი? სამაგიეროდ, პროლეტარულმა სახელმწიფომ გასულ თვეშივე ათიათასი ტონა ხორბალი გაიტანა საექსპორტოდ! ყველა საყრდენი მოგერყა ფეხქვეშ? სამაგიეროდ, პროლეტარული რესპუბლიკა ახალ ჰიდროელექტროსადგურს აშენებს ვოლგაზე... რატომ არ გიღიმის სახე, რატომ არ უმღერი სადიდებელს საყოველთაო კოლექტივიზაციას? მაგას არაფერი ემუქრება, მაგ შენს კოლექტივს – მიდი და შეუერთდი! შენ რა, მართლა წაიფორხილე? მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ცხოვრების ერთი უმნიშვნელო მარცხია, რაზეც მხოლოდ იმ ძველ, გარდასულ სამყაროში დარდობდნენ ხოლმე ადამიანები! ნუთუ აღარცერთი „დიადი" მიზანი აღარ დაგრჩა – ეს სიტყვა ხომ ასე უყვართ შენს ამხანაგებს – რის გამოც სიცოცხლეს გააგრძელებდი? აბა, რას მეტყვი, ამხანაგო ტაგანოვ?

ანდრეი ხმას არ იღებდა.

კირას ფართოდ გაეშალა ხელები და იმ ძველ კაბაში, მღელვარედ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, თითქოს საცაა სული შეუგუბდებაო; ანდრეის კი ეგონა, თვალნათლივ ვხედავ მრისხანებისაგან დაკრუნჩხული ქალის სხეულის თითოეულ ნაკვთსო...

– შემომხედე! – უკვე იკივლა კირამ.

– კარგად შემომხედე! თვალის ახელისთანავე ვიცოდი, რისთვის

მომენიჭა სიცოცხლის უფლება, რა მინდოდა ამ ცხოვრებაში! ახლა კი როგორ გგონია, რა მინარჩუნებს სიცოცხლის უნარს? შენი აზრით, რისთვის ვაგრძელებ ცხოვრებას? იმისთვის რომ კუჭი ამოვივსო? საკვები მივიღო და მოვინელო? ან ვიმუშაო და მეტი საკვები ვაწარმოო ახლა უკვე სხვისი კუჭის ამოსაყორად? თუ იმიტომ, რომ ვიცი რაც მინდა და ეგებ სწორედ ესაა კიდეც თავად სიცოცხლე! და ამ წყეულ სამყაროში ვის მიუბრუნდება ენა მითხრას, რატომ არ უნდა ვიცხოვრო სწორედ იმისთვის, რაც მსურს? ვის შეუძლია მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხი გამცეს ამ შეკითხვაზე? თქვენ ყველაფერი სცადეთ, რათა ჩვენთვის ჩაგეგონებინათ თუ რა უნდა გვდომებოდა და რა – არა; გამათავისუფლებელ არმიასავით მოგვევლინეთ, კაცობრიობისათვის ახალი სიცოცხლის მოსანიჭებლად, მაგრამ ერთადერთი რაც გააკეთეთ, ძირფესვიანად ამოძირკვეთ თავად სიცოცხლე, რისიც საერთოდ არაფერი გაგეგებოდათ! სულში ჩაუძვერით ადამიანს და ყველაფერი ერთბაშად ამოუყირავეთ – საერთოდ შეუცვალეთ კეთილისა და ბოროტის საზრისი.. უბოდიშოდ დაეპატრონეთ თითოეული ადამიანის ცხოვრების ყოველ საათს, ყოველ წუთს, ადამიანთა ყოველ ნერვს, ფიქრსა თუ ოცნებას და მკაცრად დაუწესეთ ახლებური ცხოვრების განრიგი. მიხვედით და ცოცხლებს სიცოცხლე აუკრძალეთ, ყველანი რკინით აჭედილ საკანში შეგვრეკეთ, კარი დაგვიხშეთ და ჰაერსაც გამოზოგვით გვაწვდით – მხოლოდ იმდენს, ერთბაშად არ გამოვიგუდოთ, თუმცა კი უჰაეროობისაგან ყველას მაინც დასკდომაზე გვაქვს სისხლძარღვები... თავად კი დამდგარხართ და ცნობისმოყვარედ მოგვჩერებიხართ – აბა ერთი, რამდენს გაძლებთო. კეთილი, გვიყურეთ – გვიყურეთ, ვისაც ჯერ ისევ შეგრჩენიათ თვალისჩინი!

კირას სიცილი აუტყდა, მხრები აუცახცახდა. ჯიქურ მიადგა ანდრეის, წინ აესვეტა და სახეში შეჰყვირა, მთელი ხმით:

– რას გაშტერებულხარ, ხმას რატომ არ იღებ? ალბათ იმის ფიქრი გაგიჟებს, აქამდე როგორ ვერ მივხვდი ეს ვინ ყოფილაო! აჰა, აქა

ვარ, შენს წინ ვდგავარ – ის, რაც ჩემგან დარჩა მას მერე, რაც მოხვედი და ჩემი ცხოვრების აზრი წამართვი! ახლა მაინც ხომ ხვდები, რა იყო ეს? იმედია გესმის, თუ რას უნდა ნიშნავდეს ჩემთვის იმასთან განშორება, ვის მიმართაც უზენაეს მოწიწებას განვიცდიდი...

უცებ, სიტყვა გაუწყდა. ისეთი ხმა აღმოხდა სულშეგუბებულს თითქოს ანდრეის სილა გაეწნა მისთვის.

ხელის ზურგი მიირტყა ტუჩებზე – უეცრად, მისთვის სრულიად მოულოდნელად, აშკარად და სრული სისავსით დაუდგა თვალწინ ის, რაც მანამდე არასოდეს დაენახა.

ანდრეიმ მშვიდად, ნაზად გაუღიმა, ორივე ხელი გაიწვდინა მისკენ, თითქოს უნდოდა რაღაც ისეთი აეხსნა, რისი სიტყვით ახსნაც კირას უკვე აღარც სჭირდებოდა.

– ანდრეი...

– ამოიგმინა ისე, თითქოს გული ამოაყოლაო. ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, თუმცა დაზაფრულ მზერას მაინც არ აშორებდა კაცს.

– კირა, – დინჯად წამოიწყო ანდრეიმ.

– შენს ადგილას, მეც ზუსტად იგივეს გავაკეთებდი საყვარელი ადამიანისათვის, შენთვის...

– ანდრეი, ანდრეი...

– ამიოგმინა პირზე ხელაფარებულმა კირამ.

– რა უსინდისოდ მოგექეცი!

კირა ერთიანად მოიმჩვარა. წამში პატარა, შეშინებულ, დიდთვალება, სახეგაგაფითრებულ ბავშვს დაემსგავსა.

ანდრეი მიუახლოვდა. პირთან მიტანილი ხელი ჩამოაშვებინა და თითებშორის მოიმწყვდია.

– დიდი სამსახური გამიწიე, როცა აქ მოხვედი და ეს ყველაფერი მითხარი, – თქვა მერე. მისი სიტყვები იმ კაცის ნაბიჯებს ჰგავდა, რომელსაც დიდი ძალისხმევის ფასად უჯდება ფეხაურევლად გავლა:

– იცი, შენ ის დამიბრუნე, რაც უკვე დაკარგული მეგონა... შენ

ზუსტად ისეთი ხარ, როგორიც ყოველთვის მეგონე და ეგებ, კიდევ უფრო უკეთესიც... არც არაფერი დაგიშავებია ჩემთვის. ტანჯვაც სწორედ შენ გამოიარე. ჩემი მიზეზით. მაგასთან შედარებით, ჩემი ტანჯვა რა მოსატანია...

– ხმა გაებზარა. მერე ღონივრად გააქნია თავი და ისევ მტკიცედ ალაპარაკდა, ექიმივით:

– მისმინე. მოვრჩეთ ამ ლაპარაკს. ცოტა ხანს ნუღარაფერს მეტყვი, ჩუმად იყავი და ეცადე, ფიქრითაც აღარაფერზე იფიქრო, კარგი? ნახე. როგორ ცახცახებ! ცოტა უნდა დაისვენო. მოდი, აი აქ დაჯექი და მცირე ხნით ყველაფერი დაივიწყე!

სკამთან მიიყვანა. კირამ მხარზე დაადო თავი და ჩურჩულით უთხრა:

– კი მაგრამ, ანდრეი... შენ ხომ...

– დავიწყე. ყველაფერი დაივიწყე. იჯექი წყნარად და ნურაფერზე ნუ ფიქრობ, ყველაფერი მოგვარდება, დამიჯერე.

კირა ხელში აიყვანა და თვითონვე დასვა ბუხართან მიდგმულ სკამზე. არც ის გასძალიანებია. მომჩვარულ სხეულში საერთოდ გამოსცლოდა ძალა. დაჯდომისას, მუხლებსზემოთ აწია კაბა და ანდრეიმ შენიშნა, როგორ უთრთოდა ფეხები. იმ თავის ტყავის ქურთუკს დასწვდა, მუხლებზე შემოახვია.

– ცა ჩემთან. ეს გაგათბობს.

– უთხრა კირას.

– ბუხარი მხოლოდ ახლახანს დავანთე.

კირა გაუნძრევლად იჯდა. სკამის საზურგეს მიყრდნობილს, თავი უკან გადაეგდო. თვალები დახუჭული ჰქონდა. ცალი მკლავი უღონოდ ჩამოვარდნოდა. გაქვავებულ სახეზე ვარდისფრად უთამაშებდა ცეცხლის ათინათი.

ანდრეიც ბუხართან იდგა, ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში და კირას არ აშორებდა თვალს. პარტიის რაიკომის შენობაში ვიღაცამ „ინტერნაციონალის“ დაკვრა დაიწყო.

ანდრეიმ არც იცოდა, რამდენ ხანს იდგა ასე, როცა კირა შეირხა და თავი ასწია.

– ცოტა უკეთესად ხარ? – ჰკითხა ანდრეიმ. კირამ თანხმობის ნიშნად, ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი.

– მაშინ მოდი, პალტო ჩაიცვი და სახლში წაგიყვან, – უთხრა ანდრეიმ.

– ჩაწექი, დაისვენე და არაფერზე არ იფიქრო.

კირას წინააღმდეგობა არ გაუწევია. თავჩაღუნულმა შეიკრა პალტოს ღილები. მერე ანდრეის ამოხედა და მათი თვალები ერთმანეთს შეეფეთა. კაცის მზერაში სითბო და სრული გაგება იგრძნობოდა. ახლაც ისე უღიმოდა, როგორც ინსტიტუტში, პირველი შეხვედრისას.

გრძელი, საფეხურებგასიპული კიბის ჩავლაში მიეხმარა. მერე ბაღის ჭიშკართან მარხილი გააჩერა და მემარხილეს კირას, უფრო სწორად, ლეოს სახლის მისამართი უთხრა. უკვე მარხილში ჩამჯდარ კირას ფეხებზე ბეწვის ასალი გადააფარა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და მხარზე ხელი შემოხვია. მთელი გზა აღარ გაუღიათ ხმა.

როცა მარხილი გაჩერდა, ანდრეიმ მაშინღა დაარღვია დუმილი:

– ახლა რამდენიმე დღე კარგად დაისვენე. შინიდან ნურსად გახვალ, მაინც ვერაფერს მოიმოქმედებ. ნუ იდარდებ... იმაზე. ეგ საქმე მე მომანდე.

ტროტუართან ბლომად თოვლი მიეხვეტათ. ანდრეიმ ახლაც ხელში აიტატა კირა, სადარბაზოში შეიყვანა და კიბეს აუყვა. კირა რაღაცის თქმას ცდილობდა, თუმცა ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან და ანდრეიც მხოლოდ მისმა ტუჩების მოძრაობამ მიახვედრა, ჩემი სახელის თქმას ცდილობსო.

– ყველაფერი კარგად იქნება, – დაამშვიდა ერთხელ კიდევ.

მარხილთან უკვე მარტო დაბრუნდა და ამჯერად, მემარხილეს პარტიის რაიკომის მისამართი მისცა, სადაც ამხანაგები მის მოხსე-

ნებას ელოდებოდნენ სოფლად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

* * *

– ...სანამ სისხლძარღვები არ დაგვისკდება ასე, უჰაეროდ გამომწყვდეულებს! ისეთი ტვირთი დაიდეთ მხრებზე, როგორიც ისტორიაში აქამდე სხვას არავის უტვირთია. გაიძახოდით.

– მიზანი ამართლებს საშუალებასო, ოღონდ რა არის თქვენი მიზანი, ამხანაგებო?

პარტიული უჯრედის მდივანმა საწერ მაგიდაზე მუშტი ააბრახუნა:

– წესრიგისაკენ მოგიწოდებთ, ამხანაგო ტაგანოვ! – უყვირა ანდრეის.

– თემას ნუ გადაუხვევთ და სოფლად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოგვახსენეთ თქვენი აზრი!

სავსე დარბაზს მღელვარების ტალღამ გადაუარა. დიდ, ცუდად განათებულ დარბაზში აქა-იქ ჩურჩული მოისმა, უკანა რიგებში კი ვიღაცამ ჩაიფხუკუნა კიდეც.

ანდრეი ტაგანოვი ტრიბუნაზე იდგა. დარბაზი ბინდში ჩაძირულიყო, რადგან მხოლოდ ერთი ნათურა ანათებდა იქაურობას. ანდრეის შავი ტყავის ქურთუკი არც კი მოჩანდა ჩაშავებული კედლის ფონზე. სიბნელიდან მხოლოდ სამი თეთრი ლაქა კრთოდა: მისი ორი, გრძელთითება ხე-ლის მტევნები და გაფითრებული სახე. შავ სიცარიელეში ეს ხელები აუჩქარებლად მოძრაობდა; სახეს კი, თვალის ბუდეებთან და ჩაცვენილ ლოყებთან, მუქი ჩრდილები დასდებოდა. ანდრეი მოღლილი, დუნე ხმით ლაპარაკობდა, თითქოს თავადაც არ ესმის საკუთარი ნათქვამიო.

– დიახ, ვითარება სოფლად, ამხანაგებო... ბოლო ორი თვის განმავლობაში, შორეულ სოფლებში პარტიის ოცდაექვსი წევრის მკვლელობა მოხდა. დაწვეს კლუბის რვა შენობა. ასევე, სამი სკოლა

და კოლმეურნეობის კუთვნილი ერთი საწყობი. კონტრრევოლუციურ ელემენტებს სოფლად დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და სასტიკად გავუსწორდეთ ყველას, ვინც პურსა და სურსათს მალავს. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მაგალითად სოფელ პეტროვშინოში მომხდარი შემთხვევა მოიტანა, სადაც გლეხები, რომლებმაც უარი განაცხადეს დანაშაულებრივი ჯგუფის მოთავეთა ვინაობის დასახელებაზე. ერთ რიგად ჩაამწკრივეს და მერე ყოველი მესამე დანარჩენების თვალწინ დახვრიტეს. იყო სხვა შემთხვევაც, როცა გლეხებმა ქალაქიდან მივლინებული სამი კომუნისტი ლენინის სახელობის ადგილობრივ კლუბში ჩაკეტეს, ფანჯრებზეც ფიცრები ააკრეს და შენობას ცეცხლი წაუკიდეს. იქ შეკრებილი გლეხობა ამ ყველაფერს საკუთარი თვალით უცქერდა და თან ხმამაღლა მღეროდა, განწირულთა ყვირილის ჩასახშობად. ესენი გარეული მხეცები არიან – ტანჯვისა და საკუთარი გაჭირვებისაგან შეშლილი მხეცები... რა თქმა უნდა, იმ მიყრუებულ, მივარდნილ სოფლებშიც ცხოვრობენ ახალგაზრდა, ტანადი გოგოებიცა და მათზე თავდავიწყებით შეყვარებული ყმაწვილკაცებიც, მაგრამ სასოწარკვეთისაგან უკიდურეს ზღვარზე მისულებს, სხვა აღარაფერი დარჩენიათ, თუ არა მომხდარის გულგრილად ცქერა. შეიძლება, ისინი უკიდურესად...

– ამხანაგო ტაგანოვ! – ერთხელაც იყვირა კრების თავმჯდომარემ.

– წესრიგისაკენ მოგიწოდებთ!

– დიახ, ამხანაგო თავმჯდომარე... მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მდივანს კიდევ ერთი მაგალითის სახით... უკაცრავად, ამხანაგო თავმჯდომარევ, რას ვამბობდი? ჰო, გამახსენდა: მავნე ელემენტი სოფლად... დიახ... პარტიამ საგანგებო ზომები უნდა მიიღოს სოფლად კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, რადგან მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა საფრთხეს უქმნის გლეხთა მა-

სებში ჩვენს მიერ წამოწყებულ ფართომასშტაბიან... ჩვენს დიად წამოწყებას... ჩვენ მხსნელ არმიასავით გამოვჩნდით და ცოცხლებს სიცოცხლე ავუკრძალეთ... ჩვენ გვეგონა, ყოველმა სულდგმულმა იმთავითვე იცოდა, როგორ ეცხოვრა, მაგრამ განა ეს ასეა? განა ისინი ვინც მართლა იცის, როგორ იცხოვროს, გამონაკლისი არ არიან და განა დანაშაული არაა მათი მსხვერპლად შეწირვა, ნებისმიერი დიადი მიზნის საკეთილდღეოდ? რომელი მიზანი შეიძლება იყოს უფრო დიდი, ვიდრე ამ მიზნისთვის მებრძოლი ადამიანი? და განა ისინი, ვინც იცის თუ როგორ იბრძოლოს, თავისთავად მიზანს უფრო არ წარმოადგენენ, ვიდრე საშუალებას?

– ამხანაგო ტაგანოვ! – ერთხელაც გააწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ.

– წესრიგისაკენ მოგიწოდებთ!

– ამხანაგო თავმჯდომარევ, მე აქ იმიტომ ვდგავარ, რომ ანგარიში წარვუდგინო ჩემს პარტიულ ამხანაგებს. უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე ჩვენს მუშაობას შეეხება სოფლად, ისევე როგორც ქალაქებშიც, მილიონობით ადამიანს შორის, მილიონობით ცოცხალ ადამიანს... თუმცა, ჩნდება კითხვებიც და ეს კითხვები პასუხს მოითხოვს. ან მათზე პასუხის გაცემის რატომ უნდა გვეშინოდეს? სხვა საქმეა, თუ პასუხი არ გვაქვს... ამხანაგებო, ძმებო, დამიგდეთ ყური! მომისმინეთ – ახალი ცხოვრებისთვის თავგადადებულო მებრძოლებო! ნუთუ ჩვენ ოდნავადაც არ გვაეჭვებს საკუთარი ქმედებები? ადამიანებს ვერვინ ეტყვის, რისთვის უნდა იცოცხლონ... ვერც ვერავინ დაისაკუთრებს ამგვარ უფლებას, რადგან იმავე ადამიანებს შორის საუკეთესოებშიც კი მაინც არის რაღაც ისეთი, რაც ნებისმიერ სახელმწიფოზე, ნებისმიერ კოლექტივზე მაღლა დგას! ალბათ იკითხავთ, რა არის ასეთიო. რა და – ადამიანის გონი და მისი ფასეულობები. შეხედეთ საკუთარ თავს, ოღონდ თამამად, უშიშრად გაუსწორეთ სიმართლეს თვალი; დაფიქრდით და მხოლოდ საკუთარ თავს

უთხარით – არა მე და არა ვინმე სხვას – მაინც, რისთვის ვცოცხლობთ ამქვეყნად? განა არა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის? დაარქვით ამას მიზანი, სიყვარული, ან საქმე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მხოლოდ თქვენი პირადი საქმე იქნება! გადადეთ თავი, მსხვერპლად შეეწირეთ იდეალს, ოღონდ ესეც თქვენი იდეალი იქნება – ნებისმიერი გულწრფელი ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცოცხლობს, ნებისმიერი, ვინც ღირსია ადამიანად იწოდებოდეს, ასე იქცევა, ხოლო ვინც სხვაგვარად, ის საერთოდ არც ცოცხლობს... ამ მოცემულობას ვერავინ შეცვლის, და მათ შორის ვერც თქვენ, რადგან სწორედ ასეთად იბადება ადამიანი, იმთავითვე მარტოსული, სრულყოფილი და თვითკმარი. ვერანაირი კანონი, ვერცერთი პარტია, ვერც გპუ ვერ ჩაკლავს ვერასოდეს ამას ადამიანში, რომელმაც იცის, როგორ წარმოთქვას სიტყვა „მე". ადამიანის გონს ვერ დაიმონებთ, შეგიძლიათ მხოლოდ გაანადგუროთ. აკი სცადეთ კიდეც და ხომ ნახეთ, რაც გამოგივიდათ! შეხედეთ იმათ, ვინც გამარჯვებულებად გამოაცხადეთ, ვისაც გადააბარეთ ძალაუფლება! ნუთუ ამდაგვარი, სხვათა დამთრგუნველი და გამანადგურებელი, მახინჯი არსებები გინდათ აბატონოთ?! ნუთუ ერთბაშად გინდათ მოისროლოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ადამიანში არსებობს და ქვემძრომ არარაობებს დაუტოვოთ ბურთი და მოედანი? ვითომ სიცოცხლის ზეობის სახელით, განა სწორედ ამ სიცოცხლეს არ ვასაჭურისებთ?

– ამხანაგო ტა...

– ძმებო, მისმინეთ! ჩვენ ამ კითხვებს პასუხი უნდა გავცეთ! – თეთრად მოციმციმე ორი ხელი შავ სიცარიელეში გამოეკიდა და ხმაც ისეთივე მჟღერი გაუხდა, როგორც მაშინ ჰქონდა, მრავალი წლის წინ, თეთრგვარდიელთა სანგრებზე რომ მიჰქონდა იერიში.

– უთუოდ უნდა ვუპასუხოთ! თუ არადა, ჩვენს მაგივრად ისტორია გასცემს მაგათ პასუხს და ჩვენც ის ტვირთი დაგვაწვება მხრებზე, რასაც არასოდეს გვაპატიებენ... მაინც, რა არის ჩვენი მიზანი,

ამხანაგებო? რისთვის ვიღწვით – იმისთვის, რომ დამშეული კაცობრიობა დავაპუროთ და სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება მივცეთ? თუ სიცოცხლის აზრი ჩავუკლათ მუცლის ამოყორვის სანაცვლოდ?

– ამხანაგო ტაგანოვ! – იყვირა თავმჯდომარემ.

– სიტყვის უფლებას გართმევთ!

– მე... მე...

– ენა დაება ტაგანოვსაც და ფეხარეული დაეშვა ტრიბუნიდან.

– მე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

რიგებშორის გასასვლელს გაუყვა, კარისაკენ. მაღალი, ხმელ-ხმელი, მარტოსული. დარბაზში მსხდომნი მისკენ აბრუნებდნენ თავს და უსიტყვო მზერით მიაცილებდნენ. ვიღაცამ, უკანა რიგში მჯდომმა, გაბმული, დამცინავი სტვენაც მიაყოლა ზურგში.

როცა ანდრეიმ კარი გაიხურა, დარბაზში ჩურჩულით ნათქვამი ეს სიტყვებიც გაისმა:

– აი ნახავთ, ეგ შემდეგ წმენდას ვეღარ გადაურჩება...

XIV

გახუნებულ, ღია ლილისფერ საშინაო ხალათშემოცმულ ამხანაგ სონიას ყურსუკან ფანქარი გაერჭო და მაგიდას მისჯდომოდა. ხალათი წინ აღარ ეკვრებოდა, რადგან მის სხეულს უკვე იმგვარი ზომებისათვის მიეღწია, ფეხმძიმობა შეუიარაღებელი თვალითაც ეტყობოდა. მაგიდის სანათის შუქზე, კალენდარი გადაფურცლა. დროდადრო, ფანქარს მოიმარჯვებდა ხოლმე და ფურცლის ნაგლეჯზე რაღაცეებს იწერდა ჩქარ-ჩქარა. თან ამ ქიმიურ ფანქრის წვერს ენით ასველებდა და ამიტომ, ქვედა ტუჩზე იისფერი ლაქა დასდებოდა.

პაველ სეროვს ფეხსაცმელი გაეხადა, წინდების ამარა დარჩენილს კი ფეხები ტახტის სახელურზე შემოეწყო. წამოწოლილი კითხულობდა გაზეთს და თან მზესუმზირას აკნატუნებდა. ჩენჩოს იქვე,

ტახტის გვერდით, იატაკზე დახვავებულ გაზეთების გროვაზე ფრუ-ტუნით აფურთხებდა. პაველ სეროვი მოწყენილი ჩანდა.

– ჩვენი შვილი ახალი სახელმწიფოს ახალი მოქალაქე იქნება – თქვა უცებ ამხანაგმა სონიამ.

– პროლეტარიატის თამამი, ჯანსაღი იდეოლოგიის სულისკვეთე-ბით გაიზრდება და ვერანაირი ბურჟუაზიული ცრურწმენები ვერ დააბრკოლებს მის ბუნებრივ განვითარებას.

– ეგრეა, – შეეხმიანა პაველ სეროვი, ოღონდ გაზეთის ფურცლის-თვის თვალი არ მოუშორებია.

– დაბადებისთანავე პიონერთა რიგებში ჩავწერ. შენც იამაყებ, როცა დაინახავ რომ შენი სისხლი და ხორცი, შენი წვლილი საბჭოთა მომავლის წინაშე, სხვა პატარა მოქალაქეებთან ერთად მიაბიჯებს – ლურჯ, მოკლე შარვალში გამოწყობილი, თეთრპერანგიანი და წი-თელყელსახვევიანი...

– აბა რა, – მიუგო სეროვმა და ერთხელაც გამოაფურთხა გაზე-თებზე მზესუმზირის ჩენჩო.

– ნამდვილი საბჭოური ნათლობა მინდა მოვუწყო. არანაირი მღვდლები, მარტო ჩვენი პარტიული ამხანაგები დაესწრებიან. სამო-ქალაქო ცერემონია ჩატარდება შესაბამისი გამოსვლებითა და სიტ-ყვებით ახლა ვფიქრობ, რა სახელი შევურჩიო და... პაველ, მისმენ?

– აბა რა, – შეეხმიანა სეროვი და წინა კბილებით მზესუმზირის მარცვალი გაკვნიტა.

– აი აქ, კალენდარში, ბევრი ახალი, კარგი, რევოლუციური სახე-ლია ჩამოთვლილი. სულ არ ჰგავს წმინდანების იმ ძველ, სულელურ სახელებს. რამდენიმე ამოვიწერე კიდეც და ახლა შენი აზრი მაინტე-რესებს. ბიჭი თუ იქნა, მე მგონი ნინელი მშვენიერი სახელია...

– ეგ რაღა ჯანდაბაა?

– პაველ, იცოდე რომ ეგეთ ლაპარაკს და უმეცრებას ვერ მოგით-მენ! თვითონ ალბათ ერთხელაც არ დაფიქრებულხარ საკუთარი შვილის სახელზე!

– ჩვენში დარჩეს და, დრო ჯერ მაქვს, ეგრე არ არის?

– კარგი რა! უბრალოდ, სულ არ გაღელვებს ეგ ამბავი და თავს ნუ იკატუნებ. ნურც იმას იფიქრებ ტყუილად, პაველ სეროვ, რომ ამას როდისმე დაგივიწყებ!

– კარგი რა, სონია! ნუ მეჩხუბები. უბრალოდ, მაგ საქმის გადაწყვეტა შენთვის მომინდვია. ბოლომდე გენდობი და ისიც ვიცი, ჩემზე უკეთესსაც მოიფიქრებ.

– დიახაც, როგორც ყოველთვის. მოკლედ, ნინელი ჩვენი დიდი ბელადის სახელია, ოღონდ – პირიქით წაკითხული. ჩემი აზრით, ძალიან კარგად ჟღერს. ანდა შეგვიძლია, ვილი დავარქვათ – ისევ და ისევ ბელადის ინიციალების მიხედვით ვლადიმირ ილიჩ ლენინ! როგორია?

– შესანიშნავი. მე პირადად, ორივე მომწონს.

– აი. გოგო თუ გაგვიჩნდა, რისი დიდი იმედიც მაქვს, იმიტომ რომ მომავალში პროლეტარ ქალებს იმაზე მეტი თავისუფლება ექნებათ, ვიდრე ეს თქვენ, კაცებს წარმოგიდგენიათ და ამ შემთხვევისთვისაც ჩამოვწერე რამდენიმე სახელი, ოღონდ ყველაზე მეტად ამათგან მაინც ოქტიაბრინა მომწონს – ჩვენი დიადი ოქტომბრის რევოლუციის ცოცხალ სიმბოლოსავით ჟღერს!

– მე მგონი... ცოტათი გრძელი არ გეჩვენება?

– მერე რა! ძალიანაც კარგი სახელია და უკვე გავრცელებულიც. სხვათა შორის, ფიმკა პოპოვას ორი კვირის წინ ჰქონდა საბჭოური ნათლობა და თავის ღლაპს სწორედ ოქტიაბრინა დაარქვა. ყველა საბუთში სწორედ ასე ჩააწერინა. უნდა გენახა, რა ამაყი იყო იმისი ქმარი! ეგ მართლა რქიანი ბრიყვი ეგა...

– კარგი რა, სონია, არ გინდა ეგეთები.

– ერთი ამ მორალისტს დამიხედეთ! ფიმკას კაიქალობა ყველამ იცის... თუმცა, რა დროს ფიმკაა! ისე, მაგას თუ ჰგონია, რომ მარტო მაგისი ნაბიჭვარის სახელი გამოქვეყნდება გაზეთებში... მოკლედ, სხვა სახელებიც ამოვიწერე – თანამედროვე, ერთმანეთზე უკეთესი.

მაგალითად, მარქსინა – კარლ მარქსის საპატივცემულოდ, ანდა ვთქვათ, კომუნარა. თუ გინდა...

მაგიდის ქვეშ რაღაც დავარდა ტყაპანით.

– ფუჰ შენი! – შეუკურთხა ამხანაგმა სონიამ.

– გამაწამა ამ ფლოსტებმა.

– უხერხულად შეირხა სკამზე, ცალი ფეხი წინ გაწვართა და დავარდნილი ფლოსტის მოძიებას შეეცადა. როგორც იქნა, მიაგნო, ძლივძლივობით დაიხარა და ხვნეშა-ხვნეშით, ისევ მოირგო ტერფზე.

– ნახე ერთი, რა მაცვია! არადა, იმდენი რამე მჭირდება, მით უმეტეს ახლა, როცა დღე-დღეზე ბავშვს ველოდები... შენ რა გენაღვლება, გამოტყვრები და დაწერ მერე იმ სულელურ წერილებს, ჩვენ სულ ფეხებზე გკიდივართ!

– ახლა თავიდან არ დაიწყო, სონია! კიდევ კარგი, რომ ყველაფერი მშვიდობით მოთავდა და როგორღაც მაინც გამოვძვერი ამ ამბიდან.

– აბა რა! დიდი იმედი მაქვს, იმ შენს კოვალენსკის ერთ კარგ ხმაურიან სასამართლოს მოუწყობენ და მერე კედელთანაც მიაყენებენ. პირადად ვიზრუნებ იმისთვის, რომ ჩვენმა ქალთა განყოფილებამ საპროტესტო მსვლელობა გამართოს ქორვაჭრებისა და წარსულის გადმონაშთების დასაგმობად!

კალენდრის რამდენიმე ფურცელი გადაფურცლა ჩქარ-ჩქარა და უცებ, წამოიძახა:

– აი, კიდევ ერთი გადასარევი სახელი, გოგოსთვის! ტრიბუნა და ესეც კარგია – ბარიკადა! თუ შენ უფრო თანამედროვე მეცნიერების სულისკვეთებით გაჟღენთილი გირჩევნია? აგერ ბატონო, ეგეთიცაა: უნივერსიტეტა.

– ეგ ძალიან გრძელია, – ჩაიბურტყუნა სეროვმა.

– ჩემდათავად, მე ყველას ოქტიაბრინა მირჩევნია. ყველაზე უფრო სიმბოლურია. იმედია, მართლა გოგო იქნება. ოქტიაბრინა სეროვა – ქვეყნის მომავალი წინამძღოლი... შენ რომელი გინდა პაველ,

გოგო თუ ბიჭი?

– ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ ტყუპი ნუ იქნება, – მიუგო სეროვმა.

– ეგ ახლა რაღა იყო ვითომ? ისე გამოდის...

კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ერთობ დაჟინებული, მოურიდებელიც კი. სეროვმა ყურები ცქვიტა და გაზეთიც ძირს დააგდო.

– მობრძანდით! – გასძახა.

ოთახში ანდრეი ტაგანოვი შემოვიდა და ზურგსუკან კარი მიიხურა. ამხანაგ სონიას კალენდარი ხელიდან გაუვარდა. პაველ სეროვი წელმოწყვეტილი წამოიზლაზნა.

– საღამო მშვიდობის.

– თქვა ანდრეიმ.

– საღამო მშვიდობისა, – უპასუხა სეროვმაც და დაჟინებით მიაჩერდა დაუპატიჟებელ სტუმარს.

– რა ქარმა გადმოგაგდო, ტაგანოვ? – ხმადაბლა, მტრულად, მუქარითაც კი იკითხა ამხანაგმა სონიამ.

ანდრეის მისკენ არცკი გაუხედავს, ისე გამოაცხადა: – სალაპარაკო მაქვს შენთან, სეროვ.

– მიდი მერე, გისმენ...

– უთხრა სეროვმა და ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

– შენთან-მეთქი, ხომ გითხარი. ერთი-ერთზე.

– მეც გითხარი, გისმენ-მეთქი.

– გაუმეორა სეროვმა.

– შენს ცოლს უთხარი, გავიდეს.

– მე და ჩემს ქმარს ერთმანეთში დასამალი არაფერი გვაქვს, – საუბარში ჩაერია ამხანაგი სონია.

– გადი და დერეფანში მოიცადე, – ხმის აუწევლად უბრძანა ქალს ანდრეიმ.

– იცოდე პაველ, თუ ეს...

– რაღაცის თქმა დააპირა სონიამ.

– ჯობია მართლა გახვიდე, სონია...

– ჩუმად ჩაილაპარაკა ისევ ანდრეის მიჩერებულმა სეროვმა.

ამხანაგმა სონიამ ჩაახველა.

– ამხანაგი ტაგანოვი უწინდებურად შეუპოვარია, არა? – იკითხა ქალმა იქედნური ღიმილით.

– ძალიან კარგი. ვნახოთ ერთი, რას მოგვიტანს დრო. საბედნიეროდ, დიდხანს აღარ მოგვიწევს ლოდინი...

გაღეღილი ხალათი ტანზე მაგრად შემოიტმასნა. პირში სიგარეტი გაირჭო და ფლოსტების ტყაპუნით ოთახიდან გავიდა.

– მეგონა, ბოლო რამდენიმე დღეში ჭკუას ისწავლიდი, – უთხრა პაველ სეროვმა.

– ვისწავლე კიდეც, – მიუგო ანდრეიმ.

– ახლა რაღა გინდა ჩემგან?

– სანამ სათქმელს გეტყოდე, ჯობია ფეხზე ჩაიცვა, ჩემთან ერთად მოგიწევს წამოსვლა და დროც ბევრი არა გვაქვს.

– კარგი ერთი! კიდევ კარგი რომ გამაფრთხილე, თორემ მე თვითონ ეგებ სეირნობის სურვილი არც გამჩენოდა... ჩვენში დარჩეს, იქნებ არც ახლა მაქვს. მაინც, სად მივდივართ ერთად, ამხანაგო მუსოლინი ტაგანოვ?

– ლეო კოვალენსკის გასათავისუფლებლად!

პაველ სეროვი მძიმედ დაეშვა ტახტზე, ფეხი გაზეთების გროვას გაჰკრა და მზესუმზირის ჩენჩო იატაკზე მიმოაბნია.

– რა გინდა, ტაგანოვ?! გაგიჟდი თუ რა გჭირს?

– გირჩევნია, ენას კბილი დააჭირო და ყური დამიგდო. მე გეტყვი, როგორც უნდა მოიქცე.

– შენ მეტყვი როგორ მოვიქცე? რა უფლების ძალით?

– მერე მაგასაც აგიხსნი. ოღონდ ახლა ჩაიცვი და იმ შენს მეგობართან მიდი... იცი, ვისზეც გეუბნები.

– ასეთ დროს?!

– თუ საჭირო გახდა, გააღვიძებ კიდეც. რას ეტყვი და როგორ, ეგ

ჩემი საქმე არაა, მთავარია გავიგო რომ ლეო კოვალენსკის ორმოცდარვა საათის განმავლობაში გაათავისუფლებენ.

– და შენი აზრით, რომელმა ჯადოსნურმა ჯოხმა შეიძლება მაიძულოს ამის გაკეთება?

– ქაღალდის ერთმა პატარა ნაგლეჯმა, სეროვ. უფრო სწორად, ორად გადახეულმა ბარათმა.

– და ვისი ხელით ნაწერმა? – შენივე ხელით.

– რა სისულელეა!

– მთლად სიმართლე თუ გინდა, შენი ხელით დაწერილის ფოტოასლებია.

სეროვი ნელ-ნელა წამოიმართა და ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას.

– ტაგანოვ, შე დამპალო ვირთხა! – გამოსცრა კბილებში.

– ახლა მასეთი ხუმრობის დრო არ არის...

– გგონია, ვხუმრობ?

– კარგი, მივალ იმ ჩემს მეგობართან. შენც შეხვდები ლეო კოვალენსკის, ოღონდ მაგას ორმოცდარვა საათი არც დასჭირდება. პირადად ვიზრუნებ, მალევე გაგამწესონ მის გვერდით საკანში და მერე ვნახოთ ერთი, რა სამხილებზე...

– აკი გითხარი, ორი ფოტოასლია-მეთქი. ოღონდ მე არცერთი არა მაქვს.

– აბა, მაშინ...

– ორ სანდო მეგობარს მივაბარე შესანახად. ტყუილად ნუ ეცდები იმათი ვინაობის გარკვევას. კარგად მიცნობ საიმისოდ რომ ეჭვი არ შეგეპაროს – გპუ-ს ჯურღმულში წამება ვერ შემაშინებს. მაგაზე ნურც იფიქრებ. ჩემი პირობა კი ასეთია: თუ ლეო კოვალენსკის გათავისუფლებამდე შემთხვევით რამე დამემართა, ორივე ფოტოასლი მოსკოვში აღმოჩნდება. იგივე მოხდება თუ გათავისუფლების მერე კოვალენსკის მოუვა რამე.

– შე დამპალო...

– შენთვის კი ნამდვილად არ ივარგებს, ამ ფოტოასლებმა მოსკოვში თუ ამოყო თავი. მაშინ ეგ შენი მეგობარი ვეღარც შენ გიშველის და ალბათ, ვეღარც საკუთარ თავს. ნუ ღელავ, დიდხანს არ გაგაწვალებ. მიაღწიე ლეო კოვალენსკის გათავისუფლებას და მთელი ეს საქმეც ჩაფარცხე. მაშინ ფოტოასლების თაობაზე ვერასოდეს ვეღარაფერს გაიგებ. რა თქმა უნდა, ამ ფოტოასლებსაც ვეღარასდროს ნახავ...

სეროვმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

– ტყუიხარ.

– ამოიხრიალა ხმაჩავარდნილმა.

– არანაირი ფოტოასლები არ გაგიკეთებია.

– შეიძლება, – მიუგო ანდრეიმ.

– დავნაძლევდეთ?

– დაჯექი, – თქვა სეროვმა და თვითონაც ტახტზე დაეშვა მოწყვეტით.

ანდრეი მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

– მისმინე ანდრეი, – წამოიწყო სეროვმა.

– მოდი, გონივრულად დავილაპარაკოთ. გასაგებია, პირობებს შენ მკარნახობ. ოღონდ ხვდები მაინც, რას ითხოვ ჩემგან?

– შენთვის შეუძლებელს არაფერს.

– ღმერთო ჩემო, ანდრეი! ეს უკვე გახმაურებული საქმეა, მთელი პროპაგანდისტული კამპანიაც კი წამოვიწყეთ, გაზეთებმაც უკვე გაამზადეს მყვირალა სათაურები...

– შეაჩერეთ.

– როგორ შევაჩერო? ან ეგ როგორ ვთხოვო, რა ვუთხრა იმ ჩემს მეგობარს?

– ეგ მე არ მეხება.

– არა, იმ კაცმა ერთხელ უკვე გადამარჩინა და...

– არ დაგავიწყდეს, ეგ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიცაა. ეგებ

მოსკოვში მეგობრები ჰყავს კიდეც, მაგრამ მტერი მაინც მეტი ეყოლება.

– მოიცა, მომისმინე...

– ხოლო როცა პარტიის წევრების გადარჩენა ვეღარ ხერხდება, იმათ კიდევ უფრო დაუნდობლად ექცევიან, ვიდრე ვიღაც ქორვაჭრებს. შენც მშვენივრად იცი ეს ყველაფერი. სხვათა შორის, არც ეს თემა იქნება ურიგო პროპაგანდისტული კამპანიისათვის.

– ანდრეი, ჩვენს შორის ერთ-ერთი აშკარად შეიშალა. ვერაფერი გავიგე, კოვალენსკის განთავისუფლება რაში გარგია?

– ეგ შენი საქმე არაა.

– თუ მაგ კაცის მფარველ ანგელოზობაზე დებ თავს, მაშინ მთელი ეს ოხერი საქმე რაღას წამოიწყე? შენ არ გამოჩხრიკე ეს ყველაფერი?

– აკი წეღან მითხარი, ჭკუა უნდა გესწავლაო...

– ანდრეი, ნუთუ პარტიის მიმართ საერთოდ აღარ შეგრჩა არანაირი რიდი? სწორედ ახლა, როცა გადამწყვეტი დარტყმა უნდა მივაყენოთ ქორვაჭრებსა და გადამყიდველებს, როცა სურსათით მომარაგების საქმე ძალიან გართულებულია და...

– ეგ მე უკვე აღარ მეხება.

– შე დამპალო მოღალატე! საქმის მასალები რომ წარმოადგინე, ხომ თქვი, წერილის ასლი არ არსებობსო!

– იქნებ მოვიტყუე?

– მოდი, ორივემ ჭკუას მოვუხმოთ. სიგარეტი გინდა? – არა, გმადლობ.

– ისე ვილაპარაკოთ, როგორც კარგ ამხანაგებს ეკადრება. ყველაფერი უკან მიმაქვს, რაც გითხარი. ბოდიშს გიხდი. ოღონდ ძალიან მკაცრადაც ნუ განმსჯი. ხომ ხვდები, რაც მე გამოვიარე, კაცი შეიძლება მართლა ჭკუიდან გადასულიყო. კეთილი და პატიოსანი, შენ რაღაც საკუთარ თამაშს თამაშობ. მე ჩემსას ვცდილობდი, შეცდომა

დავუშვი. მაგრამ როგორც ვხედავ, ანგელოზი არც შენა ხარ და ერთმანეთსაც უნდა გავუგოთ. ჩვენ ხომ მართლა გულითადი მეგობრები ვიყავით, ბავშვობიდანვე... დაგავიწყდა? ამიტომ, არც საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდება.

– რასთან დაკავშირებით?

– რაღაც მინდა შემოგთავაზო, ანდრეი. კარგი წინადადებაა. მე მგონი ეჭვი არ გეპარება, ერთი-ორი საჭირო სიტყვა თუ ჩავაწვეთე, იმ ჩემს მეგობარს მართლა ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია... ხვდები ალბათ, რასაც ვგულისხმობ. იმდენი ვიცი მასზე, პირი თუ მოვაღე. კედელთან მიყენება არ აცდება. ახლა შენც იგივე თამაშს თამაშობ და როგორც ვხედავ, მშვენივრადაც გამოგდის. მოკლედ, იმედია ერთმანეთის გვესმის... ამიტომ, ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ გეტყვი: დარწმუნებული ვარ, თავადაც იცი რომ პარტიაში შენი მდგომარეობა გვარიანადაა შერყეული. ეს ისე, მსუბუქად რომ ვთქვათ... ამ საღამოს წარმოთქმული სიტყვის მერე კი... მოკლედ, ახალი პარტიული წმენდის შემთხვევაში, ცუდ დღეში აღმოჩნდები.

– ვიცი.

– ალბათ, გარიცხვა არ აგცდება.

– ეგეც ვიცი.

– რას იტყვი, გარიგება რომ შემოგთავაზო? ამ საქმეს შეეშვი და მე ვიზრუნებ, რომ არათუ პარტბილეთი შეგინარჩუნონ, მაღალ თანამდებობასაც გამოკრა ხელი გპუ-ში. ხელფასიც სათანადო გექნება... ხელი ხელს ბანს და ორივე კი პირს, ხომ გაგიგია? ზედმეტი შეკითხვები არავის გაუჩნდება და ნაწყენიც არავინ დარჩება. ყველას ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს გასავლელი და არ ჯობია, ერთმანეთს ხელი შევაშველოთ? აბა, რას იტყვი?

– რატომ გგონია, რომ პარტიაში დარჩენა მინდა? – ანდრეი!

– ნურც მომდევნო წმენდისას ჩემი დახმარებით შეიწუხებ თავს.

გამრიცხავენ, დამხვრეტენ თუ სულაც, საბარგო მანქანით გადამივლიან, ეგ შენ არ გეხება. ეგ ჩემთვის სულ ერთია. ოღონდ ლეო კოვალენსკის არავინ ახლოს ხელი. აი, მაგაზე კი მოგიწევს ზრუნვა. ისევე უნდა გაუფრთხილდე, როგორც საკუთარ შვილს. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა დამემართოს, მე კი არა, დღეიდან შენ იქნები მისი მფარველი ანგელოზი.

– კი მაგრამ ანდრეი, – ამოიგმინა სეროვმა.

– ვინაა შენთვის ის ოხერი არისტოკრატი?

– მაგ კითხვას ერთხელ უკვე გავეცი პასუხი.

სეროვი ნელ-ნელა წამოდგა, ბოლოჯერ მოიკრიბა ძალა და ბოლოჯერ გაიბრძოლა სასოწარკვეთილმა:

– მისმინე, ანდრეი! რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი. მეგონა, თავადაც იცოდი, მაგრამ ახლა ვხდები, რომ მეშლებოდა... დამშვიდდი და ისე მომისმინე, პირველივე სიტყვაზე ყელში ნუ მეცემი. ვიცი, ამ სახელისა და გვარის ხსენება ძალიანაც არ გინდა, მაგრამ მაინც უნდა ვახსენო. კირა არგუნოვაზე გეუბნები.

– და რა მერე?

– ჩვენ ხომ კაცურად ვლაპარაკობთ ერთმანეთში? მე მგონი, ასეა. ჰოდა, მაშინ ბოლომდე მომისმინე. შენ ეგ ქალი გიყვარს და წელიწადზე მეტია, უჩუმრად ხვდები... მაცალე, ბოლომდე მათქმევინე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ის ლეო კოვალენსკის საყვარელიც იყო, ერთად ცხოვრობდნენ... დაიცა, მარტო ჩემს სიტყვას თუ არ ენდობი, გადაამოწმე და თავად დარწმუნდები...

– რა უნდა გადავამოწმო? ეგ ისედაც ვიცი.

– რაა?! – პირი დააღო პაველ სეროვმა.

გაშტერებული იდგა, ნელ-ნელა ირწეოდა წინ და უკან, ანდრეის არ აშორებდა თვალს. მერე ჩაეცინა:

– აბა რა, უნდა მივმხვდარიყავი...

– პალტო ჩაიცვი, – უთხრა ანდრეიმ და წამოდგა.

– მართლა უნდა მივმხვდარიყავი, რატომ შეიძლებოდა წასულიყო შანტაჟზე შენისთანა მართლმორწმუნე კომუნისტი! – ჩაიცინა სეროვმა.

– რა სულელი ხარ! საცოდავი, უჭკუო და თან, თავმომწონე სულელი! მაშ, ასეთი კეთილშობილური თამაში წამოიწყე? ადრევე უნდა მცოდნოდა, რომ გმირობა და დიდსულოვნება ისეთი ავადმყოფობაა, რაც არასოდეს იკურნება! გეყო რა, ანდრეი – ჭკუა თუ არა, თავმოყვარეობა მაინც აღარ შეგრჩა?

– გვეყო ამდენი ლაპარაკი, – თქვა ანდრეიმ.

– როგორც ჩანს, ძალიან ბევრი გცოდნია ჩემზე... მაშინ ისიც უნდა იცოდე, რომ მე გადაწყვეტილებას არ ვიცვლი ხოლმე.

პაველ სეროვმა პალტო ჩამოხსნა საკიდიდან, აუჩქარებლად ჩაიცვა. უფერულ ტუჩებზე კვლავაც დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

– აბა შენ იცი, კეთილშობილო შანტაჟისტო! – ერთხელაც წაკბინა ანდრეის.

– ამჯერად შენ გაიმარჯვე და არც აზრი არა აქვს შურისძიებით დაგემუქრო. შენნაირები ჩემნაირების დაუხმარებლადაც მიიღებენ საკადრისს. დიდი-დიდი, ერთ წელიწადში მთელი ეს პატარა გაუგებრობა დავიწყებას მიეცემა, მე საბჭოთა კავშირის რკინიგზის ერთ-ერთი თავკაცი გავხდები და ჩემ შვილსაც საუკეთესო საფენ-სახვევებს არ მოვაკლებ... შენ კი შეჭამანდის რიგში იდგები და ეგებ მოგიწიოს კიდეც რიგმა... ერთადერთ ნუგეშად ისღა გექნება, რომ შენს საყვარელ ქალს სხვა... თანაც შენთვის ყველაზე საძულველი კაცი...

– კარგი, მოვრჩეთ ახლა, – თქვა ანდრეიმ.

– წარმატებას გისურვებ, ამხანაგო სეროვ.

– მეც ასევე, ამხანაგო ტაგანოვ.

* * *

კირა იატაკზე იჯდა, ირგვლივ მობნეულ ლეოს საცვლებს ბოჭავდა და ისევ უჯრებში ინახავდა. მისი კაბები ჯერაც ერთ გროვად ეყარა გამოღებული კარადის წინ, როცა დგებოდა და ოთახში მიდი-მოდიოდა, ფეხქვეშ ქაღალდის ფურცლები უშრიალებდა. გაფატრული ბალიშებიდან ამოყრილი ბუმბული ჰაერში ფანტელებად იფანტებოდა და ავეჯზე ეფინებოდა.

უკვე ორი კვირა იქნებოდა, კირა სახლიდან არ გასულიყო. წარმოდგენა აღარ ჰქონდა, რა ხდებოდა სამყაროში, ამ ოთახის კედლებს მიღმა. ერთხელ გალინა პეტროვნამ დაურეკა და მოთქმა-გოდებას მოჰყვა. კირამ სთხოვა, დამშვიდდი და ძალიან გთხოვ, ჩემთანაც ნუ მოხვალო. გალინა პეტროვნა ასეც მოიქცა.

– რაც შეეხება ლავროვებს, იმათ დაასკვნეს, რომ მათი მეზობელი ძალიანაც არ განიცდიდა თავს დატეხილ უბედურებას, რადგან არც მისი ტირილის ხმა გაუგონიათ და ვერც ვერაფერს უცნაურს ვერ ატყობდნენ. ერთადერთი, რაც თვალში მოხვდათ, ის იყო რომ კირა თითქოს უფრო ზანტად მოძრაობდა, კიდურებიც გახევებოდა და გაჭირვებით, დიდი ძალდატანების ფასად ადგამდა ნაბიჯებს. მზერაც ერთ წერტილში გაშტერებოდა და მისი სხვაგან გადატანაც ისევე უჭირდა, როგორც ბავშვს ქვიშით გატენილი, მძიმე ტომრის ადგილიდან დაძვრა.

– ახლა იატაკზე იჯდა და გულდაგულ კეცავდა ლეოს პერანგებს. მერე ფრთხილად აბინავებდა მათ კარადის უჯრაში. ერთ-ერთ მათგანზე ლეოს სახელისა და გვარის პირველი ასოები ამოექარგათ. კირა ამ ნაქარგს მიაჩერდა და კარგა ხანს აღარც განძრეულა. მაშინაც არ აუწევია თავი, როცა გაიგონა, როგორ გაიღო ოთახის კარი.

– შინ ხარ, კირა? – მოესმა ხმა.

მკვეთრად გადაქანდა უკან, გამოღებულ უჯრას მიეჯახა და ისიც ხმაურით მიიკეტა. ზემოდან ლეო დასცქეროდა. ტუჩები მოღრეცო-

და, ოღონდ ამას არანაირად არ ეთქმოდა ღიმილი. ერთიანად გადაფითრებოდა ტუჩებიცა და სახეც. თვალებქვეშ მკვეთრად ეტყობოდა ლურჯი ლაქები, თითქოს მოყვარულ მსახიობს თავისი ხელით გაუკეთებია გრიმიო.

– კირა... გთხოვ, ისტერიკა არ გინდა...

– თქვა მოღლილი ხმით.

კირა ნელ-ნელა წამოიმართა. მკლავები უმწეოდ ჩამოყროდა. გაოგნებული იდგა. მერე თითებით მარჯვენა საფეთქელზე ჩამოშლილი თმა გადაიწია. თითქოს თვალებს ვერ უჯერებდა და ლეოსკენ ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ გაებედა.

– ლეო... ლეო... შენ რა, გაგანთავისუფლეს?! – კი, ეგრეა. გამანთავისუფლეს. გამომიშვეს, გამომაპანღურეს.

– მოიცა... კი მაგრამ, რანაირად...

– აბა რა გითხრა. მეგონა, ეგ შენ უფრო გეცოდინებოდა. კირა ახლა უკვე ტუჩებს, მოღეღილ კისერს, ხელისგულებსა და თითებს უკოცნიდა. ლეომ თმაზე გადაუსვა ხელი, გულგრილად მოათვალიერა არეულ-დარეული ოთახი.

– ლეო...

– ჩურჩულით ამოთქვა კირამ და კაცის ჩამკვდარ თვალებს ჩააცქერდა.

– რა გიქნეს...

– არაფერი.

– ხომ არ... გამიგია, ზოგჯერ...

– არა, არ ვუწამებივართ. მითხრეს, სამაგისოდ ცალკე ოთახი გვაქვსო, ოღონდ მაგის პირადად ნახვის პატივი არ მრგებია. მშვენიერი საკანი გამომიყვეს, მარტო ვიყავი და დღეში სამჯერაც მაჭმევდნენ, ოღონდ წვნიანი არაფრად უვარგოდათ. ორი დღე ვიჯექი იქ და სულ იმას ვფიქრობდი, დასახვრეტად კედელთან მიყენებულს, უკანასკნელ სიტყვად რა მეთქვა... მოკლედ, მშვენივრად გავატარე დრო.

კირამ პალტო გახადა, სავარძელში ჩასვა, თვითონაც მის წინ ჩაიმუხლა და ახლა კალოშების წაძრობა დაუპირა. მერე წამით ლეოს მუხლებს მიადო თავი, თუმცა მაშინვე მოწყვეტით წამოიღო უკან, კიდევ უფრო დაუხარა სახე, თითქოს დაუმალა და აკანკალებული თითებით, ფეხსაცმლის გახსნილი ზონარი შეუკრა.

– სუფთა საცვლები დაგვრჩა? – იკითხა ლეომ.

– კი, ახლავე... ოღონდ ლეო, უნდა ვიცოდე... არაფერი გითქვამს...

– რა არის სალაპარაკო? მე მგონი, მორჩა ყველაფერი, საქმე დაიხურა. მითხრეს, მესამედ გპუ-ში აღარ დაგინახოთო.

– მერე შედარებით უფრო აგდებული კილოთი დაამატა:

– ასე მგონია, ჩემს განთავისუფლებაში შენი მეგობარი ტაგანოვის ხელი უნდა ერიოს.

– ის...

– არაფერი გითხოვია მისთვის? – არა, – თქვა კირამ და წამოდგა.

– არაფერი არ მითხოვია.

– ავეჯი სულ დალეწეს? საწოლიც აღარ დაგვიტოვეს?

– ვინ... ა-ა, ჩხრეკისას? არა. უფრო სწორად, კი... მოიცა ლეო, შენ რა...

– კირამ უცებ ისეთი ხმით უყვირა, ლეო შეცბა და გაკვირვებულმა ამოხედა.

– სულ არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? – მაინც რა გინდა რომ გითხრა? – კი მაგრამ... ჩემი ნახვა არ გიხარია?

– როგორ არა. მშვენივრად გამოიყურები. ოღონდ თმა გაქვს დასავარცხნი.

– თუ ფიქრობდი ჩემზე... იქ? – არა.

– სულ არა?

– არა. რატომ უნდა მეფიქრა? გულზე მომეშვებოდა თუ რა? – ლეო... გიყვარვარ?

– ეგ რა შეკითხვაა... ასეთ დროს. შენც ჩვეულებრივ ქალს ემსგავსები, კირა. არ გიხდება.

– მაპატიე, საყვარელო. თვითონაც ვხვდები, რა სულელურად ვიქცევი. არ ვიცი, ამას რატომ გეკითხები... დაღლილი იქნები. ახლავე სუფთა საცვლებსაც მოგცემ და მაგიდასაც გავშლი. ალბათ, ჯერ არც გისადილია, არა?

– არა, მაგრამ ჭამა არ მინდა. დასალევი გვაქვს რამე სახლში?

– ლეო... არ მითხრა ახლა, ისევ...

– თავი გამანებე, კარგი? ძალიან გთხოვ, შემეშვი. სადმე თუ წახვალ, კარგს იზამ. მშობლებთან ან კიდევ სადმე...

– ლეო! – კირა დაზაფრული იდგა, თმაზე წაევლო ორივე ხელი და გაოცებული მიჩერებოდა ლეოს.

– რა გიქნეს ასეთი?

ლეოს თავი უკან გადაეგდო და კირა ხედავდა, როგორ უცახცახებდა ყელისა და ნიკაპის თეთრი სამკუთხედი. მერე ლეო ჩუმად, მშვიდად, თვალდახუჭული ალაპარაკდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა:

– არაფერი. ვერც ვერავინ ვეღარაფერს მიზამს უკვე... ვეღარავინ. ვერც შენ, ვერც ვინმე სხვა. ტკივილის მიყენება შენს გარდა ისედაც აღარავის შეეძლო ჩემთვის და ახლა უკვე შენც ვეღარ მომაყენებ.

– ლეო! – კირამ ლეოს მოღლილი, გაფითრებული სახე გულზე მიიხუტა, მერე კი მთელი ძალით, გამწარებით გადააქნევინა თავი აქეთ-იქით.

– ლეო! ასე არ შეიძლება, ლეო!

ლეომ ხელები დაუჭირა და ძალით გააშვებინა.

– მიწაზე აღარ უნდა დაეშვა? რა გინდა საერთოდ? სიცოცხლის სადიდებელი გიმღერო და გპუ-ს საპყრობილეში შეძენილი გამოცდილება გაგიზიარო? იმის გეშინია, რომ გამტეხეს? დამამარცხეს? გინ-

და რაღაც ისეთი შევინარჩუნო, რაც ამ ჭაობში ჩათრევისაგან დამიცავს? ტანჯვით გინდა გამაკაჟო? იცი, შენ დიდ სიკეთეს იჩენ ჩემს მიმართ, ალბათ იმიტომ, ასე ძლიერ რომ გიყვარვარ, არა? მაგრამ არ გგონია, რომ უფრო მეტი სიკეთე იქნება, თუკი ჭაობში ჩახრჩობას დამაცდი? მაშინ მეც უფრო იოლად ავუწყობდი ფეხს დღევანდელობას და არც არაფერს ვიგრძნობდი, საერთოდ არაფერს, არასდროს...

კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით, – დაიძახა კირამ. ოთახში ანდრეი ტაგანოვი შემოვიდა.

– საღამო მშვიდობისა, კირა, – თქვა და ლეოს დანახვაზე, იქვე შედგა.

– საღამო მშვიდობის, ანდრეი, – მიესალმა კირაც.

ლეომ მძიმედ ასწია თავი, თვალებში ოდნავ შესამჩნევი გაკვირვება გაუკრთა.

– საღამო მშვიდობის, – ახლა უკვე ლეოს მიმართა ანდრეიმ – არ ვიცოდი, თუ უკვე გაგათავისუფლეს.

– კი, გამომიშვეს. მეგონა, თქვენ მაინც გეცოდინებოდათ ეგ ამბავი.

– ცოდნით ვიცოდი... უბრალოდ, ასე მალე არ ველოდი. მოულოდნელი სტუმრობისთვის ბოდიშს გიხდით. ვიცი, ახლა მარტო დარჩენა გინდათ.

– ეგ არაფერი, ანდრეი! – უხრა კირამ.

– დაბრძანდი.

– რაღაც მაქვს სათქმელი, კირა...

– ანდრეი ისევ ლეოს მიუბრუნდა.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ცოტა ხნით კირა რომ გამომყვეს?

– რა თქმა უნდა ვიქნები, – დინჯად მიუგო ლეომ.

– ჩემგან გაქვს რამე დასამალი?

– ლეო! – ლამის წამოიკივლა კირამ. მერე კი უფრო მშვიდად დაამატა, თუმცა ხმა მაინც უთრთოდა.

– წავიდეთ, ანდრეი.

– არა, – მშვიდად მიუგო ანდრეიმ და სკამზე ჩამოჯდა.

– კაცმა რომ თქვას, ეს მართლა არ არის აუცილებელი. დასამალი არაფერია, – მიუბრუნდა ლეოს.

– მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა... მოკლედ, ჩემგან დავალებულად ნუ იგრძნობ-მეთქი თავს, მაგრამ ალბათ უკეთესია, ამას თქვენც თუ მოისმენთ. დაჯექი, კირა. ყველაფერი კარგადაა. გპუდან ლეოს გათავისუფლებაზე მინდა დაგელაპარაკოთ.

ლეო უხმოდ, დაჟინებით მიჩერებოდა, სავარძელში წინ წახრილი. კირა ჯერ ისევ ფეხზე იდგა, მხრებჩამოცვენილი, ხელები კი ისე დაეკრიფა ზურგსუკან, თითქოს ბორკილები ადევსო. თვალი თვალში გაუყარა ანდრეის და იმანაც ალალი, მშვიდი მზერა შეაგება.

– დაჯექი, კირა, – ერთხელ კიდევ გაუმეორა ანდრეიმ. ისიც დაემორჩილა.

– არის რაღაც, რაც ორივემ უნდა იცოდეთ, – წამოიწყო ანდრეიმ.

– უფრო მშვიდად რომ იგრძნოთ თავი. აქამდე ვერ გეტყოდი, კირა – დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ჩემი გეგმა გაამართლებდა. ახლა დარწმუნებული ვარ. იმედია იცი, სინამდვილეში ვინ დგას ამ გათავისუფლების უკან? რა თქმა უნდა, პაველ სეროვი. ახლა მინდა იცოდეთ, ის რამ აიძულა ასე მოქცეულიყო. შეიძლება, ამის ცოდნა ოდესმე დაგჭირდეთ კიდეც.

– რა თქმა უნდა, თქვენ აიძულეთ. რა, ასე არაა? – იკითხა ლეომ და მის ხმაში ახლა ერთგვარი მტრული კილოც გამოერია.

– ლეო, ძალიან გთხოვ, გაჩერდი! – თქვა კირამ და სახე გვერდზე მიაბრუნა, ლეოს დაჟინებულ მზერას მოარიდა.

– ერთმა წერილმა, – მშვიდად გააგრძელა სათქმელი ანდრეიმ.

– მისივე ხელით დაწერილმა და თქვენც იცით, რას ეხებოდა ის წერილი. მერე ერთმა ადამიანმა წერილი მე გადმომიგზავნა. ოღონდ

სეროვს გავლენიანი მეგობრები ჰყავს და ამან გადაარჩინა. ოღონდ მამაცი ადამიანი ნამდვლად არ ეთქმის და ამან უკვე თქვენი გადარჩენა განაპირობა. წერილი თავის დროზე გაანადგურეს, მაგრამ მე სეროვს ვუთხარი, ფოტოასლები მაქვს, რომლებიც ჩემს მეგობრებთან ინახება და თუ კოვალენსკის არ გაათავისუფლებენ, მოსკოვში გადააგზავნიან-მეთქი. მოკლედ, საქმე დახურულია. არა მგონია, როდისმე კვლავ შეგაწუხონ, მაგრამ მინდოდა ეს მაინც გცოდნოდათ, თუკი ისევ საჭირო გახდა სერვზე ზეგავლენის მოხდენა. იფიქროს, რომ ასლების ამბავი თქვენთვისაც ცნობილია და ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ საიმედო ხელში ინახება. თუ სეროვი რამეს თქვენს საწინააღმდეგოს დააპირებს, ეგონოს რომ ასლებიც მაშინვე მოსკოვში აღმოჩნდება... ესაა და ეს. არა მგონია, როდისმე მივიდეს აქამდე საქმე, ოღონდ ჩვენს დროში ამგვარი მეხამრიდი მაინც ძალიან საჭიროა. მით უმეტეს, თქვენნაირი წარმომავლობის ადამიანისთვის.

– და... ფოტოასლები? – ჩურჩულით იკითხა კირამ.

– სინამდვილეში, სად ინახება?

– არავითარი ფოტოასლები არ არსებობს, – მიუგო ანდრეიმ.

ქუჩაში სატვირთო მანქანამ გაიარა. ოთახის სიჩუმეში ფანჯრის შუშების ზრიალის ხმა გაისმა.

ანდრეიმ კირას მზერა დაიჭირა, თუმცა მაშინვე აარიდეს ერთმანეთს თვალი, რადგან ლეოც მათკენ იცქირებოდა.

დუმილი პირველმა სწორედ ლეომ დაარღვია. წამოდგა, ანდრეის მიუახლოვდა, წინ აესვეტა და ზემოდან დახედა სკამზე მჯდომს.

– ალბათ, მადლობა უნდა გადაგიხადოთ, – თქვა მერე.

– ჩათვალეთ, რომ მართლა მადლიერი ვარ, ოღონდ იმას მაინც ვერ გეტყვით, სულითა და გულით გიხდით მადლობას-მეთქი, რადგან სულისა და გულის სიღრმეშიც ვისურვებდი იქ დაგეტოვებინეთ, სადაც ვიყავი.

– ეგ რატომ? – ქვემოდან ახედა ანდრეიმ.

– როგორ გგონიათ, ლაზარე მართლა მადლობელი დაგრჩებოდა ქრისტეს, მკვდრეთით რომ აღადგინა? ალბათ იმდენადვე, რამდენადაც მე ვარ თქვენი მადლიერი...

ანდრეი ახლა უფრო დაკვირვებით მიაჩერდა ლეოს. სახეც გაუმკაცრდა და მისი ნათქვამი მუქარასავით გაისმა:

– ეცადეთ, თავს მოერიოთ. თქვენ სიცოცხლისთვის ძალიან ბევრი მიზეზი გაქვთ.

პასუხად, ლეომ უსიტყვოდ აიჩეჩა მხრები.

– ის მაღაზია უნდა დაკეტოთ, – გააგრძელა ანდრეიმ.

– სხვა სამსახურის მოძებნა სცადეთ. სასურველია, რამე თვალში საცემი არ იყოს. ეს ამბავი არ მოგეწონებათ, მაგრამ როგორმე უნდა შეეგუოთ.

– ვეცდები, თუ მოვახერხე.

– უნდა მოახერხოთ.

– ვალდებული ვარ? – იკითხა ლეომ და კირამ შეამჩნია, როგორ ჯიქურ მიჩერებოდა ის ახლა ანდრეის თვალებში.

– ანდრეი, რატომ მოგინდა ჩემთან სეროვის წერილზე ლაპარაკი?

– ჰკითხა კირამ.

– მინდოდა გცოდნოდათ... ყოველი შემთხვევისთვის. თუ მე რამე დამემართა...

– და რა უნდა დაგემართოს? – არაფერი... ისეთი არაფერი. მერე წამოდგა და დაამატა: – გარდა იმისა, რომ სავარაუდოდ, პარტიიდან გამრიცხავენ.

– ეგ ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს შენთვის, ეგ შენი პარტია...

– კი, ასეა.

– მერე, ასე მშვიდად ლაპარაკობ მაგაზე? როცა რაღაც ისეთს კარგავ, რაც შენთვის ამდენს ნიშნავს...

– მისდამი ჩემი დამოკიდებულება მაგით არ შეიცვლება.

– აბა, ისინი შეგძულდება, ვინც პარტიიდან გაგრიცხავს? – არ შემძულდება.

– და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება აპატიო კიდეც?

– მართალი გითხრა, საპატიებელიც არაფერი მაქვს, რადგან პირიქით, ბევრი რამისთვის მადლობაც კი მაქვს სათქმელი იმისთვის, რაც ადრე მოხდა, როცა ჯერ კიდევ პარტიის რიგებში ვირიცხებოდი. არც ის მინდა ეგონოთ, უსამართლოდ მოვექეცითო, არც ის იფიქრონ, – თითქოს ვინმეს რამეში ვადანაშაულებდე. ოღონდ არც მე ვეტყვი ღიად – მესმის, ასე რატომ იქცევთ-მეთქი. თუმცა, კარგი იქნებოდა სცოდნოდათ.

– იქნებ შეწუხდნენ კიდეც, თუმცა იმის უფლება კი აღარ ექნებათ, აქეთ მოგკითხონ რამე... ანდა მათივე ხელით დანგრეული შენი ცხოვრება განიკითხონ.

– სხვათა შორის, როცა გამრიცხავენ, თუ ერთი სიტყვის თქმის უფლება მაინც მომეცა, აუცილებლად ვთხოვ, ჩემს გამო არ იდარდოთ-მეთქი... ეს შემთხვევაც პარტიის მატიანეში, გამოუსწორებელ კატასტროფად კი არა, ერთ უსიამოვნო მოგონებად დარჩება და ასე იქნება პირადად ჩემთვისაც.

– მე მგონი, თუკი ასე ეტყოდი, მაგ თხოვნას შეგისრულებდნენ...

– მაშინ, მეც მადლობას ვეტყოდი... თუკი საამისო ძალას კიდევ გამოვნახავდი. ანდრეი მოტრიალდა და მაგიდაზე თავის ქუდს დასწვდა.

– აბა, ახლა უნდა წავიდე... ჰო, და აი კიდევ რა: მოროზოვს ერიდეთ.

– თქვა და ქურთუკი შეიკრა.

– ვიცი, ქალაქიდან მიემგზავრება, მაგრამ ხომ დაბრუნდება? მერე უთუოდ რამე ახალ საქმეს წამოიწყებს. ფრთხილად იყავით. ეგ ისეთი ვინმეა, თვითონ ყოველთვის ყველაფრიდან გამოძვრება, შარში კი თქვენ გაგხვევთ.

– კიდევ გნახავთ, ანდრეი? – ჰკითხა კირამ.

– რა თქმა უნდა. მართალია, ცოტა ხანს დაკავებული ვიქნები, მაგრამ მერე აუცილებლად გამოვჩნდები. აბა, კარგად მენახეთ.

– ნახვამდის, ანდრეი.

– ერთი წუთით, – თქვა უცებ ლეომ.

– რაღაც მინდა გკითხოთ.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ანდრეის მიუახლოვდა; წინ გაუჩერდა და ნელა, ლამის დამარცვლით ჰკითხა:

– მაინც, რატომ გააკეთეთ ეს ყველაფერი? ვინაა კირა თქვენთვის? ანდრეიმ კირას გახედა. ის უხმოდ, წელგამართული იდგა და კაცებს მიჩერებოდა. აშკარად ეტყობოდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთლიანად ანდრეისთვის მიენდო. ანდრეი კვლავ ლეოს შეაცქერდა და უთხრა:

– უბრალოდ, მეგობარია.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – ესღა უთხრა ლეომ.

ჯერ მათი ოთახის კარი დაიკეტა, მერე უკვე ლავროვებისაც, ბოლოს კი ჩამოწოლილ მდუმარებაში, წინკარიდანაც მოისმა შემოსასვლელი კარის გაღებისა და დახურვის ხმა. უცებ, კირა ადგილს მოსწყდა. ლეომ მისი სახის დანახვაც ვერ მოასწრო, მხოლოდ ხმა გაიგონა, რაც არც გმინვას ჰგავდა და ბოლომდე არც ყვირილს. კირა თავქუდმოგლეჯილი გავარდა ოთახიდან და კარიც ისეთი ძალით გაიჯახუნა, ბროლის ჭაღი საწყალობლად აწკრიალდა.

კიბე ჩაირბინა და ქუჩაში აღმოჩნდა. გარეთ თოვდა. ცივმა ჰაერმა ორთქლის ჭავლივით დაუთუთქა შიშველი ყელ-კისერი. შინიდან მხოლოდ თხელძირიან, საშინაო ფეხსაცმელით გამოქცეულს, ტერფებიც უცებვე გაეთოშა. მალევე მოჰკრა თვალი ანდრეის აწოწილ ტანს, მაშინვე ხმამაღლა დაუძახა და უკან დაედევნა.

ანდრეი მოტრიალდა, გაოცებულმა გამოხედა: – კირა! ამ თოვლში უპალტოოდ როგორ გამოხვედი?! მკლავში წაატანა ხელი და უკან, სახლისკენ წაიყვანა.

– ახლავე დაბრუნდი შინ! – უბრძანა მკაცრად, როგორც კი ნახევრად ბნელ სადარბაზოში ამოყვეს თავი.

– ანდრეი...

– რაღაცის თქმა დააპირა კირამ.

– მე... მე...

ქუჩის გადაღმა მდგარი ლამპიონის შუქზე კირა ანდრეის კეთილად მომღიმარ სახეს ხედავდა, მისი ხელი კი ნაზად აცლიდა თმიდან სველი თოვლის ფანტელებს.

– კირა, იქნებ ასე უკეთესიც იყოს...

– ჩურჩულით უთხრა ანდრეიმ.

– თუ ერთმანეთს არაფერს ვეტყვით და... დუმილს მივენდობით. მით უფრო, თუკი ისედაც გვეცოდინება ერთმანეთის სათქმელი, თუ კვლავაც ამდენი რამ გვექნება საერთო.

– მართალი ხარ, ანდრეი...

– ჩურჩულითვე მიუგო კირამ.

– ჩემზე არ იდარდო. ხომ გახსოვს, დამპირდი კიდეც. ახლა კი დაბრუნდი, თორემ გაცივდები.

კირამ ხელი ასწია, ოდნავ შეეხო ლოყაზე თითით და ნელ-ნელა, გაუბედავად ჩამოუსვა ნაიარევი საფეთქლიდან ნიკაპამდე, თითქოს მისი მთრთოლვარე თითისწვერი ეტყოდა ანდრეის რაღაც ისეთს, რისი ხმამაღლა გამოთქმა კირას ვერ გაებედა. ანდრეიმ ხელის მტევანზე წაავლო ხელი, ტუჩებთან მიიტანა და კარგა ხანს აღარ გაუშვია. სადღაც, ქუჩაში, მანქანამ გაიარა. მისმა გამონაშუქმა ჯერ ორივეს გადაუარა სახეზე, მერე კედელიც ალოკა და გაქრა. ანდრეიმ კირას ხელი უშვა. ისიც შეტრიალდა და ფეხათრეული აუყვა კიბის საფეხურებს. ესმოდა, როგორ გაიღო და როგორ დაიხურა სადარბაზოს კარი. ოღონდ უკან მაინც აღარ მიუხედავს.

ოთახში რომ დაბრუნდა, ლეო ტელეფონზე ლაპარაკობდა:

– ჰო, ახლახანს გამომიშვეს. მოგიყვები ყველაფერს. აბა რა, ახლავე წამოდი... ოღონდ რამე გამოაყოლე ხელს, წვეთი დასალევი არა მაქვს სახლში.

* * *

ანდრეი ტაგანოვი გპუ-დან სხვა სამსახურში გადაიყვანეს – ლენინგრადის გარეუბან ლესნოეში, დიასახლისთა წრის ლენინის კუთხეში ბიბლიოთეკარად გაამწესეს.

თავად ეს წრე ყოფილ ეკლესიაში იყო გახსნილი. ხის ძველ შენობას ფარღალალა კედლები ჰქონდა და ქარის ყოველ დაბერვაზე, ჭყეტელა პლაკატებს სულ შარი-შური გაუდიოდა. ჩამოსაქცევად გამზადებულ ჭერს ერთი გვერდზე გადახრილი, შეუღებავი ხისავე ბოძი აკავებდა; ნატეხ-ნატეხ შუშაშერჩენილი ფანჯარა ფიცრით აეჭედათ. იქაურობას კი ერთი, უღმერთოდ მხრჩოლავი „ბურჟუიკა" ათბობდა. ადრინდელი საკურთხევლის თავზე ახლა წითელი ჩითის დროშა ეკიდა, კედლებზე კი ჟურნალებიდან ამოჭრილი, ლენინის უჩარჩოებო სურათები: „ლენინი ბავშვობაში", „ლენინი პეტროგრადის საბჭოების ყრილობაზე", „ქუდიანი ლენინი", „უქუდო ლენინი", „ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე", „ლენინი კუბოში"... თაროებზე რბილყდიანი წიგნები ელაგა და იქვე მოჩანდა პლაკატიც: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! " ლენინის თაბაშირის ბიუსტს კი ნიკაპზე მიმხმარი წებოს კვალი აჩნდა.

ანდრეი ტაგანოვი ცდილობდა, სულით არ გატეხილიყო.

საღამოს ხუთ საათზე, როცა მაღაზიის ვიტრინებიდან თეთრ თოვლზე ყვითელ ოთხკუთხედებად ეფინებოდა შუქი და ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებშიც ფერად მძივებივით აკიაფდებოდა ტრამვაის სინათლეები, ანდრეი ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან გამოდიოდა და ლესნოეში მიემგზავრებოდა. ხალხით სავსე ტრამვაის ფანჯარასთან მიმჯდარი, ნაუცბათევად წაიხემსებდა ხოლმე პურითა და ყველით, რადგან სადილობის დრო, როგორც წესი, არასოდეს რჩებოდა. მერე, ექვსიდან ცხრამდე, მარტოდმარტო იჯდა იმ თავის ბიბლიოთეკაში და ხან კართოტეკას ადგენდა, ხან მოხეულ ყდას აწებებდა წიგნებს, ხან შეშას უკეთებდა „ბურჟუიკას", მტვერს წმენდდა თაროებიდან და როცა ნაბდის დათოვლილი ჩექმების ბრაგაბრუგით

ვინმე ჩაფუთნული დედაკაცი შემოალაჯებდა, ყველას ერთნაირი ყურადღებით ეგებებოდა:

– საღამო მშვიდობისა, ამხანაგო! არა, ამჟამად „კომუნიზმის ანაბანა", სამწუხაროდ, გატანილია... განაცხადი დამიტოვეთ. დიახ, ნამდვილად კარგი წიგნია, ამხანაგო სამსონოვა, ჭკუისსასწავლებელი და უპირობოდ პროლეტარული... დიახ, ამხანაგო დანილოვა, პარტიული საბჭოც დაბეჯითებით ურჩევს თითოეულ შეგნებულ მუშას, პოლიტგანათლების კუთხით სწორედ ეს ნაშრომი გამოიყენოს სახელმძღვანელოდ. ამხანაგო, ძალიან გთხოვთ, შემდგომში ბიბლიოთეკის კუთვნილ წიგნში ნუღარაფერს ჩახატავთ... დიახ, ვიცი ამხანაგო, ეს ჩვენი ქურა დიდი ვერაფერი შვილია, სულ ასე ხრჩოლავს... არა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებთან დაკავშირებით არანაირი წიგნი არ გაგვაჩნია... დიახ, ამხანაგო სელივანოვა, ჩვენი დიდი ბელადის ნააზრევის ბოლომდე კარგად გასაგებად, ნამდვილად სასურველია, ამხანაგ ლენინის ყველა ნაშრომს გაეცნოთ... თუ არ შეწუხდებით, კარი დაკეტეთ, ამხანაგო... ძალიან ვწუხვარ ამხანაგო, მაგრამ აქ საპირფარეშო არ გვაქვს... არა, ჩვენთან მუსოლინის წიგნებს ვერ ნახავთ... სასიყვარულო რომანები არა გვაქვს, ამხანაგო ზიაბლოვა, ვერც კვირას კლუბში თქვენთან ერთად საცეკვაოდ წამოსვლას მოვახერხებ, ამხანაგო ზიაბლოვა... არა ამხანაგო, სამწუხაროდ, „კომუნიზმის ანაბანა" ჯერ არ დაუბრუნებიათ...

– გპუ-ს დერეფნებსა და კაბინეტებში კი თანამშრომლები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ – შემდეგი პარტიული წმენდის დროს, ამხანაგ ტაგანოვს კარგი არაფერი ელოდებაო.

ოღონდ ამხანაგ ტაგანოვს პარტიული წმენდა სულაც არ აშინებდა.

ერთ შაბათ საღამოს, ის რაიონის კოოპერატიული მაღაზიის წინ იდგა რიგში, თავისი წილი სურსათ-სანოვაგის ასაღებად. ირგვლივ ნავთისა და დამპალი ხახვის სუნი იდგა. დახლთან, რომელზეც ნაფ-

ის სანათი ხრჩოლავდა, კომბოსტოსმწნილიანი კასრი, გამხმარი ბოსტნეულით სავსე ტომარა, სელის ზეთიანი ბიდონი და ჟუკოვის საპნის მოიისფრო ნაჭრების გროვა მოჩანდა. ამ თითქმის ცარიელ, დიდ სათავსოში ერთ რიგად გამწკრივებულიყვნენ მყიდველები. მათ ერთადერთი ნოქარი ემსახურებოდა, რომელსაც თვალზე ჯიბლიბო გამოსვლოდა და ამიტომ, სახე ნამძინარევს მიუგავდა.

ანდრეის წინ რიგში ერთი ტანმორჩილი კაცი იდგა; ზურგზე, პალტოს გაქუცული საყელოს ცოტა ქვემოთ, მომწვანო ფერის ცხიმის ლაქა ემჩნეოდა. გამხდარი, გალეული, დანაოჭებული კისერი ჰქონდა, ადამის ვაშლი კი მთლად ქათმის ჩიჩახვს მიუგავდა. აღელვებული ათამაშებდა თითებში თავის ბარათს და კისერწაგრძელებული, შორიდანვე ცდილობდა დახლის შეთვალიერებას. თან ერთთავად ცხვირს აქსუტუნებდა – ეტყობა, გაციებული იყო და მალი-მალ იფხანდა იმ თავის ადამის ვაშლს.

მერე ანდრეის მიუბრუნდა და მეგობრულად გაუღიმა:

– პარტიული ხართ, ამხანაგო? – ჰკითხა და მოკრუნჩხული თითი ანდრეის ქურთუკის საყელოზე დაბნეულ წითელ ვარსკვლავს მიაშვირა.

– მეც პარტიული ვარ, ეჭვი არ შეგეპაროთ. აი, ჩემი ვარსკვლავიც... ისე, რა საშინელი სიცივეები დაიჭირა, არა? იმედია, ბოსტნეული ჩვენც გვეყოფა. სხვათა შორის, მშვენიერი წვნიანი „ჟულიენი" გამოდის ამ გამხმარი ბოსტნეულისგან! მართალია, ცოტა ხორციც არ აწყენდა, მაგრამ თუ გინდათ, ერთ პატარა ეშმაკობას გასწავლით: მთელი ღამით წყალში ჩაალბეთ, მერე კარგად წამოადუღეთ და როცა წვნიანი თითქმის მზად იქნება, ერთი სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი ჩაამატეთ – მეტი არც არის საჭირო. თავად ნახავთ, წვნიანი ზევიდან ცხიმის ზუსტად ისეთივე ბუშტებს მოიგდებს, გინდაც ხორცი მოგეხარშოთ! მე პირადად, ძალიან მიყვარს ასეთი წვნიანი. ისე, სანამ რიგი მოგვიწევს, იმედია ბოსტნეულს მთლიანად არ დაიტაცებენ... ეს ნოქარიც რა ნელა ირჯება! ოღონდ არ გეგონოთ,

ვწუწუნებდე... არა, რა თქმა უნდა, მაგიტომ არ ვამბობ, ამხანაგო.

– ისევ დახლისკენ გაექცა თვალი, ბარათიც ერთხელ კიდევ მოსინჯა თითებით, ზედ დარჩენილი ტალონები გადაითვალა, ადამის ვაშლი ერთხელ კიდევ მოიქექა და ჩურჩულით, თანამზრახველივით გააგრძელა ანდრეისთან საუბარი:

– მთავარია, ბოსტნეული გვერგოს... და კიდევ რას გეტყვით, იცით? ცუდი არ იქნებოდა, ყველა პროდუქტს ერთსა და იმავე მაღაზიაში რომ იძლეოდნენ. ძირითადად რაც გვჭირდება, აქ უნდა ველოდოთ ამოდენა რიგში, ხვალ კი, სულ ცოტა, ორი საათი მოგვიწევს პურის რიგში დგომა. ზეგ ნავთისთვისაც იგივე გველის და ასე შემდეგ... ოღონდ განა ვინმეს რამეს ვსაყვედურობ, ეგ არც იფიქროთ! ამბობენ, იმ კვირაში ღორის ქონი გამოჩნდებაო... აი, მაშინ გველის დღესასწაული, არა? მაგისთვის კი ღირს რიგში დგომა...

როცა ბოლოს და ბოლოს, ანდრეიც მიადგა დახლს, ნოქარმა კუთვნილი სურსათი გადმოულაგა, მერე კი გაღიზიანებულმა დახედა მის სასურსათო ბარათს და გაღიზიანებული აბუზღუნდა:

– ტალონი უკვე სანახევროდ მოხეულია...

– არ ვიცი, ეტყობა შემთხვევით მომივიდა, – მიუგო ანდრეიმ.

– ისე, რომ იცოდეთ, შემეძლო არც მიმეღო. წესი არაა. სადა მაქვს იმდენი დრო, ყველა ცალ-ცალკე გამოწმოთ, თან რაღას არ კადრულობს ხალხი! ყურადღება მიაქციეთ, იმ თვეში ყველაფერი წესრიგში გქონდეთ.

– იმ თვეში? – გაუკვირდა ანდრეის.

– ჰო, იმ თვეში და იმ წელიწადსაც, თუ არადა დარჩებით მშიერმწყურვალი... შემდეგი!

ანდრეი მაღაზიიდან გამოვიდა. ხელში თავისი წილი სურსათსანოვაგე ეჭირა: ერთი გირვანქა მჟავე კომბოსტო, ერთი გირვანქა სელის ზეთი, ერთი ნაჭერი საპონი და ორი გირვანქაც მიმჭკნარი ბოსტნეული – წვნიანისათვის.

აუჩქარებლად მიუყვებოდა ნავალი, დატკეპნილი თოვლით დაფარულ ქუჩას. თოვლი ფეხქვეშ ჭრაჭუნობდა და ქუჩის ლამპიონების ქვეშ, თეთრ წრეებში, მარილის ნამცვრევებივით ბრწყინავდა. ფერადფერადად დასთამაშებდა ზედ მაღაზიის ვიტრინებიდან დაღვრილი სუსტი შუქიც. გამჭვირვალე, სიფრიფანა ჭირხლით დაფარულ პლაკატზე, ჯანმაგარი, წითელპერანგა გოლიათს ამაყად მოეღერებინა მუშტი და იქადნებოდა:

„ჩვენ ახალ საზოგადოებას ავაშენებთ! "

ანდრეი თავდაჯერებული, გამოზომილი ნაბიჯით განაგრძობდა გზას. როგორც წესი, საბოლოო გადაწყვეტილებას როცა მიიღებდა ხოლმე, მუდამ ასეთი სიმშვიდე და თვითრწმენა ეუფლებოდა.

ოთახში რომ შევიდა, მაშინვე აანთო შუქი და ქაღალდის პარკებიც მაგიდაზე დაალაგა. ქუდი მოიხადა, ქურთუკიც გაიძრო და ორივე კუთხეში, კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე მიაკიდა. ხელის დუნე მოძრაობით გადაიწია შუბლზე ჩამოშლილი თმა. ბუხარში წითლად ვარვარებდა ნაკვერჩხალი. ანდრეიმ პიჯაკიც გაიხადა, პერანგის დაჭმუჭნული სახელოები აიკაპიწა.

დინჯად მოატარა ირგვლივ მზერა. იატაკზე რამდენიმე წიგნი შენიშნა: დასწვდა. წამოკრიფა და მაგიდაზე შემოაწყო. შუა ოთახში გაჩერებულმა, სიგარეტს მოუკიდა. ცალი ხელი უძოზე დაიბჯინა, აუჩქარებლად მიჰქონდა ტუჩებთან სწორ, გრძელ თითებშორის მომწყვდეული სიგარეტი, რომელიც ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე ტრაექტორიას ხაზავდა ჰაერში. ფერფლი პირდაპირ იატაკზე იბნეოდა.

თითებზე სიმხურვალე რომ იგრძნო და დაინახა, სიგარეტი უკვე ჩამწვარიყო, ნამწვი წკიპურტით შეაგდო ბუხარში და მაგიდასთან მივიდა. დაჯდა, სათითაოდ გამოაღო ყველა უჯრა და მათი შიგთავსი გულდასმით მოათვალიერა. მერე რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ერთმანეთზე დაალაგა იქვე.

ცოტა ხანში ისევ წამოდგა, ახლა ბუხართან მივიდა, ჩაიმუხლა,

ნაკვერჩხლებზე რამდენიმე მოჭმუჭნული გაზეთი დააგდო და იქამდე უბერა სული, ვიდრე ცეცხლის ენები ნარინჯისფრად არ აელვარდა. ცეცხლს შეშის კიდევ ორი ნაჭერიც შეუკეთა. იქამდე იდგა და მიჩერებოდა, ვიდრე შეშამ ტკაცატკუცი არ დაიწყო და თეთრი ბოლი არ აუშვა. ამის შემდეგ, კვლავ მაგიდასთან დაბრუნდა, ადრე ზედ დალაგებულ ფურცლებს დასწვდა და მათაც ბუხარში შეუძახა.

მერე იყო და, იმ ძველ ყუთებს დაუარა, ტანსაცმლის შესანახად რომ იყენებდა. იქ ზოგი ისეთი რამეც ეწყო, რაც არ უნდოდა რომ მის ოთახში ეპოვა ვინმეს. ასე მაგალითად, ქალის შავი, სატინის ხალათი, რომელიც დაუფიქრებლად შეაგდო ცეცხლში. დაინახა, ნელ-ნელა როგორ მოიჭმუჭნა ნაჭერი და წითელ, ელვარე ლაქებად იქცა; მერე კი ბოლის წვრილ ჭავლთან ერთად, მძიმე, მომწარო სუნიც აუშვა. მშვიდად, ერთგვარი გაოცებითაც მიჩერებოდა ამ სანახაობას.

ხალათის ბედი გაიზიარა შავმა ფლოსტებმა, მაქმანებიანმა ცხვირსახოცმა და ნაქსოვმა, თეთრღილებიანმა ჟაკეტმა. ოღონდ მისი ერთი სახელო ბუხრის ჩაშავებულ აგურებზე გადმოეკიდა. დაიხარა, ფრთხილად შეეხო და უკან, ცეცხლში შეაბრუნა.

მერე „ამერიკელი რეზიდენტიც“ მოიძია – შუშის პატარა სათამაშო, წითელ სითხეში მოტივტივე შავი ჭინკა. შეათვალიერა, ცოტათი შეყოყმანდა და ბოლოს ისიც მაინც ფრთხილად შეაგდო ცეცხლში. შუშა უცებვე გასკდა, მასში ჩასხმული სითხეც შიშინით გადმოიღვარა ნაკვერჩხლებზე, თავად ჭინკას ფიგურა კი ნაცარში ჩაიკარგა.

ჯერი სიფრიფანა ქსოვილის შავ ღამის პერანგზე მიდგა.

ბუხრის წინ გაქვავებულს, პერანგი ორივე ხელით ეჭირა, მსუბუქად ჭმუჭნიდა თითებში ამ თხელ ქსოვილს, კვამლივით უწონო რომ ეჩვენებოდა.

– ხელისგულებზე გადაფენილი პერანგი იმდენად გამჭვირვალე იყო, საკუთარი თითების მოძრაობასაც კი ხედავდა. ჩაიმუხლა და

პერანგიც ფრთხილად დააფინა ცეცხლზე. წამით წითლად ავარვარებული ნაღვერდალი ჩამუქდა, თითქოს მრუმე ფერმა გამიჯნა მთელი დანარჩენი სამყაროსგანო; მაგრამ უცებ, რაღაც უცნაური ქარის დაბერვაზე, თხელ ქსოვილს თრთოლვამ გადაუარა, ჯერ მისი კალთის კუთხე მოიჭმუჭნა, მერე კი მოცისფრო ალის წვრილმა ენამ გულისპირიც აულოკა.

ანდრეი წამოიმართა, ოღონდ ჯერ ისევ ცეცხლს არ აშორებდა თვალს. ხედავდა, როგორ დაიღვარა პერანგის შავი ქსოვილი ალმოდებულ, წითელ ძაფებად; შედგა, მოიჭმუჭნა და ბოლი აუშვა.

დიდხანს იდგა ასე, თვალს ვერ აშორებდა და მართალია, ამ შავ სამოსს უწინდელი გამჭვირვალობა უკვე დაეკარგა, მაგრამ ფორმას მაინც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა.

მერე ფრთხილად წაკრა ფეხის წვერი, ქსოვილიც ლამის შეხებამდე იქცა ნაცრად და ბუხრის ყელშიც პაწია შავი ფანტელები დაბზრიალდა.

– მაშინღა შეაქცია ზურგი ცეცხლს. ისევ მაგიდას მიუჯდა. ცალი ხელი ზედ ედო, მეორე კი მუხლზე. მისი ათივე გრძელი თითი ისე გაქვავებულიყო, გეგონებოდათ მარმარილოსგანაა გამოთლილიო. თაროზე ძველი მაღვიძარა საათი წიკწიკებდა. ანდრეის მოღუშულ სახეზე სრული სიმშვიდე ეწერა. თვალებიც მშვიდი ჰქონდა, ფიქრიანი, ოდნავ დარცხვენილიც კი...

შეტრიალდა, უჯრიდან ქაღალდის სუფთა ფურცელი ამოიღო და ზედ ასეთი სიტყვები დააწერა:

„ჩემს სიკვდილში არავის უდევს ბრალი. ანდრეი ტაგანოვი"

ერთადერთი ტყვია გავარდა და რადგან მარმარილოს გასიპული, მრავალსაფეხურიანი ჩაბნელებული კიბე თოვლში ჩაფლულ ეზოში გადიოდა, ამ გასროლის ხმას არავის ცნობისმოყვარეობა არ აღუძრავს.

XV

გაზეთ „პრავდას" პირველ გვერდზე, შავ ჩარჩოში ჩასმული ამგვარი შინაარსის განცხადება იყო დაბეჭდილი:

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება რევოლუციის გმირი მებრძოლის, წითელი არმიის ყოფილი ჯარისკაცის, 1915 წლიდან პარტიის წევრის, ამხ. ანდრეი ტაგანოვის გარდაცვალებას.

ამ განცხადების ქვეშ, ასევე შავ ჩარჩოში, მეორეც განეთავსებინათ: საკავშირო კომუნისტური პარტიის ლენინგრადის კომიტეტი მწუხარებით იუწყება ამხანაგ ანდრეი ტაგანოვის გარდაცვალების შესახებ. დაკრძალვა გაიმართება ხვალ, რევოლუციის მსხვერპლთა საძმო სასაფლაოზე.

გამოსვენება დილის ათ საათზე, სმოლნის შენობიდან. „პრავდის" მეწინავე წერილი კი ასე გამოეხმაურა მომხდარს:

„რევოლუციის კეთილშობილური საქმისათვის შეწირულ მსხვერპლთა ჩამონათვალს კიდევ ერთი სახელი შეემატა. ეგებ ბევრისათვის არცთუ კარგად ნაცნობი, მაგრამ ეს სახელი და გვარი ჩვენი პარტიის იმ უჩინარ გმირებს განეკუთვნება, რომლებიც საყოველთაო სიკეთის სამსახურში დგანან ყოველდღიურად. ამხ. ანდრეი ტაგანოვის სახით, ჩვენ უკანასკნელ პატივს მივაგებთ პროლეტარიატის არმიის საჩინო მებრძოლებს, ვისი ღვაწლიც არ უნდა დარჩეს დაუფასებელი. ამხ. ტაგანოვი გარდაიცვალა. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რაც სწორედ რომ თავდაუზოგავი შრომით გამოწვეულმა ნერვულმა აშლილობამ განაპირობა. მისი ჯანმრთელობა იმ მძიმე, დაუღალავმა გარჯამ შეარყია, რასაც პარტიის მიერ მისთვის დასახული მიზნების აღსრულება მოითხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანი შეგნებულად შეეწირა რევოლუციის საქმეს. მაგრამ სწორედ ამგვარი მსხვერპლის გასაღებადაა მზად ჩვენი პარ-

ტია, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების ხელისუფალთაგან განსხვავებით, პირად კეთილდღეობასა და სახელს კი არ დაეძებს, არამედ ნებაყოფლობით იღებს საკუთარ თავზე უმძიმეს, ყველაზე საპასუხისმგებლო ტვირთს – საერთო საქმის უანგარო მსახურებას. და თუკი ბრძოლისა და გასაჭირის ამ მძიმე ჟამს, რომელიმე ჩვენთაგანს სულის სიმტკიცე უმტყუნებს, სჯობს მაგალითისთვის ისევ და ისევ ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია დაისახოს, რომელიც თავდაუზოგავად, სიცოცხლის ფასადაც კი მიგვიძღვის ნათელი მომავლისაკენ! დაე, ამ პარტიული გმირის დაკრძალვა ბელადებისადმი პატივისცემის დადასტურების კიდევ ერთ საბაბად იქცეს ჩვენთვის. მოდით, ლენინგრადის ყველა მშრომელმა ერთად გავაცილოთ ამხ. ტაგანოვი მისი უკანასკნელი განსასვენებლისკენ".

გპუ-ს ერთ-ერთ კაბინეტში კი მაღალჩინოსანმა ოფიცერმა, ვისაც გაღიმებისას უშნოდ მოუჩანდა ხოლმე ღრძილები, პაველ სეროვს ასეთი რამ უთხრა:

– ვერაფერს იტყვი, სხვა თუ არაფერი, ჩვენთვის მომგებიანი ხმაურის მიზეზი კი გახდა. სამგლოვიარო მიტინგი შენ უნდა გახსნა სიტყვით?

– ცხადია, – მიუგო სეროვმა.

– წითელ არმიაში ბრძოლის წლებზე და ეგეთებზე ილაპარაკე აუცილებლად. იმედი მაქვს, ახლა მაინც ჩაიგდებენ ენას 1905 წლის ჩამოსხმის ის ჭკუიდან გადამცდარი ბებერი ბრიყვები, ძალიან რომ გვამადლიან თავიანთ რევოლუციამდელ პარტიულობასა და სხვა რამეებსაც... სხვათა შორის, კოვალენსკის საქმეზეც უშნოდ აჭარტალებენ ენებს.

– ეგ დავიწყე, ჩავლილი ამბავია...

– დაამშვიდა პაველ სეროვმა.

* * *

ლენინგრადის მშრომელები უკან მიჰყვებოდნენ წითელ კუბოს.

მათი მწკრივები ერთიანი კედელივით, უსასრულო კიბის საფეხურებივით მიიწევდნენ წინ – ნელა, აუჩქარებლად, სხეულებისა და დროშების მძლავრ ტალღასავით გადაუარეს ნევას გამზირს, რომელიც ათასობით ფეხის ხმაზე ზანზარებდა – ალექსანდრე III-ის ძეგლიდან – საადმირალოს შენობამდე. ეს ფეხაწყობილი მასა სახემოღუშული მიაბიჯებდა და უკანასკნელი სალმის ნიშნად, თავსზემოთ წითელ დროშებს მიაფრიალებდა.

რუხფარაჯიანი წითელარმიელების მწკრივებიც ჯერი-ჯერზე მიაბიჯებდნენ ურყევ რიგებად – წელგამართული, მხრებში ამაყად გაშლილი ჯარისკაცები მოზომილად სცემდნენ ფილაქანს მძიმე ჩექმებს, თავზე წოწოლა, წითელვარსკვლავიანი ქუდები ეხურათ და მათ თავსზემოთ წითელი, ოქროსფერი ასოებით მოსირმული ვეება ტრანსპარანტი ირხეოდა:

„სამარადისო დიდება დაღუპულ ამხანაგს! ".

უსასრულო, ასევე რუხ რიგებად მოაბიჯებდნენ პუტილოვის ქარხნის მუშებიც, რომელთა დროშასაც ასეთი რამ ეწერა:

„ისიც მუშათა ოჯახიდან იყო. სიცოცხლე მსოფლიო პროლეტარიატს შესწირა. პროლეტარიატი არასოდეს დაივიწყებს დაღუპულ მებრძოლს."

მუშებს ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტობა მოჰყვებოდა: ათასობით სახეანთებული ახალგაზრდა, ვისაც თვალებში სევდა ჩაბუდებოდა და ერთიანად დაძაბვოდა სხეული; ყმაწვილებს თავზე შავი ქუდები ეხურათ, ქალიშვილებს – წითელი ხილაბანდები წაეკრათ, მათი ტრანსპარანტი კი ამას იუწყებოდა:

„ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტობა ამაყობს რევოლუციის საქმისათვის გაღებული მსხვერპლით"

პირქუშად მოაბიჯებდნენ ანდრეის პარტიული ორგანიზაციის შავქურთუკიანი წევრები; ბერებივით სახემოღუშულებს, მეომრებივით გოროზებს, ამაყად აღემართათ თავსზემოთ წითელი ტილოს

ვიწრო ნაჭერი, რომელზეც თავად მათსავით მკაცრი და სწორხაზოვანი ასოებით ეწერა:

„საკავშირო კომუნისტური პარტია მზადაა მისი თითოეული წევრის სიცოცხლე გაიღოს მსოფლიო რევოლუციის საქმის საკეთილდღეოდ! "

ლენინგრადის ყოველი ქარხანა, ყოველი დაწესებულება, კლუბი, პროფესიული გაერთიანება, თუნდაც ყველაზე მცირე, უმნიშვნელო პარტუჯრედიც კი, ერთ ნაკადად შერწყმულიყო და ერთ დიდ, რუხ, შავ-წითელ მდინარესავით წაელეკა ქალაქის მთავარი გამზირი. ქუდების, ხილაბანდების, ჩექმებისა და დროშების სამკილომეტრიანი ნიაღვარი გაუთავებლად მოედინებოდა და ეს ყველაფერი სისხლიან ჭრილობებსავით ილანდებოდა ნისლიან ჰაერში. ნევას გამზირის რუხი შენობები ახლა იმ არხის კედლებს ჰგავდა, სადაც სამგლოვიარო ტალღებად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ადამიანები, გრანიტივით გამაგრებული თოვლის საფარი კი ამ არხის ფსკერად ქცეულიყო.

ციოდა – სასტიკი, დაუნდობელი სუსხი სწორედ იმ სქელი ნისლივით ატანდა ამ კედლებსა და სახლების დაგმანულ ფანჯრებშიც; არ ინდობდა არც საგულდაგულოდ ჩათბუნებულ ადამიანებს და იმათაც ლამის ძვლებს უთოშავდა. ცა რუხ ნაკუწებად დაფლეთილს ჰგავდა, ღრუბლებზე კი თითქოს ღია-მოცისფრო მელანი მიეშხეფებინათ, სულ ქვევით კი მღვრიე, ქაფიანი წყლის ჭავლიც მიეშვათ, რასაც ის ისედაც სუსტი ლაჟვარდი საბოლოოდ გადაერეცხა.

ძველი საკვამურებიდან ღრუბლებით რუხი კვამლი ამოდიოდა. ვერ იტყოდი, ქალაქს ტყვიისფერი ზეცა დასცქერის ზემოდან, თუ სწორედ ეს კვამლის ჯანღი დასდებიაო – მართლა ბოლი აუდის საკვამურებიდან თუ რაღაც ჯადოს წყალობით, ბუხრის ყელში როგორღაც მოხვედრილი ღრუბლის ნაფლეთებიო. თანაც, კვამლის ყოველი ბოლქვის ამოფრქვევისას, სახლები თითქოს სითბოს ემშვიდობებო-

და, ციდან კი დროდადრო, ზარმაცად ეცემოდა ძირს თოვლის უხალისო ფანტელები და ამ მოძრავი მდინარის ზედაპირზე დნებოდა მაშინვე.

მსვლელობის თავში წითელი კუბო მოჰქონდათ. მიცვალებულს ზემოდან ალისფერი ხავერდის დროშა ეფარა, რომლის ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად მოჩანდა გარდაცვლილის მიტკლისფერი პროფილიცა და მარჯვენა საფეთქელზე, ნატყვიარის დასაფარად საგანგებოდ ჩამოშლილი მისივე ყორნისფერი თმის ბღუჯა. სრულიად მშვიდი სახე ედო და მის გათოშილ, უფერულ შუბლზე დაცვენილი თოვლის ფიფქები კარგა ხანს აღარ ჩქარობდა დადნობას.

კუბოს საკუთარი მხრებით ტარების პატივი ანდრეის ოთხ უახლოეს პარტიულ მეგობარს ხვდა წილად. ყინვის მიუხედავად, ქუდი არცერთს არ ეხურა და თავიც ყველას ერთნაირად ჩაექინდრა. პაველ სეროვის ქერა თმისა და ვიქტორ დუნაევის შავი კულულების ფონზე, კუბო კიდევ უფრო წითლად მოჩანდა.

ამ ოთხეულს კვალში სამხედრო ორკესტრი მიჰყვებოდა. სპილენძის ჩასაბერ საკრავებზე ხავერდის შავი ბაფთები დაებნიათ. მუსიკოსები ცნობილ მელოდიას უკრავდნენ: „თქვენ მსხვერპლად შეეწირენით“.

მრავალი წლის წინ, მეფის ჟანდარმერიისაგან მალულად, იატაკქვეშეთსა თუ ციმბირის საპატიმრო ბანაკებში, ეს სიმღერა თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსაგონებლად შეთხზეს. სიმღერითაც ჩუმად, ლამის ჩურჩულით მღეროდნენ ბორკილების ჟღარუნში და ასე მიაგებდნენ პატივს იმ უსახელო გმირებს. სად არ გამოვლილ ამ სიმღერას არც ავტორი ჰყავდა და რევოლუციამდე, არც მისი სიტყვები უნახავს ვინმეს დაბეჭდილი. რევოლუციის შემდეგ კი მისი ნოტების შეძენა უკვე ნებისმიერ მუსიკალურ მაღაზიაში გახდა შესაძლებელი და უკანასკნელ გზაზე დამდგარ ყოველ კომუნისტსაც სწორედ ამ სიმღერით მიაცილებდნენ. სწორედ რევოლუცი-

ამ აქცია მთავარ ჰანგად ცოცხლებისთვის „ინტერნაციონალი", გარდაცვლილთათვის კი – „მსხვერპლად შეეწირენით…" მოკლედ, სწორედ ეს სიმღერა გახდა დაკანონებული სამგლოვიარო მარში ახალი რესპუბლიკისათვის.

თავახდილი წითელი კუბოს უკან მიმავალი ლენინგრადელი მშრომელებიც ახლა სწორედ ამ სიტყვებს მღეროდნენ, მწუხარე სახეებით:

ხალხის უანგარო სიყვარულს
თქვენ შეეწირეთ მსხვერპლად,
სიმართლისა და თავისუფლების
დასამკვიდრებლად ქვეყნად…

თავდაპირველად, მუსიკას ისეთი უკიდურესი უიმედობის ჟღერადობა დაჰკრავდა, საერთოდ დაგავიწყებდა იმედის არსებობას, მაგრამ მერე და მერე, მასში მღელვარე ბგერებმა იმძლავრა, რასაც არც მხიარულება ერქვა და არც მწუხარება – ეს უბრალოდ, სამხედრო პატივის მიგებას უფრო ჰგავდა: ვაჟკაცურ სინაზეს, როცა დამსახურებისამებრ, ზედმეტი ცრემლის გარეშე მიაგებ გმირ მებრძოლს საკადრისს. მოკლედ, ეს ჰანგი ახლა მწუხარებაში გამკრთალ ღიმილს დამსგავსებოდა.

ხალხი თოვლში მიაბიჯებდა, ისმოდა ჩასაბერი საკრავების გუგუნი, სპილენძის თეფშები ნაბიჯების რიტმს კარნახობდნენ, რუხი რიგები ერთიმეორეს მისდევდა კვალში, ხოლო ალისფერი დროშები ამ საზეიმო გამოთხოვების სიმღერის ტაქტს აყოლილი ირხეოდა ჰაერში:

აღსდგება ხალხი, გამოიღვიძებს –
თავისუფალი, ამაყი, მძლავრი!
სამარადისოდ დაიმახსოვრებს თქვენს გზას –
გმირული დიდებით განვლილს…

პროცესიის წინა რიგებიდან საკმაოდ შორს, ჯარისკაცების, სტუ-

დენტებისა და მუშების მწკრივების უკან, იმ უჩინო ადამიანთა შორის, ვისაც არც დროშები მოჰქონდათ და არც გაშლილი ტრანსპარანტები, ერთი ახალგაზრდა ქალიც მოაბიჯებდა: ჯიუტი, დაჟინებული მზერით იცქირებოდა იქით, სადაც თავახდილი წითელი კუბო ეგულებოდა. ხელები უღონოდ ჩამოშვებოდა, სქელი, ნაქსოვი თათმანები შიშველ მაჯებს ვერ უფარავდა და სიცივისაგან კანიც მუქ ალისფრად დაშაშვროდა. სახეზე არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ თვალებში ჩარჩენოდა უკიდურესი გაოცება.

მის ირგვლივ მყოფნი არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ, თუმცა მსვლელობის დაწყებისას, ერთმა ადამიანმა ის მაინც შეამჩნია ხალხში. ამხანაგმა სონიამ, რომელიც ქალთა განყოფილების წევრებს მიუძღოდა დროშამომარჯვებული, ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა, წამით შედგა და უხეშად მიახალა:

– შენც აქა ხარ, ამხანაგო არგუნოვა? წესით, შორს უნდა დაგეჭირა თავი...

კირა არგუნოვას მისთვის პასუხი არ გაუცია.

გვერდით, თავზე წითელხილაბანდწაკრულმა რამდენიმე სხვა ქალმაც ჩაუარა. ერთ-ერთმა მათგანმა დაურიდებლად მიაშვირა ხელი, რაღაც გადაუჩურჩულა დანარჩენებს და იმათაც ხაზგასმულად დამცინავად ჩაიხითხითეს.

კირა კი ნელა მიდიოდა და ერთთავად წინ იყურებოდა. სხვებისაგან განსხვავებით, არც სიმღერისათვის აუყოლებია ხმა. მის შორიახლოს გაშლილ ერთ-ერთ ტრანსპარანტზე ეწერა:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! "

ვიღაც სახედაჭორფლილმა ქალმა, მამაკაცური ქუდის ქვემოდან ჟღალი თმა რომ გამოჩროდა, გვერდით მიმავალს გადაუჩურჩულა:

– მაშკა, ამ კვირაში თუ გერგო წიწიბურა კოოპერატივიდან? – არა. დაარიგეს რო?

– აბა! თითო ბარათზე ორ-ორი გირვანქა. დროზე მიდი, თორემ აღარც გერგება.

სხვა ტრანსპარანტზე უკვე ასეთი სიტყვები წაეწერათ:

„წინ, სოციალისტური მომავლისაკენ – ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით! "

– ჭირმა წაიღოს ამათი თავი! – გამეჩხერებულ, ჩაშავებულ კბილებში გამოსცრა ვიღაც სხვა ქალმა.

– რაღა მაინცდამაინც ამისთანა ყინვაში უნდა გამართონ ხოლმე ეს თავიანთი მსვლელობები...

ხალხის უანგარო სიყვარულს თქვენ შეეწირეთ მსხვერპლად...

– ...გუშინ მთელი ორი საათი ვიდექი რიგში, მარა რად გინდა!

ისეთი ხახვი გამოიტანეს...

– დუნკა, მზესუმზირის ზეთს ელოდებიან კოოპერატივში და არ გამოგრჩეს...

– სხვამ თუ არ დაახალა ტყვია, თავის ხელით იხლიან, ოღონდ კი ჩვენ გვაწოწიალონ ასე, წინ და უკან!

სიმართლისა და თავისუფლების დასამკვიდრებლად ქვეყნად... ბოლო არ უჩანდა სხვადასხვა შინაარსის ტრანსპარანტებს:

„განვამტკიცოთ კლასობრივი სოლიდარობა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ! " – ღმერთო ჩემო! ქვაბი დამრჩა პრიმუსზე... შენ ისა თქვი, სულ თუ ამოშრა მთელი წვნიანი!

– რას იქექები, ამხანაგო! აღსდგება ხალხი, გამოიღვიძებს...

– რა უპატივცემულობაა, ამხანაგო! მორჩით ამ მზესუმზირის კნატუნს!

– მოკლედ, ასეა საქმე, პრასკოვია! კარგად მომისმინე: ჯერ გაფცქვნი ხახვს, ამატებ ცოტა ფქვილს – სულ ერთია, როგორსაც იშოვი – მოასხამ ცოტა სელის ზეთს და...

– ამათ მაინც რა ჭირთ თავის მოსაკლავი? ამ დროს კიდევ ერთი ტრანსპარანტი გამოჩნდა:

„კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიას არანაირი მსხვერპლი არ აშინებს! "

– კიბის ქვეშ პატარა სათავსოა, იატაკზე თივაც აფენია, იქ ვინ

მოგვაგნებს... ჩემი ქმარი? იმ უბედურს ტვინი აღარ მოემატება...

– სანამ ცეცხლზე შემოდგამ, ფეტვი ჯერ ერთი-ორი საათი წყალში ჩაალბე...

– ღმერთო ჩემო, უკვე მეშვიდე თვეში ვარ და გავსუქდებოდი, აბა რა! რა დროს ჩემი ესე ქუჩა-ქუჩა სიარულია... ჰო, მეხუთეს ველოდები...

თავისუფალი, ამაყი, მძლავრი!

– ღმერთო ჩემო! მე მგონი, ამ გაზეთს ვეღარც ავიდღლიზავ ფეხის გულიდან! გიცდია როდისმე წინდაში გაზეთის ჩაფენა? თბილად იქნები...

– მერე, ხომ აგიქოთდა ფეხები! – რა მთქნარება აგიტყდა, ამხანაგო! ხელი მაინც აიფარე პირზე...

– მეჯავრება ეს მსვლელობები! მაინც, ვინ იყო ეს კაცი, რას წარმოადგენდა ამისთანას?

დაიმახსოვრებს სამარადისოდ, თქვენს გზას –

გმირული დიდებით განვლილს...

რევოლუციის მსხვერპლთა მემორიალი ვეება მოედანი იყო ქალაქის შუაგულში, მდინარე ნევას ნაპირზე. ეს ვრცელი, ერთიანად გადათეთრებული, ნახევარ კილომეტრზე გადაჭიმული უშენი ადგილი გამელოტებულ კეფას ჰგავდა პეტროგრადის თავის ქალაზე. ერთი მხრიდან მას ე. წ. „ზაფხულის ბაღის“ რკინის მესერი ემიჯნებოდა, რომლის იქითაც თოვლში ჩაფლული უკაცრიელი პარკი მოჩანდა და მისი გაშიშვლებული ხეებიც ასევე რკინისაგან გამოჭედილს ჰგავდა.

რევოლუციამდე ამ ადგილს „მარსის მინდორი“ ერქვა და აქ რუხფარაჯიანი ჯარისკაცები სამწყობრო ნაბიჯით სიარულში ვარჯიშობდნენ. რევოლუციის შემდეგ კი აქ მემორიალი მოაწყვეს, მიწის ოთხკუთხა ნაკვეთი ვარდისფერი გრანიტის ფილებით შემოზღუდეს. სწორედ აქ განისვენებდნენ 1917 წლის თებერვალს, პეტროგრადის ქუჩებში გამართული შეტაკებებისას დაღუპულები. ოღონდ მერე და

მერე, გრანიტის ფილების რაოდენობამ იმატა, მათზე ამოტვიფრული გვარსახელები კი იმათ ვინაობას აღნიშნავდა, ვისმა აღსასრულმაც არაერთი მსგავსი, საერთო-სახალხო მსვლელობა გამოიწვია და ვისთვისაც უკანასკნელ ჯილდოდ „რევოლუციისათვის შეწირული მსხვერპლის" საპატიო წოდება იქცა.

წითელი კუბო წითელივე გრანიტის ლოდთან დაასვენეს, რომელზეც მაშინვე სხარტად ავიდა პაველ სეროვი. ტანზე საგანგებოდ მოერგო, ახალი, შავი ტყავის ქურთუკი, ბრიჯები და სამხედრო ყაიდის მაღალყელიანი ჩექმები; მისი მოხდენილი სხეული ერთობ ამაყად მოჩანდა ჩარუხებული ცის ფონზე. ქარი თმას უფრიალებდა, ხელები კი მრავლისმეტყველად აღეპყრო ადამიანთა თავებისა და დროშატრანსპარანტების ზემოთ – ქურუმივით თუ წინამძღოლივით.

– ამხანაგებო! – ათასობით იქ შეკრებილი ადამიანის ზეიმური მდუმარება დაარღვია მისმა მჭექარე ხმამ.

– ჩვენ საერთო მწუხარებამ შეგვყარა აქ, საერთო ვალდებულებამ, უკანასკნელი პატივი მივაგოთ დაღუპულ გმირს. ჩვენ დიდებული ადამიანი დავკარგეთ, დავკარგეთ თავდაუზოგავი მებრძოლი... ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სხვაზე მძაფრად განვიცდი ამ დანაკლისს – იმათზე უფრო მტკივნეულად, ვინც პირადად არ იცნობდა ანდრეი ტაგანოვს, მაგრამ მაინც მოვიდა აქ, მისი ხსოვნის პატივსაცემად. მე კი მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ვიყავი და ეს ისეთი პატივი გახლდათ ჩემთვის, მინდა ახლა თქვენც ყველას გაგიზიაროთ. ანდრეი ტაგანოვი ცნობილი კაცი არ ყოფილა, მაგრამ მან ამაყად და ღირსეულად ატარა კომუნისტის სახელი. მშრომელთა რიგებიდან გამოსულმა, ბავშვობა დაზგასთან გაატარა. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და მრავალი წელი, მხარდამხარაც ვშრომობდით პუტილოვის ქარხანაში, პარტიაშიც ერთად შევედით, ჯერ კიდევ რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე, იმ ავბედით დროში, როცა ჯიბით პარტბილეთის ტარებისათვის სიკვდილს უსჯიდნენ ან სულ ცოტა, აციმბირებდნენ მაინც. მხარდამხარ ვიბრძოდით ამ ქალაქის ქუჩებში

1917 წლის ოქტომბრის იმ დიად დღეებშიც. მერე წითელი არმიის რიგებშიც ერთად ვიომეთ, ხოლო გამარჯვების შემდგომ კი, როცა მშვიდობა დამყარდა და ქვეყნის აღმშენებლობაზე მიდგა საქმე, ამ უმძიმეს, ეგებ ომიანობასთან შედარებით კიდევ უფრო გმირულ ხანაში, მან ნებაყოფლობით იკისრა საკუთარი წვლილის შეტანა იმ საქმიანობაში, რასაც პარტია თავდაუზოგავად ეწევა თქვენი, საბჭოეთის მშრომელების საკეთილდღეოდ! ანდრეი ტაგანოვი ამ საქმეს შეეწირა მსხვერპლად, საკუთარ მუხლჩაუხრელ გარჯას. მაგრამ მისი გარდაცვალების გამო წუხილის გარდა, ჩვენ სიხარულსაც უნდა განგვაცდევინებდეს ამ ადამიანის გმირული ცხოვრების მაგალითი. ის ჩვენს შორის აღარაა, მაგრამ მისი საქმე, თითოეული ჩვენგანის საქმე, კვლავაც ცოცხლობს. ერთი ცალკეული ადამიანი შეიძლება ბრძოლაში დაეცეს, მაგრამ კოლექტივი უკვდავია. საბჭოებისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენ ნათელი ხვალინდელი დღისაკენ მივაბიჯებთ, როცა სამყაროს ერთადერთ წარმმართველ ძალად თავისუფალ მშრომელთა თავისუფალი შრომა იქცევა. შრომა უკვე აღარ იქნება მონობა, როგორც ეს დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებშია, არამედ ის თავისუფალ, ბედნიერ ვალდებულებად იქცევა მათთვის, ვინც წვრილმან საზრუნავსა და სადარდებელზე მაღლა, თვით სიცოცხლეზე წინ, პროლეტარული საზოგადოების ურყევ ერთობას დააყენებს! ჩვენი დაღუპული გმირების სახელები არასოდეს მიეცემა დავიწყებას, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ურყევად მივაბიჯებთ წინ, მომავლისაკენ. ანდრეი ტაგანოვის სიცოცხლე დასრულდა, მაგრამ ჩვენი გრძელდება. ჩვენი ცხოვრებისა და გამარჯვების ბედ-იღბალი ჩვენსავე ხელშია, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის!

ტაშისცემის ხმა ყრუ ქუხილის გამოძახილივით მიაწყდა დათოვლილ ბაღსაც და იმის იქით მდგარ სახელებსაც. ისევ აფრიალდა წითელი დროშები. ხოლო როცა ეს ხმა მიწყდა და ყველა მზერა კვლავ გრანიტის ლოდზე შემდგარი ამხანაგი სეროვისაკენ მიიმართა, ის იქ

აღარ ჩანდა. რუხი ცის ფონზე ახლა უკვე ვიქტორ დუნაევის ამაყი, უდრეკი ფიგურა ასვეტილიყო; ახლა მას უფრიალებდა ქარი თმას, ახლა მას მოუჩანდა თეთრად მოელვარე კბილები და უკვე მისი ძლიერი, ახალგაზრდული ხმა ჟღერდა სიჩუმეში:

– ამხანაგო მშრომელებო! დღეს აქ ათასობით ადამიანი დგას, რათა ერთ კაცს მიაგოს პატივი, მაგრამ მძლავრ, პროლეტარულ კოლექტივთან შედარებით, არცერთი ჩვენგანი არ ნიშნავს არაფერს, თუნდაც მის მიერ ჩადენილი გმირობების მიუხედავად! მართლაც, დღეს ჩვენ აქ არ ვიდგებოდით, ეს ერთი ადამიანი მხოლოდ ცალკე ინდივიდი რომ ყოფილიყო და არა რაღაც უფრო დიდის სიმბოლო და განსახიერება... ჩვენც სწორდ ამ უფრო დიდსა და დიადს მივაგებთ პატივს. ეს დაკრძალვა კი არა, დაბადების დღის აღნიშვნა უფროა, ამხანაგებო! ჩვენ გარდაცვლილს კი არ დავსტირით, არამედ ახალი კაცობრიობის დაბადებას ვზეიმობთ! ანდრეი ტაგანოვი კი ერთ-ერთი პირველთაგანია ამ ახალი ყაიდის კაცობრიობის წარმომადგენელთაგან! დიახ, ამხანაგებო – საბჭოეთი ნამდვილად ქმნის ადამიანთა ახალ რასას, რომელიც შიშის ზარს სცემს ძველ სამყაროს, ნაცარტუტად აქცევს მის ყოველგვარ გადმონაშთს! მაინც, რით ხელმძღვანელობს ეს ახალი კაცობრიობა? პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ჩვენ საკუთარი ლექსიკონიდან საბოლოოდ ამოვძირკვეთ ისეთი სახიფათო, ვერაგი, უმსგავსი სიტყვა, როგორიცაა „მე". ჩვენ ის წარსულის კუთვნილებად ვაქციეთ; „ჩვენ" – აი, მომავლის დევიზი! დღესდღეობით, „კოლექტიურს" მეტი ადგილი უჭირავს ჩვენს გულში, ვიდრე „პირადს" და ჩვენთვის არაფერს ნიშნავს ვიღაც ერთი ადამიანის კეთილდღეობა, ძალაუფლება თუ სულაც, თავმოყვარეობა. ჩვენ ხომ არც გამდიდრებას და არც სახელის მოხვეჭას არ ვისახავთ მიზნად – ჩვენთვის ერთადერთი პატივი კოლექტივის მსახურების პატივია; ჩვენი ერთადერთი მიზანი – პატიოსანი შრომა, რომლის შედეგიც მხოლოდ ერთ-ერთ ჩვენგანზე კი არა, ყველა ჩვენთაგანზე აისახება. მაინც, რა ცხოვრებისეული მაგალითი უნდა გავითავისოთ

და რა მაგალითი უნდა ვაჩვენოთ ჩვენს საზღვარგარეთელ მტრებს? რა და – პარტიის იმ წევრის თავდადება, ვინც საკუთარი სიცოცხლე კოლექტივს შესწირა! თავად პარტიისავე მაგალითი, რომელიც იმათ სასიკეთოდ სწირავს თავს, ვისაც ხელმძღვანელობს! შეხედეთ სამყაროს თქვენს ირგვლივ, ამხანაგებო: შეხედეთ ძალაუფლებისათვის სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში ჩაფლული კაპიტალისტური ქვეყნების გაქსუებული, დუჟმორეული მინისტრები როგორ მუხანათურად, ხელის აუკანკალებლად სცემენ ერთმანეთს ზურგში დანას... მერე კი იმათაც ყურადღებით დააკვირდით, ვინც თქვენ მიგიძღვით წინ, ვინც უანგაროდ სწირავს სიცოცხლეს, კოლექტივის საკეთილდღეოდ, ვისაც საკუთარ მხრებზე უტვირთა პროლეტარიატის დიქტატურის უდიდესი პასუხისმგებლობა! თუკი ამას გააცნობიერებთ, უთუოდ მიხვდებით, რომ საკავშირო კომუნისტური პარტია დღევანდელ მსოფლიოში ერთადერთი პატიოსანი, უშიშარი, მისაბაძი პოლიტიკური ერთობაა!

ისეთი ტაშისცემა ატყდა, თითქოს გაღმა ნაპირზე, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ძველი ზარბაზნები ყველა ერთად დააქუხესო. იგივე გამეორდა მაშინაც, როცა ვიქტორის ყორნისფერთმიანი თავი ხალხს შეერია და ქარმა ახლა სახელდახელო ტრიბუნაზე ასული ამხანაგ სონიას თმა ააფრიალა. მან ძირითადად, ახალი, პროლეტარი ქალის დანიშნულებაზე ილაპარაკა და თანაც ისე ომახიანად, ლამის იყო, ფილტვები დაიხეთქა. შემდეგ მისი ადგილი კიდევ ერთმა გამომსვლელმა დაიკავა – სათვალიანმა, ჭლექიანივით ჩამომდნარმა, სახეგაუპარსავმა მამაკაცმა, რომელიც ფართოდ კი აბჩენდა უფერულ ტუჩებს, თუმცა მის სიტყვებს ხველა მოსდევდა ხოლმე მალი-მალ. მომდევნო ორატორმა ხშირი, შავი წვერითა და მჟღერი ხმით დაამახსოვრა თავი შეკრებილებს. მერე ვიღაც დაჭორფლილმა კომკავშირელმა ენის ბორძიკით მიახლაფორთა რაღაც გაუგებარი, თან გამალებული იფხანდა ქეჩოს. ის უკვე ვიღაც შინაბერა ქალმა შეცვალა, რომელიც მუქარით იქნევდა ჰაერში თითს, თითქოს კლასში

ცელქ მოწაფეებს უჯავრდებაო, პატარა პირი კი ზუსტად კბილის ექიმის სავარძელში მჯდომი პაციენტივით დაეღო. მას მაღალ-მაღალი მეზღვაური მოჰყვა: დოინჯშემოყრილი გაიჯგიმა და რატომღაც, სულ ხუმრობები აფრქვია, რითაც წინა რიგებში გულიანი სიცილი გამოიწვია, რაც მერე უკვე სხვებმაც აიტაცეს – იმათ, ვისაც თავად მეზღვაურის ნათქვამი არცერთი სიტყვა არ გაუგონიათ...

ათასობით ადამიანი მოუთმენლად ცქმუტავდა, მალი-მალ იცვლიდა ფეხს, ამაოდ ცდილობდა გამთბარიყო, სულ ტყუილად მალავდა ხელებს იღლიებქვეშ, ანდა ტანსაცმლის სახელოებში და ვეღარც პირზე აფარებული, დაჭირხლული თავშალები შველოდათ რამეს. დროშებიც უკვე რიგ-რიგობით ეჭირათ და ის, ვისაც რიგი მოუწევდა, მოხრილი ხელის იდაყვით ღონივრად მიიჭერდა ხოლმე მკერდზე დროშის ტარს, რათა გათოშილ თითებზე დაორთქლება მოეხერხებინა. ზოგ-ზოგებმა შეუმჩნევლად გაპარვაც მოახერხეს.

კირა არგუნოვა ფეხმოუცვლელად იდგა და ყურადღებითაც უსმენდა თითოეულ გამოსვლას. ხარბად იჭერდა ყოველ სიტყვას, თვალებში კი ის შეკითხვა ჩაბუდებოდა, რომლის პასუხსაც ამ სიტყვებში სულ ამაოდ დაეძებდა.

ვრცელი მინდვრის თავზე გადაჭიმული ზეცა თანდათან იბინდებოდა – ჭუჭყიანი, მორუხო ლურჯი ელფერი ედებოდა. სადღაც შორს, რომელიღაც სახლის ფანჯარაში, ყვითლად გაკრთა ზამთრის ნაადრევი საღამოს მაუწყებელი შუქი. მიწყდა უკანასკნელი გამომსვლელის ხმაც – სუსხიან სქელ ნისლს შეერია, რომელიც ახლა თავის უჩინარ ბადეში ხვევდა ყოველივე ცოცხალს. კუბოს თავი დაახურეს, ცივ სამარეში ჩაუშვეს, მიწა მიაყარეს და ბოლოს, ამ ახალ საფლავს გრანიტის წითელი ფილაც დაადეს ზემოდან. უცებ, ეს ნაცრისფერი, უსახური ზღვა შეირხა, რიგები აირია და მომიჯნავე ქუჩებზე ადამიანთა აქამდე თითქოს მყარი ჯებირით შეკავებულმა ნაკადებმა იხუვლა. ცივი საღამოს ბინდში, უკვე სასაფლაოდან მომავალმა სამხედრო ორკესტრმა ამჯერად „ინტერნაციონალის“ დაკვრა წამოიწყო –

ცოცხალთა სიმღერის, რომელიც ჯარისკაცული ჩექმების მძიმე, თავდაჯერებული და მოზომილი ბაგუნივით გაისმოდა.

მერე, კირა არგუნოვა აუჩქარებლად მიუახლოვდა ახლადპირ-მოკრულ სამარეს.

ირგვლივ უკვე აღარავინ ჩანდა. ცა კიდევ უფრო ჩამოწოლილიყო და გაყინულ, ლურჯ გუმბათად დასწოლოდა ქალაქს. ამ გუმბათში გაჩენილი ვიწრო ღიობიდან ეული ვარსკვლავის მრუმე, ცივი შუქი მოიკვლევდა გზას. სახლების ბრტყელი, დატეხილი ჩრდილები ერთ ვიწრო, თხელ თეჯირად შერწყმულიყო, რომელიც ალაგ-ალაგ მაინც ატარებდა დაისის მოწითალო-მოყავისფრო გამონაშუქის ათინათს. აქაურობა თითქოს ქალაქის ნაწილს აღარც ჰგავდა. სოფლური, უდ-რტვინველი სიჩუმე გამეფებულიყო ამ თეთრ უდაბნოში, სადაც ქარი თავის ნებაზე დააბზრიალებდა თოვლის ფანტელებს და წვრილ, თეთრ ფხვნილად ამცვრევდა.

გრანიტის ფილასთან მარტოდმარტო იდგა მხრებში მობუზული ქალი.

თოვლი ზარმაცად ედებოდა დახრილ თავზე და წამწამებზეც სწორედ თოვლი უბრწყინავდა და არა ცრემლი. გრანიტის ფილაზე ამოტვიფრულ სიტყვებს დააცქერდა:

„სამარადისო დიდება რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ გმირებს

ანდრეი ტაგანოვი

1896-1925

ფიქრობდა, ნეტა მე შევიწირე ეს კაცი, რევოლუციამ თუ – ორი-ვემ ერთადო...

XVI

ლეო მარტო იჯდა ბუხართან და ეწეოდა. უღონო თითებში მოქ-ცეული სიგარეტის ღერი ბოლოს გამოუსხლტა კიდეც ხელიდან და

იატაკზე დაეცა, თუმცა მას ამისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია: დაუფიქრებლად დასწვდა მეორეს, თითებით მოსრისა, ოღონდ არ მოუკიდებია, რაღაც თავის საფიქრალში გართულს. ცოტა ხნის შემდეგღა დაუწყო თვალებით ძებნა ასანთს, მაგრამ ვერსად დალანდა; არადა, ასანთის კოლოფი იქვე, სავარძლის სახელურზე ედო. როგორც იქნა მიაგნო. ცოტა არ იყოს, გაოცებულმა შეათვალიერა კოლოფი და თან ისეთი სახით, თითქოს ვერც ხვდებოდა, რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მეტისმეტად სიტყვაძუნწი გახდა. კირას ხანდახან ვნებიანად კოცნიდა ხოლმე – ზოგჯერ მეტისმეტად ვნებიანადაც, ოღონდ ქალი გრძნობდა, რომ ლეოს ეს ძალდატანების ფასად უჯდებოდა და ამიტომ, მის ტუჩებსაც ირიდებდა და მკლავებსაც...

შინიდან ხშირად გადიოდა, მაგრამ კირა არასოდეს ეკითხებოდა მიზეზს. ხშირად და ბევრს სვამდა კიდეც, ოღონდ კირა არც ამას იმჩნევდა. როცა მარტო რჩებოდნენ, ჩუმად ისხდნენ ხოლმე, დამდურებულებივით და ეს დუმილი ნებისმიერ სიტყვაზე მეტს ეუბნებოდა ქალს – ბევრად უფრო ხმამაღლაც აუწყებდა იმას, რასაც დასასრულის მოახლოება ერქვა სახელად. ლეომ შემორჩენილი ფულიც მიახარჯა, კირა კი მომავალთან დაკავშირებით, კრინტსაც არ ძრავდა. საერთოდ არაფერს ეკითხებოდა, რადგან წინდაწინ ცნობილი პასუხის გაგონება აშინებდა, აშინებდა იმის დადასტურება, რომ ბრძოლა წაეგო.

დაკრძალვიდან რომ დაბრუნდა, ლეო არცკი ამდგარა, ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა ბუხართან. მხოლოდ მოღლილი, დუნე მზერა მიაპყრო.

კირამაც უსიტყვოდ გაიხადა პალტო და ტანსაცმლის კარადაში შეკიდა. ქუდს იხდიდა, როცა რაღაც ხმამ უნებურად თავი ლეოსკენ მიაბრუნებინა. ლეო იცინოდა – უხეშად, აგდებულად, ბოროტადაც კი. კირა გაოგნებული მიაჩერდა:

– რა იყო, ლეო? – შენ რა, თვითონ არ იცი? – წამოენთო ისიც. კირამ მხოლოდ თავი გააქნია უარის ნიშნად.

– კარგი მაშინ, – თქვა ლეომ.

– გინდა გითხრა, მე რაც ვიცი? – შენ რაც იცი? რასთან დაკავშირებით, ლეო?

– ისე, არა მგონია ახლა ამაზე სალაპარაკოდ შესაფერისი დრო იყოს... შენი საყვარლის დასაფლავების დღეს.

– ჩემი...

ლეო წამოდგა, მიუახლოვდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გაუჩერდა წინ და ზუსტად იმ ქედმაღლური ღიმილით მიაჩერდა, ასე რომ ხიბლავდა კირას. დამცინავად მოექცა ტუჩები და ეს სამი სიტყვაღა გამოსცრა კბილებში:

– შე ბოზანდარა შენა! სახეგადაფითრებული კირა გაქვავებული იდგა.

– ლეო...

– ხმა! კრინტი არ დაძრა, იცოდე! შე დამპალო პატარა... მართლა არ დავეძებ, შენც სხვებს რომ ჰგავდე, ჩვენნაირი იყო, მაგრამ ვითომ ეგ შენი გამორჩეულობა და ყველაფერზე მაღლა დგომა, შენი ბრტყელბრტყელი, გმირული სიტყვები, ჩემი სწორ გზაზე დაყენების მთელი ეგ მცდელობა, მაშინ როცა სინამდვილეში... პირველივე კომუნისტს დაუწექი, ვინც ლოგინამდე მიგაცილა!

– ლეო, ვინ...

– ჩუმად-მეთქი! არა, მოიცა... დაგაცდი ლაპარაკს! ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას მაინც მოგცემ: ტაგანოვის საყვარელი იყავი? თქვი, ჰო თუ არა!

ჰო.

– მთელი ის დრო, სანამ მე სანატორიუმში ვეგდე? – ჰო.

– და ჩემი დაბრუნების მერეც? – ჰო. სხვა კიდევ რა გითხრეს ჩემზე, ლეო? – სხვა რაღა გინდა რომ ეთქვათ? – არაფერი...

ლეომ თვალი თვალში გაუყარა. მოღლილი თვალები უცებ დაეწმინდა, თუმცა ახლა მეტი სუსხი გამოერია მზერაში.

– მაინც, ვინ გითხრა, ლეო?

– შენმა მეგობარმა. თქვენმა საერთო მეგობარმა. ჩვენმა ძვირფასმა ამხანაგმა პაველ სეროვმა. სწორედ დაკრძალვიდან მომავალმა შემომიარა. ასე ვთქვათ, მეტოქის მოშორება მომილოცა.

– და ეგ... მეტისმეტად მძიმე დარტყმა იყო შენთვის?

– მართალი გითხრა, რევოლუციის მერე უფრო სასიამოვნო ბევრი არც არაფერი შემიტყვია. ძმურად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი და დავლიეთ კიდეც. ამხანაგმა სეროვმა და მე. შენი, შენი საყვარლის და კიდევ სხვა, სავარაუდო საყვარლების სადღეგრძელოს გეახელით. იმიტომ, რომ მართალი გითხრა, ახლა უკვე თავისუფლად ვგრძნობ თავს.

– რისგან თავისუფლად, ლეო?

– იმ ერთი შტერი გოგოსაგან, რომელიც მეტ-ნაკლებად ჯერ კიდევ მინარჩუნებდა საკუთარი თავის პატივისცემას... იმისგან, ვისაც თვალის გასწორებასაც ვერ ვუბედავდი, ვისთვისაც ოდნავი ტკივილის მიყენებაც კი მაშინებდა! ისე, მართლა უცნაური ამბავია შენი და იმ შენი გმირი კომუნისტის სიყვარულობანა... მეგონა იმას შეეწირა მსხვერპლად, შენ რომ მე დამრჩენოდი, სინამდვილეში კი უბრალოდ, მობეზრებიხარ! ვინ იცის, ერთი სული ჰქონდა როდის მოგიშორებდა და ვინმე სხვა კახპას გადაეყრებოდა... არა, მართლა მთლად წახდა ხალხი, არაფერი წმინდა აღარ შერჩა!

– ლეო, მოდი იმ კაცზე ნუ ვილაპარაკებთ, კარგი? – ჯერ ისევ გიყვარს? – შენთვის ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, ასე არაა?

– ნამდვილად. არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს არაფერს. იმასაც კი არ გკითხავ, როდესმე გიყვარდი თუ არა. უკვე ეგეც სულ ერთია ჩემთვის და იმიტომ. მირჩევნია კიდეც ვიფიქრო, რომ არასოდეს გყვარებივარ. სამომავლოდ ეგრე აჯობებს.

– მომავალზე ლაპარაკობ. ლეო? – და შენ თვითონ როგორ გესახება ეგ მომავალი? – მე...

– ვიცი, ვიცი! რიგიან სამსახურს იშოვი რომელიმე საბჭოურ დაწესებულებაში, მერე იდგები აღრჩოლებულ პრიმუსთან, იკანკალებ სურსათის ბარათების გამო და თან ეცდები, უმწიკვლოდ შეინარჩუნო სულის სიმტკიცეცა და ღირსებაც – ის, რაც საერთოდ არასოდეს არსებულა, რაც წესით, არც უნდა არსებობდეს... ხოლო თუ მაინც როდისმე გაჭაჭანებულა სადმე, ისევ და ისევ ყველაზე უარეს წყევლად მოგვბრუნებია. მე პირადად, მომბეზრდა ეს სისულელეები. ახლა შამპანურს მივეძალები, ხიზილალიან თეთრ პურს გეახლები, მხოლოდ აბრეშუმის პერანგებს ჩავიცვამ, ლიმუზინითაც ვივლი და არაფერზე არ ვიდარდებ... გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

– ლეო... რას აპირებ? – მივდივარ.

– სად?

– დაჯექი.

თვითონ ლეო მაგიდაზე ჩამოჯდა. მისი ერთი ხელი მაგიდის სანათის შუქის წრეში მოექცა და კირამ შენიშნა, რა უცნაური სითეთრე დაკრავდა ამ უძრავ ხელს, რომელზეც ლურჯი სისხლძარღვებიც სრულიად უსიცოცხლო ჩანდა. თვითონაც გვერდით მიუჯდა. სახეზე არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ თვალები გაფართოებოდა ოდნავ შესამჩნევად. წამით, ლეოს მისი სრულიად მშრალი წამწამებისკენ გაექცა მზერა.

– მოქალაქე მოროზოვი სადღაც გაემგზავრა, – წამოიწყო ლეომ.

– მერე?

– ტონია მიატოვა. არ უნდოდა, ვინმეს მისი კავშირ-ურთიერთობების ჩხრეკა დაეწყო. თუმცა გვარიანი თანხა კი დაუტოვა. ტონია სამხრეთში აპირებს დასასვენებლად გამგზავრებას და მთხოვა, შენც წამოდიო. მოკლედ, სამსახური ვიშოვე – ლეო კოვალენსკი საბჭოეთის გადაბერებულ ქალბატონთა ახალ ნუგეშად იქცევა!

– ლეო!

კირა უკვე მის წინ იდგა და თვალებში ისეთი აშკარა, შეუნიღბავი ზაფრა ჩასდგომოდა, ლეოს მოწოლილი სიცილი ყელში გაეხირა.

– ოღონდ ეგ არა, ლეო!

– ერთი ბებერი ძუკნაა. თავს არ ვიტყუებ, მაგრამ ეგ კიდევ უკეთესი... ფულიც აქვს და მეც ვუნდივარ. უბრალო, საქმიანი გარიგებაა.

– ლეო, შენ... ნამდვილი...)

– რაც გინდა ის დამიძახე. იმაზე უკეთესს მაინც ვერაფერს მოიფიქრებ, რაც მე გითხარი.

დაინახა, რა უცნაურად წაიღო ხელები უკან კირამ, თითქოს საყრდენს დაეძებს ალალბედზეო. თვითონაც წამოიწია და ჰკითხა:

– არ მითხრა ახლა, გული წამივაო.

– არა, რა თქმა უნდა არა...

– მიუგო კირამ და უცებვე წელში გასწორდა.

– დაჯექი, კარგად ვარ.

თვითონაც კვლავ მაგიდაზე ჩამოჯდა და კიდეს თითებით ჩააფრინდა. ლეოს გახედა, მაგრამ მაშინვე აარიდა მზერა, როცა მის უსიცოცხლო, სუსხიან თვალებს შეეფეთა.

– ლეო, – ჩურჩულით თქვა კირამ.

– შენ რომ გპუ-ს ციხის საკანში მომკვდარიყავი... ანდა ვინმე ახალგაზრდა, მომხიბვლელ უცხოელ ქალს მიყიდვოდი და...

– ახალგაზრდა, მომხიბვლელ უცხოელ ქალს ვერ მივეყიდებოდი... არ შემიძლია, ჯერ-ჯერობით მაინც. ერთი წლის შემდეგ, იქნებ სწორედ ასეც მოვიქცე.

ლეო წამოდგა, კირას შეხედა და ჩუმად, გულგრილად ჩაიცინა.

– ჩვენში დარჩეს, ზნეობრივ აღშფოთებას შენ მაინც არ უნდა გამოხატავდე. რამდენადაც ორივე ისეთები ვართ როგორებიც ვართ, იქნებ კეთილი ინებო და მითხრა, ის თუ გყავდა, მე რაღად გინდოდი? მხოლოდ ლოგინში მოგწონდი, როგორც ყველა სხვა ქალს? თუ

ჩემი ფულისა და იმისი სამსახურებრივი მდგომარეობის შეხამება გხიბლავდა? – წამოდგა კირაც. ახლა უკვე წელგამართული, მყარად იდგა ფეხზე:

– როდის უთხარი, შენთან ერთად წამოვალო, ლეო?

– სამი დღის წინ.

სანამ ჩემზე და ანდრეიზე რამეს გაიგებდი? – ჰო.

– სანამ ჯერ კიდევ გეგონა, რომ მიყვარდი? – ჰო.

– და არც მაგას ჰქონდა შენთვის მნიშვნელობა? – არა.

– დღეს აქ სეროვი რომ არ მოსულიყო, მაინც წაყვებოდი იმ ქალს?

– კი, ოღონდ შენთვის ამის თქმა უფრო გამიჭირდებოდა. სეროვმა ხელ-ფეხი გამიხსნა. მაგიტომაც გამახარა იმის ნათქვამმა. ახლა უკვე შეგვიძლია ზედმეტი სცენების გარეშე დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

– ლეო, ძალიან გთხოვ... ყურადღებით მომისმინე... ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლოჯერ მეცი პატივი და მეც ამ ერთადერთ შეკითხვაზე მიპასუხე, გულწრფელად: უცებ რომ გაგეგო – სულ ერთია, როგორ – რომ მე შენ მიყვარხარ, ყოველთვის მიყვარდი და მთელი ამ წლების განმავლობაში, არასოდეს მიღალატია შენთვის, მაინც გაეგმზავრებოდი იმასთან ერთად?

– კი.

– და თუ... იძულებული გახდებოდი ჩემთან დარჩენილიყავი? რამე ისეთს თუ შეიტყობდი, რაც გაიძულებდა... რაც ბრძოლას გაგარძელებინებდა, სცდიდი მაინც ერთხელ კიდევ?

– იძულებული თუ გავხდებოდი... არ ვიცი, ვერ გეტყვი. მაშინ ეგებ მეც ისევე მოვქცეულიყავი, როგორც ის შენი საყვარელი მოიქცა. თავისთავად, ეგეც ხომ გამოსავალია.

– გასაგებია.

– კი მაგრამ, რატომ მეკითხები ან რას შეიძლება ვეიძულებინე?

კირამ თვალი გაუსწორა, გაფითრებულ შუბლზე თმა ჩამოშლოდა. მშვიდად, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ამოთქვა:

– არაფერს, ლეო.

– ლეო ისევ დაჯდა, ხელები მოიფშვნიტა და მხრებიც აიჩეჩა.

– მოკლედ, ასეა საქმე. მართალი გითხრა, ჯერაც არაჩვეულებრივ ქალად მიმაჩნიხარ. მაინც მეშინოდა, წივილ-კივილს ატეხავს-მეთქი. არადა, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. სამი დღის შემდეგ მივემგზავრები. მანამდე, თუ გინდა, სხვაგან გადავალ საცხოვრებლად.

– არა, ჯობია მე წავიდე. დღესვე.

– დღესვე რატომ? – ასე მირჩევნია. დროებით ლიდიას შევუსახლდები ოთახში.

– ბევრი ფული აღარ დამრჩა, მაგრამ რაც მაქვს, მინდა რომ...

– არა.

– კი მაგრამ...

– ძალიან გთხოვ. მაგაზე აღარაფერი თქვა. მხოლოდ ტანსაცმელს წავიღებ, რაც მჭირდება.

ლეოსთვის ზურგშექცეული, უკვე ჩემოდანს ალაგებდა, როცა იმან მოულოდნელად ჰკითხა:

– არაფერს მეტყვი? სათქმელი არაფერი გაქვს? ამაზე კირამ გამოხედა და მშვიდი ხმით მიუგო:

– ალბათ, ერთადერთი რამ, ლეო. მე ასორმოცდაათ მილიონ ადამიანს დავუპირისპირდი და მარცხი განვიცადე.

უკვე წასვლას აპირებდა. ლეო წამოდგა და თავისდაუნებურად, დასცდა:

– კირა, ერთ დროს მართლა გიყვარდი, ასე არაა?

– როცა საყვარელი ადამიანი კვდება, ეს მისი სიყვარულის სიკვდილს სულაც არ ნიშნავს...

– ტაგანოვს გულისხმობ თუ მე? – განა მაგას აქვს ახლა რაიმე

მნიშვნელობა, ლეო? – არა. შეიძლება, ჩემოდნის ჩატანაში მოგეხმარო? – გმადლობ, არ მინდა. არც ისე მძიმეა. მშვიდობით, ლეო.

ლეომ ხელზე ხელი წაავლო, ლოყაზე კოცნაც კი დაუპირა, მაგრამ კირამ თავი გვერდზე გასწია და იმანაც მხოლოდ ესღა უთხრა:

– მშვიდობით, კირა.

კირა ქუჩაში გამოვიდა. ტანი ოდნავ მარცხნივ გადაეხარა, რადგან მარჯვენა ხელით მძიმე ჩემოდანი მიჰქონდა. ქუჩაში ბამბის მტვერივით ეკიდა სუსხიანი ნისლი, რომელშიც მყისიერად ითქვიფებოდა ლამპიონის სუსტი, მოყვითალო შუქი. კირა მხრებში გასწორდა, აუჩქარებლად გაუყვა ჭრაჭუნა თოვლით დაფარულ ფილაქანს. თავი მაღლა აწია და ამაყად იცქირებოდა წინ.

ოჯახის წევრებს – სამ, ენაჩავარდნილ, გაოცებულ ადამიანს კირამ მოკლედ, მშვიდად აუხსნა ვითარება.

– კი მაგრამ, მაინც რატომ...

– ჩაძიება დააპირა გალინა პეტროვნამ.

– უბრალოდ, ერთმანეთით დავიღალეთ.

– მოკლედ მოუჭრა კირამ.

– ჩემი პატარა, საყვარელი გოგო! მე...

– ჩემზე ნუ იდარდებ, დედა! გთხოვ... შენც მაპატიე ლიდია, ზედმეტი უხერხულობა რომ შეგიქმენი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. იმედია, რამდენიმე კვირაში დაგემშვიდობებით.

– აბა რას ამბობ! გვიხარია კიდეც შენი დაბრუნება, კირა. იმდენი ამაგი გაქვს ჩვენზე. ოღონდ რატომ რამდენიმე კვირაში? მერე რას აპირებ?

– მერე მივემგზავრები, საზღვარგარეთ.

– თქვა კირამ და მის ჯიუტ ხმაში მანიაკალური ახირება იგრძნობოდა.

* * *

მეორე დილით, მოქალაქე კირა არგუნოვამ განცხადება შეიტანა

მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემის თხოვნით. პასუხისათვის რამდენიმე კვირა უნდა დაეცადა.

აღელვებული გალინა პეტროვნა ადგილს ვერ პოულობდა და გაუთავებლად ვიშვიშებდა.

– ეს სიგიჟეა, კირა! სრული სიგიჟე... ჯერ ერთი, პასპორტს არ მოგცემენ. ვერანაირად ვერ დაუსაბუთებ, რატომ გინდა გამგზავრება. მით უმეტეს, მამაშენის სოციალური წარმომავლობისა და საერთოდ, ყველაფრის გათვალისწინებით... და გინდაც მოგცენ ეგ პასპორტი, მერე რას შვები? არცერთი უცხო ქვეყანა არ მიიღებს თავისთან რუსს და მართალი გითხრა, ამაში ვერც დავადანაშაულებ... და კიდეც რომ მიგიღონ, მერე იქ რა უნდა აკეთო? გიფიქრია მაგაზე?

– არა, – თავი გადააქნია კირამ.

– არც ფული გაქვს, არც პროფესია. თავი როგორ უნდა ირჩინო? – არ ვიცი.

– რა ბედი გელოდება? – ჩემთვის სულ ერთია.

– კი მაგრამ, რატომ იქცევი ასე? – აქაურობას მინდა მოვშორდე.

– და სულ მარტოდმარტო დარჩე მთელ სამყაროში? არავინ გინდა...

– მინდა აქედან გავაღწიო.

– ...არც მეგობარი, არც დამხმარე, არც მომავლის იმედი, არც...

– აქედან უნდა წავიდე!

სამხრეთში გამგზავრების წინა დღეს, არგუნოვებთან ლეომ შეიარა გამოსამშვიდობებლად. ლიდიამ ის და კირა მარტო დატოვა თავის ოთახში.

– იმის შემდეგ, როგორც დავშორდით, შენს უნახავად ვერ წავიდოდი, კირა! – წამოიწყო ლეომ.

– მინდოდა ერთხელაც დაგმშვიდობებოდი, თუ რა თქმა უნდა, შენ...

– არა, არა...

– თქმა არ აცალა კირამ.

– გამიხარდა რომ მოხვედი.

– ბოდიშიც მინდა მოგიხადო ზოგიერთი ჩემი ნათქვამის გამო.

არავითარი უფლება არ მქონდა, ასე მელაპარაკა. მე არც რამეში შენი დადანაშაულების უფლება მაქვს. მაპატიებ?

– ნუ ღელავ. ლეო. საპატიებელიც არაფერია.

– მინდოდა მეთქვა, რომ... თუმცა არა, რაღა უნდა გითხრა... ალბათ მარტო ის, რომ... გასახსენებელი ბევრი გვექნება, არა?

– კი, ნამდვილად.

– უჩემოდ უკეთესად იქნები.

– ჩემზე არ იდარდო, ლეო.

– პეტროგრადში უთუოდ დავბრუნდები. ისევ გნახავ, აუცილებლად. თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ. დრო კი ხომ იცი, ბევრ რამეს ცვლის.

– ვიცი, ლეო.

– მაშინ, ეგებ ცოტა უფრო იოლად შევხედოთ ყველაფერს. წარსულიც ალბათ უცნაურად მოგვეჩვენება, არა? ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს, კირა. მე დავბრუნდები.

– ჰო, თუ ცოცხალი დარჩი და თუ ისევ გეხსომები.

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს გზაზე მომაკვდავ ცხოველს ფეხი წაკრა და უკანასკნელი კრუნჩხვა დააწყებინაო.

– კირა... არ გინდა, – ჩურჩულით თქვა ლეომ.

და რაკი იცოდა, ეს მართლაც მისი სიკვდილისწინა კრუნჩხვა იყო, კირამაც დაზოგა.

– მართალი ხარ, მეტს აღარ ვიზამ.

ლეო კირასკენ დაიხარა საკოცნელად. ამჯერად, არც კირას აურიდებია მისთვის ტუჩები. ეს იყო და ეს, მერე ლეო წავიდა.

* * *

კირას პასუხისთვის რამდენიმე კვირა უნდა ეცადა.

საღამოობით, სამსახურიდან შინ დაბრუნებული ალექსანდრ დიმიტრიევიჩი წინკარშივე ფერთხავდა თოვლიან კალოშებს და მერე საგანგებოდ საამისოდ შერჩეული ტილოს ნაჭრით, დიდი მონდომებით აპრიალებდა, რადგან კალოშები მთლად ახალთახალი იყო და თან – ძვირიც.

ვახშმის შემდეგ, თუ რამე კრებაზე არ იყო წასასვლელი, კუთხეში მიჯდებოდა, შეუღებავი ხის პლანშეტს მოიმარჯვებდა და ფრთხილად, აუჩქარებლად აწებებდა ზედ ასანთის კოლოფების იარლიყებს. უკვე მთელი კოლექცია შეეგროვებინა, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის, ჩაკეტილ უჯრაში ინახავდა. გვიან საღამოს, მთელ ამ თავის ავლა-დიდებას რუდუნებით გაშლიდა ხოლმე მაგიდაზე და მერე ცდილობდა, იმნაირად გადაელაგ-გადმოელაგებინა, უფრო მომგებიანად რომ შეეხამებინა, მათი ფერადოვნების მიხედვით. მორიგ პანოს რომ შეაკოწიწებდა, მცოდნე კაცის თვალით დახედავდა და კმაყოფილი, თავისთვის ჩუმად აბუტბუტდებოდა:

– აი ეს მესმის! ესაა სილამაზე... თავს დავდებ, პეტროგრადში სხვას არავის ექნება რამე ამის მსგავსი. შენ რას ფიქრობ, კირა? აქ, კუთხეში, ორი ყვითელი და ერთი მწვანე ჯობია თუ სამივე ყვითელი დავტოვო?

– მე მგონი, მწვანე ძალიან მოუხდება, მამა! – მშვიდად პასუხობდა კირაც.

გვიან საღამოს ბრუნდებოდა შინ აქოშინებულ-აღელვებული გალინა პეტროვნა და როგორც წესი, პირველ რიგში ხმაურით დაახეთქებდა ხოლმე წინკარში მდგარ სკამზე თავის მძიმე პორტფელს. როგორც იქნა, ბინაში ტელეფონის დადგმასაც მიაღწია და ლამის შინ შემოსვლისთანავე, ჯერ კიდევ პალტოს გაუხდელად დასწვდებოდა ყურმილს. ჩქარ-ჩქარა, სხაპასხუპით იცოდა ტელეფონზე ლაპარაკი:

– ამხანაგი ფიოდოროვი ბრძანდებით? ამხანაგი არგუნოვა გელაპარაკებათ. გარკვეული მოსაზრებები გამიჩნდა „ცოცხალი გაზეთის" ბოლო ნომერთან დაკავშირებით, რაც თეატრალური წრის შემდეგ

შეკრებაზე უნდა წარმოვადგინოთ... მოკლედ, ერთი სცენა იქნება, სადაც ვაჩვენებთ, როგორ ტანჯავს ბრიტანეთის პროლეტარიატს ლორდი ჩემბერლენი: ერთ-ერთი წითელპერანგიანი მოწაფე – სასურველია, სხვებთან შედარებით ზორბა იყოს და ტანმაღალი – იატაკზე დავაწვინოთ, ზედ კი მაგიდა დავადგათ, ოღონდ მარტო ორი ფეხით... ამ მაგიდასთან კი მეორე დავსვათ – ჩასუქებული, ცილინდრიანი, რომელიც ჩემბერლენს განასახიერებს და მადიანად შეექცევა შებრაწულ ხორცს. რა თქმა უნდა, ხორცი შეიძლება ნამდვილი არც იყოს, მუყაოსაგან გავაკეთებთ...

გალინა პეტროვნა ვახშამსაც ჩქარ-ჩქარა შეექცეოდა, თან საღამოს გაზეთს ჩასცქეროდა. უცებ, შუა ჭამისას წამოხტებოდა, შეშფოთებული გახედავდა კედლის საათს, სახელდახელოდ შეიფიფქავდა ცხვირს, დასწვდებოდა იმ თავის მძიმე პორტფელს და პედსაბჭოს კრებაზე გარბოდა. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა შინიდან გასვლა არ უწევდა, სასადილო მაგიდაზე წიგნებსა და გაზეთის ამონაჭრებს გაშლიდა და მარქსისტული პოლიტგანათლების ჯგუფში დაგეგმილი მორიგი სემინარისთვის ემზადებოდა. ერთ ასეთ საღამოსაც, წიგნიდან თავი აიღო, დაბნეულმა მოჭუტა თვალები და კირას დაეკითხა:

– შემთხვევით ხომ არ გახსოვს, პარიზის კომუნა რომელ წელს დაეცა?

– 1871-ში, დედა, – მშვიდად უპასუხა ქალიშვილმა.

ლიდია ღამ-ღამობით მუშაობდა, დღისით კი უკვე მოძველებულ, კარგა ხნის აუწყობელ პიანინოზე „ინტერნაციონალისა" თუ კიდევ რამდენიმე სხვა რევოლუციური სიმღერის დაკვრაში ვარჯიშობდა. როცა სთხოვდნენ, რამე მისთვის საყვარელი, კლასიკური შეესრულებინა, მტკიცედ უარობდა და ჯიუტად ბუშტავდა ტუჩებს. თუმცა, ზოგჯერ საკუთარი სურვილით მიუჯდებოდა ინსტრუმენტს და მაშინ საათობით, დაუღალავად და გააფთრებითაც კი უკრავდა შოპენს, ბახსა თუ ჩაიკოვსკის, შესვენებასაც არ ფიქრობდა, ვიდრე თითები ერთიანად არ გაუხევდებოდა. ერთი ეგაა, შიგადაშიგ ხმამაღალი

ქვითინი აუვარდებოდა ხოლმე, სხვა დროს კი ჩვილი ბავშვივით გაბმულად, გულისგამაწვრილებლად ზმუოდა. გალინა პეტროვნა მის ამ გამოხდომებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მშვიდად ჩაილაპარაკებდა ხოლმე – ისევ წამოუარა ამ ჩვენს ლიდიასო...

სამსახურიდან დაბრუნებულ ლიდიას კირა, როგორც წესი, იატაკზე გაშლილ ლეიბზე მიწოლილი ხვდებოდა. ლიდია უამრავ დროს ხარჯავდა საგარეო ტანსაცმლის გასახდელად და კიდევ უფრო მეტს – იმ ლოცვების წასაკითხად, ჩურჩულით რომ ამბობდა თავის კუთხეში მოწყობილ სახატესთან მუხლებზე დამდგარი. ზოგჯერ, კირასაც ჩამოუჯდებოდა ხოლმე ლეიბზე და ქუჩის ლამპიონის ფანჯრიდან შემოღწეული შუქიც დაქანცულ სახეს, შეშუპებულ თვალებს და ტუჩის კუთხეებში გაჩენილ ნაოჭებს უჩენდა. თეთრ ღამის პერანგში გამოწყობილს, თითქოს მუდმივად უცახცახებდა დამფრთხალი სხეული; თმა სქლად დაეწნა, ხოლო დაშაშრულ-დაკორძილ ხელებს უწინდელი ახალგაზრდობის აღარაფერი ეტყობოდათ.

– კიდევ მქონდა ხილვა, კირა! – ეჩურჩულებოდა დას ლიდია.

– ზეციური ხმა ჩამესმა. ნამდვილად წინასწარმეტყველება იყო. საცაა, ხსნაც გვეღირსება, მალე დადგება აღსასრული, ანტიქრისტეს ზეობაც მოვა, მაგრამ მერე ამას განკითხვის დღე მოჰყვება. ზუსტად ვიცი. ზეგარდმო ძალამ ჩამაგონა.

ასე აღგზნებული, აღელვებული კი ჩურჩულებდა, მაგრამ უმცროსი დისგან პასუხად დამცინავი ქირქილის მეტს არაფერს ელოდა. ამიტომ, ლაპარაკისას კირასკენ არცკი იხედებოდა და ისიც არ იცოდა დანამდვილებით, ესმოდა კირას მისი ნათქვამი თუ არა, მაგრამ აუცილებლად უნდა მოეოხებინა გული, ვინმესთვის მაინც გაეზიარებინა სატკივარი.

– ერთი ბერიკაცია, კირა, ღვთის სალოსი. იმის სანახავად ვიყავი, ოღონდ ძალიან გთხოვ, არავისთან დაგცდეს, თორემ სამსახურიდან გამომაგდებენ. ღმერთის რჩეულია ის კაცი და მართლა ყველაფერი

იცის. იმან მითხრა, წმინდა წერილში წინასწარაა ყოველივე გაცხადებულიო. ჩვენ ისევე ვისჯებით საკუთარი ცოდვებისთვის, როგორც სოდომი და გომორა დაისაჯა. ოღონდ მართლმორწმუნეთათვის, ნებისმიერი გაჭირვება თუ მწუხარება მხოლოდ სულის გამოცდაა. თუ ტანჯვა არ გამოვიარეთ და უსასრულო მოთმინება არ გამოვიჩინეთ, ვერც ცათა სასუფეველს ვეღირსებით.

– არავის არაფერს ვეტყვი, ლიდია, – მშვიდად პასუხობდა კირა.

– ოღონდ ახლა ჯობია დაიძინო. დაღლილიცა ხარ და ოთახშიც ძალიან ცივა.

დღისით კირა კვლავაც რევოლუციის მუზეუმის დარბაზებში დაატარებდა ექსკურსიაზე მოსულ დამთვარიელებლებს. საღამოობით, სასადილო ოთახში იჯდა და ძველ წიგნებს კითხულობდა. იშვიათად ლაპარაკობდა, ხოლო თუ ვინმე მიმართავდა, მშვიდად და წყნარად პასუხობდა. ხმა თითქოს ერთადერთ ნოტაზე გაყინვოდა. შეშფოთებული გალინა პეტროვნა გულში იმას ნატრობდა, ნეტა ერთხელ მაინც მანახა ძველებურად გაბრაზებულიო, მაგრამ კირა ამ ნატვრას არ უსრულებდა. ერთ საღამოს, როცა ლიდიას ლარნაკი გაუვარდა ხელიდან და ხმაურით დაიმსხვრა იატაკზე, გალინა პეტროვნამ შეშინებულმა შეჰკივლა, ალექსანდრ დიმიტრიევიჩს ხელები აუცახცახდა, კირას კი არაფერი შეუმჩნევია, თითქოს მსხვრევის ხმა არცკი გაუგონიაო.

სიცოცხლის ნაპერწკალი მხოლოდ მაშინ გაუკრთებოდა ხოლმე თვალებში, როცა სამსახურიდან შინ მიმავალი, ლიტეინის ქუჩაზე, უცხოური წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან ჩერდებოდა. იდგა და ჯიუტად მიჩერებოდა თვალისმომჭრელ, მხიარულ, უცხოური ასოებით აჭრელებულ ყდებს, რომლებზეც მაღალფეხება გოგოები მიაბიჯებდნენ, ცათამბჯენები წამომართულიყო და გრძელი, შავი ავტომობილები მიმოდიოდა. სიცოცხლის ძალა ემატებოდა თითებშიც, როცა ყოველ საღამოს, კედელზე გაკრულ ძველ კალენდარში ბუღალტრის გულმოდგინებით გადახაზავდა ხოლმე კიდევ ერთ დღეს.

* * *

საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე კირას უარი უთხრეს.

ეს ამბავი იმდენად გულგრილად მიიღო, გალინა პეტროვნას შეეშინდა კიდეც – ერჩივნა, მის ქალიშვილს ერთი ვაიუშველებელი აეტეხა.

– მისმინე, კირა...

– საქმიანად წამოიწყო საუბარი გალინა პეტროვნამ და კარიც ხმაურით შემოიკეტა ზურგსუკან, რათა კირასთან ერთი-ერთზე დარჩენილიყო იმის ოთახში.

– მოდი, საღ აზრს მოვუხმოთ... თუ ისევ გიტრიალებს თავში გიჟური აზრები იმ... მოკლედ, მინდა პირდაპირ გამოგიცხადო, რომ მაგაზე ფიქრსაც კი გიკრძალავ! ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილი ხარ და მეც ხომ მაქვს სიტყვის უფლება? იმედია გესმის, რა მოხდება თუ-კი ერთხელ მაინც შეეცდები... გაიფიქრებ მაინც, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას!

– მაგაზე კრინტიც არ დამიძრავს, – მხრები აიჩეჩა კირამ.

– მართალია, ოღონდ მშვენივრად გიცნობ და ვიცი, რაზეც ფიქრობ. ისიც კარგად წარმომიდგენია, სადამდე შეიძლება მივიდეს შენი უგნურება... მომისმინე, თავს დავდებ, მაინც არაფერი გამოგივა! მადლობელიც კი უნდა დარჩე, თუ საზღვარზევე გაგაფრთხობინეს სული. ბევრად უარესი იქნება, დაგაპატიმრონ და უკან დაგაბრუნონ, მაგრამ თუ სასწაული მოხდა და მაინც გააღწიე აქედან, სადღაც ტყეღრეში დაგებნევა გზა და იქვე აგმოხდება სული!

– ამ ყველაფერს რატომ მეუბნები, დედა?

– რატომ და, სულ ჯაჭვითაც რომ დამჭირდეს შენი დაბმა, აქედან არსად არ გაგიშვებ! რა გინდა, რატომ ვერ ისვენებ? რითი არ მოგწონს ეს ჩვენი ქვეყანა? მარალია, ფუფუნებაში არ ვცხოვრობთ, მაგრამ ფუფუნება არც იქ გელოდება. დიდი-დიდი, მოახლედ დაუდგე ვინმეს და ეგეც – თუ ძალიან გაგიმართლა. ჩვენი ქვეყანა კი ახალგაზრდობას დიდ მომავალს უქადის. ვიცი მაგ შენი უაზრო სიჯიუტის

ამბავი, მაგრამ მაგასაც მოერევი... აბა ერთი, მე შემომხედე! ამ ხნის ქალმა ხომ მოვახერხე ახალ სინამდვილესთან მორგება და სიმართლე თუ გინდა იცოდე, სულაც არ ვგრძნობ თავს უბედურად. შენ ჯერ მთლად ბავშვი ხარ და უფლებას არ მოგცემ, რამე ისეთი გადაწყვიტო, რაც რიგიანად დაწყებამდე დაგინგრევს მთელ ცხოვრებას! ეგ სულელური ახირებებიც დროსთან ერთად გაგივლის – ამ ჩვენს ახალ ქვეყანაში ყველა იპოვის თავის გზას...

– დედა. მე ხომ არ გეკამათები... არ გვინდა ამ თემაზე საუბარი.

* * *

ბოლო დროს, კირას ქალაქში ბევრი სიარული უწევდა და შინ შედარებით გვიან ბრუნდებოდა. ვიღაც-ვიღაცეებს ხვდებოდა ბნელ ქუჩებში, სადაც ჩაბნელებულ კიბეებზე, საეჭვო ხალხი მიდი-მოდიოდა, უცებ გამოჩნდებოდნენ რომელიღაც კარის წინ და უცებვე სადღაც უჩინარდებოდნენ; ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდნენ და ისიც ხელგაშლილად უკუჭავდა ფულს მუჭში. კირასთვის საუკეთესო არჩევანი ლატვიის საზღვრის ფეხით გადაკვეთის მცდელობა იქნებოდა და აჯობებდა, ეს მარტო გაეკეთებინა, რადგან კონტრაბანდისტთა გემით მგზავრობა ბევრად სახიფათოც იყო და არც მაგდენი ფული არ ჰქონდა, თუმცა თოვლიან ზამთარში, საზღვარზე ფეხით გადასასვლელად, უთუოდ თეთრი სამოსი დასჭირდებოდა. მსგავსი შემთხვევები უკვე მომხდარიყო: ღამის სიბნელეში, ადამიანები ღრმა თოვლში სულ ცოცვა-ცოცვით მიიკვლევდნენ გზას დასახული მიზნისაკენ. გაყიდული მაჯის საათის საფასური მან იმ რუკის შესაძენად დახარჯა, რომელზეც საზღვრის ხელსაყრელი მონაკვეთიც იყო გამოსახული, შესაბამისი დასახლებული პუნქტიცა და სარკინიგზო სადგურიც. ლეოს ნაჩუქარი ბეწვის ქურქის გაყიდვით აღებული ფული კი სასაზღვრო ზონაში შესაღწევი ყალბი საშვის შეძენას მოახმარა.

ასევე გაყიდა სანთებელა, აბრეშუმის წინდები, ფრანგული სუნამო; გაყიდა თითოეული წყვილი ახალი ფეხსაცმელი და ყველა კაბა.

კაბების შესაძენად ვავა მილოვსკაია მოადგა შინ. მძიმე-მძიმედ შემოეხირა ოთახში – თექის ჩექმების ბრაგაბრუგით. კაბის გულისპირზე ცხიმოვანი ლაქა ემჩნია, თმა კი ისე აჩეჩოდა, თითქოს სავარცხელი არც არასოდეს უხმარიაო. თვალებამოღამებულს, სახეზე სქლად წაესვა ფერუმარილი, რომელიც მაინც ვერ უფარავდა ცხვირთან გაჩენილ ღრმა ნაოჭებს. როცა ნელა, მოუქნელად იზომებდა კაბას, ლიდიამ შეამჩნია რომ ერთ დროს წელწვრილ ვავას აშკარად დატყობოდა მუცელი.

– ვავა, საყვარელო! უკვე? – წამოიძახა ლიდიამ.

– ჰო, – გულგრილად მიუგო ვავამ.

– ბავშვს ველოდები.

– გილოცავ! – ტაში შემოჰკრა ლიდიამ.

– მალე დედა გავხდები...

– ახლა კი კარგი კვება მჭირდება და ყოველდღე ფეხით სიარული. ბავშვი რომ დაიბადება, მაშინვე პიონერებში უნდა ჩავწეროთ.

– არა რა, ვავა!

– რატომაც არა?! არ მესმის... სხვანაირად რა მომავალი ექნება? სკოლაშიც ხომ უნდა წავიდეს, მერე ალბათ, უმაღლესშიც ჩააბარებს... აბა რას ითხოვ ჩემგან, ყველასგან გარიყული დარჩეს? ან რა მნიშვნელობა აქვს – ვინ იცის, ვინ მართალია და ვინ მტყუანი... მე პირადად, აღარც ვიცი და აღარც მაინტერესებს.

– კარგი რა, ვავა! შენს შვილზეა ლაპარაკი...

– და რა მერე? ბავშვს რომ გავაჩენ, სამსახურიც უნდა დავიწყო, სხვა რა გზაა... კოლია მუშაობს, ჩვენი შვილიც საბჭოთა მუშამოსამსახურეების ოჯახიდან იქნება... მერე იქნებ კომკავშირშიც მიიღონ. კირა, აი ეს შავი ხავერდის კაბა მომწონს – მართლა უცხოურს ჰგავს. ვიცი, ახლა ჩემთვის ვიწრო იქნება, მაგრამ მერე იქნებ ისევ მომერგოს. ამბობენ, მშობიარობის მერე ქალები ისევ იკლებენ წონაშიო. შენგან რა მაქვს დასამალი – კოლიას მეტად მოკრძალებული ხელფასი აქვს, მამაჩემს კი არ მინდა ვთხოვო... თუმცა დაბადების დღეზე

თვითონ მაჩუქა ორმოცდაათი მანეთი და მე მგონი, ჯობია... თან ამისთანა კაბას ახლა სხვაგან ვერც ნახავ.

მოკლედ, ვავამ ის ხავერდის კაბაც იყიდა და კიდევ ორი სხვაც.

– არაფერში მჭირდებოდა, – ასე აუხსნა მომხდარი კირამ გალინა პეტროვნას.

– მაინც არსად დავდივარ და თვალებშიც უშნოდ მეჩხირებოდა.

– უსიამო მოგონებები? – ჩაეკითხა გალინა პეტროვნა.

– კი, ეგრეა...

– მიუგო კირამ.

მაინცდამაინც დიდი თანხას ვერც ყველაფრის გაყიდვის მერე მოუყარა თავი; არადა, კარგად იცოდა, რა ფასი ედო მისთვის თითოეულ მანეთსაც კი. როგორც ჩანს, თეთრ ქურქსაც ვერ იყიდდა, თუმცა შინ ვასილი ივანოვიჩისაგან კარგა ხნის წინ შეძენილი, თეთრი დათვის ტყავი ეგულებოდა. ადგა და ყველასგან მალულად, თერძს მიუტანა – სთხოვა, იქნებ ამისგან ქურქი შემიკეროო. ქურქი არა და მოკლე ჯუბა კი გამოუვიდა, რომელიც მუხლებამდეც კი ვერ სწვდებოდა. ამიტომ თბილი, თეთრი კაბაც დასჭირდებოდა. ასეთი კაბა ვერსად იყიდა, თუმცა ბედზე, გალინა პეტროვნას თეთრი, მაქმანებიანი საქორწინო კაბა გაახსენდა. მერე ერთხელაც, შინ მარტო დარჩენილმა, თექის ჩექმები სამზარეულოში შეიტანა და კირით თეთრად გადაღება. შეიძინა ერთი წყვილი თეთრი თათმანი და ასევე თეთრი, სქელი შალის თავშალიც.

ბოლოს კი მატარებლის ბილეთიც იყიდა ერთ პატარა ქალაქამდე, რომელიც ლატვიის საზღვრიდან და მისი დანიშნულების ადგილიდანაც შედარებით მოშორებით მდებარეობდა. როდესაც ეს ყველაფერი მოითავა, უცხოური ფულის მომცრო შეკვრა ბეწვის თეთრი ჯუბის სარჩულქვეშ გამოაკერა. ახლა ფული მხოლოდ საზღვრის გადასვლის მერეღა დასჭირდებოდა, თუ რა თქმა უნდა, საზღვრის გადალახვას მოახერხებდა.

ზამთრის ერთ უჟმურ ნაშუადღევს, სწორედ მაშინ გამოიკეტა

სახლის კარი, როცა შინ არავინ იყო. დამშვიდობება არ სურდა. არც ბარათი დაუტოვებია. ისე დაუყვა კიბის საფეხურებს და ქუჩაშიც ისე გამოვიდა, თითქოს იქვე, კუთხის მაღაზიაში მიეჩქარებოდა. ტანზე თავისი ძველი, გაქუცული პალტო ეცვა, ხელში კი მომცრო ჩემოდანი ეჭირა. ამ ჩემოდანში ელაგა თეთრი ჯუბაც, საქორწინო კაბაც, თექის ჩექმებიც, თათმანებიცა და თავშალიც.

პირდაპირ რკინიგზის სადგურისაკენ გაეშურა. სახურავებს მოყავისფრო ნისლში შეერგოთ თავი. ქარი უბერავდა და წინ წახრილი, მხრებში თავჩარგული ადამიანებიც იღლიებქვეშ ხელებამოჩრილები მიიკვლევდნენ გზას. ქუჩის აბრებზე და პლაკატებზე თეთრად ბრწყინავდა თრთვილი. ეკლესიის ბრინჯაოს გუმბათები რუხ-მოვერცხლისფროდ ლიცლიცებდა. ქარი თოვლის წვრილ-წვრილ ფანტელებს აბზრიალებდა ჰაერში; მაღაზიის ვიტრინებში გამოდგმული ნავთის სანათების სიმხურვალე კი მაშინვე წყლად აქცევდა შუშაზე მიხლილ თოვლს.

– კირა! – ჩუმი ძახილი მოესმა უკვე ქუჩის კუთხემდე მისულს.

დაძახილზე მაშინვე შეტრიალდა და ვასილი ივანოვიჩი დაინახა. ლამპიონის ქვეშ იდგა, შემცივნებული; ძველისძველი პალტოს საყელო აწითლებულ ყურებამდე აეწია, ყელზე ასევე ძველი კაშნე შემოეხვია. ტყავის ღვედით, ხის მომცრო დაფა ჩამოეკიდა გულზე და ზედ სახარინიანი წამლის შუშები დაელაგებინა.

– საღამო მშვიდობისა, ძია ვასილი.

– ამ ჩემოდნით საით გაგიწევია, კირა? – რას შვებით, როგორ ხართ, ძია ვასილი?

– არა მიშავს, შვილო... აი, ვჯახირობ რაღაცას. მაგრამ არა უშავს, თავი გამაქვს. არც მთლად ისე უსაშველოდაა ჩემი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდა. მაინცდამაინც არც განვიცდი. ისე, ერთს რატომ არ შემოგვივლი, ხანდახან მაინც რატომ არ დაგვხედავ ხოლმე, კირა?

– მე...

– ამჟამინდელი ბინით თავს დიდად ვერ მოვიწონებ, ორი ოჯახი ვიყოფთ საზიაროდ ერთ ოთახს, მაგრამ როგორღაც ვეტევით. ასიასაც გაუხარდებოდა შენი ნახვა. სტუმრიანობით არ გვანებივრებენ, არადა ასია ძალიან კარგი გოგო დადგა...

– ეჭვიც არ მეპარება, ძია ვასილი.

– ერთი სიამოვნებაა იმისი ცქერა! გაიზარდა, დაჭკვიანდა, სკოლაშიც ბევრად უკეთესად სწავლობს. ცოტ-ცოტა მეც ვეხმარები საშინაო დავალებების მომზადებაში... მართალი გითხრა, არც მთელი დღე აქ დგომას დავეძებ უკვე, როცა ვიცი რომ შინ დაბრუნებულს, იქ ასია დამიხვდება. ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული. ასიას კარგი მომავალი ელოდება. ძალიან გონებაგახსნილი ბავშვია. ვიცი, უთუოდ შორს წავა.

– აბა რა, ძია ვასილი.

– დრო თუ მაქვს ხოლმე, გაზეთებსაც ვკითხულობ. უამრავი რამ ხდება მსოფლიოში, უკეთესს უნდა ველოდოთ. მთავარია, რწმენა და მოთმინება არ დავკარგოთ...

– ძია ვასილი... აუცილებლად ვიტყვი ყველაფერს იქ... სადაც მივდივარ. ყველაფერს მოვუყვები. ხმამაღლა ვიყვირებ – იხსენით ჩვენი სულები-მეთქი და ვინ იცის, იქნებ ვინმემ სადმე ყურადაც იღოს ეს ვედრება!

– კი მაგრამ, სად მიდიხარ, შვილო?! – ერთ შუშა სახარინს ვერ მომყიდი, ძია ვასილი? – მოყიდვით ვერა და ისე, აიღე თუ გჭირდება.

– ისე არ მინდა, მაინც უნდა მეყიდა სადმე. თქვენ რა, ჩემნაირი მუშტარი არ გინდათ? ეგებ კარგი ხელი აღმომაჩნდეს!

– ეგრე იყოს, შვილო.

– აი, ამას ავიღებ, მოზრდილს. ამაში უფრო მსხვილი კრისტალებია. აი, ფულიც...

კირამ რკინის ფული ბიძას ჩაუდო ხელში, სახარინიანი შუშა კი ჯიბეში ჩაიცურა.

– აბა, კარგად მენახე, ძია ვასილი.

– კარგად იყავი, კირა.

უკან აღარ მიუხედავს, მწუხრში ჩაძირულ, უჟმურ, გადათეთრებულ ქუჩებს გამოუყვა. ძველი კედლებიდან დაშვებულ, ფერგადასულ დროშებქვეშ მიაბიჯებდა – იმ დროშებქვეშ, რომლებიც ერთ დროს, ალისფრად ფრიალებდა. ფართო მოედანიც გადაჭრა, სადაც ნისლიდან გამომავალი ტრამვაის შუქები ციმციმებდა. ბოლოს, რკინიგზის სადგურის გასიპულ კიბეს აუყვა, ისე რომ ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

XVII

მატარებლის ბორბლებმა ორჯერ ისე-გაიჟღრიალეს, თითქოს რკინის ჯაჭვი შეარხიესო. მერე ზარმაცად აჯაყჯაყდნენ და ნელი-ნელ, მძიმედ აკრიფეს სიჩქარე. ბორბლების დაგადუგი თითქოს მოძრავი რკინის საათივით ითვლიდა წამებს, წუთებს, კილომეტრებს...

კირა არგუნოვა ფანჯარასთან იჯდა. ჩემოდანი მუხლებზე დაედო და თითებგაფარჩხულს, ორივე ხელით მაგრად ეჭირა. თავი ხის სკამის საზურგეზე მიედო და ზუსტად ისევე მსუბუქად უქანავებდა, როგორც მატარებლის ჭუჭყიანი შუშა თრთოდა. კირა ფანჯარაში იცქირებოდა. ქუთუთოებში თითქოს ტყვია ჩაღვროდა, მაგრამ მაინც ჯიუტად ცდილობდა, თვალები არ დახუჭვოდა. უკვე რამდენიმე საათი იჯდა ასე, გაუნძრევლად, მაგრამ ან მის კუნთებს დაეკარგათ ყოველგვარი შეგრძნების უნარი, ანდა თავადვე ვეღარ გრძნობდა საკუთარ სხეულს.

ფანჯრის იქით, თოვლის უკიდეგანო სითეთრეში, არაფერი მოძრაობდა ტელეგრაფის ბოძების შავი ლანდების მეტი. თითქოს მატარებელი ერთ ადგილას გამოკიდულიყო თეთრისა და რუხის ორ ფენას შორის, ბორბლები კი ისეთი ხმით ღრჭიალებდნენ, გეგონებოდათ, გამალებული ფქვავენ და აქუცმაცებენ სიცარიელესო. დროდადრო, ამ თეთრ უდაბნოში, შავარშიიან ლაქებად გაკრთებოდა

ხოლმე მიწის გაშიშვლებული ნაკუწები.

უკვე კარგა ხანია, პირში ლუკმა არ ჩასვლოდა: თვითონ ზუსტად ვერც იტყოდა, რამდენი დღე ან სულაც საათი გასულიყო მას შემდეგ;

არც ახლა გრძნობდა შიმშილს, მაგრამ ბუნდოვნად, ჯერ კიდევ აცნობიერებდა – უამისოდაც არ შეიძლებაო და მაინც მოატეხა ყუა გამხმარ პურს. ეს პური ჯერ კიდევ რკინიგზის სადგურში ეყიდა. იჯდა ახლა და ნელა, იძულებით, დუნედ ლოღნიდა.

მატარებლის ყოველ გაჩერებაზე, მგზავრები ამოძრავდებოდნენ ხოლმე, ბაქანზე გამოდიოდნენ და უკან ცხელი ჩაით სავსე ჩაიდნებით ბრუნდებოდნენ. ერთხელ ვიღაცამ მასაც ძალით ჩასჩარა ხელში ჩაით სავსე ტოლჩა და კირაც ისე დაეწაფა, ლამის ტუჩები დაიფუფქა.

ტელეგრაფის სადენები სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ მატარებელს; ხან ერთმანეთს კვეთდნენ, ხან შორიშორდებოდნენ, მერე ისევ იკვეთებოდნენ. ეს შავი ძაფები თანდათან სულ უფრო და უფრო კრეფდნენ სიჩქარეს და აძაგძაგებულ შემადგენლობასაც უკვე უჭირდა მათი აყოლა.

დღისით ცა მიწაზე უფრო მკრთალი ჩანდა და უფერულ, გამჭვირვალე ზოლად გასდევდა მძიმე სითეთრეს. ღამ-ღამობით კი პირიქით – მიწა უფრო ფერმკრთალდებოდა, ჩაშავებული სიცარიელის ქვეშ გადაშლილ ღია-ცისფერ საბანს ემსგავსებოდა.

კუთხეში მიმჯდარ კირას თავი ხელებზე ჩამოედო, ხელები კი ჩემოდანზე შემოეწყო და ასე ეძინა. ღამით სულაც ბაწრის ნაჭრით მიიბა მაჯაზე ჩემოდნის სახელური, რადგან თანამგზავრები ერთთავად მოპარულ ბარგზე ლაპარაკობდნენ. კი ეძინა, მაგრამ ძილშიც მისი ფიქრი ერთადერთ საზრუნავს დასტრიალებდა: მისსავე ჩემოდანს. საკმარისი იყო ის ოდნავ ჩამოცურებოდა მუხლებიდან და მაშინვე დაფეთებულს ეღვიძებოდა.

სხვაზე მართლა ვეღარაფერზე ფიქრობდა. ეგ კია, რომ ერთია-

ნად გამოცარიელებულს, მაინც სიმშვიდის, სიცხადის განცდა დაუფ-ლებოდა – თითქოს მისი სხეული მხოლოდ და მხოლოდ მისივე ნების გამოვლინებად ქცეულიყო, თავად ნება კი იმ წვერწამახულ ისრად, რომელიც უსიკვდილოდ გადასალახი საზღვრისაკენ დაემიზნები-ნათ. მუხლებზე დადებულ ჩემოდანსაც ახლა ერთადერთ ცოცხალ არსებად აღიქვამდა. მისი ნებაც უკვე მატარებლის ბორბლებს აყო-ლილი მიაქროლებდა ამ მიზნისაკენ და თითქოს მისი გულისცემაც ამ ბორბლების ხმაურს შერწყმოდა.

ერთხელ, დაბინდული მზერა მის პირდაპირ, სკამზე მჯდომ ქალს ჰკიდა, რომელსაც თეთრი, ცივი ძუძუ ჩვილისათვის ჩაედო პირში. თურმე ჯერ ისევ არსებობდა ხალხი, თურმე ჯერ ისევ აქაც გრძელ-დებოდა ცხოვრება... თუმცა, ახლა არც კირა იყო მკვდარი, ის უბრა-ლოდ, საკუთარ დაბადებას ელოდებოდა.

შებინდდებოდა თუ არა, კირა საათობით იცქირებოდა ფანჯარა-ში. ოღონდ იქ ვერაფერს ხედავდა სანთლის შუქის სუსტი ანარეკ-ლის, ხის სკამების, ვაგონის მუყაოს ტიხრებისა და საკუთარი თმა-აჩეჩილი გამოსახულების გარდა. ფანჯრის იქით, სამყარო აღარ არ-სებობდა. მხოლოდ სადღაც შორს, ლიანდაგის გასწვრივ ჩნდებოდა თოვლის ბუქში გახვეული, ყვითლად განათებული ფანჯრების ოთ-ხკუთხედები. შიგადაშიგ, სიბნელეს ცის გუმბათიდან დაღვრილი, კაშკაშა შუქიც გაკვეთდა ხოლმე, რომელიც უეცრად აცოცხლებდა ფანჯრის იქით გადაშლილ, უსასრულო ცისფერ სიცარიელეს. მაგ-რამ ერთი გაელვება და ისევ წყვდიადი ნთქავდა ყოველივეს. ფან-ჯრის შუშაზე კვლავაც მხოლოდ მუყაოს ტიხრები, სანთლის ანარეკ-ლი და თმააჩეჩილი თავი რჩებოდა.

ზოგიერთ ბაქანზე კირასაც უწევდა ჩასვლა. ქარის სათარეშოდ ქცეულ ფიცარნაგზე, სალაროს ფანჯარასთან იდგა ხოლმე და უკვე სხვა, ბინდში დგანდგარით მომავალ მატარებელს ელოდებოდა, რო-მელიც გამოჩენისთანავე ბორბლებქვეშიდან წითელ ნაპერწკლებს, ორთქლმავლის მილიდან კი შავ ბოლს აფრქვევდა.

– მერე ამას ისევ ბორბლების დაგადუგი, ახალი სადგურები, ახალი სალაროები, სხვა მატარებლები მოსდევდა. ერთმანეთს ენაცვლებოდა დღე და ღამე, ოღონდ კირა უკვე ამ მონაცვლეობასაც ვეღარ ამჩნევდა. სამხედროქუდიან ხალხს, ვისაც ბილეთების შემოწმება ევალებოდა, ეჭვიც არ აუღიათ, რომ ეს გაქუცულპალტოიანი ახალგაზრდა ქალი ლატვიის საზღვრისკენ მიემგზავრებოდა.

ბოლო სადგური, სადაც ბილეთი აღარ უყიდია, ერთი უჟმური, მომცრო, გამომპალი ხის ფიცარნაგიანი ბაქანი აღმოჩნდა – უკანასკნელი გაჩერება საზღვრისპირა ქალაქის სარკინიგზო დეპომდე.

უკვე ბნელდებოდა. თოვლში ლიანდაგის ყავისფერი კვალი ბოლოს წითელ ლაქად მთლიანდებოდა შორეთში. ბაქანზე მდგარმა, რულმორეულმა ჯარისკაცებმა ლამის ზედაც არ შეხედეს კირას. მერე ვიღაცამ ღონიერი ხელით მოისროლა სატვირთო ვაგონიდან დიდი, მოწნული კალათა და ისიც ხმაურით დაენარცხა ძირს. სადგურის კართან მამაკაცი დაჟინებით ითხოვდა მდუღარე წყალს. ლიანდაგზე ჩამომდგარი შემადგენლობის ფანჯრებში სუსტი შუქი ციმციმებდა.

კირამ ჩემოდნის სახელური ჩაბღუჯა და იქაურობას გაეცალა. მანქანის ბორბლების ნაკვალევს გაუყვა თოვლში.

მისი მუქი, ჩამოქნილი, ოდნავ უკან გადახრილი ფიგურა ეულად იკვეთებოდა ვეება მინდორში, რომელსაც ამ ჩამავალი მზის გამონაშუქზე, თითქოს ჟანგისფერი დასდებოდა.

უკვე ბნელდებოდა, როცა წინ სოფლის სახლები და ამ სახლების მომცრო ფანჯრებში გამკრთალი სანთლის შუქი დაინახა. რომელიღაც კარზე დააკაკუნა. კარი კაცმა გაუღო; მისი თმა-წვერი ღია ფერის ბუჩქს მოგაგონებდათ, საიდანაც ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდა ორი მოელვარე თვალი. კირამ მაშინვე ფული ჩასჩარა ხელში და შეეცადა ყველაფერი სწრაფი, დაგუდული ჩურჩულით აეხსნა მისთვის. თუმცა, ამ ახსნა-განმარტებას დიდი დრო არ წაუღია – ამ სახლის მცხოვრებლებს ყველაფერი ისედაც კარგად მოეხსენებოდათ.

იატაკზე თივა ეფინა, ხის დაბალი ტიხრის იქით კი ერთმანეთზე

მიხუტებულს ეძინა ორ ღორს. კირამ ტანზე გამოიცვალა, მაგიდის გარშემო მიმსხდარი მისი მასპინძლები კი ისე იქცეოდნენ, თითქოს მის იქ ყოფნას ვერც ამჩნევდნენ. ხუთნი იყვნენ, ხუთივე ერთნაირად ქერათმიანი. თუმცა ერთ-ერთ მათგანს, თავზე ლურჯი ხილაბანდი წაეკრა. ხის კოვზები ხმაურით ეხლებოდა ხისავე ჯამების კედლებს; კიდევ ერთი კოვზის კაკუნი კი კუთხეში ამოშენებულ აგურის ღუმელთან მიმჯდარი მოხუცის მხრიდან მოდიოდა, რომელსაც ჯამისკენ წაეხარა ჭაღარა თავი და მალი-მალ ხვნეშოდა. მაგიდაზე სანთელი ენთო. ალის კიდევ სამი, მომცრო ენაც ოთახის მეორე კუთხეში, სამკუთხედად დალაგებული ხატების წინ ირხეოდა.

კირამ თეთრი ჩექმები ამოიცვა და კაბაც ამოიღო ჩემოდნიდან. შიშველი მკლავები ოდნავ უცახცახებდა, არადა ოთახში ცხელოდა კიდეც. თეთრი, საქორწინო კაბა ჩაიცვა, რომლის გრძელმა ბოლომაც შარიშურით გადაუარა ძირს დაფენილ თივას. ამ ხმაზე ერთ-ერთმა ღორმა ზარმაცად გაახილა ცალი თვალი. კირამ კაბის ბოლო აიკრიფა და დიდი ქინძისთავით, საგულდაგულოდ მიიმაგრა წელზე. მერე თეთრი თავშალიც შემოიხვია და ბოლოს, თეთრი ბეწვის ჯუბაშიც გაუყარა ხელი. ფრთხილად მოისინჯა ის ადგილი, სადაც ფული ჰქონდა ჩაკერებული. ეს გახლდათ მისი ბოლო და ერთადერთი იარაღი, რომელიც ალბათ, კიდევ არაერთხელ დასჭირდებოდა.

მაგიდას რომ მიუახლოვდა, ქერათმიანმა გოლიათმა ყოველგვარი გრძნობისაგან დაცლილი ხმით უთხრა:

– ჯობია კიდევ ერთი საათი მოიცადო, სანამ მთვარე კარგად არ მიიმალება ღრუბლებში.

– მერე ჩაიჩოჩა და კირას თავის გვერდით გაუთავისუფლა ადგილი მერხზე. უსიტყვოდ, მკაცრადაც კი მიუთითა, დაჯექიო. კირამ კაბის კალთა კიდევ უფრო აიწია, მერხზე გადააბიჯა და დაჯდა. ჯუბა დროებით ისევ გაიხადა, ხელზე გადაიკიდა და მკერდზე მიიკრა. ორი ქალის წყვილი მზერა მის მაქმანიან საყელოს მიეჯაჭვა. ცისფერხილაბანდიანმა გოგომ რაღაც გადაუჩურჩულა ასაკით უფროს

ქალს, ვის თვალებშიც შიში და უნდობლობა გამოსჭვიოდა.

კაცმა ახლა ცხელი კერძით სავსე ჯამი დაუდგა კირას წინ.

– არა, გმადლობთ... არ მშია, – იუარა კირამ.

– ჭამე, – უბრძანა კაცმა.

– დაგჭირდება. კირაც მორჩილად შეუდგა ცხელი ბორშჩის ხვრეპას, რომელსაც ღორის ქონის სუნიც დაჰკრავდა.

უცებ, სრული სიჩუმე ისევ იმ კაცმა დაარღვია. მისკენ არც გაუხედავს, ისე უთხრა კირას:

– სავარაუდოდ, მთელი ღამე მოგიწევს სიარული. კირამაც უხმოდ დაუქნია თავი.

– მთლად ახალგაზრდაა...

– თქვა მაგიდასთან მის პირდაპირ მჯდარმა ქალმა, თავი დანანებით გადააქნია და ამოიოხრა კიდეც.

როცა წასვლის დრო დადგა, კაცმა კარი გააღო; ოთახშიც მაშინვე ქარმა შემოიყმუვლა. კაცმა კარი შეაკავა და ხშირ, ქერა წვერში ჩაიბურტყუნა:

– სანამ შეგეძლება, იარე. ჯარისკაცს თუ დაინახავ, ხოხვაზე გადადი.

– დიდი მადლობა, – უთხრა კირამ და მის ზურგსუკან, კარიც მაშინვე დაიხურა.

* * *

თოვლი მუხლამდე წვდებოდა და თითოეული ნაბიჯის გადადგმა წარმოუდგენელ ძალისხმევად უჯდებოდა. კაბის კალთა რაც შეიძლებოდა ზემოთ აიწია და მაგრად ჩაბღუჯა ორივე ხელით.

ირგვლივ ისეთი სიცისფრე გადაფენილიყო, ცისფერიც არ ეთქმოდა – საერთოდ არ ჰგავდა არცერთ, ამქვეყნად არსებულ, მისთვის მანამდე ნაცნობ ფერს. არც საზღვარი უჩანდა, არც ბოლო და კირასაც ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც, ძალიან მაღლა ვდგავარ მარ-

ტოდმარტო, ხოლო ეს მოცისფრო სითეთრე ვეება გუმბათივით იკ-ვრება ჩემს თავს ზემოთო.

შავ-მორუხო, ცისფერძარღვიან ნაკუწებად დაჩეხილი ცა, რო-გორსაც დღისით ვერასოდეს იხილავს ადამიანის თვალი, უჩვეუ-ლოდ დაბლა ეკიდა. ამ ნაკუწებს შორის, თითქოსდა არსაიდან, ში-გადაშიგ გაკრთებოდა ხოლმე რაღაც, რასაც არც ფერი ჰქონდა და ვერც სინათლის სხივად აღიქვამდი. კირაც შეგნებულად არიდებდა თვალს და ცდილობდა, თავჩახრილს ევლო. ს წინ არავითარი შუქი არ მოჩანდა; მართალია, არც უკან აბრუნებდა თავს, მაგრამ ისედაც იცოდა, რომ ზურგსუკან დარჩენილი სინათლეებიც კარგა ხნის წინ გაუჩინარებულიყო. ხელში უკვე აღარაფერი ეჭირა – ჩემოდანიცა და ძველი სამოსიც სოფელშივე დატოვა. იქ – წინ, არაფერი დასჭირ-დებოდა, მხოლოდ სარჩულში გამოხვეული ფულის მომცრო დასტა, რასაც დროდადრო ფრთხილად ეხებოდა ხელით.

– მყესები დაწყვეტაზე ჰქონდა და მუხლებიც ისე ძლიერ სტეხდა, თითქოს მაღალ კიბეზე უწევდა აფოფხება. ცნობისმოყვარედ, გარე-შე მაყურებელივით, თითქოს აკვირდებოდა და თვალნათლივ ხე-დავდა კიდევაც ამ ტკივილს. ყინვა წვრილი ნემსებივით უჩხლეტდა ლოყებს, მწარედ სუსხავდა. მალი-მალ მოისვამდა ხოლმე ზედ თეთ-რთათმანიან ხელებს, მაგრამ არც ამას მოჰქონდა რაიმე შვება.

ფეხქვეშ თოვლის ჭრაჭუნის მეტი, არაფერი ესმოდა. ცდილობდა კიდევ უფრო სწრაფად ევლო და ამ ერთფეროვანი, ერთდროულად ყოველი მხრიდან და თან არსაიდან მომავალი ხმისთვის ყურადღება არ მიექცია.

იცოდა, უკვე რამდენიმე საათის განმავლობაში მიაბიჯებდა ასე. ოღონდ აქ დროს სხვა განზომილება შეეძინა და ჩვეულებრივი სა-ათიც აღარ ჰგავდა საკუთარ თავს: აქ მხოლოდ ნაბიჯებიღა არსე-ბობდა, ღრმა თოვლში გადადგმული თითოეული ნაბიჯი, თოვლს კი ბოლო არ უჩანდა. ჰქონდა კი მას საერთოდ ბოლო? კირა ამას უკვე არანაირ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. ან რა აზრი ჰქონდა ამაზე

ფიქრს? ახლა ერთადერთ საფიქრალად ისღა დარჩენოდა, როგორმე სიარულის უნარი არ წართმეოდა. გეზი დასავლეთისკენ ეჭირა. მთავარი იყო, მხარი არ ქცეოდა, სხვას ყველაფერს მოევლებოდა. ან რაღა იყო ეს სხვა? განა დარჩენილიყო მისთვის რაიმე პასუხგასაცემი შეკითხვა? თუნდაც ასე ყოფილიყო, პასუხებს მერე დაუწყებდა ძებნას, უკვე იქ, სხვაგან... ახლა კი ფიქრზე როგორმე უარი უნდა ეთქვა. ახლა როგორმე აქედან უნდა გაეღწია, ხოლო თუ საფიქრალი კვლავაც შეახსენებდა თავს, მერე იფიქრებდა, იქ. მთავარია, იქ მოხვედრილიყო. მთავარია, აქაურობას გასცლოდა.

თეთრი თათმანების მიუხედავად, თითები მაინც სტკიოდა, ძვლებში სტეხდა და სახსრებზეც ისეთ წნეხს გრძნობდა, თითქოს მარწუხებში მოუქცევიათო.

ვიყინებიო, – ფიქრობდა კირა და გონებაგაფანტული, იმის მიხვედრასღა ცდილობდა, რამდენად ყინვიანი შეიძლებოდა ყოფილიყო ის ღამე.

მის წინ ცისფერი თოვლი შუქს ასხივებდა და ეს შუქი ლამის ცამდე სწვდებოდა. იქ, შორს, სადაც მიწა ღრუბლიან ცას ერწყმოდა, არაფერი ჩანდა, ბურუსის მეტი; ეტყობა, თვალიც ატყუებდა და ვერაფრით მიმხვდარიყო, ეს ღრუბლები საცაა ზედ მიეხლებოდნენ სახეზე თუ – უსაშველო შორეთში დარჩებოდნენ.

მის ზურგსუკან კი სიცარიელის მეტი არაფერი იყო და სწორედ ამ სიცარიელიდან მოიკვლევდა გზას – თეთრი, არამიწიერი სიცარიელიდან. ოღონდ დანებების უფლება არამც და არამც არ ჰქონდა. ორი ფეხი ჯერაც შერჩენოდა, ისევე როგორც რაღაც იდუმალი შინაგანი ძალა, რომელიც ამ ფეხებს მოძრაობას აიძულებდა. ცოცხალი თავით არც დანებდებოდა, ცოცხალი კი ჯერ ისევ იყო, ცოცხალი და სრულიად მარტოსული ამ მკვდარ, არამიწიერ უდაბნოში. ამიტომ, შეუჩერებლად უნდა ევლო, რათა თავისი სიცოცხლე დაედასტურებინა. უთუოდ უნდა გაეღწია აქედან.

სადღაც შორს, წინ, ქარმა თოვლი დააბზრიალა და დაბლა ჩამოწოლილი ცისკენ ახვეტა დიდრონი ფანტელები. კირა მოიბუზა, თავიც მხრებში ჩარგო, თითქოს ვიღაცას ემალება, თითქოს არ უნდა, ვინმემ დაინახოსო.

უცებ, ფერდში ტკივილი იგრძნო. თითოეული ნაბიჯის გადადგმაზე, ხერხემალშიც უსიამო ჩხვლეტას გრძნობდა და მთელ ზურგზეც ჭიანჭველებმა დაუარა. ერთხელ კიდევ მოსინჯა თითებით სარჩულში ჩაკერებული ფული. მთავარია, ეს არ დაეკარგა და კიდევ, ფეხებში არ წართმეოდა ძალა – სხვას არაფერს ჰქონდა ახლა მნიშვნელობა.

მოულოდნელად, ტრიალ მინდორში, თეთრ პირამიდასავით წამომართულ ვეება ფიჭვს ჰკიდა თვალი და იქვე შედგა. სუნთქვა შეეკრა, მუხლებშიც სისუსტე იგრძნო. გარეული მხეცივით გაწვა და თოვლს ყური დაადო. საეჭვო არაფერი გაუგონია. თოვლის სიმძიმით ძირისაკენ დახრილი ფიჭვის ტოტების მიღმა არაფერი ირხეოდა. მერე კირამ გზა გააგრძელა, ოღონდ თვითონაც არ იცოდა, რამდენ ხანს იწვა ასე, თოვლში გაშოტილი.

უკვე არც ის იცოდა ზუსტად, წინ მიიწევდა თუ გებ, სულაც ერთ ადგილს ტკეპნიდა. მის ირგვლივ გადაშლილ თეთრ უსასრულობაში საერთოდ არაფერი იცვლებოდა. ან რა ცვლილების იმედი უნდა ჰქონოდა? საკუთარი თავი ახლა იმ ჭიანჭველად ესახებოდა, თეთრ, მბზინავ, პრიალაზედაპირიან მაგიდაზე რომ ცდილობს გადაცოცებას. უეცრად, მის გარშემო გადაშლილი სივრცე გააცნობიერა და ფართოდ გაშალა ორივე ხელი. თავიც უკან გადააგდო, ცას ახედა. ამბობენ, ეს მოციმციმე წერტილები უსასრულო სამყაროებიაო. ნუთუ არცერთ ამ სამყაროში არ მოინახებოდა მისი ადგილი? ვინ და რა მიზნით არ აძლევდა მას თავის წილ მიწაზე ფეხის მოკიდების უფლებას, ამოდენა უსასრულობაში? ვინ იყვნენ და რა უნდოდათ იმათ, ვისაც მისთვის ამგვარი ხვედრი დაედგინა? ამ კითხვაზე პასუხი უკ-

ვე დავიწყებოდა კიდეც. ახლა მას უბრალოდ, როგორმე უნდა გაეღწია აქედან.

არადა, ფეხებს ვეღარც გრძნობდა და ისინიც თითქოს მისგან დამოუკიდებლად, მექანიკურად, რაღაც ხელსაწყოებივით აგრძელებდნენ უწინდელ მოძრაობას და ყოველი მომდევნო ასეთი გაჭირვებით გადადგმული ნაბიჯიც გამოძახილივით უგუგუნებდა თავში.

უცებ კირამ იგრძნო, როგორ გაუქრა დაღლილობა; აღარც ტკივილი აწუხებდა; წონადაკარგული და თავისუფალი, ძალიან კარგად გრძნობდა თავს იმდენად კარგად, ასე სიარული წლობით შეეძლო გაუჩერებლად! წამის შემდეგ კი უკვე სულ სხვანაირი ტკივილი დაეძგერა ბეჭებშორის; შებარბაცდა და მოეჩვენა, თითქოს რამდენიმე საათი გავიდა, ვიდრე მისმა ჰაერში გახევებულმა ფეხმა თოვლი გაარღვია და კვლავ მოახერხა ძირს დაშვებულიყო. ისევ მიაბიჯებდა, წინ წახრილი, მკერდზე ხელებმიჭერილი, ერთ მუშტად შეკრული. თითქოს შეგნებულად დაპატარავებულიც კი, რათა მის ფეხებს ნაკლები ჯაფა დასდგომოდა.

სადღაც აქ საზღვარი უნდა ყოფილიყო, რომელიც აუცილებლად უნდა გადაელახა. თავისდაუნებურად, რომელიღაც გერმანულ ფილმში ნანახი რესტორანი გაახსენდა: შუშის აბრაზე წვრილი, მბზინავი, თავხედურად თვალშისაცემი ასოებით წაეწერათ – „კაფე დიგი-დაგი". იმ ქვეყანაში, რომელსაც კირა სტოვებდა, მსგავს აბრას ვერსად ნახავდა ადამიანი; ვერ ნახავდა ვერც საცეკვაო დარბაზის იატაკივით გადაპრიალებულ-გადასლიპინებულ ქუჩებსაც. კირა უაზროდ, ლოცვისა თუ შელოცვის სიტყვებივით იმეორებდა: „კაფე დიგი-დაგი, კა... ფე... დი...გი... და..გი..." – მართალია, საკუთარი ხმა არ ესმოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად ცდილობდა, ნაბიჯი ამ მარცვლების მონაცვლეობისათვის აეყოლებინა.

ფეხებს კი, გზის გასაგრძელებლად, კირას ბრძანება აღარც სჭირდებოდა; მგონი, მივრბივარ კიდეცო, – გაურბინა თავში. მართლაც,

რაღაც ცხოველური ჟინი უბიძგებდა წინ, ბრმად ექაჩებოდა თვითგადარჩენისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართულს.

მიდიოდა და ტუჩებგათოშილი ჩურჩულებდა – შენ კარგი ჯარისკაცი ხარ, კირა არგუნოვა, მართლა კარგი ჯარისკაციო...

* * *

სადღაც წინ, ღამის ცის ფონზე, ცისფრად დათოვლილი, ტყიანი გორაკები გამოიკვეთა. მერე ვიღაცის მუქი სილუეტიც დალანდა, სწორედ ამ დათოვლილი გორაკების გასწვრივ რომ მოძრაობდა. ხედავდა, როგორ მიალაჯებდა ეს ვიღაც მაღალფეხება, მხარზე კი შაშხანაზე წამოცმული ხიშტი უელავდა.

კირა მუცლით გაერთხა თოვლზე. დაბანგულივით ბუნდოვნად შეიგრძნობდა, სახელოებქვეშ თუ ჩექმებში მოხვედრილი თოვლის სიცივეს. მაინც გაუნძრევლად იწვა, გულს კი სულ ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

მერე ოდნავ წამოსწია თავი და ნელა გახოხდა კიდეც. ისევ გაირინდა, თან იმ შავ სილუეტს არ აშორებდა თვალს. ასე გაგრძელდა კიდევ ცოტა ხანს – გახოხდებოდა, გაირინდებოდა, თავს აწევდა და ისევ ჯარისკაცს გახედავდა ხოლმე.

მოქალაქე ივან ივანოვი თითქმის ორ მეტრამდე იყო სიმაღლით. სქელი ტუჩები ჰქონდა და მოკლე, მიტყეპნილი ცხვირი. საგონებელში ჩავარდნილი, რამეზე თუ ჩაფიქრდებოდა, ერთთავად თვალებს ჭუტავდა და ქეჩოს იფხანდა ხოლმე.

მოქალაქე ივან ივანოვი ქალაქ ვიტებსკის ერთ-ერთ გარეუბანში მდგარი სახლის სარდაფში მოევლინა ქვეყნიერებას, 1900 წელს. მეცხრე ბავშვი იყო ოჯახში. ექვსი წლისა ხარაზს მიაბარეს შეგირდად, რომელიც ტყავის ღვედით ჟვეპავდა და წიწიბურას შეჭამანდს არ აკლებდა საკვებად. ათი წლისამ პირველად შეიკერა თავისი ხელით ფეხსაცმელი და მერე ამაყად დააჭრაჭუნებდა კიდეც ქალაქის

ქუჩებში ამ თავის ნახელავს. ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა მოქალაქე ივან ივანოვს.

თხუთმეტი წლის ასაკში, მეზობელი ბაყლის ქალიშვილი შეიტყუა ცარიელ ფარდულში და ნამუსი ახადა. გოგო მაშინ თორმეტის თუ იქნებოდა და ბიჭივით ბრტყელი მკერდი ჰქონდა. საწყალობლად რომ აწკმუტუნდა, ივანმა თხუთმეტი კაპიკი და ერთი გირვანქა საწუწნი კანფეტი მიაჩეჩა ხელში და პირობაც ჩამოართვა, კრინტი არსად დაეძრა. ეს უკვე მეორე დღე გახლდათ მის ცხოვრებაში, რომელიც ასევე სამუდამოდ ჩაიმარხა მახსოვრობაში.

თექვსმეტისამ უკვე ნამდვილ გენერალს შეუკერა ჩექმა, რომელიც ჯერ საგულდაგულოდ გააპრიალა ზედ გემრიელად ნაფურთხები ფლანელის ნაჭრით და მერეღა მიართვა შემკვეთს. გენერალმა ხელობა შეუქო, მხარზე ხელიც მოუთათუნა და მანეთიც დაუმატა ფეხის ქირად. ესეც თქვენი მესამე სამუდამო მოგონება.

საღამოობით, ხარაზის სახელოსნოს ირგვლივ მუდამ ახალგაზრდების მხიარული ჯგრო იკრიბებოდა ხოლმე. სისხამ დილას გაღვიძებულები, მთელი დღე თავაუღებლად შრომობდნენ, მერე კი მართლა კარგად ილხენდნენ. იქვე, ქუჩის კუთხეში, მშვენიერი დუქანი გაემართათ და ისინიც სწორედ იქ ატარებდნენ დროს. ხელიხელგადახვეულები სვამდნენ, ხმის ჩახლეჩამდე მღეროდნენ მხიარულ სიმღერებს, ბოლოს კი ერთ სხვა დაწესებულებას სტუმრობდნენ, სადაც ჩია ბერიკაცი ჟღრიალა პიანინოს მისჯდომოდა, ივან ივანოვს კი თავისი გულის ტურფა ელოდა. პუტკუნა, ქერა გოგოს მოკლე, ვარდისფერი ხალათი ეცვა, წარმოშობით უცხოელი იყო და სახელადაც გრეტხენს ეძახდნენ. მოქალაქე ივან ივანოვს არც მასთან გატარებული ღამეები დაავიწყდებოდა ოდესმე.

– მერე წითელ არმიაშიც გაიწვიეს; ირგვლივ ყუმბარები კვეთდა ჰაერს, სანგარში ჩამჯდარი ივან ივანოვი კი სხვა ჯარისკაცებთან ერთად, რწყილების დოღზე ჩამოდიოდა ფსონს.

მძიმედ დაიჭრა, პირდაპირ მიახალეს – ვერც გადარჩებიო. იწვა

კედლისკენ პირშექცეული, ბედს შერიგებული და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა.

როგორღაც გამოძვრა, ცოცხალი გადარჩა და ცოტა ხანში, ჩათქვირული, მკერდსავსე, ვარდისფერლოყება სანიტარი გოგო შეირთო ცოლად, რადგან ის უკვე ბავშვს ელოდებოდა მისგან. ვაჟიც ქერა და პუტკუნა გაუჩნდათ, რომელსაც სახელად ივანი დაარქვეს. კვირაობით, ეკლესიაში დაიარებოდნენ, მერე კი ცოლი ცხვრის ხორცს უშუშავდა ხახვში, თუ რა თქმა უნდა, იშოვიდნენ სადმე. უქმეებზე ცოლი კაბის კალთებს აიკარწახებდა, ფუმფულა ფეხებს გამოაჩენდა, მუხლებზე დგებოდა და მათი ოთახის ხის იატაკს მთელი მონდომებით ხეხავდა. თვეში ერთხელ, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, ქმარი აბანოში დაიარებოდა. მოკლედ, ივან ივანოვი ბედნიერად გრძნობდა თავს.

მერე კი საზღვრის დასაცავად გაამწესეს. ცოლი საცხოვრებლად ისევ სოფელში, მშობლებთან დაბრუნდა და ბიჭიც თან წაიყვანა.

მოქალაქე ივან ივანოვს წერა-კითხვა არასოდეს უსწავლია.

მოქალაქე ივან ივანოვი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვარს სდარაჯობდა.

ის ახლაც დინჯად მიდი-მოდიოდა თოვლში, მხარზე თოფგადაკიდული; ხშირ-ხშირად იორთქლებდა გათოშილ თითებზე და გულში მწარედ აგინებდა სიცივეს. გორაკის ფერდობზე ჩასვლას კიდევ არა უშავდა, მაგრამ ისევ უკან ამოსვლა ჭირდა და ისიც სულ ხვნეშა-ხვნეშით მიფოფხავდა ზემოთ, სათვალთვალო ადგილის დასაკავებლად. ქარი ცხვირ-პირში სცემდა, ირგვლივ კი, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, ცოცხალი არსება არ ჭაჭანებდა მის გარდა.

თუმცა უცებ, მოქალაქე ივან ივანოვმა შორს რაღაც მოძრავს მოჰკრა თვალი თოვლში.

ბოლომდე დარწმუნებით ვერ იტყოდა, მართლა მოძრაობდა ის რაღაც თუ არა; ამიტომ დაჟინებით ჩააცქერდა სიბნელეს, ოღონდ სწორედ ამ დროს ქარმა მთელს მინდორში დააყენა თოვლის ბუქი და

ჯარისკაცმაც იფიქრა, ეტყობა რაღაც მომეჩვენაო. მაგრამ მოჩვენება იყო თუ რამე სხვა, ერთხელაც შეირხა და ეს თოვლის ბუქს ნამდვილად არ ჰგავდა.

– ვინ მოდის? – ორივე ხელი პირთან მიიტანა ივან ივანოვმა და ასე გასძახა სიბნელეს. პასუხი არავის გაუცია მისთვის. ახლა არც აღარაფერი მოძრაობდა გორაკის წინ გადაშლილ მინდორზე.

– გამოდი, თორემ გესვრი! – იყვირა ისევ. პასუხი არც ამჯერად გაუგონია.

შეყოყმანდა და ქეჩო მოიქექა. სიბნელეს არ აშორებდა ჯიუტ მზერას. სათუოდ ვერ გაიხდიდა საქმეს. მოქალაქე ივან ივანოვმა შაშხანა მხრიდან მოიხსნა და ყოველი შემთხვევისათვის, ერთხელ მაინც გაისროლა.

ცისფერმა ალმა გაკვეთა სიბნელე, შორეთში კი გასროლის ყრუ გამოძახილი დაირხა. როცა საბოლოოდ მიწყდა, სხვა არავითარი ხმა აღარ ისმოდა და არც არაფერი მოძრაობდა გორაკების ძირში გადაშლილ თეთრ ველზე.

მოქალაქე ივან ივანოვმა ქეჩო მოიფხანა. „წესით, უნდა ჩავიდე და ვნახო რა ხდება! " – გაიფიქრა. მაგრამ სავალი შორი იყო, თოვლი – მეტისმეტად ღრმა, ქარი კი საშინლად ცივი. ხელი ჩაიქნია და შემოტრიალდა.

– კურდღელი იქნებოდა, – ჩაიბურტყუნა ივან ივანოვმა და შემოვლა განაგრძო.

კირა არგუნოვა სრულიად გაუნძრევლად, პირქვე იწვა თოვლზე. ორივე მკლავი წინ გაწვდინა და მხოლოდ თეთრი თავშალიდან გამოჩრილი თმის ერთი კულული უფრიალებდა ქარში; მზერით ჯერ ისევ იმ ჯარისკაცს აცილებდა, რომელიც შორს, გორაკის ფერდობზე ეფარებოდა თვალს. დიდხანს იწვა ასე უძრავად, ბოლოს კი თოვლზე წითელი ლაქაც დალანდა, ნელ-ნელა რომ ფართოვდებოდა...

წამსვე მშვიდად გაიფიქრა და თან თითქოს გაიგონა კიდეც საკუთარი სიტყვები:

– მგონი, დამჭრა... აი თურმე რას გრძნობს დაჭრილი ადამიანი. არც ისე საშიში ყოფილა, რამე რომ იყოს...

ნელ-ნელა წამოიმართა, მუხლებზე დადგა. თათმანები გაიხადა, ხელი ჯუბის ქვეშ შეაცურა და მარცხენა მკერდთან ფულის შეკვრა მოისინჯა თითებით. იმედი ჰქონდა, ტყვიას ფული არ დაეზიანებინა. ასეც აღმოჩნდა. პატარა ხვრელი ჯუბაში სწორედ ფულის შეკვრის ცოტა ქვემოთ დარჩენილიყო. ოღონდ ეგაა, თითებით რაღაც ცხელი და წებოვანიც შეიგრძნო.

ძლიერ ტკივილს არ განიცდიდა. ცოტათი ეწვოდა გვერდი, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებად შემაწუხებელი იყო, ვიდრე დაქანცული ფეხები. წამოდგომა სცადა. ოდნავ ბარბაცებდა, თუმცა წონასწორობის შენარჩუნებას მაინც ახერხებდა. ჯუბას მუქი ლაქა აჩნდა და ბეწვიც ერთგან თბილ, წითელ ბღუჯად გახევებულიყო. არადა, სისხლისდენაც არ ჩანდა მაინცადამაინც ძლიერი გრძნობდა, როგორ სდიოდა კანზე სულ რამდენიმე წვეთი.

სიარულიც შეეძლო. მიიჭერდა ხელს ჭრილობაზე და სისხლის დენაც საბოლოოდ შეწყდებოდა. საზღვრამდეც ხომ სულ ცოტაღა რჩებოდა, იქ კი, საზღვრის იქით, ჭრილობას მიხედავდა და შეიხვევდა კიდეც. საშიში ნამდვილად არაფერი იყო. მით უმეტეს, აუტანელი და გაუსაძლისი. მოკლედ, გზა უნდა გაეგრძელებინა.

გადადგა კიდეც რამდენიმე არეული ნაბიჯი და მუხლების სისუსტემ გააკვირვა. უკვე სილურჯეშეპარული ტუჩები ააცმაცუნა და ჩურჩულით წარმოთქვა:

– რა თქმა უნდა, დაჭრილი ხარ და ცოტა დასუსტდი კიდეც. ბუნებრივია. არ ღირს ამაზე გულისხეთქვა! – მხრებში წახრილი, ტანზე ხელებმიკრული, ბარბაცით მიაბიჯებდა თოვლში. ნაბიჯი ერეოდა, ფეხი ებლანდებოდა, თითქოს სასმელი მორევიაო. ხედავდა, როგორ ეცემოდა პაწია, მუქი წვეთები მისი მაქმანიანი კაბის კალთას. შიგადაშიგ, მოზრდილი შუალედებით. ბოლოს ესეც შეწყდა და კირას გაეღიმა.

საერთოდ ვერ გრძნობდა ტკივილს. მთელი მისი საფიქრალი ახლა იქითკენ იყო მიმართული, როგორმე ნებისყოფის ძალით მაინც გადაედგა ფეხი; არადა, ფეხებში სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობდა სისუსტეს. მაინც უნდა ევლო, მაინც უნდა გაეღწია აქედან! მაინც უნდა გადასულიყო საზღვარს!

ისე ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს, თითქოს ეს ხმა რაღაც ჯადოსნური, მაცოცხლებელი სითხე იყო და უთუოდ დაუბრუნებდა ძალას:

– შენ კარგი ჯარისკაცი ხარ, კირა არგუნოვა! კარგი ჯარისკაცი და სწორედ ახლა უნდა დაამტკიცო ეს... ახლა... ცოტაც გაუძელი, ბოლოჯერ მოიკრიბე ძალა... ძალიან ძნელიც არაა, ხომ ასეა? შენ შეძლებ. უბრალოდ, იარე... ძალიან გთხოვ, არ გაჩერდე... უნდა გააღწიო აქედან, უნდა გააღწიო, უნდა გააღწიო...

– ახლა უკვე ორივე ხელი მაგრად მიიჭირა იქ, სადაც შენახული ფული ედო. ამ ფულის დაკარგვა არასდიდებით არ შეიძლებოდა. ეს არაფრით არ უნდა დაეშვა. არადა, ახლა უკვე ნელ-ნელა მზერაც ებინდებოდა, მაგრამ გონება არ უნდა არეოდა და ეს კარგად უნდა ხსომებოდა.

თავი ჩამოუვარდა. თვალებიც მოეხუჭა. წამწამებს შორის ძლივსღა ხედავდა საკუთარ ფეხებს, რომელთაც გაჩერების უფლება არ ჰქონდათ.

უცებ, ისევ დააჭყიტა თვალები და ნახა, რომ თოვლში იწვა. გაჭირვებით, ნელ-ნელა წამოწია თავი, გაკვირვებულმა; არ ახსოვდა, როდის და რატომ წაქცეულიყო.

ეტყობა, გონება დავკარგეო, – გაიფიქრა. თან შეეცადა გაეხსენებინა, რა ეგრძნო იმ დროს, როცა გონებას კარგავდა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

– ამჯერად, წამოდგომას დიდი დრო დასჭირდა. თოვლზე, სადაც ის იწვა, წითელი ლაქა მოჩანდა და მისმა ზომამ აფიქრებინა – ეტ-

ყობა, კარგა ხანს ვეგდე აქო. ისევ ბარბაცით დაიძრა წინ. მერე გაჩერდა. დაბინდულ თვალებში თითქოს რაღაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელმა აზრმა გაუელვა. უკან მიბრუნდა და წითელ ლაქას ფეხის წვერით მიაყარა თოვლი.

მიდიოდა და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ფიქრობდა, ნეტავ ასე რატომ ჩამოცხა, ან ამ სიცხეში თოვლი როგორ არ დნებაო. თვითონ სიცხისაგან სული ეხუთებოდა. მერე ისიც გაიფიქრა, თოვლი მართლა რომ დადნეს, მაშინ რა მოხდებაო. მაშინ ალბათ, ცურვა მომიწევსო, – გაუელვა თავში.

– მაგრამ ეგეც არაფერი, ცურვა კარგად ვიცი და სიარულს მირჩევნია კიდეც, ფეხებს მაინც დავასვენებო...

ისევ ბორძიკ-ბორძიკით გააგრძელა გზა, თუმცა უკვე აღარ იცოდა, სწორი მიმართულებით მიდიოდა თუ არა. დაავიწყდა, რომ ამაზეც უნდა ეფიქრა. მხოლოდ ისღა ახსოვდა, რომ გაუჩერებლად უნდა ევლო.

კირამ ვერც ის შენიშნა, როგორ მიადგა ხევს. ფეხი დაუცდა და ბექობზე ჩაგორდა.

თავდაპირველად, ცალი ხელის მეტი ვერაფერი გაანძრია. შეეცადა, თოვლი ჩამოეშორებინა სახიდან, გაყინული ტუჩებიდან... თეთრად დათოვლილ ხევში იწვა მოკუნტული და ის დრო, რაც კვლავ ფეხზე დასადგომად დასჭირდა, უსასრულო საათებად, ლამის წლებადაც კი მოეჩვენა. ჯერ ხელის მტევნებით დაეყრდნო მიწას, ფეხები მუხლებში მოხარა და აქოშინებულმა, წამოწევა სცადა; მერე სხეულის სიმძიმე მთლიანად ერთ ხელზე გადაიტანა, ფეხი მოინაცვლა, წამოიწია, წამოდგა და წელშიც გასწორდა. ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე, რაღაც დანასავით უსერავდა ფილტვებს.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ხევის იქითა ფერდზე ასვლის თავი უკვე აღარ ჰქონდა. მაინც ცდილობდა აფორთხებას, თუმცა ყოველ ჯერზე, კვლავ ქვემოთ ცურდებოდა და თოვლიც მწარედ უსუსხავდა ხელისგულებსა თუ სახეს. ბოლოს მაინც იძალა და

უკვე გორაკის წვერზე, ერთხელ კიდევ წამოდგა. თათმანები სადღაც დაეკარგა. ტუჩის კუთხეებში რაღაც თბილი იგრძნო. პირი მოიწმინდა და შიშველ თითებზე დაიხედა: თითებს ყავისფერი ქაფი მოსდებოდა.

კიდევ უფრო დასცხა. თეთრი თავშალი მოიგლიჯა და ხევში მოისროლა. ქარმა მაშინვე გაუწეწა თმა, ოღონდ ეს ეამა კიდეც.

სახე ქარს მიუშვირა და გზა გააგრძელა.

სიცხე მაინც ძალიან აწუხებდა, სუნთქვაც უჭირდა. ბეწვის ჯუბაც გაიძრო, თოვლზე დააგდო და იქვე მიატოვა.

ცაზე ლურჯ, რუხ, მუქ-მწვანე ქულებად ირეოდა ღრუბლები და სადღაც შორეთში მიექანებოდა. კირას თვალწინ, თოვლის უწყვეტ ხაზსზემოთ, შუქის ოდნავ სიმწვანედაკრული, ფერმკრთალი ზოლი აკიაფდა.

კირამ ბოლო ძალა მოიკრიბა, წინ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ მაშინვე თითქოს რაღაც უცხო ძალამ უბიძგა უკან. თვალებიდან თმა გადაიწია, თავის გრძელ, მაქმანიან, თოვლივით თეთრ კაბაში ერთიანად აცახცახებულმა, მაინც არ დაყარა ფარ-ხმალი და კვლავაც ბორძიკით. ჯიუტად შეეცადა გზის გაგრძელებას.

წელზე მიმაგრებული კაბის გრძელი ბოლო ჩამოეშალა; კირასაც უკვე ფეხი ებლანდებოდა მის მაქმანებში. ბრმად მიაბიჯებდა. ქარი თმას უწეწავდა, მკლავებს კი ისე მიიქნევდა, თითქოს იმათაც ქარი ათამაშებდა თავის ნებაზე. წელში გაიზნიქა, მკერდი წინ წამოსწია. თეთრი კაბის გულისპირზე, მარცხენა მხარეს, წვრილმა, წითელმა ნაკადმა გამოჟონა და ნელა დაუყვა ქვემოთ, თან გზადაგზა ალისფრად აფერადებდა მაქმანის თეთრ ყვავილებს.

გამომშრალი, ქაფით გაწელილი ტუჩები გაჭირვებით დააშორა ერთიმეორეს და თითქოს იქედან, საზღვარსმიღმიდან ითხოვს დახმარებასო, ჩუმად, ლამის სიხარულით ამოთქვა:

– ლეო! ..

მერე რამდენჯერმე კიდევ გაიმეორა ეს სახელი, უფრო და უფრო

ხმამაღლა, ყოველგვარი სასოწარკვეთის გარეშე, თითქოს სწორედ ეს სახელი იყო ერთადერთი მთელ სამყაროში, რაც მას სიცოცხლეს ანიჭებდა...

– ლეო! .. ლეო! .. ლეო! ..

ასე უხმობდა იმ კაცს, ისეთ ლეოს, რომელიც შეიძლება მართლა არსებულიყო და ალბათ იარსებებდა კიდეც, იქ რომ ეცხოვრა, საითაც ახლა თავად მიისწრაფოდა – საზღვარს იქით. ლეოც იქ ელოდებოდა და სწორედ ამიტომ უნდა გაეგრძელებინა გზა, არ უნდა შეჩერებულიყო. იქ, იმ სამყაროში, საზღვრის გადაღმა, მას სწორედ იმგვარი ცხოვრება ელოდა, რასაც განვლილი სიცოცხლის თითოეული საათით ერთგულებდა, რაც მისთვის ერთადერთი, ამაყად მოფრიალე დროშა იყო მუდამ. ცხოვრება, რომლისთვისაც მას არასოდეს უღალატია და ვერც ახლა უღალატებდა... ამიტომაც უნდა გაეგრძელებინა გზა, ვიდრე ოდნავი ძალა მაინც შერჩენოდა მუხლებში, ვიდრე პირში სული ედგა, ვიდრე ჯერ ისევ ცოცხლობდა და ამ სიცოცხლის სამსახურში უნდა მდგარიყო ბოლომდე, წინ ევლო, ნაბიჯ-ნაბიჯ, ცოტა კიდევ, სულ ცოტა...

მერე სიმღერის ხმა გაიგონა – სუსტი, ძლივს გასარჩევი ჰანგი, რომელიც უკანასკნელ საბრძოლო მარშს წააგავდა. ოღონდ ეს არც სამგლოვიარო ჰანგი იყო, არც საგალობელი და არც ლოცვა – კირას ახლა ძველი ოპერეტიდან დამახსოვრებული „დამსხვრეული ჭიქის სიმღერა“ ჩაესმოდა ყურში.

სუსტი ბგერები გაუბედავად თრთოდა და სამშვიდობოს გამოღწეული, უკვე სწრაფად, თამამად იფრქვეოდა აქეთ-იქით – თხელი, მყიფე შუშის საამო წკრიალივით. მათი ეს ხალისიანი ხმიანობა მართლაც ადამიანისათვის შესაძლებელი უდიდესი სიხარულივით გაისმოდა.

კირამ არ იცოდა, თვითონ მღეროდა თუ უბრალოდ, სადღაციდან მომავალი ჰანგი მისწვდენოდა მის სმენას.

ოღონდაც ეს მუსიკა, ნებისმიერ შემთხვევაში, დაპირებასავით

ჟღერდა – ასე ჟღერდა მისი ცხოვრების გარიჟრაჟზეც და შესაბამისად, დანაპირებზე ვერც ახლა ეტყოდნენ უარს... ამიტომ უნდა ევლო წინ.

და მიდიოდა კიდეც – ეს სუსტი, კაფანდარა გოგო, რომელსაც შუა საუკუნეების დროინდელი ქურუმი ქალის აფრიალებული, სისხლით წითლად დალაქული კაბა ემოსა.

ალიონზე, გორაკის კიდეზე დაეცა. ძირს ეგდო და ვეღარ ინძრეოდა, რადგან უკვე იცოდა, რომ ერთხელ კიდევ ფეხზე წამოდგომას ვეღარაფრით შესძლებდა.

სადღაც შორს, ქვემოთ, დათოვლილი უსასრულო ველი ამომავალ მზეს ეგებებოდა, მაგრამ მზე ჯერ არ ჩანდა. თხელ, სიფრიფანა საფარველს ზემოთ მოციმციმე ცისფერი ნაპერწკლების უსაზღვროებაში, ღია-ვარდისფერი ნათების ამონასუნთქიც იგრძნობოდა, რომელიც საკუთარ სიღრმეში, ზაფხულის მზეჩანთქმულ გამჭვირვალე ტბის მოკრიალებულ ზედაპირსაც წააგავდა; ამ თხევადი შუქის ამოფრქვევისთანავე, თოვლიც გამოცოცხლდა და უნაზეს ათინათებად ათამაშდა. ველზე ლურჯი ჩრდილები გაიშალა, რომლებიც, შუქის საზღვარს მიღწეულნი, მერე სულ წვრილ-წვრილ ნაპერწკლებად დაქუცმაცდა.

შორს, ველის შუაგულში, მარტოხელა ხე წამომართულიყო. მისი წვრილი, მეჩხერი ტოტები თოვლს ვერ იმაგრებდა; მთელი არსებით მომავალი გაზაფხულისა და ახალი სიცოცხლის მომლოდინე ეს ხე ახლა ერთიანად დაძაბული იწვდენდა იმ თავის წვრილ, უფოთლო ტოტებს, უკიდეგანო სამყაროში დაბრუნებული განთიადისაკენ.

კირა გორაკის კიდეზე იწვა და ცას მიჩერებოდა. ცალი ხელი, თოვლივით თეთრი, უკვე სრულიად უძრავი, ქვემოთ გადაეკიდა და სისხლის წვეთებიც ნელ-ნელა მიუყვებოდა დამრეც ფერდობს.

კირას გაეღიმა. მიხვდა, ვკვდებიო. ოღონდ ამას მისთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რაღაც ისეთი შეეტყო, რასაც ვერცერთი ადამიანი ვერასოდეს ვერ აუხსნიდა სიტყვით; ის თურმე სწორედ

ამას ელოდა სულ, სწორედ ამას გრძნობდა და შეიგრძნობდა კიდეც, როგორც ნამდვილს, არსებულს. თურმე მუდამ ამით ცხოვრობდა კიდეც. სიცოცხლე ნამდვილად არსებობდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მას, კირას, არასოდეს შეპარვოდა ეჭვი მისი არსებობის შესაძლებლობაში. ახლაც, საკუთარი არსების სიღრმეში, სწორედ თავისი ოცნების ჩუმი საგალობელი ჩაესმოდა და განა რა მნიშვნელობა ჰქონდა, მარადიული იქნებოდა ის თუ – მეყსეული? დაუმარცხებელი სიცოცხლე არსებობდა და მუდამ იარსებებდა კიდეც.

კირამ ერთხელაც გაიღიმა – უკვე უკანასკნელად შეჰღიმა იმ ყველაფერს, რის შესაძლებლობაშიც ეჭვი აღარ ეპარებოდა.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი